ელდარ მამისთვალიშვილი

ELDAR MAMISTVALISHVILI

საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA

II

(XVII ს. პირველი ნახევარი –თეიმურაზ I-ის ეპოქა)

(The 1st Half of the XVII Century – THE ERA OF TEIMURAZ 1st)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

UDC (უაკ) 94(479.22)„16“+327(479.22)(09)
მ – 243

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო სრულ მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა, რამაც მისი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარება დიდად შეაფერხა. ოსმალეთისა და ირანის „წყალობით“ საქართველო მოსწყდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს. საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილნი იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ის ქვეყნებიც, რომლებთანაც, ტრადიციულად, მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. პარალელურად მიმდინარეობდა თითქმის განუწყვეტელი შიდა ბრძოლა სამფლობელოების გადანაწილებისა და პირველობისათვის. XVII ს. 30-იანი წლებიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეფე-მთავართა ორი კოალიცია (1. თეიმურაზ I – გიორგი II და ალექსანდრე III, მხარს უჭერდნენ ოსმალეთის სულთნები; 2. როსტომ მეფე – ლევან II დადიანი – გურიის მთავარი, მხარს უჭერდნენ ირანის შაჰები). ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ ყოველი საშუალებით. ქვეყანა ნადგურდებოდა და მტრულად განწყობილ გარეშე ძალებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.

ნაშრომში ქართველი მეფე-მთავრების და მათი დიპლომატების საქმიანობის მრავალი ეპიზოდი და ფაქტია გაშუქებულ-გაანალიზებული. მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში, მის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი მეფე თეიმურაზ I-ს ეკავა. მიზანშეწონილად ჩავთვალე საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს **(XVII ს. პირველი ნახევარი)** დაერქვას **თეიმურაზ I-ის ეპოქა.**

© ე. მამისთვალიშვილი, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-436-0

UDC (უაკ) 94(479.22)„16“+327(479.22)(09)
M – 243

On the boundary of the XVI-XVII centuries Georgia, divided into kingdoms and principalities, and being in a hostile surrounding immensely hindered its social, political, cultural and economic development.

„With the favour“ of Ossmalia and Iran Georgia severed from the West European countries and Russia. Even the countries of South-East Caucasus and the nearest East which traditionally had a close relation with Georgia, became hostile towards it. Continuous interior battle was going on for superiority and dividing estates. In the 30s of the XVII century two coalitions were formed of the Kings and Principles (1. Teimuraz I - Girogi II and Aleksandre III, were supported by the Sultans of Ossmalia; 2. The King Rostom - Levan II Dadiani - The Principle of Guria, were supported by the Shahs of Iran). They fought by all the means. The country was destroying and profitable environment was created for the outer hostile forces for interrupting in the internal affairs of Georgia.

The work highlights and analyzes many facts and episodes from diplomacy of the Georgian kings and principles. But the King Teimuraz I was the special king for his interior and foreign policy. To my mind, this period **(the first half of the XVII century)** should be called **the Epoch of Teimuraz I**.

ანოტაციისა და რეზიუმეს ინგლისური თარგმანი მარიამ ზარხოზაშვილისა

© E. Mamistvalishvili, **2011**

Publishing House **“UNIVERSAL”**
19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-436-0

შინაარსი

წინასიტყვაობა 7

ნაწილი I

თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 13

შესავალი 13

I. თეიმურაზ I-ისა და ლუარსაბ II-ის ურთიერთობა შაჰ აბას I-თან (1605-1613 წწ.) 43

II. თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 69

საქართველოში ირანის ინტერვენციის დროს ურთიერთობა ოსმალეთთან, რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის სამთავროებთან (1614-1625 წწ.) 69

III. თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან (1619-1625 წწ.) 97

თეიმურაზ I-ის დიპლომატი ხარიტონი *101*

თეიმურაზ I-ის დიპლომატი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი *113*

IV. აჯანყებული ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 137

V. რა იცოდნენ ესპანეთში საქართველოს შესახებ 149

საქართველოს ესპანეთთან და რომთან დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს. 90-ანი წწ. – XVI ს.) 149

ქართველი დიპლომატი –ხუცესი ნილო ესპანთსა და რომში *150*

ესპანური მასალები XVI საუკუნის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდის შესახებ *163*
ესპანური ცნობები სვიმონ I-ის დიპლომატიის შესახებ *181*
VI. ნიკიფორე ირბახი – თეიმურაზ I-ის დიპლომატი **197**
ორმუზის კრიზისი და ქართველი პოლიტიკოსების ირანის განადგურების გეგმა *197*
ნიკიფორეს ოჯახური გარემო, განათლება და მოღვაწეობის I პერიოდი (1626 წლამდე) *205*
ნიკიფორე ირბახის მოგზაურობა ევროპაში (1625-1629 წწ.) *213*
ნიკიფორე ირბახი მადრიდში *227*
ნიკიფორე ირბახი რომში *259*
ნიკიფორე ირბახის სამშობლოში დაბრუნება *278*
განხეთქილება თეიმურაზსა და ნიკიფორეს შორის *281*
VII. თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება **313**
VIII. თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან **324**
თეიმურაზ I-ის დიპლომატი ნიკიფორე ბერძენი *324*
თედორე თედორეს ძე ვოლკონსკის და არტემ ხვატოვის ელჩობა საქართველოში *346*
ნიკიფორე მიტროპოლიტის მეორე ელჩობა მოსკოვში *364*
თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში (1640-1643) *392*
გიორგი ჩოლოყაშვილის ელჩობა მოსკოვში *395*
თავად ივანე გრიგოლის ძის და არქიმანდრიტ პახომის ელჩობა მოსკოვში *403*
IX. მძევლის საკითხი თეიმურაზ I-ისა და მოსკოვის კარის დიპლომატიურ ურთიერთობაში
(XVI ს. 80-იანი წლები – XVII ს. პირველი ნახევარი) **418**
X. თეიმურაზ I-ის დპლომატიური ურთიერთობა ლევან II დადიანთან **434**
XI. ერეკლე უფლისწულის მოსკოვში გამგზავრება **441**

XII. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ I-ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ 446
XIII. ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ I ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 455
XIV. ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 480
ᲜᲐᲬᲘᲚᲘ II 486
I. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ 487
II. ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡ – ᲑᲘᲝᲠᲑᲘ III-ᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ III-ᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ 519
III. ᲚᲔᲕᲐᲜ II ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ 575
ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲒᲔᲒᲔᲜᲐᲕᲐ – ᲚᲔᲕᲐᲜ II-ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 592
ᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲔᲩ ᲞᲝᲡᲞᲝᲚᲘᲢᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲖᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ 611
ᲚᲔᲕᲐᲜ II ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲔ ᲘᲠᲑᲐᲮᲘ 632
„ᲛᲝᲛᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ ᲛᲔ, ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘ ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲫ“. 650
ᲚᲔᲕᲐᲜ II ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ 655
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ *659*
FOREIGN POLICY AND DIPLOMACY *OF GEORGIA II (XVII c. I half- the Epoch of Teimuraz I)* *672*

ВНЕШНЯЯ ПОЛИТИКА И ДИПЛОМАТИЯ ГРУЗИИ. II. (Первая половина XVII в. - эпоха Теймураза I) ***678***

ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ***682***

წინასიტყვაობა

XVII ს. I ნახევრის საქართველოს პოლიტიკისა და დიპლომატიის ძირითადი მიმართულებები და თავისებურებები რამდენიმე ცნობილი ქართველის და მათი გარემოცვის მოღვაწეობით განისაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ ისინი თითქმის ერთდროულად მოევლინენ ქვეყანას. მათ არა მხოლოდ გარეშე მტერს, არამედ ერთმანეთთან ბრძოლასაც შეალიეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება, ნიჭი და მოხერხებულობა. ესენი იყვნენ: ქართლ-კახეთის მეფეები (პერიოდულად) თეიმურაზ I (1606-1658) და როსტომი (1533-1658), იმერეთის მეფეები – გიორგი III (1605-1639) და ალექსანდრე III (1639-1660), ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე (†1629), პოლიტიკოსი და დიპლომატი 1626-1658 წლებში – ნიკიფორე ირბახი (†659). მათ (გიორგი III-ისა და გიორგი სააკაძის გარდა), თითქმის ერთდროულად დაასრულეს სიცოცხლე.

საკვლევი პერიოდის საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ძირითადად, წარმართული იყო ხუთი მიმართულებით. ეს მიმართულებები იყო: ირანი, ოსმალეთი, რუსეთი, დასავლეთი და ცენტრალური ევროპა, ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული პოლიტიკური ერთეულების ინტერესები, დასახელებული მხარეების მიმართ, ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ინტერესების ცვალებადობა განპირობებული იყო საშინაო და საგარეო ფაქტორებით.

XVII ს. პირველი ნახევარი აღმოსავლეთ საქართველოში ირანის შეიარაღებული აგრესიითა და დიპლომატიური ზეწოლით გამოირჩეოდა. შაჰების მცდელობა ყმობა-ვასალობის მდგომარეობაში ჩაეყენებინათ თეიმურაზ პირველი, ამ შეუპოვარი მეფისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო, არ შესწევდა ძალა, ცალკეული წარმატებული წინააღმდეგობის მიუხედვად, ბოლომდე მარტო დაპირისპირებოდა ირანის აგრესიას, რომელიც უკვე დაუფარავად ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოში გაეტარებინა ინკორპორაციისა და გენოციდის პოლიტიკა. თეიმურაზ მეფე მთელი არსებით ცდილობდა ირანისათვის დასა-

პირისპირებელი ძალა მოეძებნა. ამ მდგომარეობამ თეიმურაზი ან მისი ელჩები ოსმალეთის, ევროპის სახელმწიფოებისა და რუსეთის მბრძანებელთა კარზე მიიყვანა.

ირანთან სამხედრო დაპირისპირების დროს, ოსმალეთი სამცხის თანდათანობით ინკორპორაციით კმაყოფილდებოდა და, XVI საუკუნისაგან განსხვავებით, იგი არა მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოს მიმართ, არამედ თავისი „ხელდებული“ დასავლეთ საქართველოს მიმართაც „რბილ“ პოლიტიკას ატარებდა. ოსმალეთი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა თეიმურაზის ბრძოლა ირანის წინააღმდეგ და ამის გამო დანარჩენ საქართველოებსაც დიდად არ აწუხებდა. ოსმალეთთან რუსეთი ჯერ კიდევ თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება ოსმალეთის ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ იყო, რომ იგი იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურებაზე თვალს ხუჭავდა, რადგან მას რუსეთის სახელმწიფო ამიერკავკასიაში სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ მიაჩნდა. ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწესრიგება თითქოს უნდა დაეჩქარებინა იმას, რომ მათ საერთო მტერი ჰყავდათ რეჩ პოსპოლიტის სახით. მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ ოსმალეთის მორჩილი ყირიმის სახანო გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდა სამხრეთ რუსეთის რაიონებზე და ანადგურებდა. ყირიმელებმა ერთხელ (1632-1633 წწ.) მოსკოვამდეც მიაღწიეს. თითქმის ასევე იქცეოდნენ ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროებზე არსებული დასახლებული ადგილების მიმართ, რეჩ პოსპოლიტაზე დაქვემდებარებული დონის კაზაკები და არცთუ ყოველთვის მოსკოვის ხელისუფლების გამგონე დნეპრის კაზაკები. ზოგჯერ კაზაკებიც აღწევდნენ სტამბოლამდე.

იმავე დროს, ირანთან დაპირისპირების ვითარებაში, ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა კავკასიაში მაინც შეენარჩუნებინა ამასიის ზავით დადგენილი გავლენის სფეროები. როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავდა, ამასიის ზავი წარმოადგენდა ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტს ამიერკავკასიის მიმართ XVI-XVII საუკუნეებში. შეიძლება ითქვას, რომ იგი იქცა ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ღერძად, რომლის გარშემო ტრი-

ალებდა ამიერკავკასიასთან დამოკიდებულების საკითხები[1]. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთი ვითომ ვერ ამჩნევდა ოდიშის სამთავროს ირანთან დაახლოებას. ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იყო სწრაფვა ქართველი პოლიტიკოსებისა თეიმურაზ I-ის მეთაურობით ევროპისაკენ ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის, მაშინ, როდესაც შესაკავებელი იყო ირანი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ახორციელებდა ხან პირდაპირ აგრესიას, ხან კი იგივეს სჩადიოდა თავისი სატელიტების ხელით, იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ კი, ოდიშის მთავარს იყენებდა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი დიპლომატები, ისევე, როგორც XVI საუკუნეში, ახლაც ცდილობდნენ და, ზოგჯერ წარმატებასაც აღწევდნენ, ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობა გამოეყენებინათ თავიანთი ინტერესებისათვის.

დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია თეიმურაზ I-ის მიერ დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი ელჩობა ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) მეთაურობით. თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აცხადებს, რომ ამ ელჩობის მიზანი იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, რაც, ჩემი აზრით, ეწინააღმდეგება ისტორიულ წყაროებსა და არც ლოგიკურად ასახავს სინამდვილეს. თეიმურაზ მეფის მიზანი იყო ევროპაში მოეძებნა ანტიირანული და არა ანტიოსმალური ძალა (ამ ინტერესმა მიიყვანა მისი დიპლომატი ესპანეთის მეფის კარამდე, რომელიც თეიმურაზისა და მისი თანამზრახველების ვარაუდით ანტიირანულად განწყობილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ გაირკვა, რომ ესპანეთის დაპირისპირება ირანთან იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მას ანტიირანული კოალიციის შექმნაზე ეზრუნა. ამიტომ, ნიკიფორე ირბახისა და ესპანეთის მეფის კარისკაცების მიერ, თეიმურაზ I-ის ანტიირანული გეგმის ნაცვლად, შეიქმნა ანტიოსმალური კოალიციის გეგმა). ესპანეთის მთავრობისათვის როდესაც ცნობილი გახდა, რომ თეიმურაზის გეგმა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მადრიდში მიღებულ გადაწყვეტილებებს, ქართლ-კახეთ-ესპანეთის დიპლომატიური ურთიერთობა აღარ გაგრძელდა,

ქართველმა პოლიტიკოსებმა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებში

---

[1] გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 70.

მოკავშირეების ნიადაგი უნაყოფოდ მოსინჯეს, ამის შემდეგ აგრესორისაგან თავდაცვისათვის პოტენციურ მოკავშირედ რუსეთი მიიჩნიეს. მათი აზრით, რუსეთსა და ირანს ერთმანეთთან წინააღმდეგობების მიუხედავად, იმდენად სერიოზული საერთო ინტერესებიც ჰქონდათ (სავაჭრო-ეკონომიკური, ორივე დაპირისპირება ოსმალეთის სახელმწიფოსთან, ორივეს უნდა ჩრდილო კავკასიაში გაბატონება), რომ რუსეთს ყველა სხვა სახელმწიფოზე მეტად შეეძლო დიპლომატიური ზემოქმედება მოეხდინა ირანის ხელისუფლებაზე. თუ რუსეთთან ურთიერთობას სასურველი ეფექტი არ ექნებოდა და რუსეთის ჯარი საქართველოში ვერ მოვიდოდა, მაშინ ქართველებს ფინანსური და საჭურველით დახმარება მაინც უნდა მიეღოთ. მათი ვარაუდით, რუსეთი, თავისი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, ქართულ ანტიირანულ ძალას უნდა დახმარებოდა, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, ანტიირანულად განწყობილი საქართველო, მოსკოვისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამას ემატებოდა ქართველებისა და რუსების ერთმორწმუნეობა, რაც შუა საუკუნეებში მცირე მნიშვნელობის ფაქტორი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის დიპლომატები შაჰთან მოლაპარაკებების დროს ყოველთვის აყენებდნენ საქართველოს საკითხს და ერთმორწმუნეობის პრინციპის მიხედვით მის დამცველადაც გამოდიოდნენ, თავისი სერიოზული საშინაო და საგარეო პრობლემების გამო, რუსეთს ამაზე შორს წასვლა არ შეეძლო. სამოქალაქო ომმა და ინტერვენციამ მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის აქტიურობა ძლიერ შეასუსტა. ეს ითქმის რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზეც. ამიტომ, თეიმურაზ I-ის რწმენა, რომ მოსკოვიდან მიიღებდა ისეთ დახმარებას, რომლითაც შეძლებდა ირანის აგრესიის მოგერიებას, თავიდანვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული. ესეც რომ არ ყოფილიყო, სიმართლე რომ ითქვას, საქართველოს დაცვა მუსლიმანური მეზობლებისაგან, მისი გაერთიანება ან გაძლიერება, მოსკოვის პერსპექტიულ საგარეო პოლიტიკურ გეგმაში არ შედიოდა, რაც ნათლად გამოჩნდა XVII ს. შუა ხანებში. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ასეთი დარჩა XVIII საუკუნის ბოლომდე.

ქართველი პოლიტიკოსები, ფიქრობდნენ, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიელების საქართველოზე თავდასხმები რუსეთის დახმარებით შეეჩერებინათ და მოსკოვთან დამაკავშირებელი უხიფათო გზა გაეჭრათ.

XVII ს. პირველი ნახევარი, ძირითადად, თეიმურაზ I-ის საქმიანობით გაჯერებული პერიოდია. მთელ საქართველოში იგრძნობოდა მისი დაუცხრომელი ენერგია და შეუპოვრობა, მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ერთგულება და თავდადება. ყველაფერი, რაც კი მაშინდელ საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკაში ხდებოდა, იმართებოდა თეიმურაზ მეფის მიერ ან მიმართული იყო მის წინააღმდეგ. მისი ოჯახისა და ახლობლების ტრაგედია ქვეყანას შავი ნისლივით აწვა.

მაშინდელ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში, რელიეფურად ჩანს, გარეშე ძალის ჩარევის შედეგად წახალისებული ღალატის, გაუტანლობის და სისასტიკის ეპიზოდები. ჩანს, როგორ ეძებდა თეიმურაზ მეფე შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს, იყენებდა ან ცდილობდა გამოყენებინა ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რათა ქვეყანა ფიზიკური განადგურებისაგან გადაერჩინა.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უკავია თეიმურაზ I-ის, ეპოქის გმირის, მოღვაწეობას. იგი პერიოდულად იყო კახეთის, ქართლ-კახეთის მეფე ან, შაჰებისაგან დევნილი, ოსმალეთში ან იმერეთში თავშეფარებული, მაგრამ ყოველთვის ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მსხვილი პოლიტიკური ერთეულების (როსტომ მეფის ქართლის სამეფო, გიორგი მეორის და ალექსანდრე მესამის იმერეთის სამეფო, ლევან დადიანის ოდიშის სამთავრო) საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ისინი უფრო ერთმანეთთან სამოკავშირეოდ ან საწინააღმდეგოდ იღვწოდნენ. იმავე საუკუნის 30-იანი წლებიდან, ირანის შაჰის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ქართული, ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფება – თეიმურაზ I–ალექსანდრე III და როსტომ მეფე–ლევან II დადიანი. ხშირი იყო მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირება. თითოეულ დაჯგუფებას თავისი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა: პირველს – რუსეთზე, მეორეს – ირანზე. მოსკოვის ხელმწიფე მხოლოდ დაპირებებით კვებავდა მასზე ორიენტირებულ ქართველ პოლიტიკოსებს, ირანის შაჰები კი, რომლებიც უკეთესად იცნობდნენ საქართველოს და მრავალი ქართველი დიდებული თავიანთ სამსახურსი ჰყავდა, მეტ წარმატებას აღწევდნენ.

საკვლევი პერიოდი აღსავსეა ქართველების გარეშე მტერთან და ერთმანეთთან დიპლომატიური საშუალებებითა და იარაღით ბრძოლის ეპიზოდებით. მიუხედავად უზარმაზარი მსხვერპლისა, ქართველმა ხალხმა შეძლო თვითმყოფადობის შენარჩუნება. მუსლიმანი როსტომ-ხანიც კი, შესაძლებლობის მიხედვით, ქართველობდა და ქართულ-ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

წინამდებარე მონოგრაფიის, როგორც I ისე II ტომში მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს საკვლევი საკითხებისადმი ქართული წერილობითი წყაროების ნაკლებობა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარსულ ძალბედობას თუ გადავხედავთ, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება. თითქმის არავითარი ქართული საბუთი ან გადმოცემა არ გაგვაჩნია იმ ქართველი დიპლომატების შესახებ (არა მხოლოდ მათზე, რომლებიც მრავლად წარმოდგენილნი არიან წინამდებარე გამოკვლევაში, არამედ ეს ითქმის ადრინდელ პერიოდზეც), რომელთა საქმინობაზე საკმაოდ დაწვრილებით გვამცნობს რუსული, დასავლეთევროპული, იშვიათად მაგრამ მაინც აღმოსავლური დოკუმენტური ან ნარატიული წყაროები. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ გარეშე მტრების ხშირი თავდასხმების, ფეოდალური შინაომებისა ან სტიქიური უბედურებების შედეგი არ უნდა იყოს. საფიქრებელია სამეფო კარი და სამოხელეო აპარატი შეგნებულად ანადგურებდა სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის ამსახველ საბუთებს, რათა ისინი ისლამური სახელმწიფოების მბრძანებელთა ხელში არ მოხვედრილიყო და არ გამჟღავნებულიყო ქართველი პოლიტიკოსების დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ხშირად ჩვენს მეზობლებთან დაპირისპირებულნი იყვნენ. ქართული დიპლომატიის მთავარი საზრუნავიც ხომ ის იყო, რომ მათ წინააღმდეგ მოკავშირე მოეძია. ხიფათი ემუქრებოდა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური კურსის შემმუშავებლებს, არამედ იმათაც, ვისაც მისი უშუალო განხორციელება ევალებოდათ. მათი დიპლომატიური საქმიანობის ამსახველი საბუთების დაცვა-შენახვა, სავარაუდოა, არასასურველი იყო. ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ქართველი მეფეები უცხოეთში გაგზავნილ ელჩებსა და სხვა წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს ზეპირად აბარებდნენ (ამგვარი პრაქტიკა სხვა ქვეყნების დიპლომატიურ სამსახურებსაც ახასიათებდა) და ისინი ვალდებულნი იყვნენ პასუხებიც ზეპირად მოეტანათ.

ნაწილი I

თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა
და დიპლომატია

შესავალი

ამასიის საზავო ხელშეკრულებით (1555 წ.) ირანმა დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მფლობელობაში აღიარა და დიდი ხნის მანძილზე მისი ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეკავებას ცდილობდა.

ოსმალეთს ირანთან ომის დროს (1578-1590 წწ.) აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა უნდოდა და ქართლ-კახეთის სამეფოების მიმართ მკაცრ ღონისძიებებს მიმართავდა. სვიმონ I იარაღით ებრძოდა ოსმალებს, ხოლო ალექსანდრე II ხარკით, დიპლომატიური საშუალებებით და დაპირებებით კვებავდა აგრესორს და მოძალადეს ბოლომდე არც ის დაემორჩილა. სტამბოლის ზავით (1590 წ.) ომის დამთავრების შემდეგაც ქართლის ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში ოსმალთა ჯარი იდგა, მაგრამ ქართლის სამეფო და ირანი ამის შეგუებას არ აპირებდა.

მართალია, ირანის მიერ საქართველოს დასავლეთ ნაწილზე ოსმალეთის უფლების აღიარებას, ამ უკანასკნელისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას თავის წილხვედრილზე რეალური ხელისუფლების გავრცელება ნომინალურად უხდებოდა. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები მხოლოდ სიმბოლურ მორჩილებაზე თანხმდებოდნენ. ამიტომ ოსმალეთი იძულებული იყო მათთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მშვიდობიანად, მოლაპარაკებებით მოეგვარებინა

თეიმურაზი, სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას დიპლომატიას ანიჭებდა. მას სხვადასხვა ან ერთსა და იმავე პერიოდში დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ირანთან, ოსმალეთთან, რუსეთთან, ესპანეთთან, რომთან, ჩრდილო კავკასიის სამთავროებთან და, რა თქმა უნდა, ქართულ სამეფო-სამთავროებთან. მაგრამ დასახელებული ქვეყნებიდან მაინც განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სამი სახელმწიფო, რომლებთანაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე უხდებოდა ურთიერთობა. ესენი იყო ირანი, ოსმალეთი და რუსეთი.

ამათგან, მაინც გამორჩეულად ინტენსიური და სახიფათო (სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური) ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. შესასწავლ პერიოდს წითელ ხაზად გასდევს თეიმურაზ მეფის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ბრძოლა ირანის შაჰების – შაჰ

აბას I-ის, შაჰ სეფის, შაჰ აბას II-ის – წინააღმდეგ. ქართველი მეფე სწორს არ უდებდა საყოველთაოდ აღირებულ ირანის პოლიტიკოსსა და სამხედრო მოდვაწეს შაჰ აბას I-ს. როგორი უნდა ყოფილიყო პატარა კახეთის მეფის პოლიტიკური და შეიარაღებული ბრძოლა უზარმაზარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომ მის უდიდეს მბრძანებელს, ირანის „ლომად“ შერაცხულ შაჰ აბას I-ს არ მორიდებოდა იმის აღიარება, რომ მას, თეიმურაზის სახით, ერთადერთი მტერი ჰყავდა.

თეიმურაზ მეფის დიპლომატიის მთავარი საზრუნავი ოსმალეთის ან რუსეთის შეიარაღებული ძალითა და დიპლომატიით ირანის განეიტრალება იყო.

რუსეთს, თეიმურაზის მეფობის ხანაში, საქართველოს გამო ირანთან შეიარაღებული დაპირისპირების საშუალება არ ჰქონდა და არც მის ინტერესებში შედიოდა. რუსეთისათვის ირანი იმდენად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო და იმდენად უფრთხილდებოდა მასთან ურთიერთობას, რომ ცდილობდა ევროპის სახელმწიფოებისათვის რუსეთის ტერიტორიაზე გავლით ირანთან დაკავშირებისათვის ხელი შეეშალა.

ოსმალეთთან მიმართებაში რუსეთი მხოლოდ თავდაცვით პოლიტიკას ახორციელებდა და, თუ არ ჩავთვლით დონელი კაზაკების საზღვაო ექსპედიციებსა და თავდასხმებს ოსმალეთისა და ყირიმის სანაპირო ქალაქებზე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს ირანი, ობიექტურად, ოსამალეთის წინააღმდეგ მოკავშირედ ეგულებოდა.

ამგვარი ვითარება აიძულებდა თეიმურაზ მეფეს ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირე შორეულ დასავლეთ ევროპაშიც ეძებნა.

* * *

გასაგები რომ გახდეს თეიმურაზ I-ის ევროპასთან (იგულისხმება რუსეთიც) დიპლომატიური ურთიერთოების წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზები, ძალიან მოკლედ მაინც უნდა განვიხილოთ შაჰ აბას I-ის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, იმ ევროპულ სახელმწიფო-

ებთან, რომელთა შორისაც ქართველები ანტიირანულად განწყობილ მოკავშირეს ეძებდნენ.

ირანმა XVII საუკუნეში, დასუსტებულმა და ოსმალეთის მიერ დამარცხებულმა შეაბიჯა. აღმოსავლეთიდან მას ოზბეგები ავიწროებდნენ დასავლთიდან კი ოსმალები. ირანს, კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა, მოკავშირეების გარეშე არ შეეძლო. შაჰ აბას I ხედავდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მოკავშირენი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ევროპის ის ქრისტიანული სახელმწიფოები, რომლებსაც ოსმალეთის დაპყრობითი და საგადასახადო პოლიტიკით, ზოგს ეკონომიკური ინტერესები ელახებოდათ, ზოგი კი ოსმალეთის პირდაპირ აგრესიას განიცდიდა. ამავე დროს, ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოები ირანთან ვაჭრობითაც ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ.

თავისი შორს მიმავალი გეგმების განსახორციელებლად. შაჰ აბასმა ქვეყანაში ჯერ სამოქალაქო და სამხედრო რეფორმები გაატარა და ახალი საუკუნის დასაწყისისათვის, ოზბეგების საშიშროების ლიკვიდაციის შემდეგ, სამი ამოცანის გადაწყვეტას შეუდგა: 1. ოსმალების მიერ დაპყრობილი ირანის მიწების განთავისუფლება; 2. ოსმალეთისათვის საქართველოს წართმევა და მისი მუსლიმანურ სახანოდ გადაქცევა; 3. რუსეთის გავლენის ზრდის შეჩერება კავკასიაში.

შაჰ აბასმა ისარგებლა ოსმალეთის ეკონომიკის დაცემით, ევროპაში მისი სამხედრო წარუმატებლობით და იმპერიის შიგნით ფეოდალური ომებით (ჯელალიების აჯანყება). ოსმალეთის არმია იმდენად დემორალიზებული იყო, რომ დაიწყო დეზერტირობა იმ დონეზე, როდესაც ცალკეული ნაწილები სპარსელების მხარეზეც კი გადადიოდნენ[1].

ჭკვიანმა შაჰმა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ისეთი პოლიტიკაც შეიმუშავა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, წინასწარ განაპირობა თეიმურაზ I-ის პროევროპული პოლიტიკის ჩავარდნა.

---

[1] Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, с. 274.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ XVII ს. დასაწყისში შაჰ აბასმა ოსმალეთთან ომის განახლებაზე დროებით ხელი აიღო და მთელი ყურადღება ქრისტიანულ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად დიპლომატიურ ღონისძიებებზე გადაიტანა. დასავლეთის ირანისადმი კარგი განწყობისა და ინტერესის კიდევ უფრო გააქტიურებისათვის აუცილებელი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოებში ისეთი სახელის დამკვიდრება, თითქოს არც ირანში და არც მის საზღვრებს გარეთ ირანის ხელისუფლება ქრისტიანებს კი არ დევნიდა, არამედ, პირიქით, მათ მიმართ კეთილად განწყობილი იყო[1].

აბას I-ს ვიდრე იმედი ჰქონდა რომის პაპი, გერმანიის იმპერატორი და ესპანეთის მეფე საერთო მტრის, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებას აღმოუჩენდნენ, მანამდე ქრისტიანების მიმართ შემწყნარებელი იყო. „შაჰი ვერ დაუშვებდა ქრისტიანთა დევნას იმ დროს, როცა თვითონ იგი ევროპის ხელმწიფეებს თურქთაგან ქრისტიანების დაცვასა და იერუსალიმში ქრისტეს საფლავის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებდა“[2]. იგი მფარველობდა და ეხმარებოდა კათოლიკე მისიონერებსა და სხვა ქრისტიანებს, იყენებდა მათ სხვადასხვა მიზნით: კომერციულ აგენტებად, ელჩებად აგზავნიდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის და ევროპის სავაჭრო კომპანიებთან კავშირის დასამყარებლად.

შაჰ აბასის ამგვარმა პოლიტიკამ მრავალი მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა. როგორც ვ. გაბაშვილი წერდა, შაჰი რომ ქრისტიანებს მფარველობდა, ამის მაგალითად ხშირად ასახელებდნენ მის კარზე დაწინაურებულ ქართველებს, მაგრამ ამას იგი უმეტესად აღზევებული ყიზილბაში ამირების ერთმანეთთან დასაპირისპირებლად და გასანეიტრალებლად აკეთებდა[3]. აბას I ქართველე-

---

[1] შაჰ აბასის ევროპის ქრისტიანული ქვეყნებისადმი და, ზოგადად, ქრისტიანებისადმი დამოკიდებულების საკითხი სპეციალურად შეისწავლა ვ. გაბაშვილმა. იხ. მისი ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.). კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 101-127.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] იქვე.

ბის როგორი „მოყვარული“ იყო და როგორ გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველო, იმავე ევროპაში ძალიან კარგად იყო ცნობილი. როგორც შემდეგში ითქმევა, შაჰ აბას I-ს, სხვადასხვა დროს სთხოვდნენ ქართველებისა და საქართველოს დანდობას იმ ქვეყნების მეთაურები (რომის პაპი, რუსეთის ხელმწიფე, ესპანეთის მეფე), რომლებსაც იგი ქრისტიანების მოყვარულად აჩვენებდა თავს.

შაჰ აბასმა ქრისტიანებისადმი თავისი დამოკიდებულება ოთხი მუხლის სახით ნათლად ჩამოაყალიბა საგანგებოდ შემუშავებულ ანტიოსმალურ გეგმაში, რომელიც პაპ კლემენტი VIII-ს (1592-1605) გაუგზავნა. ქრისტიანობისადმი მისი კეთილგანწყობის დასადასტურებლად აღნიშნავდა, რომ მისი ერთ-ერთი ცოლი, მრავალი კარისკაცი და ირანის მაღალი მოხელე ქრისტიანი იყო. „...ირანის მეფე გავლენიანი პირების რჩევით თანახმა არის მოლაპარაკებები აწარმოოს ქრისტიანებთან, – წერდა აბას I პაპს – და მათ მიმართ თავაზიანობა და კეთილი განწყობა გამოხატოს. იგი თავისი სურვილით გამოხატავს მათდამი პატივისცემას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ცოლად შეირთო ქართველების მეფე სვიმონ ხანის ქრისტიანი ასული[1]. ამის გამო მის სამეფო კარზე მრავალი ქრისტიანი დაწინაურდა. უფრო სწორად რომ ითქვას ყოველივე ქრისტიანთა განკარგულებას ექვემდებარება. მაგალითად, ასეთია მისი ჯარის სარდალი ალაჰ ვერდი[2] და მრავალი

---

[1] შაჰ აბასს ცოლად ჰყავდა სვიმონ I-ის შვილიშვილი, გიორგი X-ის ასული, ლუარსაბ II-ის და თინათინი. ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973. გვ. 420.

[2] ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა შაჰ აბას I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა (გამოქვეყნებულია ოთხ ტომად), წერს: „ალავერდი-ხანი შაჰ-აბასის ერთ-ერთი სახელოვანი, ერთგული და საქმის მცოდნე სარდალთაგანი იყო... იგი ახალგაზრდობისას მონად გაყიდული, ერთი ბატონიდან მეორის ხელში გადადიოდა, ვიდრე შაჰ-თამაზის სამსახურში ჩადგებოდა და მისი ღოლამთაგანი გახდებოდა. რადგანაც სანდო, ერთგული და ჭკვიანი ახალგაზრდა იყო, ყულარაღასობას, ანუ შაჰის პირადი ღოლამების მეთაურობას მიაღწია. შაჰ-აბასმა 1004 (1595 – ე. მ.) წელს ჰიჯრით იგი ყიზილბაშ სარდლებს დაუპირისპირა და ფარსის პროვინციის მმართველად (ამირთ-ამირად) და ირანის სპასალარად დანიშნა... ალავერდი-ხანი მამაცი, საქმისმცოდნე,

სხვანი“[1]. ეგეც არ იყოს, შაჰის აზრით, პაპისათვის სასარგებლო

წინდახედული, სულგრძელი და შაჰის ერთგული სარდალი იყო. ამ თვისებათა წყალობით მან მცირე ხანში მთელი ფარსის პროვინცია დაიმორჩილა, დაამარცხა ავშარისა და ბახთიარის ტომები, რომლებიც ქილუიეს მთასა და ფარსის პროვინციის სხვა ადგილებში შაჰს განდგომოდნენ. 1010 (1602 – ე. მ.) წელსაც ლარის ვილაიეთი, ომანის ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად, ასევე კუნძული ბაჰრეინი ხელთ იგდო.

შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს ირანის ყველა სხვა დიდ სარდალზე უფრო მეტად აფასებდა და პატივს სცემდა. რადგანაც იგი ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას მამას ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და თანამდებობის მხრივ. იგი კარგად შეიარაღებული, ომში გამოწრთობილი ოცდაათათასიანი ცხენოსანი ჯარით, ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთზე, ირანის ყურის სანაპიროსა და და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ-აბასი დიდი ომებისას, რომელსაც ოსმალეთთან აწარმოებდა, უმეტესად მის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა ხოლმე...

ალავერდი-ხანის სიკვდილის შემდეგ შაჰმა ფარსის ამირთ-ამირობა მის უფროს ვაჟს იმამყული-ხანს უბოძა, ხოლო მისი მეორე ვაჟი დაუდ-ხანი ყარაბაღის ამირთ-ამირად და ყალართა ტომის მეთაურად დანიშნა“ (ტივაძე თ., საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII საუკუნის 60-იან წლებში. ქართული სამეფოების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 42).

[1] ტივაძე თ., საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII საუკუნის 60-იან წლებში. ქართული სამეფოების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 42.

შაჰ აბას I-ის კარზე დაწინაურებულ ქართველთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისინი, ვინც პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ ირანში XVII საუკუნის პირველ მესამედში. ესენი იყვნენ: უნდილაძეთა გვარის სამი წარმომადგენელი – ალავერდი ხანი და მისი ორი ვაჟი – იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი, სააკაძეების გვარიდან – გიორგი და როსტომი, ქართლის მეფე დავით XI-ის (დაუდ-ხანის) უკანონო შვილი ხოსრო მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომ ხანი).

იმავე ნასროლა ფალსაფის თქმით, „რადაგანაც სახელმწიფოს ბევრი გამგებელი, სამეფო კარის დიდებული, ჯარის სარდალი, მეგობრები და ახლობელნი შაჰ-აბასისა ქართველები იყვნენ და ჰარამ-ხანაშიც უამრავი ქართველი ქალი ჰყავდა, რომელნიც თავიანთი სილამაზის გამო მის სხვა ცოლებს შორის მისთვის უფრო სასურველნი და მასთან უფრო დაახლოებულნი იყვნენ, შაჰი ქართულ ენასაც დაუფლებოდა. დონ გარსია (ესპანეთის მეფის ელჩი...) თავის მოგზაურობის წიგნში წერს, რომ ერთ დღეს აუდიენციისას მან ოსმალეთის ელჩი, რადგანაც მას თავზე ჩალმა ეხუ-

იქნებოდა იმის ცოდნა, რომ ალის მოძღვრებაზე დამყარებული მუსლიმანური სამართალი (განსხვავებით ომარის მოძღვრებისაგან, რომელსაც ემყარება თურქების სამართალი), ქრისტიანობისადმი შემწყნარებლურია. საყურადღებოა მესამე მუხლი, რომელშიც კარგად ჩანს შაჰ აბასის, როგორც დიპლომატის ნიჭი: მან კარგად იცის აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქრისტიანებისადმი პაპის დამოკიდებულება და პირდებოდა ირანსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში მცხოვრები არაკათოლიკე ქრისტიანებს, მათ შორის ქართველებს, მის ტახტს დაუმორჩილებდა.

შაჰ აბასი პაპს პირდებოდა, აგრეთვე, მის სამფლობელოებში კათოლიკე ქრისტიანებს ექნებოდათ თავიანთი ღვთისმსახურების თავისუფლად შესრულების, ქადაგების და პრივილეგიების უფლება. ბოლო, მეოთხე მუხლში, შაჰი იმედს გამოსთქვამდა, რომ პაპს შეკითხვები და, შეიძლება, პრეტენზიებიც გაუჩნდებოდა. მათი მოგვარება მოხდებოდა პაპსა და შაჰს შორის შემდგომი მოლაპარაკებით[1]. ისიც საინტერესოა, რომ შაჰმა თავის მიერ შემუშავებული ანტიოსმალური გეგმა პაპს ქრისტიანი ენტონი შირლის[2] ხელით გაუგზავნა.

ენტონი შირლი თავის ძმა რობერტთან ერთად, საკუთარი ინიციატივით, 1598 წელს გაემგზავრა ირანში ინგლის-ირნს შორის სავაჭრო კავშირის განმტკიცებისა და შაჰ აბასის ევროპის სახელმწიფოებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის წასაქეზებლად. 1599 წლის 25 იანვარს ენტონი შაჰს შეხვდა და გააცნო თავისი გეგმა ირანის ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალური ლიგის შექმნის შესახებ. შაჰს მოეწონა ენტონის გეგმა. მაგრამ

რა, ირანის სასულიერო წოდების დიდ პირად ჩათვალა. შაჰმა მისი შეცდომა რომ გაიგო, ბევრი იცინა. ოსმალეთის ელჩი რომ არაფერს მიმხვდარიყო, შაჰმა ესპანეთის ელჩს ქართულად აუხსნა საქმის ვითარება. საუბარს თარგმნიდა ესპანური და ქართული ენების მცოდნე თარჯიმანი" (უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული, გვ. 20).

[1] Chronicle of the Carmelites in Persia, p. 78.

[2] Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, с. 175-176; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, М., 1958, с. 273; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 30-33.

ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებული ომის საწარმოებლად აუ-ცილებელი იყო ყიზილბაშური ლაშქრის გარდაქმნა. ძმებმა შირ-ლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შაჰ აბასის ჯარის რე-ორგანიზაციის საქმეში. მათ ირანში ჩაიყვანეს ზარბაზნების ჩა-მომსხმელი ოსტატები, რომლებიც შაჰს ჯარის გადაიარაღებაში დაეხმარნენ. სულ მალე შაჰს ჰყავდა 500 ზარბაზნითა და 60 ათა-სი ხელთოფით შეიარაღებული რეგულარული არმია.

შაჰმა, ანტიოსმალური ლიგის შესაქმნელად, ენტონი შირ-ლის ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დაავალა. ელჩო-ბას მეორე მეთაურიც ჰყავდა – სპარსი ჰუსეინ ალი ბეგი. ელჩობა 25 კაცის შემადგენლობით, 1599 წლის აპრილის დასასრულს ან მაისის დასაწყისში ისპაანიდან გავიდა. შირლის შაჰის წერილები მიჰქონდა დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის მეთაურ-თან: რომის პაპთან, იმპერატორ რუდოლფ II-სთან, საფრანგეთის, ესპანეთის, შოტლანდიის, რეჩ პოსპოლიტის მეფეებთან, ინგლისის დედოფალთან, ესექსის გრაფთან, ვენეციის სენიორიასთან და ტოსკანის დიდ ჰერცოგთან. ელჩობა რუსეთის გავლით წავიდა და 1600 წლის 11 ოქტომბერს უკვე პრაღაში იყო

1601 წლის 25 აპრილს ე. შირლიმ პაპ კლემენტი VIII-ს შაჰ აბასის წერილი გადასცა. საინტერესოა, რომ პაპმა 1601 წლის 24 თებერვალს შაჰის ქართველ მეუღლეს, თინათინს, ეპისტოლე გაუგ-ზავნა. ჩანს, როდესაც პაპი თინათინს წერილს უგზავნიდა ჯერ მიღებული არ ჰქონდა შაჰის ის წერილი, რომლის შინაარსსაც ზე-მოთ გავეცანით. მაგრამ პაპის წერილი, გამოხმაურებაა სწორედ შაჰის წერილისა. პაპმა იცის შაჰის წერილის შინაარსი. ეს გარე-მოება საფიქრალს ხდის, რომ ან პაპმა მიიღო შაჰის წერილი აღ-ნიშნულ თარიღთან შედარებით ადრე ან მისი წერილია დაწერილი გვიან. უეჭველია, რომ რომელიღაც თარიღი არასწორია. ამ ეჭვის გამოთქმის საფუძვლიანობაში დავრწმინდებით პაპის მიერ თინათი-ნისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ.

კლემენტი VIII-ის წერილი, რელიეფურად გვიჩვენებს შაჰ აბასისა და პაპის ინტერესებს. პირველი ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს აამოქმედოს ევროპელები ოსმალეთის წინააღ-მდეგ, მეორეს კი უნდა ირანის კრიტიკული მდგომარეობით ისარ-გებლოს და მიაღწიოს რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის გაფართოებას აღმოსავლეთში. ისიც ნათლად ჩანს, როგორი

მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ ევროპაში შაჰ აბასის პიროვნებაზე, მის დამოკიდებულებაზე ქრისტიანობისა და ქრისტიანების მიმართ. პაპი ცდილობს უბიძგოს თინათინს ქმარზე ზემოქმედებისაკენ კათოლიციზმის სასარგებლოდ და როგორ გულუბრყვილოდ სჯერა პაპს, რომ ქართველი მეუღლის შთაგონებით შაჰ აბასმა შეიძლება ქრისტიანობა აღიაროს.

მიუხედავად იმისა, რომ პაპის წერილი თინათინისადმი თარგმნილი და გამოქვეყნებულია ქართულად, მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი შემოკლებით ციტირება.

„პაპ კლემენტ VIII-ის წერილი ქრისტეს სჯულის მიმდევარ სათნო ქალწულს, ირანის ბრწყინვალე დედოფალს!

...თქვენი მეუღლე (აბას I –ე.მ.), ***ირანის ყველაზე გულადი მეფე ქრისტიანმა დედამ შვა[1] და,*** როგორც ჩვენ შევიტყვეთ ***მეუღლეც*** (თინათინი –ე.მ.) ***ქრისტიანი ჰყოლია[2]...*** ასე, რომ თქვენის მეშვეობით ირანის მეფეც ქრისტიანული ჭეშმარიტებითა და რწმენითაა სხივმოფენილი. როგორც ჩვენ შევიტყვეთ, თქვენი მეუღლე დაჯილდოვებულია კეთილშობილური ბუნებით, შესანიშნავი აგებულებითა და მახვილი გონებით, მაგრამ ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებისადმი... უნდობლობას იჩენს. მას, სამეფო კარზე თქვენს გარდა, რომელიც მის დიდებულ გვირგვინს შებილწვისაგან იცავს, ჰყავს მაღალ თანამდებობაზე დაწინაურებული მისთვის საყვარელი ქრისტიანები, ან კიდევ ისეთნი, რომელნიც ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილს გამოთქვამენ. მეფე, ღვთის ნებართვითა და სურვილით ჩვენდამი კეთილად განეწყო; ჩვენთან ნამდვილი და მტკიცე მეგობრობა სურს; კათოლიკური ეკლესია ხომ მამა და მწყემსია მთელი საქრისტიანოსი. მეფის სურვილია ჩვენი მღვდლები გაუგზავნოთ, რომლებიც მეფისავე ნებართვით ააგებენ ეკლესიებს და აღიარებენ ჭეშმარიტ ღმერთს, რომელმაც შექმნა სამყარო.

ჩვენამდე მოღწეული სასიამოვნო ცნობების საფუძველზე, თუკი ისინი სინამდვილეს შეესაბამება, ირანის მპყრობელმა გუ-

---

[1] ჩემთვის ცნობილ წყაროებში, პირველად შევხვდი ცნობას შაჰ აბას I-ის დედის ქართველობის შესახებ.

[2] განსხვავებული შრიფტით გამოყოფა აქაც და შემდეგშიც ჩემია.

ლისხმიერება უნდა გამოიჩინოს ქრისტიანთა მიმართ. მის შემდეგ კი, ღმერთის წყალობით აღზევდება ქრისტიანული სარწმუნოება იმ საქვეყნოდ ცნობილ სახელმწიფოებში, სადაც ძველად მუჰამედამდე ცოდვილი ცდუნება ზეიმობდა. ღმერთის მადლით, დიდია სახელი და ქება-დიდება თქვენი მეუღლის. ყოველივეს გამო, და თქვენი ბრძნული შორსმჭვრეტელობის წყალობით, შაჰი ადვილად შესძლებს ჩვენთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და მისი ჰუმანური ქმედებანი მაღალშეფასებული იქნება ჩვენს მიერ. როგორც თქვენც მოგეხსენებათ, პირველყოვლისა საჭიროა ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარება მეფის მხრიდან... ადამიანი მხოლოდ ნათლობითა და ქრისტეს სჯულზე მოქცევით შედის ქრისტეს სამწყსოში და ეს ადგილი კათოლიკური ეკლესიაა. მის შემდეგ, მეუღლე თქვენი გახდება ქრისტეს თაყვანისმცემელი და წმინდა საქმისადმი სულისკვეთებით გამსჭვალული.

თუ თქვენი ყველაზე მედგარი მეფე და მეუღლე... დიდ წყალობას გაიღებს თავისი თავის, მთელი თავისი სამეფოს და იქ მცხოვრები ხალხებისათვის, და მიაღებინებს მათ ქრისტეს სჯულს, ამაზე სახარბიელო და ბრწყინვალე საქმე სხვა არა იქნებოდა რა...

ყოველივესთან ერთად, მეფეს ზურგს გაუმაგრებს ჩვენი ძლიერი რწმენა, ღვთის საყვარელი შვილების, ქრისტიანი მეფეებისა და დიდგვაროვანთა უშუალო დახმარებით თქვენი მეუღლე საძულველი თურქების დიდი რისხვა გახდება. ორივე მხარისათვის სასტიკი მტერი – თურქეთი, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის მთელს საქრისტიანოს, თავზარდაცემული იქნება ჩვენი მეგობრული კავშირით. ასეთი გზით, მეფე გაანადგურებს ტირანს, რომელიც მიისწრაფვის მთელი აზიის დამორჩილებისაკენ, ხოლო თქვენს მეუღლეს, ღვთის წყალობით შესაძლებლობა ექნება გაათავისუფლოს ის მრავალრიცხოვანი ხალხები, რომლებიც თურქების უღლის ქვეშ იტანჯებიან...“[1]

საეჭვოა, რომ პაპის წერილმა დედოფლამდე მიაღწია. გინ-

---

[1] Chronicle of the Carmelites in Persia end The Papal Mission of the XVII the and XVIII the centuries, I London, 1939, p. 87-91; „კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე (XVII-XVIII საუკუნეები), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ქ. პავლიაშვილისა, თბ., 1999, გვ. 28-30.

დაც რომ დედოფალი გასცნობოდა პაპის თხოვნასა და მოწოდებებს, იმაზე მეტი მაინც ვერ გაკეთდებოდა, რასაც შაჰი თავის სამფლობელოებში ევროპელი და რუსი მბრძანელების დასანახად ქრისტიანების მიმართ აკეთებდა. ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია ირანიდან დასავლეთში კიდეც იგზავნებოდა.

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ერთ-ერთმა პორტუგალიელმა ემანუელ დე სანტოსმა, რომელიც გოაში ცხოვრობდა, იმოგზაურა ირანში, თავისი თვალით ნახა და ყურით მოისმინა შაჰის ბრძანება იმ ქრისტიანების შესახებ, ვინც ირანში ცხოვრებას მოისურვებდნენ. ასეთ პიროვნებას „ექნებოდა მშვიდობიანი ცხოვრება და შეძლებდა და თავისუფლად შეასრულებდა რელიგიურ წესებსა და წირვა-ლოცვას“[1]. ვროპამდე მიღწეულ ამგვარ ცნობებს, ფორმალური რექცია მოსდევდა. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა შაჰ აბასს. მას რეალური დახმარება სჭირდებოდა.

ენტონი შირლის ევროპაში წარუმატებელი ელჩობის შემდეგ შაჰ აბასის უკმაყოფილება უფრო გაძლიერდა. საფრანგეთის მეფემ შაჰის ელჩი არ მიიღო. უფრო მეტიც, 29 ოქტომბერს ანრი IV-მ თავის ელჩს კონსტანტინოპოლში მისწერა, რომ შაჰის ელჩის ევროპაში ჩასვლა, დაუყოვნებლივ შაჰის მტრის, სულთნისათვის ეცნობებინა,[2].

7 ნოემბერს შაჰის ელჩი პრაღაში იმპერატორმა რუდოლფ II-მ მიიღო. მან თანხმობა განაცხადა ირანთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ვენეციის სენიორიამ შირლი არ მიიღო. 1601 წლის 5 აპრილს ელჩობა რომში მივიდა, 25-ში შირლიმ პაპთან აუდიენციისას, შაჰის წერილი გადასცა. ინგლისის დედოფალმა შირლი ინგლისში არ შეუშვა. საფრანგეთის მთავრობამ უარი განაცხადა ატიოსმალურ ლიგაში მონაწილეობაზე. ამის შემდეგ ენტონი შირლი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც მეფის სამსახურში შევიდა და სამუდამოდ იქ დარჩა. 1611 წელს იგი მადრიდში შეხვდა თავის ძმას რობერტს, რომელიც შაჰ აბასის ელჩის სახით ესპანეთის მეფე ფილიპე III-ს (1598-1621) ეწვია. მისი მიზანი იყო ესპანეთის მეფე და ევროპის სხვა მეფეებიც ირანთან

---

[1] Chronicle of the Carmelites in Persia, p. 80.

[2] Jules Berger Xivrey, Recueil des lettres missives de Henri IV, Paris, 1853, p. 334.

სავაჭრო ურთიერთობის განვითარების სარგებლიანობაში დაერწმუნებინა. რობერტი შაჰს მოუწოდებდა ოსმალეთთან ზავის დადების აუცილებლობისაკენ. მაშასადამე, ძმების პოლიტიკა ოსმალეთის მიმართ რადიკალურად განსხვავდებოდა[1].

როგორც გამოჩნდა, დასავლეთმა, სხვადასხვა მიზეზით, შაჰ აბასის ოსმალეთთან ბრძოლის გეგმას მხარი არ დაუჭირა. მიუხედავად ამისა, შაჰმა მაინც სერიოზულ სამხედრო წარმატებას მიაღწია 1602-1606 წლებში. ირანმა დაიბრუნა ყველა ის ტერიტორია, რომელიც 1590 წლის სტამბოლის ზავით დაკარგა.

1604 წლის 22 აპრილს ირანში ჩავიდა ესპანეთის მეფე ფილიპე III-ის ელჩობა, რომელსაც მეთაურობდა პორტუგალიელი დიპლომატი ლუიშ პერეირა დე ლასერდა. ელჩობაში იმყოფებოდნენ ავგუსტინელთა ორდენის ბერები ბელშიორ დუშ ანჟუში და გილიერმ დი სანტო აგოშტინიო. ისპაანში მისულ ელჩებს შაჰ აბასი დედაქალაქში არ დახვდათ. იგი ოსმალებთან ომის გამო არზრუმთან იდგა. ელჩები მასთან გაემგზავრნენ. შაჰმა ისინი დიდი პატივით მიიღო, შემდეგ კი ყაზვინში მიიწვია.

ესპანეთის მეფის ეს ელჩობა იმითიც არის საინტერესო, რომ მისი წევრები ირანში შეხვდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს, რომელმაც ერთ-ერთი მათგანი, თავის სამეფოში მიიპატიჟა, მაგრამ უარი მიიღო. ბელშიორ დუშ ანჟუშმა შაჰის კარზე გაიცნო სამცხის ათაბაგი მანუჩარ II, რომელიც რ. გულბენკიანს ოდიშის მთავარი მანუჩარ I (1590-1611) ეგონა[2].

ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობის დროს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტერესები ამ ომის მოსალოდნელი შედეგებისადმი, ერთნაირი არ იყო. პაპი, გერმანიის იმპერატორი, რეჩ პოსპოლიტისა და ესპანეთის მეფეები დაინტერესებულნი იყვნენ ირანის გამარჯვებით ან ორივე მებრძოლი მხარის დასუსტებით. იმისათვის, რომ შაჰ აბასი წაექეზებინათ ოსმალეთის წინააღმდეგ, პაპმა კლემენტ VIII-მ 1604 წელს კარმელიტი ბერები –

---

[1] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ., 1987, გვ. 33-34.

[2] Gulbenkian R., L'Ambassade en Perse de Luis pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, elchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605, Lisbonne, 1972, p. 102.

პავლე სიმონი, იოანე თადეუში და ვინსენტი – ირანში გაგზვნა. მათ წაიღეს ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების წერილებიც. წერილებში საუბარი იყო ირანისადმი დახმარების დაპირებაზე და იყო მოწოდება ოსმალეთთან ომის არ შეწყვეტისათვის. მისიონერებს როგორც სამხედრო ექსპერტი, მიჰყვებოდა სამხედრო საქმის მცოდნე და გამოცდილი მეომარი, ფლანდრიის ბრძოლების მონაწილე ესპანელი (არაგონელი) რაინდი ფრანჩესკო რიოდოლოდი. მას უნდა შეესწავლა ირანის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, და როგორ შეიძლებოდა მისთვის დახმარების გაწევა. მისიონერები ირანში რუსეთის გზით გაემგზავრნენ. ასტრახანში გარდაიცვალა რიოდოლოდი.

1607 წლის ბოლოს ელჩები ისპაანში მივიდნენ. იმავე დღეს მათ ეწვიათ „ქალაქის მმართველი შაჰის მონა... ეროვნებით ქართველი, რომელიც ბავშვობიდან განდგომია თავის სარწმუნოებას... მან უხვად გამოგვიგზავნა სხვადასხვა პროდუქტი, ვახშმად გვეწვია, ბევრი გვაქო და გვითხრა, რომ თვითონაც ქრისტიანი იყო“[1], წერს ელჩობის მეთაური პავლე სიმონი. პაპის ელჩი გულისხმობს შაჰ აბასის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ფარსის ბეგლარბეგს, ალავერდი-ხანს.

1608 წლის 3 იანვარს შაჰმა პაპის ელჩები მიიღო. აუდიენციის დროს მან უკმაყოფილება გამოთქვა 1606 წელს ოსმალეთ-ავსტრიის მიერ სიტვატოროკში დადებული ზავის გამო, რომლითაც ოსმალებმა, არა მხოლოდ ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, არამედ ავსტრიის მიერ ყოველწლიურად გადასახდელ ხარკზე, 30 ათას დუკატზეც კი უარი თქვეს[2]. შაჰი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ ავსტრიას წარმატების შანსი ჰქონდა და ამ დროს მან ზავი დადო ოსმალეთთან. პაპის ელჩებმა შაჰთან საიდუმლო შეხვედრა მოითხოვეს. შაჰმა ელჩების ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ პავლე სიმონი წერილობით ჩამოაყალიბებდა რომის პაპის ოსმალეთის საწინააღმდეგო წინადადებებს.

პავლე სიმონმა შაჰის მოთხოვნა დააკმაყოფილა და წერი-

---

[1] Chronicle of the Carmelites in persia, p. 119.

[2] Creasy E. S., History of the Ottoman Turks, Beirut, 1961, p. 239-240.

ლობით წარუდგინა თავისი ელჩობის მომზადების, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ის რაც პაპმა შაჰს შემოუთვალა შეთანხმებული იყო დასავლეთ ევროპის მეფეებთან და მთავრებთან. ისინი მზად არიან ერთობლივად გამოვიდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. პაპი შაჰს სთავაზობს სამხედრო საქმის ოსტატების გაგზვნას, მუდმივი ელჩების ყოლას რომსა და ისპაანში, რათა შესაძლებელი იყოს საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება და ერთმანეთისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება. როგორც პავლე სიმონი გადმოგვცემს, „შაჰ აბასმა განაცხადა, რომ პაპის მიერ გამოგზავნილ წინადადებებს პასუხს წერილობით გასცემს და საიდუმლო ბეჭედს დაუსვამს. ეს ბეჭედი რომის პაპისა და ქრისტიანი მეფეებისადმი გაგზავნილ წერილებს გასაიდუმლოებულ სახეს მისცემს. მომავალში იგი აღარ ენდობა იმ წერილებს, რომელთაც ასეთი საიდუმლო ბეჭედი არ ექნება დასმული. შაჰმა აღმითქვა, რომ უახლოეს მომავალში, მომცემდა ჩემი უწმინდესობისა და ქრისტიანი მეფეებისათვის წასაღებად წერილებს. მან ვაზირს უბრძანა, რომ ევროპიდან (გამოგზავნილ –ე.მ.) წერილებზე პასუხები სასწრაფოდ დაწერილიყო და ჩემთვის გადმოეცათ. როდესაც ვაზირმა შაჰს პაპის მითითებების მეექვსე პუნქტი წაუკითხა, მან აღნიშნა, რომ თვით მე ვიყავი მოწმე ქრისტიანებისადმი მისი ლმობიერი მოპყრობისა და იქვე დაუმატა, რომ პაპის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი ჯვარი მან საქართველოს მეფეს გაუგზავნა, ხოლო საკუთარი ხელით დამზადებული ხის ჯვარი კი პატრიარქს“[1].

ევროპაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ სულთანმა დაიწყო ჯარების გადმოყვანა აღმოსავლეთში ირანის ფრონტზე. შეშფოთებულმა შაჰმა მოკავშირის მოსაძებნად ევროპაში გააგზავნა ორი ელჩობა: ერთი, 1607 წელს ჯულფელი ვაჭრის შიოშის მეთაურობით[2], მეორე კი 1608 წელს პრაღაში. ანტი-

---

[1] Chronicle of the Carmelites in persia, p. 124-129; გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 102-103.

[2] Байбуртян В. А., Армянская колония Новой Джульфы в XVII в. (Роль Новой Джульфы в ирано-европейских политических и экономических связях), Ереван, 1969.

ოსმალური კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით პაპის წინადადებებზე თავისი პასუხი შაჰ აბასმა გაატანა ენტონი შირლის ძმას რობერტს[1], რომელიც ენტონის ევროპაში გაგზავნის შემდეგ მძევლად დაიტოვა. შაჰ აბასს კვლავ გამოცდილი ქრისტიანი დასჭირდა, რომელიც პაპთან უშუალო კონტაქტს დაამყარებდა. ასეთ პიროვნებად მან რობერტ შირლი მიიჩნია. მასთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა ჩენგიზ-ბეგ რუმლუ და სომეხი ვაჭარი ახალი ჯულფიდან ხოჯა საფარი[2].

შაჰმა პაპს გაუგზავნა ანტიოსმალური ლიგის შექმნის გეგმა, რომლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: შაჰის აზრით: 1) ოსმალეთზე დარტყმის მთავარი ძალა ესპანეთი უნდა ყოფილიყო. ამ სახელმწიფოს შეუძლია თავისი უზარმაზარი ფლოტის საშუალებით სერიოზული ზიანი მიაყენოს ოსამალეთის იმპერიის სამფლობელოებს ხმელთაშუა ზღვაში და როცა სირიასა და ალეპოს შეუტევენ, მაშინ მოხდება ირანისა და ესპანეთის ჯარების გაერთიანება; 2) ყველა ქრისტიანი ხელმწიფე ოსმალეთს ეომოს თავისი ტერიტორიიდან; 3) პაპმა გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და გავლენა, რათა აღიკვეთოს ქრისტიანული სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთობა ოსმალთთან. მათი მთელი ენერგია წარიმართოს ოსმალეთის წინააღმდეგ; 4) ზოგიერთ ქრისტიანულ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის შედეგად სულთანი იღებს შეიარაღებას და მდიდრდება ქრისტიანი ვაჭრების ფულით; 5) ქრისტიანი ვაჭრების საშუალებით სულთანი ყოველგვარ ინფორმაციას მოიპოვებს იმაზე, რაც მის მოწინააღმდეგე ბანაკში

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ ენტონი შირლიმ შაჰის ნდობა ვერ გაამართლა და ირანში აღარ დაბრუნდა, მისი ძმა რობერტი პატიოსნად მსახურობდა შაჰის ჯარში, ხელს უწყობდა მის გადაიარაღებასა და გაწვრთნას. უფრო მეტიც, მან თავი გამოიჩინა 1605 წლის 6 ნოემბერს ოსმალებთან ჩალდირანის ბრძოლაში და სამჯერ დაიჭრა კიდეც. შაჰ აბასმა რობერტი დააქორწინა ჩერქეზების ბელადის ისმაილ-ხანის ასულზე და ამის შემდეგ იგი ევროპაში ელჩად გაგზავნა (Estat de la Perse en 1660 par le P. Rafael du Mans Superieur da la vaison des capucins d'Isphahan, Paris, 1890, p. XV-XVI.).

[2] Тер-Аветысян, Город Джуга. Материалы по истории торговых сношений джульфинских купцов XV-XVII вв., Еб., 1937, с. 86.

ხდება; 6) ქრისტიანების ასეთი ურთიერთობა სულთანთან პაპმა უნდა აღკვეთოს; 7) შაჰს მიზანშეწონილად მიაჩნია ქრისტიანული მოკავშირე სახელმწიფოების დედაქალაქებში სრულუფლებიანი ელჩების დანიშვნა, რათა მოკავშირეებმა სრული ინფორმაცია იქონიონ ერთმანეთის შესახებ. პაპის ელჩი, იმავე დროს, შაჰის სამფლობელოებში მცხოვრები ქრისტიანების წინამძღოლი იქნება; 8) შაჰი პაპს სთავაზობს ეჩმიაძინში დასვას არქიეპისკოპოსი, რომელიც სომხებს დაარწმუნებს და პაპს დაუმორჩილებს; 9) ირანში გაიგზავნონ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც თავიანთი კეთილი ქცევით სამაგალითონი იქნებოდნენ შაჰის ქვეშვრდომებისათვის; 10) კვლავ ხაზგასმულია ანტიოსმალური კავშირის შექმნის აუცილებლობა და მნიშვნელობა[1].

დასავლეთ ევროპაში არც შაჰ აბასის ამ ანტიოსმალურ გეგმას დაუჭირეს მხარი, რამაც შაჰი დიდად აღაშფოთა. 1609 წლის 5 მაისს მან ავგუსტინელ მისიონერებს პირდაპირ უთხრა: თუ ესპანეთის მეფე ოსმალეთთან ომს არ დაიწყებს, მაშინ მათ შეუძლიათ დატოვონ ირანი, რადგან მას ისინი აღარ სჭირდება. ქრისტიან ხელმწიფეებს მხოლოდ ის სურთ, რომ ოსმალებმა და სპარსელებმა ერთმანეთი გაანადგურონ და ამით მუსლიმანური რელიგია მოისპოს[2].

უკვე ითქვა, რომ შაჰ აბასი დასვლეთ ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს, განსაკუთრებით რომის პაპთან გაგზავნილ წერილებში, ქრისტიანობის საკითხის განხილვისას, ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდა თავის სამფლობელოებში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანებზე და მათი კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებას არ გამორიცხავდა.

საინტერესოა გაირკვეს, რატომ მიდიოდა შაჰი ასეთ დათმობაზე, როგორც ამის შესახებ ნათქვამია მის წერილებსა თუ ზეპირ განცხადებებში. შაჰ აბასი რომ კარგად ერკვეოდა რელიგიის საკითხებში, ამას ერთხმად აღნიშნავენ თანამედროვე ევროპელი დამკვირვებლები და მის მიერ ქრისტიანული დოგმების ცოდნის

---

[1] Chronicle of the Carmelites in persia, p. 124-129; გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 108-109.

[2] Chronicle of the Carmelites in persia, p. 169.

გამო გაოცებას ვერ მალავდნენ. აბასის ქრისტიანული რელიგიის საკითხებში ასეთ განსწავლულობას, ქრისტიან ქართველებთან მისი ნათესაობით ხსნიდნენ.

შაჰ აბასი კარგად ერკვეოდა სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობში, იმაში თუ რითი განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, როგორი წინააღმდეგობა არსებობდა მათ შორის და ცდილობდა ხელოვნურადაც გაემწვავებინა რელიგიური დაპირისპირება სხვადასხვა ხალხებს შორის ისე, რომ თავისი პოლიტიკური მიზნები განეხორციელებინა.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ შაჰისათვის რუსთა ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქართველის გაკათოლიკება უფრო სასურველი იყო, ვიდრე მართლმადიდებლობაში დარჩენა. გამორიცხული არ იყო, შაჰ აბასს ქართველების სწორედ კათოლიკობასთან დაახლოების მიზნით, ევროპაში მიმავალი კათოლიკე მისიონერი თადეუშისათვის დაევალებინა აუცილებლად თეიმურაზ მეფის სამფლობელოზე გაევლო. თეიმურაზ მეფემ თადეუშს სთხოვა რომის პაპთან ეშუამდგომლა, რათა მას საქართველოში კათოლიკეთა მისიონი გაეხსნა. ასვე, საფიქრებელია, შაჰს უნდოდა თეიმურაზს თადეუშის ხელით ეპისტოლეები გაეგზავნა როგორც რომის პაპთან, ისე ევროპის ქრისტიან ხელმწიფეებთან. შაჰ აბასი ამით, სავარაუდოა, ორი მიზნის მიღწევას აპირებდა: „თეიმურაზ მეფის კათოლიკურ დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობა მოსკოვის მეფეს მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან დაკავშირებულ იმ კოზირს დააკარგვინებდა, რომელიც მის კავშირს კახეთთან მტკიცე საფუძველს უქმნიდა. მას შეიძლებოდა ის შედეგიც მოჰყოლოდა, რომ კათოლიკე მისიონერთა საქართველოში მოღვაწეობას აქ მართლმადიდებლობა შეესუსტებინა“[1]. სწორედ ამ მიზნით უნდა ყოფილიყო შაჰ აბასის მიერ ის ნათქვამი, რომელსაც ანტონიო გოვეა[2] 1611 წელს თავის „სამახსოვრო ირანში

---

[1] გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 111.

[2] გოვეა ფრანსისკო, ანტონიო დე (1575–1628), პორტუგალიელი მისიონერი და ისტორიკოსი, ავგუსტინელი ბერი. 1597 წ. გაემგზავრა ინდოეთში. მონაწილეობდა ესპანეთის მეფე ფილიპე III-ის მიერ 1604 წელს გაგზავნილ ელჩობაში, რომელსაც დაევალა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ირანთან. 1611-ში გოვეამ თავისი მოგზაურობის „ცნობები“ ლისაბონში გამოაქ-

ქრისტიანობის საკითხების შესახებ“, გადმოგვცემს. იგი თავად შესწრებია შაჰ აბასი როგორ არიგებდა (ალბათ, ანტონიო გოვეას დასანახად და გასაგონად) ქართველთა ელჩებს: „უთხარით თქვენს მეფეს, თუ ის ქრისტიანია, უნდა ემორჩილებოდეს რომის უწმინდეს პაპს, ვინაიდან მე კარგად ვიცი, რომ ის, ვინც ამას არ აკეთებს – ის არ არის კარგი ქრისტიანი“[1].

შაჰ აბასისათვის ნათელი იყო, რომ მართლმადიდებლური საქართველოს და რუსეთის კავშირი, ირანის მომავლისათვის, უდიდეს საშიშროებას შეიცავდა. რადგან საქართველოს მუსლიმიზაციას პერსპექტივა არ ჰქონდა, ამიტომ შაჰი ცდილობდა ეს ორი ქრისტიანული სახელმწიფო ერთმანეთთან იდოლოგიურად დაეპირისპირებინა, რაც მათ შორის ირანის საწინააღმდეგო კავშირს გამორიცხავდა. შუა საუკუნეებში ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებული რელიგია რადგან, იმავე დროს, იდეოლოგიაც იყო, შაჰის ვარაუდით, საქართველოში კათოლიციზმის გამარჯვება თავისთავად გამორიცხავდა მართლმადიდებელ, კათოლიციზმისადმი მტრულად განწყობილ რუსეთთან მის ურთიერთობასა და კავშირს. მას შემდეგ, რაც საქართველო კათოლიკური ქვეყანა გახდებოდა, იგი ირანისათვის ნაკლებად სახიფათო იქნებოდა. იგი ირანისათვის მიუღებელ კავშირს ერთმორწმუნე ევროპის ქვეყნებთან ვერ დაამყარებდა. ამის საშუალებას არ მისცემდნენ მის

ვეყნა. მასში არის უაღრესად საინტერესო ცნობები ირანში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველებზე – ალავერდი ხანზე, კახეთის მეფე ალექსანდრე II-სა და მის შაჰ აბასთან ურთიერთობაზე, გიორგი X სიმონ პირველის ძეზე (1600-1606), კონსტანტინე I კახთა მეფეზე (1605) ქართლისა და კახეთის ჯარების მონაწილეობაზე ერევნის ციხე-სიმაგრის აღებაში (1604), კონსტანტინეს ლაშქრობაზე შირვანში, მის მიერ მამის, ალექსანდრე II-ის და ძმის – გიორგის მოკვლაზე, ქართველების მიერ კონსტანტინეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე და მის დაღუპვაზე, თეიმურაზ I-ის გამეფებაზე, სტამბოლში ტყვეობაში მყოფი სვიმონ I-ის მონახულებაზე მისი მეუღლის მიერ და სხვ., სამცხის ათაბაგ მანუჩარ II-ზე. იქვეა ზოგიერთი ცნობა საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. Antonio de ovea, Relations des grandes Guerres et Victoires obtenues par le roy de Perse Cha Abbas contre les Empereures de Turquie Mahomet et Achmet son fils… Rouen, 1646.

[1] ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991, გვ. 375, დოკ. №42 (შემდეგში: დოკუმენტები).

მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნები, რომელთა რიგებს რუსეთიც შეემატებოდა. ევროპისაგან იზოლირებული საქართველო იოლად დასამორჩილებელი იქნებოდა. შაჰ აბასმა ამ გეგმის განხორციელება ვერ შესძლო. ქართველებმა არც კათოლიკობა მიიღეს და არც შაჰს დაემორჩილნენ. საქართველო-რუსეთის დაახლოება კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. შაჰ აბასის ამ კავშირისადმი შიშისა და საფიქრალის სისწორე მომავალმა დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ შაჰ აბასმა დაკარგა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო ბლოკის შექმნის იმედი, მათთან ურთიერთობას მაინც აგრძელებდა. 1608 წლის ივნისში ისპაანში მივიდა ესპანეთის მეფის ელჩი ანტონიო გოვეა, რომელმაც შაჰს აცნობა, რომ შაჰის მიერ ესპანეთში გაგზავნილი ელჩი ფაქიზე იმამ ყული-ბეგი, რომელიც პორტუგალიის ელჩ ლუი პერეირა დე ლასერდასთან ერთად გაემგზავრა, 1607 წლის იანვარში ჯერ კიდევ ადგილამდე არ მისულიყო[1].

1608 წლის ნოემბერში გოვეა შაჰის დავალებით გაემგზავრა ესპანეთში, რათა ფილიპე III დაეყოლიებინა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირზე[2].

ირანის ელჩების ევროპაში მოლაპარაკებების წარუმატებლობა შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით. ერთ-ერთი და, შეიძლება, უმთავრესი, იყო ელჩობის ხანგრძლივობა. ჩვეულებრივ, ვიდრე ელჩი უკან დაბრუნდებოდა საშუალოდ 5 წელი გადიოდა. ამ დროის განმავლობაში კი ბევრი რამ იცვლებოდა როგორც ირანში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში და ხშირად მიღწეულ შეთანხმებას მნიშვნელობა ეკარგებოდა; XVII ს. პირველ ათწლეულში უთანხმოება და დაპირისპირება ევროპის სახელმწიფოებს შორის იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ ხანგრძლივი დროით ოსმალების

---

[1] Bellan L., Chah Abbas. Sa vie, son histoire, Paris, 1932, p. 174.

[2] Bayani K., Les relations de l'Iran avec l'Europe occidentale à l'époque Safavide, Portugal, Espagn, Angleterre, Hollande et France (avec document inedite), Paris, 1937, p. 67.

თავდასხმის შიშიც კი ვერ აერთიანებდა; მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ევროპის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოები ესპანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ინგლისი და სხვები ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალებზე დამოკიდებული ლევანტის ვაჭრობით[1]. ამდენად, თავიანთი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. იგივე მიზეზები განაპირობებდნენ ქართული დიპლომატიის წარუმატებლობას XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გარდა, ირანს ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის სხვა მოტივაციაც ჰქონდა, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური. ირანს ევროპაში დიდ რაოდენობით ნედლი აბრეშუმი გაჰქონდა. მაგრამ იარანული აბრეშუმის ექსპორტი ევროპაში დიდ მოგებას აძლევდა ოსმალეთის სახელმწიფოსაც, რადგან სავაჭრო-სატრანზიტო გზები მის ტერიტორიაზე გადიოდა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა შაჰის ანტიოსმალურ პოლიტიკას. ირანიდან აბრეშუმის გატანა ხდებოდა სამი ტრადიციული გზით: მოსკოვის, ალეპოს და ორმუზის. რუსეთში არეულობების გამო პირვალი გზა აღარ ფუნქციონირებდა, მეორე გზა, რომელიც ოსმალეთზე გადიოდა, შაჰისათვის მიუღებელი იყო. ორმუზის გზაზე სპარსელ ვაჭრებს დიდ დაბრკოლებებს უქმნიდნენ აქ გაბატონებული პორტუგალიელები.

შაჰის აზრით, ევრპასთან ვაჭრობა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ოსმალეთის საზიანოდ. საჭირო იყო ახალი სავაჭრო გზების გამონახვა, რომელსაც ირანი გააკონტროლებდა და სასურველ მიმართულებას მისცემდა. დღის წესრიგში დგებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა და რუსეთთან უშუალოდ დაკავშირება, ის დაპყრობა და იქიდან პორტუგალიელების განდევნა[2]. ამ გეგმის განხორციელებაში ირანის მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო ესპანეთთან და პორტუგალიასთან დაპირისპირებული ინგლისი, რომელიც თვითონაც გაფაციცებით ეძებდა აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ გზებს. ამ მხრივ ინგლისის ყურადღებას იპყრობდა რუსეთის კასპიისპირეთთან დამა-

---

[1] Бушев П. П., История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 (по русским архивам), М., 1976, с. 405

[2] გაბაშვილი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 114.

კავშირებელი გზა. ივანე IV-ის მიერ ყაზანის (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობამ, რუსეთი უშუალოდ გაიყვანა კასპიის ზღვაზე. ჯერ კიდევ 1555 წელს ინგლისელებმა დაარსეს „მოსკოვის კომპანია“, რომელსაც განზრახული ჰქონდა სავაჭრო კავშირების დამყარება ირანთან, შუა აზიასთან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან[1].

რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო მის ტერიტორიაზე გავლით ინგლისი კომერციული მიზნებით დაკავშირებოდა ირანს მაშინ, როდესაც მოსკოვს შეწყვეტილი ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან და ირანის აგრესიას აღმოსავლეთ საქართველოში იყენებდა თავისი ეკონომიკური მიზნების პოლიტიზირებისათვის. 1614 წლის აგვისტოში მოსკოვში ჩავიდა ინგლისელი ვაჭარი ჯონ მერიკი. მან რუს დიპლომატებს გააცნო თავისი მეფის სურვილი, რომ მოსკოვის ხელმწიფეს ინგლისელი ვაჭრებისათვის ვოლგის გზით ირანთან ვაჭრობის უფლება მიეცა. მას უპასუხეს: „ხელმწიფემ უკვე მისცა ნება ინგლისელ ვაჭრებს მივიდნენ ხოლმოგორის ნავსადგურსა და სხვა ადგილებში და ბაჟის გარეშე ყოველგვარი საქონლით თავისუფლად ივაჭრონ... მაგრამ მოსკოვის სახელმწიფოზე გავლით ვოლგით ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მგზავრობა საშიშია... ხოლო ირანის შაჰი ჩვენს ქვეშევრდომი საქართველოს მიწა-წყალში შეიჭრა, ამჟამად ჩვენ ამის თაობაზე მიმოწერა გვაქვს და ჩვენი ვაჭრები ეხლა ირანში აღარ დადიან. ხოლო როცა ღმერთი ინებებს, ასტრახანის გზა გაიწმინდება და ირანის შაჰთან საქართველოს მიწა-წყალზე მოვრიგდებით, ჩვენი ხელმწიფე მეფე იაკობს ამის შესახებ აცნობებს“[2].

რუსეთის ხელისუფლებას თითქოს შაჰ აბასის მიერ აკლებული საქართველოს გამო ირანთან სავაჭრო ურთიერთობა შეჩერებული ჰქონდა, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. სა-

---

[1] „მოსკოვის კომპანიის“ აგენტების ენტონი ჯენკინსონისა და ედუარდ კლარკის ცდაზე XVI ს. 60-ან წლებში, კავშირი დაემყარებინა საქართველოს აბრეშუმით მდიდარ რაიონებთან (იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 180-182).

[2] Соловьев С. М., Сочинения, кн. V. История России с древнейших времен. тома 9-10, М., 1990, с. 66.

ქართველოს საკითხის წინ წამოწევა მოსკოვს იმისათვის დასჭირდა, რომ ინგლისელი ვაჭრები ირანში არ გაეშვა. მოსკოვის ასეთი პოზიცია სრულებითაც არ ნიშნავდა „მოსკოვ-საქართველოს ურთიერთობის გულწრფელ ხასიათს“, როგორც ნ. ნაკაშიძე ფიქრობდა[1].

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საინტერესოა რომელ ადგილს ანიჭებდნენ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოები თავიანთ სავაჭრო-ეკონომიკურ პროექტებში საქართველოს XVII საუკუნის პირველ მეოთხედში.

ოსმალეთის მიერ შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევამ XV ს. 50-70-იან წლებში სერიოზულად დაძაბა საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. აღმოსავლეთის ევროპასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც საქართველოზეც გადიოდა, დაიკეტა[2]. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ, 1461 წელს ტარაპიზონის საკეისროს გაუქმებამ, ხოლო 1475 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროპელების მიერ ინდოეთთან, ჩინეთთან, ირანთან დამაკავშირებელი გზების აფრიკის გარშემოვლით ძიება.

ოსმალეთისა და ირანის ხანგრძლივმა ბრძოლამ კავკასიაში ბატონობისათვის, კიდევ უფრო შეასუსტა საქართველოს მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. მათ შორის ხანგრძლივი ბრძოლის ერთი ეტაპი დასრულდა 1555 წელს საქართველოს გაყოფით. ამ დროიდან მოყოლებული, ირანის საგარეო ვაჭრობაში საქართველოს შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდა. მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გამოსწორდებოდა, ე. ი. აღუდგებოდა სატრანზიტო ფუნქცია, როცა იგი გაერთიანებული და დამოუკიდებელი იქნებოდა, ან მთლიანად მხოლოდ ირანს დაემორჩილებოდა. მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელი იყო ვიდრე ძალაში რჩებოდა ირან-ოსამალეთს შორის

---

[1] ნაკაშიძე ნ., საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში. კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 24.

[2] განსაკუთრებით დაზარალდა ის საქარავნო გზა, რომლითაც საქართველო ცხუმისა და ფოთის საშუალებით ჩრდილო იტალიის და ყირიმის სავაჭრო ცენტრებს უკავშირდებოდა. საქართველოს მონაწილეობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში კონსტანტინოპოლის დაცემამდე იხ. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 451-468.

დადებული 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულება. მართალია, საქართველოში შემოდიოდა აღმოსავლური (სპარსული, ინდური...) საქონელი, მაგრამ იგი მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ირანსა და ოსმალეთს შორის გახლეჩილი საქართველო ძირითადად ამ ორ ქვეყანასთან ვაჭრობდა.

შაჰ აბას I-ის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოცოცხლებულ ირანის ვაჭრობასთან ერთად, გამოცოცხლდა საქართველო-ირანის ვაჭრობაც, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ირანთან ვაჭრობდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებიც. საქართველოს შიდა და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი საინტერესო მასალები დაგვიტოვეს უცხოელებმა - არქანჯელო ლამბერტიმ, დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ, ჟან შარდენმა.. XVI საუკუნის ბოლოდან საქართველოდან ირანში ნედლი აბრეშუმი[1] და სხვა საქონელიც გაჰქონდათ. ნედლი აბრეშუმით ვაჭრობის თავის ხელში კონცენტრირებით დაინტერესებული იყო შაჰ აბასი, რადგან ამ საქონელზე დიდი მოთხოვნილება იყო დასავლეთ ევროპის მთელ რიგ

---

[1] ერთ-ერთი ინგლისური წყაროს მიხედვით: „კონორე, რომელიც არის მესამე და ყველაზე უარესი ხარისხისა. იგი იწარმოება გურჯისტანის პროვინციაში, რომელიც ისპაანს დაშორებულია დაახლოებით 30 (35) დღის მანძილით, და ჩვეულებრივად ერთი შაჰური მანი 220 შაჰად იყიდებოდა. ამ პროვინციაში წინათ ყოველწლიურად იწარმოებოდა დაახლოებით 60.000 მანი იგივე შაჰის აბრეშუმი, მაგრამ ამჟამად, უკანასკნელი ომების შედეგად ქვეყნის ის ნაწილები ისე აოხრდა და გაუკაცრიელდა, რომ ახლა იქ იწარმოება მხოლოდ 30.000 ხსენებული მანი“ (Ferrier R. W., An English view of Persian trade in 1618. Jurnal of The Economic and Social History of the Orient, vol. XIX, part II, Leiden, 1976, p. 199). აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, კ. კუციამ გამოიანგარიშა, რომ შაჰ აბასის ლაშქრობებამდე საქართველოში აბრეშუმის წლიური მოსავალი აღწევდა დაახლოებით 360 ტონას, რომლის რაოდენობა 1618 წლისათვის შემცირდა 180 ტონამდე. (კუცია კ., ქართული აბრეშუმის წარმოების ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მეოთხედი). „ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 134-139). როგორც კათოლიკე მისიონერი მელშიორ დუშ ანჟუში წერდა (1614 წ.) აბრეშუმი საქართველოს მთავარი სიმდიდრე იყო. დოკუმენტები, გვ. 376, №43.

სახელმწიფოებში[1]. შაჰ აბასის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკის გამანადგურებელი ღონისძიებები ნათელს ხდის, რომ იგი მისი სახით ირანის სავაჭრო კონკურენტებს ხედავდა. „ვინაიდან აბრეშუმი წარმოადგენდა (ღვინისა და პურის კულტურებთან ერთად) საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურას, სწორედ ამიტომ შეეცადა შაჰ აბასი ამ კულტურის განადგურებას პირველ ყოვლისა კახეთში, რომელიც განსაკუთრებით იყო ეკონომიკურად ძლიერი და რომლის მესვეურნი სხვა ქართველ მმართველებზე მეტად ისწრაფოდნენ რუსეთთან კავშირის დამყარებისაკენ. სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს გავერანება, აბრეშუმის კულტურის განადგურება, სომეხთა და ქართველთა აყრა და ირანის პროვინციებში ჩასახლება, მართლმადიდებლობის დევნა – ყველაფერი ეს წარმოადგენდა ერთი და იგივე გეგმის სხვადასხვა მხარეს; ხოლო ეს გეგმა მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ეკონომიურ გაჩანაგებას და დაუძლურებას, ირანის ძირითადი პროვინციების ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის ხელი შეწყობას, ქართველთა გამაჰმადიანება-გასპარსელებას, აღმოსავლეთ საქართველოზე ოსმალეთისა და რუსეთის პრეტენზიების აღკვეთასა და აბრეშუმის გზის ირანისათვის ხელსაყრელი მიმართულებით გადანაცვლებას“[2]

ამგვარად, ამ მოკლე ნარკვევიდანაც ჩანს, რომ შაჰ აბასის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი ყველა ღონეს მიმართავდა მასზე ერთხელ და სამუდამოდ გაბატონებისათვის.

ირან-ოსმალეთის ომი (1603-1612) განახლდა. 1605 წ. 25 ოქტომბერს ურმიის ტბასთან შაჰ აბასმა ოსმალები დაამარცხა, რამაც მოწინააღმდეგის ძალების შესუსტება გამოიწვია ამიერკავკასიაში. მაშინვე შაჰი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. მან ჯერ ყარაბახი და განჯა დაიპყრო და შემდეგ ქართლში შემოიჭრა, ჯერ დმანისი, შემდეგ თბილისი დაიკავა. ოსმალების

---

[1] საქართველო-ირანის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე იხ., კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბ., 1992.

[2] ჟორდანია გ., ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, „ცისკარი“, №5, თბ., 1963, გვ. 142-143.

ხანგრძლივ ბატონობას ქართლში ბოლო მოუღო. ოსმალები ყიზილბაშებმა შეცვალეს.

თეიმურაზ I-ის (1606-1658), ისევე როგორც მისი შემდგომი ქართლ-კახეთის მეფეების, მმართველობის მნიშვნელოვანი მომენტები, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მთლიანად აბას I-თან (1587-1629) და მის მემკვიდრეებთან (სეფი I – 1629-1642, აბას II – 1642-1666) ურთიერთობით იყო განპირობებული.

თეიმურაზ I-ის გამეფების წინა პერიოდში კახეთის სამეფოსა და, საერთოდ, საქართველოს საგარეო ორიენტაციის შედარებით სრული წარმოდგენისათვის, აუცილებელია მოკლედ მაინც ითქვას საქართველოს რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაზე. თუმცა ეს საკითხი ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ სრულადაა შესწავლილი.

შაჰ აბასმა ალექსანდრე II-ისა და ტახტის მემკვიდრე გიორგის დაღუპვით თავიდან მოიშორა არასასურველი ადამიანები კახეთის ტახტზე. და, რაც მთავარია, მათი დაღუპვით კახეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა. ალექსანდრე II-ისა და გიორგი უფლისწულის დაღუპვა ეს იყო შაჰის გამარჯვება (იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა: მოსყიდვა, შეიარაღებული შანტაჟი, მკვლელობა), მაშინ როდესაც, როგორც იმდროინდელი დიპლომატიური მიმოწერიდან და ელჩების განცხადებებიდან ჩანს, რუსეთი ჯერ მხოლოდ კახეთის სამეფოზე, შემდეგ კი დანარჩენ საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელებას მხოლოდ დაპირებებით ცდილობდა. ალექსანდრე II-ის და უფლისწული გიორგის მკვლელობა იყო რუსეთის დიპლომატიის დიდი მარცხი. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერდა, „რუსეთმა წააგო. შაჰ აბასმა გაბედული დაკვრით გააქარწყლა კახეთში მოსკოვის მეფის ოცი წლის დიპლომატიურ-პოლიტიკური მონაპოვარი და ჩრდილოელ მოკავშირეს ენერგიულად აგრძნობინა, რომ ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არ მოითმენს არა მარტო მოსისხარ ოსმალეთს, არამედ „მეგობარ“ რუსეთსაც კი“[1]. რუსეთი ამის

[1] ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 134-135.

შემდეგაც, ირანის მოქმედების გამო მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით კმაყოფილდებოდა. დგება კითხვა: შეეძლო თუ არა რუსეთს XVII ს. პირველ ათწლედში სხვაგვარად მოქმედება?. რა თქმა უნდა, არა. მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა სხვაგვარად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. თუმცა რუსეთი ამგვარ პოლიტიკას ადგა სხვა პერიოდებშიც და იგი საქართველოს მიმართ ირანის აგრესიის შეკავებას ხელმწიფესა და შაჰს შორის „არსებული კარგი ურთიერთობისა და სიყვარულის“ ხშირ-ხშირად შეხსენებით აპირებდა. ამას გვიჩვენებს ირანსა და რუსეთს შორის ორსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია.

სინამდვილეში რუსეთი და ირანი მეგობრები არ იყვნენ. გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთს მხოლოდ ითმენდნენ. მათ არანაკლები წინააღმდეგობები ჰქონდათ ერთმანეთში, ვიდრე თითოეულ მათგანს ოსმალეთთან და ყირიმის სახანოსთან. როგორც თ. ბოცვაძე წერდა, თურქეთ-ყირიმის სახანოს გლობალური სტრატეგიის ერთ პირველ მიზანთაგანს შეადგენდა ირანის მორჩილებაში მოყვანა, კავკასიის დაპყრობა იმიერში ადიღე-ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის, ამიერში საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისა, ხოლო შემდეგ კი ვოლგა-ასტრახან-კასპიის ზღვის დიდი მაგისტრალით შუა აზიასთან (ბუხარა) მჭიდრო კავშირის დამყარება.

ირანის სტრატეგიულ მიზანს შეადგენდა ამიერკავკასიისა და დაღესტნის დაპყრობა, ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალზე გასვლა და, საერთოდ, კასპიის ზღვაზე გაბატონება, ოსმალეთ-ყირიმის სახანოსათვის როგორც ჩრდილო კავკასიის, ისე სამხრეთის გზის გადაკეტვა შუა აზიასთან დასაკავშირებლად.

ოსმალეთის დამარცხების შემდეგ რუსეთიც კასპიის ზღვაზე გაბატონებაზე ოცნებობდა, კერძოდ ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალზე თავისი მდგომარეობის საბოლოოდ განმტკიცებას და შემახა-ბაქო-დერბენტ-საშამხლო-თერგის ხაზზე გაბატონებას. ამგვარად, გასაგებია, რომ ირანისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს არანაკლებ უპირისპირდებოდნენ, ვიდრე მათი ინტერე-

სები ოსმალეთ-ყირიმის სახანოსას[1]. მაგრამ, ვიდრე მათ საერთო მტრად ოსმალეთი მიაჩნდათ ურთიერთგაგება გარეგნულად მაინც უნდა შეენარჩუნებინათ.

„ამრიგად, რუსეთ-ირანის მეგობრობა, როგორც ვხედავთ, აშკარად იძულებითი და ანგარიშიანი მეგობრობა იყო“[2]

რუსეთ-ირანის წინააღმდეგობა განსაკუთრებით მკვეთრად კახეთისა და საშამხლოს საკითხისადმი დამოკიდებულებაში მჟღავნდებოდა. საქართველოზე ბატონობით დაინტერესებული რუსეთი და ირანი ცალ-ცალკე, ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე მოქმედებდნენ, მაშინ, როდესაც კახეთის სამეფო ირანთან თავისი პრობლემების მოგვარების დროს რუსეთისა და ოსმალეთის გამოყენებას ცდილობდა.

საშამხლო, ჯერჯერობით არავის არ ეყმობოდა და იგი რუსეთს, ირანსა და ოსმალეთს შორის ლავირებდა. მას უფრო რუსეთისა და ირანის შიში ჰქონდა, რომ ერთ-ერთი მათგანი მისი ბატონი გახდებოდა. იგი ოსმალეთისკენს უფრო იხრებოდა და ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა რუსეთ-ირანის და კახეთ-რუსეთის ურთიერთობისათვის[3]. ამიტომ იყო, რომ ქართველი დიპლომატები დიდად დაინტერესდნენ რუსეთის ჩრდილო კავკასიაში გავლენის გაძლიერებით. 1603 წელს კახეთის მეფის ელჩები, კირილე ქრისტეპული და მდივანი საბა მოსკოვში რუსების მიერ საშამხლოს დალაშქვრასა და ტარკში, ტუზლუკში და მოინაკში ციხე-სიმაგრეების ჩადგმას მოითხოვდნენ[4]. კახეთის მეფის ელჩების მოთხოვნა მოსკოვის მთავრობამ მისაღებად ჩათვალა[5] და სამხედრო მოქმედებაც დაიწყო. უფრო მეტიც, რუსეთმა ბატონიშვილ გიორგის (ალექსანდრე II შაჰ აბასთან ირანში იმყოფებოდა) კახეთის მხრიდან საშამხლოზე შეტევა მოსთხოვა. რუსეთის სამე-

---

[1] ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, თბ., 990, გვ. 83-84.

[2] იქვე, გვ. 85.

[3] Новосельцев А. П., Русско-иранские политические взаимоотношения во 2-ой половине XVI в., «Международные связи России до XVII в.», М., 1961, с. 455.

[4] Веселовский Н. И., Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, II, Петербург, 1898, с 391, 395, 400-401, 403.

[5] Там же, с. 405.

ფო კარმა ეს მომენტი არა იმდენად კახეთისათვის დასახმარებლად გამოიყენა, რამდენადაც უფრო ფართო მიზნებისათვის: დერბენტ-ბაქო-შემახას დაუფლებისათვის[1]. რუსეთის ამგვარი მოქმედება არ აწყობდათ არც ოსმალეთ-ყირიმის სახანოს, არც ირანსა და არც დაღესტნელ ფეოდალებს. მათთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ის, რასაც ქართველები რუსეთისაგან მოითხოვდნენ: საქართველოში რუსული ჯარის გამოგზავნას და ორისამი ციხე-სიმაგრის ჩადგმას[2].

კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის და უფლისწულ გიორგის რუსეთთან ერთად საშამხლოში აქტიურობა და რუსების მოპატიჟება კახეთში, შაჰ აბასის წაქეზებულ უფლისწულ კონსტანტინეს მიერ მათი ამოწყვეტის კიდევ ერთი მიზეზი გახდა.

1605 წელს, კახეთის კარზე დატრიალებული უბედურებიდან მცირე ხნის შემდეგ, მოსკოვში საიდუმლოთ გაუგზავნიათ ელჩობა ქართველი უფლისწულის ბაგრატის[3] მეთაურობით. ამ ელჩობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, გარდა პ. პ. ბუშევის მიერ გადმოცემული რამდენიმე წინადადებისა. ბაგრატი ასტრახანში შაჰის ელჩებს უცვნიათ. იგი ასტრახანიდან ყაზანში გადავიდა, სადაც ელოდებოდა ნებართვას მოსკოვში მეფე ვასილი შუისკისთან გასამგზავრებლად. 1606 წლის დასასრულს ან 1607 წლის დასაწყისში, მეფემ ბაგრატი მოსკოვში დაიბარა. ბაგრატმა შუისკის მოუთხრო კახეთის ამბები, რის შემდეგ მოსკოვის სამეფო კარმა გადაწყვიტა 1607 წლის გაზაფხულზე ირანში გაეგზავნა ელჩობა. ფორმალურად ამ ელჩობის მიზანი იყო, შაჰ აბასისათვის ვასილი შუისკის გამეფება ეცნობებინა. სინამდვილეში ელჩს, ი. პ. რომოდონოვსკის, პროტესტი უნდა გამოეთქვა ალექსანდრე II-ისა და გი-

---

[1] Кушева У. Н., Народы , с. 19

[2] Сношения России с Кавказом. Материалы извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел С. Ал. Белокуровым, вып. I, 1587-1613 гг., «Чтения ОИРД», М., 1889, с. 478-482. (შემდეგში: Белокуров С. А., Сношения России с Кавказом).

[3] ამ დროისათვის კახეთის უფლისწული ბაგრატი არ არის ცნობილი. დიდად საეჭვოა, რომ მოსკოვში გაეგზავნათ ელჩად დაუთხანის ვაჟი ბაგრატი, რომელიც 1615-1619 წლებში ბაგრატ-ხანის სახელით კახეთს განაგებდა.

ორგის მკვლელობის გამო და იმავე დროს მოეთხოვა ირანს ელიარებინა ერთმორწმუნე საქართველოზე მოსკოვის მფარველობის უფლება[1]. მაგრამ ელჩობამ ირანამდე ვერ მიაღწია. მისი წევრები 1607 წ. ზაფხულში აჯანყებულმა გლეხებმა სარატოვში დახოცეს.

კონსტანტინეს წინააღმდეგ ამბოხებულმა კახელებმა, თეიმურაზის დედა ქეთევანით სათავეში, მიაღწიეს იმას, რომ კონსტანტინე მოიშორეს და თეიმურაზი ქრისტიანობით გაამეფეს, მაგრამ კახეთის სამეფოს და მისი ახალგაზრდა მეფის მდგომარეობა მყიფე რჩებოდა. გამოსავლის მონახვა ძნელი იყო. კახეთის სამეფო ირანის აგრესისაგან მხოლოდ საკუთარი ძალით თავს ვერ დაიცავდა. თეიმურაზი ალექსანდრე II-ის გზას უნდა დადგომოდა და მუდმივად გარეშე დამხმარე ძალის ძიებაში ყოფილიყო. მაგრამ ამ მიზნის წარმატებით განხორციელებას შეუძლებელს ხდიდა მეზობელი დიდ სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირებული ინტერესები, რომლებიც საქართველოშიც იკვეთებოდა.

[1] Бушев П.П., Ук. труд, с. 410-411.

I. თეიმურაზ I-ისა და ლუარსაბ II-ის ურთიერთობა შაჰ აბას I-თან (1605-1613 წწ.)

უაღრესად რთული იყო თეიმურაზ I-ის მეფობის დასაწყისი. მას, მის სამეფოს და მის ქვეყნას, ირანის შაჰ აბას I-ის სახით, დიდი მტერი ჰყავდა. შაჰ აბასის მიერ კახეთის სამეფოს მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ თეიმურაზის პაპას, სახელგანთქმულ ალექსანდრე II-ს, მეფობის ბოლო პერიოდში სერიოზული პრობლემები შეექმნა თავის შვილებთან ურთიერთობაში, რომელშიც შაჰისა და, შეიძლება, ოსმალეთის სულთნის აგენტურის ხელიც ერია.

ალექსანდრე II-ს ხუთი ვაჟი ჰყავდა: ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. როსტომი ყმაწვილობაში გარდაიცვალა. შვიდი წლის კონსტანტინე, 1584 წელს, შაჰის კარზე მძევლად წაიყვანეს, ერეკლე 1574 წელს ოსმალეთში გაიქცა[1]. „ასე რომ, უფროსი, და, მაშ, ტახტის მემკვიდრე ამიერიდან იყო დავითი. ალექსანდრე მეფეს, როგორც ჩანს, კახეთის მეფობა გიორგი ბატონიშვილისათვის უნდოდა. ბატონიშვილებს შორის, ბუნებრივია, შური და უნდობლობა გაჩენილიყო. ბატონიშვილების გარშემო ურთიერთის მოქიშპე ფეოდალთა ჯგუფები იყრიდნენ თავს... სანამ მეფე ალექსანდრე არ მოხუცებულიყო და არც ერან-ოსმალეთის მეტოქეობა ამიერკავკასიაში გადამწყვეტ ფაზაში შესულიყო, ბატონიშვილების ეს ურთიერთ შორის უნდობლობა საშიში არ იყო. მაგრამ კახთა მეფის თანდათანი მოხუცებისა და ერან-ოსმალეთის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტის მოახლოებასთან ერთად დავითისა და გიორგის შორის ქიშპიც უკიდურეს ხასიათს იღებდა“[2]. მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ორი ფეოდალური დაჯგუფება, რომლებიც დავითს ან გიორგის უჭერდნენ მხარს. ზემოხსენებული კირილე ბერი მოსკოვში ჰყვებოდა, რომ როცა ალექსანდრე მეფე ავად გახდა, დავითი და გიორგი იმაზე მსჯელობდნენ, თუ ვინ გამეფებულიყო. შფოთის ჩამომგდებნი ჯერ დავითთან მივიდნენ და

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 212-215.

[2] ბერძნიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 87.

ჩააგონეს, რომ გიორგის მისი მოკვლა უნდოდა, შემდეგ იგივეს ეუბნებოდნენ გიორგის. გიორგიმ ოსმალეთში გაქცევა მოინდომა, მაგრამ დავითის კაცებმა იგი გზიდან მოაბრუნეს და ძმები შერიგდნენ. გიორგიმ ჯვარზე დაიფიცა, რომ დავითის წინააღმდეგ არასოდეს არ გამოვიდოდა. ამის შემდეგ დავითმა გიორგის საუფლისწულო გამოუყო და თვითონ გამეფდა[1]. მაგრამ სამეფო კართან დაახლოებული ფეოდალ-დიდებულები არ ისვენებდნენ. ერთმა ჯგუფმა გიორგის კატეგორიულად მოსთხოვა მათ დათანხმებოდა დავითის მოკვლაზე, თუ არა და მასაც მოკლავდნენ. ფეოდალები დავითსაც შეუჩნდნენ და როდესაც ალექსანდრე გამოკეთდა მას სამეფოს ხელისუფლების სიმბოლოები ჩამოართვა. გიორგი ქართლში გაიქცა, მაგრამ ქართლის მეფე გიორგიმ შეიპყრო და დავითს გადასცა. დავითმა იგი ციხეში გამოკეტა, მის მომხრეებს კი სასტიკად გაუსწორდა[2].

დავითმა თავის ხანმოკლე მეფობაში მხოლოდ ის მოასწრო, რომ მან, მისმა ვაჟმა თეიმურაზმა და ალექსანდრე II-მ სამეფო კართან ერთად რუსეთის მეფე ბორის გოდუნოვის ერთგულების ფიცი მიიღეს[3].

თეიმურაზის მამა დავითი, რომელმაც ალექსანდრე II-ს ტახტიდან გადადგომა და შემონაზვნება აიძულა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „ხოლო ესე დავითი იყო ამაყი, ლაღი, მრისხანე და სძულობდნენ კახნი“[4]. თეიმურაზის „გაზაფხულ-შემოდგომიანის“ 87-ე სტროფში აღნიშნულია, რომ დავითს დარჩა ორი ვაჟი და ერთი ასული. ქეთევანსა და დავითს, რომ თეიმურაზის გარდა სხვა ვაჟიც ჰყავდათ, ამის შესახებ ვიგებთ 1602 და 1604 წლების სიგელებში, ამას გვამცნობენ ისქანდერ მუნში, ვახუშტი ბატონიშვილი, არჩილი[5]. თეიმურაზი დავითის უფროსი შვილი იყო. ქვრივ ქეთევანს

---

[1] Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, с. 388-389

[2] Там же, с. 389-390.

[3] Там же, с. 362-363, 382, 388.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 580.

[5] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, 1897, II, გვ. 434; კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, IV, თბ., 1913, გვ. 3; ის-

თეიმურაზის მომავალი აფიქრებდა, თავისი მაზლის, გიორგის შიში ჰქონდა[1].

თეიმურაზის ირანში გაგზავნის მიზეზზე საინტერესო ცნობა დაგვიტოვა არქანჯელო ლამბერტიმ. იგი წერს: „კახეთის მეფე დავითმა ანდერძი დატოვა, რომლის თანახმად მისი გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი – მისი ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე ირანში წაეყვანათ და იქ იმ ქვეყნის ხელმწიფის – შაჰ აბასის მზრუნველობის ქვეშ აღეზარდათ. დავითი სიცოცხლის დროს დაკავშირებული იყო შაჰ აბასთან მეგობრული ურთიერთობით და უნდოდა, რომ ეს მეგობრული ურთიერთობა მისი სიკვდილის შემდეგ მის შვილს განეგრძო. ამიტომ ბრძანა მისი შვილი აღეზარდათ შაჰის კარზე“[2].

ქართული წყაროებით, ქეთევანმა „წარგზავნა ყრმა თვისი ყაენთან შიშისათვის გიორგისა, რამეთუ ეშინოდა გიორგისაგან მაზლისა თვისისა და მისთვის გამოგზავნა ყაენთანა და თანა გამოატანა“[3]. არჩილის მიხედვით, თეიმურაზს ირანში წაჰყვა შერმაზან ჩოლოყაშვილი, რომელიც უფლისწულს ასწავლიდა ზნეობას, საღმრთო და საერო ცოდნაში წვრთნიდა და ჭირსა შიგან ამაგრებდა[4].

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს არქანჯელო ლამბერტის ცნობა დავით მეფესა და შაჰ აბასს შორის მეგობრობის შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ალექსანდრე II-ისა და გიორგი უფლისწულის მკვლელობაში რომ შაჰის ხელი ერია, მაშინ ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო. ასეთ დროს, მოკლულთა ოჯახის ერთი წევრის - დავითის შვილის, თეიმურაზის,

---

ქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 44; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 584; არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. „ქართული მწერლობა“, VI, თბ. 1989, სტრ. 441.

[1] ვახუშტის თქმით, ერთხელ გიორგის დავითის მოკვლა განუზრახავს, მაგრამ შეთქმულება გაუცია ბარა ჩოლოყაშვილს. იქვე.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 75.

[3] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ყველა ძირირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, II, გვ. 382.

[4] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტრ. 248.

მკვლელობის სულიჩამდგმელ შაჰთან, უსაფრთხოების მიზნით გაგზავნა, ცხადყოფს დავითსა და შაჰ აბასს შორის ალექსანდრე II-ის წინააღმდეგ კავშირის არსებობას.

არქანჯელო ლამბერტის თხზულებიდან ამონარიდი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ შაჰი ალექსანდრე კახთა მეფის შვილებთან მათივე მამის საწინააღმდეგო კავშირში იყო. შაჰმა საბოლოოდ მაინც მიზანს მიაღწია. შაჰმა, დავითის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მობრუნებულ ალექსანდრეს, ახლა მეორე შვილი – კონსტანტინე აუმხედრა, რომლის ხელით ისიც და უფლისწული გიორგიც დაიღუპნენ.

თეიმურაზმა შაჰის კარზე კარგი აღზრდა და განათლება მიიღო, იგი „შააბაზ ვითარცა ძე ეგრეთ შეიტკბო“[1]. მას კახეთის მეფედ შაჰის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომად ამზადებდნენ. ამიტომ, როგორც არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს, „შაჰმა ბრძანა ***აღეზარდათ იგი არა მარტო როგორც ძვირფასი მეგობრის შვილი, არამედ როგორც საკუთარი მისი შვილი***. თეიმურაზს ავარჯიშებდნენ ყველა დარგში, რაშიც კი ამზადებენ ყველაზე დიდ უფლისწულებს. განსაკუთრებით კი იარაღის ხმარებაში. ამ ხელოვნებაში, მეომარი შაჰის მზრუნველობის შემწეობით, თეიმურაზს დიდი წარმატებები ჰქონდა. ამასთანავე ***თეიმურაზმა ენები შეისწავლა***. ენების ცოდნა უფლისწულისთის მნიშვნელოვანი სამკაულია. თეიმურაზი ფლობდა სპარსულს და თურქულს. ამასთანავე იმდენად კარგად, რომ ან ერთი ან მეორე ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ“[2].

კახეთის სამეფოში არსებულმა ვითარებამ, თეიმურაზის გამეფებამდე და მის შემდეგ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის ხასიათზე, მის დამოკიდებულებაზე ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი და, როდესაც მისი მმართველობის სტილსა და საქმიანობას ვაკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი ყოველთვის, საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში, დასწრების ტაქტიკას ადგა. ერთი შეხედვით, თითქოს, უნდა გავიზიაროთ გ. ჯამბურიას ნათქვამი, რომ „თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.
[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 75.

მატიას აკლდა მისი დიდი პაპის, ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუამახვილობა“[1]. ეს მართალია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზედაპირულად შევაფასებთ ამ ორი დიდი მოღვაწის საქმიანობას. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მათ სულ სხვადასხვა საშინაო და საგარეო სიტუაციაში უხდებოდათ პოლიტიკის და დიპლომატიის განხორციელება.

აღმოსავლეთ საქართველოს ორ სამეფოში – ქართლსა და კახეთში ორი ყმაწვილი გამეფდა – ქართლში ლუარსაბ II – 1605 წელს, კახეთში თეიმურაზი – 1606 წელს. ორივეს გამეფება შაჰ აბასის სურვილითა და ნებართვით მოხდა.

ისქანდერ მუნშის აღწერილი აქვს ის ზეიმი, რომელიც შაჰ აბასმა ქართველებს მოუწყო ყარაბახში, მდინარე გურქჩაისთან და ნება მისცა თეიმურაზის მეფედ კურთხევა თავიანთი, ქართული წესის მიხედვით ჩაეტარებინათ. ზეიმში შაჰიც მონაწილეობდა[2].

ლუარსაბისა და თეიმურაზის ქრისტიანობით გამეფება ქართველობას თავის დიდ გამარჯვებად მიაჩნდა. ორივე მეფე, წინაპრების მსგავსად ფიქრობდნენ, რომ მიუხედავად ქვეყნის დაშლისა და ქართული მიწების მეზობელი სახელმწიფოების მიერ ანექსიისა, ასრულდებოდა ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ოცნება და საქართველოს გაერთიანება და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მოხდებოდა. ამის მიღწევა შეიძლებოდა, მხოლოდ მტაცებელი მეზობლების – ირანისა და ოსმალეთის ერთმანეთთან დაპირისპირებით და ქართული საქმის გაკეთებით. მაგრამ იმის განხორციელება, რაც თითქოს შესაძლებელი იყო XVI საუკუნეში, ახლა, XVII ს. დასაწყისში, შეცვლილი ვითარების გამო, ძნელად მისაღწევი ჩანდა.

შაჰ აბასს კი სულ სხვა გეგმა ჰქონდა. მას უნდოდა ქართლისა და კახეთის მეფეები მისი სიტყვის აღმსრულებელნი და მისი მოხელეები ყოფილიყვნენ, მათგან დამოუკიდებლობის გამოვლენას არ მოითმენდა. ქართლ-კახეთის სრული მორჩილების გარეშე, ამიერკავკასიაში ირანის ბატონობა ვერ მოხერხდებოდა.

---

[1] ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 113.
[2] ისქანდერ მუნში, გვ. 61. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 227.

ცბიერი და მოქნილი პოლიტიკოსისა და დიპლომატის, შაჰ აბასის ურთიერთობა ქართლისა და კახეთის ახალგაზრდა მეფეებთან, მისთვის სასურველად არ ვითარდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კავკასიაში ოსმალეთი კვლავ სერიოზულ ძალად რჩებოდა და ქართველი პოლიტიკოსები ირანის წინააღმდეგ მის გამოყენებას შეეცდებოდნენ. შაჰმა ნაცად ხერხს – დაყვავებისა და სამხედრო აგრესიით დაშინების პოლიტიკას მიმართა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას საბოლოოდ ჩამოუყალიბდა ქართლისა და კახეთის სახანოებად გადაქცევის აზრი. მისი ღონისძიებები მათ მიმართ სულ უფრო მკაცრდებოდა. მაგრამ მას ჯერ ირანის ისტორიული მეტოქის ოსმალეთის წინააღმდეგობა უნდა გადაელახა, რომლის გარნიზონები აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ყველა მნიშვნელოვან ქალაქსა და ციხეში იდგა.

შაჰ აბასმა დაიპყრო ერევანი და ამის შემდეგ სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება ბრძანა. ოსმალებიც დაამარცხა, განჯაც აიღო, საქართველოში შემოვიდა, ოსმალები გარეკა და თბილისში და ქართლის ციხეებში ოსმალების მაგიერ ყიზილბაშები ჩადგნენ.

საქართველოში შემოსული შაჰისა და ლუარსაბ II-ის ურთიერთობაზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა ერთმა ესპანურმა წყარომ. 1607 წლის 21 ნოემბერს ესპანელი ხუან დე კუევა თავის მთავრობას აცნობებდა: „ირანის შაჰი იმყოფებოდა თავისი ცოლის ძმისა და ვასალის საქართველოს (ქართლის –ე.მ.) მეფის ერთ-ერთ პროვინციაში. მან თხოვა შაჰს დახმარებოდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა დაებრუნებინა ზოგიერთი მიწა, რომლებიც თურქებმა დაიპყრეს. შაჰი არა მარტო დაჰპირდა მას დახმარებას, არამედ დაჰპირდა პირადად მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში“[1].

მოყვანილ დოკუმენტში გადმოცემული ამბავი, ახლად გამეფებული ლუარსაბ II-ის და შაჰ აბას I-ის ურთიერთობის საწყის ეტაპს უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, გიორგი X (1600-1606) მოულოდნელად მეჯვრისხევს გარდაიცვალა. ამ დროს (1606 წ.) შაჰ

[1] დოკუმენტები, გვ. 373, დოკ. №40.

აბასი თბილისში იმყოფებოდა. ქართლის დიდებულებმა შაჰს სთხოვეს გიორგის პირმშო, 14 წლის ლუარსაბი ქართლის მეფედ დაემტკიცებინა. ქართლის საქმეების მოწესრიგების შემდეგ, როგორც საფიქრებელია, შაჰმა ქართლის მეფის ირანის ტახტთან უფრო მტკიცედ მიმაგრებისათვის, ლუარსაბს თავისი და თინათინი ცოლად გამოართვა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „...სთხოვა შაჰაბაზ ლუარსაბ მეფესა დაჲ თჳსი ცოლად თინათინ. ამან მისცა და წარიყვანა დიდითა დიდებითა და ნიჭითა“[1].

ისქანდერ მუნში არაფერს ამბობს შაჰის მიერ ლუარსაბისათვის დის გამორთმევის შესახებ, მაგრამ მათ შორის ურთიერთობის „მოწესრიგებას“ კი აღნიშნავს. სპარსელი ისტორიკოსი ერთ საინტერესო ფაქტსაც გვაცნობს, რომელსაც შემდეგში სავალალო შედეგი მოჰყვა, როგორც ქართლის მეფისათვის, ისე მთელი აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისათვის. ისკანდერ მუნშის მოვუსმინოთ: მას შემდეგ რაც შაჰმა ლუარსაბი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ამის შემდეგ მან თავისი ერთ-ერთი კარისკაცი მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუ ქართლში გაგზავნა, „რათა მოეკითხა გარდაცვალებულის (გიორგი X

---

[1] ქართულ საისტორიო მწერლობაში აღნიშნულია, რომ გიორგი მეფეს ორი ქალიშვილი – ხორეშანი და თინათინი ჰყავდა (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 420; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 384). ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით კი, ლუარსაბის იმ დას, რომელიც შაჰმა შეირთო ლელა ერქვა (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, გვ. 228). ნასროლა ფალსაფის მიხედვით, ლუარსაბის ერთ დას თინათინი ან ლელა ერქვა და იგი შაჰ აბასს ჰყავდა ცოლად. მისი ძმის, ლუარსაბ II-ის მოკვლის შემდეგ, შაჰმა იგი ფეიქარ ხანს აჩუქა (უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული. ისტორია, 6, თბ., 1978, გვ. 42). ლუარსაბის მეორე და – ხორეშანი, თეიმურაზ I-ის მეუღლე იყო. ცნობილი არ არის ჰყავდა თუ არა გიორგი მეფეს სხვა ქალიშვილი – გულჩარა, რომელიც სვიმონ მეფის ოსმალთა ტყვეობიდან დახსნას ცდილობდა და ოსმალეთ-ირანს შორის საზავო მოლაპარაკებაში აქტიურად მონაწილეობდა. გულჩარას გიორგი მეფის ასულობის დამტკიცება სცადა მ. სვანიძემ (სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 238-240). მეც, მისი გავლენით, არასწორად, გულჩარა თინათინად მივიჩნიე (იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 328-329).

–ე.მ.) ნათესავები და შაჰის წყალობის იმედი მიეცა... მისი თანხლებით მასთან ერთად შაჰის კარზე ჩამოვიდა ბევრი ქართველი ბატონიშვილი და აზნაური, რომელნიც ***[შაჰის კარის] ზღურბლზე კოცნის ბედნიერებით განდიდებული და [შაჰის] განსაკუთრებული მოპყრობით გამორჩეული გახდნენ.*** იმ სამეფო გვარს ბედნიერი ხელმწიფისაგან შველისა და დახმარების იმედი გაუძლიერდა. დიდებულმა ***ხელმწიფემ თავისი მწყალობელი [ბუნების] გამო, ქართველ უფლისწულებს, მათი ხარისხის მიხედვით, შაჰური მოკითხვით მიუალერსა, ხელმწიფური საჩუქრებით დააჯილდოვა, საქმეებიც მათი გულისწადილის მიხედვით მოუწყო და ყველა კმაყოფილი და გახარებული თავის სამშობლოში დააბრუნა.*** ლუარსაბ-ხანსაც მეორედ გაუგზავნა დიდებული ხალათები და მრავალი საჩუქარი და ხელმწიფური წყალობის შეპირებით დააიმედა“[1].

ამონარიდიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შაჰ აბასის მიერ ქართლის დიდებულებისაგან ერთგულების და ქვეშევრდომობის ფიცის მიღება და მათი საქმეების „მათი გულისწადილის მიხედვით“ მოწყობა, რაც ახალგაზრდა მეფის ხელისუფლებას საყრდენს აცლიდა. მისი ქვეშევრდომთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი კეთილდღეობით შაჰზე დამოკიდებული გახდა. ეს „ქვეშევრდომნი“ ჰყავდა თეიმურაზს მხედველობაში, როდესაც იგი შაჰს, მისი საქართველოში ლაშქრობების დაწყების წინ გატარებული ღონისძიებების გამო თავის უკმაყოფილებას მოახსენებდა. ანალოგიური სიტუაცია იყო ქართლის სამეფოშიც. აქ შაჰის მომხრეებად ჩანან ქართლის უმსხვილესი თავადები: ნუგზარ და იესე ერისთავები, ანდუყფარ ამილახვარი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, აღათანგ ხერხეულიძე, რომლებიც შაჰ აბასს, საქართველოს საზღვართან გამოჩენისთანავე, მიემხრნენ და განჯაში ეახლნენ.

პიეტრო დელა ვალე საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს შაჰ აბასის მცდელობაზე, ყველა ხერხითა და საშუალებით ქართლისა და კახეთის მეფეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებნა, უფრო მეტიც, მათ ერთმანეთის დაახოცვისაკენ უბიძგებდა. ცდილობდა გამოეწვია უთანხმოება თეიმურაზსა და მის დედა ქეთე-

---

[1] ისქანდერ მუნში, გვ. 65-66.

ვანს შორის, რომელიც მცირეწლოვნი მეფის მეურვე იყო; უკმაყოფილება დაეთესა მეფეებსა და მათს ქვეშევრდომ დიდკაცობას შორის, გაეხლიჩა და ერთმანეთთან დააპირისპირებინა იგივე დიდკაცობა[1]. შაჰი ამგვარი მეთოდით მოქმედებდა, ვიდრე ირან-ოსამლეთის ომი მიმდინარეობდა. იგი გარეგნულად თითქოს ითმენდა თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის თვითნებობას, რაც კახეთის მეფის შაჰთან გამოუცხადებლობით გამოიხატებოდა. თუმცა მან მაინც შეძლო თეიმურაზის ორი ვაჟისა და დედის – ქეთევანის ხელში ჩაგდება და ამით, გარკვეული გაგებით, კახეთის სამეფოზე ზეწოლისა და პირდაპირი აგრესიის ნიადაგი შეამზადა. მის ხელში იყო თავისი ცოლი, ლუარსაბის და თინათინი. თეიმურაზისა და ლუარსაბის შაჰ აბასთან ურთიერთობის ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს, როგორც პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკის პერიოდი.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში დადებული ირან-ოსმალეთის ზავით, ძირითადად, აღდგდა ამასიის საზავო პირობები. გამონაკლისს შეადგენდა სამცხე, რომელიც ისევ ოსმალეთს დარჩა. ზავის დადების შემდეგ, შაჰ აბასმა „გურჯისტანის“ საკითხის სბოლოოდ მოგვარებისათვის მოიცალა. ერთხელ კიდევ გამოჩდა როგორი კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოსათვის ორ აგრესიულ სახელმწიფოს – ირანსა და ოსმალეთს შორის მშვიდობის დამყარებას.

იმის თქმა, რომ ქართლისა და კახეთის პოლიტიკოსებისათვის უცნობი იყო ირანის სამზადისი მათ წინააღმდეგ, სწორი არ იქნება. ორივე სამეფოში და ერთმანეთის მიმართაც გადაიდგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საერთო მტრისათვის ღირსეულად დახვედრას ითვალისწინებდა. ქართლისა და კახეთის იმ გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც პოლიტიკას განაგებდნენ, ორ სამეფოს შორის მშვიდობის დამყარებისა და თავდაცვისათვის თეიმურაზი დააქორწინეს ქართლის მეფე ლუარსაბის დაზე – ხორეშანზე და მეფეებს შორის ხელშეკრულებაც გაფორმდა ერთობლივი თავდაცვის შესახებ. ხელშეკრულებას არ მოჰყვა რაიმე რეალური შე-

---

[1] მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან მერვისადმი, 1627 წ. თარგმანი იტალიურიდან ი. ჭყონიასი. „ივერია“, 1879, №3, გვ. 41-43 (შემდეგში ყველგან პიეტრო დელა ვალე).

დეგი, თუმცა საქორწინო დიპლომატიამ საკმაოდ სერიოზული ვნებათა ღელვა გამოიწვია.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XVII ს. პირველ მეოთხედში ქართლსა და კახეთში არ მომხდარა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც შაჰ აბასის ხელი არ ერია, რა თქმა უნდა, უარყოფით ასპექტში. იგი ყველა ხელსაყრელი შემთხვევის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა. ასეთი იყო თეიმურაზის ქორწინებაც.

როგორც ცნობილია, 1607 წელს თეიმურაზმა იქორწინა მამია II გურიელის ასულ ანაზე, რომელთანაც ორი ვაჟი – ალექსანდრე და ლევანი შეეძინა. ანა გარდაიცვალა 1610 წელს. შაჰ აბასმა 1611 წელს სამძიმრის გამოსახატავად თეიმურაზთან ფეხშიშველი კარმელიტების ორდენის წევრი ჯოვანი ტადეო გაგზავნა, რომელმაც თეიმურაზ მეფეს შაჰ აბასის სამძიმრის წერილი გადასცა[1].

თეიმურაზმა 1612 წელს ლუარსაბ II-ის და ხორეშანი შეირთო.

თეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინებამ საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. უცხოელების თქმით, კახეთის მეფის მეორე

---

[1] მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიოზო სამ სხვა მისიონერთან ერთად 1604 წელს რომიდან ირანში გაემგზავრა და შაჰ აბასს პაპი კლემენტი VIII-ის (1592-1605) ეპისტოლე წაუღო. მისიონერებმა რეჩ პოსპოლიტასა და რუსეთზე გავლით იმოგზაურეს. ისინი რეჩ პოსპოლიტაში იყვნენ, როცა პაპი კლემენტი VIII გარდაიცვალა. ახალმა პაპმა პაოლო V-მ (1605-1621) გზის გაგრძელების ნება დართო. ჯოვანი ტადეომ 1607 წლის 20 დეკემბერს შაჰს გერმანიის იმპერატორის, რეჩ პოსპოლიტის მეფისა და რუსეთის ხელმწიფის წერილები ისპაანში გადასცა. შაჰმა საპასუხო წერილების წაღება მასვე დაავალა. ევროპისკენ მიმავალმა პატრმა საქართველოში გაიარა და თეიმურაზს შაჰის სამძიმრის წერილი გადასცა (ვფიქრობ, ეს იტალიური წყარო აზუსტებს ანა დედოფლის გარდაცვალების აქამომდე მიღებულ დროს – 1612 წელს (შდრ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 346). ჯოვანი ტადეო შემდეგში ირანში კათოლიკე ეპისკოპოსი გახდა. ის იმდენად კარგად დაეუფლა სპარსულს, რომ მოგვიანებით მან და პიეტრო დელა ვალემ თეიმურაზ I-სა და კათალიკოს ზაქარიას მიერ რომში გაგზავნილი სპარსულად დაწერილი წერილები თარგმნეს. (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 19-20, 32, 196; III, გვ. 92).

ქორწინებით განსაკუთრებით შაჰ აბასი გაღიზიანდა. ჯერ არ-ქანჯელო ლამბერტის მოვუსმინოთ: შაჰ აბასმა თეიმურაზს, საქარ-თველოში გაშვების წინ მრავალი დარიგება მისცა წერილობით, რომელთაგან მთავარი იყო ის, რომ „როგორც ქრისტიანს მას შე-ეძლო ჰყოლოდა მხოლოდ ერთი ცოლი... ერთი მხრივ მას შეეძლო ნებისმიერ ქალზე დაქორწინებულიყო, თუ მოეწონებოდა იგი. ამას-თანავე დოკუმენტში იყო, რომ რამდენადაც არ უნდა მოსწონებოდა ერთი თეიმურაზს, ერთი პიროვნებისათვის, რომელიც განთქმული იყო თავისი სილამაზით, მას თავი მაინც უნდა აერიდებინა. თუ ის ამ რჩევას დაარღვევდა და მასზე დაქორწინდებოდა მაშინ, რო-გორც ეს დოკუმენტში იყო ნათქვამი, ეს გამოიწვევდა თეიმურაზის მთელი სამეფოსა და პირადად მის დაღუპვასაც. ლაპარაკი იყო უკ-ვე გარდაცვლილი სიმონ ხანის ქალიშვილზე, ქართლის მეფე ლუ-არსაბის დაზე, რომელსაც დარეჯანი[1] ერქვა. იგი ისეთი ლამაზი იყო, რომ მის სილამაზეზე ხმამ ირანში შეაღწია და ირანის შაჰის გული იმდენად განგმირა, რომ გადაწყვიტა დაუფლებოდა მას და ამიტომ უკრძალავდა თეიმურაზს მის შერთვას“[2].

პიეტრო დელა ვალე[3] თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინე-

---

[1] დარეჯანი თეიმურაზის ასულს ერქვა. ლუარსაბის ის და, რომელზეც არქანჯელო ლამბერტი ლაპარაკობს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხორე-შანი იყო.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 78.

[3] პიეტრო დელა ვალე (1586. 11. IV – 1652). ახალგაზრდობაში სოლიდური ცოდნით აღიჭურვა სხვადასხვა მეცნიერებაში: მუსიკაში, ხელოვნებასა და პოეზიაში. 1614-1626 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. დიდ ხანს იყო ირანში (1617- 1623). თავის შთაბეჭდილებებს წერილობით უზიარებდა ნეაპოლელ მეგობარს მარიო სკიპანოს, რომლის რჩევით, სამ-შობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს წერილები გამოაქვეყნა. ისინი ითარ-გმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. ვალეს თხზულებაში უძვირფასესი ცნობებია საქართველოსა და ქართველებზე. ის ირანში გაეცნო და დაუ-ახლოვდა კიდეც მრავალ ქართველს. ცოლად ჰყავდა ქართველი „ქალბა-ტონი თინათინ ძიბა“. შირაზში გაიცნო ქეთევან დედოფალი, რომლის წამებით მოკვდინების შესახებ ბასრაში შეიტყო დომინიკანელი ბერის გრეგორიო ორსინისაგან. ის დიდი მონდომებით აგროვებდა წამებული დედოფლის ნაწილებს და ცდილობდა ვატიკანს ეღიარებინა მისი მოწა-მებრივი აღსასრული.

ბას შაჰ აბასის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად მიიჩნევს. როდესაც შაჰი მათი მიწა-წყლის საზღვართან მივიდა, მან ორივენი – თეიმურაზი და ლუარსაბი თავისთან დაიბარა, რათა მომხდარის შესახებ ანგარიში ჩაებარებინათ და [თეიმურაზის] ცოლი მასთან მიეყვანათ. მას უნდოდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ხელთ ეგდო იგი, რათა მას თეიმურაზთან გაეწყვიტა საქორწინო კავშირი, რომელიც აქამომდე დიდი ხნის წინათ იყო დადებული...“[1]

როგორც ცნობილია, კახთა მეფე ალექსანდრე II-ის და ნესტან-დარეჯანი ქართლის დედოფალი, სიმონ I-ის მეუღლე იყო. მათი ვაჟის გიორგის ასული იყო ხორეშანი. ალექსანდრეს შვილიშვილი იყო თეიმურაზ დავითის ძე. ამგვარად, თეიმურაზი და ხორეშანი და-ძმის – ნესტან-დარეჯანისა და ალექსანდრეს შვილიშვილები იყვნენ.

რადგან ეს ქორწინება შაჰის ზეწოლით ხდებოდა, მის წინააღმდეგ პირველ რიგში მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსები. მისი ჩანაფიქრი, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, ქართველებში ისლამის კანონით დაშვებული წესის დანერგვა იყო, რაც მათ შორის დაპირისპირებას კიდევ

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, 1626 წ. ვალემ პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა ვრცელი მოხსენება საქართველოს შესახებ. მასში აღწერილი იყო ქართველი ხალხის მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობა, არის საინტერესო ცნობები ძველი საქართველოს, ქართლისა და კახეთის სამეფოების და მათი მეფეების – ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ I-ის შესახებ, მათ ურთიერთბაზე შაჰ აბასის ირანთან, ირანში მცხოვრებ ქართველებზე, განსაკუთრებით კი ქეთევან წამებულზე. მან პაპს მოუწოდა სასწრაფოდ დახმარებოდა ქართველებს და მათი სულის ხსნისათვის საქართველოში მისიონერები გაეგზავნა. ვალეს მოხსენების საფუძველზე პროპაგანდა ფიდეს კრებამ დაადგინა საქართველოში გაეგზავნათ თეატინელთა ორდენის მისიონერები დონ პიეტრო ავიტაბილეს მრთაურობით. (Pietro Della Vale, Viaggi descritti in 54 famigliari, 4 vol., Roma, 1650-1658 di cui si son fatte piu edizioni e traduzioni; გულბეკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდიოლის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნეს ი, ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987; Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994).

[1] პიეტრო დელა ვალე, გვ. 45.

უფრო გაამძაფრებდა. ამ ქორწინებით გამოწვეული წინააღმდეგობის ორგვარი ახსნა გვაქვს. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „ბატონის თეიმურაზის პაპა ბატონი ალექსანდრე (II) და ხორეშან, დედოფლის ბებია, ნესტან-დარეჯან დედოფალი და-ძმანი იყვნენ, ბატონის ლევანის შვილები არიან და ქრისტიანობაში უმჭდურნი ყოფილან და მერჯულენიც ნებას არ ყოფილან და არაგვის ერისთვის შვილისთვის ნაქადები ყოფილა და კრება უქნიათ ამაზედ, რომ დაძმათ შვილისშვილები ერთმანეთს ვით შერთონ. ასრე არჩივეს საქრისტიანოს (ქართლ-კახეთის –ე.მ.) გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, მერჯულეთ ნება დართეს“[1]. ქორწინების წინააღმდეგი ყოფილა ხორეშანის ძმა, ქართლის მეფე ლუარსაბ II-ც: „ესე არა ინება მეფემან ნათესაობისათსა არამედ იძულებითა შაჰაბაზისათა მისცა და ქმნეს ქორწილი დიდებული“[2].

მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში, ისევე როგორც სხვა მრავალ საკითხში, ამჯერადაც არ არსებობდა ერთიანი აზრი. ზოგი მომხრეობდა, ზოგი წინააღმდეგი იყო. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, „მისიანებმაც არ დააყოვნეს და თეიმურაზს სწორედ დარეჯანის (ხორეშანის –ე.მ.) შერთვა ურჩიეს. ეუბნებოდნენ, რომ მასზე უკეთეს საცოლეს ვერ მონახავდა, რადგან იგი იყო უბადლო, კეთილშობილური სისხლის. არ მოიძებნებოდა სხვა ქალი, რომელიც დარეჯანს შეედრებოდა სილამაზით. რამდენადაც მას სხვა ძმა არ ჰყავდა გარდა ლუარსაბისა, ხოლო ისიც უშვილო იყო, ადვილად შეიძლებოდა ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი მისი სამეფოს ბატონ-პატრონიც გამხდარიყო და ეს ორი სამეფო გაერთიანებული საშიში ძალა იქნებოდა, როგორეც მეზობელი ქვეყნებისათვის, ისევე თვით ირანის მრისხანე ხელმწიფისათვის“[3].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. სარგის კაკაბაძის გამოცემა. „საისტორიო მოამბე“, წ. II, 1925, გვ. 228. თითქმის იგივეს გადმოგვცემს პარიზის ქრონიკა. პარიჟის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოჲსა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1903, გვ. 24.

[2] ქართლის ცხოვრება,II, გვ. 424.

[3] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 79.

თეიმურაზის ხორეშანზე დაქორწინების ინიციატორი რომ შაჰ აბასი იყო, ამას არჩილი თეიმურაზსაც ათქმევინებს: როგორ მიიწვია შაჰმა თავისთან დაქვრივებული კახეთის მეფე და მოსთხოვა, რომ ლუარსაბს დამოყვრებოდა, ამ ქორწინებით ჯერ ხომ ორი ქართველი მეფე გაერთიანდებოდა და, რაც მთავარი იყო, თეიმურაზი შაჰ აბასის ქვისლი გახდებოდა, რომელსაც ლუარსაბის და ჰყავდა ცოლად. თეიმურაზი, თურმე, დიდ წინააღმდეგობას უწევდა შაჰის ამ მოთხოვნას, როგორც მისი რჯულისათვის მიუღებელ, უკანონო ქმედებას, მაგრამ შაჰის ნება ურყევი იყო[1]. თეიმურაზი შემდეგ ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ შაჰის ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილე, მას მაინც გადაწყვეტილი აქვს „კახეთი მან დაირჩინოს, ბაგრატიონნი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს“[2].

თეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინების მართლმადიდებელთათვის მიუღებლობის შესახებ, საქართველოს საზღვრებს გასცდა. 1636-1640 წლებში საქართველოში, კერძოდ, კახეთში ნამყოფი რუსეთის ელჩობის წევრების მიხედვით, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანის III-მ (1608-1644) XVII ს. 10-იანი წლების დასასრულს (1618-1619), კახეთში ყოფნისას, ქორწინება უკანონოდ გამოაცხადა. „იმ იურის (გიორგის –ე.მ.) და ალექსანდრე მეფის დის ქალიშვილი, რუსულად ქრისტიანა, ქართულად ხორეშანი, ამჟამად თეიმურაზის ცოლია და თეიმურაზს მამის მამიდაშვილად მოხვდება. როცა იერუსალიმის პატრიარქი თეოფანისი საქართველოში იმყოფებოდა, მათი გაყრა მოინდომა. მეფემ და დედოფალმა თეოფანისს მისცეს ძველებური, თვლებით მოჭედილი ოქროს თასი და მრავალი ოქრო და მან მათ ძველებურად ცხოვრების ნება დართო“[3].

თეოფანისისათვის უხვი საჩუქრების მირთმევა მისი განრისხების თავიდან აცილების მიზნით მოხდა. თეიმურაზმა ეკლესიისადმი „დახმარებით“, პატრიარქისაგან პატიება მოიპოვა.

---

[1] არჩილი, სტრ. 401-405.

[2] იქვე, სტრ. 441.

[3] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Документы к печаты подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тб., 1937, с. 416; მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 52-53.

უცხოელი დამკვირვებელი არქანჯელო ლამბერტი ქართველ ფეოდალთა იმ ნაწილის (დავარქვათ მას პროგრესული ნაწილი) აზრს გამოხატავს, რომლებისთვისაც ქვეყნის (ამჯერად მხოლოდ ქართლისა და კახეთის) გაერთიანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მათ ჰყავდათ სერიოზული ძალის გავლენის მქონე მოწინააღმდეგენი, რომლებიც გარეშე ძალას ეყრდნობოდნენ. ამგვარად, კახეთში და ქართლში დიდებულთა ორი ბანაკი ჩამოყალიბდა. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე იტყოდა, „მაგრამ ***ამათი დამოყვრება და ქართლისა და კახეთის გაერთება ზოგთ ქართველთა და კახთა ეწყინათ და ყაენსთან ავგვარად შეაბეზღეს*** და ყაენმან იწყინა და გაავგულდა და საცადელათ ორთავ (თეიმურაზი და ლუარსაბი –ე.მ.) მაზანდარას სანადიროდ დაჰპატიჯა“[1].

ირანის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სამეფოების მიმართ სულ უფრო მკაცრდებოდა, რაც ყველაზე ნათლად თეიმურაზ მეფის ოჯახის მაგალითზე გამოჩნდა: შაჰ აბასმა ჯერ ერთი შვილი და დედა წაჰვვარა, შემდეგ მეორე შვილი და დაჟინებით მოითხოვდა თვით მეფის ხლებას ირანში. თეიმურაზი რომ კარგად ხვდებოდა შაჰის ჩანაფიქრს, იქიდანაც ჩანს, რომ იგი შაჰისათვის მიცემული მრავალი დაპირების მიუხედავად, მას არ ეახლა. ამიტომ სიმართლეს არ შეეფერება თვით თეიმურაზის ნათქვამი, რომ შაჰ აბასმა „მოგვატყუა მოფერებით და მოჩვენებითი მეგობრობით, არაგულწრფელი სიყვარულით, მერე მოულოდნელად თავს დაგვესხა და ჩვენი მიწაწყლიდან გაგვაძევა“[2]. შაჰის ვერაგობასა და ცბიერებაზე აკეთებს აქცენტს თეიმურაზ მეფე მოსკოვში გაგზავნილ წერილში და აღნიშნავს როგორ მანიპულირებდა იგი ირანში წაყვანილი უფლისწულებით. თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ დანაპირების მიხედვით, შაჰი მას უფროს ვაჟს დაუბრუნებდა და ამიტომ მობილიზებული მეომრები სახლებში გაუშვა, ამით ისარგებლა შაჰმა და კახეთის სამეფოს თავს დაესხა[3].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 228. შაჰ აბასის ამ ქორწინებით უკმაყოფილობის შესახებ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს არქანჯელო ლამბერტი. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 79-81.

[2] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 70

[3] Там же, с. 45.

თეიმურაზის, ყიზილბაშთა საქართველოში შემოჭრის წინა პერიოდის, წერილებიდან და არჩილ მეფის „გაბაასებიდან“ ისე გამოდის, რომ თეიმურაზი გულუბრყვილოდ ენდობოდა შაჰ აბასს და მისი ყველა სიტყვისა და დანაპირებისა სჯეროდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამდენად, მიჭირს გავიზიარო ლ. ტუხაშვილის მოსაზრება, თითქოს თეიმურაზ მეფემ დროულად ვერ გამოიცნო შაჰ აბასის განზრახვა და მოუმზადებელი შეხვდა მტერს. ასევე ფიქრობს დ. კაჭარავაც[1]. რა თქმა უნდა ვერც ისქანდერ მუნშის სიტყვებს ვენდობი, განსხვავებით დ. კაჭარავასაგან, რომელიც იმოწმებს მის ერთ-ერთ გამონათქვამს: „ქართველებსა და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“[2]. დ. კაჭარავა ქართლსა და კახეთში შაჰ აბასის მიერ მოწყობილ აკლება-აწიოკებასა და გენოციდში ბრალდებას უყენებს მათსავე მეფეებს. მას მიაჩნია, რომ „იმ საშინელ ტრაგედიაში, რომელიც შაჰ აბასმა თავს დაატეხა საქართველოს, პირველ რიგში ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს მიუძღვოდათ ბრალი“[3]. მაგრამ მკვლევარი არ ამბობს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქართველი მეფეები. ვფიქრობ, ამგვარი უმართებულო განცხადება მაშინდელი საისტორიო წყაროების ზერელე ანალიზის შედეგია.

მკითხველს შევახსენებ, რომ ისქანდერ მუნში შუასაუკუნეების არც პირველი და არც უკანასკნელი ისტორიკოსია, რომლისთვისაც მისი ბატონის ყველა მომხრე ჭკვიანი და წესიერია, მოწინააღმდეგე კი, უვიცი, უკულტურო, ორპირი, მოდალატე და ა. შ. ახლა თვალი გადავავლოთ ისქანდერ მუნშის თხზულებაში მიმობნეულ გამონათქვამებს ქართველ მეფეებზე. შაჰ აბასის ეს მეხოტბე ისტორიკოსი, არაერთხელ ცდილობს მკითხველის თვალში

---

[1] ტუხაშვილი ლ., ეროვნული ხსნის გასაყართან, ჟურნ. „ცისკარი“, № 9, თბ., 1983, გვ. 111.. იხ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1998, გვ. 149; კაჭარავა დ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის (XVII-XVIII სს.). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბ., 1997, გვ. 310.

[2] ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 150; ქართული დიპლომატია, IV, თბ., გვ. 311.

[3] ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 150.

დაამციროს თეიმურაზი (ასეთივეა მისი შეფასებანი ყველა იმ ქართველის მიმართ, რომლებიც შაჰ აბასის მუხლებს არ მოეხვიენ): „მუდამ აცდენდნენ უვიცსა [და] გამოუცდელ [თეიმურაზს] სწორ გზას და არწმუნებდნენ მას, არ წასულიყო ცის მსგავს სასახლეში (შაჰის კარზე)“[1]; „[თეიმურაზმა] ბოროტგამზრახველების წაქეზებით, ამჯერად საპატიო მიზეზის გარეშე უარი სთქვა [მოსვლაზე] და [შაჰის] სამსახურის ბედნიერებას არ ეზიარა“[2]; თეიმურაზთან, რომელიც „გამოუცდელი და უვიცი, ხელმწიფის ჩრდილქვეშ იყო გამოზრდილი“, შაჰ აბასმა მასთან თავის კაცი გაგზავნა, რათა მისთვის „დაუდევრობის ბამბა ამოეცლია ყურებიდან“[3]; „თეიმურაზი და ლუარსაბი, ეს ორი უვიცი და უგუნური...“[4] ხოჯა მოჰამედ რეზამ „მჭერმეტყველებით, ბრძნული გამოკვლევით და ჭკვიანური, გონიერი სიტყვით ის ველურები და „უმეცრების ველზე მოხეტიალენი (იგულისხმება იმერეთის სამეფო კარი და იქ თავშეფარებული მეფეები – თეიმურაზი და ლუარსაბი–ე.მ.) ისევ გამოიყვანა მტრობის სადგომიდან და ერთგულებისა და თანხმობის მოსურნე გახადა“[5]. „ლუარსაბმა თავისი გარეგნობა წრფელი ერთგულების კვართით შეიმკო, შიგნით კი ვერაგობით და მზაკვრობით [სავსემ], რაც იმ ხალხის (ქართველების –ე.მ.) ბუნებას შეადგენს“[6]. სხვა მსგავსი, ქართველი ხალხის, მათი მეფეებისა და დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველების შეურაცხმყოფელი ეპითეტების ამოკრება შეიძლება ისქანდერ მუნშის ნაშრომიდან. მაგრამ, ვიმეორებ, თეიმურაზი, როგორც მთელი მისი ცხოვრებიდან, პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობიდან ჩანს, იყო საკმაოდ პრაგმატისტი და დასახული მიზნის მიღწევისათვის შეუპოვარი. ის რომ მართლა ისეთი ყოფილიყო, როგორსაც არჩილი წარმოაჩენდა, მაშინ იგი გამეფებისთანავე შაჰის მსხვერპლი ან ირანის მბრძანებლის ყველა სურვილის ამსრულებელი გახდებოდა და მის ოჯახს

---

[1] ისქანდერ მუნში, გვ. 69.
[2] იქვე, გვ. 69-70.
[3] იქვე, გვ. 83.
[4] იქვე, გვ. 88
[5] იქვე, გვ. 88-89.
[6] იქვე, გვ. 91.

და ქვეყანას ის უბედურება ასცდებოდა, რომელიც შაჰ აბასმა საქართველოში დაატრიალა.

ალბათ, საინტერესო უნდა იყოს, ერთ-ერთი ევროპელი დამკვირვებელი, ირანში მოპოვებული ცნობების მიხედვით, როგორ მსჯელობს შაჰ აბასის მიერ „გურჯისტანის“ აკლებაზე. 1617 წლის 24 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაგზავნილია ესპანეთის მეფისადმი, აღნიშნულია, რომ კახეთის დედოფალი-ბეგუნი ქეთევანი, აღმოსავლეთ საქართველოს ანუ გურჯისტანის, იგივე ალბანიის[1] მმართველის დედა, შირაზში ჩამოიყვანეს. „ეს ქრისტიანი დედოფალი არ იყო დამნაშავე, – წერს ანონიმი ავტორი, – თავისი შვილის [თეიმურაზის] აჯანყებისათვის, მაგრამ ირანის შაჰმა, აღშფოთებულმა იმით, რომ მისი შვილი ხელთ ვერ იგდო, გაანადგურა და გაძარცვა მთელი ქვეყანა, 80 ათასი სული ტყვე ხელთ იგდო და ამასთანავე, ეს დედოფალი 8 და 9 წლის ორი ბავშვით, მისი შვილიშვილებით, იგივე თეიმურაზის შვილებით“[2].

ამგვარად, სხვადასხვა მიზანდასახულების წყაროები, სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას ითხოვს. გასაგებია არჩილ მეფის პოზიცია, როდესაც თეიმურაზის შაჰისადმი უსაფუძვლო ნდობასა და მის გაუტანლობაზე გადმოგვცემს, ამით მას უნდა ხაზი გაუსვას შაჰის უსამართლოდ მოქმედებას.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, რამდენი სიკეთე არ ჩაიდინა შაჰ აბასმა თეიმურაზ მეფისა და ლუარსაბ მეფის ბედნიერებისათვის, მაგრამ ისინი იმდენად უვიცნი და დაუნახავები იყვნენ, რომ შესაფერისად ვერ გამოიყენეს ეს სიკეთე და შაჰისადმიც უპატივისცემოდ იქცეოდნენ. ამიტომ მოიმკეს მათ ის ნაყოფი, რაც დაიმსახურეს. ასეთია ისქანდერ მუნშის თხზულების პათოსი.

ზემოთ დამოწმებული ესპანური წყაროს ავტორი კი, რომელიც, როგორც ჩანს, დაახლოებული იყო ირანის მმართველ წრეებთან, ახმოვანებს იმ ბრალდებას, რასაც თეიმურაზს ირანში

---

[1] შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ წყაროებსა და ლიტერატურაში, გარდა პიეტრო ავიტაბელეს რელაციისა, კახეთი ყოველთვის „ალბანეთად“ მოიხსენიება.

[2] დოკუმენტები, № 46, გვ. 384.

უყენებდნენ და ამით სურდათ გაემართლებინათ ის საშინელება, რაც ყიზილბაშებმა საქართველოში ჩაიდინეს.

გადავხედოთ რა ხდებოდა თეიმურაზისა და შაჰ აბასის ურთიერთობაში, მანამდე, ვიდრე ქართლ-კახეთში ტარაგედია დატრიალდებოდა. აი რას გადმოგვცემს ისქანდერ მუნში: თეიმურაზის გამეფებისთანავე, „საქართველოს დიდებულებმა და იმ ხალხის ბერებმა“, ალბათ იმიტომ, რომ ირანთან მშვიდობა უნდოდათ და იმიტომაც, რომ ქრისტიანი მეფე დაანებათ შაჰმა, განაცხადეს მორჩილება და იკისრეს ალექსანდრე მეორის დროს თუ ირანის წინაშე შესაფერის სამსახურს ვერ სწევდნენ, ყველაფერს აანაზღაურებდნენ. ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ შაჰ აბასმა 1607 წელს მოითხოვა, რომ „თეიმურაზ-ხანი მოსულიყო გაწყობილი ჯარით შემახის ციხეში და [შაჰის] სამსახურად დამდგარიყო“. მაგრამ თეიმურაზი შაჰს არ ეახლა. როგორც ისტორიკოსი ამბობს, კახეთის მეფემ ვიღაც „ბოროტგანმზრახველებს“ დაუჯერა, შაჰს ბოდიში შეუთვალა და „ითხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ ამჟამად მაღალ კარზე ხლებისაგან და რომ ***გამოგზავნიდა თავის დედას – დედოფალს, რომელიც მისი ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო***“[1]. პიეტრო დელა ვალეც აღნიშნავდა, რომ ***„რამოდენიმე წლის განმავლობაში, როცა თეიმურაზ მცირე წლოვანი იყო, ქვრივი ქეთევანი ჰმართავდა სახელმწიფოს“***[2].

რა შეიძლება ვიფიქროთ თეიმურაზ მეფის სახელით შაჰისათვის შენათვალზე. უეჭველია, რომ თეიმურაზი შაჰთან არ გაუშვა მისმა დედამ, დედოფალმა ქეთევანმა და წერილიც მისი დაწერილი იქნებოდა. მან კარგად იცოდა, შაჰის ვერაგობა, მისი ოინები კახეთის სამეფო კარზე და პირადად მის ოჯახში. მისთვის ისიც ნათელი იყო, რატომ დათანხმდა აბასი თეიმურაზის კახეთში გამეფებაზე. შაჰს უნდოდა კონსტანტინეს ნამოქმედარით გამოწვეული კახელების სამართლიანი გულისწყრომა დაეცხრო. მაგრამ ისიც გასაგები იყო, რომ ეს შაჰის დროებით უკან დახევა იყო იმ გენერალური ხაზიდან, რომელიც მიზნად ისახავდა კახეთის გადაქცევას ირანის ერთ-ერთ სახანოდ. ქეთევანი მზად იყო

---

[1] ისქანდერ მუნში, გვ. 69.

[2] პიეტრო დელა ვალე, გვ. 41

თავი გაეწირა ყმაწვილი შვილისათვის. ქეთევან დედოფლის დიდ გავლენაზე კახეთის სამეფოში აღნიშნავს ისქანდერ მუნშიც[1].

შაჰი, ვითომდაც თავის ავტორიტეტს უფრთხილდებოდა (რა თქმა უნდა, არც უამისობა იყო) და მაინც მოითხოვდა, რომ ჯერ თეიმურაზი „მსუბუქად გვეახლოს სამსახურად. მიიღებს უკან დაბრუნების ნებართვას და შემდეგ, როცა წავა, თავის დედას გამოატანოს ლაშქარი, რამდენსაც შეძლებს“.

ქეთევან დედოფალი, მართლაც „ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა“, შაჰის ბანაკში მივიდა, სადაც კარგად მიიღეს, მაგრამ ქართველთა რაზმი არავითარ საქმეში არ გამოიყენეს და უკან დააბრუნეს[2].

1610 წელს თეიმურაზ მეფე არდებილში შაჰ აბასის ბანაკში მივიდა და, თუ ისქანდერ მუნშის დავუჯერებთ, მან ეს თავისი სურვილით, შაჰისაგან ძალდატანების გარეშე გააკეთა. თეიმურაზს იქ დახვდა ქართლის მეფე ლუარსაბი. მათ ორივეს რაც სათხოვარი ჰქონდათ, შაჰმა შეუსრულა და სამშობლოში გამოისტუმრა[3].

ისქანდერ მუნში შემდეგში უბრუნდება თეიმურაზისა და ლუარსაბის შაჰ აბასთან ყოფნის საკითხს და დამატებით გვამცნობს, რომ გამგზავრების წინ მათ შაჰს სთხოვეს, თუ იგი სანადიროდ და „სასეიროდ“ წასვლას განიზრახავდა, ეცნობებინა ქართველი მეფეებისათვის და ისინიც „მსუბუქად და მარტო“ მიიღებდნენ მონაწილეობას. „ისინი პირობას სდებდნენ შაჰის წინაშე, რომ თუ ხელმწიფე საჭიროდ დაინახავს ჩვენს დასწრებას, მალემსრბოლს გამოგზავნის და მიგვიხმობს, იმავ წუთს გამოვემართებით და ნიავქარივით [სწრაფად] ბედნიერ ამალაში მოვალთო“[4]. მაგრამ, როდესაც შაჰმა მართლაც მიიწვია ისინი სანადიროდ მაზანდარანში და კაციც გაუგზავნა, მათ „იმდენი იძვრინეს თავი, რომ მაზანდერანში [უკვე] დათბა, გაზაფხული და ნადირობის დრო გავიდა და მისი დიდებულება შაჰიც იმ ველაიეთიდან წამოვიდა. ამგვარად, მეფეებმა პირობა დაარღვიეს“.

---

[1] იქვე.
[2] იქვე, გვ. 69-70.
[3] იქვე, გვ. 76-77.
[4] იქვე, გვ. 80.

სპარსელი ისტორიკოსის მონათხრობის მიზანია, მკითხველს შეუქმნას შთაბეჭდილება თეიმურაზ I-ისა და ლუარსაბ II-ის მიერ შაჰ აბასის მოტყუების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფეებს ამგვარი მოქმედების საფუძველი ჰქონდათ. ძალზე საყურადღებოდ მიმაჩნია იმავე ისტორიკოსის ერთი, გაკვრით ნათქვამი წინადადება: თეიმურაზ მეფეს შაჰთან აუდიენციის დროს პირდაპირ უთქვამს, რომ იგი „ზოგიერთ ქართველ აზნაურზე ცუდი შეხედულებისა იყო“. აქედან არ ჩანს თეიმურაზს მხოლოდ კახელი აზნაურები ჰყავდა მხედველობაში თუ კახელი და ქართლელიც. მაგრამ მინიშნება კი არის, რომ მან, როგორც თავისი, ისე ლუარსაბის სახელით უკმაყოფილება გამოთქვა. ისიც საინტერესოა, მაგრამ არ ჩანს, თეიმურაზს ირანში თუ საქართველოში მცხოვრები აზნაურები ჰყავდა მხედველობაში. სავსებით მოსალოდნელია, მას მხედველობაში ჰყავდა პროირანულად განწყობილი ის ფეოდალები, რომლებიც კახეთისა და ქართლის სამეფოში მეხუთე კოლონას ქმნიდნენ და ზეწოლას ახდენდნენ სამეფო კარზე. ჩემი ვარაუდი რომ უსაფუძვლო არ არის, არაპირდაპირ ჩანს ისკანდერ მუნშის შემდეგ ნათქვამში: „მაღალმა ხელმწიფემ ყურადღება მიაპყრო მისა (თეიმურაზისა –ე.მ.) და ქართლის მეფის ლუარსაბის, რომელიც ხელმწიფეს ახლდა, მდგომარეობას, შეასრულა ორივეს თხოვნა და საწადელი, წყალობა უყო და წასვლის ნება მისცა. ისინიც დაკმაყოფილებულნი თავთავის ქვეყანაში წავიდნენ“[1].

სავარაუდოა, თეიმურაზს მხედველობაში ჰყავდა შაჰის კარზე მყოფი გიორგი სააკაძე და მის გარშემო შემოკრებილი თეიმურაზისა და ლუარსაბის უკმაყოფილო თავადაზნაურები.

უკვე ითქვა, რომ შაჰ აბასმა ახლად გამეფებულ ახალგაზრდა მემეფეებს ქართლსა და კახეთში მაშინვე ოპოზიცია გაუჩინა, რომლის წევრებიც თავიანთი კეთილდღეობით საკუთარ მეფეზე კი არა, შაჰზე დამოკიდებულნი იყვნენ.

შაჰ აბასის მიერ კახეთის მეფესა და დიდებულებს შორის ჩაგდებულმა უთანხმოებამ სერიოზულად იჩინა თავი თეიმურაზის მეორედ ქორწინების შემდეგ, რაშიც შაჰიცა და მისი მომხრე ქართველი დიდებულებიც, ვითომდაც, ქართლ-კახეთის გაერთიანების

---

[1] იქვე, გვ. 76-77.

პირობას ხედავდნენ. როდესაც გაგულისებულმა შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი მაზანდარანს „სანადიროდ დაჰპატიჯა და იქაც მტრებმან დაცდინეს და მაზანდარას წასვლა დაუშალეს და იმავე დამშლელებმან უფრო შემოაბეზღეს და წინანდელთ მობეზღართ სიტყვანი გაამართლეს და ვისაც მათი წახდენა უნდოდა, იმათ კიდევ (მეფეები –ე.მ.) დააფთხეს და შეაშინეს“[1]. ფარსადან გორგიჯანიძე ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის შუღლის ჩამოგდებას და ამ უკანასკნელის ირანში გადახვეწაში ბრალს ისევ დიდებულებს სდებს: „ზოგნი კახეთის საბატიოს კაცის შვილები ყაენის კარზედ იყვნენ ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი და ისინიც მოურავს გაუერთდენ და ქართლსა და კახეთზე გაილაშქრება ჭემწფეს გამოურჩივეს და კიდეც დააჯერეს“[2]. როგორც მეფე არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს, ესენი ის ხალხი იყვნენ ვინც, შაჰის მოთხოვნის შესაბამისად, თეიმურაზს ირანში შვილების გაგზავნას ურჩევდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, თეიმურაზიც შაჰს ხლებოდა[3].

ზემოაღნიშნულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს თეიმურაზ მეფის მიერ შაჰთან გამოთქმული საყვედური ზოგიერთი ქართველი დიდებულის მიმართ. საფიქრებელია, ქართველი მეფეები შაჰისაგან უკმაყოფილონი წავიდნენ და მთავარ ამოცანად ანტიირანული ძალების გაერთიანება დაისახეს მიზნად. ამგვარი გაერთიანების აუცილებლობას დღის წესრიგში აყენებდა ირან-ოსმალეთის ომის დამთავრებაც.

1612 წლის ზავით ირანი გამარჯვებული გამოვიდა ომიდან. ოსმალეთის მთავრობის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს ირანის გავლენის ქვეშ აღიარება, დროებითი იყო. ისიც გასაგები იყო, რომ ირანი ომითა და დიდი მსხვერპლით მოპოვებულ ამ წარმატებას მაქსიმალურად გამოიყენებდა და ერთხელ და სამუდამოდ ქართლსა და კახეთს თავისად გადააქცევდა. ერთი შეხედვით, როგორც ნ. ნაკაშიძე შენიშნავდა, „ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები არ უნდა ყოფილიყვნენ 1612 წლის ზავით უკმაყოფილო: აქ ქრის-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 228.
[2] იქვე, გვ. 229.
[3] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტრ. 459, 462.

ტიანი მეფეები ისხდნენ, რომლებიც ფორმალურად-და ჩანდნენ ირანის ხელდებულად. მაგრამ ეს ფაქტი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა შაჰ აბასის პერსპექტიულ გეგმებს საქართველოს მიმართ, რომელიც გულისხმობდა ქრისტიან ბაგრატიონთა ფიზიკურ მოსპობას, მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, გამაჰმადიანებასა და ამ ტერიტორიაზე მაჰმადიანური სახანოების შექმნას"[1].

ოსმალეთის და ქართველი პოლიტიკოსების შიში, რომ შაჰ აბასი ომით მოპოვებულ უპირატესობას და ოსმალეთთან მშვიდობის დამყარებას აღმოსავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცებისა და „გურჯისტანის" საკითხის სამუდამოდ გადასაჭრელად გამოიყენებდა, გამართლდა.

შაჰის განწყობილება და გეგმები არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდათ ქართველ პოლიტიკოსებს და მათ კონტრღონისძიებების გატარება სცადეს.

1613 წელს ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ანტიირანული კოალიცია, რომლის სულისჩამდგმელად ისკანდერ მუნში ასახელებს შერმაზანს, რომელიც კახელი ბაგრატიონების ახლობელი და ერთგული შერმაზან ჩოლოყაშვილი უნდა იყოს. იგი ქეთევან დედოფალმა თან გააყოლა ირანში შაჰთან გაგზავნილ მცირეწლოვან უფლისწულ თეიმურაზს[2].

ისქანდერ მუნში ქართველი მეფეების შეთანხმების შესახებ წერს: „უეჭველია, რამდენიმე ქართველის, განსაკუთრებით შერმაზანის წაქეზებით დასდვეს მათ პირობა და პაემანი, რომ ამიერიდან ერთმანეთთან თანხმობით ყოფილიყვნენ, იმის საწინააღმდეგოდ, როგორც მათი მამები იქცეოდნენ, და სანამ შესაძლებელი იქნებოდა, თავისი საცხოვრებელიდან არ დაძრულიყვნენ და ყიზილბაშებისათვის არ ჩაეგდოთ თავი [ხელში]"[3]. ისტორიკოსი შაჰის საქართველოზე ლაშქრობის დაწყებას ქართველ მეფე-მთავართა შორის ერთგულების ხელშეკრულების დადებას უკავშირებს.

არაქელ დავრიჟეცი მეფეთა შეთანხმების მიზეზად შაჰ აბასის საქართველოზე გამოლაშქრებას თვლის. ისინი იძულებული

---

[1] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 51.
[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.
[3] ისქანდერ მუნში, გვ. 81.

გახდნენ ერთობლივად დაეცვათ თავი. კავშირის დამყარების ინიციატორი, იმავე ავტორის მიხედვით, ლუარსაბ II იყო. მან თეიმურაზი თბილისში მიიწვია. მათ „***შეჰკრეს პირობა და კავშირი, რომ იქნებოდნენ თანამოზიარენი და თანამოსაქმენი, ერთმანეთისათვის თავს დასდებდნენ და შეეწირებოდნენ ქრისტეს სახელს***“[4].

აღნიშნულ ხელშეკრულებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროები არაფერს ამბობს მეფეების მიერ გატარებულ თავდაცვით ღონისძიებებზე. უფრო მეტიც, თეიმურაზმა ერთი ისეთ მოქმედება ჩაიდინა, რომლითაც საგრძნობლად შეასუსტა თავისი შეიარაღებული ძალები. ეჭვიანობის საფუძველზე, მისი ბრძანებით, მოკლეს ცნობილი სარდალი, პოლიტიკური მოღვაწე და პოეტი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. უეჭველია, რომ თეიმურაზს ეს ნაბიჯი გადაადგმევინეს შაჰის აგენტებმა და მათი მითითებით მოქმედმა ზოგიერთმა კახელმა მსხვილმა თავადმა.

ოდესღაც ქრისტიანი და ქართულ კულტურას ნაზიარები ქისტეთ-ჩაჩნეთ-ლეკეთი XVI-XVII საუკუნეებში, ისლამის მიღების შემდეგ, საქართველოს სარწმუნეობრივად ჩამოშორდა. ირანის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ისინი საქართველოს მტრებად გადაიქცნენ. თეიმურაზმა მათ დასამორჩილებლად ჯარი გაგზავნა ცნობილი სარდლის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ლეკთა თავდასხმების შესაჩერებლად „წარავლინა თეიმურაზ ომანიშვილი (ჩოლოყაშვილი –ე.მ.) ქაიხოსრო, რამეთუ იყო იგი ახოვანი, შემართებული. ესე შევიდა დაღისტანსა შინა და დადგა მთასა ზედა, უწყო რბევა, სრვა და ოჴრება, და ვითარ ვერ წინააღუდგნენ, ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან, რამეთუ მოშიშარ იქნებიან უფროსად. არამედ კახთა შეასმინეს ბატონს თეიმურაზს: „ნებავს კახეთი და მისთჳს ითხოვს ბუკსაცა“. ამისთჳს მოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი ღალატად“[2].

---

[1] არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 23.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 585

თეიმურაზ მეფის მიერ ქაიხოსროს მოკვდინება, რომ შაჰ აბასის ინტრიგების შედეგად მოხდა, ამაზე საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს პიეტრო დელა ვალე. შაჰი ითვალისწინებდა რა, ქეთევან დედოფლის დიდ ავტორიტეტს კახეთის სამეფოში, განიზრახა დედასა და შვილს შორის განხეთქილების მოხდენა. მან თეიმურაზს ჩააგონა, თითქოს მისი დედა მეორედ გათხოვებას აპირებდა ერთ დიდ მხედართმთავარზე. თითქოს ქეთევანს განზრახული ჰქონდა თეიმურაზისათვის მემკვიდრეობა წაერთმია და იმ ვაჟებისათვის შეენახა მეორე ქმართან რომ ეყოლებოდა. ამგვარად ჩაგონებულმა თეიმურაზმა მხედართმთავარი მოაკვლევინა და ქეთევანს ჩამოართვა ქვეყნის მართვის სადავეები[1]. თეიმურაზმა რომ ქაიხოსრო ეჭვიანობის ნიადაგზე მოაკვლევინა, ამას გადმოგვცემს ანტონ ფურცელაძეც[2]. რამდენად შეეფერებოდა ეს მიზეზები სიმართლეს, ამის მტკიცებას ან უარყოფას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ორივე მიზეზი უაღრესად სერიოზული იყო. მთავარი ის იყო, რომ ერთის ან მეორის სინამდვილეში დარწმუნებული თეიმურაზი, ქაიხოსროში ტახტის მოცილეს დაინახავდა. სავარაუდოა, რეპრესიები გარკვეულ დონეზე, ომან ჩოლოყაშვილის (ქაიხოსროს და ნიკოლოზ-ნიკიფორეს მამის) ოჯახის სხვა წევრებზეც გავრცელდა. ქაიხოსროს დასჯა მოხდა შაჰ აბასის აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შემოჭრის წინ.

თეიმურაზ მეფის მიერ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მოკვდინების ნამდვილ მიზეზად გ. აკოფაშვილმა მისი პროირანული ორიენტაცია ივარაუდა, რომელიც მეფისათვის მიუღებელი იყო[3]. გ. ჟორდანიას მიხედვით კი, რომელიც, ვფიქრობ, გასაზიარებელია, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა იყო. ქაიხოსრო ანტიირანული ორიენტაციისა უნდა ყოფილიყო და სწორედ ამის გამო ჩოლოყაშვილების გვარის ეს გამოჩენილი წარმომადგენელი შაჰ აბას I-ის ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა. შაჰმა ისეთი ვითარება შექმნა, რომ თეიმურაზისავე ხელით მოიშორა ეს გამოჩენი-

---

[1] პიეტრო დელა ვალე, გვ. 42

[2] ფურცელაძე ა., ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ., 1911, გვ. 158-159, 422-423.

[3] აკოფაშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 23.

ლი სარდალი[1], რითაც საგრძნობლად დაასუსტა კახეთის სამეფოს სამხედრო ძალა ირანელთა ინტერვენციის წინ.

ვფიქრობ, ქაიხოსროს მკვლელობის შემდეგ, მცირე ხანში, თეიმურაზი მიატოვა კიდევ ერთმა ჩოლოყაშვილმა, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწემ, ნიკიფორე ირბახის სახელითა და გვარით ცნობილმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. მან თეიმურაზი მიატოვა და იერუსალიმში გაემგზავრა[2]. სერიოზული პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის ნიჭით დაჯილდოებული ნიკიფორეს წასვლა საქართველოდან თეიმურაზისათვის დიდი დანაკლისი იყო. უმნიშვნელო არ იყო ისიც, რომ შაჰის კარზე იყვნენ გავლენიანი კახელი თავადები: ადამ ანდრონიკაშვილი, დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტების საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა ქართლის სამეფოში გიორგი სააკაძის სახელთან დაკავშირებულმა ფეოდალურმა შუღლმა, დაპირისპირებული ბანაკების წარმოშობამ და საბოლოოდ დიდი მოურავის ირანში გაქცევამ. გიორგისთან ერთად 1612 წელს წავიდა ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელიც მალე დაბრუნდა შაჰისაგან ნაწყალობევი და მარჯვე დროს უცდიდა. საქართველოზე წამოსულ შაჰ აბასს ნუგზარ ერისთავი განჯაში შეეგება. კახეთის აოხრების დროს ყიზილბაშთა ჯარი არაგვის საერისთაოს არ შეხებია[3]. ამ და სხვა არასასურველმა მომენტებმა, რომლებიც მოხდა ირანელთა ინტერვენციის წინ, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი მაინც შეასრულა შაჰ აბასის საქართველოს წინააღმდეგ საომარი გეგმის შემუშავებასა და იმ წარმატებაში, რომელიც ირანელებმა ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ ომში მოიპოვეს.

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 386.

[2] უფრო ვრცლად შემდეგში.

[3] გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 334.

II. თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია საქართველოში ირანის ინტერვენციის დროს

ურთიერთობა ოსმალეთთან, რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის სამთავროებთან (1614-1625 წწ.)

XVII ს. პირველ ნახევრის, საქართველოს ურთიერთობა ირანთან, რუსეთთან და ოსმალეთთან აისახა იმ მასალებში, რომლებიც ელჩების მოგზაურობებს, მოხსენებებსა და მეფეების დიპლომატიურ სიგელებს შეიცავენ.

რუსი ელჩების ცნობები, მათში არსებული უზუსტობების მიუხედავად, წარმოდგენას გვიქმნის ირანში, შაჰის კარზე და უცხოელ დიპლომატებს შორის გავრცელებულ ხმებზე, საქართველოს წინააღმდეგ ომის მიზეზების შესახებ. ამავე დროს გასაგები ხდება მოსკოვის ინფორმირებულობა საქართველოში არსებულ ვითარებაზე. რუსეთის ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შაჰის მიზნების გარკვევა ჩრდილო კავკასიაში. თერგ-ქალაქისა[1] და ასტრახანის მმართველები ამგვარ ინფორმაციას საგულდაგულოდ აგროვებდნენ. შაჰ აბასის საქართველოში პირველი ლაშქრობისთანავე თერგის სარდალი პ. გოლოვინი 1614 წლის აგვისტოში მეფეს აცნობებდა, რომ შაჰი ჯერ ყაბარდოზე, შემდეგ კი ყუმუხეთზე ლაშქრობას და მტკიცედ ფეხის მოსაკიდებლად ტარკში ციხე-სიმაგრეების ჩადგმასაც აპირებდა[2]. შაჰს კავკასიაში სალაშქროდ თავისებური მარშრუტი ჰქონდა შემუშავებული: ქართლ-კახეთი-ყაბარდო-ყუმუხეთი-დერბენტი, რაც წარმატების შემთხვევაში ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიის რკალში მოქცევას გამოიწვევდა[3]. მაგრამ შაჰმა თუ ამ განზრახვის განხორციელება ვერ შეძლო, ამის უმთავრესი მიზეზი ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა იყო. რა თქმა უნდა, ირანისათვის მნიშვნელობა

---

[1] ეს ქალაქი აგებული იქნა მდ. თერგის შესართავთან 1588-1589 წლებში ყაბარდოს მთავრისა და კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის თხოვნით.

[2] Русско-дагестанские отношения XVII-первой четверти XVIII века (документы и материалы). Махачкала, 1958, док. №3, с. 33-34.

[3] ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.) თბ., 1990, გვ. 99.

ჰქონდა რუსეთისა და ოსმალეთის იმ მკაცრ პოზიციას, რომელიც მათ ჯერ კიდავ შაჰის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის გამო დაიკავეს. მათ პირდაპირ მოითხოვეს, რომ შაჰს ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობაზე ხელი აეღო[1],

შაჰ აბასის საქართველოში ინტერვენციის დაწყებაზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს რუსეთის ელჩებმა ირანში მ. ტიხანოვმა და ალ. ბუხაროვმა, რომლებიც ისპაანში მივიდნენ 1614 წლის 4 ოქტომბერს. შაჰ აბასს, მაშინ როდესაც საქართველოს იკლებდა, ოსმალეთის ელჩისათვის უთქვამს, რომ საქართველოში შეჭრის მიზეზი ქართველების მიერ ერთგულების ფიცის[2] გატეხვა იყო. სულთნის ელჩი ქართველებს გამოესარჩლა: საქართველო არავის არ ეომებოდა და ქართველები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ დიდი სახელმწიფოების – ოსმალეთის, რუსეთისა და ირანს შორის. ყველა მეზობელი სახელმწიფო მას პატივს სცემდა და უფრთხილდებოდაო. ელჩის სიტყვებით გაღიზიანებულ შაჰს უთქვამს: შემახა, დერბენტი და სხვა ქალაქები ხმლით დავიპყარი, რომლებიც სულთანმა ხმლით წამართვა. საქართველო კი დიდი ხანია ჩემი ხელქვეითია, ახლა კი ღალატისათვის დავიმორჩილე და სულთანს, რომელსაც წინათ მასთან ომები ჰქონდა, ახლა არაფერი ესაქმებაო.

რუსმა ელჩებმა, თურქი ელჩის ნათქვამს დაუმატეს, რომ ქართლის მეფე გიორგის ძენი – ლუარსაბი და იესე, შაჰს ემსახურებოდნენ. შაჰი საქართველოში ჯარით მოვიდა, თეიმურაზს დედა და ორი ვაჟი მოსთხოვა. როცა თეიმურაზმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, ამის შემდეგ მან ქართული მიწები დაიპყრო. ზემოხსენებული პეტრე გოლოვინის გადმოცემით, თეიმურაზს შაჰისათვის შეუთვლია: ჩემი მიწა-წყალი რომ არ დაგელაშქრა, ამის სათხოვნელად შენთან ჩემი დედა, ძმა და შვილები გამოგიგზავნე,

---

[4] იქვე, გვ. 100-101.

[5] Шах «да о Грузинской земле говорил, что шах разорил напрасно за шертью». «Шерть» ვ. დალის განმარტებით არის «присяга мусульман на подданство». Толковый словарь живаво великорускаго языка В. Даля, т. IV, СПб.-М., 1882, с. 630. შდრ. სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 267, სადაც «Шерть»-ის ნაცვლად არის «шерсть».

შენ კი ისინი აღარ დამიბრუნე და ქვეყანაც ამიოხრე. ***ერთიღა დამრჩა – გული და სული, სანამ ცოცხალი ვარ, არც ერთს მოგცემ და არც მეორეს და არც შენ გეახლებიო***[1]. თეიმურაზმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ იძულებული გახდა ცოლითა და დარჩენილი მომხრეებით დასავლეთ საქართველოში (ბაშიაჩუკში) გადასულიყო. შაჰმა მისი დედა და ვაჟები ისპაანში გაგზავნა. იმ დროისათვის თეიმურაზის უფროსი ვაჟი ოთხის, უმცროსი კი სამი წლის ყოფილა. ელჩები აღმოსავლეთ საქართველოში დატრიალებულ უბედურების შესახებ აღნიშნავენ, რომ შაჰმა იგი მთლიანად გაანადგურა, საუკეთესო ადამიანები ირანში გაგზავნა, ქალაქებში თავისი ვოევოდები დასვა, ეკლესიები მოსპო[2].

ირან-ოსმალეთის დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, აისახა 1614 წლის 16 ივლისს ირანიდან ასტრახანში დაბრუნებული ერთ-ერთი კაზაკის მონათხრობში. აქაც ლაპარაკია იმაზე, როგორ ცდილობდა შაჰი თავისი ქვეშევრდომი საქართველოს მეფის დასჯის უფლება დაესაბუთებინა. იგი ამიტომაც სთხოვდა ოსმალეთის სულთანს დასავლეთ საქართველოში თავშეფარებული თეიმურაზი მისთვის გადაეცა და ამის შემდეგ შაჰსა და სულთანს შორის საუკუნო ძმობა და სიყვარული დამყარდებოდა[3]. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არ მოხდებოდა. ამავე მოხსენებიდან ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ საქართველოში ლაშქრობის დროს ყუმუხელებმა შაჰ აბასისთვის დახმარების მოსურნე ტარკის მთავარ გირეისათვის 1500 მებრძოლის მიცემაზე უარი უთხრეს. რუსეთისაგან ჩამოშორებულ გირეის, ერთის მხრივ იარანელების, მეორეს მხრივ კი, ყუმუხელებს შიშის გამო, გადაუწყვეტია შაჰს ხლებოდა და დაცვა ეთხოვა[4].

თერგის ვოევოდაც მოსკოვში აცნობებდა სულთნის ელჩის მიერ შაჰისათვის დასმული კითხვის შესახებ: რატომ დაიპყრო მან

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержащиеся в архивном фонде «Сношения России с Персией». კრებულში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, დოკ. №6, გვ. 133.

[3] იქვე, დოკ. №1, გვ. 128-129.

[3] იგივეა გამეორებული დოკ. №7-ში, გვ. 134.

[4] იქვე, გვ. 131.

საქართველო და მეფე თეიმურაზი გააძევა, მაშინ, როდესაც საქართველოს მიწა მისი მოხარკე, ხოლო ყუმუხელები კი, მის სამსახურში არიან[1]. სხვა დოკუმენტში ნათქვამია, რომ თეიმურაზ მეფე 12 ათას თუმანს უხდიდა სულთანს ხარკის სახით[2].

ამგვარად, ოსმალეთის პრეტენზია საქართველოზე, კიდევ უფრო ამწვავებდა შაჰის რეაქციას შეუპოვარი ქართლისა და კახეთის სამეფოების მიმართ.

ვიდრე ყიზილბაშების ლაშქრობა საქართველოში დაიწყებოდა, მანამდე შაჰმა ხელთ იგდო თეიმურაზის ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი თეიმურაზის მიერ შაჰთან მძევლების გაგზავნას, თითქმის ერთნაირად გადმოგვცემენ.

ოსმალეთზე საომრად მიმავალმა შაჰმა განჯიდან თეიმურაზს შემოუთვალა, რათა შენს ერთგულებაში მშვიდად ვიყო, მძევალი მომეციო. თეიმურაზმა ვერ დაიჯერა შაჰის შემონათვალი, რადგან მაშინ ირანსა და ოსმალეთს შორის მშვიდობა იყო. მეფემ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი ერთპიროვნულად ვერ გადაწყვიტა და შაჰის მოთხოვნა თავის კარისკაცებსა და დიდებულებს გაანდო. „მაშინ თეიმურაზ ეზრახა კახთა და მათ ყოველთა განუზრახეს წარვლინება ძისა. გარნა არა ინება თეიმურაზ. არამედ იძულებითა კახთაგან წარუვლინა უმრწემსი ძე ალექსანდრე და წარიტანაცა დედა თჳსი ქეთევან და ნოდარ ჯორჯაძე... ხოლო შააბაზ რა იხილნა იგინი, განრისხებულმან მოუთხრა კვალად თეიმურაზს: „არათუ ვარ ძიძა და მზრდელი ძისა შენისა, წარმომივლინე ძე შენი უხუცესი (რამეთუ ენება სრულიად ყოველთა ჴელთგდებად), უკეთუ გნებავს ერთობა ჩემთანა, და მე ვსცე პატივი დედასა შენსა და უკუნ-ვიქცე“[3].

თეიმურაზ მეფეს შაჰის ამ ბრძანების შესრულება არ უნდოდა, მით უმეტეს, რომ დედა ქეთევანმაც შეუთვალა მეორე ვაჟი აღარ გაეგზავნა, მაგრამ კახელებმა აიძულეს. „მაშინ უღონო

---

[1] Веселовский Н. И., Памятники… II, с. 340; Тивадзе Т. Г., Материалы… დოკ. №4, გვ. 132.

[2] Тивадзе Т. Г., Материалы… დოკ. №7, გვ. 134.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 586.

ქმნილმან თეიმურაზ წარუვლინა უხუცესიცა ძე თჳსი ლევან და წარატანა დავით ასლანიშვილი“. ამის შემდეგ შაჰ აბასმა თეიმურაზს შემოუთვალა: „აწ ვსცან, რამეთუ ხარ ერთგული დიდი ჩემი, ვინაჲთგან არა რიდე ძეთა შენთა ჩემთჳს, მოვედი შენცა და აღგავსო ნიჭითა და განგიტეო ქუეყნითურთ მშჳდობით“[1]. ამის შემდეგ ყველასთვის ნათელი შეიქმნა შაჰ აბასის განზრახვა, კახეთის მეფის ოჯახის ხელში ჩაგდებით უნდოდა სამეფოს დაჩოქება და განადგურება[2].

არ შეიძლებოდა ამ გარემოებასაც თავისებურად უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა თეიმურაზ მეფისა და, საერთოდ კახელების ბრძოლისუნარიანობაზე ომის დაწყების პირველ ეტაპზე მაინც, როდესაც კახელებმა თითქმის ბრძოლის გარეშე დათმეს პოზიციები. თეიმურაზმა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ იმერეთს შეაფარეს თავი.

შაჰ აბასი მაშინვე შეუდგა თავისი გეგმის – კახეთის აოხრების და გაუკაცრიელების განხორციელებას. მან კახეთის გამგებლობა ჩააბარა თეიმურაზ მეფის ბიძაშვილს გამუსლიმანებულ ისა (იესე) ხანს. მოგვიანებით, თეიმურაზ მეფის ელჩი მოსკოვში, არქიეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი, ისა-ხანის გამეფებას კახეთში შემდეგნაირად ჰყვებოდა: შაჰ აბასი ზაგემში მივიდა ჯარით, თეიმურაზ მეფე განდევნა და მის ადგილას დასვა გიორგი მეფის შვილი, თეიმურაზის ღვიძლი ბიძაშვილი, უფლისწული იესე. შაჰმა იესეს დაუტოვა მრავალი მებრძოლი. მან იესეს სამსახურში დატოვა ყველა ის ქართველიც, რომლებიც შაჰს მიემხრნენ და თეიმურაზს უღალატეს. ამის შემდეგ შაჰმა საქართველო დატოვა[3].

თეიმურზ I-მა იმერეთის სამეფოდან სცადა დიპლომატიური კონტაქტების დამყარება მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან და ირანის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. მის გვერდით დადგნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები.

---

[1] იქვე. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 391-392.

[2] ამასვე ათქმევინებს თეიმურაზს არჩილი თავის „გაბაასებაში“, სტრ. 458-460.

[3] Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1540 гг., Тб., 1937, с. 63.

თეიმურაზმა მთიელთა მთავრებს მიმართა, თავს დასხმოდნენ ისა-ხანს, მის მომხრეებს და კახეთში დაბანაკებულ ყიზილბაშებს და ამით საქართველოს დახმარებოდნენ. მათ მართლაც შეგროვეს 10 ათასი კაცი, თეიმურაზმაც შეკრიბა თავისი ჯარი და ერთობლივად შეებნენ ისა-ხანს. ისა-ხანი და მასთან ერთად მრავალი ყიზილბაში დაიღუპა. თეიმურაზმა ყველა მოღალატე ქართველი ამოწყვიტა და თავისი სამეფო დაიბრუნა. თეიმურაზ მეფემ შაჰის ვაჭრებიც ამოხოცა და მის ქონებას დაეპატრონა[1].

ჩრდილო კავკასიელი მთიელების თიმურაზისათვის დახმარება, იმითიც იყო ნაკარნახევი, რომ სამხრეთ კავკასიაში ფეხმოკიდებული ირანი იმათაც საფრთხეს უქმნიდა და, მათი ვარაუდით, ისა-ხანი გადაიქცეოდა შაჰის ამ გეგმის დასაყრდენი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შაჰი თავის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოსა და ჩრდილო კავკასიელების, განსაკუთრებით დაღესტნელების მიმართ, მათი პროთურქული ორიენტაციით ხსნიდა. სინამდვილეში შაჰი კავკასიიდან როგორც ოსმალეთის ისე რუსეთის გაძევებას ფიქრობდა.

კავკასიაში თეიმურაზ მეფის ავტორიტეტის ზრდის მაჩვენებელია ისიც, რომ მასთან მივიდა შაჰის წინააღმდეგ ამხედრებული შირვანელების მეთაური დელუ-მელიქი (მელიქ ფირმა) და სამხედრო დახმარება სთხოვა ქალაქების – არეშისა და ყაბალას დასაპყრობად. თეიმურაზმა მას 10 ათასი მეომარი მისცა. დელუ-მელიქმა დასახელებული ქალაქები მართლაც დაიპყრო და დიდი ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდა თეიმურაზთან მესხეთში[2].

ქართველი დიპლომატის, თეოდოსე მანგლელის ნათქვამს, თეიმურაზ მეფისა და დელუ-მელიქის მოკავშირეობის შესახებ, ადასტურებს ისქანდერ მუნში[3].

არქიეპისკოპოს თეოდოსეს სიტყვით, შაჰ აბასმა, როდესაც აჯანყების ამბავი შეიტყო, თავის ერთ-ერთ სარდალს, ალი ყული-

---

[1] Там же, с. 63-64.

[2] მ. პოლიევქტოვის განმარტებით – მესხეთი. თეიმურაზი არ შეიძლება ამ დროს მესხეთში ყოფილიყო. მას ჯერ კიდევ სულთნისაგან არ მიეღო ისტორიული მესხეთის ქალაქები, რაზეც ქვემოთ ითქმევა.

[3] ისქანდერ მუნში, გვ. 96-97.

ხანს დიდი ჯარით საქართველოში წასვლა „თეიმურაზის შეპყრობა და ცოცხლად მიყვანა უბრძანა“. თეიმურაზმაც შეკრიბა ჯარი, წავიდა ყიზილბაშების წინააღმდეგ, დაამარცხა ისინი, ხელთ იგდო მათი ალმები და ნაბათები და 2500 ყიზილბაშის მოკვეთილ თავებთან ერთად აჰმედ სულთანს გაუგზავნა. თეიმურაზმა ჯარი დაშალა, მცირე რაზმით სურამში დადგა. ამის შემდეგ, შაჰი უჩუმრად მოვიდა საქართველოში. თეიმურაზი სულთანთან გაიქცა[1].

შაჰ აბასმა საქართველოში ბოლო, მეოთხე შემოსევის შემდეგ, აოხრებული კახეთი ორად გაყო: მდ. იორის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველ ფეიქარ-ხანს, დასავლეთი კი ქართლის მმართველს, სვიმონ I-ის ძმის დაუდ-ხანის (დავით XI) შვილს, გამუსლიმანებულ ბაგრატ-ხანს (ბაგრატ VII, 1615-1619), ჩააბარა[2]. „ის ყიზილბაშთა შორის აღიზარდა, სიბრძნესა და მეცნიერებაში განსწავლული იყო“[3]. მისი ძმა იყო ქართლის მეფე ხოსრო-მირზა (იგივე როსტომ-ხანი – როსტომ მეფე). ქართველი ისტორიკოსის დახასითებით, „დაჯდა ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მაჰმადისასა, და არცა იყო ღირსი მეფობისა, და ზურგად განჯის ხანი და მისნი შემდგომნი ჰყვეს. და მაშინ ამან ბაგრატ ვერ დაუჭირა თავი ქართველსა და ვერცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა და არცა ჰყუარობდნენ ქართველნი და არცა-რად აკსენებდენ თათრობისათჳს და ეძახდენ საბარათაშვილოს ბატონსა და იყოფებოდა ეგრეთ“[4].

პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, „ეს ბაგრატი იყო ლუარსაბის გვარისა, მისი ბიძა, თუ ბიძაშვილი[5], მაგრამ თავის სარწმუნოებას უარ ჰყო ირანში და დიდი ხნის წინედ გაჰხდა მაჰმადიანი“[6]. შაჰმა კახეთში გამაჰმადიანებული იესე (ისა-ხანი), თეიმურაზის ბიძის გიორგის ძე დასვა და მოადგილეებად დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე დაუნიშნა.

---

[1] Полиевктов М., Материалы,…с. 64. უფრო ვრცლად: ისქანდერ მუნში, გვ. 98-100.

[2] ისქანდერ მუნში, გვ.103.

[3] იქვე, გვ. 114.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402.

[5] ლუარსაბის ბიძაშვილის შვილი.

[6] პიეტრო დელა ვალე, გვ. 44.

1615 წელს კახეთში აჯანყება დაიწყო, რომელსაც მეთაურობდნენ ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. ყიზილბაშების ამოწყვეტის შემდეგ მათ ტახტზე თეიმურაზი დააბრუნეს. მან სერიოზული მარცხი მიაყენა შაჰის მიერ გამოგზვნილ ყიზილბაშთა ჯარს. თეიმურაზის დიპლომატიური საქმიანობის შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ ირნის წინააღმდეგ აჯანყებული კახელების დახმარებას აპირებდნენ ყაბარდოელები და ყირიმის ხანი, მაგრამ წამოწყება ჩაიშალა[1]. 1616 წლის გაზაფხულზე შაჰის მეთაურობით წამოსულ ლაშქარს ვეღარ გაუძლო და თეიმურაზი ისევ იმერეთში გადავიდა.

* * *

ცნობილი წყაროებით, დასავლეთ საქართველოს სამთავროების ოსმალეთთან საზავო მოლაპარეკებებში თეიმურაზ I-ის მონაწილეობა არ ჩანს, მაგრამ ცხადია, მის მდგომარეობაში მყოფი პოლიტიკოსი ამ პროცესისადმი გულგრილი ვერ იქნებოდა. დასავლეთ საქართველოს სამთავროების და ოსმალეთის მორიგება, მათ შორის მშვიდობის დამყარება, გზას უხსნიდა კახეთის მეფეს ანტიირანული კავშირის შექმნისათვის ოსმალეთთან ურთიერთობის დასაწყებად. მოლაპარაკება სამთავროების მიერ ოსმალეთისათვის ხარკის გადახდაზე მიმდინარეობდა, მაგრამ, მოცემულ ვითარებაში, მსჯელობის საგანი ირანთან ურთიერთობაც იქნებოდა, რაც ხმამაღლა, საქვეყნოდ არ გაცხადდებოდა. მოვლენების შემდგომი განვითარება ამ ვარაუდის დაშვების უფლებას იძლევა. გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, ფორმალურად სულთნის ვასალებს, კახეთის დევნილ მეფესთან მაშინ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თეიმურაზის ინტერესებში შედიოდა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში პირდაპირ თუ არა ირიბად მონაწილეობა მიეღო და მისთვის ანტიირანული მიმართულება მიეცა.

თეიმურაზი ისეთი ანტიირანული კოალიციის შექმნას ცდილობდა, რომელშიც იქნებოდა ყველა ქართული სამეფო-სამ-

---

[1] ბოცვაძე თ., საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.) თბ., 1963, გვ. 69-70.

თავრო. ეს მიზანი თითქმის მიღწეული იყო. როგორც შემდეგ ვრცლად ითქმევა, ქართველმა მეფე-მთავრებმა ერთობლივი ელ-ჩიც კი გაგზავნეს მოსკოვში და ირანის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვეს. თეიმურაზ მეფის ელჩმა სიდეგ-მაჰმუდმა 1615 წლის დე-კემბერში ყუმუხეთში ჩაიტანა ცნობები საქართველოზე, რომლე-ბიც რუსეთის აგენტის საშუალებით ცნობილი გახდა მოსკოვში. ხელმწიფეს ყუმუხეთიდან ატყობინებდნენ, რომ თეიმურაზი „ამჟა-მად თავის საქართველოს მიწა-წყალზე მივიდა, შეაგროვა თავისი სამხედრო ძალები და თავისი ქართული მიწა-წყალი შაჰ აბასის ხალხისაგან გაწმინდა. ხელმწიფე (თეიმურაზმა –ე.მ.), ის შაჰ აბა-სის ხალხი, რომლებიც მის ქართულ მიწაზე ისხდნენ, ყველა ამოწყვიტა და მათგან გაწმინდა თავისი ქვეყანა. არეშში მჯდომი შაჰ აბასის ვოევოდა თეიმუირაზ მეფემ შვილთან ერთად სიკვდი-ლით დასაჯა და არეშში მყოფი შაჰ აბასის 500-მდე კაცი მოკ-ლა... ამჟამად ქართველი მეფე თეიმურაზი თავის მიწა-წყალს ძვე-ლებურად ფლობს და ძეგამშია. თეიმურაზ მეფესთან, ყიზილბაში შაჰ აბასის წინააღმდეგ ამჟამად გაერთიანდა 6 ქრისტიანი მეფე. ამ გაზაფხულზე შაჰ აბასთან საომრად თურქეთის მეფესაც სურს მათ ხალხის მისცეს“[1].

შაჰის აგენტურას, ალბათ, არ გაუჭირდებოდა იმის დადგე-ნა, რომელი ძალები იკრიბებოდნენ ირანის წინააღმდეგ და ვინ გამოდიოდა ახლად შექმნილი კოალიციის ლიდერად.

ისქანდერ მუნში აღნიშნავს, რომ „საქართველოს მეფეების, ლუარსაბისა და თეიმურაზისგანაც ხონთქარს მიუვიდა უმდაბლესი არზები. ისინი თავის თავს ოსმალეთის ხელმწიფის ქვეშევრდომე-ბად აცხადებენ და ოსმალებს აქეზებენ ამ მხარესთან (ირანთან) ზავი დაარღვიონ“[2]. იმავე ისტორიკოსის მიხედვით, ამგვარმა ცნო-ბამ შაჰ აბასი შეაშფოთა, მან სასწრფოდ ელჩი გაგზავნა სულთან-თან და წერილი გაატანა. მასში „მეგობრული თავაზის, ხელმწიფუ-რი წესისა და ჩვეულების მიხედვით [მოკითხვის] და ხელშეკრულე-ბისა და პაემნის მტკიცედ დაცვის [სურვილის] გამოხატვის შემდეგ

---

[1] Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1540 гг., Тб., 1937, с. 25.

[2] ისქანდერ მუნში, გვ. 92-93.

ეწერა... ზოგი ურწმუნო ქართველი, რომელნიც ძველი დროიდანვე ჩვენი სამეფო გვარის ქვეშევრდომნი და მოხარკენი იყვნენ, აჯანყდნენ და ურჩობა იწყეს, ისლამის დროშის ამაღლებისათვის და ჭეშმარიტ გზას აცილებულ მეამბოხეთა დასასჯელად იმ მხარეს (საქართველოზე) გავემართეთ და საღვთო ომის [წარმოების] ბედნიერებას ვეწიეთო". წერილში შემდეგ აღნიშნული იყო ყიზილბაშების მიერ საქართველოში ჩადენილ „გმირობებზე". წერილთან ერთად შაჰს სულთნისათვის გაუგზავნია თორდის[1] ციხეში მოპოვებული ნადავლიდან „ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი სხვა საჩუქრებთან და მისართმეველთან ერთად"[2].

საქართველოს დაცვა სცადა რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძემაც. მან, 1615 წლის იანვარში წერილი გაუგზავნა შაჰ აბასს, რომელშიც საქართველოზე თავისი უფლებას ამტკიცებდა და ძირითადად აქცენტს აკეთებდა კახთა მეფე ალექსანდრე II-ის მიერ 1587 წელს რუსეთთან გაფორმებულ საქვეშევრდომო ხელშეკრულებაზე. „ივერთა ქვეყანა ოდითგანვე ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენისაა – სწერს მოსკოვის ხელმწიფე. – ალექსანდრე მეფემ მთელ ივერთა ქვეყანასთან ერთად ქვეშევრდომობა სთხოვა ჩემს ბიძას დიდ ხელმწიფე მეფეს და სრულიად რუსეთის დიდ მთავარს თედორე ივანეს ძეს, შემდეგ სრულიად რუსეთის მეფესა და დიდ მთავარს ბორის თედორეს ძეს და მათ მემკვიდრეებს, იმათ ვინც შემდეგში დიდი ხელმწიფეები იქნებიან ჩვენი დიდ რუსეთის სახელმწიფოსი. და თქვენ, ჩვენი დიდი ხელმწიფების ძმა შაჰ აბასის დიდებულება ივერთა ქვეყანაში აღარ შეიჭრეს და ივერთა ქვეყნიდან ჯარის გაყვანა ბრძანოს". მიხეილ თედორეს ძე საყვედურობს შაჰ აბასს, რომელიც თავის წერილებში რუსეთის ხელმწიფესთან მეგობრობისა და სიყვარულში ყოფნის სურვილს გამოხატავდა, მაშინ როდესაც ივერთა მოსკოვის ქვეშევრდომ ქვეყანას, საქართველოს იკლებდა. ამიტომ გვინდა იცოდეთ, რომ ივერიის მეფეები და მთავრები ოდითგანვე ბერძნული რწმენის ქრისტიანები არიან. „მას შემდეგ, რაც ცარგრადში ქრისტიანი მეფეები გადაშენდნენ, ივერ-

---

[1] პანკისის ციხე.

[2] იქვე, გვ. 93.

თა ქვეყანის მეფეებსა და მთავრებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება. ივერიის მეფე ალექსანდრე ლევანის ძემ დაინახა რა თავისი უმწეობა და თურქებისაგან განადგურების შიში ჰქონდა, ჩვენს ბიძას, სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფეს და დიდ მთავარს თედორე ივანეს ძეს შეევედრა, ქრისტიანული რწმენისათვის მიეღო თავისი მფარველობის ქვეშ და სულთნისა და შამხალისაგან დაეცვა. სამაგიეროდ დაპირდა, რომ თავისი შვილებით, უფლისწული დავითით და უფლისწული გიორგით, შვილიშვილებითა და ივერიის მთელი ქვეყნით საუკუნოდ რუსეთის ხელმწიფეთა ერთგული იქნებოდა. მან, ჩვენი ქრისტიანული წესის მიხედვით, ჯვარს ემთხვია და სამგიეროდ თურქებისაგან განთავისუფლდა. ამიტომ იყო, რომ მისმა ზოგირთმა მტერმა მრავალი წლის განმავლობაში ვეღარ გაბედა ივერთა ქვეყნაზე თავდასხმა. თქვენ, ჩვენმა ძმამ შაჰ აბასმა იცით, თედორე ივანეს ძემ თერგზე კოსაზე ქალაქები ჩადგა და ჯარი ჩააყენა ივერიის ქვეყნის თურქებისა და ყუმუხებისაგან დასაცავად. მისი ბრძანებით, თურქების, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ირანს ებრძოდნენ, დასახელებულ ქალაქებში ჩაყენებულ ჯარს, თერგის, ვოლგისა და იაიცკის კაზაკები თავს ესხმოდნენ. ამგვარად, დიდ დახმარებას გიწევდათ და სხვაც მრავალი დახმარება გაუწევია და სიყვარული და ძმობა გამოუხატავს. როდესაც თედორე ივანეს ძე გარდაიცვალა, ალექსანდრემ თავისი შვილებითა და შვილიშვილებით ერთგულების ფიცი მისცა მეფე ბორისს. ამიტომ იყო, რომ მეფე ბორისმა მონაპირე ქალაქების ვოევოდებს შამხალსა და ყუმუხებზე ლაშქრობა უბრძანა. მეფე ბორისის ბრძანებით ალექსანდრე შენთან ერთად იბრძოდა, მაშინ როდესაც სულთნის ბრძანებით შამხალი ივერიას თავს ესხმოდა“[1].

1615 წ. თებერვალში თერგის ვოევოდა პ. გოლოვინი მეფე მიხეილ თედორეს ძეს უგზავნის ირანიდან დაბრუნებული პიროვნებისაგან მიღებულ ინფორმაციას, გასულ წელს შაჰის მიერ საქართველოში ლაშქრობის შესახებ. ეს ცნობები, ადრე განხილული ცნობებისაგან განსხვავებული და რეალობასთან უფრო მიახლოებულია. პ. გოლოვინის „მიწერილობაში“ ნათქვამია: როდესაც შაჰ

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы , დოკ. № 8, გვ. 135-137.

აბასი დიდი ჯარით საქართველოში შეიჭრა, მეფის აზნაურებმა და ხალხმა, ვისაც შაჰისადმი სამსახური არ უნდოდათ, თავი შეაფარეს სხვა ქართულ სახელმწიფოს ჩარის (?)[1], რომელიც მთების იქით, შავი ზღვისკენ მდებარეობს,. შაჰ აბასმა 200 ყიზილბაში გააგზავნა და ჩარის მეფეს დევნილების დაბრუნება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომის დაწყებით დაემუქრა. იმ ქართველმა მეფემ შაჰის ელჩები დაახოცინა და შაჰს შეუთვალა: თუ ჩემს ქვეყანაზე საომრად წამოხვალ, მოხარული ვიქნები შენ შეგებრძოლოო.

ირანიდან თერგში მისულებს ისიც უთქვამთ, სულთანმა შაჰს ელჩი გაუგზავნა და იმის პასუხი მოსთხოვა, რატომ შეიჭერი ჩემს კუთვნილ ქვეყანაში, ახლა მეც თავს დავესხა ჩვენს საზღვრებთან მდებარე შენს ქალაქებსო? შაჰმა მოისმინა, რა სულთნის შენათვალი, მთელი ჯარით თავის ქვეყანაში დაბრუნდაო[2].

ირანის ხელისუფლება ცდილობდა, დაუმორჩილებელი ქართველებისათვის ყველა გზა გადაეკეტა და მათს მეზობლებში ისეთი განწყობილება ჩამოეყალიბებინა, რომ თავშესაფარი, მოკავშირე ვერსად ეშოვათ და სამუდამოდ დაეკარგათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამგვარ მცდელობას შაჰ აბასის მხრიდან ვხედავთ რუსეთთან ურთიერთობის დროს. 1615 წლის 27 ოქტომბერს შაჰ აბასი მოსკოვის მეფეს სწერდა: „... საქართველოს მიწა-წყალი, რა დასამალია, დასაბამიდან ჩვენი, შაჰის მოსამსახურე და ქვეშევრდომი იყო. ჩვენ ყოველთვის მისი მწყალობელი ვიყავით და ვუფრთხილდებოდით. მართალია, ზოგიერთ იქაურ ადამიანში ცბიერება ბევრია, მაგრამ ზოგი მათგანი გულმართალი და ერთგულია. თუ ისე მოხდება, რომ რადაცა საქმის გამო სასჯელს დავადებთ, ჩვენ გაგვიჯიუტდებიან და თქვენ მხარეზე გადმოვლენ, შენ სწორედ ამ დროს უნდა გამოავლინო ჩვენდამი ძმური ერთგულება და სიყვარული და ისინი ჩვენთან დააბრუნო“[3].

ირანის დიპლომატია ამგვარ პოლიტიკას ატარებდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაშიც. ჯერ კიდევ 1614 წლის 4 აგვისტოს ვოევოდა გოლოვინი თერგიდან მოსკოვში აცნობებდა:

---

[1] ალბათ, ბაშიაჩუკი – იმერეთი

[2] იქვე, დოკ. №9, გვ. 137-138.

[3] იქვე, დოკ. № 10, გვ. 138.

„შაჰ აბას ყიზილბაშელი საქართველოსა და დადიანის მიწა-წყლიდან გამოვიდა და ახლა შავ ზღვასთან დგას, (მან) თურქეთის მეფეს თავისი ელჩი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ თურქეთის მეფეს ებრძანებინა მისთვის (შაჰისათვის – თ. ტ.) მისი ქვეშევრდომი ქართველი მეფეები: მეფე თეიმურაზი და და სიმონის ვაჟი იური ბატონიშვილი (იგულისხმება ლუარსაბ II – თ. ტ.) დაებრუნებინა. თუ იგი, თურქეთის მეფე, მათ გადაცემას არ ბრძანებს, მაშინ შაჰ აბასი თვითონ დაიჭერს, ცარგრადშიაც რომ იყვნენ ისინი. თურქეთის მეფემ კი ელჩს უთხრა: ყმებს კუდში კი არ დასდევენ და მეფეები თვითონ კი არ დარბიან მათ დასაჭერადო“[1]. რა თქმა უნდა, რუსულ წყაროში სერიოზული უზუსტობებია, მაგრამ მათზე ყურადღერბას არ გავამახვილებ. ამჯერად, საინტერესოა ის, რასაც შაჰი სულთნისაგან ითხოვდა. ამგვარი პრეტენზია შეიძლება მართლაც ჰქონოდა ირანის მთავრობას ოსმალეთის მიმართ, მაგრამ მისი დამადასტურებელი ანალოგიური ხასიათის სხვა ცნობები არ გაგვაჩნია.

* * *

ისქანდერ მუნში და ფარსადან გორგიჯანიძე თითქმის ერთნაირად გადმოგვცემენ ლუარსაბ მეფის იმერეთიდან ქართლში გადმოსვლის და შაჰ აბასთან გამოცხადების მიზეზს. ისქანდერ მუნშის მიხედვით, იმერეთის მეფეს და დედოფალს შაჰისთვის, მისივე ელჩის ხოჯა მოჰამედ-რეზას პირით შეუთვლიათ, რომ ქართლის სამეფოს ის ტერიტორიები, რომლებიც იმერეთს ემეზობლება, მათი შვილი ალექსანდრესათვის გადაეცა. იმერეთის მეფედედოფლის სურვილი როცა შეიტყო, შაჰს ჭკუაში დაუჯდა და თავისი გადაწყვეტილების შესატყობინებლად ლუარსაბს იაყუბხან-ბეგ ყარამანლუ გაუგზავნა. შეშფოთებული მეფე ლუარსაბი ქართლში გადმოვიდა[2].

ფარსადან გორგიჯანიძეც ლუარსაბის იმერეთიდან გადმოსვლის მიზეზად სამეფოს დაკარგვის შიშს ასახელებს, მაგრამ

---

[1] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 25.
[2] ისქანდერ მუნში, გვ. 90-91.

ამ ინტრიგის მოწყობას შაჰ აბასს მიაწერს: „რა ეს ამბავი (იმერეთის მეფის მიერ თეიმურაზისა და ლუარსაბის შაჰისათვის გადაცემაზე –ე.მ.) ყაენს მოუვიდა, მეფეს ლვარსაბს დისაგან საფიცრისა და მოსანდოს წიგნები გაუგზავნა, სარუ ხოჯას ჭელითა იმერეთს გაგზავნა და ერთი წიგნი მეფეს გიორგის მისწერა... თქვენი შვილი ალექსანდრე გამოგვიგზვნეთო, ქართლის მეფობას მივცემთო და ასრე დაბარა – ეს წიგნებიო მალვით მეფეს ლუარსაბს აჩვენეთო; თუ წამოსვლა მოინდომოსო, იმ წიგნს გიორგი მეფეს ნუღარ აჩვენებო“. მეფე ლუარსაბი შეშფოთდა, როდესაც სარუ ხოჯამ თავისი დის წერილები და შაჰის მიერ მეფე გიორგისთვის გადასაცემი წერილი უჩვენა. სარუ ხოჯამ მეფეს ისიც უთხრა, რომ ამ წერილის შინაარს რომ გაიგებს გიორგი მეფე შეგიპყრობს და შენს თავს უფლისწულ ალექსანდრეს გაატანსო, მაგრამ ოსმალეთში გაქცევას თუ გადაწყვეტ მეც თან წაგყვებიო. ლუარსაბი მიენდო სარუ ხოჯას „გულწრფელ“ სიტყვებს და უვნებლობის ფიცი ითხოვა. ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს: „ლვარსაბ მეფე სარუ ხოჯისგან მოტყუებული შეიქნა და წავიდა ყაენსთან“[1].

ქართული საისტორიო ლიტერატურა ლუარსაბის შაჰთან მისვლის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. ბერი ეგნატაშვილით, როდესაც შაჰმა გორში იმერეთის მეფის უარყოფითი პასუხი მიიღო მეფეების გაცემის შესახებ, ამის შემდეგ მან ვერაგობას მიმართა. იმერეთის მეფის წარმოგზავნილებს უთხრა, მე ლუარსაბს არ ვემდური, თეიმურაზია ჩემი მტერი. თუ მოვა წყალობას ვუზამო. ამის შემდეგ მოიხმო შადიმან სუფრაჯი, ლუარსაბის გამზრდელი და ტირილით უთხრა: მე მეფე სვიმონის შვილიშვილს როგორ წავახდენ, ის თეიმურაზმა შეაცდინა. შაჰმა „მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“. შადიმანმა დაიჯერა შაჰის სიტყვები, რომელმაც თავისი ერთგული კაცი ხოჯა გააყოლა. „რა მივიდნენ ესენი მეფესა ლუარსაბსა თანა და გიორგი იმერეთის მპყრობელთანა, მოახსენეს ამბავი ესე, ყაენისაგან დანაბარები, და აუწყეს ყოველივე. და შადიმან საფიცარი აჩუენა, და ხოჯამან ჭრმალი მიართუა, და მიართვეს დის მისისაგან მიწერილი წიგნი, მაშინდა დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და აემზადა წამოსასვლელად“.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 230.

გიორგი მეფემ ლუარსაბის განზრახვის შესახებ, მაშინვე შეატყობინა დადიანსა და გურიელს, რომლებიც მოვიდნენ და თეიმურაზთან ერთად ლუარსაბს შეეხვეწნენ: „რომ ყიზილბაშთ მრავალი ტყუილი იციანო და დაუნდობარნი კაცნი არიანო, არც შენ დაგინდობენო, ნუ წახვალო“. მაგრამ მეფე ლუარსაბმა არ შეისმინა „და მოვიდა შააბაზ ყაენთანა გორს“[1].

რ. ბურჭულაძეს ლუარსაბ II-ის შაჰ აბასთან გადმოსვლის მიზეზად, „არჩილიანზე“ დაყრდნობით, იმერეთის სამეფო კარზე ყიზილბაშთა დიპლომატიური დემარში კი არ მიაჩნია, არამედ მეფე გიორგის მიერ სამეფო ეთიკეტის დარღვევა[2], რაც საინტერესოდ და საყურადღებოდ მეჩვენება.

* * *

შაჰ აბასმა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები გაატარა. მიუხედავად ამისა, ცნობილი გახდა თუ არა ოსმალეთის ჯარის ირანის საზღვრებთან მისვლის შესახებ, მაშინვე საქართველოსა და შირვანში „ყველგან შფოთი დაიწყო. ყველა ხალხის მეამბოხეებმა დამოუკიდებლობა და ურჩობა მოინდომეს და ისინი გახდნენ მუსლიმანების კეთილდღეობის დამანგრეველნი...“[3] ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მთავარი საზრუნავი ირან-ოსმალეთის სტამბოლის საზავო ხელშეკრულების ჩაშლა და საომარი მოქმედების განახლება იყო.

ისქანდერ მუნში, ალბათ, შაჰის კარზე არსებული აზრის მიხედვით, ირანის წინააღმდეგ ომის წამოწყების ინიციატორებად ქართველ მეფეებს – ლუარსაბსა და თეიმურაზს ასახელებს. ამათი წაქეზებით სულთანმა „ზავი და პირობა დაშლისა და დავიწყების თახჩაზე შესდო“.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 393-394. იგივე, მცირედი შემოკლებით იხ. ვახუშტი ბატონიშვილთან. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 425-426.

[2] ბურჭულაძე რ., პოლიტიკა და სამეფო ეთიკეტი, ეპიზოდი XVII საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან. „ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, გვ. 157-164.

[3] ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 95-96.

როგორც ითქვა, 1612 წლის ზავით, მართალია, გამარჯვებული ირანი დარჩა, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლების გაგებით, ეს დროებითი მოვლენა იყო. შაჰ აბასის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში 1614-1615 წლებში წარმოებული სამხედრო ოპერაციები, ბუნებრივია, მას მხედველობის მიღმა არ დარჩენია. სწორედ აღნიშნულ პერიოდში სულთანმა არაერთხელ მოსთხოვა შაჰს დაებრუნებინა მისთვის შემახა, დერბენტი, განჯა და სხვა ადგილები. ამასთან ერთად, სულთნის ელჩები გადაჭრით მოითხოვდნენ განმარტებას თუ რატომ დალაშქრა ირანმა საქართველო, მაშინ როდესაც იგი ოსმალეთის მოხარკეა, ხოლო ყუმუხელი მფლობელები ჩემს სამსახურში იმყოფებიანო[1]. ოსმალეთი ასეთსავე პრეტენზიას აყენებდა ყაბარდოზე. ოსმალეთის პრეტენზიები ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე, ირანისაგან სიფრთხილეს მოითხოვდა.

პოლიტიკურ ასპარეზზე იმყოფებოდა რუსეთიც, რომელიც დაუფარავ ინტერესს ამჟღავნებდა სამხრეთ კავკასიისადმი. ირანის თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ჩრდილო კავკასიელებმაც მას მიმართეს. 1616 წელს თერგ-ქალაქის სარდლის პრიკლონსკის მიერ მეფისათვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ ყაბარდო-დაღესტნის მმართველებს მიხეილ თედორის ძისთვის დახმარება უითხოვიათ. მეფემ მათი თხოვნა შეისმინა, ირანში ელჩი გაგზავნა და შაჰისათვის ყაბარდო-დაღესტანზე ლაშქრობის გაუქმება მოსთხოვა[2]. „ასეთ საერთო ვითარებაში შაჰს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია რუსეთისათვის მით უფრო, რომ ქართლ-კახეთის თავდადებული ბრძოლის პირობებში მისი „თხოვნა“ კარგი გამოსავალი იქნებოდა, რამდენადაც მას ყაბარდო-დაღესტანზე ლაშქრობა აღარ შეეძლო და მისი მოშლა ამით გამართლდებოდა, ხოლო მეორე მხრივ კი თვით, რუსეთს დაუმტკიცებდა თავის „ძმობასა და მეგობრობას“. სხვათა შორის, შაჰმა აოხრებული საქართველოდან წასვლაც რუსეთისადმი ამ „ძმობისა და მეგობრობის ნიშნად გაასადა“[3].

ირანის უკან დახევამ ყაბარდო-დაღესტნის საკითხში, ბუ-

---

[1] Веселовский Н. И., Памятники… II, с. 330-334.

[2] Полиевктов М. А., Материалы,… док. №2, с. 31.

[3] ბოცვაძე თ., საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბ., 1968, გვ. 75.

ნებრივია, კავკასიაში რუსეთის ავტორიტეტის ზრდა გამოიწვია. 1616 წლის თებერვალში თეიმურაზ მეფემ თერგის სარდალს პრიკლონსკის და თავად მუნდარის წერილი გაუგზავნა, რომელშიც აღწერდა შაჰის მიერ მის სამეფოში ჩადენილ სისასტიკეს და იმავე დროს ადრესატს შეახსენებდა, რომ „იგი მოსკოვის ძველ ხელმწიფეთა და ასევე ახალი მიხეილ თედორის ძის მსახურია“[1]. რა თქმა უნდა, თეიმურაზის აზრით, რომელსაც ის პირდაპირ არ ამბობდა, მაგრამ ადრესატისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ „მსახურისადმი“ დახმარება პატრონის ვალია.

პრიკლონსკიმ, როგორც ჩანს, თეიმურაზის წერილი რუსეთის სამეფო კარამდე მიიტანა და მას გამოხმაურებაც მოჰყვა: რუსეთიდან თეიმურაზთან წერილით კაცი გაგზავნეს, მაგრამ წერილმა მეფემდე ვერ მიაღწია შაჰ აბასის საქართველოში მეორედ ლაშქრობის გამო[2].

თეიმურაზ მეფემ თავისი ელჩი ხარიტონი 1615-1616 წლებში ორჯერ გაგზავნა ოსმალეთსა და ყირიმის სახანოში და ირანის წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. სულთანმა ქართველი ელჩი კარგად მიიღო და დაპირდა, რომ ყირიმის ხანის ლაშქარი ყაბარდოდაღესტანზე გავლით წავიდოდა ქართველების დასახმარებლად[3].

თუ გავითვალისწინებთ XVII ს. პირველ ნახევარში რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას (XVII ს. 10-იან წლებში გლეხთა აჯანყებები, „დიდი შინაურული არეულობა“, რეჩ პოსპოლიტა-შვეციის ინტერვენცია 1606-1618 წლებში), მაშინ გასაგები გახდება, რომ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს კავკასიის მიმართ ირანისა და ოსმალთის განსაკუთრებულ ინტერესს, როდესაც რუსეთი გაჭირვებით ცდილობს დაიკავოს ადგილი ამ რეგიონში ბატონობისათვის დიდ პოლიტიკურ თამაშში. იგი თავს არიდებს დასახელებულ ორ ძლიერ ახლოაღმოსავლურ სახელმწი-

---

[1] Полиевктов М. А., Материалы, с. 32. თ. ტივაძე იზიარებს ნ. ბერძენიშვილის ვარაუდს, რომ ქართველმა მეფეებმა – თეიმურაზმა და გიორგიმ, გურიის მთავარმა მამიამ ერთობლივად გააგზავნეს წერილები მოსკოვში. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 38-39.

[2] Там же, с. 33.

[3] Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв. Документы и материалы в 2-х томах., т. I, М., 1957, док. №58, с. 91-92.

ფოსთან სერიოზულ შეეჯახებას. მას არ შეუძლია აქტიურად იმოქმედოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრობლემების თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. საქართველოს საკითხზე რუსეთისათვის ხელჩასაკიდი ისლამის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს, ქართველების ქრისტიანობა იყო, რაც მას მორალურ უფლებას აძლევდა, ერთმორწმუნეთა დამცველის როლში გამოსულიყო. ამდენად, მოცემულ ეტაპზე, რუსეთს ქართველებისათვის მხოლოდ დაპირებების მიცემა შეეძლო და, ხელსაყრელ დრომდე, მოთმინებისა და მეზობლებთან ურთიერთობის მოგვრებისაკენ მოუწოდებდა. საქართველოს მეზობელი ოსმალეთი და ირანი კი, ბუნებრივია, შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ საქართველოს და რუსეთის დაახლოების მნიშვნელოვანი პირობა (ერთმორწმუნეობა) მართლაც არსებობდა. მაგრამ ეს მომავლის საქმე იყო. აღნიშნულ პერიოდში რუსეთს არც შეძლება და არც სურვილი ჰქონდა საქართველოს დახმარებოდა. ამის მიზეზი რუსეთ-ირანს შორის კარგი ურთიერთობა იყო, კერძოდ, ურთიერთგაგება ჩრდილო კავკასიის ხალხებისადმი დამოკიდებულებაში, მომგებიანი ვაჭრობა და სხვ. რუსმა პოლიტიკოსებმა მშვენივრად იცოდნენ ირანის ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები. რუსეთს არ შეეძლო ირანთან სამხედრო დაპირისპირება. ამდენად, არასწორად მიმაჩნია იმის მტკიცება, თითქოს „რუსეთს გარკვეული საფუძველი ჰქონდა საქართველოსადმი დახმარებისაგან თავი შეეკავებინა“[1]. რუსეთი თავს მხოლოდ იმოტომ „იკავებდა“, რომ მას ხვაგვარად მოქმედება არ შეეძლო.

მართალია, იმგვარი ანტიირანული კოალიციის ჩამოყალიბების შესახებ, ზემოთ რომ ითქვა, პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც 1615 წლის მაისში ოსმალთა ჯარი ირანის საზღვრებისაკენ წავიდა, თეიმურაზ I იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ჯარებით კახეთისაკენ დაიძრა. თეიმურაზს, ჩანს, კავშირი ჰქონდა ანტისპარსულად განწყობილ კახელებთან და შირვანელებთან. ისინი აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. 1615 წლის 15 მაისს კახეთში ნოდარ ჯორჯაძისა და და-

---

[1] ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.) თბ., 1990, გვ. 103.

ვით ჯანდიერის მეთაურობით აჯანყება დაიწყო. „გარნა შემდგომად სამისა თთჳსა წარუვლინეს ნოდარ და დავით ბატონს თეიმურაზს კაცი და მიუთხრეს: „მოვედ და ეპატრონე კახეთს საბატონოსა შენსა“[1]. თეიმურაზი კახეთისკენ წავიდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იგი იმერეთის მეფე გიორგი III-მ, ლევან დადიანმა და მამია გურიელმა არაგვამდე მიაცილეს, სადაც კახელები „სრულიად“ შეეგებნენ. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები უკან გაბრუნდნენ. „თეიმურაზ დაიპყრა კუალად კახეთი“[2].

აჯანყებულებმა თავდაპირველად წარმატება მოიპოვეს. თეიმურაზმა არეშიც აიღო, შაქის მმართველი მოკლა და ყიზილბაშები ამოწყვიტა. აქედან ის დაუკავშირდა დაღესტნელ მთავრებს და ირანის წინააღმდეგ მოკავშირეობა შესთავაზა. მაგრამ მთავარი ძალა – ოსმალეთი ირანთან ომის დაწყებას არ ჩქარობდა. მართალია, 1616 წლის აპრილში მან სამხედრო მოქმედება დაიწყო, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე, კვლავ დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლითაც შენარჩუნებულიქნა 1612 წლის მდგომარეობა.

ეს ზავი დიდი დარტყმა იყო ირანის წინააღმდეგ მებრძოლი თეიმურაზისა და მისი მოკავშირეებისათვის. შაჰ აბასი ოსმალეთთან ომის შეწყვეტის შემდეგ, 1616 წლის გაზაფხულზე, ხელახლა საქართველოს განადგურებას შეუდგა.

რა თქმა უნდა, შეფასებული უნდა იქნას ქართველმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა რამდენად სწორად შეიმუშავეს მოქმედების გეგმა: სწორად გათვალეს თუ არა თავიანთი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობები, როგორ მიიყვანეს ისინი პოტენციურ მოკავშირეებამდე და დაარწმუნეს თუ არა დასახული მიზნის განხორციელების აუცილებლობაში? თვითონ თუ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ კოალიციის მთავარი ძალა – ოსმალეთი ბოლომდე ანგარიშს გაუწევდა მოკავშირეების ინტერესებს?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა სწორად ვერ გათვალეს ძალთა ცვლილება და განლაგება ახლო აღმოსავლეთში, სწორად ვერ შეაფასეს ირანის შესაძ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 587.
[2] იქვე, გვ. 587-588.

ლებლობები. შაჰ აბასის ირანი ის სახელმწიფო აღარ იყო, რომელსაც ოსმალეთი, ტრადიციულად, ათწლეულების განმავლობაში, თითქმის ყოველთვის ჯაბნიდა ბრძოლის ველზე. ოსმალეთის იმპერია დასუსტების გზაზე იყო. ირანი ოსმალეთის ინტერესებს კავკასიაში ანგარიშს რომ აღარ უწევდა მაშინაც გამოჩნდა, როცა შაჰმა სულთანს თეიმურაზის გადაცემა მოსთხოვა და იქვე დაემუქრა, თუ მის ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, მაშინ ორ ქვეყანას შორის მშვიდობა და მეგობრობა არასოდეს დამყარდებოდა[1]. ოსმალეთის მიმართ მკაცრი განცხადება-მოთხოვნის მიუხედავად, შაჰს ოსმალეთის იმპერიასთან დიდი ომი არ აწყობდა.

ირანისა და ოსმალეთის ჯარები ერთმანთის პირისპირ იდგა. „თეიმურაზი ვარაუდობდა, რომ ოსმალეთის ლაშქარი, რომელიც განლაგებული იყო ალეპოს მიდამოებში, 1616 წლის გაზაფხულიდან შეტევას დაიწყებდა ირანის წინააღმდეგ და მნიშვნელოვნად შეავიწროებდა ირანელებს. ეს კი საგრძნობლად გააუმჯობესებდა კახეთის მდგომარეობას და ქართველებს საშუალებას მისცემდა დაეცვათ თავი შაჰის აგრესიისაგან. მაგრამ თეიმურაზის იმედები არ გამართლდა“[2]. დიდმა ვაზირმა მეჰმედ ფაშამ წარმატებას ვერ მიაღწია და 1616 წელს შაჰ აბასს დაუზავდა. გაფორმდა ხელშეკრულება 1612 წლის სტამბოლის ზავის პირობების განახლების შესახებ.

ქართველი ხალხის თავდადებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. შაჰმა კახეთის აჯანყება ჩააქრო, მთელი აღმოსავლეთ საქართველო სასტიკად გაანადგურა. მტრის წარმატების მიზეზი მხოლოდ მისი მრავალრიცხოვნება არ იყო. დიდი როლი შეასრულა საგარეო და საშინაო გართულებებმა, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელმა. მრავალმა კახელმა დიდებულმა ყიზილბაშებთან ბრძოლაზე უარი სთქვა და შაჰს დანებდა. „მაშინ კახთა მგონებელთა, ვითარცა უყოთ წინარე შააბაზ უვნებლობა და ბოძნი, მისთჳს არცა აწ ინებეს ბრძოლა და მაგრება. ამით უღონოდ იქმნა

---

[1] Веселовский Н. И., Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, III, Петербург, 1898, ც. 352.

[2] სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 270.

თეიმურაზ, წარვიდა იმერეთსავე, გარნა განჰყენენ მრავალნი დიდნი და მცირენი დედაწულითურთ“[1].

როგორც ითქვა, თეიმურაზმა კვლავ თავი გაარიდა გააფთრებულ ყიზილბაშებს და იმერეთში გადავიდა.

რუსეთის ხელმწიფე ამ პერიოდში შაჰისათვის, ან ირანში თავისი დიპლომატებისათვის გაგზავნილ წერილებში, რომლებიც იმავე დროს ამ უკანასკნელთათვის სახელმძღვანელოსაც წარმოადგენდა, მხოლოდ განცხადებებითა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე ისტორიული ექსკურსებით შემოიფარგლებოდა. რუსეთის ხელმწიფე, ისევე როგორც XVI ს. 80-90-იან წლებში, სულთანს უმტკიცებდა თავის უფლებას საქართველოზე, ახლაც იგივეს ცდილობდა შაჰთან მოლაპარაკების დროს. რუსეთის ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება საქართველოს საკითხისადმი და ისიც, რომ ირანი პატივს უნდა სცემდეს და ანგარიშს უწევდეს რუსეთის ინტერესს საქართველოს მიმართ და მათ ერთობლივად უნდა დაიცვან თავი ოსმალეთისაგან, ნათლად აისახა ორ რუსულ დოკუმენტში. ერთი არის მოსკოვში, საელჩო პრიკაზში, შაჰ აბასის დიპლომატიურ შიკრიკთან (დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი) ხოზა მურთაზასთან მოლაპარაკების ანგარიში (დრო პირობითია. ჩაწერილი უნდა იყოს 1616 წ. 10 ივლისამდე), მეორე კი, ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძის წერილი მეფის დესპან ი. ფ. ლეონტიევთან.

ხოზა მურთაზას საელჩო პრიკაზში განუცხადეს, რომ ხელმწიფემ თერგის ვოევოდა გოლოვინისაგან შეიტყო შაჰ აბასის მიერ ივერიის ქვეყნის აკლებისა და მეფე თეიმურაზის გაძევების შესახებ. შაჰ აბასმა იცის, რომ ივერია და მისი თავადები ოდითგანვე რუსეთის ხელდებულნი არიან. ამის შემდეგ შაჰის დიპლომატიურ შიკრიკს შეახსენეს ვის დროს და როგორ მიიღეს ივერიელებმა რუსეთის მფარველობა, რა საქმიანობას ეწეოდა რუსეთის ხელისუფლება ივერიის ჩრდილო კავკასიელებისაგან დასაცავად და, რომ ეს ღონისძიებები ირანის ინტერესებსაც მიესადაგებოდა. რუსეთის მოქმედების შედეგად, ოსმალებს ეკეტებოდათ დერბენტთან დამაკავშირებელი გზა. ამიტომ იყო, რომ როცა „ჩვენმა დიდმა

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 588.

ხელმწიფე მეფემ და სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა დიდმა მთავარმა გაიგო თქვენი დიდი ხელმწიფე შაჰ აბასის მოქმედების შესახებ, გაუკვირდა, რომ მან, ჩვენმა ძმამ დიდმა ხელმწიფემ (აბასმა –ე.მ.), არ აცნობა ჩვენს დიდ ხელმწიფეს, რომ დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომი ივერიის მიწა-წყლის განადგურება ბრძანა და ჩვენი დიდი ხელმწიფის მუდმივი ყმებს ყაბარდოელ ჩერქეზებს თქვენი დიდი ხელმწიფის ჯარი ეომებოდა. თქვენ დიდ ხელმწიფეს არ ეკადრება ასე მოქცევა, რომ არ გააგებინა ჩვენს დიდ ხელმწიფეს განადგურება საქართველოსი, იქ სადაც ღვთის წმინდა ეკლესიები იყო ციხეები ჩადგა. არ ეკადრება, რომ ყაბარდოსა და ყუმუხების მიწა-წყალზე ჯარი გაგზავნა... ყიზილბაშმა შიკრიკმა უპასუხა: საქართველო შაჰმა იმიტომ დაიპყრო, რომ იგი თურქებს მიემხრო, მას განუდგა და (სულთანს –ე.მ.) ეპატიჟება. ახლა დიდი ხელმწიფე მეფე და სრულიად რუსეთის დიდი მთავარი მიხეილ თედორეს ძე საქართველოს მიწა-წყალს თავისთვის ითხოვს, ხოლო თურქეთის მეფე სწერს, რომ საქართველო მისია“[1].

1616 წ. დასაწყისში რუსეთის დესპანს ფ. ი. ლეონტიევს გაეგზავნა „დარიგება“ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარემართა მოლაპარაკება შაჰთან საქართველოს საკითხზე. „დარიგების“ უდიდესი ნაწილი შედგება იმის დასაბუთებისაგან, რატომ აქვს რუსეთს პოლიტიკური და მორალური უფლება შაჰთან მოლაპარაკების დროს, იყოს საქართველოს დამცველი, რამდენი რამ გაუკეთებია მისთვის და ა. შ. „გარდაიცვალა თუ არა მეფე ბორისი, რეჩ პოსპოლიტის მეფის წაქეზებით მოსკოვის სახელმწიფოში დაიწყო არეულობა და ხალხის დაპირისპირება. ყუმუხები შეუთამხმდნენ თურქებს, რომლებიც მაშინ ყუმუხების ქვეყანაში იყვნენ, ჩვენს დიდ სახელმწიფოს ესხმოდნენ და ორივე მხრიდან ბევრი სისხლი დაიღვარა. ყველაფერი ივერთა ქვეყნის გამო მოხდა. ახლა კი დიდი ხელმწიფე შაჰ აბასის დიდებულება შეიჭრა ივერთა ქვეყანაში, დაიპყრო და გაანადგურა, მეფე თეიმურაზი საქართველოდან გააძევა, იქ სადაც ჩვენი მართლმადიდებლური რწმენის მონასტრები და ეკლესიები იყო, სადაც უფლის სახელს ადიდებდნენ, შაჰ აბასის დიდებულებამ ციხეების ჩადგმა ბრძანა“.

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №13, გვ. 142-144.

შემდეგ ნათქვამია, რომ თუ საქართველოს მეფესა და შაჰს შორის რაიმე გაუგებრობა იყო შაჰს რუსეთის ხელმწიფესთვის უნდა გაეგებინებინა. იქვე ფ. ლეონტიევის აფრთხილებენ, რომ ის უფლებამოსილი არ არის რაიმე მოლაპარაკება აწარმოოს. ასეთი მოლაპარაკება მაშინ შედგება, როცა „დიდი“ ელჩები, ორივე მხრიდან. ერთმანეთს შეხვდებიან. მხოლოდ ამის შემდეგ ხელმწიფეები გააფორმებენ ხელშეკრულებას ივერთა ქვეყანის შესახებ[1].

თეიმურაზის მეთაურობით კახეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მომხდარი აჯანყების შესახებ, ზოგიერთ ცნობას ვხვდებით 1616 წ ივნისში მოსკოვის საელჩო პრიკაზში დაკითხული დიპლომატიური შიკრიკის გ. შახმატოვის და თარჯიმან ერმოლკის საქართველოს ამბების მონათხრობში. მათ სთქვეს, რომ მათი ირანში ყოფნისას, შაჰთან იმყოფებოდნენ სულთნის დიპლომატიური შიკრიკი, საფრანგეთის მეფის დესპანი, ყირიმის სახანოს უფლისწული და ქართველი უფლისწული ლუარსაბი (ლევერხანი), რომ კახეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ანტიირანული აჯანყების დროს თეიმურაზმა შაჰის მიერ ჩადგმული ციხეები დაიკავა, შიგ ჩაყენებული მეციხოვნეები გაწყვიტა და ძველებურად საქართველო მის ხელშია. შაჰმა ახალი ჯარი გაგზავნა 12 ათასი კაცის ოდენობით, რომელიც თეიმურაზმა დაამარცხა და ყიზილბაშებმა გაქცევით უშველეს თავს.

შახმატოვმა და ერმოლკმა არდებილში გაიგეს, რომ შაჰს განზრახული აქვს პირადად წავიდეს თეიმურაზის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ სთქვეს რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს. მათ ისიც გაიგეს, რომ შემახასა და დერბენტში თავდაცვას აძლიერებენ და სურსათ-სანოვაგეს იმარაგებენ, რადგან თეიმურაზის თავდასხმას ელოდებიან, თანაც ამბობენ, რომ ოღონდაც შაჰი ნუ მოვა და თეიმურაზისაგან თავს ჩვენ თვითონ დავიცავთო. არეში თეიმურაზმა აიღო და შაჰის ხალხი ერთიანად ამოწყვიტა. აამჟამად თეიმურაზი საქართველოში თავის ქალაქ ზაგემში იმყოფება[2].

რუსეთის ხელისუფლება ხედავდა, რომ მისი დიპლომატიური აქტიურობის მიუხედავად, შაჰ აბასის პოზიცია საქართველოსადმი

---

[1] იქვე, დოკ. №11, გვ. 138-141

[2] იქვე, დოკ. №12, გვ. 141.

სასიკეთოთ კი არ იცვლებოდა, არამედ უფრო მკაცრდებოდა. თავის მხრივ თეიმურაზიც რუსეთის მთავრობის გააქტიურებას ცდილობდა და, როგორც ჩანს, მიხეილ თედორეს ძეს წერილებს უგზავნიდა. რუსეთის ურთიერთობას ირანთან საქართველოს საკითხის გამო და თეიმურაზის მიერ რუსეთის მეფესთან წერილის გაგზავნის შესახებ, ვიგებთ მეფე მიხეილ თედორეს ძის 1616 წ. 22 მარტს, ირანში, თავის ელჩ თედორე ლეონტიევისა და დიაკ ბოგდან ტიმოფეევისათვის 27 ივნისს გაგზავნილი წერილებიდან. მიხეილ თედორეს ძე ირანში თავის წარმომადგენლებს წერდა: „გასულ 123 (1615 – თ. ტ.) წელს შაჰთან გაიგზავნა ჩვენი დიპლომატიური შიკრიკის გრიგოლ შახმატოვის ხელით საქართველოს შესახებ წერილი იმის თაობაზე, რომ შაჰმა არამეგობრული საქციელი ჩაიდინა: ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, შეუთანხმებლად ჩვენი ქვეშევრდომი საქართველოს მიწა-წყალზე შეიჭრა, დაიპყრო და მისი განადგურება ბრძანა, თეიმურაზ მეფე საქართველოდან განდევნა და სადაც კი ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოების ეკლესია-მონასტერი იყო, რომლებშიც ღვთის საგალობელს სწირავდნენ, იქ თავისი ქალაქები ააშენა. შაჰ აბასი ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, ნუ იქნება ცუდ განწყობაში, ივერიის მიწა-წყლიდან თავისი ხალხის გაყვანა ბრძანოს. ამა წლის 15 ივნისს გრიგოლ შახმატოვი ჩვენთან დაბრუნდა და ჩვენი წერილის საპასუხოდ შაჰის წერილი ჩამოიტანა, რომელშიც შაჰი გვწერდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი დასაბამიდან ირანის ქვეშევრდომი და მსახური იყო და ყოველთვის ირანის მიწა-წყლის ხელმწიფენი სწყალობდნენ და მფარველობდნენ მას. ამიტომ თუ შაჰს მათთან რაიმე საქმე ექნება და მისი შიშით ქართველები ჩვენს სახელმწიფოში მოვლენ, ჩვენ ისინი უკან უნდა გავუგზავნოთ. იმავე თვის, ივნისის 15-ში თერგის ვოევოდა პეტრე პრიკოლსკიმ მოგვწერა და წერილიც გამოგვიგზავნა ქართველთა ქვეყნის მეფის თეიმურაზისა, რომელიც შაჰმა საქართველოს მიწა-წყლიდან გააძევა. თეიმურაზი ჩვენთვის გამოგზავნილ თავის წერილში სწერს, რომ ამჟამად ღვთის წყალობით, ჩვენი მეფური ბედნიერებისათვის თავის საქართველოს მიწა-წყალზე შეიარაღებული ხალხით დაბრუნდა და ყიზილბაშები გააძევა. ამის შემდეგ მისი საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა მრავალი მეფე, უფლისწული და შაჰის ვოევოდა მრავალრიცხოვანი ჯარით. როცა მან ამის შესახებ გაიგო, მათ წინააღმდეგ წავიდა და ღვთის წყალობით და

ჩვენი მეფური ბედნიერებისათვის ისინი დაამარცხა, ვინც გადარჩა თბილისს შეაფარა თავი. მას ხელში ჩაუვარდა დიდძალი ოქრო, ვერცხლი, საჭურველი და კარვები, აურაცხელი ცხენები და აქლემები[1]. (თეიმურაზს უნდა–ე.მ.) იყვეს ჩვენი მეფური მოწყალების ქვეშ, ისევე, როგორც იყვნენ ადრინდელი (რუსი–ე.მ.) მეფეების მოწყალების ქვეშ მისი პაპა ალექსანდრე თავისი შვილებით და მას იცავდნენ თურქებისა და სხვა მისი მტრებისაგან, რომ მივწეროთ შაჰს, რათა ჩვენი, დიდი ხელმწიფის (ქვეშევრდომობის –ე.მ.) გამო დევნასა და თავდასხმას არ განიცდიდეს. რომ ჩვენ შაჰს წერილი გავუგზავნოთ. ჩვენი წერილი (შაჰისთვის გაგზავნილი –ე.მ.) სისტყვა-სიტყვით გეგზავნებათ ამ წერილთან ერთად. როცა ეს ჩვენი წერილი მოგივათ, და როცა თქვენ შაჰთან იქნებით, ეს წერილი ჩვენს ადრინდელ წერილთან ერთად შაჰს გადაეცით... როცა შაჰი და მისი ახლობელი ადამიანები საქართველოზე ლაპარაკს დაგიწყებენ, ილაპარაკეთ ისე, როგორც ნაბრძანები გაქვთ, როგორც ჩვენს ბრძანებაში წერია საქართველოს შესახებ. შესაბამისობაში მოიყვანეთ ჩვენს იმ წერილთან, რომელიც შაჰს მივწერეთ, ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორც ჩვენს მეფური სახელის ღირსების და მისი ამაღლებისათვის, ასევე ჩვენი სახელმწიფოს შემატებისა და გავრცობისათვის იქნება უკეთესი“[2].

მარცხმა საშინლად განარისხა შაჰ აბასი და 1616 წლის ადრიან გაზაფხულზე უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსკენ წამოვიდა. „ხოლო შემოვლო კახეთი და მოვიდა ქართლს და დასუა მუნ ქართლში ბატონად ძმისწული მეფის სჯმონისა ბაგრატ... კახის ბატონის გუარის ქალისაგან“[3]. ამის შემდეგ შაჰი კახეთში

---

[1] ქართველთა ეს ბრწყინვალე გამარჯვება თეიმურაზ მეფის მეთაურობით, საკმაოდ დაწვრილებით აღწერა ისქანდერ მუნშიმ. გვ. 98-100. ვახუშტი ბატონიშვილი კი გადმოგვცემს: „სცნა თეიმურაზ მოსლვა ალი-ყულიხანისა არაგუსა ზედა, შემოიკრიბნა სპანი და დაესხა შუადღე წიწამურს ზეით და ძლიერითა ბრძოლითა ივლტოდნენ ყიზილბაშნი და მოსრვიდნენ კახნი, რამეთუ მცირედნიდა გარდაეხვეწნენ და აღიღო ალაფი და საჭურველი და საჭურჭლე მათი თეიმურაზ“. ქართლის ცხოვრება IV, გვ. 588.

[2] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №12, გვვ. 141.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 400. ბაგრატი სვიმონ I-ის ძმის დაუდ-ხანის ვაჟი იყო.

შეიჭრა და მის განადგურებას შეუდგა. თეიმურაზ მეფე კვლავ იმერეთში გადავიდა.

რუსეთის ხელისუფლება შეაშფოთა იმ ცნობამ, რომ ყუმუხელები შეშინებულები იყვნენ გავრცელებული ხმით, შაჰ აბასი ტარკუსა და ენდერში სიმაგრეების ჩადგმას აპირებსო[1]. მაგრამ განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო 1617 წლის 2 თებერვალს თერგიდან მიღებული ის ცნობა, რომელიც შემახელ ვაჭარს ქემალს მიუტანია: შაჰ აბასმა ეკონომიკური ბრძოლა გამოუცხადა რუსეთს, საქართველოსა და ავარებს. კერძოდ მან ბრძანა: თავის სამფლობელოების ყველა ქალაქში გამოეცხადებინათ, რომ ვაჭრები არანაირი საქონლით არ წასულიყვნენ დასახელებულ სამ ქვეყანაში. შაჰის ბრძანება თუ მართალი გამოდგებოდა, მაშინ სერიზულად დაზარალდებოდა რუსეთის ქალაქების ვაჭრობა.

იმავე ქემალის ნათქვამიდან განსაკუთრებით საყურადღებო იყო თეიმურაზ I-ის ოსმალეთთან დაახლოების შესახებ. მაგრამ ის რაც ამ დაახლოების დასასაბუთებლად იყო მოყვანილი, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. კერძოდ, ქართველ მეფეს შაჰის წინააღმდეგ საომრად თითქოს სულთინასათვის 40 ათასი მებრძოლი უთხოვია. იქვე ხაზგასმული იყო ირანისათვის საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ამის გამო შაჰის ცბიერებაზეც. ქემალის ნათქვამის მიხედვით მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: ოსმალეთის სულთანმა ქართველ მეფეს, მისივე თხოვნით, ორმოცი ათასი მოლაშქრე მისცა. სანდარ ფაშა კი დანარჩენი ხალხით დიარბექირში წავიდა. შაჰ აბასმა თეიმურაზს შეუთვალა, შევრიგდეთო. თეიმურაზმა დაუჯერა შაჰს და დაზავების იმედით ოსმალთა სულთანს მისი ლაშქარი დაუბრუნა, თვითონ კი, სვიმონის ქვეყანის რომელიღაც სიმაგრეებში ქალაქ ოსტასოვეში (?) ცხოვრობდა. როცა შაჰ აბასმა გაიგო ქართველთა მეფე თეიმურაზმა თურქთა ჯარი გაუშვაო, მას თავისი ელჩი გაუგზავნა, რომელსაც გააყოლა რუსეთის ელჩის, ლეონტიევის, კაციც[2].

ქემალის მონათხრობიდან ისე გამოდის, რომ შაჰ აბასი თეიმურაზზე გავლენის მოსახდენად რუსეთის ხელმწიფის ავტორე-

---

[1] ტივაძე თ, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 30.
[2] იქვე, გვ. 30-31.

ტეტის გამოყენებასაც ცდილობდა, რომელსაც, შაჰის აზრით, თეიმურაზ მეფე ანგარიშს გაუწევდა.

ქემალის ყველა ცნობა ეჭვს იწვევს, მაგრამ მათი გადამოწმების საშუალება არა გვაქვს. მხოლოდ ერთი რამე ცხადია: ამ დროს იწყება თეიმურაზის ოსმალეთთან დაახლოება, რაზეც ქვემოთ ვრცლად ითქმევა. ამჯერად კი შეიძლება ის აღინიშნოს, რომ თეიმურაზმა სულთან აჰმედ I-ს (1603-1617) მართლაც სთხოვა ჯარი ყიზილბაშებთან საბრძოლველად. ქემალის ნათქვამს ადასტურებს თეიმურაზ მეფის ელჩი მოსკოვში არქიეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი. მან საელჩო პრიკაზის მწერალ ა. შახოვსა და თარჯიმან ს. კამენევს ბერძნულად მოკლედ მოუთხრო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო პერიოდზე, შაჰ აბასის საქართველოში ლაშქრობების დაწყებიდან 1623 წლამდე. თეოდოსემ სთქვა: შაჰ აბასმა როცა თეიმურაზი გააძევა, მან ოსმალეთის სულთან აჰმედთან არქიეპისკოპოსი თეოდოსე გაგზავნა, რომელმაც სთხოვა, რომ კახეთის მეფე შაჰისაგან დაეცვა და იგი მისთვის არ გადაეცა. თეიმურაზმა ჯარიც ითხოვა. სულთანმა თეოდოსე კარგად მიიღო, თეიმურაზის დასახმარებლად კი სამი ფაშა 300 ათასიანი[1] ჯარით გაგზავნა. შაჰი იმ დროს თავრიზში იმყოფებოდა და, როცა ოსმალთა ჯარის წამოსვლა გაიგო, არდებილში გაიქცა. სულთან აჰმედს საქართველოს საზღვრის მახლობლად თეიმურაზისათვის მიუცია ქალაქები – ოლთისი, ნამურდანი (ნამურაკიანი?) და არტაანი თავიანთი დაბებითა და სოფლებითურთ[2].

ახლად გამეფებულმა სულთანმა ოსმან II-მ (1618-1622) თეიმურაზ მეფე თავისთან დაიბარა. სულთანმა თეიმურაზი კონსტანტინოპოლში ღირსეულად მიიღო და მეოთხე ქალაქი, კარაისარი გადასცა[3].

რუსეთის სამეფო კარი და დიპლომატები ქართველების თვალში ავტორიტეტის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ისინი კვლავ და კვლავ შაჰის წარმომადგენლებს უმეორებდნენ საქართველოზე

---

[1] ოსმალთა ჯარის ეს რაოდენობა დაასახელა შემახელმა ქემალმაც. იქვე გვ. 30.

[2] Полиевктов М., Материалы… с. 64.

[3] Там же, с. 65.

თავიანთი უფლების შესახებ. 1617 წლის 18 ნოემბრიდან 1618 წლის 24 მაისამდე მოსკოვში, საელჩო პრიკაზში, რუს და ირანელ დიპლომატებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი შაჰ აბასის საქართველოს მიმართ პრეტენზიები იყო. მოლაპარაკების დროს, როგორც წინათ, ისე ახლაც რუსული მხარე ერთსა და იგივეს იმეორებდა, რომ საქართველო მისი ქვეშევრდომია და იწყებდნენ იმის მოყოლას, როგორ მიიღეს ქართველმა მეფე ალექსანდრე II-მ და მისმა მემკვიდრეებმა რუსთა ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცი. როგორც ჩანს, მოთმინება დაკარგულმა ირანის ელჩმა განაცხადა: „მან (ელჩმა –ე.მ.) არც ქართული სიგელის შესახებ და არც იმის შესახებ იცის მასში რა წერია. შაჰმა არ იცოდა ქართველთა მიწა-წყალი რომ მეფის უდიდებულესობის ქვეშევრდომი იყო. ახლა რაც მან (ელჩმა –ე.მ.) საქართველოს შესახებ გაიგო, შაჰს აცნობებს“. რუსმა დიპლომატებმა შაჰის ელჩის ეს ნათქვამი არ მიიღეს და მისი გაბათილების მიზნით მაშინვე განაცხადეს: „როგორ თუ შაჰმა არ იცოდა საქართველოს მიწა-წყალი რომ მეფის დიდებულებას ემსახურებოდა. შაჰი არ იყო, ხელმწიფე მეფეს და სრულიად რუსეთის დიდ მთავარს თედორე ივანეს ძეს რომ სწერდა, მეფის დიდებულებას ქართველი ალექსანდრესათვის მიეწერა, რათა იგი მასთან ერთად ყოფილიყო სულთნის წინააღმდეგ, შაჰის ასეთი წერილები ამჟამადაც მეფის უდიდებულესობის ხაზინაში ინახება“.

რუსმა დიპლომატებმა, შემდეგი მოლაპარაკების დროს, შაჰის ელჩებს ქართველი მეფეების რუსთა ხელმწიფეებისადმი ქვეშევრდომობის ფიცის სიგელი აჩვენეს. ამის შემდეგ მათ უფრო დაბეჯითებით მოითხოვეს, რომ შაჰი, ჩვენი ხელმწიფისადმი მეგობრობისა და სიყვარულისათვის, საქართველოს მიწა-წყალზე აღარ შეიჭრეს, აღარ გაანადგუროს და ელჩმა ბულატ ბეგმა ამის შესახებ შაჰს აცნობოსო. ელჩმა პირობა დასდო, რომ ყველაფერს აცნობებს შაჰს და კარგი იქნება თუ ამის სათქმელად რუსი ხელმწიფის ელჩებიც წავლენ შაჰთან. ბულატ ბეგმა საქართველოზე საუბარი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: ქართველთა „მიწა-წყლიდან შაჰის დიდებულებას დიდი სარგებელი არა აქვსო“[1].

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №15, გვ. 146-148.

III. თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან (1619-1625 წწ.)

როგორც ითქვა სულთან ოსმან II-ის თეიმურაზისათვის დახმარება, მისთვის კიდევ ერთი ქალაქის გადაცემით გამოიხატა. ოსმალეთს საქართველოსთვის მეტის გაკეთება აღარ შეეძლო. ირანი მისთვის დაუძლეველ წინააღმდეგობად გადაიქცა. ქართველმა პოლიტიკოსებმა, თეიმურაზ მეფის მეთაურობით, გადაწყვიტეს დახმარება რუსეთისთვის ეთხოვათ. მოხდა ის, რაც საუკუნენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში არ მომხდარა: სახეზეა ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის გამოვლენა. კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო და ოდიშის სამთავრო (საეჭვოა ოდიშის სამთავროს მონაწილეობა თეიმურაზ მეფის მიერ წამოწყებულ დიპლომატიურ ურთიერთობაში რუსეთთან) ერთობლივად აგზავნიან ელჩს მოსკოვში. მართალია, ისინი ცალ-ცალკე სწერენ რუსეთის ხელმწიფეს, მაგრამ თხოვნა ყველასი ერთია: დახმარება ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აუცილებელია განმარტება მიეცეს მ. პოლიევქტოვის იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქართული დიპლომატიის მიერ ოსმალეთის იმედათ ყოფნაზე უარის თქმა, რუსეთის დიპლომატიის წარმატებული მოქმედების შედეგი იყო. მ. პოლიევქტოვი წერდა: „ამ დროინდელი თეიმურაზის ყველა ელჩი მოსკოვში განეკუთვნებოდა გარკვეულ საზოგადოებრივ ფენას. იღუმენი ხარიტონი, იერუსალიმში გოლგოთის ქართული მონასტრის არქიეპისკოპოსი თეოდოსე, მიტროპოლიტი ნიკიფორე, ყველა ესენი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან დაახლოებული საქართველოს უმაღლესი სასულიერო წრეების წარმომადგენლები იყვნენ. ყველა ისინი მოსკოვში გამოჩენამდე, და ზოგიერთი მათგანი ზუსტად იმ დროს, როცა მოსკოვი (თეიმურაზთან – ე.მ.) აგზავნიდა ვერიოვკინს, თეიმურაზის დავალებით, „ურწმუნოებთან“ ეძებდნენ მის დამცველს. მათ თავიანთი სასულიერო წოდება, მოცემულ შემთხვევაში, ხელს არ უშლიდათ თავიანთ დიპლომატიურ მისიაში. ყველა მათ კონსტანტინოპოლში უხდებოდათ შეხება ბერძნულ ეკლესიასთან, რომელიც ამ დროს მოსკოვის მოწყალებით ცხოვრობდა. მოსკოვისათვის მორჩილი ამ ფენის მეშვეობით შეიძლებოდა საქართველოში

იმ გავლენის გავრცელება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაიმარ-ჯვა თეიმურაზის თურქეთისაკენ მიდრეკილებაზე“[1].

მ. პოლიევქტოვი მართალია, როდესაც ბერძნულ ეკლესიაში რუსულ გავლენაზე აღნიშნავს, მაგრამ, ჩემთვის ცნობილი წყაროებიდან და ლიტერატურიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას რუსეთთან და საქართველოსთან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. სულთნის კარი ამ დროს რუსეთს განიხილავდა როგორც პოტენციურ მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში ირანის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც იმავე ირანს ებრძოდა საქართველოს გამო. „გურჯისტანი“ მას თავისად მიაჩნდა. რუსეთი საქართველოს საქმეებში ჯერ ისე არ ერეოდა, რომ მასში მეტოქე დაენახა. ოსმალეთის ხელისუფლება ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა და შეძლებისდაგვარად აფერხებდა საქართველოს ურთიერთობას სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, სულთნის მოხელეთა შიშით, თავს არიდებდა მართლმადიდებელი საქართველოს წარმომადგენლებთან კონტაქტს. ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ ქართული ეკლესია, კერძოდ კი, დასახელებული სასულიერო პირები, მჭიდრო კავშირში იყვნენ იერუსალიმის საპატრიარქოსთან და არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან. სულ სხვაგვარი ურთიერთობა არსებობდა საქართველოს ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის. ეს იყო იერუსალიმის ბერძენთა პატრიარქებისა და საპატრიარქოს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი საქართველოს ეკლესიასთან და სამეფო-სამთავროებთან[2]. ასე, რომ ***საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის რუსეთზე გადატანა თეიმურაზ მეფისა და ქართული პოლიტიკური წრეების მიერ ვითარების ანალიზის შედეგი იყო და არა გარედან თავსმოხვეული პოლიტიკა.***

აღნიშნულის გამყარებისათვის გამოგვადგება თუნდაც ახლა რომ გვაინტერესებს კუმურდოს იღუმენის ხარიტონის მაგალითიც. იგი ორჯერ იყო იერუსალიმში და დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდა

---

[1] Полиевктов М., Материалы… с. XXVI, прим. 1.

[2] იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.).

პატრიარქ თეოფანის III-სთან (1608-1644). იერუსალიმის პატრიარქთან ამგვარი სიახლოვის შესახებ ხარიტონმა მოსკოვში განაცხადა, მაშინ, როდესაც იმავე ქალაქში, იმავე დროს, მყოფი პატრიარქის ნახვის უფლება მოითხოვა. ხარიტონის თქმით, მას პატრიარქისაგან დალოცვა უნდოდა. როგორც ხელმწიფეს მოახსენეს, „პატრიარქი მას დიდი ხანია იცნობს და (ხარიტონი –ე.მ.) მასთან იერუსალიმში ორჯერ იყო. მას პატრიარქი ორი წელია არ უნახავს“[1].

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მოსკოვში მიმავალმა პატრიარქმა თეოფანისმა საქართველოში გამოიარა. ხარიტონის მიერ თეოფანისის ნახვის მოთხოვნა, სავარაუდოა, მისგან მხოლოდ დალოცვის მიღების სურვილით არ იყო გამოწვეული. თეიმურაზ მეფეს თეოფანისისთან და იერუსალიმის საპატრიარქოსთან რომ ინტესიური პოლიტიკური კონტაქტები ჰქონდა, უფრო დავრწმუნდებით მაშინ, როდესაც ნიკიფორე ირბახზე ვისაუბრებთ. ისიც საგულისხმოა, რომ ხარიტონის და სხვა მოგზაურთა და მომლოცველთა საშუალებით, თეიმურაზ მეფეს ურთიერთობა ჰქონდა ნიკიფორე ირბახთანაც, რომლის სიახლოვე იერუსალიმის პატრიარქთან ცნობილი იყო.

თავისი სამეფოდან დევნილ თეიმურაზ მეფეს იმდენად სერიოზული ავტორიტეტი ჰქონდა და პატივს სცემდნენ, რომ შეძლო ანტიირანული კოალიციის შექმნაზე ეფიქრა. ამ გზაზე ყველაზე სერიოზული დაბრკოლება შეიძლებოდა შეხვედროდა ქართულ პოლიტიკური ერთეულების მხრიდან. მაგრამ მოხდა, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ფაქტი: ყველა ქართველმა მეფე-მთავარმა მზდაყოფნა გამოაცხადა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ***ეს თეიმურაზის საგარეო პოლიტიკური კურსის აღიარება და გამარჯვება იყო.*** არც თუ წარმატებულად მეჩვენება თემურაზ I-ისა და მისი პაპის ალექსანდრე II-ის საგარეო პოლიტიკური კურსის შედარება, რომ მეორე პირველისაგან განსხვავებით საგარეო პოლიტიკას, კერძოდ, მოსკოვთან ურთიერთობას სხვა ქართველი მმართველებისაგან იზოლირებულად აწარმოებდა[2]. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ალექსანდრეს და თეიმურაზის დრო-

---

[1] Полиевктов М., Материалы… с. 49.

[2] Полиевктов М., Материалы…с. XXIV.

ინდელი კახეთის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება. კახეთის სამეფო იმდენად ძლიერი და ანგარიშგასაწევი სამეფო იყო, რომ მის მეფეს – ალექსანდრეს შეეძლო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა. სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულები ალექსანდრეს მხარს არ დაუჭერდნენ თუნდაც იმიტომ, რომ მას ქვეყანაში პირველობის და გამაერთიანებლის პრეტენზია ჰქონდა, რაც მან განსაკუთრებით ნათლად სწორედ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში გამოამჟღავნა. იგი რუსეთის ხელმწიფესთან გაგზავნილ წერილებსა და მის ელჩებთან მოლაპარაკებების დროს სხვა ქართველი მეფე-მთავრების იგნორირებას ახდენდა. არც ირანი იყო იმ დროს ისე ძლიერი, როგორიც თეიმურაზ I-ის დროს[1]. თეიმურაზი, თავდაპირველად, ირანთან ურთიერთობაში თავისი დიდებული პაპის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას ცდილობდა. ეს იყო არც მტრობის და არც მოყვრობის პოლიტიკა, რასაც შაჰ აბასი უკვე აღარ შეეგუებოდა და არც შეეგუა. ვიდრე შაჰ აბასი ცოცხალი იყო, თეიმურაზმა თავისი მეფობის მნიშვნელოვანი პერიოდი ლტოლვილობაში გაატარა. თეიმურაზი, რომელიც ამ დროს არც ერთი ქართული პოლიტიკური ერთეულის მიმართ პრეტენზიას არ ამჟღავნებდა, ბუნებრივია, საგარეო ურთიერთობის საკითხებზე მათთან საერთო ენის გამოძებნა უადვილდებოდა.

თეიმურაზი და დასავლეთ საქართველოს მმართველები ირან-ოსმალეთის ომის დასრულებამდე დარწმუნდნენ, რომ ოსმალეთი სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევდა და მისგან სამხედრო დახმარების მიღება ნაკლებად საიმედო იყო. ისინი ომის დამთავრებას აღარ დაელოდნენ და გადაწყვიტეს დახმარება რუსეთისთვის ეთხოვათ. ამ პოლიტიკური ნაბიჯის ინიციატორი თეიმურაზ მეფე იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თეიმურაზის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო ალტერნატიული მოკავშირეების ძიება ირანთან საბრძოლველად. მას საგულისხმო მოკავშირეებად მიაჩნდა ოსმალეთი და რუსეთი, რომლებიც იმავდროულად ერთმანეთთან დაპირისპირებულნი იყვნენ.

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 269-291, 302-308...

თეიმურაზ I-ის დიპლომატი ხარიტონი

თეიმურაზ მეფემ, იმერეთის მეფე გიორგიმ, გურიის მთავარმა მამიამ და ოდიშის მთავარმა ლევანმა 1618 წლის გაზაფხულზე კუმურდოს ღვთისმშობლის მონასტრის იღუმენი ხარიტონი მოსკოვში გაგზავნეს. იგი მოსკოვში მიიღეს, როგორც თეიმურაზის ელჩი. მოსკოვის კარი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, რადგან თეიმურაზი ხელმწიფისათვის გაგზავნილ თავის სიგელში ხარიტონს წარადგენს, როგორც მხოლოდ თავის ელჩს. ქართველ ელჩს თერგიდან გაჰყვნენ თერგის სტრელეცების ასისთავი და თარჯიმანი. ელჩის მოგზაურობის მარშრუტი იყო: ყაბარდო–თერგი–ასტრახანი–ყაზანი–ნიჟნი ნოვგოროდი–მოსკოვი. ხარიტონი მოსკოვში მივიდა 1619 წ. აპრილში.

ქართველი ელჩის მიმართ, მთელი მისი მოგზაურობის დროს, რუსი მოხელეები უნდობლობას იჩენდნენ. არსებობდა სპეციალური ბრძანება, რომ მოგზაურობის დროს ელჩს არავინ დალაპარაკებოდა და გამყოლსაც კი აუკრძალეს ელჩთან საქმიანი საუბარი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ხარიტონს ხელმწიფისათვის განკუთვნილი წერილები მოპარეს და მოსკოვში ჩაიტანეს. ამის შემდეგ ელჩი სპეციალური ნებართვით შეუშვეს მოსკოვში.

16 აპრილს ხარიტონს ეწვია საელჩო პრიკაზის მოხელე ალ. შახოვი და მოსკოვში ჩამოსვლის მიზნის შესახებ გამოჰკითხა. ელჩმა ჯერ თავის მგზავრობაზე მოახსენა, სად და რამდენ ხანს მოუხდა გაჩერება, როგორ ეპყრობოდნენ და ნიჟნი ნოვგოროდში თერგის პრისტავმა წერილები რომ მოჰპარა[1].

ხარიტონმა შახოვს უთხრა, რომ რუსეთის ხელმწიფისათვის წერილებთან ერთად საიდუმლო დანაბარებიც უნდა გადაეცა. თეიმურაზ მეფის ბრძანებით მას ხელმწიფისათვის უნდა მოეხსენებინა, რომ როგორც მისი პაპა და მამა ემსახურებოდნენ რუს ხელმწიფეებს, ასევე თეიმურაზს განზრახული აქვს ამჟამინდელ ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს ემსახუროს და მისი ხელდებული იყოს. ხარიტონი იმ უბედურებაზეც მოუყვა, რაც შაჰმა მის სამშობლოს დააწია. ამჟამად მეფე თეიმურაზი, ოსმალეთის

---

[1] Полиевктов М., Материалы… с. 39-40.

სულთნის მფარველობის ქვეშ, იმერეთის სამეფოში ცხოვრობს. თეიმურაზს შაჰის წინააღმდეგ მხარს უჭერენ იმერეთის მეფე, გურიელი და დადიანი. თეიმურაზ მეფემ იღუმენი ხარიტონი დახმარების სათხოვნელად გაგზავნა სულთანთან და ყირიმის ხანთან. სულთანი თეიმურაზს ჯარის მიცემას დაჰპირდა და წერილიც გაუგზავნა. ამის შემდეგ მეფემ ხარიტონი ყირიმის ხანთან ჯარის სათხოვნელად გაგზავნა. იქაც დაპირება მიიღეს. როცა ხარიტონი ყირიმიდან თავის მეფესთან დაბრუნდა, ოსმალეთის ჯარი ჯერ კიდევ მისული არ იყო, ამიტომ მეფემ იგი კვლავ სულთანთან გაგზავნა. ხარიტონმა თავისი თვალით ნახა არზრუმში შეკრებილი თურქებისა და ყირიმელების ჯარი. რადგან თეიმურაზმა ხარიტონი მოსკოვში დიდ ხელმწიფესთან გამოაგზავნა, მან არ იცის ოსმალეთისა და ყირიმის ჯარებმა რა მოიმოქმედეს[1]. ხარიტონმა ისიც განაცხადა, რომ მის მეფეს თურქებისა და ყირიმელების იმედი არა აქვს, რადგან ისინი მუსლიმები არიან. მაშინ, როდესაც რუსეთის „დიდი ხელმწიფე, მისი მეფური დიდებულება, მზისქვეშეთში უდიდესი ქრისტიანი ხელმწიფეა და როგორც მისი წინაპრები იცავდნენ საქართველოს, მანაც ასევე უნდა დაიცვას. თუ ხელმწიფეს ახლა არ შეუძლია ჯარით დახმარება, მაშინ თავისი კაცი საქართველოში გაგზავნოს, რათა დარწმუნდეს როგორ განადგურდა მისი სამეფო. როცა მისი წარგზავნილი თეიმურაზს მის (ხელმწიფის – ე.მ.) წერილს მიუტანს, მისი მტრები გაიგებენ და შეშინდებიან“.

ხარიტონმა ჩრდილო კავკასიელი მთიელების სახელით განაცხადა: ყუმუხებსა და მთიელ თავადებს უნდათ ხელმწიფის ხელდებულები იყვნენ. მხოლოდ ორი ყუმუხელი თავადი, ალიბეკი და, მეორის სახელი არ ახსოვდა, შაჰს ემხრობა. თავადი გირეი ცოცხალი აღარ არის და მისი ადგილი სულთან-მაჰმუდმა დაიკავა და ახლა ჩერქეზებში ყველაზე ძლიერი ის არის. ყუმუხელ თავადებს თერგზე მძევლები არა ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანი მზად არიან ხელმწიფის ხელდებულები გახდნენ, მათი შემომტკიცებისათვის ხელმწიფემ მძევლების აყვანა ბრძანოს[2].

---

[1] Там же, с. 40-41.

[2] Там же, с. 41-42.

თეიმურაზ მეფესა და მის ელჩს განზრახული აქვთ რუსეთის ხელისუფლებას ჩააგონონ, რომ მისი ხელქვეითი კავკასიელი მთავრების ტერიტორიაზე გზის გაჭრით საქართველოსთან დაკავშირება გაიოლდება. ხარიტონის ნათქვამი კიდევ უფრო კონკრეტულადაა გადმოცემული თეიმურაზ მეფის წერილში: „...ღმერთს შევთხოვ და მინდა ვიყვე თქვენი ყმა და გემსახუროთ, რადგან თქვენ ქრისტიანული რწმენის დიდი ხელმწიფე ცასა და დედამიწას შორის ყველა ქრისტიან ხელმწიფეზე მაღლა იმყოფებით. და თქვენ დიდ ხელმწიფეს ცრემლითა და უბედურებით გაცნობებთ, რომ ჩვენთვის სინათლე გადაიქცა სიბნელეთ, მზე აღარ გვათბობს, მთვარე აღარ გვინათებს, ნათელი დღე ღამედ გადაგვექცა. ისეთ მდგომარეობაში ვარ, ჯობდა დედაჩემის საშო გამხმარიყო და არ დავბადებულიყავი, ოღონდ ქრისტიანული რწმენის ივერიის მიწა-წყალი ჩემს თვალწინ არ განადგურებულიყო... ამჟამად ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანული ივერიის მიწა-წყალი განადგურებულია, ეკლესიებში არ ადიდებენ ღვთის სახელს, ისინი სრულიად დაცარიელებულია. წინათ პაპაჩემი ალექსანდრე თქვენი ხელდებული ყმა გახდა და მაშინ ვცხოვრობდით სიმშვიდესა და სიწყნარეში, ყველა მტრისაგან დაცული, ვინც თქვენს ძლიერ სამეფო და მრისხანე სახელს გაიგონებდა, ჩვენს ხელის ხლებას ვერავინ ბედავდა“. შემდეგ მოთხრობილია შაჰმა როგორ წაიყვანა ჯერ მისი და, შემდეგ მისი ახლობლების და ქართველი დიდებულების შვილები. შაჰი ამას არ დასჯერდა, უჩუმრათ წამოვიდა ჯარით და საქართველოს საზღვართან მოახლოებულმა თეიმურაზს ელჩი გაუგზავნა და მძევლად შვილი მოსთხოვა. თეიმურაზმა მას ჯერ უმცროსი ალექსანდრე გაუგზავნა. როცა შაჰმა დაინახა, რომ მისი წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო, კიდევ გაუგზავნა ელჩი და ახლა უფროსი შვილი მოსთხოვა. „თუ მასთან მშვიდობა მინდოდა მაშინ მისთვის ღვიძლი დედა ჩემს ვაჟ ლევანთან ერთად უნდა გამეგზავნა. იგი მოელაპარაკებოდა დედაჩემს და ჩემს შვილებთან ერთად უკან დამიბრუნებდა. მე დავუჯერე და იმისათვის რათა ქრისტიანული რწმენა არ განადგურებულიყო, ჩემი ღვიძლი დედა ჩემ შვილთან, უფროს უფლისწულ ლევანთან ერთად, მასთან გავაგზავნე. როცა (შაჰმა –ე.მ.) ისინი მოიხელთა, მაცნობა, რომ ჩემი უფროსი შვილი გამოუშვა და უნდა მასთან მშვიდობიანად ვიყო. მე და ჩემმა ჯარმა დიდად გავიხა-

რეთ, რომ ჩემს შვილს ჩემთან უშვებდა და მშვიდობა მყარდებოდა და მთელი შეკრებილი [ჯარი] სახლებში გავუშვი. მან ამით დაგვასუსტა, სწრაფად მოვიდა მთელი ჯარით ჩვენს ქვეყანაში. მე მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, დავინახე რა ჩემი უმწეობა წავედი ბაშიაჩუკის ქვეყანაში. ის ქვეყანა მართლმადიდებლური ქრისტიანულია, ქვეყანას იმერელი ჰქვია და იქ დაკრძალულია დედოფალი დინარა[1]. ჩემი (წასვლის –ე.მ.) შემდეგ ჩვენი ქვეყანა მთლიანად გაანადგურა, ღვთის ეკლესიები შეაგინა და ტრაპეზები დაამტვრია, ქრისტიანების მფარველი ღვთისმშობლის უწმინდესი სასწაულმოქმედი ხატები ტალახში ჩაწიხლა...“ თეიმურაზ მეფე, როგორც მისი წერილიდან ჩანს, ითვალისწინებდა რა რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას, მოსკოვიდან რეალური დახმარების იმედი არ ჰქონდა. ამიტომ იგი თავის თხოვნას შემდეგნაირად აყალიბებს: „დიდო ხელმწიფევ, ჯარს არ გთხოვ, მხოლოდ მოწყალება მოიღე, ბრძანე შაჰს მისწერონ მაინც, რომ ჩვენს მიწა-წყალს ნუ დაიპყრობს და მეტად ნუღარ გაანადგურებს. დიდო ხელმწიფე, მოწყალება მოიღე ჩემზე, მეფე თეიმურაზზე, ბრაძანე შაჰს მისწერონ, რომ დედაჩემი და ჩემი შვილები დამიბრუნოს. თუ მე არ მომცემს..., დედაჩემი შენ წაიყვანე, რათა იგი ბილწ მუსულმანურ რწმენაში არ მოკვდეს“[2].

თეიმურაზ მეფე მიხეილ თედორეს ძეს იმასაც აცნობებს, რომ როცა მოსკოვში ელჩის გაგზავნა გადაწყვიტა, ამის შესახებ გაიგეს იმერეთის მეფემ, გურიის მეფემ და დადიანის ქვეყნის მმართველმა, ისინი ჩემთან ბაშიაჩუკში (იმერეთში) მოვიდნენ და მითხრეს, რომ მათზეც მომეწერა, რომ ისინი თქვენს მფარველობაში მიიღოთ და თქვენი საუკუნო მონები იყვნენ.

თეიმურაზ მეფე ცდილობს რუსეთის ხელმწიფე დააინტერესოს საქართველოსთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგებასა და უშიშროების უზრუნველყოფაში. თეიმურაზი ამ პრობლემის გადაწყვეტის წინადადების დაყენებისას მხოლოდ მოწოდებით კი არ შემოიფარგლება. მას საკითხი შესწავლილი აქვს და ხელმწი-

---

[1] „დინარას თქმულება“ იხ. თ ნატროშვილი, წელი ერთი და ათასი, თბ., 1988, გვ. 68-78.

[2] Там же, с. 43-46.

ფეს რჩევასაც სთავაზობს. როგორც ჩანს, მისი დავალებით, აღ-ნიშნულ საკითხზე, ხარიტონი ჩერქეზების მთავარს მურდარსაც შეხვდა და მოელაპარაკა. სავარაუდოა მურდართან ურთიერთობა თეიმურაზ მეფეს ხარიტონის მოსკოვში წასვლამდე დაწყებული ჰქონდა და გარკვეულ დადებით შედეგსაც მიაღწია. ამის თქმის საფუძველს იძლევა ხარიტონის ნათქვამი მოსკოვში. იგი ხელმწი-ფეს საკუთარი წერილითაც ურჩევს თავისი გავლენა გააძლიეროს წოვა-თუშეთზეც, რომელიც უბატონოა, მაგრამ ჩერქეზეთს უხდის ხარკს. ჩერქეზეთი კი რუსეთს ემორჩილება. წოვა-თუშეთზე გავ-ლენის მოპოვების შემთხვევაში, როგორც თეიმურაზი და მისი ელჩი ვარაუდობენ, გაიხსნება გზა რუსეთიდან საქართველოსკენ. ჩერქეზეთიდან თეიმურაზის მამულამდე, წოვა-თუშეთამდე სულ ერთი, ხოლო ბაშიაჩუკამდე ორი დღის სახმელეთო გზაა. მოგზა-ურობა მით უფრო გაადვილდება, რომ ჩერქეზების მთავარი მურ-დარი, მზად არის რუსეთის მეფისადმი თავისი ერთგულების და-სამტკიცებლად ქართველ და რუს ელჩებს მგზავრობაში ხელი შეუწყოს[1], რაც მისი ხალხის მიერ რუსეთის ელჩების საქართვე-ლომდე გაცილებაში გამოიხატება[2].

რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძემ ქართველ მეფე-ებსა და გურიელს ცალცალკე გაუგზავნა წერილები. ყველაზე ვრცელია თეიმურაზ მეფისათვის განკუთვნილი წერილი. ხელმწი-ფე მწუხარებას გამოხატავს შაჰ აბასის მიერ კახეთის სამეფოს აკლება-განადგურების გამო, იწონებს თეიმურაზის თხოვნას, გაგ-ზავნოს თავისი კაცი საქართველოში, რათა მან საკუთარი თვა-ლით ნახოს გაუბედურებული ქვეყანა და ამის შემდეგ ხელმწიფემ თეიმურაზს მისივე ქვეყანა უწყალობოს. ხელმწიფე იქვე აღნიშ-ნავს, რომ ყველაფერს იღონებს საქართველოს დიპლომატიური საშუალებით დასაცავად. მან შაჰს უკვე მისწერა და გააგებინა, რომ ივერიელი მეფეები და ივერიის მთელი მიწა-წყალი თავიდან-ვე რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფეების ხელისუფლების ქვეშ იყვ-ნენ. ამიერიდან ხელმწიფის მეგობრობის გამო შაჰი ივერიის მიწა-წყალს აღარ დაესხმის და აღარ შეავიწროებს. შაჰსა და თეიმუ-

---

[1] Там же, с. 46.

[2] Там же, с. 48-49.

რაზს შორის მტრობის შემთხვევაში შაჰმა ჩვენს მეფურ დიდებულებას უნდა მიმართოს. „ჩვენ დიდი ხელმწიფე მომავალშიც ვისურვებდით შენ, თეიმურაზ მეფე, ჩვენს მეფურ მოწყალებაში გვყავდე ისევე, როგორ მოწყალებაშიც ჰყავდა შენი პაპა და მეფე ალექსანდრე შვილებითურთ ჩვენს პაპას, ივანე ვასილის ძეს და ჩვენს ბიძას, თედორე ივანეს ძეს“[1].

იმერეთის მეფე გიორგისათვის გაგზავნილ, შედარებით მოკლე წერილში მიხეილ თედორეს ძე იმეორებს იმას რაც იმერეთიდან მისწერეს: როგორ მივიდა შაჰი ივერიელების ქვეყანაში და დაიპყრო იგი, ეკლესია-მონასტრები დაანგრია და სხვ. როდესაც თეიმურაზ მეფემ თავი შეაფარა იმერეთის სამეფოში, როგორ იმუქრებოდა შაჰი ამ სამეფოს განადგურებით. იმერეთის მეფემ, თავის გადარჩენის მიზნით, როგორ მიმართა რუსეთს დახმარების თხოვნით, რაზეც ხელმწიფემ უპასუხა, რომ „თქვენ სამუდამოდ იქნებით ჩვენი მაღალი ხელის ქვეშ მთელი თქვენი მიწა-წყლით“[2].

მამია გურიელისათვის გაგზავნილ კიდევ უფრო მოკლე წერილში, გამოკვეთილად იყო ნათქვამი, რომ „ჩვენ, დიდი ხელმწიფე გაქებთ შენ მეფე მანუილს იმის გამო, რომ ჩვენს მოწყალებას ეძებ და გვინდა შემდეგშიც ჩვენი მეფური მოწყალების ქვეშ გვყავდე“[3].

ამგვარი შინაარსის წერილებით გამოუშვეს ხარიტონი მოსკოვიდან.

რა შეიძლება ითქვას ხარიტონის მოსკოვში ელჩობის შედეგზე? როგორ შევაფასოთ იგი?

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 57-59. ხელმწიფის წერილის ბოლოში ნათქვამის მიხედვით, თ. ტივაძე დაასკვნის, რომ ეს არის რუსეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ „კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული რუსეთის მეფე ივანე მრისხანესთან 1584 წლის გაზაფხულამდე (ივანე IV გარდაიცვალა 1584 წლის მარტში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა დაწყება კახეთში რუსინ დანილოვის 1586 წელს ჩამოსვლით, არ არის მართებული“. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 40.

[2] Там же, с. 60

[3] Там же, с. 61

მკვლევრების მიერ ხარიტონის ელჩობა რუსეთში შეფასებულია როგორც წარმატებული. ნ. ნაკაშიძის თქმით: „ამრიგად, თეიმურაზის 1618 წლის ელჩობამ მიზანს მიაღწია და დასახული ამოცანა შეასრულა: რუსეთი, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო და დიდად უფრთხილდებოდა ირანთან კარგი ურთიერობის შენარჩუნებას, მიესალმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აღდგენას ძველ საწყისებზე – გამოვიდა მის მფარველად და დამცველად ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობაში“[1].

ხარიტონის ელჩობის ნ. ნაკაშიძისეულ შაფასებას იზიარებს თ. ტივაძე, მხოლოდ ერთს კი შენიშნავს, რომ იგი არ ეთანხმება მას იმაში, თითქოს ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ თავის ელჩებს ირანში, ი. კორობინსა და ო. კუვშინოვს, დაავალა, რომ მათ დაჟინებით მოეთხოვათ, შაჰს ამის შემდეგ თავი შეეკავებინა საქართველოს მიმართ მტრულ მოქმედებაზე, თეიმურაზისთვის დაებრუნებინა მისი სამეფო, გაეთავისუფლებინა მისი ოჯახის წევრები და თავის თავზე აიღებდა შუამავლობას იარან-საქართველოს ურთიერთობაში. თ. ტივაძე მართალია, როცა შენიშნავს, რომ „ირანისაგან საქართველოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გამოჩენის „დაჟინებითი“ მოთხოვნა საარქივო საბუთებში არ მტკიცდება“[2].

ჩემთვის გაუგებარია რატომ იყო ხარიტონის ელჩობა წარმატებული. რა მიიღო ამ ელჩობით საქართველომ? გაუწია რაიმე ანგარიში შაჰ აბასმა მიხეილ თედორეს ძის თხოვნას და შეცვალა საქართველოს მიმართ პოლიტიკა? ირანის მბრძანებელს თავისი აზრი და პოზიცია არ შეუცვლია და, როგორც ჩვენთვის ცნობილი საბუთებიდან ჩანს, რუსეთის მიერ საქართველოს დიპლომატიურმა „დაცვამ“ კიდევ უფრო გააუარესა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. სწორედ ქართველი ხარიტონის მოსკოვში და რუსი ი. კორობინისა და ო. კუვშინოვის ისპაანში ელჩობების შემდეგ, რუსეთისაგან დახმარების მიღებაზე გულაცრუებული თეიმურაზ მეფე ისევ სულთანს მიეკედლა, ამის შემდეგ მოუკლა შაჰ აბასმა კახეთის მეფეს დედა და შვილები და საქართველოს საკითხის

---

[1] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, გვ. 77-78.

[2] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 39.

იგნორირებას ახდენდა დიპლომატიური საშუალებებით რუსეთთან და ოსმალეთთან ურთიერთობის დროს, რაზეც შემდეგში უფრო ვრცლად ითქმევა.

ხარიტონი ჯერ ისევ მოსკოვში იმყოფებოდა, როდესაც 1621 წლის გაზაფხულზე ირანიდან დაბრუნებულმა ბარიატინსკიმ თან მიიყვანა შაჰ აბასის ელჩი ბულატ-ბეგი. მასთან მოლაპარაკებისას რუსმა დიპლომატებმა კვლავ დააყენეს საქართველოს საკითხი და ყიზილბაშების მიერ ხელმწიფის ხელდებული საქართველოს აოხრება უსაყვედურეს. ბულატ-ბეგმა გაოცება გამოხატა რუსეთის ხელმწიფის მიერ საქართველოს თავის ხელდებულად გამოცხადების გამო. მან განაცხადა, რომ ყველაფერს შაჰს აცნობებდა. მალე, ამის შემდეგ, ხარიტონი საქართველოში გამოუშვეს და ქართველ მეფე-მთავრებთან წერილებიც გამოატანეს[1].

* * *

ქართველები რომ მნიშვნელოვან დახმარებას ვერ მიიღებდნენ რუსეთიდან და საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანთან ურთიერთობაში უკანა პლანზე გადაწეული იყო, ნათლად გამოჩნდა მოსკოვიდან ირანში გაგზავნილი ელჩობისათვის მიცემულ „დარიგებაში“. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ირანში გაეგზვნა ელჩობა მ. პ. ბარიატინსკის, ი. ჩიჩერინისა და ტიხონოვის შემადგენლობით და ირანის მთავრობისათვის სუფსიდიები ეთხოვა. მათ დაავალეს, როგორ უნდა ეწარმოებინათ შაჰთან მოლაპარაკება საქართველოს საკითხზე. 1618 წ. 23 მაისს მიცემული „დარიგების“ მიხედვით, შაჰთან მოლაპარაკების დროს სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ და მდგომარეობა არ უნდა გაემწვავებინათ. ამისათვის მათ პირველ რიგში უნდა დაადგინონ:

1. როგორია შაჰის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, იმყოფება თუ არა თეიმურაზ მეფე საქართველოში, განიცდის თუ არა იგი შაჰისგან შევიწროებას, ხომ არ დაამყარა ირანის საწინააღმდეგო კავშირი ქართლმა და კახეთმა ოსმალეთთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან და მათთან ერთად ხომ არ ებრძვიან ირანს.

---

[1] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 78.

2. ელჩები თუ გაიგებენ, რომ ქართველი მეფე თავის ქვეყანაშია, მას შაჰი არ ავიწროებს, ოსმალეთთან ანტიირანული კავშირი არ დაუმყარებია და ოსმალთა ჯართან ერთად არ არის მისი ჯარი, მაშინ შაჰთან ან მის ახლობლებთან საუბრისას უნდა თქვან: როგორც რუსეთის მეფემ თავისი ელჩის ფ. ლეონტიევის პირით სთხოვა და შაჰმაც მასვე დააბარა, შაჰი რუსეთის ხელმწიფისადმი სიყვარულისა და მეგობრობის გამო თავს აღარ დაესხმოდა და აღარ აიკლებდა საქართველოს. შაჰმა დანაპირები შეასრულა. ამიტომ ელჩებმა თავიანთი მეფის სახელით მას მადლობა უნდა გადაუხადონ.

3. ელჩები თუ დანამდვილებით გაიგებენ, რომ ქართლი და კახეთი ოსმალეთსა და სხვა სახელმწიფოებს დაუკავშირდნენ და შაჰის სახელმწიფოს ებრძვიან, ***შაჰთან ან მის ახლობლებთან საუბრისას ქართველ მეფესა და ქართლ-კახეთზე არაფერი თქვან.***

4. იმ შემთხვევაში თუ შაჰი ან მისი ახლობლები საუბრის დროს იკითხავენ, ახლა როცა ქართველი მეფე შაჰის მტერს სულთანს დაუკავშირდა და მის წინააღმდეგ იბრძვის, იცის თუ არა ხელმწიფემ ამის შესახებ და რას გვიბრძანებს იგი, როგორ მოვეპყროთ ქართველ მეფესა და მის მიწა-წყალს? ამ არასასიამოვნო კითხვაზე მ. პ. ბარიატინსკის უნდა ეპასუხა, რომ ხელმწიფემ არ იცოდა და თეიმურაზისაგან არ მოელოდა, რომ ხელმწიფისა და შაჰის მტერს მიემხრობოდა. ***როცა გავიგეთ მეფე თეიმურაზის უსამართლობა და უხეშობა ხელმწიფისა და შაჰის მიმართ, მასზე ლაპარაკიც კი აღარ გვინდაო. მაგრამ თუ ასეთ კითხვას არ დასვამდნენ, მაშინ ელჩებს კრინტი არ უნდა დაეძრათ ივერიის მიწა-წყალზე[1].***

1621 წლის გაზაფხულზე მოსკოვის მთავრობამ ირანში გაგზავნილ ვ. კორობინსა და ო. კუვშინოვს საქართველოს საკითხზე თითქმის იგივე „დარიგება“ მისცა, რაც მათ წინამორბედ ელჩებს. ვფიქრობ, რუსეთში ვარაუდობდნენ, რომ შაჰი ეჭვობდა: თეიმურაზის ოსმალეთთან მოლაპარაკებებში ხომ არ მონაწილეობდნენ რუსი დიპლომატებიც. ამგვარი ეჭვების გაფანტვას ემსახურებოდა, ალბათ, დასახელებული ელჩებისათვის მიცემული ერთ-ერთი დავა-

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №16, გვ. 148-150.

ლება, რომ შაჰი და მისი კარისკაცები ელჩებისაგან თუ მოითხოვ-დნენ პასუხს თეიმურაზის ოსმალებთან ურთიერთობაზე როგორი პოზიცია ჰქონდა მოსკოვს, მაშინ ელჩებს უნდა ეპასუხათ: ***რუსეთი თეიმურაზ მეფის გამო შაჰ აბასთან ძმურ მეგობრობასა და სიყვა-რულს არ გაწყვეტდა***. მაგრამ ირანის მხარე თუ პირდაპირ იტყოდა, რომ ქართველი მეფე და საქართველოს და ივერიის მიწა-წყალი ირანის წინააღმდეგ ოსმალეთსა და სხვა სახელმწიფოებს შეუერ-თდა და მისი ჯარი სულთნის ჯართან ერთად შაჰის მიწა-წყალზე შეიჭრა, მაშინ ***შაჰთან მყოფ რუსეთის ელჩები არაფერს იტყოდნენ***[1].

როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფე თავისი დიპლომატიური და სამხედრო საქმიანობით შაჰ აბასს მოსვენებას არ აძლევდა და მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებდა. საქმე იქამდე მი-ვიდა, რომ ***შაჰი***, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას ყოველთვის აგრძნობინებდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო მისი გავლენის ქვეშ უნდა იყოს, ახლა ***უკან იხევს და ცდილობს რუსეთი დაიხ-მაროს თეიმურაზთან ურთიერთობის გარკვევაში და შუამავლო-ბას თხოვს***.

1623 წელს ვ. კორობინის დავალებით ირანიდან მოსკოვში დაბრუნდა ელჩობის ერთ-ერთი წევრი, თარჯიმანი ი. ბურნაშოვი. მან საელჩო პრიკაზს მოახსენა, რომ ელჩი მივიდა თუ არა შაჰთან, მაშინვე მიართვა რუსეთის ხელმწიფის წერილი საქართველოს შე-სახებ და სიტყვიერადაც მოითხოვა, რომ შაჰი საქართველოს მიწა-წყალზე არ შეჭრილიყო და მის წინააღმდეგ არ ეომა. შაჰმა ხელ-მწიფის შემონათვალი მოისმინა და ელჩს განუცხადა, რომ მან თვითონაც კარგად იცის, რომ საქართველო ირანის კუთვნილებაა, მაგრამ ახლა ქართველმა მეფემ უღალატა, მისი და რუსეთის ხელ-მწიფის მტერს, თურქეთს მიემხრო. შაჰმა არ იცის ვის გადასცეს საქართველოს მიწა-წყალი. ***რუსეთის ხელმწიფემ მისწეროს თეიმუ-რაზს, რომ ის შაჰთან წავიდეს და იგი მას მის მიწა-წყალსა და ხალხს დაუბრუნებს***[2].

ზემოთ განხილული დოკუმენტები ნათელს ხდის, რომ XVII ს. პირველ მეოთხედში რუსეთისა და ირანის დიპლომატიური ურ-

---

[1] იქვე, დოკ. №18, გვ. 151-153.
[2] იქვე, დოკ. №19, გვ. 153-154.

თიერთობისას, განსჯის მნიშვნელოვან საგანს საქართველოს საკითხიც წარმოადგენდა. ბოლოს, მოხმობილი დოკუმენტიდან განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩდა, რომ საქართველო რუსეთისათვის არ წარმოადგენდა იმ პრობლემას, რომლისთვისაც ირანს სერიოზულად დაუპირისპირდებოდა. მაგრამ რუსეთი ერთმორწმუნე საქართველოს მფარველად და დამცველად გამოდიოდა, რითაც შაჰ აბასის შეშფოთებას იწვევდა. რუსეთის მიერ საქართველოს საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, გარკვეული გაგებით, აფერხებდა ამ ორო ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, მათს ერთობლივ გამოსვლას საერთო მტრის, ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თეიმურაზ მეფე პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ თავის ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთის ინტერესებთან შესაბამისობაში ვერ განახორციელებდა. ამიტომ იყო, რომ იგი და მისი დიპლომატები რუსეთთან კონტაქტების პარალელურად ისეთ ანტიირანულად განწყობილ მოკავშირეს ეძებდნენ, ვისი ინტერესებიც ირანის წინააღმდგ იქნებოდა მიმართული და, აუცილებლობის შემთხვევაში, იარაღსაც გამოიყენებდა. ასეთი კი, საქართველოს მეზობლობაში მხოლოდ ოსმალეთი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისათვის კარგად იყო ცნობილი ოსმალეთის „სიყვარული“ საქართველოს მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ ***XVI საუკუნეში, განსაკუთრებით მის ბოლო მეოთხედში სულთნის ნამოქმედარი, XVII ს. პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში შაჰ აბასის პოლიტიკურმა და სამხედრო ზეწოლამ, სისასტიკემ და დაუნდობლობამ გადაფარა.*** ამას გარდა, როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფე ითვალისწინებდა სამივე დიდი ქვეყნის, ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესების შეუთავსებლობას კავკასიაში და მათი ერთმანეთთან დაპირისპერება მოინდომა. ის ირანისაგან დაცვას ჯერ რუსეთს სთხოვდა, შემდეგ ამ საქმეში ოსმალეთის ჩართვა სცადა. ისიც ხდებოდა, როცა იგი ერთდროულად ორივეს სთხოვდა მფარველობას, რითაც „მფარველების“ გაღიზიანებას და უნდობლობას იწვევდა.

1612 წლის სტამბოლის ზავი ირანს საქართველოში გარკვეულ უპირატესობას უქმნიდა, რითაც უკმაყოფილო იყო ოსმალეთი. ამის გამო მ. სვანიძე სავსებით მართებულად აღნიშნავს: „ოსმალეთში ესმოდათ, რომ ირანის შესაძლო წარმატება ქართლ-კა-

ხეთში ოსმალეთის აგრესიული გეგმის ჩაშლას უდრიდა. თუ შაჰ აბასი თავის მიზნებს განახორციელებდა, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან ოსმალეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა ირანის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცეული „გურჯისტანის“ სახანო და სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები დასავლეთ საქართველომდე გადაიწევდა და, თუ ეს ასე მოხდებოდა, ირანსა და ოსმალეთს შორის გაქრებოდა ისეთი ქვეყანა, რომელიც, მართალია, არც ოსმალეთის ბატონობას ითმენდა, მაგრამ (თუ საქართველოს ინტერესები ამას მოითხოვდა) შეიძლებოდა მისი „მოკავშირე“ გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ომში. ოსმალეთი, თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას, იმის მომხრე იყო, რომ ის ვერც ირანს დაეპყრო. „გურჯისტანის“ სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა“[1].

ზავის დადების შემდეგ, საერთაშორისო ვითარებაში მომხდარმა სერიოზულმა ცვლილებებმა, ოსმალეთის ხელისუფლება აიძულა მწვავე რეაქცია არ გამოემჟღავნებინა საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური კონტაქტების გააქტიურების გამო და ისე ჩანდა, რომ ირანთან ომის შემთხვევაში იგი ქართველებს დაეხმარებოდა. ოსმალეთმა ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაკენ მზადყოფნა მაშინ გამოაცხადა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილმა მეფეებმა იმერეთის სამეფოს შეაფარეს თავი. მაგრამ ოსმალეთი ასეთი მოქმედების დაწყებას უანგაროდ არ აპირებდა. ამაზე ქვემოთ...

ხარიტონის რუსეთში წარუმატებელი ელჩობის შემდეგ, თეიურაზ მეფე, რომელსაც სამხედრო დახმარების მოპოვება პირველი რიგის ამოცანად ჰქონდა დასახული, იძულებული გახდა პირადად წასულიყო ოსმალეთში.

მ. სვანიძის გამოკვლევით, თეიმურაზი სტამბოლში წავიდა საკმაოდ მომზადებული, 500 კაციანი ამალით და სტამბოლში ჩავიდა 1622 წლის გაზაფხულზე. იქ ქართველებს არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დახვდათ: აჯანყებულმა იანიჩრებმა

---

[1] სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 253.

სულთანი ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს, მოკლეს და მის ნაცვლად მუსტაფა I (1622-1623) გაამეფეს. „ამ დროს ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო: რეჩ პოსპოლიტასთან ომში დამარცხება, კაზაკთა გამუდმებული თავდასხმები შავი ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე, იანიჩართა თარეში, პროვინციის ფაშების ამბოხებანი და სხვ. ასეთ ვითარებაში ოსმალეთისაგან რაიმე დახმარების მიღება გამორიცხული იყო. პირიქით, ამ დროს ოსმალეთი დაინტერესებული იყო ირანთან ზავის შენარჩუნებით. თეიმურაზი იმედგაცრუებული დაბრუნდა სტამბოლიდან“[1]. მან ისევ რუსეთს მიმართა და თავის ელჩად გაგზავნა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე თეოდოსე მანგლელი.

თეიმურაზ I-ის დიპლომატი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი

თეოდოსე მანგლელის ცხოვრებისა და მღვაწეობის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გაგვაჩნია. მოსკოვში ელჩად გამგზავრებამდე მის საქმიანობაზე თითქმის არაფერი ვიცით.

თეოდოსეს, როგორც დიპლომატის მოსკოვში ყოფნა დაემთხვა საეკლესიო და პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვან მოვლენას – ვითომდაც, ყიზილბაშების მიერ საქართველოდან წაღებული „ქრისტეს კვართის“ შაჰ აბას I-ის ელჩების მიერ რუსეთის სატახტოში ჩატანას. ამ მოვლენამ უკანა პლანზე გადასწია თეიმურაზის ელჩის მოსკოვის მთავრობასთან პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკებები. რუსეთის ხელმწიფის კარისა და ეკლესიის იერარქების მთელი ყურადღება მაშინდელი საქართველოს მიმართ, კონცენტრირებული იყო შაჰის მიერ გაგზავნილი საჩუქრის რაობის გარკვევაზე.

XVII ს. 20-იანი წლების შუა ხანებში შაჰ აბასმა რუსეთის საქართველოს ურთიერთობის სხვა მიმართულებით წარმართვის პროვოცირება მოახდინა, რითაც საქართველო-რუსეთის დიპლომატიურმა ურთიერთობამ ახალი ელფერი შეიძინა.

შაჰ აბასი რუსეთის ქრისტიანი ხელმწიფის ელჩებზე ზემოქ-

---

[1] იქვე, გვ. 279.

მედებისათვის, აუდიენციის დროს, ვითომც სხვათა შორის ამ-ბობდა ხოლმე, რომ ივერიაში ხელთ იგდო ქრისტეს კვართი, რომლის გაგზავნა სურდა დიდი ხელმწიფისა და პატრიარქისათ-ვის. იქვე შაჰი აღნიშნავდა, რომ ამ სიწმინდის დაუფლებას ცდი-ლობდა მრავალი ქრისტიანი ხელმწიფე და სთხოვდა კიდეც მას, მაგრამ არავის მისცა[1].

უნდა ითქვას, რომ „კვართის“ საკითხმა, გარკვეული მიმარ-თულება მისცა, ჯერ რუსეთ-ირანის, შემდეგ კი საქართველო-რუ-სეთის დიპლომატიურ ურთიერთობას.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზ-რება იმის თაობაზე თუ როდის შეიძლებოდა ყიზილბაშებს სა-ქართველოდან კვართი გაეტანათ. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, რომ წყაროებში საერთოდ არ არის მითითებული თარიღი და ვარაუდობენ, რომ შეიძლებოდა კვართი გაეტანათ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს. ჩემთვის ცნობილი მასალებიდან მხოლოდ ერ-თში ჩანს, რომ რუსი ელჩებისათვის თვით შაჰ აბასს უთქვამს კვართის მოპოვების შესახებ, მაგრამ დროის მითითების გარეშე. 1625 წელს ირანიდან მოსკოვს დაბრუნებული ელჩები იხსენებ-დნენ: 1622 წლის 21 იანვარს შაჰს რუსი ელჩების პირველი მიღე-ბისას უთქვამს, რომ მას აქვს ქრისტეს პერანგი და იმ პერანგს უგზავნის დიდ ხელმწიფეს და ხელმწიფის მამას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქს ფილარეტ ნიკიტას ძეს.

ამგვარად, შაჰ აბასმა გადაწყვიტა რუსეთის ხელმწიფის გუ-ლიც მოეგო და, გარკვეული დროის განმავლობაში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც შეეფერხებინა.

შაჰ აბასმა სწორად გათვალა. მან კარგად იცოდა რუსეთის ეკლესიისა და სამეფო კარის დაინტერესება ქრისტიანული სიწ-მინდეებით. ჯერ კიდევ XV ს. დასაწყისში რუსეთში ჩამოყალიბე-ბული სახე მიიღო რელიგიურ-პოლიტიკურმა თეორიამ – „მოსკო-ვი – მესამე რომია“. ამ თეორიის პოლიტიკური მიზანი იყო რუ-

---

[1] Белокуров С. А., Дело о присылке шахом Аббасом Риза Господни царю Михайлу Федоровичу в 1625 г. Сб.: «Московского главного Архива МИД», вып. 5, М., 1893, с. 40; Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 80.

სეთში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ხოლო მართლმადიდებლურ, განსაკუთრებით სლავიანურ ქვეყნებში, კათოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის გავლენის დამკვიდრება. ამიტომ, რელიგიურ-პროპაგანდისტული მიზნებიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლებას სურდა „მესამე რომში“ – მოსკოვში შემოეკრიბა ქრისტიანთათვის უძვირფასესი სიწმინდეები. რუსი ელჩებისათვის, კიდევ უფრო კარგად იყო ცნობილი თავიანთი მეფისა და ეკლესიის განწყობილება. ამიტომ მათ მოსკოვის დაუკითხავად (აღნიშვნის ღირსია, რომ რუსი დიპლომატები არავითარ ინიციატივას არ იჩენდნენ იმ საკითხების მიმართ, რომელთა შესახებ მოსკოვში დავალებული არ ჰქონდათ) შაჰ აბასს ურჩიეს, რომ ხელმწიფისა და პატრიარქისათვის ეცნობებინა, რომ ასეთ ძვირფას საჩუქარს უგზავნიდა და ისინი ამით გახარებული და კმაყოფილი დარჩებოდნენ[1].

როგორც ითქვა, 1623 წელს რუსეთის ელჩობის ერთ-ერთი წევრი, თარჯიმანი ი. ბურნაშოვი ვ. კორობინის დავალებით, ირანიდან მოსკოვში დაბრუნდა. ბურნაშოვმა საელჩო პრიკაზს მოახსენა, რომ ხელმწიფესთან მოდიოდა შაჰის დიდი ელჩი რუსან ბეგი, წარმოშობით ქართველი, ელჩი ბულატ ბეგი და ვაჭარი მამესელემი. დიდი ელჩი ცოლთან და ვაჟიშვილთან ერთად მოდისო[2]. სწორედ ამ ელჩობას დაევალა დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოებასთან ერთად, კვართის მოსკოვში წაღება.

„დიდი“ ელჩი რუსან ბეგი, რუსული წყაროების მიხედვით, წარმოშობით ქართველი იყო[3]. როგორც რუსან ბეგს უთქვამს, შაჰმა კვართი ჩააბარა ელჩობის ერთ-ერთ წევრს, ვაჭარ მამესალემს, რომ მას ოქროს ზარდახშაში ჩადებული კვართი მოსკოვამდე მიეტანა, რუსან ბეგისათვის გადაეცა და ეს უკანასკნელი პატრიარქს მიართმევდა[4].

---

[1] Белокуров С. А., Дело о присылке шахом Аббасом Риза господни, ц. 40: Полиевктов М., Материалы, с. 80.

[2] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №19, გვ. 154.

[3] რუსან ბეგის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 44-47, 64.

[4] Белокуров С. А., Дело о присылке шахом Аббасом Риза господни, ц. 19-22; Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №30, გვ. 167

1623 წ. 4 ნოემბერს ჯერ კიდევ შამახიდან მოსკოვში აცნობეს, რომ მეფესთან და პატრიარქთან მიდიოდნენ შაჰის ელჩები, რომლებსაც მიჰქონდათ შემდეგი საჩუქრები: ქრისტეს პერანგი, იაგუნდის ოქროს ჯვრები, ორი ოქროს გეჯა თვლებით, ოქროთი და თვლებით მოჭედილი უნაგირი, აღვირი და სხვ.[1]

საელჩო პრიკაზში მოლაპარაკებების დროს (23 მარტი – 25 მაისი) რუსან ბეგმა განაცხადა, რომ იგი წარმოშობით ქართველია და ოდესღაც საქართველოში პირველი კაცი იყო. შაჰმა მას გამოატანა წერილი და ზოგი რამ სიტყვიერადაც დააბარა.

საქართველოსთან დაკავშირებით რუსან ბეგმა აღნიშნა, რომ რუსეთის ხელმწიფის ელჩებმა შაჰ აბასს სთხოვეს, რომ მათ შორის მეგობრობასა და სიყვარულის განსამტკიცებლად, მეფე თეიმურაზის მიმართ მოწყალება გამოეჩინა. ქართველი მეფისათვის სამეფო და ხალხი დაებრუნებინა, აღარ შეევიწრობინა, საქართველოში აღარ შეჭრილიყო, რადგან იგი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო. ამასთან დაკავშირებით შაჰმა რუსან ბეგს უბრძანა მოსკოვში ეთქვა, რომ თეიმურაზ მეფემ შაჰის წინაშე მრავალი უსამართლობა ჩაიდინა, ამიტომ შაჰს მისი განადგურება კი არა მორჯულება უნდოდა. თეიმურაზ მეფემ შაჰის მოწყალება არ ისურვა და შაჰის მტერთან თურქეთის სულთანთან გაიქცა. შაჰი ამიტომ განურისხდა და მისი სახელმწიფოც გაანადგურა. ახლა მოსკოვის ხელმწიფეს სურს, რომ შაჰმა თეიმურაზს დაუბრუნოს მისი სახელმწიფო და ხალხი. შაჰ აბასი ხელმწიფეს საქართველოსათვის კი არა, უარს არ ეტყვის სხვა რაიმესთვისაც.

რუსმა ბოიარებმა, როდესაც რუსან ბეგს იმის ახსნა დაუწყეს, რატომ იყო დაინტერესებული მოსკოვის ხელმწიფე თეიმურაზისა და მისი ქვეყნის დახმარებით (რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, თეიმურაზის წინაპრებმა დიდი ხნის წინათ დაიფიცეს რუსეთის ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე...), გაღიზიანებულმა შაჰის ელჩმა ბოიარებს განუცხადა: „ბოიარებმა საქართველოს მეფესა და საქართველოს მიწა-წყალზე მასთან ასე არ უნდა ილაპარაკონ, სირცხვილია მასთან ასე ლაპარაკი, ის თვითონ ქართველია და ზუსტად იცის, რომ ქართველი მეფეები და

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №20, გვ. 154.

საქართველოს მიწა-წყალი მოსკოვის დიდი ხელმწიფე მეფეების ქვეშევრდომობაში არასოდეს ყოფილან, საქართველოს მიწა-წყალი ყოველთვის დამოუკიდებელი იყო“[1].

შაჰის ელჩის ამ ნათქვამით რომ უკმაყოფილო დარჩნენ რუსეთის დიპლომატები, ცხადია, მაგრამ კიდევ უფრო უკმაყოფილო დარჩებოდა შაჰ აბასი, რომელსაც ელჩობის წევრები აუცილებლად მოახსენებდნენ რუსან ბეგის ნათქვამს. რუსან ბეგის ელჩობის მიზანი ხომ ზედმიწევნით ნათელი იყო: რუსეთის სამეფო კარისათვის დაემტკიცებინა ირანის განუყოფელი უფლება საქართველოზე, ყოველ შემთხვევაში მის აღმოსავლეთ ნაწილზე მაინც და გაემართლებინა შაჰის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს განადგურება. რუსან ბეგმა კი სრულიად საწინააღმდეგოს დამტკიცება სცადა, რაც ალბათ, სხვა მიზეზები რომ არ გაეხსენებინათ, ეს ერთიც საკმარისი იქნებოდა მის დასასჯელად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსან ბეგმა შემდეგში შეცვალა საქართველოს მიმართ თავისი ნათქვამი.

ბოიარებმა მაშინვე გააპროტესტეს შაჰის ელჩის სიტყვები, საქართველოს მეფეების რუსთ ხელმწიფის ქვეშევრდომად ყოფნის უარყოფის შესახებ. ბოიარებს, არა მხოლოდ შაჰის ელჩის წინაშე, არამედ საქვეყნოდ შეუძლიათ განაცხადონ, რომ სიმართლეს ამბობენ და, რომ ამის დამადასტურებელი ბეჭედდასმული დოკუმენტი სამეფო ხაზინაში ინახება. მათი თქმით, მოსკოვში არც კი იცოდნენ რაზე ჰქონდა თეიმურაზ მეფეს შაჰთან უთანხმოება და რატომ გაანადგურა შაჰმა მისი მიწა-წყალი. ახლა, როდესაც ელჩი ამბობს შაჰის ბრძანებაზე, რომ თეიმურაზ მეფე მასთან მივიდეს და იგი მას თავის მიწა-წყალს დაუბრუნებსო, რუსები ამის შესახებ ქართველ მეფეს გააგებინებენ. თეიმურაზი რომ რუსი ხელმწიფეების ქვეშევრდომი არ იყვეს, მაშინ მიხეილ თედორეს ძე შაჰის წინაშე არ გამოესარჩლებოდა. ხომ ცნობილია, რომ მეფე ბორის თედორეს ძემ ყუმუხებში თავისი ჯარი გაგზავნა ოსმალთაგან ქართველი მეფეების დასაცავად.

წინათ, რუს დიპლომატებთან საუბარში, რუსან ბეგმა თქვა, რომ საქართველო ყოველთვის დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. ახლა,

---

[1] იქვე, დოკ. №21, გვ. 154-155.

რუსების მიერ მოხმობილი არგუმენტის საწინააღმდეგო რომ ვერაფერი მოიფიქრა, საქართველო ირანის ქვეშევრდომად გამოაცხადა: „მართალია, რომ ხელმწიფის ჯარი იმყოფებოდა ყუმუხების ქვეყანაში, მაგრამ საქართველოს მიწა-წყალი შაჰს ემორჩილებოდაო“.

ბოიარები და შაჰის ელჩი მტკიცედ იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ბოიარების აზრით, შაჰს რაც უნდოდა უკვე გააკეთა, საქართველო გაანადგურა, ახლა თავი დაანებოს და ღვთის ანაბარად დატოვოს. რუსან ბეგმა ამაზე უპასუხა: „ის თვითონ ქართველია და საქართველოს მიწა-წყლისათვის ცუდს არ მოინდომებს, მაგრამ შაჰის სიტყვებს გაიმეორებს: ქართველი მეფე თეიმურაზი შაჰის წინაშე დამნაშავე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მას არ დაემართებოდა ის, რაც დაემართა. რადგანაც მოსახდენი უკვე მოხდა, [თეიმურაზი] შაჰთან უნდა წასულიყო და არა სულთანთან. შაჰის დიდებულება დიდ ხელმწიფეს წნააღმდეგობას არ გაუწევს და ყველაფერს ისე გააკეთებს როგორც მეფის დიდებულებას სურს“[1]. რუსან ბეგს არ მოსწონს თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა. ის ბრალს სდებს კახეთის მეფეს შაჰ აბასის მიერ მისი სამეფოს განადგურებაში.

შაჰ აბასის მიერ რუსან ბეგის მოსკოვში „დიდ“ ელჩად გაგზავნა, განპირობებული იყო ელჩის ეთნიური ქართველობით. შაჰ აბასს სურდა რუსებისათვის ეჩვენებინა თავისი კარგი განწყობილება ქართველებისადმი. ქართველი დიპლომატის მიერ მირთმეული საჩუქრის მიმართაც მოსკოვის მთავრობას მეტი ნდობა ექნებოდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება რუსან ბეგის ელჩად შერჩევა, რადგან იგი არ გამოირჩეოდა არც ადამიანური და არც დიპლომატისათვის აუცილებელი თვისებებით. მან ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

ირანისა და რუსეთის დიპლომატები ქრისტეს „კვართის“ მოსკოვში ჩატანის ფაქტის თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენდნენ და მასში თავიანთთვის სასურველ შინაარსს დებდნენ. კვართის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟი როგორც შაჰს, ისე ხელმწიფეს თავიანთი პოლიტიკური და საეკლესიო ინტერესების განსახორციელებლად ესაჭირეობოდათ.

---

[1] იქვე, გვ. 156.

შაჰ აბასს „კვართის“ საქართველოდან წაღებით და მისი მოსკოვში გაგზავნით სურდა: 1. რუსეთი დაერწმუნებინა, რომ საქართველოზე მისი განუყოფელი უფლება ვრცელდებოდა; 2. ქრისტეს „კვართის “ საქართველოდან გატანის შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ამ ქვეყნის ქრისტიანულად დარჩენა; 3. რუსეთს ხელიდან გამოეცლებოდა ერთმორწმუნეობის საბაბით საქართველოსათვის გამოსარჩლების შესაძლებლობა, რომელიც ირანის ხელისუფლებას გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა.

რუსეთის ხელისუფალთა გაგებით: 1. „კვართის“ საქართველოდან რუსეთში გადატანა, სიმბოლურად, საქართველოს რუსეთის ძალაუფლების ქვეშ მოქცევას მოასწავებდა. 2. რადგან ეს აქცია ირანის შაჰის სურვილითა და ინიციატივით განხორციელდა, ისე გამოდიოდა, რომ ირანი რუსეთს საქართველოზე გავლენის გავრცელებაში აღარ უნდა შეცილებოდა.

ძნელია იმის თქმა, „კვართის“ მოსკოვში გაგზავნის შემდეგ როგორ წარიმართებოდა რუსეთ-ირანის ურთიერთობა, შაჰ აბასს დიდხანს რომ ეცოცხლა. მოვლენების შემდგომი განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოა, შაჰ აბასის მემკვიდრეებს მისი ამ მოქმედების გახსენება უსიამოვნებას ჰგვრიდათ.

„კვართთან“ დაკავშირებული ამბები გვარწმუნებს, რომ შაჰისაგან გაგზვნილი საჩუქრის მიერ მოსკოვში „გამოცდის“ წარმარმატებით ჩაბარების მიუხედავად, მაინც რჩებოდა ეჭვი: ნამდვილად იყო თუ არა იგი ის, რომელიც ქრისტეს ემოსა ჯვარცმის წინ[1].

საინტერესოა, ჯერ მოსკოვში და შემდეგ რუსეთში გავრცელებული ერთი ანტიქართული სულისკვეთების თქმულება („ამბავი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს პერანგისა“), რომელიც, სავარაუდოა, შეთხზულია XVII საუკუნის მეორე მეოთხედში. მასში უაღრესად თავისებურად და ტენდეციურად არის გადმოცემული საქართველოში კვართის მოტანის ისტორია, კვართის მიერ სასწაულების მოხდენა, როგორ ამოიზარდა ზეთისხილის ხე ელიოზის დისა და კვართის დაკრძალვის ადგილას, ხედან მოედინებოდა მირონი და

---

[1] Брайловский С., Новый вариант повести о ризе Господа нашего Иисуса Христа. «Библиограф», СПб., 1889, №1, с. 20-21. „თქმულების“ სრული ტექსტი და მისი კომენტარი, იხ. მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 71-72.

სხვ. „მაგრამ ქართველებს სიხარბე მოერიათ და დაიწყეს მირონის გაყიდვა, დიდძალ შემოსავალს კი ითვისებდნენ. ღმერთი განრისხდა მათზე და ის ხე გაახმო. ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძის დროს გაიგზავნენ ელჩები ყიზილბაშთა მეფესთან. ყიზილბაშთა მეფეს მტრობა ჰქონდა ქართველ მეფესთან. ყიზილბაშთა მეფე წავიდა საომრად საქართველოზე და დადო ფიცი, რომ თუ ღმეთი შემეწევა, ყველაფერს საბედნიეროდ გავუგზავნი ჩემს ძმას, მოსკოვის ხელმწიფეს. ***დაეხმარა ღმერთი (შაჰ აბასს–ე.მ.) საქართველოს დაპყრობაში და ღირსეულად დაეუფლა პერანგს***. მან უფლის პერანგი მოსკოვში გაგზავნა. მეფე-ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძემ და უწმინდესმა პატრიარქმა ფილარეტმა უფლის პერანგი მოათავსე მიძინების საკრებულო ეკლესიაში“.

შაჰ აბასის მიერ მოსკოვში პატრიარქისა და ხელმწიფისათვის გაგზავნილი საჩუქრის მიმართ ეჭვის წარმოშობაში, იყო თუ არა იგი ნამდვილად ქრისტეს კვართი, დიდი როლი შეასრულა ორმა ქართველმა ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებიდან – თეიმურაზ მეფის ელჩმა, არქიეპისკოპოსმა თეოდოსემ და შაჰ აბასის ელჩმა – რუსან ბეგმა. რუსეთის ეკლესია და პოლიტიკური მოღვაწენი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ დაედგინათ რას წარმოადგენდა სინამდვილეში შაჰ აბასის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ქსოვილი და რა იყო ის ხელთუქმნელი და თვალით უხილავი, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარში განისვენებდა.

რუსან ბეგის მოსკოვში ყოფნის დროს, იქ იმყოფებოდა თეიმურაზ მეფის ელჩი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი. რუსულ საბუთებში ქართველი ელჩი შესახებ პირველი ცნობა ჩდება 1624 წ. ზაფხულში. იმავე წლის 27 ივლისს მოსკოვში მიიღეს რუსი ელჩების მიერ თერგიდან გაგზავნილი წერილი, რომლითაც აცნობებდნენ შაჰ აბასის მიერ საქართველოდან წაღებული ქრისტეს კვართის რუსეთის ხელმწიფისა და პატრიარქისათვის გაგზავნას. იმავე დღეს, აღნიშნულ წერილზე, გაჩნდა წარწერა: „მოელაპარაკეთ ქართველ ელჩს და ჰკითხეთ მას ქრისტეს კვართის შესახებ“[1].

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მასალების მიხედვით,

---

[1] Белокуров С. А., Дело о присылке шахом Аббасом Риза господни, с. 43; Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 83.

ქართველ ელჩს თეოდოსე ერქვა და ეპისკოპოსი იყო. იგი მოსკოვში ჩავიდა 1624 წლის 14 მარტს. იმავე თვის 16 მარტს, ხელმწიფის ბრძანებით, თეოდოსეს გამოსაკითხად გაიგზავნენ ო. შახოვი და ბერძნულის მცოდნე ს. კამენევი. მისგან უნდა გაეგოთ ვისგან და რა მიზნით ჩავიდა თეოდოსე მოსკოვში. მან განაცხადა, რომ საქართველოს მეფე თეიმურაზის დავალებით ჩამოვიდა, მანამდე კი, ოსმალეთში იმყოფებოდა, ირანის აგრესიისაგან თავისი მეფის დაცვის სათხოვნელად. ოსმალეთიდან მობრუნებულ თეოდოსეს, თეიმურაზმა რუსეთის ხელმწიფესთან წასვლა უბრძანა. მისი მოგზაურობა დაიწყო ჩილდირიდან, საქართველოს მოსაზღვრე ქალაქიდან, რომელიც წინათ საქართველოს მეფეს ეკუთვნოდა, ახლა კი სულთნისაა[1].

მოსკოვამდე მგზავრობა თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. თეოდოსე ჩილდირიდან გავიდა 1623 წლის მარტში, ტრაპიზონამდე ხმელეთით იმოგზაურა, აპრილის 20-ში მივიდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც რუს ელჩებთან – ივანე კონდირევთან და ტიხონ ბორმასოვთან ერთად მგზავრობა გააგრძელა, მათთან ერთად გაიარა კაფა, აზოვი, ვორონეჟამდე რუს ელჩებთან ერთად მდ. დონით იმოგზაურა[2], 1624 წ. მარტში მოსკოვში მივიდა[3].

ელჩობაში სამი სასულიერო პირი იმყოფებოდა: თვით თეოდოსე (ელჩობის ხელმძღვანელი), ათონის სიმონ-პეტრას მონასტრის არქიმანდრიტი არსენი, რომელიც დამწვარი მონასტრის აღსადგენად მოწყალებას ითხოვდა. მას თან ჰქონდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირლე ლუკარისის სიგელი. ელჩობის მესამე წევრი იყო ქართველი არქიდიაკონი კირილე[4].

---

[1] Положение Ризи господней (10 июля). «Воскресное чтение», издаваемый при Киевской Духовной Академии, №14, 1840, с. 62.

[2] Там же, с. 63.

[3] ნ. ნაკაშიძე ნ. ა. სმირნოვის ნაშრომზე (Смирнов Н. А., Россия и Турция в XVI-XVII вв., в двух томах, «Ученные записки МГУ им. Ломоносова», вып. 94, М., 1946, т. II, с. 17) დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ თეოდოსე 1623 წ. დეკემბერში რუს ელჩებთან ერთად მივიდა მოსკოვში (Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968, с. 82), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

[4] Положение Ризи господней (10 июля), с. 67-68, 98.

არქიმანდრიტი არსენი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ გაგზავნილი, ალბათ, პატრიარქის სახელით რუსეთის ხელმწიფეს თეიმურაზის შეწევნასაც ითხოვდა. რაც შეეხება ქართველ არქიდიაკონ კირილეს, მისი უფლება-მოვალეობანი მასალებში არ ჩანს, მაშინ როდესაც ის ოფიციალური ვიზიტების დროს ყოველთვის თეოდოსეს და არსენის გვერდით იყო. ელჩობას ახლდა 4 კაცი: 2 ქართველი – მიხეილი და და ვასილი და 2 ბერძენი – კირილე და თომა[1].

თეოდოსემ მოსკოვში საჩუქრად ჩაიტანა ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით გაწყობილი ოქროს ჯვარი, რომელშიც შერეული იყო ცხოველმყოფელი უფლის ჯვრის ნაწილი. ჯვრის სანაწილეში ეწყო: ღვთისმშობლის კვართის ნაწილი, იოანე ღვთისმეტყველის თმა, იოანე ოქროპირის ნაწილები, წმ. პლაკიდოს ნაწილები, წმ. გიორგის ნაწილები, წმ. თეოდორე სტრატილატის ნაწილები, წმ. პირველწოდებული სტეფანე არქიდიაკვნის ნაწილები, ქვა იმ მთიდან, სადაც 40 დღე მარხულობდა უფალი, უფლის საფლავიდან ჩამოტეხილი ქვა და სხვ. აგრეთვე ოქროთი და თვლებით გაწყობილი ფარი, ვერცხლის აღვირი მოოქროვილი სამკერდეთი[2].

ზემოხსენებულ ო. შახოვსა და ს. კამენევს დაევალათ რუსეთში დასახლებულ ბერძენ ნექტარიუსთან, რომელიც ვოლოგდისა და ველიკოპერმის არქიეპისკოპოსი იყო, გაერკვიათ ვინ იყო ქართველი არქიეპისკოპოსი თეოდოსე. ნექტარიუსმა თქვა, რომ ნამდვილად იცნობდა ქართველ ელჩს, როგორც პატიოსან, კეთილ და მტკიცე მართლმადიდებელს. მან ისიც იცოდა, რომ თეოდოსე ეპისკოპოსად აკურთხა იმ კათალიკოსმა, რომლის დანიშნულიცაა ყველა მაღალი თანამდებობის პირი საქართველოში. ნექტარიუსის თქმით, თეოდოსეს უკეთ, 15 წლის განმავლობაში, იცნობდა მონაზონი იოანიკეი[3], რომელიც იერუსალიმის პატრიარქებს სოფრონიუსსა (1579-1608) და თეოფანისს (1608-1644) ორჯერ გაუგზავნიათ საქართველოში მოწყალების შესაგროვებლად[4]. მაშასადამე, იოანი-

---

[1] Там же, с. 68.

[2] Полиевктов М., Материалы ,с. 65.

[3] Положение Ризи господней (10 июля), ,с. 65-66.

[4] Там же, с. 66.

კეი საქართველოში უნდა ყოფილიყო 1600-1608/9 წლებს შორის. მას საშუალება ჰქონდა პირადად გასცნობოდა თანამედროვე მრავალ ქართველ მოღვაწეს და საქართველოს ამბებშიც კარგად გარკვეულიყო. თეოდოსეს მოსკოვში ყოფნის დროს იოანიკეი ამ ქალაქის მკვიდრი იყო და არქიეპისკოპოს ნექტარიუსთან ერთად, როგორც რუსული მასალებიდან ირკვევა, მოსკოვის ხელისუფალთ საქართველოს საქმეების კვალიფიციურ ექსპერტებად მიაჩნდათ.

მართლაც, იოანიკეიმ ფრიად საინტერესო ცნობები წარმოაჩინა თეოდოსეს შესახებ. კერძოდ, თქვა, რომ თეოდოსე ქართველი, არქიეპისკოპოსი კი არა ეპისკოპოსი იყო, 20 წელზე მეტ ხანს იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიაში პატრიარქ სოფრონიუსთან გაატარა, ამჟამად ის თავის მამულში – ქიზიყში (Кизиках) ცხოვრობს და მას ემორჩილება 25-ზე მეტი არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი[1]. იოანიკეის მონათხრობიდან ჩანს, მან არ იცოდა, რომ როცა რუს მოხელეებს აღნიშნულ ინფორმაციას აწვდიდდა, თეოდოსე იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა.

თეოდოსე, როგორც თვითონ უთქვამს, მოსკოვში ადრეც, მეფე თედორეს დროსაც ყოფილა. ის იერუსალიმიდან გოლგოთის ეპისკოპოს ეპიფანეს, იერუსალიმის პატრიარქის სოფრომის მიერ რუსეთში გაგზავნილ არქიმანდრიტს, იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაზონს და რამდენიმე ბერს, რუსთ ხელმწიფესთან მოწყალების სათხოვნელად წაჰყოლია. მათი მოსკოვში ყოფნისას გარდაიცვალა მეფე თედორე და ისინი მეფე ბორის გოდუნოვმა გაისტუმრა. რადგან თეოდოსე მოსკოვიიდან საქართველოში დაბრუნდა და კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ბორის გოდუნოვის საპასუხო წერილი მოუტანა, 1599 ან მახლობელ წელს[2]. ნათელი ხდება, რომ იგი მოსკოვში ამ მეფის მიერ გაგზავნილი იყო.

თეოდოსე, საფიქრებელია, გაწაფული დიპლომატი იყო და, რადგან მას რუსებთან ურთიერთობის გამოცდილებაც ჰქონდა, თეიმურაზ I-მა 1623 წელს ელჩად გაგზავნა მოსკოვში.

იოანიკეიმ თეოდოსეს ცხოვრებისა და საქმიანობის ბოლო პერიოდზე, რა თქმა უნდა, აღარ იცოდა, რადგან, როგორც ის

---

[1] Там же, с. 67.

[2] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 50.

1624 წელს თვითონ ამბობდა, საქართველოში 16 წლის წინათ, ე. ი. 1608-1609 წლებში იყო. საბოლოოდ მოსკოვში დასახლდა და ამის შემდეგ მან აღარაფერი იცოდა თეოდოსეს შესახებ. როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, მას თეოდოსეზე კი არა 1609 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოში მომხდარ ამბებზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

საინტერესოა, რომ სათათბიროში მისული თეოდოსე მდივანმა ივანე გრამოტინმა წარადგინა, როგორც „იერუსალიმის წმინდა გოლგოთის მთისა და ცხოველმყოფელი ჯვრის მონასტრის“ არქიეპისკოპოსი, რომელიც მოსკოვში მოწყალების სათხოვნელად მივიდა და მეფესა და პატრიარქს თეიმურაზ მეფის სიგელები მიუტანა. ეს ცნობა დაგვეხმარება შედარებით სრულყოფილად აღვადგინოთ თეოდოსეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი მაინც[1].

როგორც ითქვა, თეიმურაზ I თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური მიზნებისათვის ხშირად იყენებდა იერუსალიმში მოღვაწე ქართველ და ბერძენ განათლებულ, ენების მცოდნე სასულიერო პირებს, რაზედაც შემდეგში დაწვრილებით ითქმევა.

დავუბრუნდეთ თეოდოსეს. XVII ს. პირველ ნახევარში იერუსალიმში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი რევიშვილი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარი. ის უახლოესი თანაშემწე იყო ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი). თეოდოსე, ქართული და რუსული წყაროების მიხედვით, იყო მანგლელი, ჯვრის მონასტრისა და გოლგოთის (აღდგომის ეკლესიის) ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელი თანამდებობის შესახებ ვიგებთ მისი ნათქვამიდან ი. გრამოტინთან. რადგან თეოდოსე (თევდოსე) საქართველოსა და იერუსალიმში ზოგიერთ ქართულ და არაქართულ მონასტერს განაგებდა, ეს თეიმურაზ მეფეს უფლებას აძლევდა თავისი ელჩი არქიეპისკოპოსად გამოეცხადებინა. უფრო სწორედ, თეოდოსე მოსკოვში გამგზავრების წინ ამ რანგში აამაღლა, მაგრამ ელჩობის წარუმატებლად დასრულების შემდეგ ისევ ჩამოაქვეითა. ეს მხოლოდ ვარაუდია, უცილობელი კი ის არის, რომ სიცოცხლის ბოლომდე თეოდოსე ეპისკოპოსი იყო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ თეოდოსე გოლგოთაზე, კერ-

---

[1] იქვე, გვ. 51-57.

ძოდ, აღდგომის ეკლესიაში მოღვაწე უკანასკნელ ქართველებს განეკუთვნებოდა.

თეიმურაზ I 1619 წელს საქართველოში ჩამოვიდა და იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების ეკონომიკურ პრობლემებს აგვარებდა[1]. მაგრამ, სავარაუდოა, ის თეიმურაზ მეფემ სხვა მიზნითაც დაიბარა. ამ დროს თეიმურაზი ოსმალეთში იმყოფებოდა და ირანის აგრესიისაგან თავდასაცავად დახმარების მიღების მოლოდინში, 1618 წელს სულთნის მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაშიც კი მონაწილეობდა. პიეტრო დელა ვალეს თქმით, რომელიც შაჰს ახლდა და ამდენად თვითმხილველი იყო საომარი მოქმედებებისა, ოსმალეთმა და ყირიმის სახანომ ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედება თეიმურაზ მეფის დაჟინებული მოთხოვნით დაიწყეს. ოსმალეთის ჯარმა, თავდაპიეველად სერიოზულ წარმატებას მიაღწია, ირანის სამფლობელოების სიღრმეში შეიჭრა და არდებილს მიადგა. რადგან ეს ქალაქი სპარსელების წმინდა ადგილია, თეიმურაზს განსაკუთრებით მისი გადაწვა უნდოდა, რათა შური ეძია სპარსელების მიერ განადგურებული ქართული ტაძრებისათვის[2]. მაგრამ ოსმალებმა საბოლოო წარმატება ვერ მოიპოვეს. თეიმურაზი სულთნის მიერ ნაბოძებ მამულში დაბრუნდა.

ოსმალთა წარუმატებელი ლაშქრობის შედეგი განსაკუთრებით მძიმე და ტრაგიკული თეიმურაზისათვის იყო. რუსული წყაროს მიხედვით, ბრძოლის დროს თეიმურაზი ცხენიდან ჩამოუგდიათ. ინფორმატორი, ამიტომ ამბობს: „ცნობილი არ არის (თეიმურაზმა –ე.მ.) ბრძოლიდან გააღწია თუ მოკლეს“[3]. შაჰმა თეიმურაზზე შური იმით იძია, რომ მისი ორი ვაჟი დაასაჭურისებინა, რის გამოც ლევანი გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე კი ჭკუიდან შეიშალა[4].

---

[1] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 130.

[2] პიეტრო დელა ვალე, გვ. 50.

[3] Тивадзе Т. Г., Материалы, დოკ. №17, გვ. 150. რუსული წყაროს ცნობა თეიმურაზის კინაღამ დაღუპვის შესახებ სხვა წყაროებით არ დასტურდება.

[4] ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო შაჰ აბასის დახასიათებისას აღნიშნავს მისი გარეგნობის, ჩაცმულობის, ხასიათის, გამჭრიახობის შესახებ. შაჰს ძლიერ ყვარებია ხელოსნობა და სხვადასხვა საგნებს თავის ხელით ამ-

შაჰ აბასი როგორ ატყუებდა რუს ელჩებს და საქართველოს შესახებ დეზინფორმაციას აწვდიდა, ამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოგვადგება: 1622 წლის თებერვალში შაჰ აბასმა მაზანდერანის ქ. აშრაფში რუს ელჩებს კორობინსა და კუვშინოვს მეორედ მიღებისას, თითქოს თეიმურაზის ვაჟები აჩვენა[1] და ისიც კი აღუთქვა, რომ თუ კახეთის მეფე კახეთს ჩამოშორდებოდა, მას სამეფოს, დედას და შვილებს დაუბრუნებდა[2]. ამ დროს რომ თეიმურაზის ვაჟები ცოცხლები აღარ იყვნენ, ამას ადასტურებს პიეტრო დელა ვალე, როდესაც შირაზში მყოფი ქეთევან დედოფლის შესახებ გადმოგვცემს. 1622 წელს ქეთევანმა ჯერ კიდევ არ იცოდა თავისი შვილიშვილების ტრაგიკული აღსასრული. პიეტრო დელა ვალე წერს: „ჩემი იქ (შირაზში –ე.მ.) ყოფნის დროს მათმა ბებიამ (ქეთევანმა –ე.მ.) ამის შესახებ არ იცოდა; რათა იგი განსაკუთრებით არ დაემწუხრებინათ, ამის შესახებ არ უთხრეს და როცა მე შირაზში ვიყავი და შემთხვევა მქონდა მის მსახურებს შევხვედროდი, პირველი რის შესახებაც გამაფრთხილეს, ის იყო, რომ მისთვის არ მეთქვა ეს ცუდი სიახლე“[3].

შაჰი, რა თქმა უნდა, რუს ელჩებს ატყუებდა. ვინ გაარკვევს მათ ვისი შვილები აჩვენა. როგორც ის ყმაწვილები იყვნენ ნამდვილი კახთ ბატონის შვილები, ისე ნამდვილი იყო მის მიერ რუსთ ხელმწიფისა და პატრიარქისათვის გაგზავნილ ქრისტეს „კვართი“.

სხვათა შორის, ზოგიერთი დამკვირვებელი თვლიდა, რომ შაჰ აბას I-ის მიერ ქეთევან დედოფლის დასჯის გადაწყვეტილების მიღება, დააჩქარა რუსეთის ხელმწიფის ჩარევამ. როგორც ჩანს, ამ-

---

ზადებდა. „იგი სრულყოფილად ფლობდა იმ დროის ყველა ხელოსნობას და თუ რამეს ვერ აკეთებდა, იმის ფასი მაინც იცოდა. სხვა ხელოსნობათა შორის, რასაც შაჰი ასევე ფლობს, ეს არის კასტრირება, რასაც იგი დიდი სიამოვნებით აკეთებდა საკუთარი ხელით და იმდენად მოხდენილად, რომ იშვიათად თუ ვინმე მომკვდარა მის ხელში ამ ოპერაციის დროს“. ტაბაღუა ი., დასახ, ნაშრ., II, გვ. 68.

[1] საქართველოდან „გარნა უკუ იქცა რა და თვით მისრულმან აშრაფს წარავლინნა დედა და ძენი თეიმურაზისანი შირაზს პატიმრად, რომელნი განჯიდამვე წარავლინნა აშრაფს“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 587.

[2] Полиевктов М., Материалы, с. 79-80, 87.

[3] პიეტრო დელა ვალე, გვ. 54,

გვარი მოსაზრება ფართოდ იყო გავრცელებული. პიეტრო დელა ვალე წერდა: „ თეიმურაზი ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ, გამოეხსნა თავისი დედა ამ (მოსკოვის –ე.მ.) მთავრის შემწეობით, რომელიც იყო მეგობარი ირანის ხელმწიფისა და რომელიც ხშირად უგზავნიდა ამ უკანასკნელს დესპანებს. ზოგიერთები ფიქრობენ, იქნება არც უსაფუძვლოდ, რომ ამ გარემოებამ მოაკვლევინაო ირანის ხელმწიფეს ქეთევან დედოფალი, რადგანაც მისი გაშვება არ უნდოდაო, და არ გაეშვა არ იქნებოდაო; ამისათვის მას დედოფალი ან უნდა ძალით გაეხადა მაჰმადიანად და მაშინ შეეძლო მისი გაშვება თავიდამ აეცილებინა და ბოდიშის მოსახდელი მიზეზიც ექნებოდა, ანდა, როგორც მართლადაც ჰქმნა, უნდა მოეკლა“[1].

ქეთევან დედოფლის მოწამებრივი საკვდილის ამსახველ ანონიმურ მოთხრობაშიც ნათქვამია: „რამდენიმე ხნის შემდეგ, გაერკვა რა საქმეში, მოსკოვის დიდმა მთავარმა დიმიტრიმ, თეიმურაზ ხანის მეგობარმა, შაჰთან ელჩობა გაგზავნა და თხოვა მას მოწყალება, მიეცა თავისუფლება ქეთევან დედოფლისათვის და ამ ელჩთან ერთად გაეგზავნა იგი მასთან. მიხვდა შაჰი, რომ ამაში თეიმურაზ ხანის ხელი ერია და დააყოვნა რა თავისთან მოსკოვის ელჩი საერთო და გაუგებარი საუბრებით, თვითონ დიდი საიდუმლოებით და სასწრაფოდ გაგზავნა სამი ლაშქარი ზუსტი ბრძანებით, რათა მათ, შირაზში ჩასვლისთანავე ენახათ დედოფალი და მიეცათ მისთვის წინადადება: გამხდარიყო მავრი [გამაჰმადიანებულიყო] ან უარის შემთხვევაში, მას მოკლავენ გავარვარებული რკინის მაშებით.

შაჰის განზრახვა იყო შემდეგი: თუ ქეთევან დედოფალი მიიღებდა მაჰმადიანობას, შაჰი მოსკოვიტებს უპასუხებდა, რომ არ შეუძლია გასცეს ის, რამდენადაც მისი კანონი ამას კრძალავს, ხოლო თუ მას მოკლავენ, შაჰი უპასუხებდა, რომ დედოფალი უკვე გარდაიცვალა. აი ეს მეორე პასუხი მისცა შაჰმა მოსკოველ ელჩს საბოლოოდ, აიძულა რა იგი დაეჯერა, რომ დედოფალი ნამდვილად გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით“[2].

---

[1] იქვე, გვ. 54-55.

[2] დოკუმენტები, გვ. 407, №54. ნასროლა ფალსაფის შაჰ აბასზე დაწერილი ნაშრომის მეორე ტომში მოყვანილი აქვს მოგონება პიეტრო დელა ვალესი, რომელსაც 1618 წელს შაჰის სპეციალური ნებართვით დაუთვა-

დავუბრუნდეთ თეოდოსეს. როგორც ითქვა, იგი 1619 წელს საქართველოში იმყოფებოდა და აქვე უნდა დარჩენილიყო 1623 წლის მარტამდე, ვიდრე მოსკოვს გაემგზავრებოდა. 1624 წლის 14 მარტს ის მოსკოვში ჩავიდა, სადაც დაახლოებით ოთხი თვე დარჩა, 7 ივლისს ხელმწიფეს დაემშვიდობა და, ალბათ, რამდენიმე დღის შემდეგ სამშობლოსკენ გამოეშურა. ყოველ შემთხვევაში, თეოდოსე მოსკოვში „კვართის“ მიტანას არ დასწრებია[1].

თეოდოსეს მოგზაურობა (მოსკოვში ყოფნის დროს ჩათვლით) გაგრძელდა ოთხი წელი რაიმე დადებითი შედეგის გარეშე, რის გამო მას თეიმურაზ მეფე განურისხდა. თეოდოსე იერუსალიმში გაიქცა. თეოდოსეს ეს თავგადასავალი ნიკიფორე ბერძენის, თეიმურაზის სხვა ელჩის მიერ მოსკოვში ხელმწიფისათვის წარდგენილ თხოვნაში იყო გადმოცემული[2].

ნიკიფორე ბერძენი, რა თქმა უნდა, ვითარების კიდევ უფრო დრამატიზირებას ცდილობდა. თეიმურაზისათვის, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, მით უმეტეს მეფისათვის, თითოეულ წელს კი არა, ერთ დღესაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და სრულებითაც არ არის გასაკვირველი, რომ ის თავისი ელჩისაგან მოქმედებაში სისწრაფეს და მოქნილობას მოითხოვდა. მაგრამ მოსკოვში წარმატების მოპოვება მხოლოდ ელჩებზე რომ არ იყო დამოკიდებული, ამაში დაგვარწმუნებს ნიკიფორე არქიმანდრიტის საქმიანობის გადახედვა[3].

თეოდოსეს ვინაობაზე მსჯელობის დაწყების წინ ითქვა, რომ მოსკოვის საგარეო საქმეთა უწყებაში ირანიდან წამოსული რუსი ელჩების მოხსენების მიღებისთანავე გადაწყდა კვართთან დაკავშირებით მოლაპარაკებოდნენ ქართველ ელჩს თეოდოსეს.

ლიერებია შაჰის სასახლე, სადაც იმ დროს დარბაზებისა და ოთახების შემკობა-მოხატვა მიმდინარეობდა. ერთ-ერთ დარბაზში, ერთ მხარეს, მას უნახავს შაჰის ფეხებთან გართხმული ქეთევან დედოფლის სურათი, რომელიც შაჰს ეეედრებოდა ხელი აეღო მისი სამშობლოს გავერანება დარბევაზე (უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული, გვ. 21).

[1] საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, с. 82.

[2] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 55-56.

[3] Полиевктов М., Материалы… с. 101-141.

მაგრამ მასალებში არ ჩანს, როდის მოხდა მასთან შეხვედრა. ვიცით, რომ 1624 წლის 4 ივნისს თეოდოსე და ელჩობის სხვა წევრები ხელმწიფესთან მიღებაზე იყვნენ. იმავე დღეს თეოდოსე მიიწვიეს სათათბიროში და მდივან ი. გრამოტინს ზოგადად ესაუბრა სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე, კერძოდ, რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობაზე. ამის შემდეგ ისინი გადავიდნენ კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ რაზე, არ ჩანს. მხოლოდ შენიშვნაა: „საელჩოს მდივანს გრამოტინს ნაბრძანები ჰქონდა ამის შემდეგ არქიეპისკოპოსთან ელაპარაკა საიდუმლო საქმეზე. ჩანაწერები... ივანე გრამოტინთანაა“[1]. ალბათ, აქ შეწყდა საგარეო უწყებაში 4 ივნისის შეხვედრა, ხოლო 27 ივნისს რუსი ელჩების მიერ თერგიდან გამოგზავნილი წერილის მიღებისთანავე გადაწყდა თეოდოსესთან მოლაპარაკება კვართის შესახებ. თეოდოსეს განმარტებებს მოსდევს იმ საჩუქრებისა და მათი ფასების ჩამონათვალი, რომლებითაც დააჯილდოვეს ელჩობის წევრები და, ბოლოს მოყვანილია თეიმურაზ მეფისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, დათარიღებული 1624 წ. 4 ივნისით[2].

ამგვარად, საგარეო საქმეთა უწყების არქივის „საქართველოს საქმეებში“ გაერთიანებულია ერთი თვის (4.VI – 4.VII) განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებები. ბუნებრივია, არქიეპისკოპოს თეოდოსესთან საუბარი კვართის შესახებ, რუსი ელჩების მოხსენებაზე გაკეთებულ 27 ივნისის წარწერაზე ადრე ვერ შედგებოდა. ეს უნდა მომხდარიყო ერთი კვირის განმავლობაში, 27 ივნისიდან 4 ივლისამდე განვლილ დროში, მაგრამ კონკრეტულად როდის, ამის თქმა ვერ ხერხდება.

ი. გრამოტინის მიერ ქრისტეს კვართის შესახებ დასმულ კითხვებზე, თეოდოსემ ისეთი პასუხები გასცა, რომ არა მხოლოდ რუსი დიპლომატი, არამედ რუსეთის ხელისუფლებაც კიდევ უფრო გაურკვევლობაში ჩააყენა. თეოდოსეს პასუხებს ახლა აღარ შევეხები[3], მხოლოდ იმას აღვნიშნავ, როგორი რეაქცია მოჰყვა მის ნათქვამს.

---

[1] Там же, с. 89.

[2] Там же, с. 89-93.

[3] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 58-60.

თეოდოსეს მონათხრობი პირველ რიგში გვარწმუნებს, რომ იგი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არ იყო. მან, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა სვეტიცხოვლის ტაძრისა და კვართის ისტორია, მაგრამ შეგნებულად ცდილობდა დაემახინჯებინა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მან რუსეთის ხელისუფლებას შესთავაზა ახალი ვერსია კვართის საქართველოში მოტანისა და მის შემდგომ ბედზე.

როგორ შეიძლება ავხსნათ თეოდოსეს მიერ უარყოფა იმ ისტორიული ტრადიციისა, რომელიც ცნობილი იყო როგორც საქართველოში ისე მისი საზღვრებს გარეთ. საფიქრებელია, როდესაც თეოდოსემ შენიშნა ის აჟიოტაჟი, რომელიც შაჰის მიერ „კვართის“ მოსკოვში გაგზავნით შეიქმნა, ვითარების ღრმა ანალიზის გარეშე, თეიმურაზთან შეუთანხმებლად, წამოიწყო დიპლომატიური თამაში, რომლის მიზანი მოსკოვის მთავრობის საერთო, საქართველოს პოლიტიკისა და რელიგიის საკითხებისადმი ყურადღების მხოლოდ კახეთის სამეფოსა და თეიმურაზზე გადატანა იყო. თეოდოსის ამგვარმა მაქსიმალისტურმა პოზიციამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოსკოვში მიხვდნენ, რომ ქართველი ელჩი კვართზე საუბრისას ტყუოდა, რაც სერიოზულ გავლენას მოახდენდა მოლაპარაკების მსვლელობასა და შედეგზე.

თეოდოსმა საჭიროდ ჩათვალა უარეყო შაჰ აბასის მიერ საქართველოდან „კვართის“ გატანა. ამ დროს (1623-1625 წწ.) რადგან თეიმურაზ I მხოლოდ კახეთის მეფე იყო, ქართლზე, კერძოდ, მცხეთაზე მისი ხელისუფლება არ ვრცელდებოდა, ამიტომ საჭირო იყო ისეთი ვერსიის შექმნა, რომელიც კახეთში კვართის არსებობას სარწმუნოს გახდიდა და ამით მოსკოვის კახეთით დაინტერესებას გამოიწვევდა. თეოდოსეს ნათქვამში, ლოგიკურად, თითქოს ყველაფერი სწორად იყო, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა, რომ მოსკოვში ბევრი რამ იცოდნენ საქართველოს ეკლესიისა და სიწმინდეების შესახებ.

თეოდოსეს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოსკოვში, სხვა ქართული სამეფოებთან შედარებით, სრული ინფორმაცია სწორედ კახეთზე ჰქონდათ.

თეოდოსემ რუსეთის ხელმწიფეს მიხეილ თედორეს ძეს და მის მამას, პატრიარქ ფილარეტ ნიკიტას ძეს, თეიმურაზ მეფის ბერძნულად დაწერილი წერილები მიუტანა. თეოდოსე ბერძნულად

თვითონაც ლაპარაკობდა და მან მწერალ ა. შახოვსა და თარჯიმან ს. კამენევს[1] ამ ენაზე მოკლედ მოუთხრო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო პერიოდზე, შაჰ აბასის საქართველოში ლაშქრობების დასაწყისიდან თავის მოსკოვში გამგზავრებამდე. კერძოდ, მან თქვა, რომ როდესაც შაჰმა საქართველო გაანადგურა და თეიმურაზ მეფე გააძევა, მან ოსმალეთის სულთან აჰმედ I-თან (1603-1617) თეოდოსე გაგზავნა, რათა სულთანს კახეთის მეფე დაეცვა და მის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა. თეოდოსეს ისიც უთქვამს, რომ თეიმურაზ მეფე ამჟამად საქართველოს საზღვრის მახლობლად ოლთისში, ნამურდანში (ნამურაკიანი?), არტაანში და მათს მიმდებარე დაბებსა და სოფლებში ცხოვრობს. მასთან იმყოფება და ემსახურება საქართველოდან წაყოლილი მრავალი ქვეშევრდომი და 12 ათასი მეომარი. ქართველი მეფის სამსახურშუ ყოფილან დასახელებულ ქალაქებში მცხოვრები თურქებიც[2].

ხელმწიფის ბრძანებით, ვიდრე არქიეპისკოპოსი თეოდოსე მასთან აუდიენციაზე მივიდოდა, მანამდე სათათბიროს დიაკს ივანე გრამოტინს უნდა შეხვედროდა და თეიმურაზ მეფის იმ საიდუმლო დანაბარებზე ესაუბრა, რომელიც ხელმწიფისა და პატრიარქისათვის იყო განკუთვნილი. თეოდოსეს, რომ საიდუმლო დანაბარებიც ჰქონდა, ამის შესახებ თეიმურაზი თავის სიგელშიც სწერდა: გთხოვთ ჩემი ელჩი მიიღოთ „ჩემს მაგიერ იმ საიდუმლო საუბრისათვის, რომლის ჩაწერა ამ წერილში არ შეიძლებოდა“.

თეიმურაზ მეფე, ელჩის მიერ მოსკოვში ჩატანილ სიგელშიც აღნიშნავდა, რომ არქიეპისკოპოს თეოდოსეს რუსეთის ხელმწიფესთან აგზავნიდა იმ სიგელის საპასუხოდ, რომელიც მან თეიმურაზს გამოუგზავნა მისივე ელჩის, ხარიტონის ხელით.

თეიმურაზმა იცოდა, რომ რუსეთს არ სიამოვნებდა კახეთის მეფის ოსმალეთთან ურთიერთობა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსი დიპლომატები და ინფორმატორები თვალს ადევნებდნენ ამ ურთიერთობის განვითარებას. როცა თეიმურაზი დარწმუნდა, რომ

---

[1] ეს ის ს. კამენევია, რომელმაც 1605 წლის 12 მარტს კონსტანტინესგან მოკლული ალექსანდრე II კახთა მეფე და უფლისწული გიორგი იხილა. Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, с. 485.

[2] Полиевктов М., Материалы, с. 63.

ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლის და ქართველი მეფის ინტერესების დაცვის უნარი აღარ შესწევდა, პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე გადაიტანა. თეიმურაზმა, როგორც პრაგმატიკოსმა პოლიტიკოსმა რუსეთის ხელმწიფეს არ დაუმალა რატომ შეაქცია ზურგი ოსმალეთს: „აღარ გვინდა აგარიანი სულთნის დახმარება და ***აღარც იმედი გვაქვს, [დახმარებას] შენი მეუფებისაგან მოველით***“. თეიმურაზის ამ ფრაზიდან მთავარია ის, რომ ***მას ოსმალეთისაგან რომელი დახმარების მიღების იმედი აღარ აქვს, იმის მიღებას რუსეთისგან ელოდება***.

თეიმურაზ მეფე უაღრესად ლაკონურად განმარტავს ოსმალეთთან ურთიერთობის მოტივს, რამ უბიძგა ოსმალეთს დაკავშირებოდა ირანის წინააღმდეგ. დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავდა, რომ სტამბოლის ზავი იმდენად წამგებიანი იყო ოსმალეთისათვის, რომ იგი მალე დაარღვევდა ამ ხელშეკრულებას, ომს გააანახლებდა ირანთან, რაც ქართველებს აწყობდა. საქართველოსთან კავშირით დაინტერესებული იყო ოსმალეთიც, რომლისთვისაც შაჰის მიერ აკლებული ქვეყანა დასაყრდენი იქნებოდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეიმურაზის ნათქვამი რუს დიპლომატებს იმაზეც მიანიშნებდა, XVII ს. 10-იან წლებში მან რატომ მიანიჭა უპირატესობა ოსმალეთს და არა რუსეთს. ამჟამად კი, ოსმალეთის შესახებ, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო (ოსმალეთმა წარუმატებელი ომი აწარმოა ირანთან და რეჩ პოსპოლიტასთან, მოიშალა სახელმწიფო მართვის სისტემა, იანიჩრები თვითნებობდნენ, კაზაკები არბევდნენ მის სამფლობელოებს, აჯანყდა არზრუმის ბეგლარბეგი, სასახლის გადატრიალებები).

ჩანდა როგორ ძლიერდებოდა ირანი, მაგრამ თეიმურაზის აზრით, არც შაჰ აბასის საქმე მიდიოდა მთლად კარგად. თ. ტივაძემ თეიმურაზ მეფის წერილის იმ ადგილს მიაქცია ყურადღება, სადაც ნათქვამია: „... გვესმა და წერილებითაც შევიტყვეთ, რომ უწმინდური შაჰ აბასი ძალზე შეზღუდული და დასუსტებულია ომებისაგან, რომლებიც მან გადაიტანა. ამბობენ, რომ იგი ინდოელებმა დაამარცხეს და ამის გამო მე ვემზადები, მოახლოვდა ჟამი, რათა ღვთის ნებითა და დახმარებით მასზე (გავილაშქრო)“[1].

---

[1] Там же, с. 76. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 42.

იმას, რომ შაჰის ირანს, სამხრეთიდან საშიშროება ემუქრება და მისმა მოწინააღმდეგეებმა ამ მომენტით უნდა ისარგებლონ, თეიმურაზ მეფის დიპლომატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ესპანეთის სამეფო კართან ურთიერთობის დროს.

ამ დროს არც რუსეთს ჰქონდა დალაგებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მას სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდა დასავლეთიდან ლიტვა-რეჩ პოსპოლიტის სახით და არც ქვეყნის შიგნით იყო მშვიდობა. მიუხედავად ამისა, რუსეთი ირანთან დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს ფორმალურად იცავდავა თეიმურაზსა და მის ქვეყანას, რაც სინამდვილეში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებებით საქართველოზე თავისი უფლების დაცვა იყო.

თეიმურაზის აზრით, ახლა ოსმალეთი იმდენად დასუსტდა, რომ მას საკუთარი თავის დაცვა უჭირს და ამაოა მისგან საქართველოს დახმარების იმედის ქონა. აქედან გამომდინარე, რუს პოლიტიკოსებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ქართველ მეფეს მათთან კავშირის განახლება და ტრადიციული კარგი ურთიერთობის აღდგენა, რაზეც ხშირად აპელირებდნენ რუსი დიპლომატები, თეიმურაზ მეფეს ნამდვილი დახმარების მიღებისათვის სჭირდებოდა. იგი არ მალავდა, რომ ეს იყო რუსეთისაკენ მისი შემობრუნების მიზეზი. თეიმურაზი, თავისი წერილის დასასრულს მიხეილ თედორეს ძეს პირდაპირ უსვამს კითხვას: რითი დაგვეხმარები – ჯარით თუ ფულითო?[1]

31 მაისს პატრიარქმა ფილარეტ ნიკიტას ძემ თეოდოსე მანგლელი მიიღო, რომელმაც თეიმურაზ მეფის 1623 წლის 16 მარტის სიგელი გადასცა. ეს სიგელი თითქმის იდენტური იყო იმისა, რომელიც თეიმურაზმა მის შვილს – ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს გაუგზავნა[2].

რადგან მეფე თეიმურაზი ითხოვდა, რომ ხელმწიფეს მისი ელჩისაგან საიდუმლო დანაბარები პირადად მოესმინა, ამიტომ

---

[1] Там же, с. 69-71.

[2] Там же, с. 75-76. თეიმურაზის მიერ რუსეთის ხელმწიფესთან და პატრიარქთან გაგზავნილი წერილების ანოტაცია იხ. იქვე, გვ. 85-86.

ივანე გრამოტინი სპეციალურად შეხვდა თეიმურაზს და ესაუბრა. გაირკვა, რომ შაჰისაგან დევნილი მეფე თეიმურაზი ოსმალეთში წავიდა და ახლა რუსეთის ხელმწიფისაგან ჯარით ან ფულით დახმარებას ითხოვს. იგი სულთანს აღარ დაუკავშირდება ხელმწიფის გვერდის ავლით. თეიმურაზს უნდა ამიერიდან ისიც და მისი სამეფოც ხელმწიფის ხელდებული იყოს. ხელმწიფემ და პატრიარქმა თეიმურაზის ამ თხოვნაზე თეოდოსეს უპასუხეს, რომ როდესაც მან იღუმენი ხარიტონი გამოგზავნა და შაჰის მოქმედებითა და უსამართლობით შეწუხებული აცნობებდა, ხელმწიფემ არაერთხელ მისწერა შაჰს, რომ საქართველოს მეფის მიმართ უსამართლობას ნუ ჩაიდენო. სულ ბოლოს, ხელმწიფის ელჩებმა ვასილი კორობინმა და დიაკმა ოსტაფეი კუვშინოვმა შაჰს თეიმურაზ მეფის შესახებ სპეციალური წერილი მიართვეს. შაჰმა მოუსმინა ელჩებს და სთქვა, რომ თეიმურაზმა მას მძევლად მისცა თავისი დედა და ორი ვაჟი, იმისათვის, რომ მის მტერს სულთანს არ მიემხრობოდა. თეიმურაზმა სიტყვა დაარღვია, თავისი დედა და შვილები მიატოვა, სულთანთან წავიდა და ახლაც მასთან არის. თეიმურაზის მიწა-წყალი, ქალაქები, მოსახლეობა, დედა და ორი ვაჟი მის ხელშია. შაჰმა თეიმურაზის შვილები ალექსანდრე და ლევანი ელჩებს აჩვენა[1]. შაჰს სურდა, რუს ელჩებს თეიმურაზისათვის გაეგებინებინათ, რომ იგი უშიშრად მივიდეს მასთან და დედასა და შვილებს და სხვასაც ყველაფერს დაუბრუნებს. ელჩებმა შაჰ აბასს უპასუხეს, რომ თავიანთი მეფის ნებართვის გარეშე თეიმურაზთან დაკავშირებას ვერ გაბედავდნენ. შაჰმა ელჩებს დავალა, რომ მათ თავიანთი ხელმწიფისათვის ეცნობებინათ ის, რაც თეიმურაზის შესახებ სთქვა. მაგრამ რის გამო ჩამოვარდა თეიმურაზსა და შაჰს შორის მტრობა, რუსეთის ხელმწიფემ არაფერი იცოდაო, განაცხადა ი. გრამოტინმა.

ი. გრამოტინმა თეოდოსეს დაავალა თავისი მეფისათვის მოეთხრო როგორ მოეპყრა ხელმწიფე მის ელჩს. ***თეიმურაზს, ხელმწიფის აზრით, თვითონ უნდა მოეფიქრებინა, როგორი ურთიერთობა ჰქონებოდა შაჰ აბასთან და თავისი ახლობლები როგორ დაეხსნა მისი ხელიდან, ენდოს შაჰის სიტყვებს და მივიდეს მასთან თუ არა.***

---

[1] ამ დროს თეიმურაზის შვილები ცოცხლები აღარ იყვნენ.

რაც შეეხება თეიმურაზისათვის ფინანსური დახმარების გაწევას, ელჩს უპასუხეს: ***ამჟამად ხელმწიფეს ფინანსურ დახმარება არ შეუძლია***, რადგან ადრინდელი ხაზინა პოლონელმა და ლიტველმა მტრებმა წაიღეს, მათგან განადგურებული ქალაქები ჯერ კიდევ ვერ აღსდგა.

არქიეპისკოპოსმა თეოდოსემ ი. გრამოტინს მოუსმინა, ხელმწიფეს დიდი მადლობა გადაუხადა, იმისათვის, რომ იგი თეიმურაზ მეფისა და მისი სამეფოს შაჰის ხელყოფისაგან დაცვას ცდილობდა. მაგრამ შაჰის ნდობა არ შეიძლება, იგი ცბიერი და მატყუარაა. ვიდრე საქართველოს გაანადგურებდა, მანამდე თეიმურაზს შვილს ეძახდა, მისადამი კეთილი იყო, ხოსრო მეფის გვირგვინს და თავისი სიკვდილის შემდეგ ირანში გამეფებას ჰპირდებოდა. თეიმურაზი ამიტომ ენდო შაჰ აბასს და მასთან მივიდა დედით, ცოლით და შვილებით. ამის შემდეგ შაჰმა განიზრახა თეიმურაზის მოკვლა და მისი სამეფოს დაუფლება. თეიმურაზმა შაჰის განზრახვის შესახებ ერთი ქართველისაგან გაიგო. ის სულთანთან გაიქცა, თავისიანები კი ღვთის განგებას მიანდო. ისინი მზად არიან მართლმადიდებლობისათვის წამებულის სიკვდილი მიიღონ. მათი შემწე შეიძლება ღმერთი და მოსკოვის ხელმწიფე იყვნენ.

ამის შემდეგ დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება, რომლის შინაარსი უცნობია, თუმცა საუბრის ჩაწერა ხდებოდა და ჩანაწერი ი. გრამოტინთან ინახებოდა[1]. თეოდოსეს და გრამოტინის შემდგომი შეხვედრებისა და საუბრების თემა ქრისტეს კვართი იყო, რაზეც ზემოთ უკვე გაკვრით ითქვა.

საინტერესოა, საქართველოში როდის გაიგეს შაჰ აბასის საჩუქრით მოსკოვში გამოწვეული მითქმა-მოთქმის შესახებ? როგორც ცნობილია, „ქრისტეს კვართი“ მოსკოვში მიიტანეს თეოდოსეს წამოსვლის შემდეგ. მას შეიძლებოდა ეფიქრა, რომ რასაც რუსები ყიზილბაშების მიერ საქართველოდან გატანილი სიწმინდეებისა და საგანძურის შესახებ ეკითხებოდნენ, ცნობისმოყვარეობითა და მომხდარის მიმართ სინანულის გრძნობით იყო გამოწვეული. თეოდოსემ არ იცოდა რუსეთის ხელისუფლებას კონკრეტულად რა აინტერესებდა. დღეისათვის ცნობილი რუსული საბუ-

---

[1] Полиевктов М., Материалы ც. 85-89.

თები გვიჩვენებს, რომ XVII ს. 30-იანი წლებიდან ჯერ თეიმურაზ I, შემდეგ კი სხვა მეფეები და პოლიტიკური მოღვაწეები ყოველთვის აცხადებდნენ, ქრისტეს კვართი საქართველოში არისო. მაშასადამე, შაჰ აბასის მიერ რუსეთში გაგზავნილ რელიკვიაზე, საქართველოში გაიგეს აღნიშნული დროიდან.

შაჰ აბასის მიერ კახეთში დატრიალებული უბედურების შესახებ, თეიმურაზ I რუსეთის ხელმწიფეს ყოველთვის აცნობებდა. დაუჯერებელია, მას არ სცოდნოდა ყიზილბაშების მიერ მცხეთიდან კვართის წაღების შესახებ და არაფერი თქმულიყო ქართველი მეფე-მთავრების მიერ მოსკოვში გაგზავნილ სიგელებში. ქრისტეს კვართი ხომ ყველა ქართველისათვის საერთო სიწმინდე იყო.

შაჰ აბასის მიერ განადგურებული საქართველოს ელჩი ხარიტონი, 1618 წელს მოსკოვში რომ ჩავიდა, მაშინ დაწყებული არ იყო ის რელიგიურ-პოლიტიკური ვნებათღელვა, რომელმაც თავი იჩინა 1624-1625 წლებიდან. თეიმურაზს და არც სხვა ქართველებს, სრულებითაც არ სჯერდებოდათ 1618 წელს რუსებისათვის დაემალათ შაჰის მიერ საქართველოდან კვართის წაღება. პირიქით, მაშინ ამის გამხელა კიდევ ერთი დამატებითი საბუთი იქნებოდა ქვეყნის უკიდურესად დამძიმებული მდგომარეობის წარმოსაჩენად, რაც იმ დროს ქართველი პოლიტიკოსების ინტერესებში შედიოდა.

უეჭველია, რომ შაჰისათვის ცნობილი იყო ხარიტონის მოსკოვში საქმიანობა და ჩატანილი სიგელების შინაარსი. სწორედ თეიმურაზის და, საერთოდ, ქართველი მეფეების წარმომადგენლების მოხსენებებისა და წერილების მიხედვით აწარმოებდნენ რუსეთის დიპლომატები შაჰთან მოლაპარაკებას საქართველოს საკითხზე. ამიტომაც ვერც შაჰ აბასი და ვერც მისი ელჩი ვერ დაასახელებდნენ კვართის წაღების დროდ საქართველოში ლაშქრობის წლებს. ამიტომ გასაგები ხდება შაჰმა რატომ „იპოვა“ „ქრისტეს კვართი“ რუსი ელჩების ისპაანში მისვლამდე, რამდენიმე თვით ადრე, როგორც მან მათ 1622 წლის 21 იანვარს უთხრა.

V. აჯანყებული ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

რადგან რუსეთიდან დახმარების მიღების იმედმა ვერ გამართლდა, გონიოში მყოფმა თეიმურაზ I-მა განიზრახა თვითონ წასულიყო მოსკოვში. მაგრამ ქართლსა და კახეთში მომხდარმა ამბებმა მის განხორციელებაზე ხელი ააღებინა.

1625 წლის 25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილი) ქართველმა აჯანყებულებმა მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა ლაშქარს მუსრი გაავლო.

საინტერესოა, მარტყოფის აჯანყების მიზეზების როსტომ მეფისეული შეფასება: 1619 წელს კახეთის გამგებელი ბაგრატი გარდაიცვალა. შაჰ აბასმა დიდად განიცადა ბაგრატის სიკვდილი, რადგან მისი სახით ერთგული და მორჩილი მსახური დაკარგა. როგორც როსტომ მეფე გადმოგვცემს, „რა ჟამს მიესმა სიკუდილი ბაგრატისა შააბაზს ყენესა, და ასრე დაუმძიმდა, ვითა ძმა ყოფილიყო“. წლისთავზე, შაჰმა ბაგრატის ვაჟს სვიმონს ყარჩიღახან სარდლის ასული ცოლად გამოუგზავნა და კახეთის კახელებისაგან დაცლის გეგმის განხორციელება მის სიმამრს და მასთან ერთად მოსულ თორმეტ ხანს დაავალა. „რა ქორწილობა გარდაიჴადეს ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახი კაცი გაეწყჳიდა და კახეთში ყიზიბაში დაესახლა; და კახეთს პატრონობდა ბარდის ხანი ფეიქარხან“[1].

კახელთა ლაშქარი ქართლში დაიბარეს. ბრძანების შესაბამისად, ისინი მუხრანში, აღაიანის მინდორზე დადგნენ, მაგრამ ღალატით დახოცეს. როსტომ ხანი, ჩემი გაგებით, ქართველების მიმართ თანაგრძნობით აღნიშნავდა („შეიყარნეს ქართუჭლნი. დაესხნეს მარტყოფში ყიზილბაშთა თავსა. ყარჩიხან სარდარი და უსუფხან შირვანის ხანი და სხუა ხანები და სულთნებიც მრავალი დაჴოცეს. ივსნეს საშოვრითა: ოქროდთა, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა. მრავალისა უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორითა“), ეს გახდა ქართლში ანტიირანული აჯანყების მთავარი მიზეზი, რომელიც გიორგი სააკაძის მეთაურობით დაგვირგვინდა მარტყოფის

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 462.

ბრწყინვალე გამარჯვებით. გიორგი სააკაძემ ქართლი და კახეთი (თბილისის გარდა) ყიზილბაშებისაგან გაწმინდა და განჯა ყარაბაღიც დალაშქრა. ამის შემდეგ თეიმურაზი მოიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფედ დასვეს.

ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა, როდესაც ყიზილბაშთა დამსჯელი ექსპედიციის ტრაგიკულ დასასრულზე საუბრობს, ასეთი შინაარსის ცნობას გვაწვდის: „ქართლის მფლობელი მოურავ-ხანი, გურიელი, დადიანი, აჩიკ-ბაში (იმერეთის მეფე –ე.მ.) და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩიღაი-ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველად გამოვიდნენ“[1]. თურქი ისტორიკოსის ეს ცნობა ფრიად საინტერესოა. იგი ყურადღებას იმსახურებს იმ გაგებით, რომ, ისევე როგორც ადრე, ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლ-კახეთს მხარს უჭერდა მთელი დასავლეთ საქართველო. ნაიმა ძველად ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული ერთსულოვნების ანალოგიით მსჯელობს. სინამდვილეში კი ამ დროისათვის ერთობა უკვე დარღვეული იყო.

რუსი პოლიტიკოსები თვალყურს ადევნებდნენ საქართველოში მიმდინარე ამბებს და, როგორც ჩანს, მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ თეიმურაზ I-ს ჰქონდა თუ არა რაიმე ურთიერთობა ოსმალებთან. 1626 წლის 23 მარტს ასტრახანიდან მოსკოვში, გაგზავნილ მოხსენებაში ვოევოდა პ. გოლოვინი, სავარაუდოა, მარტყოფის აჯანყების შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, ქართველებმა შაჰს 7 ათასი (სხვა წყაროებით თითქმის ოთხჯერ მეტი) მეომარი ამოუწყვიტეს. ინფორმატორი საელჩო პრიკაზის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ მართლმადიდებელი ქართველები შაჰს მარტონი ებრძვიან. მათ არც ერთი თურქი ეხმარება[2].

---

[1] მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

[2] Тивадзе Т. Г., Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, с. 164-165, №26.

გასაგები იყო, რომ შაჰ აბასი აღნიშნულ სამხედრო წარუმატებლობას არ შეეგუებოდა და რევანშისთვის ემზადებოდა. აჯანყების სულისჩამდგმელმა და სისრულეში მომყვანმა გიორგი სააკაძემ კარგად იცოდა, რომ აჯანყებულები ირანთან ხანგრძლივად ვერ იბრძოლებდნენ. მან ოსმალეთის დიდ ვაზირს ყიზილბაშ სარდალთა მოჭრილი თავები, ტყვეთა ერთი ნაწილი, საჩუქრები გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. 1625 წლის 3 ივლისს სააკაძის ელჩები დიდ ვაზირთან მივიდნენ და მისი წერილი მიუტანეს. დიდი მოურავი ჰაფიზ ფაშას შექმნილ მდგომარეობას უხსნიდა და ირანზე თავდასხმის პერსპექტივას უაღრესად ხელსაყრელად უსახავდა. ამას გადმოგვცემს იქ დამსწრე ცნობილი ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი[1]. ქართველებს იმდენად დამაჯერებლად ჩამოუყალიბებიათ თავიანთი მოსაზრებანი, რომ იბრაჰიმ ფეჩევმაც მათი გეგმა მოიწონა და სარდალსაც ეხვეწა მიეღო ქართველთა წინადადება[2].

1625 წლის ივნისის ბოლოს ყიზილბაშთა ჯარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა და მდ. ალგეთის ხეობაში მარაბდის ველზე დაბანაკდა. 1 ივნისს მომხდარ

---

[1] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობების ქართულად მთარგმნელი და გამომქვეყნებელმა ს. ჯიქიამ, ქართველი ელჩების ოსმალო სარდლის ბანაკში მისვლა, დაათარიღა 1624 წლის 3 ივლისით და თანაც აღნიშნა, რომ ისინი სააკაძემ მარტყოფთან ყიზილბაშების განადგურების შემდეგ გააგზავნა (ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 234-235). ამ მომენტზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ სხვადასხვა თარიღი ფაქტის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ითხოვს. ვფიქრობ, ოსმალური წყაროს 1624 წლით დათარიღება იმ ქართული ქრონიკების გავლენით მოხდა, რომლებიც მარტყოფის აჯანყებას 1624 წელში ათავსებენ. ს. ჯიქიას მიერ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ მ. სვანიძემ დააზუსტა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების თარიღები (სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 191-196). უნდა იყოს 1625 წელი, რადგან იბრაჰიმ ფეჩევის მონათხრობის მიხედვით, მარტყოფის ბრძოლა უკვე მომხდარია. ოსმალო ისტორიკოსი ამბობს: გიორგი სააკაძემ „მოხერხებული შემთხვევა რომ მიეცა, კარჩიკაი (ყარჩიდა-ხანი – ე. მ.) და მასთან მყოფი ხანები დახოცა და ერთი-ორი ათასი ყიზილბაშის ჯარს თავი მოჰკვეთა“ (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 83).

[2] იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 83-84.

ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ყიზილბაშებმა ქართლი დროებით შეინარჩუნეს. მაგრამ მარაბდასთან მოპოვებული გამარჯვება ყიზილბაშებისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ შაჰ აბასმა ამის შემდეგ ხელი აიღო საქართველოს მოსპობის განზრახვაზე.

გიორგი სააკაძე სამცხეში გადავიდა, „საფარ ფაშას სთხოვა მოურავმან ჯარი და ათხოვა“[1]. მან ადგილობრივი ფეოდალების შეწევნით ყიზილბაშებს შეუტია და წარმატებაც მოიპოვა. ამის შემდეგ სააკაძემ სულთანს რამდენჯერმე სთხოვა დახმარება. სულთანთან მოციქულებისა და წერილების გაგზავნის შესახებ და იმაზეც თუ როგორ დახმარებას პირდებოდა სულთანი გიორგი სააკაძეს, ვიგებთ სულთნის მიერ მისთვის ნაბოძები ფირმანიდან: „ვინაიდან, როგორც შენ მომახსენებ, – სწერს სულთანი გიორგი სააკაძეს, – და მაუწყებ, ჩემი უდიდებულესობისათვის ცხადი შეიქნა, რომ სარწმუნოების მტერთა (შიიტი ირანელების –ე.მ.) მიზანს უეჭველად საქართველო შეადგენს... ამიტომ შენს მეშველად დაინიშნონ... აწ ბათუმის ბეგლარბეგი... მისადმი რწმუნებული ვილაიეთის ჯარით, ჩალდირის-ხიდის ბეგი მურთაზა, არფალიკის წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარი[2]... და საქართველოს მხარეების [სხვა] მმართველები და ემირები მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქრითურთ... გამოიყო ჩემი იანიჩართა ნაწილები... შენთვის დახმარება ებრძანა ანატოლიის ვილაიეთის ზაიმებსა და თიმარის პატრონებს და სრულიად *არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაიეთში მყოფ იანიჩრებს თავიანთი მეთაურებით... ბრძანებები გაეგზავნათ [აგრეთვე] დაღესტნის მმართველებს, რათა მათ სასწრაფოდ გამოიყვანონ [ჯარი] და გამოგზავნონ დანიშნულების ადგილას. დიდებული ბრძანება დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფეებს მასში, რომ, ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურყეველი ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულებისა და მორჩილების შესაბამისად, თქვენთან ერთსულოვანნი იყვნენ და სამსახურის შესრულებას გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკიდონ“*[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 411.

[2] საფარი – ახალციხის ფაშა, ყოფილი ბექა III.

[3] ჯიქია ს., ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე, 13, თბ., 1942, გვ. 236-240.

სულთანი იმავე ფირმანით გიორგი სააკაძეს აცნობებდა, რომ ანატოლიაში გამოუყო „პატივცემული და სახელოვანი სანჯაყთაგანი... არფალიკის წესით და შენს მიერ დასაკავებლად მზადაა“[1]. როგორც ჩანს, სულთანი ყიზილბაშების წინააღმდეგ ამბოხებულ ქართველებს სერიოზულ დახმარებას პირდებოდა, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა, შეიძლება ისევ ქართველებს შორის უთანხმოების გამო. თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც ბაზალეთის ტრაგედიით დასრულდა.

ფირმანიდან ყურადღებას იპყრობს ის, რომ სულთანმა სააკაძეს ანატოლიაში სანჯაყი გამოუყო. არ ჩანს, ეს საჩუქარი მან მოურავს თავისი სურვილით, ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად გასააქტიურებლად, თუ სააკაძისავე თხოვნით უბოძა. მაგრამ, ცხადია, ამ სანჯაყით სულთანმა სააკაძეს ოსმალეთში დასაყრდენი შეუქმნა და თავის სამსახურშიც ჩაიყენა.

წერილობითი წყაროები არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, სააკაძის მიერ სულთანთან მოციქულებისა და წერილების გაგზავნა თეიმურაზთან შეთანხმებული იყო თუ არა? იცოდნენ თუ არა საქართველოში სულთნის მიერ სააკაძისათვის სანჯაყის ბოძების შესახებ? შეიძლება, თეიმურაზსა და სააკაძეს შორის დაპირისპირების მიზეზები ესეც იყო?

თეიმურაზ მეფე, თუ გაითვალისწინებდა სააკაძის ამბიციებსა და მთელ მის განვლილ ცხოვრებას, სრული საფუძველი ჰქონდა სააკაძისადმი უნდობლობა გამოეცხადებინა. ვინ იქნებოდა გარანტი, რომ გიორგი სააკაძე, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი სანჯაყის მფლობელი, სულთნის მიერ მიცემულ ჯარს მის წინააღმდეგ არ გამოიყენებდა.

თეიმურაზი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც იმერეთის მეფე და ოდიშის მთავარი დახმარებას დაპირდნენ.

1626 წელს გიორგი სააკაძე სამცხიდან, თეიმურაზ მეფე კი იმერეთიდან ქართლში დაბრუნდნენ და ციხეებიდან ყიზილბაშებს დევნიდნენ.

გარედან თავდახმის საშიშროების მოხსნის შემდეგ, კვლავ გამოიღვიძა შინაგანმა დაპირისპირებამ და მტრობამ. თავადებმა მე-

---

[1] იქვე, გვ. 240.

ფესა და სააკაძეს შორის განხეთქილება ჩამოაგდეს. ბაზალეთთან მომხდარ ბრძოლაში (1626 წ. შემოდგომა) თეიმურაზმა გაიმარჯვა. სააკაძე კვლავ სამშობლოდან გადაიხვეწა. მან ბედი ჯერ სამცხეში, შემდეგ იმერეთში სცადა და ბოლოს არზრუმში ოსმალეთის სულთნის დიდვაზირთან მივიდა და მორჩილება გამოუცხადა.

თურქი ისტორიკოსის ნაიმას მიხედვით, „არზრუმში გალაშქრების წელს მოურავმა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და არზრუმის დაპყრობასაც დაესწრო“[1]. ნაიმას მონათხრობიდან არ ჩანს, ვინ იყო დიდვაზირი, მაგრამ ცნიბილია, რომ 1627 წელს, ოსმალთა სარდალმა, დიდვაზირმა ხალილ-ფაშამ (დიდვაზირად დაინიშნა 1626 წლის დეკემბერში) ამ ქალაქში გამაგრებულ აჯანყებულ აბაზა-ფაშაზე გაილაშქრა, მაგრამ უშედეგოდ[2]. ამის შემდეგ ხალილ ფაშა გადააყენეს და 1628 წლის ივნისში დიდვაზირად ხუსრევ-ფაშა დაინიშნა. მან იმავე წლის ნოემბერში არზრუმი აიღო. ს. ჯიქია დაასკვნის, რომ „მოურავი ოსმალეთში გადასულა არზრუმში პირველი გალაშქრების წელს, ე. ი. 1627 წლის, დაახლოებით, ზაფხულში, ხალილ-ფაშას დიდ-ვაზირადა და სარდლად ყოფნის დროს“[3], ე. ი. 1627 წელს. ს. ჯიქიას ეს მოსაზრება უფრო მისაღები ხდება, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ 1627 წლის მარტში კონსტანტინოპოლში ჩასულ მისიონერებს საფრანგეთის ელჩმა სეზიმ რეკომენდაცია მისცა „თეიმურაზის ელჩის მაუროს წინაშე“[4]. რა თქმა უნდა, მაურო – გიორგი სააკაძეა, მაგრამ იგი თეიმურაზის ელჩი კი არა დევნილი იყო.

გვაქვს სხვა ცნობაც. ასტრახანის ვოევოდა პ. გოლოვინის მოსკოვის საელჩო პრიკაზში გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ სპარსელებსა და ქართველებს შორის შეტაკება აღარ მომხდარა. მან ყიზილბაშებისაგან გაიგო, რომ თეიმურაზ მეფემ შაჰთან მშვიდობა დაამყარა. ისიც უთქვამთ, რომ ქართველი მოურავი

---

[1] ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 13, 1942, გვ. 209-210.

[2] იქვე გვ. 210, შენ. 8.

[3] იქვე.

[4] თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 372.

(გიორგი სააკაძე) თეიმურაზ მეფეს გაშორდა და მცირე ამალით არზრუმში აბაზა ფაშასთან წავიდა[1].

ყურადღებას იპყრობს რუსული წყაროს თარიღი – 1626 წლის 2 დეკემბერი, რომელიც ასახავს ვოევოდას მოხსენების საელჩო პრიკაზში ჩაბარაების დროს და არა იმას, როცა ვოევოდამ ამბავი მოისმინა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წერილის ასტრახანიდან მოსკოვამდე ჩატანას და დანიშნულებისამებრ ჩაბარებას საკმაო დრო დასჭირდებოდა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რუსული წყარო კიდევ უფრო აზუსტებს გიორგი სააკაძის საქართველოდან ოსმალეთში გადასვლის დროს. აბაზა-ფაშა ამ დროს, მართლაც არზრუმში იმყოფებოდა, მაგრამ სააკაძე, ალბათ, სამცხეში შეეოვნდა და არზრუმთან მაშინ მივიდა, როცა ხალილ-ფაშას ეს ქალაქი ალყაში ჰყავდა. როგორც ჩანს სააკაძემ ქართლი ბაზალეთის ბრძოლისთანავე დატოვა.

გიორგი სააკაძე. მცირე ხნის შემდეგ, ოსმალეთში დაიღუპა (1629 წ. 3 ოქტომბერი)[2]. არ არის გამორიცხული, რომ მის დაღუპვაში, პირდაპირ ან ირიბად, თეიმურაზ მეფის ხელიც ერია.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში წასვლა, თეიმურაზმა იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალა, რომ სრულიად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა – თავი გამოაცხადა შაჰ აბასის მორჩილად. ამის შემდეგ, თეიმურაზ მეფესა და შაჰ აბასს შორის „მშვიდობა“ დამყარდა. თეიმურაზ მეფისა და შაჰ აბასის შერიგების საქმეში განსაკუთრებული როლი შეუსრულებია დაუდ-ხან უნდილაძეს (შემ-

---

[1] «Да они ж государь тезики Назар да Недыр слышели в разговоре от кызылбашских людей, что грузинской Темиряз царь с шахом учинился в миру, а воевода грузинской Маврав от Темирязя царя отехал с невеликими людми в турецкой в Ызрум город к Абазе паше...» Тивадзе Т. Г., Материалы, с. 165, №27.

[2] ნაიმამ გიორგი სააკაძის საინტერესო დახასიათება დაგვიტოვა: „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევისღონე იყო, მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეებში უმეცარი და, ბუნებრივია, მიდრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი“; „მოურავი სპეტაკ-წვერიანი საშუალო ტანისა იყო“. ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 210.

დეგში განჯის ბეგლარბეგი). ისქანდერ მუნშის გადმოცემით, „თეიმურაზმა თავისთვის უმჯობესად სცნო შეხვეწნოდა [შაჰის] კარს. ალავერდი-ხანის შვილს, რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად, თავისი ხალხის ერთი რაზმით თბილისში იდგა, გაეცნო და დაუმეგობრდა და მისვლა-მოსვლა გაიმართა“[1]. მისი რჩევით, თეიმურაზმა შაჰს მორჩილების წერილები გაუგზავნა. სპარსელი ისტორიკოსის თქმით, თეიმურაზის ამ ნაბიჯის გადადგმა ნაკარნახევი იყო გიორგი სააკაძის სულთნისათვის დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში წასვლით.

თეიმურაზის შაჰ აბასთან შერიგების საქმეში გარკვეული როლი შეუსრულებია იმამყული ხანსაც, დაუდ-ხანის უფროს ძმას. მაგრამ, თეიმურაზმა დაუდ-ხანის რჩევის მიუხედავად (თეიმურაზს „გამოეცვალა თურქული სამოსი, განდგომის ხანებში რომ ჩაეცვა და ყიზილბაშური ტანსაცმელი ჩააცვა“), ვერ გაბედა შაჰთან წასვლა, რასაც ეს უკანასკნელი მოითხოვდა[2]. მაგრამ თერიმურაზი, შაჰ აბასის სიცოცხლეში, ირანში (შირაზში) მაინც ყოფილა და 1628 წ. 22 მარტს ორმუზის აღების აღსანიშნავ საზეიმო ბანკეტს დასწრებია[3].

ერთ-ერთი რუსული ცნობის მიხედვით, ასტრახანის ვოევოდას ირანის შაჰის ელჩ მაჰმედ სალი ბეგთან საუბრისას გაუგია, რომ თეიმურაზ მეფესა და შაჰს შორის მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ელჩმა არ იცოდა რამდენი ხნით. თეიმურაზს ქ. აშრაფში (მაზანდერანში) ორი თურქი, ოთხი ქართველი და 100 მოკლული ადამიანის გვამი გაუგზავნია და შაჰისათვის შეუთვლია, რომ მან ეს ადამიანები დახოცა თავის ქვეყანაში, როცა ისინი შაჰის მოღალატე მოურავის მეთაურობით თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ მოვიდნენ თურქებთან და ქართველებთან ერთად[4]. თუ რუსული წყარო სიმართლეს ასახავს, მაშინ გამოდის, რომ გიორგი სააკაძეს ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თავის ერთგულ ქართველებსა და ოსმალთა

---

[1] ისქანდერ მუნში, გვ. 139-140.

[2] იქვე, გვ. 140-141.

[3] ჟორდანია გ., თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1984, გვ. 141.

[4] Тивадзе Т. Г., Ук. труд, с. 166, № 29.

რაზმებზე დაყრდნობით საქართველოში დაბრუნება უცდია, მაგრამ კვლავ მარცხი განუცდია. მაჰმედ სალი ბეგის თქმით, თეიმურაზ მეფეს ეს სამხედრო წარმატება, რაც სააკაძეს დამარცხებაში გამოიხატა, ისპაანში უცნობებია, როგორც საერთო მტერსა და შაჰის მოღალატეზე გამარჯვება[1].

საინტერესოა, რომ შაჰის ელჩის ეს ცნობა, გიორგი სააკაძის ოსმალთა ჯარით თეიმურაზ მეფის სამფლობელოებში შეჭრის შესახებ, საქართველოში ნამყოფმა რუსებმა, ფედკა გრიგორიევმა და ივაცკო ივანოვმა დაადასტურეს[2]. მათი მონათხრობი, ამას გარდა, სხვა საინტერესო ცნობებსაც შეიცავდა და ასტრახანის ვოევოდამ ყველაფერი რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს 1629 წლის ივლისში შეატყობინა. მათ უთქვამთ: შაჰ აბასმა ისე გაანადგურა საქართველო, რომ თეიმურაზ მეფეს ქალაქები აღარ ჰქონდა და იძულებული იყო ერთი სოფლიდან მეორეში გადასულიყო. ერთი პირობა თეიმურაზი „თურქების ქალაქ გონიოში“ ცხოვრობდა. ამჟამად მას მშვიდობა აქვს ოსმალეთის სულთანთან და ირანის ახალ შაჰ სეფისთანაც ელჩები გაგზავნა, მაგრამ რისთვის, ცნობილი არ არისო. ირანის შაჰის ელჩები ქართველ მეფესთან არ მოსულან. გამოკითხულ რუსებს მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებზეც უთქვამთ.

ფედკა გრიგორიევს და ივაცკო ივანოვს ქართველებისგან გაუგიათ, რომ თეიმურაზს განზრახული ჰქონდა რუსეთის ხელმწიფესთან მალე, მიმდინარე წელს, ქართველი პატრიარქი ელჩად გა-

---

[1] Там же.

[2] წერილში ნათქვამია, რომ 1629 წლის 9 ივლისს თერგიდან ასტრახანში მივიდნენ საქართველოდან წამოსული მოგზაური ვაჭარი ფედკა გრიგორიევი და მეთემე გლეხის შვილი ივაცკო ივანოვი. 15 წლის წინათ ისინი ყირიმელმა თათრებმა დაატყვევეს და კაფაში მიყიდეს სამსუნის ფაშას, რომლისგან გაქცევა და დონის კაზაკებთან მისვლა სცადეს. თურქებმა ისინი ზღვაში დაიჭირეს და ბატონთან დააბრუნეს. ფაშამ რუსები სხვას მიყიდა, რომელთანაც ხუთი წელი იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ მათ გაქცევა შეძლეს და ერევანში, შემახაში, განჯასა და თბილისში იცხოვრეს ორი წელი. იმის გამო, რომ თბილისში ყიზილბაშები იყვნენ, მათ თბილისი მიატოვეს, მაგრამ საქართველოში დარჩნენ კიდევ ერთი წელი და ერთ ბერძენ მღვდელთან, ვინმე გიორგისთან ცხოვრობდნენ. Там же, ც. 168, №31.

ეგზავნა, მაგრამ რა მიზნით მიდიოდა ელჩობა, ამის შესახებ არ იცოდნენ. მათ ქართველებისგან ისიც გაუგიათ, რომ საქართველოს მეფე თეიმურაზის ქალაქებში ოსმალთა ჯარით შეიჭრა მოურავ ფაშა (გიორგი სააკაძე –ე.მ.), რომელიც წინათ, ადრინდელი ირანის შაჰის ხანი იყო. საქართველოს მეფე თეიმურაზის ხალხმა მოურავ ფაშა და მისი ოსმალეთის ჯარი დაამარცხეს და საქართველოს ადგილებიდან განდევნეს. ამის შემდეგ, ხელმწიფეო, არც ერთი მხრიდან საქართველოს მიწა-წყალს აღარავინ დასხმია“[1].

საინტერესოა რუსული წყაროების ცნობები სააკაძის შესახებ. აღინიშნა, რომ იგი 1627 წელს ოსმალეთში გადავიდა და სულთანს ჯარით დახმარება სთხოვა. იმ დროს ირან-ოსმალეთის ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და ოსმალეთისათვის სააკაძის საქართველოში დაბრუნებისა და მისი გეგმის განხორციელებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის დრო არ იყო. მან მონაწილეობა მიიღო აჯანყებული აბაზა ფაშას წინააღმდეგ ლაშქრობასა და არზრუმის აღებაში 1628 წელს. ამის შემდეგ ოსმალებმა სამცხის იმ ციხეებს შეუტიეს, სადაც ყიზილბაშები იდგნენ. გ. ჯამბურიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ სამცხის ციხეების დაპყრობაში შეიძლება გიორგი სააკეძეც მონაწილეობდა[2].

ზემოთ დამოწმებულ რუსულ წყაროებში გიორგი სააკაძესთან დაკავშირებული ამბავი, საქართველოში ოსმალეთის ჯარით შემოჭრის შესახებ, მისი სამცხეში ყოფნის გამოძახილი უნდა იყოს. ისიც დასაშვებია, რომ მან ქართლში შემოჭრაც სცადა, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შესძლო. ოსმალეთის სარდლობამ მას მხარი არ დაუჭირა, რადგან თეიმურაზი თავის მოკავშირედ მიაჩდათ. ესეც არ ყოფილიყო, ირანთან მეომარი ოსმალეთი აღმოსავლეთი საქართველოს რთულ საქმეებში ვერ ჩაერეოდა. შაჰის მიერ ქართლში განცდილი ზარალი სულთნისათვის სასიამოვნო და, იმავე დროს, ანგარიშგასაწევი მაგალითი იყო.

ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზმა შიდა ქართლი დაიკავა. შაჰი იძულებული გახდა იგი ქართლ-კახეთის მეფედ (1625-1632) ეღიარებინა, სამაგიეროდ თეიმურაზმა ირანის შაჰის ვასალად

---

[1] Там же, с. 169.

[2] ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 168.

ყოფნა სცნო[1]. აღნიშნული პერიოდის წყაროების მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართლ-კახეთის ირანთან ურთიერთობაში თითქოს მშვიდობიანობამ დაისადგურა.

ამგვარად, თეიმურაზსა და შაჰ აბასს შორის მიღწეული იქნა კომპრომისი, რომელიც ზ. ავალიშვილმა ასეთნაირად ახსნა: „კომპრომისის ძებნა თეიმურაზის მიერ აშკარად აიხსნება მისი შიშით – ოსმალების დახმარებით დიდმა მოურავმა ქართლი, ვინ იცის, კახეთიც არ წამართვას და არ დაიჭიროსო! და უირანოდ, საკუთარი ძალით, ოსმალეთისაგან ზურგგამაგრებულ მეტოქესთან ბრძოლას ხომ ვერ შეძლებდა! შაჰ აბასისათვის, რომელიც მაშინ ბაღდადის მხარეს ოსმალებს ეომებოდა, თეიმურაზის ყმობა და მეგობრობა მის მტრობაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა“[2].

შაჰის კომპრომისი განპირობებული იყო არა იმდენად საგარეო ფაქტორით, რამდენადაც თეიმურაზისა და ქართველი ხალხის შეუპოვრეობითა და გაუტეხელობით. შაჰ აბასს უკვე ნაცადი სამხედრო მეთოდებით საქართველოში მოქმედება აღარ შეეძლო, იმაზე მეტ სისატიკეს და სადიზმს ვეღარ ჩაიდენდა რაც უკვე ჩადენილი ჰქონდა. ალბათ, ანგარიშს იმასაც გაუწევდა, რომ თეიმურაზს დამცველები შაჰის უახლოეს გარემოცვაში გამოუჩნდნენ ძმები უნდილაძეების სახით, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ შაჰის კარის დიდკაცობაზე.

შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა შვილიშვილმა შაჰ სეფიმ. თავდაპირველად თეიმურაზს ახალ შაჰთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაგრძელების მიზნით ელჩები გაუგზავნია[3], მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც უხიფათოს არ ხდიდა ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობას ირანის მხრივ. არც სპარსელები იყვნენ გულდამშვიდებულნი და ქართველობის მიერ მშვიდობისა და ერთგულების გამოცხადებას ეჭვის თვალით უცქეროდ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ., 277-291

[2] Avalishvili Z. Teimuraz I and his poem „The Martirdom of Queen Ketevan“. Georgica, London, 1937, v. I, №3-5.

[3] ელჩობის ისპაანში ჩასვლის დროს ზუსტად დადგენა ჭირს: «Да тому де государь ныне месяца с полтретя, грузинской Темиряз цар прислал к шаху Суфию послов своих». Тивадзе Т. Г., Ук. труд, с. 166, №32.

ნენ. ასტრახანის ვოევოდა ი. ბუინოსოვ-როსტოვსკი 1629 წლის ოქ-ტომბერში საელჩო პრიკაზს აცნობებდა: „შაჰის სახელმწიფო არა-ვის ეომება, მხოლოდ ყიზილბაშებს სერიოზული შიში აქვთ ქარ-თველებისა, რომ ქართველები აიკლებენ, იმის გამო, რომ ად-რინდელმა აბას შაჰმა საქართველოს მიწა-წყალი დაიპყრო და აიკ-ლო...“[1] თეიმურაზ მეფე რომ ყიზილბაშებს მოსვენებით ცხოვრების საშუალებას არ მისცემდა, ყიზილბაშებმა წარსულის მაგალითე-ბით უკვე იცოდნენ. იგი ყველა საშუალებით, როგორც იარაღით, ისე დიპლომატიით, შეეცდებოდა თავისი სამეფოს დამოუკიდებლო-ბის დაცვას და ყიზილბაშებისაგან მუდმივი მუქარის განეიტრალე-ბას. ამიტომ საჭირო იყო ირანის შემაკავებელი მოკავშირე ძალა. თეიმურაზმა უკვე იცოდა, რომ ასეთ ძალად, მოცემულ ეტაპზე, ვერც ოსმალეთი და ვერც რუსეთი გამოდგებოდა. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფემ ყურადღება დასავლეთ ევროპაზე გადაიტანა. მისი ვარაუდით, ირანს, ევროპის სახელმწიფოებიდან, უპირველეს ყოვ-ლისა, ესპანეთი დაუპირისპირდებოდა. თეიმურაზ მეფის ვარაუდი არასწორ პოლიტიკურ გათვლას ემყარებოდა.

---

[1] Там же.

V. რა იცოდნენ ესპანეთში საქართველოს შესახებ საქართველოს ესპანეთთან და რომთან დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს. 90-ანი – XVI ს.)

საქართველო-ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიური ურთიერთობა არარეგულარული იყო და მისი ამსახველი წერილობითი წყაროებიც ფრაგმენტულია. რადგან XVII საუკუნის ქართულ დიპლომატიაში თეიმურაზ I-ის მიერ ესპანეთსა და რომში გაგზავნილ ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) ელჩობას გამორჩეული ადგილი უკავია, წიმამდებარე მონოგრაფიაშიც მას ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

ესპანური წყაროების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ XVII ს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ნიკიფორე ირბახის ელჩად ყოფნის დროისათვის, ესპანეთში განუზომლად ბევრი იცოდნენ საქართველოზე (ეს ცოდნა გროვდებოდა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში), ვიდრე საქართველოში ესპანეთზე[1]. ამგვარი ვითარება, ალბათ, არ გამოიწვევს გაკვირვებას, თუ ერთმანეთს შევადარებთ გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოს და ესპანეთის შესაძლებლობებსა და ინტერესების სფეროს. რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში საგარეო ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები თუ სხვა მასალა დაიღუპა. ეს გარემოებები მკითხველის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას წინამდებარე ნარკვევის გაცნობისას.

აუცილებლად ჩავთვალე გადმომეცა ყოველივე ის, რაც დღეისათვის ცნობილია საქართველო-ესპანეთის ერთსაუკუნოვან ურთიერთობაზე XV ს. 90-ანი წლებიდან XVI საუკუნის დასასრუ-

---

[1] ამგვარი სამუშაოს ჩატარება შევძელი ესპანელი და ქართველი მეცნიერების – ლუის ხილი ფერნანდესისა და ილია ტაბაღუას მიერ ესპანეთში გამოქვეყნებული დოკუმენტების (ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა., დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991. შემდეგში: დოკუმენტები – დოკ.) საფუძველზე, მათი ერთი ნაწილი ნაკლებად ცნობილი ან უცნობია. მინდა მადლობა მოვახსენო პროფ. მურმან პაპაშვილს, რომელმაც აღნიშნული კრებულით სარგებლობის საშუალება მომცა.

ლამდე. ამგვარი მიდგომა გამართლებულად მეჩვენება, რადგან ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის ზოგიერთი მომენტი დასაზუსტებელი ან სხვაგვარად გასააზრებელია.

ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ ყურადღება მიაქცია იმ ქვეყნებს, რომლებიც ოსმალეთის დასუსტებით დაინტერესებულნი იყვნენ, მაგრამ გამოდიოდნენ მუსლიმური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ლოზუნგით. ევროპელების ამგვარი მიდგომა, მუსლიმურ გარემოცვაში მოქცეული საქართველოს ინტერესებს მიესადაგებოდა. ევროპაში არსებული განწყობილების შესახებ ქართველ პოლიტიკოსებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ იმავე ეროპასთან, განსაკუთრებით რომთან, დიპლომატიური ურთიერთობის შედეგად.

ქართველი დიპლომატი – ხუცესი ნილო ესპანთსა და რომში

აჟ-ყოინლუს სახელმწიფოს მბრძანებლებისაგან შეწუხებულმა ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505), რომელსაც საქართველოს გამაერთიანებლის პრეტენზია ჰქონდა, ევროპაში პოპულარული ლოზუნგის თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენება განიზრახა. ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას იმპულსი ერთმა შემთხვევამ მისცა.

1493-1494 წლებში, კონსტანტინე მეფემ თავისი კარის ეკლესიის მოძღვარი ხუცესი ნილო ელჩად გაგზავნა ეგვიპტეში. უნდა აღინიშნოს, რომ გვიანფეოდალური საქართველოს მეფე-მთავრები ელჩებად უმეტესწილად სასულიერო პირებს აგზავნიდნენ, რაც განპირობებული იყო მათი განათლებით, ენების ცოდნით, ამტანიანობით, ხელისუფლისადმი ერთგულებითა და ფსიქიკის მდგრადობით.

ხუცესი ნილო ცნობილია კირ-ნილოსის სახელითაც, რაც, ქართველი მეფის მიერ ევროპაში გაგზავნილი ბერძნულად დაწერილი სიგელების გავლენა იყო. ჩვეულებრივ, ქართველი მეფეები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ბერძნულად დაწერილ სიგელებს აგზავნიდნენ. ნილო, ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც წმინდა ბასილის ორდენის წევრი.

ნილოს კაიროში მოლაპარაკების შესახებ არავითარი ცნობა არ გაგავაჩნია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ეგვიპტის სულთანთან გაგზავნის უმთავრესი მიზანი, იერუსალიმში გოლგოთაზე ქართველთა ინტერესების დაცვის საქმეში სულთნის მხარდაჭერის მოპოვება იყო.

აღსანიშნავია, რომ საუკუნენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველ ბერმონაზვნებს ბრძოლა ჰქონდათ გოლგოთაზე პირველობისათვის ჯერ სომხებთან, შემდეგ კი კათოლიკებთან. 1492 წელს მათ მიაღწიეს იმას, რომ ადგილობრივმა სასამართლომ გოლგოთის თხემი გაყო ორ ნაწილად, ჩრდილოეთი ქართველებს დარჩათ, სამხრეთი კი ფრანცისკანელებს. ქართველები იერუსალიმის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი იყვნენ და გოლგოთაზე თავიანთი სტატუსის აღდგენას ცდილობდნენ. ვფიქრობ, საკითხის მოგვარება დაევალა მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეისთან გაგზავნილ ხუცეს ნილოს. ქართლის სამეფო კარისათვის ცნობილი იქნებოდა ის დაძაბული ურთიერთობა, რომელიც ეგვიპტის სულთანსა და ფრანცისკანელებს შორის არსებობდა და კონსტანტინე II ამ მდგომარეობის გამოყენება სცადა[1].

ქართველი მეფეების მიერ, იერუსალიმის სიწმინდეების გამო, ეგვიპტის სულთნებისათვის ელჩების გაგზავნის ეს პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ ეგვიპტესთან ურთიერთობის მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გაგვაჩნია. გავიხსენოთ თამარ მეფისა და გიორგი V ბრწყინვალის მიერ ელჩების გაგზავნა იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების გამოსახსნელად. ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება ქართლის მეფე კონსტანტინე II. რაც შეეხება, ამ უკანასკნელის მიერ ეგვიპტეში ხუცესი ნილოს გაგზავნა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, როგორც მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, არ მგონია, რომ სიმართლეს შეეფერებოდეს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ XV ს. 80-90-იან წლებში ოსმალეთი საქართველოს პრობლემებს ჯერ არ უქმნიდა. აღმოსავლეთი საქართველო, ირანის ტერიტორიაზე არსებული

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, გვ. 100-104

თურქმანების აყ-ყოინლუს სახელმწიფოს აგრესიას განიცდიდა. მაგრამ ქართველი დიპლომატები ოსმალეთის საწინააღმდეგო გეგმებზე თუ ლაპარაკობდნენ, ამით უნდოდათ საქართველოს სატკივარი (ირანი) ქრისტიანული ევროპის სატკივართან (ოსმალეთი) მიებათ და ანტიისლამური ბრძოლის ინტერესი გაეღვივებინათ როგორც ეგვიპტეში, ისე ევროპაში. საქართველო, რა თქმა უნდა, თვითონაც, როგორც ქრისტიანული ოჯახის წევრი, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ელჩი, სულთანთან მოლაპარაკების დროს თუ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოსთქვამდა (რაზეც არავითარი ცნობა არ გაგავაჩნია), მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ეგვიპტის სახელმწიფო ინტერესებისათვის აქტუალური იყო და სულთანი უნდა წაეხალისებინა, რათა ქართველებს იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების დაბრუნება-შენარჩუნებაში დახმარებოდა. იერუსალიმის სიწმინდეების გამო ეგვიპტის სულთანთან ნილოს გაგზავნის მიზანი რომ პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკება არ უნდა ყოფილიყო, ნათლად ჩანს კონსტანტინე მეფის მიერ ესპანეთის მეფეებისათვის გაგზავნილ წერილში: „ჰოი, რაოდენ მადლს მოკლებულია ჩვენი ნათესავი (ქრისტიანები –ე.მ.)... ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, ***რომ ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი, უღვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირნილო ეგვიპტის სულთანთან ქაიროში წარვგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. (იცოდეთ, რომ) ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან საერთო არაფერი გვაქვს“***[1].

ეჭვს არ იწვევს, რომ „აგარიანებში“, შუა საუკუნეებში, როგორც ქართველები, ასევე ევროპელები, ზოგადად, მუსლიმებს გულისხმობდნენ და არა მხოლოდ თურქებს. კონსტანტინე მეფე იმასაც ნათლად ამბობს, რომ მან ნილო ქაიროში სხვა საქმისთვის (უეჭველია, ქართული მონასტრების საკითხის მოსაგვარებლად) გაგზავნა. ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან (მუსლიმებთან, მათ შორის ეგვიპტელებთანაც) საქმე არა გვაქვსო.

---

[1] ციცნცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 82-83

წმინდა მიწაზე შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესებულმა მეფე კონსტანტინემ ნილოსი რომში პაპ ალექსანდრე VI-სთანაც გაგზავნა, ***„რათა განეცხადებინა მისთვის თავისი მორჩილება, როგორც წმინდა მიწებზე ქრისტეს ნაცვალის მიმართ და ეთხოვა მისთვის შეეგულიანებინა დასავლეთის მეფეები სალვთო ომისათვის სარკინოზების წინააღმდეგ“.*** კონსტანტინე რომის პაპს პირდებოდა, რომ აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებთან ერთად ისიც მონაწილეობას მიიღებდა მუსლიმების წინააღმდეგ ომში[1].

კონსტანტინე II ესპანეთში გაგზავნილ სიგელში სრულიად გარკვევით აღნიშნავს, ვინ მიაჩნია მას თავისი ქვეყნის მტრად: „როგორც თქვენმა მეუფებამაც იცის, ***უღვთო სპასთაგან მარად ჟამს წამებული ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ***“[2]. მეფის ამ სიტყვების შემდეგ ესპანელებისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო, ქართველები სპარსელებისა თუ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ითხოვდნენ დახმარებას.

ხუცესი ნილოს მისია ეგვიპტეში რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნული დროიდან მოყოლებული, ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეწყვეტილა ოსმალების მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე[3].

ამ ელჩობის ისტორიული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ კაიროდან წამოსულმა საქართველოს ელჩმა ნილომ იერუსალიმში გაიარა, სადაც ესპანეთის ელჩს მარტინ დიას დე აუქსშს, მეფის პაჟს, შუბოსანს შეხვდა[4], რომელიც წმინდა ქალაქში იყოფებოდა გარკვეული დავალებით: ესპანეთის მეფეების ფერ-

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., I, გვ. 109.

[2] ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 83.

[3] მამისთვალიშვილი ე., დასახ, ნაშრ. გვ. 121-124

[2] ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ი. ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული კონსტანტინე II-ის სიგელის რუსული თარგმანის მიხედვით [6: 83], მიღებულია, რომ ესპანეთის მეფემ იერუსალიმში ელჩი კი არა ელჩები გაგზავნა. ასეა ჩემს წიგნშიც [4: 96-97].

დინანდისა და იზაბელას ელჩს წმინდა ქალაქის ქრისტიანებისათვის ეცნობებინა სასიხარულო ამბავი – მუსლიმთა ხელიდან გრანადას განთავისუფლება. ამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტმა, სავარაუდოა, ქართველი ელჩს ჩააგონა ესპანეთის ეს დიდი წარმატება თავისი ქვეყნის ინტერესებისაათვის გამოყენებინა და მან მარტინ დიას დე აუქსში საქართველოში წამოიყვანა[1].

მხოლოდ გაკვირვების გამოხატვა შეიძლება ამ ორი, საქართველოს და ესპანეთის, ელჩის საქციელის გამო: როგორ შეძლო ნილომ ესპანეთის ელჩის დაყოლიება, რომ ამ უკანასკნელს ასეთი გაბედული ნაბიჯი გადაედგა და თავისი მეფეების, ფერდინანდისა და იზაბელას, ნებართვისა გარეშე საქართველოში წამოსულიყო. შეიძლება ვარაუდი, რომ ელჩმა გაითვალისწინა რა ესპანეთის სამეფო კარის დიდი ინტერესი ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარებისადმი, მიიღო საქართველოში მიპატიჟება. სავარაუდოა, იგი გარკვეულ ცოდნას ფლობდა საქართველოს შესახებ, მისთვის ეს ქვეყანა არ იყო terra incognita.

ელჩის საქართველოში წამოსვლა, შეიძლება, იმ გზაზე შექმნილი საშიშროებითაც იყო გამოწვეული, რომლითაც იგი ესპანეთიდან იერუსალიმში ჩავიდა. მან არჩია საქართველოსა და ევროპისაკენ მიმავალი გზით ესარგებლა[4].

ესპანეთის ელჩი საქართველოში დიდხანს არ დარჩა. მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლის სამეფო კარზე და იმდენად დააინტერესა ესპანეთთან ურთიერთობის სარგებლიანობით, რომ კონსტანტინე მეფემ მას თავისი ორი ელჩი – ძმა ნილო და ძმა ზაქარია გააყოლა. მათ ახლდათ ორი მსახური. მეფემ თავის ელჩებს გაატანა წერილები, რომელთაგან ერთი განკუთვნილი იყო ესპანეთის მეფე-დედოფალ – ფერდინანდისა და იზაბელასათვის, მეორე კი რომის პაპ ალექსანდრე VI-ისათვის. მეფემ თავის ელჩებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სიტყვიერადაც დააბარა. მათ სხვა საგანგებო დავალებაც მიეცათ: ესპანეთიდან წამოსული ქართველი სასულიერო პირები რომის პაპს უნდა ხლებოდნენ და მისთვისაც კონსტანტინე მეფის ეპისტოლე და

---

[1] დოკუმენტები, გვ. 95.

[4] ციცნცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 17.

სიტყვიერად დანაბარები უნდა გადაეცათ. მათვე გაატანეს პაპისათვის მისართმევი საჩუქრები.

ელჩებმა გადაცურეს შავი ზღვა, აჰყვნენ მდ. დნეპრს და ლიტვა-რეჩ პოსპოლიტის სამფლობელოებზე გავლით ესპანეთისაკენ გაეშურნენ.

კონსტანტინე მეფის ესპანეთის მეფისათვის განკუთვნილ წერილში, გაანალიზებული იყო მუსლიმთა გაძლიერებით შქმნილი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ქართლის მეფე ესპანეთის მეფეს აგრძნობინებდა, რომ მას, უმთავრესად, საერთო, საქრისტიანოს საქმეები აწუხებდა და მოუწოდებდა დასავლეთ ევროპის გაერთიანებული ძალებით აღედგინათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოები (პაპისადმი გაგზავნილ წერილში კი, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, იგი კონსტანტინოპოლსა და წმინდა მიწაზე ამახვილებს ყურადღებას).

მეფე კონსტანტინეს მოწოდებას წმინდა მიწის გასანთავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის და არა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ, პაპი შემდეგნაირად გამოეხმაურა: „სრული აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამბოხებულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ასეთი ლაშქრობა ყველგან მომზადდება და ის, რომ ***შენ ამ მხსნელი წამოწყებისათვის გვთავაზობ ლაშქარს შენი შვილის მეთაურობით, პატივახდილი საფლავების გაწმენდისა და ქრისტესათვის ჩაგრული ხალხის განთავისუფლების მიზნით,*** ძნელია გამოითქვას, რამდენად აღგვაფრთოვანა ამ ცნობამ და როგორ ***ღირსეულ მადლობას ვწირავთ ყოვლისშემძლე უფალს იმისათვის, რომ მან შენს უდიდეს გონებაში ჩასახა ასეთი მისწრაფება და მოვალეობის გრძნობა სარწმუნოების წინაშე;*** შენ იმდენად ამშვიდებ ჩვენს სულს და სურვილს ***ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის და მისი მოძღვრებისათვის ზრუნვით,*** რომ გვახარებს ქრისტიანთა წარმატება“[1]. ამონარიდი სრულიად ნათელს ხდის, რომ ქართლის მეფე ოსმალეთის სახელმწიფოს და მისგან შექმნილ საშიშროებაზე არ წერს რომის პაპს.

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., I, გვ. 217.

კონსტანტინეს წერილში მხოლოდ ერთი წინადადებაა საქართველოს, კერძოდ, მისი სამეფოს, ქართლის მდგომარეობის შესახებ. ამავე წერილში გამოსჭვივის ირანის აგრესიით შეწუხებული ქვეყნის მეთაურის არაპირდაპირი თხოვნა მტრისაგან დასაცავად დახმარების შესახებ. სამაგიეროდ, თუ ესპანელები კონსტანტინოპოლის განთავისუფლებას შეეცდებიან, მაშინ კონსტანტინე მეფე მთელი თავისი ჯარით შეუტევს ოსმალეთს, რომელიც ქართველების კი არა, ევროპელთა თავის ტკივილი არის. ქართველი მეფე ესპანეთის ხელისუფლებას ელჩების დონეზე ურთიერთობის გაგრძელებას სთავაზობს[1].

ქართველი ელჩები ესპანეთში ჩავიდნენ 1495 წლის იანვარში და იქ დარჩნენ დეკემბრამდე. მათი ესპანეთში ყოფნის შესახებ გვაქვს უაღრესად მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები, რომელთა მსგავსი დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი არც ერთი ქართული ელჩობის შესახებ არ გაგვაჩნია.

ცნობილი ხდება, რომ ესპანეთის მთავრობამ ელჩებს გამოუყო ფული ტანისამოსის შესაკერად და ხუთი ჯორი მოგზაურობისათვის. მათ ემსახურებოდათ ერთი გამყოლი, ვინმე გარსია დე ბადახოსი. ელჩებს სამგზავრო ხარჯებისათვის გამოუყვეს 300 დუკატი ანუ 112.500 მარავედი[2] [5:].

1495 წლის მარტში ელჩები სევილიაში ჩავიდნენ და ცხოვრობდნენ პედრო დე ჰუვარილიოს სახლში. ქალაქის სასტუმროების პატრონმა, მუნიციპალური საბჭოსა და გრაფი დე სიფუენტესის ბრძანებით, თავის თავზე აიღო ელჩების ამ ქალაქში ცხოვრების ხარჯები.

ნილო და ზაქარია, იმავე წლის ივლისში, იმყოფებოდნენ ქ. ბურგოსში. აქ დაიწერა ესპანეთის მეფეების საპასუხო წერილი[3] ქართველი მეფისადმი.

წერილის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველმა ელჩებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ესპანეთის

---

[1] ციცნცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 83.

[2] დოკუმენტები, №1 ბ.

[3] წერილი პირველად გამოაქვეყნა ე. ხინთიბიძემ, ახალი მასალები ქართველი მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ. „ცისკარი“, 1986, №3, გვ. 148.

სამეფო კარზე. ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც „შესანიშნავი, ღვთისმოსავი და ბრწყინვალე ორატორები“.

ყურადღებას იპყრობს ნილოს და ზაქარიას მოხსენიება ორატორებად. ძველი რომის დიპლომატიურ სამსახურში იყვნენ სპეციალური ელჩები, რომლებსაც დანიშნულების ადგილას ზეპირად უნდა გადაეცათ ესა თუ ის დავალება. რადგან ქართველმა ელჩებმა, ფაქტობრივად, დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის უმთავრესი საკითხები წერილობითი სახით კი არ წაიღეს, არამედ ზეპირად უნდა მოეხსენებინათ, ამიტომ ესპანეთის დიპლომატიურმა უწყებამ მათ მიმართ გამოიყენა გარკვეული კატეგორიის ელჩებისათვის განკუთვნილი ეს სახელწოდება – ორატორი.

როგორც ჩანს, მეფე კონსტანტინემ გაითვალისწინა პაპის კურიის ინტერესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკური ეკლესიისადმი დაქვემდებარების შესახებ და მას, დახმარების სანაცვლოდ დაპირდა, რომ თუ ფერარა-ფლორენციის კრების (1437-1439) გადაწყვეტილებს გაუგზავნიდა, მათ გაეცნობოდა და შესაბამის დასკვნას გამოიტანდა. ამ თხოვნით მეფე და მისი დიპლომატები პაპს გარკვეულ იმედს უსახავდნენ ეკლესიათა შეერთების შესახებ. ამგვარად, ქართლის მეფე პაპს იმ გადაწყვეტილებების გაგზავნას სთხოვდა, რომლებიც, ერთ დროს, იმავე საეკლესიო კრების ქართველმა დელეგატებმა უარყვეს. აღფრთოვანებული პაპი, როგორც მისი ეპისტოლედან ჩანს, კონსტანტინეს პასუხობს: „ჩვენ უაღრესად მოხარული ვართ, რომ შენი უდიდებულესობა მიისწრაფის ნამდვილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩასწვდეს და ჩვენი სახით სთხოვს ჩვენს უწმინდეს სამოციქულო ტახტს, მთელი ქრისტიანობის მეთაურს, ჩამოაყალიბოს ყველაფერი რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას... ამიტომ ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში, როგორც ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე, მითითებები და დადგენილებები... მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთიანნი და ახლობელნი... მაშინ ვერც ერთი მტრული იარაღი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს, ვინაიდან მჯერა, რომ მათზე გაიმარჯვებს

მეუფება“[1]. რამდენადაც ცნობილი არ არის როდის ან როგორ დაბრუნდა ნილო სამშობლოში (დაბრუნდა კი?), ამდენად არც ის ვიცით როგორი რეაქცია ჰქონდა კონსტანტინე I-ს ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებზე.

ესპანეთის კათოლიკე მეფეები (ასე უწოდებდნენ ფერდინანდსა და იზაბელას) დიდ სიხარულს გამოხატავენ ქართველი მეფის კათოლიკური სარწმუნოებისადმი „ერთგულებისა, მისდამი სამსახურისა და პატივისცემის გამო“. საინტერესოა რას გულისხმობდა კონსტანტინე მეფე კათოლიციზმისადმი გამოთქმულ სიტყვებში? მისი გარკვევა საჭიროა იმიტომაც, რომ გააზრებული იქნეს ხუცესი ნილოს მიერ კათოლიკობის „აღიარება“ ესპანეთში ან რომში.

ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ჯერ კიდევ 1245 წელს (ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამდე დიდი ხნით ადრე) პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254), აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანების გასაერთიანებლად, ლიონში მოიწვია XIII მსოფლიო საეკლესიო კრება. კრების დაწყების წინ პაპს უნდოდა ამ ქალაქში შეეკრიბა აღმოსავლეთის ეკლესიების იერარქები, რათა ისინი შეერთებოდნენ რომის ეკლესიას და ერთობლივად ებრძოლათ მონღოლთა საშიშროების წინააღმდეგ. 25 მარტს პაპმა თავისი წარმომადგენლების ხელით გაუგზავნა წერილები ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, მათ შორის „ივერიელებისა“ და „ქართველების“ იერარქებს. წერილებში ხაზგასმული იყო რომის უპირატესობა, გამოთქმული იყო დიდი მწუხარება ქრისტიანთა გაყოფის გამო და ადრინდელი ერთობისაკენ მოუწოდებდა[2].

საეკლესიო კრების შემდეგ, იმავე წლის 15 ივლისს, ინოკენტი IV-მ კვლავ მოუწოდა საქართველოს პატრიარქს[3], „დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას“[4].

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 217-219; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 83

[2] Приходько Г., История христианства в Казахстане и Средней Азии в Средние века, Караганда, 2000, с. 15.

[3] XIII ს. 40-იან წლებში საქართველოს პატრიარქი იყო არსენ IV (1241/2-1249/50).

[4] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 88.

პაპის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ კათოლიკური სახელმწიფოები, მათ შორის ესპანეთის ის სამეფოებიც, რომლებიც კათოლიციზმის გამარჯვების ლოზუნგით ჯერ კიდევ არაბებს ებრძოდნენ. ესპანეთის გაერთიანების შემდეგ კი, ფერდინანდი თავგამოდებული კათოლიკე იყო (რად ღირს იმის აღნიშვნა, რომ მან და ისაბელმა 1480 წელს კასტილიაში შემოიღეს ინკვიზიციის ტრიბუნალი). ყოველივე ეს ქართლის სამეფო კარზე ცნობილი იყო იერუსალიმიდან პერიოდულად მიღებული ინფორმაციებით, ბევრ რამეს ნილოსთან ერთად საქართველოში მოსული ესპანეთის ელჩისგანაც შეიტყობდნენ. კონსტანტინეს მიერ კათოლიციზმისადმი გამოხატული დამოკიდებულება მხოლოდ ესპანეთის კათოლიკე მეფეების გულის მოგებისათვის იყო და მას რეალური საფუძველი არ ჰქონდა. ამას მათქმევინებს შუა საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ხანგრძლივი ურთიერთობის ანალიზი. არ გაგვაჩნია არც ერთი დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტი, რომელიმე მეფის, კარისკაცის ან სასულიერო პირის მიერ კათოლიკობის მიღებისა, გარდა პოლიტიკური მოსაზრებით „აღიარებისა“ და შემდეგ მონანიების ორიოდე შემთხვევისა.

ესპანეთის მეფეების წერილიდან ჩანს, რომ მათთვის ცნობილია საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ საიმედოს არაფერს პირდებიან. მთავარია ქართველებმა კათოლიციზმის გამარჯვებისათვის იბრძოლონ: „როგორც გვიამბეს, ყოველდღიურად უსიამოვნებები გაქვთ და საფრთხე არ გშორდებათ, რასაც დიდი გულისტკივილით განვიცდით და მაინც ყველაფრისათვის მადლი უნდა შევწიროთ უფალს და შევევედროთ, რომ თქვენცა და მთელი საქრისტიანო, ურწმუნოთა ძალისა და ბატონობისაგან გამოიხსნას, დაიცვას და გამარჯვებული ატაროს. ეჭვი არ არის, უფალი ღმერთი ამ საქმეში თავის ღვთიურ წყალობას არ მოგვაკლებს, თუ თქვენი ბრწყინვალება კათოლიკური სარწმუნოების დაცვისა და განახლებისათვის ძველებური შემართებით იბრძოლებს და მტერს შეაჩერებს. ამის განსახორციელებლად აუცილებელია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რისთვისაც კვლავ თხოვნით მივმართავთ თქვენს ბრწყინვალებას და უფლის გულისათვის ვევედრებით... დანარჩენ წინადადებებს, თქვენი სიტყვები რომ გადმოგვცეს ზემოხსენებულმა ორატორებმა, ვიწონებთ

და ასეთი სიკეთისათვის დიდ მადლობას გწირავთ... სხვა რამეებზეც გულწრფელი პასუხები გავეცით ხსენებულ ორატორებს; ისინი რასაც იტყვიან, თქვენი ბრწყინვალება ინებებს მათთვის მფარველობის გაწევას“[1].

წერილიდან არ ჩანს კონკრეტულად რა მოთხოვნები ჰქონდა მეფე კონსტანტინეს, რომლებზე პასუხიც ესპანეთის მეფეებმა ასევე ზეპირად გამოუგზავნეს.

კონსტანტინე მეფის და ესპანეთის მეფეების წერილებს როდესაც ვეცნობით, ნათელი ხდება, რომ 130 წლის შემდეგაც კი (გავიხსენოთ ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დიპლომატის ნიკიფორე ირბახის – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობა ესპანეთსა და რომში), თითქმის არაფერი შეიცვალა ქართველი მეფის ესპანეთის სამეფო კარისადმი სათხოვარსა და ამ უკანასკნელის პასუხში. შინაარსობრივად რამდენად ახლოსაა წერილები ერთმანეთთან, როგორ ნაცნობია ქართველი მეფის პათოსი ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლის შესახებ, შეპარვით თხოვნა ირანის აგრესიისაგან თავდაცვაში დახმარების შესახებ და ესპანეთის მთავრობის დინჯი, დამრიგებლური ტონი. რა თქმა უნდა, იმ შორეულ წარსულში იმ მანძილს რითაც საქართველო და ესპანეთი ერთმანეთისაგან დაშორებული იყო გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მომენტი მაინც გადამწყვეტი არ იყო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. უბრალოდ, XV საუკუნის 90-იან და XVII საუკუნის 20-იან წლებშიც ესპანეთის სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამებოდა საქართველოსათვის დახმარება და მისი გულისათვის არც ირანისა და არც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ხომ ცნობილია, ესპანელები, როცა მათი სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭირო იყო, მანძილსა და ხიფათს არ უშინდებოდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის XVII ს. I ნახევარის ესპანეთზე. ასე, რომ ესპანეთის მიერ საქართველოსათვის დახმარების არ გაწევა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დიდი მანძილის გამო გამართლება, სწორად არ მიმაჩნია.

როგორც ითქვა ესპანეთში ორი ქართველი ელჩი – მღვდლები ნილო და ზაქარია იმყოფებოდნენ, რომში კი მივიდა

---

[1] დოკუმენტები, №2, გვ. 306-308.

მხოლოდ ნილო. ამის შესახებ აღნიშნულია პაპი ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილში კონსტანტინე მეფისადმი[1]. გამოთქმულია ვარაუდი, თითქოს ზაქარია გზაში გარდაიცვალა. შეიძლება ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზაქარია, მეფის სხვა დავალებასაც ასრულებდა, ან იგი ესპანეთიდან პირდაპირ სამშობლოში დაბრუნდა.

ნილომ რომიდან წამოიღო ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილი, რომელშიც ავტორი იწონებს მეფე კონსტანტინეს წერილში დასმულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: 1. მეფის მიერ სამოციქულო ტახტისადმი პატივისცემისა და ერთგულების გამოხატვას; 2. მუსლიმანთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის მოწოდებას; 3. წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის ზრუნვას; 4. მისწრაფებას, ჩასწვდეს ნამდვილ მართლმადიდებლურ (ამ შემთხვევაში კათოლიკურ) სარწმუნოებას და პაპს სთხოვს „ჩამოაყალიბოს ყველაფერი, რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას“; 5. პაპმა გაუგზავნოს „სარწმუნოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებულია ფლორენციის კრებაზე“.

პაპმა კონსტანტინე II-ს მხოლოდ ბოლო, მეხუთე თხოვნა შეუსრულა: მან კონსტანტინეს გაუგზავნა ფლორენციის კრების გადაწყვეტილება და ტყვიით დაბეჭდილი წერილი[2].

ი. ცინცაძემ პაპის მიერ ხუცესი ნილოსთვის მიცემულ სარეკომენდაციო ბარათის მიხედვით დაასკვნა, რომ იგი ევროპიდან სამშობლოში კათოლიკედ დაბრუნდა[3]. ამის დაჯერება შეუძლებელია, რადგან პაპის მიერ გაცემულ დოკუმენტში მსგავსი არაფერი წერია. მასში ნილო მოხსენიებულია მხოლოდ წმ. ბასილის ორდენის წევრად. ამ დროს ბასილიანობის მიმართ რომის დამოკიდებულება კომპრომისული იყო, რადგან აღნიშნული მიმდინარეობის წევრობა, როგორადაც ევროპაში ელჩებად გაგზავნილი ქართველი სასულიერო პირები თავიანთ თავს აცხადებდნენ ხოლმე, რაღაც

---

[1] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 64-66; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 460-462; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 217-219.

[2] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 99-101.

[3] ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 26.

საშუალო რგოლი იყო მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ XV საუკუნეში რომის ეკლესია გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა ქართული ეკლესიის მიმართ. შეიძლება გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ნილოს რომში ყოფნის დროს პაპის ალექსანდრე VI-ის კანცელარიაში 1496 წელს სპეციალურად ქართლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის შეიქმნა საინტერესო დოკუმენტი – „სამახსოვრო". მასში ნაბრძანებია, რომ სიტყვა-სიტყვით გადაწერონ ალექსანდრე VI-ის წინამორბედი პაპის ევგენიუს IV-ის (1431-1447) ერთი წერილი, აღმოჩენილი მის რეესტრში (ჩანაწერების წიგნი). წერილი შეიცავდა ევგენიუს IV-ის იმ დათმობებს ქართული ეკლესიის მიმართ, „რომელიც გადმოცემულია (ეხლა, 1496 წელს –ე.მ.) ჩვენს მიერ ქრისტეს უსაყვარლესი შვილის ქართველთა უბრწყინვალესი მეფის კონსტანტინეს მიმართ. ***წერილი ამტკიცებს, რომ მეფე საჭიროებს ასეთ დათმობას მის ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოების არსებობისათვის. მეფის ასეთი დაჟინებითი თხოვნის გამო ჩვენ ვუბრძანეთ გადასცენ (წერილის) შინაარსი, რომელიც გამოიხატება შემდეგში...***"[1]. ალექსანდრე VI-ის წერილში სამი წერტილია დასმული და აღარ ჩანს რაში მდგომარეობდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი დათმობები. მხოლოდ ნათქვამია, რომ „ქართველი მეფე უერთდება რომის ეკლესიას. ქართველები... რომის ეკლესიასთან მათი ერთიანობის აღდგენა. 1496 წელი"[2].

კონსტანტინეს კათოლიკურ ეკლესიასთან „შეერთებასა" და „ერთიანობის აღდგენაში", ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გაბათილება იგულისხმება. რამდენად გაიზიარა საქართველოს ხელისუფლებამ ევგენიუს IV-ის წინადადებები თუ დათმობები, ამის გარკვევა დღეს შეუძლებელია. მაგრამ გვაქვს ზოგიერთი მინიშნება, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობაზე.

---

[1] ტაბაღუა, დასახ, ნაშრ., გვ. 219-220.

[2] იქვე, გვ. 110.

საქართველოს წარმომადგენლის არგუმენტირებულმა პროტესტმა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებების გამო, აიძულა პაპი ევგენიუს IV დათმობებზე წასულიყო ქართული ეკლესიის მიმართ. სამწუხაროდ არ გვაქვს ის დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად აისახა ის დათმობები, რომლის საფუძველზე ნახევარი საუკუნის შემდეგ, პაპის ალექსანდრე VI-ის ბრძანებით, სპეციალურად ქართლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის 1496 წელს „სამახსოვრო“ შეადგინეს.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ რომ საგრძნობლად შესუსტდა ურთიერთობა საქართველოსა და რომს შორის, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1328 წელს თბილისში გადმოტანილმა კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრამ, კრების შემდეგ არსებობა შეწყვიტა. კარგა ხანს თბილისში კათოლიკე ეპისკპოსები აღარ იყვნენ. კათედრა აღსდგა მხოლოდ 1493 წელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ რომში იმგვარი ზემოქმედება მოეხდინათ ხუცეს ნილოზე, რომ იგი კათოლიკობის აღიარების აუცილებლობის წინაშე დამდგარიყო, რასაც შემდგომ პერიოდში რომის პაპები ქართველებისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ.

მართალია, მღვდელ ნილოს ელჩობის შედეგებზე ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე სერიოზულის მიღწევა შეუძლებელი იყო. იმ სახელმწიფოებს (ეგვიპტე, ესპანეთი, რომი), რომელთა მეთაურებთანაც მან მოლაპარაკებები აწარმოვა, თავიანთი პრობლემები და ინტერესები ჰქონდათ.

ესპანური მასალები XVI საუკუნის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდის შესახებ

გადის თითქმის ნახევარი საუკუნე და ესპანურ წყაროებში ჩნდება მცირე ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ვიდრე უშუალოდ დოკუმენტს გავეცნობოდეთ, მანამადე უნდა ითქვას შემდეგი: დოკუმენტის შინაარსი მიგვანიშნებს, რომ ესპანეთის სამეფო კარი რეგულარულად იღებდა ცნობებს ახლო აღმოსავლეთიდან. იგი საქართველოში მიმდინარე ამბებისა საქმის კურსში იყო. ასე იყო ყოველთვის, როდესაც ახლო აღმოსავლეთშო მწვავდებოდა ვითარება

ოსმალეთისა და ირანის დაპირისპირების შედეგად. სამეფო კარის აღმოსავლეთის საკითხებით დაინტერესების მაჩვენებელია იმ კორესპონდეციების ნაკადი, რომელიც მისი ელჩებისა და აგენტების მიერ აღმოსავლეთიდან ესპანეთში იგზავნებოდა.

1548 წლის მაისით დათარიღებულ დოკუმენტში, რომლის სათაურია „იბერიის მეფის წინადადება კარლოს V-ს[1]“, არის მოკლე მიმოხილვა იმ მასალისა, რომელიც ერთჯერად შევიდა სამეფო კანცელარიაში. სავარაუდოა, იქ მსგავსი წერილები მცირე რაოდენობით არ იყო, მაგრამ ისინი მკვლევართათვის მიუწვდომელი დარჩა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „კონსტანტინოპოლის პატრიარქმა[2] კაპადოკიის მიტროპოლიტის ხელით კარლოს V-ს გაუგზავნა თავისი და იბერიის მეფის წერილები. ეს წერილები დაწერილი იყო 1548 წლის მარტში. ისინი იქ მიიტანა ხსენებულმა ეპისკოპოსმა. ამ წერილებში ნათქვამი იყო, რომ თუ მისი დიდებულება მოისურვებს წამოიწყოს ლაშქრობა აღმოსავლეთში, ეს მეფე [იბერიის მეფე] მას დაეხმარება 30 ათასი კაცით და მასთან ერთად გაგზავნის თავის ერთ ვაჟიშვილს[3]. პატრიარქი ადასტურებს, რომ ყველა ქრისტიანი, რომელიც იმყოფება კონსტანტინოპოლში, მზად არის იმისათვის, რომ ხელთ აიღოს იარაღი და მოკვდეს მისი უდიდებულესობის სამსახურში“[4].

დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ოსმალეთთან დაპირისპირებული ქვეყნების ტრადიციული საგარეო პოლიტიკის გაგრძელებასთან. კერძოდ, 1547 წელს ოსმალეთმა ზავი დასდო ჰაბსბურგების სახელმწიფოსთან და უნგრეთთან და მაშინვე ომი განაახლა ირანთან. ოსმალეთმა ომის დასაწყისშივე დიდ წარმატებასაც მიაღწია.

---

[1] კარლ V ჰაბსბურგი, საღვთო რომის იმპერატორი ჰაბსბურგების დინასტიიდან 1519-1556 წლებში.

[2] ამ დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო დიონისიუს II (1546-1555).

[3] ლუარსაბ მეფის შვილებიდან ცნობილია მხოლოდ ორი – სვიმონი და დავითი. სვიმონი (შემდეგში ქართლის მეფე სვიმონ I, 1556-1569, 1578-1600) დავითზე უფროსი იყო. სვიმონი 1548 წლისთვის უნდა ყოფილიყო მხოლოდ 11 წლის, იგი დაიბადა 1537 წელს (იხ. მამისთვალიშვილი ე., მეფე სვიმონ I, თბ., 2009, გვ. 6). დავითის დაბადების წელი უცნობია.

[4] დოკ., №3, გვ. 308-309.

ოსმალეთის მიერ აგრესიული ომის წარმართვა აღმოსავლეთის მიმართულებით არ აწყობდათ ამ რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის ირანსა და საქართველოს. რაც შეეხება ომის მსვლელობით დაინტერესებულ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მის პატრიარქს, ოსმალების მიერ სამხედრო ოპერაციების წარმართვა ირანისა და საქართველოს საწინააღმდეგოდ, მიუღებელი იყო იმ უბრალო მიზეზით, რომ ამის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები შეწყვეტდნენ დასავლეთიდან ოსმალეთზე სამხედრო ზეწოლას და, მათი ვარაუდით, დიდ ხნით გადაიდებოდა კონსტანტინოპოლისა და საბერძნეთის გათავისუფლება და ბიზანტიის სახელმწიფოს აღდგენა. აღნიშნულით იყო განპირობებული კონსტანტინოპოლის პატრიარქის აქტიურობა. აღმოსავლეთის პოლიტიკოსების გაგებით, ოსმალეთის დაძლევა მხოლოდ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროული შეტევით შეიძლეოდა.

ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო 1548 წლის 29 მარტს. სავარაუდოა, „იბერიის მეფე“ ლუარსაბ I და კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიონისიუს II თვალს ადევნებდნენ ოსმალეთის სამზადისს ირანის წინააღმდეგ, რაც საქართველოსათვისაც (ქართლისა და კახეთის სამეფოები, სამცხე-საათაბაგო) საშიშროებას შეიცავდა. ამიტომ 29 მარტამდე, ვიდრე ირან-ოსმალეთის ომი გაჩაღდებოდა, ესპანეთის მეფესთან გააგზავნეს თავიანთი წერილები, რომლებიც ანოტირებულია მაისის თვეში, კარლ V-ის კანცელარიაში.

საინტერესოა, რომ ქართველი მეფე ლუარსაბის წერილის ველზე იყო მინაწერი: „თავის დროზე, ამბების მსვლელობის დროს, მოიგონებენ ამ მეფის (ლუარსაბ I-ის –ე.მ.) წინადადებას და მხარს დაუჭერენ მას“[2]. სამწუხაროდ ცნობილი არ არის, როდის და ვინ დაუჭირა მხარი ლუარსაბ მეფის წინადადებას.

1551 წელს სომხების, ქართველების და სირიელი მარონიტების სახიფათო მდგომარეობის ამსახველი და მათთვის დახმარების აუცილებლობაზე თხოვნის წერილი გაუგზავნია სომხების პატრი-

---

[2] იქვე, გვ. 309.

არქს სტეფანე V-ს[1] (1545-1567). წერილის მიხედვით დასახელებულ ხალხებს ხიფათს უქმნიდა ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომები. წერილის ადრესატი არის ესპანეთის მეფის კარლ V-ის მრჩეველი ანტონიო პერენოტი, გრანველის მბრძანებელი[2].

ბუნებრივია, ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების შედეგად, დასახელებული ხალხები ზარალდებოდნენ. წერილის ესპანეთში გაგზავნის წინ ოსმალებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. მათ თავრიზიც აიღეს 1548 წლის 27 ივლისს. ირანის ჯარმა მარცხი განიცადა სომხეთშიც. 1549 წლის ზაფხულში ოსმალებმა შეტევა დაიწყეს საქართველოზე, კერძოდ მის სამხრეთ ნაწილზე, სამცხე-საათაბაგოზე და მნიშვნელოვანი ციხეები დაიპყრეს. სამცხეში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა[3]. დასაშვებია, რომ სამცხის ათაბაგი მანუჩარ I-იც იყო ესპანეთში წერილის გაგზავნის ინიციატორთა შორის.

24 აპრილის წერილში კვლავ მეორდება ქართველებისა და სპარსელების ანტიოსმალური გაერთიანების შესახებ: „ქართველები გაერთიანდნენ სპარსელებთან; მათ ჰყავთ ბევრი მძევალი, გაახნიათ დიდი რწმენა; არის ქვეითი ჯარი, რომლის დახმარებითაც შაჰს იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს“[4].

იმავე წლის 4 ივლისს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში უკვე იცოდნენ სამცხის ათაბაგთა ოჯახის წევრის, ყვარყვარე IV ათაბაგის (1573-1582) უმცროსის ძმის მანუჩარის გამუსლიმების შესახებ. ხუან სორნოსა კონსტანტინოპოლიდან აცნობებდა, რომ „იმ ქართველმა, რომელიც წარსულში გამაჰმადიანდა[5], საზეიმოდ გაიარა წინდაცვეთის წესი და გახდა თავისი ქვეყნის ბეგლარბეგი. მისი ძმა – მისი უფროსი, ჯერ რჩება თავისი რელიგიის ერთგული და იგი აიძულეს წასულიყო სოფელში, რათა ჩაკეტილიყო თავის

---

[1] დოკუმენტის ანოტაციაში შეცდომით დასახელებულია სტეფან III, რომელიც X საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო. დოკ. №5, გვ. 98.

[2] იქვე, გვ. 98

[3] სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ. 63-67.

[4] დოკ. №4, გვ. 309-310.

[5] 1579 წლის 25 ივნისი.

სახლში შავი ჭირის საშიშროების გამო“[1]. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ყვარყვარე IV-ისა და მანუჩარის კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ საკმაო ცნობებია შემონახული სხვადასხვა ენაზე. ამჯერად ციტირებული ცნობის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ყვარყვარეთი უკმაყოფილო ოსმალეთის ხელისუფლებას, იგი ძმისაგან ჩამოუშორებია და სადღაც სოფელში ჩაუკეტია.

ფრიად საყურადღებო ცნობას მანუჩარ II-ის და მისი დედის – დედისიმედის შესახებ ვნახულობთ კრისტობალ დე სალასარის მიერ ვენეციიდან მეფე ფილიპე II-სთან გაგზავნილ წერილში. მართალია, იგი ვენეციაშია დაწერილი, მაგრამ მოცემული ამბის შესახებ ინფორმაცია კრისტობალს კონსატანტინოპოლიდან უნდა მიეღო, რაზეც მისი შინაარსი მიგვანიშნებს. მასში ნათქვამია: „მოვიდა ერთი ქართველი. რომელიც ამბობდა, რომ იგი არის ამ ხალხის ელჩი და ჩამოვიდა თურქებსა და სპარსელებს შორის საზავო მოლაპარაკების მიზნით. ამის გამო მის მიმართ გამოიჩინეს დიდი ყურადღება: მის შესახვედრად გაგზავნეს ბევრი ჯარისკაცი, ხოლო მოსაყვანად – ორი გალერი. სინამდვილეში კი იგი გაგზავნილი იყო ერთ-ერთი ქართველი მმართველი ქალბატონის მიერ, რომლის სამფლობელო ესაზღვრება თურქეთის მიწებს ერზერუმის მხრიდან. ამ მმართველ ქალბატონს ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თურქებთან (ამბობენ, რომ ეს ქართველი იყო ამ ქალბატონის ვაჟი), რათა ამ ქართველი ქრისტიანისათვის – მისი ვაჟიშვილისათვის მიეცათ ზოგიერთი პრივილეგია და ასევე მოეხსენებინა, თუ რა გაკეთდა მისი მმართველობის დროს“[2].

ის, რაც წერილშია ნათქვამი მანუჩარის კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზეზთან დაკავშირებით (ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებაში შუაკაცობის შესახებ) სრულიად უცნობი ფურცელია მანუჩარის მოღვაწეობიდან და არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ჯერ ერთი, 8 ივლისს, წერილის დაწერის დროს, მანუჩარი კონსტანტინოპოლში აღარ იმყოფებოდა. მანუჩარი და

---

[1] დოკ., №5, გვ. 310. მანუჩარის და ყვარყვარეს კონსტანტინოპოლში მისვლისა და მანუჩარის გამუსლიმანების შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 413-418

[2] დოკ., №6, გვ. 311.

ყვარყვარე 1579 წლის 15 ივლისს სამშობლოში დაბრუნდნენ. მეორეც, ძმების კონსტანტინოპოლში მისვლა და მანუჩარის წინდაცვეთა დიდი ზეიმით აღინიშნა და წერილის დაწერის დროისათვის სულ ახალი მომხდარი ამბავი იყო. ძმების სამშობლოში გამომგზავრების შემდეგ, ალბათ, ამ ქალაქში სხვა რომელიმე ქართული სამეფოს წარმომადგენელი ჩავიდა, რომლის ვინაობა ესპანელმა დროულად ვერ გაარკვია და თავის მეფეს არასწორი ინფორმაცია გაუგზავნა.

ხუან დე მარლიანის ანტონიო პერესისადმი გაგზავნილ წერილებში (21, 23, 24 აპრილი), რომლებიც ადრესატმა 9 ივლისს მიიღო, ნათქვამია, რომ დასახელებული ხუან დე მარლიანი ვინმე ჯაკომო მორმორაისა და ვენეციელ ბაილოს შეხვედა. საუბარი იყო მრავალ საკითხზე, მაგრამ ყურადღება განსაკუთრებით გაუმახვილებიათ ირან-ოსმალეთის ომზე. ბაილოს უთქვამს, რომ ის წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც მას პატრიარქმა გაუგზავნა, მაგრამ რომელმა პატრიარქმა, ამას არ აღნიშნავს, ალბათ იმიტომ, რომ მოსაუბრეთათვის ცნობილი იყო ვის გულისხმობდა ვენეციელი ბაილო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელსაც სხვა პატრიარქებთან შედარებით სანდო და სწორი ინფორმაციის მოპოვების მეტი საშუალება ჰქონდა. უსაუბრიათ იმ სამხედრო ძალაზე, რომელიც გააჩნდათ ქართველებს; განუხილავთ ის საშუალებები, რომლებიც ოასმალეთის ჯარის სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ გამოიყენა საქართველოში შესაჭრელად; ბოლოს ისიც უთქვამთ, რა გზით შეიძლებოდა ცნობების მოპოვება ომის მსვლელობაზე.

საკითხის განხილვის დროს თქმულა, „რომ ქართველთა ქვეყანაში არის ოთხი მმართველი, რომ მათგან ყველაზე პატარას ჰყავს 5 ათასი ფეხოსანი და ცხენოსანი მებრძოლი, მეორეს – 10 ათასი, მესამეს – 40 ათასი და მეოთხეს – 60 ათასი; და რომ მათი გაერთიანებული ძალები საკმარისი იქნება, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ თურქების ჯარების წინსვლას. ამას ხელს შეუწყობს კიდევ ორი ფაქტორი: ქვეყნის ძნელი გასასვლელი ადგილები და ის, რომ ქართველი ჯარისკაცები უკეთესები არიან, ვიდრე თურქები“. იმავე თათბირზე აღნიშნეს ქართველთა სუსტი მხარე, კერძოდ, სამხედრო ძალის ოთხ ნაწილად დაქსაქსვა. აღნიშნეს, რომ როდესაც მუსტაფამ პირველ-ორ სამფლობელოში გაიარა

(მოთათბირენი გულისხმობდნენ სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის სამეფოს), ადგილობრივმა ხელისუფლებამ ოსმალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია ძალის უკმარისობის გამო. ოსმალებს მათთვის საჩუქრები და რაღაც დაპირებებიც მიუციათ. „მესამემ (კახეთის მეფემ –ე.მ.) დაინახა, რომ მუსტაფა ფაშა იმყოფება მის მიწაზე, მიხვდა, რომ ორის ძალა არაა საკმარისი წინააღმდეგობის გასაწევად, ხოლო დახმარებას არ უწევს მათ, ვინაიდან მტერი მის სამთავროში კი არ შეიჭრა. ამიტომ მისცა მათ უფლება გაევლოთ მის ტერიტორიაზე“. ისიც თქვეს, რომ მუსტაფა ფაშას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წარმატებების მოპოვებაში ხელი შეუწყო საქართველოს დაქუცმაცებულმა მდგომარეობამ. შემდეგ ქართველი მბრძანებლები გონს მოეგნენ და მუსტაფა ლალა ფაშას ხელს უშლიდნენ ჯარის მომარაგებაში, „თვლიდნენ, რომ მათ უკვე დაუშვეს შეცდომა, რომ მისცეს მუსტაფას ხსენებულ ქალაქში შესვლის უფლება და ახლა ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისი შემდგომი გადასვლისათვის“. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ოსმალებისათვის საშიში იყო საქართველოში ყოფნა, რადგან ამ ქვეყნის ოთხი მმართველი გაერთიანდა და ახლა წინააღმდეგობის გასაწევად საკმაო ძალა გააჩნიათ. ის ცნობაც დაუზუსტებიათ, რომლის მიხედვითაც სპარსელებს თითქოს თბილისი აუღიათ, ბეგლარბეგი და მრავალი თურქი მოუკლავთ. მაგრამ ყოველივე ეს მართალი არ აღმოჩნდა[1].

წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ესპანეთის წარმომადგენლები აღმოსავლეთიდან სწორ ინფორმაციას უგზავნიდნენ თავის მთავრობას. მართლაც, თუ ჩავუკვირდებით წერილების შინაარსს, მათში ძირითადად, სწორადაა გადმოცემული საქართველოში ოსმალების შემოჭრის, საომარი ოპერაციების მიმდინარეობის, სვიმონ I-ის მეთაურობით ოსმალების წინააღმდეგ დაწყებული განმათავისუფლებელი ომის შესახებ. განხილული საკითხები მოიცავს 1578 წ. აგვისტოდან, ე. ი. ოსმალეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის დროიდან – 1579 წლის აპრილამდე მომხდარ ამბებს[2].

---

[1] დოკ., №7, გვ. 112-115.

[2] ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 190-222.

1579 წლის აგვისტოში შედგენილ „მოხსენებაში მუსტაფა ფაშას სამხედრო ოპერაციების შესახებ“, ყურადღება გამახვილებულია უმთავრესად საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და აქ მიმდინარე საომარ მოქმედებებზე. დოკუმენტში გამოკვეთილად ჩანს ესპანეთის სამეფო კარის სოლიდარობა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს მიმართ და მისი დაინტერესება საქართველოს გაერთიანებით, რათა მან უფრო ეფექტურად იბრძოლოს ესპანეთის სამეფო კარის ავსტრიელი ნათესავების – ჰაბსბურგების ინტერესებისათვის, რომლებიც ესპანეთსა და მის სამფლობელოებს განაგებდნენ 1516-1700 წლებში.

„მოხსენება“ იწყება ოსმალო სარდლის საქართველოს საზღვრებში შეჭრის და სამცხე-საათაბაგოს გამგებლებთან – ალფაიეტ ბეისა (ყვარყვარე IV) და მანუჩართან მისი შეთანხმების გადმოცემით. იქიდანვე ვიგებთ, რომ სარდალმა მათ აღუთქვა „მნიშვნელოვანი ღირსებები და მმართველობა“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი ცნობა სამცხის უმსხვილესი ფეოდალის კოკოლა შალიკაშვილის შესახებ. აი რას ვკითხულობთ „მოხსენებაში“: „იმ (საათაბაგოს –ე.მ.) საზღვრებში იყო კიდევ ერთი ქართველი ბატონი, რომელიც ატარებდა სახელს – კოკოლა ბეი, რომელიც შვიდი თუ რვა წლის წინ, სეფიანების ერთგული, ქრისტიანობიდან ირანის სექტის მაჰმადიანი გახდა. იგი თავიდანვე წინააღმდეგობას უწევდა მუსტაფას, მაგრამ მიხვდა, რომ უკვე ვერ გაუმკლავდებოდა მას, თავის დედასთან, ცოლთან, ბავშვებთან და ყველა თავისიანთან ერთად შაჰთან გაიქცა“.

კოკოლა[1] შალიკაშვილი იყო ყვარყვარე IV-ისა და მანუჩარის დედის დედისიმედის მიერ მოკლული ვარაზა შალიკაშვილის ძე. კოკოლა, შაჰ თამაზის ცოლის ძმა იყო და აღნიშნული მკვლელობის შემდეგ იგი ათაბაგის ოჯახის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების მეთაური გახდა. მას სპარსელებიც ეხმარებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილმა ოსმალებმა პირველად კოკოლას სამფლობელოები დაიპყრეს, რომლის

[1] წყაროებში იგი სხვადასხვა სახელით გვხვდება: კიკოლა, აჰმუდ ხან დირაზის ძე, ვარაზა ოღლუ კაიკუდ-ხანი. იქვე, გვ. 399.

ერთი ნაწილი (მაგ. ახალქალაქი), მანუჩარს გადასცეს[1]. ესპანურ წყარო იმ სიახლეს შეიცავს, რომ კოკოლას ოსმალების სამცხეში შეჭრის შემდეგ ცოლშვილიანათ თავი შეუფარებია ირანში. როგორც ჩანს, იგი შემდეგში ირანიდან დაბრუნდა და ოსმალებთან მორიგება შეძლო[2].

„მოხსენებაში“ კვლავ ლაპარაკია საქართველოს დანაწევრების იმ უარყოფით შედეგებზე, რამაც ოსმალებს ამ ქვეყნის დამორჩილება და მასზე დაუბრკოლებლად გავლის შედეგად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ლაშქრობა გაუადვილა. კონკრეტულად დასახელებულია კახეთის მეფე ლევან ბეი (ლევან კახთა მეფე. სინამდვილეში ამ დროს მეფე იყო ალექსანდრე II), რომელსაც ირანის შაჰმა უსაყვედურა იმის გამო, რომ მან თავისი სამეფოს ტერიტორიაზე გაატარა ოსმალეთის ჯარი, რაც, მართლაც, ალექსანდრესა და ლალა მუსტაფა ფაშას შორის შეთანხმების შედეგად მოხდა[3]. ყურადღებას იქცევს ესპანელი მოხელეების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის იმ მნიშვნელობის მინიჭება, რომელსაც შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაზე მის საწყის ეტაპზეც კი. ისინი ამიტომაც ამახვილებენ ყურადღებას საქართველოს გაერთიანების აუცილებლობაზე, მის დიპლომატიასა და შეიარაღებულ ძალებზე.

ესპანური წყაროს მიხედვით, ალექსანდრე II არ ღებულობდა შაჰის მიერ გამოთქმულ საყვედურს. მისი პასუხი იყო, რომ მას არ შეეძლო ოსმალებისათვის წინააღმდეგობა გაეწია, რადგან სხვა ქართველმა მეფე-მთავრებმა მას მხარი არ დაუჭირეს. კახთა მეფე შაჰს დაჰპირდა, მომავალში, თუ სპარსელები დაეხმარებოდნენ ოსმალებს, წინააღმდეგობას გაუწევდა და თავის ტერიტორიაზე არ გაატარებდა.

„უნდოდა, რა დარწმუნებულიყო სხვა ქართველ მმართველთა განზრახვაში, – ვკითხულობთ „მოხსენებაში“, – ლევან ბეიმ ჰკითხა მათ ამის შესახებ, ხოლო მხარი დაუჭირეს რა მის სურვილს, მათ დაიფიცეს თავიანთ შვილებთან და ცოლებთან ერ-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 390-391, 399, 409.
[2] იქვე, გვ. 423, 436-437.
[3] იქვე, გვ. 206-212.

თად ერთგულებაზე. ამიტომ შეუძლებელად წარმოგვიდგება, რომ მუსტაფა დაბრუნდეს ირანში ბრძოლის გარეშე, რამდენადაც თურქებსა და სპარსელებს შორის ძევს მეტად ძნელად გასასვლელი გზა – საქართველო, სადაც იგი წინააღმდეგობას შეხვდება. მუსტაფამ ეს იცის.

ხედავდა რა ამ შეუძლებლობას, მუსტაფამ გაიარა გასულ წელთან შედარებით, სამჯერ უფრო გრძელი გზა. ქართველ მმართველთ მიწებზე იგი ვერ გაივლიდა, ვინაიდან ისინი უეჭველად გაერთიანდებოდნენ, ხოლო ეს საკმარისი იყო, რომ იგი ვერ გასულიყო ამ ტერიტორიაზე“[1].

„მოხსენების“ ავტორს მოყვანილი აქვს ციფრები ქართველთა იმ შეირაღებული ძალისა, რომელსაც ისინი ოსმალებთან საბრძოლველად გამოიყვანდნენ: მანუჩარი – 10 ათას ცხენოსანსა და ქვეითს, ყვარყვარე (ალფაეტ ბეი) – 3 ათასამდე, ალექსანდრე II (ლეონ ბეი) – 40 ათას ცხენოსანსა და 10 ათასი ფეხოსანს. „ყველა ისინი შედგებოდნენ რჩეული მებრძოლებისაგან და იყვნენ უფრო მამაცნი, ვიდრე თურქი ან სპარსელი“.

„მოხსენების“ ავტორისათვის ცნობილია, რომ არის კიდევ ერთი ქართველი „მმართველი“, რომლის ტერიტორიაზე მუსტაფა ლალა ფაშას არ გაუვლია და მას არ დაემორჩილა. იგი მეფეთა მეფის ტიტულს ატარებს. მას შეუძლია გამოიყვანოს 50-60 ათასი მეომარი. ამას გარდა მას შეიძლება დაეხმარონ სხვა ქართველი მმართველები[2].

„მოხსენების“ ავტორს არც ქართველების მოკლე დახასიათება დავიწყებია. იგი წერს: „ქართველები არიან ბერძნული წესის ქრიატიანები და მათ აქვთ საკუთრი ენა, რომელიც არ არის არც თურქული და არც ბერძნული. მათი მცირე ნაწილი ხარკს უხდის თურქებს, ხოლო მეტი ნაწილი – სპარსელების დიდი მე-

---

[1] დოკ. №8, გვ. 315-317. სინამდვილეში, ლალა მუსტაფა ფაშა იმავე გზით – კახეთი-ქართლი-სამცხე – დაბრუნდა არზრუმში. მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 215-218.

[2] „მოხსენების ავტორს, რა თქმა უნდა მხედველობაში ჰყავს იმერეთის მეფე, რომელიც, მართლაც უცხოურ წყაროებში ხშირად „მეფეთ მეფედ“ იწოდებოდა. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 159.

გობრები არიან. მათ არა აქვთ ციხე-სიმაგრეები, ხოლო ისინი, რომლებიც დანგრეულია, არ სარგებლობენ არტილერიით, რათა უფრო ადვილი იყოს მოქმედება შეტევისა და უკან დახევის დროს“[1].

ესპანელებს თავიანთი ინფომატორები ჰყავდათ აღმოსავლეთში, კერძოდ, ყარსში დისლოცირებულ ოსმალეთის ჯარში, უშუალოდ მუსტაფას ბანაკში. ერთ-ერთი მათგანისათვის დასმული კითხვებიდან ჩანს, რომ მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ თბილისში არსებული მდგომარეობა: იგი კვლავ ოსმალების მიერ იყო ოკუპირებული, თუ სვიმონ მეფის მიერ ისევ ალყაშემორტყმულია? ინფორმატორმა მოკლედ დაახასიათა თბილისის დახმარებისათვის მუსტაფა ფაშას მიერ გატარებული ღონისძიება: მთავარსარდალმა ჰასან ფაშას გაატანა პროდუქტები ქალაქის მომარაგების მიზნით, რაც მან წარმატებით შეასრულა[2]. ეს ცნობა სიმართლეს მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა. ოსმალებს თბილისის მომარაგება საკმაოდ ძვირად დაუჯდათ სვიმონ მეფის მოქმედების შედეგად[3].

საინტერესოა ინფორმატორის ნათქვამი, რომ მუსტაფამ არზრუმში იმიტომ გაატარა ზამთარი, რომ ქართველები იძულებული გაეხადა მიეღოთ ზავის ისეთი პირობები, როგორსაც იგი მათ შესთავაზებდა. მუსტაფას ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ინფორმატორს ძლიერ ეეჭვებოდა. როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს, მართლაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაგრამ მას არ დაუსახელებია ის ქართული სამეფო, რომლის წარმომადგენლებთან განიხილებოდა ზავის პირობები. სავარუდოა, ეს იყო იმერეთის სამეფო. ამაზე მიგვანიშნებს ქართველთა მხრიდან „საზღვაო კაპიტანის“ მონაწილეობა (შეიძლება იგი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელიც იყო) საზავო მოლაპარაკებაში. „საზღვაო კაპიტანი“ სულთანთან კავშირის მომხრე იყო, რამდენადაც მისი ქვეყანა შავი ზღვის ნაპირას მდებარეობდა და ის ოსმალეთის სახელმწიფოსთან შედა-

---

[1] დოკ. №8, გვ. 318.

[2] იქვე, დოკ. № 9, გვ, 319.

[3] ჰასან ფაშას ამ ექსპედიციის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, გვ. 224-225.

რებით სუსტი იყო. მათ ირანისაგან დახმარების მიღების იმედი არ ჰქონდათ. ინფორმატორის აზრით, ***„საზღვაო მეთაური“ ვერ შეძლებს ქართველები დაიყოლიოს ხარკი გადაიხადონ სულთნის სასარგებლოდ, თუ მათზე ზემოქმედებას არ მოახდენს ოსმალეთის ფლოტი“***[4]. სწორედ ამ მიზნის რეალიზაციასაც ემსახურებოდა ოსმალების მიერ რიონის შესართვთან, ფოთში ციხის ჩადგმა, რასაც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველები.

გვაქვს ესპანელების მიერ 1580-1582 წლებში, ძირითადად, თბილისთან დაკავშირებული ისეთი ფრაგმენტული ხასიათის ცნობები, რომლებიც სხვა ევროპულმა წყაროებმაც შემოგვინახეს და, ამდენად, რაიმე სიახლეს არ შეიცავენ[2]. სხვა წყაროებისაგან განსხვავებით, მხოლოდ 1580 წლის 18 და 20 სექტემბერს ხუან მარლიანის მიერ გაგზავნილი წერილებიდან ვიგებთ, რომ ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი სინან ფაშა ქართველებთან ბრძოლებში დაიჭრა, რომ ქართველებმა და სპარსელებმა უკუაქციეს ოსმალები[3]. საკმაოდ კარგად ცნობილია სინან ფაშას საქმიანობა საქართველოში, მაგრამ მისი დაჭრის ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება[4].

1582 წლის ივნისში ბარტოლომეო პუსტერლას მიერ კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ წერილში კვლავ აღნიშნულია ოსმალების მიერ ალყაშემორტყმულ თბილისთან მიმდინრე ბრძოლებში მომხვდურის მიერ განცდილ მარცხზე. იმასაც ვიგებთ, რომ ოსმალებს ყირიმიდან ჯარის გადმოყვანაში ხელს უშლიდნენ რუსები, მეგრელები და ჩერქეზები, რომლებიც გზებს კეტავდნენ[5]. მოგვიანებით კონსტანტინოპოლში კვლავ მიიღეს ცნობა, რომ „მეგრელები და რუსები მოულოდნელად შევიდნენ ტანაში, ქალაქში მდ. ტანაისის შესართავთან, დახოცეს რა ყველა ქრისტიანი, ებრაელი და თურქი, გამაგრდნენ იქ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ თურქეთის სხვადასხვა ნავსადგურებიდან ნაპირზე ადამიანე-

---

[1] დოკ. № 9, გვ. 320.
[2] იქვე, დოკ. №№13-15, 17, 20, 21
[3] იქვე, დოკ. №16, გვ. 128.
[4] მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, გვ. 227-233.
[5] დოკ. №18, გვ. 330.

ბის გადმოსვლას და პროდუქტების გადმოტვირთვას“[1]. შემდეგ გადმოცემულია თურქების სამზადისზე ქ. ტანას გასათავისუფლებლად.

ფრიად საინტერესოა 1583 წლის 12 ივლისს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი, იტალიურად დაწერილი ანონიმური წერილი. ავტორი უნდა იყოს ესპანეთის საელჩოს თანამშრომელი, თარჯიმანი. წერილი ასახავს სვიმონ I-ისა და მანუჩარ II-ის ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის ცნობილ და უცნობ მომენტებს. წერილი მოიყავს მთლიანად:

„გუშინ ვიყავი კეისრის ღრმად პატივცემულ ელჩთან, როგორც თარჯიმანი ბერძნულიდან ფრანგულ ენაზე, სადაც მიტროპოლიტმა, რომელიც უკვე ათი დღის წინ ჩამოვიდა საქართველოდან, თქვა, რომ გაგზავნილი იყო საქართველოში კონსტანტინოპოლის ღვთისმოსავი პატრიარქის მიერ ჩვეულებრივი მოწყალების შესაგროვებლად[2], რამდენადაც ეს ქართველები ემსახურებიან ქრისტიანული სარწმუნოების ბერძნულ წესებს.

გასულ აგვისტოს მე ვიყავი ტრაპიზონში, სადაც ცნობილი გახდა, რომ თურქებმა ერზერუმში შეაგროვეს მრავალი ხალხი, რათა გაეგზავნათ დასახმარებლად და პროდუქტებით მოემარაგებინათ თბილისი, გამოეყენებინათ ყველა საშუალება, რათა აღნიშნულ დღეებში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა სწრაფად (ამან კი დაიკავა 15 დღე) მიეღწიათ სიმონის სამფლობელოებამდე, რომელიც არის მთავარი უფროსი მოსაზღვრე ქვეყანაში. ხსენებულ მხარეში ასევე არის სპარსელთა სარდალი. სიმონი არის წინდახედული ადამიანი ყველა მოქმედებაში, ხოლო იარაღით ხელში – უმამაცესი. მან უკვე იცოდა თურქებმა რა გადაწყვიტეს და რისი გაკეთებაც უნდოდათ.

---

[1] იქვე, გვ, 331.

[2] საინტრესოა, რომ მიუხედავად აღმოსავლეთ საქართველოში არსებული საომარი ვითარებისა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საქართველოდან მაინც მიჰქონდა ტრადიციად ქცეული მოწყალება. საერთოდ, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოების და სინის მონასტრის წარმომადგენლების საქართველოში მოწყალების შესაგროვებლად მოგზაურობაზე იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 37-58.

როდესაც სიმონმა ხსენებულ მიტროპოლიტს და მის თანამგზავრებს ჰკითხა რის გაკეთებას ფიქრობენ თურქები? მათ კარგად იცოდნენ იმ დაძაბულ მზადებაზე, რაც თურქეთში მიმდინარეობდა, მაგრამ ერთმანეთს შორის წინდაწინ შეთანხმდნენ იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ ასეთ შეკითხვას მისცემდნენ, ეთქვათ, რომ არაფერი იციან[1].

ხსენებული სიმონი კი ელოდებოდა, რომ თურქები წავიდოდნენ თბილისისაკენ. მან ამის შესახებ აცნობა სპარსელებს, რათა მათ გამოეგზავნათ ჯარის ნაწილები და იმედოვნებდა, რომ მისი საქმისათვის ეს კარგი იქნებოდა.

სპარსელებმა მასთან გაგზავნეს ტოკმაკ სულთან ყარახანი და ორი სხვა ბარონი 3 ათასი მებრძოლით. ისინი გაემართნენ ერთ-ერთი მთის გადასასვლელისაკენ, სადაც თურქებს უნდა გაევლოთ და განლაგდნენ მთის ერთ მხარეზე. მაშინ, როდესაც სიმონი თავისი 5 ათასი ფეხოსანი მშვილდოსნებით და 5 ათასი ცხენოსნით, წავიდა და განლაგდა მთის მეორე მხარეს.

ხსენებულმა მიტროპოლიტმა თქვა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში იგი სიმონთან იყო მთაზე, საიდანაც შეეძლო მოხერხებულად ენახა ყველაფერი.

როდესაც ამ ადგილამდე მოვიდა თურქების 2 ათასი საპალნე ბრინჯი, პატარა კასრები, გოგრები და სხვა პროდუქტები თბილისში წასაღებად და 60 შეკვრა ფული, სპარსელებმა დაჰკარგეს მოთმინების უნარი, რომ დალოდებოდნენ დანარჩენის მოსვლას, ისინი აღმოჩნდნენ შუაში თურქების ერთ რაზმსა და სიმონის რაზმს შორის, შეუტიეს, დახოცეს 3 ათასი თურქი და ხელთ იგდეს ყველა პროდუქტი და ფული. თურქეთის ჯარების სხვა ნაწილებმა გაიგეს რა ამის შესახებ, დაბანაკდნენ ველზე მდინარის ახლოს, ხოლო ერზერუმის ფაშამ და სხვა მეთაურებმა შეაგროვეს საკუთარი ფულების სოლიდური თანხა და თბილისში გაგზავნეს.

---

[1] მიტროპოლიტის საინტერესო განცხადებაა: ქვეყანა, რომელიც უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, სადაც ქრისტიანული თანამეგობრობის მოტივით იგი მოწყალებას აგროვებს, ამ დროს კი მის მეფეს იმ ცნობებს უმალავს, რომელსაც იგი ფლობს მისი მასპინძელი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ოსმალების მზადებაზე.

აღნიშნული ნადავლის ხელში ჩაგდების შემდეგ, ერთ-ერთმა სპარსელმა მეთაურმა მოისურვა სიმონს მისთვის ცოლად მიეცა ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი იყო ქრისტიანი, ხოლო სპარსელი კი – მაჰმადიანი და ამიტომ სიმონმა უარი უთხრა. ამის გამო მათ შორის წარმოიშვა უთანხმოება.

შემდეგ ერზერუმის ფაშამ გაგზავნა თბილისში კიდევ ფული და სხვაც რაც კი შეეძლო და გასცა განკარგულება ეთხოვათ სიმონისათვის მიეცა მისთვის გასასვლელი გზა. ეს გზა სიმონს ყოველთვის თავისი დაცვის ქვეშ ჰქონდა. ფაშა სამაგიეროდ დაჰპირდა სიმონს მფარველობას და ბევრი სხვა რამეს, რაც თურქებს შეეძლოთ გაეკეთებინათ მისი საჭიროებისათვის.

სიმონმა მას უპასუხა, რომ მან უნდა დაუბრუნოს მას ყველა ტერიტორია, რომელიც მას წაართვეს და ასევე ფული და პროდუქტები, რაც მათ საქართველოდან მოიტაცეს და ამის შემდეგ იგი მას უეჭველად მისცემდა გასასვლელს.

ამაზე სიმონს უპასუხეს, რომ დიდი ბატონის ნებართვის გარეშე მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ მათ მისწერეს და გაგზავნეს თხოვნა, რათა დაეკმაყოფილებინათ მისი მოთხოვნა და რომ იმედი აქვთ, რომ ეს გაკეთდება.

ამასთანავე, სიმონმა უკვე აცნობა თურქებს, რომ რამდენადაც მათ არ უნდათ მისცენ ის, რასაც იგი მოითხოვს და რომ მათ უნდათ გაიარონ თავიანთი სურვილის მიხედვით, თვითონ, თავის მხრივ, გააკეთებს რასაც შეძლებს.

თურქებმა დაიწყეს გადასვლა და როდესაც ისინი აღმოჩნდნენ განსაზღვრულ ადგილას, რომელიც არც ისე შორს მდებარეობდა იმ ადგილიდან, საიდანაც სიმონის არტილერიას შეეძლო მიეყენებინა მათთვის ზიანი, საღამოს სიმონმა ანიშნა თავის ხალხს, რომლებმაც მაშინვე ალყა შემოარტყეს თურქების ყველა რაზმს და ორ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში დახოცეს რვა ათასზე მეტი თურქი, რომლებმაც თავიანთი უმოქმედობით, ქართველებს მისცეს ამის საშუალება, თითქმის ვერ დაიცვეს რა თავი, როგორც დაკოდილებმა.

დაგვიანებით სიმონმა გასცა განკარგულება მიეცათ უკან დახევის ნიშანი და მისი ხალხი გამარჯვებით გასცილდა თურქებს, მეტად მცირე რაოდენობითი დანაკარგით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ; ხოლო როდესაც თურქების

მთავარი ნაწილი მდინარემდე მივიდა, სიმონი თავისი ძალებით კვლავ თავს დაესხა მათ ისეთი წარმატებით, რომ 60 ათასიდან თუ მეტიდან, გაიარა მხოლოდ 3 ათასმა, დანარჩენნი სიმონის ძალებმა დახოცეს ან ტყვედ ჩაიგდეს ან კიდევ წყალში დაიხრჩო. მოკლული იყო იმდენი, რომ სიმონი შეწუხდა და ბრძანა მეტი არ მოეკლათ, არამედ ტყვედ აეყვანათ.

სიმონმა გასცა განკარგულება დაეჯილდოებინათ ისინი, ვინც დაჭრილებს განკურნავდა. სიმონის მებრძოლებმა დახოცილებისაგან ხელთ იგდეს შესანიშნავი კარვები, უნაგირები, ვერცხლის აკაზმულობა, მოოქრული სამოსები, ძვირფასი ტანისამოსი, საჯდომები, სხვადასხვა სახის დანები. ყოველივე ეს იმდენი იყო, რომ მათ არ იცოდნენ რა ეყოთ მათთვის.

გარდა ამისა, ქართველებმა თან წაიღეს 2 ათასი არკებუზი, 160 ჭოგრიტი, 6 სათვალთვალო, წაიყვანეს ურიცხვი რაოდენობის ცხენები, წაიღეს მრავალი სახის იარაღი და 17 საარტილერიო ქვემეხი. სხვა საგნებს შორის იყო ოქროთი მორთული ორი ხანჯალი, რომლებიც შეფასებულიქნა 6 ათას ცეხინად. სიმონმა აირჩია თავისთვის იარაღი, ტანისამოსი, დანები, ცხენები და აღჭურვილობა თავისი სრული სურვილის მიხედვით. დანარჩენი კი დაუთმო თავის ჯარისკაცებს. ბევრი ფეხით მოსული ხელოსანი, რომელიც ამ მთაზე თოკით შეკრული ფეხსაცმელით ამოვიდა, ჩაიცვა მოოქრული ტანისამოსი, და უკან კვერნისა და სიასამურის ბეწვებიანი სამოსით დაბრუნდა.

სხვა ტყვეებს შორის, რომლებიც აქედან წაიყვანეს, იყო ამ ბანაკის მემატიანე, რომლის წიგნებში მოცემული იყო იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დასახმარებლად მივიდნენ. ამან საშუალება მისცა სიმონს ზუსტად დაედგინა თურქების დანარკარგების რიცხვი ამ გამანადგურებელი ბრძოლის დროს.

ეს მემატიანე სიმონმა ირანის შაჰს გაუგზავნა, თხოვნით, რომ მისთვის მფარველობა აღმოეჩინა და სიკვდილით არ დაესაჯა, რადგან იგი დიდი კაცი იყო. ამ პიროვნების სამაგიეროდ შაჰს შეეძლო თავისი ელჩი გამოეხსნა, რომელიც კონსტანტინოპოლში იყო დაკავებული. შემდეგ სიმონმა შაჰს გაუგზავნა დახოცილთა თავები შვიდი ტვირთის ოდენობით და ბევრი სხვა რამ და მოახსენეს, რომ ერზერუმის ფაშა სხვა მეთაურებთან ერთად, რომელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 3 ათასი იყო, ძლივს გა-

იქცნენ ბრძოლის ველიდან და დაბრუნდნენ იქ სადაც ცხოვრობდა მოხუცი ქალბატონის შვილი, რომელიც ადრე გამაჰმადიანდა და რომელიც დანიშნულ იქნა იმავე ადგილას მმართველად–ბეგლარბეგად, რომელსაც ადრე სიმონი ერქვა, ხოლო ამჟამად თურქულად მუსტაფა ფაშა ჰქვია[1].

თურქებმა გადაწყვიტეს მისი მოკვლა. როცა თურქებმა იგი დაიბარეს, იგი მოვიდა. მას უთხრეს, რომ არის დიდი ბატონის ბრძანება, რომ მან უნდა დატოვოს ის ადგილი, რომელიც უკავია, თუ არა და მას მოკლავენ და წაუკითხეს სულთანის ყალბი ბრძანება. ერთ-ერთმა ფაშამ მას ხმალი ჰკრა გვერდზე, მაგრამ, რამდენადაც მას ორმაგი ჯავშანი ეცვა, ამან ვერაფერი ავნო, ხოლო მან კი თავისი ხმლით მოკლა ეს ფაშა და დაჭრა ერზერუმის ფაშის სამი კაცი. მოქმედებდა რა თავის რამოდენიმე კაცთან ერთად, რომლებიც დარჩნენ ჯანმრთელი და ხელუხლებელნი. ამის შემდეგ იგი გავიდა თავისიანებთან ერთად მას შემდეგ, რაც ფაშას ხალხს მოუწყო დიდი ცემა-ტყეპა, მათ შორის თბილისიდან დაბრუნებულ ჯგუფსაც.

მან (მანუჩარმა –ე.მ.) თქვა, რომ დაუბრუნდა ქრისტიანობას, რომ სიმონმა იგი თავისი სიძე გახადა და შაჰისაგან უდიდესი პატივი მიიღო. ამბობენ, რომ შაჰმა ბევრი ვერაგობა და სიკეთე ჩაიდინა, რათა გაეკეთებინა ისე, რომ ლევანი (ალექსანდრე II კახთა მეფე –ე.მ.) და სიმონი გაერთიანებულიყვნენ, კეთილი მეგობრობითა და მშვიდობით[2]. მას სწამდა, რომ წარმატება შესაძლებელია სანამ არსებობს შუამავალი ორივე მხარეს შორის და რომ მან დატოვა საქმეები კარგად დაბოლოებისათვის.

---

[1] მოხუცი ქალბატონი, რა თქმა, უნდა ქაიხოსრო II ათაბაგის ქვრივი დედისიმედია. სიმონში მანუჩარ II ათაბაგი, დედისიმედის შვილი იგულისხმება.

[2] ქართლისა და კახეთის სამეფოების ერთმანეთთან შერიგება და მთი ერთობლივი გამოსვლა ოსმალეთისა წინააღმდეგ, ოსმალეთის ყველა მოწინააღმდეგის სურვილი იყო. პერიოდულად თითქოს ჩნდებოდა კიდეც შერიგების პირობები და დიპლომატიურ წრეებში ამის თაობაზე მაშინვე აღნიშნავდნენ ხოლმე, მაგრამ, სინამდვილეში XVI საუკუნის მეორე ნახევრის ეს ორი დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ მათი მორიგება ვერ მოხერხდა.

მან (მიტროპოლიტმა –ე.მ.) თქვა, რომ როდესაც მუსტაფა ფაშა გადავიდა შირვანში, სიმონის მდგომარეობა რომ მტკიცე ყოფილიყო, როგორც ახლა, იგი არასოდეს არ დაუშვებდა მის გავლას თავის ტერიტორიაზე. მაგრამ სიმონი დიდხანს იყო ირანში ტყვედ. ხოლო მაშინ თურქებს შეეძლოთ დამშვიდებით შესულიყვნენ მის სამფლობელოში, პირველ რიგში ლევან ბეის[1] შემწეობით. მაგრამ ამჟამად თურქებზე ხუმრობით ამბობენ, რომ თბილისის გარეუბანი ძალიან სასიამოვნო ადგილიაო და, რომ ქართველებმა მიწასთან გაასწორეს და ახლაც იგივეს უშვრებიან თბილისის ციხე-სიმაგრეს, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ბრძოლის გაგრძელება. უფრო მეტიც, ამბობენ, რომ თურქებმა იქ იპოვეს კალათებში ორცხობილა შაქრით და ბევრი სხვა დელიკატური საჭმელი, სპარსელებისა და ქართველების მიერ დატოვებული და დასცინოდნენ მათ, რომ მათ დიდ სიამოვნებას ჰგვრის ასეთი ხელსაყრელობა და დელიკატესები მაშინ, როდესაც ომის დროს მათ ჰქონდათ ძალიან ცოტა რაოდენობის საჭმელი და თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი სალაშქრო ქონებისგან.

ასევე ამბობენ, რომ სიმონს ჰყავს ლითონის ჩამომსხმელები არტილერიის მოსამზადებლად და, რომ მან უკვე ჩამოასხა შვიდი ზარბაზანი და, რომ სპარსელები შესანიშნავად ისვრიან არკებუზებიდან. ხოლო მშვილდებისა და ხმლების საშუალებით სასწაულს ახდენენ ქართველები და ასევე ამ მხარეებიდან ჩამოტანილიქნა მოწყობილობა – 200 ათასი წმინდა წონის სხვადასხვა საქონელი. მან (მიტროპოლიტმა –ე.მ.) თქვა ასევე, რომ სიმონმა გაიგო, რომ სპარსელებსა და მის შვილს შორის ჩაისახა უთანხმოება, მაგრამ მისმა ბარონებმა ეს მაშინვე მოაგვარეს.

მან (მიტროპოლიტმა –ე.მ.) თქვა ასევე, რომ როდესაც ქართველები ერთად გაერთიანდებიან, მათ თავიანთ სამფლობელოებში არ შეეშინდებათ არც თურქებისა და არც სპარსელების ერთად აღებულთ და თქვა, რომ იგი წავიდა იბერიიდან მარხვის მე-

---

[1] ირან-ოსმალეთის ომის დაწყების დროს, როდესაც ოსმალებმა თავიანთი აგრესიის მთავარ სამიზნედ აღმოსავლეთ ამიერკავკასია გაიხადეს, სვიმონ I ტყვეობაში იყო ირანში. ამ დროს კახეთში მეფობდა ალექსანდრე II.

სამე კვირას. მან ასევე თქვა, რომ თბილისში დიდი შიმშილობაა და ბევრი (თურქი –ე.მ.) ხშირად ეძებს შველას სიმონისაგან.

კონსტანტინოპოლიდან, 1583 წლის 15 ივლისი“[1].

ოსმალეთის იმპერიის სატახტოდან გაგზავნილ იმავე წლის 18 ოქტომბრის და 1 ნოემბრის წერილებში ნათქვამია სიმონ მეფის მიერ თბილისის დასახმარებლად წასული თურქების კვლავ განადგურებაზე[2].

ესპანური ცნობები სვიმონ I-ის დიპლომატიის შესახებ

სვიმონ მეფე ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა იარაღით და დიპლომატიით. ესპანელ დამკვირვებლებს ქართველი მეფის ამგვარი საქმიანობა მხედველობიდან არ გამორჩენიათ. 1588 წლის 5 თებერვალს ფილიპე II-ის ელჩი ვატიკანში გრაფი დე ოლივარესი (დონ ენრიკე დე გუსმანი) კარდინალ სანტა სევერინას (ჟულიო ანტონიო სანტორო დი კასერტა) მიერ მიწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით თავის მეფეს აცნობებდა ერთი ქართველის, სახელად ალექსანდრეს, თანმხლებ პირებთან ერთად რომში ჩამოსვლის შესახებ[3].

საქართველოს წარმომადგენლებს თავიანთი ვინაობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი, მეფის წერილიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ თავისი ქცევით ელჩი მაინც ნდობას იმსახურებდა,

---

[1] დოკ. №23, გვ. 336-341. გაუგებარია წერილის ორმაგი თარიღი. სავარაუდოა, წერილი კანცელარიაში დაათარიღეს იმავე წლის 12 ივლისით მაშინ, როდესაც მას ბოლოში უზის 15 ივლისი.

[2] იქვე, დოკ. №24, 25.

[3] სვიმონ მეფემ ერთდროულად ორი ელჩობა გაგზავნა რომში, იმ ვარაუდით, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. ერთი ელჩობა, რომელსაც სათავეში ედგა ვინმე ქართველი თუ სომეხი ალექსანდრე (დაწვრ. ქვემოთ) გაემგზავრა კონსტანტინოპოლზე გავლით, ხოლო მეორე ელჩი „მეტად საიმედო ადამიანი, გარეგნულად მწირის შეხედულებით შემოსილი, მაგრამ იგი თურქებს ჩაუვარდათ ხელში მეფის წერილით, რომელიც მას მოჰქონდა“. ეს განაცხადა ელჩმა ალექსანდრემ გრაფ დე ოლივარესთან საუბარში (დოკ. №28, გვ. 347).

რასაც აძლიერებდა მის მიერ რომში მიტანილი აბრეშუმის ბარდანები[1]. მაგრამ ყველაზე დამაჯერებლად ჟღერდა ელჩის ნათქვამი ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთიდან ომის დაწყების შესახებ. ამის გამო გრაფი დე ოლივარესი დაასკვნიდა და მეფესაც მოახსენებდა, რომ „ამ წამოწყებით არ იქნება არაფერი დაკარგული, ხოლო მოგება იქნება დიდი“.

ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ ***XVI ს. 80-იანი წლების დასაწყისში ესპანეთის მეფეს ჰქონებია მცდელობა ინდოეთის გავლით დაკავშირებოდა ირანს და ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა პაპისათვის საიდუმლოდ. ესპანეთ-ირანის ეს მოლაპარაკება გასაგებს ხდის, რატომ ცდილობდნენ შემდეგში თეიმურაზ I და მისი ელჩი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ესპანეთს დაკავშირებოდნენ რომის პაპის საქმის კურსში ჩაყენების გარეშე.***

გრაფმა დე ოლივარესმა კარგად მიიღო მეფე სვიმონის ელჩი ალექსანდრე, რომელთან საუბარშიც გაირკვა ქართველების სუსტი ცოდნა ესპანეთის სამეფოს შესახებ. მათ ისიც კი არ სცოდნიათ სად იყო ესპანეთის მეფის რეზიდენცია. მათ ის ეგულებოდათ რომში, სადაც ფილიპე II საერო საქმეებს განაგებდა, ხოლო პაპი – სასულიეროს. ელჩმა ალექსანდრემ „დაინახა რა, თუ რაოდენ დიდი მანძილია აქაედან ესპანეთამდე, მას სურს დაბრუნდეს სამშობლოში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისმა ბატონმა არ დაჰკარგოს იმედი მისი მეტად დაგვიანების გამო და არ დაემორჩილოს თურქეთის სულთანს“.

გრაფ დე ოლივარესს განუზრახავს დაერწმუნებინა პაპი ყოველმხრივ შეეწყო ხელი თეიმურაზის ელჩისათვის, აღეთქვა დახმარება თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნების მხრიდან; რათა სიმონმა კვლავ გააგრძელოს კავშირი ირანის შაჰთან; შეიძლებოდა ისიც მოხერხებულიყო, რომ ქართველ ელჩთან ერთად ან მისი გამგზავრების შემდეგ გაეგზავნათ ელჩი ქართველ მეფეებთან – სვიმონთან, ალექსანდრესთან და ბაშიაჩუკთან (იმერეთის

[1] სვიმონ მეფეს პაპისა და ესპანეთის მეფისათვის სხვა საჩუქრებიც გაუგზავნია.

მეფესთან[1]), მათი ერთობლივად დარაზმვისათვის. გრაფმა თავის მეფესაც სთხოვა, იმავე მიზნით, თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, რომელიც გაივლიდა რეჩ პოსპოლიტასა და რუსეთზე და მათ რეჩ პოსპოლიტის მეფეს, მისი დისწულს და მოსკოვის მეფეს სთხოვოს გაერთიანდნენ „დიდი“ მტრის წინააღმდეგ.

კარდინალ სანკტა სევერინასაც, თავის მხრივ განუზრახავს ორი ელჩის გაგზავნა: ერთის კონსტანტინოპოლის, მეორესი კი – რეჩ პოსპოლიტისა და მოსკოვის გავლით.

გრაფი ოლივარესი იმასაც შეახსენებდა ესპანეთის მეფეს, რომ გზა რეჩ პოსპოლიტაზე უფრო გრძელი იქნებოდა, მაგრამ თუ მას განზრახული ჰქონდა თავისი კაცის საქართველოში ამ გზით გაგზავნა, მაშინ შეეძლო სანკტა სევერინას კაცისთვის გაეყოლებინა.

იგი ფილიპე II-ს პირდება, რომ „თქვენი უდიდებულესობის სახელით მე ვიზრუნებ ამ ქართველ ალექსანდრეზე[2] და გადავცემ თქვენს დიდებულებას ყველაფერს, რაც ქართველი მეფის მხრიდან მოვიდა თქვენი უდიდებულესობისათვის გადასაცემად და მე

---

[1] ამ დროს იმერეთის მეფე იყო ლევანი (1583-1590). დოკ. №28-ში უკვე დასახელებულია იმერეთის მეფე ლევანი.

[2] ლუის ხილ ფერნანდესს და ხოსე მანუელ ფლორისტანს (ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს. კრებულში: საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბ., 1995, გვ. 197) და ი. ტაბაღუას (დოკუმენტები, გვ. 114) სვიმონ მეფის ელჩი ალექსანდრე რატომღაც გადაწყვეტით სომეხად ჰყავთ გამოცხადებული. ასევეა ჩემს წიგნში (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 278), რადგან მაშინ არ ვიცნობდი ამ საინტერესო დოკუმენტებს. საერთოდ, გასარკვევია სვიმონ მეფის ელჩის ეროვნება, რადგან ზიგიერთ დოკუმენტში არის Alexandro Georgiano (დოკ. №26, გვ. 212, №27, გვ. 245) – ქართველი ალექსანდრე, ზოგგან კი Alexsandro Armenio – ალექსანდრე სომეხი (დოკ. №28, გვ. 346-347, №29, გვ. 358). ძნელია იმის თქმა რატომ არის დოკუმენტებში ამგვარი სხვაობა. კიდევ უფრო გაუგებრობას იწვევს ის, რომ, ვითომდაც, ალექსანდრეს უთქვამს, სომეხი იყო სვიმონ მეფის ის ელჩი, რომელიც იერუსალიმის გზით წავიდა და თურქებმა დაატყვევეს. მან შემდეგ თავი დაიხსნა, მაგრამ ცნობილი არ არის რა საშუალებით. როცა დოკუმენტი №29 იწერებოდა, სვიმონის სომეხი ელჩი, ავადმყოფობის გამო, ვენეციის ლაზარეთში იმყოფებოდა (დოკ. №29, გვ. 258).

ჩავთვლი, რომ თქვენი დიდებულება გონივრულად, კარგი სულის-კვეთებით მიიღებს მას და მფარველობას აღმოუჩენს ყველა მის (სვიმონ მეფის –ე.მ.) საქმეებს: მხედველობაში მიიღებს მის პატივისცემას კათოლიკური სარწმუნოებისადმი, მისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლას და მის მხრიდან თქვენი უდიდებულესობისადმი პატივისცემას“[1].

ყურადღებას იპყრობს პაპის დამოკიდებულება სვიმონ მეფის ელჩისადმი. კარდინალი სანკტა სევერინა მძიმე ფიქრებში ყოფილა იმის გამო, რომ პაპს არ უნდოდა რაიმე მიეცა ელჩისათვის სვიმონისათვის გადასაცემად. ამიტომ კარდინალს განუზრახავს ელჩის მიერ ჩამოტანილი ესპანეთის მეფისათვის მისართმევი აბრეშუმი შეეფასებინა და ფილიპეს სახელით სვიმონ მეფისათვის ადეკვატური საჩუქარი გაეგზავნა. კარდინალი გრაფ ოლივარესს აიძულებდა მეტი გადაეხადა აბრეშუმში, რათა სვიმონისათვის ძვირფასი საჩუქარი გაეგზავნათ[2].

6 თებერვალს გრაფ ოლივარესს საუბარი ჰქონდა პაპთან ქართველი ელჩის მიერ ჩამოტანილი საჩუქრების შესახებ, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ[3].

გრაფმა დე ოლივარესმა მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ჩამოაყალიბა სვიმონ მეფის ელჩობის მიზანი და მის მიერ გამოგზავნილი საჩუქრების ნუსხა და მეფეს წარუდგინა შემდეგი სახით: სვიმონ მეფე დარწმუნებული იყო, რომ მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ოსმალების შეიარაღებულ ძალებს და გადაწყვიტა თავისი ელჩი გაეგზავნა ესპანეთის მეფესთან დახმარების სათხოვნელად. იგი ითხოვს ესპანეთის მთავრობამ თავისი კაცი გაგზავნოს ქართლის სამეფოს მდგომარეობის შესასწავლად. სვიმონ მეფე კი, თავის მხრივ შეეცდება გაერთიანდეს საქართველოს სხვა მეფეებთან და ისინი შეკრებენ 100 ათას კაცს. სვიმონის მოთხოვნები გარაფმა დე ოლივარესმა ჩამოაყალიბა ოთხ მუხლად:

---

[1] დოკ. №26, გვ. 344.
[2] იქვე.
[3] იქვე, №27, გვ. 345.

„ – სიმონი ითხოვს, რათა დასავლეთიდან წამოიწყონ ომი თურქეთის სულთნის წინააღმდეგ; აღნიშნულია, რომ მას არ გააჩნია ამისათვის საკმაო ჯარი და ადამიანი.

– რომ, როდესაც იგი [სიმონი] იძულებული იქნებოდა გამხდარიყო სხვა მმართველის ხარკის გადამხდელი, მას ერჩია ყოფილიყო მისი უწმინდესობისა და თქვენი უდიდებულესობის ვასალი და მორჩილი.

– სიმონი ითხოვს მისი უწმინდესობის წმინდა ლოცვა-კურთხევას და ასევე დაავალოს სხვებს ლოცვები თავისი ჯარისა და ვასალებისათვის[1].

–სიმონი უგზავნის მის უწმინდესობას და თქვენს დიდებულებას შემდეგ საჩუქრებს:

მისი უწმინდესობისათვის:

– ძაფით ნაქსოვი დიდი ხალიჩა ოქროთი და აბრეშუმით მორთული.

– ბალიშის გადასაფარებელი უძვირფასესი ფარჩა.

– საუნაგირე ბალიშის ფარჩა მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით მორთული.

მისი უდიდებულესობისათვის:

– დაშნა ოქროს გრავიურით მორთული, ძვირფასი ქარქაშით.

– ძვირფასი ქვებით მორთული ოქროს დიდი ბროში, მეფის ცხენის კისერზე ჩამოსაკიდებელი.

– კისერზე ჩამოსაკიდებელი შესანიშნავი ფარჩა.

– მეტად ფაქიზი ნამუშევარი ექვსი რულონი აბრეშუმი საქართველოდან“[2].

ალექსანდრეს მიერ მონათხრობის მიხედვით, მარკო ანტონიო აბანიომ სვიმონ მეფის დაკარგული წერილების შინაარსი ასე ჩამოაყალიბა:

„1. ეთხოვოს დახმარება მის უწმიდესობას (პაპს –ე.მ.) და მის დიდებულებას ესპანეთის მეფეს ფილიპეს თურქეთის წინააღ-

---

[1] სვიმონ მეფის მოთხოვნები ვრცლად მოცემულია ქვემოთ მარკო ანტონიო აბანიოს მოხსენებაში კარდინალ სანტა სევერინასათვის. დოკ. №29.

[2] იქვე, დოკ. №28, გვ. 346-347

მდეგ; მოაგონონ მათ, რომ ახლა ყველაზე უფრო ხელსაყრელი დროა ჯვრის მტრის გასანადგურებლად, რამდენადაც მათ არ ჰყოფნით ჯარი და მამაცი ადამიანები.

2. ელჩი ამბობს, რომ აღმოსავლეთში სიმონ მეფე არ წყვეტს ბრძოლას თურქეთთან და აი უკვე 12 წელია განუწყვეტლივ, ყოველგვარი შესვენების გარეშე, ეწევა ომის სიმძიმეს და რომ თუ მისი უწმიდესობა და მისი კათოლიკური დიდებულება სხვა ქრისტიან მეფეებთან ერთად ისურვებდნენ მსგავსად იმოქმედონ, მაშინ ეს შევიწროება მოკლედ, ღმერთის წყალობით, მათ მსოფლიო ხსოვნაში აღდგებოდა და დაუბრუნდებოდა იმას, რომ წმიდა ჯვრის დროშა აღმოსავლეთ იერუსალიმში, ხოლო კონსტანტინოპოლში ქრისტიანული იმპერია აღედგინათ.

3. სიმონ მეფე დაჟინებით თხოვდა ხსენებულ ბატონებს, რომ გაგზავნონ მასთან რამდენიმე კაცი, რათა ასწავლონ მის ხალხს წმიდა კათოლიკური სარწმუნოება და მიიღონ უფრო სრული ინფორმაცია მის საქმეებზე და მდგომარეობაზე, რათა განიხილონ ასევე ხსენებულ ბატონთა სახელით მათი კავშირი და კონფედერაცია ორ სხვა ქართველ მეფეებთან ერთად, სახელდობრ: ალექსანდრესთან და ბაშიაჩუკთან ერთად თურქების წინააღმდეგ.

4. სიმონ მეფე აცნობებს თქვენს უწმინდესობას და მის უკეთილშობილებას ესპანეთის მეფეს, რომ თუ მას აიძულებენ დაემორჩილოს სხვა მეფეს და უხადოს მას ხარკი, იგი უფრო მოისურვებდა ყოფილიყო მისი ხარკის გადამხდელი, ვასალი და ქვეშევრდომი, ვიდრე სხვისი, მაქსიმუმიც რომ მიიღოს ურწმუნოებისაგან. იგი პირდება, რომ ყოველთვის, როცა საჭირო იქნება, იომოს თქვენთვის, როგორც იგი ამას აკეთებს დღემდე ირანის გვირგვინისათვის.

5. სიმონ მეფე ითხოვს მისი უწმინდესობის ჩვენი ბატონის ლოცვა-კურთხევას და მის საუკეთესო ლოცვას ყველასთვის, თავისი ჯარისა და საპატიო ვასალებისათვის“[1].

მოხსენების დასასრულს ჩამოთვლილია ის საჩუქრები, რომლებიც სვიმონ მეფემ პაპსა და ესპანეთის მეფეს გაუგზავნა[1].

---

[1] იქვე, გვ. 357-358.

ასეთი იყო სვიმონ I-ის ესპანეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობის პირველი პერიოდი და ის ცოდნა, რაც ესპანეთის სამეფო კარს ჰქონდა საქართველოს შესახებ. ამის შემდეგ, 1595 წლამდე, მხოლოდ 1591 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლიდან მადრიდში გაგზავნილი ერთი ცნობა გვაქვს, რომლიდანაც ჩანს, რომ დაზავების შემდეგაც (1590 წ.), ოსმალეთი და ირანი როგორ ცდილობდნენ თავიანთ მხარეს გადაეყვანათ და შემოემტკიცებინათ, მათი გაგებით, მერყევი იმერეთისა და კახეთის მეფეები. რაც შეეხება სვიმონ I-ს, იგი მტკიცედ იდგა ირანის მხარეს. კონსტანტინოპოლელი ინფორმატორის თქმით, ოსმალებს ელჩები გაუგზავნიათ დასახელებულ საქართველოს ორ მეფესთან, რათა გაეგოთ ისინი კვლავ გადაუხდიდნენ ხარკს სულთანს თუ არა. ირანის შაჰის ელჩებიც იმავე მეფეებს ეწვივნენ მდიდრული საჩუქრებით და ოსმალების წინააღმდეგ მოკავშირეობა სთხოვეს. მაგრამ ინფორმატორი შიშობს, რომ ისინი შაჰის წინადადებაზე დათანხმებას არ ისურვებენ.

სვიმონ მეფის ესპანეთთან დიპლომატიური კონტაქტის დამყარების ახალ მცდელობას ვხედავთ 1590 წელს, როდესაც მან სომხურ და ბერძნულ ენებზე დაწერილი წერილები სომეხ ტერ-იაკობს (მარქარიანს) გაატანა[2].

ქართლის მეფე ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს აცნობებდა, რომ ჰაბსბურგების იმპერატორმა რუდოლფ II-მ „პატივი დაგვდო და გამოგვივგზავნა ეპისტოლე და სიყვარულისა და კავშირის წერილი, იმის შესახებ, რომ ქრისტეს ყველა მორწმუნის მიმართ ეს უცხო თესლი და ქრისტიანული სარწმუნოების მტერი, თურქი ერი უნდა აღმოფხვრილ იქნეს“. ამის შემდეგ ***სვიმონ I-ს, კახეთის***

---

[1] იქვე, გვ. 358

[2] სვიმონ მეფის ევროპული დიპლომატიისა და ტერ-იაკობის ელჩობის შესახებ იხ. წინამდებარე მონოგრაფიის I ტომი, გვ. 308-319. შემონახულია წერილების როგორც სომხური და ბერძნული ტექსტები, ისე მათი კასტილიურ ენაზე თარგმანები (იხ. დოკ. №31-34, გვ. 360-368). სვიმონ მეფისა და ესპანეთის მეფის მიმოწერის შესახებ იხ. ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის თაობაზე. სიმონ ქართლის მეფის წერილები ესპანეთში. „ცისკარი“, 1986, №6, გვ. 150-157.

მეფე ალექსანდრე II-ს[1] და შაჰ აბას I-ს უთათბირიათ, უმსჯელიათ და შეთანხმებულან, რომ ოსმალებს გაანადგურებდნენ და წმ. იერუსალიმს გაათავისუფლებდნენ. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი წამოწყების ბოლომდე მიყვანისათვის, სვიმონ მეფის აზრით, აუცილებელი იყო იმპერატორს მშვიდობა არ დაემყარებინა ოსმალებთან და ***ოსმალეთი იძულებული გაეხადათ ებრძოლა ორ ფრონტზე.*** რათა იმპერატორსა და სულთანს შორის შეთანხმება არ მომხდარიყო, სვიმონ მეფე ფილიპე II-ს იმპერატორის წინაშე შუამდგომლობას სთხოვდა[2]. საინტერესოა, რომ სომხური წერილის კასტილიურ თარგმანში კარგად ჩანს სვიმონ მეფის დიპლომატიური მოღვაწეობა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. იმავე დროს კარგად ჩანს მისი ინფორმირებულობა ფილიპე II-ისა და რუდოლფ II-ის ახლობლობისა და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, სვიმონს ესპანეთის მეფისათვის ადრეც მიუწერია რუდოლფ მეორესთან თავისი დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. მას წინათაც უთხოვია ესპანეთის მეფისათვის ეშუამდგომლა ირანის შაჰთანაც, რათა ერთობლივად გამოსულიყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც კარგად ჩანს ფილიპეს წერილში სვიმონისადმი. იგი წერს: „თქვენი დიდებულება ყოველთვის ეხმარებოდა ტრანსილვანიის იმპერატორს, როგორც კათოლიკურ მეფეს. იცის თქვენმა დიდებულებამ, რომ ტრანსილვანიის იმპერატორმა ჩვენ მოგვწერა წერილი და დაგვპირდა, რომ თუ იგი ჩვენ ხელს შეგვიწყობს, გამოუცხადებს რა [თურქეთს] ომს ერთი მხრივ და ჩვენ მეორეს მხრივ. წერილები, რომლებიც მე მივწერე თქვენს დიდებულებას, იყო ამ კავშირის შესახებ, რომელიც შეიქმნა ჩვენს შორის, რათა ვიცოდეთ თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი.

---

[1] სომხური წერილის კასტილიურ თარგმანში სვიმონი ალექსანდრეს თავის ცოლისძმად მოიხსენიებდა, რაც სიმართლე იყო.

[2] სულ სხვა ტონშია სვიმონ მეფის ეს თხოვნა ფილიპე II-ისადმი ბერძნულად დაწერილი წერილის კასტილიურ თარგმანში: „ამიტომ მივმართავ თხოვნით თქვენს სამეფო ძლიერებას, რათა თქვენ გაერთიანდეთ კეისართან და არ დართოთ ნება ზავი დადოს თურქეთის სულთანთან იმის გამო, რომ ამის შემდეგ აღფრთოვანებული და ულმობელი (თურქები – ე. მ.) არ წამოვიდეს ჩვენსა და ჩვენი ერის წინააღმდეგ და საერთოდ ქრისტიანობის წინააღმდეგ“. დოკ. №34, გვ. 367.

ტრანსილვანიის იმპერატორის ნება-სურვილი ჩვენ უკვე ვიცით და დიდად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გაგვიწევთ მფარველობას ამ საქმეში, რაც ნათქვამია. ამავე მიზეზით ჩვენ მივწერეთ ერთი წერილი მის უწმიდესობას და მეორე გერმანიის იმპერატორს... დე თქვენმა დიდებულებამ მისწეროს წერილი იმპერატორს და დარწმუნდეს მისი დიდებულება, რომ სიმართლეა, რასაც ჩვენ ვამბობთ...“[1]

ესპანეთის მეფის წერილობით პასუხს ქართველი მეფე თავისივე ელჩის ხელით ელოდა. ***სვიმონ მეფის ამავე წერილში გაჟღერდება მისი, როგორც დიპლომატის ის თხოვნა, რომელიც 30 წლის შემდეგ, განსაკუთრებულ აქტუალურობას შეიძენს თეიმურაზ I-ის ესპანეთთან ურთიერთობაში: ამ უკანასკნელმა ირანის შაჰს ურჩიოს, რომ იგი სვიმონს შეუთანხმდეს, რათა მათ ქრისტიანთა კეთილ საქმეებზე იზრუნონ***[2].

ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ სვიმონ მეფეს წერილით უპასუხა, რომელიც დაიწერა ლათინურად 1598 წლის 25 ივლისს სანლორენცოს სამეფო მონასტერში. ამ დღეს არის შედგენილი იმავე წერილის ესპანური, ხოლო 27 ივლისს კი – ბერძნული ვერსიები. წერილიდან კიდევ ერთხელ ირკვევა, რომ სვიმონ მეფესა და ფილიპე II-ს შორის მიწერ-მოწერა ადრეც მიმდინარეობდა, რომლის ამსხველი მასალები ჯერჯერობით უცნობია.

ლათინურად შედგენილ წერილში ნათქვამია:

„ფილიპე, ღვთის წყალობით კასტილიის, ლეონის, არაგონის, ორივე სიცილიის, იერუსალიმის, პორტუგალიის, ნავარის და ინდოეთის და სხვათა მეფე... საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს სალამს და ყოველგვარ სიკეთეს უძღვნის.

დიდად მოხარული ვარ შენი წერილებისა, რომლებითაც დასტურდება, რომ კათოლიკური სარწმუნოების დაცვის საკითხში სიმტკიცესა და შეურყეულობას ავლენ, უზენაესი უფალი გამოავლენს თავის ნებას, დაგიცვას შენ. ჭეშმარიტად ყველა სიკეთე მოგეცემა შენ.

---

[1] დოკ. №32, გვ. 362-363.

[2] იქვე, დოკ. №31, გვ. 360-361.

შენი სურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ შევასრულე და ირანის მეფე არაერთიგზის შევაგულიანე. თუ კიდევ გახდება საჭირო, კიდევ ვიკისრებ ამ მოვალეობას[1].

სხვა საქმეებიც მოგვარდება, რაკი ღვთის სიყვარულით შეკავშირებულხართ მეფენი, რომ რწმენის შენარჩუნებასა და გავრცელებაზე იფიქროთ, აღწევთ კიდევაც მიზანს უფლის შეწევნით.

რაც ჩემგან არის საჭირო, ყველაფერს ვიღონებ, დაწყებულ საქმეს არ ვუღალატებ, არავითარ მოვალეობაზე უკან არ დავიხევ რომის პაპთან და უბრწყინვალეს იმპერატორთან, ჩემს უძვირფასეს დისწულთან ერთად ამ საქმის სასარგებლოდ[2].

ყოველი მხრიდან თავმოყრილ ლეგატებს მინდობილი აქვთ ამის განხორციელება. უზენაესი უფალი გფარავდეს დიდხანს.

თარიღი, ღვთაებრივი ლავრენტის დღე, 25 ივლისი, 1598 წელი.

ფილიპე,

ქართველთა ქებულ მეფე სიმონს“[3].

---

[1] ბერძნული ვერსია: „რაც შეეხება შენს თხოვნას ჩემს შესახებ, მე უკვე მივწერე სპარსელ მეფეს არაერთხელ და გავაკეთებ ამას დიდი სიამოვნებით კიდევ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება“. დოკ. №37, გვ. 371. ესპანური თარგმანი: „რაც შეეხება ჩემს სურვილს (უნდა იყოს „შენს სურვილს“ – ე. მ.) ამ საკითხის შესახებ, მე მაშინვე შევაგულიანე სპარსელთა მეფე, ეს გავაკეთე არაერთხელ, ხოლო ამას გავაკეთებ დაჟინებით ოფიციალური წერილით დიდი სიამოვნებით, რამდენჯერაც საჭირო იქნება“ (იქვე, დოკ.№ 39, გვ. 372)

[2] ბერძნული ვერსია: „აღმოგიჩენთ როგორც კი საჭირო იქნება მხარდაჭერას რომის პაპთან და უბრწყინვალეს იმპერატორთან, ჩემს საყვარელ დისწულთან, რათა მათაც აღმოგიჩინონ დახმარება; რამდენადაც მათ ორივეს ჰყავთ სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც იციან, თუ რა საშუალებით შეიძლება ყველაფერი ეს გაკეთდეს“ (იქვე, დოკ. № 38, გვ. 371). ესპანური თარგმანი: „არც ერთ საკითხს არ გადავწყვეტ რომის პაპის შეთანხმების გარეშე და ბრწყინვალე იმპერატორის გარეშე, ჩემი მეტად საყვარელი დისშვილის, რათა აღმოუჩინონ დახმარება. მათ ორივეს ჰყავთ სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებმაც იციან, თუ როგორ შეიძლება ამის გაკეთება“. იქვე, დოკ. № 39, გვ. 372.

[3] იქვე, დოკ. №37, გვ. 370.

სვიმონ მეფის დიპლომატიური საქმიანობის ამ მოკლე მიმოხილვით დასრულდა საქართველოს ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობის კიდევ ერთი პერიოდი, რომელსაც ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი შედეგი: სვიმონ მეფე და მისი სამეფო დასავლეთ ევროპაში სცნეს, ირანთან ერთად, აღმოსავლეთში ოსმალეთის მოწინააღმდეგე მნიშვნელოვან ძალად.

არ გაუვლია დიდხანს და სვიმონ მეფე ოსმალებმა დაატყვევეს. ამის შემდეგ არც ალექსანდრე II-ს უმეფია დიდხანს. ამ ორი მეფის პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლით დამთავრდა ქართველი პოლიტიკოსების დიპლომატიური საშუალებებით და იარაღით გმირული ბრძოლის ერთ-ერთი საინტერესო ეპოქა.

შეიძლება ითქვას, რომ იმ ესპანურმა წყაროებმა, რომლებსაც უკვე გავეცანით საგრძნობლად შეავსო და გააფართოვა ჩვენი ცოდნა საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასთან მიმართებაში. ისინი, ასევე, გასაგებს ხდის რომთან და ესპანეთთან ურთიერთობის მთელ რიგ იმ საკითხებს, რომლებიც თეიმურაზ I-ის და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) სახელებთან არის დაკავშირებული.

* * *

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დამყარების მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. გაძლიერდა ინტერესი საქართველოს მიმართ. ეს განსაკუთრებით ითქმის სვიმონ I-ის დროინდელ საქართველოზე. დღეისათვის ცნობილი დოკუმენტური თუ ნარატიული მასალა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ XVII ს. 20-იან წლებში თერიმურაზ I-ის ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დროს ესპანეთში საკმაო წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე.

სვიმონ მეფის პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლის შემდეგაც, რომში მისი პიროვნებისა და საქართველოს მიმართ დიდი ინტერესის მაჩვენებელია მარკო ანტონიო აბანიოს (წარმოშობით სომეხის) მიერ, სვიმონ I-ის ელჩის ალექსანდრეს მეშვეობით მოპოვებული ცნობების კარდინალ სანტა სევერინასათვის საკმაოდ ვრცელი დოკუმენტის სახით წარდგენა.

დოკუმენტში ლაპარაკია სვიმონ მეფის მიერ ერთი წლის წინათ ორი ელჩის კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმზე გავლით რომში გაგზავნაზე. ამას მოსდევს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების მოკლე აღწერა, ჩამოთვლილია ქართლის სამეფოს ქალაქები, რომლებიც განუწყვეტელი ომების შედეგად ძლიერ დაზიანდა. ალექსანდრეს უთქვამს, რომ „ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია სამხედრო სამსახურით, ასევე სოფლის მეურნეობით და ვაჭრობით. მოსახლეობას აწუხებს ზედმეტი სიცივე, რაც გამოწვეულია ზედმეტი თოვლით, რომლითაც დაფარულია ზემოხსენებული მთები. მაგრამ ისინი სარგებლობენ სხვადასხვა ცხოველის ტყავისაგან შეკერილი ტანისამოსით და ასევე ატარებენ ბამბაზიას და სვამენ ღვინოს თითქმის წყლის ნაცვლად, მათთვის ყოველგვარი ზიანის გარეშე, აღმოსავლეთის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით. ქართველი ქალები იცვამენ მდიდრულად ოქროთი და აბრეშუმით მორთულ სხვადასხვა სახის ქსოვილებს. ისინი ძალიან ლამაზები არიან და ფლობენ მამაცურ სულისკვეთებას“[1].

ალექსანდრეს ისიც უთქვამს, რომ საქართველო მდიდარია აბრეშუმით, რომელიც სომეხ და თურქ ვაჭრებს გააქვთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

საყურადღებოა ქართველთა შეიარაღებისა და ბრძოლისუნარიანობის ალექსანდრესეული დახასიათება: „ქართველები ომში, ბრძოლების დროს სარგებლობენ მშვილდით და ისრით, ფარით, შუბით, მოღუნული თურქული ხმლით, ხმლებით, მორკინული კომბალით, ხოლო ამ ბოლო დროიდან – სხვადასხვა სახის არკებუზებით. ისინი თავიანთ ცხენებს და მხედრებს აღჭურავენ თეთრი იარაღით ისევე, როგორც წმინდანებს, მრგვალი შლემით, სამკერდე ფარებით და ხელთათმანებით სპარსულ ყაიდაზე.

ქართველები მეტად მარჯვენი არიან, როგორც ფეხოსანთა, ისევე ცხენოსანთა ბრძოლაში; შეუკავებელი არიან შეტევის დროს და შიშს ჰგვრიან მტერს თავიანთი ყვირილით. ისინი მთელი რწმენით ერთგულნი არიან მათი ბატონებისადმი და ბრძოლის დროს ემორჩილებიან მათ ბრძანებას სანამ ცოცხალნი არიან. ისინი საგან-

---

[1] იქვე, დოკ. №29, გვ. 348-349.

გებოდ დახელოვნებულნი არიან ომში სამხედრო ხერხების გამოგონებაში და მათ გამოყენებაში, სხვანაირად თითქმის არ იბრძვიან მტერთან. იშვიათად ან არასოდეს არ ჰყრიან იარაღს, განუწყვეტლივ რჩებიან ბრძოლის ველზე, კარვის ქვეშ და იძინებენ მიწაზე“[1].

ძალზე საინტერესოა ალექსანდრეს მიერ აღწერილი ქართული დროშა: „იმ მრავალ დროშათა შორის, რომლებიც ომში მიაქვთ, ქართველთა მეფის დროშა ჩვეულებრივზე უფრო მდიდარია და ლამაზი. ის გაკეთებულია ოთხი განის თხელი წითელი ქსოვილისაგან, ოქროთი მდიდრულად მორთული ულამაზესი ჯვრით, ყოველ განზე ორნამენტებით მორთული უძვირფასესი ქვებით და მარგალიტებით, მწვერვალზე გამოხატულია მეფის გვირგვინი“[2].

მოკლედ მოთხრობილია სამი ქართველი მეფის ვინაობისა და მათი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, რომ ქართლის მეფე სვიმონი – ირანის, ხოლო კახეთის და იმერეთის – ალექსანდრე და ლევანი – ოსმალეთის მომხრენი არიან. მათი გაერთიანების შემთხვევაში შეგროვდებოდა 100 ათასი მეომარი[3] და ისინი ოსმალეთის დამარცხებას შეძლებდნენ.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, დოკუმენტში, ძირითადად, მოთხრობილია სვიმონ მეფის შესახებ: შაჰ თამაზს უნდოდა სვიმონიისათვის შეერთო ვინმე „იშვიათი სილამაზით დაჯილდოვებული და კეთილშობილი ქალი, სახელად დოდუა. მაგრამ სვიმონმა უარი თქვა რელიგიური მოტივით. სვიმონი 12 წლის განმავლობაში ებრძოდა სპარსელებს და პროთურქული ორიენტაციისა იყო. სპარსელებმა იგი დაატყვევეს და იმ ციხეში ჩასვეს, სადაც დაპატიმრებული იყო შაჰ თამაზის შვილი ისმაილი. ისინი დამეგობ-

---

[1] იქვე გვ. 350.

[2] იქვე. ძმა მელშიორ დუშ ანჟოშის და ძმა ხოან დე სან ხოსეს მოხსენებით ბარათში ქართველების შესახებ ნათქვამია, რომ „შტანდარტად ისინი ატარებენ ვერცხლის დიდ ჯვარს, რომელზეც გადაკრულია მუქი ლილის [იის] ფერის ქსოვილი. კახეთის მეფე ალექსანდრე II თავისი შვილით და სამი თუ ოთხი ათასიანი არმიით შაჰ აბასთან ყოფილა (სადაც ქართველთა ლაშქარი სპარსელებთან ერთად წინ მიიწევდა 3 ჯვრისა და წითელი ტილოს წინამძღოლობით). ტაბაღუა ი., II, გვ. 73.

[3] ნიკიფორე ირბახმაც, 30 წლის შემდეგ, მადრიდში, თეიმურაზ I-ის განკარგულებაში მეომართა იგივი რაოდენობა დაასახელა.

რდნენ და როდესაც ისმაილი შაჰი გახდა, მან სვიმონი გაანთავისუფლა, დაცვისათვის 500 ჯარიკაცი მისცა და სამშობლოში გაისტუმრა. „წასვლის წინ ისმაილმა მას საზეიმოდ მიაცემინა პირობა, რომ იგი არასოდეს არ გამოიყენებდა თავის იარაღს ირანის გვირგვინის წინააღმდეგ, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ყოველთვის მის მხარეზე იქნებოდა“[1].

დაიწყო ოსმალეთის აგრესია საქართველოსა და ირანის წინააღმდეგ. ქართლში ახლადდაბრუნებული სვიმონი ლალა მუსტაფა ფაშამ თავისთან, გორში მიიწვია და აგრძნობინა, რომ თუ იგი ოსმალების მომხრე გახდებოდა, მაშინ სულთნის მხარდაჭერა არ მოაკლდებოდა. სვიმონი ოსმალებს არ ენდო, 5 ათასი მებრძოლი შეაგროვა და მის წინააღმდეგ გაგზავნილი 18 ათასი ოსმალო ჯარისკაცი გაანადგურა. 15 დღეზე ნაკლებ დროში მან დაიბრუნა თავისი სამეფოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი: „ახალდაბა, სურამი, ალი, ტუილისი (?), გორი და ბევრი სხვა, დაუტოვა მტერს, მხოლოდ ქალაქი და ციხე-სიმაგრე თბილისი, რათა ჰქონოდა შესაძლებლობა ერთხელ თუ ორჯერ წელიწადში ხელთ ეგდო მთლიანად ნადავლი იმ საგანძურიდან, რომლებსაც თურქები აგზავნიდნენ თბილისში ამ ქალაქის შენახვის მიზნით“[2]. ელჩმა ალექსანდრემ თავისი ნათქვამის დასადასტურებლად ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ის მაგალითი გაიხსენა, როდესაც ფერჰად ფაშა და მანუჩარ ათაბაგი თბილისის დასახმარებლად ფულითა და მეომრებით მიდიოდნენ და სვიმონ მეფე რომ ჩაუსაფრდათ და ოსმალთა ჯარი სასტიკად გაანადგურა. „ამრიგად გაანადგურა რა თურქები და უკუაქცია ისინი, (სვიმონმა –ე.მ.) ფარჰად ფაშას წაართვა ცოლი მთელი თავისი მსახურებით და ასობით სამხედრო მეთაური ტყვედ წამოიყვანა“[3]. როგორც ცნობილია, ფერჰად ფაშამ განიზრახა თავისი მარცხი მანუჩარისათვის გადაებრალებინა და იგი მოეკლა, მაგრამ მანუჩარმა დაასწრო, „იმოქმედა სწრაფად და იქვე მიწაზე დააგდო რამდენიმე კაცი: მოკლა კადუმ ფაშა და დიარბეგი, რომლებიც მის გვერდით იდგნენ, ხოლო რამდენიმე კაცი

---

[1] იქვე, გვ. 351-352.
[2] იქვე, გვ. 353.
[3] იქვე, გვ. 354.

დაჭრა“. ამის შემდეგ ის შეუერთდა სიმონ მეფეს, მისი ქალიშვილი შეირთო და ქრისტიანობას დაუბრუნდა.

შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ფერჰად ფაშა თავისი ცოლის განთვისუფლებას ცდილობდა. იგი, თბილისისათვის დახმარების საბაბით, თვითონ ჩაუდგა ჯარს სათავეში და წინ გაგზავნა ოთხი ფაშა 40 ათასი კაცით. თვითონ ფერჰად ფაშა კი რამდენადმე მოშორებით 60 ათასი მებრძოლით მისდევდა ავანგარდს.

სიმონი თავისი 25 ათასი ქვეითითა და მხედრით თავს დაესხა ოსმალთა მოწინავე ჯარს, 10 ათასი კაცი მოუკლა და როდესაც ფერჰად ფაშა თავისი ძირითადი ჯარით გამოჩნდა, სიმონმა უკან დაიხია მთებში. მას დაეღუპა მხოლოდ 150 კაცი, „რომელთა შორის იყო 30 ცნობილი ქართველი მებრძოლი“[1].

ფერჰადმა ახლა სხვა გზას მიმართა. ალექსანდრეს თქმით, „მან შესთავაზა სიმონ მეფეს ქალაქ იერუსალიმის მმართველობა საქართველოს უფლისწულის, მისი უფროსი ვაჟიშვილისათვის, ხოლო თბილისი და ბევრი სხვა ადგილი, თვითონ მისთვის, როდესაც იგი ისურვებს და დაჰყაროს იარაღი, გაჰყვეს ლაშქრობაში დიდ ბატონს, ხოლო მას დაუბრუნებს თავის ცოლს და სხვა ტყვეებს, რომლებიც მას თან ჰყავს“.

სვიმონ მეფემ უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე. ამავე დროს ცნობილი გახდა ირანის უფლისწულის ჰამზა მირზას სამზადისზე საქართველოში შესვლისა და თავისი ძალების სვიმონის ძალებთან გაერთიანების შესახებ. ამ ამბავმა ძლიერ შეაშფოთა ოსმალეთის მომხრე ქართველი მეფეები – ალექსანდრე და ლევანი და მათ ქართლის მეფე სვიმონს მოკავშირეობა შესთავაზეს. მაგრამ ჰამზა მირზას მკვლელობის გამო მათ გეგმა შეცვალეს და კვლავ ძველ პოზიციაზე დარჩნენ.

როგორც ელჩმა ალექსანდრემ სთქვა, ჰამზას სიკვდილის შემდეგ, ირანის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. სვიმონ მეფე გრძნობდა, რომ ოსმალეთის შემოტევის შეჩერებას მარტო

---

[1] ესპანურ წყაროში მოტანილი ეს ამბავი 1581-1582 წლებში მოხდა. იგი ჯოვანი ტომაზო მინადოის საკმაოდ განსხვავებულად და უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული და ოსმალეთის სარდლათაც მეჰმედ ფაშას ასახელებს, რაც სინამდვილეს შეეფერება. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 427-433.

თავისი ძალით ვეღარ შეძლებდა და ამიტომ მან თავისი ელჩების პაპთან და ესპანეთის მეფესთან გაგზავნა და რჩევისა და დახმარების თხოვნა გადაწყვიტა [1].

რას ფიქრობდნენ XVII ს. დასაწყისში დასავლეთ ევროპაში საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობის, რელიგიური ცხოვრების, კათოლიკობის გავრცელების პერსპექტივების შესახებ, ყოველივე ამაზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით ძმა მელშიორ დუშ ანჟოშის და ძმა ხოან დე სან ხოსეს მოხსენებით ბარათში, რომელიც გაგზავნილია ირანიდან მადრიდში 1614 წ. 16 იანვარს.

ფრიად საინტერესოა ანონიმური „საქართველოს აღწერა“, რომელშიც გადმოცემულია მისი ბუნებრივი პირობები, კლიმატი, ნიადაგის ნაყოფიერება, ფლორა და ფაუნა, ნაგებობები, ქართველების ფიზიკური აღნაგობა, სიმამაცე; მაღალი და დაბალი წარმოშობის ქართველი ქალების გარგნობა, მათი საქმიანობა; ქართველების ჩაცმულობა; სტუმართმოყვარეობა; განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართველთა რელიგიური რწმენა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპაში საკმაო ინფორმაციას ფლობდნენ საქართველოს წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე მაშინ, როდესაც თეიმურაზ I-მა ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილი იქ ელჩად გაგზავნა.

---

[1] იქვე, გვ. 354-357.

VI. ნიკიფორე ირბახი – თეიმურაზ I-ის დიპლომატი

ორმუზის კრიზისი და ქართველი პოლიტიკოსების ირანის განადგურების გეგმა

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ესპანეთთან სამხედრო სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებისათვის ელჩობის გაგზავნის მაპროვოცირებელი, გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, იყო კ. ორმუზის გამო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი

ორმუზი, მისი აყვავების პერიოდში ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პორტი იყო, რომელიც პორტუგალიელების მიერ დაპყრობამდე, XVI საუკუნის დასაწყისში, აკონტროლებდა ინდოეთსა და აღმოსავლეთ აფრიკას შორის სავაჭრო გზებს. ორმუზი იყო ქალაქი-სახელმწიფო – აყვავებული დამოუკიდებელი სამეფო. სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობის გამო, ის გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი. პორტუგალიელები ამ ქალაქსა და მის პორტს აკონტროლებდნენ 1515-1622 წლებში.

შაჰ აბას I დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ორმუზის დასაპყრობად. იგი ამ ქალაქს თუ დაეუფლებოდა, ფაქტობრივად გააკონტროლებდა მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს. ორმუზი მტკიცედ გამაგრებული ჰქონდათ ესპანეთის მეფის ქვეშევრდომ პორტუგალიელებს. კუნძულის მისადგომებს და თვით ქალაქს, ესპანეთ-პორტუგალიის ძლიერი ფლოტი და ჯარი იცავდა. დამოუკიდებლად შაჰს მათი დაძლევა გაუჭირდებოდა. ამიტომ მან დაახლოება დაიწყო ესპანეთ-პორტუგალიის მეტოქე ინგლისელებთან, რომლებიც ძლიერ დაინტერესებული იყვნენ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონიდან მათი გაძევებით.

შირაზის გამგებელმა იმამყული-ხან უნდილაძემ ინგლისის ოსტინდოეთის კომპანიის ესკადრის დახმარებით პორტუგალიელებს კუნძულზე სტრატეგიული ციხე-სიმაგრე ქეშმი წაართვა და ალყა შემოარტყა ორმუზს, რომელიც ათი კვირის შემდეგ, 1622 წლის მაისში დანებდა. მაგრამ პორტუგალიელები თავიანთი პოზიციის აღდგენისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ და ცალკეულ

წარმატებებსაც აღწევდნენ. ასე რომ, იმამყული-ხანმა კუნძულის დაპყრობა მხოლოდ 1625 წელს შეძლო[1].

უეჭველია, იარანთან დაპირისპირებული თეიმურაზ მეფე და მისი კარისკაცები საქმის კურსში იყვნენ იმისა, თუ რა ხდებოდა ირანის სამხრეთ რეგიონში და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს იქ შემდგომ განვითარებას მოვლენებისა, რომელსაც შეიძლე-ბოდა გავლენა მოეხდინა შაჰ აბას I-ის ანტიქართულ პოლიტიკაზე. სავარაუდოა, ქართველი პოლიტიკოსები საჭირო ინფორმაციას იღებდა ირანში მცხოვრები მაღალჩინოსანი ქართველებისგანაც. უფრო მეტიც, გამოთქმულია საკმაოდ არგუმენტირებული მოსაზრე-ბით, თეიმურაზ მეფეს შაჰ აბასის საწინააღმდეგო კავშირი უნდა ჰქონოდა ალავრდი-ხან უნდილაძის ვაჟებთან – იმამყული-ხანთან და მის ძმასთან, განჯა-ყარაბახის გამგებელ დაუდ-ხანთან. ამავე მკვლევრის მიხედვით, თეიმურაზსა და უნდილაძეებს შორის მეკავ-შირე, თითქოს, გიორგი სააკაძე უნდა ყოფილიყო[2].

ვფიქრობ, იმის მიხედვით რაც ცნობილია თეიუმურაზისა და გიორგი სააკაძის დაპირისპირებიდან, გამორიცხულია მარტყოფის აჯანყებამდე გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ მეფეს შორის რაი-მე კავშირი, მით უფრო შაჰ აბასის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისათვის სამზადისში მათი ერთად ყოფნა (ამაზე ვრცლად სხვა ნაშრომში იქნება). ასევე ვერ გავიზიარებ თითქოს შაჰის სა-წინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობდა ოსმალეთის სულ-თნის წინააღმდეგ აჯანყებული არზრუმის ბეგლარბეგი აბაზა-ფა-შა (მის შესახებაც ვრცლად შემდგომში ვიტყვი). მიჭირს იმის გა-ზიარებაც, რომ შეთქმულებას ორმაგი მიზანდასახულება ჰქონდა: ანტისპარსული – მიმართული აღმოსავლეთ საქართველოს სამე-ფოებისა აბას I-ის ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და ანტითურქული – მიმართული სულთნის ანალოგიური პოლიტიკის წინააღმდეგ[3].

---

[1] Wilson A. T., The Persian Gulf, Oxford, 1928; Boxer C. R., "Anglo-Portuguese rivalry in the Persian Gulf, 1615-1635," in Chapters in Anglo-Portuguese Relations, ed. E. Prestage, Watford, 1935.

[2] Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003, с. 272.

[3] Там же.

შეთქმულთა დაპირისპირება ერთდროულად ორი მძლავრი მეზობლის წინააღმდეგ, სტრატეგიულად და ტაქტიკურად არასწორი იქნებოდა, რადგან, ტრადიციულად, ქართული დიპლომატია ცდილობდა ამ ორი აგრესორის ერთმანეთთან დაპირისპირებით აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების გადარჩენას და მიზანს თითქმის ყოველთვის აღწევდა. თეიმურაზ მეფეც ამგვარი საგარეო პოლიტიკური კურსის გამაგრძელებელი იყო. იმავე დროს, იგი ცდილობდა ორ აგრესორს შორის კიდევ უფრო მოხერხებულად ლავირების მიზნით მესამე ძალაც შემოეყვანა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის პოლიტიკური პრობლემების ქართველების სასარგებლოდ გადასაჭრელად. ქართველ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს ისიც კარგად ეცოდინებოდათ, რომ ქრისტიანულ სამყაროში ვერ მოძებნიდნენ ისეთ ქვეყანას, რომელიც, ერთდროულად, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომის მომხრე იქნებოდა. ისინი ახლო აღმოსავლეთში თავიანთი პოლიტიკური თუ სამხედრო ინტერესებისათვის ან ერთს ანიჭებდნენ უპირატესობას ან მეორეს.

მოცემულ პერიოდში, თეიმურაზ მეფისაგან ანტიოსმალური მოქმედება სრულიად მოულოდნელი იყო. იგი, შაჰისაგან დევნილი, ჯერ კიდევ დიდ იმედს ამყარებდა ოსმალეთისაგან დახმარების მიღებაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ შეთქმულების მხოლოდ შაჰის საწინააღმდეგო მიმართულებაზე გვაქვს პირდაპირი და ირიბი ცნობები და სამეცნიერო გამოკვლევებიც[1].

---

[1] Avalishvili Z., Teimuraz I and his poem „The martyrdom of Queen Ketevan“, Georgica, №4-5, 1937, p. 34-42; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 357-369; გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით). ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 76-83; დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 14-15; ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978, გვ. 190-198, 214-234; ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამყული-ხან უნდილაძე. ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 165-172; ჟორდანია გ., თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, „მნათობი“, №5, 1984, გვ. 146.

საყურადღებოდ მიმაჩნია ჯ. ვათეიშვილის მიერ მარტყოფის ბრძოლისა და ნიკიფორე ირბახის ევროპაში გაგზავნის ერთ ასპექტში განხილვა და პორტუგალიელების მიერ დაკარგული ორმუზისათვის ირანელებთან და ინგლისელებთან ბრძოლის განახლებასთან დაკავშირება[1]. მაგრამ არასწორად მიმაჩნია თითქოს თეიმურაზმა და მისმა თანამზრახველებმა ნიკიფორეს ერთდროულად ანტისპარსული და ანტიოსმალური კოალიციის შექმნა დააავალეს, რის დამტკიცებასაც ჯ. ვათეიშვილი ცდილობს.

მივყვეთ ჯ. ვათეიშვილის მსჯელობას: ინგლისელების ტყვეობიდან გაქცეულმა პორტუგალიის ესკადრის მეთაურმა რუი ფრეირე დ'ანდრადამ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. პორტუგალიელების წარმატებას, გარკვეული გაგებით, ხელი შეუწყო მარტყოფში ყიზილბაშთა ჯარის განადგურებამ, რამაც შაჰს არ მისცა საშუალება დროულად მოეხდინა რეაგირება რუი ფრეირეს მოქმედებაზე. პორტუგალიელების ძალაუფლება გავრცელდა ორმუზის ახლომდებარე ზოგიერთ მნიშვნელოვან რეგიონზე. მარტყოფის მარცხის შემდეგ შაჰ აბასის მთელი ყურადღება მიმართული იყო ქართველებზე შურისძიებისაკენ და მან ვერ უზრუნველყო ორმუზისათვის მებრძოლების დახმარება. რუი ფრეირემ იმდენად შეძლო ძალების მობილიზება, რომ მან თავისი ესკადრით დახმარება გაუწია იმავე ირანის ყურეში იმამყული-ხანის ჯარის წინააღმდეგ მებრძოლ ბასრის ოსმალო ფაშას, რომელიც პორტუგალიელებს, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ[2].

როცა იმამყული-ხან უნდილაძემ ორმუზი საბოლოოდ (1625 წ.) დაიპყრო, ამის შემდეგ გადაწყდა ნიკიფორე ირაბახის ელჩობის გაგზავნა დასავლეთ ევროპაში. „ქართველი შეთქმულები ჩქარობდნენ გაერკვიათ არა მხოლოდ ესპანეთის მთავრობის დაინტერესებისა და მზადყოფნის ხარისხი (მათ მიერ ქართველი ელჩის საშუალებით შეთავაზებული კონკრეტული სამხედრო მოქმედების გეგმის შესაბამისად) ორმუზის რეგიონში ირანის ინტერესების საწინააღმდეგო საიდუმლო სამხედრო კავშირის შეკვრის შესახებ, არამედ დაეზუსტებინათ აღმოსავლეთ ქართული სამეფოების

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 274.

[2] Там же, с. 275-276.

პოლიტიკური გარანტიებიც ირანის ყურეში ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული წარმატების შემთხვევაში“[1].

ქართველი ელჩის ესპანეთის მეფესა და მის ნდობით აღჭურვილ პირებთან გასაიდუმლოებული ზეპირი მოლაპარაკების არსი, ჯ. ვათეიშვილის აზრით, დაახლოებით, უნდა ყოფილიყო შემდეგი: თუ ესპანეთის მთავრობა მზად იყო სამხედრო თანამშრომლობისათვის (რის შესახებ ნიკიფორე ირბახს დაუყოვნებლივ შეთქმულთათვის უნდა ეცნობებინა), მაშინ იმამყული-ხანი, როგორც ირანის ჯარების მთავარსარდალი, ხელს შეუწყობდა ესპანეთ-პორტუგალიის ჯარების წარმატებას ორმუზის რეგიონში[2].

მადრიდში მოლაპარაკებების დროს ორმუზის საკითხი განხილვის საგანი რომ უნდა ყოფილიყო, ამაზე მიუთითებს თეიმურაზ მეფის წერილი და იერუსალიმის პატრიარქის სარეკომენდაციო ბარათი, რომელშიც ნათქვამია: „ეგენი (ესპანელ-პირტუგალიელები –ე.მ.) მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩვენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყანისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი“[3]. მართალია თეიმურაზ მეფე არ მიუთითებს საიდან უნდა „მოეტივნენ“ ესპანელები სპარსელებს, მაგრამ უნდა იგულისხმობდეს სპარსეთის ყურე და ორმუზის რეგიონი და ასეც გაიგებდა ფილიპე IV და მისი მთავრობა, სხვა მხრიდან ესპანელები ირანს ვერ მიუდგებოდნენ. ის რაც შეთქმულმა ქართველებმა ხმამაღლა ვერ სთქვეს და ამის შესახებ მხოლოდ მათს ელჩს უშუალოდ ესპანეთის მეფისა და მის სანდო ადამიანებისათვის სიტყვიერად უნდა მოეხსენებინა, თავის წერილში გაახმოვანა იერუსალიმის პატრიარქმა: თეიმურაზ მეფე „ამიტომ ითხოვს, რომ დაეხმარო მას... ან სპარსელებისათვის შიშის მომგვრელი სიტყვებით ან (შეიარაღებული –ე.მ.) ძალებით ორმუზის მხრიდან“[4].

ორმუზ-ირანის პრობლემასთან ოსმალეთის პრობლემის მიბმა და პირველის უფრო მწვავედ დაყენება, ვიდრე მეორისა, ჩემი აზრით, მაშინდელი ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური კონიუნქტურას თუ გავითვალისწინებთ, მივიღებთ სრულ

---

[1] Там же, с. 277.

[2] Там же, с. 277-278.

[3] დოკუმენტები, გვ. 412, №56.

[4] იქვე, გვ. 419, №58.

შეუსაბამისობას ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებთან.

ჯ. ვათეიშვილმა თავისი ნაშრომის მნიშვნელოვანი მონაკვეთი მიუძღვნა იმის ახსნას, თეიმურაზ მეფე და ირანში მოღვაწე ძმები უნდილაძეები როგორ დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომით. მკვლევრის მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ ისინი ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებას უფრო მეტ უპირტესობას ანიჭებდნენ, ვიდრე ირანის აგრესიისაგან საქართველოს დაცვას. მას განხილული აქვს თეიმურაზის მიერ ესპანეთის მთავრობისათვის „შეთავეზებული“ ანტიოსმალური „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გეგმა, რომელიც თითქოს ნიკიფორე ირბახმა ჩაიტანა მადრიდში და რომელსაც აქტიურად იხილავდა ესპანეთის მთავრობა[1]. ვფიქრობ მეტი კრიტიკული მიდგომა იყო საჭირო ამგვარი გეგმის საფუძვლიანობის მიმართ, შეესაბამებოდა თუ არა იგი თეიმურაზ მეფისა და მისი სამეფოს ინტერესებს და თუ არა, მაშინ რატომ და ვის მიერ შეიქმნა იგი. ამ საკითხის ჩემეულ გააზრებას შემდგომში წარმოვაჩენ.

იმის გამო, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) რიგითი მოვლენა არ იყო ქართული დიპლომატიის ისტორიაში, შევეცდები შედარებით სრულად წრმოვაჩინო ეს უაღრესად საინტერესო, წინააღმდეგობებით აღსავსე მრავალმხრივი მოღვაწე.

ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – 1585-1659) XVII ს. 20-50-იანი წლების საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი საეკლესიო, პოლიტიკური და კულტურის მოღვაწეა. მასზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ, ეს ისტორიული პიროვნება და მისი საქმიანობა მაინც ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ზოგიერთი მომენტი მისი ბიოგრაფიიდან, რაც თითქოს დადგენილია, ეჭვს იწვევს. დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროების საფუძველზე, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიის რამდენადმე შევსება ან სხვაგვარად გააზრება შეიძლება.

ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობაზე ცნობები უმთავრესად თეიმურაზ I-ის მიერ მისი დასავლეთ ევროპაში ელჩად გაგზავნის დროიდან (1626 წ.) გვაქვს. თანამედროვეების მიერ დატოვებული

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 279-309.

ფრაგმენტული ცნობებიდან იქმნება ირბახის მიახლოებითი ბიოგრაფია, რომლის შედარებით სრულყოფა შეიძლება მხოლოდ იმ ისტორიული რეალიების გახსენებითა და ანალიზით, რომლებშიც ის უშუალოდ მონაწილეობდა.

მართალია, წინამდებარე ნარკვევში ნიკიფორეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარეს ვეხები, მაგრამ წინა პლანზე წამოწეულია მისი დიპლომატიური საქმიანობა, განსაკუთრებით კი, ევროპაში მოგზაურობა თავისი შედეგებით. საკითხისადმი ინტერესს აძლიერებს ჩვენი და უცხოელი ისტორიკოსების მიერ დასავლეთ ევროპის საცავებში მიკვლეული საკმაოდ მდიდარი წერილობითი ცნობები.

ნიკიფორე ირბახის დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის ამსახველი მასალების გამომზეურება-შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით მ. თამარაშვილს, ჯ. ვათეიშვილს, ი. ტაბაღუას და ზ. გამეზარდაშვილს.

აღნიშნულ საკითხზე მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვანაირად არის შეფასებული თეიმურაზ I-ის მიერ დასავლეთ ევროპაში ელჩობის გაგზავნის მიზანშეწონილობა და მისი შედეგები.

ს. კაკაბაძეს თეიმურაზ მეფის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირების მცდელობა ავანტიურისტულ ნაბიჯად მიაჩნდა[1].

ბ. გიორგაძე იხილავდა რა XVII ს. 20-იან წლებში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ასკვნიდა: „ასეთ არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში ელჩის გაგზავნა იმ სახელმწიფოთა კარზე, რომელთა ინტერესები სრულიად საწინააღმდეგო ორიენტაციას მოითხოვდა, მოწმობს, რომ საქმე უნდა გვქონდეს არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკური მსოფლმხედველობის მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელთან, რომელსაც საერთაშორისო ვითარებისათვის თავი ვეღარ გაურთმევია“[2].

---

[1] კაკაბაძე ს., ქართული წიგნის ბეჭდვის 320 წლის იუბილესათვის. ქართული მწერლობა, 1929, №8-9.

[2] დონ ჯუზეპე მილანელი, წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვეობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 16-17.

გ. აკოფაშვილი, რომელმაც პირველმა სცადა დაეწერა მონოგრაფია ნიკიფორე ირბახზე, ამართლებდა თეიმურაზის საგარეო პოლიტიკას ევროპასთან მიმართებაში და მიაჩნდა, რომ ნიკიფორეს ელჩობის მთავარი მიზანი იყო, მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პრესტიჟის აღიარება ევროპის მეთაურების მიერ[1].

დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა თ. ტივაძემ[2].

ნ. ნაკაშიძე დარწმუნებული იყო, რომ თეიმურაზ მეფე ევროპაში მოკავშირეს ეძებდა ირანის წინააღმდეგ, რაშიც ვეთანხმები, მაგრამ არ ვეთანხმები იმაში, რომ თეიმურაზი კარგად ინფორმირებული იყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ირანთან გართულებული ურთიერთობის შესახებ, რაც მათთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისა და იქიდან შეიარაღებული დახმარების მიღების იმედს უსახავდა[3].

ჯ. ვათეიშვილი ამტკიცებს, რომ ელჩობა იარანის კი არა ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეობას სთავაზობდა ესპანეთის მთავრობას (ამის შესახებ ვრცლად ქვემოთ).

ი. ტაბაღუას მიაჩნდა, რომ ესპანეთის სამეფო კარზე ურჩიეს ნიკიფორეს ანტისპარსული კოალიციის იდეა შეეცვალა ანტიოსმალური იდეით (ვრცლად ქვემოთ).

მ. სვანიძე ფიქრობს, რომ ნიკიფორე ირბახის ელჩობა თავიდანვე ანტიოსმალური კოალიციის შექმნას ისახავდა მიზნად (ვრცლად ქვემოთ).

ასეთივე აზრი გამოსთქვეს გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა (ვრცლად ქვემოთ).

ელჩობა რომ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით გაიგზავნა ევროპაში ეჭვი არ ეპარება დ. კაჭარავას[4].

---

[1] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977, გვ. 31

[2] ტივაძე თ., თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 65.

[3] Накашидзе Н. Т., Ук. Труд, с. 91.

[4] ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწ., თ., 1998, გვ. 169-170.

ნიკიფორეს ოჯახური გარემო, განათლება და მოღვაწეობის I პერიოდი (1626 წლამდე)

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი კახეთის ძველი, ძლიერი და ცნობილი თავადების გვარიდან იყო. კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ მისი მამა ომან ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი იყო გამოჩენილი სარდალი, დედა ბარბარე, არაგვის ერისთავის ასული. ომანის სახელიდან შეიქმნა გვარი – ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი[1]. რაც შეეხება ნიკიფორეს მეორე გვარს – ირუბაქიძე, რომლითაც მას ევროპაში იცნობდნენ, წარმოსდგებოდა ჩოლოყაშვილების ადრეული გვარსახელიდან – ირუბაქიძე. ასე იწოდებოდა ეს გვარი XV საუკუნეში და XVI ს. დამდეგს.

ნიკიფორეს დაბადების ზუსტი თარიღი არ ვიცით. იგი უნდა დაბადებულიყო 1585 წლის ახლოხანებში, რაც გამოანგარიშებულია იტალიელი მისიონერი ჯუზეპე-მარია ძამპის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, რომ დაახლოებით 1655 წელს (როცა ძამპი თავის მოგონებებს სწერდა სამეგრელოზე) ნიკიფორე 70 წლისა იყო[2].

ნიკიფორე, როგორც მ. თამარაშვილს ერთ-ერთი თეატინელი ისტორიკოსის ნაშრომში ამოუკითხავს, ამაყობდა თავისი წარმომავლობითა და ნათესავებით. მას ქცევაზეც ეტყობოდა, რომ დიდებულთა შთამომავალი იყო. „თავის მამისას ამბობდა, რომ ერთი უპირველესი თავადთაგანი და საქართველოს ჯარის უფროსი იყო. მრავალგზის დაუმარცხებია სპარსელები და სხვათა შორის, ერთხელ 20.000 ქართველით ამოუწყვეტია 90.000 კაცი სპარსელების ჯარისა. ევროპაში ამის წასვლის დროს, საქართველოს ჯარის უფროსად ყოფილა მისი ბიძაშვილი[3], რომელიც არანაკლებ მხნეობას იჩენდა ომში“[4].

---

[1] კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1968, გვ. 373.

[2] ჟან შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 141.

[3] ალბათ, ნიკიფორეს ძმა ქაიხოსრო, თეიმურაზ I-ის გამოჩენილი სარდალი.

[4] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 92.

ნიკიფორეს მშობლებისა და ძმის შესახებ საინტერესო ინ-ფორმაციას ვხვდებით იერუსალიმისა ჯვრის მონასტრის ტაძარში, ჩრდილო დასავლეთი სვეტის სამხრეთ მხარეს მოთავსებულ წარ-წერაში: „ჯვარო პატიოსანო და წმინდანო მთავარ ანგელოზნო მი-ქაელ და გაბრიელ შეიწყალეთ ჩოლოყაშვილი ომან და ძე მათი მოურავი ქაიხოსრო და თანა–მეცხედრე მათი ბარბარ. ამინ“[1]. ნი-კიფორე, იმავე ტაძრის დასავლეთი კედლის წარწერაშიც, მოიხსე-ნიებს თავის მამა ომანს[2], ძმას ქაიხოსროს კი ჩრდილოეთის კედ-ლის წარწერაში წამებულად მოიხსენიებს: „მოწამე ქაიხოსრო ჩო-ლოყაშვილი“[3]. ტიმოთე გაბაშვილს იგი შაჰ აბასის მიერ წამებუ-ლად მიაჩნდა, პირდაპირი გაგებით, მის დროს (XVIII ს. შუა ხანე-ბი) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე ჯერ კიდევ შემორ-ჩენილი იყო ქაიხოსროს პორტრეტი. ტიმოთე წერდა: „წმიდა მოწა-მე ქაიხოსრო ქართველი, რომელი აწამა ყენმან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვის ქორონიკონსა ტ“[4]. ტიმოთეს ნათქვამი ისე უნდა გავი-გოთ, რომ ქაიხოსროს სიკვდილში შაჰ აბას I-ის ხელი ერია. თეი-მურაზ მეფის მიერ ქაიხოსროს მოკვდინება, რომ შაჰ აბასის ინ-ტრიგების შედეგად მოხდა, ამაზე საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს პიეტრო დელა ვალე[5].

როგორც ჩანს, ნიკიფორემ იერუსალიმის ჯვრის მონას-ტერში თავის პორტრეტთან ერთად ძმის პორტრეტიც დაახატვინა. ტიმოთე გაბაშვილი არ გვამცნობს, მაგრამ სავარაუდოა, ისინი ერთმანეთის სიახლოვეს ეხატნენ. სამწუხაროდ, ტაძარში მათი პორტრეტები აღარ არსებობს.

რატომ იყო ნიკიფორეს თანამედროვეთა და მისი შემდგომი თაობების გაგებით ქაიხოსრო წამებული? მიზეზებს შემდეგ გა-ვეცნობით. მანამდე უნდა ითქვას, რომ ნიკიფორეს დედა ბარბარა, როგორც სხვა წყაროდან ირკვევა, შემონაზვნებულა, მაგრამ არ

---

[1] მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 85.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] იქვე, გვ. 79.

[4] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. გამოსცა ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 85.

[5] Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 359.

ჩანს როდის მოხდა ეს, მეუღლის – ომანის გარდაცვალების, თუ შვილის – ქაიხოსროს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ[1]. ბარბარას შემონაზვნებაზე ვიგებთ იქიდან, რომ იმავე ჯვრის მონასტერში ნიკიფორემ თავის ახლობლებს 4 დეკემბრისათვის დაუდგინა წირვა და აღაპი: „ამავე დღესა წირვაჲ და ადაპი ჩოლაყასშვილისა ომანისა და მეუღლისა მისისა მონაზონისა ბარბარასი და ძისაჲ მისისა ქაიხოსროსი და მისის ძმისა იოვანესი გაუჩინეთ ჩუენ ჯუარის მამან ნიკიფორემ და ეპისკოპოსმან თეოდოსემ...“[2]

უნდა ითქვას, რომ ჩოლოყაშვილების გვარს, ტრადიციულად, ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის წმინდა ადგილებთან და ამაგსაც არ აკლებდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ ეკლესია-მონასტრებზე. ჯვრის მონასტერთანაა დაკავშირებული ამ გვარის ცნობილი წარმომადგენლები – ბეჟანი, ბაადური, გარსევანი, ბეენა (XVI ს.), ომანი, ქაიხოსრო და განსაკუთრებით კი ნიკოლოზ-ნიკიფორე. მათი სახელები შემოგვინახა ჯვრის მონასტრის ფრესკებმა და წარწერებმა[3]. ტიმოთე გაბაშვილის მიხედვით ბეჟანსა და ბაადურს წმ. თედორეს მონასტერი აუშენებიათ[4]. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით კი, გარსევანსა და ბაადურს ჯვრის მონასტრისათვის ფული შეუწირავთ[5].

ნიკიფორეს ბავშვობასა და მის აღზრდაზე არავითარი ცნობა არ გაგავაჩნია. დადგენილად ითვლება, კ. კეკელიძის გამოკვლევის მიხედვით, რომ მშობლებმა ყმაწვილი ნიკოლოზი განათლების მისაღებად იტალიაში გაგზავნეს და ერთ-ერთ ბერძნულ სკოლაში მიაბარეს, სადაც 12 წელი გაატარა[6]. 1608 წლის მახლობლად იგი

---

[1] Синодик Крестного Монастыря в Иерусалиме. Изд. Н. Марр, СПб., 1914, с. 21.

[2] მეტრეველი ე., მასალები, გვ. 87, №88.

[3] მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 28, 36, 70, 75, 79, 85.

[4] ტიმოთე გაბაშვილი, გვ. 81

[5] მეტრეველი ე., მასალები, გვ. 142-143.

[6] ნიკიფორეს რომში სწავლასთან დაკავშირებით სკეპტიკური მოსაზრება გამოსთქვა ი. ტაბაღუამ (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 147-148, 179, შენ. 81). რაზეც გ. ჟორდანიამ, მისთვის დამახასიათებელი ლოგიკით უპასუხა და სცადა დაესაბუთებინა ნიკიფორეს მიერ რომში განათლების მიღება. Жордания Г., Ук. труд, с. 215

პატრ გვილელმოსთან[1] ერთად დაბრუნდა სამშობლოში. თავდაპირველად რამდენიმე წელიწადი დასავლეთ საქართველოში დარჩა „და სწორედ ამ დროს დაუთესია მას გურიაში თესლი კათოლიკობისა, რომლის შესახებ ლუდოვიკე გრანჯერიოსი მოგვითხრობს“[2]. ის რაც ნიკიფორეს იტალიაში სწავლაზე ითქვა, დამყარებულია მ. თამარაშვილის მიერ მოპოვებულ არაპირდაპირ წყაროებზე. მაგრამ, მაინც ვცადოთ გავარკვიოთ რამდენად გვაძლევს ისინი ნიკიფორეს ბიოგრაფიის აღდგენის საშუალებას.

ნიკიფორემ, რომ 12 წელი იტალიაში სწავლაში გაატარა ამის საბუთად მოჰყავთ ფრანგი მისიონერის ლუი გრანჟეს (მ. თამარაშვილის მიხედვით, ლუდოვიკე გრანჯერიოსი), მიერ 1615 წლის 2 მარტს სამეგრელოდან (სოფ. მოქვი) გაგზავნილ წერილში ნათქვამი, რომ როდესაც ის გურიაში იმყოფებოდა, გაკვირვებული დარჩა გურულების სიმპათიებით კათოლიკობისა და რომის პაპის მიმართ. ამგვარ განწყობილებას ის მიაწერს ერთი ქართველი მონაზონის მოღვაწეობას „რომელმაც 12 წელი გაატარა რომაში, დათესა კეთილი თესლი ამ ნაყოფიერ მიწაზედ, რომელსაც ახლა ჩვენ ვრწყავთ და ნაყოფსაც ვაღებინებთ ღვთის კურთხევით“[3]. მ. თამარაშვილმა, კ. კეკელიძემ, გ. აკოფაშვილმა, გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა დასახელებულ ქართველ მონაზონში ნიკიფორე დაინახეს და მისი რომში სწავლაც 12 წლით

---

[1] 1629 წ. 27 აპრილს ავგუსტინელი ბერის ამბროზიოს წერილში ნათქვამია, რომ გვილელმი 20 წლის წინათ ჩამოვიდა საქართველოში, კერძოდ, გორში, შემდეგ „აღმსარებლობითი მოვალეობის გამო“ ისპაანში გაემგზავრა. იგი როცა გორში ბრუნდებოდა ოსმალებისაგან მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა (თამარაშვილი მ., ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, გვ. 563).

[2] კეკელიძე კ., ნიკიფორე ირბახი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 301.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 139. იგივე მცირე განსხვავებით: „ერთმა ქართველმა ბერმა, რომელმაც 12 წელი გაატარა რომში, კეთილი თესლი დათესა ამ კეთილ მიწაზე, რომელსაც ჩვენ ახლა ვრწყავთ და ნაყოფსაც ვღებულობთ ღვთის კურთხევით“[3]. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 50. ი. ტაბაღუამ იქვე სქოლიოში დასვა კითხვა და უპასუხა კიდეც: „ვინ იყო ეს ქართველი? დღემდე არაა ცნობილი. ცხადია, იგი არ იყო ნიკიფორე ირბახი, როგორც ზოგიერთ ავტორს ჰგონია“.

ამიტომ განსაზღვრეს[1]. ასეთი მოსაზრების გამართლების დამატებით საფუძვლად მათ მიიჩნიეს 1629 წელს სხვა მისიონერის – ივანეს ლევან II დადიანთან სტუმრობისას, რომ „ვახშამს დაესწრო ეგრეთვე მამა ნიკოლოზ ქართველი, რომელიც რომის ბერძნების სკოლაში იყო ნამყოფი“[2]. პირველი და მეორე ცნობის ერთმანეთთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული მკვლევრების მოსაზრების გამართლება შეიძლება. მაგრამ ასახავს სიმართლეს ამგვარი დაკავშირება? უეჭველია, რომ მეორე, პატრი ივანეს მიერ დასახელებული ნიკოლოზ ქართველი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილია. 1639 წელს ევროპიდან დაბრუნებული ნიკიფორე გავლით იმყოფება სამეგრელოში და დადიანს სტუმრობს. მაგრამ მისი გაიგივება დიდი ხნის წინათ სამეგრელოში მოღვაწე ლუი გრანუეს „ქართველ მონოზონთან“, ვერ მოხდება, რადგან, ჯერ ერთი, არ ჩანს მონაზონმა როდის „დათესა კეთილი თესლი“ და, მეორეც ის, რომ საიდან ვიცით, რომ ნიკიფორე პორტუგალიელ პატრ გვილიელმოსთან ერთად დაბრუნდა 1608 წელს. დომინიკანელი პატრი გრეგორიო ორსინი 1626 წელს პროპაგანდა ფიდეში წარდგენილ მოხსენებაში წერს: „ესევე გულ-მხურვალება სამოციქულო საყდრისადმი გავლილ წლებში, ესე იგი 1613 წ. კახეთის მეფე თეიმურაზმა და სხვა ქართველმა თავადებმა დაუმტკიცეს პორტუგალელს პატივცემულ პატრი გვილელმოს წმიდა აგვისტინეს წესისას და კატალანიელს პატრი თადეოზს კარმელიტანს, რომელიც დღესაც ცოცხალია“. მ. თამარაშვილი გულიელმოზე შენიშნავს: პროპაგანდის ერთ წერილში ნათქვამი ყოფილა, რომ გვილელმო საქართველოში მოსულა 1608 წელს[3]. გრეგორიო ორსინის ნათქვამიდან გამომდინარე კი ძნელია იმის დაჯერება, რომ გულიელმო 1608 წლიდან საქართველოში იყო.

ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, რომ ნიკიფორე მრავალ ენას ფლობდა, რომელთა ცოდნას მას მიაწერენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი თანამედროვენი. არსებული მოსაზრებით,

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 142; კეკელიძე კ., დასახ. ნაშრ., გვ. 301; აკოფაშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 146.

[3] იქვე, გვ. 86.

იგი ენებს იტალიაში სწავლის პერიოდში დაეუფლა. მაგრამ თუ თვალს გავადევნებთ მის მოგზაურობას ევროპაში, მის ურთიერთობას საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან და მოგზაურებთან, უეჭველია, რომ მან იცოდა იტალიური, რომელიც შეისწავლა 1628 წელს რომში ყოფნისას და გამოიყენა კიდეც ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს. მისი თურქულის (თათრულის) ცოდნა ჩანს მაშინ, როდესაც პატრი ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ (მ. თამარაშვილის მიხედვით – ივანე) დადიანთან ვახშმობის დროს (1629 წ. 12 ივლისი) ნიკიფორეს სთხოვა, რომ მას თათრულად ელაპარაკა, რადგან ქართულად მოლაპარაკე ნიკიფორეს და ლევან დადიანის საუბარს ვერ იგებდა[1]. თურქულ და იტალიურ ენებზე ურთიერთობდა იგი საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან[2]. სავარაუდოა, ნიკიფორემ იცოდა ბერძნული, თურქული და არაბული, რომელთა მაღალ დონეზე ათვისებას ის იერუსალიმში 12 წლის განმავლობაში ყოფნის დროს შესძლებდა. ნიკიფორეს ესპანეთში ესპანური ენის დაუფლების შანსი ჰქონდა. ასე რომ სიმართლეს გადმოგვცემენ იერუსალიმის ჯვრის მონას-

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 146; ევროპიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორეს სამეგრელოში, კერძოდ, ლევან დადიანთან სტუმრობას უარყოფს ი. ტაბაღუა და მიაჩნია, რომ პატრი ჯოვანი ჯულიანო და ლუკას (მ. თამარაშვილის მიხედვით ივანე) მიერ დასახელებული ნიკოლოზ ქართველი არ არის ნიკიფორე ჩოლოყაშვილი. ლუკას ნაშრომიდან მის მიერ მოყვანილ ციტატაში პატრი ლუკას და ნიკიფორეს შეხვედრა დათარიღებულია 1630 წლის 12 ივლისით (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 161). მ. თამარაშვილის ნაშრომში ლუკა იგივე ამბავს 1629 წლის 12 ივლისის ქვეშ გვაძლევს. ვფიქრობ, ლუკას ნამდვილად ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ჰყავს მხედველობაში, რომელიც ევროპიდან ახლადდაბრუნებული, მცირე ხნით დადიანთან სტუმრობს და იმავე 1629 წლის 14 აგვისტოს უკვე გორშია. ძლიერ საეჭვოა, რომ ნიკიფორე 1630 წელს ლევან II დადიანის კარზე ყოფილიყო. თუ ნიკოლოზ ქართველში ნიკიფორე ჩოლოყაშვილს დავინახავთ, რაშიც მე ეჭვი არ მეპარება, მაშინ ნიკიფორეს და ლუკას შეხვედრა დადიანთან ვახშამზე უნდა მომხდარიყო 1629 წლის 12 ივლისს (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 161).

[2] ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ენების ცოდნასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოსთქვეს გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა (Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 214-215), რომელსაც შემდგომში გავეცნობით.

ტრის დიაკვანი და ნიკიფორეს თანამოღვაწე გრიგოლი (ნიკიფორე მცოდნე იყო „ენისა ვითარ შვიდისადმდე“) და თეატინელთა ორდენის ბერი სამეგრელოში ჯუზეპე მარია ძამპი, რომელიც ახლოს იცნობდა ნიკიფორეს. მისი თქმით, ნიკიფორემ „ქართულისა და მეგრულის გარდა იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური“[1].

არავითარი ცნობა არ გაგავაჩნია იმის სათქმელად, თითქოს მტკიცდება, რომ იტალიიდან დაბრუნებული ნიკიფორე რამდენიმე წლის განმავლობაში (1608 წლის შემდეგ 1614 წლამდე განვლილ პერიოდში) დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა[2].

არ გაგვაჩნია არავითარი საბუთი, რომ ნიკიფორე დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თეიმურაზის მოძღვარი გახდა. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ევროპაში გამგზავრებამდე პერიოდიდან გვაქვს მხოლოდ ერთადერთი ქართული ცნობა, ეს არის შაჰ აბას I-ის საქართველოში შემოჭრის წინ, თეიმურაზ I-ის და დედოფალ ხორეშანის მიერ მეტეხის ღვთისმშობლისათვის მიცემული სიგელი, რომელშიც ნათქვამია: „შემოგწირეთ უჯარმას მონასტერი სიონი და ხორაუგს ქუაბნი... მას ჟამსა, ოდეს სასურველი ასული მეფისა... დაიწერა ჭელითა მოძღურისა ჩოლოყაშვილის ნიკოლოზისათა“[3]. ასეთი ცნობა დაცულია, აგრეთვე, იერუსალიმში ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ნიკიფორე ქალაქს მეტეხთ წინამძღურად ყოფილი და ჯვარის იერომონახოს. ამინ. ომანისშვილი ჩოლოყაძე“[4]. ტიმოთე გაბაშვილს ჯვრის მონასტრის ეს წარწერა უნდა ჰქონებოდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა, რომ ნიკიფორე მეტეხის ყოფილი წინამძღვარი იყოო.

კ. კეკელიძის აზრით, ციტირებული სიგელის მიხედვით, ნიკიფორე თეიმურაზის კარის მოძღვარი ყოფილა[5]. თუ გავითვალისწინებთ ომან ჩოლოყაშვილისა და მისი ოჯახის სამეფო კართან სიახლოვეს, ნიკიფორეს თეიმურაზის კარისა და მეფის მოძღვრო-

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 141
[2] კეკელიძე, კ., ეტიუდები, II, გვ. 301.
[3] ქრონიკები, II, გვ. 440.
[4] იქვე, გვ. 303.
[5] კეკელიძე, კ., ეტიუდები, I, გვ. 301.

ბა, მოულოდნელი არ უნდა იყოს. ნიკიფორე, რომ მეფის მოძღვარი და სულიერი მამა იყო და თეიმურაზი სრულ ნდობას უცხადებდა, ამას აღნიშნავდა თვით ნიკიფორე ესპანეთის მეფისათვის მირთმეულ, თეიმურაზ I-ის ესპანურად თარგმნილ წერილში (სინამდვილეში იგი სრულიად სხვა წერილია): „ვაგზავნით თქვენს დიდებულებასთან ღირსეულ მამას დონ ნიკიფორე ირბახის, რელიგიურ პიროვნებას, რომლის მშობლები იყვნენ ერთ-ერთი თავადთაგანი ჩემი ვასალებიდან. ამ ადამიანის ოსტატობა და გულმოდგინება, რომლითაც იგი ემსახურება ღმერთისა და გვირგვინის დიდების სამსახურს, კიდევ უფრო მაღლა აყენებს მის ღირსებას. დიდი თავდადებულობა, რომელიც მსგავსი მისიის დროს გამოიჩინეს მისმა წინაპრებმა, კიდევ უფრო მარწმუნებს ვენდო მას. ამ მიზეზით იგი გახდა ჩემი მოძღვარი და სულიერი მამა. მან იცის ჩემი უძვირფასესი იმედებისა და ინტერესების შესახებ, რასაც იგი მოახსენებს თქვენს დიდებულებას, მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით. ამიტომ თქვენს დიდებულებას შეუძლია ერწმუნოს მას ყველაფერში, რასაც იგი ჩემი სახელით თქვენ მოგახსენებთ“[1]. ნიკიფორე, რომ თვითონ უწოდებდა თავის თავს მეფის სულიერ მამას, ეს აღნიშნულია მადრიდში სამეფო საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში: „როგორც დიდად პატივცემული რელიგიური პიროვნება – დონ ნიკიფორე ამბობს, თეიმურაზ მეფემ მისი სულიერი მამა – ნიკიფორე ირბახი გამოგზავნა თქვენს დიდებულებასთან თავის სამეფო წერილებით...“[2] ნიკიფორეს თეიმურაზ I-ის სულიერ მამად მოიხსენიებს ბერძენი კონსტანტინე სოფია – თარჯიმანი მადრიდის სამეფო კარზე[3].

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 154. თეიმურაზ მეფის წერილის და მისი ესპანური თარგმანის არაიდენტურობის შესახებ ვრცლად ითქმევა ქვემოთ.

[2] იქვე, გვ. 155.

[3] იქვე, გვ. 158. ჯ. ვათეიშვილის მიხედვით, ნიკიფორე ირბახს კონსტანტინე სოფია გაუცვნია ნეაპოლში, როდესაც თეატინელი ბერების შუამდგომლობით მან კავშირი დაამყარა ადგილობრივ კათოლიკებთან და ბერძენ-უნიატორებთან. ეს უკანასკნელნი იმდენად აღფრთოვანებულან ქართული ელჩობის ევროპაში ჩასვლით და იერუსალიმის პატრიარქ თეოფანისის სარეკომენდაციო წერილით, რომ თავიანთი წრიდან სპეცია-

ნიკიფორე ირბახის მოგზაურობა ევროპაში (1625-1629 წწ.)

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს იერარქებს და თვით საკმაოდ ცნობილ პოლიტიკოსს პატრიარქ თეოფანის III-ს, არ შეიძლებოდა არ შეენიშნათ ნიკიფორეს დიდად განსწავლულობა, მისი სხარტი გონება და დიპლომატისათვის აუცილებელი მოქნილობა. ლათინებთან დაძაბული ურთიერთობისას, ქართველი ბერისაგან საპატრიარქო გარკვეულ რჩევებსაც მიიღებდა. უეჭველია ნიკიფორეს წვლილი პატრიარქ თეოფანისის საქართველოში მოგზაურობის ორგანიზებაში 1618-1619 წლებში, პატრიარქისა და თეიმურაზ მეფის დაახლოებასა და პატრიარქის საქარველოდან დიდად კმაყოფილის გასტუმრებაში, იერუსალიმის საპატრიარქოსათვის თეკლას მონასტრის გადაცემასა და პატრიარქ თეოფანისის თეიმურაზ I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკით დაინტერესებაში[1].

უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ I თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური მიზნების განხორციელებისათვის ინტენსიურად იყენებდა იერუსალიმში მოღვაწე ქართველ და ბერძენ განათლებულ, ენების მცოდნე სასულიერო პირებს. ნიკიფორე ჩოლოყაშვილამდე რუსეთში ორჯერ და ერთხელ ოსმალეთში ელჩად იმყოფებოდა „გოლგოთისა და წმ. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი“ თეოდოსე მანგლელი რევიშვილი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის თანამზრახველი და თანამებრძოლი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში[2]. თეოდოსესთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა ქართველი არქიმანდრიტი არსენი; ნიკიფორე ბერძენი – რუსეთის სა-

---

ლურად გააყოლეს განათლებული მღვდელი, წარმოშობით ბერძენი სმირნიდან, ბერძნული კოლეგიის წევრი რომში და თეოლოგიის დოქტორი, რომელიც იმავე დროს ესპანელთა სამსახურში იმყოფებოდა – კონსტანტინე სოფია (Ватейшвили Д. Л., Ук. труд, 249).

[1] მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის პატრიარქი თეოფანის III და საქართველო. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორიის სერია, II, თბ., 2002, გვ. 13-21; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.) თბ., 2008, გვ. 46-54.

[2] თეოდოსე რევიშვილზე ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 48-66.

კითხებში დიდად გაწაფული, ასევე იერუსალიმში მოდვაწეობდა ნიკიფორე ირბახი.

საინტერესოა გაირკვეს, საიდან (საქართველოდან თუ იერუსალიმიდან) გაემგზავრა ნიკიფორე ევროპაში. გ. აკოფაშვილმა ამასთან დაკავშირებით გამოსთქვა ორი ვარაუდი: „საფიქრებელია, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი 1626 წლის ნოემბრის დამლევს წამოვიდა საქართველოდან. მაგრამ შესაძლებნელია ისიც, რომ ნიკოლოზმა, რომელიც, როგორც ვიცით, 1626 წლამდე იმყოფებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, მიიღო თეიმურაზის წერილი და დავალება გამგზავრებულიყო რომში და რომის პაპსა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მესვეურებს სწვეოდა„[1]. ამ ორი ვარაუდიდან გ. ჟორდანიამ გაიზიარა მეორე და თავის მხრივ დაუმატა, რომ თეიმურაზს ირბახი იერუსალიმიდან საქართველოში არ დაუბარებია და მეფემ წერილების ნიმუშები იერუსალიმში გადაუგზავნა. ამ მოსაზრებას იგი ამაგრებს დონ პიეტრო ავიტაბილეს ერთ-ერთ წერილში ნათქვამითაც, რომ ნიკიფორე ირბახმა პაპისათვის გადასაცემი წერილი იერუსალიმში დაწერა[2]. ნიკიფორეს მიერ პაპისათვის გამიზნული წერილის წმინდა ქალაქში დაწერა, ვფიქრობ, არ ნიშნავს იმას, რომ თეიმურაზ მეფემ 12 წლის წინათ საქართველოდან წასული ნიკიფორე თავისთან არ დაიბარა, პირადად ერთი-ერთზე, არ გაანდო თავისი გულის ნადები და ყველაფერი წერილს მიანდო, რომლის მტრის ხელში ჩავარდნა გამორიცხული არ იყო. ნიკიფორეს, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მისიის წარმატებით შესასრულებლად, სამშობლოდან დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილს, აუცილებლად ადგილზე უნდა შეესწავლა, გარკვეულიყო არა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში, არამედ ქართული სახელმწიფოების ურთიერთობებშიც. საქართველოში მისი არ ყოფნის 12 წლის განმავლობაში რამდენი რამ შეიცვალა და რამდენ რამეს სჭირდებოდა ღრმად შესწავლა. ამიტომ საქართველოში ჩამოსვლა მნიშვნელოვანი იყო ნიკიფორესათვის და მისი დიპლომატიური მისიის წარმატებისათვის. ნიკიფორეს ამგვარად მოქმედების გონივრულობა ჩვენთვისაც

---

[1] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი..., გვ. 36.

[2] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 58

გასაგები გახდება თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნიკიფორეს არ შეეძლო წერილობით, მუხლობრივად ჩამოყალიბებული დაწვრილებითი დავალებები წაეღო და დანიშნულების ადგილზე ამით ეხელმძღვანელა, რისი შესაძლებლობაც ძლიერი სახელმწიფოების ელჩებს ჰქონდათ. ნიკიფორე, თითქმის მთლიანად თავის ცოდნას, მოხერხებულობას და ალღოს უნდა დაყრდნობოდა. ამგვარად, ნიკიფორეს იერუსალიმიდან საქართველოში ჩამოსვლა მისი, როგორც დიპლომატის, ინტერესებშიც შედიოდა.

ნიკიფორეს საქართველოდან ესპანეთში იერუსალიმზე გავლით მგზავრობა მრავალ სხვა მიზეზთან ერთად, იმის გამოც სჭირდებოდა, რომ სწორედ საერთაშორისო მნიშვნელობის ამ ქალაქში შეიძლებოდა მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება ევროპის ყველა სახელმწიფოს და, მათ შორის, ესპანეთისა და ვატიკანის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებაც.

ნიკიფორემ იერუსალიმის პატრიარქ თეოფანის III-ს სარეკომენდაციო წერილი დააწერინა თუ, უკანასკნელმა, თავისი ინიციატივით დაუწერა, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ნიკიფორესთვის ორივე ვარიანტი ხელმისაწვდომი იყო. თეოფანისი პირადად იცნობდა თეიმურაზ მეფეს და გარკვეული წარმოდგენაც ჰქონდა მის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებზე. პატრიარქს გამორჩეულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა და, შეიძლება ითქვას, თავის თანამოაზრედ მიაჩნდა ნიკიფორე, მაშასადამე, ქართველი დიპლომატისათვის იერუსალიმის პატრიარქის სარეკომენდაციო წერილის მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენდა.

თეოფანისი ქართველ დიპლომატს რეკომენდაციას უწევდა ესპანეთის მეფის წინაშე და იმავე დროს ფილიპე IV-ს სთხოვა რომ თეიმურაზ მეფისათვის დახმარება აღმოეჩინა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში[1]. თეოფანისმა ნიკიფორეს თან გააყოლა ბერძენი არქიდიაკონი ათანასიო. თუ გავითვალისწინებთ XVII საუკუნის პირველ ნახევარში მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის დაპირისპირების მაღალ დონეს, მაშინ დგება კითხვა: რამდენად სწორი და გონივრული იყო თეიმურაზ მეფის ამ დიპლომატიურ წამოწყებაში იერუსალიმის პატრიარქის ჩაბმა,

---

[1] დოკუმენტები, გვ. 419.

ქართლ-კახეთის პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად? ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

საფიქრებელია, თეიმურაზ I-მა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იერუსალიმიდან გამოიძახა, რომის პაპისათვის და ესპანეთის მეფისათვის განკუთვნილი წერილები ჩააბარა, სიტყვიერადაც გაანდო მათთან ურთიერთობის დამყარების პრინციპები და ნდობის სიგელიც გადასცა. ამის შემდეგ ნიკიფორე წმინდა ქალაქში დაბრუნდა, მოელაპარაკა იერუსალიმის პატრიარქსა და ევროპის საკითხებში გარკვეულ სხვა სანდო ადამიანებს. მან ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან წაიღო პატრიარქის სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „...უწყოდე, უძლიერესო მეფეო, რომ შენი სამეფო ყველგან სახელგანთქმული და ძლიერია ქრისტიანთა შორის და რამეთუ შეიყვარა ხალხთა ღვთისმოსაობა და თავისუფლება; ამიტომ ***იბერთა მეფემ თეიმურაზ ხანმა გამოგზავნა, ამჟამად აქ მყოფი, ეს მღვდელ-მონაზონი (ნიკიფორე ირბახი), რომელსაც აქვს მისგან თქვენი უდიდებულესობისადმი გაგზავნილი წერილები, გთხოვს რა დახმარებას, რადგანაც იგი სპარსელისაგან მრავალმხრივ შევიწროვებულია***. ამიტომ ითხოვს, რომ ***დაეხმარო*** მას (რამდენადაც იგიც კეთილი და ღვთისმოსავი ქრისტიანია), ***ან სპარსელისათვის შიშის მომგვრელი სიტყვებით, ან ძალით ორზრუმის მხრიდან...*** ვევედრეები შენს ხელმწიფობას არ უგულებელჰყო ეს თხოვნა...“[1].

ნიკიფორემ საპატრიარქოს წარმომადგენელი წაიყვანა და ესპანეთის გზას დაადგა.

ნიკიფორემ რომ საქართველოდან წაიღო თეიმურაზის წერილები, რომლებიც დათარიღებულია 1625 წლის 20 ნოემბრით, ხოლო პატრიარქ თეოფანისის სარეკომენდაციო წერილი კი 1626 წლის 1 სექტემბრით, მაჩვენებელია იმისა, რომ ***ნიკიფორეს მოგზაურობა ევროპისაკენ დაიწყო*** 1625 წლის დასასრულს ***შემდეგი მარშრუტით: იერუსალიმი-საქართველო-იერუსალიმი-სიცილია (მესინა) და მადრიდი.***

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 149. გასათვალისწინებელია, რომ პატრიარქის ამ წერილის ესპანურ თარგმანში ირანი შეცვლილია თურქეთით. იქვე, გვ. 150; ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 419, დოკ. №58.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: ნიკიფორე წერილებისათვის საქართველოში კი არ ჩამოვიდა, არამედ წერილი – ნიმუშები გადუგზავნეს იერუსალიმში[1]; ნიკიფორე იერუსალიმიდან ჯერ ქართლში ჩამოვიდა, და აქედან პირდაპირ სიცილიისკენ, იერუსალიმის გვერდის ავლით, გაემგზავრა[2]. ესპანელი მკვლევრების მიხედვით კი ნიკიფორე იერუსალიმიდან საქართველოში კი არ მოვიდა, არამედ, საქართველოდან დაიწყო მისი მოგზაურობა იერუსალიმზე გავლით, რადგან ეს იყო „ყველაზე მოკლე გზა ხმელთაშუა ზღვისაკენ„[3]. მათ, როგორც ჩანს, არ იცოდნენ და ამიტომ ნახსენებიც კი არ აქვთ, რომ ნიკიფორე ევროპაში წასვლამდე დიდი ხნის განმავლობაში იერუსალიმში ცხოვრობდა.

საქართველოდან იერუსალიმისაკენ ირბახის მოგზაურობის სრულიად განსხვავებული მარშრუტი, ყოველგვარი საბუთის გარეშე, შემოგვთავაზა ჯ. ვათეიშვილმა. მისი ვარაუდით, ნიკიფორე მომლოცველის სახით იერუსალიმს გაემგზავრა შემოვლითი გზით – ირანისა და ბაღდადის გავლით, რათა შაჰ აბას I-ის წინააღმდეგ შეთქმულ თეიმურაზ მეფესა და იმამყული-ხან უნდილაძეს შორის „მოკავშირის“ როლი შეესრულებინა. „მომლოცავს“ სავსებით შეეძლო ყოფილიყო შირაზში, შეხვედროდა იმამყული-ხანს, მისთვის გადაეცა რაიმე გზავნილი ან ინფორმაცია„[4].

ვფიქრობ, შაჰ აბასის დროს, ქართველი „პილიგრიმის„ მიერ წმინდა ადგილებში წასვლა,თუნდაც მხოლოდ მოსალოცად, ირანსა და ბაღდადზე გავლით, უაღრესად სახიფათო და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს პილიგრიმად შენიღბული დიპლომატისათვის. იმ დროს საყოველთაოდ ცნობილი იყო საქართველო-იერუსალიმს შორის მიმოსვლის ისტორიული გზები[5].

---

[1] აკოფაშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 36-37; Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 52.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 142.

[3] ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

[4] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 274.

[5] იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს და პალესტინის დამაკავშირებელი გზები. გორის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი, 2007, გვ. 51-54.

ნიკიფორე, რომ ნამდვილად საქართველოდან პირდაპირ იერუსალიმში გაემგზავრა, ამაზე მიუთითებს იერუსალიმის პატრიარქის თეოფანისის ბერძნულ ენაზე დაწერილი და ნიკიფორეს მიერ ესპანეთის მეფესთან წაღებული წერილი. მასში ვკითხულობთ: „...იმერთა[1] მეფემ თეიმურაზ ხანმა გამოაგზავნა, ამჟამად აქ (იერუსალიმში – ე.მ.) მყოფი, ეს მღვდელ-მონაზონი (ნიკიფორე ირბახი), რომელსაც აქვს მისგან თქვენი უდიდებულესობისადმი გამოგზავნილი წერილები, გთხოვს რა დახმარებას, რადგან იგი სპარსელებისაგან მრავალმხრივ შევიწროვებულია„[2]. პატრიარქის იმავე ეპისტოლიდან ჩანს, რომ ***წერილის შინაარსი შეთანხმებული იყო ნიკიფორე ირბახთან.*** როგორც თეიმურაზის წერილის „თარგმანში„ ისე პატრიარქის წერილში ლაპარაკია ესპანეთის მეფისათვის ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის შეთავაზებაზე, მღვდელ-მონაზონი ნიკიფორეს მაგიერ ესპანეთში ელჩად საერო პირის გაუგზავნელობის მიზეზზე.

ისეთი აქტიური პიროვნებისათვის, როგორიც თეიმურაზ მეფე იყო, არანაკლებ აქტიური და განათლებული ნიკიფორეს სამეფო კარის სიახლოვეს ყოლა დიდად სასურველი და აუცილებელი იქნებოდა. ძნელია თქმა, რომელ წლებში იყო ნიკიფორე კარის მოძღვრად. საფიქრებელია, რომ წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე მოძღვარ ნიკიფორესა და მეფეს შორის ახლო და თბილი ურთიერთობა არსებობდა და შეიძლება ამ დროს ნიკიფორე უკვე მეტეხის წინამძღვარიც იყო. ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზით (შევეცდები ქვემოთ გაირკვეს) ნიკიფორემ მიატოვა მეფე თეიმურაზი და იერუსალიმში წავიდა. როდესაც მეფეს ნიკიფორე დასჭირდა, იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოიყვანა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ირანის წინააღმდეგ მოკავშირეების მოპოვება დაავალა და თავისი ყოფილი მოძღვარი ამ უმძიმესი პრობლემის მოსაგვარებლად ევროპაში გაისტუმრა.

---

[1] ეპისტოლეს ქართულ თარგმანში კორექტურული შეცდომაა. ბერძნულ დედანსა და მის ესპანურ თარგმანში არის „იბერია“.

[2] ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 258-259, 419, დოკ. №58-59.

* * *

მ. თამარაშვილი, იმ მისიონერების ცნობებზე დაყრდნობით, რომლებიც მესინაში შეხვდნენ ესპანეთისაკენ მიმავალ ნიკიფორესა და მის თანამგზავრებს[1], აღნიშნავს, რომ ნიკიფორეს „ახლდა თან ორი თავისი წესის მონაზონი (ცხადია, ქართველები) და ერთიც მოენე“[2]. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ელჩობის შემადგენლობაში შემავალი ადამიანების ფუნქციონალურ დატვირთვას, თუ ვინ იყვნენ და რა ევალებოდათ მათ, პირველად ყურადღება მიაქცია გ. ჟორდანიამ. მისი აზრით, ელჩობის წევრთა შორის ერთი აუცილებლად ის ბერძენი დიაკვანი უნდა იყოს, რომელიც იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანის III-მ ნიკიფორეს გააყოლა. მეორე ბერი და თარჯიმანიც იმავე პატრიარქმა გააყოლა და ისინიც ბერძნები იყვნენ. რადგან ნიკიფორემ ლათინური არ იცოდა, ამიტომ თარჯიმანი ლათინური ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო, რომელიც ლათინურიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ლათინურად გადათარგმნიდა. „ამგვარ თარჯიმანს კი ნიკიფორე ქართველთა შორის ვერ მოძებნიდა არა მხოლოდ თეიმურაზის სამეფოში – ქართლსა და კახეთში, არამედ იერუსალიმში მცხოვრებთა შორისაც“. ბერძნებში უფროსი იყო იერუსალიმის ეკლესიის არქიდიაკონი ათანასიოსი[3].

გ. ჟორდანიასა მიერ ნიკიფორეს თანამგზავრებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებაზე უნდა ითქვას შემდეგი: შეიძლება მაშინდელ საქართველოში მართლაც არ იყვნენ ლათინური ენის მცოდნე ქართველები, მაგრამ იერუსალიმში აუცილებლად იქნებოდნენ. ამ ენის ცოდნის აუცილებლობას, იქაური ქართველების წინაშე, ყოველდღიური ცხოვრება აყენებდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში განათლებული ევროპელი სასულიერო პირებისათვის ლათინური ჯერ კიდევ საურთიერთობო ენას წარმოადგენდა. ***წმინდა მიწაზე ქართველები სისტემატიურად ურთიერ-***

---

[1] ჯ. ვათეიშვილის მიერ მოპოვებული ცნობებით ნიკიფორეს და მისიონერების შეხვედრა მოხდა ნეაპოლში. Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 249.

[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[3] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 63

თობდნენ ლათინ სამღვდელოებასთან, ხშირად კამათობდნენ თავიანთი ეკლესიის ინტერესების დასაცავად. ქართველებსა და ლათინებს ზოგჯერ ერთ ტაძარში, ერთ სამლოცველოში, ერთმანეთის გვერდისგვერდ უხდებოდათ თავიანთი რელიგიული რიტუალის შესრულება[1]*. ამგვარად, როგორც იერუსალიმელ ბერძნებს ესაჭიროებოდათ ლათინური ენის ცოდნა, იგი ასევე საჭირო იყო ქართველებისთვისაც. მაშასადამე, ლათინური ენის ცოდნის მიხედვით თარჯიმნის ეროვნების დადგენა ვერ მოხერხდება. იგი, შეიძლება, იერუსალიმელი ქართველი იყო.*

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც ეჭვის ქვეშ დგება ნიკიფორე ირბახის თანამგზავრთა რაოდენობა და ვინაობა. ეჭვის გამომწვევი მიზეზები კი უაღრესად საყურადღებოა.

1628 წლის იანვრის ბოლოს ნიკიფორე რომში ჩავიდა. ქართველ ელჩს რომში საკმაოდ ცივად შეხვდნენ. ამის მიზეზი სხვადასხვა იყო. ჯერ ერთი, ნიკიფორე პაპთან უნდა წარედგინა ესპანეთის ელჩს გრაფ დე ონიატეს (ასეთი დავალება ჰქონდა მას ფილიპე IV-ისაგან), მაგრამ ვერ წარადგინა პაპთან დაძაბული ურთიერთობის გამო და ნიკიფორე მხოლოდ საელჩოს მდივანმა წარადგინა. აუდიენციის დროს ნიკიფორესადმი გულგრილი მოპყრობის მიზეზი პიეტრო დელა ვალეს შემდეგნაირად განუმარტეს: „რამდენადაც ბატონი ***ნიკიფორე იყო მარტო***, თანმხლები პირების გარეშე და ამასთანავე, რომში ***ჩამოვიდა ინკოგნიტოდ***, ამიტომ ჩათვალეს არამიზანშეწონილად მისი ყოფნა რომში დიდი პატივით შეემოსათ“[2].

პიეტრო დელა ვალეს ნათქვამი ეჭვის ქვეშ აყენებს, ყველაფერ იმას, რაც ცნობილია ნიკიფორე ირბახის თანამგზავრების და, საერთოდ, ელჩობის შემადგენლობის შესახებ. როგორ გავიგოთ ნიკიფორეს რომში მარტო ჩასვლა? ზემოთ აღინიშნა, რომ მას იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წარმომადგენლის გარდა, თან ახლდა ორი მონაზონი და ერთიც თარჯიმანი[3]. რა

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 30-31.

[2] ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., II, გვ. 184-185.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 92.

დაემართათ ნიკიფორეს თანამგზავრებს? რატომ მიატოვეს იგი? დღეისათვის ცნობილი წყაროები არ იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს დასმულ კითხვებს. იმის დადგენაც არ ხერხდება ისინი ესპანეთში მაინც თუ იყვნენ ნიკიფორესთან ერთად. ის რაც პიეტრო დელა ვალეს უთხრეს ქართველი ელჩის რომში მარტო მისვლის შესახებ, რომ სიმართლეს შეეფერებოდა, ჩანს ნიკიფორეს 1628 წლის 3 აგვისტოს წერილიდან. იგი პაპს, სამშობლოში გაშვებასთან ერთად, სთხოვს: „თქვენო უნეტარესო უწმინდესობავ, სხვა მოწყალებათა შორის, რომლებზედაც თქვენ (ჩემთვის–ე.მ.) სთხოვდით ნეაპოლის ვიცე-მეფეს, გთხოვთ დამდოთ პატივი და თხოვოთ მას, როგორც თავისი ვასალის პატრონმა, შეიწყალოს სევასტო, რომელიც მონობაშია ჩავარდნილი ნეაპოლში. ჩემთვის იგი აუცილებელია ამ მოგზაურობაში, ვინაიდან იგი არის გამოცდილი და კეთილი ადამიანი. ამჟამად იგი მოხუცია და ღარიბი, მაგრამ მე იგი სწორედ ასეთი მჭირდება. თუ მას შეიწყალებენ, მაშინ ამ მოწყალებით მას ჩემთან მივიღებ, როგორც ჩემთვის დიდ პატივს, რამდენადაც ***სხვა არავინ მყავს***“[1]. როგორც სვარაუდოა, ნიკიფორეს სევასტო არ დაუთმეს, სამაგიეროდ წმ. კონგრეგაცია ფიდემ მას სხვა გამყოლი, ვინმე ჯაკომო ბერძენი გააყოლა, რომელმაც გზაში დიდი უსიამოვნება შეამთხვია[2]. ნიკიფორესთან ვარშავაში ჯაკომო აღარ ჩანს. ამ ქალაქში მას ემსახურებოდა ორი ადგილობრივი – სომეხი და გაქრისტიანებული ებრაელი, რომლებიც მან თან წაიყვანა[3], მაგრამ სად დაშორდნენ, ამის ცნობა არ გაგვაჩნია. ჯაკომო ნიკიფორესთან ერთად ყოფილა მოლდავეთსა და კონსტანტინოპოლში. მაგრამ იგი თავის მსახურად ასახელებს ძმა დიაკონ მარმატორის, რომელმაც ასევე დიდი უსიამოვნება მიაყენა კონსტანტინოპოლში. ნიკიფორე, წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მდივანს ფრანჩესკო ინგოლის, აცნობებდა: „თქვენმა ღირსებამ იცოდეს, რომ ბერძენმა ჯაკომომ,

---

[1] ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., II, გვ. 244-245.

[2] თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, IV-V, თბ., 1999, გვ. 370.

[3] იქვე, გვ. 371.

რომელიც წმინდა კონგრეგაციამ თანამგზავრად მომცა, გზაში დიდი წყენა მომაყენა, როგორც მოლდავეთში, ისე კონსტანტინოპოლში. იგივე ჩაიდინა კონსტანტინოპოლში ქრისტესმიერმა ძმამ დიაკვანმა მარმატორიმ“[1].

ზემოთ რომ ნიკიფორეს თანამგზავრები დავასახელეთ, მათ შესახებ მ. თამარაშვილს „თეათინელი წესის ისტორიკოსების“ თხზულებებში ამოუკითხავს[2], მაგრამ არ უთითებს, კერძოდ, რომელი თეატინელი ისტორიკოსი ჰყავს მხედველობაში. ამიტომ იყო, რომ ი. ტაბაღუა ეჭვის ქვეშ აყენებდა ნიკიფორესთან ერთად ორი ბასილიანელი ბერის ყოფნას. ქ. მესინაში ჩასულ ნიკიფორეს ახლდა მხოლოდ ერთი ბერი, იერუსალიმის პატრიარქის მიერ გაყოლებული დიაკონი ათანასიოსი[3].

ძლიერ საინტერესოა გაირკვეს, თეიმურაზ მეფის მიერ ნიკიფორეს ელჩობის ამგვარად მწირი შემადგენლობით დასავლეთ ევროპაში გაგზავნის მიზეზი თუ მიზეზები. ჩვეულებრივ, ელჩობის წევრთა მრავალრიცხოვნებისათვის სხვადასხვა პირობა არსებობდა: პირველ რიგში, ელჩობის გამგზავნის ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობა. თეიმურაზის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი ელჩობების შემადგენლობას თუ გადავხედავთ (რა თქმა უნდა, რომლებზეც ცნობები გაგვაჩნია), ნათელი გახდება, რომ მისი დევნილობის ხანაშიც კი, ელჩების თანამგზავრები, მსახურებს თუ არ ჩავთვლით, უფრო მეტნი იყვნენ ხოლმე. ნიკიფორე როდესაც ევროპაში მიემგზავრება, თეიმურაზის შესაძლებლობები განუზომლად მეტი იყო. იგი, მართალია, ძლიერ დასუსტებული, მაგრამ მაინც ქართლ-კახეთის მეფეს წარმოადგენდა.

იმის გარდა, რომ ელჩობის წევრთა მრავალრიცხოვანება მეფის სიძლიერის მაჩვენებელი იყო, ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ელჩობის წევრები ერთმანეთს ზღუდავდნენ, თვალყურს ადევნებდნენ და მეფის მიერ მიცემული დავალების სწორად შესრულებას აკონტროლებდნენ. მთავარი ელჩის გვერდით შეიძლებოდა ყოფილიყო მეორე ელჩი, მდივანი და ა.შ. სხვათა შორის,

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 413.

[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[3] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 141.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიკიფორე ირბახის მიერ, თავისი დავალების შესრულების დროს დაშვებული შეცდომები, იმითიც იყო გამოწვეული, რომ იგი მარტო, ქართველი კოლეგის ან თანაშემწის მხარდაჭერისა და მეთვალყურეობის გარეშე, მისთვის უცნობი მენტალობის ადამიანების გარემოცვაში მოქმედებდა.

ნიკიფორე ირბახის ევროპაში მარტო, მსახურის გარეშეც კი, გაშვება, შეიძლება აიხსნას ელჩობის გასაიდუმლოებით. როგორც შემდგომში მრავალჯერ აღინიშნება, თეიმურაზის ელჩი ესპანეთსა და იტალიაში ყოველი მოლაპარაკების დროს ითხოვდა, რომ მისი იქ ყოფნა საიდუმლოდ შეენახათ. ქართველმა პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს არც ერთი მეზობელი მათ არ მოუწონებდა დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძიებას, ვის წინააღმდეგაც არ უნდა ყოფილიყო იგი მიმართული.

* * *

ქართველი პოლიტიკოსების აზრით, ესპანეთი ირანის წინააღმდეგ ბრძოლით და აღმოსავლეთში მოკავშირის მოპოვებით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, იგი მის დაქვემდაბარებაში მყოფი პორტუგალიისათვის ირანის მიერ წართმეული (1622 წ.) კუნძულ ორმუზის დაბრუნებას ცდილობდა. ეს კი სხვა მიზეზებთან ერთად[1], თეიმურაზ I-ს ესპანეთთან ანტისპარსული კოალიციის შექმნის იმედს უსახავდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ კ. ორმუზის დაპყრობით, შაჰ აბას I-ს ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის დამაკავშირებელი გზების გადაკეტვა ან დასუსტება უნდოდა, რის შედეგადაც ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ დასუსტებასაც მიაღწევდა. ამასთან ერთად, იგი ფიქრობდა ახალი სავაჭრო გზის გაჭრას ჩრდილოეთის მიმართულებით, კერძოდ, რუსეთზე გავლით, რაც დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი, ნი-

---

[1] დაწვრ. იხ. ვათეიშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის კვალდაკვალ. გაზ. „კომუნისტი“, №175, 177, 178, 1983; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 148-155.

დერლანდები) ინტერესებში შედიოდა, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ახალი გზით დაინტერესებულიყო პირენეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები, რომლებიც აღმოსავლეთთან ვაჭრობაში უპირატესობას მხოლოდ სამხრეთის სავაჭრო გზებს აძლევდნენ.

ამგვარად, თეიმურაზ I-ისა და მისი პოლიტიკური თანამოდვაწეების გაგებით, ირანსა და ესპანეთს შორის სერიოზული წინააღმდეგობა არსებობდა, როგორც სტრატეგიული (შაჰ აბასის მიერ ესპანეთის დაქვემდებარებაში მყოფი პორტუგალიისათვის ორმუზის წართმევა) და ეკონომიკური (ესპანეთის სავაჭრო ინტერესების შელახვა – სავაჭრო-სატრანზიტო გზის ჩრდილოეთისკენ გადატანის მცდელობა). მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ, როგორც მრავალჯერ ითქვა, ესპანეთის მთავრობა დიდად აფასებდა ირანს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და ანგარიშსაც უწევდა მის ინტერესებს. მისთვის ირანთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პორტუგალიელების ორმუზის გამო ახლო აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყანასთან – ირანთან დაპირისპირება, რომელიც შეიძლებოდა ოსმალეთთან ომის შემთხვევაში მოკავშირეც ყოფილიყო. შაჰ აბას I რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეებს ქრისტიანულ ევროპაში ეძებდა, ესპანეთის სამეფო კარისათვისათვის დიდი ხანია ცნობილი იყო და ამაზე ზემოთაც საკმაოდ ითქვა.

ესპანეთ-პორტუგალიის აღმოსავლეთში ვაჭრობიდან, კარგი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე და მდიდარი ირანის გამოთიშვა, შეუძლებელი იყო. ესპანეთი ამ ქვეყნებისათვის ბუნებრივ სტრატეგიულ მოკავშირედაც გამოდიოდა, იმდენად რამდენადაც ირანის მუდმივი ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ მდგომარეობას უმსუბუქებდა იმავე ოსმალეთთან მებრძოლ ჰაბსბურგების სახელმწიფოს, რომლის მმართველი დინასტია ესპანელი ჰაბსბურგების ნათესავი იყო. ამას გარდა ესპანეთი თვითონაც დაინტერესებული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლით. უფრო მეტიც, იგი ხელმძღვანელობდა პროჰაბსბურგულ კოალიციას, რომელშიც შედიოდა თვით ესპანეთი, ავსტრია და რეჩ პოსპოლიტა. დასახელებული კოალიცია ამ დროს უკვე ებრძოდა ოსმალეთს. ეს ის პერიოდია, როდესაც აღნიშნული კოალიციის მოწინააღმდეგენი საფრანგეთის მეთაურობით და უშუალოდ საფრანგეთი დაინტერესებულია,

აღმოსავლეთში ოსმალეთს არ ჰყავდეს დაპირისპირებული ძალა, რათა იგი თავისუფლად იყენებდეს თავის შეიარაღებულ ძალებს ესპანეთის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ[1].

შაჰ აბასი ევროპელი ვაჭრების ირანში მისაზიდად, უბოძებდა მათ პრივილეგიებს, უფლებას აძლევდა თავისუფლად აღესრულებინათ თავიანთი რელიგიური წესები, აძლევდა პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობის გარანტიას, ინგლისელებს, ფრანგებს და ჰოლანდიელებს უფლებას აძლევდა დაეარსებინათ თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები ბენდერ-აბასში[2].

ამგვარად, ევროპელებისათვის სრულიად ნათელი იყო შაჰ აბას I-ის დროინდელი ირანის მნიშვნელობა მაშინდელი მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ესპანეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1604 წელს ირანში გაგზავნა ელჩობა, რომელსაც პორტუგალიელი დიპლომატი ლუიშ პერეირა დე ლასერდა მეთაურობდა.

ზოგიერთი მკვლევარი ნიკიფორეს რომზე წინ ესპანეთში წასვლას სერიოზულ შეცდომად უთვლის და მიაჩნია, რომ ქართველი ელჩი ჯერ რომს უნდა სწვეოდა და მისი მისია უკეთესი შედეგით დასრულდებოდა: „ნიკიფორე ირბახი ჯერ რომში რომ ჩასულიყო, ხოლო შემდეგ, პაპის სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილი, მადრიდში, ალბათ საქმე სულ სხვანაირად წარიმართებოდა. ამ დროს პაპის განკარგულებით საქართველოში გაგზავნილი თეატინელი მისიონერები უკვე საქართველოს უახლოვდებოდნენ და პაპი, ცხადია, კარგად მიიღებდა საქართველოს მეფის ელჩს და კარგი სარეკომენდაციო წერილით გაისტუმრებდა მადრიდისაკენ. მაგრამ ახლა თეიმურაზის ელჩმა თითქოს გვერდი აუარა მის უწმინდესობას და უგულებელყო პირველი მღვდელმთავრის ხელისუფლება კათოლიკურ სამყაროში“[3].

---

[1] ვრცლად იხ. Жордания Г., Очерки из истории франко-русских отношений, ч. II, Тб., 1959, с. 105-112.

[2] Malcolm J., Histoire de la Perse, II, Paris, 1821, p. 317-319, 331-332.

[3] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ.. 165.

როგორც ჩანს, ნიკიფორე ირბახმა თვითნებურად შცვალა ესპანეთისაკენ მარშრუტი და იგი ჯერ პაპს არ ეწვია. თეიმურაზ მეფე ნიკიფორესათვის მიცემულ წერილ-პროექტში (ასეთებად მიაჩნდა თეიმურაზის წერილები გ. ჟორდანიას) პირდაპირ უთითებდა, რომ ელჩი ჯერ რომში მისულიყო, პაპისათვის გაეცნო ქართველების გეგმა ირანის წინააღმდეგ ესპანეთის მოკავშირეობის შესახებ და მისთვისაც ეთხოვა, მიეწერა წერილი ესპანეთის მეფისათვის, რათა მას მხარი დაეჭირა თეიმურაზ I-ის გეგმისათვის. მაგრამ, როგორც ითქვა, ნიკიფორემ, ალბათ, დასავლეთში არსებულ სიტუაციაზე დაკვირვებით შეცვალა თავისი მეფის ბრძანება[1].

ფიქრობენ, რომ რადგან მადრიდის კარზე პაპის აზრს ანგარიშს უწევდნენ, ამიტომ ქართველ დიპლომატებს უნდა სცოდნოდათ როგორ პოზიციას დაიკავებდა პაპის კურია ანტიირანული კოალიციის შექმნის იდეისადმი. ამის გარეშე ესპანეთი თეიმურაზ I-ს არ დაეხმარებოდა.

ზოგიერთი წყაროს მინიშნებებს თუ ვენდობით, იმ აზრამდე მივალთ, რომ ნიკიფორეს ესპანეთში გამგზავრება მესინაში ურჩიეს. მესინაში ნიკიფორეს თეატინელმა ბერებმა უმასპინძლეს, ამის შემდეგ, ალბათ, იმავე ბერების რჩევით იგი გადავიდა ნეაპოლში, ისევ იმავე ორდენის ბერებთან. ნიკიფორე ნეაპოლში შეხვდა ესპანეთის მეფის ვიკარიუსს ანტონიო ალვარესს და ნეაპოლის ვიცე მეფეს ჰერცოგ ალბას. ამის შემდეგ ნიკიფორე მიემგზავრება ესპანეთში[2]. ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არ არის. ნიკიფორეს ესპანეთში წასვლის გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ესპანელებმა შეასრულეს. მაშინ რატომ იყო, რომ ესპანელმა დიპლომატებმა და ნიკიფორეს პაპის შუამდგომლობა მოსთხოვეს და ის რომში გაგზავნეს? ვფიქრობ ამითი ქართველთა ელჩობის ესპანეთის ინტერესებისათვის გამოყენება სცადეს და დიპლომატიური თამაში წამოიწყეს. ზოგიერთმა ესპანელმა პოლიტიკოსმა ნიკიფორეს რომზე წინ მადრიდში მისვლა კათოლიკურ სამყაროში გარკვეული სუბორდინაციის დარღვევად გამოაცხადა. მათი თქმით, ქარ-

---

[1] თარხნიშვილი მ., წერილები, 220.

[2] თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 365.

თველ მეფეს ჯერ რომის პაპისაგან უნდა მიეღო თანხმობა ესპანეთის მეფესთან მოლაპარაკებაზე და მერე მიემართა მისთვის, ეს აზრი პირველად გამოსთქვა ესპანეთის მეფის კარისკაცმა დონ ავგუსტინ მესიამ, რომლის აზრს დაეთანხმნენ მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი და „სულიერი მამა“. როგორც ისინი აცხადებდნენ, ესპანეთის მეფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პაპის აზრს[1].

ესპანეთის კარისკაცები, როდესაც ნიკიფორეს მიმართ ამგვარ პრეტენზიას აყენებდნენ, ვფიქრობ, მათ სერიოზული დიპლომატიური ჩანაფიქრი ჰქონდათ. ამით პაპის პროვოცირება სურდათ. პაპი ამ დროს კარდინალ რიშელიეს მიერ შექმნილ საფრანგეთის, ვენეციის და ჰოლანდიის ანტიესპანურ კოალიციაში იმყოფებოდა და თუ ის ესპანელთა აღმოსავლურ პოლიტიკას მხარს აუბამდა, მაშინ კოალიცია დაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა. ასეთ ვითარებაში პაპს რა თქმა უნდა, არ შეეძლო თეიმურაზისათვის ეშუამდგომლა ესპანეთის მეფის წინაშე და არც უშუამდგომლა. მაშასადამე ნიკიფორე ირბახი ჯერ რომის პაპთან რომ მისულიყო, ის მაინც იგივე შედეგით დაასრულებდა თავის დიპლომატიურ მოგზაურობას.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, მართებული იქნება გავიხსენოთ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის მიერ ესპანეთსა და რომში გაგზავნილი ელჩი ხუცესი ნილოც რომ ჯერ ესპანეთის მეფეს ეწვია, შემდეგ კი რომის პაპს. ნიკიფორეს ირბახს, რა თქმა უნდა, ეცოდინებოდა ხუცესი ნილოს განვლილი გზა და თვითონაც, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით იგივე გაიმეორა.

ნიკიფორე ირბახი მადრიდში

თეიმურაზისთვის განსაკუთრებით მიუღებელი უნდა ყოფილიყო მისი სახელით დაწერილ წერილებში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მოთხოვნა. 1625 წლის ბოლოს, მაშინ, როდესაც ნიკიფორე ევროპაში გაემგზავრა, თეიმურაზს ჯერ ისევ კარგი

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 160.

ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის სულთანთან და ირანის წინააღმდეგ მის მოკავშირედაც მიაჩნდა თავი. ნიკიფორეს ანტიოსმალური დიპლომატიური აქცია თეიმურაზს საგარეო პოლიტიკაში დამატებით პრობლემას უქმნიდა. უნდა შევნიშნო, რომ არც თეიმურაზის ქართულ და არც იერუსალიმის პატრიარქის ბერძნულ წერილებში, ოსმალეთი ნახსენები არ არის. ქართულ დედანში ვკითხულობთ: „...მოვახსენოთ ჩუენ უსჯულო იგი პერსი შაჰაბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა, რომლისა ღონე და წამალი არა რა არს, თვინიერ მახვილისა აღლესულისა და ძალითა ქრისტეს ჯუარისათა და მეოხებითა უბიწოდ მშობლისა მისისათა არა ძალვსცემთ ლხინებად და არცა ვიკადრებთ მონებად, არამედ მაგთდა მოვსწერთ, რათა სამონოდ გყუნენ მაგათდა და ეგენი (ესპანელები –ე.მ.) მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩუენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყანისა ყოვლად უღმრთო იგი (შაჰი –ე.მ.) საძაგელი... ***ჩუენ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი.*** საქმისა ამის ცნობითა და სიტყუისა ამის აღმოკითხვათა ვკადრეთ (ესპანეთის მეფეს –ე.მ.) ძმად წოდება და მონაგებთა სესხება. აწე უკეთუ ჯერ უჩნდეს ხელმწიფებასა მაგათსა და ანუ თავნი ჩუენნი უნდოდენ, ეს ჩუენი გულითადი მღრდელ-მონაზონი ნიკიფორე გვიახლებია და ჩუენი საქმე და გულის პასუხი ამისის პირით მოგუიხსენებია. ჩუენი სარწმუნო და მისანდო კაცი ეს არის და (ესპანეთის მეფემ –ე.მ.) წარმოიგუივლინოს ერთი მაგათი მისანდო და საყუარელი კაცი და სახმარი, რათა შებმა უყოთ მტერთა ქრისტესთა ძლიერად და მაგათ (ესპანელებს –ე.მ.) სათნო ვეყუნეთ მორჩილებად მაგათ და სჯობსო სახელი კეთილი მოსახვეჭელსა – იტყუის წერილი...“[1]

ამგვარად, თეიმურაზ მეფის წერილში ირანის წინააღმდეგ შეწევნის მოთხოვნაა: „უსჯულო იგი პერსი შაჰაბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა... ეგენი მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩვენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყნისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი“. იგივე თხოვნა გაისმის იერუსალიმის პატრიარქის თეოფანისის წერილში ფილიპე IV-ისადმი:

---

[1] ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 412-413, დოკ. №56.

„გთხოვს რა (თეიმურაზ –ე.მ.) დახმარებას, რადგან იგი სპარსელისაგან მრავალმხრივ შევიწროებულია“[1]. ქართველი მეფის სათხოვარი მხოლოდ ირანის წინააღმდეგ დახმარებაა.

როდესაც მკვლევრებს უნდათ, რომ თეიმურაზის მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩობის უმთავრეს მიზნად ანტიოსმალური კოალიციის შექმნა წარმოაჩინონ, მგონია ეს არის ქართლ-კახეთისა და დასავლეთ ევროპის ინტერესების ერთმანეთზე მექანიკურად მიბმის მცდელობა. ეს არის თეიმურაზ მეფის მთელი პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის არასწორად გააზრება. თეიმურაზმა თავისი სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ძირითადად ამ მიზანმა განაპირობა მისი ურთიერთობა ოსმალეთთან, დასავლეთ ევრპასთან, რომთან, რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის სამთავროებთან.

გაკვირვებას იწვევს გ. ჟორდანიას მიერ იმის დასაბუთების მცდელობა, რომ თეიმურაზისა და იერუსალიმის პატრიარქის წერილებში ესპანეთის მეფისათვის თხოვნა ირანის აგრესიისაგან დასაცავად დახმარების შესახებ, დაწერილია ოსმალეთის დაზვერვის შეცდომაში შესაყვანად, თითქოს ისინი, სინამდვილეში, ოსმალეთისაგან დაცვას ითხოვდნენ. „გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, – წერს გ. ჟორდანია, – რომ ნ. ირბახს თეიმურაზის წერილით და იერუსალიმის არქიდიაკონ ათანასეს პატრიარქ თეოფანიოსის წერილით უნდა გაევლოთ ოსმალების სამფლობელოები, სადაც საჭირო იყო დიდი სიფრთხილის დაცვა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას გინდაც ხელთ ეგდოთ წერილები, რომლებიც ნ. ირბახსა და არქიდიაკონ ათანასეს მიჰქონდათ, ეს არავითარ ვნებას არ მიაყენებდა არც ქართველ ელჩს და არც იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელს: თეიმურაზის და იერუსალიმის პატრიარქ თეოფანისის წერილები თუ ხელში ჩაუვარდებოდა ოსმალეთის ხელისუფლებას და გაეცნობოდა მათს შინაარსს, ისინი მტრულად არ განეწყობოდნენ არც ნიკიფორე ირბახისა და მასზე დაკისრებული დიპლომატიური მისიის მიმართ; უფრო პირიქით, თეიმურაზის და თეოფანეს მიერ წერილებში ესპანეთის მეფის მიმართ, ნიკიფორე ირბახის მისიის ანტიირანულ ხასიათზე

---

[1] დოკუმენტები, გვ. 419, დოკ. №58.

ხაზგასმა, გამოიწვევდა ოსმალების დადებით დამოკიდებულებას ამ მისიის მიმართ, რადგანაც ყოველგვარი საერთაშორისო აქცია ირანის – ოსმალეთის იმპერიის, დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ, ოსმალებისათვის მისაღები იყო. შეიძლება თეიმურაზისა და პატრიარქ თეოფანისის წერილებში სწორედ ამიტომ იყო ხაზგასმული ნიკიფორე ირბახის მისიის ანტიირანული ხასიათი"[1]. უფრო მეტიც, როგორც ითქვა, ჯ. ვათეიშვილმა თეიმურაზ მეფის ანტიოსმალურ გეგმას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა[2]. წინასწარ, ვიდრე თეიმურაზ მეფის საგარეო პოლიტიკას დაწვრილებით და ბოლომდე განვიხილავდეთ მხოლოდ ერთს გავიხსენებ ქართველი მეფის მიერ მოსკოვში XVII ს. 50-იანი წლების ბოლოს, მისი მოღვაწეობის დასასრულს ნათქვამს: მას, მთელი თავისი მოღვაწეობის დროს, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოსთან, მისი დაუძინებელი მტრები ირანის შაჰები იყვნენ.

ასე რომ, რაც თეიმურაზისა და იერუსალიმის პატრიარქის წერილებში ირანის შესახებ ეწერა, სრული სიმართლე იყო.

თუ რატომ შეიცვალა ირანის წინააღმდეგ დახმარების თხოვნა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით, ნათელს ჰფენს მადრიდში იერუსალიმის პატრიარქის ესპანურად პერიფრაზირებული წერილი: ***„იერუსალიმის პატრიარქის დონ თეოფანეს წერილში, კეთილშობილი პიროვნების დონ ნიკიფორეს შესახებ ნათქვამი, რომ იგი გამოგზავნილია იბერიის მეფის თეიმურაზის მიერ თქვენს დიდებულებასთან და რატომ არ უნდა გაეზიარებინა აზრი, საიდუმლოებისა და განზრახვის მთავარი ცდა სულთანის წინააღმდეგ. მხოლოდ იქნებ იმიტომ, რომ ასევე ამბობენ, რომ იყო უთანხმოებები, რომლებიც მას სპარსელებთან აქვს"***[3]. როგორც ჩანს, ***ესპანეთის სამეფო კარზე გარკვეული ზეწოლა იყო ნიკიფორეზე, რომ ქართველ ელჩს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მოთხოვნა შეეცვალა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნით. ე. ი. ქართველების ირანთან დაპირისპირება ხელის შემშლელი არ უნდა ყოფილიყო ოსმალებთან დასაპირისპირებლად.***

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 62.

[2] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 279-309.

[3] დოკუმენტები, გვ. 421, დოკ. №59.

როგორც მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, ნიკიფორე იძულებული გახდა, შეეცვალა თვისი მეფის დანაბარები.

ასევე, ნიკიფორესთან შეთანხმებით, უნდა შეცვლილიყო თეიმურაზ მეფის სიგელის შინაარსი. ამაში გვარწმუნებს თეიმურაზ მეფის ზემოთ ციტირებული სიგელისა და მისი „თარგმანის“ ერთმანეთთან შედარება. სიგელი ესპანურად თარგმნილია კონსტანტინე სოფიას მიერ, მადრიდში. მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას, რომ ***„თარგმანი“ სულ სხვა სიგელია,*** მასში თეიმურაზის სიგელიდან მხოლოდ მეფისა და მისი ელჩის სახელებია დატოვებული, ტექსტი კი სულ სხვაა: ამჯერად, ნიკიფორე ირბახი, ესპანეთის სამეფო კარზე შთაბეჭდილების მოსახდენად, თეიმურაზის პირით აცხადებს, რომ იგი არის იბერიის, ალბანეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, ჩერქეზთის მეფე. ამას მოსდევს ესპანეთის მეფის – ფილიპე IV-ის ქება: „თქვენ ფლობთ დავითის სიმშვიდეს, სოლომონის სიბრძნეს, ალექსანდრე დიდის მონარქიას და კონსტანტინე დიდის ღვთისმოსაობას და ამრიგად, თქვენ სამოთხის ყვავილისა და ციური ვარსკვლავის ღირსი ხართ, ციური სათნოებით შემკული. შემკობილი ხართ იმდენი კეთილშობილური და ციური ნიჭით. თქვენ ხართ მეფეთა მეფე, სამართლიანი კანონებში და წარმოადგენთ სამაგალითოს თქვენი ვასალებისათვის“.

ამის შემდეგ წერილის „თარგმანში“ მოკლედ დახასიათებულია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. კერძოდ ნათქვამია, რომ იგი მოქცეულია საქრისტიანოს დაუძინებელ ორ მტერს – ირანსა და ოსმალეთს შორის. ირანის პრობლემა თეიმურაზს უკვე გადაუწყვეტია. მან ორ ბრძოლაში ისე სასტიკად დაამარცხა სპარსელები, რომ მათმა მეფემ გაქცევით უშველა თავს. ამ გამარჯვებების შედეგად ქართველი მეფის სამფლობელოები გადაიჭიმა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და მისი ჯარი ასი ათასი მებრძოლისაგან შედგება.

რაც შეეხება საქართველოს მეორე მტერს – ოსმალეთის სახელმწიფოს, ის სუსტია და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე. ასე რომ, ქრისტიანთა გაერთიანებული ძალით მისი მთლიანად განადგურება შეიძლება. თავის მხრივ, ვითომდაც, თეიმურაზ მეფე, პოტენციურ მოკავშირეებს პირდება, მთელი თავისი შეიარაღებული ძალით შეიჭრას კაპადოკიასა და ბითინიაში და კონსტანტინოპოლის აზიურ ნაწილამდე, სკუტარამდე მივიდეს. აქედან

კი, ესპანეთის მეფისაგან დახმარების შემთხვევაში, შეიძლება სრუტეზე გადასვლა და კონსტანტინოპოლის აღება. „იმისათვის, რათა დაინახოს თქვენმა დიდებულებამ, რომ არა პირადი ინტერესებისათვის და არა იბერთა გაფართოებისათვის და გაზარდოს თავისი სახელმწიფო, ხდება ეს ლაშქრობა, არამედ მხოლოდ ჩვენი ღმერთის, ჩვენი უფალის სამსახურისათვის და ქრისტიანობის აყვავებისათვის“.

ბოლოს, თეიმურაზ მეფე ესპანეთის მეფეს სთავაზობდა, რომ თუ მას რაიმეში ეჭვი შეეპარება, შეუძლია თავისი წარმომადგენლები საქართველოში გაგზავნოს, „რათა მათ შეისწავლონ საკითხები და საკუთარი თვალით ნახონ ჩვენი ძალები და შეაფასონ ჩვენი წარმატებები და საქმეები, ხოლო გაიგებენ რა ამას, მოახსენებენ თქვენს დიდებულებას და იმათ, ვინც ამის შესახებ არ იცის, თუ რამდენად ძლიერი და მებრძოლები არიან იბერები მტერთან შეჯახების დროს და შეუძლიათ თუ არა მათ შეასრულონ მიცემული დაპირება“[1].

თეიმურაზ მეფის სიგელის „თარგმანი“ ნიკიფორეს და კონსტანტინე სოფიას შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. კონსტანტინე სოფია საბერძნეთის გასათავისუფლებლად ესპანეთის შეიარაღებული ძალების ოსმალეთის წინააღმდეგ წარმართვით პირადად დაინტერესებული იყო. ნიკიფორე ირბახის მადრიდში ჩასვლა მან თავისი ამ მიზნისა და მისწრაფების შესრულებისათვის გამოყენება სცადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტანტინე სოფიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიკიფორე ირბახის ესპანეთში ელჩად ყოფნის დროს ქართველთა ანტიირანული გეგმისა და სათხოვარის შეცვლა-დამახინჯებაში. ამ პიროვნების ბიოგრაფიული ცნობები და მისი მოღვაწეობის მთავარი მიზანი გადმოცემულია 1627 წელს, ნიკიფორე ირბახის მადრიდში ყოფნის დროს, მის მიერვე დაწერილ ფილიპე IV-ისათვის წარდგენილ „ცნობაში“. ვიგებთ, რომ მან ბერძნული კოლეჯი დაამთავრა რომში და რომის პაპის კლიმენტი VIII-ის ბრძანებით 1603 წელს გაიგზავნა მადრიდის სამეფო კარზე გარკვეული პოლიტიკური ხასიათის დავალებით, „რათა სამეფო გვირგვინს (ესპანეთის მეფე – ე. მ.) განეხილა საბერძნეთის წმ.

---

[1] იქვე, გვ. 413-418, დოკ. №57.

ლაშქრობა თურქების წინააღმდეგ“. კონსტანტინე სოფიამ იმდენად გამოიჩინა თავი თავისი მისიისათვის გაწეული საქმიანობით, რომ იგი მეფის სამსახურში აიყვანეს, „რამდენადაც იგი ფლობდა ენებს, კარგად წერდა და სარგებლობდა ბერძნების პატივისცემით... მაგრამ მთავარი მიზანი, რომელსაც იგი მისდევდა და მისდევს... არის სამსახური უფალი ღმერთისა და თქვენი უდიდებულესობისადმი და მთელი მისი ძალები მიმართულია ამ ლაშქრობის განხორციელებისაკენ (ე. ი. საბერძნეთის ოსმალთა უღლისაგან გათავისუფლებისაკენ – ე. მ.)“[1].

„თარგმანში“ თეიმურაზი ფილიპე IV-ს პირდება, რომ მტრის განადგურების შემდეგ, ყველაფერს, მთელ ცოდნასა და ძალას გამოიყენებს რათა ესპანეთის მეფემ კონსტანტინოპოლის იმპერატორის ტახტი დაიკავოს[2]. „ჩვენ კი – ნათქვამია „თარგმანში“ – დავბრუნდებით ჩვენს სამფლობელოებში და ვიქნებით უკვე ბედნიერი იმით, რომ იმპერატორის ტახტზე ზის ნამდვილი ქრისტიანი და კათოლიკე მმართველი, თქვენი დიდებულება, ხოლო ჩვენი სახით, თქვენ მუდამ გეყოლებათ თქვენი სამსახურისათვის მზადმყოფი კარგი მეგობარი“.

„თარგმანში“, ნიკიფორეს პიროვნებისა და დამსახურების შესახებ, თეიმურაზ მეფის სახელით, ნათქვამია: „ვაგზავნით თქვენს დიდებულებასთან ღირსეულ მამას დონ ნიკიფორე ირბახის, რელიგიურ პიროვნებას, მეტად უნარიანს და სანდოს, რომელიც გარდა ამისა, ცნობილი წარმოშობისაა, რომ მისი მშობლები იყვნენ წარჩინებულები და თავადები ჩვენი ვასალებიდან. ამ ადამიანის უნარიანობა და გულმოდგინება, რომლითაც იგი ემსახურება ღმერთსა და გვირგვინს, კიდევ უფრო მაღლა აყენებს მის ღირსებას. დიდი ერთგულება, რომელის მსგავსი საქმეების დროს გამოამჟღავნეს მისმა წინაპრებმა, კიდევ უფრო მარწმუნებს ვენდო მას. ამ და მისი მხრიდან სხვა მიზეზით იგი გახდა ჩემი მოძღვარი და სულიერი

---

[1] იქვე, გვ. 405, დოკ. №64.

[2] იერუსალიმის პატრიარქი თეოფანისიც თავის წერილში ესპანეთის მეფეს სწერდა: „ამას ერთვის ვედრება ჩვენისა სიმდაბლისა, რათა ღირსი გახდე შენ, დაიკავო ტახტი სახელოვანთაგან გამოჩენილი დიდი კონსტანტინესი და იუსტინიანესი (ნეტარი ხსოვნა მათ)“. იქვე, გვ. 419, დოკ. № 58.

მამა. მან იცის ჩემი გულის საიდუმლოება, ჩემი განზრახვები და შეუძლია მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით მოახსენოს თქვენს დიდებულებას. ამიტომ თქვენს დიდებულებას შეუძლია ერწმუნოს მას ყველაფერში, რასაც იგი ჩემი სახელით მოგახსენებს.

მინდოდა თქვენს დიდებულებასთან გამეგზავნა ჩემი ვასალებიდან ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული საერო პიროვნება უფრო საზეიმოდ, მაგრამ მას უნდა გაევლო ბევრ მტერს შორის და შეიძლებოდა ყურადღება მიექციათ და საქმე წახდებოდა, ჩავარდნილიყო მათ ხელში და თქვენი უდიდებულესობის წინაშე ვერ წარმსდგარიყო. ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ ეს ბერი, ჩემი სულიერი მამა და ჩვენი სანდო პიროვნება, რათა მან შეძლოს ფარულად გაიაროს მტრებს შორის და შეძლოს უფრო ადვილად ჩავიდეს თქვენს დიდებულებასთან და აცნობოს მას ჩვენი განზრახვები მთელი საიდუმლოებით, როგორც ეს მას აქვს დავალებული“.

ამგვარად, ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა ესპანეთის სამეფო კარს თავისი მეფის წერილის იმდაგვარი „თარგმანი“ წარუდგინა, რომ მეფის კარისკაცების მიერ მისი განხილვის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას და ანტიოსმალური სამხედრო კავშირის შეკვრას წინ აღარაფერი დადგომოდა. მართლაც, „თეიმურაზის წერილის“ საფუძველზე, ***სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად დაიწერა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ქართველი მეფის სურვილები და ესპანეთის მეფისათვის სათხოვარი კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ესპანეთის სახელმწიფოს ინტერესებს და ამის შემდეგ გადაწყდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილს სამეფო საბჭოში გასაუბრებოდნენ.*** გასაუბრებამ წარმატებით ჩაიარა. ქართველმა ელჩმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ესპანელ დიდებულებზე. ყოველივე ამის შესახებ ქვემოთ ითქმევა. მანამდე კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნიკიფორე ირბახის ელჩობამ უბიძგა კონსტანტინე სოფიას მეფისთვის წარედგინა 32 მუხლად ჩამოყალიბებული „მოხსენება“ (relación), რომელშიც განმარტა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების განთავისუფლების ის მისია, რომელიც ესპანელ ხალხს ეკისრებოდა. იქვე დასაბუთებულია ის გარდაუვალი წარმატება, ესპანეთის მონარქის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი, რასაც ესპანეთის მონარქია

მიიღებს ოსმალეთის დამარცხების შემდეგ. წარმატების მოპოვება კი ადვილი იქნება, რადგან თურქების სახელმწიფო დასუსტებულია შინაგანი წინააღმდეგობებით და მეზობლების თავდასხმების შედეგად. „როგორც ცნობილია, ისინი განიცდიან თავდასხმებს სპარსელებისა და ამბოხებულების მხრიდან... თავს ესხმიან კაზაკები, რეჩ პოსპოლიტის მეფის ქვეშევრდომები, რომლებიც შავი ზღვით აღწევენ კონსტანტინოპოლამდე. თურქები დამარცხებულ იქნენ ქართველი მეფისა და სხვების მიერ და ამიტომ მათ არ შეუძლიათ აღსდგნენ და შეაგროვონ დიდი ჯარი“[1].

კონსტანტინე სოფია ესპანეთის მეფეს უიოლებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას და მოახსენებს, რომ ქრისტიანული ქვეყნები, თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით მხარში ამოუდგებიან მას საქრისტიანოსათვის ამ უმნიშვნილევანეს ბრძოლაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „მოხსენების“ დასასრული, სადაც ავტორი ესპანეთის მეფეს მიმართავს: „და დასკვნით ნაწილში მინდა აღვნიშნო იბერიის ქართველთა მეფის გადაწყვეტილება და მისწრაფება, მისცეს უკანასკნელი ძალები წმინდა კათოლიკურ ეკლესიას და მთელი ქრისტიანობის სამსახურს, როგორც ამის შესახებ მოახსენა ნიკიფორე ირბახმა, რომელიც ამ ვითარებაშია გამოგზავნილი ჩვენთან ღმერთის მიერ. აუცილებელია, რომ მას დახმარების ხელი გაუწოდოთ თქვენი კათოლიკური სახელისათვის შესაფერისი დიდების მოვალეობით.

თქვენი უდიდებულესობისა და მთელი ესპანელი ერის დიდება სამუდამო იქნება ყველა ხალხთა შორის. დე განდიდდეს თქვენი უდიდებულესობის და თქვენი მხედართმთავრების სახელი, დე სამუდამოდ იყოს ჩაწერილი ისტორიაში. თქვენ დიდებულ საქმეებს აუგებენ ძეგლებს ბერძნები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები. და დალოცოს უფალმა ღმერთმა თქვენი უდიდებულესობის საქმე, რომელიც მიმართულია მისი დიდებისაკენ.

ამის მთხოვნელმა, რომელსაც ამოძრავებს მისწრაფება ემსახუროს უფალ ღმერთს და თქვენს დიდებულებას... მას ამოძრავებს სურვილი, განთავისუფლდეს მისი სამშობლო (საბერძნეთი

---

[1] იქვე, გვ. 437 დოკ. №58.

–ე.მ.), შეადგინა და წარუდგინა ეს წერილი თქვენს დიდებულებას განსახილველად...“[1].

„მოხსენების“ გაცნობის შემდეგ, ვფიქრობ, სრულიად ნათელია, რატომ შეიცვალა თეიმურაზის წერილის „თარგმანში“ ირანი ოსმალეთით, და როგორი გავლენა ექნებოდა კონსტანტინე სოფიას ნიკიფორე ირბახზე, რათა ქართველი მეფის მოთხოვნები უფრო საბერძნეთის ინტერესებში ჩაეყენებინა, ვიდრე იგი ქართლ-კახეთის სამეფოს წაადგებოდა. მიჭირს გაზიარება იმ მოსაზრებისა, „თითქოს ირბახის ცნობების საფუძველზე კონსტანტინე სოფია თვითონ თხზავდა ამ ამბებს და რადგან ქართველმა ელჩმა ესპანური არ იცოდა, არც თარგმნის შემოწმება შეეძლო“[2].

თეიმურაზ მეფის წერილის „თარგმანიდან“ და კონსტანტინე სოფიას „მოხსენებიდან“ ჩანს, ქართული სამეფოსადმი მიმართებაში მთავარი ცვლილება იყო ესპანეთის მეფის ყურადღების მიპყრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე, რაც მხოლოდ ნიკიფორესთან შეთანხმებით დაიწერა. ამაზე, პირველ რიგში, მიუთითებს ნიკიფორეს მოხსენებითი ბარათი ფილიპე IV-ისადმი, რომელშიც აღნიშნულია მხოლოდ წელი (1627), რიცხვის გარეშე. სავარაუდოა, იგი წარდგენილი იყოს 1627 წლის 26 ივნისამდე, როდესაც საქართველოსა და ქართველ ელჩთან დაკავშირებული მასალები, ნიკიფორეს მეფესთან აუდიენციისათვის მოსამზადებლად, გადასცეს გრაფ ჰერცოგ დონ ხუან დე ვილიელას[3]. მოხსენებითი ბარათი დაწერილია ნიკიფორეს მიერ, მესამე პირში და არ შეიცავს ქართლ-კახეთის მეფის ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადყოფნას. მასში მხოლოდ ზოგადად აღნიშნულია, რომ „ზემოხსენებულ მეფეს [თეიმურაზს] მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მის განკარგულებაში დარჩენილი ჯარი მოახმაროს კათოლიკური რწმენის გადარჩენის საქმეს, წმ. კათოლიკური რწმენისა და ქრისტიანის სახელის უდიდესი მტრის განადგურებას“. მოხსენებითი ბარათიდან მოყვანილ ამ ამონარიდში,

---

[1] იქვე, გვ. გვ. 448-449, დოკ. №64

[2] პაპაშვილი მ., ერთი დიპლომატიური საკითხის გარკვევისათვის. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსისტორიის საკითხები, III, ბათუმი, 2008, გვ. 101.

[3] ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 411, დოკ. №56.

საქმით დაინტერესებულმა ადამიანმა, ამ შემთხვევაში ესპანეთის მეფემ, შეიძლება მხოლოდ ოსმალეთი იგულისხმოს, მაშინ, როდესაც იმავე დოკუმენტში, ცოტა ქვემოთ, გამოკვეთილად ნათქვამია, რომ თეიმურაზ მეფე „თქვენი სამეფოს სამსახურისათვის სთავაზობს თქვენს დიდებულებას თავის სამეფოს, თავის ჯარს და მთელ თავის ძალებს თქვენი უდიდებულესობის ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ, კერძოდ, ***ირანის წინააღმდეგ იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ამჟამად თქვენი დიდებულება ახორციელებს აღმოსავლეთ ინდოეთში***“[1].

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოხსენებით ბარათში ლაპარაკია ესპანეთის მეფის მიერ ირანთან ომის დაწყების შემთხვევაში ქართველების დახმარებაზე. ესეც ისეა მიწოდებული, თითქოს ირანის პრობლემა ესპანეთის მეფის თავის ტკივილია და მისი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, თეიმურაზი მზადაა მეგობრობის ვალდებულებიდან გამომდინარე, მას დაეხმაროს.

ამგვარად, ***1627 წლის 10 ივლისის შემდეგ, ნიკიფორე ირბახსა და კონსტანტინე სოფიას შორის შეთანხმებით, ქართველი მეფის მოწოდება ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ომის შესახებ, შეიცვალა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებით.***

როგორც ჩანს, იმავე 10 ივლისს ან შემდეგ დღეს (11 ივლისი) კონსტანტინე სოფიამ გრაფ ჰერცოგ დე ვილიელას ზემოთ განხილული ის „მოხსენება“ გადასცა, რომელშიც მან ჩამოაყალიბა მოსაზრებები ოსმალთა უღლისაგან საბერძნეთის განთავისუფლებისა და იმავე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებისათვის დახმარების შესახებ. ამის გამო ხუან დე ვილიელამ მეფეს აცნობა შემდეგი: „ერთმა ბერძენმა ბერმა, რომელსაც ჰქვია კონსტანტინე სოფია, გადმომცა მოხსენება, რომელიც ეხება საბერძნეთის განზრახვას და მისდამი კეთილგანწყობას იბერიის ანუ საქართველოს მეფისა, რომელიც მისი სიტყვებით, არის ბერძნული წესის ქრისტიანი და რომლისგან ჩამოიტანეს წერილი, სადაც მოთხრობილია მისი სურვილზე გამოხატოს, შექმნილი ხელსაყრელი ვითარების პირობებში, თავისი მორჩილება მისი უდიდებულესობისადმი. როდესაც მე მას (კონსტანტინე სოფიას –ე.მ.)

---

[1] იქვე, გვ. 422-423, დოკ. №61.

ვუთხარი, რომ ამის შესახებ საჭირო იყო ჯერ გეთქვათ ნუნციოსათვის[1], ჩანს, რომ მან ეს არ მიიღო კარგად და დიდი სიამოვნება არ გამოუმჟღავნებია იმ წინადადებებისადმი, რაც აქ ჩამოიტანეს (საქართველოდან –ე.მ.). ამიტომ მე მიმაჩნია გადაეცეს ყველაფერი ეს თქვენს ბრწყინვალებას, ამ რუკასთან ერთად, იგი გადაეცეს განსახილველად საბჭოს, რათა პირველ რიგში განხილულიქნეს ის, რაც წერია ამ მოხსენებაში“[2]. ჩანს, რომ ხუან დე ვილიელამ იცოდა სინამდვილეში რაც ეწერა თეიმურაზ მეფისა და იერუსალიმის პატრიარქის სიგელებში.

საქართველოს ელჩმა და მეფის წერილმა წარმოშვა საქართველოზე მეტის ცოდნის აუცილებლობა. ამიტომ შეიქმნა მიმოხილვითი ხასიათის „ცნობები იბერიაზე, იბერებზე და ქართველებზე, მათ საზღვრებზე, ქრისტიანობაში მათ მოქცევაზე, წესჩვეულებებზე, სამხედრო ძალებზე, მათ განზრახვებზე და სხვა“, რომელსაც უნდა შეევსო ცოდნის ის ხარვეზი, რაც ესპანეთის სამეფო კარზე არსებობდა საქართველოს შესახებ. მიმოხილვა დაწერილი უნდა იყოს, ერთობლივად, ნიკიფორე ირბახისა და კონსტანტინე სოფიას მიერ. მასში მოკლედ განხილულია ანტიკურ ავტორთა ცნობები საქართველოზე, საინტერესოა მოსაზრებები დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერების ურთიერთობასა და ნათესაობზე, საქართველოს საზღვრების, მეზობლების, მისი გაქრისტიანების, ეკლესიის, შეიარაღებული ძალების, ოსმალეთთან მტრული ურთიერთობისა და ქართველი მეფის სულთნის წინააღმდეგ ამბოხებულებთან კავშირის შესახებ. ხაზგასმულია ოსმალეთის სახელმწიფოს სისუსტე. „ამ და სხვა მოსაზრებით, იბერიის მეფე მოგიწოდებთ, – მიმართავს მოხსენებების ავტორი (ავტორები) ფილიპე IV-ს, – წმიდა წამოწყებისაკენ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამჟამად თურქებს არა აქვთ არც ძალა და არც შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაუწიონ თუნდაც ზოგიერთ შეტაკებასაც კი... სწორედ ამიტომ იბერთა მეფეს გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს ლაშქრობა კონსტანტინოპოლზე და თავის მხრივ თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამ საერთო მტრის წინააღმდეგ

---

[1] რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან.
[2] იქვე, გვ. 424, ლოკ. № 62.

ლაშქრობას და გამოიყენოს თავისი უკანასკნელი ძალები წმინდა კათოლიკური სარწმუნოებისა და მთელი ქრისტიანობის სასარგებლოდ, რათა განდევნოს ამ დესპოტურად დაპყრობილი მიწებიდან ტირანი და მთელი ქრისტიანობის მტერი“[1].

ვიდრე „მოხსენების“ განხილვას გავაგრძელებდე, მანამდე უნდა ითქვას ოსმალეთში მომხდარი იმ აჯანყების შესახებ, რომელთანაც, თითქოს კავშირი ჰქონდა თეიმურაზ მეფეს: „მეფე ასევე დაკავშირებულია დიდი ბატონის (სულთნის –ე.მ.) წინააღმდეგ ამბოხებულ ამბასა ფაშასთან[2]. ეს ფაშა ქართველია, წარმოშობით იბერიიდან[3], ქრისტიანობისა და ხსენებული მეფის [თეიმურაზის] დიდი მეგობარია. ამიტომ მის ლაშქარში ბევრი ქრისტიანი ჯარისკაცია. მთელი მისი ფეხოსანი 80 ათასი კაცისაგან შედგება; და, რომ ეს ამბოხებული ფაშა ცდილობს მიიღოს თანხმობა და თხოვს იბერიის მეფეს შეუტიოს კონსტანტინოპოლს, მაგრამ მეფე მას მაინცდამაინც არ ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს და გამარჯვებას აღწევნენ თურქებთან და სპარსელებთან ბრძოლაში და მათ დაიკავეს როგორც ერთის, ისე მეორე მხარის ბევრი ქალაქი. ასე რომ, თუ მეფე მოისურვებს და განახორციელებს ამ ლაშქრობას, ამბასა ფაშა დაემორჩილება მის ბრძანებებს და ყველგან მიჰყვება მას.

ყველა ამ მოსაზრების გამო, დაინახა რა ქართველთა მეფის შესანიშნავი ძალები, დიდმა ბატონმა გაუგზავნა მას ელჩები და თხოვა მეგობრობა და გამოთქვა მზადყოფნა დაუბრუნოს მას მის მიერ ადრე დაპყრობილი ყველა მიწა და პროვინცია და ასევე აჩუქოს ქალაქი სესარეა[4] კაპადოკიაში... მაგრამ მეფე არაფერს დაპირდა ელჩებს, მხოლოდ რამდენიმე კეთილი სიტყვა უთხრა“[5]. შემდეგ აზრი იმგვარად არის განვითარებული, თითქოს თეიმურაზმა იმიტომ არ გასცა გარკვეული პასუხი სულთნის ელჩს, რომ ამის შესახებ ჯერ ესპანეთის მეფეს უნდა მოლაპარაკებოდა და ნიკიფორე ირბახი ამიტომ გააგზავნა მასთან ელჩად.

---

[1] იქვე, გვ. 433, დოკ. №63.
[2] აბაზა ფაშა.
[3] სხვა ცნობით იგი კოლხეთიდან იყო. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 251.
[4] ქალაქი კაისერი.
[5] იქვე, გვ. 432-433.

საეჭვოდ მეჩვენება, რომ ის რაც ნათქვამია „მოხსენებაში“ თეიმურაზ მეფის აჯანყებულ აბაზა ფაშასთან[1] კავშირის შესახებ, სიმართლეს შეეფერებოდეს[2]. თეიმურაზ მეფეს შეიძლება სიამოვნებდა სულთნის წინააღმდეგ აჯანყება და უთანაგრძნობდა კიდეც, მაგრამ პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებით არ შეიძლებოდა აჯანყებულებს დხმარებოდა. მისი ასეთი მოქმედება შაჰ აბასის დახმარების ტოლფასი იქნებოდა, რასაც იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. ამიტომ გაუგებარია მან რატომ „გადაწყვიტა გამოეყენებინა აბაზა ფაშა ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად“[3], მაშინ, როდესაც ყველაფრიდან ჩანს, რომ თეიმურაზი ირანის საწინააღმდეგოდ ოსმალთთან დაახლოებას ცდილობდა და ამის გამო შაჰ აბასი, როგორ აქეზებდა მოსკოვის ხელმწიფეს თეიმურაზის, როგორც არასაიმედო პოლიტიკური პარტნიორის წინააღმდეგ. მოსკოვის მთავრობაც, თავის მხრივ თავის აგენტებს მუდმივად ავალებდა ფხიზლად ედევნებინათ თვალი თეიმურაზ-სულთნის ურთიერთობისათვის და მოსკოვში ეცნობებინათ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ის, რასაც შაჰი ხელმწიფეს სწერდა, ან რა დონეზე იყო თეიმურაზ მეფის ურთიერთობა სულთნის კართან. უფრო მეტიც: „განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის, რომ თეიმურაზ მეფის გეგმით ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა ჩაებათ ირანიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ნიკიფორე ირბახს არ ჰქონდა დავალებული ირანის წინააღმდეგ კოალიციის ორგანიზაცია. მართალია, თეიმურაზ მეფე არ იყო დარწმუნებული, რომ ირანელები ხალისით ჩაებმებოდნენ ამ კოალიციაში, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ოსმალეთთან ომში შესაძლო წარმატების შემთხვევაში ირანიც შეეცდება ოსმალეთს წაართვას ის ქვეყნები, რომელთა ხელში ჩაგდებაზე დიდი ხანია ოცნებობდა“[4]. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, შემდეგი: ბუნებრივია, შაჰ აბასი სიხარულით შეუერთდებოდა ან-

---

[1] იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 86-87; ისქანდერ მუნში, გვ. 132, 133, 137-139, 142, 143; სვანიძე მ., საქართველო-ოსამლეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 207.

[2] ასეთივე პათოსით ამტკიცებს თეიმურაზ მეფესა და აბაზა-ფაშას შორი კავშირს ჯ. ვათეიშვილიც. Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 285-288, 369-373.

[3] სვანიძე მ., საქართველო-ოსამლეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 207.

[4] იქვე, გვ. 208.

ტიოსმალური კოალიციას, რომლის შექმნასაც იგი მთელი მონდომებით ცდილობდა XVII ს. პირველ მეოთხედში, რაც თეიმურაზს სრულებით არ აწყობდა. ერთია რას ამბობდნენ ესპანეთის სამეფო კარზე ნიკიფორე ირბახი და კონსტანტინე სოფია და მეორე, რა ხდებოდა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

გ. ჟორდანიამ, ზემოთ განხილულ ესპანურ წყაროს, გამოქვეყნებულს ჯ. ვათეიშვილის მიერ გაზეთ „კომუნისტში“, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. იმის გამო, რომ მან აბაზა ფაშა, „მოხსენების“ მიხედვით, წარმოშობით ქართველი, გამუსლიმანებული, ქრისტიანი და, განსაკუთრებით, თეიმურაზ მეფის მეგობარი და დიდი ჯარის პატრონი იყო, გ. ჟორდანიამ მასში ირანის შაჰ აბას I-ის კარზე აღზევებული იმამყული-ხანი ივარაუდა. „უკეთუ ეს ჩვენი ჰიპოთეზური მოსაზრება მართებულია, – წერდა გ. ჟორდანია, – „ამ ბახა ბახა რებელდეს“ (აბაზა ფაშა –ე.მ.) სახით ნიკიფორეს მართლაც იმამყული-ხანი უგულისხმია, გამოდის, რომ სწორედ შირაზის ხანი ყოფილა მთავარი ინიციატორი ირანის შაჰისა და ქართლ-კახეთის მეფის ერთობლივი ანტიოსმალური კავშირის შეკვრისა, ხოლო ირანის შაჰის მხრივ ამ ანტიოსმალურ ლაშქრობაში მონაწილეობას თვით იმამყული-ხანი კისრულობდა, რისთვისაც მას მზად ჰყოლია დიდი ლაშქარი“[1].

როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაზ I-ის დიპლომატია არ იყო მიმართული იქითკენ, რომ აბაზა ფაშა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოეყენებინა, ან ირანთან შეეკრა ანტიოსმალური კავშირი. აქედან გამომდინარე ვერც აჯანყებულ ფაშას დაუჭერდა მხარს. რაც შეეხება იმამყული-ხანის და თეიმურაზ მეფის კავშირს, უფრო მეტიც, ამ გამუსლიმანებული ქართველი დიდებულის ინიციატივით ანტიოსმალური საქმიანობაზე ვარაუდის დაშვების საფუძველი არ არის.

„მოხსენებაში“ გადმოცემულია მიზანი, რომლისთვისაც თეიმურაზ მეფემ თავისი სულიერი მამა ესპანეთის მეფესთან გაგზავნა. ელჩს დაევალა აცნობოს მას თავისი მეფის განზრახვები,

---

[1] ჟორდანია გ., თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, „მნათობი“, №5, 1984, გვ. 146.

და თუ იგი მხარს დაუჭერს მათ, მაშინ იბერთა მეფე მის სამსახურში იქნება თავისი ხალხით.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ იბერთა მეფეს დადგენილი ჰქონია ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყების თარიღი და ლაშქრობის მიმართულება: „იბერთა მეფემ მოხაზა ამ წმ. წამოწყების დრო და დაწყების შემდეგი გეგმა და ამბობს შემდეგს: თუ ელჩი (ნიკიფორე –ე.მ.) დროულად დაბრუნდება და ჩამოიტანს მისი უდიდებულესობის თანხმობას, ლაშქრობის დაწყება შეიძლება მომავალი – 1628 წლის გაზაფხულზე, ხოლო თუ არა, შეიძლება იგი გადაიდოს შემოდგომამდე რამდენადაც იბერები, ქართველები აღზრდილნი არიან ისე, რომ შეუძლიათ იომონ როგორც ზამთარში, ისევე ზაფხულში. ისინი ოქტომბერში ჯერ გაილაშქრებენ ტრაპიზონში და იქიდან განაგრძობენ გზას, გასწევენ კაპადოკიასა და ბითინიიდან წინ და მივლენ ქალაქ ბურსამდე, კაბესამდე ხსენებულ პროვინციაში, რომელიც მდებარეობს კონსტანტინოპოლიდან სამი დღის სავალზე და ამ ქალაქში იბერები ფიქრობენ ჯარმა ზამთარი გაატაროს, მისი უდიდებულესობის დახმარებისა და ესკადრის მოლოდინში“[1].

შემდეგ აღნიშნულია, ესპანეთის მხრიდან სამხედრო ექსპედიციაში როგორი გალერები მიიღებს მონაწილეობას. „ერთდროულად შეიძლება იმედი გვქონდეს კაზაკებისა და რეჩ პოსპოლიტის მეფის სხვა ქვეშევრდომებისა, რომლებიც დაგვეხმარებიან თავიანთი ნავებით ხალხის გადასაყვანად სრუტეებზე“. იქვე გამოთქმულია იმედი, რომ ოსმალეთზე საომრად მიმავალთ შეუერთდებიან სხვა ქრისტიანები, კერპთაყვანისმცემლები, „რომლებსაც სურთ დაინახონ რომელიმე ქრისტიანი მეფის დროშა, რათა გაერთიანდნენ მის ქვეშ“. „ცნობების“ მკითხველს ავტორები ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიან, რომ ლაშქრობისათვის სამზადისი, თითქოს, ისეთ ფაზაშია, რომ „მიუხედავად თავისი გადაწყვეტილებისა და გეგმისა, იბერთა ანუ ქართველთა მეფე მზად იქნება მიიღოს მისი კათოლიკური უდიდებულესობის რჩევა და მისი

[1] დოკუმენტები, გვ. 435. შდრ. ტაბდუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 176.

თანხმობის გარეშე არ გადადგამს არც ერთ ნაბიჯს ამ წმიდა წამოწყების მიმართ“[1].

მას შემდეგ რაც თეიმურაზ მეფის „სურვილები და მოსაზრებანი“ ესპანეთის ხელისუფლების ინტერესებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი[2], ამის შემდეგ, მეფის ბრძანებით, თეიმურაზ მეფის წერილის თარგმანი და ნიკიფორეს მიერ წარდგენილი სხვა წერილებიც, გადაეცა სახელმწიფო საბჭოს. წარდგენილი მასალები საბჭომ 1627 წლის 29 ივლისს გულდასმით განიხილა და მისი თითოეული წევრის მოსაზრება მეფეს წარუდგინა. მოხსენებითი ბარათის მიხედვით, საბჭოს წევრების წინადადებები და მოთხოვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მეფეს რეკომენდაციას აძლევენ განსახილველად მიიღოს საქართველოს მეფის წინადადება (დონ ავგუსტინ მესია, ჰერცოგი დე ფერია).

2. საბჭოს სამი წევრისაგან შემდგარმა კომისიამ მოუსმინოს ნიკიფორე ირბახს (დონ ავგუსტინ მესია, გრაფი დე მონტერეი, გრაფი დე ჩინჩო).

3. აუცილებებლი იყო ქართველ მეფეს ჯერ პაპისათვის შემდეგ კი ესპანეთის მეფისათვის მიემართა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პაპის აზრს (დონ ავგუსტინ მესია, მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, სულიერი მამა).

---

[1] დოკუმენტები, გვ. 433-434.

[2] რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებ გ. ჟორდანიას მოსაზრებას, თითქოსდა „საფიქრებელია, უცხოეთში ყოფნისას ნიკიფორე ჩოლოყაშვილი დროდადრო ახერხებდა მიმოწერას თეიმურაზთან, ალბათ ატყობინებდა მბრძანებელს თავისი დიპლომატიური მისიის მიმდინარეობის შესახებ და ეკითხებოდა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, ალბათ, თეიმურაზისგანაც მისდიოდა მას ცნობები“ (ჟორდანია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 146). თუ გავითვალისწინებთ გადაადგილების საშულებებსა და მისთვის საჭირო დროს, მაშინ ამგვარი კონტაქტების და კავშირების სწრაფად განხორციელება შეუძლებელი იყო. ელჩებს ან შიკრიკებს, თავიანთი მოვალეობის შესრულებისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის წლები ჭირდებოდათ. ძალიან ხშირად ელჩი ვიდრე მიღწეულ შედეგს სამშობლომდე მიიტანდა, მას პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა.

4. იბერიის მეფეს გაეგზავნოს ესპანეთის მეფის წერილი, რომელშიც აისახება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (დონ ავგუსტინ მესია).

5. იბერიის მეფეს უპასუხონ დამაკმაყოფილებელი დაპირებებით (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, დონ ხუან დე ვილიელა).

6. არის თუ არა ნიკიფორე ირბახი იბერიის მეფის ელჩი? ამის გარკვევა დაევალოს ესპანეთის ელჩს რომში გრაფ დე ონიატეს ან ნეაპოლის ვიცე მეფეს ჰერცოგ ალბას. ამ უკანასკნელს დაევალა, აგრეთვე, ინფორმაციის შეგროვება საქართველოზე (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, მარკიზი დე ლა ინოხოსა, გრაფი დე მონტერეი, სულიერი მამა, დონ ხუან დე ვილიელა, ჰერცოგი დე ფერია, გრაფი დე ჩინჩო).

7. ოსმალეთის წინააღმდეგ ომზე თავშეკავება, რამდენადაც ის ქვეყანა (საქართველო), რომელიც ომში დახმარებას ითხოვს არ არის კათოლიკური. ამდენად ომი სარგებელს არ მოუტანს კათოლიკურ ეკლესიას (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი).

8. იბერიის მეფისათვის დახმარება გამოიწვევს ოსმალეთის ყურადღების აღმოსავლეთით გადატანას, რაც სასარგებლო იქნება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი გერმანიისათვის (მარკიზი დე ლა ინოხოსა).

9. იბერიაში გაიგზავნოს ერთი ან რამდენიმე კაცი, რომლებიც შეისწავლიან ქვეყნის მდგომარეობას და მის სამხედრო პოტენციალს (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, მარკიზი დე ლა ინოხოსა, ჰერცოგი დე ფერია).

10. ესპანეთის ომმა, ოსმალეთის წინააღმდეგ შეიძლება გამოიწვიოს მუსლიმანური ქვეყნების ანტიესპანური კოალიციის შექმნა, რაც არასასურველია (დონ ფერნანდო ხირონი, გრაფი დე მონტერეი).

11. ელჩის დასაჩუქრება და სამგზავრო ფულით უზრუნველყოფა (მარკიზი დე ლა ინოხოსა, სულიერი მამა, გრაფი დე სეგორბე, გრაფი დე ჩინჩო)[1].

---

[1] იქვე, გვ. 449-457, დოკ. №65

როგორც ითქვა, სახელმწიფო საბჭოს მოთხოვნით შეიქმნა სამკაციანი კომისია, რომელმაც წინასწარ მომზადებული კითხვები დაუსვა ნიკიფორეს და მისგან მიიღო შესაბამისი პასუხები. ყველაფერი ეს აისახა დოკუმენტში, რომელიც, თარგმნილია ქართულად და გამოქვეყნებულია ლუის ხილი ფერნანდესისა და ი. ტაბადუას მიერ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო იგი ვერ მოხვდა ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში. რამდენადაც ეს დოკუმენტი წარმოდგენას გვიქმნის ნიკიფორე ირბახზე, როგორც პოლიტიკოსსა და დიპლომატზე, ასევე ესპანეთის სამეფო კარის დიპლომატების საქართველოს მიმართ ინტერესებსა და უცხოელ დიპლომატთან ურთიერთობის მეთოდებსა და ნორმებზე, მას მოვიყვან კუპიურების გარეშე:

„1627 წლის 20 სექტემბერი.

კომისიის მოხსენება ფილიპე IV-ს.

ხელმწიფევ:

ვასრულებთ რა იმას, რაც თქვენმა დიდებულებამ უზრუნველჰყო ბრძანებით, შევიკრიბეთ დონ ავგუსტინ მესიას სახლში გრაფი დე ლემოსი და ჰერცოგი დე ფერია (ავადმყოფობის გამო კომისიას ვერ დაესწრო ხუან დე ვილიელა). განვიხილეთ სახელმწიფო საბჭოზე წარდგენილი რეკომენდაციები და ყველა დოკუმენტი, სადაც ლაპარაკია თქვენი უდიდებულესობისადმი იბერიის მეფის სახელით მისი ელჩის ნიკიფორე ირბახის მიერ წარდგენილ წინადადებებზე. კომისიამ აღნიშნული შემადგენლობით განიხილა მასალა, გაეცნო დოკუმენტებს და შემდეგ საჭიროდ ჩათვალა მოესმინა ხსენებული დონ ნიკიფორესათვის, რათა დაესვათ მისთვის ის კითხვები, რომლებიც აქვე იქნება ჩამოყალიბებული, რათა გვქონდეს ცნობები მის პასუხებზე და შეგვეძლოს მივმართოთ რჩევისათვის თქვენს დიდებულებას უფრო ზუსტი ცნობებით და ცოდნით ამ წინადადებების არგუმენტებზე, რომლებსაც გვთავაზობენ.

1. მოვიდა რა კომისიაზე ხსენებული ელჩი, თქვენი უდიდებულესობის მსახურის კონსტანტინე სოფიას საშუალებით მას უთხრეს, თუ რამდენად სასიამოვნო იყო თქვენი უდიდებულესობისათვის იბერიის ელჩობის ჩამოსვლა და იმდენადვე სასიამოვნო [წერილების ჩამოტანა] გონიერი და კეთილი პიროვნების მხრიდან, როგორიცაა ზემოხსენებული ელჩი და რომ იგი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ როგორც კი შესაძლებლობა იქნება, დაკმაყო-

ფილდება მისი თხოვნა, იქნება მხარდაჭერა და, რომ ასეთი იყო თქვენი უდიდებულესობის განზრახვა.

2. გაითვალისწინეს რა ყოველივე, ელჩს უთხრეს, რომ წამოწყება, რომელზედაც ლაპარაკია, დიდია და რომ თქვენი დიდებულება ჩაწვდა რა მის არსს, ძალიან სურს პირველ რიგში გათვალისწინებული იყოს იბერიის მეფის ინტერესები და ყველაფერი რის შესახებაც აქ ელჩი ამბობდა ლაშქრობის განზრახვაზე სკუტარში 100-ათასიანი ცხენოსნით, რაც შეადგენს მთელს მათ ძალას და რომ დაბლობებზე ეს შეტევა უნდა იყოს იმდენად მოულოდნელი და სწრაფი, რომ დიდმა ბატონმა (ოსმალეთის სულთანმა – ე. მ.) ვერ შეძლოს მისი ვერც გათვალისწინება და ვერც მოგერიება. მხედველობაში მისაღებია, რომ დიდი ბატონის ძალები იმდენად დიდია, რომ მოკლე ხანში მას შეუძლია თავი მოუყაროს დიდ არმიას იბერიის მეფის თავდასხმის მოსაგერიებლად.

3. გარდა აღნიშნულისა კიდევ ითქვა, რომ თუ იბერები მიაღწევენ სკუტარიმდე და გაივლიან კაპადოკიას და ბითინიას, ისინი ზურგში დატოვებენ დიდი ბატონის ბევრ ციხე-სიმაგრეს და, რომ თურქებს განზრახული არა აქვთ მათი დაკარგვა. როგორ შეიძლება ამ ადგილების შენარჩუნება.

4. ელჩს ასევე ჰკითხეს, ისინი თავს დაესხმიან რა დიდ ბატონს, ხსენებული 100-ათასიანი ცხენოსნით, ისინი იმდენად მოწყდებიან თავიანთ პროვინციებს, დატოვებენ თუ არა ძალებს უშიშროებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ირანის შაჰი, რომელთანაც ადრე ომი ჰქონდათ, თავს დაესხმება და შეიჭრება საქართველოში დიდი სომხეთის ტერიტორიიდან ან სხვა მხრიდან.

5. როგორ შეიძლება დაებრუნებინათ ირანის შაჰის მიერ დაპყრობილი სამეფოები, რომელზეც ელჩი თავის ერთ-ერთ წერილში ამბობს, რომ იბერიის მეფემ ირანის შაჰს გაუმართა ორი ბრძოლა და ორივე ბრძოლაში გაიმარჯვა.

6. რომ ყოველთვის, როცა თქვენი დიდებულება იწყებდა ლაშქრობას სხვა სარწმუნოების მეფის წინააღმდეგ, ყოველთვის აკეთებდა ამას კეთილგონიერებით, მისი უწმინდესობის (რომის პაპის – ე. მ.) ლოცვა-კურთხევით. ამიტომ კომისიას სურდა ცოდნოდა: როგორც ითქვა, ელჩს მიაქვს თუ არა იბერიის მეფის წერილი მისი უსამღვდელოესობასთან და იბერიის მეფე რა ფორმით ემორჩილება მის უსამღვდელოესობას, რომის პაპს.

7. იმ შემთხვევაში თუ თქვენი დიდებულება გადაწყვეტს გაგზავნოს ეს ელჩი ნეაპოლის ვიცე-მეფესთან იმისათვის, რათა მათ გაგზავნონ ადამიანები, რათა გაეცნონ იბერიის მეფის ძალებსა და სხვა დანარჩენი ცნობების მისაღებად, რაც აინტერესებს თქვენს დიდებულებას, როგორ ფიქრობს ელჩი, რა გზით შეიძლება აღნიშნული პირთა გაგზავნა და რამდენად უშიშარია ეს გზა.

1. პირველ კითხვაზე ელჩმა უპასუხა თავაზიანობით და პატივით, თქვა რა, რომ მისმა მეფემ და ბატონმა იგი აქ გამოგზავნა, რათა წარედგინა თქვენი უდიდებულესობისათვის თავისი სურვილები და განზრახვები; დაერწმუნებინა თქვენი დიდებულება, მისდამი თავისი ვასალურ მორჩილებაში.

2. ამ ნაწილში ჩამოყალიბებულ კითხვას ელჩმა უპასუხა, რომ იბერების მიერ თურქებთან ომის წარმოების მეთოდი ძალიან განსხვავდება იმ მეთოდისაგან, რომლითაც სარგებლობენ ჩრდილოელები იმიტომ, რომ აქ არის ციხე-სიმაგრეები, ხოლო იქ ისინი არ არის. ამასთანავე, იბერებს ბევრჯერ უბრძოლიათ დიდი ბატონის ჯართან და ამ ბრძოლებში იმარჯვებდნენ მათზე; რომ ამჟამად თურქეთის იმპერია ძალიან შელახულია და რამდენადაც იბერიის მეფის მიერ შეტევა მიყენებული იქნება ფარულად და სწრაფად, რათა დიდმა ბატონმა ვერ შეძლოს თავიდან აიცდინოს ეს და რომ პროვინციები, რომლებზედაც ჯარი გაივლის, გაიგებენ, რომ თქვენი დიდებულება მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში, აჯანყდებიან და იარაღს მიმართავენ დიდი ბატონის წინააღმდეგ, რაშიც... ელჩი ძლიერ გვარწმუნებდა ჩვენ; ელჩმა დასძინა: იმ ტერიტორიაზე, სადაც მეფემ უნდა შეუტიოს, ვერ მოინახება ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც შეაჩერებს იბერიის მეფის ჯარს, რაშიც ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნდით; და რომ იბერები არასოდეს უკან არ დაიხევენ დაწყებული საქმიდან.

3. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, თავდასხმა უნდა მოხდეს იმდენად მოულოდნელად და ფარულად, რომ მტერს არ მიეცეს მომზადების საშუალება და ყველაფერი ეს უკან დარჩება, დაემორჩილება მეფეს, როგორც მიზანშეწონილად, ისევე სურვილით, განსაკუთრებით იქ მცხოვრები ქრისტიანები, რომლებსაც ეს სურთ და აქეთკენ მიისწრაფიან.

4. რაც შეეხება მებრძოლებს, მეფეს ბევრი ხალხი ჰყავს. დიდ ბატონზე თავდასხმისათვის მას ეყოლება ასი ათასი კაცი, ხოლო

დანარჩენი მისი ძალები დაიცავენ მის სამფლობელოს. იბერიის მეფე იმდენად უყურადღებო როდია, რომ გაილაშქრებს რა ისეთი ძლიერი მტრის წინააღმდეგ, როგორიცაა დიდი ბატონი, დატოვოს თავისი სამფლობელო არა საკმაო დაცვის გარეშე. გარდა ამისა, იბერიის მეფე ფიქრობს, მოელაპარაკოს ირანის შაჰს, რომელიც ეჭვის გარეშე, დაინახავს რა, რომ იბერიის მეფე უტევს მტერს, შეეცდება წაართვას თურქებს (რომლებთანაც ისინი ეწევიან სისხლიან ომს) ის პროვინციები, რომლებიც მათ უფრო უნდათ, ვიდრე ისინი, რომლებიც უნდა დაიკავოს იბერიის მეფემ. ირანს დიდი ხანია თვალი უჭირავს მისი მოსაზღვრე ისეთ ადგილებზე, როგორიცაა სირია, ალეპო და დამასკო.

5. რაც შეეხება ირანის შაჰისაგან ბრძოლით დაბრუნებულ სამთავროებს, მათ დაბრუნებაში მას ეხმარებოდა იბერიის მეფის მეამბოხე ვასალი, ომი გრძელდებოდა ორი წელი, მაგრამ აი უკვე ორი წელია, ამ პროვინციებში სიმშვიდეა.

6. ელჩს ჩამოტანილი აქვს წერილები მისი უწმინდესობისათვის და მათ წარმოადგენს, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ წერს მას იბერიის მეფე და თუ როგორ გამოხატავს მისადმი მორჩილებას; და რომ თუ ელჩმა ეს წერილები არ წარადგინა ადრე, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ჰქონდა მისი მეფის ბრძანება: შეესრულებინა მისი დავალება ჯერ თქვენი უდიდებულესობის წინაშე, ხოლო შემდეგ, გაჰყვებოდა რა თქვენი უდიდებულესობის ბრძანებას, დაემორჩილებოდა მას მთელი პატივისცემითა და ყურადღებით.

7. რომ ელჩი დიდი სიამოვნებით გაემგზავრება ნეაპოლში ან იქ, სადაც მისი დიდებულება ისურვებსს მის გაგზავნას. ასევე მასთან ერთად შეუძლიათ გაემგზავრნონ პიროვნებებეს, რომლებსაც შევარჩევთ გასაგზავნად და რომლებსაც შეუძლიათ დარწმუნდნენ მათი წინადადებების გულწრფელობაში და ისინი მოწყალებით და სიხარულით იქნებიან მიღებული მისი მეფის მიერ. აღინიშნა, რომ ნეაპოლზე გავლის დროს ელჩს გაუგია, რომ იბერიაში მიემგზავრებოდა ორი თეატინელი ბერი, იქაური ხალხის თავის სარწმუნოებაში მოსაქცევად და იქ მისიონის შესაქმნელად. ელჩმა მათ მისცა სარეკომენდაციო წერილები მეფისათვის, რომელიც მიიღებს რა ამ წერილებს, მათ კარგად შეხვდება და კარგად მიიღებს.

8. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა წარედგინა თქვენი უდიდებულესობისათვის მოლაპარაკების მთელი შინაარსი და რომ ელჩი როგორც პიროვნება ჩანს ძალიან ჭკვიანი და სავსებით გონივრული პასუხები მოგვცა ყველა შეკითხვაზე და წინადადებაზე; და რომ სამართლიანი იქნება აღმოუჩინოთ მას პატივისცემა და პატივი.

რაც შეეხება მთავარ საკითხს, კომისია შეეცადა გაეკეთებინა სამართლიანი დასკვნები, ელჩის წინადადებების სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ მაინც გვგონია, რომ საქმე შეიძლება წარმართო ისე, რო ამ მეფესთან მეგობრობისაგან და მიწერ-მოწერისაგან შეიძლება მიღებულიქნეს მოგება. რამდენადაც ეს ელჩი ამბობს, რომ შეიძლება აქედან გაიგზავნოს ადამიანები, რათა მათ გაეცნონ და გაიგონ, თუ რამდენად სწორია მათი წინადადებები. კომისია თვლის, თუ ერთადერთი მოგება აქედან იქნება თუნდაც მხოლოდ ზუსტი და მართალი ცნობები ლევანტის შესახებ, რომლებიც გვაკლია მათი მეტად საჭიროების დროს; თქვენი უდიდებულესობის მხრიდან დიდი სამსახური იქნება გაგზავნოთ მასთან ერთად მეტად კეთილშობილი, გამოცდილი ადამიანი, რათა მან შეისწავლოს ამ ქვეყნის ვითარება და მდგომარეობა, შეაფასოს მათი ძალები და დაადგინოს ყოველივე ის, რაც შეიძლება ჩვენთვის სასურველი იყოს, ჩამოიტანოს განსაკუთრებული ცნობები და წარადგინოს მოხსენებითი ბარათი. ამიტომ ამ ელჩს სურს, რომ ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდეს მეტად საიდუმლოდ და არ უნდა გახდეს ცნობილი; თუ რომელიმე საკითხი გაიგზავნება ნეაპოლისა და სიცილიის ვიცე-მეფეებთანთან, არ გაიპაროს საიდუმლოება და არ გაიგონ ჯაშუშებმა, რომლებიც ორივე ადგილას ბევრნი არიან.

ამ სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით კომისიამ იმსჯელა და უკეთ მიიჩნია ამ განზრახვისათვის ბანლიოს გრაფის ხუან ვისენსო დე სან ფელიჩეს კანდიდატურა, რომელსაც თქვენმა დიდებულებამ უბოძა წყალობა – მომავალში არმადის ერთი მესამედის სარდლობა, შეუძლიათ მას მისცენ ორი სხვა თანამგზავრი, ასევე იტალიელი, რომლებიც დაემორჩილებიან მის განკარგულებას და პიროვნებები, რომლებიც სასურველი იქნება მისთვის. ამასთანავე, კომისია თვლის, რომ უკეთესია, თუ ისინი იქნებიან იტალიელები და ესპანელები; ამ პიროვნებებს და ელჩს

შეუძლიათ გაემგზავრონ იმ თეატინელებთან[1] ერთად, რომლებიც როგორც ცნობილი გახდა, ახლა მიემგზავრებიან რომიდან იბერიაში, რათა იქ იქადაგონ წმინდა სახარება. საიდუმლოების დაცვის მიზნით, საჭირო მათ იგივე ბერების ტანისამოსი ჩაიცვან. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი დიდებულება საჭიროდ ჩათვლის მიიღოს ეს გადაწყტვეტილება, საჭირო იქნება ხსენებულ ხუან ვისენსიომ და იმათ, ვინც მასთან ერთად გაემგზავრება, მიეცეთ ყოველივე აუცილებელი ასეთი ძნელი მოგზაურობისათვის.

კომისია ასევე თვლის, რომ თქვენს დიდებულებას შეეძლო ეპასუხა იბერიის მეფის წერილზე საუკეთესო ფორმით და დაპირებებით გულწრფელ მეგობრობაზე და თქვენი უდიდებულესობის კარგ ურთიერთობაზე, რომელიც ხედავს და განჭვრეტს, რომ მომავალში უკეთ იქნება უზრუნველყოფილი.

მადრიდი, 1627 წლის 20 სექტემბერი.

კონვერტზე: „კომისია, რომელიც შეიკრიბა დონ ავგუსტინ მესიას ბინაზე, იბერიის მეფის წინადადებების განსახილველად“[2].

რა შეიძლება ითქვას ესპანეთის სამეფო საბჭოს კომისიის მიერ დასმულ, კარგად მოფიქრებულ, კითხვებზე და ქართველი ელჩის მიერ გაცემულ პასუხებზე. სრულიად გასაგებია, რომ ნიკიფორეს პასუხები არ ასახავდა ქართულ სინამდვილეს. ისინი შეესაბამებოდა კონსტანტინე სოფიას ავანტიურისტულ ზრახვებს. გასათვალისწინებელია, რომ ეს უკანასკნელი თარჯიმნობდა კითხვა-პასუხის დროს. თუ ნიკიფორეს გამართლება გვინდა, შეიძლე-

---

[1] თეატინელების ორდენი დააარსა კაეტან თიენელმა 1480 წელს. 1516 წელს მან დაარსა ბერების მცირე თემი ერთობლივი ლოცვის, განსჯისა და მქადაგებელთა მომზადებისათვის. თემის მთავარი მიზანი იყო ბრძოლა ერესის წინააღმდეგ მშვიდობიანი საშუალებებით. მოძრაობამ გაძლიერდა მაშინ, როდესაც წმ. კაეტანი გაეცნო თეატინელ ეპისკოპოსს ჯოვანი პიეტრო კარაფას, მომავალ პაპს პავლე VI-ს. წმ. კაეტანის იდეა მდგომარეობდა რეგულარული ბერების ორდენის დაარსებაში, რომლებიც არ სდებდნენ ტრადიციულ აღთქმას. ორდენში შესვლისას ბერები სდებდნენ სიღარიბის, კეთილგონიერების და მორჩილების აღთქმას, მაგრამ ისინი იმავე დროს აგრძელებდნენ სამრევლო მღვდლების მოვალეობას. ორდენი დარსდა 1524 წელს, მისი წესდება კი დაამტკიცეს 1540 წელს.

[2] იქვე, გვ. 458-462, დოკ. №66. ამ დოკუმენტის შინაარსი და ამონარიდები იხ. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 167-168.

ბა ვიფიქროთ, რომ ელჩის პასუხებს თარჯიმანი ამახინჯებდა და მათში სულ სხვა შინაარსს დებდა. მაგრამ ეს დაუჯერებლად მეჩვენება. იტალიურის მცოდნე ნიკიფორე არ შეიძლებოდა არ მიმხვდარიყო, რომ კ. სოფია მის ნათქვამს არასწორად გადასცემდა მსმენელებს. საეჭვოა, რომ თარჯიმანი ამგვარ რისკზე წასულიყო და შეგნებულად დაემახინჯებინა ნიკიფორეს ნათქვამი.

მას შემდეგ რაც გავეცანით, კონსტანტინე სოფიას მიერ „თარგმნილ“ თეიმურაზ მეფის წერილსა და სხვა დოკუმენტებს, რომლების თარგმანსა თუ შექმნაში ასევე ნიკიფორეს ხელიც ერია, ***უეჭველი ხდება, რომ მან შეძლო ნიკიფორეს დარწმუნება, რომ სინამდვილის ამგვარად გაყალბებით სიკეთეს მოუტანდა საქართველოსა და მის მეფეს. ნიკიფორე ასეთ დათმობაზე წავიდა მას შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სიმართლის თქმით საქართველო ესპანეთის ხელისუფლებისათვის სრულიად უინტერესო გახდებოდა.***

ქართველ ელჩთან გასაუბრების შემდგომი პერიოდის მასალები ნათელს ხდის, რომ ნიკიფორემ შეძლო ესპანეთის მთავრობა საქართველოსათვის დახმარებისათვის განეწყო. ნიკიფორე ჩოლოყაშვილთან გასაუბრებით კმაყოფილი ფილიპე IV-ის კარისკაცების მიერ „გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ეს შესაძლებლობა მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოს მეფესთან“. საელმწიფო საბჭომ განიხილა ნიკიფორეს მიერ კომისიის წინაშე, თავისი მეფის სახელით, გამოთქმული მოსაზრებანი და 1627 წლის 1 სექტემბერს წარდგენილ მოხსენებაში მეფეს ურჩია მის კარისკაცებს შეესწავლათ ქართველი მეფის წინადადებები. გადაწყდა გაერკვიათ რამდენად სწორად ასახავდა ქართველი ელჩის ინფორმაცია მისი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებს[1].

იქვე წამოაყენეს წინადადება ნიკიფორესთან ერთად საქართველოში გაეგზავნათ გამოცდილი ადამიანი, რომელიც შეაგროვებდა ინფორმაციას „აღმოსავლეთზე“. აირჩიეს კიდეც ის ადამიანები ვინც ნიკიფორესთან და თეატინელ მისიონერებთან ერთად

---

[1] იქვე, გვ. 463, დოკ. №67.

საქართველოში წამოვიდოდნენ, გადაწყდა წარგზავნილთა დაფინანსების საკითხიც[1].

იმავე წლის 22 ოქტომბერის მოხსენებითი ბარათიდან უკვე ჩანს, რომ მეფესთან კონსულტაციის შემდეგ „საბჭომ გადაწყვიტა და ჰგონია, რომ შეიძლება მიიღოს წინადადებები, რომლებიც თქვენს დიდებულებას შესთავაზა იბერიის მეფის სახელით მისმა ელჩმა“[2]. როგორც ითქვა საქართველოში გასაგზავნი პიროვნებაც შეირჩა „ელჩის (ნიკიფორეს –ე.მ.) თანამგზავრად“. ეს იყო ხუან ვისენსიო დე სან ფელიჩე. მეფემ საბჭოს დაავალა იმ ადამიანების შერჩევა, რომლებიც ესპანეთის ელჩს საქართველოში გაჰყვებოდნენ[3].

1627 წლის 11 ნოემბრის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ სახელმწიფო საბჭომ გადწყვიტა ნიკიფორე დააჯილდოვოს 2 ათას დუკატად შეფასებული ოქროს ჯაჭვით, ხოლო ესპანეთის ელჩი, საქმის კარგად დამთავრების შემდეგ დააწინაუროს და პრივილეგიებიც მიანიჭოს[4]. ამის შემდეგ რატომღაც შეიცვალა თავდაპირველი გეგმა ქართველი და ესპანელი ელჩების თანამგზავრობის შესახებ და 1628 წლის 4 იანვარს სახელმწიფო საბჭო მეფეს მოახსენებდა, რომ მისი ბრძანების შესაბამისად ნიკიფორე ირბახს უნდა აცნობონ, რომ მას შეუძლია სამშობლოში დაბრუნდეს. „გარდა ამისა, ხსენებულ დონ ნიკიფორეს სიტყვიერად მოახსენებენ, რომ თქვენი დიდებულება გაგზავნის იბერიაში პიროვნებას წერილით, რომელშიც გამოთქვამს მისი დიდებულება თავის სურვილებს და, რომ (ფილიპე IV-ის წარმომადგენლის –ე.მ.) გამგზავრება მოხდება მოსკოვის გავლით; ამ პიროვნებას მიეცემა საშუალება იბერიის მეფესთან გაეცნოს მდგომარეობას, ხსენებული ელჩის (ნიკიფორეს –ე.მ.) გამოგზავნაზე და მის მიერ ჩამოტანილ ცნობებზე“[5].

გაუგებარია რამ გამოიწვია, იმ გადაწყვეტილების მიღება, რომ ქართველი და ესპანელი ელჩები სხვადასხვა გზით წასუ-

---

[1] ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორესტანი, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

[2] ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დასახ.. ნაშრ., გვ. 464, დოკ., 68.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 465, დოკ. №69.

[5] იქვე, გვ. 467, დოკ. №70.

ლიყვნენ. შეიძლება ეს მოხდა ნიკიფორეს მიზეზით, რადგან ის აუცილებლად უნდა სწვეოდა პაპს რომში და თავისი მეფის სახელით მასთან მოლაპარაკება გაემართა. ნიკიფორეს რომში წასვლას მოითხოვდა ესპანეთის სახელმწიფო საბჭოც. მეფე თეიმურაზს პაპისადმი მორჩილება და კათოლიკობა უნდა ეღიარებინა.

1628 წლის 8 იანვარს დონ ხუან დე ვილიელა ნიკიფორე ირბახს სწერდა: „გაეცნო რა მეფე, ჩვენი ბატონი, იბერიის ბატონ მეფის წერილს მისი უდიდებულესობისადმი თქვენი მოწყალების საშუალებით და ასევე წერილებს, რომლებიც თქვენ წარმოადგინეთ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებმაც თქვენ ამ სასახლეში მოგიყვანათ, მისმა დიდებულებამ ბრძანა გადავცე თქვენს მოწყალებას შემდეგი:

– რომ მისი დიდებულება უპასუხებს წერილზე, რომელიც თქვენმა მოწყალებამ გადასცა მას ხსენებული ბატონი მეფის სახელით და ბრძანებს ეს წერილი გადასცენ თქვენს მოწყალებას[1].

– რომ მისი დიდებულება სულ მოკლე ხანში გაგზავნის თავის ელჩს, რომელიც საფუძვლიანად განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც თქვენმა მოწყალებამ აქ წარმოადგინა და, რომ ეს ელჩი გაემგზავრება მოსკოვის გზით.

– რომ მისი დიდებულება ასევე მისწერს წერილებს ნეაპოლისა და სიცილიის ვიცე მეფეებს, რათა დაგეხმარონ და მფარველობა აღმოუჩინონ თქვენს მოწყალებას იქ ყოფნის დროს[2].

– რომ ეს წერილები დაუყოვნებლივ გადაეცემა თქვენს მოწყალებას, რათა შეძლო გაემგზავროთ, როგორც ეს შესაძლებელი იქნება“[3].

---

[1] 11 იანვარს უკვე არსებობდა განკარგულება მოემზადებინათ თეიმურაზ მეფისათვის გასაგზავნი წერილის ლათინური თარგმანი, რათა იგი მეფისათვის წარედგინათ ხელმოსაწერად. (იქვე, გვ. 470, დოკ. №73). ამგვარად 11 იანვარს ჯერ კიდევ არ არსებობდა წერილის ლათინური თარგმანი და ვერც იქნებოდა იგი მზად მეფისათვის ხელის მოსაწერად წარსადგენად. შდრ. ტაბაღუა ი., დასახ.. ნაშრ., II, გვ. 179.

[2] სახელმწიფო საბჭომ მეფეს ურჩია წერილი გაეგზავნა ესპანეთის ელჩისათვის რომში, რათა იმასაც ჯეროვანი ყურადღება გამოეჩინა ნიკიფორეს მიმართ. იქვე.

[3] იქვე, გვ. 468, დოკ. №71.

ორი დღის შემდეგ, 10 იანვარს ნიკიფორემ სამადლობელო ბარათი გაუგზავნა ხუან დე ვილიელას: „... მისი უდიდებულესობის (ფილიპე IV-ის –ე.მ.) მითითებით და თქვენი მოწყალების მოქმედებით, გამომიგზავნეს [ყველაფერი] ზუსტად[1] და რომ თქვენი მოწყალება მატყობინებს, რომ მისი დიდებულება აგზავნის საგანგებო ელჩს მოსკოვის გზით, მე ეს მეჩვენება ძალიან საჭიროდ.

ასევე მე ძალიან გახარებული ვარ მისი უდიდებულესობის წერილით რომში მისი ელჩისადმი და ვიქნები ბედნიერი მივიღო მისი უდიდებულესობის წერილი მისი უწმინდესობისადმი ჩემს პიროვნებაზე რეკომენდაციით და, თუ გარდა ამისა არის კიდევ რაიმე განსაკუთრებული, რაზედაც ლაპარაკია ჩემი მეფის (თეიმურაზ II –ე.მ.) მისი უწმინდესობისადმი, ბედნიერი ვიქნები მივიღო მითითებები.

რაც შეეხება წერილებს ნეაპოლისა და სიცილიისათვის, ვევედრები მის დიდებულებას მათ მოკლე შინაარსზე, რათა ჩემი გამგზავრების დაგვიანება იყოს რაც შეიძლება მოკლე. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მზადა ვარ გასამგზავრებლად როგორც კი მოისურვებს თქვენი მოწყალება...“[2]

21 იანვარს ხუან დე ვილიელა გრაფ ჰერცოგს მოკლე ბარათით ატყობინებს, რომ ქართველი ელჩისათვის საჩუქრად გადასაცემი ოქროს ჯაჭვი დროულად უნდა მოამზადონ, ხოლო „წერილები, რომლებიც (ნიკიფორემ –ე.მ.) უნდა წაიღოს რომში და თავის ბატონთან, მას გადაეცემა უფრო გვიან“[3].

ფილიპე IV-ის წერილი თეიმურაზ II-ისადმი დათარიღებულია 1628 წლის 31 იანვრით. „ფილიპე IV-ის პასუხი თეიმურაზს. თქვენი ბრწყინვალების წერილიდან, დონ ნიკიფორე ირბახის მიერ გადმოცემული ეპისტოლედან და აგრეთვე მის მიერ სიტყვიერად მოხსენებულიდან ჩანს, თქვენი ბრწყინვალების კეთილი განზრახვები და

---

[1] ყველაფერში არ იგულისხმება წერილები, როგორც ი. ტაბაღუა ფიქრობდა. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ, 179. არსებობდა 21 იანვრის ბრძანება, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, რომ ნიკიფორესათვის წერილები უნდა გადაეცათ მოგვიანებით.

[2] იქვე, გვ. 468-469, დოკ. №72.

6 იქვე, გვ. 470, დოკ. №74.

[3] იქვე,

მათი განხორციელების სურვილი და როგორც ხსენებული დონ ნიკიფორე გეტყვით, მე გამოვთქვი ჩემი განსაკუთრებული კმაყოფილება და თანხმობა და ვთქვი ეს; გარდა ამისა, თქვენი ბრწყინვალება ამასთან დაკავშირებით გამოხატავს თავის მეგობრობას და სურვილს, რომლებსაც ასევე სამართლიანად გამოხატავს ჩვენი ღირსეული და წმიდა განზრახვა და გეგმა, რომლებიც ჩვენ ვიმედოვნებთ შევასრულოთ, ვუყურებთ რა თქვენი ბრწყინვალების სიმამაცეს და სიმტკიცეს, ხოლო ჩემს მხრიდან დაგეხმარებით და მხარს დაგიჭრეთ იმ სახით, როგორც ამას გეტყვით მოკლე ხანში, იქ (საქართველოში –ე.მ.) გამოგზავნილი პიროვნება.

ამდენად, მე მგონია, რომ ხსენებული დონ ნიკიფორე დაბრუნდება და მოგახსენებთ, თუ რა შევთავაზეთ, როგორი სურვილით იყო იგი ჩემს მიერ მიღებული, როგორც თქვენი ბრწყინვალების მსახური“[1].

იმავე 31 იანვრით არის დათარიღებული რომში ესპანეთის ელჩის გრაფ დე ონიატესათვის და ნეაპოლისა და სიცილიის ვიცე-მეფეებისათვის განკუთვნილი წერილები. მეფე აცნობებდა ონიატეს ნიკიფორეს მადრიდში ჩასვლის მიზანსა და სამეფო განზრახულობაზე გაეგზავნა თავისი ელჩი საქართველოში მოსკოვზე გავლით. „რამდენადაც ხსენებულ დონ ნიკიფორეს განზრახული აქვს ჩაიტანოს მის უწმინდესობასთან (პაპთან –ე.მ.) იბერიის მეფის წერილი, ამ სამეფო კარზე (მადრიდში –ე.მ.) ყოფნისას მიღებულ პასუხთან დაკავშირებით, მინდოდა თქვენთვის დამევალებინა, რომ ელჩს სურს ესაუბროს მის უწმინდესობას და ემთხვიოს მის წმინდა ფეხებს, გააცნოს მისი საქმე, მიიღოს მისი რჩევა, უჩვენოს გზა და აღმოუჩინოს დახმარება. გარდა ამისა, მას დახმარებას აღმოუჩენს ეს (ესპანეთის –ე.მ.) სამეფო კარი; რაც თქვენი მხრიდან მის მიმართ დიდი სამსახური იქნება“[2].

ფრიად საყურადღებოა, რომ ფილიპე IV-მ ნიკიფორესადმი ყურადღება და მფარველობა დაავალ ნეაპოლისა და სიცილიის ვიცე-მეფეებს. წერილი გამსჭვალულია ქართველი ელჩის მიმართ

---

[1] იქვე, გვ. 471, დოკ. №75. ამ წერილის ლათინური ვერსია იხ. იქვე, გვ. 472, დოკ. №76.

[2] იქვე, გვ. 472-473, დოკ. 77.

სითბოთი. მეფე ამბობს: „მე ძალიან მინდა დაგავალოთ თქვენ, როგორც ვამბობ, თუ იგი (ნიკიფორე –ე.მ.) იქ (ნეაპოლსა და სიცილიაზე –ე.მ.) გაივლის, აუცილებლად ადმოუჩინოთ მას სამსახური, როგორც ჩამოსვლის, ისე იქ ყოფნის დროს, დახმარება და მფარველობა იმ დღეებში; გასცეთ განკარგულება მას ჰქონდეს ყველა პირობა და კარგი მგზავრობა, თუ ისურვებს სადმე გავლას (როგორც იგი ამას იმსახურებს თავის კარგი მხრიდან, წარმატებით და გონივრულად, როგორც აქ იყო), რაც მის მიმართ თქვენი მხრიდან დიდი სამსახური იქნება“[1].

ესპანეთის მეფე რომის პაპს წერდა: „დონ ნიკიფორე ირბახი აქ ჩამოვიდა რამდენიმე ხნის წინ, რათა ჩემთვის ეცნობებინა იბერიისა და ქართველების მეფის, მისი ბატონის განზრახვები, რომლებიც მისი ცნობის თანახმად გზას უხსნიან ჩვენი წმიდა რელიგიის გავრცელებას და ზიანს მიაყენებენ დიდ ბატონს (ოსმალეთის სულთანს – ე. მ), საერთო მტერს. გაიგო, რომ მოსკოვის გზით მალე გავგზავნი პიროვნებას, რომელიც წაიღებს ჩემს პასუხს ხსენებულ მეფესთან, მან თქვა, რომ იგი თვითონ წაიღებს ჩემს პასუხს ხსენებულ მეფესთან. მან თქვა, რომ იგი თვითონ წაიღებს წერილს და ითხოვს გამგზავრების წინ მივცე ასევე წერილი თქვენი უწმინდესობასთან წასაღებად, იმავე საკითხზე და კოცნის თქვენს წმიდა ფეხებს.

ამ შემთხვევის გამო წერილს ვწერ გრაფ დე ონიატეს, ჩემს ელჩს, რათა წარუდგინოს თქვენს ნეტარებას ხსენებული დონ ნიკიფორე და დაეხმაროთ მას და გასცეთ განკარგულება მისი საქმის მალე დამთავრებაზე და უკან დაბრუნებაზე. ვევედრები თქვენს უწმინდესობას, მოუსმინოთ მას სიამოვნებით, როგორც ამას იმსახურებს მისი წინადადებები და მისი წმიდა განზრახვა, ვენდობი მშობლიურ სიყვარულს, რომლითაც თქვენი ნეტარება ისმენს და მფარველობს მსგავს საქმეებს და ხელს უწყობს ჩვენი რწმენის დიდ გავრცელებას“[2].

იმისათვის, რათა ირანი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაებათ და ამ გზით აელაგმათ მისი ანტიქართული განწყობილება, სავა-

---

[1] იქვე, გვ. 473, დოკ. №78.
[2] იქვე, გვ. 474, დოკ. №79.

რაუდოა, ნიკიფორეს რჩევით, შედგენილი იქნა ფილიპე IV-ის წერილი შაჰ აბას I-სათვის. წერილში ნათქვამი იყო, რომ მყარდებოდა მეგობრული კავშირი ესპანეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებს შორის. გ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ნიკიფორეს აზრით, თუ ირანი იმ ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაებმეოდა, რომელშიც ჰეგემონი ესპანეთი იქნებოდა, მიიღწეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო აღიარება და ირანი და ქართული სამეფო თანაბარი უფლებებით იქნებოდნენ კოალიციის წევრები, რაც თეიმურაზის სამეფოს ირანის მხრიდან ხელშეუხებლობის გარანტიას უქმნიდა[1]. არ მგონია, რომ თეიმურაზი და მისი პოლიტიკოსები ამგვარად ფიქრობდნენ. მათი წინაპრების გამოცდილება სულ სხვაგვარ, აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოზე მიუთითებდა. XVI საუკუნის 80-90 წლებშიც იყო მცდელობა, რომ საქართველო და ირანი თანაბარ პირობებში შეეყვანათ ანტიოსმალურ კოალიციებში, მაგრამ ამგვარ დიპლომატიურ მანევრებს შაჰის კარის გაღიზიანება და საქართველოს მიმართ მტრული აქციების გახშირება მოსდევდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ მეფე ესპანეთის მეფეს სთხოვდა თუ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდოდა, მაშინ ნიკიფორეს ესპანეთში ყოფნა სრულიად საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისა და ქართულ-ესპანური შეიარაღებული ძალების ერთობლივი მოქმედებების დაწყების შემდეგ თეიმურაზს დასამალი აღარაფერი ექნებოდა.

თეიმურაზ I-ის მეფობის მთელი პერიოდი ეს არის შეუპოვარი, სისხლისმღვრელი ბრძოლა ირანის აგრესიის შესაკავებლად. ამიტომ ქართველი ხელისუფლის მიერ ანტისპარსული კოალიციის შექმნის გეგმის ანტიოსმალურით შეცვალა, კათოლიკური სახელმწიფოების საამებლად, ეს იქნებოდა თვითმკვლელობა. საღ აზრში არ ჯდებოდა გამოსვლა ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც თეიმურაზს, ჯერჯერობით, ერთ-ერთ (ერთადერთი თუ არა) მოკავშირედ მიაჩნდა და სინამდვილეში ეს ასეც იყო. ასევე გამორიცხულად მიმაჩნია თეიმურაზის რამენაირი კავშირი სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა ფაშასთან, რომელთანაც შაჰ აბას-

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 104

მა „თავისი ელჩები გაგზავნა... ელჩების პირით [შაჰმა] აბაზა ფაშას შეუთვალა, რომ იგი, აბაზა ფაშა, შაჰის ხელქვეითი გახდეს და მას, შაჰს, ემსახუროს, თავის მხრივ კი, შაჰი წყალობას მოიღებს. აბაზა ფაშამ მისივე ელჩების მეშვეობით უპასუხა: თუ მას თურქეთის უსმან სულთანი დიდ ვაზირობას არ უბოძებს, იგი, აბაზა ფაშა, თურქეთის მურად სულთანთან ცარგოროდში არ წავა და შაჰის ქვეშევრდომი გახდება, მის სამსახურში შევა“[1].

თეიმურაზ მეფის მიერ აჯანყებულთა მიმართ თავშეკავების დადებითად შეფასების შედეგი უნდა იყოს სულთნის მიერ გიორგი სააკაძისათვის მხარის არ დაჭერა, როდესაც მან ქართლში შემოჭრა განიზრახა. ასევე არასწორია თითქოს თეიმურაზ I 1624 წელს კავშირში იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ამბოხებულ ყირიმის ხან მეჰმედ II-სა და მის ძმა შაჰინ გირეისთან, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის შექმნას ცდილობდა. მას მხარს უჭერდა რეჩ პოსპოლიტა, რომლის წარმომადგენელი მოლაპარაკებას აწარმოებდა ქართველი მეფის ელჩთან. ქართველი მეფის სახელი ცნობილი არ არის. მაგრამ ფიქრობენ, რომ ის უნდა ყოფილიყო თეიმურაზ I[2]. „ქართველი მეფე“, რომელიც დიდი ჯარით დახმარებას პირდებოდა ანტიოსმალური კოალიიცის სავარაუდო წევრებს, ჩემი აზრით, შეიძლება ყოფილიყო იმერეთის მეფე ან დასავლეთ საქართველოს რომელიმე მთავარი და არა თეიმურაზ I, რომელიც ამ დროს დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, სადაც ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის დიდი სამზადისი მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, თეიმურაზი ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებაზე თავს შეიკავებდა. მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთს ებრძოდნენ ფარულად თუ დაუფარავად.

ყოველივე ამაზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ სარწმუნო გავხადო თეიმურაზ მეფის დიპლომატია მიმართული იყო არა ოსმალეთის, არამედ ირანის წინააღმდეგ. ამაზე მეტყვე-

---

[1] ტივაძე ი., მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო (რუსული საარქივო მასალების მიხედვით), „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1975, გვ. 178.

[2] სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 209.

ლებს თეიმურაზ I-ის მიერ სპარსელებთან გადახდილი ბრძოლები თუნდაც მხოლოდ 1625 წელს. თეიმურაზ მეფე პროსპარსული ორიენტაციისა ვერ იქნებოდა და ამავე წელს დასავლეთ ევროპაში გაგზავნილ თავის ელჩს შაჰის ინტერესების განხორციელების ამოცანას არ დაუსახავდა.

ნიკიფორე ირბახი რომში

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, მადრიდში მიღწეული „წარმატებების“ შემდეგ, ესპანეთის ხელისუფლების მოთხოვნით, რომში მიემგზავრება კათოლიკობის აღიარებისა და პაპისაგან სარეკომენდაციო ბარათის მისაღებად. მას თან მიაქვს თეიმურაზ მეფის წერილი პაპისათვის გადასაცემად. ამ წერილს, ძლიერ დაზიანებულს, ვატიკანის არქივში პირველად მ. თარხნიშვილმა მიაკვლია და მთლიანად გამოაქვეყნა კიდეც[1]. მოგვიანებით იგივე წერილი გამოაქვეყნა ი, ტაბაღუამ ვატიკანის არქივში არსებულ ლათინურ და იტალიურ თარგმანებთან ერთად. ორიგინალსა და თარგმანებს შორის არის ზოგიერთი სერიოზული განსხვავება. თეიმურაზ მეფის სიგელს მოვიყვან შემოკლებით. იგი პაპ ურბან VIII-ს წერდა:

„...მხიარულებით ქრისტეს მ[იმარ]თ [მ]დგომობით, ღმრთისა მიერ დაცული, ***ეტლსა მეფობისასა აღსრული, მეფე ქართველთა*** ღმრთის მოყვარებით ძლიერად მპყრობელი, და შეურყეველად მტერთა მებრძოლი, და ქრისტეს უარის მყოფელთა უებრად მომსრველი თეიმურაზ აღმოსავლით მივსწერ რომს შინა...

მერმე ესე მოვახსენებთ დიდ[.....]ბლსა მაგათსა, რამეთუ ყოველი დამტკიცება ქვეყნისა ზედათა თვით უპყრიეს და რომელთაც [...დაამტკი]ცებს, ***აწე მადლმა ქრისტესმან მეფე გუყ[ვ]ნა და ლოცვითა მაგათითა დამტკიცება ჯერ გიჩნს*** და სათნ[ო....] სახელსა მაგათსა აღვამაღლებთ. სხუა კვალადი ხელყოფა და მითხრო-

---

[1] თეიმურაზ I-ის და ზაქარია კათალიკოსის წერილები პაპ ურბან მერვისადმი მ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა „ბედი ქართლისა“-ს №7-ში. ალბათ, ი. ტაბაღუამ არ იცოდა ამ პუბლიკაციის შესახებ, ამიტომ აღნიშნული წერილების გამოქვეყნება თავის პრიორიტეტად მიაჩნდა. იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, II, გვ. 187, შენ. 113 და გვ. 235, შენ. 5.

ბა ესე არს ჩვენ მიერ: უღთო (?) [...] და ***ჩუენ ვიბრძვით წელ ათორმეტ*** არს ჩუენ მადლთა თქვენთა და მეოხებითა არა ვყოფთ ნებასა მ[ათსა.....] შენთა მცნებისა მდებელთა ვიდებთ და მით სრულ ვყოფთ მოქალაქობასა ჩუენ[ი]სა ღირსების[ა]სა. [....ბრ]წყინვალედ აღმოცენებულსა თავსა შევერდებით, რათა თანაშემწეობა ყოს ჩვენი სახელისათვის იეს[ო]ს[ა.....]ვითარცა იტყვის: ჩუენ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი. ესე ვითარისა ხმისა სმენა [....]ნ. და ***ერთი წიგ[ნ]ი ხელმწიფეს სპანიას ვა[ა]ხლეთ და ერთი მაგათ მისწერონ, რომ იყვენ და მან სიყვარ (?)[....] და აქედაღმა ჩუენ, და სახელითა იესოს ქრისტესითა აღვხოცოთ პირისაგა[ნ] ქვეყნისა,*** რამეთუ [....] უსჯულო წინაშე ღმრთისა, და ჯერ არს ურთიერთას სიყვარული და თანამწყობა, ვითარცა [.....სიყ]ვარული არს ქრისტე იესოისა და სიყვარულითა მისითა მოვსწერეთ საყვარელ[ი] ესე ქარტა და ვიგულის[.....]ეთ შესაყვარლება პირველ მოსაყდრობისა მაგათისა. და ***ესე ჩუენი გულითადი მღდელ-მონა[ზონი... ნიკიფო]რე გვიახლებია ჩუენ მიერად ხილვისა მაგათისა განსაცდელად და ლოცვათა მაგათთა თანა [.....]რთ მოსახმელად.*** და ესრეთ მსწრაფლად მოგვენიჭენინ მადლნი მაგათნი, რათა ვიყვნეთ ურთი[ერთას.....] საღმრთოდ მოყვარულნი და მარადის მხსენებელნი უმეტესად კურთხეულისა საყდრისა მაგათისა, და[.....]სა ჩემისა (?) და წმიდისა სახელისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. დაიწერა ეპისტოლე ესე [ქრონიკონსა სამას ათოთხმეტ]სა ნოემბერსა ოცსა ქვეყანასა ქართლისასა[1], მეფეთ მეფე თეიმურაზ ქართველთა. (ბეჭედი)"[2].

თეიმურაზ მეფის სიგელში სრულიად გასაგებად ჩამოყალიბებულია მისი პაპთან სათხოვარი.

1. თეიმურაზი I ქართველთ მეფეა და იგი ასეთად სცნოს პაპმა და იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც პაპის ავტორიტეტს აღიარებენ.

2. თორმეტი წელიწადია ვიბრძვით, მაგრამ მათს ნებას არ ვემორჩილებით. ჩვენ უკვე მივწერეთ ესპანეთის ხელმწიფეს და

---

[1] ითქვა, რომ წერილები დაწერილი უნდა იყოს 1625 წელს.

[2] იქვე, გვ. 219-220. თეიმურზის წერილი რომის პაპ ურბან VIII-სთან გამოაქვეყნა ი. ტაბაღუამაც. იხ. მისი დასახ. ნაშრ., II, გვ. 232-233, 286-287.

პაპმაც მისწეროს რომ პაპმა და ესპანეთის მეფემ შეუტიონ საქართველოს მტერს.

თეიმურაზი პაპს სთხოვს კათოლიკურმა სახელმწიფოებმა აღიარონ იგი მეფედ და დაეხმარონ მტრისაგან თავდაცვაში. მის მიერ პაპისათვის გაგზავნილ ქართულად დაწერილ სიგელში არ ჩანს რომელი მტრის წინააღმდეგ იბრძოდა იგი თორმეტი წლის განმავლობაში, ქართლ-კახეთის მეფე ვისთან ბრძოლაში ითხოვდა დახმარებას. სამაგიეროდ, ქართველებისათვის და ქართველთა საქმით დაინტერესებული პოლიტიკოსებისათვის სრულიად გარკვეული იქნებოდა, რომ 12 წლის განმავლობაში, 1614-1625 წლამდე, ე. ი. სიგელის დაწერის დრომდე, თეიმურაზ მეფე მხოლოდ შაჰ აბას ებრძოდა.

ნიკიფორე ირბახმა სიგელი ვატიკანში მიიტანა. რათა თეიმურაზის სიგელი მღვდელმთავრებისათვის გასაგები ყოფილიყო, საჭირო გახდა მისი თარგმნა ლათინურ და იტალიურ ენებზე. როგორც მადრიდში წარდგენილ თეიმურაზის სიგელში, ამჯერადაც, თარგმანში, ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, მნიშნელოვნი ცვლილება შეიტანეს.

ორიგინალში წერია, რომ ნიკიფორე თეიმურაზის მხოლოდ წარმომადგენელია. თარგმანებში კი ვკითხულობთ: (ლათინურში) „ამ წერილს სუფთად გადაწერილს, გადმოგცემს შენ მღვდელი ნიკიფორე“; (იტალიურში) „ჩვენი ქვეყნიდან თქვენს ნეტარებასთან მოვა მღვდელი ნიკიფორე. ის მოგიტანთ ამ წერილს, ალალ-მართლითა და რწფელი გულით დაწერილს“[1].

მთარგმნელები, სიგელის თარგმანებში, თეიმურაზ მეფეს ათქმევინებენ: (ლათინურში) „*ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან, ხშირად გვიხდება მათთან შეჯახება, მაგრამ ღმერთის დახმარებით არც ერთ მათგანს არ დავემორჩილებით, შენი მორჩილი კი ვიქნებით და შევასრულებთ ყოველივე იმას, რასაც გვიბრძანებ“;* (იტალიურში) *„ჩვენ ვიმყოფებით თურქებსა და სპარსელებს შორის. განუწყვეტლივ უნდა ვიომოთ მათთან... არ დავემორჩილებით მათ და არც სხვას ვინმეს. ყველაფერი ის რასაც თქვენი ნეტარება ისურვებს გვიბრძანოს, შევასრულებთ“.* როგორც ჩანს,

---

[1] იქვე, გვ. 233-236.

ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებად გამოცხადებულნი არიან თურქები და სპარსელები და მათ მიმართ ტონიც შერბილებულია. ამოგდებულია თეიმურაზის თხოვნა ერთობლივად ებრძოლონ ქართველების მტერს. ქართველები მხოლოდ პაპს დაემორჩილებიან.

დავუბრუნდეთ თეიმურაზ მეფის პაპთან გაგზავნილი სიგელის იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ ***„ჩუენ ვიბრძვით წელ ათორმეტ*** არს ჩუენ მადლთა თქვენთა და მეოხებითა არა ვყოფთ ნებასა მ[ათსა.....] შენთა მცნებისა მდებელთა ვიდებთ და მით სრულ ვყოფთ მოქალაქობასა ჩუენ[ი]სა დირსების[ა]სა". მასში რომ მხოლოდ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაზეა მინიშნება, ამის ახსნაში დაგვეხმარება თეიმურაზის მიერ ესპანეთის მეფესთან გაგზავნილი სიგელის შემდეგი ადგილი: „***უსჯულო იგი პერსი შაჰაბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა... ეგენი*** (ესპანელების და პაპის ჯარი –ე.მ.) ***მოეტივნენ სპარსთა*** (ირანის ყურიდან –ე.მ.) ***და აქათ ჩვენ*** (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან –ე.მ.) ***უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყნისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი"***. იგივე თხოვნა გაისმის იერუსალიმის პატრიარქის თეოფანისის წერილში ფილიპე IV-ისადმი: „***გთხოვს რა*** (თეიმურაზ –ე.მ.) ***დახმარებას, რადგან იგი სპარსელისაგან მრავალმხრივ შევიწროებულია***"[1]. ამგვარად, თეიმურაზ I ესპანეთის მეფეს და რომის პაპს მხოლოდ ირანის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა.

* * *

ნიკიფორე რომში ცივად მიიღეს, რის შესახებაც პიეტრო დელა ვალესგან უკვე ვიცით. ვატიკანში ნიკიფორეს მიმართ, როგორც თეიმურაზ I-ის ელჩისადმი სიფრთხილის გამოჩენის და ცივი დამოკიდებულების გამომჟღავნების მთავარი მიზეზი მისი აღმსარებლობა უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად, ნიკიფორეს საქმესთან დაკავშირებით შედგენილ მოხსენებაში, გამოითქვა მოკრძალებული სურვილი, რომ ნიკიფორეს „არ უნდა გაკვირვებოდა თუ სამოციქულო ტახტი მოისურვებს, მან წარმოსთქვას თავისი

[1] დოკუმენტები, გვ. 419, დოკ. №58.

რწმენის ფორმულა, მანამდე ვიდრე ვატიკანში მისი წინადადებების განხილვას შეუდგებოდნენ. ქართველების შესახებ ჩანაწერებში, რომლებიც ინახება წმ. კონგრეგაციის არქივში, არაფერია ნათქვამი ქართველების ცდომილებაზე, პირიქით, ისინი გამოყვანილნი არიან, როგორც სამოციქულო ტახტისა და პაპის ძალიან ერთგულნი"[1]. როგორც სავარაუდოა, მოხსენებაში აღნიშნული საეჭვოდ ჩათვალეს და 1628 წ. 21 ივლისის დოკუმენტში უკვე პირდაპირ არის მითითებული ნიკიფორე ირბახის კათოლიკობაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. ქართველ ელჩს ისეთი რწმენის ფორმულა უნდა წარმოეთქვა, რომელშიც იგი პირდაპირ იტყოდა ქართველთა სარწმუნეობრივი დაბნეულობის შესახებ[2].

რადგან ევროპაში მოგზაურობისას ნიკიფორეს მოიხსენიებდნენ როგორც წმ. ბასილის მოწესეს[3], ამიტომ ფიქრობენ, რომ მან ეს აღმსარებლობა რომში სწავლის პერიოდში მიიღო. ბასილიანობა კათოლიკურ ქვეყნებში გაგებული იყო, როგორც რომაული კათოლიკობა და ასეთი აღმსრებლობის ადამიანის მიმართ, რელიგიური თვალსაზრისით, იქ არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ. ამი-

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 385.

[2] Там же, с. 385-386, примеч. 298.

[3] ბასილიანელთა მიმდინარეობა დააფუძნა ბერძენმა საეკლესიო მოღვაწემ ბასილი დიდმა კესარიელმა 330-379 წწ. ორდენი კი დაარსდა 1579 წ. 1 ნოემბერს. ეს იყო ერთადერთი ორდენი, რომელიც იღვწოდა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების შეერთებისათვის. ბასილიანელები თითქმის ყველაფერში იცავდნენ აღმოსავლური ეკლესიის პრინციპებს, ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთი, ჩაცმულობით, ღვთისმსახურების ყველა დეტალით, რელიგიური საიდუმლოებისა და მარხვის დაცვით მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციებსა და წესდებას. ამასთანავე, ბასილიანელთა ორდენის მესვეურები მოითხოვდნენ, ორდენის ახალ წევრს აღმოსავლურ ღვთისმსახურებასთან ერთად ეღიარებინა რომის პაპი და ნიკეის სიმბოლოსათვის დაემატებინა, რომ სულიწმიდა გამოდის არა მარტო მამისაგან, არამედ „ძისაგანაც". ბასილიანელთა ორდენის წევრი ყველა ნიშნის მიხედვით, სამოსით, ღვთისმსახურების შესრულებისა და მარხვის დაცვით მართლმადიდებლური ეკლესიის წევრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ის ფაქტი, რომ ის პაპს აღიარებდა, იცოდა თვითონ მან და ორდენის ხელმძღვანელმა, გარეშე მორწმუნეთათვის ეს შეუმჩნეველი რჩებოდა.

ტომ საოცარია, რომ ნიკიფორე თუ მართლა ბასილანთა ორდენს ეკუთვნოდა, მაშინ მადრიდსა და რომში რატომდა სთხოვდნენ კათოლიკობის აღიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ეჭვ ქვეშ დგება, რომ რომის ბერძნულ სკოლაში, თუ იგი იქ მართლა სწავლობდა, თუ იქ ბერად აღიკვეცა, თუ ბასილიანელობა იქვე აღიარა და ნიკიფორე დაირქვა, მაშინ დაჟინებით რატომ მოსთხოვეს კათოლიკობის აღიარება? ბასილიანელები ხომ უმთავრეს კათოლიკურ პოსტულატებს (პაპის პრიმატს და ფილიოკვეს) აღიარებდნენ. ნიკიფორეს ბიოგრაფიის ამ მომენტების ასახსნელად სარწმუნო საბუთები მკვლევრებმა რომში ვერ ნახეს[1]. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან დეტალს როგორიც მისი რწმენა იყო, არ აღნიშნავენ ის ადამიანები, ვინც მას პირადად იცნობდნენ და მისი დახასიათებებიც დაგვიტოვეს. ამიტომ, შეიძლება დავუშვათ ორი პირობა: 1. ნიკიფორე რომში მივიდა როგორც ბასილიანელი, 2. ნიკიფორე რომში მივიდა როგორც მართლმადიდებელი.

ნიკიფორემ, შეიძლება, ბასილიანობა აღიარა ევროპაში გამგზავრების წინ (ნიკიფორე ბასილიანელად გაეცნო მესინაში საქართველოსკენ მომავალ კათოლიკე მისიონერებს) მოჩვენებით, რასაც მას ესპანეთსა და რომში ამჩნევდნენ (მაგრამ ნათლად გამოჩნდა მისი რომიდან წამოსვლისა და საქართველოსა და იერუსალიმში საქმიანობის დროს) და, ალბათ, ამის გამო მას ამ ორდენის წევრობა არ დაუჯერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რომში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ნიკიფორეს ბასილიანელობა. ნიკიფორე რომში მიიღეს, როგორც მართლმადიდებელი ქართველი და მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიას, რომ მას ჯერ კათოლიკობა უნდა ედიარებინა და ამის შემდეგ მოხდებოდა მისი პაპთან აუდიენციაზე დაშვება და მოლაპარაკების დაწყება, შესაბამისი ახსნაც მოუძებნეს: „ქართველებმა, რომლებიც შორს იყვნენ სამოციქულო წმ. ტახტიდან, ბერძნების თითქმის ყველა დაბნეულობა და ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა შეითვისეს. ანტიოქიის პატრიარქმა კი მათ სქიზმა დაუნერგა... ამრიგად, არ უნდა გაგვიკვირგეს, რომ ახლანდელი მეფის – თეოფილეს

---

[1] იხ. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 147.

ელჩს – ბატონ ნიკიფორეს, სამოციქულო ტახტმა მოთხოვა სარწმუნოების (კათოლიკობის –ე.მ.) აღიარება, ვიდრე შეთავაზებული მოლაპარაკება დაიწყებოდა“[1]. წერილის ტონი ისეთია, რომ მისი ავტორი ვიღაცის წინაშე ცდილობდა გაემართლებინა პაპის კურიის მიერ ნიკიფორესადმი წაყენებული პრეტენზიის საფუძვლიანობა.

ნიკიფორე რომში, ხანგრძლივი თავშეკავების მიუხედავად, ბოლოს იძულებული გახდა ედიარებინა კათოლიკური რწმენა და დაეგმო ქართველთა ცდომილება. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ამ ნაბიჯს გ. აკოფაშვილი შემდეგნაირად ხსნის და აფასებს: „შემოთავაზებულ წინადადებას, კათოლიკური სარწმუნოების მიღებას, ნიკოლოზი, როგორც ჩანს, შედარებით ადვილად დაყაბულდა. შინაგანად ის უკვე მომზადებული იყო ამისათვის, რომში გატარებული სიყმაწვილისა და ჭაბუკობის წლებს, მთელ 13 წელს სწავლა-განათლებისა, უკვალოდ არ ჩაუვლია. რომში ცხოვრებას, ევროპული პროგრესული კულტურისადმი, ზნე-ჩვეულებებისა და განათლებისადმი ღრმა სიმპათიები ჩაუნერგავს მის გულში. ხოლო იმდროინდელი ევროპული კულტურის გამოხატულება, კათოლიკური სარწმუნოება ხომ იგივე ქრისტიანული სარწმუნოება იყო და ამდენად ნიკოლოზს მართლმადიდებლობის დატოვება და კათოლიკობის მიღება არსებითად სარწმუნოებრივ ღალატად არ ჩაეთვლებოდა. და, რაც მთავარია, ნიკოლოზი უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსი იყო, პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავის ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის დაუღალავად იღწვოდა და რაკი მისი პოლიტიკური მისიის წარმატებების ინტერესები მოითხოვდნენ ამ ნაბიჯს, ნიკოლოზიც მზად აღმოჩნდა გადაედგა ის. ქართველი ელჩი დათმობაზე წავიდა და დიპლომატიური მოსაზრებით მიიღო პაპის მიერ შემოთავაზებული კათოლიკობა“[2].

არ ვიცით ნიკიფორემ როდის აღიარა კათოლიკობა, მაგრამ ის კი ცნობილია, როგორი სიფრთხილით მოეკიდნენ კარდინალები მის „აღიარებას“. ვინმე პაოლოს, ფეხშიშველა კარმელიტს, დაევალა შეემოწმებინა, რამდენად სიმართლეს შეეფერებოდა ის,

---

[1] იქვე, გვ. 238.

[2] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი..., გვ. 41.

რაც ნიკიფორემ ქართველთა რელიგიის შესახებ განაცხადა[1].

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ რომში სარწმუნოების შეცვლას თითქმის ისევე აფასებს გ. ჟორდანია, როგორც გ. აკოფაშვილი და ფიქრობს, რომ „ნიკიფორეს ამ ნაბიჯს უადვილებდა ის გარემოება, რომ იგი პირველ რიგში პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო (თავისი დასკვნების ამ ნაწილში გ. აკოფაშვილი, ვფიქრობთ სრულიად მართალია); მაღალი საეკლესიო წოდების მიუხედავად, მისთვის კონფესიურ საკითხებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, და ის მზად იყო ისინი პატრიოტული ინტერესებისათვის შეეწირა, მით უმეტეს, თუ ამას მოითხოვდა მისი დიპლომატიური მისია, რომელიც უნდა გამოსდგომოდა მის მხურვალედ საყვარელ სამშობლოს“[2].

ნიკიფორეს მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, ვფიქრობ, საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. ის უპირველესყოვლისა სასულიერო მოღვაწე იყო და როდესაც მისთვის ნათელი გახდა, რომ მისგან ასეთი მსხვერპლის გაღებას აზრი არ ჰქონდა, მაშინვე დაუბრუნდა თავის ადრინდელ მდგომარეობას. „ნიკიფორე იყო კარგი მღვდელი, მაგრამ საეჭვოა, რომ ის იყო კარგი ელჩი“–ეს სიტყვები მ. თარხნიშვილს ეკუთვნის[3].

ვერ დავეთანხმები გ. აკოფაშვილს თითქოს ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ნიკიფორე სარწმუნოების შეცვლას იოლად დაყაბულდა. ცნობილი წყაროები სრულიად საწინააღმდეგოს აღნიშნავენ. საყურადღებოა ისიც, რომ ნიკიფორე მთელი სიცოცხლის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა რომში ქართველთა ცდომილების აღიარებას და, როგორც სავარაუდოა, საქართველოში დაბრუნებულმა თეიმურაზ მეფესაც კი არ გაუმხილა ამის შესახებ. ნიკიფორეს ეს საიდუმლო იცოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებმა, მაგრამ ისინი არ ამხელდნენ. საქართველოში მისიონერების გამომგზავნი და მათი საქმიანობის ორგანი-

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 286.

[2] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 114.

[3] თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, IV-V, თბ., 1999, გვ. 370.

ზატორი პიეტრო დელა ვალე, გორის მისიის ხელმძღვანელს, დონ პიეტრო ავიტაბილეს აფრთხილებდა: „შესაძლებელია თვითონ ნიკიფორესაც არ სურს, რომ ეს (კათოლიკობის ადიარება – ე. მ.) ცნობილი გახდეს მისი თანამემამულეებისათვის“[1]. მისიონერებმა კარგად იცოდნენ ქართველი მართლმადიდებლების დამოკიდებულება რწმენის შეცვლისადმი. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი, პოლიტიკური წრეები ინფორმირებულნი იქნებოდნენ იერუსალიმში ქართველებსა და კათოლიკებს შორის არსებულ საუკუნოვან დაპირისპირებაზეც, რაც მისიონერებისადმი არასასურველი განწყობილების ფორმირებას გამოიწვევდა[2].

მკვლევრები უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ პაპისა და ნიკიფორეს შეხვედრის პოლიტიკურ და რელიგიურ ასპექტებზე. მაგრამ, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნიკიფორეს ვატიკანში შეაყოვნებდნენ მანამდე ვიდრე, შეძლებისდაგვარად, არ მოიპოვებდნენ ინფორმაციას საქართველოს შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, თეიმურაზ I-ის შესაძლებლობებსა და გავლენაზე და, რაც მთავარია, იყო თუ არა ნიკიფორე ნამდვილად ქართველი მეფის წარგზავნილი და რას წარმოადგენდა იგი. ყოვლივე ამის დადგენის შემდეგ, როგორც მ. თარხნიშვილი აღნიშნავდა, „პაპმა კრება მოახდინა 27 ივლისს 1628 წ. ყველა ამ საკითხის გადასაწყვეტად“[3].

ნიკიფორეს მიერ კათოლიკობის ადიარებისა და ამის გამო მისადმი პაპის განწყობილების შეცვლის შემდეგ, რომში ქართველი ელჩის მიმართ ინტერესი გაიზარდა. იგი თბილად მიიღო თეატრინელთა ორდენის ხელმძღვანელმა ფილო მარია გუადანიომ. თეატინელთა ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ დესპანის ღირსეული მიღება ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოში ამ ორდენის წევრების მოღვაწეობისათვის. „მან გასცა განკარგულება, რომ ყველა იმ სახლში, რომელიც ჩვენს ორდენს

---

[1] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ., 1987, გვ. 130.

[2] იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო – იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2008.

[3] თარხნიშვილი მ., წერილები, თბ., 1994, გვ. 215.

ეკუთვნოდა, ელჩისათვის აღმოეჩინათ გულითადი მიღება და მოპყრობოდნენ მას, როგორც საპატიო სტუმარს“ – წერდა ბ. ფერო[1].

რომში პაპთან და სხვა მაღალ იერარქებთან მოლაპარაკების დროს ნიკიფორეს თეიმურაზის სახელით მოუთხოვია: 1. პაპს თეიმურაზისათვის ეპასუხა წერილზე და მას დაედასტურებინა, რომ თეიმურაზს სცნობდა კანონიერ მეფედ; 2. პაპმა ქართლ-კახეთის მეფეს გაუგზავნოს შენდობა და მიიღოს იგი რომაული ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე მეფე; 3. პაპმა რეკომენდაცია გაუწიოს ქართველ მეფეს ესპანეთის მეფის წინაშე, როგორც თავის შვილს; 4. პაპი სარეკომენდაციო წერილებს გაუგზავნის ნეაპოლის მეფის ნაცვალს, იმპერატორსა და რეჩ პოსპოლიტის მეფეს ნიკიფორეს შესახებ და ამ უკანასკნელს მისცემს საერთო პასპორტს.

იმის გამო, რომ თეიმურაზ I-ს კათოლიკობა ჯერ კიდევ არ უღიარებია, პაპს არ შეეძლო ნიკიფორეს ყველა მოთხოვნაზე ზუსტი პასუხი გაეცა. როცა თეიმურაზ მეფე პაპის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, ისიც, თავის მხრივ, მას, როგორც კათოლიკე მეფეს, მის სამეფოს დაუმტკიცებდა[2].

იმისათვის, რათა რომში დაეკმაყოფილებინათ თეიმურაზ I-ის მოთხოვნები, იქაურ პოლიტიკოსებს საკმარისად არ მიაჩნდათ მხოლოდ ნიკიფორე ირბახის გაკათოლიკება, ისინი თვით მეფის გაკათოლიკებას მოითხოვდნენ. კონგრეგაციის სხდომაზე განიხილეს სპაციალურად შედგენილი “მდივან ინგოლის მოსაზრებები ქართველი ელჩის მოთხოვნებზე“, რომელთა არსი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა თეიმურაზ მეფის, მისთვის გაგზავნილი სპეციალური კათოლიკური ლიტერატურით „განათლებაში“. ე. ი. თეიმურაზ მეფე, რომ ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე რომის წმინდა ტახტს შეერთებოდა, ელჩისათვის უნდა გაეტანებინათ წმინდა სამოციქულო ტახტის მიერ აღიარებული საეკლესიო კრებების დაბეჭდილი „აქტები“, რომლებსაც მეფე და მის იერარქები გაეცნობოდნენ.

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 186.
[2] იქვე, გვ. 189-190.

ნიკიფორე ირბახისათვის შედგენილი იქნა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კათოლიციზმის სასარგებლოდ უნდა ემოქმედა[1].

როგორც ჩანს, ნიკიფორესთვის რომში, ისევე, როგორც მადრიდში, აქტუალური იყო თეიმურაზის ელჩის რანგში მისი აღირება და შესაფერისად მოპყრობა. 1628 წლის 22 აგვისტოს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს სხდომაზე მიიღეს „ზოგიერთი გადაწყვეტილება იბერიის ელჩის ნიკიფორე ირბახის (იტალიაში) მოგზაურობის შესახებ“. სხდომის ოქმის 26-ე პარაგრაფში ნათქვამია: „ბოლოს და ბოლოს იბერიის მეფის ელჩის ნიკიფორეს თხოვნით, წმ. კონგრეგაციამ დაადგინა: პირველი – შესაძლებლად ჩათვალა გაეგზავნოს წერილი ნეაპოლის ვიცე-მეფეს, ნეაპოლის სამეფოში პაპის ნუნციოს საშუალებით, ნიკიფორეს საქმეების შედარებით იოლად მოგვარების შესახებ; მეორე, ეს წერილი გაეგზავნოს ხსენებულ ნუნციოს ინსტრუქციასთან ერთად, რომელშიც მიეთითოს, რომ ხსენებული ელჩის პიროვნების დადასტურებისათვის მოხსენდეს ვიცე-მეფეს, რომ ბატონი ნიკიფორე მიღებულ იქნა ესპანეთის კათოლიკე მეფის მიერ, როგორც იბერიის მეფის ელჩი, რომელიც ესპანეთში იმყოფებოდა მისი უდიდებულესობის ხარჯზე...“[2]

წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ რომში მისდა უნებურად შეყოვნებული ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ყოფნით ისარგებლა და თავისი მისიონერებისათვის სასარგებლო საქმის მოგვარება განიზრახა.

* * *

კათოლიკე მისიონერებს სხვადასხვა ქვეყნებში სერიოზულად ეშლებოდათ ხელი ადგილობრივი მოსახლეობის ენის უცოდინრობის გამო. ამ პრობლემის უარყოფით შედეგს ხშირად აღნიშნავდნენ საქართველოში მოღვაწე მისიონერებიც. მათმა მოხშირებულმა ვიზიტებმა საქართველოში და მისიონერთა რიცხვის ზრდის პერსპექტივამ დღის წესრიგში დააყენა მისიონერთა საქმი-

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 397-398.

[2] იქვე, გვ. 192.

ანობისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის გაიოლების მიზნით, შესაბამისი ლიტერატურის შექმნა.

პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელობას თავისი მისიონერებისათვის ქართულ-იტალიური ლექსიკონის და, საერთოდ ქართული წიგნის ბეჭდვის აუცილებლობა დაანახვათ ნიკიფორე ირბახის მიერ რომში ჩატანილმა თეიმურაზ მეფის წერილმა. ამასთან დაკავშირებით, ვატიკანის სტამბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აკილე ვენერიო პაპ ურბან VIII- სადმი (1623-1644) „მიძღვნაში“ „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებს: ნიკიფორე ირაბხმა, რომ ქართველი მეფის წერილი ჩამოგიტანათ, ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ გაარჩია და ამიტომ გადავწყვიტეთ სხვა შრიფტებთან ერთად გავაკეთოთ ეს დახვეწილი ულამაზესი შრიფტიც. იქვე აღნიშნულია ნიკიფორეს როლი და დამსხურებაც ამ დიდებულ საქმეში: „მას შემდეგ რაც პადრე ნიკიფორემ რომში ყოფნისას გაგვაცნო (ქართული –ე.მ.) ალფავიტი და მრავალი ათასი ქართული სიტყვა – მისიონერთა სასარგებლოდ, რომლებიც გაიგზავნებოდნენ და გაიგზავნებიან საქართველოში, საბოლოოდ დაიბეჭდა ალფავიტი და დავითნი ამ ლექსიკონთან ერთად“. საინტერსოა, რომ ნიკიფორეს მიერ შეთავაზებული მრავალი ათასი ქართული სიტყვიდან სტეფანო პაოლინის მხოლოდ ყველაზე უფრო სახმარი სიტყვები შეურჩევია[1]. აკილე ვენერიო იქვე იმედს გამოსთქვამს, რომ ალფავიტი და ლექსიკონი ბრწყინვალედ მოემსახურება მისიონერებს მოთხოვნილების მიხედვით[2].

ჯ. ვათეიშვილის მიერ ვატიკანის „სამოციქულო ბიბლიოთეკაში“ მოძიებული დოკუმენტებითა და მისი გამოკვლევით, დადგინდა, რომ ნიკიფორე ირბახის ავტორობით რომში ქართულად დაიბეჭდა კიდევ ერთი, არა ორიგინალური ნაწარმოები, არამედ ლათუნურიდან ქართულად თარგმნილი ერთფურცელზე დაბეჭდილი ტექსტი მიძღვნილი ღვთისმსობლისადმი – „ლაუტერანული ლიტანია“[3].

---

[1] ლექსიკონში შესულია 3084 ქართული სიტყვა.

[2] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 388-389.

[3] ლოცვამ სახელწოდება მიიღო იტალიის ქალაქ ლორეტოდან. Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 394.

ამგვარად, მისიონერთა წარმატებული საქმიანობით დაინტერესებულმა „წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს“ ხელმძვანელებმა ხელსაყრელად ჩათვალეს ნიკიფორეს რომში ხანგრძლივად ყოფნა (1628 წ. იანვრის დასასრული – სექტემბრის შუა რიცხვები), რომლისგანაც შეიძლებოდა კონსულტაციების მიღება ლექსიკონის შედგენისას და მცირე დროში წიგნი გამოსაცემად მოამზადეს. ამის გამო იყო მ. თამარაშვილი რომ წერდა: „მისი რომაში დიდხანს დარჩენა უნაყოფო როდი ყოფილა. გარდა იმ საქმისა, რისთვისაც იყო მისული, დიდად ხელი შეუწყო შედგენას ქართულ-იტალიურის ლექსიკონისას, რომელიც დაიბეჭდა რომაში 1629 წ. საკმაოდ შეისწავლა იტალიური და მასთანვე ცოტა ქართული ასწავლა სტეფანე პაოლინის, რომალმაც ნიკიფორესთან ერთად შრომა მიიღო იმ ლექსიკონის გამოცემისათვის. ნიკიფორემ დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რომაში ქართული სტამბის დაარსების საქმეში. პაპს და კარდინალებს კარგად გააცნო საქართველო და მოუთხრა თეიმურაზ მეფის თავგადასავალი“[1].

სტეფანო პაოლინის მიერ 1629 წელს რომში შედგენილი პირველი ქართული წიგნის – ქართულ-იტალიური ლექსიკონის სატიტულოზე სათანადოდ აღნიშნულია ნიკიფორეს წვლილი. ნათქვამია, რომ სტეფანო პაოლინის ლექსიკონის შედგენაში ეხმარებოდა ქართველი ნიჩეფორო ირბახი, წმ. ბასილის ბერი. წიგნი დაიბეჭდა წმინდა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის სტამბაში, მისიონერების სასარგებლოდ[2]. პაოლინის წიგნის სატიტულოში ნათქვამი არ არის, მაგრამ პიეტრო დელა ვალე გვამცნობს, რომ ნიკიფორეს „მეშვეობით და დახმარებით გამზადებულ იქნა ქართული შრიფტი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წიგნის დაბეჭდვა“.

რომში ქართული წიგნის შედგენასა, გამოცემასა და მასში ნიკიფორე ირბახის მონაწილეობას, პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილესათვის საქართველოში გაგზავნილ წერილში

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[2] წიგნის სრული ტიტულია: Stefano Paolini, Dittionario Georgiano e Italiano. Composto da Stefano Paolini con l‘aiuto del M. R. Niceforo Irbachi Georgiano, Monaco di S. Basilio. Ad vso de‘Missionarii della Sagra Congregatione de Propaganda Fide. In Roma.

შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „ბატონ ნიკიფორეს აქ ყოფნის დროს, მისი მეშვეობით და დახმარებით გამზადებულ იქნა ქართული შრიფტი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წიგნის დაბეჭდვა. ეს, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად გაკეთდა. გარდა ამისა, გაკეთდა პატარა ლექსიკონი ამ ენის ანბანით სხვა ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც ქრისტიანულ დოქტრინას შეეხებოდა. იგი შეიცავდა ძირითად ლოცვებს, წმინდა ზიარებას და მათს მსგავს საკითხებს. ისინი ყველა დაიბეჭდა ქართული ენაზე. როდესაც ბერები თქვენთან ჩამოვლენ, არ დაავიწყდეთ თან წამოუღონ თქვენს მეურვეობას ბევრი წიგნი. სიტყვანი საკმაოდ პატარაა და ამიტომ მით უფრო არ შეიძლება არ იყოს უზუსტო და არ შეიცავდეს შეცდომებს. მაგრამ ეს ხომ პირველი გამოცემაა ქართული ენაზე. მით უფრო ***იმათ ვინც იგი გამოსაცემად მოამზადა, ე. ი. ბატონმა დონ ნიკიფორემ, მბეჭდავმა და ბერძენმა მთარგმნელმა [სამივემ] კარგად არ იცოდნენ ქართული ენა.*** მაგრამ დასაწყისისათვის ესეც საკმაოდ კარგია. თუ ამ წიგნს სამშობლოში გაგზავნიან, იქ შეუძლიათ ისინი უკეთ შეამოწმონ, გაასწორონ, შეავსონ და მოამზადონ უფრო სრულყოფილად ხელახლა გამოსაცემად“[1].

რა თქმა უნდა, დელა ვალეს წერილი ძალიან საინტერესოა რომში ქართული წიგნის გამოცემის ისტორიის შესასწავლად, მაგრამ გაოცებას იწვევს მისი ერთი წინადადება; „იმათ, ვინც იგი გამოსაცემად მოამზადა, ე. ი. ბატონმა დონ ნიკიფორემ, მბეჭდავმა და ბერძენმა მთარგმნელმა [სამივემ] კარგად არ იცოდნენ ქართული ენა“, ამიტომ არის წიგნში უზუსტობანიო – ამას წერს დელა ვალე[2]. ამას წერს კაცი, რომელიც პირადად კარგად იცნობდა ნიკიფორეს. ეს ცნობა იმიტომაცაა საკვირველი, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, თანამედროვეების გადმოცემით იყო პოლიგლოტი, შესანიშნავი ორატორი და როგორ დავიჯეროთ, რომ მან მშობლიური ქართული ჯეროვნად არ იცოდა. წიგნის ნაკლი, რაც მას მართლაც ახასიათებს, მკვლევრებმა სხვადასხვაგვარად ახსნეს: პ. გუგუშვილი ფიქრობდა, რომ ნიკიფორე „ლექსიკონის ბეჭდვის

---

[1] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 134.

[2] იქვე.

დროს, რათა კორექტურა გაესწორებია, და, იქნებ, თვით საბოლოო ტექსტის სასტამბოდ მომზადების დროსაც, რომში უკვე აღარ იყო... და, ამგვარად, ლექსიკონში დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი ნაკლებად გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ ნიკიფორე ირბახმა ქართული არ იცოდა და რომ მაშასადამე, ის ვითომ ბერძენი იყო"[1]. ი. ტაბაღუას აზრით, ლექსიკონში არსებული მრავალრიცხოვანი შეცდომების არსებობა, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ნიკიფორეს, თავისი უმთავრესი დავალების შესრულება, ე. ი. დიპლომატიური საქმიანობა, დიდ დროს ართმევდა და იგი აქტიურად ვერ მონაწილეობდა ლექსიკონის შედგენაში[2]. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ლექსიკონზე მუშაობისას სტ. პაოლინი, რომელიღაც სიტყვანს მიჰყვებოდა, ქართულ სიტყვებს კი ნიკიფორესაგან ისმენდა და ხან იტალიური ტრანსკრიფციით, ხან ქართული ასოებით იწერდა, ხოლო როცა ლექსიკონი ქართულ ანბანზე გააწყო, ნიკიფორე რომში აღარ იმყოფებოდა[3]. თ. უთურგაიძე კი ფიქრობს, რომ „შეცდომები თვით ლექსიკონში შედეგია ქართულ ასოთა აღრევისა, რაც იმას უნდა დავაბრალოთ, რომ სტ. პაოლინი ლექსიკონზე მუშაობის ბოლო მომენტში მოკლებული იყო ქართული ბგერების მოსმენის საშუალებას და ნ. ირბაკის მხრივ ქართულ სიტყვათა მართლწერის კონტროლსაც"[4].

აღნიშნული მოსაზრებები გასაზიარებელია, მაგრამ ვფიქრობ, ნიკიფორე, შეგნებულად არიდებდა თავს ლექსიკონზე მუშაობას, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევეცდები. მანამადე კი, მოკლედ ვიტყვი მართლმადიდებელ ქვეყნებში წიგნის ბეჭდვის დაწყების რელიგიურ და პოლიტიკურ ასპექტებზე.

---

[1] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტ. VII. ქართული სტამბის წიგნი 1629-1979, თბ., 1984, გვ. 251. ერთ დროს მართლაც არსებობდა შეხედულება, თითქოს ნ. ირბახი ბერძენი იყო (იქვე, გვ. 247-259).

[2] იქვე, გვ. 194

[3] ჩიქობავა არნ., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1983, გვ. 10, 28

[4] უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1999, გვ. 32.

მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის დაპირისპირებისას ნაბეჭდმა წიგნმა განსაკუთრებული რელიგიური და პოლიტიკური იარაღის დატვრთვა მიიღო.

კათოლიკურმა ეკლესიამ და მისმა სხვადასხვა მიმდინარეობებმა, თავიანთი ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობის შედეგად, ბეჭდვური წიგნის გავრცელებას ფართო მასშტაბი შესძინეს და აღმოსავლეთში თავიანთი იდეების გავრცელებისათვის იყენებდნენ. აღმოსავლეთის საპატრიარქოები ცდილობდნენ იგივე იარაღით შებრძოლებოდნენ კათოლიციზმს, მაგრამ ამის გაკეთება იოლი საქმე არ იყო. ისინი ძირითადად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ და სულთნის, მისი კარისკაცებისა და მოხელეების მკაცრ მეთვალყურეობას განიცდიდნენ. ოსმალეთის მთავრობა წიგნის ბეჭდვას მართლმადიდებლურ ქვეყნებში ეჭვის თვალით უყურებდა და მიაჩნდათ, რომ წიგნის საშუალებით მართლმადიდებელი ეკლესია, მეცნიერები და მწერლები ანტიოსმალურ პროპაგანდას გასწევდნენ.

ჯერ კიდევ XVII ს. პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კირილე ლუკარისმა კონსტანტინოპოლში დააარსა საპატრიარქოს სტამბა. იეზუიტებისაგან წაქეზებულმა თურქებმა სტამბა მთლიანად გაანადგურეს. ამის შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფოში ბერძნული სტამბა დიდხანს აღარ იყო. მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ შეძლო იერუსალიმის საპატრიარქოს სტამბის დაარსება, მაგრამ არა იერუსალიმში ან კონსტანტინოპოლში, არამედ მოლდავეთის ქალაქ იასში 1682 წელს. ის ასევე ცდილობდა სასტამბო საქმე აღორძნებულიყო სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში. დოსითეოსი ერთსა და იმავე დროს იყო სხვადასხვა ავტორების თხზულებათა მთარგმნელი, კომენტატორი და გამომცემელი. მის მიერ გამოცემული სხვადასხვა ავტორების წიგნებსა და მის ორიგინალურ თხზულებებში მოცემული იყო კათოლიციზმის და მისი ცნობილი მოღვაწეების თხზულებათა კრიტიკა[1].

XVII ს. 80-იან წლებში, როგორც წყაროებიდან ჩანს, პატრი-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 103-104

არქ დოსითეოსსა და ქართლის სამეფოს მოღვაწეებს გადაუწყვეტიათ ქართული წიგნის ბეჭდვა, მაგრამ როგორც საფიქრებელია, არა საქართველოში, სადაც ამ დიდი საქმის განხორციელებისათვის შესაფერისი პირობები არ იყო, არამედ მის საზღვრებს გარეთ, ცნობილი არ არის კონკრეტულად სად. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ იდეამ ხორცი ვერ შეისხა[1].

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემას მადალი შეფასება მისცა კ. კეკელიძემ, რომელიც 1935 წ. წერდა: „პირველი წიგნი ქართულად... 1629 წელს დაიბეჭდა. ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადად ქართული კულტურის და კერძოდ მწერლობის განვითარებისათვის ქართული სტამბის დაარსებას, რომელსაც 1929 წელს სამასი წლის თავი შეუსრულდა: ის გახდა ქვაკუთხედად ქართული კულტურის რენესანსისა, რომელიც მე-17 საუკუნიდან იწყება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ხდება ვინაობა აღნიშნული წამოწყების ინიციატორისა საქართველოში. ამიტომ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს დაკითხულ იქნეს ყველა დღესდღეობით ცნობილი დოკუმენტი, რათა დაჩრდილული და მიჩქმალული არ იქნეს ვისიმე ღვაწლი ამ დიად საქმეში“[2].

კ. კეკელიძე ის უდიდესი მკვლევარია, რომლის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიის შესწავლასა და პროპაგანდაში საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ მეცნიერება მაინც განვითარებადია. დიდი მეცნიერი იმ წყაროებსა და ლიტერატურას ეყრდნობოდა, რომლებზეც ხელი მიუწვდებოდა. დღეისათვის არსებულ წყაროები და ლიტერატურა კი სხვაგვარი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

პირველ რიგში უნდა გაირკვეს, როგორი გავლენა მოახდინა რომში დაბეჭდილმა პირველმა ქართულმა წიგნმა საქართველოში კულტურის განვითარებასა და სტამბის დაარსების სურვილის გაჩენაზე, როგორ შეხვდა ამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს (პირველ ნაბეჭდ წიგნს) იმდროინდელი ქართული საზოგადოება და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ქართული მწერლობა? პირველი ქართუ-

---

[1] ქართული სტამბის დაარსების პირველ ცდაზე ვრცლად იქვე, გვ. 103-118.
[2] კეკელიძე კ., ეტიუდები, II, გვ. 293.

ლი ნაბეჭდი წიგნის გამოცემის მნიშვნელობა საქართველოში თითქოს იმითიც უნდა გაზრდილიყო და გახმაურებულიყო, რომ მის გამოსაცემად მომზადებაში მონაწილეობა მიიღო XVII საუკუნის ერთ-ერთმა პოპულარულმა ქართველმა, ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტს საქართველოში რეზონანსი არ ექნებოდა და ამდენად ის გავლენას ვერ მოახდენდა მაშინდელი საზოგადოების აზრის ფორმირებაზე ქართული წიგნის საქართველოში ბეჭდვის აუცილებლობის შესახებ. ჯერ ერთი, რომიდან საქართველოში დაბრუნებულმა ნიკიფორემ და არც სხვა ვინმემ საქართველოში დარწმუნებით არ იცოდა, იხილა თუ არა წიგნმა დღის სინათლე, გამოქვეყნდა იგი თუ არა, რადგან როცა ნიკიფორემ რომი დატოვა წიგნი გამოცემული არ იყო. ის გამოიცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნიკიფორე საქართველოში (გორში) დაბრუნდა (1629 წ. 14 აგვისტო).

საინტერესოა, შემოვიდა თუ არა პირველი ქართული ნაბეჭდი პროდუქცია მისი ერთ-ერთი ავტორის სამშობლოში – საქართველოში?

ზოგადად ცნობილია, რომ პროპაგანდა ფიდე გამოქვეყნებულ ლიტერატურის ერთ ნაწილს საქართველოში აგზავნიდა. 1631 წ. 2 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოში მიმავალ მისიონერებს შეეძლოთ თან წაეღოთ პროპაგანდის სტამბაში დაბეჭდილი ის ლიტერატურა, რომელიც ნათელს ხდიდა ბერძნული ეკლესიის შეცდომებს. ამგვარი ლიტერატურით, როგორც რომში ფიქრობდნენ, ადვილად და წარმატებით მოხერხდებოდა ქართველთა რელიგიური „დაბნეულობის“ გამომჟღავნება[1].

1630 წ. 7 სექტემბრის „ინსტრუქციაში“ ნათქვამია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილ მისიონერებს ყოველთვის ემუქრება შავი ჭირი და გაძარცვის საშიშროება. იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოში მიმავალი მისიონერები – პეტრო ავიტაბილე, ჯაკომო სტეფანო და ნიკიფორე ირბახი გაძარცვეს, მათ წაართვეს თითქმის ყველაფერი. იმავე „ინსტრუქციაში“ პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნებთან დაკავშირებით მისიონერებისადმი თხოვნაა, რომ როდესაც ისინი საქართველოში ჩავიდოდნენ, ად-

---

[1] Ватейшвили Д. Л., Ук. труд, с. 400.

გილზე შეემოწმებინათ, რა შეცდომები ახლდა წიგნებს, აღენიშნათ ისინი და რომში გაეგზავნათ, რათა შემდგომ გამოცემებში მომხდარიყო მათი გასწორება.

ყურადღებას იპყრობს პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელების ინტერესი იმ ლიტერატურის მიმართ, რომელიც საქართველოში არსებობდა. მისიონერებს დაევალათ შეედგინათ იმ წიგნების სია[1].

სავარაუდოა, ქართული წიგნი, მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, რომ რომელიმე მისიონერმა ისინი საქართველოში ჩამოიტანა. მ. თამარაშვილს ბევრი უძებნია იტალიურ-ქართული ლექსიკონი და რომში ძლივს უშოვია ერთი ეგზემპლარი[2], რაც საეჭვოს ხდის, რომ ლექსიკონის შესახებ ვინმემ რაიმე იცოდა საქართველოში თუნდაც XVIII საუკუნის დასაწყისში. არსებობს მხოლოდ ერთი საბუთი, რომელიც მ. თამარაშვილს უნახავს. ეს არის „პროპაგანდა ფიდეს“ არქივში დაცული წერილი 1706 წლისა, რომლის მიხედვით, საქართველოში მომავალ კაპუცინ პატრს, ლავრენტი მილანელს მოუთხოვია ოთხოთხი ეგზემპლარი ქართული ლექსიკონი და ქართული კათეხიზისი[3], მაგრამ არ ჩანს დააკმაყოფილეს თუ არა მისი მოთხოვნა, შესძლო თუ არა დასახელებული წიგნების საქართველოში წამოღება. სხვა რამე ცნობა აღნიშნული წიგნების საქართველოში წამოღების ან ასეთი სურვილის შესახებ არ გაგვაჩნია. მოყვანილი ცნობა წიგნების გამოცემიდან 80 წლის შემდეგ არის დაწერილი.

თუ გავითვალისწინებთ ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნების შემდგომ ცხოვრებას და საქმიანობას, არ გამოვრიცხავ, რომ ნიკიფორე წინააღმდეგი იყო რომში გამოცემული იმ წიგნის საქართველოში გავრცელებისა, რომლის სატიტულოზე აღნიშნული იყო მისი დამსახურების შესახებ. ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩახედული და მოსახლეობის კათოლიკობისადმი დამოკიდებულებაში გარკვეული მისიონერებიც მოერიდებოდნენ, ნიკიფორეს სიცოცხლეში მაინც, საქართველოში წიგნის გავრცელებით მისი რეპუტაციის შელახვას. რომთან და, საერთოდ, კათოლიკებთან ურთიერთობა მა-

---

[1] Там же, с. 400-401.

[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 614.

[3] იქვე, გვ. 305.

შინ კარგ ტონად არ ითვლებოდა. საქართველოში მცხოვრები ბერძენი სამღვდელოება, კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის საპატრირქოებიდან მითითებით, მკაცრად ადევნებდა თვალს საქართველოს ხელისუფლებისა და თავადაზნაურობის კათოლიკებთან ურთიერთობას და გარკვეულად რეაგირებდნენ კიდეც, რისი დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ნიკიფორე ირბახის სამშობლოში დაბრუნება

ურბან VIII-ის მიერ სხვადასხვა ქვეყნის – შვეიცის, საფრანგეთის, უნგრეთის, ბოჰემიისა და რეჩ პოსპოლიტის – მეთაურებთან სარეკომენდაციო წერილებით აღჭურვილი ნიკიფორე რომიდან სამშობლოსკენ გამოემართა. მისი მოგზაურობის შესახებ გვაქვს ზოგიერთი ცნობა.

არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, „იტალიაში მოგზაურობის დროს ნიკიფორე მოამარაგეს წერილებით – ეს გააკეთა მისმა უწარჩინებულესობამ პაპმა და ასევე ბარბერინიმ. ამ წერილების მეშვეობით იგი ყველგან მიიღეს დიდი პატივით, განსაკუთრებით კი ტოსკანასა და მანტუას ჰერცოგმა... იგი ყველგან ზეიმით იყო მიღებული, როგორითაც მოვალენნი არიან ხოლმე მიიღონ სამეფო ელჩები“[1]

სრულიად საწინააღმდეგოს გვამცნობს მ. თარხნიშვილი ისევ იტალიურ წყაროებზე დაყრდნობით. 1628 წლის 11 აგვისტოს ნიკიფორე ნეაპოლში გაემგზავრა, საიდანაც 19 სექტემბერს, 27 სექტემბერს შეხვდა ვიცე მეფეს, რომელმაც, ნიკიფორეს სიტყვით, ის ცივად მიიღო. ნიკიფორე რომში დაბრუნდა, სადაც პაპისგან მიიღო 50 სკუდო და სარეკომენდაციო წერილი იმ მეფეებისადმი, რომელთა სამფლობელოებზეც უნდა გაევლო და რომიდან ფლორენციაში წავიდა. ნიკიფორე თეატინელებთან გაჩერდა. პაპის ნუნციომ ის კარგად მიიღო, მაგრამ არა როგორც ელჩი. ნუნციო დაეხმარა შეხვედროდა ფლორენციის ჰერცოგს, ვიცე ჰერცოგს, მის ცოლს და კარდინალ მედიჩის. მან დაათვალიერა ქალაქი.

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 198.

ჰერცოგმა მას საჩუქრად გადასცა მრავალი რელიკვია და სხვ. იმავე წლის 29 დეკემბერს ნიკიფორე დაადგა ავსტრიისა და რეჩ პოსპოლიტის გზას, სადაც შეხვდა იმპერატორსა და მეფეს. 1629 წლის 14 აპრილს ნიკიფორემ რეჩ პოსპოლიტა დატოვა[1].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიკიფორეს ყოფნა და საქმიანობა რეჩ პოსპოლიტაში, საიდანაც გვაქვს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები. 1629 წ. 14 აპრილს, როდესაც ნიკიფორემ ვარშავა დატოვა, იმავე დღეს სელევკიის[2] (?) არქიეპისკოპოსმა რომში გაგზავნა წერილი, რომელშიც მოცემულია ნიკიფორეს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა, მისი მოთხოვნებისა და სურვილების დაკმაყოფილების შესახებ. წერილში ვკითხულობთ: „აქ მოვიდა მამა ნიკიფორე ირბახი, ქართველი. როგორც კი შემატყობინა ჩამოსვლის ამბავი, მის წამოსაყვანად ჩემი ბინიდან მაშინვე რამდენიმე კაცი გავაგზავნე ეტლებით, რადგან აქედან ცოტა შორს დამდგარიყო. მამა ნიკიფორე ჩვენთან დავაბინავე და თავაზიანობა და სიყვარულით სავსე მასპინძლობა არ მოგვიკლია მისთვის. შევახვედრე მის დიდებულებას, თან გავაყოლე პატივსაცემი ხალხი და გავაგზავნე ყველა მთავარ მოხელესთან, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი სურდა. გამგზავრებისას მივეცით საგზალი და ეტლი რამდენიმე დღით. ვეცადე, წმინდა კონგრეგაციის სურვილებისათვის მეპასუხა; მათ გამომიგზავნეს სარეკომენდაციო წერილი. როგორც ჩანს, ჩემით კმაყოფილი გაემგზავრა, რადგან აქ ყოფნისას წმ. კონგრეგაციიდან განუწყვეტლივ იღებდა წყალობასა და პატივისცემას და განსაკუთრებით კრძალვით იხსენიებდა თქვენგან მიღებულ წყალობებს. როცა მიემგზავრებოდა დამიტოვა დამტებითი წერილები, რომლებსაც ჩემს სხვა წერილებთან ერთად გიგზავნით“[3].

ვარშავის არქიეპისკოპოსის წერილის შინაარსის საწინააღმდეგო ინფორმაციას ვნახულობთ წმ. კონგრეგაციის ვარშაველი ნუნციოს წერილიდან. მასში გადმოცემულია ნიკიფორეს კათოლი-

---

[1] თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 368.

[2] ეს არის ვარშავის არქიეპისკოპოსი სალონიკი. თარხნიშვილი მ., თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში. გვ. 363.

[3] თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 562, შენ. 3.

კესათვის შეუფერებელ და უღირს მოქმედებაზე იმავე ქალაქში. პაპის ნუნციო რომში აცნობებდა: „მე მგონია, რომ არაა საჭირო გაჩუმება იმის შესახებ, რაც ჩემთვის ამასწინათ გახდა ცნობილი: ამ მამამ თავის თავზე ცუდი სახელი დატოვა ქალაქში, ვინაიდან ამბობენ, რომ მან მისცა ხელოსნებს წმინდანების რელიკვიები, აგნუს დეი[1], მედლები – ყოველივე ეს სხვადასხვა საგნებზე გაცვალა[2]; ცვლიდა წმინდანთა გამოსახულებებს და ძვირფას საგნებს სხვა საგნებზე და სურათებზე... ერთ-ერთი სომხისა და გაქრისტიანებული ებრაელის დახმარებით; და ფიქრობენ, რომ ისინი წაიყვანა თან. ისინი წავიდნენ საიდუმლოდ და დატოვეს დიდი ვალი... მოკლედ, ეს ყველაფერი შესაძლებელია ეხება არა მას, არამედ მის მსახურებს“. იმავე წერილზე მიწერილი ყოფილა სხვა ხელით: „რომ ის (ნიკიფორე) ცუდ რამეებს ამბობდა უნიატებზე. სულ არ უნდოდა მათ შეხვედროდა; მიტროპოლიტმა რუტსკიმ გამოთქვა სინანული, რომ არ მიეცა შესაძლებლობა მასთან დაედო სამოკავშირეო შეთანხმება. ის წავიდა“[3].

არის იმის თქმის საფუძველი, რომ ნიკიფორემ, სამშობლოში დაბრუნებამდე, გზაშივე უარყო კათოლიკობა. სხვა რით უნდა აიხსნას მისი საქციელი ვარშავაში, სადაც ის აძაგებდა უნიატებს და უარი თქვა მათთან შეხვედრაზე? იქვე, სხვადასხვა საგნებზე გადაცვალა ფლორენციის ერცჰერცოგის მიერ ნაჩუქარი რელიკვიები, წმინდანთა გამოსახულებები და საეკლესიო საგნები.

---

[1] ღვთის ანგელოზი.

[2] ითქვა, რომ ნიკიფორე მადრიდიდან ძვირფასი საჩუქრებით გამოისტუნრეს. კერძოდ, 1627 წლის 11 ნოემბერს ესპანეთის სახელმწიფო საბჭომ განიხილა ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნების საკითხი და დონ ავგუსტინ მესიას წინადადებით გადაწყვიტა, რომ ქართველი ელჩის გამგზავრების წინ, დონ ხუან დე ვინსენსიო მეფის სახელით, სახელმწიფოს საბჭოს შენობის წინ მოედანზე, ნიკიფორეს საჯაროდ გადასცემდა საჩუქარს: 2 ათასი დუკატის ღირებულ ოქროს ჯაჭვს (ლუის ხილი ფერნანდესი ლ. ხ., ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 464, დოკ., 68; გვ. 470· დოკ. №74). ი. ტაბაღუასთან ოქროს ჯაჭვის მაგიერ ოქროს ფურღული ანუ მარგალიტის ყელსაბამია (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 178). როგორც ჩანს, ნიკიფორე მოგზაურობის დროს ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საგნებითაც დაუსაჩუქრებიათ.

[3] თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 369.

შეიძლება ვთქვათ, რომ ნიკიფორე ისევე ჩუმად დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, როგორც ჩუმად, პოლიტიკური მოსაზრებით, იძულებით „განუდგა“. იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი ამ მოქმედების შესახებ ქართველთაგან არავინ იცოდა. როგორც ცნობილია ის დიდი ხნის განმავლობაში იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის იღუმენი (ჯვარისმამა) იყო. ის ამ რანგში გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქიდან დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა ეს თანამდებობა. ნიკიფორეს არაკეთილმოსურნეებს (ასეთი მას საკმაოდ ჰყავდა) მისი ცდომილება რომ სცოდნოდათ, არ დამალავდნენ და ქვეყანას გააგებინებდნენ. მისი ლოიალური დამოკიდებულება საქართველოში მოღვაწე კათოლიკე პატრებისადმი, უნდა აიხსნას როგორც დიპლომატის პრაგმატული აზროვნების ნაყოფი, დიპლომატისა, რომელიც პატრებთან კარგი ურთიერთობით ცდილობდა თუნდაც სუსტი კავშირი მაინც შეენარჩუნებინა რომთან და, ამ უკანასკნელის საშუალებით, დასავლეთ ევროპასთან.

განხეთქილება თეიმურაზსა და ნიკიფორეს შორის

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის საქართველოში მოღვაწეობაზე, თითქმის არაფერი ვიცით. ამ მნიშვნელოვანი პიროვნების საქმიანობა XVII საუკუნის დიდ მონაკვეთში რელიეფურად არ ჩანს და, ალბათ, ვერ გამოჩნდება აუცილებელი ქართული წერილობითი წყაროების გარეშე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ გაგვაჩნია. ამიტომ ნიკიფორეს მოღვაწეობის ამ მხარეზე მსჯელობა, ძირითადად, ვარაუდებზეა აგებული.

ხელცარიელი ნიკიფორეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თეიმურაზს ევროპის სახელმწიფოებისა და პაპის მიმართ გუნება-განწყობილება შეეცვალა, რაც მეფის ნიკიფორესთან შემდგომ ურთიერთობაზეც აისახა. ამ მოსაზრების დამადასტურებელი უნდა იყოს 1628 წლის 5 იანვრის მეფის მიერ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის გაგზავნილ წერილში გამოთქმული სურვილი, რომ მას განზრახული აქვს რომში თავის ელჩად გაგზავნოს არა ნიკიფორე, არამედ კათოლიკე მისიონერი. თე-

იმურაზი პაპს აცნობებს: დონ ჯაკომო დი სტეფანოს „თქვენს მაღალ დიდებულებასთან გამოვგზავნით, სიტყვიერი დაპირებითა და პატივისცემით ვაუწყებთ, ავუხსნით და დავუდასტურებთ თქვენს მეუფეობრივ უწმინდესობას, თუ როგორაა საქმეები ჩვენს ქვეყანაში“[1]. ასევე ფრიად საყურადღებოა არქანჯელო ლამბერტის ერთი ცნობა, რომელიც ჩაწერილი უნდა იყოს 1631 წლის მაისის თვეში. 12 მაისს გორში მოვიდნენ არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე. მისიონერები ორი დღის შემდეგ მეფე თეიმურაზს ეწვივნენ საფურცლეში (არაგვის პირას), სადაც მეფე თეიმურაზი იმერეთის მეფე ალექსანდრეს ელოდა, რათა მისთვის თავისი დაქვრივებული ასული, ზურაბ ერისთავის ნაცოლარი, დარეჯანი მიეთხოვებინა. საფურცლეში მივიდა სამეფოს თავადაზნაურობა, კათალიკოსი და ეკლესიის ყველა იერარქი, მაგრამ იქ არ იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი[2]. ნიკიფორე არ დასწრებია არც ჯუდიჩეს და ლამბერტის მეფესთან მიღებას[3]. მანამდე ნიკიფორეს გარეშე ამგვარი არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მისიონერებს რომიდან გამოატანეს სარეკომენდაციო წერილი ნიკიფორესთან, რათა მას მისიონერებისათვის ჯეროვანი დახმარება აღმოეჩინა[4]. მისიონერებმა მეფეს პაპისა და „პროპაგანდა დე ფიდეს“ წერილები გადასცეს.

აუდიენციის დროს მისიონერებმა, ალბათ, გაიხსენეს თეიმურაზის მიერ პაპთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც იგი კათოლიკური ეკლესიის მეთაურის უზენაესობას აღიარებდა და პაპს მეფედ დამტკიცებას სთხოვდა: „ჩვენც ჩვენის მხრით გპირდებით მორჩილებას და პატივისცემას... მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ... მღვდელი ნიკიფორე მოგართმევსთ ამ წერილს, რომელიც აღვწერეთ ძრიელ მარტივად“[5] – ნათქვამი იყო ნიკიფორეს მიერ პაპისათვის მირდმეულ თეიმურაზ მეფის სიგელის „თარგმანში“.

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 205-206.
[2] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 111-112..
[3] იქვე, გვ. 114.
[4] იქვე, გვ. 115.
[5] იქვე, გვ. 94.

მისიონერებმა, მოსალოდნელია, აღნიშნული წერილის ასლი თან მოიტანეს საქართველოში, რადგან მისი შინაარსიდან გამომდინარე, მეფეს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პაპისა და მისი წარმომადგენლების – მისიონერების წინაშე. მეფემ უარყო ამგვარი წერილის პაპთან გაგზავნა და განაცხადა: მე მაგისთანა წერილი პაპისათვის არ მიმიწერია და მისიონერებს აგრძნობინა, შეიძლება ის ნიკიფორემ შეთხზა და ამდენად მე არავითარი პასუხისმგებლობა არ მეკისრებაო. არქანჯელო ლამბერტი შემდეგნაირად გადმოგვცემს მეფის პასუხს: „შეიძლება კაცმა ეჭვი შეიტანოს, რომ ნამდვილი მისი (თეიმურაზ I – ე.მ.) დაწერილი იყოს, რადგან როდესაც ჩვენ მივედით საქართველოში და გადავეცით პაპის წიგნები, მან ცხადად უარჰყო, პაპისათვის არასოდეს მიმიწერია წიგნი... ვერ დავიჯერებ, – წერს არქანჯელო ლამბერტი, – რომ ნიკიფორეს ის წიგნი გაეყალბებინოს, რადგან მასთან ათი წლის განმავლობაში დაახლოებული ვიყავ და დავრწმუნდი, რომ იგი იყო გულწრფელი, წყნარი თავის საქმეში და ყოვლად მტკიცე რომის მღვდელმთავრისადმი პატივისცემაში“[1].

თეიმურაზს, როგორც ჩანს, მორალური უფლება ჰქონდა ბრალი დაედო ნიკიფორესათვის მეფის დავალებების ესპანეთის მეფის სასახლემდე და რომის პაპის კურიამდე არასწორად მიტანის შესახებ. ნიკიფორეს მიერ შედგენილ წერილებსა და მეფის მიერ გატანებულ სიგელებს შორის (მათი ლათინური და იტალიური თარგმანები ცნობილია) სერიოზული შინაარსობრივი განსხვავებაა, რაც უკვე აღინიშნა.

ნიკიფორე სამშობლოში სხვა გზით დაბრუნდა. როგორც გ. აკოფაშვილი აღნიშნავდა, ნიკიფორემ „ნაკლებ სახიფათო და, რაც მთავარია, პოლიტიკური თვალსაზრისით დიდად მოსახერხებელი გზა აირჩია... ამრიგად, იტალიიდან ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ჩრდილოეთის მიმართულებით წავიდა, გადალახა რა ალპები, ე. წ. „წმინდა რომის იმპერიაში აღმოჩნდა... გერმანიაზე გავლით ნიკოლოზი ლიტვა-რეჩ პოსპოლიტის სამეფოში ჩავიდა, ხოლო ლიტვიდან რუსეთში გადასულა და მოსკოვშიც ყოფილა“[2].

---

[1] იქვე, გვ. 94-95, 614. შდრ. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 188-189.

[2] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი..., გვ. 48. 1639 წელს ნიკოლოზმა ოდიშის სამთავროში მყოფ რუს ელჩებს თეოდოტე ელჩინსა და პავ-

გვაქვს სხვა მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცნობა საქართველოში (გორში) მოღვაწე კათოლიკე მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილესი, რომელიც ნიკიფორეს მოქმედებას რომში სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენს და ნათელს ხდის თეიმურაზ მეფის თავისი დიპლომატისადმი უკმაყოფილების მიზეზს.

ვიდრე წერილს გავეცნობოდეთ მანამდე აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: ჩვენს წინაშეა ერთი წერილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ქვემოთ ითქმევა, მკვლევრებს ორ წერილად მიაჩნიათ. ერთს ათარიღებენ 1629 წლის 22 ოქტომბრით, მეორეს კი, 1630 წლის 22 ოქტომბრით. მაგრამ ეს თარიღი, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ეჭვს იწვევს. ვფიქრობ, მეორე წერილის თარიღი (1630 წ. 22 ოქტომბერი) მცდარია და ეს „ორივე“ წერილი დაწერილია ერთსა და იმავე დროს – 1629 წლის 22 ოქტომბერს. „პირველი“ წერილი „მეორესთან“ შედარებით ვრცელია. მასში აღნიშნულია რამ უბიძგა ავიტაბილეს სასწრაფოდ გაეგზავნა წერილი თეატინელთა ორდენის გენერლისათვის რომში. ავიტაბილე წერს: „ამჟამად გორში იმყოფება ნიჩეფორო-ბერი, რომელიც გასულ წელს ჩვენი მხრიდან (გორი – ე.მ.) წასული, ისევ დაბრუნდა ჩვენს მხარეში; ის მოვიდა იმიტომ, რომ გააგზავნოს ის, ვინც მოწყალებას ეზიდება საქართველოდან იერუსალიმში. ის მიემგზავრება ხვალ დილას გათენებისას. ხსენებული ნიჩეფორო მას ატანს წერილებს რომში რამდენიმე სინიორისათვის და მე ვისარგებლე ამ კარგი ხელსაყრელი

ლე ზახარინს განუცხადა, რომ ის თითქოს ოცდაათი წელი იერუსალიმში იმყოფებოდა, იერუსალიმიდან გერმანიაში და ლიტვაში იყო, ლიტვიდან გადავიდა მოსკოვში, სადაც მოინახულა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ფილარეტი და სრულიად რუსეთის ხელმწიფე და დიდი მთავარი მიხეილ თედორეს ძე, მაგრამ, როგორც პ. ზახარინი შენიშნავს, ნიკიფორეს არ უთქვამს რომელ წელს იმყოფებოდა მოსკოვში (Белокуров С. А., Материалы для Русской истории, М., 188, с. 373). რუსი ელჩების ნათქვამზე დაყრდნობით გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ნიკიფორემ შეიძლება რუსეთში იმოგზაურა სამეგრელოში ყოფნის ჟამს (Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 418). მაგრამ მკვლევართა ამგვარი ვარაუდი, როგორც წინამდებარე ნაშრომიდანაც გამოჩნდება, არ ჯდება ნიკიფორეს მიერ სამეგრელოს მთავრის კარზე ცხოვრების ქრონიკაში.

შემთხვევით, რათა მივწერო თქვენს უსამღვდელოსეობას და თქვენი სახით – ყველა დანარჩენ ჩვენს საყვარელ მამასა და ძმას“[1]. წერილში შემდეგ აღნიშნულია, რომ ნიკიფორე ისე დაბრუნდა რომიდან, რომ მისიონერებისათვის განკუთვნილი წერილები არ მოიტანა და განაცხადა, რომ წერილები კონსტანტინოპოლში ჩამოართვეს[2]. ავიტაბილე ვერ მალავს თავის გაოცებას ნიკიფორეს ცოდნის გამო თეატინელთა ორდენის შესახებ. ისეთი დაწვრილებით მოგვითხრო ჩვენს ორდენზე, რომ თავდაპირველად ის ჩვენი ერთ-ერთი ბერი გვეგონაო – წერს ავიტაბილე.

აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ნიკიფორეს ნათქვამზე, რომ მას მისიონერებისათვის რომიდან გატანებული წერილები კონსტანტინოპოლში ჩამოართვეს. ეს ფაქტი სხვა ცნობითაც დასტურდება და ნიკიფორესადმი ამგვარი მოპყრობის ზოგიერთი ინიციატორიც და მონაწილეც ცნობილია. მაგრამ ეს ფაქტი სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. წყაროები არ აღნიშნავს ნიკიფორეს მიერ სხვა, იმ დოკუმენტების დაკარგვაზე, რომლებიც მას ესპანეთიდან და რომიდან მოჰქონდა. ავიტაბილე, ნიკიფორე ირბახის მიერ რომში გაგზავნილი წერილის მინაწერში აღნიშნავს, რომ ნიკიფორემ პაპის წერილი თეიმურაზ მეფეს მიართვა[3]. ჩანს ნიკიფორეს კონსტანტინოპოლში ყველა წერილი არ ჩამოართვეს, ალბათ, მათ სხვადასხვა ადგილას ინახავდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ მეფე ნიკიფორეს სიტყვიერ ინფორმაციას უნდა დაყრდნობოდა, რაც შემდეგ მათ შორის გაუგებრობის მიზეზი გახდა.

ავიტაბილე იმასაც აღნიშნავს, რომ მეორე დღეს (23 ოქტომბერი) ნიკიფორე გაემგზავრა მეფე თეიმურაზთან, რათა მოეთხრო ის, რაც მოიმოქმედეს პაპმა და თეატინელმა ბერებმა თეიმურაზის პატივისცემისათვის მისი ელჩის – ნიკიფორე ირბახის

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 687.

[2] კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უარყოფით დამოკიდებულებაზე კათოლიკე მისიონერების მიმართ აღნიშნულია ავიტაბილეს წერილში, რომელიც გაუგზავნა წმ. პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის“ მდივანს. იქვე, გვ. 413.

[3] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 414

რომში ყოფნის პერიოდში[1]. ავიტაბილე იქვე წერს, რომ „ნიკიფორე მაჩქარებს, რადგან მისი კაცი უკვე მიემგზავრება“, მაგრამ არ უთითებს, რას მოითხოვდა ნიკიფორე მისგან[2].

ახლა გავეცნოთ „მეორე“ წერილს, რომელსაც ავიტაბილე თითქოს 1630 წლის 22 ოქტომბერს წერს: „ბატონი ნიჩეფორო იმ კაცთან ერთად იყო, რომელიც უნდა წავიდეს წმინდა მიწაზე, უკვე გაემგზავრა, მას არ შეეძლო დალოდებოდა სარეკომენდაციო წერილს, რომელიც მისთვის უნდა გამემზადებინა ბატონ კონსულთან (წარსადგენად – ე.მ.) ალეპოში; მაგრამ მან ჩემთან დატოვა მსახური, რომელიც ხვალ გაემგზავრება, ჩემთან შემოივლის. ***თქვენს უსამღვდელოესობას ვთხოვ გადასცეთ იმ ბატონებს [წმინდა კონგრეგაციიდან[3]], რომ ნიჩეფერომ ისინი შეცდომაში შეიყვანა, მან ზუსტად არ მოუთხრო (მეფის –ე.მ.) წერილი ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა თარჯიმანს;*** როდესაც ვეკითხებოდით, როგორ უნდა მოიქცეს (ნიკიფორე – ე. ნ.), ყოველთვის გაურკვე-

---

[1] ავიტაბილე იმავე წერილით რომში აცნობებს, როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ გორში მისიონერები ნიკიფორეს ევროპიდან დაბრუნებამდე. ავიტაბილე წერს: „აქ (გორში – ე. მ.) ღვთის შეწევნით მოსვლის შემდეგ, ისეთ უკიდურეს გაჭირვებაში აღმოვჩნდით, რომ ამის წარმოდგენაც კი ძნელია. ჩვენ აქამომდე გაუხდელად გვძინავს მიწაზე, გაფენილ ტყავზე, ფიცრების გარეშე. ასეთია ჩვენი საწოლი. სიცივისაგან რომ არ დავიხოცოთ, ტყეში დავდივარ შეშისათვის, მდინარეზე პერანგის გასარეცხად, მინდორში მწვანილის მოსაკრებად, რათა ვიკვებოთ. ამგვარი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ვიმყოფებით რა უარეს მდგომარეობაში, ვიდრე მოველოდით, მაგრამ გულს სრულებითაც არ ვიტეხთ. სამწუხაროა რომ არ შეგვიძლია ენის შესწავლა დავიწყოთ, რათა იმ საქმეს შევუდგეთ, რისთვისაც ღმერთმა აქ გამოგვამწესა; მაგრამ ჩვენ ამითიც სრულიად კმაყოფილნი ვართ, რადგან ვიცით, რომ ამგვარად ვემსახურებით უზენაესს. ვცხოვრობთ რა ამგვარ გაჭირვებაში და ვხედავთ, რომ საარსებო არა გვაქვს, დავიწყეთ მოწყალების მოთხოვნა, მაგრამ ავადმყოფებისაგან მკურნალობის საფასურს კი არ ვითხოვთ, არამედ ვიჩენთ გულმოწყალებას ღვთის სიყვარულით, იმედი გვაქვს, რომ ღმერთი მათ გულებში გააჩენს ჩვენს მიმართ თანაგრძნობას, რათა მოწყალების სახით მოგვცენ პური ან სხვა რაიმე“ (Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 509-510).

[2] Там же, с. 510

[3] საფიქრებელია, წმ. კონგრეგაცია ნიკიფორეს მოქმედებაზე აცნობებდნენ ესპანეთის ხელისუფლებასაც.

ველ პასუხს იძლეოდა. ეჭვგარეშეა, რომ მას საუკეთესო ზრახვები აქვს, და მსჯელობის ოსტატია. მე მოხერხებულად ვათქმევინე, რომ ***ის წერილი, რომელიც მან ჩვენს მბრძანებელს თავისი მეფის სახელით წარუდგინა, [სინამდვილეში] თვითონ დაწერა იერუსალიმში, მისი ნებართვის გარეშე***[4].

ვფიქრობ, ჩვენს წინაშეა არა ორი, არამედ ერთი წერილი და აი რატომ:

1. მეორე წერილს არა ჰყავს ადრესატი, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ ისიც, პირველის მსგავსად, იმავე ორდენის გენერლისთვის არის განკუთვნილი;

2. იგი პირველის გაგრძელებაა და არა ერთი წლის შემდეგ, 1630 წელს, დაწერილი. ამაზე მიუთითებს ორივე წერილის შინაარსი;

3. ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ახალი დაბრუნებული ევროპიდან, „ორივეჯერ“ (სინამდვილეში ერთხელ) ერთი მიზნით მივიდა გორში: გააგზავნოს თავისი კაცი იერუსალიმში.

4. ნიკიფორე აჩქარებს ავიტაბილეს დაუწეროს მის კაცს სარეკომენდაციო წერილი, რასაც მისიონერი, სავარაუდოა დროის სიმცირის გამო ვერ ასწრებს. ნიკიფორე და მისი თანმხლები ველარ ელოდებიან, ამიტომ („მეორე“ წერილის მიხედვით) ნიკიფორემ ავიტაბილესთან გორში დასტოვა თავისი მსახური, რომელიც სარეკომენდაციო ბარათს მეორე დღეს წაუღებდა იერუსალიმში მიმავალს.

5. ავიტაბილემ, როგორც პირველი წერილიდან ირკვევა, სარეკომენდაციო ბარათთან ერთად თავისი წერილებიც გაატანა იერუსალიმში მიმავალ კაცს[2].

6. ორდენის გენერლისათვის განკუთვნილ წერილს ავიტაბილემ, პოსტსკრიპტუმის სახით, მიაწერა ის, რაც გ. ჟორდანიას მეორე წერილად მიაჩნდა.

7. თითქმის ერთნაირია აგებულებითა და სტილით ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა და ავიტაბილეს 1629 წლის 22 ოქტომბრის

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 690. შეადარე იმავე წერილის რუსული თარგმანი, გვ. 512-513.

[2] ერთ-ერთი წერილი დათარიღებულია იმავე 1629 წლის 22 ოქტომბრთ. იხ. იქვე, გვ. 413-414.

წერილები[1]. ეჭვგარეშეა, ორივე დაწერილია ავიტაბილეს მიერ. ნიკიფორეს წერილს აქვს ისეთივე მინაწერი (კომენტარი), როგორიც ავიტაბილეს წერილს, რომელშიც ლაპარაკია ნიკიფორეს არასწორ მოქმედებაზე რომში. ნიკიფორეს წერილის მინაწერშიც ავტორი (ჩემი აზრით, ავიტაბილე) ადრესატისათვის განმარტავს ნიკიფორეს საქართველოსაკენ მგზავრობის დროს კონსტანტინოპოლში განცდილ უსიამოვნებას, მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგდროინდელ საქმიანობას და ამ მოქმედების მოსალოდნელ შედეგებს[2].

8. დაბოლოს, ავიტაბილე 1630 წლის 22 ოქტომბერს გორში ვერ დაწერდა წერილს თუნდაც იმიტომ, რომ იგი 3 აგვისტოს მეფე თეიმურაზისა და კათალიკოს ზაქარიას წერილებით გორიდან რომში გაემგზავრა.

ავიტაბილეს წერილიდან, ამჯერად, საინტერესოა ის ადგილი, სადაც აღნიშნულია ნიკიფორეს მიერ რომსა და მადრიდში თეიმურაზის წერილების შინაარსის არასწორად გადაცემა, რაც თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილს შორის განხეთქილების კიდევ ერთი მიზეზი უნდა გამხდარიყო.

„რამდენადაც ცნობილია, – წერდა თ. ტივაძე, – ელჩს, რომელი ქვეყნის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, კატეგორიულად ეკრძალება ასე რადიკალურად, თვითნებურად, გაემრუდებინა თავისი მთავრობის მიერ შემუშავებული კურსი, რა ვითარებითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გაპირობებული და რა პირობებიც არ უნდა დახვედროდა მას იმ ქვეყანაში, რომელშიაც იგი იქნებოდა მივლენილი. გამოდის, რომ ან თეიმურაზს და მის თანამოაზრეებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ესპანეთის საერთაშორისო მიზნებზე (კერძოდ, ოსმალეთთან დამოკიდებულების თაობაზე) ან საქართველოს მესვეურთათვის იმჟამად იმდენად აუცილებელი იყო ვის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიმხრობდნენ ესპანეთსა და რომს. ასეთ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ირბახს საგანგებო უფლებები ჰქონდა მინიჭებული – ემოქმედა ადგილზე ჩასვლისას თავის შეხედულებისამებრ. თუ გავიხსენებთ, რომ თანამედროვე

---

[1] იქვე, გვ. 413-414.
[2] იქვე, გვ. 414.

უცხოელები თეიმურაზისეულ წერილს პაპისადმი ნიკიფორეს მიერ დაწერილად მიიჩნევდნენ, ხოლო ბეჭედს – ნაყალბევად, ჩვენი ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ გამოჩნდება“[1]. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ნიკიფორეს მეფისაგან მინიჭებული ჰქონდა უფლება ადგილზე ემექმედა თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ, საფიქრალია, რომ ამ თავისუფლებას არ უნდა გამოეწვია მეფის მიერ მიცემული დავალების სრულიად შეცვლა და მისი მორგება (მეფის სახელით) ესპანეთისა და რომის ინტერესებისათვის, რაც, როგორც მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, ნიკიფორემ მადრიდსა და რომში, შეიძლება, ვიღაცების ჩაგონებით, ან თავისი ინიციატივით მოიმოქმედა.

თ. ტივაძის შეფასებით, მართალია, ნიკიფორეს ელჩობის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ დახმარება ვერ მიიღო ევროპიდან, მაგრამ ელჩობის შედეგები მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. „საქართველოს პოლიტიკოსები არ ელოდნენ ტერიტორიულად ასე დაშორებით მყოფი ქვეყნებისაგან ქმედით დახმარებას. ***უმთავრესი მიზანი თეიმურაზისა მაინც საერთაშორისო აღიარების მიღწევა უნდა ყოფილ;იყო. ამით იგი ორივე აგრესორის – ირანისა და ოსმალეთის დაშინებას ცდილობდა“[2].***

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ელჩობის უმთავრეს მიზნად გ. ჟორდანია ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო აღიარებას მიიჩნევდა: „მთავარი ამოცანა, რომელსაც თეიმურაზი ამ დიპლომატიური აქციების წინაშე აყენებდა, იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო დიპლომატიური იზოლაციიდან გამოყვანა და მისი დაახლოვება დასავლეთის სახელმწიფოებთან, უპირველეს

---

[1] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 65. გ. ჟორდანია, რომელიც კარგად იცნობდა თეიმურაზ მეფის მიერ ნიკიფორესათვის გატანებულ სიგელებს, ესპანეთის მეფისა და რომის პაპისათვის განკუთვნილი წერილების და მადრიდსა და რომში წარდგენილი წერილების თარგმანების შინაარსს, ის მაინც ამბობდა, რომ ნიკიფორემ თვითნებურად კი არ შეცვალა მათი შინაარსი, არამედ ეყრდნობოდა თეიმურაზის წერილ-ნიმუშებს (Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 59). როგორც დონ პიეტრო ავიტაბილეს წერილიდან, აგრეთვე თვით თეიმურაზ მეფის წერილებისა და მათი თარგმანების შედარება ამგვარი დასკვნის საშუალებას არ იძლევა..

[2] იქვე. ხაზგასმა თ. ტივაძისა.

ყოვლისა კი, ესპანეთთან და პაპობასთან. პირველი მათგანი, ესპანეთი, თავისი მფარველობით, ახლად შეძენილი ვასალურ სახელმწიფოს, მეორე, პაპობა კი, თეიმურაზის სამეფო ღირსების აღიარებით, თეიმურაზს შეიყვანდნენ დასავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოების თანამეგობრობაში და განამტკიცებდნენ მის საერთაშორისო ავტორიტეტს“[1].

ძნელია ამ დასკვნების გაზიარება: თეიმურაზ I-ს, მაშინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით, საეჭვოა, ამგვარი ძვირადღირებული და სახიფათო დიპლომატიური თამაში წამოეწყო. ვინმეს დასაშინებლად გამიზნულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ აქციას კი არ ასაიდუმლოებდნენ ხოლმე, არამედ, პირიქით, ფართო რეზონანსს აძლევდნენ. ნიკიფორეს მთელი ელჩობა კი საიდუმლოების საფარველქვეშ მიმდინარეობდა. თეიმურაზ I ესპანეთის მეფეს პირდაპირ სთხოვდა, რომ ესპანეთი თუ მხარს არ დაუჭერდა მის გეგმას, მაშინ „ყოველივე ეს საიდუმლოდ შეენახა“[2]. მადრიდში სამეფო საბჭოზე, თეიმურაზის სათხოვრის განხილვისასაც ხაზი გაესვა მოლაპარაკების გასაიდუმლოების აუცილებლობას, რომელსაც კატეგორიულად მოითხოვდა ქართველი მეფე. „სახელდობრ იმის თაობაზე, რაც შეეხება (ჩანაფიქრის განსახორციელებლად ხელსაყრელ) ვითარებას, დროსა და მოქმედების თანმიმდევრობას, ყოველივე ეს დაცული უნდა იყოს როგორც უდიდესი მნიშვნელობის საიდუმლოება, რადგან საქმე ეხება ბევრი ქრისტიანის ყოფნა-არყოფნასა და არაერთი პროვინციის თუ სამეფოს დაღუპვასა ან აღდგენას. ელჩს თავისი მეფისაგან აკრძალული აქვს ვინმესთან, ვინც უნდა იყოს, იმსჯელოს ამ საქმეზე, გარდა თქვენი სამეფო უდიდებულესობისა, და იმ პირობით, ვისაც თქვენი დიდებულება ზედმიწევნით ენდობა“[3]. ამ ელჩობის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მის დასასრულს, კონსტანტინოპოლში.

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 56.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 153, 156

[3] ვათეიშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. ქართველი დესპანი ესპანეთში XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევს. გაზ. „კომუნისტი“, №75.

ზემოთ მოხმობილი ორივე (თ. ტივაძის და გ. ჟორდანიას) მოსაზრება, გარკვეულ წილად, სწორია. ქართლ-კახეთის მეფის სურვილი, მის სამეფოს მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი, ბუნებრივია, თეიმურაზის შორეული ოცნება იქნებოდა. მაგრამ ნიკიფორეს ელჩობის წინაშე დაყენებული ამოცანა, მაშინდელი საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის გადარჩენა იყო. ამაზე მეტყველებს ელჩობის გაგზავნის წინ, მისი მსვლელობისა და შემდგომი პერიოდის, მდგომარეობა. თეიმურაზს თავისი სახელმწიფოს გარანტირებული დაცვა უნდოდა. იგი ხელსაყრელად მიიჩნევდა ესპანეთ-ირანის დაპირისპირებას და ესპანეთში პოტენციურ მოკავშირეს ხედავდა. პაპი კი, ავტორიტეტული ფიგურა იყო ქრისტიანულ სამყაროში. მაშინ, როდესაც რომი მისიონერების საშუალებით ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა საქართველოზე, პაპის მხარდაჭერის მოპოვება თითქოს რეალური ჩანდა.

დავუბრუნდეთ თ. ტივაძის და გ. ჟორდანიას მოსაზრებას, რომ თეიმურაზს თავისი სამეფოს და ხელისუფლების საერთაშორისო აღიარება უნდოდაო. თუ თეიმურაზი მხოლოდ საერთაშორისო აღიარების მოპოვებას ცდილობდა, მაშინ მის ამ სურვილს რა ედობებოდა? ცნობილი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ესპანეთის მთავრობამ თავდაპირველად, ვიდრე ლაპარაკი იყო მხოლოდ მეგობრობასა და ქართლ-კახეთის სამეფოს ესპანეთის ტახტის მიმართ ქვეშევრდომობაზე, დაზვერვითი ხასიათის ნაბიჯების გადადგმაც კი განიზრახა. სავარაუდოა, როდესაც ცნობილი გახდა (გავიხსენოთ, დონ პიეტრო ავიტაბილეს სიტყვები: თქვენს უსამღვდელოესობას ვთხოვ გადასცეთ იმ ბატონებს [წმინდა კონგრეგაციიდან[1]], რომ ნიჩეფერომ ისინი შეცდომაში შეიყვანა, მან ზუსტად არ მოუთხრო (მეფის – ე.მ.) წერილი ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა თარჯიმანს“) ქართველი პოლიტიკოსების ნამდვილი ზრახვები და ისიც, რომ ნიკიფორეს მიერ წარდგენილი წერილების თარგმანში არასწორად იყო გადმოცემული მისი მეფის სურვილები, რაც თვითონ თეიმურაზ მეფემ (წერილი მე არ დამიწერიაო) და ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა გაახმოვანეს მისი-

[1] საფიქრებელია, წმ. კონგრეგაცია ნიკფორეს მოქმედებაზე აცნობებდნენ ესპანეთის ხელისუფლებასაც.

ონერებთან საუბარში. ამის შემდეგ ესპანეთის მთავრობამ თავი შეიკავა ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებაზე.

რაც შეეხება, რომთან კავშირს, თეიმურაზისთვის თუ მთავარი პაპის მიერ და მისი საშუალებით საერთაშორისო აღიარება იყო, ხელს რა უშლიდა? ევროპის ქვეყნებისაგან აღიარების სანაცვლოდ, პაპი სრულიად გასაგებად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, მისგან და მისი ქვეშევრდომებისაგან კათოლიციზმზე გადასვლას მოითხოვდა, რაზეც თეიმურაზმა დიპლომატიური უარი უთხრა. ამის შემდეგ ისიც, სხვა ქართველ ხელისუფალთა მსგავსად, პაპს მხოლოდ ექიმებსა და ხელოსნებს სთხოვდა.

საინტერესოა, როგორ გაიგო მეფემ ნიკიფორეს მიერ მისი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ევროპაში არასწორად წარდგენის შესახებ. ამ საკითხის გასარკვევად არავითარი პირდაპირი ცნობა არ გაგავაჩნია და ამიტომ ჩემი მსჯელობა ძირითადად ლოგიკური იქნება.

პირველ რიგში საფიქრებელია, რომ ნიკიფორემ თავად მოუთხრო თეიმურაზს რატომ გახდა მადრიდში იძულებული ანტიირანული კოალიციის შექმნის იდეა შეეცვალა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეით. როგორც ჩანს, ნიკიფორეს მიერ მადრიდში წარდგენილი ანტიოსმალური პროექტის შესახებ ცნობილი გახდა კონსტანტინოპოლში და იგი ამის გამო ხიფათს ძლივს გადაურჩა. ნიკიფორე რომში სწერდა, რომ „ეპისკოპოსმა მეტიმიმ კონსტანტინოპოლში ჩემზე დასაბეზღებელი წერილი გაუგზავნა პატრიარქ კირილეს, თითქოს მე იქ (არ ჩანს სად: კონსტანტინოპოლში? რომში? მადრიდში? – ე. მ.) ვაწარმოებდი მოლაპარაკებას სულთნის წინააღმდეგ; ასე რომ მხოლოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ლოცვებით გადავრჩი“[1]. ირბახის მიერ კონსტანტინოპოლში გადატანილ დიდ უსიამოვნებაზე უფრო ვრცელ ინფორმაციას აგზავნის რომში დონ პიეტრო ავიტაბილე მისივე წერილის მინაწერში: „მგზავრობის დროს და კონსტანტინოპოლში მას (ნიკიფორე –ე.მ.) დიდი უსიამოვნება ჰქონდა ძმა დიაკონ მალმატუროსგან, რომელიც მას თანამგზავრად გამოაყოლეს; ეპისკოპოსმა მეტიმემ პატრიარქ კირილეს მისწერა, რომ ის (ნიკიფორე –ე.მ.)

---

[1] Жордания Г., Гамезардашвили З., Указ. соч., с. 413.

მოსულია რათა ხრიკები მოაწყოს სულთნის წინააღმდეგ... ის (ნიკიფორე – ე. მ.) ითხოვს, რომ ყველა ზემოთ დასახელებული კარგად დაისაჯოს“[1].

რათა გასაგები გახდეს კონსტანტინოპოლის იერარქების და პატრიარქ კირილე ლუკარისის რეაქცია რომიდან საქართველოსკენ მომავალი ნიკიფორეს მიმართ, ორიოდე სიტყვით მაინც უნდა ითქვას პატრიარქ კირილეზე, თავისი დროის ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეზე.

კირილე ლუკარისი ჯერ ალექსანდრიის პატრიარქი იყო (1602-1621) შემდეგ კი კონსტანტინოპოლისა (1621-1638). იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა ლათინების, კერძოდ იეზუიტების წინააღმდეგ. მისი მტრების ოინების გამო იგი ოსმალეთის მთავრობამ ოთხჯერ ჩამოაგდო საპატრირქო ტახტიდან, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ყოველთვის ახერხებდა რეაბილიტაციას. მან ერთი პირობა შეძლო კიდეც იეზუიტების განდევნა ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებიდან.

კირილე ლუკარისის სახელთანაა დაკავშირებული კონსტანტინოპოლში სტამბის დაარსება 1627 წელს სასულიერო წიგნების დასაბეჭდად. მან დაბეჭდა, აგრეთვე, პოლემიკური წიგნი ლათინების წინააღმდეგ.

მტრებმა საბოლოოდ მაინც მიზანს მიაღწიეს. მათ ლუკარისი დაასმინეს ხელისუფლების წინაშე, თითქოს კაზაკებმა აზოვის ციხე-სიმაგრე დაიპყრეს წაქეზებით პატრიარქისა, რომელიც ელოდება თავისი თანამორწმუნეების მოსვლას კონსტანტინოპოლთან, რათა ააჯანყოს ბერძნები თურქების წინააღმდეგ. სულთან მურად IV-ის ბრძანებით 1638 წლის 28 ივლისს კირილე ლუკარისი მოგუდეს და მისი გვამი ზღვაში გადააგდეს[2].

კირილე ლუკარისის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ირგვლივ კამათი მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის არ წყდებოდა მისი სიკვდილის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში. 1638 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ მას ანათემა

---

[1] იქვე, გვ. 414.

[2] Оболенский М., Новые материалы для истории Кирилла Лукариса. «Православное обозрение», 1860, №1.

გამოუცხადა. მისი რეაბილიტაცია მოხდა მხოლოდ 1672 წელს იერუსალიმის საეკლესიო კრებაზე[1].

საინტერესოა, რომ 1633 წლის 3 ივნისს კირილე ლუკარისმა ამხილა ლათინები ბეთლემის ტაძარში ქართველების პრივილეგიების დამადასტურებელი საბუთების გაყალბებაში[2].

ალბათ, გასაგებია, პატრიარქ კირილე ლუკარისის და კონსტანტინოპოლის იერარქების შიში. ოსმალეთის ხელისუფლებას შეიძლებოდა მათთვის ბრალი დაედო იერუსალიმის პატრიარქის თეოფანის III-ის სარეკომენდაციო ბარათით მოგზაურ ნიკიფორე ჩოლოყაშვილთან კავშირის შესახებ, რომელიც ანტიოსმალურ კოალიციის შექმნას გეგმავდა. როგორ გაიგეს კონსტანტინოპოლში ნიკიფორეს პიროვნებისა და მისი მოგზაურობის მიზნების შესახებ, დღეისათვის ამის დადგენა, შეუძლებელია. შეიძლება ვარაუდი, რომ საიდუმლოებით მოცული ელჩობის ამბავი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში იერუსალიმის საპატრიარქოდან გაიგეს. როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ნიკიფორეს მოგზაურობის მიზანი სულთნის მოხელეებამდე არ მიიტანა, თორემ ქართველი დიპლომატი კონსტანტინოპოლიდან თავს ვეღარ დააღწევდა. აქვე შეიძლება იმ ვარაუდის გამოთქმაც, რომ კათოლიკების წინააღმდეგ მებრძოლი კირილე ლუკარისი უკმაყოფილო იქნებოდა ქართლში კათოლიკე მისიონერების ყოფნითა და მათი საქმიანობით. ამიტომ ჩამოართმევდნენ ნიკიფორეს რომიდან მისიონერებისათვის გაგზავნილ წერილებს. მაგრამ, როგორც ჩანს, კონფისკაცია არ შეეხო კათოლიკური ესპანეთის მეფისა და რომის პაპის მიერ ქართველ მეფესთან გაგზავნილ წერილებს.

განსჯას მოითხოვს, აგრეთვე, ნიკიფორეს მიერ მესინაში საქართველოსკენ მიმავალი კათოლიკე მისიონერებისათვის გადა-

---

[1] იხ. გვ. 60, 63, 71, 72, 103. როგორი მწვავე და დაუნდობელ იყო კათოლიკების და მართლმადიდებლების დაპირისპირება, წარმოდგენას შეგვიქმნის დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ განცდილი სიხარული სულთნის მიერ პატრიარქ კირილე ლუკარისის დასჯის გამო, რაც მისი აზრით, „ღვთიური სამართლიანობის ნიშანი იყო“. დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 78-79.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, იქვე, გვ. 34-36.

ცემული გიორგი სააკაძის სახელზე დაწერილი სარეკომენდაციო წერილის საკითხი, რომელსაც სერიოზული უსიამოვნებანი მოჰყვა მისიონერებისათვის და, სავარაუდოა, ნიკიფორესთვისაც.

ირანის გზით საქართველოში მომავალი მისიონერები ადგილობრივმა მოხელეებმა დიდად შეავიწროვეს. თავდაპირველად მისიონერები ეჭვობდნენ, რომ სპარსელები მათ სიმდიდრეს აგულებდნენ და ასე იმიტომ ექცეოდნენ. შემდეგ კი მიხვდნენ, რომ ისინი ნიკიფორე ირბახის მიერ სააკაძის სახელზე დაწერილ სარეკომენდაციო წერილს ეძებდნენ. ამასთან დაკავშირებით დონ ბართოლემეო ფერო წერს: „ქართველი დესპანი – ნიკიფორე ირბახი ..., ხსენებული მოურავის (გიორგი სააკაძის –ე.მ.) ახლო ნათესავი, დარწმუნებული იყო, რომ კეთილ სამსახურს აღმოუჩენდა, როგორც დონ პიეტრო ავიტაბილეს, ისევე წმიდა მამებს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ საქართველოში წასვლა, როდესაც მოურავს წერილს სწერდა (და გადასცა დონ პიეტრო ავიტაბილეს), რითაც მოურავთან რეკომენდაციას უწევდა წმიდა მამებს. ამ წერილს წმიდა მამები ინახავდნენ ყველაზე უძვირფასეს ნივთებს შორის და მხოლოდ შემდგომში, როდესაც უკვე მეტად გვიან იყო, დარწმუნდნენ, რომ ეს წერილი, ურიისადმი ღვთის წერილის მსგავსად, თან სიკვდილს ატარებდა“[1]. ირანელმა მოხელეებმა წერილი ვერ იპოვეს და მისიონერები დაღუპვას გადაურჩნენ. დგება კითხვა: თუ მისიონერებმა გიორგი სააკაძე კონსტანტინოპოლში ინახულეს, აუცილებლად შეიტყობდნენ ამ ცნობილი მხედართმთავრის სამშობლოდან გადახვეწის ამბავს. მაშინ რაში სჭირდებოდათ ნიკიფორეს მიერ სააკაძისათვის გაგზავნილი, მისიონერებისათვის მფარველობის თხოვნის სარეკომენდაციო ბარათი? რატომ იგდებდნენ თავს განსაცდელში? თუ ასეთი ბარათი მართლა არსებობდა, რის სინამდვილეში ეჭვის შეტანა ძნელია, მაშინ გამოდის, რომ საფრანგეთის ელჩმა რომ მისიონერებს „მაუ-

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 84. ამონარიდის უკანასკნელ ფრაზაში დონ ბართოლემეო ფერო გულისხმობს ურია ხეთელის ცოლზე შეყვარებული დავით წინასწარმეტყველის მიერ იმავე ურიის ხელით მთავარსარდალთან გატანებულ წერილს, რომელშიც მეფე ითხოვდა წერილის მიმტანი ბრძოლის დროს ისეთ ადგილას დაეყენებინათ, რომ დაღუპულიყო და ასეც მოხდა (2 მეფ. თ. 11-12).

როსთან“ რეკომენდაცია გაუწია ის მოურავი გიორგი სააკაძე კი არა, არამედ სხვა ქართველი იყო.

სხვა ცნობით, ნიკიფორეს, მისიონერთა სარეკომენდაციო წერილები მეფე თეიმურაზისათვის გაუგზავნია. მასში ნათქვამია, რომ ნიკიფორეს ნეაპოლში გაუგია საქართველოში მიმავალი ორი თეატინელი ბერის შესახებ და მან „მათ მისცა სარეკომენდაციო წერილები მეფისათვის, რომელიც მიიღებს რა ამ წერლებს მათ კარგ მიღებას აღმოუჩენს“[1]. ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. დონ ბართოლემეო ფერო კომპეტენტური ისტორიკოსი იყო, მაგრამ უფრო სანდო ის მისიონერები არიან, რომლებიც ნიკიფორეს მესინაში შეხვდნენ და მისგან წერილიც მიიღეს. ისინი არაფერს ამბობენ ნიკიფორეს მიერ მათთვის ამგვარი წერილის თუ წერილების გადაცემაზე. დონ პიეტრო ავიტაბილე პირდაპირ და გარკვევით ამბობს, რომ ნიკიფორემ მათ სარეკომენდაციო წერილი მორავთან (მოურავთან), ანუ გიორგი სააკაძესთან გაატანა.

დონ პიეტრო ავიტაბილე, როცა ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა და გიორგი სააკაძის ნათესაობაზე მიუთითებს, მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, როგორც უკვე ითქვა, ნიკიფორეს დედის არაგვის ერისთავის ოჯახიშვილობა. ამავე ოჯახიდან იყო გიორგი სააკაძის ცოლი რუსუდანი – ზურაბ ერისთავის და. ზურაბი და რუსუდანი ნიკიფორეს ბიძაშვილები იყვნენ, ასე რომ ნიკიფორე და გიორგი სააკაძე ახლო ნათესავებად ითვლებოდნენ.

თუ გავითვალისწინებთ თეიმურაზ I-ისა და შაჰ აბასის გიორგი სააკაძისადმი მტრობას (ამ დროს უკვე მომხდარია, ყიზილბაშების ამოწყვეტა მარტყოფის ველზე, ქსნის ხეობასა და სამცხეში და მარაბდის ბრძოლა – რომელთა ინიციატორი და მეთაური გიორგი სააკაძე იყო, რის გამო შაჰი მას სასტიკად დევნიდა. თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის ლაშქარს შორის მომხდარი იყო ბაზალეთის ბრძოლა. სააკაძე დამარცხდა. ამის შემდეგ იგი მეფისათვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო, როგორც სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე). მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ გიორგი ვალში იყო ირანში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების წინაშე (მათ უპატრონეს ხევში გადაგდებული სააკაძის

---

[1] ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., II, გვ. 148-149.

ვაჟის – პაატას თავმოკვეთილ გვამს), რაც ცნობილი იქნებოდა საქართველოში და, რა თქმა უნდა, თეიმურაზსაც ეცოდინებოდა.

თეიმურაზ მეფე პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც დაკავშირებული იყო გიორგი სააკაძის მკვლელობასთან. მუსტაფა ნაიმას გადმოცემით, ხუსრევ ფაშამ სააკაძე სულთანთან შეთანხმების გარეშე, ვითომდა, იმიტომ მოაკვლევინა, რომ იგი საქართველოში გაქცევას აპირებდა[1]. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაძემ სულთნისაგან თეიმურაზის წინააღმდეგ დახმარება კი არა, თანამდებობა (კონიის ბეგლარბეგობა) მიიღო, რაც მის ინტერესებში არ შედიოდა.

შეიძლება ბოლომდე ვერ ვენდოთ თეიმურაზ მეფეს, როგორც გიორგი სააკაძის მოწინააღმდეგეს და მისი პიროვნების უარყოფითად წარმოჩენით დაინტერესებულს, მაგრამ მოვლენების, რომლებიც ახლა გადმოვეცი, ახსნისათვის მისი ნათქვამი ანგარიშ გასაწევია. თეიმურაზ მეფემ 1658 წ. 31 აგვისტოს მოსკოვში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ისეთი რამ განაცხადა, რომელიც ნაწილობრივ მაინც ადასტურებს მუსტაფა ნაიმას ნათქვამს, კერძოდ, იმას, რომ სააკაძე საქართველოში გაქცევას აპირებდა. რუსული დოკუმენტის მიხედვით, თეიმურაზ მეფეს უთქვამს: „ოცდაათიოდე წლის წინათ მისმა ერთმა ბოიარმა გიორგიმ სიოს[2] უღალატა, გამუსლიმანდა თურქეთის სულთან მურატთან გაიქცა და მის (თეიმურაზის –ე.მ.) წინააღმდეგ ჯარი წამოიყვანა. თეიმურაზ მეფე მის შესახვედრად წა-

---

[1] ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 213.

[2] პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). „საისტორიო მოამბე“, 23-24, თბ., 1970, გვ. 461. არ არის გარკვეული, რას ნიშნავს ქარაგმა „Сиос“. მისი გაშიფვრა ვერც ამ დოკუმენტის მეორე გამომქვეყნებელმა ვ. მაჭარაძემ შეძლო (მაჭარაძე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს. თსუ შრომები, 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, V, თბ., 1965, გვ. 446). ვფიქრობ, „სიოს“ გიორგი სააკაძის მამის სიაუშის დამახინჯებული სახელია. რუსულ დოკუმენტებში პიროვნების მამის სახელის აღნიშვნა აუცილებელი იყო. მაშასადამე, უნდა დაეწერათ Георгий Сияушевич (გიორგი სიაუშის ძე).

ვიდა თავისი ჯარით და იმ მოღალატეს და მის თურქებს შეებრძოლა ქართლისა და მისი სამეფოს (კახეთის – ე. მ) საზღვარზე. მოღალატესთან იყო ორმოცი ათასი თურქი, მეფესთან კი სამი ათასი. ის შეებრძოლა ველზე. ორივე მხარეს ცხენოსნები ჰყავდა, ქვეითები არ იყო. იმ ბრძოლაში თეიმურაზ მეფეს ღმერთი შეეწია და მოღალატე და თურქები დაამარცხა... ის მოღალატე (სააკაძე – ე.მ.) ბრძოლიდან გაიქცა თურქების (სულთანთან – ე.მ.) და თურქების სულთნის ღალატიც და დადიანის სახელმწიფოში გაქცევა უნდოდა. როცა ეს შეიტყო ვაზირმა, იგი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ მეფე თეიმურაზს თურქი (სულთნისგან –ე.მ.) არავითარი დევნა და რაიმეზე გზავნილი არ ჰქონია"[1]. ერთ-ერთი რუსული წყაროს მიხედვით, ასტრახანის ვოევოდას ირანის შაჰის ელჩთან, მაჰმედ სალი ბეგთან საუბრისას გაუგია, რომ თეიმურაზ მეფესა და შაჰს შორის მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ელჩმა არ იცოდა რამდენი ხნით. თეიმურაზს ქ. აშრაფში (მაზანდერანში) ორი თურქის, ოთხი ქართველის და 100 მოკლული ადამიანის გვამი გაუგზავნია და შაჰისათვის შეუთვლია, რომ ეს ადამიანები დახოცა თავის ქვეყანაში, როცა ისინი შაჰის მოღალატე მოურავის მეთაურობით თურქებთან და ქართველებთან ერთად თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ მოვიდნენ[2]. თუ რუსული წყარო სიმართლეს ასახავს, მაშინ გამოდის, რომ გიორგი სააკაძეს ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თავის ერთგულ ქართველებისა და ოსმალთა რაზმებზე დაყრდნობით საქართველოში დაბრუნება უცდია, მაგრამ კვლავ მარცხი განუცდია. მაჰმედ სალი ბეგის თქმით, თეიმურაზ მეფეს ეს სამხედრო წარმატება, რაც სააკაძის დამარცხებაში გამოიხატა, ისპაანში უცნობებია, როგორც საერთო მტერსა და შაჰის მოღალატეზე გამარჯვება[3].

ამგვარად, თეიმურაზ მეფის მიხედვით, ერთი პირობა, სულთანმა სააკაძეს მხარი დაუჭირა, მაგრამ თეიმურაზმა მისი დამარცხება შესძლო და ამის შემდეგ სააკაძე ოსმალეთში გაიქცა. თეიმურაზის ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ ამ შემთხვევის გარდა მას

---

[1] პაიჭაძე გ., მასალები, გვ. 461-462; მაჭარაძე ვ., ჩანწერები, გვ. 446-447.

[2] Тивадзе Т. Г., Ук. труд, с. 166, № 29.

[3] Там же.

ოსმალებთან დაპირისპირება არ ჰქონია და რაც მოხდა ისიც მხოლოდ სააკაძის ბრალი იყო. ამის შემდეგ სააკაძეს სულთნის ღალატი და დადიანის ქვეყანაში გაქცევა განუზრახავს, მაგრამ ვაზირმა გაუგო და სიკვდილით დასაჯა[1]. „ჩანს დიდმა მოურავმა, რომელმაც ვერ მიაღწია ოსმალეთის დახმარებას თავისი გეგმების შესასრულებლად, სხვა ძალის მოძებნა დააპირა თვით საქართველოში და ამ მიზნით „დადიანის ქვეყანაში", ე. ი. ოდიშში, ლევან II დადიანთან დააპირა გაქცევა. ეს დროზე შეიტყო დიდვაზირმა ხუსრევ ფაშამ, რომელიც ისედაც შურით იყო გამსჭვალული გამოჩენილი სარდლისადმი, სათანადო საბაბი მას უკვე ჰქონდა და სააკაძე სიკვდილით დაასჯევინა კიდეც"[2].

თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას XVII ს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში, გიორგი სააკაძეს და ლევან დადიანს ერთმანეთი ძალიან ჭირდებოდათ. სააკაძე ეძებდა მხარდამჭერს საქართველოში, ლევან II დადიანს ჭირდებოდა დიდი სამხედრო გამოცდილების ადამიანი სააკაძის სახით. მაგრამ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ვითარება ოდიშის მთავრისათვის არასასურველად შეიცვალა. როგორც ითქვა, ბაზალეთის ბრძოლის დროს იმერეთის მეფე გიორგი III-მ თავისი შეიარაღებული ძალით მხარი დაუჭირა სააკაძეს, ახლა კი იგი თეიმურაზს დაუნათესავდა (მისმა ვაჟმა ალექსანდრემ თეიმურაზის ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივი, დარეჯანი შეირთო) და მისი მოკავშირე გახდა. ლევან დადიანი კი თავისი პოლიტიკური ამბიციების გამო გიორგი III-სთან თეიმურაზთან დაპირისპირებული იყო. ***მოსალოდნელია, რომ თეიმურაზმა, რომელსაც სულთანი თავის მოკავშირედ თვლიდა და ოსმალეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა, თავისი აგენტების საშუალებით იცოდა სააკაძისა და ლევან დადიანის კონტაქტების შესახებ.***

გასაზიარებელია ი. ანთელავას ვარაუდი, რომ გიორგი სააკაძეს შეიძლებოდა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ირანის მიმართ, სადაც შაჰ აბას I-ის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება-

---

[1] ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 213

[2] ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 78.

ში მოვიდა მისი ფავორიტი, ისპაანის ტარუდა, ხოსრო-მირზა, რომლის კარიერაში დიდი წვლილი ჰქონდა დიდ მოურავს. ირანის ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილება იმდენად სერიოზული მომენტი იყო, რომ ამას შეიძლებოდა სააკაძის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება გამოეწვია და ეს გამხდარიყო მიზეზი ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის განახლების წინ, მთავარსარდლად დანიშნულ პირველ ვაზირს იგი მოეკვლევინებინა[1].

ყოველვე იმას, რაც ზემოთ ითქვა, თუ დავუმატებთ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის და გიორგი სააკაძის ნათესაობას და იმასაც, ნიკიფორემ რომ თამამი დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა მადრიდსა და რომში, ნათელი გახდება, რომ ისედაც ფრთხილი მეფე თეიმურაზი, ამის შემდეგ ნდობას აღარ გამოუცხადებდა ნიკიფორეს და ვერც ნიკიფორე ენდობოდა თეიმურაზს.

თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორეს შორის დაძაბული ურთიერთობაზე საუბრისას აუცილებლად დგება კითხვა: რატომ გაუგზავნა ნიკიფორემ მისიონერების მფარველობისათვის სარეკომენდაციო წერილი გიორგი სააკაძეს და არა თეიმურაზ მეფეს, ვისი დავალებითაც იგი კათოლიკურ ქვეყნებში საქართველოს მტრების წინააღმდეგ მოკავშირის მოსაპოვებლად წავიდა? რა თქმა უნდა, როცა ნიკიფორემ სარეკომენდაციო წერილი დაწერა მესინაში (1626 წ. ნოემბრის დასარული-დეკემბრის დასაწყისი), მაშინ გიორგი სააკაძე ქართლში აღარ იმყოფებოდა, ის უკვე ლტოლვილი იყო და ოსმალეთში აფარებდა თავს, რაც ნიკიფორემ არ იცოდა. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, ნიკიფორე როგორი აზრით წავიდა ევროპაში, მისთვის რას წარმოადგენდნენ თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე (ყიზილბაშების წინააღდეგ ბრძოლის გმირი), ვისკენ იხრებოდა მისი პოლიტიკური სიმპათია? არ გამოვრიცხავ, რომ ნიკიფორემ იცოდა გიორგი სააკაძის საქართველოს გაერთიანების გეგმის შესახებ. გიორგი სააკაძე ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდა იმერეთის მეფესთან და ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან და ერთი პირობა, ქართლ-კახეთის გაერთიანებაც შეძლო, რომლის სათავეში თეიმურაზ I იდგა. ახლა დღის წესრიგშია იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოე-

---

[1] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

ბის გაერთიანება. ევროპაში გამგზავრებამდე, ნიკიფორე ჩოლოყაშვილს, როგორც პოლიტიკოსს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა (მიუხედავად იმისა, სად იმყოფებოდა იგი საქართველოში თუ იერუსალიმში) გიორგი სააკაძის გეგმის შესახებ. ამგვარ პოლიტიკურ ვითარებათა კონტექსტში უნდა განვიხილოთ ნიკიფორეს მიერ კათოლიკე მისიონერების ხელით გიორგი სააკაძისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც, სავარაუდოა, მისიონერების მიმართ მფარველობის გარდა საუბარი იყო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც.

ზემოთ დასახელებული მიზეზები სრულიად საკმარისი იყო, იმისათვის, რომ ნიკიფორეს გამოეტანა დასკვნა: ***თეიმურაზ მეფე არ იყო ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც შესძლებდა ქვეყნის გაერთიანებას. ამიტომ ნიკიფორე მეფესა და მოურავს შორის ორმაგ თამაშს ეწეოდა. სხვანაირად ვერ აიხსნება მის მიერ თეიმურაზის გვერდის ავლით კათოლიკე მისიონერების მფარველობის სააკაძისათვის თხოვნა.***

ნიკიფორე ჩოლოყაშვილს თეიმურაზ I-ის მიმართ სერიოზული უკმაყოფილების (მტრობის) მიზეზიც ჰქონდა. როგორც ითქვა, თეიმურაზმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნიკიფორეს ძმა, ცნობილი მხედარეთმთავარი და პოეტი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მოაკვლევინა. ისიც ითქვა, რომ თეიმურაზ I-ის და დედოფალ ხორეშანის მიერ მეტეხის ღვთისმშობლისათვის მიცემული სიგელი, რომელიც შედგენილია 1614 წელს, ნიკიფორეს უნდა დაეწერა შაჰ აბასის კახეთში ლაშქრობის წინ. ყიზილბაშები კახეთში შეიჭრნენ 1614 წლის დასაწყისიდან მარტის თვემდე პერიოდში. მაშასადამე, ქაიხოსროს მკვლელობა უნდა მომხდარიყო აღნიშნული წლის დასაწისიდან მარტის თვემდე და იმავე პერიოდში უნდა წასულიყო ნიკიფორე იერუსალიმს.

ვფიქრობ, ***ნიკიფორეს იერუსალიმში წასვლა (შეიძლება ითქვას – გაქცევა) გამოწვეული იყო თეიმურაზის რეპრესიებისაგან თავის გარიდების სურვილით და არა სპარსელთა საქართველოში შემოჭრით.*** იგი, ალბათ, სამუდამოდ იქ, ჯვრის მონასტერში, დარჩებოდა, ისევ თეიმურაზს, რომ 12 წლის შემდეგ არ გამოეწვია რომსა და ესპანეთში ელჩად გასაგზავნად. ცნობილი არ არის, როგორ, რა პირობებში დაიყოლია იგი თეიმურაზ მეფემ, რომ კვლავ მის სამსახურში ჩამდგარიყო. ეგეც რომ არ ყოფილი-

ყო, ნიკიფორეს არ შეეძლო გარკვეულ დრომდე მაინც არ დამორ-ჩილებოდა თეიმურაზის ბრძანებას, რომელიც კვლავ ქართლ-კახეთის მეფე გახდა (1625-1633).

ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, დიპლომატმა, იცოდა რა თავისი ქვეყნის, კონკრეტულად, ქართლ-კახეთის, რეალური ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, ითვალისწინებდა იმ ქვეყნების პოლი-ტიკური და სასულიერეო წრეების ინტერესებსა და ტენდენციებ-საც, სადაც იგი წარგზავნილი იყო. რა თქმა უნდა, მივლინების ადგილზე მისული ნიკიფორესათვის ბევრი რამ სრულიად ახლებუ-რად წარმოჩინდა. ამიტომ ***იგი იძულებული გახდა შორეულ საქარ-თველოში სრული და სწორი ინფორმაციის დეფიციტის პირობებში შემუშავებულ პოლიტიკურ პროექტში, ადგილზე გაცნობილი სი-ნამდვილის მიხედვით, ცვლილებები შეეტანა.*** მისი აზრით, დანიშ-ნულების ადგილამდე დიდი ხარჯებით და ხიფათით მისული ელ-ჩობა მთლად უშედეგოდ არ უნდა დასრულებულიყო და მინიმალუ-რი სარგებელი მაინც მიეღო. მაგრამ გასაჭირში მყოფ სამშობლო-ში დაბრუნებულ ხელმოცარულ დიპლომატს ვინ გაუგებდა.

1629 წლის 14 აგვისტოს, როგორც ითქვა, ნიკიფორე ჩოლო-ყაშვილი გორში დაბრუნდა და მაშინვე კათოლიკე მისიონერები მოინახულა. „ნიკოფორე ირბახი,– წერს დონ ბართოლემეო ფერო, – ხედავდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობდნენ მისიონე-რები. ამიტომ იგი გაჩუმებული იყო, მაგრამ გრძნობდა იმ სიხა-რულსა და სიამოვნებას, რომელიც მან მათ მიაყენა და მათ ასევე გამოამჟღავნეს ნიკიფორეს მიმართ. ნიკიფორე ირბახი მეტად შეა-წუხა კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ ბერძენი ბერების მოქ-მედებამ, მაგრამ გულის სიღრმეში იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ თავისი ჩამოსვლითა და ახალი ამბების ჩამოტანით, მათ სია-მოვნება მოუტანა. ნიკიფორე ფიქრობდა თუ როგორ გამოეხატა თეიმურაზ მეფესთან შეხვედრის დროს თავისი სიმპათიები თეა-ტინელი მორწმუნეებისადმი და როგორ აღენიშნა მათი სამარ-თლიანი დამსახურება“[1].

რამდენიმე დღის შემდეგ ნკიფორემ თეიმურაზ I-ს მოახსენა ევროპაში მოგზაურობის შედეგების შესახებ. მეფის იმედის გაც-

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 107.

რუება ნიკიფორეს ელჩობის შედეგებით ნათელი გახდებოდა მაშინვე, როდესაც იგი გაეცნობოდა პაპის ურბან VIII-ის 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ წერილს. მასში არაფერი იყო თქმული იმაზე, რაც მეფეს განსაკუთრებით აინტერესებდა. იყო მხოლოდ მოწოდება, რომ ქართული ეკლესია შეერთებოდა რომის ეკლესიას, თეიმურაზსა და მის ქვეყანას კათოლიკობა მიეღო. აი რას წერდა პაპი თეიმურაზს: „კარდინალთ წმინდა კონგრეგაციამ, რომელიც დაკავებულია სარწმუნოების გავრცელების საქმით, მიუთითა ზემოხსენებულ ნიკიფორეს, სახელდობრ თუ რას მოელის და რას მოითხოვს შენი უმაღლესობისაგან რომის ეკლესია. ***საჭიროა მთელი ძალით იზრუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სამეფოს სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრეობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს – ეკლესიის ხილულ მეთაურს რომის სახით***“[1].

წერილის გაცნობის შემდეგ, თეიმურაზი, ბუნებრივია, თავისი დიპლომატისაგან მოითხოვდა მისი წარუმატებელობის მიზეზების დაწვრილებით ახსნა-განმარტებას.

სავარაუდოა, ნიკიფორემ თვითონვე მოუთხრო მეფეს თავისი მოგზაურობისა და მოლაპარაკებების შესახებ და იმაზეც, რამაც აიძულა იგი ცვლილებები შეეტანა როგორც წერილობით ისე ზეპირად დანაბარებში.

საქართველოში მოსული მისიონერები, მადრიდსა და რომში ნიკიფორეს ნალაპარაკევით დაიმედებულნი, სამეფო კარისგან დიდ მხარდაჭერას ელოდებოდნენ და ამაში ხედავდნენ თავიანთ საქმიანობაში წარმატების საწინდარს. ავიტაბილე ნიკიფორეს დანაპირებზე დაიმედებული, მომავალს ოპტიმისტურად რომ უჭვრეტდა, ეს ჩანს კიდეც მის მიერ „წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს“ მდივნის ფრანჩესკო ინგოლისათვის გაგზავნილი წერილის მინაწერის ერთ ფრაზაში. ნიკიფორე, როგორც მას თვითონვე უთქვამს ავიტაბილესათვის, ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რათა შეუდგეს იმ საქმეს[2], რომელიც მას რომში დააკისრესო.

---

[1] იქვე, გვ. 108.

[2] Жордания Г., Гамезардашвили З., Ук. труд, с. 414.

დანაბარებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მისიონერებისათვის მხარდაჭერა იგულისხმებოდა. სავარაუდოა, ქართველ დიპლომატს დრო გაჰყავდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა როგორც მეფისათვის ისე გაჭირვებაში მყოფი გორის მისიის ხელმძღვანელ დონ პიეტრო ავიტაბილესათვის სიმართლე ეთქვა.

თეიმურაზ მეფის ნიკიფორე ჩოლოყაშვილისადმი უკმაყოფილებაზე უნდა მიგვანიშნებდეს მის მიერ, ნიკიფორეს დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ, 1630 წლის აგვისტოში რომში გაგზავნა ახალი ელჩობისა, რომლის შემადგენლობაში ნიკიფორეს ვერ ვხედავთ. თუმცა, ხმა ყოფილა გავრცელებული, რომ ის მეორედ მიემგზავრებოდა ევროპაში, როგორც ელჩი[1]. ალბათ, ეს ხმა მისწვდა პიეტრო დელა ვალეს და ამიტომაც ეგონა, რომ ნიკიფორემ კიდევ ერთხელ იმოგზაურია იერუსალიმში და მეფე თეიმურაზს განზრახვა ჰქონდა ნიკიფორე კვლავ ელჩად გაეგზავნა ევროპაში[2]. ძნელია დადგენა, რამდენად შეეფერებოდა თეიმურაზის განზრახვა სიმართლეს, მაგრამ ფაქტია, რომ მან უფრო მეტი ნდობა გამოუცხადა პატრ დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელმაც მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილები წაუღო პაპსა და წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს.

თეიმურაზ მეფესა და მის დიპლომატს შორის, რომ სერიოზული უთანხმოება არსებობდა როგორც რომთან მიმართებაში გასატარებელი პოლიტიკური კურსის საკითხში (პირველ რიგში ეს გამოიხატებოდა კათოლიკე მისიონერებისადმი სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებაში), ისე საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზში. კერძოდ, ვინ იყო მაშინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს საშიში მტერი, ვის წინააღმდეგ იყო საჭირო მოკავშირის გამონახვა და ა.შ. ეს ყველაფერი უთანხმოებას კიდევ მეტად გაამწვავებდა.

ზემოთ აღნიშნული მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მომენტების გამო, ნიკიფორეს თეიმურაზის გვერდით ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

იმას რომ თავი დავანებოთ, რაც უკვე ითქვა, თეიმურაზ I-ს წესად ჰქონებია, მისი სურვილისა და დანაბარების სისრულეში არ

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 103.
[2] იქვე, გვ. 108.

მოყვანისათვის თავისი ელჩების მიმართ მკაცრად მოპყრობა. 1635 წელს თეიმურაზის ელჩს მოსკოვში ნიკიფორე ბერძენს რუსთ ხელმწიფისთვის უთხოვია: „დროულად გამიშვით საქართველოში, თუ არა ისევე იქნება ჩემს მიმართაც, რაც არქიეპისკოპოს თეოდოსეს დაემართა: გაწბილება და შერცხვენა“[1], რადგან, რაზეც ნაბრძანები ჰქონდა, ვერავითარი პასუხი ვერ მიუტანა[2]. თეიმურაზს ნიკიფორე ბერძენისთვის უთქვამს: „ახლა სხვას ვერავის ვენდობი შენს გარდა, შენც ისე ნუ მოიქცევი, როგორც ხარიტონი და თეოდოსე, მალე ერთ წელიწადში დაბრუნდები და (რუსეთის –ე.მ.) დღეგრძელი ხელმწიფის ზეპირ პასუხს მომიტან... თეოდოსეც აქ (მოსკოვში –ე.მ.) ოთხი წელი შეაკავეს და გაუშვეს. როცა ჩემს ხელმწიფე (თეიმურაზთან –ე.მ.) მივიდა, ჩემს ხელმწიფეს რაიმე ჭეშმარიტი ბრძანება არ მიუტანა, ამიტომ ჩემს ხელმწიფეს მისი (თეოდოსის –ე.მ.) დასჯა სურდა. ისიც ადგა და თურქეთში[3] გაიქცა“[4].

რატომ არაფერს ამბობს ნიკიფორე ბერძენი ნიკიფორე ირბახზე, რომელსაც იგი, რასაკვირველია, იცნობდა და მას კარგად ეცოდინებოდა თეიმურაზსა და ირბახს შორის იმ გართულებული ურთიერთობის შესახებ, რამაც ეს უკანასკნელი ლევან II დადიანის ბანაკში გადაიყვანა? პირველ რიგში საფიქრებელია, რომ ნიკიფორე ბერძენი რუსეთის მეფეს მხოლოდ იმ ქართველ ელჩებს შეახსენებს, რომლებიც რუსეთის მთავრობის მოუქნელობის გამო დაისაჯნენ. ნიკიფორე ბერძენის მიერ ნიკიფორე ირბახის მოუხსენებლობა ნაკარნახევი იქნებოდა, შემდეგი მომენტების გათვალისწინებით: 1. ნიკიფორე ირბახი დიპლომატიური მისიით რუსეთში არასოდეს ყოფილა; 2. თეიმურაზის მიერ ევროპაში გაგზავნილ ელჩზე საუბარი რუსთ ხელმწიფეს სასიამოვნოდ არ დარჩებოდა; 3. დიპლომატიური თვალსაზრისით, არც იმის თქმა

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 129.

[2] თეოდოსე რევიშვილზე ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 48-66.

[3] თურქეთში იერუსალიმი იგულისხმება. ეს ქალაქი უკვე ერთი საუკუნის წინათ ოსმალებმა დაიპყრეს და იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლებოში შედიოდა. თეოდოსი დიდი ხნის განმავლობაში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა.

[4] Там же.

იქნებოდა გამართლებული, რომ იმ დროს, როდესაც ნიკიფორე ბერძენი მოსკოვში იმყოფებოდა, თეიმურაზისაგან წასული ნიკიფორე ირბახი კვლავ მოქმედი დიპლომატი იყო ლევან II დადიანის კარზე, რაც მის შაჰისადმი მომხრეობასაც ნიშნავდა.

როდესაც თეიმურაზ მეფეს კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლა შეატყობინეს, მან ისინი სამეფო კარზე, საფურცლეში მიიწვია. პატრები მეფემ და პატრიარქმა ზაქარიამ (1623-1632) დიდი კმაყოფილებით მიიღეს. პაპის დესპანების მეთაური დონ პიეტრო ავიტაბილე წერს: „ამრიგად, ჩვენ წარვსდექით მეფის წინაშე და წარვუდგინეთ მისი უწმინდესობის წერილი, რომელიც მან დიდი პატივით მიიღო[1] და ჩვენც დიდი პატივი დაგვდო. ასევე მოიქცა პატრიარქი ზაქარიაც, რომელიც ამ სამეფოს ყველა პრელატიდან ყველაზე უმაღლესი პიროვნებაა, გამოიჩინა რა დიდი პატივი თქვენი უგანათლებულეს მეუფეთა წერილისადმი და გამოხატა დიდი სიხარული ჩვენი ჩასვლის გამო“. მისიონერები აუდიენციით კმაყოფილნი დარჩნენ. მათ მეფესთან და პატრიარქთან პირველი შეხვედრისთანავე მიიღეს ის, რაც მათ განსაკუთრებით აინტრესებდათ: ეკლესიის აშენების, წირვა-ლოცვის დაყენების და თავისუფლად ქადაგების უფლება[2], რისი მიღწევაც კათოლიკებისათვის სხვა მართლმადიდებლურ ქვეყანაში შეუძლებელი ან უკეთეს შემთხვევაში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, მეფემ და პატრიარქმა პატრები მართლმადიდებლურ წირვაზე მიიწვიეს და დაპირდნენ, რომ თვითონაც დაესწრებოდნენ კათოლიკურ მესას. ისინი მომავალშიც ყურადღების არმოკლებას დაპირდნენ პატრებს.

აუდიენციის დროს პატრებმა მეფესა და პატრიარქს გადასცეს რომიდან წამოღებული წერილები, რომელთა საპასუხოდ მეფისა და პატრიარქისაგან მიიღეს ორ-ორი წერილი რომის პაპისა და წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს სახელზე.

---

[1] თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას მიერ რომში გაგზავნილი წერილების მოკლე შინაარსში ნათქვამია, რომ როდესაც დონ პიეტრო ავიტაბილემ და დონ ჯაკომო დი სტეფანომ მეფეს პაპის წერილი გადასცეს, მან წერილს აკოცა, თავზე დაიდო და ასე მოისმინა მისი შინაარსი (ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 216).

[2] იქვე, გვ. 223.

თეიმურაზ მეფისა და პატრიარქ ზაქარიას წერილების გაცნობის შედეგად გასაგები ხდება როგორი დიდი განსხვავებაა, ადრესატების ინტერესებსა და პრობლემების გადაჭრის გზებისადმი მიდგომაში. დაკვირვებულ ***ქართველ დიპლომატებს რომიდან ჩამოტანილი წერილების გაცნობის შემდეგ, ალბათ ეჭვი აღარ უნდა გასჩენოდათ, რომ წარუმატებლად დამთავრდებოდა ნიკიფორე ირბახის ელჩობა, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ სამშობლოში არ დარუნებულიყო.***

პაპი ურბან VIII-ის საქართველოსთან ურთიერთობაში უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა ამ ქვეყანაში პაპის პრიმატის აღიარება და კათოლიციზმის გავრცელება. წერილში იკითხება ნიკიფორე ირბახის ელჩობის გამოძახილი. პაპი თვითონვე აღნიშნავს, რომ „ჩვენ მშობლიური სიყვარულით შევხვდით საყვარელ შვილს, წმინდა ბასილის ბერს ნიკიფორე ირბახს, რომელიც შენ გამოგზავნე ჩვენთან წერილით, როგორც შენი ძლიერების დამადასტურებელი და შენი ღვთისმოსაობის თავდები“[1]. პაპის ეპისტოლედან ამონარიდის გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ დაისმის პასუხგაუცემელი კითხვა: თუ ნიკიფორე ბასილიანელი იყო და რომში სცნეს მისი აღმსარებლობა, მაშ რატომ მოსთხოვეს კათოლიკობის ოფიციალურად აღიარება?

პაპი მეფეს მოუწოდებს, რომ რაც შეიძლება მალე შევიდეს „დედა რომის ელკესიის წიაღში... ხოლო, ***როდესაც შენ ყველა წესის დაცვით აღიარებ ორთოდოქსულ სარწმუნოებას და საზეიმოდ განაცხადებ მორჩილებას, და ეს ცნობა ჩვენთან მოვა, მაშინ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც ყოვლისშემძლე მოსამართლის ჩაგონებით ახდენს მეფეების ტახტზე დასმას და სამფლობელოების გადანაწილებას, დაამტკიცებს შენს მონარქიულ მმართველობასაც პაპის საზეიმო ლოცვა-კურთხევით. შემდეგ შევეცდებით ძმურად განვაწყოთ ქრისტიანი მეფეები, განსაკუთრებით დავიყოლიოთ შენთვის სასურველ მეგობრობაზე ესპანეთის მეფე“***[2].

თეიმურაზისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ პაპი და მასთან ერთად კათოლიკური ქვეყნები, დახმარებას კი არ პირდე-

---

[1] იქვე, გვ. 198-199.
[2] იქვე, გვ. 199.

ბოდნენ, არამედ, ჯერ-ჯერობით მეფედაც კი არ აღიარებდნენ. ისინი მას მეფედ აღიარებას პირდებოდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საზეიმოდ გამოაცხადებდა პაპისადმი მორჩილებას და მიიღებდა კათოლიკურ სარწმუნოებას. პაპი არც მალავდა, წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ მუსლიმანთა აგრესიისაგან დაცვისათვის თხოვნით რომში ჩასულ ნიკიფორე ირბახს ასეთი მოთხოვნები რომ წაუყენა.

ურბან VIII საჭიროდ თვლის შეახსენოს თეიმურაზ მეფეს, „მთელი ძალით იზრუნოს, რათა ***ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, შენთან ერთად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს – ეკლესიის ხილულ მეთაურს – რომის ტახტის სახით“***[1].

ნიკიფორე ირბახის ელჩობის წარუმატებლობა და დასავლეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელების უაზრობა რომ ცხადი იყო, ნათლად გამოჩნდა თეიმურაზ მეფის პაპისადმი წერილში.

1629 წლის 5 იანვრით დათარიღებულ წერილში, რომელიც მარტში იმ დომინიკანელ ბერს გაატანეს რომში, რომელმაც ავიტაბილე და მისი თანამგზავრები ალინჯიდან გორში ჩამოიყვანა, სიტყვაც კი აღარ არის პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე, ანტიოსმალური ან ანტისპარსული კოალიციების შექმნასა და საქართველოს მტერთაგან დაცვაზე. წერილის გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პაპის მიერ რჯულის შეცვლისაკენ მოწოდებით – „ვიყოთ (კათოლიკობაში –ე.მ.) მტკიცე, შეურყეველი და მედგარი რწმენისადმი, ქრისტესადმი და მისი მიმბაძველი“ – გაღიზიანებული თეიმურაზი (და პატრიარქი ზაქარიაც თავის წერილში), დიპლომატიური ეთიკის დაცვით, წერს: „ამაზე გიპასუხებთ, რომ მადლობას ვუძღვნით უფალ ღმერთს იმისათვის, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან დღემდე, ღმერთისა და მისი ციური სამყოფელის შემწეობით, მოწყალებამ და ადამიანთა სიყვარულმა ნამდვილი რწმენისა და ქრისტესადმი მტკიცედ, შეუპოვრად და ღრმად გაიდგა ფესვი ჩვენს ორგანიზმში და ვინახავთ მათ ჩვენს გულში...“ თეიმურაზი პაპს იმასაც მოახსენებს რა უბე-

---

[1] იქვე.

დურება დაატეხა მტერმა მის ქვეყანას, მაგრამ ქრისტესადმი რწმენა შეინარჩუნეს მტკიცედ და უცვლელად. ქრისტიანობას შეეწირა მისი დედა. რაც შეეხება ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას ამაზე თქვენი მისიონერები მოგახსენებენო, წერს თეიმურაზ მეფე. იმის გამო, რომ ყიზილბაშებმა ეკლესიები დაანგრიეს და გაძარცვეს, „ამიტომ ***გევედრებით [გამოგვიგზავნოთ] ეკლესიაში სამსახურისათვის აუცილებელი ნივთები, თუნდაც ცოტაოდენი. ეს არის სულ ის, რასაც ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას***“[1].

წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის წერილში თეიმურაზი გამოთქვამს მადლობას იმის გამო, რომ მან საქართველოში გამოგზავნა თავიანთი წარმომადგენლები – კათოლიკე მისიონერები, რომლებსაც ყოველმხრივ შეუწყეს ხელი და მომავალშიც ასევე გაგრძელდება.

იმავე ორგანიზაციას მეფე აცნობებს, რომ განზრახული აქვს თავის ელჩად რომში გაგზავნოს დონ ჯაკომო დი სტეფანო, რომელიც ჩაიტანს ინფორმაციას საქართველოს მდგომარეობის შესახებ. თეიმურაზ მეფის მიერ გამოთქმული სურვილი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იგი აღარ აგრძელებს რომთან დიპლომატიურ ურთიერთობას კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მოლაპარაკებას მხოლოდ უცხოელს, ამ შემთხვევაში დონ პიეტრო ავიტაბილეს, არ მიანდობდა. იგი რომში გაგზავნიდა თავის რომელიმე გამოცდილ დიპლომატს, დონ ჯაკომოს კი მას გააყოლებდა, რათა რომში მოეთხრო თავისი თვალით ნანახი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მეორე მხრივ, თეიმურაზ მეფის მიერ უცხოელის რომში გაგზავნა და ნიკიფორე ირბახის უგულებელყოფა, რომლის შესახებ მხოლედ საქებარი სიტყვები მოდის რომიდან, მეფის უარყოფით განწყობას ნიკიფორესადმი კიდევ უფრო ზრდიდა.

თეიმურაზ მეფის სათხოვარი პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისადმი მხოლოდ გამოცდილი ექიმის საქართველოში, მის კარზე, გაგზავნა იყო. „სხვათა შორის, ***რაც ამჟამად აუცილებ-***

---

[1] იქვე, გვ. 202.

ლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას – ეს არის ექიმი[1], რომელიც ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, ვინაიდან ჩვენს მხარეში მძვინვარებს საშიში ავადმყოფობანი“[2] – წერდა თეიმურაზ I.

შინაარსობრივად თეიმურაზ მეფის წერილის იდენტურია პატრიარქ ზაქარიას წერილი რომის პაპისადმი[3]. ისინი ავიტაბილეს წერილებთან ერთად ჩააბარეს რომში მიმავალ დომინიკანელ ბერს.

თეიმურაზ I-ის დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დამყარების უკანასკნელი ცდა, მის მიერ რომში ელჩად თეათინელთა ორდენის მისიონერის, გორის მისიის ხელმძღვანელის, დონ პიეტრო ავიტაბილეს გაგზავნა იყო. მასვე გაატანა ნიკიფორე ირბახის ჩამოტანილი პაპისა და „წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალებისათვიე საპასუხო, თავისი და კათალიკოსის წერილები[4]. რამდენადაც წერილებში პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე არ იყო საუბარი, მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ რათა გასაგები გახდეს ავიტაბილეს ელჩობის მიზანი, მოვიყვან ამონარიდს დონ ჯაკომო დი სტეფანოს მიერ დონ პიეტრო ავიტაბილესათვის გაგზავნილი წერილიდან: მეფე თეიმურაზი ავიტაბილეს აგზავნის რომში, „რათა დაადასტუროს მეფის პატივისცემა პირველი მღვდელმთავრისადმი და აგრეთვე მოაგვაროს ჩვენი მისიონის საქმეები, მისიონისა, რომელიც შეიქმნა თქვენი ინიციატივით და რომელსაც ხელმძღვანელობს თქვენი აღმატებულება. ამ მისიონს, როგორც ვიმედოვნებ, ექნება წარმატებები ღვთის დიდებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობის სულის ჯანმრთელობისათვის. მაგრამ საჭიროა აუჩქარებელი მუშაობა, ვინაიდან გზა არც ისე იოლია და ფართო, როგორც ამის შესახებ რომში ლაპარაკობენ“[5].

ავიტაბილე გაემგზავრა 1630 წ. 3 აგვისტოს. გორში დარჩა მხოლოდ დონ ჯაკომო დი სტეფანო, რომლის მიერ ავიტაბილესთან გაგზავნილმა საინტერესო წერილებმა ჩვენამდე მოაღწია. სხვათა შორის, იგი ავიტაბილეს სთხოვდა, რომ როცა საქართვე-

---

[1] მონიშვნა ჩემია.
[2] იქვე, გვ. 206
[3] იქვე, გვ. 209-211.
[4] იქვე, გვ. 118-119.
[5] იქვე, გვ. 120-121.

ლოსკენ გამობრუნდებოდა თან წამოეყვანა ექიმი, მხატვარი და დურგალი, ხოლო თავისთვის კი ლათინელ კლასიკოსთა ნაშრომების წამოღებას სთხოვდა[1].

1631 წლის მაისის ბოლოს ავიტაბილე რომიდან საქართველოსკენ გამოეშურა და თან წამოიყვანა ახალი მისიონერები. ისინი გორში მოვიდნენ 1632 წლის 10 ივლისს.

ავიტაბილემ თეიმურაზ მეფეს და კათალიკოს ზაქარიას პაპის ურბან VIII-ის 1631 წლის 14 ივლისს შედგენილი საპასუხო ეპისტოლე ჩამოუტანა. პაპი, კმაყოფილებას გამოსთქვამდა მათ მიერ მისიონერების მოღვაწეობისათვის კარგი პირობების შექმნისათვის. ავიტაბილეს მონათხრობის მიხედვით, პაპი მოხარულია და კმაყოფილებას გამოხატავს იმ წარმატებების გამო, რომელსაც თეიმურაზმა გამეფების დღიდან იარადის საშუალებით მიაღწია. ამის შემდეგ, პაპის აზრით, დარჩენილია ის, რომ ვატიკანის ტაძარში ქართველი ელჩის მიერ გამოცხადდეს თეიმურაზ მეფის სურვილი პაპისა და პეტრეს ტაძრისადმი მორჩილების შესახებ: „დე, იყოს შენი ღვთისმოსაობის მოწმე ვატიკანის ტაძარი, რომელშიც რომის ტაშისცემის ქვეშ მოსმენილი იქნება ელჩობის სურვილი, რომელიც მოუტანს ხარკს ღვთისმოსაობის მორჩილებას ნეტარ პეტრესადმი, რომელსაც მეფეები აჰყავს მუდმივი ნეტარების ტრიუმფალურ ტახტზე. ვიმედოვნებთ, რომ პაპის ლოცვებით ყოვლისშემძლე უფალი, მიგიყვანს ნატვრის აღსრულებამდე, ხოლო ჩვენ, ჩვენს ლოცვებში ვანდობთ უფალს შენ და შენს სამეფოს“[2].

პაპმა ქართველების ის თხოვნაც კი არ დააკმაყოფილა თუნდაც მხატვრის და ექიმის გამოგზავნას რომ ეხებოდა. იგი კათალიკოს ზაქარიას ამის გამო წერდა: ავიტაბილესგან „შეიტყობთ, თუ რატომ ვერ წამოიყვანა მან თანამგზავრებად ეგზომ სა-

---

[1] იქვე, გვ. 136. დონ ჯაკომო დი სტეფანოს აინტერესებდა ვირგილიუსის, ჰორაციოს, ოვიდიუსის, კატულის, ტუბილას, პროპერციუსის, სანაძიროს, ციცერონისა და ჯუსტ ლიპსის თხზულებების სრული გამოცემები (იქვე, გვ. 139).

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 238. დასახელებული წერილის შინაარსის სხვაგვარი ინტერპრეტაცია იხ. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 68.

შიშ გზაზე თქვენს მიერ ნათხოვნი მხატვრები და ექიმები“[1]. ამის თქმა უხერხული იყო მაშინ, როდესაც, როგორც ითქვა, ავიტაბილემ შესძლო საქართველოში ჩამოეყვანა მისიონერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ერთი სიტყვით, ***პაპი და, საერთოდ ვატიკანი, თავისი ინტერესებისათვის იღვწოდა და მას ნაკლებად აწუხებდა ქართველთა სატკივარი.*** ასეთი შედეგით დამთავრდა თეიმურაზ მეფის რომთან სახელმწიფოებრივ დონეზე ურთიერთობის დამყარების კიდევ ერთი ცდა. იგი ირანთან ურთიერთობის მოგვარების სხვა გზას დაადგა.

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 240.

VII. თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება

შაჰ აბას I-ის მეფობის ბოლო პერიოდი ირანის წარუმატებელი საგარეო პოლიტიკით აღინიშნა. ოსმალეთმა ძალები მოიკრიბა, შეტევაზე გადავიდა და ადრე დაკარგული სამფლობელოებიდან ზოგიერთი კიდეც დაიბრუნა. ასეთ ვითარებაში შაჰ აბასმა, იმისათვის, რომ ოსმალების წარმატებით შეგულიანებულ საქართველოში ანტიირანული გამოსვლები თავიდან აეცილებინა, თეიმურაზ მეფესთან მორიგება არჩია. შაჰმა ქართლ-კახეთის მოსპობასა და მისი სახანოდ გადაქცევის პოლიტიკაზე უარი თქვა და თეიმურაზს შუამავლად დაუდ-ხან უნდილაძე გაუგზავნა. შაჰ აბას I-მა თეიმურაზ I ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ ცნო, თეიმურაზმა კი თავი მის ვასალად აღიარა.

თეიმურაზ მეფემ სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის გზიდან ჩამოცილების შემდეგ, დასავლეთ საქართველოსთან მოკავშირეობის მიზნით თავისი ქალიშვილი დარეჯანი იმერეთის მეფე გიორგი III-ის მემკვიდრეს ალექსანდრეს მიათხოვა. მან დაღესტანიც დალაშქრა და ამის შემდეგ ქვეყანამ ლეკების მძარცველური თავდასხმებისგან დროებით მოისვენა.

თეიმურაზმა თავისი ქალიშვილის იმერეთის მეფის ვაჟზე გათხოვებით, სერიოზულ პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია. ივ. ჯავახიშვილი თეიმურაზისა და იმერეთის სამეფო კარის დანათესავების გამო აღნიშნავდა: „გ. სააკაძის საქციელს, რომელმაც თეიმურაზ მეფის საწინააღმდეგოდ იმერთა მეფის-ძის ქართლში გაბატონება სცადა, უნდა დაენახვებინა თეიმურაზისათვის, რომ მისთვის იმერეთის მეფესთან უფრო მჭიდროდ დაახლოება და დაკავშირება იყო საჭირო. რაიმე გზით ის უფრო მომტკიცებული უნდა ჰყოლოდა, რომ მუდამ ზურგიდან თავდასხმისა და და ხიფათის მოლოდინში არ ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა თეიმურაზ მეფეს, როდესაც მას თავისი ვერაგობითვე ახლად დაქვრივებული ქალის იმერეთში გათხოვება გადაუწყვეტია...“[1]

ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ თეიმურაზის მმარ-

---

[1] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 358.

თველობით უკმაყოფილო იყო ქართლის დიდკაცობა: „კახნი ქართველთზედ ამაყობდეს და ჴმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს, ქართველთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ“[1]. ასეთი მდგომარეობა მეფის დამოკიდებულებას თავისი ქვეშევრდომების მიმართ ძაბავდა. როგორც ერთ-ერთი მისი თანამედროვე უცხოელი წერდა, „ის სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და ჟინი გაიხადა“[2].

საინტერესოა, რომ თვით მეფე თეიმურაზიც კრიტიკულად აფასებდა აქამდე განვლილ თავის ცხოვრების გზას: „მე ყოვლად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან კეთილგანა სასოებით და წრწოლით ბრალთაგან ყოვლად განკრთობილმან, მეფედ დადგინებულმან ძისა შენისაგან არათუ გამორჩევით, არამედ უნარჩევესმან, მსასოებელმან შენმან და მონამან მდაბალმან, უნდომან თეიმურაზ“[3].

შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველების ერთმა მნიშვნელოვანმა ჯგუფმაც, ხოსრო-მირზას მეთაურობით, იმდენი იმარჯვა, რომ ტახტზე შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა გაამეფა. ხოსრო-მირზა თეიმურაზის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რამდენათაც თეიმურაზს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის მოწინააღმდეგე უნდილაძეებთან. ხოსრო-მირზას ჯგუფმა იმდენი მოახერხა, რომ თეიმურაზის მომხრე ჯგუფის მეთაური დაუდ-ხან უნდილაძე გააძევა, რომელიც 1630 წელს ყარაბაღში წამოვიდა და განჯას დადგა. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, „დაუდ ხან ყარაბაღის ბეგლარბეგი უჭკო და ამაყი კაცი იყო და ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდამენ გაეგდებინა და ეს ჯავრი დაუდხანს ვერ მოეთმინა. ამისათვის თეიმურაზ მეფეს მოციქულობა დაუწყო. შეიფიცნეს და ადრბეჟანის დაჭირვა მოინდომეს“[4].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 238.
[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 125.
[3] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 347.
[4] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 238.

თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა ირანის დალაშქვრა განიზრახეს. „ასეთ ვითარებაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება. თეიმურაზი იმის მაგივრად, რომ თავი ირანის ერთგულ ვასალად მოეჩვენებინა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებაზე ეზრუნა, საკმაოდ მოუმზადებელი, ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა“[1].

შევეცდები გავარკვიო რით იყო განპირობებული თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის, ერთი შეხედვით, მოუმზადებელი მოქმედება – გამოუცხადებელი ომის დაწყება ირანის წინააღმდეგ.

გამოთქმულია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დაუდ-ხანის ძმა შირაზის გამგებელი იმამყული-ხანი თანაუგრძობდა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის ანტისპარსულ აჯანყებას. თეიმურაზს დაუდ-ხანთან მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა[2]. იგი თეიმურაზის სიძე, დის ქმარი იყო. უცხოელთა ცნობებით, თეიმურაზს იმამყული-ხანთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და 1627 წლის თებერვალში შირაზშიც კი ყოფილა და მისი მასპინძლობით უსარგებლია[3]. ამ ორი მოღვაწის ურთიერთობის ამსახველი ეს ერთი მაგალითიც კი საგულისხმოს ხდის მათ შორის სერიოზული პოლიტიკური გარიგების მიღწევის შესაძლებლობას. იმამ-ყული-ხანს, რომ საქართველოსთან

---

[1] ჯამბურია გ., ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის XVII ს. პირველ მესამედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 294.

[2] გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით). მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 68, 75, 81; ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამ-ყული-ხან უნდილაძე, „ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, 165-171.

[3] ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 194-195. თეიმურაზ მეფე თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“, იმამყული-ხანს ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილში მონაწილეობაში ბრალს არ სდებს: „იმამ-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,//მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?//ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,//თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“ თეიმურაზ მეფე იქვე იძლევა იმამ-ყული-ხანის დადებით დახასიათებას (სტრ. 31-32). იმამყული-ხანი რომ მფარველობდა თეიმურაზის დედასა და შვილებს ამას ადასტურებენ ამბის თანამედროვე პიეტრო დელა ვალე და ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი.

გარკვეული კავშირი ჰქონდა, ამაში გვარწმუნებს ავიტაბილეს ერთი საინტერესო ნათქვამი, რომელიც აუცილებლად ასახავდა მის დროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ განწყობილებას: „ამასობაში ვიღაცამ ხელმწიფეს (შაჰ სეფის–ე.მ.) მისწერა საქართველოდან, რომ თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ შირაზელი იმამ-ყული-ხანი, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენაა მიპყრობილიო“[1].

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ***მოვლენების არასასურველმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ დაუდ-ხანისა და თეიმურაზის აჯანყებამ ანტისპარსული სახე მიიღო. თავდაპირველად იგი მიმართული უნდა ყოფილიყო,*** აჯანყებულთა გაგებით, ***უკანონოდ გამეფებული სეფი მირზას და მისი მომხრეების წინააღმდეგ, მაგრამ თავიანთი კანდიდატის ტახტზე აყვანის მცდელობის ჩაშლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ სეფი მირზასდმი დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ.***

სავარაუდოა, თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის აჯანყება დიდი ხნის განმავლობაში სერიოზულად მზადდებოდა და მის მეთაურებს შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ. 1630 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან, რომელიც სომხეთიდან ვენეციაში გაიგზავნა, ნათქვამია, რომ „თეიმურაზ ხანს მზადა ჰყავს ოცი ათასზე მეტი მხედარი, რათა დაეპატრონოს საქართველოს და მის მეზობელ მხარეებს. იგი მოელაპარაკა სომეხთა პატრიარქს – მოვსეს კათალიკოსს, რათა აკურთხონ საქართველოსა და სომხეთის მეფედ, და სომეხ წარჩინებულთაც განუზრახავთ დაემორჩილონ ხსენებულ თეიმურაზ-ხანს“[2].

იმავე წლის რუსული წყაროდან ვიგებთ, რომ ვოევოდა ასტრახანიდან მოსკოვში ხელმწიფეს აცნობებდა შემახიდან ჩამოსული ერთ-ერთი ვაჭრის ნაამბობს: „შაჰის მიწაზე ახლა არც ერთ სახელმწიფოსთან არ ომობენ, მაგრამ ყიზილბაშებს ძალიან ეშინიათ, რომ მათ ქართველები ააწიოკებენ იმიტომ, რომ წინანდელმა შაჰმა საქართველოს მიწა დაიპყრო და ააოხრა“[3].

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 47.

[2] ნატროშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 170.

[3] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, გვ. 113.

ვფიქრობ, თეიმურაზისა და დაუდ-ხანის გამოსვლის საფუძველი შაჰ აბას I-ის მეფობის ბოლო წლებში ძმები უნდილაძეების და თეიმურაზის ოპოზიციის ჩამოყალიბების პერიოდში უნდა ვეძიოთ. სავარაუდოა, ისინი ემზადებოდნენ თავიანთთვის სასურველი კანდიდატის გასამეფებლად. მაგრამ როგორც ითქვა, იმარჯვა მეორე დაჯგუფებამ, რომელსაც ასევე ირანში მოდვაწე ხოსრო-მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომ-ხანი) ედგა სათავეში. მან შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა (შაჰ სეფი) აიყვანა ტახტზე. ორივე მხარისათვის გასაგები იყო, რომ წინააღმდეგობა შაჰ სეფის გამეფებით არ დამთავრდებოდა. ორივე მხარე გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდა. მათ შორის შეჯახებას გარედაუვალს ხდიდა ირანში გავრცელებული ხმა შაჰ აბასის შვილის არსებობის შესახებ, რომელიც იმამყული-ხანის ოჯახში იზრდებოდა და მუსლიმანური წესისა და ადათის შესაბამისად, იგი კანონიერი მემკვიდრედ ითვლებოდა. დასაშვებია, ***შეთქმულების მონაწილეებისათვის ცნობილი გახდა, რომ შაჰის კარი კონტრდონისძიების გატარებას აპირებდა და იძულებულნი გახდნენ ჯერ კიდევ ბრძოლისათვის სამზადისის დასრულებამდე აჯანყება დაეწყოთ.***

დაუდ-ხანის აჯანყების მიზეზს შემდეგნაირად ხსნის დონ პიეტრო ავიტაბილე: „იმ დროს თბილისი დაუდ-ხანს ექვემდებარებოდა და რადგან იმ ადგილებში გაჩერება მომიხდა, უტყუარი ცნობებიდან გავიგე, რომ ირანის მეფეს დაუდის მოკვლა განუზრახავს. ამით უნდოდა შირაზის ხანის, იმამყული-ხანის, დაუდ-ხანის ძმის განდიდებისათვის ბოლოს მოეღო, რადგან მისი წარმატების ძლიერ ეშინოდა. ეს ორი ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი ირანის სიყვარულის საგნად იყვნენ გამხდარნი. და კიდევ იმიტომაც, რომ იმამყული-ხანს თავის სამფლობელოში ჰყავდა სერალიდან წამოყვანილი შაჰ-აბასის შვილი, რომელიც მას შეეძინა თავისი ერთ-ერთი ცოლისაგან. განჯის ხანმა, დაუდმა, საიდუმლო წყაროდან იცოდა, რომ მის მოსაკლავად ბრძანება იყო გაცემული იმ დროს, როცა მე განჯაში ვიმყოფებოდი. დაუდ-ხანი ზოგიერთი თავისი მომხრეთი და მთელი თავისი ქონებით, რის წაღებაც კი შეეძლო, გადავიდა საქართველოში და შეუერთდა თეიმურაზს, რომელთანაც უკვე მჭიდრო სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებუ-

ლი. ისინი ირანის შაჰს აუჯანყდნენ და განრისხებულებმა აოხრება დაუწყეს, პირველად ჯერ განჯას დაარტყეს“[1].

თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხანის მოლაპარაკება ირანის წინააღდეგ საბრძოლო გეგმის შესათანხმებლად, იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ავიტაბილე ამის შესახებ საქმის კურსში იყო და რომშიც კი მისწერა: დაუდ-ხანი თავისი ხელმწიფის წინააღმდეგ ასაჯანყებლად თეიმურაზთან შეთანხმებას აწყობდაო. ამის შემდეგ იგი აღწერს იმ საშინელებას რაც განჯაში დატრიალდა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის იქ შეჭრის შედეგად[2].

თეიმურაზ მეფეს და დაუდ-ხანს მხარი დაუჭირეს იმერეთის მეფემ, დადიანმა და მესხეთის თავადაზნაურებმა. მათ ოსმალეთის, ყირიმის სახანოს და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი მთავარის დახმარების იმედიც ჰქონდათ. ილდარ შამხალთან სპეციალური დავალებით გაგზავნილი ანდრია აფანასიევი იტყობინებოდა: „ყიზილბაშთა შაჰის დავით-ხანი, რომელიც შაჰს განერიდა, თურქეთის მეფის ხალხთან და ქართველებთან ერთად, საქართველოში დგას დიდძალი ხალხით შაჰის ხალხის წინააღმდეგ. დავით-ხანმა თურქეთის მეფეს მისწერა, რომ მას (სულთანს–თ.ტ.) ყირიმელი შინგირეის მოძებნა ებრძანებინა და სადაც კი არ უნდა ყოფილიყო იგი, ნოღაიში, ყირიმსა თუ ყაბარდოში, როგორც იპოვნიდნენ, გაეგზვნა თავისი (სულთნის–თ.ტ.) ჯარებითურთ ოსმალური გზით შაჰის მიწა-წყლის წინააღმდეგ. ყოველივე ეს დიდი დახმარება იქნება მთთვის (ქართველებისათვის–თ.ტ.)“[3].

როგორც ჩანს, შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ სერიოზული სამხედრო აქციები. მათ, 1632 წლის გაზაფხულზე, „ყარაბაღი არეზამდისინ“ დაარბიეს. ყარაბაღში თეიმურაზ მეფესთან მივიდა სომეხთა კათალიკოსი დიდი ჯარითა და საჩუქრებით. მან მეფეს ირანის განადგურების საინტერესო გეგმა შესთავაზა: ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების პირობებში, როდესაც თითქმის მთელი ქართული ლაშქარი მეფესთან იყო, კათალიკოსი 40 ათას მეთოფეს მოიყვანდა და თავრიზის შვიდდღიან დარბევას

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 43.
[2] იქვე, გვ. 24-25.
[3] ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ.74.

სთავაზობდა. მისი აზრით ქართველები გაიმარჯვებდნენ, „მთავარ ჭემწიფეთ გაკურთხებთო და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძლიერდებიანო“.

თეიმურაზ მეფემ უარი თქვა ამგვარ გეგმაზე და საქართველოში დაბრუნდა იმ განზრახვით, რომ გაზაფხულზე უფრო დიდი ლაშქრით შეესეოდა ირანს. თეიმურაზი განჯიდან აიყარა და თან წამოიყვანა დაუდ-ხანი თავისი ცოლშვილითა და მთელი თავისი ბარგით. თან წამოიყვანა სომეხთა კათალიკოსიც და გორში მოვიდა[1]. იმერეთის მეფეს, დადიანს და მესხ თავადებს თეიმურაზ მეფემ კარგად უმასპინძლა და გაისტუმრა.

დაუდ-ხანმა დიდი ყურადღება გამოამჟღავნა გორში დასახლებული კათოლიკე მისიონერების მიმართ. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე თეიმურაზმა კვლავ შეკრიბა ჯარი და დაუდ-ხანთან ერთად ისევ აიკლო შაჰის სამფლობელოები. ეს ლაშქრობაც წარმატებით დასრულდა და თეიმურაზი, დაუდ-ხანი და მათთან ერთად ავიტაბილეც გორში დაბრუნდნენ[2]. საფიქრებელია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის და ავიტაბილეს მიერ აღწერილი თეიმურაზის გორში მოსვლა და დიდი ზეიმი ირანის მეორე ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა.

დაუდ-ხანს გორში ეწვია ოსმალეთის სულთნის ელჩი. დაუდ-ხანსა და მის სტუმარს პატრებმა უმასპინძლეს. ავიტაბილეს გადმოცემით, დაუდ-ხანს, მისიონერებისათვის უკითხავს: „კმაყოფილი თუ იქნებით სულთნის ელჩის მოსაყვანად რომ გავაგზავნო კაცი, იგი ჩემთან მოსათათბირებლად არის ჩამოსულიო. მე მას ვუთხარი: ნება თქვენია-მეთქი. მაშინვე გააგზავნა კაცი მის დასაძახებლად. ელჩი მოვიდა და ჩვენთან ერთად ისადილა“[3].

დაუდ-ხანსა და კათოლიკე მისიონერებს შორის საკმაოდ ახლო ურთიერთობა არსებობდა. როგორც ავიტაბილე გადმოგვცემს, იგი დაუდ-ხანს პირადად კარგად იცნობდა. 1635 წლის 24 ნოემბერს ავიტაბილე თეატინელი კლირიკოსების გენერალს დონ მატეო სანტომანგოს სწერდა: 1632 წელს „პატრი ჯაკომოს თანხლე-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 239.
[2] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 48.
[3] იქვე, გვ. 45.

ბით განჯაში მივედი. ვფიქრობდი, ჩვენი მეგობრის, დაუდ-ხანის შემწეობით ამენაზღაურებინა ის ზარალი, რაც თბილისში გაძარცვით მომაყენეს. ცუდ დროს მივუსწარით: დაუდ-ხანი თავისი ხელმწიფის წინააღმდეგ ასაჯანყებლად თეიმურაზთან შეთანხმებას აწყობდა. ჩვენი მოლაპარაკება, მართალია, კარგად დაიწყო, მაგრამ ჯერ ვერ შეძლო მისი დასრულება. ამავე დროს ბრძანება გასცა ჩვენთვის ადგილი მოეცათ და დაავალა, რომ ამ ადგილას ეკლესია და სახლი აეშენებინათ, გარდა ამისა, ჩვენ მოსამსახურედ მოგვიჩინა ექვსი ყმა, რომლებიც მოკლე ხანში გავათვისუფლეთ“[1].

ავიტაბილე, ერთხელ, სხვა ორ მისიონერთან ერთად, დაუდ-ხანს განჯაში ეწვია თეატინელთა მისიონის დაარსების მიზნით[2].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი გორში ოსმალებთან ირანის საწინააღმდეგო მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ როსტომის ყიზილბაშთა დიდი ჯარით ქართლში შემოსვლის გამო ოსამალეთში გაიქცა.

როდესაც დაუდ-ხანის მიერ კათოლიკე მისიონერების მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და სიმპათიების შესახებ ვიგებთ, ძნელია გარკვევით რაიმის თქმა. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი, შაჰ აბასის მიერ, პოლიტიკური მოსაზრებით დამკვიდრებული ტრადიციის, კათოლიკე მისიონერებისადმი კარგად მოპყრობის, მომხრე იყო. ასე ექცეოდა მათ როსტომ-ხანიც.

განრისხებულმა შაჰ სეფიმ დაუდ-ხანის ძმა იმამყული-ხანი შვილებიანად ამოწყვიტა[3], დაუდ ხანის შვილები დაასაჭურისა.

---

[1] იქვე, გვ. 23.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 183-184.

[3] ადამ ოლიარიუსის მიხედვით, როდესაც შაჰ სეფიმ იმამყული-ხანი ყაზვინში დაიბარა, მან კარგად იცოდა რაც ელოდა, მაგრამ მაინც წავიდა თავის შვილებთან ერთად და მოკლულ იქნა ყოველგვარი ბრალდების გარეშე. შაჰს თავიდან მისი შვილების დახოცვა განზრახული არ ჰქონდა, „მაგრამ, როდესაც იმამყული-ხანის უფროსი, 18 წლის ვაჟი, კეთილი ადამიანების რჩევით, დაემხო შაჰის ფეხების საკოცნელად, ერთმა მაბეზღარამ მოახსენა შაჰს, რომ იგი იმამყული-ხანის შვილი კი არ იყო, არამედ შაჰ აბასისა [ოდესღაც] შაჰ აბასმა იმამყული-ხანს ცოლად მისცა ერთ-ერთი ქალი თავის ჰარამხანიდან, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ იყო ამ ვაჟზე. ეს მოისმინა რა შაჰმა, მაშინვე ბრძანა გაეყვანათ უბედური ჭაბუკი თავის თოთხმეტ ძმასთან ერთად მოედანზე, მამის გვამთან, სადაც ყველანი და-

დაუდ-ხანმა ოსმალეთს შეაფარა თავი. „ბატონს თეიმურაზსაც გა-უწყრა ყაენი და საქართველო ბატონს როსტომს მისცა და საჰკა-ძე როსტომ ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყაენს ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს“[1]. დონ პი-ეტრო ავიტაბილეს თქმით, როსტომ ხანის უზარმაზარი (ზოგიერ-თი ცნობით – 123 ათასი, 130 ათასი) ჯარის უმეტესობას ქართვე-ლები შეადგენდნენ[2].

მტრის შემოჭრის მომლოდინე თეიმურაზს თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა გადაუდგა და როსტომს მიემ-ხრო. მან ვერც დასავლეთ საქართველოდან მიიღო დახმარება. მას ზურგი აქციეს კათოლიკე მისიონერებმაც. იგი იძულებული გახდა 1633 წლის 18 თებერვალს მთელი თავისი სახლობითა და ერთგული ადამიანებით იმერეთს გახიზნულიყო[3].

დაუღალავი და მოუდრეკელი თეიმურაზ I-ის ირანის წინააღ-მდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელის შედეგადაც ქარ-თლის ტახტი როსტომმა დაიკავა, არა მხოლოდ მარცხით დას-რულდა, არამედ კარგა ხნით განისაზღვრა აღმოსავლეთ საქართვე-ლოს შემდგომი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-იდეოლოგი-ური განვითარება. თეიმურაზის ეს ანტისპარსული აჯანყება მისი სერიოზული შედეგებით ამიტომაც გახდა ქართველი ისტორიკოსე-ბის სერიოზული განსჯის საგანი[4].

ხოცეს...“ (Oliarius A., Vermehrte neue Beschreibung der Muskovitischen und Persiscytn Reise, Schleisswig, 1656, S. 660). შაჰ აბასის ნაცოლარმა რომ შვილი გააჩინა იმამყული-ხანის ოჯახში, 1630-იან წლებში გავრცელებულ ამ ცნო-ბას ადასტურებს დონ პიეტრო ავიტაბილე: „იმამ-ყული-ხანს თავის სამ-ფლობელოში ჰყავდა სერალიდან წამოყვანილი შაჰ-აბასის შვილი, რომე-ლიც მას შეეძინა თავისი ერთ-ერთი ცოლისაგან“ (დონ პიეტრო ავიტაბი-ლე, ცნობები საქართველოზე, გვ. 43).

[1] ფარსადან გორგიჯანიძე ჩამოთვლის ქართლ-კახეთის იმ დიდი თავადებს, რომლებიც როსტომს ირანიდან საქართველოში ჩამოჰყვნენ. იქვე, გვ. 239-240.

[2] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 48.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 125; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 189.

[4] გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში, გვ. 78-79; ჯამბურია გ., ქართლ-კახეთის დროებითი გაერთიანება. საქარ-

თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის 1632 წლის ანტისპარსული აჯანყება იყო თეიმურაზ მეფის ყველაზე გაბედული და სერიოზული ეპიზოდი ირანის წინააღმდეგ მისი ხანგრძლივი შეიარაღებული ბრძოლისა. ეს არ იყო მხოლოდ ნადავლის მოპოვებისათვის მოწყობილი ლაშქრობა; საქართველოში ირანის გაბატონების თავიდან აცილება იყო თეიმურაზის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ქვაკუთხედი მთელი მისი მეფობის განმავლობაში; ეს იყო დასავლეთ ევროპაზე ხელჩაქნეული თეიმურაზ მეფის ცდა იმავე ევროპისათვის ეჩვენებინა, რომ ირანი, მისი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერია და მტრისათვის სამაგიეროს გადახდა მათი დახმარების გარეშეც შეეძლო; თუ იმამყული-ხან უნდილაძე სამხრეთში აჯანყდებოდა და ჩრდილოეთიდან კი თეიმურაზი და დაუდ-ხანი დაარტყამდნენ, ირანის საელმწიფო დაიშლებოდა. ეს იქნებოდა თეიმურაზ მეფის, როგორც პირადი, ისე მისი ქვეყნის შურისძიება შაჰ აბასის მტარვალობაზე; თეიმურაზის, ქართლ-კახეთის მეფის, ხელისუფლება გავრცელდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიაზე.

ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. თეიმურაზის მოწინააღმდეგეებმა, როსტომ ხანის მეთაურობით, იმარჯვეს. იგი ყიზილბაშთა ძალაზე დაყრდნობით ქართლში გაბატონდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ამგვარად, ბრმისთვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობასა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“[1].

ამ დროისათვის თეიმურაზის მიმართ უარყოფითად განწყობილი კათოლიკე მისიონერების და, საერთოდ, რომის დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს დონ პიეტრო ავიტაბილე, როდესაც იგი, მისი გაგებით, როსტომის მიერ სამართლიანად განდევნილი თეიმურაზის (მან ხომ არ აღიარა კათოლიციზმი) შეცდომების (თუნდაც ირანის წინააღმდეგ აჯანყება) შესახებ სწერს: „ირანის ახალ შაჰს (სეფის –ე.მ.) მოხუცი შაჰისაგან (აბასისაგან –ე.მ.) მი-

---

თველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 294; ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, გვ. 113-116; ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., 75-78.

[1] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 369;

ღებული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ თეიმურაზთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა და ჯილდოდ მისთვის მიეცა საბარათიანო, რომელიც ერთ პროვინციად ითვლება, და აგრეთვე სომხითიც – ესეც მეორე პროვინციაა. გარდა ამისა, თეიმურაზთან რომ უკეთესი ურთიერთობა განემტკიცებინა, მას ცოლად ქალიშვილი სთხოვა, რისთვისაც გაუგზავნა უძვირფასესი საჩუქრები... მას ძალიან ბევრი ველაპარაკეთ და ბევრი რამ გავუკეთეთ იმისათვის, რომ მას სქიზმა დაეტოვებინა და უწმინდეს სამოციქულო ტახტს შეერთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კეთილი განწყობილება გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, მას ყურში მუდამ ბერძნები ჩასჩურჩულებდნენ, რის გამოც ყოყმანობდა და თავის შეხედულებაზე მაგრდებოდა: ამიტომ ღმერთმა მას ეს მკაცრი სასჯელი გამოუნახა...“[1]

თეიმურაზ მეფე ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქრის წინაშე თითქმის მარტოდმარტო დარჩა“ „მეფე იმაზე იყო გაგულისებული, რომ თუნდაც ორი ათასი ოღონდ ერთგული ჯარისკაცი რომ მყოლოდა, მტერს დავამარცხებდიო. მეორე ფაქტიც უკლავდა გულს – მან ვერ გამოიყენა ის, რომ ის ქართველები, რომლებიც სპარსელთა ბანაკში იმყოფებოდნენ, თეიმურაზის მხარეს გადმოვიდოდნენ და ისინი კი იმდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ ირანის ჯარის უმეტესობას შეადგენდნენ“[2].

როსტომის ქართლში გამეფებით, ამ სამეფომ დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი ირანის შაჰის ხელისუფლებას დაექვემდებარა. ეს გარემოება მაშინვე შენიშნა ისეთმა ჭკვიანმა დამკვირვებელმა, როგორიც პატრი ავიტაბილე იყო. იგი 1633 წლის 1 ოქტომბერს რომში აცნობებდა, რომ „ეს ქვეყანა (ქართლის სამეფო–ე.მ.) აღარ არის ქრისტიანი მეფეების მფლობელობაში, არამედ შაჰის დომენია“[3].

ამ დროიდან იწყება ხანგრძლივი ბრძოლა თეიმურაზ I-სა და როსტომ-ხანს შორის ქართლში მეფობისათვის.

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 48-49
[2] იქვე, გვ. 48
[3] იქვე, გვ. 18.

VIII. თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან

თეიმურაზ I-ის დიპლომატი ნიკიფორე ბერძენი

თეიმურაზ I-ს იმერეთში სრულიად შეცვლილი პოლიტიკური მდგომარეობა დახვდა. აღარსად ჩანდა საერთო ქართული საქმისადმი ის ერთობა და ერთგულება, როდესაც მეფე-მთავრები ერთობლივად მოქმედებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ისინი აღმოსავლეთ საქართველოსაც ეხმარებოდნენ ირანისაგან თავდაცვაში. დაპირისპირების მოთავე ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი იყო. იმერეთის მეფე გიორგი III-ს, თეიმურაზის მძახალს, თავის თავი გასჭირებოდა და თეიმურაზს ვეღარ დაეხმარებოდა. უფრო მეტიც, ლევან II დადიანის შიშით იგი ქუთაისიდან ვეღარ გადიოდა. ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა დაუდგრომელი თეიმურაზისათვის აუტანელი იყო და თავის სამეფოში დასაბრუნებლად შესაფერის მომენტს ელოდა.

1634 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის თავადებმა თეიმურაზი მიიწვიეს. იგი ქართლში გადავიდა, მაგრამ დამარცხდა და მხოლოდ კახეთის ტახტი დაიბრუნა მას შემდეგ, რაც შაჰის მიერ კახეთის მმართველად დანიშნული სელიმ-ხანი გააძევა. როსტომმა დიდი ჯარით გაილაშქრა თეიმურაზის წინააღმდეგ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი თეიმურაზი იძულებული გახდა როსტომისათვის მოციქულები გაეგზავნა და შერიგება და შაჰთან შუამდგომლობა ეთხოვა. თეიმურაზი შაჰს, შერიგების შემთხვევაში, თავისი ქალიშვილის თინათინის მიცემას ჰპირდებოდა. „ეს ანბავი როსტომ მეფეს ნამეტნავად იამა და ყაენს არზა მისწერა და ლაშქრობა მოიშალა... ქვეყნის დამშვიდების და ჩხუბის დაწყნარებისათვის ყაენს მისწერა და იმათაც ეამებინა და ყაენის ასრე ბრძანება მოუვიდა – თქვენი შერიგება გვიამაო, კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინ დიდის პატივით გამოისტუმრეთო... ბატონს თეიმურაზს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ჭალათი გაუგზავნეს და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე რომ რაც ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვინდვითო და ამას უკანო შენ და როსტომ მეფე შერიგდითო, ჩვენ გვიამებისო და ორთავ მრავალს წყალობას გიზამთო და ასრე კიდევ მეფის

როსტომისათვის ებრძანებინა“[1]. ამგვარად, შაჰმა კვლავ ოფიციალურად სცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ, რაც ირანის მხრიდან, როგორც კახეთის ტახტს ახლად დაუფლებულ თეიმურაზს შეიძლებოდა ეფიქრა, სისუსტის გამომჟღავნება იყო. იგი რომ ასე ფიქრობდა, გამოჩნდა მისი შემდგომი მოქმედებიდან.

თეიმურაზი ხელსაყრელ მომენტს ელოდა შაჰ სეფისა და როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად. თითქოს ასეთი დრო დადგა 1635 წელს ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმატებით განახლებული ომის დროს. სულთანმა, შიკრიკების ხელით გაგზავნილი სიგელებით, თეიმურაზს და ყირიმის ხანს 1636 წლის გაზაფხულზე მთელი თავიანთი ჯარებით ირანზე გალაშქრება სთხოვა. როდესაც შაჰ სეფიმ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაიგო, ერევნისკენ გაეშურა და იქ დადგა. თეიმურაზ მეფესა და სულთანს შორის ურთიერთობა გრძელდებოდა („მათ შორის შიკრიკები მიდიმოდიოდნენ“), იმდენად, რომ ქართველთა რაზმები შამახაში შეიჭრნენ, ქლაქები დაიპყრეს და ხელთ იგდეს მრავალი ტყვე. შემდგომში ომი სპარსელების მოწინააღმდეგეთა წარუმატებლად წარიმართა და ახლა უკვე შაჰის ლაშქარი იჭრება კახეთში[2]. ძნელია იმის თქმა, რამდენად შეეფერება სინამდვილეს რუსული წყაროდან ამოღებული სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ეს ცნობები. მათი დამადასტურებელი სხვა წყარო არ არის.

თეიმურაზ მეფე მდგომარეობას მაინც არ ეგუებოდა და ქართლის ტახტის დაპყრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ამის მიღწევა მოკავშირის გარეშე შეუძლებელი იყო. ნათელი იყო ისიც, რომ ასეთ მოკავშირედ ოსმალეთი ვეღარ გამოდგებოდა და მან დახმარების სათხოვნელად ბერძენი მიტროპოლიტი ნიკიფორე მოსკოვში ელჩად გაგზავნა.

ნიკიფორე ბერძენი საქართველოში მოვიდა 1623-1624 წლებში. თეიმურაზმა ეს პიროვნება კონსტანტინოპოლის პატრიარიარქ კირილე ლუკარისს სთხოვა[3].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 244.

[2] Тивадзе Т., Материалы, с. 170-171, док. №33.

[3] Переписка, с. 9.

იმის გამო, რომ კირილე ლუკარისი ლათინების მტერი იყო (გავიხსენოთ დასავლეთ ევროპიდან სამშობლოსკენ მომავალი ნიკიფორე ირბახის მიერ კონსტანტინოპოლში გადატანილი უსიამოვნება, რაშიც პატრიარქის ხელიც ერია) და მართლმადიდებელი რუსეთს მიიჩნევდა იმ ძალად, რომელსაც შეეძლო სერიოზული როლი შეესრულებინა ოსმალთა უღლიდან საბერძნეთის განთავისუფლების საქმეში, რუსეთში იგი პატივისცემით სარგებლობდა. როგორც ჩანს ყოველივე ეს თეიმურაზ მეფემ კარგად იცოდა და მან, თავის დიპლომტებზე გულაცრუებულმა, ისეთი პიროვნება სთხოვა პატრიარქს, რომელსაც იგი ენდობოდა და ოსმალეთთან და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას მიანდობდა. თეიმურაზ მეფის ამგვარი მოქმედება, რომ უცხოელი გამოეყენებინა პოლიტიკურ საქმიანობაში, გასაკვირი არ იქნება (გავიხსენოთ, მან, ნიკიფორე ბერძენზე ადრე, იტალიელი დონ პიეტრო ავიტაბილე გაგზავნა რომში), თუ გავითვალისწინებთ ქართველი მეფეების მიერ დიპლომატებად უცხოელების გამოყენების პრაქტიკას. ამგვარი პრაქტიკა სხვა სახელმწიფოებშიც არსებობდა.

როგორც ჩანს, ნიკიფორემ გაუმართლა იმედები თეიმურაზ მეფეს, რაც განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მოსკოვთან მისი დიპლომატიურ მიმოწერაში.

მიტროპოლიტ ნიკიფორეს შესახებ საინტერესო ცნობები მოცემულია მის მიერ 1635 წელს მოსკოვში ჩატანილ თეიმურაზის წერილში.

ნიკიფორეს თან მიჰქონდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის 1634 წლის აგვისტოთი დათარიღებული სარეკომენდციო წერილიც[1], რომელიც მთლიანად ნიკიფორეს ქებაა. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფესთან თავის ელჩად გზავნის უწმინდეს და მოკრძალებულ ბატონ ნიკიფორეს – პატრიარქის მოადგილეს, ივერიის არქიმანდრიტს. ჩამოთვლილია ელჩისათვის აუცილებელი დამახასიათებელი ის ნიშნები, რომლებსაც ნიკიფორე ფლობდა[2].

---

[1] Там же, с. 121.

[2] Там же, с. 120-121

თეიმურაზ მეფის ამ ელჩის პიროვნების შეფასებისას ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია უარყოფითი მოსაზრება[1], რაც გადაჭარბებულად მკაცრად მიმაჩნია. ნიკიფორე ბერძენს, რომ ნაკლი ჰქონდა, აღნიშნულია წინამდებარე ნაშრომშიც, მაგრამ ძირითადად, ქართული პოლიტიკური ცხოვრებისა და დიპლომატიის მაშინდელ დონეს თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, უფრო ობიექტურია ნიკიფორე მიტროპოლიტის თ. ტივაძისეული შეფასება: ჩანს, რომ იგი საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, რასაც მოწმობს მისი წერის მანერა და საღვთო სჯულის ცოდნა. იყო მოქნილი დიპლომატი, რაც კარგად გამოვლინდა რუსეთის სამეფო კართან მისი ურთიერთობისას; მან კარგად იცოდა თავისი დროის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, რუსეთის საერთაშორისო წონა და პრეტენზიები; იგი ასევე კარგად ფლობდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ პერიპეტიებს[2].

რადგან პატრიარქი კირილე ლუკარისის წერილი დათარიღებულია 1634 წლის აგვისტოთი, ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ელჩობის გაგზავნა თეიმურაზ მეფეს ჩაფიქრებული ჰქონდა ადრე, მაგრამ მის განხორციელებაში ხელი შეუშალა სხვა-

---

[1] როგორც თეიმურაზ მეფე რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, მასთან აგზავნიდა «нареченного митрополита святыя области кукосонские, лурского честного ехзарха всея Исхания кир-Никифора греченина» (Полиевктов М., Ук. труд, с. 108). თ. ტივაძის ვარაუდით, „კუკოსონი“ შეიძლება ნიშნავდეს კაკ-ენისელს, ხოლო „ისხანია“ – სოფელ შიხიანს, რომელიც ენისელიდან 2 კილომეტრზე მდებარეობდა სამხრეთით (ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 83). ნიკიფორეს უარყოფითი დახასიათება თეიმურაზ მეფის მიერ მისი რუსეთში მეორედ გაგზავნისას გატანებული წერილის მონაცემების მიხედვით (იხ. კეკელიძე კ., ნიკიფორე ირბახი. ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., 1945, გვ. 294; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 386-389). დ. კარიჭაშვილს ნიკიფორე ორბახი და ნიკიფორე ბერძენი ერთი და იგივე პიროვნება ეგონა (კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ., 1927, გვ. 21-22). კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ დასახელებული პიროვნებები თეიმურაზ I-ის სხვადასხვა ელჩები იყვნენ (კეკელიძე კ., ნიკიფორე ირბახი, გვ. 293-296).

[2] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 93.

დასხვა არახელსაყრელმა გარემოებამ[1]. ისიც უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ მეფე, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა რომელიმე პატრიარქის, კერძოდ იმის, ვისთანაც მას მოცემულ პერიოდში კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მისი სარეკომენდაციო წერილით ელჩის აღჭურვა. შეიძლება გავიხსენოთ ნიკიფორე ირაბახის გაგზავნა ევროპაში იერუსალიმის პატრიარქის სარეკომენდაციო წერილით.

თეიმურაზ მეფემ რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს საკმაოდ ვრცელი წერილი გაუგზავნა, რომელიც დათარიღებულია 1635 წლის 17 სექტემბრით[2]. წერილი უაღრესად საინტერესოა. იგი თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნის როგორ ესმოდა ამ ქართველ მეფეს რუსეთთან ურთიერთობა და როგორ ესახებოდა მისი განხორციელების გზები. ჩვენს წინაშე ცოცხლდება თეიმურაზ მეფე, როგორც პოლიტიკოსი და დიპლომატი.

1. ელჩის წარდგენა. როგორც ითქვა, წერილის დასაწყისში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ელჩ ნიკიფორეს ადამიანური თვისებების ქებასა და მის დამსხურებას თეიმურაზ მეფის წინაშე.

თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს თავის ელჩზე მოახსენებს შემდეგს: რადგანაც ჩვენი პატრიარქი აღესრულა და არ გვყავს სხვა პატრიარქი[3], ამიტომ ეს მიტროპოლიტი არ არის ხელდასხმუ-

---

[1] Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, с. 110; ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[2] თ. ტივაძე ითვალისწინებდა, რომ ბერძნულ მართლმადიდებლურ სამყაროში ახალი წელი 1 სექტემბრიდან აითვლებოდა და წერილის ნამდვილ თარიღად 1634 წლის 17 სექტემბერი მიაჩნდა. ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[3] გაუგებარია 1634 თუ 1335 წელს შედგენილ წერილში თეიმურაზ მეფე რატომ ამბობს, რომ ამ დროს პატრიარქი არ გვყავსო, მაშინ, როდესაც 1632-1642 წლებში კათალიკოს-პატრიარქი იყო ევდემოზ I დიასამიძე, რომელიც თეიმურაზ მეფის სასარგებლოდ მოწყობილ როსტომის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაიღუპა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, რადგან საპატრიარქო კათედრა მცხეთაში იყო და თეიმურაზს, როგოც კახეთის მეფეს, მცხეთაზე ხელი არ მიუწვდებოდა, ამიტომ ამბობს, რომ პატრიარქი არ გვყავდაო. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლად გამეფებულმა როსტომმა პატრიარქი ევდემოზი დროებით გადაყენა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს დონ პიეტრო ავიტაბილეს ერთი ცნობა: ქართლში ახლადმოსულ როსტომს ნიკიფორე ირბახი ოდი-

ლი. იგი ერთი წელია რაც ზემოთ დასახელებულ მხარესა და სამიტროპოლიტოს ფლობს. საქართველოში წესადაა, რომ ხელდაუსხმელმა მიტროპოლიტმა ერთი წელი უნდა განაგოს თავისი ეპარქია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ თანამდებობას ვერ დაიკავებს. ამ მიტროპოლიტმა, ივერიის მიწა-წყალზე ქრისტიანობისათვის მრავალი სიკეთე, შრომა და დახმარება გასწია. ამიტომ გზავნის მეფე მას მოსკოვში. „ამისათვის მიყენია იგი ჩემს სახელმწიფოში ყველა ბოიარსა და არქიელზე მაღლა, რადგან არის მეფის სამსახურისა და ბრძანებების პატიოსანი და ღირსეული შემსრულებელი. რომელ სამეფოსა და სახელმწიფოშიც ელჩად გავაგზავნე, ყოველთვის წარმატებით დაბრუნდა“. თეიმურაზ მეფეს მრავალი ბოიარი და არქიელი გაუგზავნია სხვადასხვა მეფესთან მრავალი საჩუქრით, მაგრამ ვერავინ გააკეთა იმდენი რამდენიც ამან. ნიკიფორე სრულიად განსხვავდებოდა სხვა ბერძნებისაგან. საქართველოში ბერძნები მრავლად მოდიოდნენ, მაგრამ გამოჩნდებოდნენ თუ არა სპარსელები ისინი მაშინვე სტოვებდნენ ამ ქვეყანას. ნიკიფორე კი, ყოველთვის მეფის გვერდით იყო. „უდიდებულესო მეფე, თქვენს დიდ სამეფოში ადრეც და არაერთხელ გამოვაგზავნეთ სხვა ელჩები, მაგრამ არაფერი გაგვიკეთეს და ნამდვილი პასუხი არ მოგვიტანეს... მაგრამ ეს სადაც გავაგზავნეთ, ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა. ცარგრადის სულთანთან გავაგზავნეთ – შეგვარიგა და საქმე ისე მოგვიგვარა, როგორც გვჭირდებოდა და გვსურდა. ვაზირმა მოგვწერა, რომ სულთანმა ისურვა, რომ სხვა დროს მასთან მის გარდა სხვა ელჩი არ გაგვეგზავნა“[1].

თეიმურაზ მეფე შემდეგ წერს იმ დიპლომატიურ წარმატებებზე, რომლებიც ნიკიფორეს მოღვაწეობის შედეგად იქნა მოპოვებული ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების საქმეში. ნიკიფორეზე ადრე მე ვიყავი კონსტანტინოპოლში სულ-

---

შიდან მოუწვევია და, როგორც 1633 წლის 1 აგვისტოს წერილშია ნათქვამი: „ხალხში ხმა დადის, რომ (როსტომს – ე. მ.) მისი (ნიკიფორე - ე. მ.) პატრიარქად დასმა უნდაო“. ნიკიფორემ უარი თქვა ამ შეთავაზებაზე. ავიტაბილეს ცნობა თუ სიმართლეს შეეფერება, მაშინ გამოდის, რომ როსტომმა, ნიკიფორე ირბახის მიერ უარის თქმის შემდეგ, ევდემოზი ისევ კათალიკოსისად აღადგინა.

[1] Полиевктов М. А., Материалы, док. №6, с. 108-109.

თანთან, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეო[1]. „იმ დროს, როდესაც შაჰი თავს დაგვესხა, ჩემი ყველა ბოიარი და არქიელი შეშინდა და წინააღმდეგობა ვერ გასწია, ეს ელჩი კი, რომელსაც შენს დიდ მეფობასთან ვაგზავნი, ჩვენი გულისათვის შაჰის წინააღმდეგ ხმლითა და ფარით დადგა და ქრისტიანებს ეხმარებოდა და მეთაურობდა. რაც ახალგაზრდობიდან მამული და ქონება ჰქონდა, ყველაფერი ქრისტიანობისათვის დახარჯა“[2].

თეიმურაზი ხელმწიფეს სთხოვს ნიკიფორეს მოუსმინოს, ყოველივე ის რაც მას სიტყვიერად დააბარეს და ეს წერილი საიდუმლოდ შეინახოს ისე, როგორც მეფესა და ხელმწიფეს საიდუმლოებათა შენახვას შეეფერება. თეიმურაზ მეფე მიხეილ თედორეს ძეს შეახსენებს, რომ მის ქვეყანაში სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები ცხოვრობენ და სასურველი არ არის მათ იცოდნენ როგორ გადაწყდება ჩვენი საქმეები. ამიტომაც გამოვაგზავნე მცირერიცხოვანი ელჩობა. შემდეგ, როდესაც საქმეს მოვაგვარებთ, მაშინ გაიგოს ყველა მეფემ.

2. საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა. თეიმურაზ მეფე რუსეთის ხელმწიფეს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მეფეს უწოდებს. შეახსენებს, რომ ხელმწიფის პაპა და თეიმურაზის პაპა ალექსანდრე და მამა დავითი, ერთმანეთის მიმართ დიდ სიყვარულში იყვნენ, ერთმანეთს ელჩებს უგზავნიდნენ. ჩვენს შორისაც ამგვარი და უკეთესი ურთიერთობა იქნებოდა, რომ არა ჩვენს შორის მუსლიმანების ჩადგომა. „როდესაც მუსლიმანი[3] ხალხები და მეფეები გაიგებენ, რომ ქრისტიან მეფეებს შორის დიდი სიყვარული და კავშირია, დიდად შეშინდებიან არა მხოლოდ მუსლიმანი მეფეები, არამედ ყველა მეფეები და სახელმწიფოები, რადგან ყველა მეფეებსა და ხელმწიფეებს შორის უთანხმოება და დიდი ომებია, გერმანელებიც არეულობაში იმყოფებიან“[4].

3. თანამედროვე პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად

---

[1] Там же, с. 109-110.

[2] Там же, с. 110.

[3] წერილში თურქებია. როგორც ჩანს, თეიმურაზი თურქებში მუსლიმანებს გულისხმობს.

[4] Полиевктов М. А., Материалы, док. №6, с. 111.

აუცილებელია ისტორიის უმნიშვნელოვანესი გაკვეთილების გახსენება-გათვალისწინება. თეიმურაზ მეფე მიხეილ თედორეს ძის ყურადღებას მიაპყრობს ცენტრალურ ევროპაში მიმდინარე ოცდაათწლიანი ომზე, ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურ და სამხედრო დაპირისპირებაზე, რაც სასარგებლოა საქრისტიანოს მტერი მუსლიმანური ქვეყნებისათვის. თეიმურაზს არც იმის შეხსენება დავიწყებია, რომ ამგვარი დაპირისპირების, ურთიერთგაუგებრობისა და მერყეობის შედეგი იყო თურქების მიერ ცარგრადის დაპყრობა და წმინდა ეკლესიებისა და მონასტრების შეგინება, მეჩეთების ჩადგმა, ბერძენი მეფეების მოდგმის გადაშენება, უღმერთო მუსლიმანების გამრავლება და მეფობა. კეთილი ბერძნები იცავენ თავიანთ რწმენას, რომელიც არის ფესვი და საწყისი ყველა ქრისტიანისა. რომელი მოდგმაც კი თურქების ხელში აღმოჩნდა, ყველა სულითა და ხორცით დაიღუპა. აქ ჩანს ბერძნებისადმი დამოკიდებულებაში ორმაგი სტანდარტი. საქართველოში მცხოვრები ბერძნებისადმი თეიმურაზ მეფე ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს და მათ გარკვეულ საკითხებსა და ვითარებაში არ ენდობა. მაგრამ როდესაც იგი მოსკოვის ხელმწიფესთან ურთიერთობს, ითვალისწინმებს რუსეთში ბერძნებისადმი კარგ დამოკიდებულებას, მან იცის რომ ბერძნებს მოსკოვში და სხვაგანაც მაღალი საეკლესიო თანამდებობები უკავიათ, სერიოზულ როლს ასრულებენ განათლებასა და მეცნიერებაში, ამიტომ თეიმურაზი მათდამი გულთბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

4. საქართველოს წარსული და თანამედროვე მდგომარეობა. საქართველოს წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობას თეიმურაზ მეფე აღწერს, როგორც მძიმეს. საინტერესოა, რომ იგი ქართული სახელმწიფოს დაფუძნებას ქრისტიანობის გამარჯვებას უკავშირებს. „მრავალჯერ იყო სპარსელებისგან განადგურება, შემდეგ სხვა ხალხებისგანაც, დიდი ომებისაგან ნგრევა. ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა არ მოგვაკლო თავისი მოწყალება და ქრისტიანობა არ დაანება საბოლოოდ გასანადგურებლად, რადგანაც აქ, მცხეთის დიდ ეკლესიაში დადებულ იქნა ქრისტეს კვართი, აქვეა დღემდე ჩვენი საპატრიარქო. გვინდა შენს დიდ მეფობასთან ვიყვეთ მეგობრობასა და სიყვარულში, ვიყოთ დაცულნი შენი სამეფოს სიახლოვეს, რათა დიდი ეკლესია და ქრისტეს წმინდა კვართი არ ჩავარდეს მუსლიმანთა ხელში, არ განად-

გურდეს აქაური მხარეები, მონასტრები და ეკლესიები, ქრისტიანული სახელმწიფოები...“[1]

რადგან თვითმპყრობელი მეფე ხარ, მიმართავს თეიმურაზი მიხეილ თედორეს ძეს, ხარ ყველა მეფისა და სახელმწიფოს მეთაური, ამიტომ „თვითმპყრობელო მეფევ! როგორც ყველა მეფისა და ხელმწიფის მეთაურს, ახლა, დღეიდან გადმოგცემ ივერთა მიწა-წყალს, წმინდა ეკლესიებს და წმინდა ქრისტეს კვართს. დაიცავი ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, რამეთუ თვით უფალმა წარმოსთქვა: „ძლიერებს შეუძლიათ ზიდონ ტვირთი სუსტებისაო... და ვიქნებით თქვენს ძლიერ სახელმწიფოსთან ერთად, ასევე იქნება ჩვენი საქართველო და ჩვენ ვიქნებით შენი დიდი ქვეყანა... როგორც მოიქცნენ ჩვენი პაპები და მამები, ისე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, სანამდის არ დავიღუპეთ და შენს მეფობასთან სიყვარულში ვართ“[2].

თავის სამეფოში არსებული მდგომარეობის შესახებ თეიმურაზ მეფე წერს შემდეგს: ამჟამად, ღვთის შეწევნით, ქართლი და კახეთი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა, როცა ქრთლის სამეფო ცალკე იყო დიდი ხნის განმავლობაში არაგვის გზაზე ჩემს ელჩებს არ ატარებდნენ და ძარცვავდნენ. ამიტომ იყო, რომ თქვენთან ელჩებს ვერ ვაგზავნიდით. ამას გარდა, როცა უდმერთო შაჰი გაიგებდა, რომ თქვენთან ელჩებს ვაგზავნიდით, ბრაზდებოდა. იმ უდმერთო შაჰს იმისი ეშინია, რომ ჩვენ და თქვენ არ გავერთიანდეთ და მისი ქვეყანა არ გავანადგუროთ. შაჰის კარზე ჩვენი ხალხი გვყავს, და იქ რაც ხდება ყველაფრის საქმის კურსში ვართ. ისინი ყველაფერს გვწერენ. გავხდი თუ არა ივერიის მეფე, აღრიცხული გვაქვს, რომ ჩვენმა ხალხმა 47 ათასი ყიზილბაში გაწყვიტა. შაჰი ცდილობს საჩუქრებით მოგვატყუოს და ქრისტიანობა გაანადგუროს და სამფო დინასტია ამოწყვიტოს. ჩვენ კი, მრავალი წელია ჯვრით ხელში და თქვენი დიდი მეფობის საბედნიეროდ, ვებრძვით დღე და ღამე. როცა შაჰმა გაიგო, რომ ელჩის გამოგზავნა გვინდა თქვენთან, შეწუხდა, რადგან ახლა მარტო

---

[1] Там же, с. 112.

[2] Там же, с. 112-113.

ვარ და ვერ მიმორჩილებს, მერე, როცა მოსკოვის მეფესთან კავშირში ვიქნები, ვეღარასოდეს დამიმორჩილებს[1].

5. ქართლ-კახეთის მთავარი მტერი ირანია. თეიმურაზ მეფე, რუსეთის ხელმწიფე შაჰის ვერაგობასა და სიცბიერეში რომ დაარწმუნოს, უახლოესი წარსულიდან იხსენებს შემდეგს: ახლა თქვენთან ელჩად რომ ნიკიფორე გამოვაგზავნე ადრეც მქონდა განზრახული მისი გამოგზავნა, მაგრამ ამის შესახებ შაჰმა გაიგო, განრისხდა და მალემსრბოლი გამომიგზავნა წერილებით და სურდა გაეგო რა საქმე მქონდა და რატომ ვაგზავნიდი ელჩს მოსკოვის ხელმწიფესთან. მალემსრბოლის შემდეგ დიდ ელჩი გამომიგზავნა საჩუქრებითა და წერილებით. მწერდა, რომ ჩემი ქალიშვილის ცოლად შერთვა უნდოდა. ჩვენ თუ მოვისურვებდით მასთან მეგობრობას, მაშინ ჩემი ვაჟისათვის ცოლად მთავაზობდა იმამყული-ხანის ასულს, მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენთან, მოსკოვის ხელმწიფესთან, ელჩს აღარ გამოვგზავნიდიო. სამაგიეროდ შაჰი თეიმურაზს პპირდებოდა, რომ საქართველოსა და ირანს შორის მუდმივი მშვიდობა დამყარდებოდა. თეიმურაზის აზრით, შაჰს ბოროტი ჩანაფიქრი ჰქონდა: როცა მეფის ასულს წაიყვანდა, მაშინ მეფე ვეღარსად წაუვიდოდა. შემდეგ თეიმურაზ მეფე ჰყვება, რომ შაჰის ელჩი მიიღო ისე როგორც ელჩს ეკადრება, დაასაჩუქრა და უთხრა: მე შაჰისათვის მისაცემი ასული არ მყავს, რადგან ის ქრისტიანია, შაჰი კი მუსულმანი, ჩვენი კანონი გვიკრძალავს და ივერიელ მეფეებს არასოდეს ეს არ ჩაუდენიათ და ვერც მე ჩავიდენო. ვაჟიც ერთადერთი მყავს ტახტის მემკვიდრე და ვერც მას ჩავაგდებ მუსულმანთა ხელში. მირჩევია ჩემი სისხლი დავღვარო, ვიდრე ჩემი ქალიშვილი მუსლიმს მივცე. შაჰს თუ ჩვენთან ძველებურად მეგობრობა და სიყვარული უნდა, ასე იყოს, თუ არა და როგორც ენებებოდესო. თეიმურაზმა სხვაც ისეთ რამეები დააბარა ელჩს შაჰისათვის გადასაცემად, რომ ხელმწიფისთვის განკუთვნილ წერილში მათი დაწერა უხერხულად მიუჩნევია.

განრისხებულ შაჰს ჯარი შეუკრებია და ივერიაზე გალაშქრება დაუპირებია. ამის შესახებ თეიმურაზს თავის კაცებმა აცნობეს. მანაც შეკრიბა ჯარი და განჯაში შეიჭრა და გაანადგურა

---

[1] Там же, с. 114-115.

და გადაწვა. განჯის ხანმა დაუდმა, ალიყული-ხანის ძმამ, თეიმურაზ მეფეს მორჩილება გამოუცხადა. მან სხვა ადგილებიც აიკლო, 13 ათასი სპარსელი მოკლა და თავის სამეფოში დაბრუნდა, დაუდ-ხანი კი სულთანთან გაგზავნა. ცხრა თვის შემდეგ შაჰი წამოვიდა და ყაზვინში დადგა და მთელი ჯარი საქართველოზე გამოგზავნა. მეორე მხრიდან შაჰის მოკავშირე დადიანი, რომელმაც თავისი და სპარსელს (როსტომ-ხანს) მისცა, თავისი ჯარით მოვიდა. თეიმურაზ მეფემ ბაშიაჩუკისკენ (იმერეთი) დაიხია. მისი მტრები უკან გაბრუნდნენ. თეიმურაზ მეფეს მოსკოვში ელჩის გაგზავნა მაშინვე სდომებია, მაგრამ გზები ჩაკეტილი იყოო.

შეგნებულად ვრცლად გადმოვეცი თეიმურაზ მეფის წერილის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია საქართველო-ირანის ურთიერთობაზე. როგორც ჩანს, რუსეთთან კავშირის დამყარების და მისი მფარველობაში შესვლის დროს თეიმურაზი, ძირითადად, ირანის აგრესიისაგან თავის დაცვას ესწრაფოდა. ამ და ზემოთ განხილული სხვა მასალების გაცნობის შემდეგ ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „თუ დავუკვირდებით, ***როგორც ესპანეთთან დაკავშირებისას, ისე რუსეთთან ურთიერთობის დროსაც აშკარად იკვეთება რუსეთის, საქართველოსა და აღმოსავლეთის პატრიარქების ინტერესები***. თეიმურაზის ელჩები მადრიდშიც და მოსკოვშიც კონსტანტინოპოლის პატრიარქების წერილებით მიდიან, ესპანეთისა და რუსეთის მთავრობათა წინაშე თეიმურაზი ანტიოსმალური ძალების დამრაზმველის როლში გამოდის და როგორც ქრისტიანობის ბურჯს, რუსეთს თავისი მისიის შესრულებისაკენ მოუწოდებს“[1].

მრავალჯერ აღვნიშნე და კვლავ უნდა გავიმეორო: თეიმურაზ პირველისათვის მთავარი მტერი ირანის შაჰები იყვნენ და იგი არასოდეს არ გეგმავდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. იგი ანტიირანული კოალიციის შექმნისათვის იღწვოდა. რაც შეეხება ანტიოსმალურ კოალიციაში კონსტანტინოპოლის პატრიარქების ჩაბმის მცდელობას, არც ეს შეესაბამება სინამდვილეს. რუსეთთან დაკავშირებაში მათი მონაწილეობა, თეიმურაზის ელჩები-

---

[1] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 85. ხაზგასმა მისია.

სათვის მხოლოდ სარეკომენდაციო წერილების მიცემაში გამოიხატა. ნიკიფორე ირბახს იერუსალიმის პატრიარქმა გაატანა ასეთი წერილი დასავლეთ ევროპაში, ხოლო ნიკიფორე ბერძენს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კირილე ლუკარისმა მოსკოვში, რაზეც თავის ადგილას საკმაოდ დაწვრილებით ითქვა კიდეც.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქები, ოსმალო ხელისუფალთა შიშით, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას ერიდებოდნენ, რადგან ისინი ყოველთვის, განსაკუთრებით კი XVII საუკუნეში, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. მათთვის ყველაზე სახიფათო მართლმადიდებლურ ქვეყნებთან, უპირველესყოვლისა კი რუსეთთან ურთიერთობა იყო.

თეიმურაზ მეფის მიერ საქართველოს დასაცავად გატარებულ ღონისძიებები, მისი ელჩების მადრიდში ან მოსკოვში კარგად მიღება, თეიმურაზის დასახელებული სახელწიფოების მთავრობებისათვის მიმართვა, საქართველოს მიმართ ყურადღების გამოჩენისა და მისი ირანის აგრესიისაგან დაცვისაკენ მოწოდება, რისი მიღწევაც თეიმურაზ მეფეს სინამდვილეში უნდოდა, ყოველივე ეს, გარკვეული გაგებით, ოსმალეთის სასარგებლო საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებსაც მიესადაგებოდა და ამიტომ სულთნის კარის უარყოფითი რეაქცია თეიმურაზ მეფის დასავლური პოლიტიკის გამო, მოსალოდნელი არ იყო.

რაც შეეხება ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ საიდუმლო მოქმედებას, ამ მხრივ იერუსალიმის პატრიარქები მეტ უფლებას აძლევდნენ თავიანთ თავს და, შემთხვევითი არ იყო, რომ თეიმურაზ I-ის თანამედროვე და შემდგომი პატრიარქები – თეოფანის III (1608-1644), პაისიოსი (1645-1660) და დოსითეოს II (1669-1707), არცთუ უსაბუთოდ, მოსკოვის აგენტებად მიაჩნდათ, რაც დღეისათვის საბოლოოდ დადასტურებულია[1].

6. ყურადღების გამახვილება მცხეთაში დავანებულ ქრისტეს კვართზე. იმ დროს, როდესაც რუსეთში ცნობილია, რომ სა-

---

[1] Панченко К. А., Османская империя и судьбы православия на Арабском Востоке (XVI - начало XIX века). Институт Азии и Африки при МГУ им. М. Ломоносова. „Древо жизни“, М., 1998, с. 19.

ქართველოში (მცხეთაში) ქრისტეს კვართი აღარ არის, რომელიც, თითქოს, შაჰ აბასმა მოსკოვის ხელმწიფესა და პატრიარქს, სიყვარულისა და მეგობრობის დასტურად გაუგზავნა, შეიძლება ვივარაუდოთ, როგორი ეფექტი უნდა მოეხდინა მოსკოვის სამეფო კარზე თეიმურაზის წერილის იმ ადგილს, სადაც კვართზე იყო საუბარი. თეიმურაზ მეფემ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, რუსეთთან დიპლომატიურ უერთიერთობაში ქრისტეს კვართს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა.

ზემოთ ითქვა, რომ თეიმურაზ მეფის ელჩთან, თეოდოსე მანგლელ რევიშვილთან, მოლაპარაკების დროს (1625 წ.) მოსკოვში, ქრისტეს კვართის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოამჟღავნეს, თუმცა მიზეზი არ აუხსნეს. თუ ნიკიფორე ბერძენს დავუჯერებთ, თეიმურაზ მეფესა და თეოდოსეს შორის შემდგომი ურთიერთობა, ელჩისათვის არასასურველად განვითარდა. შეიძლება მან თეიმურაზს მოახსენა კიდეც მოსკოვის კვართით დაინტერესების შესახებ, მაგრამ თეიმურაზს, როგორც იგი რუსეთის ხელმწიფეს წერდა, ინფორმატორები შაჰის კარზეც ჰყავდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, მან ადრევე იცოდა მოსკოვში ამ სიწმინდესთან დაკავშირებული აჟიოტაჟის შესახებ, მაგრამ იგი არ ამხელდა, რომ მისთვის ყოველივე ცნობილი იყო და თითქოს სხვათა შორის ახსენებდა ქართველთათვის და, საერთოდ, ქრისტიანებისათვის უძვირფასეს რელიკვიას.

ქრისტეს კვართის ასე ხშირად ლაპარაკი 1635 წელს შედგენილ თეიმურაზის წერილში მით უფრო თვალში საცემია, რომ ამ სიწმინდის ხსენებაც კი არ არის იმავე მეფის მიერ იმავე მოსკოვში, იმავე საუკუნის 10-იან წლებში გაგზავნილ წერილებში.

მიტროპოლიტი ნიკიფორე ბერძენის მიერ 1635 წელს მოსკოვში ჩატანილ თეიმურაზ I-ის წერილში, სხვადასხვა ამბებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ „ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა თავისი მოწყალება არ მოაკლო და (საქართველოში) ქრისტიანობის საბოლოოდ მოსპობა არ დაუშვა, რადგან აქ, მცხეთის დიდ ეკლესიაში მოთავსებულია ქრისტეს კვართი. აქვეა დღესაც ჩვენი პატრიარქი“[1].

---

[1] Полиевктов М. А., Материалы, док. №6, с. 112.

ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად, რომ კვართი ნამდვილად საქართველოში და, კონკრეტულად, მცხეთაში იყო, თეიმურაზ I რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს სთხოვდა: „თქვენს თვითმპყრობელურ მეფობას შევთხოვთ არ დააკავოთ ჩვენი ელჩი და მასთან ერთად თქვენი ელჩი გამოგზავნოთ... რათა მან დაათვალიეროს ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, წმინდა ეკლესიები და ივერთა მთელი ქვეყანა, მცხეთის დიდი ეკლესია, სადაც მოთავსებულია ქრისტეს კვართი და დღესაც იქ არის. რათა თქვენმა თვითმპყრობელობამ ჭეშმარიტება იცოდეს, ქრისტეს კვართი კახეთში კი არა, ქართლშია“[1]. როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფე შეეცადა გაესწორებინა თავისი ელჩის, არქიეპისკოპოს თეოდოსე მანგლელი რევიშვილის მიერ მოსკოვში მიწოდებული არასწორი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ქრისტეს კვართი კახეთში, თეიმურაზ მეფის განკარგულებაში იყო[2].

ქრისტეს კვართი, ამის შემდეგ, ყოველთვის ფიგურირებს თეიმურაზ მეფის რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობის დროს და ამიტომ სხვა დროსაც მოგვიხდება მასზე მსჯელობა.

7. ორი ქვეყნის დამაკავშირებელი გზის უსაფრთხოება. თეიმურაზ მეფე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შემაფერხებელ მნიშვნელოვან მიზეზად ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელ გზაზე არსებულ მდგომარეობას ასახელებს. ის რუსეთის ხელმწიფეს იმ გზაზე მიუთითებს, რომელიც მომავალში ამ ურთიერთობის მთავარ არტერიად უნდა გადაიქცეს: „ჩვენს შორის, ივერიის მიწაწყლიდან თერგამდე შვიდი დღის გზაა. ჩვენს შორის შემაფერხებელი არც ერთი სახელმწიფო არ არის. მაშინ, როდესაც ივერიიდან ცარგრადამდე 60 დღის სავალია, ამდენივეა ირანამდეც. თვითმპყრობელო მეფევ! ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ჩვენი ხალხი ვერავინ მოწყვიტოს შენი დიდი სამეფოდან“[3].

თეიმურაზ მეფე საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი გზების საკითხს თავის წერილში კიდევ უბრუნდება და აღნიშნავს, რომ ჩვენს შორის დამაბრკოლებელი აღარაფერია, კარა-

---

[1] Там же, с. 118.

[2] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 59-60.

[3] Полиевктов М. А., Материалы, док. №6, с. 114.

კალკანი (არაგვის ხეობა) ახლა ჩვენს ხელშია და თქვენს მოწოდებაზე ყოველთვის მზად ვიქნებით. გზაზე ხელს ვერავინ შეგვიშლის, ჩვენი სამფლობელოები დაცული და მშვიდობიანი იქნება; წმიდა მონასტრები, ეკლესიები, წმინდა კვართი და ქრისტიანობა დაცული იქნება და აღარ ჩავარდება აგარიანების ხელში. მეფე ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითად ასახელებს მუსლიმანთა ხელში ჩავარდნილ იერუსალიმში არსებულ მდგომარეობას, სადაც ლათინები და სომხები ერთმანეთს ეცილებიან ვინ რომელ სიწმინდეს დაეპატრონოს[1]. თეიმურაზ მეფეს, პირველ რიგში, მხედველობაში აქვს (რუსებმაც კარგად იცოდნენ), ქართველებს როგორ წაართვეს და კვლავაც ცდილობენ წაართვან მათი ეკლესია-მონასტრები წმინდა ქალაქში.

8. საქართველო-რუსეთის შეუფერხებელი ურთიერთობისათვის აუცილებელია ჩრდილო კავკასიელების დამორჩილება და მათი გაქრისტიანება. წერილის ბოლოს თეიმურაზ I ლაპარაკობს აღმოსავლეთ საქართველოსათვის პირველხარისხოვანი საკითხის – საქართველო-რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიელების ერთობლივად დამორჩილების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობის საილუსტრაციოდ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მას მოჰყავს სხვადასხვა არგუმენტი. კერძოდ წერს, რომ მას განზრახული ჰქონდა მოსკოვის ხელმწიფისათვის ისეთი ბედაური ცხენი გაეგზავნა, რომლის მსგავსი შაჰის თავლაშიც კი არ იყო, მაგრამ ვერ გაუგზავნა, რადგან გზა იყო დაკეტილი და მოსკოვში ელჩების გამოგზავნაც შეუძლებელი იყო. არც მოსკოვის ხელმწიფის ელჩები მოვიდნენ, რათა თეიმურაზს მისთვის გაეგებინებინა, რომ ცოცხალი იყო და ივერიის ქვეყანაში მეფობდა. თეიმურაზი აბათილებს სპარსელების მიერ რუსეთში გავრცელებულ ხმებს, მათ მიერ თეიმურაზ მეფის ამოგდების შესახებ. თეიმურაზის აზრით, საქართველო-რუსეთს შორის შეუფერხებელი მოგზაურობის შესაძლებლობა უნდა იყოს, რათა ორი ქვეყნის ელჩებმა გზაში ზარალი არ განიცადოს და დიპლომატიური ფოსტა ლეკების, ჩერქეზების, ნოღაელების ან თათრების ხელში არ აღმოჩნდეს. ამის შიშით არის, რომ თეიმურაზი მოსკოვში ბერძნულად დაწე-

---

[1] Там же, с. 114-117.

რილ წერილებს[1] აგზავნის. თეიმურაზის აზრით, ისინი თუნდაც

[1] რადგან წერილი ბერძნულ ენაზე იყო დაწერილი ნ. ნაკაშიძე ფიქრობდა, რომ იგი ნიკიფორეს თვითონ უნდა დაეწერა და ამიტომაც არის მასში ელჩის პიროვნება განდიდებული (Накашидзе Н., Ук. труд, с. 108). გასაგებია, რომ თეიმურაზის კარზე წერილი რუსულად ვერ დაიწერებოდა. ჩემი აზრით, თეიმურაზ მეფე წერილის ბერძნულად დაწერის მიზეზისა სრულიად სწორ ახსნას იძლევა. აქვე უნდა გავიხსენოთ თეიმურაზის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ბერძნულად დაწერილ სიგელთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მკაცრი შეფასება: „დაუჯერებელია, რომ ყველა ზემოძოყვანილი (რაც სიგელში წერია – ე. მ.) თვით თეიმურაზ მეფეს დაეწერინებიოს. არც ერთ გონიერ პოლიტიკოსს და მეფეს თავისა და ხელისუფლების ასე დამცირება არ შეეძლო, რადგან ეს მისი მიზნების მიღწევას შეაფერხებდა და სახელსაც გაუტეხდა... ნიკიფორე მიტროპოლიტის გადაჭარბებული ქება-დიდება და ამ ბერძნულად დაწერილი სიგელის ნიკიფორესგანვე დაწერილობა გვაფიქრებინებს, რომ აქ იმდენად თეიმურაზ მეფის სიტყვებთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რამდენადაც თვით ნიკიფორეს შენათხზთან. რაკი ***ამ დროს საქართველოში მმართველ წრეში ბერძნულის მცოდნე არავინ იქნებოდა*** (მონიშვნა ჩემია – ე. მ.), ნიკიფორეს დაწერილი შინაარსი თეიმურაზისა და მისი უახლოესი თანამშრომლებისათვის მხოლოდ იმდენად იქნებოდა გასაგები, რამდენადაც თვით ნიკიფორე მათ აუწყებდა. ამიტომ ნიკიფორეს ამ თავის დანაწერში ყველაფრის შეტანა შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა“ (ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 388).

სასიქადულო ისტორიკოსის აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნიკიფორე ბერძენი სამეფო კართან დაახლოებული ერთადერთი ბერძენი არ იყო. მაშინდელ სამეფო-სამთავროებში ხელისუფლებასთან დაახლოებული ბერძენთა სიმრავლეზე ერთხმად აღნიშნავდნენ თანამედროვენი. ბერძენი სასულიერო პირები საკმაოდ იყვნენ ეკლესიებში და ზოგიერთს მაღალი თანამდებობაც ეკავა. ისიც ჩანს, რომ ზოგჯერ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას, ხელისუფალნი მათ აზრსაც ითვალისწინებდნენ. იმის თქმა მინდა, რომ მიტროპოლიტ ნიკიფორეს მიერ დაწერილ (თუ ის თვითონ წერდა?) სამეფო სიგელების გადამოწმების საშუალება არსებობდა. მიჭირს იმის დაჯერება, რომ უფლისწულ თეიმურაზს, მეფობისათვის რომ ამზადებდნენ, ბერძნული იმ დონეზე არ ესწავლებინათ, რომ მისი სახელით დაწერილი სიგელის შინაარსი ვერ გაეგო? სხვათა შორის, 1629 წელს კათოლიკე პატრები თეიმურაზ მეფესთან შეხვედრის შემდეგ, აღნიშნავდნენ თეიმურაზის მიერ ქართულის გარდა, სპარსულის, თურქულისა და ბერძნულის ცოდნას (თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 374).

ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის უცხოელებთან საურთიერთობო ენა უმეტეს შემთხვევაში ბერძნული იყო. სვიმონ მეფემ თავის ელჩს ესპანეთში ბერძნულად დაწერილი სიგელი გაატანა 1590 წელს; თეიმურაზ მეფის ელჩმა არქიეპისკოპოსმა თეოდოსე მანგლელმა რუსეთის ხელმწიფეს და პატრიარქ ფილარეტ ნიკიტას ძეს თეიმურაზ მეფის ბერძნულად დაწერილი სიგელი მიუტანა; მანვე საელჩო პრიკაზში ბერძნულად მოუთხრო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო პერიოდზე; 1649 წელს მოსკოვში თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის ელჩებმა მოსკოვში ბერძნულად შედგენილი სიგელები ჩაიტანეს და სხვ.

რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო, მაგრამ სინამდვილეს შეეფერებოდა თეიმურაზ მეფის ის დამოკიდებულება თავისი კარისკაცებისა და დიდებულებისადმი, რომელზეც წერილშია ნათქვამი. ძნელია დასახელება იმ ადამიანებისა, რომლებმაც თეიმურაზ მეფესთან ურთიერთობა ბოლომდე თუ არა, დიდხანს მაინც შესძლეს. იშვიათ გამონაკლისს მიტროპოლიტი ნიკიფორე წარმოადგენდა, ასე, რომ სიგელში გამოთქმული სამდურავი დიპლომატებისა და სხვათა მიმართ თეიმურაზ მეფის სურვილით უნდა იყოს დაწერილი. ამით მეფეს კიდევ ერთხელ უნდოდა ხაზი გაესვა თავისი მდგომარეობისათვის, რომ მას სხვა გაჭირვებასთან ერთად ერთგული და ჭკვიანი ადამიანებიც არ ჰყავს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ მაშინდელ საქართველოში არ იყვნენ ჭკვიანი და სანდო ადამიანები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ მეფის პიროვნულ თვისებებს თუ გავითვალისწინებთ, ძნელია დაჯერება იმისა, რომ ის იმდენად გულუბრყვილოდ ენდობოდა ნიკიფორეს, რომ მან არც კი იცოდა რა ეწერა მისი სახელით რუსეთში გაგზავნილ წერილებში და მის ელჩს, თვითნებურად, მეფის დაუკითხავად, სიგელში რაიმე ჩაემატებინა ან შეესწორებინა. ამის გაკეთება ელჩისათვის უაღრესად სახიფათო იყო, რადგან ამგვარი თვითნებობა გაუგებარი არ დარჩებოდა. საპასუხო ელჩობა თეიმურაზის წერილის პასუხსაც ჩამოიტანდა, როგორც წერილობით, ისე ზეპირად და წერილის შინაარსი და ელჩის მიერ სიტყვიერად გაცხადებულიც ცნობილი გახდებოდა. ამგვარი შედეგის გაუთვალისწინებლობა მოსალოდნელი არ იყო ნიკიფორე ბერძენისთანა გამოცდილი დიპლომარტისათვის. ნიკიფორე ირბახის ამგვარ შეცდომაზე თეიმურაზის რეაქციას უკვე გავეცანით.

ნიკიფორე ბერძენი თეიმურაზის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე და იგი ერთ-ერთი რუსული წყაროს მიხედვით, ამ ერთგულებას შეეწირა კიდეც. ნიკიფორე 1648 წელს ყიზილბაშებს კახეთზე თავდასხმის დროს შეუპყრათ, მოუკლავთ და მისი მოკვეთელი თავი თავრიზში გაუგზავნიათ (Накашидзе Н., Ук. труд, с, 251, прим. 550). ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით 1651 წელს ნიკიფორე ბერძენი იმერეთში მეფე თეიმურაზთან იმყოფებო-

მტრებს ჩაუვარდეს ხელში, მაინც ვერ გაიგებენ. თეიმურაზი გამოსავალს ხედავს ლეკების წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობაში. „უღვთო ლეკებისაგან შეურაცხყოფილნი ვართ. ის ლეკები შენი სამფლობელოსთვისაც უკეთური მეზობლები არიან და ჩვენთვისაც. ისინი არეულ დროს ელოდებიან. წინათ ეს ლეკები ჩვენს სამფლობელოებში, როგორც ჩვენი მონები, ხოლო მათი ვოევოდების შვილები კი ჩვენთან მძევლებად იყვნენ. როცა შაჰთან წაკიდებული ვიყავი, მაშინ ეს ლეკები აგვიჯანყდნენ, როგორც მძვინვარე მხეცი... ქრისტესა და ქრისტიანობის სიყვარულის გამო, მცირე ჯარი გამოგზავნე ლეკების წინააღმდეგ. დრო დადგება და მეც აქედან წამოვალ ჩემი ჯარით მათზე, ან გავანადგუროთ ისინი, ან ქრისტეს სჯულზე მოვაქციოთ და ძველებურად მორჩილებაში ვიყოლიოთ. მოისვენებენ ქრისტიანული წმიდა ეკლესიები და მონასტრები და მთელი საქრისტიანო“[1].

და: „კარვების წინ შემგებებლები იდგნენ: მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და წმინდა გოლგოთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე ბერძენი“ (ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 95). ისევ ნიკიფორე ბერძენზეა საუბარი, როდესაც იგივე ავტორი კვლავ ერთად ასახელებს გელათის მიტროპოლიტ ზაქარიას, ალექსანდრე III-ის სულიერ მამას და გოლგოთის წმინდა მთის იღუმენ ნიკიფორეს (იქვე, გვ. 98. იხ. აგრეთვე, გვ. 99, 103-105).
ნიკიფორე ბერძენზე საუბრისას ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც: 1651 წელს რუსი ელჩები მას ყოველთვის გოლგოთის იღუმენად მოიხსენიებდნენ. ჩემთვის ცნობილი არ არის როდის ან როგორ მოიპოვა მან ეს ტიტული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მას ძალიან აწუხებდა ამ ტიტულის ტარება ხელდასხმის გარეშე. გავიხსენოთ თეიმურაზის მიერ 1639 წ. 25 აპრილს მოსკოვში გაგზავნილი წერილი, რომელშიც თეიმურაზს მოყავს ნიკიფორეს სიტყვები: „ჩემო ხელმწიფე თეიმურაზ, გამიშვი, დიდხანს გემსახურე, ახლა მცირე ხნით გამიშვი წმიდა იერუსალიმში თაყვანისცემისა და ჩემი მიტროპოლიტად ხელდასხმისათვის... თუ ცოცხალი ვიქნი, ჩემო ხელმწიფევ, დაგიბრუნდები, თუ მოვკვდები, მომიტევე ჩემო ხელმწიფევ“ (Переписка, с. 10-11). არ არის გამორიცხული, რომ ნიკიფორე ბერძენმა აისრულა ნატვრა და მან იერუსალიმი მიმოილოცა და სრულ მიტროპოლიტად დაბრუნდა. ამიტომ უნდა იყოს, რომ რუსი ელჩები მას „დანიშნულ მიტროპოლიტს“ აღარ ეძახიან. იგი, ჩვეულებრივ, მიტროპოლიტია.

[1] Полиевктов М. А., Материалы, док. №6, с. 117-118.

თეიმურაზ მეფეს თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის აუცილებლად მიაჩნია ლეკების პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, ჩრდილო კავკასიიდან საშიშროების სამუდამოდ აღკვეთის მიზნით ქისტების, ოსების და სხვების, რომლებიც წინათ ქრისტიანები და ივერიის სახელმწიფოს მორჩილებაში იყვნენ, რომლებიც ახლა აღარც ქრისტიანები და არც მუსლიმანები არიან, მათი მორჩილებაში მოყვანა. ვიდრე ისინი ლეკებივით საბოლოოდ მტრებად არ გადაიქცევიან, მანამდე აუცილებელია მათი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში დაბრუნება. ისინი 80 ათას კომლზე მეტს შეადგენენ[1].

9. აუცილებელია რუსი ელჩი ჩამოვიდეს საქართველოში. თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვს, რომ როცა მისი ელჩი ნიკიფორე სამშობლოსკენ გამოეშურება, თავისი ელჩიც გამოაყოლოს, რათა მან საკუთარი თვალით იხილოს საქართველო და დარწმუნდეს, რომ ირანის შაჰი ტყუილ ხმებს ავრცელებს და სინამდვილე მოუთხროს თავის მეფეს, რომ თეიმურაზ მეფე ცოცხალია და იგი თავის სამეფოს განაგებს. „როცა მე აღარ ვიქნები, ივერიის მიწა-წყალზე ქრისტიანობა იავარყოფილი იქმნება“[2].

10. რუსეთის სამეფო კარზე ღირსეულად მოეპყრონ თეიმურაზის ელჩს. თეიმურაზ მეფე, ისევე, როგორც სხვა დროს და სხვა მეფეს (თუნდაც ესპანეთისას), მოითხოვს შესაფერისი პატივი მიაგონ მის ელჩებს. ამასვე მოითხოვს იგი რუსეთის ხელმწიფისგანაც: ნიკიფორეს მოეპყრონ ისე, როგორც შეეფერება ქრისტიანი მეფის ელჩს და მოსკოვის ხელმწიფემ მასზე წინ არ უნდა დააყენოს და მეტი პატივი არ უნდა მიაგოს მუსლიმანი მბრძანებლების ელჩებს[3].

11. ყურადღების გამახვილება იერუსალიმის საკითხზე და იქ ქართველთა მდგომარეობაზე. თეიმურაზ მეფე თითქოს სხვათა შორის, საქართველოს მდგომარეობის განხილვის კონტექსტში, მოსკოვის მეფეს შეახსენებს იერუსალიმის სამწუხარო მდგომარეობას, რომელზე ბატონობისათვის ერთმანეთს ებრძვიან ლათინები

---

[1] Там же, с. 118.

[2] Там же, с. 119.

[3] Там же, с. 117.

და სომხები. როდესაც საქართველო-რუსეთს შორის მტკიცე კავშირი იქნება, მშვიდობიანათ იქნება ეკლესია-მონასტრები და ქრისტეს კვართი. საქართველო არ იქნება ისეთ დამონებულ მდგომარეობაში, როგორშიც არის იერუსალიმი. თეიმურაზ მეფეს არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ქართველები იერუსალიმში იმყოფებიან ბიზანტიის კეისრის ირაკლის დროიდან. მის მიერ ქართველებისათვის ნაბოძვარი გოლგოთის მონასტერი დღესაც მათ ხელშია და იქ იმყოფება 15 ქართველი ბერი და ისინი იცავენ გოლგოთას. მათ თურქები ავიწროებენ[1].

ამგვარი მოთხოვნებითა და პათოსით აღსავსე წერილი ჩაიტანა მოსკოვში მიტროპოლიტმა ნიკიფორე ბერძენმა.

ნიკიფორეს ელჩობა შედგებოდა 5 წევრისა და ელჩის 2 მსახურისაგან. ელჩობა მოსკოვში ჩავიდა 1636 წლის 8 ოქტომბერს. მეფე მიხეილ თედორეს ძემ ნიკიფორე მიიღო 11 ოქტომბერს. მან მეფეს მიართვა თეიმურაზის მიერ გაგზავნილი საჩუქრები: ოქროქსოვილი ხალიჩა, აღმოსავლური აბრეშუმის ქსოვილი და ულაყი ცხენი.

როგორც ჩანს, ნიკიფორე უკმაყოფილო იყო მოსკოვში ყოფნით და 1636 წ. 13 დეკემბერს ხელმწიფეს უკვე მეორეთ მიმართა მისი მეფისათვის საინტერესო საკითხებზე პასუხის მოთხოვნით, მაგრამ ამაოდ. რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო ნიკიფორე ამიტომ ამბობდა: „სხვა სამეფოებში ელჩებს იმიტომ აგზავნიან, რომ მოაგვარონ თავიანთი სახელმწიფოს საქმეები და არა უსაქმურად ისხდნენ სენაკში ჩაკეტილები“. ნიკიფორე იმის გამოც გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ მას ისეთ პატივში არ ამყოფებდნენ, როგორც ოსმალეთის და ირანის ელჩებს. ნიკიფორე კატეგორიულად მოითხოვდა მოსკოვიდან დროულად გაშვებას, რადგან ისე ელოდებოდა მისი ხელმწიფე თეიმურაზი მიხეილ თედორეს ძის პასუხს როგორც ისრაელის შვილები ელოდნენ მოსეს. ამიტომ მალე უნდა წავიდეო. „იქნებ ჩვენ უსწავლელებმა რაიმე დავაშავეთ, გვაპატიე დიდო ხელმწიფევ, რადგან აქური წეს-ჩვეულებები არ ვიცით“[2].

---

[1] Там же.

[2] Там же, с. 127-128.

1637 წლის 2 აპრილს ნიკიფორე მოსთქვამდა, რომ ორი წელია საქართველოდან წამოვიდა, 5 თვეა რაც მოსკოვშია და მესამედ ითხოვს პასუხსა და მოწყალებას. იგი იმის გამო წუხს, რომ როცა საქართველოში დაბრუნდება არ იცის რა უპასუხოს მეფეს, რათა თავიდან აიცილოს მისი მრისხანება, რომელიც მას დაატყდება სხვა ელჩების მსგავსად. მას ეშინია, რომ შეიძლება სიცოცხლეც დაკარგოს. ნიკიფორეს არც იმის თქმა ავიწყდება რატომ გამოარჩია მეფემ სხვებისაგან და მას მიანდო ასეთი საპასუხისმგებლო საქმე. ახლა გამოდის, რომ იგი ყველაზე ცოდვილი და ცუდია. წინათ იგი თავისმა მეფემ სადაც კი გააგზავნა ყველა მისი ბრძანება წარმატებით შეასრულა. გაჭირვებაში მყოფ მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ნიკიფორე ამჯერადაც სწრაფად და დადებითად შეასრულებდა დავალებას[1].

როგორც აღნიშნული იყო, თეიმურაზ მეფე თავის სიგელში მოითხოვდა რუსი ელჩის გაგზავნას საქართველოში. ამასვე მოითხოვდა მისი ელჩიც მოსკოვში. 1637 წლის 2 აპრილს ნიკიფორე ხელმწიფისათვის მირთმეულ თხოვნაში აღნიშნავდა იმ გასაჭირზე, რომელსაც თეიმურაზ მეფე განიცდიდა: „ჩემს ხელმწიფეს ერთადერთი უსაყვარლესი ვაჟიშვილი ჰყავს, სხვა მემკვიდრე ამ ორ სახელმწიფოს [ქართლსა და კახეთს] არა ჰყავს. უნდა იგი შენ, დიდსა და უწმინდეს ხელმწიფობის ხელში გადმოსცეს. დაიცავი და დაიფარე იგი, როგორც უძლიერესმა მეფემ იმიტომ, რომ ჩემი ხელმწიფე დღე და ღამე შრომაშია, ამაშია მისი სცოცხლეც და

---

[1] Там же, с. 128-130. ნიკიფორე თავისი სამწყოს ინტერესებისთვისაც იღვწოდა. მან ხელმწიფეს მიმართა თხოვნით, რომ ყიზილბაშებისაგან გაძარცული ეკლესიებისათვის დახმარება აღმოეჩინა. ნიკიფორე ჩამოთვლის იმ საეკლესიო ჭურჭელს, რომელიც დამპყრობლებმა წაიღეს. დასახელებულია: 2 ბარძიმი, საარქიელო 2 მეთევეთ კოვზი, 2 ამფორა, ქუდი, მღვდლის სამოსელის ქვეშ ჩასაცმელი – ოლარი, გარდამოხსნა და ღვთისმშობლის მიძინების ხატი და სხვა. როდესაც ვეცნობით თეიმურაზ მეფის ელჩის სათხოვარს მოსკოვის ხელმწიფისადმი, რა თქმა უნდა, არც ნიკიფორეს უნდა გაკვირვებოდა და არც ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს რატომ არ ეპყრობოდნენ მას იმ პატივით, რისი პრეტენზიაც მას ჰქონდა. კიდევ უფრო სამარცხვინო იყო ის მოწყალება, რითაც ელჩის სათხოვარი შეაფასეს. მეფის ბრძანებით, საეკლესიო საჭიროებისათვის ქართველ ელჩს 50 რუბლი გადასცეს (Там же, с. 124-125).

სიკვდილიც“[1]. ნიკიფორეს რადაც არ უნდა დაუჯდეს, თეიმურაზის ბრძანების თანახმად, მოსკოვის მეფის ელჩები უნდა წაიყვანოს საქართველოში. იგი ცდილობს ხელისუფლება საქართველოსთან მუდმივი კავშირის აუცილებლობაში დაარწმუნოს. რუსი ელჩების მგზავრობა გაიოლებული იქნება იმიტომაც, რომ თეიმურაზი, გარკვეული გაგებით, თავის თავზე იღებდა მათ უხიფათო მგზავრობას. ნიკიფორე მოსკოვის მეფეს მიმართავს: „თვითმპყრობელო მეფევ, ჩემმა ხელმწიფემ მიბრძანა გაცნობოთ, რომ თქვენი დიდი მეფობა რომელ ელჩსაც გაგზავნის ჩემს ხელმწიფესთან, ჩემი ხელმწიფე იქიდან მარტო კი არ გამოუშვებს, არამედ თავის ელჩსაც გამოაყოლებს“[2].

თეიმურაზ მეფის თხოვნამ და ნიკიფორეს მცდელობამ, მართალია ნელა, მაგრამ შედეგი მაინც გამოიღო. 22 აპრილს გამოიცა ხელმწიფის ბრძანება თეიმურაზ მეფის ელჩის ნიკიფორეს მოსკოვიდან გაშვების, მისი ასტრახანამდე სამდინარო გზით მგზავრობისა და ელჩობის გაცილების შესახებ. ამის შემდეგ (14 მაისი) ნიკიფორეს ვარაუდით, საქართველოში მის გამგზავრებას წინ აღარაფერი დაუდგებოდა და დაუყოვნებლივ გზას დაადგებოდა. მან საბოლოოდ მიმართა ხელმწიფეს და მოითხოვა დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცათ შემდეგ საკითხებზე: 1. რუსეთში მცხოვრები ქართველი ტყვეების მოძებნა და მისთვის გადაცემა; 2. ლეკების წინააღმდეგ დახმარება; 3. რუსი ელჩებისა და თარჯიმნების გამზადება და სწრაფად გამგზავრება; 4. აქამომდე ელჩისათვის განკუთვნილ დახმარებას წესიერად ასრულებდნენ, ბოლო დროს კი ცხენები შიმშილით ეხოცებათ[3]; 5. მასთან ერთად გერმანელი ექიმის საქართველოში გაგზავნა; 6. ეკლესიის სარკმელების ჩარჩოების ოსტატის მასთან ერთად გაგზავნა[4].

---

[1] Там же, с. 130

[2] Там же, с. 133.

[3] საქართველოში დაბრუნების წინ ელჩობას 4 ცხენი ჰყავდა, მაშინ, როდესაც თერგიდან (თერგამდე გემით მივიდოდნენ) სამშობლოში დასაბრუნებლად დამატებით 8 ცხენი ჭირდებოდათ და ნიკიფორემ საელჩო პრიკაზის მეშვეობით ხელმწიფეს თხოვა თერგში მიეწერა, რომ მისთვის ცხენები მიეცათ (Там же, с. 140)

[4] Там же, с. 136-137.

გავიდა მაისი და ივნისიც მილევისაკენ წავიდა, მაგრამ საქართველოს ელჩის მოსკოვიდან გაშვებას საშველი არ დაადგა. ნიკიფორემ საელჩო პრიკაზს კიდევ ერთხელ წერილით მიმართა. წერილში ნიკიფორე მადლობას იხდიდა ყველაფერი იმისათვის რაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ელჩობას გაუკეთა და განსაკუთრებით იმისთვისაც, რომ ხელმწიფემ მეფე თეიმურაზი და მთელი ივერია თავის ხელდებულად გამოაცხადა. ნიკიფორემ დამატებით მოითხოვა, რომ ხელმწიფეს თერგის ხელმძღვანელობისათვის მიეწერა, რომ საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილი ელჩები და წერილები არ დაეყოვნებინათ. მეფეს ჩერქეზი მუნდარისათვის მიეწერა აგრეთვე, რომ ისიც ასევე მოქცეულიყო და საქართველოს ელჩები თერგ-ქალაქამდე და ამ ციხე-სიმაგრიდან საქართველოს საზღვრამდე მიეცილებინა.

ნიკიფორემ მადლობა გადაუხადა ხელმწიფეს ყველაფრისათვის და პატიება ითხოვა იმ განრისხებისათვის, რომელიც მან, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების უცოდინრობით დაიმსახურა. „ხელმწიფეო, შენს გარდა აქ ჩვენ სხვა მოკეთე არა გვყავს და ფულით ხელს არავინ გაგვიმართავს. ჩემი ხელმწიფის ერთმა თავადმა არაფერი არ მომცა, მაგრამ მიბრძანა გამოვისყიდო სამი ნოღაელი და ყალმუხელი ტყვე. ხელმწიფეო, თუ მოისურვებ და ასტრახანის ვოევოდებს მისწერ სამი ტყვის გამოსყიდვის შესახებ, მათ უნდათ მართლმადიდებლობაზე მოინათლონ. ყველაფერი შენი ნებაა, [ისე მოიქეცი] როგორც ღმერთმა ჩაგაგონოს“[1].

თედორე თედორეს ძე ვოლკონსკის და არტემ ხვატოვის ელჩობა საქართველოში

მოსკოვის ხელმწიფის 1637 წლის 1 ივნისის ბრძანებით, საქართველოში ელჩებად დაინიშნენ თავადი თედორე თედორეს ძე ვოლკონსკი და დიაკი (მდივანი) არტემ ხვატოვი. ელჩობაში სპეციალური დავალებით იყვნენ სასულიერო პირები (სერგიევის სამების მონასტრის არქიმანდრიტი იოსები, შავი მღვდელი ალექსი,

---

[1] Там же, с. 140.

მოსკოვის აღდგომის მონასტრიდან თეთრი მღვდელი გრიგოლი, ჩუდის მონასტრიდან არქიდიაკონი არსენი[1]), ორი თარჯიმანი და 2 ბაზიერი[2]. ერთ-ერთი ბაზიერი, თედორე ტობოლინი, 1605 წელს მიხეილ ტატიშჩევის ელჩობასთან ერთად, საქართველოში (კახეთში) უკვე იმყოფებოდა. მან საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა საელჩო პრიკაზს საქართველოს ბუნებრივ პირობებზე, სოფლის მეურნეობაზე, ეკლესია-მონასტრებზე, ვაჭრობაზე, რომელ რუსულ საქონელზე იყო მოთხოვნა და სხვ.[3]

რუსეთისა და თეიმურაზ I-ის ელჩები 25 ივნისს საქართველოსკენ გამოემგზავრნენ. რუს ელჩებს თეიმურაზთან მოჰქონდათ მიხეილ თედორეს ძის სიგელი, ფიცის წიგნის ნიმუში და პატრიარქ იოსების სიგელი მეფე თეიმურაზის, „იოანე მიტროპოლიტისა და მთელი სასულიერო პირებისათვის“. ჩერქეზების მთავარს და სხვა მთიელ მთავრებსა და მურზებს გაუგზავნეს წერილები, რომლებშიც იყო მოთხოვნა რუსი და ქართველი ელჩების აქეთ-იქით მშვიდობიანად გატარების შესახებ[4].

თეიმურაზ მეფისათვის განკუთვნილ სიგელში ახსნილი იყო: რუს ელჩებს ევალებოდათ დაეთვალიერებინათ თეიმურაზ მეფის სამფლობელოები, ქრისტიანობის და ეკლესიების მდგომარეობა, განსაკუთრებით ყურადღებით დაეთვალიერებინათ მცხეთა და ის ადგილი, სადაც მოთავსებული იყო ქრისტეს კვართი. მიხეილ თედორეს ძე თეიმურაზს პირდებოდა, რომ მას და მის სამეფოს დაიცავდა ყველა საშუალებით[5].

მოსკოვიდან გამოგზავნილი სანიმუშო ფიცის წიგნის მიხედვით, უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება თეიმურაზ მეფესა და მოსკოვის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს შორის. ტექსტი უნდა შედგენილიყო თეიმურაზის სახელით: „ვეამბორები ამ ცხოველმყო-

---

[1] სასულიერო პირებს მოჰქონდათ 300 ხატი, საეკლესიო წიგნები. მათთან ერთად იყვნენ ეკლესიის სარკმელების ოსტატი და 2 ხატმწერი.

[2] Там же, с. 158.

[3] Там же, с. 160-161.

[4] Там же, с. 181-182.

[5] Там же, с. 171

ფელი უფლის ჯვარს[1], რომ სრულიად რუსეთის მეფის და დიდი მთავარის მიხეილ თედორეს ძის და მისი შვილების – კეთილ-მორწმუნე უფლისწულ თავად ალექსი მიხეილის ძის და თავად ივანე მიხეილის ძის [წინაშე ვფიცავ] მე ივერიის მეფე თეიმურაზი ჩემი შვილი დავითით და ახლობელი ადამიანებით, ივერიის მიწა-წყლით, იმაზე, რომ დიდ ხელმწიფესთან გამოვგზავნე ჩემი მიტრო-პოლიტად წოდებული ნიკიფორე იმის სათხოვნელად, რომ დიდმა ხელმწიფემ მიხეილ თედორეს ძემ მე, თეიმურაზ მეფე, ჩემი შვილე-ბი და მთელი ივერიის მიწა ინებოს მიიღოს თავის ქვეშევრდო-მად“[2]. თეიმურაზ მეფეს თავისი შვილებისა და ახლობლების სახე-ლით პირობა უნდა დაედო, რომ ისინი ყველანი და მათი შთამო-მავლობაც მოსკოვის ხელმწიფისა და მისი შთამომავლების ერ-თგული იქნებოდნენ, რუსეთის მტერს მტრულად მოეკიდებოდა, მოყვარეს კი, მოყვრულად[3].

საინტერესოა, რომ რუსი ელჩებისთვის მიცემულ „დარიგე-ბაში“ დაწვრილებითი ინსტრუქცია იყო მათი თეიმურაზ მეფის კარზე მოქმედების და სავარაუდოდ დასმულ კითხვებზე პასუხე-ბის შესახებ. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, როგორ სერიოზულად უყურებდა რუსეთის მეფის ხელისუფლება თეიმურაზ მეფესთან ურთიერთობას, რა როლს ანიჭებდა საქართველოს თავის კავკა-სიურ პოლიტიკაში. ჩანს, რუსეთის მთავრობას, რამდენადაც შე-საძლებელი იყო, საიდუმლოდ უნდოდა შეენახა თეიმურაზთან დიპლომატიური ურთიერთობა და თავისი ინტერესები საქართვე-ლოს მიმართ. ამის დაფარვა მას განსაკუთრებით ოსმალეთ-ირა-ნისგან სჭირდებოდა.

საქართველოში მოსული ელჩები მეფესთან აუდიენციაზე უნდა მისულიყვნენ მაშინ, როდესაც მასთან სხვა სახელმწიფოს

---

[1] მ. ჯანაშვილის მიხედვით, ეს ჯვარი, დამზადებული 1632 წელს მიხეილ თედორეს ძემ თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნა ზემოთ დასახელებული რუ-სი ელჩების ხელით. ჯვარი დიდი ხნის განმავლობაში (საქართველოს გა-საბჭოებამდე) დაცული იყო თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში (К материалам по истории и древностей Грузии и России, Тб., 1912, с. 82)

[2] Полиевктов М. А., Материалы, с. 173

[3] Там же, с. 173-174.

ელჩები არ იქნებოდნენ. ისინი განსაკუთრებით უნდა მორიდებოდნენ თურქების და ყიზილბაშების ელჩებს.

თ. ვოლკონსკის, მეფესთან მიღების დროს, თავიდან ბოლომდე უნდა გაემეორებინა თეიმურაზ მეფის მიერ მიხეილ თევდორეს ძისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი, რომლიდანაც გამოჩნდებოდა, რომ ***მოსკოველი ელჩები საქართველოში ჩამოვიდნენ თეიმურაზის თხოვნით***, რათა მათ დაათვალიერონ ქვეყანა, შეისწავლონ ქრისტიანობის მდგომარეობა, ეკლესიები, განსაკუთრებით მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი, სადაც დაცულია ქრისტეს კვართი. ამის შემდეგ არქიმანდრიტი იოსები მეფეს მიმართავდა სიტყვით და გადასცემდა რუსეთის პატრიარქის წერილს.

ოფიციალური მიღების დასრულების შემდეგ, ელჩებს უნდა მოეთხოვათ, რომ თეიმურაზს და მის ახლობლებს რუსეთის ხელმწიფისადმი ქვეშევრდომობა ეღიარებინათ, ჯვრისთვის ეკოცნათ და რუსულად ან ბერძნულად დაწერილი ფიცის წიგნი თეიმურაზს ხელმოწერითა და ბეჭდით დაემტკიცებინა[1].

თუ თეიმურაზ მეფე, მისი შვილები ან ახლობლები ვიდრე ჯვარს ემთხვეოდნენ, განაცხადებდნენ, რომ ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლა უნდოდათ და ჯვარსაც ემთხვეოდნენ, მაგრამ აინტერესებდათ, ხელმწიფე როგორ დაიცავდა მათ მტრებისაგან, და იმასაც იტყოდნენ, რომ თეიმურაზ მეფემ წინათ ხელმწიფეს არაერთი ელჩი გაუგზავნა, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიუღია და არც მისი ელჩები ჩამოსულან[2], რუსებს უნდა ეპასუხათ: ***თუ თეიმურაზ მეფე ხელმწიფის ხელქვეითი გახდება, დაიცავს ყველა მტრისგან რამდენადაც ხელმწიფე შეძლებს.***

ქვემოთ შევეცდები გავარკვიოთ როგორ დაკმაყოფილდებოდა თეიმურაზ მეფე რუსეთის ხელმწიფის ამგვარი, ფაქტობრივად, არაფრის მთქმელი დაპირებით, საპირისპიროდ იმისა, რასაც იგი ქართველი მეფისგან მოითხოვდა. საყურადღებოა, რომ ელჩების პასუხში არ იყო დაპირება, რომ თეიმურაზის მტრები მიხეილ თედორეს ძის მტრებად ჩაითვლებოდნენ, მოყვრები კი რუსეთის

---

[1] Там же, с. 191-193.

[2] Там же, с. 193.

მხრივაც მოყვრებად იქნებოდნენ მიჩნეულნი. ქართველი მეფისგან კი ამგვარ დაპირებას მოითხოვდა.

რუსთ ხელმწიფის ვარაუდით, ქართველებს პრეტენზია ექნებოდათ ლეკების პრობლემის გადაუჭრელობის გამოც. ამ კითხვაზე მის ელჩებს უნდა ეპასუხათ: ***როცა თეიმურაზ მეფე ხელშეკრულებას ხელს მოაწერს და ხელმწიფის მორჩილებაში შევა, მაშინ საჭიროების მიხედვით, მოაგვარებდნენ ყველა იმ საკითხს, რასაც თეიმურაზი თავისი წერილში მოითხოვდა***[1].

ისეთი პირი უჩანდა, რომ ერთად-ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტას არაფერი შეუშლიდა ხელს, იყო რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართველი (კახელი) ტყვეების სამშობლოში დაბრუნება. ეს საკითხი, რომელიც მოსკოვში აღძრა ნიკიფორე ელჩმა, შესწავლის სტადიაში იყო და თერგ-ქალაქის ვოევოდებს უბრძანეს გამოერკვიათ, იმყოფებოდნენ თუ არა რუსეთში თეიმურაზის ქვეყნიდან ტყვე ქართველები, რამდენი, რა ერქვათ და რამდენი ხანია რაც იქ ცხოვრობდნენ. ასეთები თუ აღმოჩნდებოდნენ და ისინი სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოსთქვამდნენ, მაშინ მათს საქმეს განიხილავდნენ[2].

თეიმურაზ მეფე ან მისი გარემოცვა თუ იკითხავდა, როგორ დაიცავდა მათ მოსკოვის ხელმწიფე ყიზილბაშებისაგან, პასუხი იყო მარტივი: „***თუ მას [თეიმურაზს] უნდა, მეფის დიდებულებამ შაჰს მისწეროს, რომ შაჰი, მათ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და სიყვარულისათვის, ხედავს, რომ თეიმურაზ მეფე (ხელმწიფის –ე.მ.) ქვეშევრდომი გახდა, მის მიწა-წყალზე აღარ შეიჭრეს და ომი და შევიწროება არ მოახდინოს. იმედი აქვს, რომ ყიზილბაშების შაჰი ხელმწიფის თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებს და შემდეგში მის შევიწროებას აღარ ბრძანებს“***[3].

თეიმურაზ მეფე თუ გაჯიუტდებოდა, ჯვარზე დაფიცებაზე უარს იტყოდა და შეუძლებელი გახდებოდა მისი დაყოლიება, მაშინ რუს ელჩებს მისთვის უნდა შეეხსენებინათ, რომ მან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ელჩები გაგზავნა ხელმწიფესთან მოს-

---

[1] Там же, с. 197.

[2] Там же, с. 197-198.

[3] Там же, с. 198.

კოვში და ითხოვდა მისი ელჩების საქართველოში ჩამოსვლას და ხელმწიფის მფარველობას. მეფე თეიმურაზს უნდა ახსოვდეს რისთვის აგზავნიდა ელჩებს მოსკოვში და რას სთხოვდა ხელმწიფეს. მისი თხოვნა იყო ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლა შვილებთან და ახლობლებთან ერთად და ამისათვის ჯვარზე დაიფიცებდნენ[1]. ამიტომ, რუსეთის ხელმწიფის აზრით, მეფე თეიმურაზი ვალდებული იყო დაპირება შეესრულებინა.

„დარიგებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი, ქართული ეკლესიის მდგომარეობის და ქრისტეს კვართის საკითხების გარკვევას. რუსეთის მთავრობის კვართისადმი ინტერესის მიზეზზე ზემოთ, გარკვეულწილად, უკვე ითქვა. ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდები.

გამომდინარე იქიდან, რომ თეიმურაზ მეფე დაინტერესებული იყო მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებით და ცდილობდა მათში თვითონაც აქტიური მონაწილეობა მიეღო, მოსკოვში ვარაუდობდნენ, რომ თეიმურაზ მეფე და მისი კარი კახეთის სამეფოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გარდა, ელჩებთან საუბრისას, რუსეთის საგარეო პოლიტიკითა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებით დაინტერესდებოდნენ. ამიტომ ელჩებს დაევალათ, მომზადებულიყვნენ ისეთ საკითხებზე სასაუბროდ, როგორიც იყო მოსკოვის მეფის რომის პაპთან, საფრანგეთის, ინგლისის, შვედეთის, რეჩ პოსპოლიტის, ლიტვის და დანიის მეფეებთან, ჰოლანდიასთან, ოსმალეთის სულთანთან, ყირიმის ხანთან და რუსეთის მეზობელი ქვეყნების მეფეებთან ურთიერთობა. ელჩებს პასუხი უნდა გაეცათ მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელზეც კითხვა დაისმებოდა[2].

თვალშისაცემია, რომ მოსკოვის მთავრობა არ აპირებდა რაიმეს თქმას თავის ურთიერთობაზე ყიზილბაშურ ირანთან, ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის, განსაკუთრებით საინტერესო საკითხზე. მოსკოვის მხრიდან დუმილის ახსანა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ იქ კარგად იცოდნენ კახეთის სამეფო რუსეთის წინაშე თავს იმდაბლებდა, ძირითადად, ირანის აგრესიი-

---

[1] Там же, с. 200.

[2] Там же, с. 203-209.

საგან თავდასაცავად დახმარების მიღების იმედით. მაგრამ რუსეთს, როგორც წარსულის მოვლენებმა დაადასტურა, ირანზე სერიოზული ზემოქმედება არ შეეძლო. ამას მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებდნენ ქართველი პოლიტიკოსები და, როგორც დავინახავთ, ისინი შეეცადნენ რუსეთი გამოეყენებინათ იქ, სადაც მას, რეალურად შეეძლო კახეთისათვის დახმარება აღმოეჩინა.

„დარიგებაში", ელჩებისათვის მიცემული საიდუმლო დავალებაზეც არის აღნიშნული. მათ უნდა შეეგროვებინათ ცნობები თეიმურაზ მეფის ოსმალეთის სულთანთან და ირანის შაჰთან ურთიერთობაზე, მოდიოდნენ თუ არა კახეთში მათი შიკრიკები და რა დავალებით. აგზავნის თუ არა ელჩებს თეიმურაზ მეფე ოსმალეთის სულთანთან და ირანის შაჰთან. როგორია ურთიერთობა ორ უკანასკნელს შორის. ელჩებს განსაკუთრებით უნდა მოეგროვებინათ ცნობები ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობაზე[1].

საქართველოსკენ მომავალი ელჩები, როდესაც თერგ-ქალაქიდან გავიდოდნენ, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, უნდა შეეგროვებინათ ცნობები საქართველოს შესახებ: ვინ მეფობს კახეთში, თუ თეიმურაზი აღარ მეფობს, მაშ სად არის? თუ გაიგებენ, რომ თეიმურაზი გარდაიცვალა და მის ადგილზე მისი შვილი დავითია, აუცილებლად უნდა დაედგინათ იგი თავისი მამის დალოცვით და ივერიის მოსახლეობის სურვილით გამეფდა თუ შაჰის ბრძანებით. როცა გაირკვეოდა, რომ იგი მამის სურვილით გამეფდა, მაშინ აუდიენციის დროს უნდა განეცხადებინათ: დიდმა ხელმწიფემ მამაშენთან გამოგვგზავნა ელჩებად, მაგრამ რადგან მის ადგილზე შენ ხარ, ნაბრძანები გვაქვს შენთან მოვიდეთ და ელჩობა აღვასრულოთო. მისთვის უნდა გადაეცათ წერილები და საჩუქრები.

იმ შემთხვევაში თუ ელჩები საქართველოში მოსვლამდე გაიგებდნენ, რომ თეიმურაზის მაგიერ კახეთის ტახტზე შაჰის მიერ დანიშნული რომელიმე ხანი იჯდა, მაშინ ახალ მეფეს არ უნდა ხლებოდნენ, უკან თერგში დაბრუნებულიყვნენ და ყველაფერი ხელმწიფისათვის ეცნობებინათ.

---

[1] Там же, с. 209.

ნავარაუდევი იყო ასეთი ვარიანტიც: როდესაც ელჩები საქართველოში ისე მოვიდოდნენ, რომ წინასწარ ვერ გაიგებდნენ თეიმურაზის მეფედ აღარ ყოფნის შესახებ და შაჰის მიერ დასმული მეფე მათ მიიწვევდა თავისთან, ასეთ შემთხვევაში ელჩებს უნდა განეცხადებინათ, რომ ისინი ხელმწიფემ თეიმურაზის თხოვნით გამოგზავნა და უფლებამოსილნი არ არიან ურთიერთობა იქონიონ სხვა მეფესთან. ელჩები მას არ გადასცემდნენ წერილებსა და საჩუქრებს. მაგრამ კახეთის ახალი მეფე თუ ძალით მოინდომებდა წერილებისა და საჩუქრების ხელში ჩაგდებას, მაშინ ელჩები ვალდებულნი იყვნენ ისინი გაენადგურებინათ, რათა მეფეს და, შესაბამისად, ირანის შაჰს ვერ გაეგო რატომ ჩამოვიდნენ მოსკოვის ხელმწიფის ელჩები კახეთში[1].

* * *

ელჩებმა გაიარეს ყაზანი და 5 სექტემბერს მივიდნენ ასტრახანში. 7 სექტემბერს რუსმა ელჩებმა ნიკიფორეს მოსთხოვეს კაცი გაეგზავნა თეიმურაზ მეფესთან და ეცნობებინა, რომ რუსეთის ხელმწიფის ელჩები საქართველოში მოდიოდნენ. მათ აინტერესებდათ, აგრეთვე, სად მიღებდა მეფე ელჩებს, სად გაუგზავნიდა ურმებსა და დამხმარე ხალხს. 15 სექტემბერს ნიკიფორემ თეიმურაზთან ქართველი იუშკა ჩმონი გაგზავნა[2].

ელჩები შიკრიკის დაბრუნებას თერგში ელოდნენ. ჩმონი 18 ნოემბერს დაბრუნდა და ნიკიფორეს ხორეშან დედოფლის წერილი მიუტანა, რომლის შინაარსი ამ უკანასკნელმა რუს ელჩებს გააცნო. დედოფალი წერდა: ნიკიფორე და რუსი ელჩები გაზაფხულამდე არ ჩასულიყვნენ კახეთში, რადგან თეიმურაზ მეფე იმერეთის მეფე გიორგისთან და თავის სიძე ალექსანდრესთან იმყოფება დადიანთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. ამას გარდა, როგორც დედოფალი წერდა, მთებში დიდი თოვლი მოვიდა და გავლა შეუძლებელი იყო. როცა თეიმურაზ მეფე კახეთში

---

[1] Там же, с. 210-212.

[2] Там же, с. 229-230.

დაბუნდებოდა იგი მიტროპოლიტ ნიკიფორეს მაშინვე აცნობებდა როდის და სად უნდა ჩასულიყვნენ ელჩები[1].

1638 წლის 24 იანვარს თერგში მივიდა ქართველი „ასისთავი“ გიორგი და ნიკიფორეს წერილი მიუტანა. თეიმურაზ მეფე მას აცნობებდა, რომ კახეთში (გრემში) დაბრუნდა და ელჩები მასთან გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ, ამასობაში კი თვითონ ელჩების მისაღებად გზას მოაწესრიგებდა. იმავე „ასისთავმა“ გიორგიმ და მასთან ერთად თერგიდან გაგზვნილმა სხვა მაცნეებმა ამბავი მოიტანეს, რომ თეიმურაზ მეფე ელჩებს გაზაფხულზე ელოდებოდა. იქვე მითითებული იყო, რომ ელჩები საქართველოში უნდა ჩასულიყვნენ თუშეთისა და ხევსურეთის გზით და არა იმ გზით, რომლითაც ელჩები ადრე დაიარებოდნენ[2].

7 ივლისს თერგში ჩავიდნენ თეიმურაზ მეფის წარგზავნილი „ასისთავი“ გიორგი და აზნაურები. მათ, 19 ივლისს, ელჩები საქართველოში წამოიყვანეს. ისინი 21-ში ყიზლარში იყვნენ, საიდანაც კახეთის მეფეს მაცნეები გაუგზავნეს.

5 აგვისტოს ელჩებმა თეიმურაზ მეფის ბანაკამდე მიაღწიეს. მიტროპოლიტი ნიკიფორე მეფესთან გაეშურა, ხოლო მეორე დღეს, რუსი ელჩები კახელი აზნაურების თანხლებით გაეშურნენ ალავერდის მონასტრისაკენ, სადაც ისინი მეფეს უნდა შეხედროდნენ. 2 სექტემბერს ისინი უკვე ალავერდში იყვნენ, სადაც 5-ში მეფე მივიდა და 9-ში ელჩები მიიღო[3].

ვიდრე მეფეს ეახლებოდნენ რუსებმა მოითხოვეს, აუდიენციის დროს მასთან სხვა სახელმწიფოთა ელჩები არ ყოფილიყვნენ. ნიკიფორე ბერძენმა და ქართველმა დიპლომატმა თავადმა რევაზმა (იგი რუს ელჩებთან ურთიერთობდა მათი საქართველოს საზღვრებში შემოსვლის დღიდან[4]) მათ განუცხადეს, რომ თეიმურაზ

---

[1] Там же, с. 231.

[2] Там же, с. 233.

[3] Там же, с. 256-259.

[4] Там же, с. 251. ეს იყო თეიმურაზის უერთგულესი კარისკაცი, სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი. იგი დაიღუპა როსტომ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში თიანეთთან 1643 წელს. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით: „მოხუდა რევაზს თოფი და განვლო ზურგით კერძ. ესე არა აგრძნა სპა-

მეფესთან თურქი და ყიზილბაში ელჩები არ არიან, არის მხოლოდ „შაჰის ქალაქ თბილისის ხანის“ კაცი რომელმაც მეფეს საჩუქრები მოუტანა, მაგრამ რუსი ელჩების მიღებას არც ის დაეწრებოდა[1]. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის იოსების წერილი არქიმანდრიტ იოსებისადმი, თეიმურაზ მეფის ბრძანებით ელჩებს ალავერდის მონასტრის არქიეპისკოპოს ზებედესათვის უნდა გადაეცათ[2].

ბალდახინი, სადაც მეფე იმყოფებოდა მდიდრულად იყო მორთული. მის შუაგულში ელჩებს შეხვდნენ არქიეპისკოპოსი ზებედე და ეპისკოპოსები არსენი, ზაქარია, მათე და კოზმა, სულ ხუთი კაცი. მეფე თეიმურაზი[3] იჯდა, ხოლო მის მარჯვნივ ისხდნენ უფლისწული დავითი, არქიეპისკოპოსი ზებედე და უმაღლესი სამღვდელოება. მეფის ხელმარცნივ კი, მიტროპოლიტი ნიკიფორე, სახლთუხუცესი თავადი რევაზ ჩოლოყაშვილი და სამეფო დარბაზის 10 წევრი[4].

წერილებისა და საჩუქრების გადაცემის შემდეგ ელჩები თეიმურაზ მეფეს ხელზე ემთხვივნენ, მეფე კი მათ თავზე ემთხვია.

თა, განა განამაგრნა იგინი, მოვიდა და ამბორს უყო ჴელსა ზედა თეიმურაზს, მერმე მივიდა და მოკუდა მუნვე“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 597.

[1] თეიმურაზთან შეხვედრამდე ელჩებმა ეს მოთხოვნა მის კარისკაცებს რამდენჯერმე გაუმეორეს. Там же, с. 261.

[2] Там же. სრულიად ყმაწვილი (დაახლოებით 10 წლის) ზებედე იერუსალიმის პატრიარქ თეოფანის III-ს არქიეპისკოპოსად ხელდაუსხამს XVII ს. 10-იან წლებში (Там же, ც. 393), ჩემი ვარაუდით 1619-1620 წლებში. სავარაუდოა, პატრიარქ თეოფანისის მიერ ზებედეს ხელდასხმა შემდეგში ანულირებულ იქნა და იგი სამთავროს არქიეპისკოპოსმა ხელმეორედ ხელდასხა (მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 47, 51, 53).

[3] რუსების აღწერილობით თეიმურაზი იყო საშუალო ტანის, წარმოსადეგი, ნაყვავილარი თეთრი სახით, შავი შეკრეჭილი და შეღებილი წვერით, გადაპარსული თავით, წელში მოხრილი, მხარბეჭიანი, თვალები ნაცრისფერი, ხელის ფრჩხილები შეღებილი ჰქონდა. 1639 წელს იგი 50 წლისა იყო (Полиевктов М., Ук. труд, с. 262).

[4] საერო დიდკაცობას ემოსა გრძელი ხიფთანი და ეხურა ყალმუხის ქუდი, თავი გაპარსული ჰქონდათ, ზოგიერთი უქოჩრო იყო (Там же).

არქიმანდრიტ იოსების მიერ დალოცვის შემდეგ მეფე მას ხელზე ემთხვია[1].

თედორე თედორეს ძე ვოლკონსკის და დიაკ არტემ ხვატოვს მეფემ განუცხადა, რომ რუსეთიდან ჩამოტანილი წერილების თარგმანის შემდეგ, ელჩებს თავისთან მიიწვევდა და რაც ხელმწიფემ საიდუმლო საქმეებზე მოსალაპარაკებლად მასთან დააბარა, ყოველივეს მაშინ მოახსენებდნენ. მეფემ ისინი იმავე დღეს ალავერდის ტაძარში ჟამის წირვაზე, მეორე დღისთვის კი თავისთან საუფრაზე დაპატიჟა[2].

19 სექტემბერს ალავერდის ტაძარში დაიწყო მოლაპარაკება, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველების მხრიდან მეფე, არქიეპისკოპოსი ზებედე, ეპისკოპოსი ზაქარია, მიტროპოლიტი ნიკიფორე და სახლთუხუცესი რევაზი. ელჩები მეფის საპირისპიროდ სკამებზე დასხეს. მეფემ საუბარი დაიწყო: მან მიტროპოლიტი ნიკიფორე იმიტომ გაგზავნა მოსკოვში და ხელმწიფეს თავისი და მთელი ივერიის მფარველობა სთხოვა, რომ მას ყველა მტრისაგან დაეცვა. ხელმწიფეს სთხოვა, აგრეთვე, ელჩების გამოგზავნა, რათა საქართველო მათ საკუთარი თვალით ენახათ. განზრახული ჰქონდა მოსკოვის ხელმწიფესთან თავისი უფლისწულისა და ასულის გაგზავნა. მაგრამ, ელჩის მოსკოვში გაგზავნის შემდეგ, ირანის შაჰი მოვიდა ქართლი დაიპყრო და ასული მოსთხოვა. მეფეს არ უნდოდა თავისი ქრისტიანი ასული მუსლიმანისათვის მიეცა, ამიტომ დედოფალთან, უფლისწულთან და ასულთან ერთად მთებს შეაფარა თავი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იძულებული გახდა შაჰის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, რათა მას კიდევ უფრო არ გაენადგურებინა ქვეყანა და ქრისტიანთა ბევრი სისხლი არ დაღვრილიყო, მეფემ თავისი ასული შაჰს მისცა, რომ ის ტრაგედია კიდევ არ გამეორებულიყო, როდესაც შაჰმა დედა წამებით მოუკლა, მისი ორი ვაჟი კი დაასაჭურისა.

მეფის ბრძანებით ელჩებს ქეთევან დედოფლის ნაწილები აჩვენეს[3].

---

[1] Там же, с. 265.

[2] Там же.

[3] Там же, с. 275-276.

ახლა თეიმურაზმა ყველა განცდილი უბედურება დაივიწყა, რადგან მოსკოვის ხელმწიფემ ელჩები და წერილები გამოუგზავნა და მეფე და მისი ქვეყანაც თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა.

საპასუხოდ, ელჩებმა გაიმეორეს ხელმწიფის წერილების შინაარსი და თეიმურაზ მეფეს შესთავაზეს, რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულების აღიარების სიგელზე ხელი მოეწერა და ბეჭდით დაემტკიცებინა.

თეიმურაზ მეფემ განაცხადა: იგი, მისი ვაჟი, მთელი კახეთისა და ქართლის მიწა-წყალი არასოდეს გამოვლენ ხელმწიფის ქვეშევრდომობიდან. რაც შეეხებოდა ერთგულების ფიცის დამტკიცებას, მოფიქრებისათვის დრო მოითხოვა. როცა ფიცის დადების დრო მოვიდოდა მეფე ნიკიფორე მიტროპოლიტისა და სახლთუხუცესი რევაზის საშუალებით აცნობებდა ელჩებს[1]. ამგვარად, მეფე არ ჩქარობდა და ცდილობდა ბოლომდე გაეგო რა გეგმა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიმართ. ეს საკითხი უნდა გაერკვია ნიკიფორე მიტროპოლიტს.

22 სექტემბერს ნიკიფორე მიტროპოლიტი ელჩებთან მივიდა და მეფე თეიმურაზის დანაბარები გადასცა: მეფის მიერ ერთგულების ფიცის დამტკიცების გარდა, ჰქონდათ თუ არა ელჩებს სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. აინტერესებდა, როგორ დაიცავდა მიხეილ თედორეს ძე ***მეფე თეიმურაზსა და მთელ ივერიას***? ამაზე ელჩებმა უპასუხეს, რომ ***ხელმწიფე ისე დაიცავს როგორი შესაძლებლობაც ექნება***[2].

ამის შემდეგ მიტროპოლიტმა ელჩებს წარუდგინა თეიმურაზ მეფის შემდეგი მოთხოვნები: 1. მისი სახელმწიფოს საზღვართან რუსებმა უნდა ააგონ ციხე, რომელშიც განლაგდება რუსეთის 2 ათასკაციანი გარნიზონი და მეფეს მტრებისაგან დაიცავს. 2. რუსეთის ხელმწიფემ უნდა გამოიყენოს შაჰთან თავისი მეგობრობა და სიყვარული და დაიყოლიოს იგი თეიმურაზს დაუბრუნოს ქართლი, სადაც ამჟამად შაჰის ხანი ზის[3]. სავარაუდოა, თეიმურაზ მეფე რუ-

---

[1] Там же, с. 277-278.

[2] Там же, с. 279.

[3] Там же, с. 279-280.

სეთის მიერ მისთვის ქართლის დაბრუნებაში დაინტერესებისათვის შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას ქრისტეს კვართის შესახებ, რომელიც ქართლის სამეფოშია (რომელიც წინათ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნოდა) და მისი დაუფლებით დაინტერესებულია რუსეთის მთავრობა და ეკლესია.

რუსმა ელჩებმა ნიკიფორე ბერძენს უპასუხეს, რომ რუსეთის ხელმწიფე შაჰს მისწერდა ხელი აეღო კახეთის სამეფოზე თავდასხმებზე, მაგრამ ქართლის თეიმურაზისათვის დაბრუნებაზე კრინტი არ დაუძრავთ. თეიმურაზ მეფის სახელმწიფოს საზღვართან ციხესიმაგრის ჩადგმასაც ხელმწიფე შეძლებისდა გვარად შეეცდებაო[1].

ასეთი ორჭოფული პასუხის შემდეგ ნიკიფორემ ახალი მოთხოვნა დააყენა: რა თქმა უნდა, თეიმურაზ მეფე თავისი სიტყვის ერთგული დარჩება და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცს დადებს, მაგრამ ეს დოკუმენტი საიდუმლოდ უნდა შეინახონ, რათა ელჩების გარდა არავინ იცოდეს. ელჩებმა ამგვარი მოთხოვნის გამო გაკვირვება გამოხატეს. ნიკიფორემ ეს მოთხოვნა იმით გაამართლა, რომ მეფეს მრავალი მტერი ჰყავს და მუსულმანური ქვეყნებიდანაც საშიშროება ემუქრება[2].

ამის შემდეგ ელჩებს რამდენჯერმე (23, 24, 25 სექტემბერს) მოუხდათ თეიმურაზთან შეხვედრა, რომელიც მხოლოდ ზოგადი საუბრით შემოიფარგლებოდა და არაფერს ამბობდა ერთგულების ფიცის დოკუმენტის დამტკიცებაზე[3]. 26 სექტემბერს ელჩებმა ნიკიფორეს მიმართეს, იმის გასაგებად თუ რატომ იგვიანებდა დოკუმენტის გაფორმება. ნიკიფორემ თქვა, რომ მან და მეფემაც წაიკითხეს დოკუმენტი და ელჩებს პასუხს აცნობებს[4]. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, დანაპირების შესრულება გადაიდო.

როგორც შემდგომი მოლაპარაკებიდან გამოჩნდა, თეიმურაზ მეფეს და მის დიპლომატებს ქვეშევრდომობის ფიცის წიგნის ქართული ვარიანტის შესამუშავებლად დროის მოგება უნდოდათ. რუ-

---

[1] Там же, с. 280.

[2] Там же, с. 281.

[3] Там же, с. 281-283.

[4] Там же, с. 284.

სი ელჩები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ მოსკოვში შედგენილი „დარიგება“ ზუსტად დაეცვათ, რა თქმა უნდა, იოლად ვერ დათანხმდებოდნენ ქართველების მიერ შეთავაზებულ ცვლილებებსა და დამატებებს. დიპლომატიური ჭიდილი დაიწყო იმ დღიდან, როდესაც რუსები ქვეშევრდომობის აქტის ქართულ ვარიანტს გაეცნენ.

1639 წლის 18 აპრილს მიტროპოლიტმა ნიკიფორემ რუს ელჩებს მიუტანა ჯვარზე დაფიცებით დასამტკიცებული ფიცის ქართული ვარიანტი. როდესაც ელჩებმა ის წაიკითხეს და ნახეს, რომ მასში ჩამატებული იყო მრავალი მუხლი (სამწუხაროდ, არაფერი ვიცით დამატებული მუხლების შინაარსზე), ამგვარი დოკუმენტის მიღებაზე უარი განაცხადეს. მათ მოითხოვეს, რომ მეფე თეიმურაზმა ბრძანოს სიგელი შეადგინონ მოსკოვიდან ჩამოტანილი ნიმუშის მიხედვით. ნიკიფორე დაპირდა ელჩებს, რომ მათი პროტესტის შესახებ მეფეს მოახსენებდა[1].

20 აპრილს ნიკიფორემ ელჩებს აცნობა მეფის თანხმობა და ისიც, რომ მან უკვე დაავალა თავის დიპლომატებს, დოკუმენტს საფუძვლად დაედოს რუსული ნიმუში. მან ისიც მოახსენა, რომ ქვეშევრდომობის აქტიდან დამატებითი მუხლები ამოღებული იქნება და მეფე და უფლისწული ჯვარს ემთხვევიან იმ შემთხვევაში, თუ ხელმწიფე კახეთის საზღვართან ჯარს გამოგზავნის, ციხე-ქალაქს ააგებს და მტრებისაგან დაიცავს[2]. ელჩების ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ როგორი პასუხით გაისტუმრეს მათ ნიკიფორე მიტროპოლიტი. სავარაუდოა, მათ საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ, თორემ ამას აუცილებლად აღნიშნავდნენ. მათთვის უმთავრესი თეიმურაზისა და მისი გარემოცვის მიერ ფიცის დადება იყო, მეფე თეიმუაზის მოთხოვნა შემდეგში ან შესრულდებოდა ან არა. მათს კომპეტენციაში ქართული მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნების მიღება ან უარყოფა არ შედიოდა თუ კი იგი წერილობით არ გაფორმდებოდა.

თეიმურაზ მეფის მოსკოვის ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცების დროს კიდევ ერთმა სერიოზულმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი.

---

[1] Там же, с. 315.

[2] Там же, с. 216.

23 აპრილს, ზეგამში, შედგა დაფიცების ცერემონია. მეფე თეიმურაზმა სამეფო კარის თანდასწრებით ელჩებს მიმართა: „თქვენ მეფის უდიდებულესობის ელჩები მეუბნებით მე და ნიკიფორე მიტროპოლიტთან ერთად გვიბრძანებთ, რომ მე და ჩემმა შვილმა უფლისწულმა დავითმა და (სამეფო–ე.მ.) საბჭოს წევრებმა (მოსკოვის–ე.მ.) მეფის დიდებულებასა და მის შვილებს ჯვარზე შევფიცოთ, რომ ვიქნებით მისი მეფური უდიდებულესობის ქვეშევრდომნი იმ სიგელის მიხედვით, რომელიც გამომიგზავნეთ მეფის უდიდებულესობის ელჩებმა. თეიმურაზ მეფე ხელმწიფის ბრძანებას შეასრულებს და სიგელზე ხელის დადებას ბრძანებს: თეიმურაზ მეფე მეფის უდიდებულესობის და მისი შვილების, უფლისწული მთავრის ალექსი მიხეილის ძის და უფლისწული მთავრის ივანე მიხეილის ძისადმი ერთგულებაზე დაიფიცებს თავისი შვილის და ახლობელი ადამიანების და თავისი მთელი ივერიის მიწა-წყლის სახელით. ხოლო ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძე დამიცავს მე მეფე თეიმურაზს და ჩემს მთელ ივერიის მიწა-წყალს ჩემი გაჭირვებისა და დევნის დროს, ისევე, როგორც რუსეთის სამეფოს მეფეების წინაპრები ივერიის მეფეებს წყალობდნენ, მიხედავდნენ და ყველა არაკეთილმოსურნისაგან იცავდნენ“[1].

თეიმურაზ მეფემ მიტროპოლიტ ნიკიფორეს გამოართვა სიგელი, რომელზეც თვით მეფემ, უფლისწულმა და სამეფო საბჭოს წევრებმა ხელი დაადეს, შემდეგ კი ხელი მოაწერეს. თეიმურაზმა სიგელზე დასვა ბეჭედი (ბეჭედზე იყო წარწერა: „თეიმურაზი მეფე ივერიისა, საქართველოსი და ქართლის“). მეფემ არქიეპისკოპოს ზებედეს უბრძანა აეღო ჯვარი (მოჩუქურთმებული და ვერცხლით მოჭედილი) და საწიგნეზე დაედო. მეფემ ჩასწორებული სიგელი ჯვრის ქვეშ დადო, ჯვარს ემთხვია და წარმოსთქვა: „იგი, თეიმურაზ მეფე ემთხვევა მიხეილ თედორის ძის და მისი მეფური შვილების, უფლისწული მთავრის ალექსი მიხეილის ძის და უფლისწული მთავრის ივანე მიხეილის ძის ჯვარს, თავისი და თავისი შვილის უფლისწული დავითისა და თავისი სრულიად ივერიის მიწა-წყლის სახელით, იმისათვის, რომ იგი, თეიმურაზ მეფე და მისი ვაჟი, უფლისწული დავითი და მისი შვილები, რომლებიც

---

[1] Там же, с. 318.

მას ეყოლება, მთელი ივერიის მიწა-წყალი მისი მეფური უდიდებულესობის საუკუნო ხელქვეითი მორჩილი იქნება. ხოლო ჩვენი ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძე თეიმურაზ მეფეს და მის ვაჟს უფლისწულ დავითს და მის მთელ ივერიის მიწა-წყალს წყალობდნენ, მიხედავდნენ, იცავდნენ ყველა არაკეთილმოსურნისაგან, დაეხმაროს ყოველი გასაჭირის დროს...“[1]

თეიმურაზ მეფემ ჯვრის ქვეშიდან გამოიღო სიგელი და ელჩებისათვის გადაცემა უნდოდა, მაგრამ მათ უარი თქვეს სიგელის ამ ფორმით მიღებაზე. მათ მოითხოვეს უფლისწული დავითი და მეფის გარემოცვაც ჯვარს მთხვეოდნენ. თეიმურაზ მეფემ ელჩების ამგვარი მოთხოვნა გააპროტესტა: საქართველოში ამგვარი წესი არასოდეს ყოფილა, რომ მეფესთან ერთად უფლისწულსა და მის დიდებულებს ჯვარზე დაეფიცათ და სიგელი ელჩებისათვის გადაეცათო. თეიმურაზ მეფე, ალბათ, თავის დიპლომატებთან შეთანხმებით, ***ცდილობდა თავისი მემკვიდრისა და მისი შთამომავლებისათვის თავიდან აეცილებინა ისეთი არასასიამოვნო ვალდებულება რუსეთის მეფის წინაშე, როგორიც იყო, 1587 წელს კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დადებულ ფიცის წიგნი, რომელსაც რუსი დიპლომატები ყოველთვის ცხვირწინ უფრიალებდნენ როგორც ქართველების ისე ირანისა და ოსმალეთის წარმომადგენლებს***. რადგან ქართველმა მეფე ალექსანდრე II-მ და მისმა მემკვიდრეებმა სამუდამო ფიცი დადეს რუსეთისადმი ერთგულებისა და ქვეშევრდომობის შესახებ, ამიტომ რუსეთის მთავრობის გაგებით, გარკვეული უფლება გააჩნდა საქართველოზე.

რუსი ელჩები ამგვარი წინააღმდეგობისთვისაც მომზადებული აღმოჩნდნენ და თეიმურაზთანაც იგივე იარაღი მოიმარჯვეს. მათ მაშინვე გაიხსენეს მეფე ალექსანდრე II, მისი შვილები – თეიმურაზ მეფის მამა დავითი, მისი ბიძა გიორგი და ახლობლები, რომლებმაც ჯვარზე დაიფიცეს რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულებაზე. თეიმურაზ მეფემ მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა და სიგელი უკან წაიღო[2].

---

[1] Там же, с. 319.

[2] Там же, с. 320.

თეიმურაზ მეფემ ერთხელ კიდევ სცადა თავისი შთამომავლობისათვის თავიდან აეცილებინა, როგორც ღმერთის ისე რუსეთის ხელმწიფის წინაშე მძიმე პასუხისმგებლობა. მან, 25 აპრილს, ნიკიფორე ბერძენი რუსებთან გაგზავნა და სიგელი გაატანა, რომელზეც მეფის წარმომადგენლის თქმით, ჯვარზე დაიფიცა ყველა იმ პიროვნებამ, რომლების ფიცსაც ელჩები მოიხოვდნენ. მაგრამ ელჩებმა სიგელი არ მიიღეს და მოითხოვეს ჯვარზე დაფიცება მათი თანდასწრებით მომხდარიყო[1].

იმავე დღეს თეიმურაზ მეფემ ელჩებს კონტრწინადადება წაუყენა: „თქვენ, მეფის უდიდებულესობის ელჩებმა ჯვარზე შემომფიცეთ, რომ მე, თეიმურაზ მეფეს და ჩემს ივერიის მიწა-წყალს თქვენი მეფე მიხეილ თედორეს ძე სიღარიბეში, განადგურებულსა და გაძევებულს არ მიმატოვებს და ყველა დანაპირებს შემისრულებს“[2]. როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფის ამ მოთხოვნით ელჩები გაოცებული დარჩნენ და პირდაპირ განუცხადეს: „შენ, მეფე თეიმურაზი კარგ საქმეს არ აკეთებ, რომ ფეხს ითრევ და შენს შვილს დავით უფლისწულსა და ახლობლებს არ უბრძანებ, რომ ჩვენი დიდ ხელმწიფის მიხეილ თეოდორეს ძისა და მისი შვილების ერთგულებაზე დაიფიცონ. ამით შენს თავსა და მთელი ივერიის მიწა-წყალსაც ვნებას აყენებ და კეთილ საქმესაც აფერხებ. ვფიქრობთ, შენსა და შენს ვაჟს, უფლისწულ დავითსა, აგრეთვე მახლობლებს შორის განხეთქილება და ცუდი განწყობაა. სიკეთეს, სიმართლესა და ერთგულებას [რუსეთის] მეფის უდიდებულესობის მიმართ ვერ ვგრძნობთ“[3].

თეიმურაზ მეფეს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ უფლისწული დავითისა და ახლობელი დიდებულებისათვის ჯვარზე მთხვევა ებრძანა. ცერემონიის დამთავრების შემდეგ მეფემ ელჩებს გამოუცხადა, რომ შეეძლოთ რუსეთში დაბრუნებულიყვნენ, მათთან ერთად გაემგზავრებოდა მიტროპოლიტი ნიკიფორე. თეიმურაზმა ელჩებს იმ გზაზეც მიუთითა, რომლითაც ისინი უნდა წასულიყვნენ. თეიმურაზ მეფემ ელჩებს რუსეთ-საქარ-

---

[1] Там же, с. 322.

[2] Там же, с. 326.

[3] Там же, с. 326-327.

თველოს დამაკავშირებელი გზით წასვლა აუკრძალა იმ მიზეზით, რომ ის გზა გადიოდა მეფისადმი მტრულად განწყობილ ტერიტორიაზე და ამასთან ერთად დიდი თოვლის გამო სახიფათოც იყო. მან ელჩებს უბრძანა შაჰის სამფლობელოებზე გავლით დაბრუნებულიყვნენ მოსკოვში.

თეიმურაზ მეფის ამ განზრახვაში უფრო მეტად პოლიტიკურ-დიპლომატიური ჩანაფიქრი უნდა დავინახოთ, ვიდრე ელჩების უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ელჩები, რომ შაჰის სამფლობელოებზე გავლით უნდა გაეშვა, როგორც ჩანს, მას დიდი ხნის წინათ ჰქონდა მოფიქრებული. მეფემ ელჩებს 10 ოქტომბერს მიღებისას განუცხადა, რომ ყიზილბაშთა შაჰ სეფის, მოსკოვის მეფის ნაჩუქარი 2 სონღული გაუგზავნა და წერილობით სთხოვა საქართველოდან რუსეთში მიმავალი ელჩები თავის ტერიტორიაზე გაატაროს. თეიმურაზის თქმით, ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მთები დაფარულია თოვლით და გვიან, ილიას დღეს (ძვ. წ. 20 ივლისი), იწყება ზვავების ჩამოწოლა. ამას გარდა, მის სახელმწიფოს ყოველი მხრიდან ურწმუნოები შემოერტყნენ, და მათგან ყოველგვარ ცუდს მოელის. რაც შეეხება შაჰ სეფის, მას რუს ხელმწიფესთან მეგობრობა და სიყვარული აქვს და ელჩებს თავის ტერიტორიაზე გავლას არ დაუშლის[1].

თეიმურაზმა, ელჩები გაისტუმრა აპრილის დასასრულს. ეს ის დროა, როდესაც ზვავების ჩამოწოლის საშიშროება არ არის. მაგრამ მან მაინც, თადარიგი დაიჭირა, შაჰს შეუთანხმდა და ელჩები შემახასა და დერბენდის გზით გაუშვა. უეჭველია, რომ თეიმურაზ მეფეს უნდოდა შაჰ სეფისათვის, რომელიც მოსკოვის მეფის „მეგობარი“ იყო, ეჩვენებინა, რომ კახეთის მეფე მისი, სეფის, მეგობრის მეგობარია. ამაში დასარწმუნებლად თუ საბუთია საჭირო, ინებეთ: მოსკოვის მეფე კახეთის მეფეს საჩუქრებს, მათ შორის სონღულებს, და ელჩებს უგზავნის. თეიმურაზ მეფის ლოგიკით, კახეთის მეფე და ირანის შაჰიც უნდა დამეგობრდნენ. შეიძლება გავიხსენოთ ესპანეთის მეფის მიერ შაჰ აბასთან გაგზავნილი წერილი (ჩემი ვარაუდით, იგი ნიკიფორე ირბახის თხოვნით დაიწერა), რომელშიც ფილიპე IV საქართველო-ესპანეთის მე-

---

[1] Там же, с. 288.

გობრობის შესახებ აცნობებდა. მაშინაც წერილის მიზანი ის იყო, რომ ფილიპე IV-ის „მეგობარ“ შაჰ აბას I-ს გაეთვალისწინებინა თავისი ევროპელი კოლეგის „მეგობრობა“ თეიმურაზ I-თან.

ამგვარად, ნიკიფორე მიტროპოლიტის პირველი ელჩობის საერთო შედეგი (ვგულისხმობ მის დიპლომატიურ მოგზაურობას მოსკოვში და რუსი ელჩების ჩამოყვანას საქართველოში), შეიძლება ითქვას, მოცემულ ეტაპზე, ფორმალურად, წარმატებული იყო. ის მიზნები, რაც ამ ელჩობას მეფემ დაუსახა, თითქმის მიღწეული იყო. კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა და დახმარებაზე დაპირებაც მიიღო. ელჩობის შედეგით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობაც. კახეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით რუსეთის სახელმწიფოს, თუკი მას შესაბამისი ხელსაყრელი პირობები ექნებოდა, ფართო ასპარეზი ეხსნებოდა სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ნიკიფორე მიტროპოლიტის მეორე ელჩობა მოსკოვში

1639 წლის 28 აპრილს რუსეთის ხელმწიფის ელჩები გზას დაადგნენ. მათთან ერთად მოსკოვში მეორედ მიდიოდა თეიმურაზ მეფის ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე. ელჩები 1640 წლის იანვრის დასაწყისში უკვე მოსკოვში იყვნენ. ნიკიფორემ სამეფო კანცელარიაში თეიმურაზ მეფის ვრცელი წერილი წარადგინა, რომელიც დათარიღებულია 1639 წ. 25 აპრილით[1].

წერილი უაღრესად საინტერესო და თავისებურია, როგორც შინაარსით, ისე აგებულებითა და სტილით. ასევე სრულიად განსხვავდება ნიკიფორე მიტროპოლიტის მეფე მიხეილ თეოდორეს ძისათვის მოსკოვიდან გაგზავნილი წერილი, რომელზეც ვრცლად საუბარი მოგვიწევს.

თეიმურაზის წერილი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ტექსტი და ბოლოსიტყვაობა.

---

[1] Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1677 г., СПб, 1867, с. 1-34.

შესავალი გავყოთ ორ ნაწილად: 1. თეიმურაზ მეფე გადმოსცემს მართლმადიდებლური ქრისტიანობის საფუძვლებს და 2. მადლობას უხდის მოსკოვის მეფეს ნიკიფორე ელჩისადმი და, საერთოდ, ივერიისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის.

ძირითადი ნაწილი თემატურად მრავალფეროვანია: 1. დასაბუთება იმისა თუ რატომ გადაწყვიტა თეიმურაზმა მოსკოვში ნიკიფორეს მეორედ გაგზავნა; 2. ქართული ეკლესიის მდგომარეობის გაშუქება; 3. ვრცელი დიალოგი, რომელიც გაიმართა თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორეს შორის, ამ უკანასკნელის მოსკოვში გაგზავნის წინ; 4. პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნიკიფორე დათანხმდებოდა მოსკოვში ელჩად წასვლაზე; 5. ლევან II დადიანი – თეიმურაზ მეფისა და რუსეთის ხელმწიფის მტერი; 6. საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი გზების მდგომარეობა; 7. ქართლისა და იქ არსებული სიწმინდეების მდგომარეობა; 8. თეიმურაზ მეფის ურთიერთობა შაჰ სეფისთან; 9. ირან-ოსმალეთის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა.

ბოლოსიტყვაობაში თეიმურაზ მეფე წუხს და ბოდიშს იხდის თავისი ქვეყნის სავალალო მდგომარეობის გამო, მოსკოვის ხელმწიფის ელჩებს რომ საკადრისად ვერ უმასპინძლა და შესაფერისი საჩუქრები ვერ მიართვა.

თეიმურაზ მეფის წერილი, შეიძლება ითქვას ქართული დიპლომატიის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ჩვენამდე მოღწეული უაღრესად საინტერესო და უნიკალური ნიმუშია. მისი ძირითადი ტექსტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თეიმურაზსა და ნიკიფორეზე, როგორც გამობრძმედილ დიპლომატებზე, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკურ ოპონენტს ან პარტნიორს ხან პირდაპირ, ხან გადაკვრითა და მინიშნებებით გაუმხილონ თავიანთი მიზნები და ინტერესები. ეპისტოლეში თეიმურაზი და ნიკიფორე ორიგინალურად, კითხვა-პასუხის სახით გადმოსცემენ თავიანთ სათქმელს. თეიმურაზ მეფე ეშმაკობს: იგი იმგვარად აცნობს მოსკოვის ხელმწიფეს თავის სურვილებსა და მოსაზრებებს, თითქოს მას სხვებმა, განსაკუთრებით კი ნიკიფორემ, ჩააგონა, რომ ხელმწიფის მიმართ დათმობებეზე წასულიყო.

მუხლობრივად განვიხილოთ თეიმურაზ I-ის წერილი:

1. ***დასაბუთება: რატომ გადაწყვიტა თეიმურაზ მეფემ მიტროპოლიტი ნიკიფორეს მეორედ გაგზავნა მოსკოვში?***

თეიმურაზ მეფე მოსკოვში პირველად გაგზავნილ ნიკიფორე მიტროპოლიტს, როგორც თავის ადგილას ითქვა, მაღალ შეფასებას აძლევდა. ამჯერადაც იგი ცდილობს მიხეილ თეოდორეს ძე დაარწმუნოს ნიკიფორეს პატიოსნებაში, რაშიც, სავარაუდოა, მოსკოვში ეჭვი შეჰქონდათ და საქართველოში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმაც ნიკიფორეს მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს. ალბათ, თეიმურაზ მეფე ამიტომ წერდა ხელმწიფეს, რომ ნიკიფორე მისი ნდობით აღჭურვილი დიპლომატი იყო. მე რაც თქვენ მოგწერეთ და რაც მან თქვენს უდიდებულესობასთან ილაპარაკა, ყველაფერი ჩემგან დავალებული ჰქონდა, ის თავისას არაფერს ამბობდა. მან ასევე სრულად და შეუცდომლად მომიტანა თქვენი პასუხიო. „მხოლოდ ლეკების შესახებ, რომელთა წინააღმდეგ დახმარება გთხოვე, არც პასუხი და არც დახმარება მიმიღია“[1]. ნიკიფორეს თეიმურაზისთვის ზუსტი პასუხები მოუტანია ყველა საიდუმლო დანაბარების შესახებ. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ მეფე თავის სხვა დიდებულებთან და არქიელებთან შედარებით ნიკიფორეს, როგორც დიპლომატს, უპირატესობას ანიჭებდა[2].

თეიმურაზ მეფის მიხედვით, მოსკოვიდან დაბრუნებულმა ნიკიფორემ „დაინახა ჩვენს ქვეყანაში არეულობა და უწესრიგობა, რომ შაჰმა წაგვართვა ქართლი და მცხეთის დიდი ეკლესია, სადაც დავანებულია ქრისტეს კვართი, არაგვის ხეობა, (ნიკიფორეს–ე.მ.) ჩემი ასულიც შეებრალა, ატირდა და მთხოვა: „ჩემო ხელმწიფე თეიმურაზ, გამიშვი, დიდხანს გემსახურე, ახლა მცირე ხნით გამიშვი წმიდა იერუსალიმში თაყვანისცემისა და ჩემი მიტროპოლიტად ხელდასხმისათვის... თუ ცოცხალი ვიქენი, ჩემო ხელმწიფევ, დაგიბრუნდები, თუ მოვკვდები, მომიტევე ჩემო ხელმწიფევ“[3].

თეიმურაზ მეფე მიხეილ თეოდრეს ძეს სწერდა, რომ, რადგან მას არ ჰყავდა ნიკიფორეზე ჭკვიანი და სანდო კაცი, რომელსაც სახელმწიფოს საიდუმლო საქმეებს მიანდობდა, მან დედოფლის, უფლისწული დავითის, დიდებულებისა და არქიელების თხოვნა გაითვალისწინა და მიტროპოლიტი ნიკიფორე იერუსა-

---

[1] Там же, с. 6.

[2] Там же.

[3] Там же, с. 10-11.

ლიმში არ გაუშვა. უფრო მეტიც, მას ყველამ ერთობლივად სთხოვა მეორედაც ელჩად წასულიყო მოსკოვში[1].

ამის შემდეგ იწყება თეიმურაზ მეფისა და ნიკიფორეს დიპლომატიური თამაში. მეფე თავის წერილში „გულახდილად“ მოუთხრობს მოსკოვის მეფეს იმ „წინააღმდეგობებზე“, რომელიც მოსკოვში ნიკიფორეს მეორედ გაგზავნის წინ გამომჟღავნდა მეფესა და მის დიპლომატს შორის, ნიკიფორემ როგორ „სამართლიანად და პირუთვნელად“ პირდაპირ უთხრა მეფეს და ყველას, ვინც მას დაჟინებით სთხოვდნენ მოსკოვში წასვლას. „თქვენ ასე ამბობთ: „ერთხელ კიდევ გავაგზავნოთ ნიკიფორე დღეგრძელ, დიდ ხელმწიფესთან, წავიდეს და როგორც დავავალეთ ისე მოაგვაროს ჩვენი საქმეები. ის თუ ჩვენი ბრძანების მიხედვით შეასრულებს ყველაფერს და დიდი ხელმწიფე დაგვეხმარება ლეკების წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ დავიფიცებთ მის ერთგულებაზე და შევალთ მისი ხელისუფლების ქვეშ“[2].

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ მეფე რუსეთთან ურთიერთობაში, ამჯერად, ლეკების საკითხს პირველ ადგილზე აყენებდა და მისი კეთილად მოგვარების შემთხვევაში მზად იყო რუსეთის ქვეშევრდომობა ედიარებინა, მაგრამ მიხეილ თეოდორეს ძემ ლეკების წინააღმდეგ დახმარებაზე თავი შეიკავა, რის გამოც ქართული მხარე უკმაყოფილო დარჩა. მეფესა და მის დიპლომატს შორის გამართულ კამათში იკვეთება მიზანი – რადაც არ უნდა დაუჯდეთ დაარწმუნონ მოსკოვის მეფე, რომ ***ქართული მხარე უკვე წავიდა ისეთ დათმობაზე, რომლის მსგავსი არც ერთ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში არ ჰქონია***. ნიკიფორე თეიმურაზს შეეპასუხა: რაც მოითხოვე, დიდმა ხელმწიფემ ყველაფერი შეგისრულა. ამიტომ ნუ დაუჯერებ იმათ ვინც გეუბნებიან, რომ წინათ, ალექსანდრე მეფის დროს, მართალია, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, ჩვენი ელჩები მიდი-მოდიოდნენ, ხელმწიფე გვეხმარებოდა, ჯარიც მოგვცა და ციხეც ააგო და სხვ. მაგრამ ჯვარზე დაფიცებული სიგელები არასოდეს მიგვიცია, ჩვენს შო-

---

[1] Там же, с. 12-13.

[2] Там же, с. 113.

რის მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა იყოო[1]. ამგვარად, თეიმურაზ მეფე რუსეთის ხელმწიფეს აგებინებდა, რომ წინათ კახეთის სამეფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები მოსკოვის მიერ იოლად გვარდებოდა. ამჟამად კი, ხელმწიფის მოთხოვნით, ქართული მხარე დიდ დათმობაზე წავიდა, ჯვარზე დაიფიცა მისი ქვეშვრდომობისა და სამუდამო ერთგულების შესახებ. ეს საკმარისი არ არის?

თეიმურაზისა და ნიკიფორეს მსჯელობა ლოგიკურად იქითკენ მიდის, რომ მოსკოვის მეფის გასაგონად, თეიმურაზმა უნდა დასვას კითხვა: კიდევ რა დათმობაზე შეიძლება წასვლა, რომ კახეთის სამეფომ მოსკოვიდან სასურველი დახმარება მიიღოს. ნიკიფორე, როგორც გამოცდილი დიპლომატი (თეიმურაზ მეფე ყოველთვის ასეთად წარუდგენს თავის ელჩს რუსთ ხელმწიფეს), ისეთ სამ მოთხოვნას აყენებს, რომლებიც მოსკოვის ხელმწიფისათვის სასარგებლო და მისაღები იქნება. სინამდვილეში, თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფისათვის შეთავაზებულ წინადადებებს ნიკიფორეს პირით ახმოვანებს. ვითომდაც, ნიკიფორე მიტროპოლიტის მიერ წამოყენებული მოთხოვნები (სინამდვილეში თეიმურაზის ნააზრევი) გამიზნულია მიხეილ თედორეს ძისათვის:

1) თეიმურაზი ნიკიფორეს ათქმევინებს, რომ მისი პირველი „მთავარი“ მოთხოვნა პოლიტიკოსის მიერ მიცემული სიტყვის დაცვა და ცხოვრებაში გატარებაა, რადგან „ადამიანის სიტყვა მოდის იქიდან, სადაც სულია... ეს თხოვნები და სიგელები საუკუნეების განმავლობაში დარჩება. მრცხვენია დიდი ხელმწიფისა, რადგან ეს საქმეები და მოთხოვნები, რომლებსაც თქვენგან მოვითხოვ, დიდი საქმეები და მაღალი მოთხოვნებია. ვინც ჭკვიანი და გონიერია, ის გაიგებს, როგორ დასრულდება ეს საქმე. ჩემო მეფეო (თეიმურაზ –ე.მ.), ხედავ, რომ მთელი საქმე კისერზე მკიდია. რასაც შენ დიდი ხელმწიფისაგან მოითხოვ, მე უნდა აღვასრულო ღვთის შეწევნითა და დიდი ხელმწიფის მოწყალებით“[2].

როდესაც ამ პირველ მოთხოვნას გავეცნობით, აუცილებლად გვიჩნდება კითხვა: როდის და რა მოითხოვა მოსკოვის მთავ-

---

[1] Там же, с. 114

[2] Там же, с. 14-15.

რობამ თეიმურაზ მეფისაგან და მან არ შეასრულა? ასეთი პრეტენზია, გამოთქმული რუსული მხარის მიერ ჩემთვის ცნობილ წერილობით წყაროებში არ დაფიქსირებულა. თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში სიტყვის გატეხასა და დანაპირების შეუსრულებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ ამგვარი საყვედურის გამოთქმა მხოლოდ რუსეთის მიმართ შეიძლებოდა და, რა თქმა უნდა, „ნიკიფორეს პირველი მთავარი მოთხოვნა“ მოსკოვში ასეც უნდა გაეგოთ.

2) „ჩემო მეფე, ემთხვიე ჯვარს და მომეცი ქვეშევრდომობის წიგნი იმის თაობაზე, რომ ემორჩილებით დიდ ხელმწიფეს. ჯვარზე მთხვევისა და ერთგულების ფიცის სიგელის მიხედვით, დიდი ხელმწიფე დაგიჯერებს, იზრუნებს თქვენზე, დაგიცავთ ყველა მტრისაგან. ეცოდინება და დაიჯერებს, რომ სრულად ეკუთვნით დიდ ხელმწიფეს“[1].

თეიმურაზის წერილის ზემომოყვანილ ფრაგმენტში, რომელიც, თითქოს, დაიწერა ფიცის დადებამდე, გადმოცემულია მეფის ხანგრძლივი თავშეკავება და მის მიერ სხვადასხვა მიზეზის მოშველიება, რათა მოსკოვის ხელმწიფისადმი ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე ფიცის დადება ჯვარზე დაფიცებით, რამენაირად, თავიდან აეცილებინა. მეფის ასეთი ორჭოფობა ცნობილი იყო რუსი ელჩებისათვის და მათ აღნიშნეს კიდეც თავიანთ ჩანაწერებში. ბუნებრივია, რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი გახდებოდა ყოველივე, რაც ფიცის დადებასთან დაკავშირებით ხდებოდა (რუსების ელჩობა ხომ ძირითადად ამ მიზნით ჩამოვიდა კახეთის სამეფოში). თეიმურაზ მეფეს უნდოდა ხელმწიფისათვის აეხსნა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იგი და მისი ყველა ახლობელი აღმოჩნდა ქვეშევრდომობის სიგელის ჯვარზე დაფიცებით განმტკიცების მოთხოვნის გამო, რომ თეიმურაზი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა იმ უნდობლობით, რასაც მის მიმართ მოსკოვში ამჟღავნებდნენ, მაშინ როდესაც რუსული მხარე საქართველოს მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულების სერიოზულ პირობას სდებდა და არც პასუხისმგებლობას კისრულობ-

---

[1] Там же, с. 15.

და. ყოველივე ამის გამო ჩრდილი ადგებოდა თეიმურაზ მეფის თავმოყვარეობასა და პრინციპულობას.

თეიმურაზმა და მისმა დიდებულებმა ნიკიფორეს ჰკითხეს (თეიმურაზის სიგელის მიხედვით): „თუ ჩვენ იმას გავაკეთებთ, რასაც შენ დანიშნული მიტროპოლიტი ნიკიფორე ჩვენგან ითხოვ, შეძლებ დიდ ხელმწიფესთან აღასრულო ჩვენი თხოვნა და საქმე“[1].

კახთ მეფის წერილის გაცნობისას, რუსეთის ხელმწიფეს და მის კარისკაცებს ნიკიფორეს მიმართ დასმული კითხვა თავიანთ თავზე უნდა გადაეტანათ, უეჭველია, ეს იყო თეიმურაზისა და მისი დიპლომატის ჩანაფიქრი. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით მათი დიალოგის გაგრძელებას თუ მივყვებით და გავაანალიზებთ. ერთი შეხედვით გაკვირვება უნდა გამოეწვია თეიმურაზ მეფისა და მისი კარისკაცების მიერ ნიკიფორესგან წერილობითი გარანტიის მოთხოვნას, რომ მოსკოვის ხელმწიფე მათს თხოვნას შეიწყნარებდა[2].

სრულებით ბუნებრივად ჟღერს ნიკიფორეს პასუხი, რომ კახეთის მეფესა და მოსკოვის ხელმწიფეს შორის ურთიერთობის მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის და შემდეგ დიდი ხელმწიფის ხელშია, ნიკიფორემ კი, მხოლოდ სიბეჯითე და შეუპოვრობა უნდა გამოიჩინოს. ამასთან ერთად, მან მოითხოვა მოსკოვის ხელმწიფეს თეიმურაზ მეფის სამფლობელოებში არსებული ოქროსა და ვერცხლის საბადოების ერთობლივად დამუშავება შესთვაზონ. ამ შეთავაზების მიზანი იყო მატერიალური სარგებლიანობით დაეინტერესებინათ რუსეთის მთავრობა, იქნებ მას თეიმურაზ მეფისათვის რეალური დახმარება აღმოეჩინა. ყურადღებას იქცევს ამ წინადადების შეთავაზების ფორმა. ნიკიფორე თეიმურაზს ეუბნება: რადგან ერთგულების ფიცი ჯვარზე დაფიცებით დადეთ, „დიდმა ხელმწიფემ უნდა იცოდეს რა არის და რა არ არის ივერიის ქვეყანაში. მე ვფიქრობ, რომ არის ისეთი რაღაც, რაც არ არის დიდი ხელმწიფის ქვეყანაში და ვფიქრობ, რომ დიდ ხელმწიფეს ამაში აქვს დიდი გასაჭირი და ამის შესა-

---

[1] Там же.

[2] Там же, с. 15-16.

ხებ უნდა ვაცნობოთ, რომ იცოდეს“[1]. ამის შემდეგ ნიკიფორე წარმოსთქვამს „თავის“ მესამე მოთხოვნას.

3) „ჩემო მეფე თეიმურაზო, აი როგორია მესამე მოთხოვნა. ჩემო მეფევ, შენ ძალიან კარგად იცი, რომ დიდი ხელმწიფის ქვეყანაში [რუსეთში] არ არის ისეთი საბადოები, სადაც იქნებოდა ვერცხლი ან ოქრო. შენს ქვეყანაში კი, როგორც შენც იცი, თუშეთისა და დიტის (?) მთებში არის ვერცხლი და ოქრო. მაშინ, როდესაც შენ მე ელჩად გამაგზავნე კონსტანტინოპოლში, რამდენჯერმე მიბრძანე ოსტატები ჩამომეყვანა, მაგრამ სულთნის შემეშინდა და არ მოგიყვანე. ახლა კი დრო მოვიდა, ჩემო მეფე, და მოგიწოდებ ამის შესახებ აცნობო დიდ ხელმწიფეს, რომ მოგვცეს ოსტატები და მადანი აღმოვაჩინოთ“[2].

როგორც ნიკიფორეს ნათქვამიდან ჩანს, XVII ს. 20-იანი წლებიდან თეიმურაზ მეფემ და მისმა დიპლომატებმა განიზრახეს მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოების ყურადღების მიპყრობის მიზნით, მათთვის შეეთავაზებინათ საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე. შემთხვევით არ უნდა სწერდეს თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს, რომ მადნის სპეციალისტების ოსმალეთიდან ჩამოყვანა სულთნისგან საიდუმლოდ სურდა. ამით თეიმურაზ მეფეს უნდა ადრესატს გააგებინოს, რომ ოქრო-ვერცხლის საბადოები ისეთი სიმდიდრეა, რომლის მთლიანად დაუფლებას სულთანი მოინდომებდა, ამის დაშვება კი ქართველ მეფეს არ შეეძლო, მაშინ, როდესაც ქრისტიან და მფარველ მეფეს თანამშრომლობას სთავაზობს. საინტერესოა, რომ თეიმურაზ მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს არაფერს წერს იმის შესახებ, რომ მან ქართულ მიწაში არსებული სიმდიდრით თავი მოიწონა ესპანეთის მეფესთან და მისი დაინტერესებაც სცადა. ნიკიფორე ირბახმა, 1627 წელს ფილიპე IV-ს მიართვა მოხსენებითი ბარათი, რომლის მოკლე შინაარსი ესპანურ ენაზე, მოხვდა ესპანეთის სამეფო კანცელარიაში. ბარათში, სხვათა შორის ნათქვამია: „რაც შეეხება მის (თეიმურაზის) სამფლობელოებს იბერიაში, ეს მას სრულიად აკმაყოფილებს, რადგან იქ მრავლად არის პროვინციები და გამაგრე-

---

[1] Там же, с. 16.

[2] Там же, с. 16-17.

ბული ადგილები, ***ვერცხლისა და ოქროს ბევრი საბადო*** რომ-ლებსაც ახლა არ ამუშავებენ საომარო მდგომარეობის გამო“[1].

მოსკოვში მიმავალ ნიკიფორე მიტროპოლიტს თეიმურაზ მეფემ დაავალა, რომ საბადოების საკითხი საიდუმლოდ შეენახა და მის შესახებ შეიძლებოდა სცოდნოდათ დიდ ხელმწიფეს, მის ვაზირსა და ნიკიფორეს. მეფემ თავის ელჩს მისცა მითითება თუ რა პირობებში სთავაზობდა საბადოებს რუსებს: „თუ ღმერთი ინებებს და დიდი ხელმწიფე სპეციალისტებსა და ხარჯს გამოგვიგზავნის და [მოპოვებული ოქრო-ვერცხლის] საბადოს გავხსნით, ნახევარი ჩვენ, ნახევარი დღეგრძელ ხელმწიფეს, ოქრო იქნება თუ ვერცხლი, სანახევროდ გავიყოფთ“[2].

4) თეიმურაზ მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა იმას თუ როგორ ეპყრობოდნენ მის ელჩს, რადგან ამის მიხედვით შეიძლებოდა იმის გარკვევა, როგორი იყო რუსეთის ხელმწიფის განწყობა ქართველი მეფისადმი. „დღეიდან ჩვენ უცხოები აღარ ვართ დიდო ხელმწიფე, – წერს თეიმურაზ მეფე, – პირიქით, სრულიად დამორჩილებული ვარ შენი მაღალი ძლიერი ხელისადმი. ამიტომ, დიდო ხელმწიფე, ჩემს ელჩსა და ჩემს საქმეს შენი დიდებულება ნუ შეხედავს ისე, როგორც ირანის, თურქეთის და ფრანკების ელჩს. ისეთი ყურადღება გამოიჩინე ჩემი ელჩისა და საქმის მიმართ, როგორსაც იჩენ შენი მეფური დიდებულების საქმის მიმართ. ჩემს ელჩს ყველა სახელმწიფოში დიდი პატივით ეპყრობიან, როგორც შაჰის, ისე სულთნის [კარზე]. ამიტომ მსურს, რომ ჩემ ელჩს შენს მეფურ დიდებულებასთან ჰქონდეს ისეთივე დიდი პატივი, როგორიც აქვთ სხვა ხალხებს, რადგან ჩემი ელჩის ღირსება არის ჩემი დიდი და მაღალი ღირსება. მიუხედავად იმისა, რომ გავღარიბდით, მაინც ვსარგებლობთ პატივით და უხსოვარი დროიდან ვიწოდებით ივერიის მიწა-წყლის მეფეებად, იმ დროიდან, რაც ჩვენთან ქრისტიანობა შემოვიდა, დიდი მეფე კონსტანტინეს დროიდან“[3].

---

[1] დოკუმენტები, გვ. 423, №61. შდრ. ვათეიშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, №175; ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 96-97.

[2] Переписка, с. 17.

[3] Там же, с. 19-20.

ამის შემდეგ თეიმურაზ მეფე თავის მოთხოვნებს უყენებს მოსკოვის ხელმწიფეს. მისი ***„პირველი დიდი მოთხოვნა“*** არის, ის რომ ხელმწიფემ კახეთის სამეფოში გაგზავნოს რომელიმე დიდი რუსი თავადი ჯარით, რათა დაეხმაროს უწმინდური ლეკების წინააღმდეგ. ორი მხრიდან შეტევით ლეკები განადგურდებიან და დამორჩილდებიან. ისინი ხელს აიღებენ კახეთის რბევაზე. ამასთან ერთად თეიმურაზ მეფემ მოითხოვა ციხე-სიმაგრის აღდგენა იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც, ალექსანდრე II-ის დროს, იდგა ციხე[1]. „თუ ამის შესაძლებლობა არ იქნება მაშინ აგებული იქნეს ახლოს, ჩვენს მთებში, სადაც ჩვენ ვიცით კარგი გამაგრებული ადგილი. ციხე-სიმაგრე დაშორებული უნდა იყოს ჩვენგან იმდენით, რამდენიდაც თერგი დაშორებულია ჩერქეზეთისგან. ქალაქის დასაცავად ხალხი ჩააყენე. მაშინ ლეკებიც დაცხრებიან და ჩვენც თუ თურქების, სპარსელების ან სხვა მტრებისგან დიდი საფრთხის ქვეშ აღმოვჩნდებით, მაშინ ჩვენ დახმარებას მოვიძიებთ შენი მეფური დიდებულების ციხე-სიმაგრიდან და ჩვენ, კიდევ უფრო დიდი ხიფათი თუ დაგვემუქრება, მაშინ დედოფალს, უფლისწულებს, თავადების ცოლებსა და შვილებს შენი მეფური დიდებულების ციხეში შევაფარებთ, მაგრამ, როცა ჩვენი დრო დადგება და დიდი მტერი [დაგვემუქრება], მაშინ ჩვენც შენი მეფური დიდებულების ციხეს შევეფარებით, რათა შენი მეფური დიდებულებისაგან მივიღოთ დახმარება, დაცვა და მტკიცე თავშესაფარი“[2].

თეიმურაზ მეფის ელჩის მიერ მოსკოვში ჩატანილი ეს წინადადება ცნობილი გახდა ირანის კარზე. ამბის თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი, მოჰამედ თაჰერი, გადმოგვცემს შაჰის იმ რეაქციაზე, რომელიც თეიმურაზის განზრახვამ გამოიწვია: „მან (თეიმურაზმა), რადგანაც [რუსების] თანამორწმუნე იყო, მიმართა რუსის ხელმწიფეს და თავისი უფროსი შვილიშვილი გაგზავნა მასთან და დახმარება და შველა ითხოვა. მან მზაკვრულად ურ-

---

[1] Там же, с. 21. ამგვარად, თეიმურაზ მეფემ იგივე მოთხოვნა გაიმეორა რუსეთის მეფის წინაშე, რაც ალექსანდრე II-მ დააყენა XVI ს. 80-იან წლებში. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 270-276.

[2] Переписка, с. 21.

ჩია [რუსთა ხელმწიფეს], რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ყოისუს ციხის სანახებში რამდენიმე სხვა ციხეც იქნება აშენებული, რომლებითაც ჩაიკეტება ჩერქეზეთიდან [ღვთის მიერ] დაცულ ქვეყანაში (ირანში) მოსასვლელი გზები და თუ რუსების მხრიდან დახმარება წამოვა საქართველოს ოლქში, – ეს (ე. ი. დახმარების გამოგზავნა) ადვილად მოხერხდებაო. და რუსთა ქვეყნების ვალიც მოტყუვდა მისი ვერაგობით და რამდენიმე ციხე ხსენებულ სანახებში ააშენა და დანიშნა რაზმი მათ მცველად"[1]. იმავე ისტორიკოსის მიხედვით, ციხეები სპარსელებს დაუნგრევიათ[2].

მოჰამედ თაჰერის ცნობა სრულ წინააღმდეგობაში მოდის რუსული წყაროს ცნობასთან. რუსეთის მთავრობამ, როგორც ქვემოთ ითქმევა, უარი თქვა ჩრდილო კავკასიაში ციხე-სიმაგრის აშენებასა და იქ ჯარის ჩაყენებაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თაჰერმა თეიმურაზს მიაწერა XVI საუკუნეში ლევან კახთა მეფის დროს რუსების მიერ აგებული ციხის სპარსელების მიერ დანგრევა[3].

საყურადღებოა, რომ თეიმურაზ მეფე, მას შემდეგ რაც ნიკიფორე მოსკოვს გაგზავნა, დაღესტნელებთან ბრძოლაში დახმარებაზე ხელმწიფის პასუხს არ დაელოდა და რუსეთთან დამაკავშირებელი გზის გახსნას დამოუკიდებლად შეეცადა. „განიზრახა თეიმურაზ შესვლად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგინი. შემოკრებულითა კახითა შეუჴდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკნი და მოწუა დაბნები. არამედ დიდოთა მოიმწნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა... და მოსწყვიდნეს მრავალნი კახნი"[4].

5) თეიმურაზ მეფის წერილიდან ჩანს, რომ მისი დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი, მოცემულ პერიოდში, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის პოლიტიკური გაუვნებელყო-

---

[1] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი და თარგმანი ვ. ფუთურიძის. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1964, გვ. 384.

[2] იქვე, გვ. 385.

[3] ბოცვაძე თ., საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII საუკუნეები), თბ., 1968, გვ. 89.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 596.

ფა და ოდიშის სამთავრო-რუსეთთის სახელმწიფოს დიპლომატიური დიალოგის ჩაშლა იყო. იგი მოსკოვის მეფეს უხატავს ლევან II დადიანის, როგორც უზნეოს, დაუნდობელის, პოლიტიკურ პარტნიორად არასაიმედოს და ქრისტიანობის მტრის პორტრეტს.

ის, რაც თეიმურაზ მეფის წერილში ლევან II-ის შესახებ უარყოფითი წერია, საისტორიო ლიტერატურის ცნობებით, ძირითადად, დასტურდება.

როგორც თეიმურაზ მეფე აღნიშნავს, ლევან დადიანი წინათ მისი მეგობარი იყო, რაც მოსკოვშიც იცოდნენ ხარიტონის ელჩობის წყალობით. მას მხედველობაში აქვს შაჰ აბასთან თავისი დაპირისპირების პერიოდი, როდესაც დევნილი კახთა მეფის დამცველად დადიანიც გამოდიოდა[1]. „მას შემდეგ, რაც მან ბიძა მოკლა და მისი ცოლო შეირთო, თავის კანონიერ ცოლს კი გაეყარა, ყოველწლიურად ათიდან თხუთმეტათასამდე ბავშვს ყიდის, რისი მოწმეც მთელი სამყაროა. თურქებს, სულთანსა და ვაზირს ყოველწლიურად საჩუქრად უგზავნის ქრისტიანთა ასოც ბავშვს და თურქებს ხარკს უხდის. იგი ყაჩაღივით შეიჭრა იმერეთში, ჩემი სიძე ალექსანდრეს ქვეყანაში, ქრისტეს ათი-თორმეტი ეკლესია გადაწვა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და ყველა წმინდანების ხატები დაჩეხა, ისინი დღესაც დაჩეხილებია და მათ ინახავს ჩემი სიძე ალექსანდრე. მე ყოველივე ამის შესახებ მივწერე მას (დადიანს): შენ, დადიანო, ამ ბოროტების ჩამდენი, ქრისტიანი არა ხარ. და ის ჩემი სასიკვდილო მტერი გახდა. კიდევ იმიტომ ბრაზობს, რომ ჩემი ასული მივეცი ალექსანდრეს. მე კი მას იმიტომ მივათხოვე, რომ სხვა არავინ იყო[2]. (დადიანი –ე.მ.) ჩემ მტრად გადაიქცა და პირველად სულთანთან წამაჩხუბა, მაგრამ ვერავითა-

---

[1] ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ იმ პერიოდში, რომელსაც თეიმურაზ მეფე გულისხმობს, ოდიშის სამთავროს, ლევანის მეურვე, მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. ი. ანთელავას მიხედვით, გიორგი ლიპარტიანი ლევან დადიანის მეურვე არასოდეს ყოფილა. ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 35.

[2] არსებობს ცნობა, რომ დადიანის ერთი ასული ელენე თეიმურაზ I-ის რძალი, უფლისწული დავითის მეუღლე ყოფილა (ქრონიკები, II, გვ. 474). სხვა ცნობით, ელენე კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის ძმისწული იყო (იქვე, გვ. 407).

რი ვნება მომაყენა. ახლა შაჰთან წამაჩხუბა და ჩემი ასული დავკარგე. ამას გარდა სხვა ბევრი ვნება მომაყენა, დიდო ხელმწიფევ... ახლა კი, როგორც მე მეჩვენება, მას შემდეგ რაც დადიანის ელჩი შენს მეფურ უდიდებულესობასთან მოვიდა, შენი მეფური უდიდებულესობის ჩემთან წაჩხუბება უნდა,... გაფრთხილდი, რომ არ მოგატყუოს, მისგან არაფერი სარგებელია. მას არასოდეს არავისთან არ უომია, არც სულთანთან და არც შაჰთან, მხოლოდ არეულობა და ცილისწამება შეუძლია. ამ ზამთარს გარდაიცვალა ჩემი სიმამრი[1] და ჩემი სიძე ალექსანდრე გამეფდა, ახლა კიდევ ჩემს სიძე ალექსანდრეს წაჰკიდებს სულთანთან და ყოველდღიურად აგზავნის ელჩებს თურქებთან, შაჰთანაც აჩხუბებს. მან თავის სიძეს, მანუჩარის ვაჟს, ცილი დასწამა და თვალები ამოწვა. გურიის სახელმწიფო მისცა არქიეპისკოპოსს, რომელიც ახლა გურიაში არქიეპისკოპოსიც და მეფეც არის. ეს არქიეპისკოპოსი ყოველწლიურად ყიდის ათიდან-თორმეტ ათასამდე ბავშვს და თურქებს უგზავნის ოთხმოც ბავშვს, თურქებს უხდის ხარკს, ვის სჯის, ვის ჩამოახრჩობს და ჟამს სწირავს, მაგრამ ამას აკეთებს არაქრისტიანული რწმენით. იმავე დადიანს უნდა ივერთა მიწა-წყალზე მოსპოს მეფის სახელი და თვითონ იყოს ივერიის ერთადერთი მეფე. მისი მამა თავდაპირველად ერისთავი იყო. მისი მოდგმა გაქრა და ახლა ის არის დადიანი. დიდო ხელმწიფევ, არ ენდო მას და არ დაუჯერო მის ელჩს, რადგან იგი ანტიქრისტეა... თუ გიყვარვარ მე, თეიმურაზ მეფე, საქრისტიანო და ივერიის მიწა-წყალი, ნურავითარ საქმეს ნუ მიანდობ ამ დადიანს, არ დაუჯერო და არ მიიღო მისი წერილები, რადგან მან არც ფიცი იცის, არც სხვა რამე. იმისათვის რათა მას არ ენდო, ამისათვის გწერ ყოველივე ჭეშმარიტებას ზუსტად, რათა შენ შემდეგში არ თქვა, რომ მე ამის შესახებ არ მომიწერია. ამიტომ გწერ და თქვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებსაც ვუბრძანე ზეპირად ეცნობებინათ ამის თაობაზე. თუ მე არ გიყვარვარ და არ მწყალობ, მაშინ დადიანს დაუჯერე. თუ მე გიყვარვარ და მწყალობ მე, მეფე თეიმურაზს მენდე, ნუ დაუჯერებ დადიანს და არ მოუს-

[1] უნდა იყოს მძახალი.

მინო არც მას და არც მის ელჩებს. მოიქეცი ისე, როგორც გსურს, დიდო ხელმწიფევ“[1].

6) თეიმურაზ მეფე საინტერესოდ და თავისებურად აშუქებს თავის დამოკიდებულებას ქართლის სამეფოსთან, რომლის დაუფლება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მიზნად დაუსახავს. იგი, როგორც მიხეილ თედორეს ძეს წერს, ქართლის სამეფო არასოდეს არ ყოფილა მისი წინაპრების – პაპის ალექსანდრე I-ის და მამის დავითის გამგებლობაში, მაგრამ მას, თეიმურაზს, ღმერთმა უბოძა და ქართლის სამეფოსა და არაგვის საერისთაოს (ყარაყალყანს) 12 წლის განმავლობაში ფლობდა[2].

თეიმურაზ მეფე, არაფერს ამბობს ქართლის ტახტის დაკარგვის ნამდვილი მიზეზზე (მან რომ დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად იმერეთის მეფის, დადიანისა და მესხეთის თავადაზნაურების მხარდაჭირით შაჰის სამფლობელოები დალაშქრა). მხოლოდ აღნიშნავს, რომ შაჰ სეფის მიერ ქართლის ჩამორთმევის მიზეზი თავისი ასულის არ მიცემა იყო. თეიმურაზი ხელმწიფეს აგრძნობინებს, რომ ქართლის თეიმურაზისათვის სამეფოს დაბრუნება მოსკოვის ინტერესებშიც შედის, რადგან იქ, მცხეთაში დაცულია ქრისტეს კვართი, რომლის დაუფლებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს. ამიტომ, თუ ღმერთი ინებებს, ქრისტეს ძალითა და მისი მეფური უდიდედებულესობის წყალობით ისინი, თეიმურაზ მეფე და რუსეთის მეფე, „კვლავ დაეუფლებიან ქართლს, მცხეთის დიდ ეკლესიას და არაგვის საერისთაოს“[3].

თეიმურაზ I-ის რუსეთის სახელმწიფოსთან დიპლომატიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქრისტეს კვართის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ წინათ სპეციალურად შევისწავლე ქრისტეს კვართის ისტორია[4] და წინამდებარე მონოგრაფიაშიც ნაწილობრივ შევეხე, მაინც უნდა ითქვას თეიმურაზ მეფის დიპლომატიური მოღვაწეობის ამსახველ ამ საკითხზე.

---

[1] Переписка, с. 22-24.

[2] Там же, ც. 24.

[3] Там же, ც. 24-25.

[4] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.

* * *

უკვე ითქვა, რომ მიტროპოლიტმა ნიკიფორემ 1635 წელს მოსკოვში მიიტანა თეიმურაზ I-ის წერილი, რომელშიც სხვადასხვა ამბებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ „ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა თავისი მოწყალება არ მოაკლო და (საქართველოში) ქრისტიანობის მოსპობა საბოლოოდ არ დაუშვა, რადგან აქ მცხეთის დიდ ეკლესიაში მოთავსებულია ქრისტეს სამოსელი. აქვეა დღესაც ჩვენი საპატრიარქო“[1]. იმისათვის, რათა ყოველგვარი ეჭვი გაფანტულიყო, თეიმურაზ მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს თხოვდა: „თქვენს თვითმპყრობელურ მეფობას შევთხოვთ არ დააკავოთ ჩვენი ელჩი და მასთან ერთად თქვენი ელჩი გამოგზავნოთ... რათა მან დაათვალიეროს ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, წმინდა ეკლესიები და ივერთა მთელი ქვეყანა, მცხეთის დიდი ეკლესია, სადაც მოთავსებულია ქრისტეს სამოსელი და დღესაც იქ არის, რათა თქვენმა თვითმპყრობელობამ ჭეშმარიტება იცოდეს. ქრისტეს სამოსელი კახეთში კი არა ქართლშია“[2]. როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფე ცდილობდა თავისი ელჩის, თეოდოსე მანგლელი რევიშვილის მიერ შეგნებულად დაშვებული უზუსტობა გაესწორებინა. თეოდოსეს ვარაუდით, ასე გააძლიერებდა მოსკოვის ხელისუფლების ყურადღებას თეიმურაზ მეფის კახეთის მიმართ. ელჩის ამგვარმა წინდაუხედავმა ნათქვამმა დიდად შელახა ქართული ელჩობისადმი მოსკოვის კარის ნდობა.

თეიმურაზ მეფის წინადადება მოსკოვში მიიღეს და გადაწყვიტეს საქართველოში გამოეგზავნათ ელჩი, რომელიც მცხეთასაც მოინახულებდა[3]. მიტროპოლიტ ნიკიფორესაც თავის მხრივ უთქვამს, რომ ქრისტეს სამოსელი კახეთში კი არ არის, არამედ ქართლშია. ის მოთავსებულია იმ ეკლესიის შუა ქვის ბალახანაში, რომელიც აგებულია იქ, სადაც სამოსელზე ამოზრდილი კედრის ხე მოჭრეს. შაჰს იმ ბალახანის დანგრევა უნდოდა, მაგრამ ისინი, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, ცეცხლმა შთანთქა, სხვები კი

---

[1] Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией. Изданы под редакциею Н. И. Василевского, СПб., 1892, с. 112.

[2] Полиевктов М., Материалы, с. 118.

[3] Там же, с. 171, 190.

გაიქცნენ. უფლის სამოსელის ნახვა არავის შეუძლია, რადგან ის ქვითაა ამოშენებული.

მიტროპოლიტმა მოსკოვის ხელმწიფეს თხოვა, რომ მისთვის ეჩვენებინათ შაჰის მიერ გამოგზავნილი ქრისტეს კვართი. თეიმურაზის ელჩის ამ თხოვნიდან ჩანს, რომ საქართველოში ცნობილი იყო, მაგრამ როდიდან არ ვიცით, შაჰ აბასის ქრისტეს კვართთან დაკავშირებულ სიყალბეზე და ნიკიფორე ცდილობდა ამ სიცრუისათვის ფარდის ახდას. მისი მოთხოვნის სამართლიანობისათვის წონის შესაძენად, მან ხელმწიფეს აღუთქვა, რომ როდესაც რუსი ელჩები საქართველოში ჩამოვიდოდნენ, მცხეთაში ისინი დაუბრკოლებლად, საკუთარი თვალით ნახავდნენ ქრისტეს კვართს[1].

ხელმწიფის ბრძანებით, ნიკიფორეს თხოვნა დააკმაყოფილეს და მას აჩვენეს ქრისტეს ის სამოსელი, რომელიც „მეფის უმაღლესობას ყიზილბაშმა შაჰმა გამოუგზავნა“[2]. სამწუხაროდ, ნიკიფორე თავის წერილებში არ აღნიშნავს, როგორი შათაბეჭდილება მოახდინა ნანახმა. სავარაუდოა, ნიკიფორემ უარყო შაჰის მიერ მოსკოვის ხელმწიფისა და პატრიარქისადმი გაგზავნილი საჩუქრის რეალობა და ამიტომ თეიმურაზ მეფესთან გამოგზავნილ ელჩებს დაევალათ კახთა მეფისათვის ეთხოვათ მცხეთაში დაცული უფლის კვართი მოსკოვში გაეგზავნა.

როგორც ითქვა, 1637 წელს მოსკოვიდან გამოიგზავნა განსაკუთრებული ელჩობა, რომლის წევრებს სხვადასხვა დავალება მიეცათ. მათ უნდა შეეგროვებინათ ცნობები საქართველოს ეკონომიკურ, სავაჭრო და სამხედრო მდგომარეობაზე. ელჩობის სასულიერო პირებს კი დაევალათ ქვეყნის საეკლესიო და რელიგიური მდგომარეობის შესწავლა. რუსი სასულიერო პირები უნდა დაინტერესებულიყვნენ აგრეთვე, საქართველოს სიწმინდეებით. მათ განსაკუთრებით დაწვრილებით, სანდო და ზუსტი ცნობები უნდა შეეკრიბათ მცხეთაში ქრისტეს კვართზე. ელჩობის ერთ-ერთი წევრი იყო ბერი არსენ სუხანოვი, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოში და ფრიად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა.

---

[1] Там же, с. 201.

[2] Там же.

1639 წ. 16 აპრილს ზაგემში მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, რუსმა ელჩებმა თეიმურაზს მოსთხოვეს, დაპირების თანახმად, ეჩვენებინა ქრისტეს კვართი, რათა საბოლოოდ გაერკვიათ რას წარმოადგენდა შაჰის მიერ რუსთ ხელმწიფისა და პატრიარქისათვის გაგზავნილი საჩუქარი. თეიმურაზ მეფემ რუს ელჩებს უპასუხა: ვიდრე მიტროპოლიტ ნიკიფორეს მოსკოვში გავაგზავნიდი, ჩემს მამულში, ქართლში ვიყავი და მცხეთაც, სადაც კვართია, მე მეკუთვნოდა. ნიკიფორეს მოსკოვში გამგზავრების შემდეგ შაჰი მოვიდა და ქართლი წამართვა. ამდენად კვართის ნახვის საშუალება აღარ გვაქვს[1]. რაც შეეხება შაჰის მიერ მოსკოვში გაგზავნილ საჩუქარს, გააგრძელა თეიმურაზმა თავისი მოსაზრების გამოთქმა, ის შეიძლება რუსთველი ეპისკოპოსის ფერიცვალობის ეკლესიიდან წაღებული ღვთისმშობლის სარტყელი არის, მაგრამ ის ეკლესიაც ჩემს სამფლობელოებში აღარ არის[2], ამიტომ მისი ნახვაც აღარ შეიძლება. ქართლი, რომ ხელთ მქონდეს, ელჩებს უფლის კვართს, მცხეთის დიდ ეკლესიას, სასწაულმოქმედ ნაწილებსა და წმინდა დიდებულ ხატებსაც ვაჩვენებდი. თუ ხელმწიფე დამეხმარება, მაშინ ჩემს ხელთ იქნება ქართლი, მცხეთა და უფლის სამოსელიც და ჩვენს ივერიის ქვეყანასა და იქ არსებულ ყველაფერს ხელმწიფეს მივცემო[3].

მოსკოვის ხელმწიფისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილებში თეიმურაზ I საბოლოოდ აყალიბებს თავის მოსაზრებას მცხეთაში არსებული ღვთის სამოსელისა და შაჰის საჩუქრის შესახებ: ***„უფლის სამოსელი, რომელიც თქვენს მეფურ უდიდებულესობას აქვს და, რომელიც [მოსკოვში] მიტროპოლიტ ნიკიფორეს აჩვენეს, ის სამოსელია რუსთველის ეკლესიიდან, ე.ი. უწმინდესი ღვთისმშობლის სარტყელია... გადმოცემით ვიცით, რომ ღვთის სამოსელი, მცხეთის დიდ ეკლესიაშია და არა რუსთველისაში. როცა შაჰ აბასი მოვიდა და ჩვენი მამული დაიპყრო, მაშინ ის სარტყელი, რომელსაც თქვენთან უფლის სამოსელს ეძახიან, შაჰმა წაიღო და თქვენს მეუფებას გამოუგზავნა. ნამდვილი სამოსელი დღესაც მო-***

---

[1] Там же, с. 313-314, 349.

[2] Там же, с. 314.

[3] Там же, с. 350-351.

თავსებულია მცხეთის დიდ ეკლესიაში, რომელიც ქართლშია და არავის ძალუძს იმისი ამოღება. თუ ღმერთი ინებებს და ქართლს დავიპყრობთ, მაშინ ყველაფერი, მცხეთის დიდი ეკლესიაც და უფლის სამოსელიც შენი დიდი სამეფოსი იქნება, ჩვენც ყველანი თქვენი მეფური უმაღლესობის ხელქვეითი გავხდებით, დიდო ხელმწიფევ. ამინ"[1].

ამგვარად, თეიმურაზ I-ის მიზანი სრულიად ნათელია და მიხეილ თედორეს ძესაც ასევე დაუფარავად წერს: თუ რუსეთისათვის ქრისტეს კვართი ძვირფასია და მისი დაუფლება სურს, მაშინ ხელმწიფე უნდა დაეხმაროს თეიმურაზს დაიბრუნოს ქართლის სამეფო. რუსთ ხელმწიფის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად უძვირფასესი სიწმინდეც ხელმწიფისათვის ხელმისაწვდომი გახდება. თეიმურაზი იმასაც გასაგებად ამბობს, რომ კვართს ვერც ვერავინ ამოიღებს და ვერავინ წაიღებს საქართველოდან, ე. ი. ყველა შემთხვევაში, კვართი სვეტიცხოველში დარჩება.

აუცილებლად უნდა ითქვას თეიმურაზ მეფის ერთ „უნებლიე" შეცდომაზე. როგორც ზემოთ ითქვა, მან რუსეთის ხელმწიფეს მისწერა: როდესაც მიტროპოლიტი ნიკიფორე ბერძენი მოსკოვში ელჩად გამოვაგზავნე, მაშინ ქართლი მე მეკუთვნოდა და ამიტომ მოგიწოდებდით ჩამოსულიყავით საქართველოში, საკუთარი თვალით გენახათ და დარწმუნებულიყავით, რომ კვართი მცხეთაში ინახებოდაო. რა თქმა უნდა, ეს შეგნებულად დაშვებული შეცდომა იყო. ნიკიფორე მოსკოვში წავიდა 1635 წელს, მაშინ, როცა თეიმურაზს ქართლი უკვე დაკარგული ჰქონდა. 1633 წელს როსტომ-ხანმა ქართლი დაიპყრო.

თეიმურაზ მეფეს აღნიშნული „შეცდომით" სურდა გაერკვია იყო თუ არა რუსეთი მზად გადაედგა გაბედული ნაბიჯი კვართის დასაუფლებლად და, რაც მთავარი იყო, კვართის საკითხი გადაექცია რუსეთის, როგორც მძლავრი მოკავშირის და მფარველის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებად. თეიმურაზ მეფე კვართის საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთთან ურთიერთობის თავის სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის. 1646 წ.

---

[1] Там же, с. 353.

მოსკოვში წარგზავნილი გიორგი ჩოლოყაშვილისადმი ნაბრძანებიდან: „ჩოლოყაშვილის ბატონის გიორგისათვის ჩვენი პასუხი დიდისა ყოვლის პყრობელის ჭელმწიფესთან ეს დაგვიბარებია. თუ ამას გვიზამს, რომ ქართლი დაგვაჭერინოს და იმაზედ მოგვეხმაროს, პატრიარქად იმათი ბერი დასვან: მაცხოვრის კვართია იქა, ადვილის საქმით დავიჭერთ და ჩემს შვილს[1] გიორგის ჭელმწიფეს მივსცემ: თუ ამას არ გვიზმენ, ამდენი ქრისტიანი ტყვე თათრდება, ლეკნი ჩამოგუხსნან, ციხე აუგონ, როგორც კვლავ ყოფილა და იმისთვისთცა მივსცემ შვილსა: თუ არც ეს ქნან, ჩემს უხუცეს შვილს ლუარსაბს ქალი მოსცეს, საქართველო საბოლოოთ ჭელმწიფისა იქნება...“[2].

ამგვარად, თეიმურაზ მეფე თავის წარმომადგენელს ავალებს, რომ მან მოსკოვის მთავრობას, მისი კავკასიაში გააქტიურებისათვის, პირველ რიგში ყველაზე მომხიბვლელი წინადადება შესთავაზოს: მცხეთაში რუსი კაცის გაპატრიარქებით ქრისტეს კვართი, პრაქტიკულად, რუსთა ხელში აღმოჩნდება. თეიმურაზის ციტირებული წერილი, რა თქმა უნდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პოლიტიკოსის ცდაა რამენაირად გაიჩინოს რეალური მოკავშირე ირანის წინააღმდეგ. მაგრამ ამის მიღწევა მაშინ შეუძლებელი იყო. რაც შეეხება კვართს, რუსეთს, უეჭველია, მისი დაუფლება სურდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ კი მისი მცხეთიდან მოსკოვში გადატანა მოხერხდებოდა. მაგრამ მათ ამის განხორციელების იმედი, როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაზმა თავიდანვე გადაუწურა.

ქრისტეს კვართი რომ ნამდვილად მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში იყო, რუსები საბოლოოდ დარწმუნდნენ 1652 წელს, როდესაც საქართველოს მეორედ ეწვია ცნობილი არსენ სუხანოვი. 24 სექტემბერს, მან შეძლო სვეტიცხოველში მისვლა და დათვალიერება.

ა. სუხანოვის მიერ მოსკოვში მიტანილ ცნობას ქრისტეს კვართის შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: გაირკვა

---

[1] თეიმურაზ მეფეს ამ დროს საკუთარი ვაჟი აღარ ჰყავს. იგი დაღუპული უფლისწული დავითის ვაჟებს თავის შვილებად მოიხსენიებს.

[2] Переписка, с. 64.

რომ შაჰ აბას I-ს კვართი არ წაუღია და დამტკიცდა ქართველთა სიმართლე: სიწმინდე ხელუხლებელი და დაცული იყო თავდაპირველი დავანების ადგილას. ამის შემდეგ მოსკოვის პოლიტიკური და საეკლესიო მესვეურნი მოერიდებოდნენ საქართველოს სამეფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს კვართის საკითხის განხილვას, მით უფრო მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი თავისი მიზნების მისაღწევად, ამ საკითხით სპეკულაციას ეწეოდა[1].

* * *

დავუბრუნდეთ თეიმურაზ მეფის წერილს და განვიხილოთ ის ადგილი, სადაც სერიოზულად და დელიკატურად გამოთქმულია უკმაყოფილება მოსკოვის ხელმწიფის მიმართ, რომელიც კახეთის მეფის სათხოვარს არაოპერატიულად გამოეხმაურა და ელჩი კი, შეუწყნარებლად დიდი ხნით, მოსკოვში დააყოვნა. მოსკოვის ხელმწიფეს უნდა გაეთვალისწინებინა თეიმურაზ მეფის მდგომარეობა, რომელსაც გამუდმებით ექსტრემალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. თეიმურაზ მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს იმასაც აგრძნობინებს, რომ მის თავს დატეხილი უბედურება, გარკვეულწილად იმითიც იყო გამოწვეული, რომ იგი მოსკოვის ხელმწიფესთან დამოყვრებას ცდილობდა.

თეიმურაზ მეფე მიხეილ თედორეს ძეს შეახსენებს, რომ როდესაც თავისი ელჩი ნიკფორე მიტროპოლიტი პირველად გაგზავნა მოსკოვში, იმ დროს ქართლი და კახეთი გაერთიანებული იყო ერთ სამეფოდ, მის შემდგენლობაში შედიოდა მცხეთის დიდი ეკლესია. აქვე იყო არაგვის ხეობა ძველი და კეთილმოწყობილი გზა, რომლითაც იმოგზაურეს რუსეთიდან ჩამოსულმა პირველმა ელჩებმა. თავის ძალებში დარწმუნებულმა თეიმურაზმა ნიკიფორე გაგზავნა მოსკოვში, რათა ხელმწიფისათვის ეთხოვა ელჩების გამოგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოს, მასში ქრისტიანობის მდგომარეობის გასაცნობად, დასათვალიერებლად მცხეთისა, სადაც

---

[1] მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 79-82.

დაცულია ქრისტეს კვართი და სხვ. „დიდო ხელმწიფევ, მე არ ვიცოდი, რომ ვიდრე ჩემი ელჩი შენი მეფური უდიდებულესობისგან დაბრუნდებოდა, შაჰი მოვიდოდა, დაიპყრობდა ქართლს, დიდ ეკლესიას და არაგვის საერისთაოს, ეს არ ვიცოდა და არც მივარაუდია, რომ ასე მოხდებოდა. არც ჩემმა ელჩმა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. ისე არ მოხდა, როგორც ვფიქრობდით. დიდება შენდა ღმერთო: ღმერთს ვინც უყვარს, იმას სჯის. ვფიქრობდი, ***რადგანაც ვფლობ ქართლს, [მცხეთის] დიდ ეკლესიას, არაგვის საერისთაოს,*** არ მივცემ ჩემს ქალიშვილს შაჰს, რათა სულიერად არ დაღუპულიყო და აგარიანთა ხელში არ ჩავარდნილიყო. ბევრი ვეცადე მანამდე გამეძლო, ვიდრე ჩემი ელჩი, რომელიც ხელმწიფის უდიდებულესობასთან გავგზავნე [მოსკოვში] ჩასვლას მოასწრებდა. მაგრამ ელჩი იქ დიდხანს დარჩა და [ერთი მხრიდან] შაჰმა, ხოლო მეორე მხრიდან დადიანმა შემავიწროვეს. [შაჰმა] წამართვა ქართლი და ქალიშვილი. ეს ჩემი სურვილით კი არა, ძალადობით მოხდა. [თავდაპირველად] ჩემი ქალიშვილი და ვაჟი თუშეთის მთებში გავხიზნე და დღედაღამ ჩემს ელჩს ველოდი, რათა გამეგო ჩემი ელჩი რა პასუხს მომიტანდა შენი მეფური უდიდებულესობისგან. მაგრამ ჩემი ელჩი არ ჩანდა, არ მოდიოდა. მე გაკვირვებული ვიყავი და არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, მავიწროებდნენ და მდევნიდნენ, რისი მოწმეა ღმერთი. იმდენად დიდმა ჯავრმა შემიპყრო, რომ ***მინდოდა შენი მეფური უდიდებულესობის ქვეყანაში წამოვსულიყავი და თან წამომეყვანა დედოფალი, უფლისწულები და ჩემი თავადები, რათა გადამერჩინა ჩემი ქალიშვილი“***[1].

თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს არც იმას უმალავს, როგორი საშიში სახე მიიღო საგარეო მუქარამ მისი ხელისუფლებისათვის. ამგვარმა მდგომარეობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: თავადებმა მეფეს საშუალება არ მისცეს დაეტოვებინა დედაქალაქი და არც თვითონ აპირებდნენ ქვეყნის დატოვებას. ისინი მოითხოვდნენ მეფეს თავისი ქალიშვილი შაჰისათვის მიეცა, შერიგებოდა და ქვეყანაც დამშვიდდებოდა. თეიმურაზი გარკვეულ დრომდე, უკმაყოფილო თავადებს პასუხს არ აძლევდა. „რა უნდა

---

[1] Переписка, с. 25-26.

მექნა? ერთი მხრიდან შაჰი ამიმხედრდა, ***მეორე მხრიდან დადიანი [თავადებს] აქეზებდა.*** ამიმხედრდა ყველა თავადი, დიდი და მცირე, მთელი ხალხი, ძალით წაიყვანეს ჩემი ქალიშვილი და შაჰს გაუგზავნეს. ***ყოველივე ეს [შაჰს] დადიანმა ჩააგონა.*** ასე დავკარგე ჩემი ქალიშვილი. იმავე დადიანმა შაჰს მისწერა, რომ მეფე თეიმურაზს უნდა მოსკოვის ხელმწიფეს დაუმოყვრდეს. [აი რა მისწერა დადიანიმა შაჰს]: „შენ [თეიმურაზი] მხოლოდ შეაწუხე და შეავიწროე, რათა ქალიშვილი მოგცეს, დაიპყარი მისი ქვეყანა, სასწრაფოდ, ვიდრე დიდი ხელმწიფისაგან ელჩი მოვიდოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე თეიმურაზი ქალიშვილს აღარ მოგცემს“. აი რა და სხვაც კიდევ მეტი ჩაიდინა დადიანმა. მას ღმერთმა მოჰკითხოს, შენი დიდი მეფობა კი დღეგრძელი იყოს. ჩემი ელჩი კი იგვიანებდა, ვიღაცეები ამბობდნენ, რომ იგი მოკვდა, სხვები ამბობდნენ, რომ ზღვაში დაიხრჩო. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ***დიდო ხელმწიფევ, ჩემ ელჩს რომ მოესწრო შენი დიდი მეფური უდიდებულესობის ელჩთან ერთად, ყველა საქმე და განზრახვა კარგად აღსრულდებოდა“***[1].

თეიმურაზ მეფის წერილის განხილული ფრაგმენტიდან კიდევ ერთხელ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადგილი, სადაც ლაპარაკია ქართლ-კახეთის ერთიანობაზე ნიკიფორე მიტროპოლიტის მოსკოვში გაგზავნის დროს, რაც, როგორც ითქვა სიმართლეს არ შეეფერება. ქართლი ჯერ კიდევ 1633 წლის გაზაფხულზე როსტომ ხანმა ყიზილბაშთა ჯარით დაიპყრო. საინტერესო და გასაკვირიც არის, რომ თეიმურაზ მეფე თავის წერილში არც ერთხელ არ ახსენებს როსტომ მეფეს, რომელთანაც განუწყვეტელი და წარუმატებელი ბრძოლა ჰქონდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზის დუმილი როსტომზე განპირობებული იყო იმით, რომ მოსკოვის ხელმწიფის ყურადღება მთლიანად შაჰზე გადაეტანა და იგი ყველაფერში დაედანაშაულებინა. მოსკოვის ხელმწიფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა შაჰთან და ეს უკანასკნელი თუ მოინდომებდა ქართლის სამეფოს საკითხი თეიმურაზის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ალბათ, ასე ფიქრობდა თეიმურაზი.

---

[1] Там же, с. 26.

თეიმურაზის თქმით, მისი ხელისუფლებისათვის არანაკლები საშიში იყო ოდიშის მთავარ დადიანის მოქმედება, რომლის წაქეზებით შაჰი დიდ ზიანს აყენებდა კახეთის სამეფოს. ამგვარად, ***თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს პირდაპირ ეუბნებოდა, რომ მისმა მეგობარმა შაჰმა მისი ქვეშევრდომი მეფე (თეიმურაზი–ე.მ.) ამგვარ საშინელებაში ჩააყენა, ხელმწიფეს შეუძლია გავლენა მოახდინოს შაჰზე, მაგრამ ამას არ აკეთებს***.

თეიმურაზ მეფე დადიანის უარყოფით როლზე კახეთ-რუსეთის ურთიერთობაში კვლავ უბრუნდება, მაშინ როდესაც ნიკიფორე მიტროპოლიტისა და რუსი ელჩების კახეთში ჩამოსვლის სირთულეებზე წერს. როგორც თავის ადგილას ითქვა, ელჩებს თერგის ციხიდან წამოსვლა გაუძნელდათ და ნიკიფორემ თეიმურაზს დახმარება სთხოვა. როდესაც მეფე ელჩების შესახვედრად გაეშურა, „დადიანმა შაჰს მისწერა: მეფე თეიმურაზმა მოგატყუა [თითქოს] შეგირიგდა. ხედავ, როცა იგი მთებში წავიდა ჯარის შესაგროვებლად, მოსკოვიდან დაბრუნდა მისი ელჩი რუსეთის დიდი ხელმწიფის ელჩებთან ერთად ჯარით. მას უნდა მთებში სიმაგრეები ააგოს და ჯარი შეკრიბოს შენი, შაჰის, წინააღმდეგ. დიდო ხელმწიფევ. ამგვარი სიტყვებით აქეზებდა დადიანი შაჰს“[1].

თეიმურაზ მეფემ, ნიკიფორეს რჩევით, შაჰს მისწერა: „შენს საზიანოდ კი არ გავაგზავნე ელჩი დიდ ხელმწიფესთან, არამედ იმიტომ, რომ ვიცი პაპაჩემი ალექსანდრეს დროიდან ასევე იგზავნებოდნენ ელჩები. ისინი მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ. ჩვენ ხომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ და ერთი რწმენა გვაქვს. ამიტომ [ელჩი] გავაგზავნე და ეკლესიებისთვის მხატვრები და ხატები ვითხოვე, რომ დიდმა ხელმწიფემ მოიღოს მოწყალება, რადგან ჩემი ქვეყანა განადგურებულია. არ უსმინო დადიანს, რადგან ***დადიანი ჩემი მომაკვდინებელი მტერია***“[2].

უმთავრესი რაც თეიმურაზ მეფემ შაჰს მისწერა იყო რუსეთის ხელმწიფესთან და ირანის შაჰთან კარგი ურთიერთობის დამყარება. „შაჰო ნუ მოუსმენ მტრების სიტყვებს, ნუ მედავები და ნუ მოსპობ ჩვენს შორის სიყვარულს. შენ შაჰო, როგორ მშვიდო-

---

[1] Там же, с. 29-30.

[2] Там же, с. 30.

ბიანადაც ცხოვრობ მოსკოვის დიდ ხელმწიფესთან, მეც მინდა მასთან მშვიდობიანი ცხოვრება. ვინც შენი მეგობარია, მეც მინდა მისი მეგობარი ვიყო, ხოლო ვინც შენი მტერია, მეც მისი მტერი ვიქნები“. იმავე დროს თეიმურაზ მეფეს შაჰისათვის უთხოვია, რომ მოსკოვში მიმავალი მისი და ხელმწიფის ელჩები ირანის სამფლობელოებზე, კერძოდ შემახის გზით გაეტარებინა. შაჰმა ელჩი კარგად მიიღო და მან და მისმა დედამ თეიმურაზს წერილებიც გამოუგზავნეს. შაჰი თეიმურაზს წერდა, რომ იგი მშვიდათ ყოფილიყო, ელჩები მშვიდობიანად გაივლიდნენ მის სამფლობელოზე. „მეფე თეიმურაზ, – წერდა შაჰი, – ამიერიდან შენი შვილი ვარ, შენ კი მამაჩემი, ჩვენი სიტყვა იქნება სიტყვა, სიყვარული – სიყვარული, მეგობრობა კი მეგობრობა. მტრის არც ერთი სიტყვა არ დაიჯერო, ისევე როგორც მე არ დავიჯერებ. იყოს [ჩვენ შორის] მხოლოდ სიყვარული, მეგობრობა და მშვიდობა“[1].

როგორც შაჰმა ადიარა თეიმურაზი თავის მამად, ისე თეიმურაზი მიმართავს მოსკოვის მეფეს: „ახლა, დიდო ხელმწიფევ, გწერ, როგორც ჩემს მამას“. შაჰმა საიდუმლოდ მისწერა თეიმურაზს, როგორი ცუდი შედეგი გამოიღო მათ შორის მტრობამ ორივე მხრისათვის. ეს მოხდა იმიტომ, რომ შაჰმა თავის მტრებს მოუსმინა და თეიმურაზს წაეჩხუბა. ამის გამო იყო, რომ თეიმურაზი თურქებს დაუკავშირდა და ისინი შაჰის წინააღმდეგ აამხედრა. შემდეგ შაჰ სეფი წერდა: „პაპაჩემმა შაჰ აბასმა ასეთი ფიცი დადო: „ვიდრე თეიმურაზ მეფე ცოცხალია, მას ნუ წაეკიდები“. მას შემდეგ, რაც შაჰი გავხდი, შენთვის არავითარი ვნება არ მომიყენებია, მხოლოდ მოგთხოვე და წამოვიყვანე შენი ქალიშვილი, ისიც მხოლოდ მტრების ჩაგონებით. მთელი არეულობა დადიანმა გამოიწვია. ამის შემდეგ ჩვენს შორის იყოს მეგობრობა და სიყვარული, ვინც ჩემი მეგობარი იქნება, შენც იმის მეგობარი იყავი, ხოლო, ვინც ჩემი მტერი იქნება, შენც იმის მტერი იყავი. თუ თურქებთან არ შევრიგდებით და ისინი, ჩემს საწინააღმდეგოდ, ერევანზე წამოვლენ, შენ ჯარს მოგცემ, ჩემი სიყვარულისათვის შენი ჯარი და მთიელების ჯარიც შეკრიბე. თურქებს ქართველე-

---

[1] Там же, с. 30-31.

ბისა და შენი ეშინიათ. ასე მოიქეცი, დამეხმარე, შემდეგში კი რასაც ისურვებ ან მთხოვ, იმას მოგცემ“[1].

თეიმურაზ მეფეს შაჰთან თავის ურთიერთობის აღწერით უნდა მოსკოვის ხელმწიფეს გააგებინოს, რომ მიუხედავად ყველა განცდილი გაჭირვებისა, მისი სამეფო იმდენად სერიოზულ სამხედრო ძალას ფლობს, რომ მას ანგარიშს უწევენ მისი მეზობლები და მისგან დახმარებასაც კი ითხოვენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ირანი. იგი დასუსტებულია და თუ ოსმალები თავს დაესხმიან, ისინი მთელ ქვეყანას დაიპყრობენ. ყოველწუთს მოსალოდნელია ირან-ოსმალეთის ომის დაწყება. თეიმურაზ მეფე გაურკვეველ მდგომარეობაშია, არ იცის როგორ განვითარდება მოვლენები[2]. წერილის მიხედვით ***თეიმურაზ მეფე წარმოჩინდება, როგორც კავკასიის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფიგურა და აქტური მონაწილე.***

წერილის დასასრულს თეიმურაზ მეფე წუხილს გამოსთქვამს, რომ ხელმწიფეს ვერ უგზავნის შესაფერის საჩუქრებს, საკადრისად ვერ უმასპინძლა მის ელჩებს, მათ ვერ უჩვენა მცხეთა და ვერც ქრისტეს კვართი, სვეტიცხოვლის ტაძარში დაცული ძველი ხატები და სასწაულმოქმედი ნაწილები.

ამგვარად, კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო, ზოგადად, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების აღწერისას, თეიმურაზ მეფე ამჟღავნებს მოქნილი დიპლომატისათვის დამახასიათებელ, პარტნიორზე ზემოქმედებისა და თავისი ზრახვების შენიღბვის უნარს, შეუძლია გაითამაშოს გულუბრყვილო მეფის როლი, რომელსაც თითქოს არ ძალუძს არ გაითვალისწინოს, უფრო მეტიც, არ მოიქცეს ისე, როგორც თავისი დიპლომატები და კარისკაცები ურჩევენ და იმოქმედოს თავისი სურვილის წინააღმდეგაც კი. თეიმურაზ მეფე, ზოგჯერ, როცა საჭიროა, არც ფაქტების გაყალბებას, გაუბრალოებას ან გაზვიადებას ერიდება. შეუძლია მოხერხებულად, მოჩვენებით შეიცვალოს პოზიცია და იგი შეუხამოს ძლიერი პოლიტიკური პარტნიორის ინტერესს. მაგალითად: ***თეიმურაზ მეფემ მრავალი, მახლობელი თუ შორეული***

---

[1] Там же, с. 31-32.

[2] Там же, с. 32-33.

სახელმწიფოს კართან დიპლომატიური ურთიერთობისას მოსინჯა ირანის წინააღმდეგ მოკავშირის მოპოვების შესაძლებლობა, და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამგვარი შანსი არ არსებობდა. გაითვალისწინა რა რუსეთისა და ირანის მშვიდობიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა, რაც თეიმურაზ მეფისათვის სრულიად მიუღებელი იყო, შეცვალა ტაქტიკა და, როგორც მისი წერილიდან ჩანს, რუსეთის ხელმწიფის წინაშე თავს იწონებდა შაჰთან კარგი ურთიერთობით. კახეთის მეფე ფიქრობდა, რუსთ ხელმწიფე, ირანთან ბრძოლაში თუ არ გამოადგებოდა, დაღესტნელების ალაგმვაში მაინც მიემხრო. მან გამოაცოცხლა თავისი დიდი წინაპრის, ალექსანდრე II-ის გეგმა, რომლითაც „შეეძლო მოსკოვს დიდი საქმის განხორციელება, – დარუბანდ-შირვანის დაპყრობა, „საქარეთველოებზე“ ხელის დადება, მეგობარ ერანთან და ხელდებულ საქართველოსთან ერთად“[1].

ნიკიფორე მიტროპოლიტი რომ თეიმურაზ მეფის მიერ შემუშავებული და მკაცრად ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, კარგად ჩანს მის მიერ მოსკოვში ხელმწიფისათვის მირთმეული „თხოვნის“ დასასრულს. გავეცნოთ ამ უაღრესად საინტერესო წერილის შინაარსს.

ნიკიფორე მოსკოვის მეფეს, თავდაპირველად, საქართველოს სხვა სამეფოებზეც გავლენის გავრცელების კარგი პერსპექტივას უწინასწარმეტყველებს, იმ შემთხვევაში, თუ კახეთ-რუსეთის ურთიერთობას გაგრძელება ექნება, თუ რუსეთი საქართველოს გარეშე მტრების მოგერიებაში დაეხმარება. ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი კარგი გზით.

---

[1] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ. 1967, გვ. 45. მეცნიერს, იმაში კი ვერ დავეთანხმები, თითქოს ალექსანდრე მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობა და საქარისტიანოს (კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის) მაჰმადიან დამპყრობელთაგან განთავისუფლება უნდოდა (იქვე). არც ალექსანდრე II-ს და მით უმეტეს თეიმურაზ I-ს ამგვარი განზრახვა, არ ჰქონდა, როგორც ამ უკანასკნელის დიპლომატიური საქმიანობის შეფასებისას აღნიშნავდა ნ. ნაკაშიძე და ნ. ბერძენიშვილს იმოწმებდა (Накашидзе Н. Т., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968, с. 247. примечание 497).

გაოცებას იწვევს ნიკიფორეს პირდაპირობა იმ უკმაყოფილების გამოხატვისას, რომელსაც იგი განიცდის რუსეთის სახელმწიფო აპარატის მოუქნელობის გამო. იგი ხელმწიფისადმი საყვედურსაც არ ერიდება. მისი თქმით, ამჟამად თეიმურაზ მეფეს ძლიერ უჭირს. ნიკიფორე ხელმწიფეს დაუფარავად ეუბნება: „ჩემი მეფის საქმეს ასე ცივად ნუ მოეკიდები“, რადგან ყოველი საქმე დროულად უნდა გადაწყდეს. ახლა, როდესაც ***ჩემი მეფე ერთიორი წლით შაჰს შეურიგადა, უნდა ვისარგებლოთ ამ ხელსაყრელი მომენტით და ივერთა ქვეყანა განმტკიცდეს***. ამიტომ, თუ მომავლისათვის განზრახული გაქვს ივერიას რაიმე გაუკეთო, ნუ გადასდებ და ახლავე დაეხმარეო[1].

ნიკიფორე აჩქარებს ხელმწიფეს, მან სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება და იგი დროულად გაუშვას სამშობლოში. აქ, მოსკოვში, ახალ იერუსალიმში, მეორე სამოთხეში ყოფნას რა ჯობია, მაგრამ დღედაღამ ვტირი, რომ ჩემი მეფე ურჯულოთა ხელით არ დაიღუპოს და მთელი სამეფო გვარი არ გაქრეს. თუ მეფის მოდგმა ამოწყდება, მაშინ დაიღუპება მართლმადიდებლური რწმენა მთელ ივერიაში და მოსახლეობა უღმერთო გახდება. თეიმურაზია ივერიაში მართლმადიდებლობის დამცველი. ქვეყნის საერთო გაჭირვებას ემატება ლეკების თავდასხმები, რომლებიც ყოველი ქართველი ქრისტიანისგან ხარკს იღებენ, რაც წინათი არასოდეს არ ხდებოდა. პირიქით, ლეკები უხდიდნენ ხარკს ივერიის მეფეებს[2].

ნიკიფორე ვერ მალავს თავის გულისწყრომას მის მიმართ მოსკოვში გამომჟღავნებული გულგრილი დამოკიდებულების გამო. ნიკიფორეს კახეთში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა აიძულებს ხელმწიფეს განუცხადოს, რომ თეიმურაზ მეფემ „ნდობის ღირსად ჩამთვალა და შენს მეფურ უდიდებულესობასთან ორჯერ ელჩად გამომაგზავნა, რათა შენ შეგხვედროდი, მოგლაპარაკებოდი და გადმომეცა დანაბარები, რომელიც ჩემმა მეფემ სამეფო ელჩების განაწესის მიხედვით დამავალა. ***დიდო ხელმწიფე, ვიყავი სხვა ქვეყნებშიც და ვიცოდი რა და როგორ უნდა მეთქვა და როგორ მომეგვარებინა ჩემი მეფის საქმე. მაგრამ აქ, შენს***

---

[1] Переписка, с. 50.

[2] Там же, с. 52-53.

მეფურ უდიდებულესობასთან არ შემიძლია შევასრულო ელჩის მოვალეობა. ვერ ვეღირსე პირადად მეხილე და გადმომეცა ჩემი მეფის საქმე და სიტყვა, ვერ ვეღირსე პირადად წარვმდგარიყავ შენი მეფური უდიდებულესობის ვაზირთან. ვის წინაშე წარვდგე, რომ ჩემი მეფის საქმე აღვასრულო. მხოლოდ წერილებით მოქმედება შეიძლება"[1].

თეიმურაზ მეფის ელჩი კატეგორიულად მოითხოვს თავისი მეფის წერილზე პასუხს და, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გაშვებას საქართველოში: „აპრილში წელიწადი დასრულდა [რაც აქ ვიმყოფები], მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მივიღე. რა იქნება? ყოვლისშემძლე და დიდო მეფე, გაიხსნება თუ არა გზა, გინდა თავი მომკვეთე, ერთი საათით მეტი აღარ შემიძლია ცდა, რადგან ვერ დავარღვევ ჩემი მეფისათვის მიცემულ სიტყვას... ყოვლისშემძლე და დიდო მეფევ, იმიტომ დავდე თავი ჩემი მეფის წინაშე და რამდენადაც შემეძლო დავიყოლიე ჩემი მეფე და მისი დიდებულები, რომ დამორჩილებოდნენ შენი მეფური უდიდებულესობის მაღალ სამეფო ხელს, რომ შენს მეფური უდიდებულესობამდე მოეღწია ჩემს სიტყვასა და წერილებს და სწრაფად და კარგად აღსრულებულიყო ჩემი მეფის საქმე. ვხედავ, რომ *ჩემი ბატონის საქმეს წინანდელთან შედარებით უფრო ცივად უყურებთ და ვხედავ, რომ ვერც სიტყვა და ვერც წერილები ვერ აღწევენ თავის მიზანს, ვერ ვიღებ ზუსტ პასუხს და [არ ვიცი] რა იქნება შედეგი. არ ვიცი როგორ მოვიქცე და გაკვირვებული ვარ.* უკვე სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სათხოვარი ჩავაბარე, ვერ მივიღე პასუხი და არ ვიცი როგორ მოვიქცე. ველოდები და მიკვირს. *წერილის გარდა, ჩემი მეფისგან მაქვს დავალება, რომელიც შენს მეფურ უდიდებულესობას სიტყვიერად უნდა ვაცნობო, მაგრამ არ არის ბრძანება ჩემთვის აუდიენციის დანიშვნის შესახებ...* დიდო ხელმწიფევ, დამინიშნე დრო: ხო თუ არა? – რათა მეტად აღარ შევაწუხო შენი მეფური უდიდებულესობა და მომიტევე ყოვლისშემძლე და დიდო მეფეო, ისე მოგახსენებ, როგორც ჩემმა მეფემ მიბრძანა, რადგან ის მე მენდობა"[2].

---

[1] Там же, с. 53.

[2] Там же, с 55-56.

თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში (1640-1643)

1640 წლის დეკემბერში გადწყდა ნიკიფორეს გაშვება საქართველოში და მასთან ერთად რუსი ელჩების – თავადი ეფიმ მიშეცკისა და დიაკი ივანე კლუჩარევის გაგზავნა კახეთში. რუსების ელჩობაში იყვნენ, აგრეთვე, სახელმწიფო საქმეების მთარგმნელი, მდივანი, თარჯიმანი და ორი ბაზიერი ფრინველებით[1]. ელჩობას მოჰქონდა თეიმურაზ მეფისა და უფლისწული დავითის სახელზე დაწერილი წყალობის სიგელი, თეიმურაზის მიერ ნათხოვნი 20 ათასი ეფიმკი და 2200 რუბლის ღირებულების სიასამურის ბეწვი[2].

ამგვარად, ნიკიფორემ მოსკოვში წელიწადნახევარი დაჰყო და წამოსვლისას თან წამოიყვანა მოსკოვის ახალი ელჩობა. მან მოსკოვი დატოვა 1641 წლის 9 ივნისს. ელჩობა ნოემბერში თერგ-ქალაქში იყო, საიდანაც იმავე თვის 5 რიცხვში თეიმურაზს გაუგზავნეს შიკრიკი და აცნობეს თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ. 1642 წლის 16 თებერვალს შიკრიკი დაბრუნდა ქართველ აზნაურ რამაზანთან ერთად, რომელმაც მიიტანა მეფის წერილი დათარიღებული იმავე წლის 5 იანვრით. თეიმურაზი ელჩებს აცნობებდა, რომ მან შაჰს სთხოვა უბრძანოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების გამგებლებს, რათა მათ თავისუფლად და უხიფათოდ გაატარონ თეიმურაზისა და მოსკოვის ხელმწიფის ელჩები. როდესაც ასეთი ნებართვა იქნებოდა, ამის შემდეგ ელჩები დაიძრებოდნენ კახეთის სამეფოსაკენ. მას შემდეგ, რაც ელჩებმა თეიმურაზის ახალი სიგელი მიიღეს, 19 მაისს თერგიდან გავიდნენ და 1 სექტემბერს ჩავიდნენ შუამთაში, სადაც მეფის კარი იმყოფებოდა.

ხელმწიფის მიერ თეიმურაზ მეფისათვის გამოგზავნილ წყალობის სიგელში მოცემულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია დაწყებული ივანე IV-დან და დამთავრებული ფ. ბოლკონსკის ელჩობით. იქვე გამოთქმულია კმაყოფილება დადებული სამოკავშირეო შეთანხმების გამო. კავშირის საკითხები კი გან-

---

[1] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643). Издание М. Полиевктова, Тб., 1928, с. 3.

[2] Там жем, с. 8.

ხილული იყო ე. მიშეცკისა და ი. კლუჩარევის „დარიგებაში“, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით ძლიერ ჰგავდა ადრინდელი ელჩობებისათვის მიცემულ „დარიგებებს“.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თეიმურაზ მეფეს განსაკუთრებით აინტერესებდა მოსკოვის დახმარებით აღეკვეთა დაღესტნელთა თავდასხმები და ხელმწიფეს წაუყენა თავისი მოთხოვნები. კერძოდ, ის მოითხოვდა, რომ ხელმწიფეს კახეთის სამეფოში გაეგზავნა რომელიმე დიდი რუსი თავადი ჯარით და ორი მხრიდან, კახეთ–რუსეთიდან შეტევით ლეკები გაენადგურებინა და დაემორჩილებინა. ლეკები ხელს აიღებდნენ კახეთის რბევაზე. ამასთან ერთად თეიმურაზ მეფემ მოითხოვა ციხე-სიმაგრის აღდგენა იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც, ალექსანდრე II-ის დროს იდგა. საჭიროების შემთხვევაში კახეთი დახმარებას აღნიშნული ციხიდან მიიღებდა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში კი მეფე, მისი ოჯახი და დიდებულები თავს შეაფარებდნენ[1].

თეიმურაზ მეფის დაღესტანის საკითხთან დაკავშირებით თხოვნის გამო რუს ელჩებს მოსკოვის მთავრობის პოზიცია უნდა განემარტათ შემდეგნაირად: დაღესტანში ჯარის გაგზავნა და იქ ქალაქების დაარსება ვერ მოხერხდებოდა, რადგან ასტრახანიდან იმ ადგილებამდე, სადაც თეიმურაზი ამ ღონისძიების გატარებას მოითხოვდა, შორი მანძილი და უგზოობა იყო. დიდი ჯარი შეიარაღებითა და სურსათ-სანოვაგით იქ ვერ მივიდოდა, მცირე ჯარს კი ხიფათი ემუქრებოდა და ვერც ქალაქს ჩადგამდა. ***თეიმურაზ მეფემ მტრებისგან თავი უნდა დაიცვას ისე, როგორც მოწყალე ღმერთი დაეხმარება. როცა დრო მოვა თეიმურაზს საჭიროების მიხედვით მაშინ დავეხმარებითო***[2].

24 ნოემბერს მეფემ ე. მიშეცკი მიიღო და მასთან საუბრისას ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსი მეფისადმი ერთგულება. მან კვლავ დასვა ყუმიხელების საკითხი, რომელთა თავდაზხმები კახეთს დიდ ზიანს აყენებდა[3]. ე. მიშეცკიმ ზუსტად გაიმეორა მოსკოვიდან დანაბარები: იმის გამო, რომ სამხედრო დახმარების

---

[1] Там же, с. 32.

[2] Там же.

[3] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию с. 149.

შესაძლებლობა არ იყო, მეფემ შენი ჯარისათვის ფული წინათ უკვე გამოგიგზავნაო. ამაზე თეიმურაზმა უპასუხა: იმ ფულით ვალები გავისტუმრე, მე, ცოლი და შვილი შევიმოსეთ, მეომრებსაც ვუწყალობე, იერუსალიმის წმინდა ადგილებსაც გავუგზავნე და იმ ფულიდან აღარაფერი დარჩაო[1].

რაც შეეხებოდა ოქროსა და ვერცხლის საბადოებიდან ნიმუშების გაგზავნას მოსკოვში, თეიმურაზმა ელჩს უპასუხა, როდესაც შემდეგ წელს ელჩს გამოვგზავნი მოსკოვში, ნიმუშებსაც იმას გამოვატანო. ამის გამო ე. მიშეცკი შენიშნავდა: „ცნობილია, რომ მეფე თეიმურაზი იმ ოქროსა და ვერცხლის საბადოებით [მეფეებს] ხიბლავს, [სინამდვილეში] ის საბადოები არა აქვს, ან სად უნდა ჰქონდეს, როცა მისი მამულის მახლობლად სულ სხვადასხვა მფლობელები იმყოფებიან“[2].

თეიმურაზ მეფემ ქართლის სამეფოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ე. მიშეცკის გაანდო, რომ როსტომ მეფის მმართველობით შეწუხებულმა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებმა თეიმურაზ მეფე სათათბიროდ მიიწვიეს და, როდესაც რუს ელჩებს გაუშვებს, მაშინვე ქართლელებთან სათათბიროდ წავა. მეფემ იქვე იმედი გამოსთქვა, რომ როსტომი გაიგებს თუ არა მისი მოწინააღმდეგეების შეხვედრისა და თათბირის შესახებ მაშინვე სულთანთან გაიქცევა და არა შაჰთან. ამით თეიმურაზს, საყოველთაოდ ცნობილი როსტომ მეფისა და შაჰის კარის განსაკუთრებით ახლო და თბილი ურთიერთობის საწინააღმდეგოდ, უნდოდა ელჩისთვის ჩაეგონებინა, რომ როსტომ მეფე რუსეთის ხელმწიფის მეგობარი შაჰის ერთგული კი არ არის, არამედ მისი მტრის მეგობარია. უფრო მეტიც, შაჰ სეფის განზრახული ჰქონებია როსტომი ქართლიდან ირანში წაეყვანა და ეს სამეფოც თეიმურაზისთვის გადაეცა. შაჰის ჩანაფიქრი ვერ აღსრულდა მისი სიკვდილის გამო. ამიტომ ირანიდან მხარდაჭერას მოკლებული როსტომ მეფე იძულებული გახდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება ჩემთვის შემოეთავაზებინაო[3].

---

[1] Там же, с. 150.

[2] Там же, с. 151.

[3] Там же, с. 151-152.

კახეთის მეფის ეს ბოლო ნათქვამს, როსტომისაგან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შეთავაზების შესახებ, ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძე. როსტომ მეფემ თეიმურაზს შეუთვალა, რომ მათ შორის მშვიდობის დამყარებისათვის მოლაპარაკებაში ჩაერთოთ იმერეთის მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრები და ახალციხის ფაშა, მაგრამ თეიმურაზმა უარყო ეს წინადადება და ორ მეფეს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა[1].

ე. მიშეცკი, ითვალისწინებდა რა კახეთის შეიარაღებული ძალების სისუსტეს და სამეფოს გაჩანაგებულ მდგომარეობას, თეიმურაზ მეფეს ურჩევდა ირანთან კონფრონტაციას მორიდებოდა[2]. თეიმურაზმა ამის შემდეგ მოსკოვის ელჩს გულახდილად გაანდო ირანის კართან თავისი ნამდვილი დამოკიდებულება: ***გულში ძველი ბოლმა მაქვს, რომ მთელი ჩემი მიწა-წყალი შაჰმა გაანადგურა და მე გამაძევა. მე მაინც ბედნიერი ვარ, რომ მტერს რაღაც ზიანი მივაყენე. შაჰს ვერ მოვერევით და ყიზილბაშებისა და მთიელებისაგან ჩემს სამეფოში მოსვენება არ მექნება, მაშინ მოვიკრებ მთელ ძალას და მოსკოვის დიდ ხელმწიფესთან გავიქცევი*[3].**

1642 წლის 26 ოქტომბერს ელჩები კახეთიდან გავიდნენ და შემდეგი წლის 4 ოქტომბერს მოსკოვში მივიდნენ[4].

გიორგი ჩოლოყაშვილის ელჩობა მოსკოვში

ელჩისათვის გატანებული სიგელით თეიმურაზ მეფე ბოდიშობდა მიხეილ თედორეს ძის ელჩობის მოკრძალებულად მიღებისათვის და მატერიალური დახმარებისათვის კი მადლობას უთვლიდა. თეიმურაზი ითხოვდა ხატმწერებისა და ეკლესიის სარკმელების ოსტატის საქართველოში დატოვებას, რომლებიც იმ დროისათვის იმერეთში იყვნენ გადასულები. თეიმურაზი, თავისი ელჩის მოსკოვში გაგზავნას, უახლოესი დროისათვის პირდებოდა.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 255.

[2] Посольство князя Мышецкого, с. 152.

[3] Там же.

[4] Накашидзе Н. Т., Грузино-русские политические отношения, с. 134.

თეიმურაზის მიერ ელჩად გაგზავნილი გიორგი ჩოლოყაშვილი, მოსკოვში ჩავიდა 1646 წლის 21 აგვისტოს[1]. მას წერილები მიხეილ ალექსის ძის სახელზე გაატანეს. ჩანს, თეიმურაზის კარზე არ იცოდნენ, რომ იგი უკვე გარდაცვლილი იყო და მის მემკვიდრე ალექსი მიხეილის ძე მეფობდა (1645-1676).

რუსეთის არქივებმა სრულყოფილად არ შემოინახა გიორგი ჩოლოყაშვილის ელჩობის ამსახველი მასალები. ამიტომაა, რომ არ ვიცით ელჩობის წევრების ვინაობა და მათი რაოდენობა, არ გვაქვს თეიმურაზ მეფის მიერ სხვა დროს ელჩობებისათვის მოსკოვში გატანებული ზოგადი ხასიათის, მრავალთემიანი ეპისტოლე, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ე. მიშეცკის კახეთიდან წასვლის შემდეგ, გიორგი ჩოლოყაშვილის ელჩობამდე გავლილ პერიოდში თეიმურაზის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

გიორგი ჩოლოყაშვილისათვის გატანებულ მცირე ბარათში თეიმურაზ მეფემ ასე ჩამოაყალიბა მოსკოვის ხელმწიფის წინაშე დასაყენებელი თავისი სურვილ-თხოვნები: „ქ. ჩოლოყაშვილის ბატონის გიორგისათვის ჩვენი პასუხი დიდისა ყოვლის პყრობელის ხელმწიფესთან ეს დაგვიბარებია. თუ ამას გვიზამს, რომ ქართლი დაგვაჭერინოს და ამაზედ მოგვეხმაროს, პატრიაქათ იმათი ბერი დასვან [მცხეთაში]: მაცხოვრის კვართია იქა [სვეტიცხოველში], ადვილის საქმით დავიჭერთ და ჩემს შვილიშვილს გიორგის[2]

---

[1] Там же, с. 135

[2] უფლისწული გიორგი ამ დროს მხოლოდ 4 წლისა იყო. სხვადასხვა ცნობა გაგვაჩნია დავითის შვილების შესახებ. ზოგიერთი რუსული წყაროს მიხედვით, მას ოთხი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა – ლუარსაბი, გიორგი, იოსები და ნიკოლოზი (Переписка, с. X). 1649 წელს მოსკოვში ჩასულმა თეიმურაზ მეფის ელჩებმა კი, საელჩო პრიკაზში თქვეს, რომ თეიმურაზს დავითისაგან მხოლოდ სამი ვაჟი დარჩა: ლუარსაბი – 10 წლის, ნიკოლოზი – 8 წლის, გიორგი – 4 წლის. იმერთის მეფე ალექსანდრე III კი მოსკოვის ხელმწიფეს წერდა, რომ დავითს სამი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა (ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 37, 40). გიორგი უფლისწული მალე გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს გელათის მონასტერში (იქვე, გვ. 111; ალექსი იევლევი, გვ. 180).

ხელმწიფეს მივსცემ: თუ ამას არ გვიზმენ, ამდენი ქრისტიანი ტყვე თათრდება. ლეკნი ჩამოგუხსნან, ციხე აუგონ, როგორაც კვლავ ყოფილა და იმისთვისცა მივსცემ შვილსა: თუ არც ეს ქნან, ჩემს უხუცეს შვილს ლუარსაბს ქალი მოსცეს, საქართველო საბოლოოდ ჭელმწიფისა იქნება. მის საქმესა უთქმელსა ნუ დააგდებთ, თვარა რომელიც ჭელმწიფის ჯამაგირი გვქონდესთ იმას ეცადენით:

მეფე ქართველთა წყალობითა ღვთისათა თეიმურაზ“[1].

თეიმურაზის მიერ გიორგი ჩოლოყაშვილისათვის მიცემული დავალებებიდან, კარგად ჩანს უკიდურეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაჭირვებაში ჩავარდნილი კახთა მეფის მდგომარეობა, რომელიც ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს შემხვედრი ნაბიჯი გადაადგმეინოს მოსკოვის მთავრობას: თეიმურაზი მზადაა, ქართლის ტახტის სანაცვლოდ, მცხეთაში კათალიკოსად რუსი სასულიერო პირის ყოფნას შეეგუოს. ამით კი რუსეთის ეკლესია სანუკვარ ქრისტეს კვართსაც დაეუფლება. თუ რუსეთი ლეკების თავდასხმისაგან დაიცავს კახეთის სამეფოს, სანაცვლოდ მძევლის მიცემას პირდება[2], თუ მის უფროს შვილიშვილს ლუარსაბს სამეფო ოჯახის რომელიმე ასულს მიათხოვებენ, თეიმურაზის თქმით, რუსეთის ხელმწიფეს შანსი ეძლევა მთელ საქართველოს დაეპატრონოს. იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის კარი ქართველი მეფის აღნიშნული განზრახვებიდან არც ერთს არ დააკმაყოფილებს, მაშინ ელჩი უნდა შეეცადოს, რომ თეიმურაზს ჯამაგირი მაინც დაენიშნოს.

წყაროების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა, როგორ ცდილობდა გ. ჩოლოყაშვილი თავისი მეფის დანაბარების მოსკოვის ხელმწიფემდე მიტანას. საფიქრებელია, რომ იგი დარწმუნდა თავისი მისიის უპერსპექტივობაში და ხელმწიფისათვის მირთმეულ წერილში შეიტანა მხოლოდ ორი თხოვნა: ფულადი დახმარება და შუამდგომლობა შაჰთან კახეთისადმი მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების შესახებ. „ორი საქმე გვიყავით ქრისტეს გულისათვის. ერთი ესე, რომე რაც წყალობა ჯამაგირი გვქონდეს დაუკლებლად

---

[1] Переписка, с. 64.

[2] მძევლის მნიშვნელობაზე საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში ყურადღებას სპეციალურად გავამახვილებ ქვემოთ.

გვიბოძო. რაც მაშინ ნიკიფორე მიტროპოლიტის ჭელით ებოძა ჩვენმან ჭელმწიფემან, იმისმა მზემან, ნახევარი ქრისტეს საფლავს და მონასტერს მისცა და გაცრცვილი ეკკლესიას გაუყო, სახატავად და საშენებლად... და ნახევრით აქამდინ თითონ დარჩა და ლაშქარსაც მისცა... მეორეს ამას ვეხვეწებით ხელმწიფეს, რომ ერთი დიდი ელჩი უბოძოს ყიზილბათ ჭელმწიფესა, რომ დაგვეხსნას. ჩვენ არას შევსცოდებთ, ნუ გვარბევენ". იქვე თეიმურაზის ელჩი, ალბათ, თავისი მეფის დანაბარების მიხედვით, ხელმწიფეს აქეზებდა, რომ მას შაჰისათვის მიეწერა: „თუ ჩემი მოყრობა გინდოდეს თქო, დაეხსენ თქო. ჩემი გულისათვის თქვენ ეკკლესიას ნუ აქცევთ. კმა ამდონი ძალი უსამართლო. თუ არ დაეხსნებით, მეც დაგემტერები თქო"[1].

1650 წელს შაჰ აბას მეორისათვის მოსკოვიდან გაგზავნილი სიგელიდან ვიგებთ, რომ გ. ჩოლაყაშვილის თხოვნას შაჰთან წერილის გაგზავნის შესახებ შედეგი გამოუღია. 1647 წლის დასაწყისში შიკრიკმა გრიგორი ბულგაკოვმა, შაჰს მიართვა სიგელი, რომელშიც მეფე ალექსი მიხეილის ძე შემდეგს აღნიშნავდა: თეიმურაზ მეფე თავისი წინაპრების მსგავსად რუსეთის ხელმწიფეების ქვეშევრდომია. „ჩვენ მაშინ (1647 წელს –ე.მ.) შეგახსენებდით, რომ ჩვენი მეფური უდიდებულესობისადმი მეგობრობისა და სიყვარულის გულისათვის, აგეკრძალათ ძალადობა, წყენა და განადგურება ჩვენი ქვეშევრდომი თეიმურაზ მეფის და მთელი ქართველი ხალხის მიმართ". შაჰის საპასუხო წერილში, რომელიც იმავე ბულგაკოვმა მოსკოვში ჩაიტანა, ნათქვამი იყო, რომ შაჰ აბასმა ბრძანება გასცა თეიმურაზი და მისი ქვეყანა არავის შეეწუხებინა[2]. მაგრამ რამდენად დაიცვა შაჰმა მოსკოველი მეფისათვის მიცემული პირობა, ჩანს იმავე წერილიდან. ალექსი მიხეილისძე წერს: „ახლა ჩვენ, დიდ ხელმწიფეს გვაცნობეს, რომ თქვენი, ჩვენი ძმის, სამხედრო მეთაურები შემახიდან და განჯიდან ჯარით წავიდნენ მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ და ბევრი ბოროტება ჩაიდინეს, მრავალი ქართველი ამოწყვიტეს, თეიმურაზ მეფის შვილი

---

[1] Там же, с. 65.

[2] Там же, с. 62.

მთავარი დავითი მოკლეს და თეიმურაზ მეფე ახლობლებთან ერთად საქართველოდან გააძევეს“.

როდესაც შაჰის მოციქულს მოსკოვში მოჰამედ ყული ბეგს გამოჰკითხეს, მან განაცხადა, რომ საქართველოსა და თეიმურაზის თავს დატეხილი უბედურება შაჰის ნების გარეშე, რუსტემ ხანის გადაწყვეტილებით მოხდა. წერილში გამოთქმულია იმედი, რომ ადრე, 1647 წელს მოსკოვში გაგზავნილი სიგელის თანახმად, შაჰი აკრძალავდა საქართველოსა და მეფე თეიმურაზზე თავდასხმებს და ბრძანებდა მისთვის წართმეული ქონების დაბრუნებას[1]. გ. ბულგაკოვის ირანში მისიის შემდეგ, კახეთის საქმეებში რუსეთის ჩარევით შეშფოთებულმა შაჰმა აბას II-მ და მისმა სატელიტმა ქართლის მეფე როსტომმა, თეიმურაზის თავის სამეფოდან განდევნა განიზრახეს. ამაზე საუბარი ქვემოთ გაგრძელდება, ახლა კი ისევ გ. ჩოლოყაშვილის მოსკოვში საქმიანობას დავუბრუნდეთ..

როგორც ჩანს, გ. ჩოლოყაშვილის მთავარი ამოცანა მოსკოვიდან კახეთში ახალი ელჩობის გაგზავნისათვის მოლაპარაკება იყო, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. 1647 წლის 25 მაისს მოსკოვის ხელმწიფის ელჩებმა ოფანასი ბობარიკინმა და დიაკმა იაკოს ისტომინმა გიორგი ჩოლოყაშვილთან ერთად დატოვეს რუსეთის სატახტო. რუს ელჩებს თეიმურაზთან მიჰქონდათ ალექსი მიხეილის ძის ნაჩუქარი 10 ათასი რუბლის ღირებულების სიასამურის ტყავი, საიდუმლო დავალება, რომ ელჩებს უკან დაბრუნებისას თეიმურაზის თანხმობით, თან უნდა წაეყვანათ მეფის შვილიშვილები – გიორგი და ლუარსაბი. იმ შემთხვევაში თუ კახეთის მეფე ელჩებს შესჩივლებდა სპარსელებისა და მთიელებისაგან მიყენებული უბედურების შესახებ, ელჩები მას თავშესაფარს რუსეთის სახელმწიფოში შესთავაზებდნენ[2].

კახეთისკენ მიმავალი ელჩები, ნიჟნი ნოვგოროდში, თერგიდან მოსკოვს მიმავალ ივანე შჩელკალოვს შეხვდნენ, რომელიც საქართველოდან მოდიოდა და ელჩებს მოუთხრო კახეთის ის უკანასკნელი ამბები, რომელზეც ზემოთ განხილულ ალექსი

---

[1] Там же, с. 63; Тивадзе Т. Г., Материалы, с. 174-177, №39.

[2] Переписка, с. X.

მიხეილის ძის წერილშიც იყო აღნიშნული. ი. შჩელკალოვმა თეიმურაზის ელჩს გიორგი ჩოლოყაშვილს თეიმურაზის დანაბარებიც გადასცა: მას რუსეთის ელჩი კახეთში თუშეთის გზით უნდა ჩაეყვანა[1]. მაგრამ რუს ელჩს და მის თანმხლებლებს საქართველოში ჩამოსვლა არ ეწერათ. ისინი კასპიის ზღვაში დაიღუპნენ, მათი ქონება, როგორც თეიმურაზ მეფე ალექსი მიხეილის ძეს აცნობებდა, შემახისა და დერბენტის ხანების ხვედრი გახდა[2]. რაც შეეხება გიორგი ჩოლოყაშვილს, როგორც მოსკოვის საელჩო პრიკაზში ირანის შიკრიკმა აჯი მაჰმეტმა აცნობა, იგი სხვა გემით მგზავრობდა, გადარჩა და შემახამდე მიაღწია[3]. სავარაუდოა, იგი ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდა კახეთში.

1646-1647 წლებში მოხდა თეიმურაზისა და როსტომ მეფის უკანასკნელი შეტაკება.

ძველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, რომლებიც შაჰის პოლიტიკის მომხრენი (ფარსადან გორგიჯანიძე, მოჰამედ თაჰერი)[4] და გამტარებელნი (როსტომ მეფე)[5] იყვნენ, უკანასკნელი ომის ინიციატორად და დამნაშავედ თვლიან თეიმურაზს, რომელმაც არ მოისურვა როსტომთან კომპრომისი. ვახუშტი ბატონიშვილი[6] და ბერი ეგნატაშვილი[7] გადმოგვცემენ: თეიმურაზთან შეთანხმების უშედეგო ცდების შემდეგ, ქართლ-ირანის ჯარი 1648 წელს კახეთში გადავიდა. თეიმურაზი დამარცხდა. დაიღუპა თეიმურაზის თითქმის ყველა თანამებრძოლი, დაიღუპა უფლისწული დავითი. თეიმურაზის მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა. დედოფალი ხორეშანი როსტომს შეხვდა და თეიმურაზის იმერეთში გაშვება სთხოვა. როსტომი დათანხმდა. მან თეიმურაზსა და მის ამალას მისცა ყველაფერი აუცილებელი და კათალიკოსის თანხლებით

---

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 137.

[2] Там же, с. 137.

[3] Тивадзе Т. Г., Материалы, с. 173-174, №38. ნ. ნაკაშიძეს, რატომღაც მიაჩნდა, რომ რუსებთან ერთად დაიღუპა გ. ჩოლოყაშვილიც. Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 137.

[4] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 255; მოჰამედ თაჰერი, გვ. 383.

[5] ქრონიკები, II, 463

[6] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 75.

[7] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 427.

იმერეთის საზღვრამდე გაუშვა, სადაც თეიმურაზს მიეგება თავისი სიძე, იმერეთის მეფე ალექსანდრე. თეიმურაზი კახეთს სამუდამოდ გამოეთხოვა, რომელიც, შაჰის ბრძანებით, ქართლის სამეფოს შეუერთდა.

რუსეთის ხელმწიფემ, როგორც წინათ მრავალჯერ, ამჯერადაც საქართველოს აოხრების გამო, შაჰს საყვედურის წერილი მისწერა: „გასულ 156 (1648) წელს ჩვენს დიდ ხელმწიფესთან, მის მეფურ უდიდებულესობასთან შაჰ აბასის უდიდებულესობა თავის წერილში, რომელიც მეფის უდიდებულესობის შიკრიკს გრიგოლ ბულგაკოვს გამოატანა, წერდა, რომ მისი შაჰური უდიდებულესობა ჩვენი ხელმწიფისათვის, მისი მეფური უდიდებულესობის მეგობრობისა და სიყვარულისათვის ქართველი უფლისწულისა და მისი მიწა-წყლის დაცვა ბრძანა და მისი, შაჰ აბასის, უდიდებულესობის ბრძანებით მას არავისგან შევიწროება და გადასახადის შეწერა არ ექნება. ამის მერე კი ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ, მისმა მეფურმა უდიდებულესობამ გაიგო, რომ შემახიიდან და კენკიდან (განჯიდან – თ. ტ.) თეიმურაზსა და და მთელ მის ქართულ მიწა-წყალს, შემოესივნენ მისი, შაჰ აბასის, უდიდებულესობის ქვეშევრდომები დიდძალი ჯარით, ბევრი ქართველი გაწყვიტეს და ქართველი მეფის ვაჟი, უფლისწული დავით მოკლეს, ხოლო თვით თეიმურაზ მეფე შვილიშვილებიანად საქართველოდან გააძევეს“[1].

მოსკოვის ხელმწიფესა და ირანის შაჰს შორის მიმოწერა ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ხელმწიფე შაჰს სთხოვდა თეიმურაზი თავის სამეფოში დაებრუნებინა. მატვეი სპირიდონოვმა ირანიდან მოსკოვში ამბავი ჩაიტანა: შაჰ აბას II-მ რუს ელჩს უთხრა: „ჩემმა საყვარელმა ძმამ მოსკოვის დიდმა ხელმწიფემ მომწერა ქართველ მეფე თეიმურაზზე, რომ მე, მასთან დიდი მეგობრობისა და ძმობის გამო, საქართველოს მეფე თეიმურაზს თავისი მამული დავუბრუნო, და მომავალში მის წინააღმდეგ ჯარი აღარ გავაგზავნო, თბილისის ხანი კი, რომელიც შაჰის ბრძანებით საქართველოს მიწა-წყალს ფლობს, სურს ერევანში გადაიყვანოს. ვიცი,

---

[1] ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში. „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბ., 1982, გვ. 31, №14.

რომ ეს ნამდვილად ასე მოხდება“. იმავე მ. სპირიდონოვს ვინმე ყორჩიბაშისგანაც გაუგია, რომ შაჰს უნდა რუსეთის დიდი ხელმწიფისადმი მეგობრობისა და ძმობის გულისათვის, თეიმურაზს მისი სამეფო დაუბრუნოსო[1].

1651 წლის ოქტომბერში თეიმურაზის მიერ თერგში გაგზავნილმა ჩერქეზმა აზნაურმა ზაგარმა რუს ელჩებს ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი იევლევს აცნობა: „ამ ზაფხულს ყიზილბაშების შაჰმა აბასმა თეიმურაზ მეფეს თავისი ელჩები გამოუგზავნა და შემოუთვალა, რომ მას თითქოს წართმეული ქალაქების ისევ თეიმურაზისათვის დაბრუნება სურს, ქვეყანა (ყიზილბაშებისაგან) გაწმინდოს და მის მიერვე თეიმურაზის სამფლობელოში დანიშნული ხანიც გადააყენოსო“[2].

სავარაუდოა, შაჰის კარი შეგნებულად ავრცელებდა ხმას თეიმურაზისათვის ქართლ-კახეთის ტახტის დაბრუნების შესახებ, რათა რუსეთთან ურთიერთობა არ გაუარესებოდა.

როსტომ მეფესთან განცდილი ბოლო მარცხის შემდეგ, თავისი სამეფოდან განდევნილი თეიმურაზისათვის გასაგები იყო, რომ მოცემულ ეტაპზე, მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირს შეიძლებოდა მისთვის რაიმე პოზიტიური შედეგი მოეტანა, ორივე – ქართლისა და კახეთის ტახტის თუ არა, კახეთის დაბრუნების საქმეში მაინც. ამიტომ იყო, რომ იმერეთის სამეფოში თავშეფარებული თეიუმურაზი თავის სიძე ალექსანდრესაც აქეზებდა, როგორც ეს უკანასკნელი და რუსი ელჩებიც აღნიშნავდნენ, დაკავშირებოდა მოსკოვის ხელმწიფეს და მის მფარველობაში შესულიყო. თეიმურაზის ვარაუდით, რუსეთის გააქტიურება საქართველოში იმერეთის სამეფოს მოსკოვის ხელმწიფის მფარველობაში შესვლის შემდეგ უფრო იყო მოსალოდნელი.

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы, с. 182-183, №42.

[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 63.

თავად ივანე გრიგოლისძის და არქიმანდრიტ პახომის ელჩობა მოსკოვში

1649 წელს მოსკოვში ერთდროულად ჩავიდნენ ორი ქართველი მეფის – თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის ელჩები – თავადი ივანე გრიგოლისძე და არქიმანდრიტი პახომი. ცნობილი არ არის ამ ელჩობების მომზადებისა და დანიშნულების ადგილამდე მოგზაურობის პირობები. მეფეების მიერ ალექსი მიხეილისძისადმი გაგზავნილი ბერძნულად დაწერილი სიგელების რუსული თარგმანების განხილვა მოხდა ერთსა და იმავე დღეს, 1649 წლის 13 აგვისტოს. წერილები ნათელს ხდის გიორგი ჩოლოყაშვილის მოსკოვში ყოფნისა და იქიდან დაბრუნების შემდეგ კახეთში მომხდარ ზოგიერთ მომენტს (იმერეთის სამეფოს შესახებ თავის ადგილას ითქმევა).

თეიმურაზ მეფე, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით, თავდაპირველად, მოსკოვის მეფე ალექსი მიხეილისძეს მადლობას მოახსენებს გიორგი ჩოლოყაშვილის კარგად მიღებისა და „გამოგზავნილი წყალობისათვის“, რომელმაც მეფემდე ვერ მიაღწია.

თეიმურაზს, წერილის მიხედვით, ვითომ განზრახული ჰქონია მოსკოვში გაეგზავნა უფლისწული ნიკოლოზი, ხოლო ელჩად კი – ალავერდელი მიტროპოლიტი არსენი, რაც საეჭვოდ მეჩვენება. ის კი, რასაც კახეთის მეფე, კახეთში დატრიალებულ ამბებს აღწერს, სრული სიმართლეა და სხვა ქართული წყაროებითაც დასტურდება. უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის განზრახვაზე ხელის აღების მიზეზად თეიმურაზ მეფე ასახელებს შემდეგს: „რა წამს ყიზილბაშებმა ყური მოჭრეს, რომ ჩემს შვილიშვილს შენს უდიდებულესობასთან ვგზავნიდი და იგი თქვენ დაგექვემდებარებოდა და ქართლიც მისთვის ნაბოძები რომ მქონდა... ამ დროს შემახიდან და განჯიდან ჯარი მოვიდა... ორი-სამი მხრიდან დაიწყეს ჩემს წინააღმდეგ შემოტევა... მათი ჯარები მრავალრიცხოვანი იყო, ჩვენ კი ცოტანი ვიყავით... ჩემი შვილი დავითი მარტის 15-ს აწამეს და მოჰკლეს... მე კი დავბრუნდი, შევკრიბე ჩემი შვილის სამი ვაჟიშვილი, პირველი ლუარსაბი, მეორე ნიკოლოზი, მესამე გიორგი და ჩემს სიძესთან ალექსანდრესთან იმერეთს, ქუთაისში, ამ ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოების სამყაროში, წამოვე-

დით“[1]. თეიმურაზ მეფის აზრით, მოსკოვის ხელმწიფისათვის არაფერია შეუძლებელი და თერგის ციხიდან, საიდანაც კახეთამდე ერთი კვირის სავალია, ხოლო ჩერქეზეთიდან იმერეთამდე ამდენივე, შეძლებს დაეხმაროს განსაცდელში მყოფ საქართველოს[2].

თეიმურაზ მეფეს ერეკლე/ნიკოლოზის მოსკოვში გაგზავნა თავადი ივანე გრიგოლისძეს და არქიმანდრიტი პახომის ელჩებად გაგზავნის დროსაც ჰქონებია განზრახული, მაგრამ უფლისწულის არ გაშვება, ამჯერადაც, ყიზილბაშების ბრალი ყოფილა, შემახის გზა გადაუკეტიათ. მთებში გამავალი ის გზა, რომლითაც ელჩები წავიდნენ, უფლისწულისათვის საშიში იყო. თეიმურაზმა ყოველივე ზემოთქმული იმიტომ აცნობა ალექსი მიხეილისძეს, რომ გააგებინოს ყიზილბაშები საქართველოს მიმართ აგრესიით ზიანს აყენებენ საქართველოს ფიზიკურად, რუსეთს კი საერთაშორისო ავტორიტეტს ულახავენ: „ურწმუნოებისაგან მეტისმეტ შევიწროვებას განვიცდი. ერთი კაციც ირანის აგარიანთა მეფესთან რომ გაგზავნეთ თქვენო მეუფებავ და მიშუამდგომლეთ, მან თქვენს ბრძანებას ყური არ ათხოვა, თქვენი ბრძანება კი გახლდათ მე არ განვედევნე. ის კი წმიდა ეკლესიებში მეჩეთებს მართავს და ქრისტიანობის დაქცევა სურს... თქვენი დიდებულების წინაშე ვინ არის ირანის მეფე, რომ ის თქვენს სიტყვას არაფრად აგდებს. საკმარისია შენ ოცი ათასი მეომარი გამოგზავნო, ყველა აქაურ მიწებს დაეპატრონები, ქრისტიანულ ეკლესიებსაც დაიცავ და შენს არქიერსაც დასვამ და მთელს ამქვეყნიურ სამყაროში სახელს გაითქვამ“[3]. თეიმურაზ მეფეს სურს მოსკოვის მეფესთან თავის ურთიერთობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას და ალექსი მიხეილის ძეს დანათესავებას სთავაზობს. იგი შემდეგ აზრს ავითარებს: მართალია ქართველი მეფე ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერით მოსკოვის ხელმწიფეს ვერ გაუტოლდება, მაგრამ თავისი წარმოშობით, ხელწამოსაკრავი არც ის არის, რასაც ფეოდალური საზოგადოებასა და მის დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნე-

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 33-34.
[2] იქვე, გვ. 34.
[3] იქვე, გვ. 35.

ლობა ენიჭებოდა. ამას გარდა, თეიმურაზთან დანათესავებით ხელმწიფე მატერიალურ სარგებელსაც ნახავდა: „მე კი რისი ღირსი ვარ შენი დიდებულების წინაშე, მაგრამ წარმოშობით დავით წინასწარმეტყველი მეფის შთამომავალი ვარ. აგრეთვე ბრძანე ჩემს შვილისშვილს ლუარსაბს ქალწული (შენი ქალიშვილი) მიათხოვონ[1], გამომიგზავნე შენი დროშა და ეუფლე (ეპატრონე) ქვეყანას. დასვი დაი შენი დედოფლად ამ მხარეში და ეუფლე მას, ისევე, როგორც თერგის მიწებს ფლობ, აქაური მიწების მფლობელიც გახდები და აქედანც მიიღებ ხარკს. განდევნე აქედან აგარიანნი. და იდიდოს დიდებული მეფის სახელი ამ ადგილებში უკუნითი უკუნისამდე“[2].

საინტერსოა, რომ ალექსანდრე მეფის სიგელის ის ადგილები, რომლებშიც იგი თავის სიმამრზე, თეიმურაზზე, ლაპარაკობს, ფაქტობრივად გამეორებაა თეიმურაზის სიგელის შესაბამისი ადგილებისა, რაც სიგელების შინაარსის ერთმანეთთან შეთანხმებაზე მეტყველებს. ქვემოთაც გამოჩნდება, რომ ეს ორი მეფე, ყოველთვის თუ არა, თეიმურაზის იმერეთში იძულებითი გადასახლების დროს მაინც, საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს ერთობლივად შეიმუშავებდნენ და მათი რეალიზაციის გზებსაც ერთად სახავდნენ.

მოსკოვში ჩასული ელჩები თავდაპირველად საელჩო პრიკაზის დიაკმა მიხეილ ვოლეშენინოვმა მიიღო და სთხოვა სიტყვიერად მოეთხროთ თეიმურაზ მეფის დანაბარები, წერილს კი ელჩების ხელმწიფესთან აუდიენციის შემდეგ გადათარგმნიდნენ. ელჩებმა დიაკს მოახსენეს, რომ ისინი მეფემ შემდეგი თხოვნით გამოაგზავნა:

1. თეიმურაზ მეფეს უნდა ხელმწიფესთან თავისი შვილიშვილი ნიკოლოზი გაგზავნოს „და თუ მისი შვილიშვილი მის უდიდებულე-

---

[1] ი. ცინცაძე წერილის ამ ადგილს (И повели дати девицу за внука моего) თარგმნის ასე: „ბრძანე ჩემს შვილიშვილს ლუარსაბს (შენი ქალიშვილი) მიათხოვონ“. შემდეგში სრულიად ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზი სარძლოდ ითხოვს ხელმწიფის დას, ტატიანა მიხეილის ასულს.

[2] იქვე, გვ. 35.

სობას გამოადგება და თუ მისი უდიდებულესობა წყალობას ინებებს, უბრძანოს მის ჩამოსაყვანად თქვენი კაცები გამოგზავნონო“.

2. თავისი სამეფოდან განდევნილი თეიმურაზის დასახმარებლად ხელმწიფემ ჯარი გაგზავნოს, რომლითაც მეფე თავის ქვეყანას მტრისაგან გაანთავისუფლებს.

3. ხელმწიფემ შაჰს წერილი გაუგზავნოს, რათა მან თეიმურაზის სამეფოს დაპყრობაზე ხელი აიღოს.

4. თეიმურაზმა მეფის ასულს, ალექსი მიხეილისძის დას, ტატიანას საჩუქრად ჯვარი, ბეჭედი და ლალის საყურეები გაუგზავნა, რომლებიც მოსკოვის კარს ტატიანას ლუარსაბ დავითის ძეზე დანიშვნის ნიშნად უნდა მიეღოთ.

5, ხელმწიფემ თეიმურაზ მეფეს სამეფო წყალობა გაუგზავნოს.

6. ხელმწიფემ თავისი ელჩები გაგზავნოს საქართველოში.

შეკითხვაზე, რამდენი ჯარისკაცი ჰყავს თეიმურაზს, ელჩებმა უპასუხეს: მეფეს 10 ათასამდე ჯარისკაცი დარჩაო[1]. ამ ელჩობის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი, მაგრამ სავარაუდოა, კახეთისა და იმერეთის ელჩების მიერ მოსკოვში ჩატანილმა თხოვნებმა და დაპირებებმა იმდენად სერიოზულად იმოქმედეს რუს პოლიტიკოსებზე, რომ 1650 წლის 22 მაისს ხელმწიფის ბრძანებით „წყალობის (გადასაცემად) და ხელმწიფის სხვა საქმეების (მოსაგვარებლად)“, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, სასწრაფოდ გაამზადეს ელჩები – სტოლნიკი[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვი და დიაკი (მდივანი) ალექსი იევლევი და საქართველოს ელჩებს გამოაყოლეს.

რუს ელჩებს, მოსკოვიდან, ჩვეულებრივ, „დარიგება“ გამოატანეს, რომლის მიხედვითაც, სავარაუდოდ, თეიმურაზის ან მისი კარისკაცების მიერ დასმულ კითხვებზე ელჩებს უნდა ეპასუხათ. ამ სავარაუდო კითხვებსა და პასუხებზე ყურადღებას ვრცლად აღარ შევაჩერებ, რადგან ისინი, ძირითადად, გამეორებაა წინათ გამოგზავნილი ელჩებისათვის მიცემული „დარიგებისა“.

რუს ელჩებს ოქროსა და ვერცხლის საბადოების შესასწავლად ხელმწიფის მიერ სპეციალისტების საქართველოში გამო-

---

[1] იქვე, გვ. 39-41.

[2] სუფრაჯი. კარისკაცის წოდება. მეფის მაგიდის ზედამხედველი.

უგზავნელობის გამო, ბრალი უნდა დაედოთ თეიმურაზისათვის, რომელმაც რუს ელჩებს მადნის ნიმუშები არ გაატანა. „თუ თეიმურაზ მეფე იმ საბადოების ნიმუშებს ელჩებს (ე. ი. ტოლოჩანოვს და იევლევს – ი. ც.) გამოატანს, ელჩებმა ოქროს და ვერცხლის საბადოების ნიმუშები თან წამოიღონ დიდ ხელმწიფესთან, მხოლოდ გზაში არ გამოაჩინონ, და არც არავის გაუმხილონ (ეს საქმე პირადად), მარტო ელჩებმა უნდა იცოდნენ საიდუმლოდ“[1].

თეიმურაზის თხოვნა ხელმწიფის მიერ შაჰისათვის წერილის გაგზავნის თაობაზე შესრულდა: შაჰთან წერილი გაიგზავნა გრიგოლ ბულგაკოვის ხელით დ საპასუხო წერილიც მიიღო: „ირანის ხელმწიფე შაჰ აბასი, შენ თეიმურაზ მეფეს, მფარველობას გაგიწევს, და მისი, შაჰ აბასის, ბრძანებით შენ არავინ შეგავიწროვებს და ხარკს არ გადახდევინებს... შენ თეიმურაზ მეფეს, როსტომ ხანი წაგეჩხუბა, დიდი შაჰ-აბასის დაუკითხავად და მისი ბრძანების გარეშე დაგარბია“[2].

თეიმურაზ მეფის მიერ ჯარის თხოვნასთან დაკავშირებით, ელჩებს უნდა ეპასუხათ: ხელმწიფემ ამჟამად არ ინება შენთან ჯარის გამოგზავნა, ვინაიდან შენი ქვეყანა, ჩვენი ხელმწიფის ქვეყნიდან ძალიან დაშორებულია, გზაც გაუვალია, გზის სიშორე და შიმშილი ჯარისკაცებს გაწყვეტს. „შენც თეიმურაზ მეფე, ვერ გამოკვებავ დიდ ჯარს, რადგანაც თითონ არაფერი გაგაჩნია, შენი მიწა გაპარტახებულია, ხოლო მისმა უდიდებულესობამ მცირე ჯარი რომ გამოგზავნოს, ისინი შენ ვერაფრით გიშველიან, შენს მტერთან ვერას გახდებიან. ***ისევ შენ მეფე თეიმურაზ, თვითონ უნდა გამოიღო ხელი, შენი ძალებით უნდა გაუმკლავდე მტერს, უნდა გაუძლო მანამდე, სანამ უფალი ჩვენი ღმერთი ძალას მოგცემს. და როცა დრო მოვა, მაშინ დიდი ხელმწიფე მეფე თავის მოწყალებას და დახმარებას აღმოგიჩენს შენ, თეიმურაზ მეფეს, ისე, როგორც გეკადრება***“[3]. გავიხსენოთ, რომ ამგვარი პასუხი ჩამოუტანა თეიმურაზს მოსკოვიდან 1642 წელს რუსმა ელჩებმა ე. მიშეცკიმ და ი. კლუჩარევმა.

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 51

[2] იქვე, გვ. 52-53.

[3] იქვე, გვ. 53-54.

ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი იევლევს მიეცათ განსაკუთრებული დავალება საქართველოში შეეგროვებინათ ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის ამსახველი ცნობები[1].

ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობით თუ დაინტერესდებოდნენ, ელჩებს უნდა ეპასუხათ, რომ მათს ქვეყანას ნორმალური ურთიერთობა აქვს ევროპის ყველა

---

[1] იქვე, გვ. 54-55. სხვა წერილობით წყაროებში არ ჩანს და, ამდენად ძნელია თქმა, რუსი ელჩები მოსკოვიდან მითითებით თუ თავიანთი ინიციატივით, მოსყიდვის გზით იჩენდნენ ქართველი მეფეების კარზე მსტოვრებს და მათი მეშვეობით იპოვებდნენ საიდუმლო ინფორმაციას. ამ მხრივ ფრიად საინტერესო ცნობას ვხვდებით 1652 წლის სექტემბერში ნ. ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მიერ იმერეთში ელჩობის დროს გაწეული ხარჯების ანგარიშში. ისინი წერენ: „მივედით იმერეთში ალექსანდრე მეფესთან. იქ დიდ ხანს ვცხოვრობდით. ალექსანდრე მეფე (რუსთ) ხელმწიფეს ფიცს არ აძლევდა, საქმეს აჭიანურებდა, კვირიდან კვირამდე გვპირდებოდა და ასე გვიქცევდა. ამის გამო, ჩვენ, ელჩებმა ვიხმეთ მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, დარბაზის კაცი ფეშანგ მდივანი „ამირევი“ (გორელი ფეშანგი ამირას ძე ფაშვიბერტყაძე-ხითარიშვილი – ცნობილი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე), ბიძინა თარჯიმანი და ამათ (საიდუმლოდ) მოველაპარაკეთ, რომ მეფეს ურჩიონ, რათა ამ უკანასკნელმა (რუსთ) ხელმწიფეს თავისი პირობის ჭეშმარიტება საქმით დაანახოს. ის საქმე დააბოლოოს, ჯვარზე მთხვევით დაიფიცოს და ელჩებს ნუ გვაყოვნებს ისე გაგვიშვას. ამის გამო იმათ მიეცათ: მიტროპოლიტს 20 სიასამური, 4 არშინი საუკეთესო ხარისხის მაუდი და ქაშანური აბრეშუმის ნაჭერი, სულ მას მიეცა 20 მანეთად, 26 ალტინად და 4 დენგად ღირებული (საქონელი).
ფეშანგ დარბაზის მდივანს, 5 ცალი სიასამური, 4 არშინი იგივე მაუდი, აბრეშუმის ქსოვილი ერთი ნაჭერი, სულ 10 მანეთად, 26 ალტინათ და 4 დენგათ ღირებული საქონელი. თარჯიმანს (ბიძინას – ე. მ.) თარჯიმნობისათვის მაუდი, 2 ცალი სიასამური – სულ სამ მანეთად ღირებული საქონელი“. (ალექსი იევლევი, გვ. 180). ნ. ტოლოჩანოვს მოყვანილი აქვს ორიოდე შემთხვევა თარჯიმან ბიძინას მიერ რუს ელჩებთან თეიმურაზ მეფის დასმენისა (ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 81-82). ვახტანგ V შახნავაზის დროს ქართლში დაბრუნებულმა ფეშანგმა, როგორც ჩანს, გამყიდველობა არ მოიშალა და იგი ცხვირის მოკვეთით დასაჯეს (არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენისვილის რედაქციით, II, თბ., 1937, სტრ. 340).

სახელმწიფოსთან, ირანთან და ოსმალეთთან, მაგრამ არც მიხეილ თედორეს ძეს და არც ალექსი მიხეილის ძეს არავითარი ურთიერთობა არა ჰქონებიათ რომის პაპთან „და არც არაფერში ჭირდება იგი. რომი მოსკოვის სახელმწიფოსაგან შორს არის, მათ შორის მრავალი მიწა და სახელმწიფოა, ამიტომ არც მომავალში იქნება ურთიერთობა საჭირო“[1]. რაც შეეხება ნოღაელ თათრებს და „ყაზის ულუსს“, ისინი ძველებურად დიდ ხელმწიფეს ემორჩილებიან.

ამგვარად, მოსკოვის ელჩები, ტრადიციისამებრ, სავარაუდო შეკითხვებზე მზა პასუხებით აღჭურვილნი საქართველოსაკენ გამოემგზავრნენ. პასუხებში არაფერი იყო თეიმურაზ მეფისათვის რომელიმე საჭირბოროტო პრობლემის დადებითად გადაწყვეტაზე.

ელჩები 1651 წლის ივნისში უკვე იმერეთში იყვნენ. 16 ივნისს ისინი გაემგზავრნენ რაჭაში, რომელიც მეფე თეიმურაზს ალექსანდრე მეფისაგან „სარჩოდ ჰქონდა ბოძებული“[2]. 18 ივლისს მეფემ ელჩები სადარბაზოდ მიიწვია. მათ მეფეს, დედოფალს, სასულიერო პირებსა და კარისკაცებს საჩუქრები გადასცეს. მეფემ, საჩუქრების მიღების შემდეგ, უკმაყოფილომ იკითხა: „აქამდე დიდი ხელმწიფე ოც-ოციათას ვერცხლის ეფიმკებს მიგზავნიდა, ახლა კი თქვენის ხელით არ გამომიგზავნაო“. ელჩებმა უპასუხეს. რომ ხელმწიფემ არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი, ხოლო მას შემდეგ, როცა შენ მეფე თეიმურაზი შენს სამსახურს და ერთგულებას დაუმტკიცებ მის დიდებულებას, კიდევ მეტ წყალობას გიბოძებსო[3].

იმავე დღეს, საღამოს, ელჩები, მათივე თხოვნით, მეფემ კარისკაცთა ვიწრო წრის თანდასწრებით მიიღო. ელჩებმა მას თავიანთი ხელმწიფის საიდუმლო დავალებები გადასცეს.

ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკებების მთავარი საკითხი, როგორც მათი საქართველოში ყოფნისას გამოჩნდა, უფლისწულის მოსკოვში წაყ-

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 57.

[2] ი. ცინცაძის ვარაუდით, „ქალაქი“ რაჭა სხვა არაფერია, თუ არა სახელგანთქმული ნიკორწმინდა. ალექსი იევლევი, გვ. 24-26.

[3] იქვე, გვ. 70-71..

ვანა იყო. ამ საკითხის თავიანთ სასარგებლოდ გადასაწყვეტად ისინი დიდ შეუპოვრობასაც ამჟღავნებდნენ.

ელჩებმა მოითხოვეს, რომ თეიმურაზს, დაპირების თანახმად, მოსკოვში გაეგზავნა თავისი შვილიშვილი ნიკოლოზი. ამ საქმის შესრულება ალექსი მიხეილის ძემ ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი იევლევს დაავალა. „მეფე თეიმურაზმა ბრძანა: მე რომ ჩემი შვილიშვილი ხელმწიფეს გავუგზავნო და იმან კი (ხელმწიფემ) ჩემი სამეფოს, კახეთის გათავისუფლება არ ინებოს, ჯარი და ხაზინა არ გამომიგზავნოს, მაშინ რაღა აზრი ექნება მის გაგზავნას?“

ჯარის გამოუგზავნელობასთან დაკავშირებით ელჩებმა მეფეს მოსკოვიდან დანაბარები ზუსტად გაუმეორეს. ამის შემდეგ მათ მეფეს მოახსენეს ის რაზეც „დარიგებაში“ არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ, სავარაუდოა, ზეპირად, საჭიროების დროს, კერძოდ, მოსკოვში შვილიშვილის გაგზავნის სანაცვლოდ, ხელმწიფის სახელით თეიმურაზს უნდა დაპირებოდნენ: ფინანსურ დახმარებას, იმდენად ბევრს რისი წარმოდგენაც თეიმურაზს არ შეეძლო; მოსკოვის ხელმწიფე თეიმურაზ მეფეს უშუამდგომლებდა ირანის შაჰის წინაშე, კახეთის დაბრუნების შესახებ; თუ მან ამ რჩევის შემდეგ სამეფო არ დაგიბრუნა... მაშინ ჩვენი დიდი ხელმწიფე უთუოდ გაგზავნის თავის ჯარს ხვალისის (კასპიის) ზღვით, მის განაპირა ქალაქებს შეესევა და ათჯერ მეტ ქალაქებს აუოხრებს...“[1] აი რამდენ რამეს პირდებოდა რუსეთის ხელმწიფე თეიმურაზს, თუ იგი უფლისწულს მოსკოვში გაგზავნიდა.

როდესაც ელჩები თეიმურაზს რუსეთის მიერ ირანის წინააღმდეგ სამხედრო აქციის მოწყობას პირდებოდნენ, მათი აზრით, ეს ქართველებისათვის სარწმუნო იქნებოდა, რამდენადაც იმ დროს რუსეთ-ირანს შორის დაძაბული მდგომარეობა იყო და დაღესტნისა და შემახის გამგებლები რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მაგრამ თეიმურაზი ვითარების გათვალისწინებით, რუსების დანაპირებს ფხიზლად აფასებდა. ელჩები თავიანთ შეცდომას მაშინვე მიხვდებოდნენ, როდესაც მეფის წინაშე მისი მეორე შვილიშვილის – ლუარსაბის, მოსკოვში გაგზავნის საკითხიც დააყე-

---

[1] იქვე, გვ. 72-73.

ნეს. თეიმურაზმა მათ მკაცრად უპასუხა: ლუარსაბს არავის მივცემ, მაშინ ვიღასთვის ვიცოცხლო და ვინ იყოს ჩემი ჭირისუფალიო. ელჩებმა მისთვის კიდევ უფრო მოულოდნელი მოახსენეს: მათ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ თუ თეიმურაზიც ინებებდა იმასაც წაიყვანდნენ მოსკოვში თავის ქვეშევრდომებიანათ და ხელმწიფე უმაღლესი წყალობის ქვეშ მიიღებდა. თეიმურაზმა გულმოსულმა უპასუხა: „როცა დადგება დრო მე თვითონ ვეახლები მწყალობელ მეფეს, ახლა კი ჯერ კიდევ აქ უნდა ვიქნე“[1].

ნიკიფორე ტოლოჩანოვის ჩანაწერებში ჩანს თეიმურაზ მეფეს ეჭვი ეპარებოდა რუსთ ხელმწიფის და მისი ელჩების კეთილსინდისიერებაში. 1651 წ. 7 ოქტომბერს მეფის სულიერმა მამამ და თავადმა ივანემ ელჩებს უფლისწულის მოსკოვში გაგზავნასთან დაკავშირებით, თეიმურაზის აზრი მოახსენა: „ახლა რომ ჩემი შვილიშვილი ელჩებს გაგატანოთ ხელმწიფე მას მიიღებს, დაიტოვებს და მე არც ხაზინა და არც ჯარი რომ არ გამომიგზავნოსო“.

იმერთ მეფე ალექსანდრეს წარმომადგენლებმა, იმავე დღეს, ელჩებს მოახსენეს: ამჟამად მეფე თეიმურაზი დიდ ხელმწიფესთან თავის შვილიშვილს ვერ გატანთ მაგრამ თეიმურაზს ხელწერილი უნდა მისცეთ, რომ როცა მოსკოვში დაბრუნდებით ხელმწიფეს მასზე ცუდს არ ეტყვით და კეთილად მოიხსენიებთო[2]. თეიმურაზ მეფემ ელჩებს იგივე, უფრო მკაცრი ტონით, შეუთვალა: „უფლისწული მე დიდი ხანია მის უდიდებულესობას ხელმწიფე მეფეს მივეცი, მხოლოდ ახლა ვერ ვუშვებ, ვინაიდან ძალიან მცირეწლოვანია. გაზაფხულზე გამოვგზავნი, ახლა კი ვერც ხელწერილს მოგცემთ და ვერც ვადას დაგიდებთ. ჩემი ელჩი კი უნდა მიიღოთ

---

[1] იქვე, გვ. 73-74.

[2] იქვე, გვ. 87. უეჭველია, რომ ნ. ნიკიფორე ტოლოჩანოვის შეთხზული უნდა იყოს ვითომდაც ალექსანდრე III-ს რუსი ელჩებისათვის შეეთვალოს: „თეიმურაზის საქმეებთან მე ხელი არა მაქვსო, მის ჩვეულებას კარგად ვიცნობო, ეს პირველი არ არის, მისგან დანაპირების შესრულება ჯერ არავის გვინახავსო“ (ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 77). ტოლოჩანოვის ნათქვამი დაუჯერებელია იმიტომაც, რომ ა. იევლევს მსგავსი არაფერი ჩაუწერია თავის „საანგარიშო აღწერილობაში“. დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ალქსანდრე მეფე თეიმურაზ მეფის თანამზრახველი და თანამებრძოლი იყო.

და თან წაიყვანოთ. გარდა ამისა, სახარებას გამოვიტან და ელჩებმა ამ სახარებაზე და ხატზე უნდა შემომფიცონ, რომ დიდ ხელმწიფეს ჩემზე ცუდ სიტყვებს არას მოახსენებენ[1] და ჩემთვის წყალობას შესთხოვენო"[2].

ელჩებმა თეიმურაზის ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი სთქვეს. ღამით მათ ფეშანგი და თავადი ივანე ეწვივნენ და უთხრეს, რომ შეგიძლიათ დიდ ხელმწიფესთან გაემგზავროთ, მაგრამ მეფისაგან არც ელჩი და არც არავითარი წერილი არ იქნებაო[3].

რუსი ელჩების ბოლო მიღებისას, თეიმურაზ მეფემ ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიმართ მთელი უკმაყოფილება გამოამჟღავნა: „შენ ნიკიფორე, იმთავითვე ცუდად იქცეოდი და იქამდე მიიყვანე საქმე, რომ სახინკლედ დაკეპვა დაიმსახურეო"[4].

როგორც თეიმურაზ მეფის მიერ 1652 წ. 23 აპრილს მოსკოვში ალექსი მიხეილის ძისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, მას ნ. ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიმართ და, არა მხოლოდ მის მიმართ, უკმაყოფილების ძალზე სერიოზული არგუმენტები გააჩნდა. თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს უკანასკნელად, როსტომ მეფისა

---

[1] ელჩები თავიანთ „მუხლობრივ აღწერილობაში" არაფერს ამბობენ თეიმურაზ მეფის უკმაყოფილების ნამდვილ მიზეზზე. მაგრამ სხვა ცნობებიდან ჩანს, რუსთა ელჩობის წევრების დიპლომატისათვის შეუფერებელი საქციელი. კერძოდ, თეიმურაზის ელჩს, თეოფანეს მოსკოვში თეიმურაზის დავალებით განუცხადებია, რომ 1651 წ. სექტემბერში, ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და მისი ამალის წევრების სკანდაში ალექსანდრე მეფის სუფრაზე ყოფნისას, ნიკიფორე ტოლოჩანოვის სულიერ მამას, მიხეილ ხუცესს, თეიმურაზის ლანძღვა დაუწყია, რაც რუსულის მცოდნე ქართველებს გაუგიათ. ელჩობის ერთ-ერთმა წევრმა, კლიმენტი იევლევმა (ალექსის შვილმა) ხუცესის გაჩუმება სცადა, მაგრამ ხუცესმა დედა შეაგინა. მეფისგან წამოსულ რუსებს ჩხუბი თავიანთ ბინაში გაუგრძელებიათ. კლიმენტიმ მიქელს გაარტყა, ნ. ტოლოჩანოვმა კლიმენტი სასტიკად გალახა, ხოლო მის მამას ალექსი იევლევს წვერი დააგლიჯა და ჯოხით გაალახვინა. ალექსის თავის კაცი წაეშველა, რომელიც ტოლოჩანოვს შემოაკვდა (Полиевктов М., К вопросу об авторстве статейного списка „С". სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, №1, 1940, გვ 83).

[2] იქვე, გვ. 88.

[3] იქვე, გვ. 89.

[4] იქვე, გვ. 89-90.

და ყიზილბაშებისაგან კახეთის მიერ განცდილ უბედურებასა და დავით უფლისწულის დაღუპვაზე როდესაც წერს, ყოველივე ამას არაფერი სასიკეთოს მომცემ რუსეთთან თავის ურთიერთობას მიაწერს: ომის გამო, რომ შენი მეფური უდიდებულესობის მსახური გავხდი, შაჰ აბას მმტრობს და შენი უდიდებულესობის ბრძანებას არ ემორჩილება“. თეიმურაზ მეფე მთლიანად ტოლოჩანოვს სდებს ბრალს იმაში, რომ მან, თეიმურაზმა, ვერ შეძლო უფლისწული ნიკოლოზის მოსკოვში გაგზავნა. მან ტოლოჩანოვს სთხოვა გამეოზამთრა თერგის ციხე-ქალაქში, მანამდე ვიდრე, ოსმალეთიდან დაბრუნდებოდნენ ისინი ვისაც ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი სიასამური გასაყიდად გაატანა. მათი დაბრუნების შემდეგ, ხელმოკლეობაში მცხოვრებ თეიმურაზს, საჭირო თანხა გაუჩნდებოდა შვილიშვილისა და რძლის რუსეთში გასამგზავრებლად. ამიტომ იყო, რომ ტოლოჩანოვს ხატზე და ჯვარზე ეფიცებოდა, რომ მას არ მოატყუებდა და დანაპირებს შეასრულებდა. თეიმურაზ მეფე შემდეგ წერს, რომ რუსმა ელჩმა არ დაუჯერა და თეიმურაზის ელჩის მოსკოვში წაყვანაც არ უნდოდა. დიაკი იევლევი მზად იყო ლოდინისათვის, მაგრამ ნიკიფორე ტოლოჩანოვი და თარჯიმანი იოანე წინააღმდეგნი გამოვიდნენ. „გიგზავნი ბერს (მისი სახელია თეოფანე) სიგელით, – წერს თეიმურაზი მოსკოვის ხელმწიფეს, – შენი უდიდებულესობის პასუხის მისაღებად. მე კი, იცოდე დღეგრძელო ხელმწიფე, აუცილებლად თვითონ მივალ თერგში და უფლისწულს დედამისთან ერთად მივიყვან და შენ გადმოგცემ. როცა მას გადმოგცემ, ***გთხოვ დიდო ხელმწიფე, რომ შენი წყალობით გამომიგზავნო ჯარი და ფული, რათა დავიბრუნო ჩემი ქვეყანა. ასე რომ, თუ უფლისწულს არ მოგცემ, შენც არ დამიჯერო და ნურც ჯარს და ნურც ფულს მომცემ. რადგანაც შენს მეფურ დიდებულებას [ჩემი] მრავალი მტერი ეუბნებოდა, რომ მე შენ გატყუებ და უფლისწულს არ მოგცემ... მე შენი მეფური დიდებულების გარდა არავის ვემორჩილები და დავრჩები შენს ქვეშევრდომად“.***

თეიმურაზ მეფე ნ. ტოლოჩანოვს ბრალს სდებს გამყიდველობაში, რომ მას „სხვა (მტრულად განწყობილმა – ე.მ.) მხარემ ფული მისცა, ამიტომ არ გამიგონა. დღეგრძელო მეფე იცოდე ეს

და განიხილე ეს საქმე“[1]. თეიმურაზ მეფე არ აკონკრეტებს ვის გულისხმობს „სხვა მხარეში“, მაგრამ შეიძლება „სხვა მხარე“ იყო ან შაჰი, ან როსტომ მეფე და ან ლევან II დადიანი, ან ესენი ყველანი ერთად.

ამგვარად, ტოლოჩანოვმა, როგორც ელჩმა, თავი ვერ გაართვა თავის მოვალეობას, ვერც თეიმურაზ მეფესთან მოაგვარა საქმე, ვერც უფლისწული წაიყვანა მოსკოვში, რასაც დიდი ინტერესით მოელოდა რუსეთის მთავრობა. „ამის შემდეგ გასაგები ხდება ის ფაქტი, – შენიშნავს ი. ცინცაძე, – რომ ნიკიფორე ტოლოჩანოვი საგარეო საქმეთა ხაზით აღარ მუშაობს“[2].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. ტოლოჩანოვის და, საერთოდ, რუსი ელჩების ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა განხილვა. ისინი, სავარაუდოა, ზოგჯერ გარკვეული მოსაზრებით, თავიანთი მთავრობისათვის დაწერილ მოხსენებებში, ამუქებდნენ ან სრულიადაც ამახინჯებდნენ ფაქტებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თეიმურაზ მეფეზე წერდნენ.

ელჩები ისე წავიდნენ საქართველოდან, რომ თეიმურაზი მათ აღარ შეხვდა. თეიმურაზის ხელის მთხვევაზე ელჩობის რიგითი წევრები მიიწვიეს. მათ რუსეთში გაჰყვა თეიმურაზის ელჩი ბერძენი ბერი თეოფანე, რომელმაც ალექსი მიხეილის ძეს ზემოგანხილული წერილი მიართვა. მეფემ თეოფანე ტოლოჩანოვს კი არ ჩააბარა, არამედ ალექსი იევლევსა და მის ვაჟს კლიმენტის.

ამგვარად, თეიმურაზ მეფემ, მიუხედავად თავისი რთული მდგომარეობისა, „მფარველის“ – რუსეთის ხელმწიფის ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი პერსონა non grata-დ გამოაცხადა, რაც იშვიათი შემთხვევაა მრავალსაუკუნოვან ქართულ დიპლომატიაში.

---

[1] Переписка, с. 68-70.

[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 15. მოსკოვში დაბრუნებული ნიკიფორე ტოლოჩანოვის შემდგომი საქმიანობიდან ცნობილია, რომ იგი ჯერ რეჩ პოსპოლიტასთან ომში მონაწილეობდა, შემდეგ ქ. ატემარის აზნაურთა თავად დანიშნეს. აფასებს, რა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და თეიმურაზის კონფლიქტს, დ. კაჭარავა წერს: „ცხადია, ნიკიფორე ტოლოჩანოვის მოქმედება რუსეთის ინტერესებში შედიოდა და მოსკოვის სამეფო კარმა მის მიმართ თეიმურაზის წამოყენებულ ბრალდებას ყურადღრება არ მიაქცია“. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 184, შენ. 1.

1652 წლის სექტემბერში რუსი და ქართველი (თეიმურაზ I-სა და ალექსანდრე III-ის) ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ.

ვიდრე ელჩები მოსკოვში ჩავიდოდნენ, მანამადე, 1650 წელს მოლაპარაკება გაიმართა რუსეთის მთავრობასა და ირანის ელჩ მოჰამედ ყული ბეგს შორის. ფორმალურად, თითქოს, მოლაპარაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შაჰის საქართველოსადმი, კერძოდ თეიმურაზ I-სადმი დამოკიდებულება იყო. საელჩო პრიკაზში მოლაპარაკების დროს (8 იანვარი – მაისი) შაჰის ელჩმა საქართველოს საქმეებში შაჰის ჩარევაზე საუბარს თავი აარიდა და ის, რაც კახეთისა და თეიმურაზის მიმართ ხდებოდა, საქართველოს შიდა საქმედ გამოაცხადა: „თეიმურაზის და... ამჟამიდელი შაჰის მამის – სეფის ცოლი იყო, ამიტომ თეიმურაზი ჩვენი ხელმწიფის ახლობელია. ქართველი თეიმურაზი თბილისის როსტომ ხანთან იმიტომ ჩხუბობს, რომ ისინი ერთმანეთის ახლობლები, ერთი თაობისანი, ერთი დიდი მთავრის ჩამომავლები არიან. როსტომ ხანი შაჰის ქვეშევრდომი და მუსლიმანია და საქართველოს მიწა-წყლის ნახევარი მას ეკუთვნის, მეორე ნახევარი კი თეიმურაზს. მათ შორის უთანხმოებაა და შაჰი როსტომ ხანზე ბრაზობს, რომ საქართველოს მიწა-წყალი გაანადგურა და უფლისწული მოკლა. თეიმურაზი ახლა თავის სიძესთან ცხოვრობს, თავისი ქვეყანა მიატოვა, შაჰს კი არაფერს სწერს და არაფერს ეკედრება. რომ ეთხოვა, შაჰი ბრძანებდა მას ძველებურად თავის ქვეყანაში ეცხოვრა. მე შაჰის დიდებულებას ამის თაობაზე მოვახსენებ და შაჰი ხელმწიფის დიდებულების გულისათვის ბრძანებს, თეიმურაზს მისი ქვეყანა დაუბრუნონ და მისი ქვეყანა დაიცვან...“[1].

ამგვარად, შაჰის დიპლომატის თქმით, საქართველოში ქართლისა და კახეთის ურთიერთბრძოლა, ნათესავებს შორის გაურკვეველი ურთიერთობის შედეგი იყო და შაჰ აბას II-ის პოლიტიკის რამეში დადანაშაულება არ შეიძლებოდა. შაჰი უბრალო მაყურებელი იყო და იგი იმაზე სწუხდა, თეიმურაზი რატომ დახმარებას არ სთხოვდა სამართლიანობის აღსადგენად.

საელჩო პრიკაზის სხვა ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ მოჰამედ ყული ბეგმა როსტომ მეფის მოსკოვის ხელმწიფისადმი პატი-

---

[1] Тивадзе Т. Г., Материалы... с. 176-177, №39.

ვისცემის საილუსტრაციოდ, განაცხადა, რომ როსტომმა თეიმურაზის „დედა“ (ქეთევან დედოფალი 26 წლის წინათ მოკლეს შაჰ აბას I-ის ბრძანებით) და ცოლი თეიმურაზთან გაუშვა და იმერეთსა და გურიაზე არ გაილაშქრა „და ამით (მოსკოვის–ე.მ.) მეფის უდიდებულესობისადმი სრული ძმური სიყვარული და მეგობრობა გამოხატა“. ელჩის სიტყვით, შაჰი და როსტომი ასეთი კეთილები არიან, მაშინ როდესაც თეიმურაზ მეფე შაჰის მტერს, თურქეთის მეფეს დაუკავშირდა. რუსმა დიპლომატებმა ელჩის ნათქვამის გამო გაკვირვება გამოხატეს და მას დაპირდნენ, რომ ყოველივეს გამოიკვლევდნენ, მანამდე კი მოსკოვის ხელმწიფისადმი სიყვარულისა და მეგობრობის გულისათვის შაჰ აბასი არ შეიჭრეს საქართველოში და არ გაანადგუროს, რათა დიდ ხელმწიფეებს შორის ძმური მეგობრობა არ დაირღვეს. ელჩმა მოითხოვა, რომ „მეფე თეიმურაზმა შაჰის უდიდებულესობას თავისი პირდაპირი სამსახური უჩვენოს და მისადმი ყმობაში იყვეს. ეს უნდა უბრძანოს დიდი ხელმწიფის მეფურმა უდიდებულესობამ, რომ ის შაჰის უდიდებულესობას თავისი ღირსებით ემსახუროს, ისევე როგორც მისი სხვა ყმები მორჩილად ემსახურებიან და მხოლოდ ამის შემდეგ სწრაფად აღსრულდება მისი სურვილი...“[1]

ყურადღებას იქცევს მოჰამედ ყული ბეგის ნათქვამი როსტომ ხანის მოსკოვის ხელმწიფის მიმართ კარგ განწყობილებაზე. შაჰის ელჩის მიერ როსტომ მეფის ქება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობ, მზადდებოდა ქართლის მეფის ელჩის მოსკოვში ჩასვლისა და ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად პირობები, რაზეც ქვემოთ ვრცლად ითქმევა.

1650 წლის მაისში ალექსი მიხეილის ძემ თავისი შიკრიკის მატვეი სპირიდონოვის ხელით წერილი გაუგზავნა შაჰ აბას II-ს და სთხოვა აღარ შეევიწროებინა მეფე თეიმურაზი და წართმეული სამფლობელოები დაებრუნებინა, ისინი კი, ვინც მისი სამფლობელოები შაჰის ნებართვის გარეშე გაანადგურეს, დაესაჯა[2].

---

[1] Там же, с. 177-179, №40.

[2] Там же, с. 182, №41.

რუსეთის მთავრობამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა შაჰის ელჩის მიერ მიცემული განმარტება, თუ რატომ იყო მოსკოვის მფარველობის ქვეშ მყოფი ხელდებული თავისი სამეფოდან დევნილი და მისი მიწა-წყალი კი განადგურებული. ამის შემდეგ რუსმა დიპლომატებმა და ირანის ელჩმა თავიანთი ქვეყნებს შორის სავაჭრო საკითხების განხილვა დაიწყეს და წარმატებითაც დაასრულეს. რუსებმა ირანის ელჩს სთხოვეს, რომ მის ქვეყანას რუსეთისათვის ყოველ წელიწადს 20 ათასი ბათმანი გვარჯილა მიეწოდებინა[1]. მაგრამ სწორედ ამ წარმატებული მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, სულ მალე, დაიძაბა რუსეთ-ირანის ურთიერთობა თითქმის მთელი ათი წლით. დაძაბულობის მიზეზი, რა თქმა უნდა, საქართველოს მიმართ შაჰის პოლიტიკით რუსეთის უკმაყოფილება არ იყო. ამ ორი დიდი სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები ვაჭრებისადმი ცუდად მოპყრობაში, კაზაკების მიერ კასპიისპირეთში ირანის ქვეშევრდომი სახანოების დასახლებული პუნქტების აკლებასა და ვაჭრების ძარცვაში მდგომარეობდა. ორ ქვეყანას შორის სადაო იყო, აგრეთვე, ის თუ ვის მორჩილებაში უნდა ყოფილიყო დაღესტანი.

რუსეთ-ირანს შორის დაძაბულობას გარკვეული მუხტი შემატა ქართველი უფლისწულის, ერეკლე–ნიკოლოზ დავითის ძის მოსკოვში გამგზავრებამ.

---

[1] Соловьев С. М., История России с древнейших времен, с. 261-262.

IX. მძევლის საკითხი თეიმურაზ I-ისა და მოსკოვის კარის დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVI ს. 80-იანი წლები – XVII ს. პირველი ნახევარი)

თეიმურაზ მეფისდროინდელ საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსკოვში უფლისწულის გაგზავნის საკითხმა შეიძინა. იმასთან დაკავშირებით, მოსკოვში გაგზავნილი უფლისწული როგორი სტატუსით სარგებლობდა, იყო თუ არა იგი მძევალი, გამოთქმულია მოსაზრებები, რომლებიც, ვფიქრობ, ძირითადად, არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

ქართულ სახელმწიფოს, მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, დამპყრობლისა თუ „მეგობრისათვის" მძევლის მიცემის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ქართველ ხელისუფალთ თვითონაც ხშირად ჰყოლებიათ მეზობელი სამეფო-სამთავროების მბრძანებელთა და დიდებულთაგან ნებით თუ ძალით წამოყვანილი მძევლები.

ძველ სამყაროში და, განსაკუთრებით კი, ფეოდალური საზოგადოებისათვის მძევლის მიცემა-აყვანა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მძევალი, გარკვეული გაგებით, მძევლის მიმცემის მიერ დათქმული პირობის შესრულების გარანტია იყო. იყო შემთხვევები, როდესაც გამარჯვებული, ძლიერი მხარეც აძლევდა მძევალს შედარებით სუსტ ან დამარცხებულ ყოფილ მოწინააღმდეგეს, რათა მას დამშვიდებით ეგრძნო თავი ძლიერის წინაშე, რომ ისიც ერთგული და დამცველი იქნებოდა სუსტისათვის მიცემული პირობისა.

ქართველებს გვიან შუა საუკუნეებში ცხოვრება უხდებოდათ მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში და მძევალსაც მათ აძლევდნენ. ასე, რომ იგი, მძევალი, დიპლომატიური საქმიანობის გარკვეული ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ბიზანტიის სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ, ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების და ირანის აგრესიისაგან მისი დაცვის სურვილს სიტყვიერად გამოხატავდა, იყო მოსკოვის სახელმწიფო.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მძევლის საკითხი პირველად XVI ს. 90-იან წლებში დადგა, როდესაც მოსკოვმა შაჰ თამაზ I-ის მიერ 1575/1576 წელს ირანში მძევლად წაყვანილი ალექსანდრე II კახთა მეფის ვაჟის კონსტანტინეს მოსკოვში წაყვანა მოინდომა.

1588 წელს შაჰ აბას I-ის ელჩის წინაშე საქართველოსა და ქართველ უფლისწულზე საუბრის დაწყებით, მოსკოვში საქართველოს მიმართ ირანის პოზიციის გარკვევა სურდათ. მაგრამ შაჰის ელჩისგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს. იგი მოხერხებულად არიდებდა თავს ამ არასასიამოვნო საუბარს და გადაკვრით აგრძნობინებდა რუს დიპლომატებს, რომ კონსტანტინეს საკითხში არაფერი იყო ისეთი, რომელიც რუსეთისა და ირანის ურთიერთობას შეაფერხებდა.

„ცნობილია, რომ იმხანად ირანი თურქეთით შევიწროებული, რუსეთთან მეგობრობას ეძებდა და რუსეთის დიპლომატიამ, ალბათ, მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კახეთის სამეფოს გასხვისების საკითხი უფრო მარტივად წარმოიდგინა ირანისათვის, ვიდრე იგი სინამდვილეში იყო. მოსკოვში ასეთი შეხედულების შემუშავებას თვით ირანელმა დიპლომატებმა შეუწყვეს ხელი“ – აღნიშნავდა ი. ცინცაძე[1].

შაჰის კარზე კონსტანტინე უფლისწულის საკითხი დააყენა მოსკოვის ელჩმა ზვენიგოროდსკიმ. კონსტანტინეს მოსკოვში წაყვანით რუსთ ხელმწიფე ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევას ისახავდა. ჯერ ერთი, უფლისწულის საკითხი, ფაქტობრივად, კახეთის საკითხი იყო. რუსეთი კონსტანტინე უფლისწულს ირანიდან თუ წაიყვანდა, ეს ირანის მიერ კახეთზე რუსეთის უფლების აღიარება, ხოლო ირანის კახეთზე სიუზერენობის დაკარგვის გამოხატულება იქნებოდა. მოსკოვის მოთხოვნა შაჰმა სწორედ ასე შეაფასა. შაჰს შეეძლო გამაჰმადიანებული კონსტანტინე კახეთის ტახტის პრეტენდენტად გადაექცია, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა. კახეთის ტახტზე მაჰმადიანი მეფე რუსეთისათვის მიუღებელი იყო. სწორედ ამითი იყო გამოწვეული შაჰის კარზე მოსკოვის ელჩების აქტიურობა კონსტანტინეს ხელში ჩასაგდებად. იმავე დროს, როგორც ბორის გოდუნოვის ელჩის, ივანე ვსევოლოდსკის ხელით საქართველოში გაგზავნილი სიგელიდან ჩანს, იგი მოითხოვდა, რომ ამის შემდეგ მოსკოვთან შეთანხმების გარეშე კახეთის მე-

---

[1] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. ივ. ჯავახისვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 246.

ფეს მაჰმადიანი მბრძანებლებისთვის მძევალი აღარ მიეცა[2]. ქრისტიანული სახელმწიფო კი საქართველოს უშუალო მეზობლობაში, გარდა მოახლოებული რუსეთისა სხვა აღარ ჰყავდა. მაშასადამე, ალექსანდრე მეფეს მძევალი მხოლოდ მფარველისათვის უნდა მიეცა. ასეც სწერდნენ ალექსანდრე მეფეს მოსკოვიდან[1].

1593 წელს ბორის გოდუნოვმა შაჰ აბასს ერთხელ კიდევ სთხოვა, ყაზვინში მძევლად მყოფი კახეთის უფლისწული კონსტანტინეს განთავისუფლება. ბორის გოდუნოვი შაჰს ჰპირდებოდა, რომ ალექსანდრე მეფე მძევლის გარეშეც ირანის ერთგული იქნებოდა.

განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება, იმავე წელს, ბორის გოდუნოვის მიერ, თავისი წერილითა და ელჩის საშუალებით, ალექსანდრე კახთა მეფისათვის მის მიერ დატყვევებული თავისი ურჩი ძმისწულების მოსკოვში გაგზავნის თხოვნა. მოსკოვის მეფის ამ თხოვნას ელჩი იმით ასაბუთებდა, რომ ვაითუ კახეთის მეფის მოწინააღმდეგე ძმისწულები მისმა მტრებმა გამოიყენონო[2].

ბორის გოდუნოვის ამ „კეთილშობილურ“ წინადადებას ი. ცინცაძემ ორი ახსნა მოუძებნა. ერთი ის, რომ შეიძლება მოსკოვის ხელისუფლება მართლაც შეშფოთებული იყო ალექსანდრეს ძმისშვილები მისი მტრის, ამ შემთხვევაში ოსმალეთის ან ირანის ხელში აღმოჩენილიყვნენ, ამით მოსკოვის მომხრე ალექსანდრეს საქმე წახდებოდა, რაც მოსკოვისთვისაც საზიანო იქნებოდა. მეორეც, ალექსანდრეს მტრებს შეიძლებოდა ისინი კახეთის ტახტის პრეტენდენტებად გადაექციათ[3].

მოსკოვს, რა თქმა უნდა, თავისი ანგარიშები ჰქონდა, რომელსაც კახეთის მფის ინტერესებისათვის ზრუნვის შესახებ კეთილშობილური ფრაზებითა ნიღბავდა.

ბუნებრივია კითხვა: რისთვის უნდოდა რუსეთის ხელისუფ-

---

[1] Веселовский Н. Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, I, СПб., 1890, с. 275.

[2] Сношения России с Кавказом. Матерялы, извлеченные из Московского Главного Архива Министерства иностранных дел Сергеем Белокуровым, вып. I, М., 1889, с. 263.

[3] ცინცაძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 249.

ლებას ალექსანდრეს მიერ ქრისტიანობისა და თავისი ტახტის მტრებად გამოცხადებული ქართველი ბატონიშვილების მოსკოვში ყოლა? ვფიქრობ, სწორად განსაჯეს გრემში, რომ მათი მოსკოვში ყოფნა არაფერ სასიკეთოს არ მოუტანდა კახეთის სამეფოს.

კახეთში ბორის გოდუნოვის თხოვნა ისე გაიგეს, თითქოს ის შერისხულ ბატონიშვილებს მფარველობას უპირებდა და შეიძლებოდა მოსკოვის მთავრობას ისინი ალექსანდრე მეფეზე ზეწოლისათვის გამოეყენებინა. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი ბატონიშვილების გამო რუსეთის აქტიურობამ განაპირობა ან დააჩქარა ალექსანდრეს მიერ მათი დასჯა. ალქსანდრე მეფემ მოსკოვში გაგზავნილ თავის სიგელში მოსკოვის კარის ინიციატივის გამო გაკვირვება გამოხატა და ისიც აცნობა, რომ დამნაშავეები უკვე დასჯილნი არიანო. ი. ცინცაძე აღნიშნავდა: „მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ რუსეთის დიპლომატიას ამ ბატონიშვილების რუსეთში გადასახლებით მძევლის ხელში ჩაგდება სურდა“[1]. რა თქმა უნდა, შერისხული ბატონიშვილები მძევალი ვერ იქნებოდნენ და მათ თუ რამ ცუდი შეემთხვეოდათ ამის გამო კახეთის მეფე დიდად თავს არ გამოიდებდა, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში ისინი კახთა მეფეზე ზეწოლისა და შანტაჟისათვის კი გამოდგებოდნენ.

როდესაც საქართველოდან მძევლის წაყვანის და სამეფო კარზე ზემოქმედების ამგვარი საშუალების მოპოვების მცდელობამ არ გაამართლა, მოსკოვმა ტაქტიკა შეცვალა.

თეიმურაზის კარზე ისიც ცნობილი იყო, რომ მოსკოვის სამეფო ოჯახმა რამდენჯერმე სცადა ნათესაური კავშირი დაემყარებინა ბაგრატიონთა, ქრისტიანულ სამყაროს ერთ-ერთ უძველეს და სახელგანთქმულ სამეფო გვართან, რაც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური იტერესით იყო განპირობებული.

1604-1605 წლებში რუსეთის ელჩ ტატიშჩევს დაევალა ბორის გოდუნოვის ქალ-ვაჟისათვის საქართველოში საქმრო და საცოლე შეერჩია. ელჩმა სარძლოდ ქართლის სამეფოში გიორგი მეფის ასული (თინათინი, იგივე ლელა-ელენე) შეარჩია, მაგრამ ქართლის სამეფო დარბაზმა, ასევე პოლიტიკური მოსაზრებით, უარყო მოსკოვის წინადადება: ქორწინება, რომელიც ქართლის სამეფოს რუსე-

---

[1] იქვე, გვ. 250.

თის მფარველობაში შესვლასაც გულისხმობდა, ირანისა და ოსმალეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა[1].

სასიძოც ქართლში შეირჩა – მუხრანის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი ხოსრო ბატონიშვილი. რუსეთის ხელმწიფის კარს განზრახული ჰქონდა იგი მოსკოვში ზედსიძედ წაეყვანა. მაგრამ ქართლის სამეფო საბჭომ მხარი არ დაუჭირა ამგვარ ქორწინებას იმ მოტივით, რომ შეიძლებოდა შემდგომში რუსთ ხელმწიფეს თავისი სიძის ქართლში გამეფება მოეწადინებინა[2]. მართალია, რუსი ელჩი ბევრს ეცადა ამგვარი აზრის მცდარობაში დაერწმუნებინა ქართლის პოლიტიკოსები, მაგრამ ამაოდ. ისინი მტკიცედ დადგნენ თავიანთ პოზიციაზე. მასალების არქონა არ იძლევა გარკვევის საშუალებას, ამგვარი ნათესაობის დამყარების შემდეგ, რას მოიმოქმედებდა მოსკოვის მთავრობა ქართლის სამეფოში, მაგრამ ცხადია, ქართლის სამეფო კარს რისკზე წასვლა არ უნდოდა. იმის თქმა, რომ „არც ხოსრო ბატონიშვილი იყო მძევლად გამიზნული რუსეთის დიპლომატიის მიერ“[3], გულუბრყვილობად მეჩვენება. ***არავის შეეძლო მაშინ წინასწარ განეჭვრიტა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, როგორი შესაძლებლობები გაუჩნდებოდა მოსკოვს სამხრეთ კავკასიაში და გოდუნოვის სიძე როგორ მნიშვნელობას შეიძენდა შეცვლილ ვითარებაში. ისტორიული გამოცდილება ქართლისა და კახეთის პოლიტიკოსებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა.***

რად ღირდა თუნდაც თეიმურაზ I-ის უფლისწულების სხვა

---

[1] Сношения России с Кавказом, ც. 498-499. ლელა-ელენე, იგივე თინათინი, ჯერ შაჰ აბას I-ის ცოლი იყო, შემდეგში (1622 წ.) იგი შაჰმა ფეიქარ-ხანს აჩუქა. გიორგი საკაძემ სცადა იგი ფეიქარ-ხანისთვის წაერთმია და ზურაბ ერისთავისთვის შეერთო (ქართლის ცხოვრება II, გვ. 407). ეს ის ელენე უნდა იყოს, რომელიც სამიჯნურო წერილებს სწერდა ზურაბ ერისთავს. ელენესა და ზურაბს შორის სამიჯნურო ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო ზურაბის ირანში ყოფნის დროს (1618-1620 წწ.). ამიტომ იყო, რომ ქართველები ცდილობდნენ ლელა-ელენე ფეიქარ-ხანისათვის წართმიათ და ზურაბ ერისთავისათვის შეერთოთ (ძოწენიძე ლ., ელენე ხანუმის ვინაობისათვის. კრ. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII-VIII, თბ., 1976, გვ. 234-246).

[2] Там же, ც. 504.

[3] ცინცაძე ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

ქვეყნის კარზე გაშვების უმწარესი გამოცდილება. გასახსენებლადაც კი შემაძრწუნებელია მისი ორი ვაჟის მიმართ შაჰ აბას I-ის ბარბაროსული მოპყრობა და მისი დედის, დედოფალ ქეთევანის მოკვდინება.

ამ ტრგიკული ამბებიდან გავიდა თითქმის 40 წელი და თეიმურაზ I-ის წინაშე კვლავ დადგა მძევლის გაცემის პრობლემა. თეიმურაზ მეფე იმ კულტურულ-პოლიტიკური გარემოს შვილია, რომლისთვისაც მძევალი გარკვეული გეგმის განხორციელების და პოლიტიკური ოპონენტის ნდობის მოპოვების უკანასკნელი საშუალებაა. განვლილმა ურთიერთობამ კახეთის მეფე დაარწმუნა, რომ რუსეთის ხელმწიფე და მისი დიპლომატები მას ბოლომდე არ ენდობოდნენ და, როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან გამომდინარე არაერთხელ აღინიშნა, არც თეიმურაზ მეფე ენდობოდა რუსეთის ხელმწიფესა და მის მოხელეებს და ამის შესახებ პირდაპირაც განუცხადებია.

ვარაუდობენ, რომ თეიმურაზ მეფემ, იმისათვის რათა რუსეთის ხელისუფლება მეტი მონდომებითა და ნდობით მოჰკიდებოდა მისი სათხოვარის ასრულებას, მან 1646 წელს საგანგებო ელჩი გიორგი ჩოლოყაშვილი მოსკოვში გაგზავნა და დაავალა რუსეთის ხელმწიფისათვის შეეთავაზებინა ის, რის გაკეთებასაც რუსეთის ხელისუფლება საქართველოში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ცდილობდა. თეიმურაზი ხელმწიფეს სთავაზობდა თავის ორ შვილიშვილს, დავითის ვაჟებს – გიორგის „საყმოდ“ (в холопи) და ლუარსაბს სასიძოდ, იმ პირობით, რომ მეფე ალექსი მიხეილისძეს თავისი და საქართველოში უნდა გამოეშვა, სამაგიეროდ გიორგი მოსკოვში დარჩებოდა[1].

როგორც ითქვა, თეიმურაზ მეფემ ლუარსაბისათვის ხელმწიფის დის, ტატიანას, დასაწინდად სამკაულებიც კი გაგზავნა მოსკოვში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ქართველ ელჩს ისინი უკან დაუბრუნეს, იმ პირობით, რომ უფლისწული გიორგის მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ლუარსაბის საცოლეს საქართველოში გამოაგზავნიდნენ[2].

---

[1] Переписка, с. 64.

[2] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არქივიდან (XVII ს.). ჟურნ. „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 128.

ისევე, როგორც თეიმურაზ მეფის მრავალი სხვა გეგმა, ესეც განუხორციელებელი დარჩა. გიორგი ბატონიშვილი მალე გარდაიცვალა. დარჩა ორი უფლისწული – ლუარსაბი, რომელსაც თეიმურაზი თავის მემკვიდრედ ამზადებდა და მცირეწლოვანი ერეკლე, რომელიც მოსკოვში გასაგზავნად მეფეს ჯერ არ ემეტებოდა. იგი უფლისწულის გაუგზავნელობის მიზეზად უსახსრობასაც ასახელებდა.

თეიმურაზ მეფე ძლიერ დაინტერესებული იყო რუსეთის სამეფო ოჯახის ასულის კახეთში გადედოფლებით, რაც, ალბათ, მისი ვარაუდით, რუსეთს საქართველოში ირანის აგრესიის შემაფერხებელ ძალად გადააქცევდა. როგორც თეიმურაზ მეფე ალექსი მიხეილის ძეს სწერდა, ტატიანა, ლუარსაბის გარდა, სხვაზე მაინც ვერ გათხოვდებოდა, რადგან ლუარსაბი იყო ერთადერთი მართლმადიდებელი უფლისწული და კახეთის ტახტის მემკვიდრე[1]. მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა ამგვარ შეთავაზებაზე თავი შეიკავა. თავშეკავების ორი მიზეზი უნდა ყოფილიყო: თეიმურაზ მეფისა და უფლისწულის არამყარი მდგომარეობა და ისიც, რომ მეფის ასულის საქართველოში დამკვიდრება რუსეთის სამეფო კარს ამ ქვეყნის პრობლემებთან დააახლოებდა და აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგებდა.

რუსული წყაროების მიხედვით, უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის ინიციატორი თეიმურაზ მეფე იყო. მაგრამ მეფისა და რუსეთის ელჩების მოლაპარაკების მსვლელობა და უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის საკითხის სერიოზული გამწვავება, სხვაგვარ ვარაუდს წარმოშობს. ხომ არ იყო თეიმურაზ მეფის „ინიციატივა“ მოსკოვის მიერ პროვოცირებული? კიდევ ერთხელ აუცილებლად უნდა აღინიშნოს რუსული დიპლომატიის ერთი თავისებურება. ხელმწიფის ელჩები, ხშირად, მოსკოვში მიღებული დავალების შესაბამისად, თავიანთთვის საინტერესო საკითხზე წერილობითი თხოვნა კი არ მოჰქონდათ ქართველ მეფესთან, არამედ ზეპირი. ქართველი მეფის თანხმობის შემთხვევაში, შეთანხმების ტექსტი ისე იწერებოდა, თითქოს ქართველების თხოვნის დაკმაყოფილება ხდებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ ***ქართველი უფლისწულის მოს-***

---

[1] იქვე.

კოვში გაგზავნის ინიციატივაც მოსკოვიდან წამოვიდა. სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ თეიმურაზის მიერ 1658 წლის 31 აგვისტოს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან, ბოიარ თავად ივანე ანდრიას ძე ხილკოვისა და სათათბიროს დიაკის ლარიონ ლოპუხინისათვის, თეიმურაზ მეფის ნათქვამი: როდესაც მან ალექსი მიხეილის ძის, ხელმწიფის მამის, მიხეილ თედორესძის ქვეშევრდომობა მიიღო, მან თეიმურაზს ოქროს ბეჭდით დამოწმებული წყალობის სიგელი გაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „***დიდ ხელმწიფეს იგი, მეფე (თეიმურაზი –ე.მ.) თავის სახელმწიფო წყალობაში ეყოლებოდა და მტრებისაგან დაიცავდა.*** ამის შემდეგაც ***მეფეს მოსკოვიდან მრავალი სახელმწიფო სიგელი მისწერეს, რათა მას დიდი ხელმწიფისათვის თავისი შვილიშვილი გამოეგზავნა. მან შვილიშვილი გამოგზავნა და ეხლა თვითონაც ჩამოვიდა და ითხოვს, რომ დიდმა ხელმწიფემ სახელმწიფო ჯარი მომცესო“***[1].

იმისათვის რათა გამოთქმული ვარაუდის სისწორეში დარწმუნდეთ, ჩავუკვირდეთ თეიმურაზ მეფის მიერ 1646 წელს მოსკოვში გაგზავნილ წერილს: „ჩოლოყაშვილის ბატონის გიორგისათვის ***ჩვენი პასუხი დიდისა ყოვლის პყრობელის ჭელმწიფესთან ეს დაგვიბარებია. თუ ამას გვიზამს, რომ ქართლი დაგვაჭერინოს და იმაზედ მოგვეხმაროს, პატრიარქად იმათი ბერი დასვან: მაცხოვრის კვართია იქა, ადვილის საქმით დავიჭერთ და ჩემს შვილს***[2] ***გიორგის ჭელმწიფეს მივსცემ:*** თუ ამას არ გვიზმენ, ამდენი ქრისტიანი ტყვე თათრდება, ლეკნი ჩამოგუხსნან, ციხე აუგონ, როგორც კვლავ ყოფილა და ***იმისთვისთცა მივსცემ შვილსა: თუ არც ეს ქნან, ჩემს უხუცეს შვილს ლუარსაბს ქალი მოსცეს, საქართველო საბოლოოთ ჭელმწიფისა იქნება...“***[3].

წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისე გამოდის, რომ თე-

---

[1] მაჭარაძე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს, გვ. 450; პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). „საისტორიო მოამბე“, 19-20, თბ., 1965, გვ. 465.

[2] თეიმურაზ მეფეს ამ დროს საკუთარი ვაჟი აღარ ჰყავს. იგი დადუპული უფლისწული დავითის ვაჟებს თავის შვილებად მოიხსენიებს.

[3] Переписка, с. 64.

იმურაზ მეფეს ხელმწიფისთვის ქართლის ტახტის დაპყრობაში დახმარება უთხოვია (***„ქართლი დაგვაჭერინოს და იმაზედ მოგვეხმაროს“***). სანაცვლოდ ხელმწიფეს თავისი მოთხოვნები წამოუყენებია, რომლებშიც რუსი პატრიარქის მცხეთაში დასმა, ქრისტეს კვართისა და უფლისწულის მოსკოვში გაგზავნა იგულისხმებოდა. ახლა თეიმურაზი თავის ელჩს ავალებს: (***„ჩვენი პასუხი დიდისა ყოვლის პყრობელის ჭელმწიფესთან ეს დაგვიბარებია“***) იგი თანახმაა დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები, მაგრამ ეჭვობს, რომ მოსკოვის ხელისუფლება ამგვარ დახმარებას შეძლებს. ამიტომ იგი უფლისწულის მიცემაზე იმ შემთხვევაში დათანხმდება თუ ლეკების თავდასხმის ასაკვეთად ხელმწიფე ციხეს ჩადგამს. თუ ვერც ამის გაკეთება მოხერხდება, მაშინ უფლისწულის სანაცვლოდ (მან პატრიარქისა და კვართის საკითხი დღისწერიგიდან ამოიღო) ***„ჩემს უხუცეს შვილს ლუარსაბს ქალი მოსცეს“***.

ამგვარად, ყოველი შემთხვევისათვის, თეიმურაზს უნდოდა თავის ახლოს ჰყოლოდა ხელმწიფის უახლოესი ნათესავი. ***იგი, შეფარვით, ალექსი მიხეილის ძეს მძევლის გაცვლას სთავაზობდა***.

ასეთი ფორმითა და მიზნით მოსკოვში გაგზავნილ უფლუსწულს (უკვე ითქვა, რომ გიორგი უფლისწულის მოსკოვში გაგზავნა აღარ შესდგა მისი უდროოდ გარდაცვალების გამო და ახალ კანდიდატად შეირჩა უფლისწული ერეკლე–ნიკოლოზი), რა შეიძლება ეწოდოს თუ არა „მძევალი“, რის უარყოფასაც ცდილობდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიკოსი. ვითომდაც, რუსეთის მართლმადიდებელი ქრისტიანი ხელმწიფე არ იკადრებდა მართლმადიდებელი ქვეყნიდან მძევლის წაყვანას. რუსეთის ხელისუფლება საქართველოდან მძევლის წაყვანას რომ არ უხერხულობდა, ნათლად გამოჩდა მისი თუშებთან, ფშავებთან და ხევსურებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული მთიელები თავიანთი ნებით და სურვილით შედიოდნენ რუსთ ხელმწიფის მფარველობაში, მაინც მოსკოვმა, მათ ერთგულების დასამტკიცებლად, მძევლები მოითხოვა.

შ. მესხია და ი. ცინცაძე, რადგან დარწმუნებული არ იყვნენ შესრულდა თუ არა ხელმწიფის ეს მოთხოვნა, ივარაუდეს, რომ,

„რამდენადაც თუშების, ფშავებისა და ხევსურების ერთგულება, თეიმურაზისა და უფლისწული ერეკლეს შუამდგომლობის წყალობით ეჭვს არ იწვევდა, მძევლები აღარ აიყვანეს“[1]. მაგრამ როგორც დავინახავთ, სინამდვილეში ***ქართველი მთიელების მძევლები მოსკოვში ჩაიყვანეს.***

თეიმურაზმა უკვე იცოდა, რომ მძევლის გარეშე მოსკოვი ქართველ მთიელებს ნდობას არ გამოუცხადებდა, ***„ივანეს*** (ივანე „მამუკინი“ ის „ივანე მაქსიმეს შვილი“ უნდა იყოს, რომელიც 1658 წლის წერილში მოხსენიებულია, როგორც ელენე დედოფლის კაცი, რომელიც მოსკოვიდან მძევლების წასაყვანად ჩამოვიდა) ***უბრძანა იმ სამი სამფლობელოდან (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი – ე.მ.) ორ-ორი კაცი აეყვანათ იმ მეთაური მფლობელებისაგან, ვინც იმ მიწებს ფლობდნენ. როცა ის ხალხი აიყვანეს, თეიმურაზთან ერთად წავიდნენ მოსკოვში***“[2].

დავუბრუნდეთ თეიმურაზის მიერ 1646 წელს მოსკოვში გაგზავნილ წერილს. წერილის განხილვის შემდეგ, ვფიქრობ, ვეღარც იმას ვიტყვით, რომ „თვით ***თეიმურაზის ინიციატივა არის ქართველი ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნა***“[3]. ნ. ნაკაშიძემ ი. ცინცაძის ეს მოსაზრება სრულად გაიზიარა და თავის მხრივ კიდევ უფრო გააღრმავა: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ცნობილი მკვლევრის ი. ცინცაძის სამართლიანი შენიშვნით, ***ქართველი უფლისწულის მოსკოვის კარზე აღსაზრდელად გაგზავნას... არავითარი საერთო არ ჰქონდა „მძევალთან“, რომელიც არსებობდა მოსკოვის სახელმწიფოში მცირე ხალხებთან ურთიერთობაში.*** ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისათ-

---

[1] Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., Тб., 1958, с. 79.

[2] Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968, с. 192.

[3] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 255; მისსივე, ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 25. მონიშვნა ჩემია – ე. მ. იგივე მოსზრებაა გადმოცემული ი. ცინცაძის თანაავტორობით გამოცემულ წიგნში: Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., Тб., 1958, с. 75.

ვის ეს ნაბიჯი მათი რუსული ორიენტაციის ბუნებრივი გაგრძელება იყო, რომლის მიზანსაც შეადგენდა მეტი რეალური და არსებითი დახმარების მიღება მფარველის მხრიდან. მოსკოვის მთავრობა კი მეტი გავლენის მოპოვებას ცდილობდა საქართველოში. მეორეს მხრივ, ბაგრატიონების ძველ გვართან კავშირი სრულიად პასუხობდა მოსკოვის სახელმწიფოს მართლმადიდებელი მეფეებისა და ეკლესიის მოთხოვნებს. სრულიად მართალია ი. ცინცაძე რომელიც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქართველი უფლისწულის ***ერეკლე-ნიკოლოზის განსაკუთრებულ მდგომარეობას მოსკოვის კარზე, რაც გამორიცხავდა „მძევლის“ ყოველგვარ გაგებას.*** **ამას თუ დავუმატებთ, რომ *უფლისწულების გაგზავნის ინიციატივა ყოველთვის მოდიოდა ქართველი მეფეებისგან,*** რომლებიც დიდად უხალისოთ თანხმდებოდნენ – უფრო სწორად იძულებულნი იყვნენ დათანხმებოდნენ – ამგვარ ნაბიჯზე თურქეთთან და ირანთან მიმართებაში, ნათელი გახდება ამ მომენტის ჭეშმარიტი არსი საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში“[1].

დავიწყოთ ამონარიდის ბოლოს ნათქვამით, რადგან იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია. სიმართლეს არ შეეფერება, თითქოს ***„უფლისწულების გაგზავნის ინიციატივა ყოველთვის მოდიოდა ქართველი მეფეებისგან“.*** ამგვარ მოსაზრებას უარყოფს XVI ს. დასასრულისა და XVII ს. პირველი ნახევრის მასალები, რომლებსაც ზემოთ გავეცანით.

„ქართველი უფლისწული მოსკოვის კარზე აღსაზრდელად გაგზავნას... არავითარი საერთო არ ჰქონდა „მძევალთან“- აღნიშნავდა ნ. ნაკაშიძე. საქართველოს მთელი წარსული კი იმას გვიჩვენებს, რომ მძევალი, წამყვანს ყოველთვის „აღსაზრდელად“ მიჰყავდა. შაჰი და სულთანი მძევლებს ზრდიდნენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებისათვის. მათ მიერ მძევლის წაქყვანა ხან იარაღის მუქარით, ხან მოფერებით ხდებოდა. რადგან მოსკოვის სახელმწიფოს ძალისმიერი მეთოდის გამოყენება არ შეეძლო, ვიმეორებ „არ შეეძლო“, ამიტომ იგი ზემოქმედების სხვა მეთოდს – დიპლომატიურ საშუალებას მიმართავდა: ქართველებს დამპყრობლებისაგან დაცვას, ზოგჯერ კი სამხედრო დახმარებასაც

---

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 162.

ჰპირდებოდა. მოსკოვი მოხერხებულად იყენებდა რუსებისა და ქართველების ეკლესიურ ერთობასაც – მართლმადიდებლობას.

ვერც იმას გავიზიარებ, რომ რადგან ი. ცინცაძე ხაზს უსვამდა ***„ერეკლე-ნიკოლოზის განსაკუთრებულ მდგომარეობას მოსკოვის კარზე“,*** თითქოს ეს გამორიცხავდა „მძევლის“ ყოველგვარ გაგებას[1]. მძევალი, თუ დავუჯერებთ ირანისა და ოსმალეთის კარის ისტორიკოსებს, უცხოელ მოგზაურებს, ყოველთვის გამორჩეულად კარგ პირობებში ჰყავდათ. მძევალს კომფორტულად უნდა ეგრძნო თავი „მამობილი“ შაჰისა თუ სულთნის კარზე, შეესისხლხორცებინა იქ არსებული ატმოსფერო, გაეზიარებინა კარის პოლიტიკური კურსი და იდეოლიოგია, ერთი სიტყვით, მისგან ჩამოყალიბებულიყო „მამობილის“ ნება-სურვილის უსიტყვოდ აღმსრულებელი, მაშინაც კი, როდესაც ნამძევლარი სამშობლოში დაბრუნდებოდა (თუ დაბრუნდებოდა) და ქვეყნის მართვას შეუდგებოდა. ეს ყველაფერი თეიმურაზ მეფეს საკუთარ თავზე განცდილი ჰქონდა და შაჰ აბას I-საგან სასტიკად იმიტომ დაისაჯა, რომ მის გამგონ „შვილად“ არ გაიზარდა.

საინტერესოა, რომელ წარმატებას გულისხმობდნენ შ. მესხია და ი. ცინცაძე, როდესაც წერდნენ: „თეიმურაზის გათვლა აღმოჩნდა სწორი: ქართველი უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის შეთავაზებამ რუსეთში სასურველი გამოხმაურება ჰპოვა. როცა თეიმურაზის წინადადებას გაეცნენ, დიპლომატიური წრეები კმაყოფილნი დარჩნენ და გადაწყვიტეს ბოლომდე გამოეყენებინათ იგი თავიანთი მიზნებისათვის. რუსი ელჩები ახლა დაჟინებით მოითხოვდნენ ქართველი უფლისწულის მოსკოვში გაგზავნას. საქმე იმაშია, რომ თუმცა ქართველ პოლიტიკოსებს შორის რუსეთზე ორიენტაცია დიდად პოპულარული იყო, სწორედ ამ წლებში საქართველოში გარკვეულ წრეებში, დროებით აღმოცენდა ირანზე ორიენტაციის იდეა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ დასავლეთით გართულების გამო რუსეთი ჯერჯერობით არ ჩქარობდა ამიერ-

---

[1] საყურადღებოა, რომ ნ. ბერძენიშვილმა თავის ერთ-ერთ ნაშრომში ერეკლე უფლისწული მოიხსენია, როგორც „რუსხელმწიფის კარზე მძევალი“. ბერძენიშვილი ნ., XVII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 151.

კავკასიაში ჯარის შეყვანას. ამგვარ ვითარებაში რუსეთში აღზრდილი ქართველი უფლისწული და მისი ამალა რუსულ დიპლომატიას მომავლისათვის სჭირდებოდა და რუსი ელჩები თეიმურაზს აჩქარებდნენ თავისი დაპირება სისრულეში მოეყვანა. როცა თეიმურაზმა დაინახა, როგორი ინტერესი გამოიწვია მისმა წინადადებამ რუსეთის მთავრობაში, მან მოლაპარაკებების დროს კატეგორიულად დააყენა ელჩების წინაშე საკითხი...“[1]

ცნობილია, რომ ყოველი ადამიანის, პოლიტიკოსის და, მითუმეტეს, ქვეყნის მეთაურის თითოეული ნაბიჯი შედეგების მიხედვით ფასდება. რა მიაჩნდათ ზემოთ მოყვანილი ციტატის ავტორებს თეიმურაზის მიერ შვილიშვილის მოსკოვში გაგზავნის დადებითი მხარედ, რა წარმატებას მიაღწია თეიმურაზმა პირადად ან მისმა ქვეყანამ, ცნობილი არ არის. თეიმურაზ მეფე ის გულუბრყვილი პოლიტიკური მოღვაწე არ იყო, რომ რაღაც გაურკვეველი დაპირებებისათვის წვითა და დაგვით გადარჩენილი შვილიშვილი მოსკოვში გაეგზავნა. ისიც გასათვასლისწინებელია, რომ თეიმურაზს მოსკოვთან ხანგრძლივი ურთიერთობის საკმაოდ მწარე გამოცდილება ჰქონდა.

ნ. ნაკაშიძეს მიაჩნდა, რომ ქართველი უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის საკითხი პირველდ დააყენა თეიმურაზ მეფის ელჩმა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ 1637 წელს და თითქოს თეიმურაზ მეფე თავის ერთადერთ ვაჟსა და მემკვიდრე დავითს სთავაზობდა მოსკოვში წასაყვანად[2]. ისტორიკოსს უკვირდა, რომ მოსკოვს არავითარი რეაქცია არ ჰქონდა თეიმურაზის ამ თხოვნაზე[3]. მოსკოვის კარი, ბუნებრივია, არავითარ რეაქციას არ გამოხატავდა ქართველი მეფის ამ თხოვნაზე, იმდენად, რამდენადაც თეიმურაზი შვილის,

---

[1] Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., с. 75-76.

[2] «И имеет государь мой единого сына возлюбленного, а иного не имеет на всем свете и наследника над двемя государствы. И хочет предати его в руце великому и превысочайшему святому твоему царствию, да соблюдеши и сокрыеши якоже великий царь, потому что государь мой пребывает день и нощь на службе сам, в том ест живот и смерть». Полиевктов М, Материалы, с. 130.

[3] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 163.

თავისი მემკვიდრის მოსკოვში გაგზავნას კი არ სთავაზობდა, არამედ მის მფარველობასა და დაცვას საქართველოში, იმგვარად, როგორც ხელმწიფე თეიმურაზს „მფარველობდა“.

ახლა განვიხილოთ ის რუსული წყაროები, რომლებიც ქართველი უფლისწულის მოსკოვში ***„აღსაზრდელად“*** გაგზავნისათვის რუსი ელჩების ძალადობაზე გადმოგვცემს. მხედველობაში მისაღებია, რომ ამ ცნობების ავტორები რუსი ელჩები არიან.

როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მძევლის მნიშვნელობას განვიხილავთ, ამოსავალი უნდა იყოს თეიმურაზ მეფის მიერ 1646 წელს მოსკოვში გაგზავნილ წერილში მძევლის გაგზავნის სანაცვლოდ დაყენებული მოთხოვნები და თავის თავზე აღებული ვალდებულების პირობები.

პირველად, თეიმურაზ I-ის რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში, ქართველი უფლისწულის მოსკოვში არ გაგზავნის გამო პრეტეზია რუსების მხრიდან გამოითქვა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის იმერეთში ყოფნისას. მათი საქართველში ჩამოსვლისა და თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკებების მთავარი საკითხი ქართველი უფლისწულის მოსკოვში წაყვანა იყო. ამ საკითხის თავიანთ სასარგებლოდ გადასაწყვეტად მათ დიდი შეუპოვრობაც გამოამჟღავნეს.

რუსმა ელჩებმა საყვედურნარევი ტონით თეიმურაზს შეახსენეს, რომ როგორც 1649 წლის 13 აგვისტოს ხელმწიფეს სწერდი, „შენ გინდოდა ალავერდელ მიტროპოლიტ არსენის თანხლებით შენი შვილიშვილი ნიკოლოზი მის უდიდებულესობასთან სრულიად რუსეთის ხელმწიფე-მეფე და დიდ მთავარ ალექსი მიხეილისძესთან გაგეგზავნა“[1]. ელჩებს არც იმის თქმა დავიწყებიათ რა მიზეზებს ასახელებდა თეიმურაზ მეფე თავისი პირობის შეუსრულებლობის გამო. თეიმურაზ მეფეს, თავად ივანეს და არქიმანდრიტ პახომის პირით, ხელმწიფისთვის შეუთვლია, რომ რადგან შვილიშვილის მოსკოვში გამოგზავნას მე ვერ ვახერხებ, შენი კაცები გამოგზავნე და წაიყვანეო. რუსმა ელჩებმა ამის შემდეგ მეფეს განუცხადეს, რომ ისინი სწორედ ამისათვის იყვნენ ჩამოსულნი და მიუთითეს თეიმურაზის მიერ 1646 წელს მოსკოვში

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 71-72.

გაგზავნილ წერილზე. „ჩვენ გამოგზავნილი ვართ მისი უდიდებულესობის მეფე ხელმწიფისაგან შენთან თეიმურაზ მეფევ იმისათვის, რომ ***შენი შვილიშვილი ნიკოლოზი ჩავიბაროთ, გავუფრთხილდეთ მას თვალის ჩინივით და პატივით ვაახლოთ იგი დიდ ხელმწიფეს***. შენ კი, მეფე თეიმურაზ, შეასრულე ის, რასაც წერილში იწერებოდი და რასაც შენი ელჩები უმდაბლესად სთხოვდნენ დიდ ხელმწიფეს; ***გამოუშვი ჩვენთან შენი შვილიშვილი და ამით შენი სიმართლე და ერთგულება დაუმტკიცე სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს***“[1].

თეიმურაზი თუ შვილიშვილს თავისი ნებითა და სურვილით აგზავნიდა მოსკოვში, მაშინ რას ნიშნავს რუსეთის ხელმწიფის ის დაპირებები, რომლებიც მისმა ელჩებმა ხელმწიფის სახელით თეიმურაზს მოახსენეს: „***ხოლო რაც შეეხება ფულს, რომელზეც შენ, მეფე თეიმურაზი ლაპარაკობ, ეს საქმე მოხერხდება. მისი უდიდებულესობა ხელმწიფე მეფე იმდენს გიბოძებს, რომ შენ იმის წარმოდგენაც კი არ შეგიძლია. მხოლოდ ახლა შეასრულე შენი სიტყვა, დაუმტკიცე შენი სიმართლე ხელმწიფე მეფეს და შენი შვილიშვილი გაგვატანე, მაშინ ნახავ მისი უდიდებულესობის უდიდეს წყალობას შენს მიმართ. გარდა ამისა დიდი ხელმწიფე თავის ძმასთან შაჰ-აბასის უდიდებულესობასთან დესპანებს გაგზავნის და შეუთვლის, რომ მისი რჩევითა და ძმობის საფუძველზე შენ შენი სამეფო – კახეთი დაგიბრუნოს. ხოლო თუ მან ამ რჩევის შემდეგ სამეფო არ დაგიბრუნა... მაშინ ჩვენი დიდი ხელმწიფე უთუოდ გაგზავნის თავის ჯარს ხვალისის*** (კასპიის) ***ზღვით, მის განაპირა ქალაქებს შეესევა და ათჯერ მეტ ქალაქებს აუოხრებს...“***[2]

თეიმურაზის პასუხი ნათლად და გასაგებად იყო მოცემული მის მიერ იმავე ელჩებისადმი დასმულ კითხვაში, საიდანაც ჩანს, რომ იგი შვილიშვილს მოსკოვში არც სწავლისა და აღზრდისათვის და არც კარგ პირობებში ცხოვრებისათვის გაგზავნიდა: „***მე რომ ჩემი შვილიშვილი ხელმწიფეს გავუგზავნო და იმან კი (ხელმწიფემ) ჩემი სამეფოს, კახეთის გათავისუფლება არ ინებოს,***

---

[1] იქვე, გვ. 72.
[2] იქვე, გვ. 72-73.

ჯარი და ხაზინა არ გამომიგზავნოს, მაშინ რადა აზრი ექნება მის გაგზავნას?“[1]

კიდევ უფრო პირდაპირ და ნათლად თეიმურაზმა უფლისწულის მოსკოვში გაგზავნის მიზანი ჩამოაყალიბა თავის სიგელში: ***„გთხოვ დიდო ხელმწიფე, რომ შენი წყალობით გამომიგზავნო ჯარი და ფული, რათა დავიბრუნო ჩემი ქვეყანა. ასე რომ, თუ უფლისწულს არ მოგცემ, შენც არ დამიჯერო და ნურც ჯარს და ნურც ფულს მომცემ. რადგანაც შენს მეფურ დიდებულებას [ჩემი] მრავალი მტერი ეუბნებოდა, რომ მე შენ გატყუებ და უფლისწულს არ მოგცემ...“***[2]

ნიკიფორე ტოლოჩანოვის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფე არც რუსთ ხელმწიფეს და არც მის ელჩებს არ ენდობოდა. 1651 წ. 7 ოქტომბერს მეფის სულიერმა მამამ და თავადმა ივანემ ელჩებს უფლისწულის მოსკოვში გაგზავნასთან დაკავშირებით შემდეგი აცნობეს: თეიმურაზს უთქვამს, ***„ახლა რომ ჩემი შვილიშვილი ელჩებს გაგატანოთ ხელმწიფე მას მიიღებს, დაიტოვებს და მე არც ხაზინა და არც ჯარი რომ არ გამომიგზავნოსო“***[3]. მოყვანილი ამონარიდიდან კარგად ჩანს, თეიმურაზი რატომ აგზავნიდა ერეკლე/ნიკოლოზს მოსკოვში, ვინ უნდა ყოფილიყო იგი მოსკოვის კარზე?

როდესაც რუსმა ელჩებმა ხელმწიფის კიდევ ერთი სურვილი – იგი თანახმაა თეიმურაზის მეორე შვილიშვილი, ლუარსაბიც „მოსკოვის სამეფო კარზე ყმად მიიღოს“ – გააჟღერეს, აღშფოთებულმა მეფემ შესძახა: ***„ლუარსაბს არავის მივცემ, მაშინ მე თვითონ ვიღასთვის ვიცოცხლო და ვინ იყოს ჩემი ჭირისუფალი“***[4]. ამგვარი ემოციის გამომხატველი მეფე, მოხუცებულობაში შემორჩენილ ორ შვილიშვილს თავისი ნებით ვინმეს გაატანდა?

---

[1] იქვე.

[2] Полиевктов М., К вопросу об авторстве статейного списка „С“, გვ. 69.

[3] იქვე, გვ. 73-74

[4] იქვე, გვ. 73.

X. თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ურთიერთობა ლევან II დადიანთან

რუსი ელჩების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობები წარმოდგენას გვიქმნის თეიმურაზ მეფის დიპლომატიის ერთ საინტერესო მიმართულებაზეც, კერძოდ, მის ურთიერთობაზე ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თეიმურაზ მეფე, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა ოდიშის მთავრისათვის სახელი გაეტეხა საერთაშორისო ასპარეზზე, მაინც რეალურად აფასებდა და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა დადინის სამხედრო ძალასა და პოლიტიკურ შესაძლებლობებს. ჩანს, თეიმურაზ მეფე სერიოზულად ფიქრობდა დადიანის ავტორიტეტის გამოყენებას ირანის შაჰთან თავისი ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ერთმანეთთან შეერიგებინა იმერეთის მეფე და ოდიშის მთავარი. ეს გამოიწვევდა ლევან დადიანის შაჰისა და როსტომ მეფისაგან ჩამოშორებას, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა თეიმურაზის სამეფო ტახტზე აღდგენის გზაზე.

ქვემოთ მოხმობილი მასალები სრულიად ნათელს ხდის, აგრეთვე, როგორ მიმდინარეობდა ხან დაფარული და ხან დაუფარავი, დიპლომატიური ბრძოლა, თეიმურაზის შვილიშვილის ერეკლეს მძევლად წაყვანისათვის, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, შაჰ სეფი–როსტომ მეფე–ლევან დადიანს შორის. ისიც გამოკვეთილად ჩანს, როგორ ცდილობდა თეიმურაზ მეფე, მძევლის საკითხი მაქსიმალურად გამოეყენებინა პოლიტიკური მიზნებისათვის.

როგორც 1651 წლის 25 მაისს ბალყარეთში ჩასულმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის აზნაურმა „ნიკილიმ“ საქართველოსკენ მომავალ ქართველ და რუს ელჩებს აცნობა, „თეიმურაზ მეფე ამჟამად იმერეთში არ არის, სადადიანოში წავიდა, მხოლოდ რისთვის წავიდა ეს მან არ იცოდა“[1].

ძნელია იმის თქმა, „ნიკილი“, ან შემდეგში თეიმურაზის მეორე აზნაური რამაზანი, რომლის მოვალეობას რუსი ელჩების

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 68.

მომსახურება შეადგენდა, რუსეთის მთავრობაზე ზეწოლის მიზნით ელჩების დეზინფორმაციას ახდენდა თუ სიმართლეს ეუბნებოდა (ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით, რამაზანს „წამოსცდა“), რომ „***მეფე თეიმურაზი თავის შვილიშვილს ნიკოლოზს დიდ ხელმწიფეს მანამ არ გაუგზავნის, სანამ სადადიანოს მთავარს არ შეურიგდება და კახეთს არ დაიბრუნებსო***“[1]. რუს ელჩებს რამაზანის ნათქვამი, ისე უნდა გაეგოთ, რომ თუ ხელმწიფეს თეიმურაზის შვილიშვილის ნიკოლოზის მალე წაყვანა უნდა, მაშინ ტახტის დაბრუნებაში დაეხმაროსო.

1651 წლის 3 აგვისტოს რუსი ელჩები ლევან დადიანის მოციქულის ქუთაისში მოსვლის მოწმენი გახდნენ. თეიმურაზ მეფის ყოფილი აზნაური, საბახტარი, იგივე გიორგი ქართველი, ლევან დადიანის სამსხურში ჩადგა და თბილისში როსტომ მეფესთან მოსალაპარაკებლად მიემგზავრებოდა, „რათა როსტომ ხანმა თეიმურაზ მეფეს ციხე-ქალაქები დაუბრუნოს და კახეთიც გაათავისუფლოს. თავისი მეფის (ლევან დადიანის) შესახებ შეგვატყობინა, თითქოს იგი მალე ქუთაისიდან ერთი დღის სავალ მანძილზე მოვა, ალექსანდრე და თეიმურაზ მეფეებთან ურთიერთშორის მოილაპარაკებენ, რათა შერიგდნენ და მაჰმადიანების წინააღმდეგ ერთად გამოვიდნენ“[2]. რუსი ელჩის ცნობებიდან არ ჩანს დადიანის მოციქული თეიმურაზს შეხვდა თუ არა. 4 აგვისტოს იგი თბილისისკენ გაეშურა.

მოყვანილი ამონარიდი სავარაუდოს ხდის, რომ აზნაური გიორგი ქართველის (ამ შემთხვევაში „ქართველი“ ქართლელს აღნიშნავს) ქართლის სამეფოში გამგზვრებას წინ უძღოდა თეიმურაზის მოლაპარაკება ლევან დადიანთან. ამ მოლაპარაკების შედეგი უნდა ყოფილიყო ლევან დადიანის სამსახურში ჩამდგარი ქართლელი გიორგის როსტომ მეფესთან გაგზავნა.

ალბათ, ზუსტად ვერასოდეს გაირკვევა, ლევან დადიანი მართლა სთხოვდა თუ არა თეიმურაზს მძევალს იმერეთის მეფესთან მშვიდობის დამყარების სანაცვლოდ. ამგვარ ცნობებს თეიმურაზი და ალექსანდრე და მათი კარისკაცები რუს ელჩებს აწ-

---

[1] იქვე, გვ. 75-76.
[2] იქვე, გვ. 122.

ვდიდნენ[1] კონკრეტული მოსაზრებით: შეემზადებინათ ნიადაგი უფლისწულის მოსკოვში გაშვებაზე უარის სათქმელად, ან იმ დროს გაგზავნისათვის, როდესაც ქართველი მეფეები ხელსაყრელად მიიჩნევდნენ.

ჩანს, მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბული დიპლომატიური თამაში: თეიმურაზი ცდილობდა შვილიშვილის მოსკოვში გაგზავნის უპრეცენდენტო შემთხვევიდან, რაც შეიძლებოდა მეტი პოლიტიკური დივიდენდები მიეღო. იგი ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მოსკოვის მთავრობასა და ოდიშის მთავარზე. ამ უკანასკნელის უკან კი შაჰ აბას II-ისა და როსტომ მეფის აჩრდილები მოჩანდა. თეიმურაზს უნდოდა გაერკვია, ზემოთ დასახელებულებიდან ვის რისი დათმობა შეეძლო.

იოლად წარმოსადგენია ის გაოცება და ინტერესი, რაც გამოიწვია გავრცელებულმა ცნობამ, რომ „აგვისტოს 21-ს ***თეიმურაზ მეფე*** თავისი აზნაურებით ჩამოვიდა (რაჭიდან –ე.მ.) ქუთაისში, ***სადადანოში მიდის, რათა დადიანი მეფე ალექსანდრესთან შეარიგოს და თვითონაც შეურიგდეს მას, აგრეთვე (ვარაუდობს) დადიანმა იქნებ კახეთის გამოსახსნელად ხალხი მიაშველოს, და თუ ის სადადიანოს მთავარს შეურიგდა, ჩვენ*** (რუსი ელჩები –ე.მ.) ***ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის ეს კეთილს არ მოასწავებს***“[2].

ცნობილ რუსულ წყაროებში, პირველად შევხვდი რუსი დიპლომატის მიერ დაუფარავად გაცხადებულს, რომ რუსეთის სახელმწიფოსათვის მიუღებელი იყო დამშვიდებული, დალაგებული და დამოუკიდებელი საქართველო. როგორც XVII-XVIII საუკუნეებში რუსული დიპლომატიის მთელი საქმიანობიდან ჩანს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიამდე, სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მისი მთავარი საზრუნავი დაშლილი საქართველოს შენარჩუნება იყო.

რუსმა ელჩებმა ვერც ცნობილი დიპლომატის, 1649-1650 წლებში მოსკოვში ელჩად ნამყოფი არქიმანდრიტი პახომისაგან გაიგეს რაიმე ფასეული თეიმურაზის ოდიშის სამთავროში წასვლის მიზანზე. პახომმა მხოლოდ დაადასტურა, „რომ მეფე თეი-

---

[1] იქვე, გვ. 79-81.
[2] იქვე, გვ. 78.

მურაზი სადადინოში მიემგზავრება, მხოლოდ რა საქმისათვის ეს პახომ არქიმანდრიტს აღარ უთქვამს“[1].

2 სექტემბერს მეფე თეიმურაზი, მისი თანმხლებნი ოდიშიდან ქუთაისში დაბრუნდნენ და მაშინვე ცნობილი გახდა, რომ „თეიმურაზ მეფემ მეფე ალექსანდრე, სადადიანოს მთავარს ვერ შეარიგა, ვინაიდან მთავარს მეფე თეიმურაზისაგან მისი შვილიშვილი მოუთხოვია (მძევლად), ხოლო მეფე ალექსანდრეს ქვეშევრდომთაგან ოცდაათი რჩეული კაცის მათის მამულებით თავის სამთავროს საზღვრებში ქვეშევრდომად გადაცემა მოუთხოვია“[2].

ნიკიფორე ტოლოჩანოვი თეიმურაზის ოდიშის მთავართან მოლაპარაკების შედეგის ოფიციალური ვერსიასთან ერთად გვთავაზობს არაოფიციალურსაც, რომელიც ოფიციალურისაგან დიდად განსხვადება. იგი გავრცელებული იყო უცხოელებს შორის, რომლებსაც თავიანთი ინფორმატორები სამეფო კართან დაახლოებულ ადამიანებს შორის ჰყავდათ. თუ ამ ბოლო მოსაზრებას ვენდობით, მაშინ მათ მიერ მოპოვებული ცნობები ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

ნიკიფორე ტოლოჩანოვის თქმით, „უცხოელები კი ლაპარაკობენ, თითქოს მეფე თეიმურაზს მთავრისათვის თავისი შვილიშვილი კიდევაც შეუძლევია, მაგრამ მას არ აუყვანია, რადგანაც სადადიანოს მეფეს ლევანს შეუტყვია, რომ მეფე ალექსანდრეს დიდი ხელმწიფისათვის (რუსეთისათვის) სამუდამო ყმობა და ერთგულება შეუფიცავსო“[3].

იმისათვის, რათა ოდიშის სამთავროში დადიანთან თავისი სტუმრობის სხვადასხვაგვარი ახსნისა და მითქმა-მოთქმისათვის ბოლო მოეღო, თეიმურაზმა გადაწყვიტა რუსი ელჩებისათვის პირადად მოეთხრო იმის შესახებ, რაზეც მიმდინარეობდა დადიანთან მოლაპარაკება და, საერთოდ რას ფიქრობდა თავისი შვილიშვილის, უფლისწული ერეკლეს მოსკოვში გაგზავნის შესახებ.

6 სექტემბერს თეიმურაზ მეფე „თავისი აზნაურებით“ რუს ელჩებს „ქვემო ქუთაისში“ ეწვია და უთხრა, რომ დადიანი დიდად

---

[1] იქვე.
[2] იქვე, გვ. 78-79.
[3] იქვე, გვ. 79.

ნასიამოვნები დარჩა ჩემი სტუმრობით, მაგრამ შერიგება ვერ მოხერხდაო. „ჩემი შვილიშვილის მძევლად დატოვებასა მთხოვდა, ამის სანაცვლოდ კი კახეთის გასათავისუფლებლად თავისი ჯარით დახმარებას მპირდებოდაო“. თეიმურაზ მეფეს დადიანისათვის უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ შვილიშვილი რუსეთის ხელმწიფისათვის მყავს მიცემული და მისი მძევლად დატოვება არ შეიძლებაო. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილია ერეკლეს მოსკოვში გაგზავნა, ამჯერად ამის გაკეთება შეუძლებელია შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, უფლისწული ძალიან ახალგაზრდაა და ესეც რომ არ იყოს უფლისწულის გამგზავრებისათვის მნიშვნელოვანი თანხებია საჭირო, რაც თავისი სამეფოდან დევნილ მეფეს არ გააჩნია[1].

რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ის რაც თეიმურაზ მეფემ ლევან დადიანთან მოლაპარაკების შესახებ მოუთხრო რუს ელჩებს, ამას ვერ დავადგენთ. მაგრამ მისი, როგორც დიპლომატის მონათხრობიდან ეჭვს იწვევს ის, თითქოს დადიანი თეიმურაზ მეფისათვის კახეთის გასანთავისუფლებლად ჯარის მიცემაზე რაღაც პირობით თანახმა იქნებოდა. სავარაუდოა, თეიმურაზს უნდოდა რუსი ელჩებისათვის ჩაეგონებინა, რომ მის შვილიშვილს ისეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლევან დადიანი და მისი მოკავშირენი – როსტომი და შაჰ აბას II, რომ ისინი თანახმა იყვნენ თეიმურაზისათვის კახეთი დაებრუნებინათ, ოღონდ ის უფლისწულს მოსკოვში ნუ გაგზავნიდა. ელჩები, თეიმურაზ მეფის ვარაუდით, იმასაც უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ მიუხედავად ასეთი უმნიშვნელოვანესი შეთავაზებისა იგი, თეიმურაზი, დიდ მსხვერპლზე მიდიოდა და შვილიშვილს, შემდეგ წელს, ხელმწიფეს უგზავნიდა. თეიმურაზმა მსმენელებს ის კი ნამდვილად დაუმალა, რომ მოლაპარაკების ჩაშლის ნამდვილი მიზეზი ალექსანდრე მეფის მიერ დადიანის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იყო.

ვახუშტი ბატონიშვილის საკმაოდ განსხვავებული ცნობების მიხედვით, ლევან დადიანს იმერეთის სამეფოსათან მშვიდობის დამყარებისათვის, თავდაპირველად, თავისთან მიუპატიჟია ალექსანდრე მეფე „რათა ზავ-ჰყოს მათ შორის... და განატევებინოს მამუკა“. მაგ-

---

[1] იქვე, გვ. 80.

რამ, როგორც ჩანს მეფეები ლევანს ვერ ენდნენ, რადგან შეიძლებოდა იმერეთის მეფეც დადიანის ტყვეობაში ჩავარდნილიყო. თეიმურაზი ალექსანდრეს მაგიერ ოდიშში წავიდა.

ვახუშტი ბატონიშვილიც (თუმცა იგი თეიმურაზის ლევან დადიანთან წასვლას არასწორად 1648 წლით ათარიღებს) ლევან დადიანის მიერ თეიმურაზის კარგად მიღებას აღნიშნავს („მან ისტუმრა და პატივ-სცა დიდად“). თეიმურაზმა დადიანს იმერეთის მეფესთან ზავის დადება და მამუკა ბატონიშვილის განთავისუფლება სთხოვა. დადიანი შუამავალს ყველაფერზე დაეთანხმა, მაგრამ იმერეთის მეფისადმი მტრულად განწყობილმა კარისკაცმა, პაატა წულუკიძემ, მთავარს მიცემული პირობის შესრულება გადაათქმევინა და თეიმურაზ მეფე ხელცარიელი გაუშვა[1].

რუსების ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობაში“ თეიმურაზ მეფესთან შეხვედრას ნიკიფორე ტოლოჩანოვი ისე გადმოგვცემს, თითქოს მეფე თავს იმართლებდა დადიანთან მოლაპარაკებისა და უფლისწულის მოსკოვში გაუგზავნელობის გამო. იგი კვლავ ამჟღავნებს თეიმურაზის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და იმითაც იკვეხნის, რომ მან პირში მიახალა მეფეს, რომ იგი ხელმწიფისათვის მიცემული ფიცის გამტეხი და მოღალატე იყო, რომ მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი შვილიშვილი მძევლად მიეცა დადიანისათვის, რომლისგანაც სანაცვლოდ სამხედრო დახმარებას თხოულობდა კახეთის გასათავისუფლებლად.

ნიკიფორე ტოლოჩანოვს ისე გამოჰყავს, რომ იგი თეიმურაზს თავისი ხელმწიფის სახელით შეპირდა: „თუ დიდ ხელმწიფეს ერთგულებას დაუმტკიცებ, მისი უდიდებულესობა შენზე მოწყალებას მოიღებს, ხაზინას გიბოძებს, იმ ფულით მეომრებს დაიქირავებ და შენს ქვეყანას მტრისაგან გასწმენდ; ან (ხელმწიფე–ე.მ.) თავის ძმა შაჰ-აბასთან საგანგებო ელჩებს ან შიკრიკებს გაგზავნის“. თეიმურაზმა ელჩს მხოლოდ ის უპასუხა, რომ ხელმწიფისათვის მიცემული სიტყვის ერთგული დარჩებოდა და საბოლოო პასუხს ალექსამდრე მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ მისცემდა[2].

რუს ელჩებთან შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თეი-

---

[1] ქართლის ცხოვრება IV, გვ. 831.

[2] იქვე, გვ., 79-81.

მურაზ მეფემ ოდიშის სამთავროში მოსალაპარაკებლად, თავისი კაცები კვლავ გაგზავნა. მათ დაევალათ ლევან დადიანისათვის დახმარების თხოვნა კახეთის სამეფოს ყიზილბაშთაგან გასაწმენდად. იმ შემთხვევაში თუ თეიმურაზი ლევან დადიანისაგან დადებით პასუხს მიიღებდა, თავის შვილიშვილს მისცემდა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი, „თეიმურაზ მეფეს გადაწყვეტილი ჰქონია პირადად თვითონ, დედოფლითა და უფლისწულებით დიდ ხელმწიფეს ეახლოს“ – ყოველივე ეს ნიკიფორე ტოლოჩანოვს „თავად ივანეს კაცმა ბიძინამ შეატყობინა“[1].

თეიმურაზის მიერ ლევან დადიანთან თავისი კაცების გაგზავნის შესახებ, რუს ელჩებს აცნობა, მათმა მოსყიდულმა ინფორმატორმა ფეშანგმა, რომელმაც არ იცოდა თეიმურაზმა თავის აზნაურებს რა დაავალა, მაგრამ ის კი დაბეჯითებით უთხრა, რომ „თუმცა მეფე თეიმურაზი თქვენ გპირდებათ, რომ თავის შვილიშვილს დიდ ხელმწიფესთან გამოუშვებს, მაგრამ იგი თავის სიტყვას არ შეასრულებს და თავის შვილიშვილს არ გაგატანთ“[2].

21 დეკემბერს თეიმურაზთან მისი კაცები დაბრუნდნენ. მათთან ერთად მოვიდა დადიანის ელჩი ნიკიფორე ირბახი, რომელმაც თეიმურაზს აცნობა, რომ ლევან დადიანი ყველაფერზე უარს იყო[3].

ამგვარად, ***თეიმურაზ I-ის დიპლომატიამ ლევან დადიანთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ, რასაც, შეიძლებოდა შეეცვალა პოლიტიკური სიტუაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, მარცხი განიცადა. ამ დიპლომატიური საქმიანობის მასაზრდოებელი იყო თეიმურაზ მეფის კიდევ ერთი მიზანი – რამენაირად თავიდან აეცილებინა უფლისწული ერეკლეს მოსკოვში გაგზავნა, მაგრამ ამ მარცხმა უფლისწულის გაგზავნის აუცილებლობა განაპირობა.***

---

[1] იქვე, გვ. 82.
[2] იქვე, გვ. 84-85.
[3] იქვე, გვ. 85.

XI. ერეკლე უფლისწულის მოსკოვში გამგზავრება

1652 წ. აგვისტოს, თეიმურაზმა ერეკლე/ნიკოლოზი თავის დედა ელენე დედოფალთან და ასკაციან ამალასთან ერთად მოსკოვს გაგზავნა. მგზავრებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება: – ჩერკასსა და თერგს შორის თავს დაესხნენ ყუმუხების რაზმები, რომლებმაც უფლისწულის ამალის წევრების ნაწილი ამოხოცეს[1], ნაწილი დაატყვევეს, ხელთ იგდეს მთელი მათი ავლადიდება, მათ შორის მოსკოვის მეფისათვის განკუთვნილი საჩუქრების უდიდესი ნაწილი. როგორც უფლისწულის თერგიდან გაგზავნილმა შიკრიკმა მოსკოვში განაცხადა, უფლისწული ერეკლე, მისი დედა ელენე და გადარჩენილი თანმხლებლები, დარჩნენ „სულითა და სხეულით შიშველი და ფეხშიშველი“[2]. ამალის წევრმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, გადარჩენილების თერგის ციხეში მიყვანა შესძლო. უფლისწულმა თერგიდან მოსკოვში გაგზავნა ბერი თეოფანე წერილით. უფლისწული, რომელსაც ჩასაცმელიც კი აღარ ჰქონდა, დახმარებას ითხოვდა. ხელმწიფემ, იმავე თეოფანეს ხელით, დაზარალებულებს გაუგზავნა: უფლისწულისათვის სპარსული ოქროქსოვილი ქამხა, დედოფლისათვის ხუთი არშინი შავი მაუდი და თეოფანეც ისეთივე ქსოვილით დაასაჩუქრა, როგორითაც უფლისწული. ხელმწიფემ ერეკლეს აცნობა, რომ ბოიარ ი. პ. პრონსკისა და ასტრახანის ვოევოდებს დაავალა, უფლისწული და დედოფალი ასტრახანში მიეღოთ და გაზაფხულზე მოსკოვში გასამგზავრებლად უზრუნველეყოთ საჭირო გემებითა და გამცილებლებით[3].

თერგიდან თეიმურაზსაც აცნობეს მომხდარის შესახებ.

ერეკლეს მოსკოვში გამგზავრების მიზეზები და თავგადასავალი ბერი ეგნატაშვილს გადმოცემული აქვს შემდეგნაირად: „მა-

---

[1] Сношения России с Кавказом, ც. 262. უფლისწულსა და დეოფალს ცალ-ცალკე ამალა ჰყავდათ. ერეკლეს 31 კაცი მოუკლეს, ელენე დედოფალს – 12 (ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 163, შენ. 124). მოკლულთა შორის იყო თეიმურაზ მეფის მიერ მოსკოვში ელჩად გაგზავნილი ივანე.

[2] პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). „საისტორიო მოამბე“, 19-20, თბ., 1965, გვ. 445.

[3] იქვე, Переписка, с. X- XI.

შინ ბატონი თეიმურაზ იყო მუნვე იმერეთს დიდად გლახაკად, უღონოდ საჭურჭლითა და საზრდელითა, მოუძლურებული წლისა სამოცდაათისა და ვერღარა ძალედვა წინააღდგომად როსტომ მეფისა ფრიადისა უძლურებისაგან. და დიდად მოკლებულ იქნა საზრდელთა და საჭიროთა საკმართაგან.

მაშინ წარგზავნა შვილისშილი თჳსი ერეკლე რუსეთის ჴელმწიფესთანა და შეემთხვივნეს წინა ავაზაკნი და მათ მოსრნეს პირითა მახვილისათა ყმანი ერეკლესნი და კნინდა თჳთ განერა, რამეთუ ერეკლე ყრმა იყო, მათგან მოუწყლულელად, და დასტაცეს მჴევალნი და ბარგნი. და წარიყვანეს თჳთ რუსეთსა და მივიდა ჴელმწიფეს თანა“[4].

როგორც XVII ს. 50-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, თერგთან ქართველებზე თავდამსხმელების მიზანი ერეკლე უფლისწულის დატყვევება და მისი შაჰისათვის გადაცემა იყო.

შაჰ აბას II-ის კარის ისტორიკოსი მოჰამად თაჰერი გადმოგვცემს რა რუსეთ-საპარსეთის ურთიერთობაზე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუარესება თეიმურაზ I-ის ბრალი იყო. როგორც ჩანს, შაჰის კარზე კარგად იცოდნენ თეიმურაზ მეფის მიერ 1639 წ. 25 აპრილს მოსკოვში გაგზავნილი და ზემოთ განხილული იმ ვრცელი წერილის შინაარსი, რომელშიც კახეთის მეფე თერგის ციხის აღდგენას ითხოვდა, რაც კიდეც განხორციელდა.

თაჰერის მიხედვით, აბას II-ის გამეფების შემდეგ ირანის ხელისუფლება რუსეთის მიმართ ტრადიციულად დათმობების პოლიტიკას აგრძელებდა, არაფრად ჩააგდო რუსების მიერ თერგის ციხის ჩადგმა, მაგრამ, თავის სამეფოდან გაძევებულმა თეიმურაზმა, კიდევ მეტი მოინდომა, მოსკოვში შვილიშვილი გაგზავნა და რუსთ ხელმწიფე რუსეთ-ირანის საზღვარზე სხვა ციხეების ჩადგმაზეც წააქეზა. მისი ამგვარი მოქმედება იყო მიზეზი, რომ შაჰი იძულებული გახდა იარაღით დაეცვა თავისი ინტერესები. ამგვარად, თაჰერის თქმით, თეიმურაზმა „მიმართა რუსის ხელმწიფეს და თავისი უფროსი შვილიშვილი გაგზავნა მასთან და დახმარება და შველა ითხოვა.

---

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 430-431.

მან მზაკვრულად ურჩია [რუსთ ხელმწიფეს], რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ყოი-სუს ციხის სანახებში რამდენიმე სხვა ციხეც იქნება აშენებული, რომლებითაც ჩაიკეტება ჩერქეზიდან [ღვთის მიერ] დაცულ ქვეყანაში (ირანში) მოსასვლელი გზა და თუ რუსების [მხრიდან] დახმარება წამოვა საქართველოს ოლქში, – ეს (ე. ი. დახმარების გამოგზავნა) ადვილად მოხერხდებაო. და რუსთა ქვეყნის ვალიც მოტყუვდა მისი ვერაგობით და რამდენიმე ციხე ხსენებულ სახანოებში ააშენა და დანიშნა რაზმი მათ მცველად"[1].

ბუნებრივია, შაჰი თვალს ადევნებდა თეიმურაზის მოსკოვთან კონტაქტებს და ყოველმხრივ ცდილობდა ხელის შეეშალა. თანაც ეს ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ ირანის ხელი არ გამოჩენილიყო. მაგრამ მაინც ცნობილი გახდა ყუმუხები რომ შაჰ აბას II-ის მითითებით მოქმედებდნენ: 1658 წელს შაჰის ელჩმა დაკულ სალტანემ, მოსკოვში ბოიარებთან საუბრისას განაცხადა, რომ უფლისწულსა და მის დედა ელენეს თავს დაესხნენ ყუმუხელი ფეოდალები, რომლებმაც უფლისწულის ამალის დატყვევებული წევრები, შაჰს გაუგზავნეს[2].

რუსების მიერ ახალი ციხეების ჩადგმის შესახებ შაჰს შირვანის ბეგლარბეგმა ხოსროვ ხანმა მოახსენა. შაჰმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმან მმართველებს უბრძანა ხოსროვ ხანის დროშის ქვეშ შეკრებილიყვნენ. მათ შეუერთდნენ დარუბანდის, დაღესტნის და წახურის რაზმები და ყველა ახალი ციხე დაანგრიეს[3]. ეს ამბები წინ უძღვოდა ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას. ხოლო რაც ციხე-ქალაქ თერგის სიახლოვეს გადახდა უფლისწულსა და მის მხლებლებს, ამაზე უკვე ითქვა.

როცა თეიმურაზმა უფლისწულსა და მის ამალაზე თავდასხმის ამბავი გაიგო, ალექსი მიხეილის ძეს დაუყოვნებლივ მისწერა, რომ ეს თავდასხმა როსტომ მეფის მოწყობილი იყო, რომელმაც „ყუმიკებს გაუგზავნა დიდი მოსაკითხი და შეუთვალა, რომ თეიმურაზმა თავის შვილიშვილი, ბატონიშვილი დედასთან

---

[1] თაჰერი, გვ. 384

[2] Армяно-русские отношения в XVII веке. Сборник документов под ред. проф. В. А. Парсамяна, Ереван, 1953, с. 21.

[3] იქვე, გვ 385.

ერთად გაგზავნა, დაიჭირონ და მას გამოუგზავნონ, ის კი მათ ყიზილბაშთა შაჰს გაუგზავნის“[1].

თეიმურაზის შვილიშვილის მოსკოვში გამგზავრების წინააღმდეგ, შაჰის ბრძანებით, განსაკუთრებით აქტიურობდა თაჰერის მიერ დასახელებული ხოსროვ (ხუსრევ, ხესრევ) ხანი.

1653 წ. 30 აპრილს თერგში ვინმე მინიატკა ვაჭარს უთქვამს, რომ დარუბანდში ყოფნისას საკუთარი თვალით ნახა, რომ „...შემახიის ხუსრევ ხანი დარუბანდში დიდძალი ლაშქრით იდგა. მასთან განჯის ხანი და შაჰის სხვა ქალაქებიდან სამი სულთანი იყო დიდძალი მხედრობით. ისინი დარუბანდში შაჰის ბრძანებით იყვნენ მოსული. იმ ხესრევ ხანს ნაბრძანები აქვს ყიზილბაშთა ლაშქრით და ყუმუხელთა მხედრობით თერგთან მივიდეს და ბატონიშვილი დედითურთ გამოითხოვოს. თუ ხანს მათ არ გადასცემენ, მაშინ მას, ხანს, ნაბრძანები აქვს თერგის ქალაქი აიღოს“[2].

როდესაც იარაღითა და ჯარით უფლისწულის ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა, შაჰის აგენტები (მაგ.: ასტრახანში ვინმე „ქართველი პოტაპკო“) თერგიდან მშვიდობიანად გამგზავრებული უფლისწულის მხლებლებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ და ურჩევდა მოსკოვში წასვლა გადაეთქმევინებინათ და შაჰთან გამგზავრება ერჩიათ[3]. ი. ცინცაძე ვარაუდობდა, რომ ქართველი პოტაპკო შეიძლება როსტომ მეფის რუსეთში ელჩის მიერ მიჩენილი პირი იყო[4].

ამგვარად, უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ქართველი უფლისწულის მოსკოვში გამგზავრება ირანის შაჰმა აღიქვა, როგორც თეიმურაზის პოლიტიკის გამაგრძელებელი შვილიშვილის მეთაურობით რუსეთის ჯარის საქართველოში გამოჩენის პერსპექტივა. ასეთივე შეშფოთებას განიცდიდა როსტომი, რომელსაც ეშინოდა არა იმდენად ქართველი ხალხის სიუზერენის შეცვლი-

---

[1] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, გვ. 188.

[2] ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბ., 1982, გვ. 21, №14.

[3] ნაკაშიძე ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[4] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 265.

სა, რამდენადაც თეიმურაზისათვის წართმეული სამფლობელოების დაკარგვისა[1].

როდესაც ერეკლეს მოსკოვში გაგზვნას, როგორც საქართველო რუსეთს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისს აფასებდა, შაჰი არ ცდებოდა. არ შეიძლება ყაზვინში არ სცოდნოდათ, თუნდაც ლევან დადიანის აგენტურის წყალობით მაინც, რომ იმერეთის უფლისწულის მოსკოვში გაგზავნასაც ფიქრობდნენ. ამიტომაც შაჰ აბას II და როსტომ მეფე ყველაფერს აკეთებდნენ ამ პროცესის შესაჩერებლად.

ერეკლეს მოსკოვში წასვლას, როგორც დიდ მოვლენას რომ აღიქვამდა მოსკოვის ხელმწიფის კარიც, ნათლად გამოჩნდა უფლისწულის მიღებასა და მისადმი შემდგომი მოპყრობის დროს, მაგრამ იმდრონდელი რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა არ იძლეოდა ამ მომენტით სრულად სარგებლობის საშუალებას. როგორც შემდეგში გამოჩნდება, ვერც თეიმურაზ მეფემ მიიღო ის შედეგი, რასაც იგი უფლისწულის ხელმწიფის კარზე გაგზავნით მოელოდა.

1653 წ. 27 დეკემბერს ერეკლე მოსკოვში ჩავიდა[2]. მასთან ერთად იმყოფებოდნენ ელჩები – თავადი ქაიხოსრო და არქიმანდრიტი გერმანე თეიმურაზ მეფის მიერ გატანებული წერილებით.

1654 წლის 1 იანვარს ალექსი მიხეილის ძემ მეფისწული და ელჩები მიიღო და მეფეების – თეიმურაზისა და ალექსანდრეს წერილები ჩაიბარა. თეიმურაზი ხელმწიფეს ყიზილბაშებისაგან დაცვა, ფული, 5-6 ათასი მეომარი, დროშა, ქვემეხების ჭურვები და კალატოზები სთხოვა, „რათა ძველებურად თავის სახელმწიფოში, თავისი მამის ტახტი დაიკავოს“. ელჩები მოწმენი იყვნენ, რომ ხელმწიფეს არ შეეძლო თეიმურაზ მეფისათვის შეიარაღებული ძალით დახმარება, რადგან რუსეთი რეჩ პოსპოლიტასთან ომისათვის ემზადებოდა[3].

---

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 178.

[2] მოსკოვში ერეკლეს დიდი ზეიმით მიღებისა და მისი იქ ცხოვრების შესახებ დაწვრ. იხ. ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 107-166.

[3] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 446.

XII. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები თეიმურაზ I-ის რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში

უკვე ითქვა, რომ თეიმურაზ მეფე რუსეთის სახელმწიფოსთან უშუალო და სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად ჩრდილო კავკასიელი მთიელების რუსული იარაღით დამორჩილებას და უხიფათო გზის გახსნას ცდილობდა. მაგრამ ამის მიღწევა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგობის გამო, თითქმის შეუძლებელი იყო. რუსეთი კი ორივე დასახელებულ მუსლიმანურ სახელმწიფოსთან შეიარაღებულ დაპირისპირებას ერიდებოდა. თეიმურაზი რუსეთთან კავშირსა და კავკასიონზე გზის გახსნას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ რუსეთი ახლო მომავალში კავკასიონის უღელტეხილებს არ დაიკავებდა, გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა.

ვახუშტი ბატონიშვილს მხედველობიდან არ გამორჩა კახეთის მეფის ამგვარი საქმიანობა და 1640 წლის ქვეშ შემდეგს გადმოგვცემს: თეიმურაზმა ისარგებლა ირანთან დროებითი მშვიდობით და „განიზრახა თეიმურაზ შესვლად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგინი... არამედ დიდოთა მოიმწნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა... მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა, და მასვე ჟამსა ცხენი თეიმურაზისა, და მოსწყჳდნეს მრავლნი კახნი, ივლტოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყუელი: „ვაი დარბაისელ ეპისკოპოს მოწყუედილსა“[1]. ამის შემდეგ დიდოეთი კახეთს საბოლოოდ ჩამოშორდა და აქ გამავალი გზა რუსეთისაკენ დაეხშო.

ვახუშტი თეიმურაზ მეფის მარცხიან ლაშქრობას დიდოეთში არასწორედ უნდა ათარიღებდეს. დიდოეთში ლაშქრობა ადრე მომხდარი უნდა იყოს იმ ლაშქრობასთან შედარებით, რომლის შესახებაც თეიმურაზი თვითონ სწერდა ალექსი მიხეილისძეს 1639 წელს. ჩანს, დიდოეთში განცდილი მარცხის შემდეგ თეიმურაზმა კავკასიონზე გამავალი გზის გახსნაზე ხელი არ აიღო.

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 596.

თეიმურაზი მოსკოვში აცნობებდა, როცა ხელმწიფის ელჩები თავადი თედორე თედორეს ძე ვოლკონსკი და დიაკი არტემ ხვატოვი კახეთისაკენ მოდიოდნენ ნიკიფორე მიტროპოლიტთან ერთად, ამ უკანასკნელმა თერგიდან შემოუთვალა, რომ ხელმწიფის ელჩების კახეთში უხიფათოდ ჩასაყვანად აუცილებელი იყო თეიმურაზი ჯარით ქისტეთში მისულიყო. თეიმურაზი მოსკოვში სწერს: თქვენი სიყვარულისათვის გავეშურე და ***„თუშეთის, ფშავის, ხევსურეთისა და ქისტეთის მთებში გავხსენი ის გზა,*** რომელითაც არასოდეს უვლიათ არც ელჩებს და არც ივერიის ძველ მეფეებს. ღვთის ძალითა და თქვენი მეფური უდიდებულესობის წყალობით ***ყველა ამ მთების მცხოვრებნი დამემორჩილენ, მომიტანეს თავიანთი ძველი სიგელები და მე ისინი დავამტკიცე.*** მრავალი მოინათლა. [იქ] კიდევ არის ეკლესიები, ხატები და ზარები. ქისტეთში შევხვდით თქვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებს, წამოვიყვანე ისინი და ჩემს ქვეყანაში, კახეთში მივიყვანე“. წერილში ჩანს, რომ აღნიშნული გზის გახსნისათვის თეიმურაზს საკმაო ძალისხმევა დასჭირდა. იგი ხელმწიფეს აცნობებს: „დიდი ჯაფა დაადგათ თქვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებს, მაგრამ მე უფრო მეტი ვიშრომე, მთელი ორი თვის განმავლობაში, ვიდრე გზას გავწმენდდი... ***დავიმორჩილე მთიელები, ასე რომ ისინი ჩემი მონა-მორჩილები გავხადე, ისევე, როგორც პირველად იყვნენ [კახეთის მეფე] ლევანის დროს“***[1].

თეიმურაზ მეფეის მერ იარაღით დაიმორჩილებული თუშები, ფშაველები და ხევსურები, ბოლომდე მისი ერთგული და ქვეშევრდომი იყვნენ. ამას გვეუბნევა დღეისათვის ცნობილი წყაროები, განსაკუთრებით კი, დასახელებული მთიელების მიერ მოსკოვში გაგზავნილი წერილები. წერილობითი წყაროების ცნობების საპირისპიროდ, ნ. ნაკაშიძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი მთიელები მოსკოვის ხელმწიფის მფარველობაში შესვლას თეიმურაზ მეფისაგან დამოუკიდებლად ცდილობდნენ. ნ. ნაკაშიძემ არ გაიზიარა შ. მესხიას და ი. ცინცაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „თუ კახეთის არც ნამდვილ მფლობელს (თეიმურაზს), არც მომავალს (უფლისწულ ერეკლეს) არ ჰქონდათ

---

[1] Переписка, с. 28-29

ტერიტორია, არ ჰყავდათ ქვეშევრდომები, მაშინ ასეთ სამეფოს უქონელ მეფეებს, დახმარების მიღების მცირე იმედი უნდა ჰქონებოდათ. აუცილებელი იყო თუნდაც მცირე მორჩილი ტერიტორიის ქონა, საიდანაც რუსული ჯარი ბრძოლის დაწყებას შეძლებდა. კარგი იქნებოდა ამგვარ დასაყრდენ პუნქტად დასავლეთ საქართველოს გამოყენება, მაგრამ არსებობდა ოსმალეთის მხრიდან უარყოფითი რეაქციის საშიშროება"[1]. ნ. ნაკაშიძის მიხედვით, თვით ქართველი მთიელები მოსკოვში არ მალავდნენ, რომ ისინი უკვე არ ემორჩილებიან თეიმურაზს. მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, თითქოს წყაროები ადასტურებენ, რომ მოსკოვისადმი ქვეშევრდომობის თხოვნის ინიციატორები თვით მთიელები იყვნენ[2].

თეიმურაზის როლი მთიელთა წარმომადგენლების მოსკოვში ჩასვლაში სულ სხვანაირად ახსნა ნ. ბერძენიშვილმა: „1656 წელს თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი სამზადისი ჩაატარეს, ეს სამი კუთხე გააერთიანეს თუშების მეთაურობით და მათი ელჩები რუსეთში მფარველობის სათხოვნელად გაგზავნეს"[3]. წყაროები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ თეიმურაზის მიერ ქართველი მთიელების დარაზმვაზე და მათი წარმომადგენლების მოსკოვში გაგზავნაზე გადმოგვცემენ.

ფშაველების, თუშებისა და ხევსურების თეიმურაზისადმი მორჩილების წარმოჩენას, კახეთის მეფის რუსეთში გამგზავრების წინ, საკუთარი სამეფოდან დევნილი მეფე, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მივყვეთ წყაროთა მონაცემებს.

როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფე მთიელთა წარმომადგენლების მოსკოვში გაგზავნის ორგანიზებას 50-იანი წლების დასაწყისიდან შეუდგა და 1654 წლის იანვარში მოსკოვში ჩავიდა თუშებისა და

---

[1] Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., с. 75.

[2] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 190-191.

[3] ბერძენიშვილი ნ., დონდუა მ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 304.

ქისტების ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნაუმ ივანოვი[1]. საყურადღებოა, რომ რამდენიმე დღით ადრე (1653 წ. 27 დეკემბერი) რუსეთის სატახტოში ჩავიდა უფლისწული ერეკლე-ნიკოლოზი.

„აღნიშული ფაქტების დამთხვევა სავსებით კანონზომიერ მოვლენად გვესახება. 50-იან იწლების დასაწყისში ყირიმ-ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის საშიშროებამ კავკასიის ხალხები აიძულა ძლიერი მფარველის ძებნა დაეწყოთ. თეიმურაზ პირველის მიერ შვილიშვილის მოსკოვში გაგზავნამ, ბუნებრივია, დიდი მორალურ-პოლიტიკური გავლენა იქონია საქართველოს მთიანეთის ქრისტიან და არაქრისტიან მოსახლეობაზე და პირდაპირ მიუთითა რუსეთზე, როგორც ყველაზე მისაღებ ქომაგზე. ამიტომაც, 1654 წელსვე თუშთა ელჩების მოსკოვში გამოჩენა მოულოდნელი და გასაკვირი არ იყო, მით უმეტეს, რომ თეიმურაზს, რომელსაც მთიანეთში მყარი დასაყრდენი ბაზების გაჩენა სურდა, როგორც ჩანს, ცდა არ დაუკლია თუშ-ფშავ-ხევსურების რუსულ ორიენტაციაზე გადასაყვანად“[2].

თ. ტივაძის მოსაზრების დაზუსტება შეიძლება: 1. როგორც ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები თეიმურაზის მორჩილებაში იყვნენ 30-იანი წლების ბოლოდან: 2. ერეკლე უფლისწულისა და თუშებისა და ქისტების წარმომადგენლების თითქმის ერთსა და იმავე დროს მოსკოვში ჩასვლა, ვფიქრობ შემთხვევითი კი არა, არამედ თეიმურაზის მიერ ორგანიზებული იყო. მას ისინი, პირველ რიგში, უცხო გარემოში უფლისწულის მდგომარეობის სიმყარისათვის სჭირდებოდა. 3. იმავე დროს თეიმურაზი აგრძელებდა სხვა ქართველ მთიელებთან, კერძოდ, ფშავებთან და ხევსურებთან დიპლომატიურ ურთიერთობას მათი თუშებთან ერთად რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შესაყვანად; 4. თეიმურაზს რუსეთის ხელმწიფე უნდა დაერწმუნებინა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მას დასაყრდენი ჰქონდა.

---

[1] ტივაძე თ., თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50-60-იანი წწ.). კრებულში: ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 239.

[2] იქვე.

მთიელები თეიმურაზ მეფესთან კავშირში რომ არ ყოფილიყვნენ, მისი გეგმები რომ არ სცოდნოდათ და მასთან შეთანხმებით არ ემოქმედათ, როგორ შეიძლებოდა ერთდროულად სამეფო ოჯახის წევრები და თუშები და ქისტები ერთდროულად მოსკოვში ჩასულიყვნენ. მათ შორის რომ კავშირი არსებობდა. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვში მყოფ თუშებს, კავშირი ჰქონდათ უფლისწულ ერეკლესა და დედოფალ ელენესთან. ისინი, იმავე დროს, აცხადებდნენ, რომ მათი ერთადერთი მეფე და უზენაესი ხელისუფალი თეიმურაზი იყო. მაგრამ ამას ორივე მხარე, გარკვეულ დრომდე, ნიღბავდა.

1656 წ. 1 მარტს მოსკოვში მყოფმა მეფისწულმა ერეკლემ და მისმა დედამ, დედოფალმა ელენემ საელჩო პრიკაზში გაგზავნეს თავიანთი კაცი ივანე „მამუკინი“[1] და აცნობეს, რომ თეიმურაზისაგან წერილი მიიღეს. წერილში ნათქვამი იყო, რომ თეიმურაზს ქართველმა მთიელებმა სთხოვეს უშუამდგომლოს მოსკოვის მეფის წინაშე, მათი მფარველობაში მისაღებად[2]. ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა დაეკითხათ „მამუკინი“ და გაერკვიათ ვის მხარეს იყვნენ თუშები, შაჰს ხომ არ ემხრობოდნენ, რაზეც პასუხი იყო შემდეგი: „ისინი ყველანი ქრისტიანები იყვნენ და თეიმურაზს ემორჩილებოდნენ, ხევსურების მეთაური ხევისბერია, ხოლო ფშაველებისა ერისთავი. ამჟამად ხევსურებიც თავისუფალნი არიან. ფშავის ერისთავი კი ირანის შაჰის ქვეშევრდომი გახდა. ის ერისთავი თავისთან იწვევს თუშებსა და ხევსურებს, მაგრამ ***ისინი უარს ეუბნებიან და აცხადებენ, რომ თეიმურაზის და მეფისწული ნიკოლოზ დავითის ძის ქვეშევრდომები არიან.*** თუ მ[ეფის] უ[დიდებულესობა] ინებებს მიიღოს ისინი თავისი მ[ეფური] უ[დიდებულესობის] მაღალი ხელის ქვეშ, ირანის შაჰთან არავითარი უსიამოვნება არ ექნება“[3].

---

[1] ივანე „მამუკინი“ ის „ივანე მაქსიმეს შვილი“ უნდა იყოს, რომელიც 1658 წლის ქართულად დაწერილ წერილშია მოხსენიებული, როგორც ელენე დედოფლის კაცი.

[2] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 191.

[3] Там же.

მოსკოვის მთავრობა დაინტერესდა ქართველი მთიელების საკითხით და ივანე „მამუკინი“ და თარჯიმანი ი. ფედოროვი საქართველოში გაგზავნა. 1656 წლის დეკემბერში ისინი დაბრუნდნენ და მოიყვანეს თუშების, ხევსურებისა და ფშაველების წარმომადგენლები, რომლებმაც მოიტანეს ერთი საინტერესო წერილი, საიდანაც სრულიად გარკვევით ჩანს ვისი ინიციატივით ცდილობენ მთიელები შევიდნენ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობაში: „ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფევ და ყოველთ ქრისტიანეთ ჴელმწიფევ, ალექსი მიხეილი შვილო! ყოვლისა მპყრობელო! ***შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონის შვილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის ჴელმწიფის ჴელთა ვართო. და თქვენ ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო.*** აწე... ჴელმწიფევ, ჩვენი ჴელმწიფეც თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და ჴევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მიგვიბამს ერთმანერთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ჴევის ბერი სოზამე მაქსიმიჩ, და გრიგოლ სადორიჩ, და პავლე ივანიჩ, და შენი ყმანი შევქმნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბძანება იქნება ჩვენ იმისი მქნელნი ვართ: ***ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ჴელმწიფე თეიმურაზ.*** ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის და საქართველოს ყენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელთებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია: აწე, დიდო ჴელმწიფე ყენმა წაახდინა, და ზურგი აღარ სადით გვქონდა, და მდვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბძანება და კაცი მოგსვლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაციცა, და თქვენი ბძანება გაგვითავებია, და შენ შემოგხვეწნივართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს გვიმსახურე და გვალაშქრე, ამდღეშიოთ შენი ყმანი შევქმნილვართ“[1].

1657 წლის 22 იანვარს ქართველი ელჩები საელჩო პრიკაზში დაიბარეს. მათ განაცხადეს, რომ მოსკოვში „ჩამოვიდნენ დიდ ხელმწიფის თაყვანისცემისათვის, რათა დიდმა ხელმწიფემ მართლმადი-

---

[1] Переписка, с. 74-75.

დებლური ქრისტიანული რწმენისათვის მოწყალება მოიღოს და ბრძანოს მათი მიღება თავისი მაღალი ხელის ქვეშ მუდმივ ქვეშევრდომობაში... მათი რწმენა ქრისტიანულია და ცხოვრობენ მთების გამაგრებულ ადგილებში სამ ბანაკად, ხოლო ქალაქები და ბატონები არ ჰყავთ, ყველა თავის სოფელს ფლობს. თუშებს 8000 მებრძოლო ჰყავთ, ხევსურებს 5000, ფშაველებს 4000. მეომრები იბრძვიან შვილდითა და შუბით, ყველანი აბჯარში არიან. თერგიდან თუშეთამდე სწრაფი სიარულით 4 დღის სავალია, ნელა კი 6 დღისა. ირანის შაჰისაგან, ყუმიხებისაგან და ჩერქეზებისაგან შორს არიან და მათგან არავითარ შევიწროებას არ განიცდიან... ***ამ დრომდე მეფე თეიმურაზის ქვეშევრდომები იყვნენ. მას შემდეგ რაც ყიზილბაშმა შაჰმა ის გაანადგურა, იმ დროიდან ისინი დამოუკიდებლად ცხოვრობენ***"[1].

მთიელების წარმომადგენლების მიერ რუსეთისადმი ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ, ისინი უკან გაგზავნეს და თან გააყოლეს რწმუნებულები, რომლებსაც მთიელებისათვის ფიცი უნდა დაედებინათ. იმის გამო, რომ ქართველი მთიელები სრულიად თავისუფალნი იყვნენ და ფეოდალები არ ჰყავდათ, ყველას რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ. ი. ცინცაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსკოვის მთავრობამ თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში ფიცის მიღების ცერემონიალის ჩასატარებლად გაგზავნეს სპეციალური პიროვნებები – „წარგზავნილები" (присыльщики). უფრო მაღალი თანამდებობის პირი არ შეესაბამებოდა თუშეთისა და ხევსურეთის მდგომარეობას. უფრო მეტიც, იმისათვის, რათა ისინი ფიცის ერთგულნი ყოფილიყვნენ, მოსთხოვეს მძევლები. შ. მესხია და ი. ცინცაძე, იმის გამო, რომ ცნობილი არ არის, შესრულდა ეს მოთხოვნა თუ არა, ვარაუდობდნენ, რომ, „რამდენადაც თუშების, ფშაველებისა და ხევსურების ერთგულება, თეიმურაზისა და უფლისწული ერეკლეს შუამდგომლობის წყალობით ეჭვს არ იწვევდა, მძევლები აღარ

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 191-192.

აიყვანეს“[1]. მაგრამ როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სინამდვილეში ***ქართველი მთიელების მძევლები მოსკოვში ჩაიყვანეს***.

საინტერესოა თერგის ვოევოდას მიერ მოსკოვში გაგზავნილი მოხსენება, საიდანაც ვიგებთ, რომ საქართველოსკენ მომავალი „მამუკინი“ და მთიელები თერგში შეხვდნენ მოსკოვისკენ მიმავალ თეიმურაზ მეფეს: „მან თარჯიმანი რომან ზინოვიევი და თუში პავლე თავისთან დაიტოვა, ხოლო აზნაური ივანე მამუკინი, სალტანი (სოზამე მაქსიმიჩი –ე.მ.) და გრიგორ სიდოროვი (გრიგოლ სადორიჩი –ე.მ.) თერგში დატოვა და ***უბრძანა თუშეთში მარტო წასულიყვნენ, წერილი გაატანა და თუშებს ყველაფერი უბრძანა***. ივან მამუკინი თუშეთში მანამ არ წავიდა, ვიდრე მეფე თეიმურაზი თერგში არ მოვიდა. ***(მეფემ –ე.მ.) ივანეს უბრძანა იმ სამი სამფლობელოდან (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი –ე.მ.) ორორი კაცი აეყვანათ იმ მეთაური მფლობელებისაგან, ვინც იმ მიწებს ფლობდნენ. როცა ის ხალხი აიყვანეს, თეიმურაზთან ერთად წავიდნენ მოსკოვში***“[2].

იმავე წლის 26 სექტემბერს ივანე მამუკინი წავიდა თუშეთში, საიდანაც 4 ნოემბერს დაბრუნდა თერგში, თან მოიყვანა 9 მთიელი ქართველი და 1658 წლის ივნისში ისინი უკვე მოსკოვში იყვნენ[3].

თერგის ვოევოდას მოხსენებას ნაწილობრივ ადასტურებს თუშების, ხევსურების და ფშაველების მიერ მეფე ალექსი მიხეილისძისთვის გაგზავნილ წერილი, რომელიც დათარიღრებულია 1658 წლის 12-13 ივლისით. გავეცნოთ ამ საკმაოდ ვრცელი წერილის მნიშვნელოვან ადგილებს: „... მღთივ გვირგვინოსანო, მეფეთ მეფევ, დიდო მეფევ, ბატონო ალექსი მიხეილის შვილო: თქვენმა მონდობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ჴევსურმა და ფშავმა სრულ ერთობილთა თავი დაგვიკრავს, და თქვენს ნადგომს მიწას ვთხვევნივართ: აგრეეე ამასწინათაც, დიდო ჴელმწიფევ, ჩვენი ელჩები გხელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიკარით და ასრე მოგახსენეთ, რომე, ***ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე, საქართველოს***

---

[1] Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении, с. 79.

[2] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 192.

[3] Там же, с. 192-193.

ხელმწიფე, მეფე თეიმურაზ და ჩვენ სხვას ურჯულო კაცის ჭელ-ქვეით არა ვყოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ჭელმწიფის ყმანი ვყოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა, ***ჩვენს ჭელმწიფესა*** (თეიმურაზს–ე.მ.) ურჯულომ ყენმა დასძლივა და ***რადგან ჩვენი ჭელ-მწიფე თქვენ ჭელთ ქვეშ არის, დიდო ჭელმწიფევ, ჩვენც თქვენს ჭელთ ქვეშ შევიქნებით*** და არც უსიკდილოდ ურჯულოს კაცის ყმობა არ შეგვიძლიან, თუ ქრისტიანის ჭელმწიფის, და ახლა, მა-ღალო ჭელმწიფევ, ჩვენი ელჩები რომ გამობრუნებულ იყო, და ***ჩვე-ნის ბატონის რძლის კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და თერგზე რომ მოსულ იყუნეს, ჩვენი ჭელმწიფე*** (თეიმურაზ I –ე.მ.) ***წინ შემოჰყრო-და, და ერთი ჩვენი ელჩი იქ დაეჭირა და ორი კიდევ გამოუშო და ერთი თავისი კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და ასრე ებძანა ჩვენს ჭელმწიფესა ჩვენთვის, რომე „ერთი ღმერთი იცოდეთო, და მეორე, ეს დიდი ჭელმწიფეო. როგორაც ამისმა ბრძანებამ დაგარიგოსთ ისრე ქენითო, და სხვას კაცისათვის არამც თავი მოგიდრეკიათო, და ან სხვა კაცი თქვენს ქვეყანაში შემოგიშვიათო“:*** მოვიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ჭელმწიფის გამოგზავნილი კაციცა, და ჩვენ-თვის მრავალი წყალობა გებძანებინა და მაგათი ბედნიერი ხელი დაუდებია, ასრე გებძანა. „ჩემი ყმანი შეიქენითო და მემსახურეთო და ვისაც გამტერო, უმტერეთო. თუ რამ დაგჭირდეს, შემატყობინე-თო და ლაშქარს მოგაშველებო, და თუ ჩემი ლაშქარი გამოუძახო, ან ლეკზედა ან სხვაგნით, თქვენ მზას იყვენითო. რა ხან ჩემი ბძა-ნება მოგივიდეს, შეიყარენით და ჩემს ლაშქარში გაერივენითო და მილაშქრეთო“. და სხვა მრავალი წყალობა გებძანა ჩვენთვინა... ჩვენ არა ღირს ვიყვენით, რომ ბედნიარს ხელმწიფეს ჩვენთვის წყა-ლობა ექნა: ახლა კიდევ ელჩები ვახელით დიდს ჭელმწიფესა რვა კაცი. ნაუმ ივანეს შვილი, პეტრო ნაუმის შვილი, ალექსანდრე აბ-რამის შვილი, მიხეილ გრიგოლის შვილი, გრიგოლ მიხეილის შვი-ლი, ივანე ივანეს შვილი, სვიმონ ზაქარიას შვილი, კუზმა სვიმო-ნის შვილი გამოგვიგზავნია და ***შევიტყევით, რომ ჩვენი ხელმწიფე თქვენთან წამოსულა და როგორც თქვენი ბძანება მამივა, ისრე ვიქთ, და ისრე გმსახურებთ***“[1].

---

[1] Переписка, с. 229-230.

მოხმობილი მასალები, ვფიქრობ, უეჭველს ხდის, რომ თუ-შები, ფშაველები და ხევსურები თავიანთ ერთადერთ მეფედ და ბატონად მხოლოდ თეიმურაზ მეფეს მიიჩნევდნენ (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს დასახელებული ქართველი მთიე-ლების თეიმურაზისადმი მორჩილების ხარისხს) და მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისას მოქმედებდნენ მათ მიერ აღიარებული მეფის მითითებით. მაგრამ თეიმურაზ მეფის ამ მცდელობას ისევე, როგორც მის მრავალ სხვა ძალისხმევას და, თუნდაც, მისი მოსკოვის ხელმწიფესთან პირადად ხლებასაც კი, სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

XIII. თეიმურაზ I მოსკოვში

1654 წ. 19 მაისს ქართველმა ელჩებმა გამომშვიდობებისას რუსეთის ხელმწიფეს მიმართეს: რადგან მას არ ძალუძს თეიმურაზს სამხედრო ძალით დაეხმაროს, ამიტომ მათ, ელჩებმა, მოითხოვეს ნება მისცენ თეიმურაზს ჩავიდეს მოსკოვის სახელმწიფოში. ხელმწიფემ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და ბრძანება გასცა ასტრახანში გაეგზავნათ სიგელი, თეიმურაზის ღირსეულად მიღებისა და მოსკოვში გამგზავრებისათვის.

იმავე წლის 1 ივნისს რუსი ელჩები – დიმიტრი გორიხვასტოვი და დიაკი გლებ პეტრიკეევი, ქართველ ელჩებთან ერთად თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეებთან გაემგზავრნენ, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს, თერგში დაიხოცნენ[1].

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თეიმურაზ მეფე არ დაელოდა თავისი ელჩების დაბრუნებას და 1655 წლის 10 აგვისტოს ალექსი მიხეილის ძეს ახალი წერილი გაუგზავნა თავისი შიკრიკის, „ჭაშნიკი“ ივანეს ხელით. წერილში ნათქვამი იყო: შაჰ აბას II თეიმურაზს სთხოვდა, რომ როგორც მოსკოვის ხელმწიფეს მისცა თავისი შვილიშვილი, ასევე მისთვისაც მიეცა. იმავე დროს კახეთის მეფე ითხოვდა ხელმწიფეს მისი უფროსი შვილიშვილისათვის, ლუარსაბისათვის მიეთხოვებინა თავისი და; ითხოვდა ყუმუხების წინააღმდეგ გაეგზავნა 50 ათასიანი ჯარი, რადგან ყველა მთიელი შაჰის მომხრენი იყო, თუმცა მათი დამორჩილება შესაძლებელია[2].

მოსკოვში რუსი ელჩების თერგში გარდაცვალების შესახებ როდესაც გაიგეს, თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეებთან გაიგზავნა ახალი ელჩობა ვასილი ჟიდოვინოვისა და დიაკ ფეოდორ პოროშინის მეთაურობით. ისინი მოსკოვიდან გავიდნენ 1655 წ. 7 მაისს. მათ თერგიდან წაიღეს გარდაცვლილი ელჩების მიერ დატოვებული, თეიმურაზისათვის გადასაცემი 6 ათასი ეფიმკი და სხვა საჩუქრები, რომლის ნაწილი უნდა მიერთმიათ დედოფლისა და მეფის ახლობლებლებისათვის. უფლისწულის ამალის დატყვევებული წევრების, მათი ავლადიდებისა და ხაზინის შესახებ,

---

[1] იქვე.

[2] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 455.

ბრძანება გაეგზავნა ასტრახანის ბოიარსა და ვოევოდებს, რომ ქართველი ტყვეების სანაცვლოდ ყუმუხების მურზას დაუბრუნონ ალი სალტან მურზა, რომელიც თერგელ სამხედროებს ჰყავდათ დატყვევებული. ხელმწიფე თეიმურაზს აცნობებდა, რომ ჯარს და ქვემეხის ჭურვებს, რეჩ პოსპოლიტასთან ომის გამო ვერ უგზავნიდა. ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ჯარი ლაშქრობიდან დაბრუნდებოდა, თეიმურაზი დახმარების გარეშე არ დარჩებოდა[1].

1655 წ. 26 მაისს მეფე თეიმურაზმა თავისთან დაიბარა რუსი ელჩები და განუცხადა, რომ ყიზილბაშმა შაჰმა იგი მისი კუთვნილი სახელმწიფოდან გააძევა და იმერეთში ცხოვრობს თავის სიძე ალექსანდრესთან, რომლისგანაც არავითარ დახმარებას იღებს. თავის ხალხთან ერთად დიდ გაჭირვებას განიცდის. ახლა თეიმურაზს გადაწყვეტილი აქვს დედოფალთან, შვილიშვილებთან – დავითის ვაჟიშვილ უფლისწულ ლუარსაბთან, ასულთან და ახლობლებთან ერთად, სულ 300 კაცით, იმის შიშით, რომ მას და მის ხალხს მტრები შეიპყრობენ და შაჰს გადასცემენ, გადაწყვიტა მოსკოვში ხელმწიფესთან წავიდეს. ხელმწიფემ მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად ყაბარდოში გაგზავნოს 5 ათასი კაცი, რომლებიც მშვიდობიანად მიიყვანენ თერგში. ეს უნდა მოხდეს აგვისტომდე, ვიდრე თოვლი მოვა და მთებში გადასვლა შეუძლებელი იქნება[2].

1656 წ. 6 მარტს მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ მეფის ელჩობა დიმიტრი ეზეკიელის ძე არეშიძის და აზნაური ბიძინა დავითის ძის მეთაურობით. 18 აპრილს აუდიენციის დროს ელჩებმა ხელმწიფეს გადასცეს თეიმურაზ მეფის შემდეგი შინაარსის წერილი. თეიმურაზი ხელმწიფეს შეახსენებდა: „შენი მეფური უდიდებულესობის ბრძანება იყო, თუ შენ მეფე თეიმურაზი გამომიგზავნი შენს შვილიშვილს, მე შენ ჯარს მოგცემ, რათა შენს მიწა-წყალს დაეუფლო, ჩემი ყმა იქნები და მეტი არაფერიო. ჯარი უნდა გამოგეგზავნა, რათა ჩემი მიწა-წყალი გამეწმინდა. მე შენი უდიდებულესობის ნება შევასრულე, ჩემი შვილიშვილი გამოგიგზავნე და თქვენი დიდი მეფობის მონა შევიქენი... მოიღე ჩემზე მოწყალება და მომეცი ჯარი ჩემი მიწა-წყლის გასაწმენდად და ივერიის სახელმწიფო იყვეს შენი მბრძანებლობის ქვეშ ისევე, როგორც სხვა

---

[1] იქვე, გვ. 448.
[2] იქვე, გვ. 450.

სახელმწიფოები იმყოფება შენი მბრძანებლობის ქვეშ. როდესაც შაჰმა გაიგო, რომ ჩემი შვილიშვილი მიკოლაი დავითის ძე შენს მეფობას გამოვუგზავნე, გამირისხდა და ჩემს დაჭერას და მოკვლას ცდილობს... შაჰი მითვლის: ან მე დამნებდი, ან მოსკოვის მეფესთან წადი, სადაც შენი შვილიშვილი გაგზავნე"[1].

თეიმურაზი ალექსი მიხეილისძეს თავის ეკონომიურ და ფინანსურ შეჭირვებაზეც წერდა, მაგრამ მისი მთავარი მოთხოვნა მოსკოვიდან ჯარით დახმარება იყო. თუ ხელმწიფეს ჯარით დახმარების საშუალება არ ჰქონდა, მაშინ თერგში დასახლების უფლებას ითხოვდა დედოფალთან, შვილიშვილებთან და თავის „ბოიარებთან" ერთად[2]. თეიმურაზ მეფე იმედს არ კარგავდა, რომ როდისმე ხელმწიფე ჯარს მისცემდა და თავის ქვეყანას დაიბრუნებდა[3].

29 აპრილს დიმიტრი არეშიძემ საელჩო პრიკაზში დააზუსტა იმ ადამიანების რაოდენობა და ვინაობა, ვინც თეიმურაზ მეფესთან ერთად საქართველოდან რუსთში წავიდოდნენ: „თეიმურაზ მეფესთან ერთად იქნება მისი დედოფალი, შვილიშვილი, მიკოლაი დავითის ძის უფროსი ძმა. ამჟამად ის არის 15 წლის. მიკოლაი დავითის ძის უმცროსი და, ამჟამად 9 წლისა. თეიმურაზ მეფესთან ერთად იქნება 2 ეპისკოპოსი მედავითნეებით, 18 აზნაური ცოლებითა და შვილებით, მისი, მეფის კარისკაცები. თეიმურაზ მეფესთან სულ, ყველა ჩინის ადამიანი ცოლებითა და შვილებით 500 კაცი იქნება".

ლევან მეორე დადიანმა იცოდა თეიმურაზ მეფის განზრახვა მოსკოვის ხელმწიფესთან გამგზავრების შესახებ და იგი როგორც თავისი, ასევე როსტომ მეფისა და შაჰ აბას II-ის ინტერესების მიხედვით, ალბათ, მათთან შეთანხმებითაც, ცდილობდა შეეფერხებინა თეიმურაზის განზრახვის განხორციელება. სხვაგვარად ვერ ავხსნი დადიანის მიერ თეიმურაზ მეფესთან თავისი კაცების მიგზვნას, იმ მოტივით, ვითომდაც მას ალექსანდრე მეფესთან შესარიგებლად მისი შუამდგომლობა უნდოდა. მაგრამ თეიმურაზს ოდიშის მთავრის არ სჯეროდა. ბოლოს ლევან დადიანმა

---

[1] იქვე, გვ. 456

[2] იქვე, გვ. 458.

[3] იქვე. იხ. თეიმურაზ მეფის წერილი მოსკოვის ხელმწიფესთან, რომელიც წარდგენელია 24 აპრილს იხ. Переписка, с. 71-73.

მეფეს ავტორიტეტული ადამიანები მიუგზავნა. იგი იძულებული გახდა მათ ნებას დაჰყოლოდა და მთავართან მოსალაპარაკებლად ზუგდიდში გაეშურა. როგორც მოსალოდნელი იყო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. დადიანმა მშვიდობის სანაცვლოდ ისეთი მოთხოვნა წამოაყენა, რომელსაც არც იმერეთის მეფე და არც თეიმურაზი დათანხმდებოდა.

რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების შერიგება, რაც ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებასაც წაადგებოდა, თეიმურაზს უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. დასავლეთ საქართველოს ძალების ერთი საერთო, ქართული ინტერესებისაკენ წარმართვა თეიმურაზ მეფეს როსტომ მეფის და, შესაბამისად ყიზილბაშების წინააღმდეგ ომის წარმატებით წარმოების და, საბოლოოდ, ქართლისა და კახეთის განთავისუფლების პერსპექტივას ქმნიდა. თუ მოვლენები ასე განვითარდებოდა, თეიმურაზს რუსთ ხელმწიფესთან სახვეწარი აღარ ექნებოდა.

დადიანის და თეიმურაზის მოლაპარაკების შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა ილია სტოიანოვმა.

1657 წლის 4 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნებულმა ჟიდოვინოვისა და პოროშინის თარჯიმანმა ილია სტოიანოვმა, საელჩო პრიკაზში დადიანის თეიმურაზთან ურთიერთობაზე შემდეგი ჩვენება მისცა. „თეიმურაზ მეფესთან მისი ყოფნის დროს მრავალჯერ მოვიდნენ ლევან დადიანის მოციქულები, რომლებიც ითხოვდნენ, რომ თეიმურაზმა ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე შეარიგოს და ისიც შეიყვანოს მოსკოვის ხელმწიფის მფარველობაში, ისე როგორც თეიმურაზი იმყოფება დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომად. როცა თეიმურაზ მეფე დიდ ხელმწიფესთან წავა, მას ალექსანდრე მეფესთან ვეღარავინ შეარიგებს.

თეიმურაზ მეფემ სადადიანოს მეფე ლეონტის არ დაუჯერა და უარი უთხრა. თეიმურაზ მეფის დასარწმუნებლად სადადიანოს მეფე ლეონტიმ მასთან გამოგზავნა კათალიკოსი (მათ კათალიკოსი ჰყავთ პატრიარქის მაგიერ) და მიტროპოლიტი მიკოლაი[1], რომ იმ ლეონტი მეფეს ალექსანდრე მეფესთან მშვიდობა უნდა და მას დაიცავს სამუდამოდ. კათალიკოსი და მიტროპოლიტი თეიმურაზ მე-

[1] ნიკიფორე ირბახი.

ფის დარწმუნებას ცდილობდნენ. თეიმურაზ მეფემ დაუჯერა რა კათალიკოსსა და მიტროპოლიტს, მათთან ერთად წავიდა სადადიანოს ლეონტი მეფესთან, ხოლო ის ილია[1] თან წაიყვანა სათარჯიმნოდ. მივიდნენ თუ არა ქალაქ ზუჩიტში[2], სადაც ცხოვრობს სადადიანოს ლეონტი მეფე, სადადიანოს მეფე პირადათ, თავის ბოიარებთან ერთად შეხვდა თეიმურაზ მეფესა და კათალიკოსს. თეიმურაზ მეფე სადადიანოს მეფესთან ერთად იმ ქალაქში წირვას დაესწრო. წირვის შემდეგ სადადინოს მეფემ თეიმურაზ მეფეს უთხრა: თუ მის სიძე ალექსანდრე მეფეს მასთან შერიგება უნდა, მაშინ სადადიანოს მეფეს თავისი სატახტო ქალაქი ქუთაისი უნდა დაუთმოს. მას ასეთ პირობით უნდა მასთან მშვიდობა და თავის შვილსაც დაუბრუნებს, ხელმწიფის მფარველობაშიც შევა. თეიმურაზ მეფემ დაინახა რა მისი მერყეობა თავის ქვეყანაში დაბრუნდა“[3].

თეიმურაზ მეფემ, რომელმაც წინასწარ იცოდა დადიანთან მოლაპარაკების შედეგი, რუსი დიპლომატი, ალბათ, ზუგდიდში იმისათვის წაიყვანა, რომ მას საკუთარი თვალით ენახა რას წარმოადგენდა ლევან დადიანი, როგორც პოლიტიკოსი. თეიმურაზს რუსების დარწმუნება უნდოდა იმაშიც, რომ რასაც ის მოსკოვის მთავრობას დადიანზე უარყოფითს სწერდა, ყოველივე სიმართლეს შეეფერებოდა. სხვა რა მიზნით უნდა წაეყვანა თეიმურაზ მეფეს ილია სტოიანოვი სამეგრელოში? რაში გამოადგებოდა მას რუსი თარჯიმანი სამეგრელოში?

მოსკოვში უკვე კარგა ხანია ცნობილი იყო თეიმურაზ მეფის სურვილი რუსეთის ხელმწიფის კარზე სტუმრობის შესახებ, მაგრამ თეიმურაზის ამგვარი საბოლოო გადაწყვეტილება მათ ეზეკიელისაგან შეიტყვეს. თეიმურაზ მეფე რაჭაში იმყოფებოდა და მოსკოვში წასვლის სამზადისში იყო, როდესაც ცნობილი გახდა ლევან II დადიანის სიკვდილი. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, იმერეთის მეფემ მაშინვე თავისი ხელისუფლება გაავრცელა ოდიშის სამთავროზე და თეიმურაზი არჩევანის წინაშე დააყენა: „რუსეთს ნუღარ წახვალო, გინდა ოდისშიგ გაბატონდიო, თუ გინდაო, ქართლსა

---

[1] ილია სტოიანოვი, რუსი ელჩების თარჯიმანი.

[2] ქ. ზუგდიდი.

[3] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 452-453.

და კახეთის მეფეთ დაგსვამო“[1]. თეიმურაზმა შეთავაზებულ წინადადებაზე უარი სთქვა. სხვათა შორის, როგორც შემდეგ გავიგებთ, ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამი დაადასტურა თვით თეიმურაზ მეფემ მოსკოვში ხელმწიფესთან მოლაპარაკების დროს და ისიც ახსნა თუ რატომ სთქვა უარი შეთავაზებულ წინადადებაზე.

იმის გამო, რომ თეიმურაზის მოსკოვში ჩასვლა რუსეთის მთავრობას დიდ პოლიტიკურ წარმატებად მიაჩნდა, დაიწყეს სამზადისი ქართველი მეფის შესახვედრად. თეიმურაზის მისაღებად მოსკოვიდან თერგში გაიგზავნა აზნაური ონდრეი სტეფანეს ძე ველიამინოვი. მას უნდა უზრუნველეყო სტრელეცების რაზმითა და ჯარით ყაბარდოში თეიმურაზს შეხვედროდა და თერგამდე გაეცილებინა. მანამდე კი იმერეთში თეიმურაზს დაკავშირებოდნენ, რათა ზუსტად დაედგინათ როდის დატოვებდა იმერეთს და რუსეთისკენ გაემგზავრებოდა. ველიამინოვისათვის ყოველივე თერგში უნდა ეცნობებინათ[2].

1657 წლის ზაფხულში თეიმურაზი რუსეთს გაემგზავრა. მან ასტრახანში გამოიზამთრა და 1658 წლის 20 ივნისს მოსკოვში ჩავიდა. თეიმურაზი სარატოვიდან ალექსი მიხეილისძისათვის გაგზავნილ სიგელში ჩივის მგზავრობის დროს განცდილი იმ გაჭირვებისა და უყურადღებობის გამო, რასაც იგი რუსი მოხელეებისაგან განიცდიდა. იგი ჯერ ასტრახანში გააჩერეს დიდი ხნით, რადგან, როგორც ადგილობრივი მოხელეები მას განუმარტავდნენ, არ იყო ხელმწიფის ბრძანება მისი მოსკოვში ჩასვლის შესახებ 1657-1658 წლის ზამთარში. ცარიცინში შეფერხდა ცხენებისა და საზიდრების უშოვნელობის გამო, ცარიცინიდან სარატოვისაკენ მდინარით მოგზაურობისას ზოგი ნავი დაიმტვრა. სარატოვშიც იგივე დაბრკოლებები შეექმნა რაც ცარიცინში[3].

1658 წლის 5 ივლისს ხელმწიფემ თეიმურაზი მიიღო. 22-ში გაიმართა მათი მოლაპარაკება. 31-ში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა. ბოიარ თავად ივანე ანდრიას ძე ხილკოვსა და სათათბიროს დიაკ ლარიონ ლოპუხინს დაავალეს თეიმურაზ მეფისათვის დაესვათ კითხვები რუსი პოლიტიკოსებისათვის საინ-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 262.

[2] იქვე, გვ. 458; Переписка, с. XII.

[3] Переписка, с. 78.

ტერესო საკითხებზე; 22 სექტემბერს გაიმართა მოლაპარაკება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან – თავად ალექსანდრე ნიკიტას ძე ტრუბეცკოისთან, ოკოლნიჩ (კარისკაცი) ბოგდან მატვეის ძე ხიტროვოსთან და სათათბიროს დიაკ ლარიონ ლოპუხინთან.

თეიმურაზ მეფის მოსკოვში ყოფნისა და მოლაპარაკებების ამსახველი „ჩანაწერები“, „საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგენენ თეიმურაზის, როგორც დიპლომატის სახეს“[1].

22 აგვისტოს თეიმურაზ მეფესა და მეფე ალექსი მიხეილისძეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკება კითხვა-პასუხის სახით მიმდინარეობდა. მათ შორის საუბარს უძღვებოდა თარჯიმანი მიხეილ კოშაევი.

თეიმურაზ მეფემ, უპირველეს ყოვლისა, თავისი მოსკოვში ჩასვლის დასაბუთება სცადა: მიუხედავად იმისა, რომ იგი შაჰისგან დიდად შეწუხებულია, ხელმწიფესა და შაჰს შორის მეგობრობა და სიყვარულია. თეიმურაზის მიზანს არ წარმოადგენს მათი წაჩხუბება. იგი თავისი შეურაცხმყოფელი შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარს არ ითხოვს. ამჯერად მას დახმარება უნდა მხოლოდ თავისი ყოფილი, მოღალატე ქვეშევრდომების დასამორჩილებლად, ქრისტიანობისა და ეკლესია-მონასტრების მუსლიმანთაგან დასაცავად.

ხელმწიფის პასუხი ნეიტრალური იყო: მან წუხილი გამოხატა საქართველოში ქრიატიანობისა და ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობის გამო და იმედი გამოსთქვა, რომ დადგება დრო და, ღმერთის შეწევნით, თეიმურაზის მეფობაში, ან მისი მემკვიდრეების დროს, ქვეყანა მუსლიმანთა ბატონობისაგან განთავისუფლდება. ხელმწიფე მაინც დაინტერესდა: ურჩების მოსათვინიერებლად თეიმურაზს დიდი ჯარი, ცხენოსანი თუ ქვეითი, დასჭირდება?. თეიმურაზმა 30 ან 20 ათასი ცხენოსანი მოითხოვა. კითხვაზე, რამდენი ჯარი ჰყავთ ამბოხებულებს, მეფემ უპასუხა: 3-4 ათასი. ამგვარ პასუხს სრულიად ბუნებრივად მოჰყვა ახალი კითხვა: რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია თეიმურაზ მეფეს, იმერეთის მეფეს და დადიანს, თეიმურაზმა უპასუხა: თვითონ გამოიყვანდა 30 ათას ცხენოსანსა და ქვეითს, იმერეთის მეფე – 20 ათასს, დადიანი – 30 ათასს ან მეტს. ხელმწიფე დაინტერესდა: თუკი მათ

---

[1] მაჭარაძე ვ., ჩანაწერები, გვ. 441.

ამდენი ჯარის შეკრება შეუძლიათ, რატომ ვერ იმორჩილებენ მცი-
რერიცხოვან ურჩებს. ჩანს, თეიმურაზ მეფე ამ შეკითხვას არა მხო-
ლოდ ელოდებოდბოდა, არამედ თვითონ მოახდინა მისი პროვოცი-
რება, რათა ეთქვა შემდეგი: ურჩებს ყიზილბაშები ეხმარებიან, ხო-
ლო დადიანის ქვეყანა სიცოცხლის ბოლომდე მისადმი მტრულად
განწყობილი იყო. როცა სადადინოს მეფე გარდაიცვალა, მას არც
შვილები და არც სხვა ახლობელი დარჩა. ამიტომ მის ადგილას
ერთი ბოიარი აირჩიეს, რომელსაც უნდა თეიმურაზის შვილიშ-
ვილს თავისი ასული მიათხოვოს. იმერეთის მეფე თეიმურაზს ურ-
ჩევდა, რომ ერთად წასულიყვნენ, მისი თავის შვილიშვილიც წაეყ-
ვანათ და დადიანის ქვეყანის მართვა თავიანთ ხელში აედოთ, მაგ-
რამ რუსეთის ხელმწიფესთან წამოსვლა ვარჩიეო[1].

ხელმწიფესთან საუბარმა თეიმურაზ მეფე დაარწმუნა, რომ
იგი მოსკოვში რაიმე ფასეულ დახმარებას ვერ მიიღებდა და გა-
მოსაზამთრებლად ყაზანში გაშვება ითხოვა, გაზაფხულზე კი,
თავისი ქვეყნისკენ გზას დაადგებოდა. იმავე დროს თეიმურაზმა
დიპლომატიურ ხერხსაც მიმართა. მან ხელმწიფეს სთხოვა, ნება
მომეცი ჩემს ქვეყანაში წინასწარ კაცი გავაგზავნო, რათ ყველას
გავაგებინო, გავახარო და დავაიმედო, ხელმწიფისაგან როგორი
მნიშვნელოვანი მოწყალება და ჯამაგირი მივიღეო.

„ჩანაწერში“ არაფერია ნათქვამი თეიმურაზის სიტყვებმა
ხელმწიფეზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა, ან როგორი რე-
აქცია ჰქონდა მას, მაგრამ სავარაუდოა, ხელმწიფის არაფ-
რისმთქმელმა სახემ ან მიმიკამ თეიმურაზი მოსკოვში ჩასვლის
უშედეგობაში დაარწმუნა. ამიტომ მან თქვა ის, რასაც, მისი აზ-
რით განსაკუთრებული შთაბეჭდილებნა უნდა მოეხდინა ხელმწი-
ფეზე. „ყიზილბაშების შაჰმა მას (თეიმურაზს –ე.მ.) თავისი ელჩე-
ბი გაუგზავნა, რომ თეიმურაზი მისადმი მორჩილებაში ყოფილიყო
და მისთვის (შაჰისთვის –ე.მ.) ამანათად (მძევლად–ე.მ.) თავისი
შვილიშვილი მიეცა, სამაგიეროდ იგი ბრძანებდა მისთვის მთელი
სახელმწიფო დაებრუნებინათ და ფლობდეს ძველებურად“. მაგ-
რამ, თეიმურაზ მეფეს ახსოვდა რა ჭეშმარიტი მართლმადიდებ-
ლური ქრისტიანული რწმენა და ხელმწიფის დიდი მოწყალება,
მან უარი სთქვა მუსლიმანურ სიამეზე და შვილიშვილი ამანათად

[1] იქვე, გვ. 443-445.

არ გაუგზავნა. „(თეიმურაზი –ე.მ.) თქვენთან, დიდ ხელმწიფესთან მოსკოვში მოწყალების სათხოვნელად და მოწიწებით ჩამოვიდა, არა თავისი ცოლისა და შვილების, არა თავისი მამულის, არამედ მხოლოდ წმნდა ღვთის ეკლესიებისა და ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანების გასათავისუფლებლად, რომლებიც უნებურად გაამუსლიმანეს“[1].

თეიმურაზ მეფემ ქართველების ქრისტიანობაში მტკიცედ დგომის მაგალითად თავისი ასულის მდგომარეობა გაიხსენა. იგი ამჟამინდელი შაჰის მამის, სეფის, ცოლი იყო. სეფის სიკვდილის შემდეგ დაქვრივებული დღესაც ქრისტიანიაო. თუ ხელმწიფე შაჰ აბასს თავის ელჩებს გაუგზავნის და თეიმურაზის ქალიშვილის განთავისუფლებას სთხოვს, ელჩები მას მოსკოვში ჩაიყვანენ და ხელმწიფე რომელ მონასტერშიც ინებებს იქ აღკვეცს.

ხელმწიფე თეიმურაზს შეპირდა რომ შაჰს როდესაც ელჩებს გაუგზავნიდა, ამის შესახებ მაშინ მისწერდა[2].

31 აგვისტოს ხელმწიფე ალექსი მიხეილისძის ბრძანებით, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ბოიარი თავადი ივანე ანდრიას ძე ხილკოვი და სათათბიროს დიაკი ლარიონ ლოპუხინი თეიმურაზ მეფეს ეწვივნენ და 6 კითხვა დაუსვეს.

რუს დიპლომატებს უპირველეს ყოვლისა აინტერესებდათ როგორი ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ მეფეს ოსმალეთის სახელმწიფოსთან, რომელიც რუსეთის მთავრობას თავის უმთავრეს მოწინააღმდეგედ მიაჩნდა ჩრდილო კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში; ხომ არ ეწეოდა ხელმწიფის ხელდებული თეიმურაზ მეფე ორმაგ თამაშს – იგი ერთსა და იმავე დროს ხელმწიფის ქვეშევრდომი და სულთნის მოკავშირე ხომ არ იყო. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე ფორმულირებული იყო თეიმურაზ მეფისათვის მიცემული პირველი კითხვა.

1) „თურქეთის რომელ მეფესთან ჰქონდა მტრობა და ომი, რამდენი ხნის წინათ განიცადა მისგან დევნა, მისმა მიწა-წყალმა კი განადგურება?“ ამ კითხვის დასმა განპირობებული იყო, შაჰების მიერ, სხვადასხვა დროს, მოსკოვის ხელმწიფესთან გაგზავნილი დასმენის ბარათები, რომ თეიმურაზ მეფე ირანისა და რუსე-

---

[1] იქვე, გვ. 445-446.
[2] იქვე, გვ. 446.

თის მტერ ოსმალეთს ემხრობა და ოსმალების მიერ შაჰის სამფლობელოების აკლებაში თავისი ჯარით მონაწილეობს. ხელმწიფის ინფორმატორებისგან მიღებული ცნობებით კი, ქართველების ასეთი მოქმედება არ დასტურდებოდა. მაშასადამე, თეიმურაზ მეფის პასუხს დასმულ კითხვაზე, მოსკოვის მთავრობისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

თეიმურაზმა ამ კითხვაზე პასუხი დააკავშირა ხელმწიფესთან მოლაპარაკების დროს ნათქვამს, რომ გარეშე მტრის გარდა მისთვის არანაკლებ საშიში იყო შინაური მტერი, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო დახმარების სათხოვნელად მოსკოვში ჩამოვიდა. რუსი დიპლომატების მიერ დასმული კითხვით, მას საშუალება ეძლეოდა რუსი პოლიტიკოსებისათვის აეხსნა, რატომ უჭირდა თავნება ქვეშევრდომების დამორჩილება. ისინი დახმარებისათვის გარეშე ძალას მიმართავდნენ. თეიმურაზის გაგებით, ყველაზე მჭერმეტყველი იყო გიორგი სააკაძის მაგალითი, რომელიც თავის მეფეს აუჯანყდა, ოსმალეთში გაიქცა და სულთანს დახმარება სთხოვა. სულთანმა მას 40 ათასიანი ლაშქარი მისცა. გიორგი სააკაძის მოღალატურმა მოქმედებამ, გამოიწვია კონფლიქტი ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთს შორის. თეიმურაზმა თავისი მცირერიცხოვანი რაზმით (3 ათასი მებრძოლი) შეძლო მტრის დამარცხება. ოსმალებისათვის ცნობილი გახდა, რომ სააკაძე არა მხოლოდ თავის მეფეს, არამედ სულთანსაც ღალატობდა და იგი სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ ***თეიმურაზ მეფეს არავითარი წინააღმდეგობა სულთანთან არ ჰქონებია***. თეიმურაზ მეფემ ისიც გაიხსენა, რომ ***კონფლიქტამდე სულთანთან იყო და ყიზილბაშებთან საბრძოლველად ჯარი სთხოვა***. სულთანს გადაწყტვეტილი ჰქონდა ქართველი მეფის თხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ ხელი შეუშალა რეჩ პოსპოლიტის მეფესთან დაწყებულმა ომმა[1].

ამგვარად, ***თეიმურაზ მეფეს***, მისივე თქმით, გიორგი სააკაძის მოქმედებით გამოწვეული კონფლიქტის ერთადერთი შემთხვე-

---

[1] პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 461-462; მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 446-447.

ვის გარდა, ***სულთანთან, ყოველთვის კარგი, მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა.***

თეიმურაზმა კარგად იცოდა მოსკოვის განსხვავებული დამოკიდებულება და ინტრესები საქართველოს ორი დიდი მეზობლის – ირანისა და ოსმალეთის მიმართ. ***რუსი პოლიტიკოსები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს თეიმურაზ მეფის ურთიერთობას ოსმალეთთან, რომელიც თავის უმთავრეს კონკურენტად და პოტენციურ სამხედრო მეტოქედ მიაჩნდა შავი ზღვისპირეთში, უკრაინასა და ჩრდილო კავკასიაში. ირანთან კი მოსკოვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები აკავშირებდა, რომლის დაცვასა და განვითარებას ორივე მხარე უფრთხილდებოდა.***

თეიმურაზ მეფისათვის ყოველივე ეს ცნობილი იყო. მაგრამ იგი მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს ხაზგასმით აღნიშნავდა თავის კარგ ურთიერთობას სულთანთან და ამით ***„მფარველს“ აღიზიანებდა და მიანიშნებდა, რომ ყიზალბაშთაგან შევიწროებისა და თავდასხმისაგან შეიძლებოდა საქართველო ოსმალეთს დაეცვა.***

თეიმურაზ მეფემ ისიც კარგად იცოდა, რომ შაჰი, რომელსაც საქრთველო არ ეთმობოდა, საქართველო-რუსეთის კავშირის შესასუტებლად, ოსმალეთის კოზირს ყოველთვის იყენებდა.

რადგან თეიმურაზ მეფე მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს, ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ***ირანის შაჰების თეიმურაზისა და, საერთოდ, ქართველების მიმართ მტრობის უმთავრესი მიზეზი მათი მოსკოვის სახელმწიფოსაკენ ლტოლვა და მის მიერ მოსკოვისადმი ქვეშევრდომობის აღიარება იყო,*** ამის დასასაბუთებლად ქართველ მეფეს დაუსვეს შემდეგი კითხვა:

2) „როცა თეიმურაზ დავითის ძემ დიდ ხელმწიფესთან მოსკოვში თავისი ელჩები გაგზავნა, მაშინ ყიზილბაშების შაჰმა როგორ და რომელ წელს გაანადგურა მისი მიწა-წყალი“.

თეიმურაზ მეფემ, იმისათვის, რათა მსმენელებისათვის ნათელი გაეხადა ვინ იყო ქართველების მტერი და ვინ მიაჩნდა რუსთ ხელმწიფეს თავის მოყვარეთა და მეგობრად, ძალიან მოკლედ მოუთხრო მთელი იმ უბედურების შესახებ, რომელიც ირანის შაჰებ-

მა თავს დაატეხეს პირადად თეიმურაზს, მის ახლობლებს, ეკლესია-მონასტრებს, ქრისტიანებს და, საერთოდ ქვეყანას[1].

თეიმურაზ მეფის პასუხი, შეიძლება ითქვას, გულწრფელი იყო. მან რუს დიპლომატებთან გაიმეორა ხელმწიფესთან ნათქვამი, რომ ***ხელმწიფის ქვეშევრდომი ქართველების მთავარი მტერი მისი „მეგობარი“ შაჰი იყო.*** მას არ უთქვამს, მაგრამ რუსი დიპლომატები უნდა მიხვედრილიყვნენ, რომ თეიმურაზ მეფეს ირანის წინააღმდეგ დახმარების მიღების იმედი არ აქვს. ამიტომ დახმარებას ითხოვს მხოლოდ შინაურ მტერთან საბრძოლველად.

3) მოსკოვში აინტერესებდათ და შესაძლებლობა მიეცათ, პირველი პირისაგან გაეგოთ იმ ქვეყნის სიდიდე, რომელიც თეიმურაზ მეფეს თავისად მიაჩნდა. ამიტომ მას ჰკითხეს:

თეიმურაზ მეფის პასუხი მოკლე, მაგრამ იმდენად გასაგები იყო, რომ მსმენელს წამოდგენა შეექმნებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ სქართველოს ქალაქებზე, არამედ იქ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზეც.

თეიმურაზმა უპასუხა: მისი მიწა-წყალი გარდიგარდმო გადაჭიმულია 10 დღის სავალზე (როგორც ჩანს, იგი აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობდა), ოთხი დიდი ქალაქია, მცირე კი ბევრი, მაგრამ განადგურებული და გაუკაცურებული. ორ ქალაქში ცხოვრებენ მისი მოდალატე ბოიარიები. მის სატახტო ქალაქ გრემში დარჩენილია მცირე მოსახლეობა და მას ფლობენ მისი მოღალატენი. ამჟამად მთელ მის სახელმწიფოს ფლობს როსტომ ხანი, წარმოშობით ქართველი, გამუსლიმანებული, უკვე მოხუცი, იშვილა მოღალატე ბოიარი ვოხტანი (ვახტანგ V) და შაჰს სთხოვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოს იგი ფლობდეს. თეიმურაზმა არ იცის მოკვდა თუ არა როსტომ ხანი და იმ მოღალატეს თუ გადაეცა ქვეყანა [2].

4) „რამდენი ხანია რაც თეიმურაზ მეფემ დადიანისა და გურიელის მიწა-წყალი დიდი ხელმწიფის, მისი მეფური უდიდებულესობის მაღალი ხელის ქვეშ შეიყვანა, რატომ არიან ისინი დიდი ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ, რწმენის გამო გახდნენ და

---

[1] პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 462-463; მაჭარაძე ვ., დასახ. ნასრ., გვ. 447-448.

[2] იქვე, გვ. 463; იქვე, გვ. 448.

ამჟამადაც, ძველებურად, დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომნი არიან, მათზე ვინ ბატონობს?“

თეიმურაზ მეფემ, მსმენელებს, ძალიან მოკლედ მოუთხრო სამეგრელოსა და გურიაზე.

მან ყურადღება გაამახვილა ოდიშის სამთავროში მომხდარ უკანასკნელ ამბებზე. ვიდრე მეფე ლეონტი (ლევან დადიანი) ცოცხალი იყო, ჩვენ შორის განუწყვეტელი მტრობა და ომი არსებობდა. მოკვდა თუ არა ლეონტი მის ადგილას აირჩიეს მისი ახლო ნათესავი ვამეყი, რიმელმაც თავისი ასული თეიმურაზის შვილიშვილზე ლეონტიზე (ლუარსაბი) დანიშნა და განიზრახა დიდი ხელმწიფის მფარველობაში შესვლა. მის სახელმწიფოში 4 დიდი ქალაქია, რომლებიც მდებარეობენ გამაგრებულ ადგილებში შავი ზღვის ნაპირზე. ისინი არავისთან ომობენ, სამეგრელოს მოსახლეობა 40 ათასი სული იქნება.

გურიელის სამფლობელოები მცირეა, იგი იმერეთსა და სადადიანოს შორის მდებარეობს. იგი ხელმწიფის მფარველობაში შევიდა და ხელმწიფისადმი ერთდგულებაზე ჯვარზე დაიფიცა. სადადიანო და საგურიელო იმერთის მეფის რჩევით იმართება, მაგრამ ხარკს არ უხდიან, მასთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ. როდესაც მათ გაიგეს, რომ მეფე თეიმურაზი ხელმწიფესთან მიდიოდა, მათი ერთადერთი თხოვნა იყო დიდი ხელმწიფისათვის გადაეცა, რომ თეიმყრაზს ჯარით დაეხმაროს. მოსკოვში გამგზავრების წინ იმერეთის მეფე ალექსანდრემ თეიმურაზს სადადიანოში წასვლა შესთავაზა, მაგრამ მან მეფე ალექსანდრეს უბრძანა სადადიანოში თვითონ წასულიყო და მისი შვილიშვილი ლეონტიც (ლუარსაბი) წაეყვანა. თვითონ ***თეიმურაზი დიდ ხელმწიფესთან წამოვიდა მოღალატეთა წინააღმდეგ ჯარის სათხოვნელად***[1].

5) „შენ, მეფე თეიმურაზ დავითის ძე, როდესაც დიდ ხელმწიფეს, მის უდიდებულესობას სთხოვე, რომ დიდ ხელმწიფეს მის მეფურ უდიდებულესობას შენთვის მეფე თეიმურაზ დავითის ძისთვის ჯარი მოეცა, ივერიის მიწაწყლის აგარიანებისა და იმ მოღალატეებისაგან გასათავისუფლებლად, რომლებმაც მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა მიატოვეს და გამუსლიმანდნენ. მათ ყიზილბაშთა შაჰს ჯარი მოსთხოვეს და შენი სამეფო გაა-

[1] იქვე, გვ. 463-464; იქვე, გვ. 448-449.

ნადგურეს. თუ ხელმწიფის უდიდებულესობა ჯარს მოგცემს, როგორც დიდ ხელმწიფესთან ყოფნის დროს მის მეფურ უდიდებულესობას უთხარი და შეფიცე, შენ მისი სახელმწიფო ჯარი ყიზილბაში შაჰის წინააღმდეგ არ გჭირდება და ყიზილბაშ შაჰს დიდ ხელმწიფესთან არ წააჩხუბებ"[1].

ამ ვრცელი კითხვაში ჩამოყალიბებული იყო მოსკოვის მთავრობის პოლიტიკა საქართველოსა და ირანის მიმართ, რომელსაც იგი ახორციელებდა XVI ს. ბოლო მეოთხედიდან XVII ს. 50 –იანი წლების დასასრულამდე და, როგორც ჩანს, ამის შემდეგაც იგივე პოლიტიკის გატარებას აპირებდა. ***მოსკოვის მთავრობა საქართველოს გამო ირანთან ურთიერთობის გართულებას არ ფიქრობდა*** და ამას პირდაპირ ეუბნებოდნენ თეიმურაზ მეფეს.

თეიმურაზ მეფემ პირდაპირობას პირდაპირობით უპასუხა. მან ჩამოაყალიბა ის მიზნები, რის გამოც იგი მოსკოვის სახელმწიფოსთან კავშირის დამყარებას ცდილობდა. კერძოდ, ***მან ხელმწიფესთან ყოფნის დროს ითხოვა და ახლაც იმეორებს, რომ ხელმწიფემ ჯარი მისცეს თავისი ქვეყნის მოღალატეებისაგან გასაწმენდად, შაჰთან არაფერი ესაქმება. მან არ იცის შაჰი დაიცავს იმ მოღალატეებს თუ არა. იგი იმიტომ შევიდა ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ, რომ დაეხმაროს თავისი ქვეყნის განთავისუფლებაში, მისცეს სახელმწიფო ჯარი. თეიმურაზი იმერლების, დადიანელების და გურულების გაერთიანებული ჯარით თავის ქვეყანას გაწმენდს. თუ შაჰის ჯარი მის წინააღმდეგ წამოვა, მაშინ იგი თავს დაიცავს.*** როდესაც ხელმწიფე თეიმურაზს საქართველოში გაისტუმრებს, ***ხელმწიფემ ნება იბოძოს და მისწეროს იმერეთის მეფეს, დადიანსა და გურიელს, რათა მისცენ ჯარი. აგრეთვე, მისწეროს შაჰს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული რწმენის მეფე თეიმურაზი შესულია დიდი ხელმწიფის მფარველობაში და შაჰი მის სამფლობელოში არ შეიჭრეს და არ გაანადგუროს, ხოლო თუ იგი მაინც ასე მოიქცევა, მაშინ ხელმწიფე საქართველოს დაიცავს***[2].

---

[1] იქვე.

[2] იქვე, გვ. 464-465; იქვე, გვ. 449-450.

6) „დიდმა ხელმწიფემ, მისმა მეფურმა უდიდებულესობამ დაგვავალა შენ, თეიმურაზ დავითის ძეს, გკითხოთ, რამდენი სახელმწიფო მსახურეული დაგჭირდება და შენი ქვეყნის რომელ ადგილებამდე უნდა მიიყვანო, რა მანძილია იქამდე, რამდენითაა დაშორებული. იმ ადამიანებს შემდეგი მგზავრობისათვის ეყოლებათ ცხენები, ექნებათ პურის მარაგი, რომ გრძელ გზაზე და შენთან ყოფნის დროს სახელმწიფო ჯარი შიმშილით არ ამოწყდება და ყიზილბაშთა შაჰი იმ ორიოდე მოღალატე ბოიარის გამო ომს არ დაიწყებს?“

თეიმურაზ მეფის პასუხი ამჯერადაც ლაკონური და საქმიანი იყო. მისი აზრით, საკმარისი იქნებოდა 30 ათასი ცხენოსანი. ისინი, სურსათ-სანოვაგით მომარაგებულნი, ასტრახანიდან საქართველომდე მიაღწევენ, თეიმურაზის სამფლობელოებში კი მარაგი ბევრი იქნება და ხელმწიფის ჯარი ნაკლებობას არ განიცდის. შაჰი, მეფის მოღალატეების შეიარაღებული ძალით დაცვას შეეცდება თუ არა, თეიმურაზ მეფემ არ იცის. მაგრამ, ***როდესაც იგი მოღალატეებს გაუსწორდება ხელმწიფის ჯარს მაშინვე რუსეთში დააბრუნებს.***

თეიმურაზ მეფეს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ როდესაც იგი ალექსი მიხეილის ძის, ხელმწიფის მამის ქვეშევრდომობას იღებდა, მან თეიმურაზს ოქროს ბეჭდით დამოწმებული სიგელი გაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „***დიდ ხელმწიფეს იგი, მეფე (თეიმურაზი –ე.მ.) თავის სახელმწიფო წყალობაში ეყოლებოდა და მტრებისაგან დაიცავდა.*** ამის შემდეგაც ***მეფეს მოსკოვიდან მრავალი სახელმწიფო სიგელი მისწერეს, რათა მას დიდი ხელმწიფისათვის თავისი შვილიშვილი გამოეგზავნა. მან შვილიშვილი გამოგზავნა და ახლა*** თვითონაც ჩამოვიდა და ითხოვს, რომ დიდმა ხელმწიფემ სახელმწიფო ჯარი მომცესო. ***ახლა ხელმწიფის დიდებულებას ვუცხადებ,*** – უთხრა თეიმურაზმა რუს კარისკაცებს, – ***თუ ხელმწიფის უდიდებულესობა არ ინებებს ჩემი დაცვა ბრძანოს, ჩემი მაცქერალი, მუსლიმანებისაგან დევნილი იმერლები, დადიანელები და გურულები სხვა ხელმწიფის ძებნას დაიწყებენ. ჩვენ ყველას ერთი თხოვნა გვაქვს, რომ ხელმწიფემ ჯარი მოგვცეს და ჩვენი დაცვა ბრძანოს“***[1].

---

[1] გ. პაიჭაძის პუბლიკაციაში ეს დოკუმენტი აქ წყდება. მისი გაგრძელება მოცემული აქვს ვ. მაჭარაძეს, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

თეიმურაზ მეფეს, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, გათვლილი ჰქონდა, რომ მისი ეს მუქარანარევი ნათქვამი რუს დიპლომატებზე და თვით ხელმწიფეზე შთაბეჭდილებას მოახდენდა. რუსეთის ხელმწიფე თეიმურაზ მეფეს საქართველოში თავის აგენტად მიაჩნდა და მას ქართველ მეფე-მთავრებთან აგიტაციას ავალებდა, რომ ისინი ხელმწიფის ქვეშევრდომები გამხდარიყვნენ. *თეიმურაზ მეფე* ***ამ როლზე უარს არ ამბობდა იმ პირობით, თუ მისი ამგვარი საქნიანობა მის სამშობლოს წაადგებოდა და სანაცვლოდ რუსეთიდან სამხედრო დახმარებას მიიღებდა.***

თეიმურაზ მეფემ ერთი საინტერესო დიპლომატიური სვლაც გააკეთა: მან იცის, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს რუსეთ - რეჩ პოსპოლიტის ომი, რომლის დროსაც რუსეთის უმნიშვნელოვანესი მიზანი რეჩ პოსპოლიტისათვის კაზაკებით დასახლებული ტერიტორიების წართმევა და, საერთოდ, უკრაინის დაპყრობა იყო. თეიმურაზმა საქართველოს და დნეპრისპირეთის კაზაკების მდგომარეობა ერთმანეთს შეადარა. „ხელმწიფეს არ უნდა ჩვენ დაგვეხმაროს. როდესაც დნეპრისპირეთის კაზაკებმა ითხოვეს, რომ ხელმწიფემ ისინი თავისი მაღალი ხელის ქვეშ შეიფაროს, დიდმა ხელმწიფემ კაზაკები მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების გამო მიიღო და რეჩ პოსპოლიტის მეფესთან კავშირი გაწყვიტა. მე კი ჩემი სახელმწიფოს მართლმადიდებელი სარწმუნოების მეფე ვიყავი და ***იმიტომ შევედი ხელმწიფის მფარველობაში მუდმივ ქვეშევრდომად, რათა მას, დიდ ხელმწიფეს დავეცავით***“[1].

როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფეს ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც თავის სხვა საუბრებსა თუ წერილებში, რუსეთის მიერ საქართველოსათვის დახმარების უმთავრეს პირობად სარწმუნოებრივ ერთობას მიიჩნევდა.

თეიმურაზ მეფემ, თავისი პრეტენზიის კანონიერების დასტურად, კარისკაცებს 1641 წლის[2] ხელმწიფის ოქროსბეჭდიანი სიგელი წარუდგინა, რომელსაც ხელს აწერდა დიაკი გრიგორი ლვოვი[3].

---

[1] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 450-451.

[2] ვ. მაჭარაძე, ჩემი აზრით, სიგელს სწორად არ ათარიღებს 1651 წლით. მისაღებია გ. პაიჭაძის მიერ შემოთავაზებული 1641 წელი.

[3] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 451; პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 465. ეს უნდა იყოს ზემოთ განხილული, ნიკიფორე ბერძენის მიერ მოსკოვიდან

თეიმურაზის მიერ სიგელის წარდგენა ხელმწიფის კარისკაცებისათვის, როგორც ჩანს, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ სხვა არაფერი დარჩენოდათ ქართველი მეფისათვის ეთქვათ: „რაც შენ, თეიმურაზ დავითის ძევ სთქვი, დიდ ხელმწიფეს მოვახსენებთ და შენს თხოვნაზე დიდი ხელმწიფის, მისი მეფური უდიდებულესობის წერილობითი ბრძანება იქნება“[1].

21 სექტემბერს თეიმურაზ მეფეს, ხელმწიფესთან გამოსამშვიდობებელი მიღების შემდეგ, სათათბიროს დიაკმა მოახსენა: ხელმწიფემ და უფლისწულმა ალექსი ალექსისძემ მას უწყალობეს საქართველოს მიწა-წყალი და ფლობდეს ძველებურად. თეიმურაზ მეფემ, რომელმაც სახარებზე დაიფიცა, რომ ხელმწიფესა და ტახტის მემკვიდრეს ერთგულად ემსახურებოდა, რომ სხვა სახელმწიფოებსაც (იგულისხმებოდა ქართული სამეფო-სამთავროები) შეიყვანდა მოსკოვის ქვეშევრდომობაში, დაპირდებოდა მათ ხელმწიფის ჯამაგირს, მოწყალებას, მზრუნველობასა და დაცვას. სამაგიეროდ, დიდი ხელმწიფე თეიმურაზს წყალობას არ მოაკლებდა: მოსკოვის სახელმწიფოს ჯამაგირსა და მზრუნველობას და მტრებისაგან დაცვას ჰპირდებოდა[2]. სათათბიროს დიაკის თქმით, თეიმურაზ მეფემ მადლობა გადაიხადა იმაზე რაც მოისმინა.

ხელმწიფესთან გამომშვიდობებისა და სათათბიროს დიაკისაგან ხელმწიფის დანაბარების მოსმენის შემდეგ, თეიმურაზ მე-

---

ჩამოტანილი სიგელი. დიპლომატიურ სიგელებზე, რუსეთის მეფე, როგორც წესი, ხელს არ აწერდა. ცნობილია, რომ პირველი დოკუმენტი, რომელსაც რუსეთის მეფემ ხელი მოაწერა, იყო შვედეთთან ომის დროს დანიის მეფე ქრისტიან მეხუთისათვის 1656 წელს გაგზავნილი სიგელი, რომლითაც რუსეთის ხელმწიფე დანიას შვედეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობას სთხოვდა (Очерки истории СССР. XVII в., М., 1955, с. 498).
ის სიგელი, რომელსაც თეიმურაზ მეფე იმოწმებდა, თ. ტივაძემ 1651 წლისად მიიჩნია და რუსთ ხელმწიფის მიერ იმერეთის მეფისათვის გაგზავნილად გამოაცხადა (ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 132-133), არამართებულად მომაჩნია. ასე რომ ყოფილიყო რუსი დიპლომატები მაშინვე აღნიშნავდნენ თეიმურაზ მეფის პრეტენზიების უსაფუძვლობას.

[1] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ 451. ბოლო, ციტირებული ფრაზა გ. პაიჭაძის პუბლიკაციაში არ არის.

[2] პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 465-466.

ფისათვის სრულიად ნათელი შეიქმნებოდა, რომ მისი მოსკოვში ჩამოსვლა უშედეგოდ დამთავრდა. სავარაუდოა, თეიმურაზის საუბარი დიაკთან ისე მშვიდობიანად არ დასრულდა, როგორც ამ უკანასკნელს ამის წარმოჩენა უნდოდა. ამგვარი ფიქრის საფუძველს იძლევა მეორე დღეს, 22 სექტემბერს, ბოიარი თავადი ალექსი ნიკიტას ძე ტრუბეცკოი, ოკოლნიჩი ბოგდან მატვეის ძე ხიტროვო და სათათბიროს დიაკი ლარიონ ლოპუხინი (ალბათ ეს ის „დიაკი“ იყო, რომელმაც წინა დღეს ხელმწიფის სიტყვიერად დანაბარები თეიმურაზს გადასცა) თეიმურაზ მეფის კარზე (двор) მივიდნენ და უკმაყოფილო მეფისათვის იმ მიზეზების ახსნა სცადეს, რომელთა გამოც მოსკოვს არ შეეძლო ქართველი მეფისათვის იმგვარი დახმარება გაეწია, როგორსაც ის ითხოვდა.

მას შემდეგ რაც, სტუმრებმა თეიმურაზ მეფეს ხელმწიფის მოკითხვა გადასცეს, მან თავისი კარისკაცები მეორე ბალახინში გაუშვა და მოლაპარაკება გააგრძელა.

ალექსი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიმ თეიმურაზ მეფეს მოახსენა, რომ ხელმწიფე ჯარს იმიტომ ვერ აძლევდა, რომ ომი ჰქონდა შვედებთან (1656-1658) და პოლონელებთან (1658-1667). სახელმწიფო ჯარის დიდი ნაწილი ჩაყენებულია საზღვრებზე. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ დავითის ძე მტრისაგან დიდ გასაჭირში იმყოფება, თავის საქართველოში უნდა დაბრუნდეს და იმეფოს. ***„როდასაც მეფის უდიდებულესობა მტერს გაუსწორდება, შენს მტრებისგან დაჩაგრვასა და გაპარტახებას არ ინებებს და თავის სახელმწიფო ჯარს შენთან, თეიმურაზ დავითის ძესთან გამოგზავნის“.*** თეიმურაზს ხელმწიფის მოწყალებაში ეჭვი არ უნდა შეეპაროს. ახლა კი, როგორც ტრუბეცკოიმ თქვა, ხელმწიფემ ბრძანა მას თავისი ხაზინიდან მისცეს ფული – 6 ათასი რუბლი და სიასამურის ბეწვი – 3 ათასი რუბლის ღირებულების.

„ჩანაწერების“ მიხედვით, ნაწყენმა თეიმურაზ მეფემ პირდაპირ განაცხადა: „იგი ფიქრობდა, რომ დიდი ხელმწიფისაგან წყალობა და მტრებისაგან დაცვა ექნებოდა, ამისათვის მიისწრაფოდა მისი მეფური უდიდებულესობისაკენ, ახლა კი, მისი მეფური უდიდებულესობა მას, თავის ქვეშევრდომს, თავის მიწაწყალზე ცარიელს უშვებს. იგი მის მეფურ მოწყალებასთან მისი მეფური უდიდებულესობის ბრძანებით ჩამოვიდა. ხელმწიფეს რომ მიეწერა, რომ მისი მთელი ჯარი დიდი ხელმწიფის სამსახურში იმყოფებო-

და და სცოდნოდა, რომ მეფის უდიდებულესობა მას დასაცავად ჯარს არ მისცემდა, ის თავისი ქვეყნიდან არ წამოვიდოდა“[1].

რუსული მხარე იძულებული იყო თავი დაეცვა თეიმურაზ მეფის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან: როდესაც ხელმწიფემ მოსკოვში მოგიწვია მაშინ ჯერ კიდევ ომი არ იყოო. რა თქმა უნდა რუსი დიპლომატი ცრუობდა. შეიძლება გავიხსენოთ, რომ 1656 წ. 6 მარტს მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ მეფის ელჩობა დიმიტრი ეზეკიელის ძე არეშიძის და აზნაური ბიძინა დავითის ძის მეთაურობით. 18 აპრილს აუდიენციის დროს ელჩებმა ხელმწიფეს გადასცეს თეიმურაზ მეფის წერილი, რომლითაც იგი აცნობებდა თავის სურვილს მოსკოვში ჩასვლის შესახებ. ხელმწიფის ბრძანებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ომში იყო ჩაბმული[2], დაიწყო მზადება ქართველი მეფის მოსკოვში მისაღებად. მაშასადამე, მაშინ, როდესაც თეიმურაზს მოსკოვში იწვევდნენ რუსეთის სახელმწიფო კარგა ხნის ჩაბმული იყო ომში და არავითარი განზრახვა არ ჰქონდათ, დაპირების მიუხედავად (შვილიშვილს თუ მოსკოვში გამოგზავნი, აუცილებლად დაგეხმარებითო – სწერდნენ თეიმურაზს მოსკოვიდან), საქართველოსათვის სამხედრო დახმარება გაეწიათ. გამოდის, რომ თეიმურაზის მოსკოვში ჩაყვანით ხელმწიფის კარს რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება უნდოდა. მაგრამ თეიმურაზის პირდაპირობამ და პრინციპულობამ რუსეთის ხელისუფლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თეიმურაზ მეფისათვის 1655 წლიდან ცნობილი იყო რუსეთ-რეჩ პოსპოლიტის ომის შესახებ და რუსეთიდან მოსულ წერილებში თეიმურაზის თხოვნაზე სამხედრო დახმარების გამოგზავნაზე, ყოველთვის ერ-

---

[1] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ 452.

[2] ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული რუსეთ - რეჩ პოსპოლიტის ომი (1654-1656). იგი დამთავრდა 1656 წლის შემოდგომაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავე წელს რუსეთი ემზადებოდა და დაიწყო კიდეც ომი შვედეთთან, რომელიც მიმდინარეობდა 1658 წლამდე. ამავე წელს დაიწყო რუსეთ-რეჩ პოსპოლიტის ახალი ომი, რომელიც მხოლოდ 1667 წელს დასრულდა.

თსა და იგივე პასუხს იღებდა: ომის დამთავრების შემდეგ მოსკოვი ქართველებს ბედის ანაბარა არ დასტოვებდა.

მაშ რატომ, რისი იმედით წავიდა თეიმურაზი მოსკოვში? მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისაგან, თუ გავითვალისწინებთ მის ტემპერამენტსა და შეუპოვრობასაც, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო რისკიანი მოქმედება,. როგორც ჩანს, ის ვარაუდობდა, რომ მოსკოვში ჩასულს უარს ვეღარ ეტყოდნენ მისთვის სასურველი სახით დახმარებაზე, მაგრამ მოტყუვდა. მისმა არც ერთმა არგუმენტმა რუსეთის მთავრობაზე არ იმოქმედა.

თეიმურაზ მეფე უკმაყოფილო იყო მატერიალური დახმარების იმ რაოდენობითაც, რასაც ხელმწიფე სთავაზობდა: „ახლა ხელმწიფის იმ მოწყალებას რომ მიიღებს (თეიმურაზი –ე.მ.), თავისი სულის მოსახსენებლად სამღვდელოებას დაურიგებს, ეს აჯობებს თავის მიწა-წყალზე დაბრუნებას და იქ ურჯულოთა ხელში ჩავარდნას. მუსლმანებისა და თავის მტრების მიერ გამოძევებული მეფე თეიმურაზი დიდ ხელმწიფესთან მოდიოდა... როცა თურქებმა, ყიზილბაშებმა და მთიელმა ჩერქეზებმა ეს გიაგეს, ყველა შეშინდა, რომ მოსკოვის დიდი ხელმწიფე მოკავშირეა მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და მისი მეფე თეიმურაზის მუსლიმანებისაგან დაცვა უნდა. იმ გზებზე, რომლებითაც მას (თეიმურაზს –ე.მ.) უნდა ემოგზაურა, მთიელი ჩერქეზები ჩაუსაფრდნენ და მისი გატარება არ უნდოდათ... მებრძოლები მოუკლეს და თვითონაც ძლივს გადარჩა... ახლა მისი (მოსკოვში –ე.მ.) ჩამოსვლასა და თხოვნას ფასი აღარ აქვს. მოღალატეები და მთიელი ჩერქეზები დასცინებენ, საბოლოოდ გაანადგურებენ და თავისი ქრისტიანული სულის დაღუპვასა და ურწმუნოთა ხელში ჩავარდნას, ურჩევნია აქ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მოკვდეს. რიღასთვის ჩავიდეს თავის ქვეყანაში... მტრები და მუსლიმანები თავის მიწა-წყლამდე მაინც არ მიუშვებენ, მას, მართლმადიდებელ ქრისტიან მეფეს დაღუპავენ და მის მოდგმასა და მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებას ამოაგდებენ. სამართლიანობაა საჭირო და მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მუსლიმანთა წინააღმდეგ უშიშრად დგომა. იგი, მეფე თეიმურაზი, თავის პატარა საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენისათვის თურქისა და ყიზილბაშის წინააღმდეგ იდგა და იბრძოდა, არ უშინდებოდა უამრავ მუსლიმანთა ჯარს. რადგანაც მისი ხელმწიფური ნებაა, რომ მის (თეიმურაზის

–ე.მ.) მეფურ უდიდებულესობას მტრებისაგან დასაცავად თავისი სახელმწიფო ჯარი არ მისცეს, რადგან სახელმწიფო ჯარი თვითონ სჭირდება. ხელმწიფის უდიდებულესობას მისმა კარისკაცებმა მოახსენონ, რომ დიდმა ხელმწიფემ ინებოს მისი ქვეშევრდომი მისმა სახელმწიფო ჯარმა გააცილოს“[1].

ის რაც თეიმურაზმა ითხოვა, საქართველოს საზღვრამდე ხელმწიფის ჯარით გაცილების შესახებ, როგორც აღმოჩნდა, ამგვარი ღონისძიება ხელმწიფესაც დაგეგმილი ჰქონდა. უფრო მეტიც, თეიმურაზს არ უთხოვია, მაგრამ ხელმწიფე ჰპირდებოდა, რომ შაჰ აბასს II-ს მიწერდა, შეიარაღებული ძალით საქართველოს არ დასხმოდა, და თეიმურაზ მეფეს რამენაირად ეცხოვრა თავის ქვეყანაში. ხელმწიფე კი, მომავალში მის დასაცავად ჯარს გაგზავნის, ასე რომ თეიმურაზს ხელმწიფის მოწყალებაში ეჭვი არ უნდა შეეპაროს.

თეიმურაზ მეფეს, გამოცდილებიდან გამომდინარე, სრული უფლება ჰქონდა ხელმწიფის დაპირებები არ დაეჯერებინა და მან პირდაპირ განაცხადა: „მეფის უდიდებულესობამ წინათიც მისწერა შაჰს მისი, თეიმურაზის შესახებ, რომ ხელმწიფის თხოვნის შესაწყნარებლად საქართველოზე არ გაელაშქრა და მისი მიწა-წყალი არ გაენადგურებინა. მაგრამ შაჰ აბასმა მისი მიწა-წყალი გაანადგურა და თვით თეიმურაზ მეფეც თავის ქვეყნიდან გააძევა. თვითონ თეიმურაზ მეფე რომ მედგრად არ იდგეს შაჰის წინააღმდეგ და თავის ქვეყანას არ იცავდეს, იგი დიდი ხანია მის ქვეყანას გაანადგურებდა“. ამის თქმის შემდეგ თეიმურაზ მეფემ ხელმწიფის კარისკაცები გაამხნევა: ჩემი ნათქვამის გამო ძალიან ნუ დანაღვლიანდებითო, ადგა და თავის „ბოირებთან“ მოსათათბირებლად მეორე ბალახანში გავიდა.

მეფე მალე დაბრუნდა, თავის ადგილზე დაჯდა, მისი „ბოიარებიც“ შემოვიდნენ. პირველი რაც თეიმურაზმა ტრუბეცკოის ჰკითხა, იყო შემდეგი: მას რამდენი მეომრით და სადამდე გააცილებდნენ, რაზეც უპასუხეს, რომ მას და მის ამალას ჯერ ასტრახანამდე, ასტრახანიდან თერგამდე გემებით შეირაღებულ რაზ-

---

[1] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ 452-453; პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 467-468.

მთან ერთად ჩაიყვანდნენ, თერგიდან კი გამცილებლებს გააყოლებდნენ[1], იქამდე, სადამდისაც საჭირო იქნებოდა[2].

თეიმურაზ მეფეს, ბუნებრივა, არ აწყობდა ამგვარი ბუნდოვანი დაპირება და მოითხოვა თუშეთამდე 7 ათასი ცხენოსანი და 1000 ქვეითი[3], 5-6 მცირე ქვემეხი კი საქართველოს შიგნით მტრებისაგან დასაცავად, მანამდე, ვიდრე დიდი ხელმწიფე ინებებს. სხვაგვარად ის ვერ შეძლებდა კავკასიონის მთაზე გადასვლას და მტრებისა და გამყიდველების გამო საქართველოში ცხოვრებას.

ტრუბეცკოი თეიმურაზს შეპირდა, რომ მის მოთხოვნებს ხელმწიფეს მოახსენებდა[4].

თ. ტივაძის მიერ მოძიებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ხელმწიფემ თეიმურაზ მეფის თხოვნა არ შეიწყნარა. ყაზანიდან თეიმურაზი ხელმწიფეს წერდა: „...მე, შენი ყმა, ივერიის მიწაწყლის მეფე თეიმურაზი შენი უდიდებულესობის ტახტს ვეახელი და მცირედი დახმარება გთხოვე ჯარის სახით, რომ ჩემი სამშობლო დამებრუნებინა იმიტომ, რომ ყველაზე შესაფერისი დრო იყო ჩემს დასახმარებლად. ამიტომ ვთხოვ შენს მეფურ უდიდებულესობას და ქედს ვიხრი, მოიღე მოწყალება, რადგან შემთხვევა მოგეცა ჩემს დასახმარებლად და არ დამეხმარე ჯარით, ის მაინც გამიკეთე, რომ სიტყვით შემეწიო, გაგზავნე სპარსელთან, ე. ი. შაჰთან კარგი ელჩი... იქნებ ღმერთმა ქნას, შაჰმა შეისმინოს შენი მეფური უდიდებულესობის სიტყვა და აღარ შემაწუხოს“[5].

1660 წელს მოსკოვში გაგზავნილ წერილში თეიმურაზი ჩიოდა, რომ ასტრახანიდან მას მცირე გამცილებლები გააყოლეს. ამის გამო იყო, რომ ჩერქეზებმა და ყუმიხებმა გამძარცვესო[6].

---

[1] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ 453-454.

[2] პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 467-468.

[3] ქვეითი წერია გ. პაიჭაძის პუბლიკაციაში, გვ. 468.

[4] მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 454; პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 468-469;

[5] თ. ტივაძე დასახ. ნაშრ., გვ. 137.

[6] Акты исторические, собранные и изданные археографической комиссией. Серия документов по истории России, изданная Археографической комиссией, т. I, СПб., 1843, с. 291.

1658 წლის სექტემბრის ბოლოს[1] ან ოქტომბერში[2] თეიმურაზ მეფემ დასტოვა მოსკოვი და სამშობლოსკენ გამოეშურა. როგორც ირკვევა, თეიმურაზს უნდოდა მოსკოვიდან წამოეყვანა რძალი, ერეკლეს დედა ელენე, ხოლო ერეკლე ხელმწიფის კარზე დაეტოვებინა, მაგრამ ელენემ შვილთან დარჩენა არჩია[3].

1659 წლის მაისში თეიმურაზმა ყაზანიდან ხელმწიფეს მისწერა: „შენს მეფურ უდიდებულესობას ვთხოვ მოწყალება მოიღოს და რადგანაც იყო შემთხვევა და არ დამეხმარე ჯარით, გთხოვთ სიტყვით დამეხმარო, გააგზავნე კარგი ელჩი სპარსელთან, ესე იგი შაჰთან და შენს ელჩს დააბარე: „ჩემთან მოვიდა ქრისტიანი მეფე და მთხოვა, რომ შენ ის არ შეაწუხო“. შენმა უდიდებულესობამ შენ ელჩს დააბარე აგრეთვე: „თუ შენ გინდა ჩემი სიყვარული გქონდეს, არ ეომო მეფე თეიმურაზს, დაუბრუნე მისი სახელმწიფო და არ შეაწუხო, ის თვითონ მოვიდა ჩემთან სიყვარულისა და არა ომისათვის“[4].

5 ივნისს, მოსკოვისკენ მიმავალმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ელჩებმა სარატოვში თეიმურაზს შვილიშვილის, ლუარსაბის სიკვდილი აცნობეს[5]. 1659 წლის 18 სექტემბრს თეიმურაზმა სარატოვიდან წერილი გაუგზავნა ხელმწიფეს, მეფობისათვის გამიზნული ლუარსაბის გარდაცვალება აცნობა და ერეკლე უფლისწულის საქართველოში გაშვება სთხოვა. იმავე დროს თეიმურაზი ხელმწიფეს სწერდა, რომ რადგან თვითონ და დედოფა-

---

[1] Дворцовые разряды, III, с. 514.

[2] პაიჭაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 467-468.

[3] საითიძე გ., მასალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII საუკუნის 50-იანი წლები). „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 5, თბ., 1998, გვ. 145.

[4] Переписка, с. 80.

[5] მოჰამედ თაჰერის მიხედვით, ლუარსაბმა, თეიმურაზის რუსეთში ყოფნის დროს, იმერეთის მეფე „ალექსანდრე-ხანის დახმარების [იმედით], განიზრახა ჩხუბი და არეულობა მოეხდინა (ყიზილბაშების წინააღმდეგ – ე. მ.). ამ ფუჭი განზრახვის საუბედუროდ, მას სწორედ იმ დღეებში ეწვია ყვავილ-ბატონების შეუბრალებელი ლაშქარი. მთელი ტანით დაწყლულებული, ის დაღუპვისა და მოსპობის სადგომში გადასახლდა. „თეიმურაზის შვილიშვილი მოკვდა“ (მოჰამედ თაჰერი, გვ. 390). თეიმურაზ მეფის მიერ მოსკოვში ხელმწიფისათვის გაგზავნილ სიგელში ნათქვამია, რომ ლუარსაბი 1659 წ. 1 თებერვალს გარდაიცვალა (საითიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ.145).

ლი ხორეშანი მოხუცდნენ, განზრახული ჰქონდათ ბერად შედგომა. ამავე სიგელში ვხვდებით ერთ საინტერესო ცნობასაც. როგორც თეიმურაზი ხელმწიფეს სწერს, მას იერუსალიმის პატრიარქ პაისიოსისთვის უთხოვია ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობა საქართველოს დასაცავად.

საინტერესოა, როგორ ვითარებაში და როდის შეიძლებოდა თეიმურაზს იერუსალიმის პატრიარქისათვის დახმარება ეთხოვა. 1658 წლის ივლისში პატრიარქი პაისიოსი და მისი დიაკვანი, მომავალი პატრიარქი დოსითეოს II, მოწყალების მოსაკრებად დასავლეთ საქართველოში ჩამოვიდნენ[1]. ამ დროს თეიმურაზ I საქართველოში არ იყო. როგორც ითქვა, 1657 წლის ზაფხულში თეიმურაზ მეფე რუსეთს გაემგზავრა. 1658 წლის 20 ივნისს უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. სიგელიდან ჩანს, რომ ლუარსაბი 1659 წ. 1 თებერვალს გარდაიცვალა. რადგან პატრიაქი პაისიოსი 1659 წლის მარტის ბოლომდე საქართველოში იმყოფებოდა, სავსებით მოსალოდნელია, რომ იგი უფლისწული ლუარსაბის დაკრძალვას დაესწრო კიდეც. ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ უნდა გაჩენოდა აზრი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს (ლუარსაბის გარდაცვალება თეიმურაზმა ჯერ არ იცოდა), რუსეთის ხელმწიფისთვის ეთხოვა, რა თქმა უნდა, თეიმურაზთან შეთანხმებით, უფლისწული ერეკლეს საქართველოში გასამეფებლად გამოშვება.

ალექსანდრე III-მ ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩართო იერუსალიმის პატრიარქი პაისიოსიც, რომელიც იერუსალიმის სხვა პატრიარქების მსგავსად, კმაყოფილი იყო საქართველოდან წაღებული მოწყალებითა და შესაწირავებით[2]. ალექსანდრემ პატრიარქს თეიმურაზისა და თავისი სახელით სთხოვა, მოსკოვში წასულიყო და ქართველი მეფეების გაჭირვების აღმოსაფხვრელად ხელმწიფესთან ეშუამდგომლა.

პატრიარქს ყურადღია ქართველი მეფეების თხოვნა და რუსეთში წასვლა განუზრახავს, მაგრამ, როგორც თეიმურაზი სხვა, 1660 წლის 12 აპრილის სიგელით ხელმწიფეს აცნობებდა, პატრიარქი ქ. კაფაში ყირიმის ხანმა გაძარცვა და მოსკოვისკენ

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 55-58.

[2] დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 37-58.

არ გაუშვა. პატრიარქი იძულებული გახდა იერუსალიმში გაბრუნებულიყო[1], მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. იგი, 1660 წლის 2 დეკემბერს, არქიპელაგის კუნძულ კასტელროსოზე გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

ეს ყველაფერი თეიმურაზისათვის ცნობილი იყო ალექსანდრე მეფის ელჩის წყალობით, რომელიც იმერეთის მეფემ მოსკოვს მიმავალ პატრიარქს გააყოლა (შეიძლება პირიქითაც იყო: თავის ელჩს პატრიარქი გააყოლა). იმერთა მეფის ელჩმა, სავარაუდოა, ყირიმიდან გზა გააგრძელა და სარატოვში თეიმურაზ მეფეს ყველფერი აცნობა. თეიმურაზის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი 1659 წლის 18 სექტემბრის სიგელი ამის შემდეგ დაიწერა.

ხელმწიფე ალექსი მიხეილისძემ დაინახა რომ თეიმურაზს აღმოსავლეთ საქართველოში არავითარი პერსპექტივა ჰქონდა, არც ერეკლე უფლისწულის რუსეთის პოლიტიკური მიზნებისათვის საქართველოში გამოყენება მოხერხდებოდა. ნათელი შეიქმნა, რომ ერეკლეს მოსკოვში ყოლას აზრი აღარ ჰქონდა. მან თეიმურაზის თხოვნა დააკმაყოფილა. უფლისწულ ნიკოლოზისა და საქართველოს მიმართ თავისი შემდგომი დამოკიდებულების შესახებ მოსაზრებები ხელმწიფემ თეიმურაზისათვის გაგზავნილ 1660 წლის 8 მაისის სიგელში ჩამოაყალიბა. მან ***იმედი გამოსთქვა, რომ უფლისწულის სამშობლოში გაშვებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არ დაზარალდებოდა***[2].

---

[1] საითიძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ, 142.

[2] იქვე, გვ. 144-147.

XIV. აღსასრული

1659 წლის დასასრულს იმერეთში დაბრუნებულ თეიმურაზ მეფეს დედოფალი ხორეშანი გარდაცვლილი დახვდა. შემდეგ, 1660 წელს, მისი სიძე ალექსანდრე მესამეც გარდაიცვალა. 1661 წელს, ხანგრძლივი ბრძოლით მოღლილი თეიმურაზი ბერად აღიკვეცა. დასავლეთ საქართველოში ფეოდალური შინაომი დაიწყო, რომელშიც როსტომ მეფის მემკვიდრე ვახტანგ V შაჰნავაზი ჩაერია. მისმა ჯარმა სკანდეს ციხეში თეიმურაზ მეფე შეიპყრო და თბილისში წაიყვანა.

მოჰამედ თაჰერის გადმოცემით, როდესაც შაჰმა გაიგო თეიმურაზის დატყვევების ამბავი, მან მაშინვე თეიმურაზის საპარსეთში ჩასაყვანად შაჰნავაზთან კაცი გაგზავნა. ამ უკანასკნელმა, „თანახმად ბრძანების, გივ-ბეგ (ამილახვარი –ე. მ.), თავადებთან და აზნაურებთან ერთად, ხსენებულს (თეიმურაზს–ე.მ.) გააყოლა და ისინი მაღალ კარზე გაგზავნა“[1]. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრის შაჰისადმი დამორჩილება ირანის დიდი წარმატება იყო. ამდენადვე ეს იყო ამიერკავკასიაში მოსკოვის მეფის საგარეო პოლიტიკის მარცხი“[2].

მოჰამედ თაჰერის თქმით, თეიმურაზი ისფაჰანში დიდი ზეიმით მიიყვანეს და სასახლეში დააბინავეს. იმავე ღამეს თეიმურაზს შაჰ აბას II ეწვია. მეფეს და მის ამალას დიდ პატივში ამყოფებდნენ. შაჰის კეთილად მოპყრობამ თეუიმურაზს თავის სამეფოში დაბრუნების იმედი ჩაუსახა. „როცა შაჰთან იყო, უმდაბლესად ითხოვა, რომ რუსეთის ვალის სახელზე გამოცემულიყო უავგუსტოესი წერილი მისი (თეიმურაზის) შვილიშვილის ერეკლე-მირზას, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა, გამოწვევის შესახებ,

---

[1] მოჰამედ თაჰერი, გვ. 397

[2] ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თ,., 1946, გვ. 351.

და თუ ერეკლე-მირზა... მოვიდოდა შაჰის კარზე, მაშინ მისთვის ებოძებინათ მეფობა სამკვიდრო მამულში. ხსენებული თხოვნა მიღებული იქნა იმ პირობით, რომ ერეკლე-მირზა მოვიდოდა უმაღლეს კარზე. იმავე დღეს ერეკლე-მირზა, მიეღო რა რუსთა ხელმწიფისაგან წასვლის ნებართვა, უბედური და ავისმქნელი ყაჩაღების თუშების მიერ შეცდენილი, დაღისტნის გზით საქართველოში იყო წამოსული"[1].

შაჰს მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა, თეიმურაზის ირანში ყოფნა ერეკლე ბატონიშვილის ხელში ჩასაგდებად გამოეყენებინა. სავარაუდოა, რუსეთთან ურთიერთობის უპერსპექტივობაში დარწმუნებული თეიმურაზიც ერეკლეს ირანში შაჰთან მისვლის მომხრე იყო და ამ გზით კახეთის ან ქართლის, ან ორივეს დაეპატრონებოდა. თეიმურაზმა, როგორც მოჰამედ თაჰერი გადმოგვცემს, ერეკლესათვის რაყამის გაგზავნა და შაჰის კარზე მოწვევა ითხოვა. ერეკლემ ეს წინადადება არ მიიღო და, როგორც შაჰის ისტორიკოსი წერს, კახეთი ვახტანგ V-ის ვაჟს არჩილს უბოძეს[2].

თეიმურაზი ირანში თავისი მდგომარეობის შესახებ გადმოგვცემს 1661 წლის 3 დეკემბერს, მოსკოვში გაგზავნილ წერილში. ჩანს, მას შიში ჰქონდა, რომ შაჰი არ აპატიებდა ირანის წინააღმდეგ შეიარაღებულ და პოლიტოკურ ბრძოლას. თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვს უშუამდგომლოს შაჰის წინაშე, რათა მან არ მოკლას იგი და კახეთში გაუშვას.

თეიმურაზის გარდაცვალების შესახებ განსხვავებული ცნობები გაგვაჩნია. სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი თეიმურაზის ბუნებრივ სიკვდილზე გვამცნობს: ჯანმრთელობა შერყეული თეიმურაზი შაჰის ბრძანებით ასთრაბადს უნდა წასულიყო და იქ დალოდებოდა. როცა შაჰი იქ მივიდა თეიმურაზი უკვე გარდაცვლილი იყო[3].

ნ. ნაკაშიძე წყაროზე მითითების გარეშე წერდა, რომ შაჰ აბას II-მ თავდაპირველად თეიმურაზი კარგად მიიღო, მაგრამ ერთხელაც სუფრასთან ყოფნისას ისლამის მიღება მოსთხოვა, რაც

---

[1] მოჰამედ თაჰერი, გვ. 398.
[2] იქვე, გვ. 398-399.
[3] იქვე, გვ. 403.

მეფემ უარყო. განრისხებულმა შაჰმა თეიმურაზს სახეში ღვინო შეასხა და მისი ასტრაბადის ციხეში ჩამწყვდევა ბრძანა. 1663 წლის ზამთარში 74 წლისა გარდაიცვალა[1].

რუსულ მასალებში თეიმურაზის გარდაცვალების შესახებ არის ასეთი ცნობა: 1663 წლის 30 ნოემბერს შემახაში მისულ ქართველ აბრამ ივანოვს, რომელიც მოსკოვში უფლისწული ერეკლეს მერიქიფე იყო, უთქვამს: თეიმურაზი, როგორც კი დაბრუნდა იმერეთში „თბილისის შაჰნავაზ ხანმა დაიჭირა თავისთან სამ თვემდე. ამასობაში მაცნედ შიკრიკი გაგზავნა შაჰთან, შაჰმა კი მისი (თეიმურაზის – თ. ტ.) თავისთან გაგზავნა ბრძანა. იგი, მეფე თეიმურაზი, ხელმწიფევ, ისპაანში ორ წლამდე ცხოვრობდა და ამბობენ, რომ იგი მოწამლეს“[2].

შაჰნავაზმა და კახელებმა თეიმურაზ მეფე ირანიდან გადმოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს[3].

* * *

XVII საუკუნის ქართული პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდა საოცრად ენერგიული და შეუპოვარი, მამაცი და მოქნილი, პირდაპირი, მიზანსწრაფული და დაუნდობელი თეიმურაზ მეფე. იგი ყოველთვის ამჟღავნებდა მოქნილი დიპლომატისათვის დამახასიათებელ პარტნიორზე ზემოქმედებისა და თავისი ზრახვების შენიღბვის უნარს, შეეძლო შეესრულებინა გულუბრყვილო მეფის როლი, რომელსაც თითქოს არ შესწევდა უნარი გაეთვალისწინებინა, უფრო მეტიც, ისე არ მოქცეულიყო, როგორც თავისი დიპლომატები და კარისკაცები ურჩევდნენ და ემოქმედა თავისი სურვილის წინააღმდეგაც კი. თეიმურაზ მეფე, ზოგჯერ, როცა საჭირო იყო, არც ჭეშმარიტი ფაქტების გაყალბებას, გაუბრალოებას ან გაზვიადებას

---

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 190.

[2] ტივაძე თ., საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII საუკუნის 60-იან წლებში. ქართული სამეფოების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 42.

[3] Накашидзе Н. Т., Ук. труд, с. 190.

ერიდებოდა. შეეძლო მოხერხებულად, მოჩვენებით შეეცვალა პოზიცია და იგი შეეხამებინა ძლიერი პოლიტიკური პარტნიორ-ოპონენტის ინტერესებისათვის. იგი იყო ქართულ ობიექტურ სინამდვილეში ჩამოყალიბებული და ნაწრთობი მოღვაწე, რომლითაც მაკიაველიც კი აღფრთოვანდებოდა.

ადარებდა რა ერთმანეთს თეიმურაზ და როსტომ მეფეების დამსახურებას ქვეყნის წინაშე, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამგვარად, ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთი საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა. როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობისა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“[1].

თეიმურაზ მეფის მსგავსი სხვა მოღვაწე იშვიათად (შეიძლება არც) მოიძებნება საქართველოს ისტორიაში. მისი სალოცავი სამშობლო და სარწმუნოება იყო. მას მტრებმა ჯოჯოხეთური სატანჯვლითაც კი ვერ დაათმობინეს ვერც ერთი და ვერც მეორე. სამშობლოსა და სარწმუნოებას შესწირა და მათთვის გასწირა ყველა ვისი სამსხვერპლოზე მიტანაც კი შეიძლებოდა. მის თავგადასავალში აისახა XVII ს. პირველი ნახევრის საქართველოს ტრაგედია.

თეიმურაზ მეფის დამსახურება საქართველოს წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მან ყოველგვარ ღონეს მიმართა სამშობლოს გადასარჩენად. მან თავდაპირველად ირანთან საკითხის მოგვარება მშვიდობიანად სცადა, მაგრამ შაჰ აბას I-ის პოლიტიკა მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ საქართველოს სრულ დამორჩილებასა და გადაშენებას. ირანის აგრესიის განეიტრალების მიზნით თეიმურაზმა მიმართა ყველა სახელმწიფოს, რომელსაც მისი აზრით, შეეძლო დახმარებოდა საპრსეთისაგან თავის დასახსნელად. ზოგი მკვლევარი თეიმურაზს უწუნებს არარეალური საგარეო პოლიტიკის გატარებას, თითქოს მას, მაშინდელი საერთაშორისო ვითარების სწორად გათვალისწინებით, ოსმალეთის, ესპანეთის, რომის პაპისა და რუსეთის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ თეიმურაზი უმცირესი შანსის გამოყენებასაც კი ცდილობდა ანტიირანულდ განწყობილი მოკავში-

---

[1] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 369.

რის მოსაპოვებლად. ის მკვლევრები, რომლებიც თეიმურაზის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მის დიპლომატიას იწუნებენ, დღევანდელი გადასახედიდანაც კი ვერ ამბობენ, როგორ უნდა მოქცეულიყო თეიმურაზ მეფე, რომ ქვეყანა იმ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო, როგორიც მისი მეფობის დროს შეიქმნა. მგონია, თეიმურაზ მეფეს უნდა გაეკეთებინა ის რაც გააკეთა.

მისმა შეუდრეკელმა ბრძოლამ ირანის წინააღმდეგ, შაჰის კარი აიძულა ხელი აეღო ქართველების გასპარსებასა და გამუსლიმანებაზე. ზოგიერთი მკვლევრის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ მეფის შეუპოვარი ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ არ იყო პოლიტიკური ან პირადი ჭირვეულობითა და ახირებით განპირობებული. თეიმურაზს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის საფრთხე რასაც ირანი აღმოსავლეთ საქართველოს უქადდა. ვიმეორებ, მან გააკეთა ყოველივე ის, რაზეც ხელი მიუწვდებოდა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ზნეობრივად გაიმარჯვა. რომ არა მისი შეიარაღებული და პოლიტიკურ-დიპლომატიური ბრძოლა, ირანის შაჰების საქართველოს გადაგვარება-გადაშენების პოლიტიკა გაიმარჯვებდა.

ქართველი ხალხის ბრძოლამ მეფე თეიმურაზ I-ის მეთაურობით საქართველო დღუპვისაგან იხსნა.

* * *

თეიმურაზ I-ზე საუბრის დასასრულს, შეიძლება გავიხსენოთ თანამედროვეთა მიერ დატოვებული მისი დახასიათებები.

მიქელე მოსკო, რომელიც მისიონერთა ცნობებს ემყარებოდა, პაპისათვის წარდგენილ მოხსენებაში – „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე“, 1628 წელს სწერდა: „იბერიის ახლანდელი მეფე დაახლოებით 34 წლისაა, ტანად რამდენადმე დაბალი, მაგრამ მშვენივრად ჩამოსხმული აგებულებისაა. ცოლიანია, ჰყავს სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. სახელი, რომელიც მან ნათლობისას მიიღო, იყო თეოფილე“[1].

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 246.

იმავე „ცნობებში“, მოსკო ერთხელ კიდევ იძლევა თეიმურაზის შედარებით სრულ დახასიათებას: „თეოფილე მეფე კეთილი ბუნების ადამიანია. მმართველობაში – მეტად თავაზიანი, გულკეთილი და ლიბერალი, ხშირად მარტო პურითა და წყლით მარხულობს. იძინებს ხმელ ტახტზე, ადრე დგება, რათა ყოველდღე ილოცოს, წირვა მოისმინოს და ზოგიერთი სულიერი ვარჯიში შეასრულოს. იგი უყვართ და მას პატივს სცემენ არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც, კერძოდ, იქ მცხოვრები ჩერქეზები, რომლებსაც ქართველები ურჩევენ ქრისტიანობის მიღებას“[1].

პატრების გადმოცემით, 1629 წელს, როცა მათ თეიმურაზი ინახულეს, მაშინ იგი 38-40 წლისა 50 წლის კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. მას ჰქონდა მოწითალო თვალები, გრძელი, მოღუნული ცხვირი, იყო საშუალოზე მაღალი, გამხდარი, გაძვალტყავებული ტანით, სახეზე ნაოჭებით, მაგრამ საერთოდ, სასიამოვნო სახე ჰქონდა, ურთიერთობაში იყო მომხიბვლელი, დიდი ჭკუა-გონების, იცოდა ენები: გარდა ქართულისა, სპარსული, თურქული და ბერძნული. არაჩვეულებრივად კარგად ლაპარაკობდა ქართულად, ძალიან კარგად იცოდა საღვთო წერილები, წმინდა მამების შემოქმედება. იყო ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში. შესანიშნევად ფლობდა საერო სიტყვებს, იყო დიდი პოეტი. კარგი მხედათმთავარი, მამაცობით სახელგანთქმული, ომში თავზარდამცემი[2].

რუსების აღწერილობით, 1639 წელს 50 წლის თეიმურაზი იყო საშუალო ტანის, წარმოსადეგი, ნაყვავილარი თეთრი სახით, შავი შეკრეჭილი და შეღებილი წვერით, გადაპარსული თავით, წელში მოხრილი, მხარბეჭიანი, თვალები ნაცრისფერი, ხელის ფრჩხილები შეღებილი ჰქონდა[3].

---

[1] იქვე, გვ. 250.

[2] თარხნიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 374.

[3] Полиевктов М., Ук. труд, с. 262.

ნაწილი II

I. როსტომ მეფის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

როსტომი (ხოსრო-მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) დავით XI-ის (დაუდ-ხანის) უკანონო შვილი (ეყოლა წავკისელი გლეხის ქალისაგან). როსტომი ისპაანში დაიბადა დაახლოებით 1565 წელს, იქვე იზრდებოდა, თავიდანვე მუსლიმანი და გასპარსელებული იყო. მიუხედავად ამისა, მან კარგად იცოდა ქართული ენა და კარგად ერკვეოდა საქართველოს საქმეებში.

როსტომის ცხოვრების გარკვეული პერიოდების შესახებ ცნობებს ვხვდებით მისსავე 1648 წლის სიგელში, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „აწ დავიწყოთ ამბავისა ჩ˜ნისა მბობა“. როსტომმა თავის სიგელში ყურადღება გაამახვილა ისეთ მომენტებზე, რომლებიც მას მკითხველის წინაშე დადებით პიროვნებად წარმოაჩენდა. მან გვერდი აუარა თავისი ცხოვრების მთელ რიგ უსიამოვნო, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რომლების აღდგენა, ზოგჯერ, სხვა წყაროებით ხერხდება.

როსტომი თავის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთან დაკავშირებით გვამცნობს, რომ იგი, ე. ი. ხოსრო-მირზა, როდესაც შაჰ აბას I-ს მიჰგვარეს, მან იგი, როგორც მეფეთა ჩამომავალი პატივით „გამოზარდა“. საინტერესოა, რომ როსტომი არაფერს ამბობს გიორგი სააკაძის დამსახურებაზე ირანის ელიტარულ საზოგადოებაში მისი შეყვანის შესახებ. ვახუშტი ბატონიშვილისათვის კი ყოველივე ეს ცნობილი იყო. როცა იგი ხოსრო მირზას მარაბდის ბრძოლაში ქართველთა წინააღმდეგ მონაწილეობაზე გადმოგვცემს, აღნიშნავს: „ხოლო ესე ხოსრო-მირზა იყო ძე დაუდ-ხანისა, ნაშობი ხარჭისაგან ისპაჰანს ყოფასა შინა და მიერითგან იყო უპატიოდ და უპოვარ ფრიად; და ოდეს იყო მოურავი მუნ, მოვიდა დარბაზობად ხოსრო-მირზა მოურავისა თანა, რა იხილა მოურავმან, მიეგება და დასუა ადგილს თჳსსა ზედა და თჳთ დაუჯდა შორეს. მის მხილველთა ყიზილბაშთა ჰკითხეს მოურავსა ვინაობა მისი. ხოლო ეტყოდა იგი მათ ძედ პატრონისად თჳსისად“[1].

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 432-433.

ვახუშტი ბატონიშვილი გიორგი სააკაძის მიერ ხოსრო მირზასადმი ყურადღების გამომჟღავნებას შემდეგნაირად აფასებს: „არამედ ესე არა ჰყო მოურავმან სიყუარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქი“[1]. ე. ი. გიორგი სააკაძეს ხოსრო-მირზა ქართლის მეფე ლუარსაბ II-სთან დასაპირისპირებლად გამოიყენა.

სახელგანთქმული გიორგი სააკაძის მიერ ხოსრო-მირზას თავისი ბატონის, ყოფილი ქართლის გამგებლის, დაუდ-ხანის (დავით X) ძედ გამოცხადება, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივი იყო გაჭირვებაში მცხოვრები ხოსრო-მირზასათვის. როდესაც ეს ამბავი აცნობეს შაჰ აბასს, მან ხოსრო თავისთან დაიახლოვა. რა თქმა უნდა, იგი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და ხოსრო-მირზას საქართველოში თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებდა. როდესაც ხოსრო დავაუკაცდა და შაჰის სამსახურში თავი გამოიჩინა, როგორც თვითონვე გვამცნობს, შაჰმა შვილივით შეიყვარა და ყულარაღასობა („მაშინ იყო ყულთ ჯარი ქართუფლიშვილი ბედნიერისა ყაენისა მასახელებელი. სადაც გუასარდრის და გაგუგზავნის გამარჯუადაც გუასარდრის და გაგუგზავნის გამარჯუფბულნი და პირნათელნი მოვიდით. რავალი სახელი და გამარჯუფბა გვინახის. ასე ეწადა რომე სამსახურისა ჩ˜ნისა სამუქფოდ ბევრი კარგი ექნა და უფრო სიდიდე მოემატებინა“) უბოძა[2].

ხოსროს (როსტომის) ძმა ბაგრატიც შაჰ აბასის სამსახურში იყო და წარმატებებიც ჰქონდა.

ხოსრო-მირზამ შაჰის სამსახურში გონიერებითა და სიმამაცით თავი გამოიჩინა და მალე დაწინაურდა კიდეც. იგი გახდა ჯერ შაჰის გვარდიის, ყულის სარდალი, შემდეგ ირანის ყულარაღასი და ისპაანის მოურავი. შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ მთელი ხელისუფლება ხოსრო-მირზას ხელში გადავიდა. მან შეძლო ტახტზე აეყვანა შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა. უკვე ითქვა, რომ არსებობდა აბასის ვაჟი, რომელიც იმამყული-ხანის სახლში იზრდებოდა. მას მხარს უჭერდნენ ირანში მცხოვრები

---

[1] იქვე, გვ. 433.
[2] ქრონიკები, II, გვ. 461.

ქართველები და ადგილობრივი დიდკაცობის მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ხოსრო-მირზას დიდი გავლენა და მოხერხებულობა. მან ტახტზე აიყვანა სეფი-მირზა. ამის შემდეგ ხოსრო-მირზას ავტორიტეტი შაჰის კარზე განუზომლად გაიზარდა.

შაჰ აბასმა საქართველოში ბოლო, მეოთხე შემოსევის შემდეგ, აოხრებული კახეთი ორად გაყო: მდ. იორის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველ ფეიქარ-ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი როსტომის ძმას, ქართლის მმართველ ბაგრატ-ხანს (ბაგრატ VII, 1615-1619). „ის ყიზილბაშთა შორის აღიზარდა, სიბრძნესა და მეცნიერებაში განსწავლული იყო“[1]. ქართველი ისტორიკოსის დახასიათებით, „დაჯდა ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მაჰმადისასა, და არცა იყო ღირსი მეფობისა, და ზურგად განჯის ხანი და მისნი შემდგომნი ჰყვეს. და მაშინ ამან ბაგრატ ვერ დაუჭირა თავი ქართველსა და ვერცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა და არცა ჰყუარობდნენ ქართველნი და არცა-რად აჴსენებდენ თათრობისათჳს და ეძახდენ საბარათაშვილოს ბატონსა და იყოფებოდა ეგრეთ“[2]. როგორც ჩანს არც როსტომ მეფე აფასებდა დიდად თავის ძმას, რადგან „ამ საქმესა მეფობისა გარიგებასა, ნადირობასა, ლხინსა და უხუად გაცემასა შინა იყო“[3].

ბაგრატის სიკვდილის შემდეგ შაჰ აბასმა ქართლი საგამგებლოდ მის შვილს, მცირეწლოვან სვიმონ II-ს (1619-1632) ჩააბარა და თავისი შვილიშვილი (ქალიშვილის შვილი), ყორჩიბაშის ასული, ჯანბანუმი შერთო[4]. შაჰ აბასმა სვიმონს მცირეწლოვნების გამო მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა[5]. იმავე დროს, როგორც როსტომ მეფე გადმოგვცემს, შაჰმა ყარჩიღახანსა და სხვა ხანებს კახელების ამოწყვეტა და კახეთში ყიზილბაშების ჩასახლება დაავალა. მუხრანში, აღაიანის მინდორზე კახელთა ლაშქრის ვერაგულად ამოწყვეტის შემდეგ მოხდა მარტყოფის აჯანყება.

---

[1] ისქანდერ მუნში, გვ. 114.
[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402.
[3] ქრონიკები, II, გვ. 462.
[4] იქვე. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 429.
[5] ისქანდერ მუნში, გვ. 115.

თავის სიგელში როსტომს თხრობა ისე მიჰყავს, რომ დაგვარწმუნოს კახელების ამოწყვეტასა და სხვა ანტიქართულ საქმეებში მისი ხელი არ ერია: „სვიმონ ტფილის იჯდა, სომხითსაბარათიანოს პატრონობდა“.

როსტომიც დააწინაურეს. შაჰ აბასმა მას ისპაანის მოურაობა უბოძა და მალე გარდაიცვალა კიდეც. როსტომის ცხოვრებაში ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი დადგა. მისი მომავალი დიდად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ დაიკავებდა ირანის ტახტს. როგორც როსტომი აღნიშნავს, ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ ხშირად მომხდარა რომ ტახტის პრეტენდენტებს ერთმანეთი დაეხოცოთო. ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტაში როსტომი თავის დამსახურებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ჩვენ ძალითა და შეწევნითა ღთისათა გავსინჯეთ საქმე: შვილიც იყო ყაენისა, მაგრამ თავად თვალდამწუარი იყო, სინათლეცა ჰქონდა, მაგრამე უფროსი შვილი-შვილი იყო დიად კარგი, თუალად და ტანად შუბნიერი, ჭელმწიფობა იმას შეფერობდა. გამოვიყუანე და ტახტზე დავსვი და მიულოცეთ ჭელმწიფობა შაჰ სეფის ყაენსა“[1]. როგორც ჩანს, როსტომმა სეფი-მირზა ძალის გამოყენებით აიყვანა ტახტზე და თავისი კონკურენტებს ამგვარად აჯობა. როგორც ითქვა, ძმებ უნდილაძეებს თავიანთი კანდიდატი ჰყავდათ.

როსტომ მეფე სიგელში მნიშვნელოვან ადგილს, თავის ძმისშვილ სვიმონ-ხანზე თხრობას უთმობს. ამის აღნიშვნა იმიტომაა საჭირო, რომ იგი, ქართლის ტახტის დაკავების შემდეგ, სვიმონ-ხანის მკვლელობის საკითხს, უმნიშვნელოვანესად თვლიდა თეიმურაზ I-თან დაპირისპირებაში. მასზე ყურადღების გამახვილებით, წარმოდგენა გვექმნება როსტომზე, როგორც დიპლომატზე.

როგორც ცნობილია, ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზმა შიდა ქართლი დაიკავა, თბილისი და ქვემო ქართლი კი კვლავ სვიმონ-ხანს ემორჩილებოდა. შაჰ აბასმა ამის შემდეგ თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ სცნო, მაგრამ ისე, რომ სვიმონ-ხანს მისი საგამგებლო დაუტოვა და ამით ქართლში ფეოქებადი მდგომარე-

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 462. „ისფაჰანს როსტომ მეფის ცდით შაჰ სეფი გაჭემწიფდა“. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 238.

ობა შეინარჩუნა. როგორც ჩანს, როსტომ მეფეს მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) შემდეგ, სვიმონ-ხანის ქართლის ერთ ნაწილში დაბრუნება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა: „ამ დროს წამოეჭიდა ჩ˜ნი ძმისწული ბატონი სჯმონ და კახ-ბატონს ქართლი წაართუა და კახი-ბატონი თავის ალაგს იყო“[1]. როსტომის გაგებით, ქართლი მემკვიდრეობით სვიმონს ეკუთვნოდა და მისი ქართლში დაბრუნება სამართლიანობის აღდგენა იყო, თეიმურაზი კი, ასევე სამართლიანად, კახეთის ბატონი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, თეიმურაზმა, როსტომის ლოგიკით, არასწორი მოქმედება ჩაიდინა, როდესაც „სამართლიანობას“ არ შეეგუა და ქართლში დაბრუნების მიზნით სვიმონი მოაკვლევინა.

როსტომის თქმით, „იმავე წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და მისივ ყმა ჩარქაზი გ˜ი მოღალატედ შეუყენა და მძინარე ბატონი სჯმონ დააკულევინა, ქართლს გაბატონდა; სომხით-საბარათიანო დაიჭირა“[2].

თეიმურაზ მეფის მიერ ზურაბ ერისთავის მოკვლისა და მისი მოკვეთილი თავის შაჰისათვის გაგზავნის შემდეგ, ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, „ეს ყაენს იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მოსცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს“[3]. ამგვარად, შაჰმა თეიმურაზი ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ სცნო და ეს გაერთიანებული სამეფო ირანის ვასალად გამოაცხადა[4].

საინტერესოა, რომ როსტომი შაჰ სეფის მიერ დიდი სამხედრო ექსპედიციის გამოგზავნას და მის ქართლში გამეფებას, სვიმონ-ხანის მოკვლისათვის თეიმურაზის დასასჯელ ღონისძიებად აცხადებს. „რა გაიგონა შასეფი ყაენმან (სვიმონის

---

[1] იქვე.

[2] იქვე, გვ. 462-463. „ბატონმან თეიმურაზ თავისგნივ გაკეთებული ერთი ჩერქეზი საჭელათ გიორგი, სიძე იყო ზურაბ ერისთვისა და ის შეუყენეს ერისთავ და მას ნაპირის ალაგსა იორის პირს მამული მისცა და ზურაბ ერისთავს ქალის მიცემას და თიანეთის სამამულეთ მიცემას დაჰპირდნენ მეფის სვიმონის მოკვლისათვის... მეფე სვიმონ მინდობილი ზურაბ ერისთავმან მძინარე მოკლა“. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 236.

[3] იქვე, გვ. 238.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 292-293

მოკვლა –ე.მ.) მწუცდ იწყინა, კახბატონს გაუწყრა, ჩ˜ნი საბატონო ჩ˜ნ გუბოძა“[1]. ამგვარად, როსტომი გვერდს უვლის თეიმურაზ მეფისა და დაუდხან უნდილაძის მიერ ირანის სამფლობელოების დალაშქვრის ფაქტს, ყიზილბაშების საქართველოში შემოჭრის ნამდვილ მიზეზს და ცდილობს სვიმონ-ხანის მოკვლა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად და, იმავე დროს, თავის თავი ქართლის ტახტზე მამის, დაუდ-ხანის, ძმის – ბაგრატის და ძმის შვილის – სვიმონ-ხანის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადოს. „კახთ ბატონი გავაგდეთ და ჩ˜ნი საბატონო დავიჭირეთ“-ო, კმაყოფილებითა და სიამაყით აღნიშნავს იგი.

როსტომი, ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის დის, მარიამის შერთვას, თეიმურაზ მეფის მიერ თავისი ასულის დარეჯანის იმერეთის ბატონიშვილზე ალექსანდრეზე დაქორწინების საპასუხო ღონისძიებად აცხადებს. 1633 წელს როდესაც როსტომი ყიზილბაშთა ლაშქრით საქართველოში შემოვიდა, თეიმურაზი დიდი ამალით იმერეთში გადავიდა, რადგან იქ საიმედო თავშესაფარი ჰქონდა. „ბატონი თეიმურაზ იმერეთს შეეხიზნა: ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი და ჩ˜ნ და დადიანი ბატონი ლევან დავმოყვრდით და შევირთეთ დაჲ მისი“[2]. ასე ლაკონურედ გადმოსცა როსტომმა მარიამზე თავისი დაქორწინების მნიშვნელობა.

ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დის ქორწინებაზე. როგორც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტზე, როსტომი მხოლოდ მიგვანიშნებს. თანამედროვე პოლიტიკოსებისათვის კი სრულიად ნათელი იყო, რომ საქართველოში იქმნებოდა დაპირისპირებულთა ორი ბანაკი. თითოეული მათგანის უკან იდგა ირანი ან ოსმალეთი.

როსტომს ირანიდან თან ჩამოჰყვა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით ქართლიდან გადახვეწილი გამუსლიმანებული მრავალი ქართველი თავადი და აზნაური, რომლებიც ქართლის მუსულმანი მეფის დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ.

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 463.

[2] იქვე.

ისინი, ვისი წამოყვანა როსტომს უნდოდა, თვითონვე შეურჩევია[1]. მათთვის მამულების დაბრუნება და სახელოების ჩაბარება, როსტომის საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „მოხელენი გამოსცვალეს და თან მოყოლილი თავადთა და აზნაურთა თავიანთ მამული უბოძეს. შექმნეს ვაზირობა, დაიწყეს რჩევა, ეძებეს სამოყვროთ ლევან დადიანი და გაუგზავნეს მოციქულები და საქართველოს სადედოფლოთ მისი და მარიამ, დედათა შიგან ნაქები“[2].

როსტომსა და მის კარისკაცებს საქართველოს უძლიერეს მთავართან დამოყვრების იდეა გაუჩნდათ მას შემდგეგ რაც საფუძვლიანად გაეცვნენ საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ვითარებას და ქართლის სამეფოს საგარეო ურთიერთობების პერსპექტივები გაითვალისწინეს. აუცილებელი იყო შეუპოვარი და მოუხელთებელ თეიმურაზ მეფის განეიტრალებაც, რომელსაც მრავალი მომხრე ჰყავდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის სამეფოში. ამ დროიდან მოყოლებული, თეიმურაზმა და როსტომმა მთელი სიცოცხლე ერთმანეთთან ბრძოლაში გაატარეს. ეს ბრძოლა გამოვლინდა ყველა ფორმით: შეიარაღებული, პოლიტიკური, დიპლომატიური. უცხო არ იყო მოსყიდვა, შანტაჟი და მკვლელობა.

როსტომმა, ირანის მხარდაჭერით, იმისათვის რათა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის პოზიციები შეესუსტებინა და თეიმურაზისთვის იმერელი მომხრეები ჩამოეშორებინა, ოდიშის მთავართან დამოყვრება განიზრახა და 1633 წელს მოციქულები გაუგზავნა. ლევან დადიანი კმაყოფილი შეხვდა როსტომის წინადადებას. მან თავის მხრივაც, გარიგების დასასრულებლად, თავისი მოციქულები ქართლში გაგზავნა.

ვფიქრობ, საპატარძლოს შერჩევასა და ქორწილის გარიგებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ამ დროს უკვე ლევან დადიანის სამსახურში ჩამდგარ ნიკიფორე ირბახს, რომელიც როსტომის პირველი ცოლის, აბაშიშვილის ასული ქეთევანის გარდაცვალების ახლო ხანებში ქართლში იმყოფებოდა. უფრო მე-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 239-240.

[2]. იქვე, გვ. 241.

ტიც, როსტომსა და ნიკიფორეს შორის იმდენად კარგი ურთიერთობა დამყარდა, პიეტრო ავიტაბილეს თუ დავუჯერებთ, ნიკიფორე როსტომის მიწვევით ქართლში გადმოვიდა. ავიტაბილე 1633 წლის 1 აგვისტოს წერილში აღნიშნავს: „ხალხში ხმა დადის, რომ (როსტომს - ე. მ.) მისი (ნიკიფორე - ე. მ.) პატრიარქად დასმა უნდაო“[1]. ამ წინადადებაზე ნიკიფორემ უარი თქვა.

შაჰ სეფი ერთხელ კიდევ დარწმუნდა როსტომის გონიერებასა და პოლიტიკურ ალღოში და მაღალი შეფასება (როგორც მატერიალური, ისე სიტყვიერი) მისცა როსტომის განზრახვას. საქორწინო გარიგებით დიდად კმაყოფილი იყო ოდიშის მთავარიც, რადგან ამ გარიგებით მოყვრებმა შუაში მოიქციეს იმერეთის მეფე, მისი მემკვიდრე ალექსანდრე და, რაც მთავარია, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა იმერეთში თავშეფარებული თეიმურაზი.

საყურადღებოა, რომ როსტომმა მარიამზე დაქორწინების განზრახვა შაჰთან შეათანხმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მას, როგორც შაჰის ვასალს, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება არ ჰქონდა[2]

იმერეთის სამეფო კარმა, რომელიც სწორად აფასებდა ლევანისა და როსტომის კავშირის უარყოფით შედეგებს, ყველაფერი იღონა ქორწილის ჩასაშლელად, მაგრამ დადებითს ვერაფერს მიაღწია. უარყოფითი კი ის იყო, რომ იმერეთის მეფე გიორგი III დადიანის ორწლიან ტყვეობაში აღმოჩნდა და მუდმივად გამანადგურებელ თავდასხმებს განიცდიდა იმერეთის მოსახლეობა.

ამ ქორწინების შედეგებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იყო ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც ხმა გავრცელდა, თითქოს როსტომ მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრების მხარდაჭერითა და 30 ათასი ყიზილბაშით შავი ზღვის სანაპიროზე გონიოსა და ტირებულუზე თავდასხმას აპირებდა[3]. ამგვარი ან მიმსგავსებული სამხედრო აქცია სინამდვილეში არ განხორციე-

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 21.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 318.

[3] ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 364

ლებულა, მაგრამ ირანსა და მის ქართველ მოკავშირეებს, სავარაუდოა, განზრახული ჰქონოდათ ოსმალები შავი ზღვის სანაპიროზე შეევიწროებინათ.

თეიმურაზმა, 1634 წელს ზაალ არაგვის ერისთავის, იასე ქსნის ერისთავისა და კახეთის თავადების მხარდაჭერით, როსტომის ქართლიდან განდევნა სცადა, მაგრამ გორის მახლობლად, არცევთან, ბრძოლაში მარცხი განიცადა. მან ქართლი მიატოვა და კახეთში გადავიდა. შაჰი დარწმუნდა, რომ ირანზე ოსმალების თავდასხმის საშიშროება არ არსებობდა და როსტომს აზერბაიჯანიდან მაშველი ძალა გამოუგზავნა. როსტომი ქართველთა და ყიზიბაშთა ლაშქრით კახეთში შეიჭრა. თეიმურაზი იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, მას „წინგნიც ასრე მოეწერა: თავად ნათესავნი ვართო და მერმე ბატონი დედოფალი თქვენი ბიძისშვილი არისო და არც თქვენა გყავს შვილიო და ერთის მეტი არც მე მყავსო და დიდის მეფის ლვარსაბისაო რომ თათართ აწამესო თქვენის მეტი მისგან აღარვინ დარჩენილაო და ბატონის ლევანისაგანო ჩემის მეტი აღარავინ არისო და ყიზილბაშთაგან მრავალი ძალი და უსამართლო მჭირსო. თუ რომ კიდევაც დამეშავებინოს რამეო, შიშით მიქნიაო და თქვენი თავადები რომელიც ჩვენთან არიანო, ფიცით შემოგარიგებთო და ჩემს თინათინს თქვენის ბრძანებით შაჰსეფის ყაენს ვაახლებო და შვა შემოდითო, ჩემს აოჭრებულ სამკვიდროზე დამაყენონო“[1].

ამონარიდიდან ნათლად ჩანს, თეიმურაზ მეფის როსტომისადმი, როგოც ქართლის მმართველისადმი დამოკიდებულება. მას როსტომი არ მიაჩნია როგორც თავისი თანაბარი მეფე და პოლიტიკური მოდვაწე, მისი გაგებით როსტომი შაჰის მარიონეტია და არ ძალუძს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ იგი როსტომს, როგორც ნათესავს და არა როგორც ანგარიშგასაწევი სახელმწიფოს მეთაურს, შაჰთან შუამავლობას სთხოვს.

როსტომი კი, მოპოვებულ სამხედრო წარმატებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და შაჰის წინაშე თავს იწონებდა. მან

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 244.

„ქვეყნის დამშვიდებისა და ჩხუბიანთ დაწყნარებისათვის ყაენს მისწერა და იმათაც ეამებინა და ყაენის ასრე ბრძანება მოუვიდა – თქვენი შერიგება გვიამაო, კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინი დიდის პატივით გამოისტუმრეთო“[1]

თეიმურაზი მიცემული პირობის ერთგული დარჩა, როსტომს კახელი თავადები და თავისი ასული თინათინი გადასცა. ყველა ისინი როსტომმა შაჰთან გააგზავნა. სინამდვილეში, კახელი თავადები და თეიმურაზის ასულიც მძევლები იყვნენ.

თეიმურაზ მეფის მიერ მორჩილების გამოცხადებით კმაყოფილმა შაჰმა თეიმურაზს „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ჭალათი გაუგზავნა და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე რომ, რაც ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვინდვიათო და ამას უკან შენ და როსტომ მეფე შერიგდითო, ჩვენ გვეამებისო და ორთავ მრავალს წყალობას გიზამთო და ასრე კიდევ მეფის როსტომისათვის ებრძანა“[2].

დამყარებული მშვიდობა როსტომმა ნაყოფიერად გამოიყენა. მან ქართლის ის თავადები, რომლებიც ერთ დროს თეიმურაზის მომხრეები იყვნენ, შემოირიგა. მაგრამ მშვიდობიანობამ დიდხანს არ გასტანა. თეიმურაზი ვერ ეგუებოდა როსტომის ქართლში ბატონობას და ყოველი საშუალებით ებრძოდა. მას მხარს უჭერდა ქართლის მსხვილი თავადების ერთი ნაწილიც. მათ ხან შეიარაღებვული გამოსვლა მოაწყეს, ხან შეთქმულების გზით როსტომის მოკვლა მოინდომეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს[3].

როსტომს, როგორც ჩანს, უნდოდა თეიმურაზთან ერთხელ და სამუდამოდ ურთიერთობა მოეგვარებინა, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილ ვითარებაში ბრალს მთლიანად თეიმურაზს აკისრებდა, ქვეყანაში მშვიდობის დამყარებისათვის, მზად იყო დათმობებზე წასულიყო. მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებში შედიოდა. ასე აღწერს როსტომი თეიმურაზის მოქმედებას და თავის პსუხს: „იყო კახი ბატონი იმარეთს. ჩხუბისა და ავი საქმისაგან თავი არ აიღო და

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 245-251

არც დასწყნარდა: კახეთში ჩამოვიდა მთის გზიდამე. მრავალს ადგილს ჩ˜ნი თავს დასხმა და ღალატი მოინდომა და ჩ˜ნ განაღამც ***ბატონის სისხლსა ვსთხოვდით*** და ქუჩყანას ურბევდით და ბევრი ავი საქმე უყავით“[1].

საინტერესოა, რომ როსტომი თეიმურაზს სვიმონ-ხანის მოკვლისათვის სასისხლოს სთხოვდა და ამისათვის „ქვეყანას“ ურბევდა. გამოდის, რომ როსტომს თეიმურაზთან რაიმე პოლიტიკური პრეტენზია კი არა ჰქონდა, არამედ უსამართლოდ შელახული გვაროვნული ღირსების აღდგენა უნდოდა და ამისათვის მატერიალურ კომპენსაციას ითხოვდა. ერთი პირობა, მათ შორის კათალიკოსი, ბერები, ერისთავები და თავადები ჩადგნენ, მათი მორიგება სცადეს და კომპრომისული წინადადება შესთავაზეს: მეფეებს შორის ორი წლის განმავლობაში ყოველგვარი სამხედრო დაპირისპირება უნდა შეწყვეტილიყო, ამის შემდეგ კი სასამართლო მოეწყობოდა და რასაც გადაწყვეტილებას მიიღებდა „ბატონის სისხლი იმგვარად მოიკითხეთო. დაგვიდვა კახმა ბატონმა თეიმურაზ სანდოთ საფიცრით სოფელი გავაზი და სოფელი კისისჭევი, ჩუჩნის თავადისშჯლებისა და გლეხების მოცემას დაგუპირდეს. ჩუჩნც რომელიც საფიცარი მივეცით და ან პირობა და დაუდევით ყუელაკა გაუთავეთ, და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგუცა არც ერთი არ გაგჯთავა“ – გადმოგვცემს როსტომ მეფე[2].

მოჰამედ თაჰერის მიხედვით, როსტომის წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება მოეწყო, რომელთა ორგანიზატორი კახეთის მეფე თეიმურაზი იყო, რომელსაც ქართლის ტახტის დაბრუნება უნდოდა. შეთქმულება 1642 წლის ახლო ხანებში მოეწყო, რომელშიც მოჰამედ თაჰერის მიხედვით, მონაწილეობდნენ ზაალ არაგვის ერისთავი, ნოდარ და იოთამ ამილახვრები. სპარსელი ისტორიკოსი შეთქმულების მიზეზს არ ასახელებს. შეთქმულებმა მკვლელი მიუგზავნეს როსტომს, მაგრამ მისმა მცველებმა შეიტყვეს და მკვლელმა გაქცევით უშველა თავს[1].

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 463.

[2] იქვე.

[1] მოჰამედ თაჰერი, გვ. 380.

უფრო ფართო და ორგანიზებული იყო მეორე, 1642 წლის შეთქმულება. თეიმურაზმა „იდუმალ კი უფრო გააღვივა შფოთის ცეცხლი და ზაალ ერისთავთან, ნოდართან და ქართლის კათალიკოზთან ერთად, რომელიც იმ ურწმუნოთა სრულუფლებიანი პირი და წიმამძღვარია, გადასწყვიტა, რომ როსტომ–ხანი მოეკლათ, მათ ამ საქმეში მოკავშირედ გაიჩინეს მელიქი ყორხამასი, სომხითის მელიქ ათაბეგის შვილი“[2]. როგორც მოჰამედ თაჰერის ნათქვამიდან ჩანს, შეთქმულებს, რაიმე გარკვეული მიზეზი როსტომის მოკვლისა არ ჰქონდათ. მაშინ, როდესაც ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს: როდესაც უშვილო როსტომს მისივე თხოვნით შაჰმა მემკვიდრედ მისი ბიძაშვილის შვილი ლევანი გამოუგზავნა, ამით უკმაყოფილო გიორგი გოჩაშვილი, რომელიც ქართლის მეფობას თვითონ უმიზნებდა, თეიმურაზმა და ზაალ არაგვის ერისთავმა წაიქეზეს, გადაიბირეს კათალიკოსი დიასამიძე, რევაზ ბარათაშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზბეგი. ისინი ყველანი „გოჩაშვილს ატყუებდენ, თორადა ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდა“. როსტომი მაშინ ცხირეთს იდგა, შეთქმულები მის გამოტყუებას და ბრძოლაში მოკვლას ფიქრობდნენ, მაგრამ ყორხმაზბეგმა როსტომს შეთქმულების მზადების შესახებ აცნობა. როსტომი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულების მონაწილეებს, თეიმურაზი კახეთში დაბრუნდა. როსტომმა ყოველივე შაჰს მისწერა, რომელმაც მრავალი საჩუქარი და ადამ სულტან ანდრონიკაშვილი, მისი დისშვილი, დიდი ლაშქრით გამოუგზავნა. შაჰის ბრძანება იყო: „ვინც როსტომ მეფის ურჩია და მაწყინარი, შვადამ ამოიღონ და ბატონი თეიმურაზ გაგდონ და მისს ალაგზედ კახეთში ადამ სულტან გააბატონონ“[1]? თეიმურაზი კვლავ იმერეთში გადავიდა.

1642 წელს თეიმურაზ მეფემ ქართლის სამეფოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოსკოვის ელჩს ე. მიშეცკის უთხრა, რომ როსტომ მეფის მმართველობით შეწუხებულმა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებმა იგი სათათბიროდ მიიწვიეს და, როდესაც რუს ელჩებს მოსკოვში გაუშვებს, მაშინვე წავა ქართლელებთან სათათბიროდ. თეიმურაზის მიხედვით,

---

[2] იქვე, გვ. 381,

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 250; მოჰამედ თაჰერი, გვ. 381-382.

როსტომს ირანიდანაც მხარდაჭარა აღარ ჰქონდა. ამიტომ იგი იძულებული გახდა თეიმურაზისათვის სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება შეეთავაზებინა[1].

კახეთის მეფის ეს ბოლო ნათქვამი, როსტომისაგან მშვიდობის შეთავაზების შესახებ, დასტურდება ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით. როსტომ მეფემ თეიმურაზს შეუთვალა, რომ მათ შორის მშვიდობის დამყარებისათვის მოლაპარაკებაში ჩაერთოთ იმერეთის მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრები და ახალციხის ფაშა, „გავიბრჭნეთ და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთო და ქვეყანანიც მოვასვენოთო“. მაგრამ თეიმურაზმა უარყო ეს წინადადება. ის სოფლებიც, რომლებიც დროებითი მშვიდობისათვის ჰქონდა ჩადებული ისევ წაართვა, მოხელეებიც გამოუყარა და როსტომს შუთვალა: „შენის ძმისწულის მეფის სვიმონის მკვლელი ზურაბ ერისთავი იყო და მე მოვჰკალო, თქვენ კიდეც უნდა დამიმადლოთო, თოარადა ჩემთან სხვა რა საბჭო გაქვთო. თქვენი მესისხლე ეგ არისო... თუ სისხლს ჰკითხულობო, მესისხლის ძმებსა და სახლის კაცებს მოჰკითხეთო“ [2].

მეფეებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. როსტომი თეიმურაზს პირობის შეუსრულებლობაში სდებდა ბრალს. ორივე მხარე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

თეიმურაზი დამარცხდა. მისი ერთადერთი ვაჟი დავითი ქიზიყში ყიზილბაშებს ტყვედ ჩაუვარდათ და მოკლეს. ეს იყო როსტომის უდიდესი გამარჯვება.

როსტომის სიგელში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ოფიციალურად მუსლიმანი მეფის მიერ, თეიმურაზზე გამარჯვებისათვის სვეტიცხოვლისათვის მადლობის გადახდა: „შემოგიარეთ სუეტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქუენსა და ღაღადებით შენგან შეწევნა ვითხოვეთ... კურთხეულხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისმპყრობელო ღ˜თო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახუე“[3].

---

[1] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643). Издание М. Полиевктова, Тб., 1928, с. 151-152.

[2] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 255.

[3] ქრონიკები, II, გვ. 463.

თეიმურაზი შეპყრობასა და სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ დაკარგა რაც კი რამ გააჩნდა. თეიმურაზის უბედურების ამგვარ ფონზე, ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს როსტომის რაინდული ბუნებისათვის დამახასიათებელ ერთ მაგალითს: დამარცხებული თეიმურაზი ყველამ, თავისმა კახელებმაც კი მიატოვეს, მას წასასვლელი გზა და გადაადგილების საშუალება აღარ აქვს. ამ დროს როსტომთან მივიდნენ კახელები და თეიმურაზის შეპყრობა შესთავაზეს. „ეს მეფემ უწყინა და ავად ჩამოართვა და ასე უბძანა–იმისი დაზრდილნი ჭართო, იმას რა კარგი უყავითო, რომ ჩვენ გვიყოთო. დაჭირვა შორს დაიჭირა... მეფემ წამოთქვა და ბრძანა: რა ქვეყანა დაარსებულაო, ამგვარი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქმნიათო, რომ ახლა ბატონს თეიმურაზსზედ ქნესო“[1]. როდესაც თეიმურაზს როსტომის ნათქვამი მოახსენეს (სავსებით მოსალოდნელია ისინი როსტომის მიერ მიგზავნილნი იყვნენ), ამის შემდეგ თეიმურაზის მეუღლე, დედოფალი ხორეშანი, რომელიც როსტომის ბიძაშვილი იყო, მას ეწვია და იმერეთისკენ გზის მიცემა და ცხენი და ჯორი სთხოვა. როსტომმა კახეთის მეფე-დედოფალს ყველაფრით ხელი გაუმართა და იმერეთისკენ გაისტუმრა. თვით როსტომი ამ ეპიზოდს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ბატონს თეიმურაზს ბიძის ჩ˜ნის მეფის სჯმონის ქალი ედგა; მოვიდა დ˜ფლი ხურაშან და მუჴლს გამოგუცხჯა, ამას გუცხუცწა, თუ ერთი წუცთი სისხლი გუაპატივე და შენს სიძეს გზა დაანებეო. რადგან ბიძის ქალი იყო ჩ˜ნი აღარა გაეწყობოდა რა, გზა მივეცით და იმერეთს გავაგდეთ: კახნი და დარბაისელნი ერთგულობაზე ვაფიცეთ და კახეთი ნასისხლად დავიჭირეთ, ყაენს მახარობელი გაუგზავნეთ და გამხიარულებულიყო, კახეთი ყაენმაც გჯბოძა“[2].

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობი როსტომის ჰუმანიურობის შასახებ, გარკვეული გაგებით, სიმართლეს შეეფერება. ფარსადანი თავის თხზულებაში რამდენჯერმე აღნიშნავს ამის შესახებ[3]. ერთი რამ ცხადია, როდესაც როსტომი საქართველოში

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 256.

[2] ქრონიკები, II, გვ. 464.

[3] აი ორიოდე მაგალითი: „მეფე (როსტომი – ე. მ.) ანაგებად გულმოწყალე კაცი იყო და ადრე შეუნდობდა ორგულთა და დამნაშავეთა. გაჭირე-

მოვიდა 67 წლისა იყო და, ბუნებრივია, მას ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება ჰქონდა. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „ხოლო ესე როსტომ იყო მოჰმადიანი და მუნ აღზრდილი, რამეთუ, ოდეს მოვიდა მეფედ, ჲ˜ზ წლისა იყო, საქმით ხუანჯიანი სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდიდარი; რამეთუ ჰქონდა ყულარაღასობა ყეენისა, მოურაობა ისპაანისა და ნიჭვიდა ყეენი ურიცხუსა, და უჴმობდა მამად“[1]. იგი უფრთხილდებოდა ქვეყნის მოსახლეობას და ცდილობდა სამეურნეო ცხოვრება მშვიდობიანად განვითარებულიყო. როსტომ მეფე და დედოფალ მარიამი დიდ ყურადღებას იჩენდნენ ეკლესია-მონასტრებისადმი და მამულებსა და ყმებსაც სწირავდნენ[2]. ყველაფრისდა მიუხედავად, მა-

---

ბულთა და შეღონებულთა შველა იცოდა, მედიდურთ პატივის მდები იყო, ნამეტნავად მანდილოსანთა. ქვრივ ობოლთა და გლახათ სარჩოს გაუჩენდა, ნამეტნავად თავისიანთა“ (გვ. 245). „მეფე (როსტომი – ე. მ.) მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჭკვიანი, მონახული ბატონი ბრძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა, თავად ყმათ დაფრთხობა არ უნდოდა“ (გვ. 246). ფარსადან გორგიჯანიძის როსტომისადმი სიმპათიების გამომჟღავნება სრულიად გასაგებია. იგი როსტომის კარზე აღიზარდა, მისი დიდი ნდობით სარგებლობდა და მის დავალებებს წარმატებით ასრულებდა. ქართლში გამეფებული როსტომი კვლავ ისპაანის მოურავად ითვლებოდა. ბუნებრივია, როსტომი ამ საპასუხისმგებლო სახელოს ჯეროვნად ვერ გაუძღვებოდა. მან შაჰს თავის შემცვლელად ფარსადანის კანდიდატურა შესთავაზა. შაჰი დასთანხმდა იმ პირობით, რომ ფარსადანი ისლამს მიიღებდა. მან შაჰის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ისპაანის მოურავი გახდა. ფარსადანმა თავი ვერ გაართვა თავის მაღალ თანამდებობას, მას მექრთამეობაში დასდეს ბრალი და მალე გადააყენეს (მოჰამედ თაჰერი, გვ. 386; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II (1801-1921), გორი, 1999, გვ. 371-372).

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 438.

[2] ვახუშტის მხედველობიდან არ გამორჩენია როსტომის მმართველობის უარყოფითი შედეგები. კერძოდ, ის მიუთითებდა ირანიდან როსტომს თანმოყოლილი გამაჰმადიანებული ქართველების მიერ ქართული საზოგადოებისათვის უცხო ჩვეულებების შემოტანა და მათი გავრცელება: „ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ჴორცთ-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღუდელმთავარნიცა და ჰყოფდენ უჯეროთა“. იქვე, გვ. 439.

ინც განსაკუთრებული, თითქოს არაპროგნოზირებადი იყო როსტომის მოქმედება თეიმურაზის მიმართ, რაც ერთი შეხედვით გაკვირვებასაც იწვევს. როსტომის თეიმურაზისადმი „ლმობიერ“ დამოკიდებულებას სწორი ახსნა მოუძებნა გ. ჯამბურიამ: „საფიქრებელია, რომ როსტომის საქციელი უნდა აიხსნას არა მისი „რაინდობით“, არამედ უფრო სხვა და ღრმა მიზეზებით. ჭკვიანი პოლიტიკოსი როსტომი, ეტყობა კარგად გრძნობდა, რომ თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ რამდენადმე განაპირობებდა შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი აღარ იქნებოდა და კახეთში ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანი როსტომისაგან უფრო მეტს მოითხოვდა – ე. ი. ეცდებოდა ქართლიც, კახეთის მსგავსად, სახანოდ გადაექცია და შესაძლოა თვით როსტომიც ყიზილბაში ხანით შეეცვალათ. შაჰის გადაწყვეტილება, კახეთი როსტომისათვის გადაეცა, უთუოდ იმან განაპირობა, რომ თეიმურაზი შეპყრობილი არ იყო და მას კიდევ ჰქონდა საშუალება ბრძოლის გაგრძელებისა. ასეთ ვითარებაში შაჰისთვის როსტომი ყველაზე მეტად სასურველი კანდიდატი იყო, რომლის ზომიერი პოლიტიკა როგორც ირანისათვის, ისე ქართველებისათვის ასატანი იყო“[1].

თეიმურაზის კახეთიდან განდევნის შემდეგ, როსტომი ქართლ-კახეთის მეფე გახდა. საბოლოოდ როსტომმა გაიმარჯვა, რაც მის მიერ ქართველობისადმი გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგი იყო. როსტომმა ქართულ საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობა უცვლელად დასტოვა. „მის დროს არც ქრისტიანობა განიცდიდა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა“[2].

როსტომ მეფის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის შეწავლისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის და, იმავე დროს, საკამათო საკითხია, მის მერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩობის

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 325.

[2] ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, გვ. 348.

მიზნის დადგენა. სირთულე იქმნება ამ ელჩობის ამსახველი დოკუმენტის სიმცირე.

მ. პოლიევქტოვის მიერ მოძიებულ დოკუმენტში დასახელებულია როსტომ მეფის ელჩი მაჰმედ-ხან ბეგი, რომელიც მოსკოვში ჩავიდა და ხელმწიფეს მდიდრული საჩუქრები მიართვა[1]. როგორც ი. ცინცაძე სავსებით სწორად შენიშნავდა, „ერთ გარემოებას მაინც ხაზი უნდა გაესვას – როსტომ მეფის საგარეო პოლიტიკა ჩვენს ხელთ არსებული ძეგლებით, გარეგნულად მაინც, ისეთი თანმიმდევრული მოჩანს, რომ ელჩებისა და საჩუქრების რუსეთში გაგზავნა ირანის შაჰთან შეთანხმების, ან თვით შაჰის დავალების გარეშე მომხდარი ფაქტი არ უნდა იყოს. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოება, რომ როსტომ მეფის ამ ელჩობის გამო შედგენილი საქმე საგარეო საქმეთა საგანგიოში შესანახად „Дела грузинские“-ს ფონდში კი არ მოხვდა, არამედ „Дела персидские“-ს ფონდში“[2]. ეს კი, ი. ცინცაძის აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ***რუსეთში ამ ელჩობას ირანის ვასალის მიერ გამოგზავნილად თვლიდნენ***, რაც სრულ სიმართლეს შეეფერებოდა.

---

[1] 4 შესანიშნავი ცხენი, ორი ათ-ათ არშინიანი ხალიჩა, 2 ცხრა-ცხრა არშინიანი ფარდაგი, ცხენის 2 თეთრი გადასაფარებელი დამზადებული კონსტანტინოპოლში, სუფრის ორი ძვირფასი გადასაფარებელი, 2 დიდი ვეფხვის ტყავი, ორი მოქარგული თოქალთო[1] ასევე კონსტანტინოპოლში დამზადებული, ინდური ნახელავი ოქრომკერდით მოქარგული მშვილდის ბუდე, ინდური ოქროსვარაყიანი მშვილდი, ინდური ექვსწახნაგა იარაღი ოქრო-ვერცხლით მოსევადებული, თათმანები, ესპანური ფოლადის ძვირფასი სატევარი ოქრო-ვერცხლით მოსევადებული, ესპანური ხელნაჯახი ოქრო-ვერცხლით მოსევადებული, თავრიზული თოფი ძვირფასად შემკული, 8 ნაჭერი ეზდის ზოლებიანი ფარჩა, 3 თურქული, მოოქრული და თვლებით შემკული დოლი, ოთხი ფირუზით გაწყობილი სამკაული, პატრიარქისათვის ერთი ჯორი. Полиевктов М., К вопросу о сношениях Ростома Карталинского с Москвою. „ენიმკის მოამბე“, V-VI, 1940.

[2] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 260.

უკვე აღინიშნა, რომ როსტომ მეფის მიერ ელჩის გაგზავნა მოსკოვში, ფრიად საინტერესო და იმავე დროს მოულოდნელი იყო. როსტომმა, რა თქმა უნდა, იცოდა მისი უმთავრესი მეტოქის, თეიმურაზის ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან. მან, როგორც ითქვა, ძლიერ განიცადა თეიმურაზის მიერ უფლისწული ერეკლეს მოსკოვში გაგზავნა და სცადა კიდეც მისი ამ გეგმის ჩაშლა. უმემკვიდრო როსტომმა ვერ შეეგუებოდა ქართლის, ან კახეთის, ან ქართლ-კახეთის ტახტი მოსკოვში გაზრდილ და, შესაბამისად, მოსკოვის ორიენტაციის მქონე ბატონიშვილ ერეკლეს დაეკავებინა. სერიოზულად დაზიანდებოდა ირანის ინტერესები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. შეიძლება როსტომი ასე უხსნიდა შაჰს ერეკლე უფლისწულის მოსკოვში გაშვების უარყოფით შედეგს. თუმცა შაჰს რა ახსნა უნდოდა. მოვლენის ასე განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, მისთვის ისედაც ნათელი იქნებოდა. როსტომს სხვა რამეც აწუხებდა. მას უნდოდა ქართლში თავისი გამეფება ისე წარმოეჩინა, როგორც კანონიერი მემკვიდრის, როსტომის, მიერ უსამართლოდ დაკარგული ტახტის დაბრუნება.

არავითარი წერილობითი ცნობა არ გაგვაჩნია, მაგრამ უეჭველი მგონია, რომ როსტომისა და შაჰ აბას II-ის მიერ შემუშავდა გეგმა, რომლითაც ქართლის სამეფოს რუსეთთან დიპლომატიური კონტაქტი იმდაგვარად უნდა წარმოჩენილიყო, ვითომდაც როსტომი დამოუკიდებლად, შაჰის კარისაგან საიდუმლოდ, ამყარებდა დიპლომატიურ ურთიერთობას მოსკოვთან.

ჯერ მ. პოლიევქტოვმა, მასზე დაყრდნობით კი ი. ცინცაძემ, განავითარეს მოსაზრება, რომ როსტომს თავისი საიდუმლო აგენტის საშუალებით კავშირი ჰქონდა იმერეთში მყოფ მოსკოვის ელჩ ნიკიფორე ტოლოჩანოვთან, რაც თეიმურაზისათვისაც ცნობილი იყო. თითქოს ამიტომ ემუქრებოდა დევნილი მეფე რუს ელჩს, რომ იგი სახინკლე ხორცივით აკუწვას იმსახურებდა. ნიკიფორე ტოლოჩანოვის გამყიდველობის შესახებ თეიმურაზმა მოსკოვის მეფესაც აცნობა: იგი მეორე მხრისაგან ფულს იღებდაო[1]. მაგრამ თეიმურაზი არ აზუსტებს, ვინ იყო ის ვინც, იმისათვის, რომ თეი-

---

[1] Переписка, с. 70

მურაზისა და რუსი ელჩების მოლაპარაკება ჩაშლილიყო და უფლისწული ერეკლეს მოსკოვში წასაყვანად ტოლოჩანოვს გაზაფხულამდე არ დაეცადა, ამ უკანასკნელს ფულს აძლევდა? მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას თუ გადავხედავთ, უეჭველია ყურადღება როსტომზე შეჩერდება.

მ. პოლიევქტოვმა, როსტომსა და ტოლოჩანოვს შორის იმ კურიერად, ვისაც საიდუმლო წერილები მიმოჰქონდა, სომეხი ვაჭარი შეშუ მიიჩნია. მან ელჩებს რუსულად დაწერილი ბარათი მიუტანა და განუცხადა, რომ ეს ბარათი თბილისადან ჩემმა კაცმა ჩამოიტანაო[1].

ნიკიფორე ტოლოჩანოვი იმ წერილის ავტორსა და შინაარსსაც გვამცნობს: წერილი დაწერილი იყო რუსი ხატების მხატვრის ივანე დანილოვის მიერ, რომელიც როსტომ მეფის ტყვეობაში იყო და რაიმე საშუალებით განთავისუფლებას ითხოვდა. ის ელჩებს იმასაც ატყობინებდა, რომ „მეფეების თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეების და მათი სამეფოების შესახებ ბევრი რამ იცის, რაც მის უდიდებულესობას სრულ[იად] რ[უსეთის] ხ[ელმწიფე] მ[ეფის] და დ[იდი] მ[თავარის] ა[ლექსი] მ[იხეილის] ძის საქმეებს შეეხებაო“[2].

რუსი ხატმწერები კოსტრომელი ივანე დანილოვი და ყაზანელი სემიონ სავინი თედორე თედორეს ძე ვოლკონსკის და არტემ ხვატოვის ელჩობას ჩამოჰყვნენ საქართველოში და თეიმურაზის თხოვნით აქვე დარჩნენ. მოსკოვიდან საქართველოსკენ მომავალ რუს ელჩებს მიშეცკისა და კლუჩარევს დაევალათ, რომ უკან წამოსვლისას ხსენებული მხატვრები მოსკოვში წაეყვანათო[3]. როგორც ჩანს, დასახელებულმა ელჩებმა, 1643 წელს, უცნობი მიზეზის გამო, დავალება ვერ შეასრულეს. სავარაუდოა, მხატვრები თეიმურაზმა არ გაუშვა. თეიმურაზის იმერეთში გადასვლის შემდეგ მხატვრები როსტომის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. დანილოვს სამშობლოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ისეთი დაბრკოლება

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 77.

[2] იქვე. შემოკლებათა გახსნა ჩემია – ე. მ.

[3] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643). Издание М. Полиевктова, Тб., 1928, с. 53.

შეექმნა, რომლის მოგვარება ტოლოჩანოვმა და იევლევმა ვერ შეძლეს. დანილოვთან ერთად ჩამოსული მეორე მხატვარის შესახებ არაფერია ცნობილი. როგორც ჩანს, შაჰ აბას I-ის ლაშქრობების დროს დაზიანებული ეკლესია-მონასტრების აღდგენით დაინტრესებულ როსტომ მეფის მეუღლეს მარიამ დედოფალსაც ოსტატის გაშვება არ უნდოდა.

რუსი ელჩები თბილისელ ვაჭრებს საიდუმლოდ მოელაპარაკნენ და ივანე ოსტატის გამოსყიდვა სთხოვეს. ვაჭრებმა განაცხადეს: „თბილისის ხანი როსტომი მაჰმადიანია, მაგრამ ცოლი მისი ქრისტიანად იწოდება და ახლა მისი ბრძანებით ეს ივანე ოსტატი დანილოვი ტაძრის კედლის მოხატვაზე მუშაობს, სადაც მას საგანგებო მცველები სდარაჯობენო“[1].

იმავე დღეებში სომეხმა ვაჭარმა შეშუმ ელჩებს კიდევ გადასცა ივანე დანილოვის სამი წერილი, რომლებშიც, კვლავ, მის განთავისუფლებაზე თხოვნა იყო. „იმავე მხატვრისაგან გადმოგვცა რუსულად ნაწერი ბოიარის, თავად ივანე ბორისის ძე ჩერკასკის პასუხი, – ამბობს ტოლოჩანოვი, – მიტროპოლიტად წოდებული ნიკიფორე ქართველი ელჩი რომ მოსკოვში იყო“[2].

მ. პოლიევქტოვი ფიქრობდა, თითქოს როსტომის მიერ ინსპირირებულმა დანილოვმა ტოლოჩანოვს გაუგზავნა ნიკიფორე მიტროპოლიტის ჩერკასკისთან საიდუმლო მოლაპარაკების ოქმი[3]. სინამდვილეში ნიკიფორესა და ჩერკასკის შორის მოლაპარაკება კი არა, ჩერკასკის მიერ ნიკიფორეს საიდუმლო საკითხების „გამოკითხვა“ იყო. „გამოკითხვა“ შედგა 1636 წლის 26 მაისს. მას ესწრებოდა დიაკი ფეოდორ ლიხაჩევი[4]. „გამოკითხვის“ დროს რუსმა მოხელეებმა ნიკიფორესაგან მოისმინეს ყველა იმ საკითხების შესახებ, რითაც დაინტერესებული იყო ქართული მხარე, რა მოთხოვნებსაც იგი აყენებდა. საუბრის დასრულების შემდეგ, ყო-

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 77.

[2] იქვე.

[3] Полиевктов М., К вопросу о сношениях Ростома Карталинского с Москвою. ენიმკის მოამბე, V-VI, 1940.

[4] Полиевктов М., Материалы, с. 121

ველივე, რაც საიდუმლოდ ჩაითვალა, „განსაკუთრებით ჩაწერილი და აკინძულია [ნიკიფორეს] ადრე ნათქვამებთან ერთად“[1].

დგება კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა დანილოვის მიერ რუსი ელჩებისათვის მიწოდებულ მასალებს ნიკიფორე ბერძენის მოსკოვში საქართველო-რუსეთისათვის საინტერესო საიდუმლო საკითხებზე მოლაპარაკების შესახებ, როდესაც ამ მოლაპარაკების მასალები რუსი დიპლომატებისათვის ხელმისაწვდომად დაცული იყო მოსკოვში საგარეო საქმეთა პრიკაზში? ბუნებრივია, რუსი დიპლომატისათვის ამგვარი ცნობები ფასეული არ იქნებოდა. ამიტომ სამართლიანია ვიფიქროთ მეორე ვარიანტზე: ნიკიფორე ტოლოჩანოვი როსტომს აწვდიდა ცნობებს, თეიმურაზსა და ალექსანდრესთან თავისი მოლაპარაკების, განსაკუთრებით კი ბატონიშვილი ერეკლეს მოსკოვში გაგზავნის თაობაზე. ამგვარი ინფორმაციის მოპოვებით დიდად დაინტერესებული იყვნენ როგორც როსტომი, ისე შაჰ აბას II (1642-1666). უეჭველია, გასაიდუმლოებული, დიპლომატიური მოლაპარაკების მასალების გაცემისათვის ნიკიფორე ტოლოჩანოვი ფულს იღებდა „მეორე მხრისაგან“, რომელშიც შეიძლება მხოლოდ როსტომ მეფე ვიგულისხმოთ. საფიქრებელია, თეიმურაზის მუქარა ნიკიფორე ტოლოჩანოვის მექრთამეობისათვის დასჯის გამო, სწორედ ამით იყო განპირობებული[2].

---

[1] Там же, с. 123-124.

[2] არც ნიკიფორე ტოლოჩანოვი დარჩა ვალში თეიმურაზ მეფის წინაშე და ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობაში“ ცდილობდა თეიმურაზი წარმოეჩინა იმ პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელსაც პატივს არ სცემდნენ ქართველებიც კი. მისი თქმით, მაშინ, როდესაც თეიმურაზი სრულიად გასაგები მიზეზების გამო, თავს იკავებდა ერეკლე უფლისწულის მოსკოვში გაგზავნაზე, ვითომდაც ალექსანდრე III-ს ნიკიფორე ტოლოჩანოვისათვის შეუთვლია: „თეიმურაზის საქმეებთან მე ხელი არა მაქვსო, მის ჩვეულებას კარგად ვიცნობო, ეს პირველი არ არის, მისგან დანაპირების შესრულება ჯერ არავის გვინახავსო“ (ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 77).

თეიმურაზს რომ შეეძლო რუსი ელჩებისათვის ტყუილი ეთქვა, ნიკიფორე ტოლოჩანოვის გადმოცემით, ამის შესახებ, ვითომ, ალექსანდრე მეფეს მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვისათვის უთქვამს, რომ „თუ ვინიცობაა მეფე თეიმურაზმა თავისი შვილიშვილის დიდ ხელმწიფესთან გაშვებაზე თანხმობა განაცხადოს, მაგრამ მიზეზად ის მოიდოს, რომ სახსრე-

როგორც ითქვა, 1652 წ. აგვისტოში, დაპირების თანახმად, თეიმურაზმა ერეკლე/ნიკოლოზი თავის დედა ელენე დედოფალთან და ასკაციან ამალასთან ერთად მოსკოვს გააგზავნა. მგზავრებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს. ჩერკასსა და თერგს შორის მათ თავს დაესხნენ როსტომის მიერ წაქეზებული ყუმუხების რაზმები, რომლებმაც უფლისწულის ამალის წევრების ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი დაატყვევეს, ხელთ იგდეს მათი მთელი ავლადიდება[1]. მაგრამ გადარჩენილებმა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მეთაურობით, უფლისწულისა და დედოფლის თერგის ციხეში მიყვანა შესძლეს. უფლისწულმა თერგიდან მოსკოვში გაგზავნა ბერი თეოფანე, რომელმაც ხელმწიფეს წერილი მიართვა იმ უბედურების აღწერით, რომელიც უფლისწულს, თერგის მიდამოებში დეოდფალსა და მათ თანმხლებლებს დაატყდათ. ხელმწიფემ, დაზარალებულებს, იმავე თეოფანეს ხელით გაუგზავნა ზოგიერთი აუცილებელი რამ და ერეკლეს მისწერა, რომ ბოიარ ი. პ. პრონსკისა და ასტრახანის ვოევოდებს დაავალა, უფლისწული და დედოფალი ასტრახანში მიეღოთ და გაზაფხულზე მოსკოვში გასამგზავრებლად საჭირო გემებითა და გამცილებლებით უზრუნველეყოთ [2].

ერეკლესა და მის ამალაზე თავდსხმის შესახებ როცა შეიტყო თეიმურაზმა რუსეთის ხელმწიფეს ალექსი მიხეილის ძეს დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებდა, რომ ეს თავდასხმა როსტომ მეფის მოწყობილი იყო: „ყუმიკებს გაუგზავნა დიდი მოსაკითხი და შეუთვალა, რომ თეიმურაზმა თავის შვილიშვილი ბატონიშვილი დედასთან ერთად გაგზავნა, დაიჭირონ და მას გამოუგზავნონ, ის კი მათ ყიზილბაშთა შაჰს გაუგზავნის“[3]. თავის ადგილას განხილული წყაროებიდან კი ირკვევა, რომ როსტომი და

ბი არა აქვს და ცარიელი ხელით უფლისწულს ვერ გაამგზავრებს, ამის გამო მოლაპარაკებაზე ელჩები ნუ დაიშლებით, მე ჩემი ხაზინიდან საჭირო სახსრებს გავიღებ და დიდ ხელმწიფესთან მის უფლისწულს მე გავისტუმრებო“ (იქვე, გვ. 79)

[1] პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). „საისტორიო მოამბე“, 19-20, თბ., 1965, გვ. 445.

[2] იქვე. Переписка, с. X- XI.

[3] ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, გვ. 188.

შაჰ აბას II ქართველი უფლისწულის ხელში ჩასაგდებად ან მისი მოსკოვში არ გაშვებისათვის ერთნაირად აქტიურობდნენ.

ი. ცინცაძის მიხედვით, ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწის არსენი სუხანოვის ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნის ცნობა სწრაფად გავრცელდა, რამაც მუსლიმან მოსახლეობაში შიში გამოიწვია[1]. ი. ცინცაძე საინტერესო მოსაზრებას გამოსთქვამს: „მიუხედავად იმისა, რომ როსტომი გამაჰმადიანებული იყო პრინციპულად სრულიადაც მოულოდნელი არ არის როსტომის რუსეთზე ორიენტირების გზად დადგომის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ კი იგი რუსეთს ისე ძლევამოსილად მიიჩნევდა ამიერკავკასიაში, რომ მასზე დაყრდნობით ქართლის სამეფოს არსებობას ისეთი საფრთხე არ დაემუქრებოდა, როგორიც კახეთს შეემთხვა“[2].

საეჭვოდ მეჩვენება, რომ როსტომს რაიმე სერიოზული განზრახვა ჰქონდა რუსეთთან პოლიტიკური ან ეკონომიკური კავშირის დამყარების თაობაზე. როსტომის მხრიდან ამგვარი ნაბიჯის გადადგმა შაჰის კარის მიერ აუცილებლად აღიქმებოდა როგორც ღალატი და მოღონიერებულ და დამშვიდებულ ქართლ-კახეთში თეიმურაზ მეფის დროინდელი ყიზილბაშთა თავდასხმები განახლდებოდა. მართებულია ი. ცინცაძის მიერ სხვა ნაშრომში გამოთქმული ვარაუდი, რომ „როსტომის ეს ელჩობა ირანის შაჰის განკარგულების ან თანხმობის გარეშე არ უნდა იყოს მოწყობილი. როსტომი თეიმურაზივით განდგომილი, ირანის მორჩილებიდან გამოსული მფლობელი არ უნდა იყოს, არც ამ წლებში“[3].

როსტომ მეფის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნა რომ შაჰის კართან შეთანხმებული იყო, გაზიარებულია ყველა მკვლევრის მიერ[4]

---

[1] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 265.

[2] იქვე, გვ. 266.

[3] ცინცაძე ი., ვასილ გაგარას და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 36.

[4] Полиевктов М., К вопросу о сношениях Ростома... с Москвою, с. 523; ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 261; Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968, с. 177-178; ჯამბურია გ., კომპრომისი ირანისა და

უეჭველია როსტომი შაჰის დავალებით მოქმედებდა, მაგრამ იმის დაშვებაც შეიძლება, ჭკვიან როსტომს, რუსეთ-ირანის დაძაბული ურთიერთობის დროს, შაჰისათვის შეეთავაზებინა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში მონაწილეობა თვითონ, ქართლის მეფესაც მიეღო. მისთვის სრულიად ნათელი იქნებოდა, რომ ირან-რუსეთის დაძაბული ურთიერთობის შენარჩუნება გამოიწვევდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მოსკოვთან კიდევ უფრო დაახლოებას თეიმურაზის მეთაურობით (XVII ს. 40-იან წლებში ოსმალეთის გავლენის სფეროში მყოფმა იმერეთის სამეფომ რუსეთთან ურთიერთობა დაამყარა, ხოლო 1651 წელს კი მის ქვეშევრდომობაში შევიდა), რაც ხელს არ აძლევდა არც როსტომს და არც შაჰ აბას II-ს. მით უმეტეს, მაშინ როდესაც თეიმურაზმა რუსეთის ხელმწიფესთან უფრო დაახლოებისათვის კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა, ერეკლე უფლისწული მოსკოვში გაგზავნა.

რადგან ვერ მოხერხდა ერეკლე უფლისწულის მოსკოვში გაგზავნისათვის ხელის შეშლა, როსტომი და შაჰ აბასი ცდილობდნენ მისი რუსეთის სატახტოში ჩასვლის მნიშვნელობა, რაც შეიძლებოდა შეესუსტებინათ. ამ მიზანს ემსახურებოდა როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნა.

მუსლიმანი როსტომი ხომ ქრისტიანული ქვეყნის მეფე იყო, რასაც რუსეთისათვის მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თანაც მას მონაწილეობა არ მიუღია რუსეთ-ირანის კონფლიქტში. როსტომის ჯარი არ მონაწილეობდა არც იმ სამხედრო ღონისძიებაში, როდესაც შაჰის ბრძანებით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანი მმართველების, დარუბანდის, დაღესტნის და წახურის რაზმები ხოსროვ ხანის დროშის ქვეშ შეიკრიბნენ და რუსების მიერ აგებული ყველა ახალი ციხე დაანგრიეს. ეს ამ-

---

ქართლის ურთიერთობაში. როსტომ ხანი და თეიმურაზ მეფე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 327; ტივაძე თ., ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტ. სერია, №3, 1973, გვ. 117-118; კაჭარავა დ., ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XVII ს-ის I ნახევარში. თეიმურაზ I-ის, გიორგი საკაძის, როსტომ I-ის დიპლომატია. წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 184-185.

ბები წინ უძღვოდა ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას. ხოლო რაც ციხე-ქალაქ თერგის სიახლოვეს უფლისწულსა და მის მხლებლებს გადახდა, ამაზე უკვე ითქვა. „ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართლიდან ელჩის გაგზავნით ირანის მთავრობას საშუალება ეძლეოდა ერთხელ კიდევ შეეხსენებინა მოსკოვისათვის, თუ ვის ხელში იყო რეალურად ეს ტერიტორია, რომლის მემკვიდრის იქ ჩასვლასაც აგრერიგად ელოდებოდნენ. „შაჰის პროვინციის ქალაქ თბილისის“ მაჰმადიანი როსტომ ხანისაგან გაგზავნილ მაჰმად ხან-ბეგს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აზრით, შაჰის ძლიერების დემონსტრირება უნდა მოეხდინა და ეჩვენებინა, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ირანის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ დიპლომატიური ნაბიჯით განსაზღვრული იყო თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკური პრესტიჟის შერყევა“ – წერდა თ. ტივაძე[1].

ასევე მისაღებად მიმაჩნია იმავე მკვლევრის მოსაზრება მაჰმად ხან ბეგის მოსკოვში ელჩობაზე, რომ იგი ოფიციალურად ირანისა იყო და ამდენად როსტომისაგან, როგორც დამოუკიდებელი მეფისაგან რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარების მიზნით ელჩის გაგზავნის დაშვება შეუძლებელია. „ამავე მიზეზით, მაჰმად ხან ბეგის ელჩობის მოთავსება საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ციკლში არ იქნებოდა გამართლებული“[2].

თუ ელჩობა მხოლოდ ნომინალურად იყო როსტომისა, მაშინ გასარკვევია, რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხმებს, რომლებიც ელჩობის მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშერებით გავრცელდა. როგორც არსენ სუხანოვის მოგზაურობის აღწერიდან ჩანს, მთელი ამიერკავკასიის მუსლიმანი მოსახლეობა შეშფოთებული იყო როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნის გამო, რადგან, მათ როსტომის ამგვარი მოქმედება შაჰისადმი ღალატის ტოლფასად მიაჩნდათ. სუხანოვი წერდა: „... თბილისიდან განჯამდე და განჯიდან შემახამდე მომავალ არსენს სხვადასხვა ხალხისაგან გზაზე ასეთი სიტყვები ესმოდა: როცა ჩვენ გვკითხავდნენ თბილისის ამ-

---

[1] ტივაძე თ., ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის, გვ. 118

[2] იქვე.

ბავს, რა ამბავია თბილისში, ჩვენ ასე გავიგეთ თითქოს როსტომ-ხანი (ირანის) შაჰს განუდგაო, ნუთუ ეს მართალიაო...“[1]

ვეთანხმები თ. ტივაძეს, რომ ირანის ხელისუფლებას არ აწ-ყობდა ასეთი ხმების გავრცელება, რადგან საქართველოში მისი ერთადერთი დასაყრდენი როსტომის შესახებაც თუ იტყოდნენ, რომ იგი ირანს განუდგა და რუსეთს მიემხრო, ამიერკავკასიაში რუსე-თის პოზიციისა და გავლენის გაძლიერებას, შესაბამისად კი, ირა-ნის პოზიციების შესუსტებას გამოიწვევდა[2]. მაშ რა ჰქონდა ჩაფიქ-რებული შაჰის კარს. მისთვის ხომ თავიდანვე იყო ცნობილი, რომ როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნა არ დაიმალებოდა?

შაჰისათვის არასასიმოვნო ხმების შეჩერების არავითარი საშუალება არ არსებობდა. ამიტომ შაჰი ამ ხმების თავის სასარ-გებლოდ გამოყენებას შეეცადა. მართალი იყო ნ. ნაკაშიძე, როდე-საც ფიქრობდა, რომ როსტომის ირანისგან განდგომის შესახებ ხმების გავრცელების ინსპირირებას შაჰი ახდენდა, რათა არაპირ-დაპირი გზით დაერწმუნებინა რუსეთის ხელისუფლება როსტომის განზრახვის გულწრფელობაში[3].

უნდა გავიხსენოთ შაჰ აბას II-ის მიერ 1650 წელს მოსკოვში გაგზავნილი ელჩის მოჰამედ ყული ბეგის მიერ მოლაპარაკებისას ყურადღების გამახვილება როსტომ ხანის მოსკოვის ხელმწიფი-სადმი განსაკუთრებულ პატივისცემაზე. შაჰის ელჩისგან როსტომ მეფის ქება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობ ამ დროს შა-ჰის კარზე უკვე ჩაფიქრებული იყო და პირობები მზადდებოდა ქართლის მეფე როსტომის ელჩის მოსკოვში ჩასვლისათვის.

როსტომის განზრახვა ადრევე გაუგია თეიმურაზს. გასაგები იყო, რომ როსტომის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩობა მის-თვის და ერეკლე უფლისწულისათვის სასიკეთოს არაფერს მოი-ტანდა. მას მაშინვე თავისი კაცი, ვინმე პაპუნა და მისი თარჯიმა-ნი, როსტომის ელჩობის დისკრედიტაციისა და მისი შეჩერების მიზნით რუსეთში გაუგზავნია. პაპუნამ თერგის ვოევოდებს გადას-ცა თავისი მეფის თხოვნა მოსკოვისკენ არ გაატარონ როსტომის

---

[1] ცინცაძე ი., ვასილ გაგარას და არსენ სუხანოვის ცნობები, გვ. 77.
[2] ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 119.
[3] Накашидзе Н., Ук. труд, с. 177.

ელჩი. პაპუნა როსტომს ახასიათებდა, „როგორც გამაჰმადიანებულ ქართველს, ირანის შაჰის მომხრეს, თეიმურაზის მტერს, დავით თეიმურაზის ძის მკვლელს და რუსეთის ერთგული ქართველების წინააღმდეგ საშიშ მებრძოლს“[1]. მაგრამ თეიმურაზის კაცის მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მოსკოვის სამეფო კარმა, როგორც ჩანს, თეიმურაზის თხოვნას ანგარიში არ გაუწია და როსტომის ელჩი და მისი ამალა საკმაოდ კარგად მიიღო. რა თქმა უნდა, იქ კარგად მოეხსენებოდათ სინამდვილეში ვისი ინტერესების დასაცავად მიდიოდა როსტომის ელჩი.

სავარაუდოა, შაჰს როსტომის სახელით მოსკოვში გაგზავნილი ელჩის საშუალებით, ნიადაგის მოესინჯვა უნდოდა იმის დასადგენად, შეიძლებოდა თუ არა ირან-რუსეთს შორის ადრე არსებული ურთიერთობის აღდგენა. ელჩს ისეთნაირად უნდა ემოქმედა, რომ შაჰს პრინციპული მონარქის სახე შეენაერჩუნებინა, არავის ეფიქრა, რომ იგი უკან იხევდა რუსეთის წინაშე. როსტომის ელჩის წარმატების შემთხვევაში, მის მიერ დაწყებულ საქმეს შაჰის დიპლომატები გააგრძელებდნენ, რაც სინამდვილეშიც მოხდა.

დ. კაჭარავას აზრით, როსტომსა და მის ელჩს შუამავლის როლი უნდა შეესრულებინათ რუსეთსა და ირანს შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაში[2], რაშიც მკვლევარს ვეთანხმები. მაგრამ ვფიქრობ, შუამავლობა არ გულისხმობდა რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მყარი ურთიერთობის დამყარებას. თავისი სტატუსიდან გამომდინარე ამგვარი განზრახვა როსტომს არ უნდა ჰქონოდა. შაჰისგან დამალულად კი ასეთი ნაბიჯის გადადგმა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. როსტომის დროინდელი ქართლის სამეფოს შეზღუდული ავტონომიის შესახებ, მოსკოვში კარგად მოეხსენებოდათ. როსტომის ელჩი იქ თუ კარგად მიიღეს, რომელსაც ჩატანილი საჩუქრების სანაცვლოდ სიასამურის ტყავები გამოატანეს[3], ეს უფრო შა-

---

[1] ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 263.

[2] ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 184.

[3] “ერთი შეკვრა სიასამური 60 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 50 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 35 მანეთიანი, სამი შეკვრა სიასამური 30 მანეთიანი თითოეული ორმოცი. თბილისის ურუსტუპ ხანის ელჩს მაჰ-

ჰის სატელიტის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამომჟღავნება იყო, ვიდრე ქართლის მეფისადმი. ამგვარი მოქმედებით რუსეთის ხელმწიფემ შაჰს აგრძნობნა, რომ იგი ორ ქვეყანას – რუსეთსა და ირანს შორის, ურთიერთობის ნორმალიზებისათვის მზად იყო. ამიტომ ვერ გამოიღო თეიმურაზისათვის სასურველი შედეგი მისმა მცდელობამ ხელი შეეშალა როსტომის ელჩის მოსკოვში ჩასვლისა ან კარგად მიღებისათვის.

პოლიტიკაში გამობრძმედილ როსტომს კარგად ეცოდინებოდა, რომ რუსეთსა და ქართლის სამეფოს შორის სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ვერ მოხერხდებოდა. აქვე უნდა გავიმეორო ჩემს მიერ ერთხელ უკვე ნათქვამი, რომ თეიმურაზ მეფის მიერ მოსკოვში გაგზავნილ წერილებში არც ერთხელ არ არის ნახსენები როსტომ მეფე, რომელთანაც განუწყვეტელი და წარუმატებელი ბრძოლა ჰქონდა. მოსკოვში, როგორც მაშინდელი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, თავიანთი ინფორმატორების, თეიმურაზის წერილებისა და ელჩების მეშვეობით საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ვითრებაზე. მოსკოვში იცოდნენ, რომ ყველაფერი, პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე, რასაც როსტომი ქართლსა და კახეთში მოიმოქმედებდა, შაჰის მითითებით ან მასთან შეთანხმებით ხდებოდა. როდესაც შაჰის დესპანს ამის შესახებ პირდაპირ ჰკითხეს, წინათი თუ ამგვარ შეკითხვაზე შაჰის წარმომადგენლები პასუხს თავს არიდებდნენ ან სხვადასხვა მიზეზებს ასახელებდნენ, ახლა მუჰამედ ყული ბეგმა როსტომს დასდო ბრალი. მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ შაჰ აბას II-სათვის გაგზავნილ სიგელში ნათქვამია: „ჩვენი მეფური უდიდებულესობის ბოიარებისა და სათათბიროს ხალხის თანდასწრებით თქვენმა დესპანმა, დასმულ კითხვაზე განაცხადა, რომ მეფე თეიმურაზსა და მთელ საქართველოს წყენა და აკლება თავს გადახდა რუსტემ ხანისგან თქვენი ნების გარეშე... ჩვენი მეფური უდიდებულესობის გულისთვის... აკრძალეთ თეიმურაზისა და მთელი საქართველოსათვის წყენისა და განადგურების მიყენება და ბრძანეთ დაუბრუ-

---

მად ხან ბეგს ერთი შეკვრა 40 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 30 მანეთიანი“. ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 121.

ნონ მას ჩამორთმეული ქონება, რათა გაიზარდოს ჩვენს შორის მეგობრობა და სიყვარული“[1].

საინტერესოა, რატომ ახდენდა თეიმურაზი როსტომის როლის იგნორირებას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში? სავარაუდოა, თეიმურაზის როსტომზე დუმილი განპირობებული იყო მოსკოვის ხელმწიფის ყურადღების მთლიანად შაჰზე გადატანისა და ყველაფერში მისი დადანაშაულების სურვილით. რაც პირადად მას და მის ქვეყანას თავს უბედურება დაატყდა ყველაფერში დამნაშავე იყო შაჰი. თეიმურაზის ამგვარი პოზიცია გასაგებია: მთავარი იყო მოსკოვის ხელმწიფის მიერ შაჰზე გავლენის მოხდენა. თუ ამას მიაღწევდა, როსტომთან საქმის მოგვარებას ვეღარაფერი შეაფერხებდა. თეიმურაზი ფიქრობდა, რადგან მოსკოვის ხელმწიფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა შაჰთან, მაშასადამე, ეს უკანასკნელი თუ მოინდომებდა, შაჰის (და არა როსტომის) მიერ თეიმურაზისათვის წართმეული და როსტომისათვის გადაცემული ქართლისა და კახეთის სამეფოების თეიმურაზისათვის დაბრუნება მოხერხდებოდა. ნიშანდობლივია, მოსკოვიდან საქართველოსკენ მომავალი თეიმურაზ მეფის მიერ ყაზანიდან ხელმწიფისათვის გაგზავნილი წერილის ერთი ფრაგმენტი, რომელშიც იგი შაჰისაგან დაცვას ითხოვს და თვითონვე სთავაზობს იმას, რაც ხელმწიფემ შაჰს უნდა მისწეროს: „თუ შენ (შაჰო) ჩემი სიყვარული გინდა, მაშინ მეფე თეიმურაზს ნუ ეომები, დაუბრუნე მას თავისი სახელმწიფო და ნუღარ შეაწუხებ, ის ჩემთან სიყვარულისათვის მოვიდა და არა ომისათვის“... იქნებ მან (შაჰმა) შენი მეფური უდიდებულესობის სიტყვები შეისმინოს და აღარ შემაწუხოს... ეს არის ჩემი სათხოვარი...“[2]

არსენ სუხანოვის ჩანაწერებიდან ზოგიერთი ცნობის დამოწმება, იმის დასამტკიცებლად, რომ როსტომს მოსკოვთან ურთიერთობის დამყარების სერიოზული განზრახვა ჰქონდა, საკითხის დადებითად გადაწყვეტაში ვერ დაგვეხმარება.

1653 წელს საქართველოში მეორედ მოვიდა არსენ სუხანოვი. მისი ჩამოსვლის მიზანი ქრისტეს კვართის საკითხის გარკვევა იყო:

---

[1] Переписка, с. 63.

[2] Там же, с. 80.

იყო თუ არა კვართი დაცული სვეტიცხოვლის ტაძარში? მაგრამ ამ სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწეს, რა თქმა უნდა, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებაც აინტერესებდა.

სექტემბერში არსენ სუხანოვი თბილისში მოვიდა, როსტომხანის სასახლეში ზემოხსენებული რუსი მხატვარი, ივანე დანილოვი, მოძებნა, რათა თარჯიმნობა გაეწია.

17 სექტემბერს კათალიკოსმა[1] მას სანოვაგე გაუგზავნა, მეორე დღეს (18 სექტემბერი) კი არსენი მადლობის გადასახდელად კათალიკოსს თვითონ ესტუმრა. კათალიკოსმა არსენი სადილზე მიიწვია და უთხრა: „ჩვენი მეფე (ხანი) თუმცა მაჰმადიანი არის, მაგრამ ჩვენს (ქრისტიანების-ე.მ.) მიმართ მოწყალეა. მისგან არავითარი საწყენი არ შეგვხვდენია. თქვენი ხელმწიფე რომ ჩვენს ქვეყანას დაიკავებდეს ჩვენს ხანს ეს გაუხარდებოდა კიდეც“[2]. ვფიქრობ, კათალიკოსის ნათქვამი არ გამოხატავს როსტომ მეფის სურვილს, მით უმეტეს, რომ ცნობილი არ არის რაზე აწარმოვა მისმა ელჩმა მოლაპარაკება მოსკოვში. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეიმურაზ მეფეს მრავალი მომხრე ჰყავდა მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის პრომოსკოვურ პოლიტიკასა და ბრძოლას როსტომის წინააღმდეგ, მაშინ გასაგები გახდება კათალიკოსის ორაზროვნად ნათქვამი. გასათვალისწინებელია, რომ არსენის მასპინძელი კათალიკოსის წინამორბედი ევდემოზ I დიასამიძე (1632-1642) აქტიურად მონაწილეობდა როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში 1642 წელს, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. ამჯერადაც კათალიკოსი არა როსტომის, არამედ თეიმურაზის იმ გეგმას ახმოვანებს, რომელიც შეიძლება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ჩახედული არსენისთვისაც კარგად ცნობილი და მისთვის გამიზნული იყო: რუსეთის ხელმწიფე საქართველოში თუ ჯარს შემოიყვანდა, მას დიდი დაბრკოლება არ შეხვდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ არსენმა კათალიკოსთან საუბრიდან მხოლოდ, მისი ხელმწიფისათვის საყურადღებო ეს ორი წინადადება

---

[1] არსენი არ ამბობს კათალიკოსის სახელს, მაგრამ ეს უნდა იყოს ქრისტოფორე II (ურდუბეგისძე-ამილახვარი, 1642-1660).

[2] ცინცაძე ი., ვასილ გაგარას და არსენ სუხანოვის ცნობები, გვ. 72.

შემოგვინახა. ის, რომ კათალიკოსი თეიმურაზის გეგმის სასარგებლოდ ირჯებოდა, ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს არსენის საუბარი თბილელ ეპისკოპოს ელისესთან 21 სექტემბერს. „ეპსკოპოსმა თქვა... გავიგეთ ჩვენ, რომ ყუმუხები რუსეთის ხალხს ემტერებიან. განა რუსეთის ხელმწიფეს არ შეუძლია ყუმუხებს (სამაგიერო მიუზღოს)? რათ უთმენს ამდენს მათ. ბრძანოს და მათი მურზები დააჭერინოს და ჩამოახრჩობინოს, იმათ ადგილზე თავისი დასვას და ამ გზით ყველა მისი, ხელმწიფის, მორჩილი იქნებიან. არსენმა უპასუხა: რას ამბობ, ხელმწიფეს ყუმუხებთან გამკლავება არ შეუძლია?... მაგრამ ჩვენი ხელმწიფე მოწყალეა, სისხლის დაღვრა არ უნდა... ეპისკოპოსმა კი თქვა: ხელმწიფე რომ როგორმე ყუმუხებს დაიპყრობდეს, მაშინ კახეთიც მისი სახელმწიფოს შეიქმნება, ხოლო როგორც კი კახეთს დაიჭერს თბილისიც მისი, ხელმწიფისავე გახდება“[1].

ყუმუხების კახეთზე თავდასხმის შეჩერების უმთავრეს პირობად თეიმურაზ მეფეს რუსეთის მიერ მათი დამორჩილება მიაჩნდა. ამგვარი ტენდენცია წითელ ხაზად გასდევს მის დიპლომატიურ ურთიერთობას მოსკოვთან 1615-1655 წლებში. განა თეიმურაზის მიერ მოსკოვის საქართველოთი დაინტერესების გეგმა არ ითვალისწინებდა მისთვის საქართველოს წიაღისეულის დამუშავების შეთავაზებას, რაც ელისე თბილელმა სუხანოვთან საუბარში ერთხელ კიდევ გაიმეორა? „ეპისკოპოსმა მომითხრო აგრეთვე, – წერს სუხანოვი, – რომ კახეთში ერთი მთა არის, რომელშიაც სუფთა ვერცხლის მადანია თითქოს, მაგრამ ამ მადანს ჩვენ ვმალავთ და არ ვაცხადებთ, რადგანაც შაჰმა რომ ეს გაიგოს, ჩვენში ქრისტიანობის ფესვს ამოაგდებს, როგორც კი მადნის დამუშავებას დაიწყებს. და სხვებიც ამასვე ამბობენ, მოსკოველმა ხატის ოსტატმა ივანემაც თქვა: ჭეშმარიტად ასე არისო, მე თვითონ ვნახეო. ხოლო (ელისე) ეპისკოპოსი იქ წავიდა კახეთში, უნდოდა თბილისში არსენისათვის იმ მადნის ნიმუში გამოეგზავნა. მაგრამ არსენი ვერ დაელოდა და წამოვიდა, რადგანაც მას ამხანაგები დაემგზავრა შემახისაკენ“[2].

---

[1] იქვე, გვ. 73-74.
[2] იქვე, გვ. 75.

თეიმურაზ მეფის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის განხილვის დროს, ყოველივე ამის შესახებ, უკვე ვრცლად ითქვა.

ამგვარად, შეიძლება ვარაუდი, რომ ***rostomis samefoSi Teimurazs kvlav hyavda momxreebi ierarqebis saxiT, romlebic saqmis kursSi iyvnen da iziarebdnen tanjuli mefis sagareo politikis mTavar mimarTulebas _ gaeaqtiurebina ruseTis kavkasiuri politika da gamoeyenebina igi Tavisi samefo xelisuflebis aRdgenisaTvis. rostomi ki, meore xarisxovani figura iyo Sah abas II-is diplomatiur TamaSSi.***

უშვილო როსტომს, მთელი მეფობის განმავლობაში, მემკვიდრის საკითხი აწუხებდა. მისი რამდენიმე ცდა ეშვილებინა ვინმე, მარცხით დამთავრდა. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში, 1653 წელს თავის მემკვიდრედ ამოირჩია ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი. იგი ირანში გაამაჰმადიანეს, როსტომის მემკვიდრედ დაამტკიცეს და ამის შემდეგ, როსტომის ავადმყოფობის გამო ქართლის გამგებლად დანიშნეს.

1656 წელს შაჰმა კახეთი როსტომს ჩამოართვა და განჯის ბეგლარბეგს სელიმ-ხანს გადასცა, რის მიზეზიც კახეთ-რუსეთის ურთიერთობის გააქტიურება იყო. როსტომმა ვერ შესძლო ჯერ ერეკლე უფლისწულის, შემდეგ კი თეიმურაზის მოსკოვში გამგზავრების აღკვეთა. ამას ემატებოდა თეიმურაზის მიერ ორგანიზებული კახელების მუდმივი ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ. შაჰ აბას II-მ გადაწყვიტა, ერთ დროს შაჰ აბას I-ის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, კახეთის სამეფოს სრული ლიკვიდაცია მოეხდინა, რაც კახეთში თურქმანების ჩამოსახლებას და მისი ირანის პროვინციად (სახანოდ) გადაქცევას გულისხმობდა. როდესაც ყიზილბაშებმა ამ გეგმის განხორციელება დაიწყეს, ამას მოჰყვა კახელების დიდი უკმაყოფილება. შაჰმა კონტრღონისძიება გაატარა: კახეთში ჩასახლებული თურქმანების დასაცავის ციხესიმაგრეთა სისტემის მშენებლობა დაიწყეს, რასაც კახელებმა დიდი აჯანყებით უპასუხეს 1660 წელს.

როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წელს. იგი ირანში დაკრძალეს. კახეთში ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675) გამეფდა.

II. იმერეთის მეფეების – გიორგი III-ისა და ალექსანდრე III-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

XVII ს. დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში იყო იმერეთის სამეფო, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები. წესისა და ტრადიციის მიხედვით იმერეთის მეფე უზენაეს ხელისუფლად, ხოლო მთავრები მის ვასალებად ითვლებოდნენ. სინამდვილეში კი, მთავრები საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისას სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, რასაც, თავისი ხელისუფლების სისუსტის გამო, მეფეც აღიარებდა.

იმერეთის სამეფოს შინაგანი პოლიტიკური სისუსტის მიუხედავად, უცხოელებში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ქართველ მეფეებს შორის იმერეთის მეფე, თავისი წარმოშობის მიხედვით, უპირატესობით სარგებლობდა. ამას აღნიშნავდნენ XVII საუკუნის მოგზაურები და ისტორიკოსები: თურქი მოგზაური ევლია ჩელები[1], თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი[2], იერუსალიმის ბერძენი პატრიარქი დოსითეოს II იმერეთის მეფეს „ივერიის მეფეთ მეფედ“ მოიხსენიებდა[3], შარდენის თქმითაც, იმერეთის მეფე თავის წერილებში თავის თავს „მეფეთ მეფეს“ უწოდებდა[4].

XVII ს. პირველ ნახევარში ოდიშისა და გურიის სამთავროებისადმი ინტერესი გაუჩნდა სამ დიდ სახელმწიფოს – ოსმალეთს, ირანსა და რუსეთს. დასახელებულ სამთავროებს კარგი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის ინტერესი დასავლეთ საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XVI ს. ბოლო მეოთხედიდან. სულთანი დასავლეთ საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა.

ამასიის საზავო ხელშეკრულებით ირანმა დასავლეთ საქარ-

---

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 298.

[2] იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 43-44.

[3] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 159.

[4] ჟან შარდენი, გვ. 205.

თველო ოსმალეთის მფლობელობაში აღიარა, რასაც ამ უკანასკნელისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას თავის წილხვედრილზე რეალური ხელისუფლების გავრცელება ნომინალურად უხდებოდა. დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროები მხოლოდ სიმბოლურ მორჩილებაზე თანხმდებოდნენ. ოსმალეთი იძულებული იყო მშვიდობიანად, მოლაპარაკებებით, მუქარითაც მოეგვარებინა მათთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

XVII საუკუნის ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე დასავლეთ საქართველოს მდგომარეობასა და ოსმალეთის სახელმწიფოსთან მის ურთიერთობას ასე გადმოგვცემს: `***sulTani Zlier kmayofilia am qveynis agre danawilebis gamo, radgan, roca samive nawili erTad iyo, erTi xelmwifis qveS, sulTans ar SeeZlo maTi damorCileba,*** მიზეზი ამისა ის იყო, რომ იმერეთის მეფეს მაშინ შეეძლო მოკლე დროში გამოეყვანა სალაშქროდ თითქმის ორმოცდაათი ათასი კაცი. განუდგა თუ არა იმერეთის მეფეს დადიანი, შეუთანხმდა დიდ სენიორს (ოსმალეთის სულთანს –ე.მ.) და ვალდებულება იკისრა მისთვის მიეწოდებინა რკინის ერთგვარი რაოდენობა იმ პირობით, რომ იმერეთთან ომის შემთხვევაში დიდი სენიორი მას ტრაპიზონის, ერზერუმისა და ყარსის საფაშოებიდან 20 ათასამდე ცხენოსანს მიაშველებდა“[1].

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, იგი მდებარეობს ქვეყნის სიღრმეში, შორს, როგორც თურქებისაგან, ისე სპარსელებისაგან, ირგვლივ დაცულია მთებით, მდინარეებითა და ხეობებით. იმერეთი თავისუფალია, სპარსელებისა და თურქებისაგან, თუმცა გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ვითომც როგორც ერთის ისე მეორის მეგობარია. სინამდვილეში იგი არავის ენდობა, და თავის მიწა-წყალზე არავის ჯარის ყოფნას არ დაუშვებს რელიგიური შეუთავსებლობის გამო[2].

---

[1] ტავერნიე ჟან ბატისტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა კ. გურულმა, თბ., 1974, გვ. 235.
[2] პიეტრო დელა ვალე, გვ. 57.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები – იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი ოსმალეთის ვასალები იყვნენ და უხდიდნენ ხარკს[1], რომლის რაოდენობა ზუსტად განსაზღვრული არ იყო და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით იცვლებოდა.

XVII ს. პირველ ნახევარში ოსმალეთსა და იმერეთის სამეფოს შორის არსებულ ურთიერთობას, ევლია ჩელების მიხედვით, საფუძველი ჩაეყარა სელიმ I-ის დროიდან, მაშინ როდესაც იგი ტრაპიზონის ბეგლარბეგი იყო. მან „ქუთატისის ციხეში იმერეთის ბეგთან კარგი მეგობრობა დაამყარა, როდესაც დამოუკიდებელი ფადიშაჰი გახდა, იმერეთის ოლქს ხარაჯა[2] და ურფის გადასახადი[3] მოუხსნა და გაათავისუფლა. დღემდე თავისუფალი არიან. უბრალოდ, ყოველწლიურად სტამბოლში ტყვეებს, შევარდნებს, სონღულებს, ჯორებს და იშვიათი სილამაზის ქართველ ქალებს აგზავნიან“[4]. მ. სვანიძე ამავე წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ევლია ჩელები იმერეთის სამეფოს თვლიდა „ოჯაკლიკ ჰუქუმეთად“, რომლითაც ოსმალური წყაროები აღნიშნავენ სასაზღვრო ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივ სამმართველო ერთეულებს. მათი გამგებლები აღიარებდნენ სულთნის უზენაეს ხელისუფლებას და სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ საშინაო საქმეებში. „მაგრამ იმერეთის სამეფოსა და ოჯაკლიკ ჰუქუმეთებს შორის ის განსხვავება იყო, რომ იმერეთის მეფის ტახტზე ასვლისას არ იყო საჭირო სულთნის ნებართვა, მაშინ, როდესაც ჰუქუმეთის ახალ გამგებელს სულთნისაგან ბარათი უნდა მიეღო, ამასთან ოჯაკლიკ ჰუქუმეთების გამგებლები მაჰმადიანები იყვნენ და სხვა. ასე რომ, ევლია ჩელების შედარება იმერეთის სამეფო-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 300.

[2] ხარაჯა – დაპყრობილი, არამუსლიმანი გლეხობის გადასახადი, რომლის ორი სახეობა არსებობდა – ნატურალური და ფულადი. ხარაჯას გადასახადის ეს მეორე ნაწილი გლეხობას მუსლიმანებთან შედარებით მძიმე მდგოიმარეობაში აყენებდა. ვრცლად იხ. ევლია ჩელები, II, გვ.109.

[3] ურფი – ტრადიციაზე დამყარებული სამართალი. ოსმალეთში გადასახადების ორი ძირითადი კატეგორია იყო: შარიათის გადასახადები და ურფის გადასახადები მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მძიმედ იყო. იქვე, გვ. 163-164.

[4] იქვე, გვ. 298.

სი ოჯაკლიკ ჰუქუმეთთან არ უნდა იყოს სწორი“[1], რადგან XVII ს. პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან დამოკიდებულების ფორმა შედარებით მსუბუქი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები არც „მსუბუქ“ დამოკიდებულებას ეგუებოდნენ და სრული თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ. ოსმალეთის ხელისუფლება, აღნიშნული მიზეზების გამო, თავს იკავებდა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე, რადგან უფრო ეფექტური იყო ეკონომიკური ბერკეტებით ზემოქმედება.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ოსმალების ლაშქრობებში თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამგვარი გამონაკლისის დრო დგებოდა მაშინ, როდესაც ოსმალები სამხედრო ოპერაციების წარმოებას გეგმავდნენ აღმოსავლეთ საქართველოსა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

დასავლეთ საქართველოსთან ამგვარი ურთიერთობის რიგს უნდა მივაკუთვნოთ სულთან მურად IV-ის მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემულ ფირმანში ასახული ბრძანება. ფირმანი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დაწერილი უნდა იყოს 1626 წელს[2]. ამ დროს სააკაძე სამცხეში იმყოფებოდა და სულთანს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება რამდენჯერმე სთხოვა („დაწვრილებითი და ვრცელი“ წერილები გაუგზავნა). იმის გამო, რომ სამხედრო ოპერაციების წარმოება განზრახული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, „დიდებული ბრძანება დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფეებს მასში, რომ, ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურყეველი ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულებისა და მორჩილების შესაბამისად, თქვენთან (ქართლ-კახეთთან–ე.მ.) ერთსულოვანნი იყვნენ და სამსახურის შესრულებას გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკიდონ“[3]. სულთნის ბრძანების შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი თეიმურაზ მე-

---

[1] სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 222.

[2] ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 235. ამ ფირმანის ს. ჯიქიასეულ დათარიღებაში არსებული ლაფსუსის შესახებ, ზემოთ უკვე ითქვა.

[3] ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 236-240.

ფესა და გიორგი სააკაძეს შორის შეუთანხმებლობა იყო, რომელიც შემდეგში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა და ბაზალეთის ბრძოლით დასრულდა.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებსა და ოსმალეთის სახელმწიფოს შორის დამყარებული ამგვარი ურთიერთობა ჰქონდა მხედველობაში ევლია ჩელების, როდესაც იგი წერდა: „რადგანაც სამეგრელოსი და გურჯისტანის (იგულისხმება დანარჩენი დასავლეთ საქართველო –ე.მ.) [სხვა] ბეგებიც მორჩილნი არიან, ***ყოველწლიურად მშვიდობიანობისა და მორჩილების დასადასტურებლად*** ორმოც-ორმოცდაათამდე ბიჭსა და გოგოს, ათას წყვილ თივთიკის წინდას, სასახლის სამზარეულოსათვის ათას წყვილ ტილოს და სხვა მრავალ ძღვენს აგზავნიან და იწერება წიგნი პირობისა, რაც ტრაპიზონის ფაშებისადმი მორჩილებას გულისხმობს“[1].

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ და სხვა წყაროებიც გვიჩვენებს, რომ ოსმალეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისაგან მხოლოდ სიტყვიერი მორჩილების დაპირებითა და სიმბოლური ძღვნის მირთმევით კმაყოფილდებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლების უმთავრესი მოთხოვნა იყო, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა არ ყოფილიყო ოსმალეთის ინტერესების საწინააღმდეგო. მათ განსაკუთრებით ეკრძალებოდათ კავშირი ირანთან. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ისინი არ იზღუდებოდნენ.

ოსმალების მიერ დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობაში სიფრთხილის გამოჩენის მიზეზთაგანი უნდა ყოფილიყო კაზაკების თარეში შავ ზღვაში, რომელიც დიდ ზარალს აყენებდა იმპერიის სანაპირო ქლაქებსა და სხვა დასახლებულ ადგილებს. ქართველებზე ზეწოლის გამკაცრების შემთხვევაში ისინი შეიძლებოდა კაზაკებს ოსმალების წინააღმდეგ დაკავშირებოდნენ, რაც კიდევ უფრო გაართულებდა ოსმალების მდგომარეობას შავი ზღვაში. როგორც შემდეგში დავინახავთ, ოსმალებთან ურთიერ-

---

[1] ევლია ჩელები, გვ. 83.

თობის დროს, ქართველები მაინც მანიპულირებდნენ კაზაკების მძარცველური თავდასხმებით.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა შენარჩუნებული იქნა XVII ს. პირველი ნახევარში. ისე ჩანდა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების მიერ ვასალობის სიტყვიერი აღიარებით კმაყოფილდებოდა.

მას შემდეგ, რაც შაჰ აბას I-მა 1606 წელს ოსმალები ქართლიდან გააძევა, ოსმალეთის ხელისუფლების საქართველოსთან ურთიერთობა მხოლოდ იმერეთის სამეფოთი, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთმა საბოლოოდ ხელი აიღო აღმოსავლეთ საქართველოზე. იგი მოვლენების განვითარებას ფხიზლად ადევნებდა თვალს. სულთნის დიპლომატია ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში იმდენად აქტიურობდა, რომ ყველასათვის გასაგები ხდებოდა, ოსმალეთი მასზე დროებით ამბობდა უარს და მისთვის სულ ერთი არ იყო, თუ რა ხდებოდა ქართლისა და კახეთის სამეფოებში.

* * *

იმერეთის მეფე როსტომის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ძმამ გიორგი III (1605-1639).

1600 წ. გარდაიცვალა გიორგი გურიელი. გურიელი გახდა მისი ძე მამაია II (1600-1625).

შესაფერის ადგილას ითქვა, რომ იყო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ფართო ანტიოსმალურ კოალიციაში ერთობლივი მონაწილეობის ცდები.

1614 წელს შაჰ აბასის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ თეიმურაზ და ლუარსაბ მეფეებმა იმერეთის სამეფოში შეაფარეს თავი. შაჰი ცდილობდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა ხელთ ეგდო თავისი „ქვეშევრდომი მეფეები“.

1619 წელს ქართველმა ელჩმა ხარიტონმა მოსკოვში ჩაიტანა წერლები, რომლებშიც აღნიშნული იყო როგორ მიიღეს დასავ-

ლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა თეიმურაზი მეფე და როგორ დაეხმარნენ მას.

იმერეთის მეფე გიორგის წერილში ძირითადად ლაპარაკია იმაზე, შაჰმა თეიმურაზი როგორ მოატყუა, მისი სამეფო დაიპყრო და მეფემ იმერეთის სამეფოში შეაფარა თავი. მეფე გიორგიმ და გურიელმა გადაწყვიტეს, რომ თავს დასდებდნენ და შაჰს თეიმურაზს არ დაანებებდნენ. იქვე თხოვნაც იყო, რომ რუსთ ხელმწიფემ თავისი ხალხი გაგზავნოს იმერეთში, რათა საკუთარი თვალით იხილონ არსებული მდგომარეობა და ამის შემდეგ ქართველების მტრებს აღარ დაუჯეროს[1].

შაჰ აბასი, რომ იმერეთის სამეფოში თავშეფარებული თეიმურაზისა და ლუარსაბის ხელთგდებას ფიქრობდა, ამას ფარსადან გორგიჯანიძე შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ყაენი ნიქოზს მივიდა და იქიდამ ჯარი გაუძახა და ოსეთი დაარბევინა და გიორგი მეფეს რისხვიანე წინგნი მიწერა: ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო. იმას დაბალი სახვეწარი წინგნი მოეწერა: ყმას რომ ბატონისაგან ეშინოდესო, ერთგულებაში ჩაიგდებისო. ამათ თქვენგან ეშინიანო, მერმე კიდეც დავითხოვო, აფხაზეთს წავლენო და იმერეთი რომ კიდეც დაარბიოთო, ღმის მეტს ვერას იშოვნიანო და ვისაც არ უჭამიაო ღომი, ჭამოსო, გამუნიანდებიანო და ესენი თავიანთ ნებით თქვენი ნახვა არ შეუძლიათო“[2]. მიუხედავად შაჰის მუქარისა, გიორგი III-მ თავისი ელჩები – აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია და ლევან აბაშიძე შაჰთან წარავლინა და ქართლისა და კახეთის მეფეებისათვის მათი სამკვიდროს დაბრუნება ითხოვა[3].

ელჩებმა შაჰს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და მოახსენეს, რომ გიორგი მეფე ქართლისა და კახეთის მეფეებს არ გასცემდა.

ქართველი მეფეები, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდნენ იმ ბუნებრივ დაბრკოლებებს, რომლებიც იმერეთის სამეფოსა და ქართლში მყოფ ყიზილბაშებს შორის არსებობდა, მაგრამ მათ მხედველობაში ექნებოდათ ისიც, რომ შაჰი სიტყვიერი მუქარის

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 52-54.

[2] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 229.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 393.

იქით ვერ წავიდოდა. ყიზილბაშების მიერ იმერეთის სამეფოს საზღვრის გადალახვა გამოიწვევდა სულთნის კარის მკაცრ რეაქციას: შეიძლებოდა ორ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მომხდარიყო, რაც მოცემულ პერიოდში შაჰ აბასისათვის მიუღებელი იყო.

შაჰი გაითვალისწინებდა, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს მეფე მთავრების კონსოლიდაციას ქართლისა და კახეთის მეფეების დასაცავად, რაც გარკვევით აისახა მათ მიერ მოსკოვში გაგზავნილ წერილებში.

გიორგი III რუსეთის ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ შაჰ აბასმა ააოხრა ივერიის მიწა, თეიმურაზი თავის სამეფოდან განდევნა და თავს ჩვენთან აფარებსო. იმერეთის მეფე იმასაც ატყობინებდა მოსკოვში, რომ შაჰმა ჩვენთან ელჩი გამოგზავნა და მეფე თეიმურაზის გადაცემა მოითხოვა (ლუარსაბ II უკვე შაჰის ტყვეობაში იყო), თუ მის მოთხოვნას არ დავაკმაყოფილებდით, აოხრებით გვემუქრებოდა. ჩვენ ყველა ქრისტიანი (ქართველი) მეფეები შევიყარენით ჩვენ-ჩვენი ლაშქრით და ყიზილბაშების შაჰს ქრისტიანი მეფის გაცემაზე უარი ვუთხარითო[1].

მოსკოვის ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში თეიმურაზისადმი მხარდასაჭერად მეფე გიორგი, მე და სადადიანოს მფლობელი ლევან დადიანი შევიკრიბეთ ერთად, რათა უარი ვუთხრათ შაჰის მოთხოვნასა და მუქარასო[2] – სწერდა გურიელი მოსკოვის ხელმწიფეს.

1614 წ. 4 ოქტომბერს თერგის ვოევოდა პ. გოლოვინი მოსკოვში მიხეილ თედორეს ძეს აცნობებდა, რომ ირანიდან დაბრუნდა ყუმუხელი ბიტუპი, რომელსაც გამოვკითხე და მიამბო: ის არდებილში ელეპარაკა შაჰის მეომრებს, რომლებისგანაც გაიგო, როგორ დაიპყრო შაჰმა (აღმოსავლეთი) საქართველო, შემდეგ დადიანის ქვეყანაში გაგზავნა 20 ათასი მეომარი გაძევებული თეიმურაზისა და ლუარსაბის წინააღმდეგ. თეიმურაზი ლუარსაბთან ერთად, დადიანის ჯარით, ყიზილბაშებს ვიწრო ხეობებში ჩაუსაფრდა და 20 ათასიდან ათასმა თუ დააღწია თავი. ამის შემდეგ შაჰ აბას-

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 47.

[2] Там же, с. 55.

მა ელჩი გაგზავნა დადიანის ქვეყანაში თეიმურაზთან და შეუთვალა, რომ იგი შაჰთან მისულიყო და მას უწყალობებდა საქართველოს და ძველებურად იმეფებდა. თეიმურაზმა ელჩი თავისთან დააკავა, შაჰთან კი კაცები გაგზავნა და შეუთვალა: მე მორჩილების გამოსაცხადებლად გამოგიგზავნე დედა, ჩემი ძმა და შვილები, რათა ჩემი სამფლობელოები არ დაგეპყრო და ეკლესიები არ გაგენადგურებინა, შენ კი ისინი აღარ გამოუშვი, ქვეყანა აიკელი და გაძარცვე. ერთადერთი რაც შემრჩა გული და სულია და ვიდრე ვიცოცხლებ მე მათ არ მოგცემ და არც შენთან მოვალ, მალე, შენი განადგურების შემდეგ, კვლავ ვიმეფებ ჩემს ქვეყანაში[1].

რუსულ წყაროში გადმოცემული ამბავი, კერძოდ, შაჰის ჯარის დასავლეთ საქართველოში გადასვლისა და ქართველებისაგან მათი ამოწყვეტის, თეიმურაზის მიერ შაჰთან თავისი კაცის გაგზვნის შესახებ, სხვა წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ იგი გასათვალისწინებელია, რამდენადაც, მათში გამოსჭვივის თანამედროვეთა შეხედულება დამპყრობლებისადმი ქართველთა მედგარ წინააღმდეგობაზე.

თეიმურზ I-მა იმერეთის სამეფოდან დაიწყო დიპლომატიური კონტაქტების დაამყარა მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან და ირანის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. როგორც ითქვა, მის გვერდით დადგნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები.

კათოლიკე მისიონერის ლუი გრანჟეს ცნობების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზ მეფე ოსმალეთის კარზე ნიადაგის მოსინჯვას ოდიშის მთავრის ელჩის საშუალებით ცდილობდა. გრანჟე გადმოგვცემს, რომ 1614 წლის ბოლოს[2], სტამბოლში ჩავიდა საქართველოს ელჩობა, რომელშიც იმყოფებოდა ერთი ეპისკოპოსი და სამეგრელოს წარმომადგენელი. ქართველი ეპისკოპოსი, მ. სვანიძის აზრით, უნდა იყოს თეიმურაზ მეფის ელჩი, რუ-

---

[1] Там же, დოკ. №6, გვ. 133.

[2] ლუი გრანჟეს ცნობა მ. სვანიძემ ინგლისელი ისტორიკოსის რ. კნოელზის ნაშრომიდან (Knolles R., The Generall Historei of the Turks, Oxsford, 1631) ამოიღო და დაათარიღა 1613 წლით. რადგან შაჰ აბასის ყიზილბაშები 1614 წლის მარტში შემოიჭრნენ საქართველოში, გრანჟეს ნათქვამიც ამავე წლის ამბავს უნდა ასახავდეს.

სულ წყაროებში ხშირად მოხსენიებული არქიეპისკოპოსი თეოდოსე[1], რასაც, ჩემი აზრით, სამართლიანად არ იზიარებს თ. ტივაძე და მიაჩნია, რომ ეს უნდა იყოს იღუმენი ხარიტონი[2]. ელჩებმა სულთანს აცნობეს აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელების შემოსევის ამბავი და დახმარება ითხოვეს. სულთანმა განაცხადა, რომ თეიმურაზს იმ შემთხვევაში დაეხმარებოდა თუ ოდიშისა და გურიის სამთავროები ხარკს გადაუხდიდნენ. სავარუდოა, რომ სულთნის ეს მოთხოვნა წინასწარ იყო ცნობილი და ამიტომ ჩართეს ელჩობის შემადგენლობაში ოდიშის მთავრის წარმომადგენელი, რომელსაც მთავრების სახელით უნდა დაედასტურებინა თანხმობა სულთნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მიუხედავად ამისა, ქართული სამთავროებისაგან ხარკის გადახდაზე მოლაპარაკება, ქართული მხარის მტკიცე პოზიციის გამო, რთულად მიმდინარეობდა.

საქართველოს მიმართ სერიოზულ დაინტერესებას ამჟღავნებდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში. ლუი გრანჟეს თქმით, საფრანგეთის ელჩი ყურადღებას იჩენდა ქართველი ელჩებისადმი. გარეგნულად ეს ყურადღება იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი „სამეგრელოს მთავრის ელჩს ხშირად ელაპარაკებოდა იმის შესახებ, რომ მისთვის თან გავეყოლებინეთ (მისიონერები –ე.მ.)“[3].

სინამდვილეში ელჩის მიზანი სხვა რამე იყო. მისიონერები, როგორც სხვა დროს, ამჯერადაც დასავლეთ ევროპის გარკვეული ძალების აგენტებს წარმოადგენდნენ[4]. პიეტრო დელა ვალე ერთ-ერთი ინსტრუქციით მისიონერებს პირდაპირ ავალებდა: „საქართველოში ჩასვლისათანავე, შეადგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში გამოჩენილი პიროვნების – კაცისა და ქალის როგორც საეკლესიო, ისე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდებება ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ადგილების, გზების, რომლებ-

---

[1] სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 260.

[2] ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ.135.

[4] ტაბაღუა ი. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

საც უფრო მეტად ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები. საჭიროა შეადგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დააზუსტოთ, თუ რა საშუალებით და რა გზით ამყარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ვისთან აქვთ ქართველებს დამოკიდებულება მტრული, საომარი ან მეგობრული; ვის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეტალი, რომლებიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან. ნუ დაიზარებთ, რომ ყოველივე ეს სისტემატურად შეგვატყობინოთ". დადიანის ელჩისათვის მისიონერების გაყოლებით, საფრანგეთის ელჩს უნდოდა თვალყური ედევნებინა ოსმალეთისა და საქართველოს მეფე-მთავრების სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის და შეძლებისდა გვარად გავლენაც მოეხდინა მასზე. როდესაც დადიანის ელჩმა თანხმობა განაცხადა მისიონერების წაყვანის შესახებ, მან, როგორც ლუი გრანჟე წერს, „დიდად განათლებულმა ელჩმა არაფერი დაზოგა ამ მგზავრობისათვის, მოგვცა ხუთასი ოქრო რომელიც საჭირო იყო ამ მისიონისათვის. ამას გარდა მშვენიერი საჩუქრები მიართვა ფაშას და მასთან ყველაფერი მოაგვარა"[1].

საფრანგეთის ელჩის ამგვარი ინტერესი საზავო მოლაპარაკებისადმი განპირობებული იყო იმით, რომ მან კარგად იცოდა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოსმალეთის შეთანხმებას საქართველოს მეფე-მთავრებთან, რაც გარკვეულ გავლენას მოახდენდა ირან-ოსმალეთის შემდგომ ურთიერთობაზე, კერძოდ მათ შორის ომის საკითხზე. ეს კი საფრანგეთისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთი, ტრადიციულად, დაინტერესებული არ იყო ირან-ოსმალეთის ომით, რადგან იგი ოსმალეთს აშორებდა ევროპის საქმეებს. ბუნებრივია, საფრანგეთის ელჩი შეეცდებოდა მომავალი ირან-ოსმალეთის ომის აცილებას. ჩანს ქართველმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ საფრანგეთისა და მისი აგენტების პოზიცია ამ საკითხში და მათთან შეხვედრისას გაურბოდნენ პოლიტიკურ თემაზე საუბარს, განსაკუთრებით კი, ირანთან სახედრო კონფლიქტის საკითხს.

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 135; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 37..

გრანჟე იძულებულია აღიაროს, რომ ქართველები მისიონერებისადმი უნდობლობას იჩენდნენ, რადგან ისინი ხშირად საფრანგეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ (ამითი იყო განპირობებული საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის ყურადღება მისიონერებისადმი) და ადგილობრივ ხალხს ჩვენზე ცუდი წარმოდგენა შეექმნაო[1].

სულთანმა დადიანის ელჩს ომარ ფაშა გააყოლა, რომელსაც მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა გურია-სამეგრელოში. ლუი გრანჟე წერს: „ჩვენ ახლა დავრწმუნდით იმაში, რაშიც ეჭვი გვეპარებოდა კონსტანტინოპოლში, რომ მეტად ძნელი იქნებოდა ზავის დადება სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან და, რომ ეს დიდ დროს მოითხოვს. იმავე დროს თურქებმა დაიწყეს ამ მთავრების დესპანების დაკავება ტყვეების მსგავსად. ამდენად, ჩვენთვის უკეთესი იყო გვეცხოვრა და გვემოგზაურა ცალკე, რათა თურქებში ეჭვი არ გამოგვეწვია მეგრელებთან ერთად ყოფნით“[2].

საზავო მოლაპარაკება რთულად მიმდინარეობდა. ლუი გრნჟეს მიხედვით, გურიელი და დადიანი თურქეთის მიერ შეთავაზებულ პირობებს არ თანხმდებოდნენ[3].

რადგან ზავის დადება ჭიანურდებოდა, მისიონერები გაჭირვებას განიცდიდნენ. მათ ფაშას სთხოვეს, დადიანის სამფლობელოებში შესვლის ნება მიეცა, მით უმეტეს, რომ მას ასეთი პირობა მიცემული ჰქონდა საფრანგეთის ელჩისათვის, ან უკან, კონსტანტინოპოლში დასაბრუნებლად კაცი გაეყოლებინა. მაგრამ ფაშამ განაცხადა, რომ მას სულთნისაგან ნაბრძანები ჰქონდა, არავინ შეეშვა სამეგრელოში, ვიდრე ზავი არ დაიდებოდა და სიამოვნებით მისცა პასპორტები კონსტანტინოპოლში დასაბრუნებლად[4]. ჩანს, ოსმალეთის მთავრობა უნდობლობას უცხადებდა მისიონერებს, როგორც ევროპელ ქრისტიანებს, რათა ისინი, საზავო მოლაპარაკების დროს, ქართველებს არ დახმარებოდნენ.

---

[1] სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ. 261.

[2] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 40.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 137; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 43.

[4] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 138; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 36.

მისიონერები უკან გაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ფაშასთან მოვიდა გურიელის მაცნე, რომელმაც მოუტანა მთავრის თანხმობა ზავის დადებისა და ხარკის გადახდის შესახებ. მართლაც, 1614 წლის 13 დეკემბერს, ბათუმში, მთავარმა და სულთნის დესპანმა ხელი მოაწერეს ოსმალეთსა და გურიის სამთავროს შორის ზავზე შეთანხმებას[1]. ამის შემდეგ, 3 თებერვალს ოსმალეთის წარმომადგენლები („რომლებიც შუა კაცნი იყვნენ ზავის ჩამოგდების საქმეში“) ოდიშის სამთავროში გადავიდნენ და, სავარაუდოა (გრანჟე არ გვამცნობს არც მოლაპარაკების მსვლელობისა და არც ზავის დადების თარიღს), იმავე თვეში საზავო ხელშეკრულება დადიანთანაც გაფორმდა. დადიანმაც იკისრა ხარკის გადახდა. ამაზე მიგვანიშნებს ლუი გრანჟე. როდესაც იგი და მისი თანამგზავრები სამეგრელოში მთავართან შეხვედრას ელოდებოდნენ, იმ დროს დადიანი დაკავებული იყო „კონსტანტინოპოლს გასაგზავნი ხარკის მომზადებაში“[2].

დადიანთან შეხვედრამდე მისიონერებმა მამია გურიელის სიმამრისაგან გაიგეს, რომ მთავარი მათდამი კეთილგანწყობილი იყო, რადგან „იმან კარგად იცოდა, თუ რა პატივი სცა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩმა მის წარმომადგენელს“[3].

საყურადებოა, რომ მისიონერების ოდიშის სამთავროში ყოფნის დროს იქ იმყოფებოდა კახეთის მეფე თეიმურაზ I, „რომელიც შარშან ირანის მეფემ თავის საბძანებლიდან განდევნა“. მისიონერები თარჯიმნის საშუალებით დაუკავშირდნენ თეიმურაზს, რომელმაც ისინი თავისთან მიიპატიჟა. ქართველ პოლიტიკოსებს გადაუწყვეტიათ მისიონერებისათვის კარგი მიღება მოეწყოთ, საფრანგეთის ელჩსაც დაახლოებოდნენ და მისთვის ძღვენიც გაეგზავნათ კონსტანტინოპოლში. თეიმურაზს ერთ-ერთი ქართველი ეპისკოპოსის მიერ მის საპატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მისიონერებთან საუბარი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში არსებული ვითარების შესახებ.

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 138; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 46..
[2] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 140.
[3] იქვე.

სხვადასხვა საქმეებით დაკავებულმა დადიანმაც მისიონერებს უთხრა: „ვიცი რისთვისაც მოსულხართო და ერთ თავისუფალ დღეს უფრო დიდხანს მოგელაპარაკებით დასავლეთის საქმეთა, საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინოპოლელი ელჩის შესახებო“[1].

თეიმურაზ მეფე ისეთი ანტიირანული კოალიციის შექმნას ცდილობდა, რომელშიც იქნებოდა ყველა ქართული სამეფო-სამთავროს შეიარაღებული ძალები. როგორც გავრცელებული ცნობებიდან ჩანდა, 1615 ანტისპარსული აჯანყების დროს კახეთის მეფეს მხარს უჭერდა 6 ქრისტიანი მეფე. თეიმურაზს სამხედრო დახმარებას პირდებოდა ოსმალეთის სულთანი[2].

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების თეიმურაზის მხარდაჭერისა და ოსმალეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებული მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ, 1615 წლის მაისში ოსმალთა ჯარი როდესაც ირანის საზღვრისაკენ წავიდა, თეიმურაზ I იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ჯარებით კახეთისაკენ დაიძრა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იმერეთის მეფე გიორგი III-მ, ლევან დადიანმა და მამია გურიელმა თეიმურაზი არაგვამდე მიაცილეს, სადაც კახელები „სრულიად“ შეეგებნენ. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები უკან გაბრუნდნენ. „თეიმურაზ დაიპყრა კუალად კახეთი“[3]. როგორც ჩანს, დასახელებულ მეფე-მთავრების დახმარება გამოიხატა თეიმურაზის ქართლზე მშვიდობიანად გატარებასა და კახეთის საზღვრამდე მიყვანაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. კახეთში მას საშიშროება აღარ ემუქრებოდა. კახეთი თეიმურაზის მომხრე აჯანყებულების ხელში იყო.

თეიმურაზ მეფის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის და მისი დიპლომატიის წარმატების შედეგი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ისიც, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა, თეიმურაზ მეფის მეთაურობით რუსეთს დახმარება სთხოვეს. მოხდა ის, რაც საუკუნენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში არ მომხდარა: სახეზეა

---

[1] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 140-141; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 53-54.

[2] Полиевктов М., Материалы, с. 25.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 587-588.

ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის გამოვლენა. კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო და ოდიშის სამთავრო ერთობლივად აგზავნიან ელჩს მოსკოვში. მართალია ისინი ცალცალკე სწერენ რუსეთის ხელმწიფეს, მაგრამ თხოვნა ყველასი ერთია: დახმარების მიღება ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მოსკოვში გაგზავნილ წერილებში ყურადღებას იქცევს ის, რომ მამია გურიელი მეფობით არის განდიდებული. იგი თვითონაც რუსეთის ხელმწიფეს თავის თავს წარუდგენს, როგორც გურიის მეფეს (Мануило царь гурелской земли) და თეიმურაზ და გიორგი მეფეებივით მოკრძალებული არ არის: „...დიდო ხელმწიფე, გაცნობებ ყიზილბაში მეფე როგორ წამოვიდა თავისი ჯარით მოტყუებით თეიმურაზზე და იგი თავისი მიწა-წყლიდან გააძევა და მიწა-წყალი გაანადგურა.. თეიმურაზი ბაშიაჩუკის ქვეყანაში მოვიდა. როცა შაჰმა ეს გაიგო, ბაშიაჩუკის ქვეყანაზე წამოსვლა განიზრახა. მაშინ ჩემი ქვეყნიდან წამოვედი ბაშიაჩუკის ქვეყნის დასახმარებლად. თეიმურაზ მეფესთან, ბაშიაჩუკის [მეფე] გიორგისთან და დადიანის ქვეყნის მთავარ ლევანთან ერთად შაჰის წინააღმდეგ შევიკრიბეთ. როცა შაჰმა გაიგო, რომ ჩვენ გავერთიანდით, ბაშიაჩუკის ქვეყანაზე აღარ წამოვიდა. როცა შაჰი თეიმურაზის მიწას იპყრობდა, თურქეთის მეფე მეფე თეიმურაზს ჯარით ეხმარებოდა. ახლა შენ დიდ ხელმწიფეს გთხოვთ, მოწყალება მოიღე ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტიანული რწმენის გამო და ბაშიაჩუკის მეფე გიორგის დაეხმარე. მე ჩემი მხრიდან მზათ ვარ დავეხმარო მას. თუ შენი მეფური მოწყალება დაეხმარება, ჩვენ ის ხალხი არა ვართ, შენი წყალობა დავივიწყოთ, ვიქნებით შენს მეფურ მოწყალებაში, ვიქნებითი შენი მეფური მადალი ხელის ქვეშ მორჩილნი და პირდაპირი ქვეშევრდომები და შენი მტრის მტრები. ასე ვფიქრობთ ჩვენ სამი მეფე და დადიანის მთავარი... გთხოვ დიდო ხელმწიფე, როგორც ქართველი თეიმურაზი და ბაშიაჩუკელი გიორგი გთხოვენ დიდო ხელმწიფევ, რომ გამოგზავნო შენი კაცი და ჩვენი ქვეყნები დაათვალიეროს და იმ კაცისაგან გაიგო სინამდვილე ჩვენს შესახებ. გთხოვ შენი მეფური დიდებისათვის მიწყალობო, გამომიგზავნო შენი მეფური მოწყალება კვართი, ქურქი. როდესაც შენს ნაწყალობევს ჩავიცვამ და ჩემს მტრებთან საბრძოლველად გავალ, ჩემი მტერი რომ დაინახავს ჩემზე შენს

მეფურ ნაწყალობევს, შეშინდება, რომ შენ ხელმწიფე, ჩვენი მოწ-ყალე და დამცველი ხარ. თუმცა ღმერთისა და შენი წყალობით მებევრი მაქვს. შენი ნაწყალობევი შენს კაცს გამოატანე. სამაგიე-როდ შენს კაცს ორმაგად და სამმაგად გამოვატანთ“[1].

საინტერესოა, რომ მამია გურიელი, რუსეთის ხელმწიფეს ისეთ ჩასაცმელს სთხოვს, რომელიც სპარსელებსა და თურქებზე ისეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენს, როგორც შაჰის ან სულ-თნის მიერ ნაბოძები ხალათი და სიმბოლურად გურიის მთავრის რუსეთის ხელმწიფის მფარველობასა და ქვეშევრდომობაში ყოფ-ნაზე მიანიშნებდა[2].

მართალია, წერილებში ლევან II დადინი მოკავშირედ მოიხ-სენიება, მაგრამ მან მოსკოვში თავისი წერილი არ გაგზავნა. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, მოსკოვში ყურადღება მიაქციეს და ხარიტონს, ალბათ ამიტომ ჰკითხეს კიდეც: დადიანი თუ იზიარებ-და ქართველი კოალიციელების გადაწყვეტილებას მოსკოვთან კავშირის აღდგენის შესახებ, მაშინ მან რატომ არ გაგზავნა ამის დამადასტურებელი წერილი[3]. ამაზე ხარიტონმა უპასუხა: „ხოლო დადიანის მიწა-წყლის მთავრის წერილი (ხარიტონს –ე.მ.) თან იმიტომ არა აქვს, რომ ის მთავარი მოთათბირების შემდეგ სა-ლაშქროდ წავიდა“[4]. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ მე-ფე თეიმურაზი და მეფე გიორგი თავიანთ წერილებში მამია გუ-რიელს მეფედ მოიხსენიებენ, დადიანს კი არა. ხომ არ არის ეს იმის მაჩვენებელი, რომ დადიანი ბოლომდე არ იზიარებდა რუ-სეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენით რეალური დახ-მარების მიღების შესაძლებლობას და მას უფრო ოსმალეთის იმე-დი ჰქონდა. მოვლენების შემდგომ განვითარებას და დადიანის საქმიანობას თუ გავითვალისწინებთ, ეს ვარაუდი უსაფუძველო არ მოგვეჩვენება.

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 55-56.

[2] ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 35.

[3] არ ვიცი რატომ წერდნენ შ. მესხია და ი. ცინცაძე, რომ ხარიტონმა მოსკოვში დადიანის წერილი თითქოს ჩაიტანაო. Месхия Ш., Цинцадзе Я., Из истории русско-грузинских отношений, с. 66.

[4] Полиевктов М., Материалы с. 48.

ლევან II მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმერეთის მეფისა და თეიმურაზ I-ის საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკას ატარებდა.

რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძემ ქართველ მეფეებსა და გურიელს წერილები ცალცალკე გაუგზავნა. ყველაზე ვრცელია თეიმურაზ მეფისათვის განკუთვნილი წერილი. ხელმწიფე მწუხარებას გამოხატავს შაჰ აბასის მიერ მისი სამეფოს აკლებაგანადგურების გამო, იწონებს თეიმურაზის თხოვნას, გაგზავნოს თავისი კაცი საქართველოში, რათა მან საკუთარი თვალით ნახოს გაუბედურებული ქვეყანა და ამის შემდეგ ხელმწიფემ თეიმურაზს უწყალობოს მისი სამეფო. ხელმწიფე იქვე აღნიშნავს, რომ ყველაფერს იღონებს საქართველოს დასაცავად, რა თქმა უნდა, დიპლომატიური გზით და კვლავაც მისი დამცველი იქნება. მან ამის თაობაზე შაჰს მისწერა და გააგებინა კიდეც, რომ „ივერიელი მეფეები და ივერიის მთელი მიწა-წყალი თავიდანვე რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფეებისა და დიდი მთავრების ხელისუფლების ქვეშ იყვნენ. ამიერიდან ჩვენი სამეფო უდიდებულესობის გულისათვის შენ და შენს ივერიის მიწა-წყალს აღარ დაესხას, არ ეომოს და აღარ შეავიწროვოს. თუ ჩხუბი და მტრობა გექნებათ მაშინ შაჰმა ჩვენს მეფურ დიდებულებას უნდა მიმართოს... ჩვენ, დიდი ხელმწიფე მომავალშიც ვისურვებდით შენ, თეიმურაზ მეფე, ჩვენს მეფურ მოწყალებაში გვყავდე ისევე, როგორ მოწყალებაშიც ჰყავდა შენი პაპა ალექსანდრე მეფე შვილებითურთ ჩვენს პაპას, ივანე ვასილის ძეს და ჩვენს ბიძას, თედორე ივანეს ძეს“[1].

მეფე გიორგისათვის გაგზავნილ, შედარებით მოკლე წერილში მიხეილ თედორეს ძე იმეორებს იმას, რაც იმერეთიდან მისწერეს: როგორ მივიდა შაჰი ივერიელების ქვეყანაში, დაიპყრო

---

[1] Там же, с. 57-59. ხელმწიფის წერილის ბოლოში ნათქვამის მიხედვით, თ. ტივაძე დაასკვნის, რომ ეს არის რუსეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ „კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული რუსეთის მეფე ივანე მრისხანესთან 1584 წლის გაზაფხულამდე (ივანე IV გარდაიცვალა 1584 წლის მარტში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა დაწყება კახეთში რუსინ დანილოვის 1586 წელს ჩამოსვლით არ არის მართებული“. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 40.

იგი, ეკლესია-მონასტრები დაანგრია და სხვ. როდესაც თეიმურაზ მეფემ თავი შეაფარა იმერეთის სამეფოში, როგორ იმუქრებოდა შაჰი ამ სამეფოს განადგურებით. თავის გადარჩენის მიზნით იმერეთის მეფემ როგორ მიმართა მოსკოვს დახმარების თხოვნით, რაზეც ხელმწიფემ უპასუხა, რომ „თქვენ სამუდამოდ იქნებით ჩვენი მფარველობის ქვეშ მთელი თქვენი მიწა-წყლით“[1].

მამია გურიელისათვის გაგზავნილ კიდევ უფრო მოკლე წერილში, გამოკვეთილად იყო ნათქვამი, რომ „ჩვენ, დიდი ხელმწიფე გაქებთ შენ მეფე მანუილს იმის გამო, რომ ჩვენს მოწყალებას ეძებ და გვინდა შემდეგშიც ჩვენი მეფური მოწყალების ქვეშ გვყავდე“[2].

ამგვარი შინაარსის წერილებით გამოუშვეს ხარიტონი მოსკოვიდან. ამ ელჩობის მნიშვნელობა შესაფერის ადგილას უკვე შეფასებული იყო[3].

შემდეგ იმდენად დაირღვა და მტრული გახდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობა, რომ კარგა ხნის განმავლობაში მათი პოლიტიკა და დიპლომატია მხოლოდ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

20-ანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული დადიან-გურიელ-შერვაშიძის კავშირი, რომლის მეთაური ლევან II დადიანი იყო, ბუნებრივია, გიორგი III-ის შეშფოთებას იწვევდა. პირველი შეიარაღებული შეჯახება მეფესა და მის ვასალ დადიანს შორის, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მოხდა 1623 წელს[4]. „შეუძლდა მეფესა გიორგის შეერთება დადიან გურიელისა, და დაუწყო მტერობა. შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თჳსნი გიორგი მეფემან და განვიდა და დადგა გოჭორაულსა ზედა. მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი... იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა. მაშინ დადიანმან შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი და წარვიდა ოდიშს. გარნა შეპყრო-

---

[1] Полиевктов М., Материалы, ც. 60

[2] Там же, с. 61

[3] იხ. აქვე, თეიმურაზის საგარეო პოლიტიკა. 1614-1625 წწ.

[4] ი. ანთელავამ გამოიკვლია, რომ ეს ბრძოლა მოხდა 1622 წელს. იხ. მისი ლევან II დადიანი, გვ. 62.

ბილთა... დააჭსნევანა ვერცხლით თავნი, რომელი არაოდეს ქმნილ იყო იმერეთს შინა, და შემოჭდა მიერით ესე ესრეთ“[1].

გოჭორაულის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით იწყება ოდიშის მთავრის ტრიუმფალური წარმატებები დასავლეთ საქართველოში, იმერეთზე სისტემატური თავდასხმები და მისი განადგურება.

* * *

XVII ს. 20-იანი წლებიდან ლევან დადიანის გარდაცვალებამდე, ოდიშის სამთავრო იმერეთის სამეფოს პერმანენტულად თავს ესხმოდა. ახსნა იმ მიზეზისა, თუ რით იყო გამოწვეული ოდიშის მთავრის ასეთი მოქმედება, უნდა ვეძიოთ მაშინდელ საერთაშორისო და, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებაში.

შაჰ აბას I-ის ლაშქრობების და განსაკუთრებით როსტომის ქართლში გამეფების შედეგად, ირანის სამფლობელოები იმერეთის სამეფოს გაუმეზობლდა. შაჰ აბასის მიზანი, როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა, შავ ზღვაზე გასვლა და, ოსმალეთის გვერდის ავლით, ევროპასთან დაკავშირება იყო. მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას წინ ეღობებოდა ოსმალეთის ქვეშევრდომი, თუნდაც ნომინალურად, იმერეთის სამეფო. ამასთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოში გამანადგურებელი ლაშქრობების მიუხედავად, შაჰმა მისი ინკორპორაცია ვერ შეძლო. ამის მიღწევა შეუძლებელი იყო, ვიდრე ირანის მიმართ მტრულად განწყობილ ქართველებს, იმერეთის სამეფოში მყუდრო და საიმედო თავშესაფარი ეგულებოდათ. რად ღირდა თუნდაც ის ფაქტი, რომ შაჰის მიერ დამარცხებული თეიმურაზი ყოველთვის იმერეთში გაიხიზნებოდა ხოლმე; თეიმურაზ მეფე იმერეთიდან ებრძოდა შაჰს როგორც პოლიტიკურად, ისე დიპლომატიით; იგი აქედან აქეზებდა და აჯანყებდა ირანის მოწინააღმდეგე ქართველებს; აქ იღებდა უცხო სახელმწიფოების ელჩებს და აქედან აგზავნიდა მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებში თავის ელჩებს, რომლებსაც დასა-

---

[1] ქართლის ცხოვრება IV, გვ. 826.

ხული ჰქონდათ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა: ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირე მოეძებნათ; თეიმურაზი აქედან ამყარებდა კავშირს ირანის საუკონოვან მტერთან – ოსმალეთთან და აქეზებდა მის წინააღმდეგ; აქედან აგზავნიდა თავის ელჩებს კავკასიისაკენ მცოცავ რუსეთში; აქედან უფუჭებდა ირანის შაჰებს ავტორიტეტს ევროპის სახელმწიფოების მესვეურთა თვალში; აქედანვე შეიძლებოდა დევნილ მეფეს მიეღო სამხედრო დახმარება ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შაჰ აბას I-მა ნაცად ხერხს მიმართა, მან იმერეთის სამეფოს ოდიშის სამთავრო დაუპირისპირა. შაჰი წარმატებას ვერ მიღწევდა დადიანის მეფისადმი წაკიდებაში, ლევან I-ს დასავლეთ საქართველოში პირველობის პრეტენზია რომ არ ჰქონებოდა.

სავარაუდოა, შაჰს კარგა ხნით ადრე საიდუმლო კავშირი ჰქონდა ოდიშის მთავართან, ვიდრე მათ შორის ურთიერთობა ახდილად გამოჩნდებოდა ლევანისა და როსტომის დამოყვრების შემდეგ. იქნებ ამითი იყო გამოწვეული, რომ ლევან დადიანმა მონაწილეობა არ მიიღო გიორგი და თეიმურაზ მეფეების რუსეთთან პირველი კონტაქტის დმყარებისას და მისი ელჩი და წერილი მოსკოვში არ ჩავიდა. საფიქრალია, ხარიტონის ნათქვამი მოსკოვში, თეიმურაზთან, გიორგისთან და გურიელთან ერთად დადიანიც მოსკოვთან კავშირისა და მის ქვეშევრდომობის მომხრეაო, სიმართლეს არ შეეფერებოდა. ლევან დადიანი არ იზიარებდა დასახელებული პოლიტიკური მესვეურების საგარეო პოლიტიკურ კურსს. როცა მან, 1636 წელს, ელჩი გაგზავნა მოსკოვში, ეს გააკეთა არა რუსეთთან დაკავშირების მიზნით, არამედ იმ კოტაქტების ჩასაშლელად რომელიც ქართველ მეფეებს ამ სახელმწიფოსთან ჰქონდათ. როდესაც ლევან დადიანმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და ცხადი იყო, რომ მეფეები რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას კვლავ აგრძელებდნენ, ამის შემდეგ, იგივე ამოცანის გადაწყვეტა შაჰმა როსტომ მეფის ელჩის საშუალებით სცადა.

საყურადღებოა, რომ გოჭორაულის ბრძოლაში იმერეთის მეფეს დადიანი ებრძოდა ოდიშართა და აფხაზ-ჯიქების ჯარით. დადიანის გვერდით არ ჩანს მისი მოკავშირე და სიძე (დის ქმარი) სვიმონ გურიელი. საეჭვოა, რომ გურიელი მაშინ, როცა დადიანი

მეფეს ებრძოდა, ნეიტრალიტეტს იცავდა[1]. სავარაუდოა, დადიანსა და გურიელს შორის ამ დროს უკვე არსებობდა დაპირისპირება და დადიანმა და გურიელმა თავი აარიდეს ბრძოლის ველზე ერთად გასვლას. ლევან დადიანმა 1625 წელს სვიმონის გურიელობას ბოლო მოუღო.

არც იმერეთის მეფე გიორგი იყო უმოქმედოთ. მაშინ როდესაც მის სამეფოში დაძაბული ვითარებაა, მან საინტერესო წინადადება შესთავაზა გიორგი სააკაძეს, რომელიც მარაბდის ბრძოლის შემდეგ თეიმურაზ I-თან საბოლოო დაპირისპირებულობაში იმყოფებოდა. სააკაძე სამცხიდან იმერეთში გადავიდა და გიორგი მეფესთან ქუთაისში მოლაპარაკება გამართა. დახმარებაზე დაპირების მიღების შემდეგ, იგი ოდიშში გადავიდა და ლევან დადიანთან მოლაპარაკებითაც კმაყოფილი დარჩა[2].

გ. ჯამბურიას ვარაუდით, გიორგი სააკაძის ქუთაისში ყოფნის დროს მოხდა მისი ვაჟის ავთანდილის და მეფე გიორგის ასულის, ხვარამზეს, ნიშნობა, რომელიც „ფიცის წიგნით“ გაფორმდა. „ეს ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთ-მეფემ პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა ალექსანდრემ, მამუკამ და როსტომ თქვენ, მოურავს პატრონს გიორგის, ასრე, რომე ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულგანწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია“[3].

გიორგი სააკაძეს, როგორც ჩანს, დანათესავების შემდეგ, იმერეთის მეფესთან პოლიტიკური მოკავშირეობის სურვილიც აღეძრა და, საგულისხმოა, მას საინტერესო წინადადებაც შესთავაზა, რის შესახებაც, გასაგები მიზეზების გამო, მეფის მიერ მიცემულ საფიცარ წიგნში არაფერია ნათქვამი, მაგრამ შემდეგში კი გამოჩნდება. გიორგი მეფის სიგელში აღნიშნულია გიორგი სააკაძისადმი პატივისცემაზე, როდესაც კი იგი, მისი ძმა ან შვილი იმერეთის მეფის სტუმარი იქნება. „კიდეც კარგად გარჩინოთ და არცავის საძალოთ და საავკაცოთ დაგანებოთ, რასაც შემძლე-

---

[1] შდრ. რეხვიაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[2] ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, გვ. 147-148.

[3] ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1959, გვ. 22.

ბელნი ვიყოთ და კიდეც კარგად მოგეპყრათ; და თუ ვინმე თქუენი თავი შემოგუაბეზღოს, არც გაუკითხავად შეგიბეზღოთ“[1].

„ეს აქტი, – როგორც გ. ჯამბურია შენიშნავს, – უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო, ვიდრე მოყვარული და ისეთ ვითარებაში შეიძლებოდა შექმნილიყო, რომელიც სააკაძის საქმისადმი კეთილგანწყობილებასა და შესაძლოა დახმარებასაც კი გულისხმობდა“[2]. მგონია, მათ ამ დროს დათქვეს კიდეც, რომ წარმატების შემთხვევაში, გიორგი III-ის ვაჟი, უფლისწული ალექსანდრე, აღმოსავლეთ საქართველოში გაემეფებინათ.

დამოწმებული ცნობების მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გიორგი სააკაძე, თუ აღმოსავლეთ საქართველოში სამხედრო მოქმედებას დაიწყებდა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები დაეხმარებოდნენ. იბადება კითხვა: არსებობდა იმის პირობა, რომ მეფე გიორგი III-ის, ლევან დადიანისა და მისი ხელქვეითი მალაქია გურიელის ერთი მიზნისათვის გაერთიანება მოხერხდებოდა? მთავრებმა თუ ასეთი დაპირება მისცეს, იმერეთში მოკავშირის მაძებარ ქართლის მოურავს, როგორც გ. ჯამბურია ფიქრობს, მაშინ გამოდის, რომ ლევან დადიანმა და გურიელმა სააკაძე მოატყუეს.

იმ მასალიდან, რომელიც სააკაძის დადიან-გურიელთან მოლაპარაკებას ასახავს, მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მთავრები გიორგი სააკაძეს და მის თანმხლებლებს შეწევნას მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად, სააკაძის მათი სამფლობელოების საზღვრებში ყოფნის პერიოდში პირდებოდნენ. მხოლოდ ამის შესახებაა ნათქვამი კათალიკოს-მთავრის მალაქია გურიელის „ფიცის წიგნში“, რომელიც მან გიორგი სააკაძეს და მის თანმხლებლებს მისცა: „...ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ფიცი პირი და წიგნი მოგახსენეთ ჩვენ პატრონმა კათალიკოზმა მალაქიამ თქუენ პატრონს მოურავს გიორგის და თქვენსა შვილსა ავთანდილს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა... და ერთობლივ ვინც ვინ თქუენი ერთგულნი და თქუენთან მყოფნი აზნაურიშვილნი არიან დიდნი თუ მცირენი,

---

[1] იქვე, გვ. 24.

[2] ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, გვ. 148.

ესე საფიცარი მოგახსენეთ ასრე და ამა პირსა ზედა ვიყუნეთ თქუენთვის კარგნი და კარგნის მდომნი... და ***თუ ჩვენს ალაგს მობრძანდეთ, კიდეც შეგიხიზნოთ და არას კაცსა საძალოთ და საავკაცოთ არ დაგანებოთ რაც ძალგვედვას. და თუ ჩვენის ალაგიდამე წაბრძანება მოინდომოთ, ჩვენი ადგილი უზიანოთ გაგარონინოთ***"[1]. ასეთივე იქნებოდა დადიან-სააკაძის შეთანხმების შინაარსი, ან ციტირებული დოკუმენტი დადიან-გურიელის საერთო აზრს გამოხატავდა. რაც შეეხება გიორგი III-ს იგი, გრკვეული ინტერესიდან გამომდინარე, სააკაძეს ჯარით დაეხმარა თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბაზალეთის ბრძოლაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გ. ჯამბურიას მიერ გიორგი სააკაძის დასავლეთ საქართველოში დიპლომატიური საქმიანობის შეფასება გაზვიადებულია. იგი წერს: „როგორც ვხედავთ, სააკაძე დიდ მოსამზადებელ საქმიანობას ეწევა საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, რათა უზრუნველყოს თავისი (საქართველოს გაერთიანების –ე.მ.) გეგმების წარმატებით განხორციელება"[2].

გიორგი მეფემ გიორგი სააკაძეს თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ დასახმარებლად ბაზალეთის ბრძოლის წინ დამხმარე ჯარი გამოუგზავნა, მაგრამ სააკაძემ მარცხი განიცადა. სააკაძესთან ერთად დამარცხდა გიორგი III-ის ვაჟის, ალექსანდრეს, გაერთიანებულ საქართველოში გამეფების იდეაც.

გიორგი III-ის დიპლომატიის დიდი მარცხი იყო ლევან დადიანისა და ქართლის მეფე როსტომის დანათესავება. ამის შემდეგ ოდიშის მთავარი ირანის შაჰის მოკავშირე გახდა და იმერეთის სამეფო ორმხრივი დარტყმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. იმერეთის მეფეს აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევის სურვილიც რომ ჰქონებოდა, როსტომ მეფის მოწინააღმდეგეებს ვეღარ დაეხმარებოდა, რადგან გიორგი მეფის ზურგში ჩასაფრებული დადიანი დაუყოვნებლივ მოქმედებას დაიწყებდა. დადიანი რომ ყოველთვის ასე მოიქცეოდა და ობიექტურად თუ სუ-

---

[1] იქვე, გვ. 148-149.

[2] იქვე, გვ. 149. ამ მოსაზრებასაა მ. რეხვიაშვილიც. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 89.

ბიექტურად იგი როსტომის მოკავშირე იქნებოდა, გამოჩნდა როსტომის, ყიზილბაშთა ჯარით, ქართლში შემოსვლისთანავე. თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ გიორგი III ჯარით გადმოვიდოდა და ერთობლივად შეებრძოლებოდნენ მომხვდურს, მაგრამ, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე შენიშნავს, „იმერეთით მოშველიებას ელოდნენ. დადიანი ჩამოსდგომოდა, ვეღარც ისინი მოეშველნეს“[1]

თანამედროვეებმა როსტომისა და მარიამის ქორწინება დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტად შეაფასეს. იგი მიმართული იყო ოდიშის მთავრის ყველა მტრისა და გიორგი III-სა და თეიმურაზ I-ის ყველა მოკეთის წინააღმდეგ. თვით როსტომიც ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის დის მარიამის შერთვას, თეიმურაზ მეფის მიერ თავისი ასულის, დარეჯანის, იმერეთის ბატონიშვილზე, ალექსანდრეზე დაქორწინების საპასუხო ღონისძიებად აცხადებდა. ამ ქორწინების მნიშვნელობა როსტომის ქართლში შემოსვლისთანავე ცხადი გახდა. თეიმურაზი ყიზილბაშთა ჯარს ვერ გაუმკლავდა და დიდი ამალით იმერეთში გადავიდა. მას იქ საიმედო თავშესაფარი ჰქონდა. „ბატონი თეიმურაზ იმარეთს შეიხიზნა: ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი და ჩ˜ნ და დადიანი ბატონი ლევან დავმოყვრდით და შევირთეთ დაჲ მისი“[2].

გიორგი მეფემ განიზრახა რათაც არ უნდა დაჯდომოდა მისთვის არასასურველი როსტომისა და მარიამის ქორწინება ჩაეშალა. გიორგის მხარი აუბა მასთან დიდი ამალით შეხიზნულმა თეიმურაზმა, რომლისთვისაც ასევე საზიანო იყო ეს ქორწინება. მათ გადაწყვიტეს იმერეთში გადმოსული როსტომის მიერ მარიამის ქართლში გადაყვანა არ დაეშვათ. მარიამს თავისი ძმა ლევან დადიანი აცილებდა. როსტომმა და მთავარმა, იცოდნენ, რომ იმერეთში გავლა სახიფათო იყო, მოწინააღმდეგეებს დიდი ჯარი ჰყავდათ. გადაწყვიტეს ერთმანეთს საჩხეიძოში, ბაღდადთან, კაკას ხიდზე შეხვედროდნენ. მეფე გიორგის წინდაუხედაობამ ის გამოიწვია, რომ ლევან დადიანის ტყვეობაში აღმოჩნდა[3]. მისი დატყვევების

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 240

[2] იქვე.

[3] გრიგოლია კ., ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. კრებულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-

შემდეგ მოხდა ბრძოლა. გაიმარჯვა ლევან დადიანმა. ლევანმა დაატყვევა, აგრეთვე გიორგი მეფის ვაჟი, უფლისწული მამუკა. ლევან დადიანმა ქუთაისი აიღო, გადასწვა და მთელი იმერეთი აიკლო[1].

დადიანს უნდოდა იმერეთში უმეფობით ესარგებლა და ტახტზე აეყვანა ქაიხოსრო გურიელი. ამის საპირისპიროდ, იმერეთის დიდებულები შეიკრიბნენ და გიორგი III-ის ძე ალექსანდრე გაამეფეს. მან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, დიდძალი გამოსასყიდის გაღებით, შეძლო მამის, გიორგის, დახსნა[2].

ალექსანდრე III-ის დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან

რაც დრო გადიოდა, ურთიერთობა ლევან დადიანსა და ალექსანდრე III-ს შორის მით უფრო მწვავდებოდა. ალექსანდრემ ქუთაისი გაამაგრა. იმერეთის დიდებულნი დადიანს რომ არ მიმხრობოდნენ, თავიანთი ოჯახებით იქ შეიყვანა. ლევან დადიანი „ამით აოჴრებდა სანახებსა იმერეთისასა, ვიდრე ვერდარა წინააღუდგა ალექსანდრე მეფე და მოავლო ზღუდე ქუთათისს დიდი და მოიყვანნა ყოველთა წარჩინებულთა თჳსთა ცოლშვილნი და დაადგინნა მას შინა და თჳთცა იმყოფებოდა მასვე შინა, რათა არა მიერთნენ დადიანსა ჰყო მისთჳს“[3].

ლევან დადიანის მიერ იმერეთის აკლება გრძელდებოდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში[4]. უაღრეს გაჭირვებაში ჩაყენებულმა მეფე ალექსანდრემ და საკუთარი სამეფოდან დევნილმა თეიმურაზ მეფემ, დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს.

ორივე მეფის ელჩები (ალექსანდრესი – თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი, თეიმურაზისი – მღვდელ-მონაზონი ვასილი და დავითი) ერთად გაემგზავრნენ.

სტიტუტის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 150-151 (შემდეგში – ენიმკის მოამბე).

[1] იქვე, გვ. 153.

[2] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 241

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.

[4] იხ. რეხვიაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 95-97.

რამდენადაც თეიმურაზ მეფის რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაზე უკვე ითქვა, ამიტომ, მხოლოდ იმერეთის მეფის მიმოწერას განვიხილავ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავის წერილებში ალექსანდრე რუსთ ხელმწიფის ყურადღებას ხშირად მიაპყრობს თეიმურაზ მეფის არასახარბიელო მდგომარეობაზე.

იმერეთის ელჩებს თან მიჰქონდათ ალექსანდრე მეფის 1649 წლის 13 აგვისტოთი დათარიღებული, ბერძნულად დაწერილი სიგელი. მისი შინაარსის გაცნობა, ნათელს ხდის, რომ იგი შედგენილია თეიმურაზ I-ის კარნახით, ან მასთან შეთანხმებით.

ალექსანდრე III ალექსი მიხეილის ძეს წერდა, რომ იგი, მისი თავადები, ყმები და მთელი ქვეყანა მზად არიან მოსკოვის ქვეშევრდომობაში შესასვლელად. ამის შემდეგ ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს თავის იმ უმთავრეს პრობლემაზე მოახსენებდა, რომელსაც ოდიშის მთავარი იმერეთის სამეფოს უქმნიდა. იქვე მოცემულია ლევან დადიანის უარყოფით დახასიათება: „დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიდგა და სტამბოლის თურქთა სულთანს მიემხრო, ჯარები შეკრიბა და ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა. აფხაზებსა და ჯიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს, და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად ჰგზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისათვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქს კი მიემხრო, მათი რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა, ახლა ამ ჩვენი ქვეყნის თურქეთის სულთნისადმი დამორჩილება უნდა, მართლმადიდებლობის და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს“. ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს იმ მაგალითებს უსახელებს, რომლებიც მას დადიანის მიერ ქრისტიანობის უარყოფაში დაარწმუნებს. დადიანის გარდა, იმერეთის სამეფოს, დიდ ხიფათს უქმნიდნენ მეზობელი მაჰმადიანებიც, ამიტომ საქრისტიანოს ყველაზე დიდმა და ძლიერმა მოსკოვის ხელმწიფემ დროზე უნდა აღმოუჩინოს დახმარება იმერეთის სამეფოს, რომელიც თერგიდან შორს არ არის. „ერთი კვირის სავალია, – მიმართავს ალექსანდრე რუსთ ხელმწიფეს, – შეგიძლია 20.000 მეომარი გამოგზავნო ჩვენში და ჩვენს ქვეყანას დაეუფლო... ეს ადგილებიც

ნაცვლად იმისა, რომ მაჰმადიანებს ჰქონდეთ, თქვენი უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა“[1].

ალექსანდრე ცდილობს დაანახოს მოსკოვის ხელმწიფეს, რომ რუსეთის მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის შედეგიც იყო ის უბედურება, რომელშიც თეიმურაზ მეფე აღმოჩნდა, უფლისწული დავითი მოკლეს და თეიმურაზი იმასაც კი ვეღარ ახერხებს, რომ შვილის ხელმწიფესთან გაგზავნით მოსკოვის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. „დღეგრძელო ხელმწიფეო, უწყოდე, აგრეთვე, რომ სიმამრი ჩემი თეიმურაზი, აქ, ჩემთან იმყოფება, ყიზილბაშებმა იგი თავის ქვეყნიდან გამოდევნეს და ჩემთან ცხოვრობს, ვაჟი მისი დავითი მოჰკლეს, განსაცვიფრებელი უფლისწული იყო. მას შემდეგ რაც ყიზილბაშებმა გაიგეს, რომ იგი (თეიმურაზი) თქვენი დიდებული ხელმწიფობის საფარველს ქვეშ შედგა, და ერთმანეთთან დამოყვრების სურვილი რომ გაქვთ, შეჰკრიბეს ჯარი და მისი ვაჟიშვილი უფლისწული მოკლეს. იმ უფლისწულს სამი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა. ერთ-ერთი მათგანის, უფროსისა, თქვენს უდიდებულესობასთან წარმოგზავნა უნდოდა, მაგრამ „შემახაზე“ გზა დაკეტილია. ყიზილბაშები გზებს ყარაულობენ და აქ გამოვლა შეუძლებელია. ახლა მისი გამოგზავნა ამიტომ ვერ შეძლო. დღეგრძელო მეფეო, თეიმურაზ მეფე და მისი უფლისწულნი შენი არიან. მეც აგრეთვე, დღეის ამას იქით თქვენი მონა-მორჩილი ვარ“[2].

ალექსანდრე III, ითვალისწინებს რა, რუსეთის ხელისუფლების ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული სიწმინდეების და სხვათა მიმართ დაინტერესებას, ცდილობს კიდევ უფრო გააღვივოს ეს ინტერესი. იგი ხელმწიფეს სთხოვს გამოგზავნოს იმერეთში თავისი ელჩები, რომლებიც საკუთარი თვალით ნახავენ „როგორი შემკულია ჩვენი ეკლესიები და წმინდა მონასტრები, იხილოს ჩვენი წმინდა ნაწილები, ჩვენი საოცარი ხატები, ჩვენი მშვენიერი ციხე-ქალაქები, უძველეს ქრისტიან მართლმადიდებელ მეფეთაგან ნაშენები“[3].

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში მოგზაურობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 35-37.

[2] იქვე, გვ. 37.

[3] იქვე, გვ. 38

იმერეთის მეფე იმითიც ცდილობს იმერეთის სამეფოსა და, საერთოდ, საქართველოს მიმართ რუსეთის მეფის ყურადღების მიპყრობას, რომ სურს აჩვენოს გარკვეული ქართული პოლიტიკური ორიენტაციის, რუსეთთის მფარველობაში შესვლის სურვილის ერთიანობა: „ახლა კი ორივე მეფე ერთად ვართ, მეფე თეიმურაზი და მე, მეფე ალექსანდრე, და ორივენი მუხლმოდრეკით გთხოვთ თქვენ თქვენო ბრწყინვალებავ და შევთხოვთ უფალს, მოწყალება მოიღოთ და თქვენის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ მიგვიღო და შენი ხელმწიფური წყალობა არ მოგვაკლო“[1].

ალექსანდრე მეფე რუსეთის ხელმწიფეს აფრთხილებს: რომ თუ იგი რეალურ დახმარებას არ გაუწევს მისი მფარველობის ქვეშ შესვლის მოსურნეებს, ამას შეიძლება საქართველოსათვის კატასტროფული შედეგი მოჰყვეს, რაც ხელმწიფის ბრალიც იქნება: „ამის გამო ვთხოვთ თქვენს უმაღლეს ხელმწიფობას და გევედრებით მოწყალება მოიღო და ჩვენი განწირვა არ ინებო“[2].

როგორც აღნიშნული იყო, არ ვიცით ქართველი მეფეების ელჩობების მომზადებისა და დანიშნულების ადგილამდე მოგზაურობის პირობების შესახებ. ცნობილია, რომ დასახელებული მეფეების ელჩების მიღება და ალექსი მიხეილის-ძისათვის გაგზავნილი წერილების განხილვა ერთსა და იმავე დღეს (1649 წ. 13 აგვისტო) მოხდა, სათათბიროს მდივანმა მიხეილ ვოლოშენინოვმა ელჩები მიიღო.

გასაუბრების დროს, იმერეთის ელჩებმა, ალექსანდრე მეფის ბრძანების თანახმად, განაცხადეს, რომ ლევან II დადიანი ალექსანდრე მეფეს განუდგა, ირანის შაჰს მიემხრო, რომლის დახმარებითაც უნდა დაიპყროს იმერეთი. „კარგი იქნებოდა, თუ მისი უდიდებულესობა ბრწყინვალე მეფე (ალექსი) ინებებდა და ჩვენ იმ დადიანის წინააღმდეგ თავის ჯარისკაცებით დახმარებას აღმოგვიჩენდა. აგრეთვე მეფე ალექსანდრემ ბრძანა მის უდიდებულესობას ელჩებმა შეევედრონ, რათა ხელმწიფემ შეიწყალოს და მასაც, ისევე როგორც „საქართველოს“ მეფეს (თეიმურაზს –ე.მ.), ხელმწიფის წყალობის სიგელი უბოძოსო“[3].

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 41.

ჩანს, მეფეების ელჩებმა და წერილებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს მოსკოვში, რომ 1650 წლის 22 მაისს რუსეთის ხელმწიფემ ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იევლევს იმერეთში ელჩად წასვლა უბრძანა. ელჩს დაევალა ალექსანდრე მეფისათვის გადაეცა, რომ ხელმწიფემ როდესაც გაიგო როგორ გაჭირვებაში ცხოვრობდა იმერეთის მეფე, „შეწუხდა და ალექსანდრე მეფის მთელ მის ქვეყნასთან ერთად მისი მტრების წინააღმდეგ დახმარება და მფარველობა ისურვა... ახლა ალექსანდრე მეფემ თავისი წერილისა და თხოვნის შესაბამისად ელჩების წინაშე (თანდასწრებით) დაიფიცოს და მეფის უდიდებულესობას ჯვარზე მთხვევით შეჰფიცოს, აგრეთვე, თავის შვილსა და მახლობელ კარისკაცებს უბრძანოს იმ წიგნის მიხედვით ჯვარს ემთხვიონ, რომელიც ამჟამად მათთვის გამოგზავნილია“[1]

ელჩის განაწესში კიდევ უფრო დაწვრილებით იყო განმარტებული იმათ შესახებ ვისაც მოსკოვის ხელმწიფისადმი სამუდამო მორჩილებასა და ერთგულებაზე მზადყოფნა ჯვარზე მთხვევით უნდა დაედასტურებინათ. ესენი იყვნენ: მეფე ალექსანდრე, მისი შვილები და შვილიშვილები, „რომელნიც მომავალში გაჩნდებიან... ისინი არც ერთ სხვა ხელმწიფეს მიკედლებიან. ფიცის წიგნის დაწერა ბრძანოს, და იმ წიგნზე ალექსანდრე მეფემ და მისმა შვილებმა, რომელნიც მას ამჟამად ჰყავს, ხელი მოაწერონ და ბეჭდები დაასვან... ხოლო შემდეგ, მეტი სიმტკიცისათვის, მისმა მახლობელმა კარისკაცებმაც ჯვარზე მთხვევით დაიფიცონ“[2].

რასაც მოითხოვდა მოსკოვის ხელმწიფე, ნათელი იყო, მაგრამ თვითონ ქართულ მხარიეს არაფერს პირდებოდა, არავითარ ვალდებულებას არ კისრულობდა. როდესაც გაკვირვებული და დაინტერესებული ქართველები იკითხავდნენ, სანაცვლოდ რას მიიღებდნენ, რუსეთის ელჩის პასუხი უნდა ყოფილიყო იმდენად ბუნდოვანი, რომ მოსკოვის მთავრობას მისი, საჭიროებისდა მიხედვით, სხვადასხვანაირი, ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ჰქონოდა: „... მის უდიდებულესობას... სურს ალექსანდრე მეფე თავის

---

[1] იქვე, გვ. 43.
[2] იქვე გვ. 43-44.

მფარველობაში და მორჩილებაში ჰყავდეს და მტრებისაგან მათ დაიცავს, ***როგორც ხელმწიფეს ამის შესაძლებლობა ექნება, ისე უბრძანებს***"[1]. ამგვარი პირობებით მფარველობაში შესულს, რა თქმა უნდა, მფარველისადმი პრეტენზიები არ უნდა გასჩენოდა. მაგრამ ქართული მხარე მაინც თუ დააკონკრეტებდა და იკითხავდა, ხელმწიფე იმერეთის სამეფოს ყიზილბაშებისაგან მაინც თუ დაიცავდა, ელჩებს უნდა ეპასუხათ: „***თუ საჭიროს დაინახავს*** მისი უდიდებულესობა ***შაჰს მისწერს,*** რომ მან რუსეთის ხელმწიფისადმი მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად, მეფე ალექსანდრესთან ომსა და მის შევიწროებაზე ხელი აიღოს, მით უმეტეს, როცა შაჰი გაიგებს, რომ დიდმა ხელმწიფემ მეფე ალექსანდრე შეიწყალა, ***საფიქრებელია, ხელმწიფის ამ თხოვნას შაჰი უყურადღებოდ არ დატოვებს, არ შეავიწროებს და არავითარ ზარალს არ მიაყენებს (იმერეთს)***"[2].

როგორც ჩანს იმერეთის მეფეს გაცნობიერებული ჰქონდა და მისმა ელჩებმაც მოსკოვშიც სრულიად გარკვევით გააგებინეს, რომ ***როდესაც ლევან დადიანი თავს ესხმოდა იმერეთის სამეფოს, მისი პირადი ინტერესების გარდა, მის ამ მოქმედებაში ჩადებული იყო ირანის შაჰისა და როსტომ მეფის ინტერესებიც. იმერეთის პოლიტიკოსები და მათთან ერთად იმერეთში თავშეფარებული თეიმურაზ I და მისი კარისკაცები, ვარაუდობდნენ, რომ მოსკოვს შეეძლო შაჰის საშუალებით გავლენა მოეხდინა ოდიშის მთავარზე და ასეთი არაპირდაპირი გზით მაინც ირანის არაპირდაპირი აგრესიისაგან დაეცვა იმერეთის სამფო.***

რუსეთის ელჩობას დაევალა, აგრეთვე, იმერეთში „დაწვრილებით შეისწავლოს როგორია მოსახლეობის სარწმუნოება, გამოარკვიონ ჭეშმარიტად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ ბერძნული ტიპიკონის თანახმად და იცავენ თუ არა მოციქულთა და წმიდა მამათა მოძღვრებისამებრ ყველა წესს"[3]. ელჩობაში სპეციალურად შეყვანილ რუს სასულიერო პირებს იმერეთის ეკლე-

---

[1] იქვე, გვ. 44.
[2] იქვე, გვ. 44-45.
[3] იქვე, გვ. 46.

სიებში დაცული სიწმინდეები უნდა დაეთვალიერებინათ და მათზე ცნობები შეეგროვებინათ.

ელჩებს „ყოველგვარი ხერხისა და ღონისძიების გამოყენებით“ საიდუმლოდ უნდა შეეკრიბათ პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ინფორმაცია იმერეთის მეფის სულთანთან, შაჰთან ურთიერთობაზე, მოდიოდნენ თუ არა დასახელებული მბრძანებლების ელჩები, დესპანები ან შიკრიკები მასთან და რა დავალებით, ან თვითონ მეფე თუ აგზავნიდა მათთან ელჩებს.

საინტერესოა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, რუს ელჩებს დავალებული ჰქონდათ იმერეთში შეეგროვებინათ ცნობები ირან-ოსმალეთის ურთიერთობაზე[1]. ელჩებს ინფორმაცია უნდა შეეგროვებინათ, აგრეთვე, ქართლის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შესახებ. კერძოდ, ელჩებისაგან მოითხოვდნენ ოდიშის სამთავროს შესახებ გაერკვიათ: „სადადიანოს მთავარი თავის სამთავროშია თუ არა, ვის ექვემდებარება – თურქს თუ შახს, თუ დამოუკიდებელია და ხარკს არავის არ უხდის“. ყოველივე ამის შესახებ ელჩებს ზუსტი ცნობები უნდა შეეგროვებინათ და დაწვრილებით ჩაეწერათ მუხლობრივ აღწერილობაში[2].

ელჩებს უნდა დაეკმაყოფილებინათ ქართველი მეფეების ინტერესი რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ[3].

1651 წლის 10 ივნისს იმერეთში ჩამოსული რუსეთის ელჩები 24-ში მეფე ალექსანდრეს წინაშე წარსდგნენ. სხვათა შორის, ელჩებმა მდივან ფეშანგს მოთხოვეს, რომ აუდიენციის დროს მეფესთან სხვა სახელმწიფოს მოციქული ან ელჩები არ ყოფილიყვნენ[4].

ნიკიფორე ტოლოჩანოვმა ალექსანდრე მეფეს შეახსენა, რომ მოსკოვის ხელმწიფემ იმერეთის სამეფოში თავისი ელჩები მისი თხოვნით გამოგზავნა. „გვთხოვთ აგრეთვე, რომ ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ შეგიწყალოთ და არ დაგტოვოთ ჩვენი მფარველი ხელის გარეშე. იმასაც გვწერთ, რომ თქვენ სხვა, ქრისტიანული

---

[1] იქვე, გვ. 46-47.
[2] იქვე, გვ. 48, 54.
[3] იქვე, გვ. 56-58.
[4] იქვე, გვ. 94.

სარწმუნოების მეფე არა გყავთ მფარველი, გარდა ჩვენი მეფური უდიდებულესობისა... გვწერდით... თუ რა შევიწროებას და დევნას განიცდით მტრებისაგან თქვენს სახელმწიფოში და ჩვენ გვთხოვდით რათა შეგიწყალოთ, დახმარება აღმოგიჩინოთ... გვთხოვდით აგრეთვე, რომ... თქვენთან ჩვენი ელჩები გამოგვეგზავნა თქვენი ადგილების დასათვალიერებლად"[1].

ალექსანდრე მეფემ თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა ხელმწიფეს, რომ „მე, მისი მონა შემიწყალა, თავისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ მიმიღო და ხელმწიფემ ჩემთან თავისი ელჩები გამოგზავნა... მე მოხარული ვარ მთელი ჩემი ქვეყნით თავი დავსდო ხელმწიფისათვის"[2].

ელჩობის მდივანმა ალექსი იევლევმა თავისი ხელმწფის სახელით ალექსანდრე III-ს მოახსენა, რომ მისთვის ცნობილია ის შევიწროება, რომელიც იმერეთის სამეფომ მტრებისაგან განიცადა. ამიტომ მას სურს ყოველგვარი ღონისძიებით დაიცვას მთელი მისი ქვეყანა, „ჩვენ ხელმწიფური მაღალი ხელისაგან არ მოგიცილებთ და ჩვენი თვალყურის ქვეშ გვეყოლები, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ურწმუნოებისაგან შეგინებულ არ იქნეს... გვემსახურებოდეთ და იღვწოდეთ ყველაფერზე მის სასიკეთოდ, როგორც პირობა მოგიციათ, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, თქვენი ფიცისამებრ და სხვა არც ერთ ხელმწიფეს არ მიეკედლოთ"[3]. ალექსანდრე მეფემ რუსების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადა.

28 ივნისს მეფესთან მოლაპარაკების დროს ელჩებმა იმ პირთა სია მოითხოვეს, რომლებიც ფიცის წიგნში უნდა შეეტანათ და, რომლებსაც წიგნზე ხელი უნდა მოეწერათ. მეფე დაპირდა სიის გამზადებას[4]. სია, რომელშიც მოცემული იყო თავადების ვინაობა, ელჩებს გადაეცათ 13 სექტემბერს. ელჩებმა თავადების სია ფიცის წიგნში შეიტანეს[5].

---

[1] იქვე, გვ. 96.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 96-97.
[4] იქვე, გვ. 102.
[5] ალექსი იევლევი, გვ. 154.

იმავე დღეს ელჩებმა ალექსანდრე მეფეს მოსთხოვეს, რომ მან ქართულად დააწერინოს ფიცის წიგნი, რომელშიც ჩაწერილი იქნებოდა: „მე მეფე ალექსანდრე, ჩემი ძმა და ჩემი ვაჟიშვილი, მთელი ჩემი სამეფო და ჩემი შთამომავალი, რომელიც ამიერიდან შემეძინება, რუსეთის მეფის უმაღლესი ხელის ქვეშ მყოფნი ყმანი ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე“[1]. ელჩების ეს მოთხოვნა ალექსანდრე მეფემ დააკმაყოფილა.

ალექსანდრემ მოითხოვა: მიუხედავად იმისა, რომ ის მზად იყო ხელმწიფისადმი ერთგულებაზე ფიცი დაედო, მაინც საჭიროდ მიაჩნდა ელჩებს მისთვის გაეცნოთ იმ ფიცის წიგნის შინაარსი, რომელიც მათ მოსკოვიდან ჩამოიტანეს. მეფის ამ მოთხოვნას აღნიშნავს ელჩობის მდივანი ალექსი იევლევი[2].

ალექსი იევლევმა შემოგვინახა ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც მას მოუსმენია 1651 წლის 2 ივლისს, როდესაც ნიკიფორე ტოლოჩანოვს მის ბინაზე ეწვივნენ გოლგოთის მთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე და თეიმურაზ მეფის აზნაური რამაზანი. მათ უთქვამთ, რომ „ალექსანდრე მეფე, მათ (რამაზანს და ნიკიფორე იღუმენს) მთავარ ლევან დადიანთან გზავნის მოსალაპარაკებლად, რათა ლევან მთავარი ალექსანდრე მეფეს შეურიგდეს, ხოლო შერიგების შემდეგ, ლევან მთავარმა, მის უდიდებულესობას, მეფეს (ალექსი მოიხეილის ძეს –ე.მ.), ელჩები გაუგზავნოს და დიდ ხელმწიფეს შეევედროს, რათა მისმა უდიდებულესობამ მეფემ ლევან მთავარი ისევე შეიწყალოს, როგორც ალექსანდრე მეფე და მის ხელმწიფურ ხელქვეშ მიიღოს. ამ საქმის გამო ალექსანდრე მეფემ გვიბრძანაო, რომ ჩვენ, ელჩებს, ჩვენის მხრით იღუმენისათვის დაგვევალებინა ლევან მთავრისათვის იმავე რჩევის გადაცემა“[3].

როგორც ჩანს, ალექსანდრე მეფეს უნდოდა მოსკოვსა და ზუგდიდს შორის ურთიერთობის დამყარებაში თვითონ შეესრულებინა დამაკავშირებლის როლი. რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შესული ლევან დადიანი, იმავე მფარველის ქვეშ მყოფი ალექ-

---

[1] იქვე.
[2] იქვე, გვ. 122.
[3] იქვე, გვ. 126.

სანდრეს მტერი ვეღარ იქნებოდა. მაგრამ იცის რა დადიანის განწყობა რუსეთისადმი და ისიც, რომ იმერეთის მეფის რჩევას ის არაფრად ჩააგდებს, მისი ფიქრით, რუსეთის ხელმწიფის წარმომადგენელის რჩევამ მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენისაკენ, შეიძლება დადებითი შედეგი გამოიღოს.

რუსმა ელჩებმა უარი სთქვეს იმერეთის მეფის თხოვნის შესრულებაზე, თუმცა, როგორც მათ განაცხადეს, მიესალმებოდნენ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ მეფესა და მთავარს შორის მშვიდობის დამყარებას და ხელმწიფეც დიდად კმაყოფილი დარჩებოდა, თუკი იღუმენი ნიკიფორე მასზე მინდობილ საქმეში წარმატებას მიაღწევდა[1].

ელჩებს არ უნდოდათ და არც შეეძლოთ თავიანთი ხელმწიფის ბრძანების გარეშე ჩარეულიყვნენ ალექსანდრე მეფისა და ლევან დადიანის კონფლიქტის მოგვარებაში. როგორც თეიმურაზ მეფისა და ლევან დადიანის დიპლომატიურ ურთიერთობაზე საუბრისას ითქვა, ***რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის მშვიდობის დამყარება***.

რუსეთის ელჩებთან მოლაპარაკების პარალელურად, ლევან II დადიანისა და ალექსანდრე მეფის შერიგებისათვის დიდად აქტიურობდა თეიმურაზ მეფე. წყაროების მიხედვით ისე ჩანს, რომ იმერეთის მეფე მოლაპარაკებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა. სავარაუდოა, დადიანს არ სურდა მასთან მოლაპარაკება, იგი უპირატესობას თეიმურაზს ანიჭებდა.

როდესაც ლევან დადიანის მოციქული გიორგი ქართველი, ოდიშიდან ქართლის სამეფოში როსტომ მეფესთან თეიმურაზის კახეთის ტახტზე აღდგენისათვის საშუამდგომლოდ მიდის, ჩანს, რომ ამის შემდეგ მან მოლაპარაკება უნდა დაიწყოს თეიმურაზთან და ალექსანდრესთან დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის მშვიდობის დამყარებისათვის[2].

ამგვარად, ჩვენს წინაშეა ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი მხარე – ერთი, თეიმურაზ I-ის და ალექსანდრე III-ის და, მეორე, როსტომ მეფისა და ლევან II დადიანის სახით. პირველში

---

[1] იქვე, გვ. 126-127.

[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 122

აქტიურობს თეიმურაზი, მეორეში – ლევან დადიანი. საინტერესოა, რატომ ასე განაწილდა როლები დაპირისპირებულებს შორის? ამგვარი მდგომარეობის მარტივი მიზეზით ახსნება. როსტომს არ უნდა პირისპირ ელაპარაკოს მის მიერ დევნილ თეიმურაზს; დადიანს არ უნდა პირისპირ ელაპარაკოს მის მიერ მუდმივად შევიწროებულ და დევნილ ალექსანდრეს. ისიც ცხადია, რომ ნამეფარ თეიმურაზს ტახტის დაბრუნება, ალექსანდრეს კი მოსვენებით მეფობა უნდათ. ***უპირატეს მდგომარეობაში მყოფ როსტომსა და ლევანს მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგება არ აწყობთ. მაგრამ ეს უკანასკნელნი იმ ვალდებულებას კი გრძნობენ, რომ შერიგების მოსურნეთა და, საერთოდ, მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების მიზნით, მოჩვენებით მაინც გადადგან ნებიჯი იმ მოლაპარაკებისაკენ, რომელიც აუცილებლად უშედეგოდ დამთავრდება.***

ცნობილი არ არის რა პირობები წაუყენა როსტომ მეფემ თეიმურაზ მეფეს, რაც შეეხება ლევან დადიანის მოთხოვნებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით, „დადიანი ალექსანდრე მეფეს არ შეურიგდაო, იმიტომ, რომ დადიანმა ალექსანდრე მეფეს აუარებელი აზნაური მოთხოვა შერიგებაში, სამუდამო ზავს და მშვიდობას მხოლოდ (ამ აზნაურების გადმოცემის) შემდეგ დავამყარებო. ალექსანდრე მეფემ ამაზე უარით უპასუხა – მე ჩემს აზნაურებს შენ არ გადმოგცემო. დადიანმა თეიმურაზ მეფესაც უარი უთხრა შერიგებაზე“[1].

უნდა ითქვას, რომ იმერთა მეფე ალექსანდრე III მოსკოვის ელჩებთან მოლაპარაკებების დროს, თეიმურაზისა და ლევან დადიანის ფონზე უპრეტენზიო, დამყოლ მმართველად მოჩანს. იგი თითქოს ჩქარობს, რაც შეიძლება სწრაფად დადოს ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცი. ისეთი შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მას თეიმურაზი აკავებს, თორემ ყველაფერს სწრაფად მოათავებდა. იმის ფიქრიც შეიძლება, რომ ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომელსაც თეიმურაზთან თავისი ანგარიშები ჰქონდა, ალექსანდრეს ქებით თეიმურაზის, როგორც პოლიტიკოსისა და პარტნიორისადმი არასანდოობას ამძაფრებს. თითქოს ტოლოჩანოვს ქართ-

---

[1] იქვე, გვ. 124.

ველები ეუბნებოდნენ: ხელმწიფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თეიმურაზთან, რომელიც რაჭაში ბინადრობდა, კაცი გაგზავნეთ და დაითანხმეთ, თორემ ალექსანდრე მეფე არავითარ დაბრკოლებას არ შექმნისო. ალექსანდრე ელჩებს უთვლიდა: „დიდი ხანია მე ვეძებდი ხელმწიფეს მფარველად და ახლა გამოვძებნე მე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე, დავექვემდებარე ამ ხელმწიფეს მე ჩემი შვილით ბაგრატითურთ და ძმით მამუკათურთ[1] სამუდამო ყმათ მოუცილებლივ, მთელი ჩემი ქვეყნით და ამ ხელმწიფისათვის თავის დასადებად მზად და მოხარული ვარო“[2]. მაგრამ, როდესაც ვაკვირდებით ალექსანდრე მეფის რუსი ელჩების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოქმედებას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი, სინამდვილეში, ცდილობს თავი აარიდოს მოსკოვის ხელმწიფისადმი ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე ფიცის დადებას. სავარაუდოა, ალექსანდრე მეფე ლევან დადიანთან მოლაპარაკების შედეგებს ელოდება. მას რუსეთთან კავშირი ლევან დადიანის ასალაგმავად უნდა. მისი ამგვარი პოლიტიკაკიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება რუსეთთან შემდგომი დიპლომატიური ურთიერთობის დროს.

იმერეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლების მოლაპარაკება ალექსანდრე III-ის ხელმწიფის მფარველობაში შეყვანის შესახებ, ცნობილი გახდა ოსმალეთის სულთნისათვის და მან სცადა შეეჩერებინა ეს არასასიმოვნო, პერსპექტივაში მისი სახელმწიფოსათვის პრობლემების მომტანი პროცესი.

რუსეთის ელჩების იმერეთში ყოფნა დაემთხვა ოსმალეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ გართულებებს. ასეთ ვითარებაში ოსმალეთს არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებისად-

---

[1] მამუკა ბატონიშვილი და უფლისწული ბაგრატი ამ დროს ლევან დადიანის ტყვეობაში იყვნენ. ერთ დროს ლევან დადიანს მამუკა ბატონიშვილი თავისი ქალიშვილის ქმრათ უნდოდა, მაგრამ მამუკამ ბეჟია ჩხეიძის ქალი შეირთო. 1647 წელს იგი დადიანის ტყვეობაში ჩავარდა. ალექსანდრე მეფემ თავისი ვაჟი ბაგრატი დადიანს მძევლად გაუგზავნა, იმ პირობით, რომ იგი მამუკას გაანთავისუფლებდა. ლევანმა მამუკა არ გაანთავისუფლა და ბაგრატიც თავისთან დაიტოვა.

[2] იქვე, გვ. 125.

მი, როგორ აპირებდა მისი ხელდებული იმერეთის სამეფო შესულიყო ოსმალეთისადმი მტრულად განწყობილი რუსეთის მფარველობაში.

27 ივლისს ალექსანდრე მეფის მდივანმა ფეშანგმა რუს ელჩებს თავისი მეფის დანაბარები აცნობა: ალექსანდრე მეფეს მოუვიდნენ სულთნის ელჩები და „წინადადება მისცეს, რომ სულტანის ნებართვის გარეშე არ ჩამოგვცილდე და სხვა ქვეყნებს არ დაუმეგობრდე, ჯარი არ შეჰყარო და თურქეთის ხალხს და ციხეებს თავს არ დაესხა და არ გვეომო, სხვას (სიუზერენს) არ მიუხვიდეო.

ალექსანდრე მეფემ თურქეთის ელჩებს უპასუხაო, რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავისი ლაშქრით თურქეთის სულთნის წინააღმდეგ და მის ქვეშევრდომებზე თავდასასხმელად არ გამოვა და ***არც ერთ მაჰმადიანურ მეფეს არ მიემხრობა,*** მაგრამ არც თურქეთის სულთნის ბრძანებას არ შეასრულებს და არც მის მორჩილებას ისურვებსო“[1].

ალექსანდრე მეფის ოსმალეთის ელჩებისათვის ნათქვამიდან საყურადღებოა ერთი ფრაზა: იმერეთის სამეფო ყველა მუსლიმანური სახელმწიფოსადმი, მათ შორის ოსამლეთის მიმართაც დაიცავდა ნეიტრალიტეტს, არც ერთ მათგანს არ დაემორჩილებოდა და არ იქნებოდა საომარ მდგომარეობაში. ამგვარად, ***ალექსანდრე მეფის ნეირტალიტეტი ვრცელდებოდა მხოლოდ მუსლიმანური ქვეყნებზე, მაგრამ სრულიად განსხვავებული იქნებოდა იმერეთის სამეფოს ურთიერთობა ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სახელმწიფოებთან.*** ოსმალო ელჩებისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ იმერეთის სამეფოს არჩევანი გაკეთებული ჰქონდა: იგი რუსეთის მეფის მფარველობაში შედიოდა. მათთვის ისიც გასაგები იქნებოდა, რომ ***თუ ოსმალეთს სამხედრო კონფლიქტი ექნებოდა რუსეთთან, მაშინ იმერეთის სამეფო ამ უკანასკნელის მხარეს დადგებოდა, ე. ი. იმერეთის სამეფოს ნეიტრალიტეტი არ ვრცელდებოდა ოსმალეთის ქრისტიანულ ქვეყანასთან ომის შემთხვევაში.*** „მას (ალექსანდრე მეფეს) სურს დიდ ხელმწიფეს ემსახუროს და მის მტრებს წინაღუდგეს და ებრძოლოს. როდესაც ეს

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 145-146.

სიტყვები თურქეთის ელჩებმა მოისმინეს სთქვეს: შენ, ალექსანდრე მეფეო, ერთმორწმუნე მოსკოვის ხელმწიფეს შეუერთდი და თურქეთის სულთანს ჩამოცილდი“[1].

თუ რუს ელჩებს დავუჯერებთ, ისე გამოდის, რომ ალექსანდრე მეფემ სულთნის ელჩები იმავე დღეს დაითხოვა ყოველგვარი პატივისცემის ნიშნების გამოხატვის გარეშე.

ფეშანგს რუსი ელჩებისათვის ისიც უცნობებია, რომ ალექსანდრე მეფემ შაჰის ციხე-ქალაქების დასარბევად თავისი ჯარი გაგზავნაო. მათ თბილისამდე მიაღწიეს, ყიზილბაშები და მათი მომხრე ქართველები დაამარცხეს და მრავალი დაატყვევეს. მეფემ ქრისტიანი ტყვეები თავის აზნაურებს სოფლებში დაურიგა და მათი მოვლა-პატრონობა უბრძანა, მაჰმადიანები კი, საპყრობილეებში მოათავსა[2]. იმერეთის მეფის მიერ მოწყობილი ლაშქრობა ქართლში, როსტომ მეფის სამფლობელოებში, 1651 წელს, ე. ი. რუსეთის ელჩების საქართველოში ყოფნის პერიოდში, სხვა წყაროებით არ დასტურდება. ალექსანდრეს რომ ამგვარი ლაშქრობა მოეწყო, ამას დადიანი და როსტომი უპასუხოდ არ დასტოვებდნენ. შეიძლება ეს იყო ის ტყუილი, რომლითაც იმერეთის მეფეს ელჩები უნდა დაერწმუნებინა, რომ იგი, რუსეთის ხელმწიფის იმედით, უკვე მუსლიმანების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა[3].

ალექსანდრე მეფე წუხილს გამოსთქვამდა, რომ მისი ვაჟი ბაგრატი და ძმა მამუკა დადიანის ტყვეობაში იმყოფებოდნენ და შესაძლებლობა არ ჰქონდა ერთ-ერთი მათგანი მოსკოვის ხელმწიფესთან თაყვანის საცემად გაეგზვნა. იგი ამ მდგომარეობის გა-

---

[1] იქვე, გვ. 148.

[2] იქვე, 148-149.

[3] გვაქვს 1651 წლის სრულიად საწინააღმდეგო მინაწერი ილორის ხატზე, რომელიც ლევან დადიანს გაუკეთებინებია: „... მიუხდით მეფესა ალექსანდრეს რიონს გაღმა, ქუთაითს ქალაქი დავწვით და ავაოხრეთ და შემოვადეგით გვინაყალს და ავიღეთ სწორზედა ორმოცის თავადითა და აზნაურის შვილებითა, სხვისა მრავლისა მეთოფითა, მისის საქონლითა და ალაფით ავსებულნი...“ ქრონიკები II, გვ. 466. სავარაუდოა, დადიანის მიერ იმერეთის აკლება ელჩების რუსეთში გამგზავრების შემდეგ მოხდა. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მეფის ძმის, მამუკას დაბრმავება, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

მოსწორებას შეეცდება, მაშინ, როდესაც ელჩების მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, დიდი ხელმწიფის იმედით დიდ ლაშქარს შეყრის და შვილსა და ძმას ტყვეობიდან დაიხსნის. ამის შემდეგ იგი ძმას ან შვილს ხელმწიფეს უბოძებს და მოსკოვში გაგზავნის[1].

ალექსანდრე მეფეს ბრძანება გაუცია, რომ მის ქვეყანაში წირვის დროს პირველად ალექსი მიხეილის ძე მოიხსენიონ და მისი ჯანმრთელობა და ხსნა ღმერთს შეავადრონო[2].

ნიკიფორე ტოლოჩანოვს ელჩობის მუხლობრივ აღწერილობაში, 1651 წლის 11 სექტემბრის ქვეშ, აღნიშნული აქვს ერთი საყურადღებო ცნობა. თეიმურაზ მეფის მოსკოვში ელჩად ნამყოფ მღვდელ-მონაზონი ვასილის და კოსმა არქიმანდრიტს რუსი ელჩებისათვის უთქვამთ, რომ ალექსანდრე მეფესთან იმ დროს თბილისიდან, თურქეთიდან და სადადიანოდან ელჩები გამოცხადდნენ და „ალექსანდრეს უსაყვედურეს, რატომ დაუქვემდებარდი რუსეთის თეთრ ხელმწიფეს და მეფეს, დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სამუდამო ყმობაშიო“. ალექსანდრემ უპასუხა: „დიდი ხანია მე ვეძებდი ხელმწიფეს მფარველად და ახლა გამოვძებნე მე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე, დავექვემდებარე ამ ხელმწიფეს მე ჩემი შვილით ბაგრატითურთ და ძმით მამუკათურთ სამუდამო ყმათ მოუცილებლივ, მთელი ჩემი ქვეყნით და ამ ხელმწიფისათვის თავის დასადებად მზად და მოხარული ვარო“[3]. ნიკიფორე ტოლოჩანოვის ეს ცნობა, ალბათ, სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. არ შეიძლებოდა, რომ დასახელებული ქვეყნების მბრძანებლები არ შეშფოთებულიყვნენ იმერეთის სამეფოს რუსეთთან დაკავშირებით. ეს თავისთავად რეალობა იყო. ისიც გასაგებია, რა მიზნით აწვდიდნენ ამგვარ ცნობებს, ქართველი დიპლომატები რუს ელჩებს.

14 სექტემბერს, პატიოსანი ჯვრის ამაღლების დღესასწაულზე წირვის დასრულების შემდეგ, ელჩებმა ალექსანდრე მეფეს სთხოვეს, რომ დაესრულებინა რუსეთის ხელმწიფისათვის მისაცემი ფიცის წიგნის გაფორმება, დაეფიცა და ჯვარს მთხვეოდა. მე-

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 149.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 125.

ფის ბრძანებით, ტაძრის საკურთხევლიდან გამოიტანეს ჯვარი, რომელიც ნაგებობის შუაგულში ერთ-ერთმა არქიმანდრიტმა ხელში დაიკავა. მეფემ და მისმა კარისკაცებმა მოისმინეს თარჯიმნის მიერ ქართულად თარგმნილი ფიცის წიგნის, ტექსტი[1]. ფიცის წიგნის ქართული და რუსული ვარიანტები ჯვრის ქვეშ ამოდებული ხელში ეკავათ ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი იევლევს[2]. მეფემ პირჯვარი გადაისახა და ელჩების მიერ ნაკარნახევი სიტყვები გაიმეორა: „ვემთხვიე მე ცხოველმყოფელ ჯვარსა ამას და ძმისა ჩემისა მამუკასა და შვილისა ჩემისა ბაგრატის ნაცვლადაც და ფიცს ვაძლევ მეფესა და დიდ მთავარს სრულიად რუსეთისას ალექსი მიხეილის ძეს მასში, რომ მე შევიქენი ჩემი ხელმწიფის სამუდამო ყმა, აგრეთვე ჩემი ძმითა მამუკათი და შვილითა ჩემითა ბაგრატითურთ, მთელი ჩემი ქვეყნით იმ პირობებზე, რაც ამ ფიცის წიგნში წერიაო და ემთხვია ჯვარს ადამის თავის გამოსახულების ადგილთან“[3].

როგორც ჩანს, რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას თუ ჯვარზე გამოსახული მაცხოვრის რომელ ადგილს ეამბორებოდა რუსთ ხელმწიფის მფარველობაში შესული მეფე ალექსანდრე. მათ მოითხოვეს, რომ მეფეს ხელახლა შეესრულებინა რიტუალი და მაცხოვრის გამოსახულების ფეხებს მთხვეოდა. ალექსანდრემ ეს მოთხოვნა შეასრულა. მეფის შემდეგ, ჯვარს ემთხვივნენ სასულიერო პირები, თავადები და აზნაურები[4]. მაგრამ ფიცის წიგნს ძალა ჯერ არ ჰქონდა. იგი ალექსანდრე მეფეს თავისი ბეჭდით უნდა დაემტკიცებინა.

ფიცის წიგნთან დაკავშირებით ალექსი იევლევი აღნიშნავს ერთ საინტერესო მომენტსაც, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ნიკიფორე ტოლოჩანოვის ნათქვამთან. იევლევის გადმოცემით, ელჩებს მეფისათვის მოუთხოვიათ, მათთვის ის ბეჭედი გაეგზავნა, რომლითაც ფიცის წიგნი უნდა დაემტკიცებინა. როდესაც ელჩებმა ბეჭედი გასინჯეს, ნახეს, რომ მასზე გამოსახული იყო კათო-

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 157.
[2] იქვე.
[3] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 126.
[4] იქვე.

ლიკური ჯვარი და მის გარშემო მეფის სახელი ეწერა. ელჩებმა მოითხოვეს ახალი ბეჭდის გაკეთება, რომელზეც იქნებოდა წარწერა: „მე იმერეთის მეფე ალექსანდრე, ჩემი შვილით ბაგრატით და ჩემი ძმით მამუკათი სამუდამო ყმა ვარ, ხელმწიფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთისა“[1].

მეფე ფიცის წიგნის დამტკიცებას აგვიანებდა. აუცილებელი იყო სასულიერო პირებისა და თავად-აზნაურების ხელის მოწერაც, რაც სხვადასხვა მიზეზით ასევე იგვიანებდა და ელჩების გამგზავრებასაც აყოვნებდა.

ელჩებმა რამდენჯერმე სთხოვეს ალექსანდრე მეფეს, რომ მას თეიმურაზთან ეშუამდგომლა პირობის შესრულებისა და ელჩების დროულად, ზამთრის დაწყებამდე გაშვების შესახებ, მაგრამ ალქსანდრე თავს არიდებდა მათი თხოვნის დაკმაყოფილებას. როგორც ნიკიფორე ტოლოჩანოვი გადმოგვცემს, ერთხელ ალექსანდრე მეფემ ელჩებთან თავისი კაცები – ვასილ იღუმენი და ლომკაცი ჯაფარიძე გაგზავნა და დააბარა: რადგან თეიმურაზი დანაპირებს ვერ ასრულებდა, ელჩებს იმერეთში გამოეზამთრათ. ელჩები იმერეთში გამოზამთრებაზე დათანხმდნენ იმ პირობით, „თუ ალექსანდრე ჩვენ მიგვიღებს და დაზამთრებას გვიბრძანებს, და თეიმურაზ მეფის შვილიშვილის გაზაფხულზე მის უდიდებულესობასთან ჩვენთან ერთად გამოსტუმრებას იკისრებს, ჩვენ დავიზამთრებთ და დავიცდით, რომ მოვკვდეთ მაინც დავიზამთრებთ“[2]. ალექსანდრეს კაცების პასუხი იყო, რომ მათი მეფე თეიმურაზის საქმეზე პასუხისმგებლობას არავითარ შემთხვევაში არ იკისრებდა.

ალექსანდრე მეფემ ელჩებს შეუთვალა, რომ მან თეიმურაზ მეფესთან კაცი გაგზავნა და დააბარა: „თეიმურაზ მეფეს თქვენთვის ელჩებისათვის, ხელწერილი მოეცა და ვადა დაენიშნა. თვით ალექსანდრე მეფე თეიმურაზის საქმეებს არავითარ შემთხვევაში არ კისრულობს და ამასთან მას საქმე არა აქვსო“. იმერეთის მეფე, მხოლოდ იმ დროს, როდესაც თეიმურაზი თავის შვილიშვილს ხელმწიფესთან გაგზავნიდა, მაშინ ბრძანებდა, რომ იგი მის

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 161.

[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 136.

ხალხს გაეცილებინა და მისი ამალა ცხენებით უზრუნველეყოთ, ალექსანდრე სხვა სახსრებსაც პირდებოდა: „რამდენიც დასჭირდება ვუშოვნი და ღირსეულად გავაცილებო“. ალექსანდრე ყოველივე ამას აკეთებდა მოსკოვის ხელმწიფის პატივისცემისათვის: „მაჰმადიანიც რომ მიდიოდეს ჩემ ქვეყანაზე გავლით, მაგრამ მე მითხრას რომ მის უდიდებულესობასთან მივდივარო, მე მაშინაც ბრძანებას გავცემ ისიც პატივით გააცილონო. ეს კი (ერეკლე –ე.მ.) ბატონიშვილია ხომ და ამასთანავე ჩემი ნათესავიცაა. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ, რომ სხვა სახელმწიფოსთან ომი ინებოს და ამის შესახებ ჩემთან კაცი გამოგზვნოსო, მე მთელი ჩემი ქვეყნით ხელმწიფეს თან გავყვები და მისთვის თავის დადებისთვისაც კი მოხარული ვიქნებიო“[1].

საინტერესოა ალექსანდრე მეფის აქცია 7 ოქტომბერს ქუთაისის მოედანზე, რომლის დროსაც, ელჩების და იმერეთის იერარქებისა და თავადაზნაურობის წინაშე წარმოსთქვა სიტყვა. როგორც ჩანს, მას უნდოდა დამსწრეებისათვის, განსაკუთრებით უცხოელებისათვის, შეეხსენებინა, თუ რატომ ვერ შესძლეს მისმა წინაპრებმა მოსკოვის ხელმწიფის მფარველობაში შესვლა, რატომ იყვნენ დამოუკიდებლად და არც ოსმალებს და არც ყიზილბაშებს და, საერთოდ, არც ერთ მუსლიმანურ სახელმწიფოს არ მიემხრნენ. რაც შეეხება რუსეთს, ამ ქვეყნისადმი მიუმხრომლობა მის შესახებ ინფორმაციის უქონლობით იყო გამოწვეული. მაგრამ ძირითადი ალექსანდრე მეფის სიტყვაში უნდა ყოფილიყო ის, რაც მან რუსეთის ხელმწიფისადმი საქებარი ეპითეტები წარმოსთქვა. მას სურდა ასეთ ფონზე ეჩვენებინა თავისი, არანაკლები ღირსება. „ახლა მე, ალექსანდრე მეფემ, ჩემი სიმამრისაგან, თეიმურაზ მეფისაგან, ქართლ-კახეთის მეფისაგან გავიგე და მოვისმინე მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფის და მეფის ალექსი მიხეილის ძის შესახებ, რომ ის არის უდიდესი უსახელოვანესი ქრისტიანი ხელმწიფე და მეფე, მრავალი სახელოვანი და დიდი სახელმწიფოების მფლობელი. მეც, ალექსანდრე მეფე, ხომ ჩემ მამა-პაპათაგან, საბერძნეთის უდიდესი მეფეთაგან, მართლმა-

---

[1] იქვე, გვ. 138.

დიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მეფე ვარ. ჩემმა სიმამრმა თეიმურაზ ქართველთა მეფემ მომიწოდა მისი უდიდებულესობის მადალი ხელის ქვეშ შესვლა. და ახლა მე ჩემს ხელმწიფესთან... მივედი... მივენდვე ჩემი ძმით მამუკა ბატონიშვილით, ჩემი შვილით ბაგრატ ბატონიშვილით...“[1]

ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს პირდებოდა, რომ იმერეთის სამეფოს სასულიერო და საერო პირები, მთელი იმერეთის მოსახლეობა და ქვეყანა მას და მის შვილებს, ეხლანდელსა და იმათაც, რომლებიც მომავალში ეყოლება, მისი სამუდამო ყმები იქნებიან, ვიდრე მზე ანათებს. ახლა კი, ალექსანდრე ელჩებსა და საჩუქრებს აგზავნის მოსკოვში[2].

ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით, ალექსანდრემ მოსკოვში გასაგზავნი თავისი ელჩების შესახებ რუსებს 8 ოქტომბერს აცნობა. ესენი იყვნენ მოლარეთუხუცესი თავადი ლომკაც ჯაფარიძე და არტიმონ (ევდემონ) არქიმანდრიტი. მეფემ ფიცის წიგნზე ბეჭდის დასმის დაგვიანება იმით ახსნა, რომ რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, მის სახელზე ახალი ბეჭედი გააკეთებინა[3].

ნიკიფორე ტოლოჩანოვმა საკმაოდ განსხვავებულად გადმოგვცა ალექსანდრე მეფის ქუთაისის მოედანზე წარმოთქმული სიტყვა (ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით ეს მოხდა 8 ოქტომბერს). ნიკიფორე ტოლოჩანოვი არ ამბობს, რომ რუსი ელჩების მოთხოვნით შეცვალა მეფემ თავისი ბეჭედი და ზემოთ აღნიშნული წარწერაც მათი კარნახით გააკეთებინა.

ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ გადმოცემული მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსის მიხედვით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე მეფის გაგებით, მოსკოვის ხელმწიფეს, ვალდებულება უნდა ეგრძნო და დაეცვა თავისი ახალი მამული – იმერეთის სამეფო და მისი მეფე ალექსანდრე. ამ უკანასკნელს კი, თავის ყველაზე დიდ მტრად ლევან დადიანი მიაჩნდა. მას თავდაცვისათვის აუცილებლად ესაჭიროებოდა ზარბაზნები. ალექსანდრეს

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 161-161

[2] იქვე, გვ. 162.

[3] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 140.

ფიქრით, თუ ზარბაზნების გამოგზავნა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ხელმწიფეს ზარბაზნების ოსტატები, თავისი ხელსაწყო-იარაღებით მაინც უნდა გამოეგზავნა. ალექსანდრემ თეიმურაზის რუსეთთან ურთიერთობიდან იცოდა, რომ მოსკოვიდან ჯარის გამოგზავნა რეალობის ფარგლებს სცილდებოდა, ამიტომ მან ელჩებს დაავალა ხელმწიფისათვის ეთხოვათ, იქნებ დონელი კაზაკები დამახმაროსო, „რითაც მე, მისი ყმის მტრებთან გამკლავება შევიძლო და მის ხელმწიფურ სახელს წარმატება შევძინო, ხოლო „ხელმწიფის მამული იმერეთის ქვეყანა“ გავაფართოვო... მე ხელმწიფის ყმამ ***იმისათვის ვირჩიე აღმოსავლეთის, ახალი რომის დიდი ხელმწიფე*** და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყანის უზენაეს ხელმწიფედ ვაღიარე იგი, ***რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება გავმართოო“***[1].

მოყვანილ ციტატაში ყურადღებას იქცევს ალექსანდრე მეფის მიერ მოსკოვის ხელმწიფისათვის თხოვნა, რომ მან მის ყმას, ალექსანდრე III-ს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად დონელი კაზაკები დაახმაროს. იმ დროს კი, ალექსანდრეს ლევან დადიანზე სერიოზული მტერი არ ჰყავდა.

ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, ალექსანდრე მეფის მიერ ალექსი მიხეილის ძის „ახალი რომის“ ხელმწიფედ მოხსენიება[2]. იმ რუსი ელჩების ჩანაწერებში, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, ვერ ვნახულობთ „ახალ რომს“. არც ქართველი მეფეების რუსეთის ხელმწიფეებთან მიმოწერაში, არც მოსკოველი ელჩების ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ოფიციალური მოლაპარაკებების დროს ან კერძო საუბრებში ვხვდებით მოსკოვის ამგავარი ტი-

---

[1] იქვე, გვ. 140-141.

[2] რუსმა იდეოლოგებმა მოსკოვს „ახალი რომი“ შეარქვეს, რითაც რუსეთის სახელმწიფოს მართლმადიდებლურ სამყაროში და, საერთოდ, სლავ ხალხებზე ბატონობისაკენ მისწრაფებას გამოხატავდნენ. მოსკოვისათვის აღნიშნული ტიტულის მინიჭება, ახალი იდეოლოგიის დასაწყისს ნიშნავდა, რაც თავის დასაბუთებას პოულობდა 1472 წელს დიდი მთავრის ივანე III-ის ბიზანტიის (მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი – მეორე რომი) უკანასკნელი სამეფო დინასტიის წარმომადგენელზე სოფია (ზოია) პალეოლოგზე ქორწინებაში. მოსკოვი გამოცხადდა „ახალ რომად“ ან მესამე რომად.

ტულით მოხსენიებას. ქართველი მეფის მიერ, თუნდაც მხოლოდ ამ ორი სიტყვის („ახალი რომი“) გამოყენება დიპლომატიური ხასიათის გამოსვლაში, ***მეტყველებს შესაბამისი პერიოდის ქართველი პოლიტიკოსების სერიოზულ ინფორმირულობაზე, ამ შემთხვევაში, რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ინტერესების შესახებ.***

9 ოქტომბერს ქუთაისის დიდ საკრებულო ტაძარში, ალექსანდრე მეფემ ფიცის წიგნზე ბეჭდის დასმა ბრძანა. მეფის შემდეგ, მისმა სულიერმა მოძღვარმა ზაქარია მიტროპოლიტმა და სხვა სასულიერო პირებმა, თავადებმა და აზნაურებმა მასზე ხელი მოაწერეს[1].

უაღრესად საინტერესოა ფიცის წიგნის გაფორმების შემდეგ ალექსანდრე მეფის მიერ რუსი ელჩებისათვის მათს ხელმწიფესთან დანაბარები, რომელზეც ნიკიფორე ტოლოჩანოვი თითქმის არაფერს ამბობს[2]. სავარაუდოა, ფაქტების აღრევასთან გვაქვს საქმე. ტოლოჩანოვმა ალექსანდრე მეფის ხელმწიფისათვის სათხოვარი 8 ოქტომბრის ქვეშ მოგვცა. მაშინ, როდესაც სწორი იქნებოდა მეფეს თავისი თხოვნა-წინადადებები ფიცის დადების ცერემონიალის შემდეგ განეცხადებინა, როგორც იევლევი თავის ანგარიშში გადმოგვცემს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ალექსი იევლევის მონათხრობი ბევრად საინტერესო ცნობებს შეიცავს, ამიტომ მათ უფრო დაწვრილებით განვიხილავ, რის შემდეგ ნათელი გახდება განსხვავება ამ ორი დიპლომატის (ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი) ანგარიშებში მოცემულ ცნობებს შორის.

ალექსანდრე მეფე რუსეთის ხელმწიფეს პირდება, რომ მარადჟამს მისი ერთგული იქნება და არც ერთი მუსლიმანური ქვეყნის მბრძანებელთან არ იქნება ამგვარ ურთიერთობაში. „სამაგიეროდ მისმა უდიდებულესობამ მოხედოს ჩემს იმერეთის სახელმწიფოს“:

1. „გამოგზავნოს ჩემს სატახტო ქალაქ ქუთაისში თავისი მახლობელი მხედართ-მთავარი, რომლის გამოგზავნასაც თვით

---

[1] იქვე, გვ. 142; ალექსი იევლევი, გვ. 163-165.

[2] ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით ისე გამოდის, რომ ალექსანდრე მეფეს ხელმწიფისათვის სათხოვარი სხვა არაფერი ჰქონდა გარდა შევარდენისა. ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 142.

ხელმწიფე ინებებს და ჩემი სახელმწიფო მტრებისაგან დაიცვას და პასუხი გასცესო. ხოლო თვით მე, ალექსანდრე, ჩემ სახელმწიფოს შინა მტრებისაგან გავწმენდო“[1].

2. ალექსანდრე მეფის სახელმწიფოს ერთადერთი მტერი ჰყავს, ეს არის ლევან დადიანი, რომელიც მშრომელ ხალხს თავს ესხმის და მრავალ ბოროტებას უკეთებს. ამიტომ ალექსანდრე მეფე რუსეთის ხელმწიფეს სთავაზობს ერთობლივად მოუღონ ბოლო იმერეთის ამ სატკივარს. ერთობლივი მოქმედება მას შემდეგნაირად წარმოუდგენია: ხელმწიფემ უბრძანოს დონის კაზაკებს, „რომელნიც ხშირად სადადიანოში მოდიან, მათ დაბებს და სოფლებს არბევენ და გამოსასყიდსაც იღებენო. და თუკი მეფის უდიდებულესობა ინებებს და თავის თავისუფალ კაზაკებს უბრძანებს შავი ზღვით თვით დადიანის და დადიანის სამფლობელოების წინააღმდეგ ამხედრებას, კაზაკები მისი უდიდებულესობის ბრძანებას შეისმენენ და დადიანს თავს დაესხმიანო. მეც, ალექსანდრე მეფე, შევუთანხმდები მათ და ჩემი მხრით შევყრი დიდ ლაშქარს და დადიანის წინააღმდეგ გავემართები და ამ გზით დადიანს დავაშინებ და დავიმორჩილებო“[2].

3. რუსეთის ხელმწიფის საქართველოს საქმეებით კიდევ უფრო დაინტერესების მიზნით, ზემოხსენებული ერთობლივი ღონისძიების განხორციელების შემდეგ, ალექსანდრე მეფე მას ოდიშის სამთავროზე მისი ხელისუფლების გავრცელების პესპექტივასაც უსახავს: „ვფიქრობ, რომ დადიანიც ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ მყოფი სამუდამო ყმა შეიქმნება“[3].

4. ალექსანდრე მეფეს დიდი სურვილი ჰქონდა ხელმწიფეს მისთვის მიმინო ან შევარდენი გამოეგზავნა. იმერეთის მეფე ხელმწიფის ამგვარ საჩუქარს სიმბოლურ დატვირთვას მისცემდა. „მას ისე დავუწყებ ცქერას როგორც თვით დიდ ხელმწიფესო... და მისი ამ წყალობით ხალხის წინაშე ვიამაყებო“[4].

5. ალექსანდრე მეფე ითხოვს მოსკოვის ხელმწიფემ იმერეთ-

---

[1] ალექსი იევლევი, გვ. 163-164.
[2] იქვე, გვ. 164.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 164-165.

ში „თოფების, ზარბაზნების და თოფის წამლის ზარუყვას ყაბარდომდე გადმოტანა ბრძანოს, ხოლო ამ ყაბარდოდან მე თვით გადმოვატანინებ მთებზე ჩემს ხალხსო. თუ არა და იქნებ ხელმწიფემ ინებოს ზარბაზნების ოსტატების ჩვენთან გამოგზავნაო“[1].

ალექსანდრე მეფის მოსკოვის ელჩებთან მოლაპარაკება, თეორიულად, წარმატებით დამთავრდა. ამის შემდეგ საჭირო იყო თეიმურაზ მეფესთან საკითხის მოგვარება, უფრო სწორად, მისი დაყოლიება, რომ რუსი ელჩებისათვის გაეყოლებინა ბატონიშვილი ერეკლე/ნიკოლოზი. თეიმურაზთან მოლაპარაკება უაღრესად მძიმედ მიმდინარეობდა და, საბოლოოდ ნიკიფორე ტოლოჩანოვმა წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. როგორც ითქვა, მას მძევლის გარეშე მოუხდა მოსკოვში დაბრუნება.

ელჩები ქუთაისიდან 10 ოქტომბერს გაემგზავრნენ. რუსებს თან გააყოლეს ქართველი ელჩები – ლომკაც ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი, მათ ახლდნენ აზნაური როსები, ორი კაცი თარჯიმანი და ორი მოლარე, ელჩების მსახურები 19 კაცი და მეფის სამი მეჯინიბე, რომლებსაც ხელმწიფისათვის საჩუქრად სამი ცხენი მიჰყავდათ[2].

ელჩები 1651 წლის 30 ნოემბერს ციხე-ქალაქ თერგში ჩავიდნენ[3]. 1652 წლის 14 აგვისტოს ნიჟნი ნოვგოროდში ხომალდით მივიდნენ, 19 აგვისტოს კი უკვე მოსკოვში იყვნენ[4].

მ. ბროსემ გამოაქვეყნა ალექსანდრე მეფის 1651 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული, ქართულად დაწერილი წერილი. წე-

---

[1] იქვე, გვ. 165.

[2] ალექსი იევლევი, გვ. 178.

[3] 1651 წელი ალექსანდრე III-ისათვის კიდევ ერთი დიპლომატიური კონტაქტით აღინიშნა. ტოსკანის დიდმა ჰერცოგმა ფერდინანდ II-მ, რომელიც თეატინელ ბერებს მფარველობდა, ალექსანდრე მეფესა და ლევან დადიანს წერილები გამოუგზავნა (ლიჩინი პატრიცია ანა, ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მ. პაპაშვილისა, თბ., 2009. 35), რომლებშიც, სავარაუდოა, მისიონერების მფარველობას და ხელშეწყობას სთხოვდა. ლევან დადიანისა არ ვიცით, მაგრამ იმერეთის მეფემ, რომ ნამდვილად უპასუხა ფერდინანდ II-ს, ამას ვიგებთ კასტელის ნათქვამიდან, რომ ის ჰერცოგს ეწვია ფლორენციაში 1654 წელს ალექსანდრე მეფის დავალებით (იქვე, გვ. 48).

[4] ალექსი იევლევი, გვ. 177.

რილის სათაური („იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის წერილი მეფე ალექსი მიხეილის ძეს“, გამომცემელს უნდა ეკუთვნოდეს) და შინაარსი მიგვანიშნებს, რომ იგი შედგენილი იყო როგორც ელჩების სამუშაო გეგმა. ალექსანდრე მეფე მიმართავს ელჩებს და არა რუსთ ხელმწიფეს. ელჩებს ალქსამდრე მეფის სახელით უნდა გამოეხატათ ხელმწიფისადმი დიდი პატივისცემა და მორჩილება, მოეხსენებინათ იმერეთის მეფის უმთავრეს სათხოვარზე – დაეცვა ლევან დადიანის თავდასხმებისაგან. ელჩებს ალექსანდრე მეფის სახელით მოსკოვის ხელმწიფისათვის უნდა შეხსენებიათ, რომ თეიმურაზ მეფეს დიდი ხანია ამგვარი დახმარების იმედი აქვს, მაგრამ ჯერ ვერაფერი მიიღო. უნდა ეთქვათ, რომ თეიმურაზის თავს დატეხილი უბედურება, ძირითადად დადიანის ბრალია, რომელიც ქართლის მეფესთან და შაჰთან არის დაკავშირებული და მათი მხარდაჭერით მოქმედებს. როცა, ხელმწიფის მონდომებით, ლევან დადიანი მთავარი აღარ იქნება, მაშინ ალექსანდრე მეფე თეიმურაზს ოდიშის სამთავროში გააბატონებს.

ადრესატისათვის იოლად გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ თეიმურაზის ოდიშში გამეფებით (ამ იდეის განხორციელებას ალექსანდრე მეფე შემდგომშიც ცდილობდა) მოსკოვის მთავრობას მთელ დასავლეთ საქართველოზე გავლენის გავრცელებაში დაბრკოლება აღარ ექნებოდა. ამას გარდა, ალექსანდრე მეფის გეგმის მიხედვით, თუ ხელმწიფე იმერეთის მეფეს დაეხმარებოდა, რუსეთის სახელმწიფო დიდ პოლიტიკურ წარმატებას მოიპოვებდა თავის მეტოქე ოსამლეთის სახელმწიფოზე ისე, რომ ფინანსები და ჯარი არ დასჭირდებოდა.

„მერმე ესე ვიკადროთ. – სწერს ალექსანდრე მეფე, – ჩვენ მაგათგან ამდენს წყალობას, არც ვღირსვართ, არამ თუ კიდევ ჩვენს საქმეს ჭელმწიფე როგორღა გავსარჯოთ? მაგრამ ***ვითამც რომ ეს მეფე თეიმურაზ, მაგათის იმედით სძლებს,*** ამ ქვეყანას მაგათგან ჩვენ დიდი წყალობა გვჭირს. ამასაც შემოვხვეწნივართ და თავი დაგვიკრავს, რომ ***ამ ურჯულოსა და ქრისტიანობის მტერს დადიანზე მოგვეხმარონ.*** თუ ან ხაზინა და თოფხანა დაეხარჯებოდეს, და ან მაგათს ლაშკარს ზიანი რამე ჰქონდეს არ მოვახსენებთ, მაგრამ ***ერთი ენა დაეხარჯვისთ, რომ ყაზახებს უბრძანონ და ომის საქმეს ის გაათავებს***. ამდენი პატიოსანი ნაწილი და ხატი და ჯვარი დარჩების, რომ ჭელმწიფესაც გაუკვირდეს,

და იამოს: მეფე თეიმურაზ ამან წაახდინა და ***თუ ეს (დადიანი –ე.მ.) არ იყოს, ამის ადგილს ჩვენც (თეიმურაზს –ე.მ.) დავაჭერინებთ*** ღვთის შეწევნით. მაგრამ (დადიანი –ე.მ.) ქართლის ხანის მოყვარე არის და ყეენს ელჩსა და მოსაკითხავს უგზავნის და მის ჯამაგირს სჭამს. ***ყიზილბაშის ზურგით იქს, თვარამ მარტო ამას ჩვენც, მაგათის*** (მოსკოვის ხელმწიფის –ე.მ.) ***ბედნიერებით რაც გვინდოდა იმას უზამდით***. თუ ამდენად შეგვიბრალებს ჴელმწიფე რომ მოინდომებს, ***ქართულის ბრძანების მეტი არ დაეხარჯება რა, და შავს ზღვას დაიჭირავს და სტამბოლის საქმეს ამისი დაჭირვით რაც უნდა ისრე გაირიგებს***"[4].

12 ნოემბერს ხელმწიფესთან აუდიენციის დროს ელჩებმა წარადგინეს ალექსანდრე მეფის საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელშიც გადმოცემული იყო ოდიშის მთავრის, ქართველი და რუსი მეფეებისათვის მიუღებელ მოქმედებაზე.

წერილში ნათქვამი იყო, რომ ოდიშის მთავრები ყოველთვის ალექსანდრე მეფის წინაპრების ქვეშევრდომები იყვნენ. რამდენიმე წელია, რაც ლევან დადიანი მეფეს ჩამოსცილდა და აღარ ემორჩილება. იგი ხარკს უხდის სულთანს, მუსლმანებთან გვერდიგვერდ ცხოვრობს და მუსლიმანთა ჯარის დახმარებით იმერთს იპყრობს და ანადგურებს. მოსკოვის ხელმწიფის ყმა კაზაკებს, რომლებიც გემებით შავ ზღვაში შემოდიან და მუსლიმანებს ებრძვიან, ქრისტიანებს არ ერჩიან, დადიანი მათ თავისთან შეიტყუებს, ვითომდაც მუსლიმებთან საომრად, ხოცავს და თურქებზე ჰყიდის ან სულთანს საჩუქრად უგზავნის, რისთვისაც წყალობას იღებს.

წერილში მოთხრობილია თუ როგორ მოხდა დადიანის როსტომ მეფესა და შაჰთან დაახლოება: დადიანი იმერეთში იტაცებს ქრისტიანებს და ყიზილბაშთა შაჰს უგზავნის. ამის გამო აქვს შაჰისაგან დახმარება და წყალობა. დადიანმა როსტომ მეფეს თავისი და მიათხოვა, რათა მას იმერეთის წინააღმდეგ ეომა. მან მართლაც მრავალჯერ შეუსია თავისი ჯარი იმერეთს. ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს სთხოვს, რომ მან შავი ზღვიდან დადიანი შეავიწროვოს, მის მიერ წარმოებული ძარცვა-რბევისათვის შური

---

[1] Переписка, с. 66-67.

იძიოს, მუსლიმანებს ჩამოაშოროს, ქრისტიანობაში განამტკიცოს და ძველებურად ალექსანდრე მეფეს დაუმორჩილოს.

ალექსანდრე მეფეს არც იმის მიწერა დავიწყებია, როგორ ვერაგულად ჩაიგდო დადიანმა ხელში და ტყვეობაში გამოამწყვდია მისი ძმა და შვილი და ამგვარი ზემოქმედებით ცდილობდა იგი ალექსანდრე მეფის ოსმალეთის სულთნის მორჩილებაში შეყვანას, მაგრამ უარი მიიღო. ხელმწიფე დაეხმაროს ალექსანდრეს ძმისა და შვილის განთავისუფლებაში და თუ მოისურვებს ისინი თავისთან წაიყვანოს, ან ალექსანდრეს მისცეს, როგორც მისი ნება იქნება.

საინტერესო წინადადებას სთავაზობს ალექსანდრე მეფე მოსკოვის ხელმწიფეს: ხელმწიფემ იმერეთში გაგზავნოს თავის ბეჭედი, რათა მან ალექსანდრეს მთელი სამფლობელოები ქვეშევრდომად ჩაიბაროს, ალექსანდრე მეფეს, მის ახლობლებს და მის მხედრობას სარჩო დაუნიშნოს, რათა შესძლონ წინაღუდგნენ მტერს. რადგან რუსეთში დამზადებული ზარბაზნების მთებზე გადმოტანა შეუძლებელია, ამიტომ სასურველია ხელმწიფემ ალექსანდრე მეფეს გამოუგზავნოს სპილენძი, კალა და ოსტატები, იმერეთში ზარბაზნები ჩამოასხამენ.

ალექსანდრე მეფეს თავისი ელჩებისათვის ზეპირად დაუბარებია, რომ იგი მზად იყო თავისი სამეფოს მმართველობა ხელმწიფის წარმომადგენლისათვის ჩაებარებინა. ამისათვის ელჩებს ხელმწიფისათვის უნდა ეთხოვათ გაეგზავნა იმერეთში თავისი „კეთილი და ერთგული კაცი“, რომელიც დაათვალიერებდა ქალაქებსა და მონასტრებს, მხედრობასა და საერო ხალხს და ყველაფერს მეფის სახელით მოაწესრიგებდა. ალექსანდრე მეფის ქვეშევრდომნი მზად იყვნენ სიხარულით აესრულებინათ ხელმწიფის ყველა ბრძანება[1].

ალექსანდრე III-ის ვრცელი წერილიდან თვალნათლივ ჩანს, რომ იგი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს მოსკოვი არა მხოლოდ დააინტერესოს იმერეთის სამეფოს მდგომარეობით, არამედ პრაქტიკულად ჩააბას ქვეყნისა და ხალხის დაცვის საქმეში. ამ მიზნიდან გამონდინარე, იგი მზადაა ხელმწიფის ნდობით აღჭურვილ პირს გადასცეს თავისი სამეფოს საქმეების წარმართვა.

---

[1] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 440-441.

ალექსანდრე მეფის მიერ ალექსი მიხეილის ძის წინაშე თავის დამდაბლებამ, რაც მოსკოვის ხელმწიფის პიროვნებისა და ხელისუფლების ცამდე აყვანასა და საკუთარი თავის მის ფეხთა მტვრად გამოცხადებაში გამოიხატა (ასეთი თვითდამცირება თეიმურაზ მეფის ხელმწიფისადმი მიმართვებშიც გამოსჭვივის), ის შედეგი გამოიღო, რომ ალექსი მიხელის ძის 1653 წლის 19 მაისის საპასუხო წერილში, რომელიც ქართველ ელჩებს გადასცეს, ალექსანდრეს მეფობითაც კი არ მოიხსენიებს და მას იმერეთის მიწების მფლობელს, გამგეს (Меретинские земли начальник) უწოდებს და სიტყვას არ ძრავს ქართველი მეფის იმ სათხოვარზე, რომელსაც ზემოთ გავეცანით. ის მხოლოდ უგზავნის სამ შევარდენს, 80 ორმოცეულ სიასამურის ბეწვს და 10 ათას ეფიმკს. ხელმწიფე იმერეთის მეფეს უწონებს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას და საჩუქრების სანაცვლოდ, ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცის მტკიცედ დაცვას ავალდებულებს. იგი და მისი მემკვიდრეები სიცოცხლის ბოლომდე ერთგულნი უნდა იყვნენ ხელმწიფის, მისი შვილების, შვილიშვილების, იყვნენ მათი მსახურები, იზრუნონ მათზე და კეთილი მოინდომონ მათთვის, ყოველგვარი ცბიერების გარეშე. ხელმწიფის ვრცელი წერილი მთავრდება იმით, რომ იგი დონზე ატამანებსა და კაზაკებს აცნობებს ალექსანდრეს თხოვნის შესახებ[1].

1654 წლის 1 ივნისს ქართველი ელჩები მოსკოვიდან წამოვიდნენ. მათთან ერთად მოდიოდნენ თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეებთან გამოგზავნილი რუსი ელჩები – დიმიტრი გორიხვასტოვი და დიაკი გლებ პატრიკიევი, რომლებსაც ხელმწიფის სიგელები და ნაწყალობევი სიასამურები მოჰქონდათ. რუსი ელჩები, იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში, თერგში რაღაც სნეულებით დაიხოცნენ.

1655 წლის 7 მაისს მოსკოვიდან გამოგზავნეს ახალი ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ვასილი ჟიდოვინოვი და დიაკი ფედორ პოროშინი. მათ მოჰქონდათ თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეებისათვის სიგელები, რომლებშიც ისინი კვლავ „ნაჩალნიკ“-ებად იწოდებოდნენ

ალექსანდრესთვის გმოგზავნილი სიგელები, შინაარსობრივად,

---

[1] იქვე, გვ. 441-442.

მცირედით განსხვავდებოდა იმათგან, რომლებიც თერგში დახოცილ დიმიტრი გორიხვასტოვსა და დიაკ გლებ პატრიკიევს მოჰქონდათ[1].

1656 წლის 26 მაისს რუს ელჩები ჯერ თეიმურაზ მეფეს რაჭაში, 8 ივნისს კი ალექსანდრე მეფეს ეახლნენ და ხელმწიფის სიგელი და საჩუქრები გადასცეს[2]. მოლაპარაკების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

ასევე ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო (სავარაუდოა, თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეების დავალებით) რუს ელჩებზე ადრე, 1657 წელს, მოსკოვში დაბრუნდა თარჯიმანი ილია სტოიანოვი, როელმაც 4 სექტემბერს ჩვენება მისცა დასავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, დადიანის თეიმურაზთან ურთიერთობაზე, რომელზეც „ოდიშის სამთავროში“ ვილაპარაკებთ. ახლა კი გავეცნოთ ალექსანდრე მეფის სიგელს, რომელიც სტოიანოვმა მოსკოვში ჩაიტანა.

ალექსანდრე მეფის სიგელში დაყენებული იმერეთის სამეფოს მტკივნეული საკითხები გაგვახსენებს 1651 წლის 14 სექტემბრის იმ წერილს, რომლის შესახებ ვივარაუდე, რომ იგი შედგენილი იყო ქართველი ელჩების სახელმძღვანელოდ და არა მოსკოვის ხელმწიფისათვის გადასაცემად. მასში დაყენებული მოთხოვნების რეალიზება, როგორც ჩანს, ელჩებმა ვერ შეძლეს, ამიტომ ალექსანდრე მეფემ გარკვეული კორექტირების შემდეგ, მას სიგელის სახე მისცა და ილია სტოიანოვს ხელმწიფესთან გაატნა 1656 წელს.

ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს კვლავ ლევან დადიანის ავკაცობაზე აცნობებს და მის წინააღმდეგ დონელი კაზაკების შავი ზღვიდან ოდიშის სამთავროზე თავდასასხმელად ბრძანებას ითხოვს. მეფეს მთავრის დამორჩილების ერთადერთ საშუალებად დონელი კაზაკების შეტევა მიაჩნია[3]. ალექსანდრე ხელმწიფეს

---

[1] იქვე, გვ. 448-449.

[2] იქვე, გვ. 451.

[3] ქართველი პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ დონელი კაზაკების ისეთ სერიოზულ სამხედრო ოპერაციებს, განსაკუთრებით კი, აზოვის ციხის აღებას (1637 წ.) და მთელი ხუთი წლით შენარჩუნებას (Новосельский А. А., Борьба Московского государства с татарами в первой половине в. М.- Л., 1948, с. 256-262), როდესაც აზოვში გაჩაღებულ საერთაშორისო ვაჭრობაში, სავარაუდოა, საქართველოს ვაჭრებიც მონაწილეობდნენ.

პირდაპირ წერს, რომ თუ დონელ კაზაკებს ამგვარ ბრძანებას გაუგზავნის, მაშინ თვითონ არავითარ ზარალს არ განიცდის, ხეირი კი ბევრი ექნება, რადგან დადიანის სამთვროში მრავლადაა წმინდა სასწაულმოქმედი ხატები, სასწაულმოქმედი ჯვრები და მრავალი წმინდანის ნაწილები. ალექსანდრე მეფე ხელმწიფეს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ თეიმურაზის სამეფოს განადგურება დადიანის ხრიკებით მოხდა. იგი თბილისის ხანთან და შაჰთან მეგობრობს, საჩუქრად უგზავნის მართლმადიდებელ ქრისტიანებს, სამაგიეროდ შაჰისაგან იღებს დიდ ჯამაგირს. დადიანი ძლიერია მხოლოდ ყიზილბაშების დახმარებით და ერთობლივად ანადგურებენ ქრისტიანებს. როცა მას ყიზილბაშების შაჰისაგან დახმარება არ ექნება, იოლად დაიძლევა. ალექსანდრე კიდევ ერთხელ უმეორებს ხელმწიფეს, რომ მისმა მეფურმა უდიდებულესობამ უბრძანოს კაზაკებს, შეესიონ ზღვასთან მდებარე დადიანის ქვეყანას და ჯარით დავიმორჩილოთ. ყოველი შემთხვევისათვის ალექსანდრე III ალექსი მიხეილის ძეს შეახსენებს, რომ დადიანის ქვეყანასთან ზღვის სანაპიროზე მდებარეობს თურქების სულთნის ქალაქი ტრაპიზონი[1]. როგორც ჩანს, ალექსანდრე მეფე, 1651 წელს თავისი ელჩებისათვის მიცემული დავალებისაგან განსხვავებით, რომელსაც ზემოთ გავეცანით, რუსეთის ხელმწიფეს აღარ უსახავს ფართო მნიშვნელობის ამოცანას, რომ „ქართულის ბრძანების მეტი არ დაეხარჯება რა, და შავს ზღვას დაიჭირავს და სტამბოლის საქმეს ამისი დაჭირვით რაც უნდა ისრე გაირიგებს“[2]. იმერეთის მეფე, ითვალისწინებს რა რუსეთის დაინტერესებას, შავ ზღვაში გასასვლელის მოპოვებისა და იქ დამკვიდრების შესახებ, ცდილობს რუსეთის ხელმწიფე, ამჯერად, მხოლოდ ოსმალეთის სავაჭრო და სტრატეგიული ქალაქის, ტრაპიზონის, დაუფლების შესაძლებლობით დაინტერესოს. მაგრამ, საფიქრალია, მან არ იცის, რომ XVII ს. 40-50-იან წლებში რუსეთის მთავრობას თვითონ აქვს დაძაბული ურთიერთობა დონელი კაზაკთა ატამანებთან, რომელთა დამორჩილებას ცდილობს. ასე, რომ ხელმწიფე კაზაკებს ვერ უბრძანებდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს

---

[1] იქვე, გვ. 454.

[2] Переписка, с. 66-67.

დალაშქვრას, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა აზოვის ცხესიმაგრე კაზაკებს წაართვეს და ისე გაამაგრეს, რომ დონელ კაზაკებს ზღვაში გასვლა განსაკუთრებით გაუძნელდათ.

1657 წლის 17 დეკემბერს მოსკოვში ჩავიდა იმერეთის მეფის ელჩი ივანე „ლუკინი“, რომელმაც ხელმწიფეს სიგელი ჩაუტანა. ალექსანდრე III ხელმწიფეს ულოცავს რეჩ პოსპოლიტის მეფეზე გამარჯვებას, რომლითაც მან თავის მტრულად განწყობილ მეზობლებს შიშის ზარი დასცა, ხოლო იმერეთის მეფე ძლიერ გაახარა.

ალექსანდრე აცნობებს ხელმწიფეს, რომ მისი სურვილის მიხედვით, თეიმურაზ მეფის რძალი ელენე შვილთან, ნიკოლოზ დავითის ძესთან ერთად მოსკოვში გაუშვა. იმერეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს სთხოვს, რომ მათ წყალობა და პატივი არ მოაკლოს. რაც შეეხებათ ალექსანდრეს და თეიმურაზს, ისინი აგარიანებისგან დიდად შევიწროებულნი არიან და თუ დახმარება მალე არ იქნება, დაიღუპებიან. „მას შემდეგ რაც შენი უდიდებულესობის ქვეშევრდომნი გავხდით, დადიანიც კიდევ უფრო მკაცრად გვიტევს. რადგან დადიანი მოხიბლულია აგარიანთა რწმენით, თურქისა და ყიზილბაშის საჩუქრებს იღებს, თურქსა და ყიზილბაშს ქრისტიანებს უგზავნის საჩუქრების სანაცვლოდ, რათა მას ჯარი მისცენ ჩვენს საწინააღმდეგოდ და ჩვენი დანარჩენი სახელმწიფო გაანადგუროს. დიდო ხელმწიფე, თუ ინებებ დონის კაზაკებს უბრძანო, ისინი თვით მას შავი ზღვიდან გაანადგურებენ. როცა დონელი კაზაკები დადიანს გაანადგურებენ, მაშინ ჩვენი ქვეშევრდომი სახელმწიფო შენი მეფური მაღალი ხელის ქვეშ განმტკიცდება. ყველაფერზე ზეპირად ვუბრძანე ჩემს ელჩებს ივანე ლუკიანოვსა და მდივან გიორგის“. ასეთივე შინაარსის წერილი რუსეთის ელჩს, ჟიდოვანოვს ჩაუტანია მოსკოვში[1].

ივანე „ლუკინს“, მოსკოვში ჩაუტანია დედოფალ მარია ილიას ასულისათვის გადასაცემი იმერეთის დედოფლის ეკატერინეს (თეიმურაზ I-ის ასული დარეჯანი) სიგელი, რომელშიც მოკითხვასთან ერთად ჩამოთვლილია იმერეთიდან გაგზავნილი საჩუქრები და დარეჯანი ითხოვს ხატის მოსაჭედად ფურცლოვანი ოქრო გამომიგზავნეთო: „ერთი მარმარილოს თასი, ერთი, მარგალი-

---

[1] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 459-461.

ტის ბეჭედი, სამი სხვა ბეჭედი, ერთი ვერცხლის გოდორი, ერთი ზარბაბის სარტყელი, ერთი ბადე, ერთი დოლბანდი, ერთი კრიალოსანი მარჯნისა, მერმე თქვენად სადღეგრძელოდ საყდარს ვაშენებთ, ხატის მოსაჭედათ ცოტა ოდენი ოქრო მიბოძოს ბატონმან (ალექსი მიხეილისძემ –ე.მ.), თუ არ გაგვიწყრებოდეს“[1].

დედოფალ დარეჯანის მიერ ქართულად დაწერილი ეს სიგელი დათარიღებულია 1657 წლის 22 დეკემბრით. დედანი და მისი სრული რუსული თარგმანი გამოაქვეყნა მ. ბროსემ[2]. აღსანიშნავია, რომ ამ სიგელში დასახელებული არ არის ადრესატის სახელი, მითითებულია მხოლოდ „დედოფალი“. გ. პაიჭაძემ გამოაქვეყნა იმავე ქართველი ელჩის მიერ მოსკოვში ჩატანილი მეორე წერილი 1657 წლის 1 სექტემბრისა, რომელშიც მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულთან განსხვავებით, დასახელებულია ადრესატიც, ვრცელია, საჩუქრების რაოდენობა და აღწერილობაც განსხვავებულია: „თქვენს მეფურ უდიდებულესობას გამოვუგზავნე ჩვენი მცირე გასახსენებლები: მარმარილოს თასი გაწყობილი ოქროთი, ქვებით და მარგალიტებით, ბეჭედი მსხვილი, მომრგვალებული მარგალიტით, სამი ოქროს ბეჭედი, ვერცხლის დაწნული კოლოფი, ოქროს სარტყელი, ოქროთი გაწყობილი ბადე (сетка белковая з золотом), დოლბანდი და მარჯნის კრიალოსანი. ამჟამად, ღვთის შეწევნით ღირს ვიქმენი ავაგო ეკლესია თქვენი მეფური წყალობით, რათა მასში ღმერთს შევთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა. მე თქვენი მეფური უდიდებულესობის ქვეშევრდომს ხატებისა და კედლის მხატვრობისათვის მჭირდება და ამას გთხოვთ და გევედრებით, რომ თქვენ კეთილმორწმუნე დედოფალმა და მთავრის მეუღლემ მარია ილიას ასულმა გამომიგზავნოთ ფურცლოვანი ოქრო.

დაიწერა 7165 წლის 1 სექტემბერს“[3].

ვერაფრით ვერ ამიხსნია, რა საჭირო იყო ორი სხვადასხვა დროს შედგენილი, ერთი და იგივე შინაარსის, სიგელის გაგზავნა მოსკოვში.

---

[1] Переписка, с. 74.

[2] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 461.

[3] მოჰამედ თაჰერი, გვ. 388.

მართალია, იმერეთის მეფის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ამ ბოლო ელჩობის შედეგზე არაფერი ვიცით, მაგრამ უეჭველია, იგიც ისევე დასრულდა, როგორც მისი წინამორბედები.

ლევან II დადიანის სიკვდილით პოლიტიკური კლიმატი იმერეთის სამეფოში სრულიად მოულოდნელად ალექსანდრე III-ის სასარგებლოდ შეიცვალა.

1657 წლის მარტში ლევან II დადიანი გარდაიცვალა. ალექსანდრემ მხარი დაუჭირა ვამეყ ლიპარტიანს და ოდიშში ლაშქრით ჩავიდა, ლევან დადიანის მიერ სხვების ძარცვით შეგროვილი სიმდიდრე წაიღო და ოდიშის სამთავროს მნიშვნელოვანი ტერიტორიაც ჩამოაჭრა. იმერეთის მეფის მოქმედებით უკმაყოფილო ოდიშარებმა მხარი დაუჭირეს ლიპარიტ დადიანს, ლევანის ძმის იასეს ვაჟს. ლიპარიტმა პირველ ხანებში წარმატებას მიაღწია, მაგრამ ალექსანდრეს დახმარებით ვამეყმა მთავრის ტახტი კვლავ დაიკავა. ახალციხეში გაქცეულ ლიპარიტს ფაშა დაეხმარა. „ახალციხის მმართველმა მის საშველად და დასახმარებლად ურუმთა ერთი რაზმი დანიშნა და სამეგრელოში („დადიანში“) გამოგზავნა. დადიანის ხალხიდანაც მრავალრიცხოვანი ჯარი და ურიცხვი ბრბო შეიკრიბა ხსენებულ პირთან (ლიპარიტ იესეს ძესთან –ე.მ.) და სამეფოს დასაპყრობად წავიდნენ“[1]. ლიპარიტს ეხმარებოდნენ ქაიხოსრო გურიელი და ზოგიერთი იმერელი თავადი.

ლიპარიტის დახმარება როსტომ მეფესაც გადაუწყვეტია და ჯარის სარდლობა ვახტანგ მუხრანბატონისათვის დაუვალებია. მაგრამ ვახტანგსა და ზაალ არაგვის ერისთავს შორის უთანხმოებამ როსტომის დავალების შესრულების საშუალება არ მისცა[2]. 1658 წლის ივლისში ბანძასთან მომხდარ ბრძოლაში ლიპარიტი კვლავ დამარცხდა. ლიპარიტი და ქაიხოსრო გურიელი ოსმალეთში გაიქცნენ.

ალექსანდრე მეფემ ვამეყ დადიანი ოდიშში განამტკიცა, გურიელად კი დემეტრე სვიმონის ძე დასვა[3].

ალექსანდრე III გარდაიცვალა 1660 წლის 1 მარტს.

---

[2] იქვე, გვ. 388-389.

[3] ქართლის ცხოვრება IV, გვ. 832-834.

III. ლევან II დადიანის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

მანუჩარ დადიანის გარდაცვალების შემდეგ მთავარი გახდა მისი მცირეწლოვანი ძე ლევან II (1611-1657)[1]. მანუჩარს ლევანი შეეძინა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ასული ნესტანდარეჯანისაგან, რომელიც მშობიარობისას დაიღუპა. ალექსანდრე II-მ ლევანი აღსაზრდელად კახეთში წაიყვანა. როდესაც უფლისწულმა დავითმა ალექსანდრეს ტახტიდან გადადგომა აიძულა, 13 წლის ლევანი ოდიშში მამასთან დაბრუნდა[2]. მანუჩარის გარდაცვალების შემდეგ დადიანი გახდა ლევანი. მას, როგორც მცირეწლოვანს, მეურვე დაუნიშნეს.

პირველ ხანებში, დასავლეთ საქართველოს მთავრებს ერთმანეთში და მეფესთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ („და იყო მშჳიდობა სამთა ამათ შორის: მეფისა დადიანისა და გურიელისა თანა, და მეფობდა ესე როსტომ“[3]) და გარკვეულ ვითარებაში, კერძოდ, ოსმალეთთან დაპირისპირების დროს, ერთმანეთს მხარსაც უჭერდნენ.

1609 წელს, მამია II გურიელმა აჭარა ოსმალებისაგან გაათავისუფლა[4]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გურიელს აჭარაში მოქმედება შეთანხმებული ჰქონდა მანუჩარ დადიანთან[5]. დადიან-გურიელის ოსმალების წინააღმდეგ შეთანხმებულ მოქმედებაზე მიუთითებდა პიეტრო დელა ვალე: დადიანმა და გურიელმა „კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს“[6].

---

[1] დადიანი მანუჩარი ნადირობისას ზუგდიდში დაიღუპა. 1651 წელს ლევან დადიანის დაკვეთით ილორის წმ. გიორგის ხატზე გაკეთებული წარწერიდან ვიგებთ, რომ თვითონაც კინაღამ თავის მამის ბედი გაიზიარა. ლევანი აცხადებს: „ზუგდიდსა ნადირობაში ცხენი ხრამსა ჩამივარდა და წამექცა. იპრიანა წყალობამან ღვთისამან და მოვრჩი შეწევნითა შენითა წმინდაო გიორგი...“ გრიგოლია კ., ილორის წმ. გიორგის წარწერა, გვ. 147.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 823.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 298.

[6] ცინცაძე ი., უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 37.

თეიმურაზ მეფის მცდელობამ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ისეთი მტკიცე კავშირის შესაქმნელად, რომელსაც საერთო საგარეო პოლიტიკა ექნებოდა, შიდა ფეოდალური დაპირისპირების გამო, მარცხი განიცადა. მათი ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსი დიდხანს არ გაგრძელდა. ერთმანეთთან დაპირისპირებაში ყველამ, მეფემ და მთავრებმა, თავისი „წვლილი“ შეიტანეს. მაგრამ მაინც გამორჩეულად დიდი როლი ლევან II დადიანმა შეასრულა. ეს მოხდა 20-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სამთავროს მართვას თვითონ ლევანი შეუდგა. დასავლეთ საქართველოში ანარქიამ დაისადგურა. ამის შემდეგ მეფეს და მთავრებს თავთავიანთი პოლიტიკა და დიპლომატია ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების მსგავსად, შეუძლებელია, რადგან თითოეულ მათგანში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან, ზოგჯერ კი, გადამწყვეტ გავლენას ახდენდა რეგიონის საერთო პოლიტიკურ კლიმატზე.

ოდიშის სამთავროს პოლიტიკაში ცვლილება და მისი დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მიმართ რადიკალურედ შეიცვალა XVII ს. 20-ანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ რაც, როგორც თეიმურაზ მეფე 1639 წელს მოსკოვის ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, ლევან II დადიანმა ბიძამისი გიორგი ლიპარტიანი მოკლა[1].

თეიმურაზ მეფე გიორგი ლიპარტიანის მკვლელობაზე იმიტომ უნდა ამახვილებდეს ყურადღრებას, რომ იგი, მანუჩარ დადიანის სიკვდილის შემდეგ, ლევანის მეურვედ იყო და ოდიშის სამთავროს მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა და მეზობლებთან კარგი ურთიერთობა მის დამსახურებად მიაჩნდა.

ლევანი როგორც კი მეურვეობიდან განთავისუფლდა, მაშინვე დაიწყო ყველა ის ბოროტება რასაც იგი სჩადიოდა თავისი ქართველი ქვეშევრდომებისა და მეზობლების მიმართ. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრებით[2], რომელიც არქანჯელო

---

[1] Переписка, с. 22-24.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 301-302; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989, გვ. 78.

ლამბერტის გადმოცემას ეფუძნება და კიდევ უფრო მყარდება თეიმურაზ მეფის ზემოხსენებული წერილით, იმ პერიოდში, რომელსაც თეიმურაზ მეფე გულისხმობს, ოდიშის სამთავროს ლევანის მეურვე, მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით: „ამ მანუჩარს მემკვიდრედ დარჩა მცირეწლოვანი ლევან, რომელიც სრული თოთხმეტი წლისაც არ ყოფილა. მის გამო, ხალხის ჩვეულებისამებრ, მას ამოურჩიეს ხელმძღვანელი ანუ მზრუნველი, რომელსაც მასთან ერთად უნდა განეგო მთავრობა და კეთილად წაეყვანა სახელმწიფო საქმეები. ასეთ მზრუნველად დაუნიშნეს მას მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი, კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგებლობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა. ყმაწვილი ლევან განვითარდა ყველა იმ ვარჯიშობაში, რომელიც შეეფერებოდა მთავარს“[1].

ი. ანთელავა, ერთგან გიორგი ლიპარტიანის რეგენტობას უარყოფს და მიაჩნია, რომ ლევან დადიანი სრულასაკოვანი გამთავრდა და მას მეურვე არ დაჭირდებოდა, სხვაგან კი მის რეგენტობას აღიარებს, მაგრამ უკვე ლუი გრანჟეს ცნობაზე დაყრდნობით[2]. ი. ანთელავა მცირე ხნით, 2-3 წლით, შემოსაზღვრავს რეგენტობის პერიოდს და მიაჩნია, რომ იგი დამთავრდა 1615 წელს[3]. იმავე ავტორზე დაყრდნობით, ი. ტაბაღუას ლევან II დადიანის დამოუკიდებელი მმართველობის დასაწყისად 1614 წელი მიაჩნდა[4]. ვფიქრობ, ჩემს მიერ დამოწმებული ორივე წყარო (თეიმურაზ I-ის წერილი და არქანჯელო ლამბერტის თხზულება) სანდოა და უნდა ვაღიაროთ, რომ ოდიშის სამთავროს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, 20-იანი წლების დასაწყისამდე, დიდი რო-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 15.

[2] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 141; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. II, გვ. 52.

[3] ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 35, 47.

[4] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 52

ლი ეკუთვნოდა გიორგი ლიპარტიანს. პოლიტიკური ასპარეზიდან მისი წასვლის შემდეგ კი, ლევან დადიანმა რადიკალურად შეცვალა სამთავროს პოლიტიკური მართვის სტილი და შინაარსი.

ლევან II დადიანს შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, რომელთა განხორციელებისათვის ყველა საშუალება მისაღებად მიაჩნდა.

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოდიშის მთავარმა ფაქტობრივად დაკარგა გავლენა აფხაზეთის სამთავროზე, რაც სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვია. უმთავრესი ის იყო, რომ ლევან II-ის მცირეწლოვნებამ და ოსმალეთთან დაძაბულმა მდგომარეობამ, ოდიშში მთავრის ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს აფხაზმა წარჩინებულებმა და დამოუკიდებლობა მოიპოვეს[1].

აღნიშნული მიზეზები მართლაც არსებობდა, მაგრამ ძირითადი სულ სხვა რამ იყო: XVI საუკუნიდან სრულიად შეიცვალა ეთნიკური ვითარება აფხაზეთში., რაც კარგად ჩანს უცხოელთა ცნობებში[2]. მათზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში კავკასიონის ზემო კალთებიდან და შეიძლება ჩრდილო კავკასიიდანაც, მიმდინარეობდა მთიელების ჩამოსახლება. ეს პროცესი რომ XVII ს. პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, ნათლად ჩანს, მაგრამ როდის დაიწყო, ამის თქმა ძნელია.

წინათ აფხაზეთი განვითარებული ფეოდალური ქვეყანა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების კერა იყო. ამას მოწმობს ბერძნული და ქართული მწერლობა და დღემდე შემორჩენილი ისტორიული ძეგლები. XV საუკუნიდან, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, „აფხაზეთი „წარმართობს“. აფხაზეთში ზედიზედ გაუქმდა საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა[3].

ჯოვანი ჯულიანო და ლუკას, არქანჯელო ლამბერტის და ევლია ჩელების ჩანაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XVII

---

[1] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 56-57.

[2] მამისთვალიშვილი ე., ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები, 310. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნე-ბათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1992, გვ. 48-49.

[3] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 616

საუკუნის აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობით განსხვავდებოდა და კულტურით დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას. ისინი ძლიერ შორს იყვნენ და, შეიძლება ითქვას, კავშირი არ ჰქონდათ იმ კულტურასთან, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში. XVII საუკუნეში წარმართი მთიელების მიერ დაკავებულ და კულტურულად წალეკილ ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები კუნძულებივით შემორჩა. აფხაზები ზღვის სანაპირო ზოლში მთებიდან იმდენად ახლად ჩამოსული ჩანან, რომ ისინი ჯერ კიდევ შორს არიან ბარის მოსახლეობის დამახასითებელი ეკონიმიკური ურთიერთობისაგან და ბარში კვლავ მთიელთა ადათ-წესებით ცხოვრობენ.

დასავლეთ საქართველოსათვის, განსაკუთრებით ოდიშის სამთავროსათვის, მთიელთა მოწოლის შეჩერება მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმედ გადაიქცა. ერთ დროს (VIII ს.) აგებული ე. წ. კელასურის კედელიც (60 კმ-ის სიგრძის სიმაგრეთა სისტემა) კი აღადგინეს. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს“[1].

აფხაზეთის სამთავრო, საკვლევ პერიოდში, რომ ჯერ კიდევ ოდიშისა და გურიის სამთავროებისავით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა[2], ამის უმთავრესი მიზეზი მთიელთა ძლიერი მიგრაცია და არასტაბილური მდგომარეობა იყო.

XVII ს. 10-იანი წლებში, დასავლეთ საქართველოში, პოლიტიკური მოსზრებით, მოხდა რამდენიმე საქორწინო გარიგება, რომელთა შედეგებმა კარგახნით განსაზღვრა სამეფო-სამთავროებს შორის შემდგომი ურთიერთობის შინაარსი.

ახალგაზრდა ლევან დადიანმა აფხაზეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა თუ იქ გავლენის მოპოვების მიზნით, 1614-1615 წელს შეირთო მთავარ სეტემან შარვაშიძის ასული. იმერეთში შეხიზნული თეიმურაზ I-ის ზემოქმედებით, 1618 წელს, იმერეთის უფლისწულმა ალექსანდრემ შეირთო გურიელის ქალი თამარი. თეიმუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 782.

[2] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ 57.

რაზი ამ ქორწინებებით გეგმავდა დასავლეთ საქართველოში ანტიირანული კოალიციის შექმნას. მაგრამ ამ ქორწინებების შედეგად იმერეთის სამეფოში მშვიდობამ და სიყვარულმა კი არ დაისადგურა, არამედ სათავე დაუდო ურთიერთ მტრობასა და ანარქიას.

დადიანმა ისარგებლა იმერეთის მეფის ვაჟის ალექსანდრესა და მის ცოლ თამარს შორის მომხდარი განხეთქილებით. ალექსანდრემ თავის ცოლს ბრალი დასდო ქუთაისელი ვაჭრის სიყვარულში და შვილით ბაგრატით გურიელს გაუგზავნა. ამგვარად დაირღვა თეიმურაზის ინიციატივით შეკოწიწებული იმერეთის მეფისა და გურიელის კავშირი.

ლევან დადიანმა მეფესა და გურიელს შორის ჩამოვარდნილი მტრობა თავისთვის ხელსაყრელად ჩათვალა და უკანასკნელის თავის მოკავშირედ გახდომის მიზნით, მის მემკვიდრე სვიმონს თავისი და მარიამი მიათხოვა 1621 წელს. დადიანისა და გურიელის კავშირი, მიმართული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმერეთის მეფე გიორგის წინააღმდეგ. მეფესა და დადიანს შორის ბრძოლა მოხდა 1622 წელს ქუთაისის მახლობლად გოჭოურასთან. გაიმარჯვა მთავარმა რის შედეგად ლევან დადიანის ავტორიტეტი დიდად გაიზარდა[1].

ლევან დადიანს შარვაშიძის ქალთან ორი ვაჟი ეყოლა. თუმცა ეს ქორწინება მაინც მტკიცე არ აღმოჩნდა. დადიანს თავისი მოხუცი ბიძისა და ყოფილი მეურვის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა ცოლი შეუყვარდა. ამის შემდეგ მან თავის ცოლს ბრალი დასდო მოურავ პაპუნასთან სასიყვარულო ურთიერთობაში, ცხვირი მოკვეთა, ჯარით შეიჭრა აფხაზეთში, აიკლო და შერცხენილი მეუღლე იქვე დატოვა, მისგან ნაყოლი შვილებიც დაახოცინა[2].

---

[1] იქვე, გვ. 58-59.

[2] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 16, 21. კასტელის გადმოცემით, „თავდაპირველად მას სურდა ხმლით აეკუწა, მუცელი გამოეფატრა თავისი მრუში ცოლისათვის; მაგრამ შემდეგ სხვაგვარად მოიქცა; ქალს ცხვირი, ენა და ყურები მოაჭრა და დამახინჯებული გაუგზავნა მამამისს, რის გამოც მწუხარებით ააავსო აფხაზთა მთავარი და თავის თავი ხელშეუხებლად წარმოიდგინა“. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თრგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 43.

მცირე ხნის შემდეგ ლევან დადიანს გურიის სამთავროს საშინო საქმეებში ჩარევის საშუალება მიეცა. 1625 წელს ლევანის დის, მარიამის ქმარმა სვიმონმა თავისი მამა, მამია გურიელი მოკლა და თვითონ გახდა მთავარი. მან თავიდანვე ოდიშის სამთავროს საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება დაიწყო.

ლევან დადიანის წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი კოალიცია ჩამოყალიბდა სეტემან შარვაშიძის, სვიმონ გურიელის, მეფე გიორგი III-ის და ზოგიერთი მეგრელი დიდებულის მონაწილეობით, რომლებმაც ოდიშის მთავრის მოკვლა და მისი ნახევარი ძმის იესეს გამთავრება განიზრახეს. შეთქმულება წარუმატებლად დამთავრდა, ლევან დადიანი მიგზავნილი აფხაზის მახვილს გადაურჩა. ამის შემდეგ დაიწყო შეთქმულებზე შურისძიება. ლევანმა ლანჩხუთთან ბრძოლაში სვიმონ გურიელი დაამარცხა, შეიპყრო, თვალები დასთხარა და ბერად აღკვეცა[1], ხოლო მეუღლე მარიამი და შვილი ოტია ოდიშში წაიყვანა. გურიის მთავარი გახდა პატრიარქი მალაქია (1625-1639). გურიის სამთავრო ლევან დადიანს დაემორჩილა და მას დადიან-გურიელადაც მოიხსენიებდნენ.

გურიის დამორჩილების შემდეგ, ლევან დადიანმა აფხაზეთს შეუტია და იმდენს მიაღწია, რომ აფხაზი დიდებულების ოდიშის სამფლობელოებზე თავდასხმები დროებით აღკვეთა და სიმბოლური ხარკის გადახდაც დააკისრა.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იგი ლევან დადიანის მუდმივი თავდასხმის ობიექტად გადაიქცა. დონ ქრისტოფორო დე კასტელიმ დაგვიტოვა საინტერესო ცნობები ლევან დადიანის მიერ იმერეთის სამეფოში შეჭრისა და მისი ჯარის მოქმედების შესახებ. ქუთაისთან ოდიშის ჯარმა დაამარცხა გიორგი მეფის ჯარი და მეფე ტყვედ ჩავარდა. ქუთაისის მოქალაქეთა წარმომადგენლები დადიანთან მივიდნენ. საინტერესოა, რომ დადიანთან პირველი ქრისტოფორო დე კასტელი მივიდა და გიორგი მეფესთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება სთხოვა. დადიანი ზავზე დათან-

---

[1] სვიმონი იერუსალიმში წავიდა და ბერად შედგა, იცოცხლა ღრმად მოხუცებულობამდე და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, 1672 წელს, კიდევ ჰქონდა მიწერ-მოწერა თავის ნაცოლარ, მარიამთან. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, II, 1900, გვ. 188.

ხმდა, იმ პირობით, რომ გიორგი მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ხელშეკრულებაზე ორივემ ხელი მოაწერეს. „მეფე დადიანს აღუთქვამდა, რომ გამოვიდოდა მის დასახმარებლად მთელი თავისი ჯარით“[1].

„დაიმორჩილა თუ არა აფხაზეთი და გურია, დადიანმა იმერეთის დაჭერაც მოისურვა, რომლის მფლობელი ძველად მისი მეფე იყო. ამ განზრახვით დადიანს განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმერეთთან. თუმცა აქამდინ თავისი წადილი ვერ შეისრულა, რადგან იმერეთის მეფე გამაგრდა ქუთაისის ციხეში და მის სიმაგრეს დადიანმა ვერ სძლია, მაგრამ მაინც ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალ-ღონით“[2].

დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ხელს უხსნიდა ოსმალეთის ხელისუფლებას ჩარეულიყო არა მხოლოდ მის საშინაო საქმეებში, არამედ, გარკვეულწილად, მოეხდინა მისი ტერიტორიების ოკუპაცია.

დასავლეთ საქართველოს ვითარებას, მის დაქუცმაცებას და ოსმალეთის დაინტერესებაზე იქ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებით, ჟან ბატისტა ტავერნიე გადმოგვცემს შემდეგს: სულთანი ძლიერ კმაყოფილია ამ ქვეყნის დანაწილების გამო, რადგან როცა, იგი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მას შეიარაღებული ძალით მისი დამორჩილება არ შეეძლო. მაშინ იმერეთის მეფეს შეეძლო მოკლე დროში გამოეყვანა საომრად გამზადებული თითქმის ორმოცდაათი ათასი კაცი. მაგრამ მას შემდეგ რაც იმერეთის მეფეს განუდგა ოდიშის მთავარი დადიანი, ეს უკანასკნელი შეუთანხმდა დიდ სულთანს და ვალდებულება იკისრა მისთვის მიეწოდებინა რკინის გარკვეული რაოდენობა იმ პირობით, რომ იმერეთთან ომის შემთხვევაში დიდი სენიორი მას ტრაპიზონის, ერზერუმისა და ყარსის საფაშოებიდან 20 ათასამდე ცხენოსანს მიაშველებდა[3].

იმავე ავტორის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ოსმალები დასავლეთ საქართველოს მბრძანებლებს შორის ყველაზე დიდ

---

[1] დონ ქრისტოფორო დი კასტელი, გვ. 50-51.

[2] იქვე, გვ. 22.

[3] ტავერნიე ჟან ბატისტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა კ. გურულმა, თბ., 1974, გვ. 235.

მოკრძალებას ლევან II დადიანის მიმართ იჩენდნენ, რაც კარგად მჟღავნდებოდა დადიანის ელჩის ოსმალეთის დიდ ვაზირთან ვიზიტის დროს. „ყოველთვის, როდესაც იგი დიდვაზირთან ვიზიტად მიდიოდა, თავზე თეთრ ქუდს იხურავდა, რითაც ყველა ქრისტიანის განცვიფრებას იწვევდა, რადგან იგივე რომ სხვა რომელიმე ქრისტიანს ჩაედინა, მას სიკვდილი ან გამაჰმადიანება არ ასცდებოდა. ეს ფაქტი გვიჩვენებს, როგორ უფრთხილდებოდა დიდი სენიორი (სულთანი –ე.მ.) სამეგრელოს მეფესთან მეგობრობას და როგორ ცდილობს არაფერი აწყენინოს მის წარმომადგენელს. მან კარგად იცის, რომ მეგრელები არავის არაფერს უთმობენ, სულ უბრალო საბაბით ხმალზე ხელს იკრავენ და ვინც აწყენინებს, ის ვერაფერს მოიგებს“.

ოსმალეთის „ლმობიერი“ პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში, პირველ რიგში, თვით ოსმალეთის, სისუსტეში მდგომარეობდა. ამავე დროს ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დიპლომატიურ კონტაქტები რუსეთთან და ისიც, რომ უკმაყოფილო ქართველებს შეეძლოთ კაზაკები ოსმალეთის წინააღმდეგ წაექეზებინათ და მხარშიც დასდგომოდნენ. ყოველივეს გათვალისწინებით, ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა მოცემულ ეტაპზე ქართულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობის გართულება.

შეიძლება გავიხსენოთ ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნობილი ისეთი მაგალითი, რომლითაც ნათელი გახდება დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან ურთიერთობის დონე და თავისებურებანი: ირანთან ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, 1567 წელს, სულთანი მოლაპარაკებას აწარმოებდა ოდიშის მთავართან, რათა მას ომის დროს, ქართლში შესაჭრელად თავის სამფლობელოებზე ოსმალთა ჯარი გაეტარებინა. მაგრამ უარი მიიღო[1]. ომის დაწყების შემდეგ, როდესაც ნათელი შეიქმნა ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციების წარმოების სირთულე, სულთანმა ანგარიში აღარ გაუწია ოდიშის მთავრის აზრს, ფოთი დაიპყრო და მდ. რიონის ზღვასთან შესართავთან კუნძულზე ციხე

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 183.

ააშენა[1]. ოსმალების მიერ ამ ციხის მშენებლობაზე, ესპანეთის მეფის ინფორმატორებმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს.

ესპანეთის, ისევე, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოების მთავრობის ინტერესი საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით გაძლიერდა ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს (1578-1590). 1579 წლის გაზაფხულიდან სხვადასხვა ინფორმატორები ესპანეთის სამეფო კარზე სისტემატურად აგზავნიდნენ ცნობებს ომის მსვლელობის შესახებ. მათში საკმაოდ მოიპოვებოდა ცნობები საქართველოზეც.

1579 წლის 9 და 24 აპრილს ხუან დე იდიაკესი კონსტანტინოპოლიდან ესპანეთში აგზავნის სხვადასხვა შინაარსის ცნობებს, მაგრამ ადრესატის ვინაობა არ ჩანს. ამ ცნობებიდან ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი: 9 აპრილის წერილში ზოგადად ნათქვამია, რომ თურქების წინააღმდეგ გაერთიანდნენ ქართველები და სპარსელები. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თურქებმა შავი ზღვის სანაპიროზე ერთი ადგილის გამაგრება დაიწყეს. ეს „ერთი ადგილი“[2] უნდა იყოს მდ. რიონის შავ ზღვასთან შესართავში, სადაც ოსმალებმა, როგორც ითქვა, ფოთის ციხის მშენებლობა განიზრახეს.

1579 წლის 8 ივლისის წერილში საინტერესო ცნობებია თურქების მიერ წარმოებულ იმავე მშენებლობაზე. აქვე მოკლედ, მაგრამ გასაგებად არის ნათქვამი ქართველების დამოკიდებულებაზე ამ ღონისძიების მიმართ: „გაგზავნილია 55 გალერი, უფრო მეტად საბარგო, ვიდრე სამხედრო ძალებისათვის საჭირო, რომლებზედაც გაგზავნეს ადამიანები და სათადარიგო ნაწილები, რომლებიც აუცილებელი იყო ორი ციხესიმაგრის ასაგებად ყარსსა და ფაზოში. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამის გაკეთების უფლებას არ მისცემენ, რამდენადაც ეს მშენებლობა არის სპარსელებსა და ქართველებს შორის კავშირის საწინააღმდეგო“[3]. ოსმალეთის ხელისუფლებას ფოთის ციხის აგებით უნდოდა პლაცდარმი შეექმნა, რათა საზღვაო გზით სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 172.
[2] დოკუმენტები, გვ. 309, დოკ. №4.
[3] იქვე, გვ. 311-312, №6,

თავისი, არამედ ყირიმელი თათრების ჯარიც სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით გადაეყვანა. ოსმალებმა ეს გეგმა სრულად ვერ განახორციელეს. მათ ციხე კი ააშენეს, მაგრამ ჯარის გატარება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ვერ შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო[1].

ესპანელი დამკვირვებლების ყურადღება კვლავ მიპყრობილი იყო განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფოთის ციხის მშენებლობისაკენ. მათი აზრით, ოსმალები ფოთის ციხის აგების შემდეგ გააკონტროლებდნენ მთელ დასავლეთ კავკასიას. „როგორც კი ეს ციხე აგებული იქნება, იქ შეიძლება დასვან ბატონად თურქი, უგასიის[2], სამეგრელოსა და ასევე ჩერქეზეთის საწინააღმდეგოდ“. მაგრამ ციხის მშენებლობა ფერხდებოდა სამეგრელოს მთავრის ბაჩიას[3] წინააღმდეგობის გამო[4].

ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით, კრისტობალ დე სალასარი 1579 წლის 3 სექტემბერს ვენეციიდან ფილიპე II-ს კვლავ აცნობებდა: „ლუჩიალიმ[5] ვერ შეძლო აეგო დანიშნული ციხესიმაგრე მდ. ფაზისზე, სამეგრელოში, ქართველების საზღვარზე იმის გამო, რომ ვერ მოახერხა ზღვიდან ხმელეთზე გადაეტვირთა მასალა და მიეღო დახმარება კონსტანტინოპოლიდან, რაც მუსტაფამ ითხოვა... 3 დღის წინ მოვიდა ლუჩიალის მიერ გამოგზავნილი პატარა გალერა, რათა ეცნობებინა იმის შესახებ, რაც გააკეთა და რაც მოხდა, ე. ი. რომ მან ვერ შეძლო აეგო ციხესიმაგრე იქ, სადაც მას ნაბრძანები ჰქონდა და რომ მან დაიწყო მისი აგება 30 მილით ქვემოთ, ზღვის ახლოს დამთავრებულია მიწისა და ხის ნახევარი სამუშაოები. არა აქვს კირი, ხოლო ცოტა რაც ჩაიტანა, გაუთავდა და რომ იგი ელოდება პასუხს: რა ქნას?“[6] ცნობილი

---

[1] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 191-192.

[2] უგასია არის ავოგასია, ანოგაზია, ავობაქსია და ნიშნავს ჯიქეთს. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 447-451.

[3] ეს უნდა იყოს გიორგი IV დადიანის (1546-1573, 1574-1582) დამახინჯებული სახელი.

[4] დოკუმენტები, №8, გვ. 318.

[5] ცნობილი მეზღვაური ეულდი ალი. იქვე, გვ. 104.

[6] იქვე, დოკ. №10, გვ. 321-322.

არ არის რა უპასუხეს მას, მგრამ იმავე კრისტობალ დე სალასარის მიერ ვენეციიდან ესპანეთის მეფისათვის გაგზავნილი წერილით (1579 წლის 15 ოქტომბერი), ვიგებთ, რომ „ლუჩიალი არ დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, ეჭვობენ, რომ ეს მოხდა მისი ზოგიერთი წარუმატებლობის გამო“[1].

ქართველებს მშვენივრად ესმოდათ ოსმალების მიზანი და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს გეგმის განხორციელებაში. „ამის მიზეზი ის იყო – ამბობს ლამბერტი – რომ იმ ხანებში თურქების სულთანი ამურატი ომობდა ირანელებთან. მან აიღო თბილისი და აპირებდა მთელი ირანის დაპყრობას. ამ საქმის შესასრულებლად მას უნდოდა საქართველოს გზა გაეხსნა თავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები – ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზღვით და მერე ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარალით გაეგზავნა თავისი ჯარები ირანისაკენ“. ოსმალები თავიანთი გალერებით აჰყვნენ მდ. რიონს და ქუთაისისკენ წავიდნენ. მაგრამ ქალაქის მახლობლად, მდინარის შევიწროვების ადგილას თოფებით შეიარაღებულმა ქართველებმა ისეთი ცეცხლი გაუხსნეს მომხვდურთ, რომ ისინი იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ და ამის შემდეგ ფოთში ის ციხე ააშენეს რომელზეც ლამბერტი აღნიშნავდა. ფოთის ციხე შემდეგში ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს დაუნგრევია და იქიდან 25 ზარბაზანი წაუღია.

განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება ლამბერტის ნათქვამი ლევან დადიანის მიერ ამ ციხის დანგრევის შესახებ, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შესაბამისი პერიოდის ოსმალეთის სახელმწიფოში მმართველობის სისტემის მოშლაზე: „სულთანმა ეს ამბავი (ფოთის ციხის დანგრევა –ე.მ.) არ იცის. მიზეზი ამისა თურქეთის მოხელეთა ანგარებაა. იგინი არ ატყობინებენ ციხის დანგრევის ამბავს სულთანს და იღებენ ჯამაგირს უწინდებულად, თითქოს ციხე არსებობდეს“[2].

ყოველივე ის რაც ზემოთ ითქვა ოდიშის სამთავროსა და ოსმალეთის სახელმწიფოს ურთიერთობაზე, ნათელს ხდის, რომ დადიანი, რათა თავიდან აეცილებინა უაზრო გართულებები, ფორ-

---

[1] იქვე, დოკ.. №11, გვ. 323.

[2] არქანჯელო ლამბერტი, გვ, 172.

მალურად მაინც აღიარებდა სულთნის სიუზერენობას. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, იმისათვის, რათა ძლიერი მეზობლის აგრესია თავიდან აეცილებინა, დადიანი სულთანთან დამეგობრებას ცდილობდა ისე, რომ მისი რეპუტაცია არ დაზარალებულიყო. ამისათვის იგი ყოველ წელიწადს სულთნის ვაზირებს „ფეშქაშებს“, ხოლო სულთანს კი ყოველ ორ წელიწადში „ხარჯს“ უგზავნიდა. „ამნაირად დადიანი თავის ნებით გახდა თურქეთის მოხარკე. ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს“[1].

ლამბერტის მიხედვით, ლევან II დადიანი ოსმალეთთან ურთიერთობაში იცავდა იმ ტრადიციულ ნორმებს, რომლებიც ჯერ კიდევ მისი წინაპრების დროს ჩამოყალიბდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მისიონერს მოჰყავს შემდეგი: 1635 წელს სულთან მურად IV-მ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ლაშქრობისას, ერევნის ალყის დროს, დახმარება სთხოვა ლევან დადიანს, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო[2].

როგორც ჩანს, ლევან დადიანი არც იმ ვალდებულებას ასრულებდა, რომელიც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს დახმარებას აკისრებდა და ამის შესახებ გარკვევით იყო ნათქვამი, დასახელებული სულთნის მიერ, გიორგი სააკაძისათვის 1626 წელს მიცემულ სიგელში[3].

„მეორე პოლიტიკური ხერხი“, რომელსაც დადიანი ოსმალების მოხელეებისა და ელჩების მიმართ იყენებდა, იყო მათთვის ოდიშის სამთავროს რაც შეიძლებოდა ღატაკ და გაუსაძლის ქვეყნად ჩვენება. „ყველა ამ ღონისძიებას ხმარობდა დადიანი იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის შესახებ და ხონთქარს აზრადაც არ მოსვლოდა არც ხარკის მომატება და არც ქვეყნის სრულად დაპყრობა“[4].

ოსმალეთის გავლენის სისუსტე დასავლეთ საქართველოში

---

[1] იქვე, გვ. 24.
[2] იქვე.
[3] ჯიქია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 236-240.
[4] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 25-26.

რელიეფურად გამოჩნდა მაშინაც, როდესაც ლევან II დადიანი ირანის ქვეშევრდომ როსტომ მეფეს დაუნათესავდა და ოდიშის სამთავრო ირანის მოკავშირედ გამოაცხადა. სულთანმა ამის გამო იმდენად უარყოფითი რეაქცია არ გამოამჟღავნა, როგორიც ამ-გვარ ვითარებაში მისგან მოსალოდნელი იყო. ერთი შეხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დადიანის მიერ პოლიტიკური ორი-ენტაციის შეცვლაზე (როსტომისა და მარიამის დაქორწინება, და-დიანის ურთიერთობა შაჰთან, მისი კავშირი კაზაკებთან) სულ-თნის რეაქცია იყო 1634 წლის მაისში ოსმალეთის საზღვაო დე-სანტის მიერ კოდორის მიდამოებისა და დრანდის მონასტრის სასტიკად აკლება. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო დადიანისათვის სერიოზული გაფრთხილება[1].

თურქი ისტორიკოსები – ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა გადმოგვცემენ, რომ „ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნო-ბით, ირანი, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ და 30 000-მდე ურწმუნო საქართველოს მოსახლეობა. დადასტურდა, რომ დადია-ნის და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონს საფრთხე ელოდებაო. ამიტომ აუცილებე-ლია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარეს დაცვა და დადიანისა და გურიელის ვილაიეთების დარბე-ვაო“[2]. თუ საფარ-ფაშას ინფორმაცია სერიოზულად აღიქვეს სტამ-ბოლში და დასწრებითი ღონისძიება გაატარეს, მაშინ იბადება კითხვა, რა შუაში იყო ოსმალების მიერ კოდორის მიდამოების აკ-ლება[3]? ხიფათი ხომ გონიოსა და ტრაპიზონს ემუქრებოდა.

მოვლენების შემდგომი განვითარება და ლევან დადიანის მოქმედება არ ადასტურებს იმას, თითქოს მან მორჩილება გამო-

---

[1] იხ. ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 90-91.

[2] ალასანია გ., ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978, გვ. 236; მუსტაფა ნაიმა, გვ. 190-191.

[3] გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 425; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო, გვ. 95; სვანიძე მ., საქართველო-ოსმა-ლეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 237.

უცხადა ოსმალეთს[1]. უფრო სწორი იქნება იმის დაშვება, რომ ეს სამხედრო ექსპედიცია იყო პასუხი ლევან დადიანის მიერ იმავე წელს აფხაზეთის დალაშქვრისა, მისი აფხაზეთში წინსვლის შეჩერებისა. ვფიქრობ, ოსმალებმა ამიტომ დაარბიეს აფხაზეთის მოსაზღვრე ოდიშის ტერიტორია. ოსმალებს, რომ სამთავროს წინააღმდეგ სერიოზული სამხედრო ღონისძიებების გატარება სდომებოდათ, მაშინ ოდიშის სამთავროს სხვა მხრიდან შეუტევდნენ.

მინიშნებებით დადიანისათვის ჭკუის სწავლების მცდელობა, ოსმალეთის სახელმწიფოს ავტორიტეტს კიდევ უფრო ლახავდა იმ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტისას, რომელიც XVII ს. 30-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთს ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველსთან მიმართებაში შეექმნა.

როგორც ითქვა, დასაშვებია, ოსმალეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ექსპედიცია მდ. კოდორის დაბლობზე, მიზნად ისახავდა დადიანის აფხაზეთზე წარმატებული თავდასხმების შეჩერებას. ილორის წმ. გიორგის ხატზე წარწერა მოგვითხრობს ლევან დადიანის მიერ 1627 წელს აფხაზეთის დალაშქვრას: „... მიუხდით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ მოვაოხრეთ. – კიდევ მეორედ მიუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგვებნენ ზუფუარი და სიხუარი არშანიები და გაგვემარჯვა, დავხოცეთ, ზოგი ჭელთ დაგვრჩა...“[2]. ლევან დადიანისა და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანის მიერ შემდგომ, 1628 წელს ბიჭვინთის ტაძრისადმი ყმებისა და მამულების შეწირვა[3] იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მან სერიოზულ სამხედრო წარმატებას მიაღწია და თავისი ხელისუფლება დროებით გაავრცელა თითქმის მთელ ზღვისპირა აფხაზეთზე. როგორც ჩანს, ლევან დადიანი სისტემატურ კონფრონტაციაში იყო აფხაზებთან და წარმატებებსაც აღწევდა. დადიანის ამგვარი

---

[1] გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 425; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 237.

[2] ქრონიკები, II, გვ. 447.

[3] იქვე, გვ, 451-452.

მოქმედება ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის ინტერესებს ამ რეგიონში, სადაც თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა.

ოსმალეთის მიერ განხორციელებული სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია ოდიშის სამთავროს აფხაზეთში წინსვლის შეჩერებას ისახავდა მიზნათ. ოსმალეთის ხელისუფლება კოდორის მიდამოების აკლებით ლევან დადიანს მიანიშნებდა, რომ იგი თავისი სამთავროს საზღვრებში დატეულიყო. იმავე დროს აფხაზ ფეოდალებს უნდა ეგრძნოთ, რომ ოსმალეთის მფარველობაში შესვლით მათ დამცველი შეიძინეს და თანაც ისინი ოდიშის სამთავროზე თავდასხმებისაკენ წააქეზა,

სულთან მურადი ოდიშის მთავრის ოსმალეთის მორჩილებიდან გასვლას რომ არ იმჩნევდა და კოდორის ექსპედიციის შემდეგაც ცდილობდა მთავრისათვის შეეხსენებინა მისი ვალდებულებები სიუზერენის წინაშე, გამოჩნდა 1635 წელს, როდესაც ოსმალეთის ჯარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეიჭრა და ერევანს მიადგა. მურად IV-მ, რომელიც ჯარს თვითონ სარდლობდა, „შემოუთვალა დადიანს, შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმაროო. ამაზე დადიანმა უპასუხა, არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გიახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკს და ადვილად შევიძლებ ჩემის ჯარით დავიცვა სამთავროო“[1]. თუ ლამბერტის ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება, მაშინ გამოდის, რომ ნაიმას გადმოცემა იმის შესახებ, რომ ერევანთან სულთანს „მიერთვა გურიის ქვეყნების საჩუქრები და ხარაჯა“[2], ისინი მხოლოდ გურიის მთავრის მიერ გაგზავნილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ გურიელის

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 24.

[2] ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957, გვ. 365

ლაშქარი არ მონაწილეობდა ოსმალეთის აღმოსავლეთ ამიერკავკასიიაში ლაშქრობაში.

ძნელია იმის თქმა, რამდენად სწორად იყო ინფორმირებული არქანჯელო ლამბერტი დადიანისა და სულთნის მიმოწერის შესახებ და რამდენად სწორად გადმოგვცემს იმას რასაც გადმოგვცემს, მაგრამ მაინც საინტერესოა, მისი ნათქვამი სულთნის მოქმედებაზე ოდიშის მთავრის შემონათვალის გაგების შემდეგ. თურმე, სულთანმა დადიანს არაფერი უპასუხა. იგი დარწმუნებული იყო მის სამართლიანობაში, რომლის სიმტკიცეს უზრუნველყოფდა ის, რომ სამთავროში ჯარით შესვლა ურჩი მთავრის დასაჯელად, ბუნებრივი პირობების და მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, მარცხისთვის განწირული იყო[1].

ოსმალეთის მთავრობამ ისიც კარგად იცოდა, როგორი ურთიერთობა დამყარდა ოდიშის სამთავროსა და ირანს შორის ლევან დადიანის დის, მარიამის, როსტომ ქართლის მეფეზე დაქორწინების შედეგად. არ შეიძლება სულთანს არ სცოდნოდა, აღნიშნული ქორწინების შემდეგ, 1634 წელს, ოდიშში შაჰის ელჩის ჩამოსვლა, რომელმაც ლევან დადიანს შაჰ სეფის მიერ გამოგზავნილი სპილო მიართვა[2]. ბუნებრივია, ოსმალეთთან ომის განახლების მოლოდინში მყოფი შაჰ სეფი, სპილოსთან ერთად სხვა ბევრ რამესაც გამოუგზავნიდა ძლიერ მთავარს. ი. ანთელავა, ჩემი აზრით, სრულიად სწორად ვარაუდობს, რომ ირანის ელჩსა და დადიანს შორის მოლაპარაკება უმთავრესად, კარს მომდგარ ომს შეეხებოდა. ომის დაწყების შემთხვევაში ოდიშის მთავარს არ უნდა დაეშვა თეიმურაზისა და იმერეთის მეფე გიორგის ქართლის სამეფოში შეჭრა. მის წინაშე დასმული ამ ამოცანის ნაწილი უნდა ყოფილიყო ირან-ოსმალეთის ომის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ლევან დადიანის თავდასხმა იმერეთზე[3].

დონ ქრისტოფორო დე კასტელმა საინტერესო ცნობა შემოგვინახა დადიანის პოლიტიკაზე ირანის მიმართ: „ამასთან (დადიანს –ე.მ.) მოხერხებულად აქვს კავშირი გაბმული და მორჩი-

---

[1] იქვე, გვ. 24-25.

[2] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 91.

[3] იქვე, გვ. 92.

ლებს ირანის ხელმწიფეს, რომელთანაც სამმაგი მზის ბრუნვის განმავლობაში უნდა გაგზავნოს ხოლმე ერთი დიდბატონთაგანი თავისი სამეფოს – კოლხეთის დესპანთან ერთად, ძალიან ძვირფასი და დიდებული საჩუქრებით. გარდა ამისა, უნდა გაუგზავნოს გაწვრთნილი მონადირე ძაღლები, დიდრონი ქორები, სპილოები (?) და სხვა უამრავი ძვირფასეულობა“[1].

ლევან დადიანის მიერ სულთნის ინტერესისა და მოთხოვნის საწინააღმდეგო მოქმედების დემონსტრირების კიდევ ერთი ფაქტი იყო სამცხის ათაბაგის ასულის, სილამაზით სახელგანთქმული ელენეს გაგზავნა ირანში.

ელენე გურიაში მოღვაწე კათოლიკე პატრებს, განსაკუთრებით კი ქრისტოფორე კასტელს დაუახლოვდა და ამის გამო მოხვდა მისი თავგადასავლის ზოგიერთი ეპიზოდი მისიონერების მიერ რომში გაგზავნილ მოხსენებებში[2].

გაბრიელ გეგენავა – ლევან II-ის ელჩი მოსკოვში

ლევან დადიანი ზემოაღნიშნულ პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯებს როდესაც დგამდა და ოსმალეთის სულთნის მიმართ გამომწვევად იქცეოდა, ოსმალეთის გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობას ითვალისწინებდა. მაგრამ ეს ხდებოდა გარკვეულ დრომდე.

1635 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი. მაშინვე გამოჩნდა ირანის სამხედრო სისუსტე და დაკვირვებულ პოლიტიკოსს არ გაუძნელდებოდა იმის განჭვრეტა, რომ მომავალში ირანი, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის შემაკავებელი ძალა ვეღარ იქნებოდა. ბუნებრივია ქართლის მეფე როსტომიც ვეღარ შესძლებდა, საჭიროების შემთხვევაში ოდიშის მთავრისათვის ქმედითი დახმარება გაეწია. ასე, რომ ოდიშის სამთავრო მარტო რჩებოდა არაკეთილგანწყობილი მეზობლების წინაშე.

---

[1] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, გვ. 55.

[2] მამისთვალიშვილი ე., ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი. „ჩვენი უნივერსიტეტი“, სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი, №1, იანვარი, 2011, გვ. 37-41.

შექმნილ ვითარებაში ლევან დადიანმა ყველაზე სწორად ჩათვალა დაკავშირებოდა მოსკოვს. ამგვარი მოქმედებისაკენ მას უბიძგებდა კახეთის მეფე თეიმურაზის მიერ, ცოტა ხნის წინათ (1635 წ.), იმავე მოსკოვში, თავისი ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორე ბერძენის გაგზავნა. თეიმურაზის წერილში დადიანი ნახსენები იყო მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ როცა ქართლის მეფისა და დაუთ-ხან უნდილაძის დასასჯელად შაჰმა ჯარი გამოგზავნა, თეიმურაზი მათ დასახვედრად ემზადებოდა, მაგრამ ერთი მხრიდან დადიანი და მეორედან კი მისი დის სპარსელი ქმარი (თეიმურაზ მეფე როსტომს გულისხმობდა) თავიანთი ჯარებით წამოვიდნენ. მათ ქართლ-კახეთის მეფე აიძულეს იმერეთის სამეფოში გადასულიყო[1].

იმის გამო, რომ დადიანი და მისი მოდგმა არამეფური წარმოშობისა იყო, როგორც თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე მოსკოვში წარდგენილ თხოვნაში წერდა. ამიტომ იყო, რომ მისი და შაჰმა კი არ შეირთო, არამედ ხოსრო მირზამ. მან ხელმწიფის ყურადღება იმასაც მიაპყრო, რომ არასწორია ყიზილბაშების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს დადიანი ერევნისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი ერევნამდე ვერ მივიდოდა, რადგან მას იქამდე მისასვლელი გზა არ გააჩნია. მისი სამფლობელოები ყოველი მხრიდან ჩაკეტილია. დადიანმა, რომ თავისი სამთავრო დატოვოს და ერევანში წავიდეს, მის სამფლობელოებს მაშინვე თურქები დაიკავებენ. დადიანის ყველა მეზობელი მისი მტერია[2].

ვიდრე დადიანმა მოსკოვის კართან კავშირის დამყარებისათვის ელჩი არ გაგზავნა, მანამდე თეიმურაზი და მისი ელჩი თავიანთ წერილებში, როგორც არაერთხელ აღინიშნა, დადიანს მხოლოდ გაკვრით ახსენებდნენ. როდესაც გეგენავას ელჩობა მოსკოვში უკვე ფაქტი იყო, თეიმურაზი ყოველნაირად ცდილობდა ოდიშის სამთავროსა და რუსეთის დაახლოებისათვის ხელი შეეშალა.

ამგვარად, ლევან დადიანმა 1636 წელს თავისი ელჩი გაბრიელ გეგენავა გაგზავნა მოსკოვში, რომელიც იმავე წლის ივლისში უკვე ყაბარდოში იმყოფებოდა.

---

[1] Полиевктов М., Материалы, с. 116.

[2] Там же, с. 134.

გაბრიელ გეგენავას პიროვნებაზე მცირე რამ არის ცნობილი. რუსული წყაროების მიხედვით, გაბრიელს, საელჩო პრიკაზში გამოკითხვისას უთქვამს, რომ „ის გავრილო ***ხუცესია, სწირავდა მეფე ლეონტის ეკლესიაში***, სადაც იგი [დადიანი] დადის; იმავე დროს ***გალობს კარის ეკლესიაში***“; „ასეთი სიგელი გამოუგზავნა დადიანის მეფე ლეონტიმ თავისი ელჩის, ***კარის ხუცესის*** გაბრიელის ხელით 12 დეკემბერს“; „ახლა კი მან მის მეფურ უდიდებულესობასთან გამოგზავნა ***თავისი კარის ხუცესი*** სახელად გავრილა“[1]. იგივე ამონარიდი ა. ტუღუშს გაგებული აქვს შემდეგნაირად: „ის გაბრიელი მღვდელია, იმ ეკლესიაში წირავს, სადაც მეფე ლევანი დადის; ის აგრეთვე (იერუსალიმის –ე. მ.) ***ჯვრის ტაძარში*** გალობს“; „ახლა კი მან მის მეფურ უდიდებულესობასთან გამოგზავნა თავისი ***ჯვარისმამა*** სახელად გავრილა“. რუსული წყაროს ამგვარი გაგება ა. ტუღუშს იმის საშუალებას აძლევდა, რომ გაბრიელ გეგენავა, მოსკოვში გამგზავრებამდე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად გამოეცხადებინა[2], რაც, რუსული წყაროს მიხედვით, სიმართლეს არ შეეფერება.

რუსული წყაროს არასწორმა ინტერპრეტაციამ დასახელებული მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, თითქოს გაბრიელ გეგენავა 1632 წლიდან, ნიკიფორე ირბახის რეკომენდაციითა და ლევან II დადიანის სურვილით იერუსალიმს ჯვარისმამად დაინიშნა[3].

როგორც თავის ადგილას ითქვა, ნიკიფორე ირბახი დიდი ხნის განმავლობაში (XVII ს. 20-40-იანი წლები) იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის იღუმენი (ჯვარისმამა) იყო. ის ამ რანგში გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქიდან დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა ეს საეკლესიო თანამდებობა. არავითარი

---

[1] «Да и он-де Гаврило поп же, а ***служил у царя Леонта у его церкви***, где он приходит; да он же-де ***поет и в хоромех у крестов***»; «Такову грамоту прислал дадянской Леонтей царь послом своим с крестовым попом з Гаврилом декабря в 12 де»; «А ныне-де он послал к его великому царствию ***крестового своего попа*** имянем Гаврила». Там же, с. 149, 151, 152. მონიშვნა ჩემია.

[2] ტუღუში ა., გაბრიელ გეგენავა – უცნობი ჯვარისმამა, გვ. 33.

[3] იქვე, გვ. 34-35.

ცნობა არ გაგვაჩნია იმის სათქმელად, რომ 1632 წელს ნიკიფორემ ჯვრისმამად გაგზავნა გაბრიელ გეგენავა, რომელიც იქ იმყოფებოდა ნიკიფორეს ჯვრის მონასტერში დაბრუნებამდე, ე. ი. 1643 წლამდე. მართალია ნიკიფორე დიდი ხნის განმავლობაში იერუსალიმში არ იმყოფებოდა (1625-1643 წწ.), მაგრამ იგი ჯვრისმამობას ინარჩუნებდა 1649 წლამდე. ამ წოდების შენარჩუნებაში ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ იგი იერუსალიმში არ იმყოფებოდა. მხოლოდ იერუსალიმიდან ნიკიფორეს დაბრუნების შემდეგ (1649 წ.), გაბრიელ გეგენავა ჯვრისმამად უნდა გაეგზავნათ. XVI საუკუნეში ჯვრისმამების მიერ იერუსალიმის მონასტრების საქართველოდან მართვა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. შეიძლება ესეც იყო ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

გაბრიელ გეგენავას შესახებ, ვფიქრობ, სარწმუნო, მაგრამ არასახარბიელო ორიოდე ცნობა დაგვიტოვა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა, რომელიც გეგენავას თანამედროვე და იერუსალიმში მიმდინარე ამბების საქმის კურსში იყო. მისი გადმოცემით, საქართველოში დაბრუნებულ ნიკიფორე ირბახს ჯვარისმამად დაუტოვია გაბრიელი, გვარად გეგენავა. ნიკიფორეს, 1658 წელს, ვალების დასაფარავად ვინმე მარკოზის ხელით იერუსალიმში თანხა გაუგზავნია. როდესაც ნიკიფორემ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, გადმოგვცემს დოსითეოსი, „ივერიელების ჯვრის მონასტერში თავის ნაცვლად დატოვა ვინმე გაბრიელი. ამ კაცმა თავისი უწესო ცხოვრებით მონასტერი დიდ ვალებში ჩააგდო, რომლის დასაფარი [თანხა], სხვათა შორის, ნიკოლოზმა [საქართველოდან] გააგზავნა, რომელიღაც მარკოზის ხელით. ათას ექვსას ორმოცდათვრამეტ წელს გაბრიელი მოვიდა იოპიაში[1] მარკოზთან შესახვედრად, რომელსაც დაღუპვას უმზადებდა. ერთმა ნესტორიანელმა მარკოზი ზღვაში გადააგდო. მარკოზი დაიღუპა. გაბრიელმა აიღო [მარკოზის მოტანილი] ფული, რომლის ნაწილი

[1] იაფა - ქალაქი და ნავსადგური პალესტინაში. სავარაუდოა ნიკიფორემ მარკოზი ჯერ კიდევ ლევან II-ის სიკვდილამდე და მისივე შეწევნით გაგზავნა იერუსალიმში. თორემ აღნიშნულ 1658 წელს, დადიანის სიკვდილის შემდეგ, ამას ვეღარ მოახერხებდა, რადგან მაშინვე სამთავროში არეულობა დაიწყო.

მისცა მევახშეებს. თამასუქები თუმცა შეცვალა, მაგრამ [მევახშეებს] ძველი თამასუქები არ ჩამოართვა. მისგან გაგულიანებულმა ადამიანებმა, რა თქმა უნდა ყაჩაღებმა, გზაში გაძარცვეს ის კაცი, რომელსაც თამასუქები მიჰქონდა და [თამასუქები] წაართვეს. გაბრიელი ფიქრობდა, რომ თამასუქები განადგურდა, მაგრამ ისინი [სინამდვილეში] მევახშეებს ჰქონდათ"[1].

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის რასაც დოსითეოსი ქართველ ჯვარისმამებზე წერს, მაგრამ აღნიშნული საკითხების კვლევისას აუცილებლად გასათვალიწინებელია. ის კი თუ რა მიზანი ამოძრავებდა პატრიარქ დოსითეოსს ამის შესახებ, საკმაოდ დაწვრილებით აღვნიშნე ნიკიფორე ირბახის საქმიანობის განხილვისას.

იმავე პატრიარქის მიხედვით, გაბრიელი თურქებმა მოკლეს, მაგრამ დროს არ უთითებს[2].

* * *

ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძეს ყაბარდოდან აცნობეს დადიანის ელჩის ჯერ ყაბარდოში მისვლისა, შემდეგ თერგში დაბინავების შესახებ. 1636 წლის 18 დეკემბერს ხელმწიფე გაეცნო რა თერგის ვოევოდების მოხსენებას, ბრძანა ელჩი მოსკოვში გაეგზავნათ. მეფის ბრძანების ამსახველი სიგელი თერგში გაიგზავნა 20 დეკემბერს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით, სიგელმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. მოსკოვიდან პასუხის მიუღებლობის გამო, თერგის ვოევოდებმა 1637 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში გააგზავნეს წერილი, რომლითაც ელჩისადმი შემდგომი მოპყრობის განკარგულებას ითხოვდნენ. 1638 წლის 16 მარტს, გაიგზავნა მეორე ბრძანება ელჩის მოსკოვში გაშვების შესახებ. ბრძანება მიიღეს 13 ივნისს, გეგენავა კი 30 ივნისს გაემგზავრა[3].

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 189.

[2] იქვე, გვ. 209.

[3] Полиевктов М., Материалы, с. 145.

ამგვარად ელჩი თითქმის 2 წელი შეყოვნდა თერგში [1].

ვიდრე დადიანის ელჩი გზაში იყო, მის შესახებ თეიმურაზის ელჩს ნიკიფორე ბერძენს გამოჰკითხეს. გასაგები მიზეზების გამო, ნიკიფორემ დადიანის ქვეყანა, ხალხი, მისი ოსმალეთთან ურთიერთობა, ეკონომიკური მდგომარეობა, ყოველივე მუქ ფერებში დახატა[2].

ცნობილი არაა დადიანის ელჩი როდის ჩავიდა მოსკოვში. იგი 1638 წლის 16 ნოემბერს უკვე საელჩო პრიკაზში იმყოფებოდა და დიაკების ფედორ ლიხაჩევის, მაქსიმ მატიუშკინისა და გრიგორი ლვოვის კითხვებს პასუხობდა.

ელჩმა კატეგორიული უარი განაცხადა ლევან დადიანის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი სიგელი დიაკებისათვის გადაეცა. მას ჰქონდა ზეპირად დანაბარებიც, რომელიც ასევე ხელმწიფისათვის პირადად უნდა მოეხსენებინა. მან მათ აჩვენა მხოლოდ ერთი ფურცლის ორ გვერდზე, ორ ენაზე (ბერძნულად და ქართულად) დაწერილი სიგელი. როგორც ჩანს, დადიანმა თადარიგი დაიჭირა და მოსკოვში ქართულად დაწერილი სიგელის ბერძნული თარგმანიც გააგზავნა. სავარაუდოა, მას უნდოდა ადგილზევე გაეკონტროლებინა როგორი იქნებოდა მისი წერილის შინაარსი ბერძნულ თარგმანში.

გაბრიელმა, დასმული კითხვების მიხედვით, ილაპარაკა ოდიშის მთავრის სტატუსის, სამთავროს მოსახლეობის რწმენის, საეკლესიო იერარქიის, ხელოსნობისა და ვაჭრობის, შეიარაღების, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხებზე. ისიც თქვა, რომ მთავარს ომი ჰქონდა იმერეთის მეფესთან, მაგრამ ამჟამად მათ შორის მშვიდობაა.

საინტერესოა გაბრიელის პასუხი დიაკების ორ უკანასკნელ კითხვაზე: როგორი იყო მთავრის ოჯახური მდგომარეობა და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას ოსმალეთის სულთანთან. ელ-

---

[1] როგორც თვით გაბრიელ გეგენავამ საელჩო პრიკაზში განაცხადა, იგი თერგში ორი წელი გაატარა («А не своей-де земли он поехал и прошлом в 144-м году ... и мешкал на Терке два годы: не отпустили его долго ко государю воеводы»). Там же, с. 147.

[2] Там же, с. 143-144.

ჩმა უპასუხა, რომ დადიანი დიდი ხანია დაოჯახებულია, ჰყავს ორი ძე და ორი ასული. უფროსი უფლისწული ალექსანდრე 13 წლისაა, უმცროსი კი 6-ს. ასულები კი, ერთი უფროს ვაჟზე უფროსია, მეორე 11-ის. ელჩმა ლევან დადიანის ასულების სახელები არ იცოდა[1].

რაც შეეხებოდა დადიანის ოსმალეთთან ურთიერთობას, ელჩის თქმით, ოდიშის ძველი მეფეები სულთანს ხარკში აძლევდნენ ქსოვილებს, მაგრამ რამდენს, არ იცოდა. ადამიანებს არ უგზავნიდნენ. ამჟამინდელი მეფე ლევანი არავითარ ხარკს არ უხდის[2].

12 დეკემბერს გაბრიელ გეგენავა ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძემ მიიღო და მოისმინა დადიანის მიერ გაგზავნილი სიგელის შინაარსი. დადიანი გამოხატავდა მზადყოფნას ემსახურა მოსკოვის ხელმწიფისათვის და ითხოვდა მის ქვეყანაში ელჩის გაგზავნას სამეფო სიგელებით, რათა შესულიყო მისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ.

აუცილებლად უნდა ითქვას ლევან II-ის სიგელის იმ ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციაზე, რომელიც რუსთა ხელმწიფის წინაშე ოდიშის მთავარს წარმოაჩენდა, იმ ერთადერთ მბრძანებლად, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა სხვა მეფე-მთავრებთან შედარებით და რომელიც უნდა ყოფილიყო მოსკოვის დასაყრდენი საქართველოში. ამ მხრივ იგი გაგვახსენებს თავისი პაპას, ალექსანდრე II კახთა მეფეს, რომელიც ასევე ცდილობდა მოსკოვში ამგვარ პიროვნებად აღექვათ.

ლევან დადიანი თავის სიგელში მიხეილ თედორეს ძეს სა-

---

[1] ქრისტოფორო კასტელისაგან ვიგებთ, რომ ლევან დადიანის ვაჟების სახელები იყო ალექსანდრე და მანუჩარი, ხოლო ასულებისა კი – გული და ცირა. კასტელი სანდოა, რადგან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მთავრის კართან (დონ ქრისტოფორო დე კასტელი, გვ. 55). სხვა ცნობით, დადიანის ერთი ასული, ელენე, თეიმურაზ I-ის რძალი, უფლისწული დავითის მეუღლე ყოფილა (ქრონიკები, II, გვ. 474), რაც სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. თეიმურაზისა და ლევან დადიანის ურთიერთობის ამსახველ მასალებში მათი ასეთი ნათესაობა აუცილებლად აისახებოდა. მაგრამ ამის გარეშეც თეიმურაზ მეფე და ლევან დადიანი საერთო პაპის – ალექსანდრე II კახთქა მეფის შვილიშვილები იყვნენ: თეიმურაზი მამის, ლევანი კი დედის მხრიდან.

[2] Полиевктов М., Материалы, с. 147-150

ქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ძალთა თანასწორობას შემდეგნაირად უხატავს: „ივერიაში იყო 5 ხელმწიფე. ორი მათგანი ირანის შახმა მოკლა, ხოლო დანარჩენი სამი სახელმწიფოს ხელმწიფობას ღვთის შეწევნითა და მისი მეფური დღეგრძელობით იგი, ლეონტი მეფე ფლობს. მას დიდი ხანია სურდა მისი დიდი ხელმწიფებისათვის ემსახურა, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ გამონახა, რათა ხელმწიფის წინაშე ქედი მოეხარა. ეხლა კი, მისი ძლიერი მეფობის წინაშე გამოვაგზავნე ჩემი კარის ხუცესი სახელად გავრილა... დიდმა ხელმწიფემ მოწყალება მოიღოს და მას (ლევან II-ს –ე.მ.) ელჩი გაუგზავნოს თავისი სამეფო სიგელებით და თავისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ მიიღოს...“[1]

ლევან დადიანის სიგელში ყოველივე ნათლადაა გადმოცემული: შაჰის მიერ განადგურებულ ორ ქართულ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, ქართლსა და კახეთს გულისხმობს. დადიანის ნათქვამი მოსკოვში ისე უნდა გაეგოთ, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებმა (ლეარსაბ II-მ და თეიმურაზ I-მა) იმდენად არასწორი პოლიტიკა გაატარეს ირანის მიმართ, რომ კატასტროფა განიცადეს. დანარჩენ სამ სახელმწიფოზე ლევან დადიანი ბატონობს. ოდიშის მთავარი მოსკოვის ხელმწიფეს სრულიად იოლ ამოცანს უსახავს: თუ იგი ლევან დადიანს, როგორც ერთადერთ რეალურ ქართველ ხელისუფალს მიიღებს თავის მფარველობაში და დაეხმარება, მაშინ მთელ საქართველოზე მისი გავლენა გავრცელდება.

ი. ანთელავამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლევან II დადიანი არა მხოლოდ რუსეთის ხელმწიფის წინაშე იწონებდა თავს ხელმწიფობით, არამედ სხვადასხვა ქართულ სიგელებშიც თავის თავს ასევე უწოდებდა. მას თავის ტოლად რომ არ მიაჩნდა როსტომ მეფე, ჩანს მარიამისათვის გატანებულ მზითვის წიგნში: „ჩვენ ღმრთივ აღმატებულმან და ღმრთივ დამყარებულმან, ძლიერმან, უძლეველმან და არა სადა ძლეულმან ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან, მივათხოვეთ... ჩვენი და... ღმრთივ აღმატებულსა და მაღლის ჴელმწიფისაგან დამყარებულსა მეფეთ მეფესა, პატრონსა როსტომს“. ამგავარად ლევანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თვითონ ღმერთისგან არის („ღმრთივ

[1] Там же, с. 151-152

დამყარებულია“), როსტომი კი მხოლოდ ჭელმწიფისაგან, ე. ი. შაჰისაგან დამყარებულია[1].

ლევან დადიანის მიერ საკუთარი თავის განდიდების მიდრეკილება უკვე ჩანს ოციან წლებში. 1628 წლის ბიჭვინთის სიგელში ვკითხულობთ: „ჩუენ ჭელმწიფემან დადაინმა ბატონმა ლევან...“ 1636 წლის ხონის წმ. გიორგის ხატის წარწერაში – „ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან...“ 1647 წლის ილორის ხატის შეწირულობის სიგელში იგი კვლავ „ჭელმწიფე დადაინია“[2].

მიხეილ თედორეს ძის დავალებით, დადიანის ელჩს სპეციალურად და დაწვრილებით გამოკითხეს ოდიშის სამთავროში მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენისა და ეკლესიის მდგომარეობის შესახებ[3].

1639 წ. 24 მაისს გაბრიელ გეგენავას გამოუცხადეს, რომ მას სამშობლოში უშვებდნენ და მასთან ერთად მიემგზავრებოდა მოსკოვის ელჩი ფედოტ ელჩინი[4]. მას დაევალა „დადიანის მეფე ლეონტის რუსეთის სახელმწიფოსადმი ერთგულებასა და მუდმივ ქვეშევრდომობაზე დაფიცება“. ცალკე დავალება მიეცა მღვდელ პავლე ზახარინს. მას უნდა შეესწავლა „დადიანელების“ ქრისტიანული რწმენა და საეკლესიო მსახურება[5].

ელჩები 1639 წლის 2 ივნისს მოსკოვიდან გავიდნენ და იმავე წლის 13 ნოემბერს უკვე ოდიშის სამთავროში იყვნენ. ფედოტ ელჩინმა ოდიშში ჩამოიტანა რუსეთის ხელმწიფის საპასუხო სიგელი ლევან დადიანთან, რომელშიც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ხელმწიფე კმაყოფილი იყო დადიანის მოსკოვთან დაკავშირების სურვილით.

გაბრიელ გეგენავას რუსეთში ყოფნის შესახებ ინფორმაციის მოსმენისა და მისი მოსკოვში ყოფნის დროს შეცვლილი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, დადიანის მოსკოვისადმი დამოკიდებულება სრულიად და საბოლოოდ შეიცვალა. მთავა-

---

[1] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[2] ქრონიკები, II, გვ. 447, 451, 455, 461.

[3] Полиевктов М., Материалы, с. 153-157.

[4] Там же, с. 152.

[5] Там же, с. 157.

რი უკმაყოფილო იყო მოსკოვიდან დაბალი რანგის ელჩობის გამოგზავნითაც. იგი მის ამბიციებს არ მიესადაგებოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა კი იმას ჰქონდა, რომ ლევან დადიანმა, პრაგმატისტმა პოლიტიკოსმა, ძალიან კარგად იცოდა, თუნდაც თეიმურაზის რუსეთთან ურთიერთობის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთის სახელმწიფო ოდიშის სამთავროს ქმედით დახმარებას ვერ გაუწევდა. ახლო აღმოსავლეთის ორ დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში კი თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო. ამიტომაც მან მოსკოვის ელჩი ფედოტ ელჩინი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ უხალისოდ მიიღო და ოდიშის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლაზე სიტყვაც აღარ დაუძრავს.

ლევან დადიანის სგარეო პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვალა 1639 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის დადებული ზოჰაბის ზავის შემდეგ. ცნობილია, რომ ამასიის ზავის შემდგომ ირან-ოსმალეთს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებაში, მნიშვნელოვანი ადგილი „გურჯისტანის“ საკითხს ეკავა. ზოჰაბის ზავით ამასიის ხელშეკრულებაში შეტანილი კორექტივი ის იყო, რომ სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. დანარჩენი საქართველო ოსმალეთმა და ირანმა გავლენის სფეროებად გაიყვეს: დასავლეთს ოსმალეთი დაეპატრონა, აღმოსავლეთს კი ირანი. ამგვარად, დანაწილებულ საქართველოში ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა უნდა დამყარებულიყო[1].

1640 წლის 19 მაისს რუსი ელჩები ოდიშიდან გაისტუმრეს. ელჩებს თან მიჰქონდათ ლევან დადიანის საპასუხო სიგელი, რომელშიც აღარ იყო თხოვნა რუსეთის მხრიდნ ოდიშის სამთავროს დაცვა-მფარველობაზე. დადიანი ხელმწიფეს მხოლოდ იმას სთხოვდა, რომ მხატვრები და საღებავები გაეგზვნა ოდიშში ეკლესიების მოსახატად. ამით დასრულდა ლევან II დადიანის ურთიერთობა რუსეთთან[2].

ლევან II დადიანმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ზოჰაბის საზავო ხელშეკრულება ირანს დასავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევა უკრძალავდა, ოდიშის მთავარი ირანის იმედით ვეღარ

---

[1] ჩოჩიევი ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 335.

[2] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 101.

იქნებოდა. იგი ოსმალეთის პირისპირ მარტო რჩებოდა. ამიტომ არ მგონია, დადიანის მოკავშირე ქართლის მეფე როსტომის თეიმურაზზე მოპოვებული გამარჯვება და ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავი ოდიშის მთავრის რუსეთისადმი დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი ყოფილიყო[1]. ვფიქრობ, დადიანის მიერ დროებით რუსეთზე აღებული ორიენტაციის შეცვლის მთავარი მიზეზი მკაცრი რეალობისათვის ანგარიშის გაწევა იყო. დადიანს აღარ აწყობდა არაფრის მომცემი რუსეთის ქვეშევრდომობის ადიარებით სულთანი და შაჰი გაეღიზიანებინა.

ითქვა, რომ როდესაც გაიგეს, რომ ოდიშის მთავრის ელჩი მოსკოვში მიდიოდა, მაშინვე სამთავროსა და მთავრის შესახებ გამოჰკითხეს იქ მყოფ თეიმურაზის ელჩს, ნიკიფორე ბერძენს. 1637 ივნისში ნიკიფორე და რუსეთის ელჩები საქართველოსკენ გამოეშურნენ. მაშინ გაბრიელ გეგენავა ჯერ კიდევ მოსკოვში მისული არ იყო. ნიკიფორე თეიმურაზ მეფესთან დაბრუნდა 1638 წლის აგვისტოში. იგი, ბუნებრივია, მეფეს მოახსენებდა რაც იცოდა ოდიშის მთავრის ელჩის მოსკოვში ვიზიტის შესახებ.

თეიმურაზისა და იმერთის მეფე გიორგი III-სათვის სრულიად მიუღებელი იყო დადიანის მოსკოვთან დაკავშირება. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოდიშის მთავრის მიერ რუსთ ხელმწიფესთან ელჩის გაგზავნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართველი მეფეების რუსეთთან ურთიერთობის ჩაშლა და ამ მხრიდან მათი სრული იზოლაცია იყო.

სავარაუდოა, თეიმურაზ და გიორგი მეფეებმა, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა დადიანის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნის შესახებ, თეიმურაზის ინიციატივით, დადიანთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება სცადეს. თეიმურაზ მეფე, რომ აღნიშნულ პერიოდში ოდიშში იმყოფებოდა, ამის შესახებ დედოფალმა ხორეშანმა საქართველოსკენ მომავალ ნიკიფორე ტოლოჩანოვს თერგში შეატყობინა. დედოფალი რუსეთის ელჩს პირდებოდა, რომ თეიმურაზის კახეთში დაბუნებას, მაშინვე აცნობებდა[2]. რო-

---

[1] Накашидзе Н., Ук. труд, с. 143

[2] Полиевктов М., Материалы, с. 231.

გორც ჩანს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ინიციატივა დადებითი შედეგით არ დასრულდა.

ლევან დადიანის ამგვარი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, თეიმურაზ I-მა, 1639 წელს, მოსკოვში მეორედ გაგზავნილ ნიკიფორე მიტროპოლიტს გაატანა სიგელი, რომელსაც უკვე გავეცანით. მასში საკმაოდ დაწვრილებით ჩამოყალიბებული იყო ყველა ის 17 ბრალდება, რასაც თეიმურაზი და იმერეთის სამეფო კარი ოდიშის მთავარს უყენებდა[1].

საინტერესოა, რომ, როგორც თეიმურაზი მოსკოვის ხელმწიფეს წერდა, თითქოს შაჰ სეფი თეიმურაზ მფესთან დაპირისპირებას, ლევან დადიანს აბრალებდა. ამის შესახებ კახეთის მეფისათვის თვით შაჰს მიუწერია[2].

მაგრამ ყოველივეს რასაც თეიმურაზ მეფე მოსკოვში აცნობებდა, ლევან დადიანისათვის უკვე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ითქვა, ლევან დადიანმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი თქვა.

თავისი სამთავროსათვის ჩრდილოეთიდან საიმედო ზურგის შექმნის, თეიმურაზ მეფის ყაბარდოელებთან კავშირში განხეთქილების შეტანისა და იმერეთის მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირის გაჩენის მიზნით, ლევან დადიანმა ყაბარდოს დიდ თავადთან ალეგუკო შეგენუკოვთან კავშირი დაამყარა. 1640 წლის 1 მარტს მან თავისი აზნაური ყაბარდოში გაგზავნა და თავისი ვაჟისათვის ქალიშვილი სთხოვა[3]. იმავე წლის მაისში ლევან დადიანის კაცთან ერთად ოდიშში ჩავიდა ყაბარდოელი თავადის აზნაური და საქორწინო გარიგება წარმატებით დასრულდა. მაგრამ, როგორც რუსული წყაროებიდან ირკვევა, ალექსანდრე მეფესა და ყაბარდოელ თავადთა, ერთ ნაწილთან მაინც, კარგი ურთიერთობა არსებობდა[4].

რუსი ელჩების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობები წარ-

---

[1] Переписка, с. 22-23.

[2] Там же, с. 31.

[3] Путешествие русских послов XVI-XVII вв., М.-Л., 1954, с. 206; Полиевктов М. А., Материалы, с. 157.

[4] ბოცვაძე თ., საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 79.

მოდგენას გვიქმნის თეიმურაზ მეფის დიპლომატიის ერთ მიმართულებაზეც. XVII ს. 50-იანი წლების დასაწყისში თეიმურაზ მეფემ კიდევ სცადა ოდიშის მთავართან მშვიდობიანი ურთიერთობისათვის მიეღწია. უფრო მეტიც, იგი რეალურად აფასებდა და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა დადიანის სამხედრო ძალასა და პოლიტიკურ შესაძლებლობებს. ისიც ჩანს, თეიმურაზ მეფე სერიოზულად ფიქრობდა დადიანის ავტორიტეტის გამოყენებას ირანის შაჰთან თავისი ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად იგი ბევრს ცდილობდა. მას ჯერ ერთმანეთთან უნდა შეერიგებინა იმერეთის მეფე და ოდიშის მთავარი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. სამეფო ტახტის დაბრუნების გზაზე,

საყურადღებოა, რომ 1651 წლის გაზაფხულზე თეიმურაზ მეფე ოდიშში („სადადიანოში“) ჩავიდა. ამის შესახებ ქართველ და რუს ელჩებს აცნობა 25 მაისს ბალყარეთში ჩასულმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის აზნაურმა „ნიკილიმ“. მან ელჩებს უთხრა, რომ თეიმურაზ მეფე ამჟამად იმერეთში კი არ იმყოფებოდა, სადაც რუსი ელჩები მასთან შეხვედრას გეგმავდნენ, არამედ ოდიშის სამთავროში, მაგრამ რა მიზნით, ამის შესახებ „ნიკილიმ“ არ იცოდა“[1].

29 ივლისს თეიმურაზის მეორე აზნაურმა რამაზანმა რომლის მოვალეობას რუსი ელჩების მომსახურება შეადგენდა, „რაჭაში“ მეფესთან ჩასულ რუს ელჩებს უთხრა: „სადადიანოს მეფე ლევანი მოვიდა და ქუთაისიდან ერთი დღის სავალზე დგას. იგი კარგი და კეთილი საქმისათვის მოვიდაო. დიდებული (მოსკოვის –ე.მ.) მეფის ელჩების ჩამოსვლამ მას შიში მოჰგვარა და ახლა მეფე ალექსანდრესთან და მეფე თეიმურაზთან შერიგება სურსო“[2].

თეიმურაზის ლევან დადიანთან ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივას კიდევ უფრო სერიოზულ სახეს აძლევდა იგივე რამაზანი, როდესაც რუს ელჩებს „გაანდო“, რომ ლევან დადიანთან ურთიერთობის გაუმჯობესებამდე, თეიმურაზი მოსკოვისათვის განზრახული უფლისწულის ერეკლე/ნიკოლოზის გაგზავნაზე თავს შეიკავებდა. ძნელია იმის თქმა, რამაზანი რუსეთის ელჩების

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 68.
[2] იქვე, გვ. 74.

დეზინფორმაციას ახდენდა თუ სიმართლეს ეუბნებოდა (ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით, რამაზანს „წამოსცდა“), რომ „***მეფე თეიმურაზი თავის შვილიშვილს ნიკოლოზს დიდ ხელმწიფეს მანამ არ გაუგზავნის, სანამ სადადიანოს მთავარს არ შეურიგდება და კახეთს არ დაიბრუნებსო***“[1].

ზუსტად ვერასოდეს გაირკვევა ლევან დადიანი მართლა თუ სთხოვდა თეიმურაზს მძევალს იმისათვის, რომ ოდიშის სამთავროსა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარებულიყო. ამგვარ ცნობებს ელჩებს თეიმურაზისა და ალექსანდრეს კარისკაცები და თვით მეფეებიც, აწვდიდნენ[2], ალბათ, კონკრეტული მოსაზრებით: შეემზადებინათ ნიადაგი უფლისწულის მოსკოვში გაგზავნაზე უარის სათქმელად, ან იმ დროს გაგზავნისათვის, როდესაც ქართველი მეფეები ხელსაყრელად მიიჩნევდნენ. ასეთ ხმებს თეიმურაზი უარყოფდა[3], მაგრამ იმგვარად, რომ ელჩები კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობაში დარჩენილიყვნენ.

რუს ელჩებს და, ალბათ, სხვა უცხოელ დამკვირვებლებსაც, კიდევ უფრო მეტად უჭირდათ სიმართლის დადგენა, როდესაც თეიმურაზის მიერ უარყოფის შემდეგ ცნობილი ხდებოდა მისი და ალექსანდრე მეფის დადიანთან მოლაპარაკების შესახებ.

აგვისტოს ბოლოდან 2 სექტემბრამდე თეიმურაზ მეფე ოდიშში იყო ლევან დადიანთან. მაგრამ მან ალექსანდრეს და დადიანის შერიგება ვერ შეძლო ამ უკანასკნელის მიერ თეიმურაზისა და იმერეთის მეფისათვის წაყენებული მძიმე პირობების გამო[4].

სავარაუდოა, ლევან II დადიანმა იცოდა თეიმურაზ მეფის განზრახვა მოსკოვის ხელმწიფესთან გამგზავრების შესახებ და იგი როგორც თავისი, ისე როსტომ მეფისა და შაჰ აბას II-ის ინტერესების მიხედვით, და, ალბათ, მათთან შეთანხმებითაც, ცდილობდა თეიმურაზის განზრახვის განხორციელება შეეფერხებინა. სხვაგვარად ვერ ავხსნი დადიანის მიერ თეიმურაზ მეფესთან თა-

---

[1] იქვე, გვ. 75-76.
[2] იქვე, გვ. 79-81.
[3] იქვე, გვ. 75.
[4] იქვე, გვ. 78-79.

ვისი კაცების მიგზვნას, იმ მოტივით, ვითომდაც მას ალექსანდრე მეფესთან შესარიგებლად კახეთის მეფის შუამდგომლობა ეწადა.

თეიმურაზ მეფეს ოდიშის მთავრის არ სჯეროდა. მაგრამ ლევან დადიანმა მეფეს ისეთი ავტორიტეტული ადამიანები მიუგზავნა, რომ იგი იძულებული გახდა მათ ნებას დაჰყოლოდა და ზუგდიდში გაეშურა მთავართან მოსალაპარაკებლად. როგორც მოსალოდნელი იყო შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. დადიანმა მშვიდობის სანაცვლოდ ისეთი მოთხოვნა წამოაყენა, რომელსაც არც იმერეთის მეფე და არც თეიმურაზი დათანხმდებოდა.

რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების შერიგება ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებას წაადგებოდა. დასავლეთ საქართველოს ძალების ერთი საერთო, ქართული ინტერესებისაკენ წარმართვა, თეიმურაზ მეფეს როსტომ მეფის და, შესაბამისად, ყიზილბაშების წინააღმდეგ ომის წარმატებით წარმოების შესაძლებლობას მისცემდა. თუ მოვლენები ასე განვითარდებოდა, თეიმურაზს რუსთ ხელმწიფესთან შესახვეწი აღარ ექნებოდა. ქართლისა და კახეთის განთავისუფლება ქართველთა ხელით მოხდებოდა.

დადიანის და თეიმურაზის მოლაპარაკების შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა ილია სტოიანოვმა.

1657 წელს მოსკოვში დაბრუნებულმა ჟიდოვინოვისა და პოროშინის თარჯიმანმა ილია სტოიანოვმა 4 სექტემბერს საელჩო პრიკაზში, დადიანის თეიმურაზთან ურთიერთობაზე შემდეგი ჩვენება მისცა: სტოიანოვის „თეიმურაზ მეფესთან ყოფნის დროს მრავალჯერ მოვიდნენ ლევან დადიანის მოციქულები, რომლებიც ითხოვდნენ, რომ თეიმურაზმა შეარიგოს ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე და ისიც შეიყვანოს მოსკოვის ხელმწიფის მფარველობაში, ისე როგორც თეიმურაზი იმყოფება დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომად. როცა თეიმურაზ მეფე დიდ ხელმწიფესთან წავა, დადიანს ალექსანდრე მეფესთან ვერავინ შეარიგებს.

თეიმურაზ მეფემ სადადიანოს მეფე ლეონტის არ დაუჯერა და უარი უთხრა. თეიმურაზ მეფის დასარწმუნებლად სადადიანოს მეფე ლეონტიმ მასთან გამოგზავნა კათალიკოსი (მათ კათალიკოსი

ჰყავთ პატრიარქის მაგიერ) და მიტროპოლიტი მიკოლაი[1], რომ იმ ლეონტი მეფეს ალექსანდრე მეფესთან მშვიდობა უნდა და მას დაიცავს სამუდამოდ. კათალიკოსი და მიტროპოლიტი თეიმურაზ მეფის დარწმუნებას ცდილობდნენ. თეიმურაზ მეფემ დაუჯერა რა კათალიკოსსა და მიტროპოლიტს, მათთან ერთად წავიდა სადადიანოს ლეონტი მეფესთან, ხოლო ის ილია[2] თან წაიყვანა სათარჯიმნოდ. მივიდნენ თუ არა ქალაქ ზუჩიტში[3], სადაც ცხოვრობს სადადიანოს ლეონტი მეფე, სადადიანოს მეფე პირადათ, თავის ბოიარებთან ერთად შეხვდა თეიმურაზ მეფესა და კათალიკოსს. თეიმურაზ მეფე სადადიანოს მეფესთან ერთად დაესწრო წირვას იმ ქალაქში. წირვის შემდეგ სადადინოს მეფემ თეიმურაზ მეფეს უთხრა: თუ მის სიძეს ალექსანდრე მეფეს მასთან შერიგება უნდა, მაშინ სადადიანოს მეფეს უნდა დაუთმოს თავისი სატახტო ქალაქი ქუთაისი. მას ასეთ პირობით უნდა მასთან მშვიდობა და თავის შვილსაც დაუბრუნებს, ხელმწიფის მფარველობაშიც შევა. თეიმურაზ მეფემ დაინახა რა მისი მერყეობა თავის ქვეყანაში დაბრუნდა“[4].

თეიმურაზ მეფემ, რომელმაც წინასწარ იცოდა დადიანთან მოლაპარაკების უპერსპექტივობა, რუსი დიპლომატი, ალბათ, იმისათვის წაიყვანა ზუგდიდში, რომ მას საკუთარი თვალით ენახა რას წარმოადგენდა ლევანი დადიანი, როგორც პოლიტიკოსი. თეიმურაზს რუსების დარწმუნება უნდოდა იმაშიც, რომ რასაც იგი მოსკოვის მთავრობას დადიანზე უარყოფითს სწერდა, ყოველივე სიმართლეს შეეფერებოდა. სხვა რა მიზნით უნდა წაეყვანა თეიმურაზ მეფეს ილია სტოიანოვი სამეგრელოში? იქ რაში გამოადგებოდა რუსი თარჯიმანი?

რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ინტერესი რომ ჰქონდა ოდიშის სამთავროს მიმართ, გამომჟღავნდა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევისათვის მოსკოვში მიცემულ დავალებაში: მათ უნდა დაედგინათ „სადადიანოს მთავარი თავის სამთავროშია ამჟამად თუ არა, (იმერეთის მეფე ალექსანდრესთან მე-

---

[1] ნიკიფორე ირბახი.

[2] ილია სტოიანოვი – რუსი ელჩების თარჯიმანი.

[3] ქ. ზუგდიდი.

[4] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 452-453.

გობრულ განწყობილებაშია თუ არა, თუ არა, ვის ექვემდებარება – თურქს თუ შაჰს, თუ დამოუკიდებელია და ხარკს არავის უხდის“. დასახელებულ ელჩებს, ყოველივეზე ზუსტი ინფორმაცია უნდა შეეგროვებინათ და მუხლობრივ აღწერილობაში ჩაეწერათ[1]. მათ დავალება, შეძლებისდაგვარად, შეასრულეს და მათ მიერ მოპოვებული ცნობები ოდიშის სამთავროს საშინაო და საგარეო მგომარეობასა და მის მთავარზე, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

პირველ რიგში ელჩები იმას აღნიშნავენ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ლევან დადიანზე მათმა ჩასვლამ იმერეთში. 1651 წლის 19 ივლისს რუს ელჩებმა თეიმურაზის აზნაური „რამაზანისაგან“ გაიგეს, რომ დადიანი ქუთაისიდან ერთი დღის სავალზე მივიდა და დაბანაკდა კეთილი განზრახვით. ხელმწიფის ელჩების ჩამოსვლამ ის იმდენად შეაშინა, რომ თეიმურაზთან და ალექსანდრესთან შერიგება გადაწყვიტა[2]. ეს ცნობა ნიკიფორე ტოლოჩანოვს ეკუთვნის. ასევე საინტერესოა იმავე რიცხვში ალექსი იევლევის მიერ ჩაწერილი „რამაზანის“ მონათხრობი: ლევან დადიანს განუზრახავს მის ტყვეობაში მყოფი ალექსანდრე მეფის ვაჟი ბაგრატი თავის ქალიშვილზე დაექორწინებინა და „თითქოს ამ საქმის გამო, ლევან მთავარი, ალექსანდრე მეფეს, მოსალაპარაკებლად, პირადად ეახლებაო“[3]. იმავე აზნაურის მეშვეობით ცნობილი გახდა, როგორ შეშინდა ლევან დადიანი, როცა მან გაიგო კაზაკების კონსტანტინოპოლზე თავდასხმა, მათ მიერ მრავალი თურქის ამოწყვეტა და ტყვეების წაყვანა. ხმა გავრცელებულა, რომ ოდიშის მთავარიც ხელმწიფის ქვეშევრდომი გახდება მაშინ „თუკი მისი მეფური უდიდებულესობა ლევან მთავარს დონელ ყაზახებს მიუსევს, ხოლო ალექსანდრე მეფე თავის მხრივ თავის ლაშქარსო“[4].

ის რაც ელჩებმა ლევან დადიანის შესახებ გადმოგვცეს, შეიძლება მთლად სიმართლეს არ შეეფერებოდა და თეიმურაზ მეფის ხალხის მიერ გავრცელებული ხმები იყო. მას უნდოდა ზემოქმედება მოეხდინა ისედაც დიდად შეფიქრიანებულ ელჩებზე,

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 49.
[2] იქვე, გვ. 74.
[3] ალექსი იევლევი, გვ. 143.
[4] იქვე, გვ. 143-144

თითქოს შეიძლებოდა თეიმურაზ მეფეს თავისი შვილიშვილი ერეკლე მოსკოვის ხელმწიფესთან გაგზავნის მაგიერ დადიანისათვის მძევლად მიეცა[1], ამას შედეგად მოჰყვებოდა მშვიდობის დამყარება დასავლეთ საქართველოში, რაც, როგორც ნიკიფორე ტოლოჩანოვი წერდა, რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა[2].

იმავე დროს, საყურადღებოა, კაზაკების ოსმალებზე თავდასხმით გამოწვეული დადიანის შიში. შეიძლებოდა კაზაკების და იმერეთის მეფის ჯარი ერთდროულად შეჭრილიყვნენ ოდიშში. სხვათა შორის, ამგვარი გეგმის განხორციელებას ურჩევდნენ მოსკოვის ხელმწიფეს, თეიმურაზი და ალექსანდრე მოგვიანებით გაგზავნილი თავიანთი სიგელებით.

თუ გავითვალისწინებთ იმ აჟიოტაჟს, რომელიც უფლისწული ერეკლეს მოსკოვში გაგზავნის განზრახვამ ირანში და ქართლის სამეფოში გამოიწვია, არ არის გამორიცხული, ლევან დადიანს, როსტომისა და შაჰ აბას II-ის მოკავშირეს, მართლაც თეიმურაზისაგან ერეკლეს მძევლად მოეთხოვა. როგორც ითქვა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თეიმურაზისა და ალექსანდრეს ხალხი შეგნებულად ავრცელებდნენ ამგვარ ხმებს, რუს ელჩებზე და დადიანზე ზეგავლენის მოსახდენად.

ნიკიფორე ტოლოჩანოვის მუხლობრივის აღწერილობიდან ჩანს, როგორ ცდილობდა თეიმურაზ მეფე რამენაირად ლევან დადიანთან შეთანხმებისათვის მიეღწია და იგი შაჰ აბასისა და როსტომ მეფისაგან ჩამოეშორებინა.

1651 წლის 3 აგვისტოს ქუთაისში რუს ელჩებთან მივიდა ლევან დადიანის მოციქული, თეიმურაზ მეფის ყოფილი აზნაური საბახტარი (იგივე გიორგი ქართველი). იგი, როგორც ითქვა, თბილისში როსტომ მეფესთან საშუამავლოდ მიდიოდა, რათა მას თეიმურაზ მეფისათვის კახეთი დაებრუნებინა. როგორც დადიანის ელჩმა თქვა, მთავარი მალე, ქუთაისიდან ერთი დღის სავალ მანძილზე დაშორებულ ადგილას მივიდოდა და მაჰმადიანების წინააღმდეგ ერთობლივად ომისათვის მეფეებთან მოლაპარაკებას გამართავდა[3].

---

[1] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 75.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] იქვე, გვ. 122.

არ ვიცით გიორგი ქართველმა რა პასუხი ჩამოიტანა როსტომ მეფისაგან. ალბათ, რადაც საიმედო იყო, რადგან აგვისტოს ბოლოს თეიმურაზი ოდიშში თვითონ ჩავიდა. როგორც სექტემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, თეიმურაზმა ალექსანდრე ლევან დადიანთან ვერ შეარიგა, ვინაიდან მთავარს მეფე თეიმურაზის შვილიშვილი მძევლად, ალექსანდრესგან კი, მის ქვეშევრდომთაგან ოცდაათი რჩეული კაცის მამულებიანათ, თავის სამთავროსთან შეერთება მოუთხოვია. „თუ ამ პირობას ამისრულებთ მეფე ალექსამდრეს და შენ, თეიმურაზ მეფეს, სამუდამოდ შეგირიგდებითო“. როდესაც ალექსანდრემ ამგვარი პირობით შერიგებაზე უარი განაცხადა, ამის შემდეგ თეიმურაზსაც უარი უთქვამს თავისი შვილიშვილის მძევლად მიცემაზე. სხვასაც ამბობდნენ, თითქოს ლევანმა თვითონ სთქვა უარი მძევალზე, როცა გაიგო, რომ მეფე ალექსანდრეს ხელმწიფისათვის სამუდამო ყმობა და ერთგულება შეუფიცავსო[1].

თეიმურაზმა რუს ელჩებს პირადად განუმარტა, რომ დადიანმა იგი კარგად მიიღო, მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკება მაინც უშედეგოდ დამთავრდა. ლევან დადიანი კახეთის გასათავისუფლებლად თავისი ჯარით დახმარების სანაცვლოდ შვილიშვილის მძევლად დატოვებას მთხოვდაო. დადიანისაგან ასეთი პირობის დაყენება, რომ რეალობის ფარგლებს სცილდებოდა ამის შესახებ უკვე აღინიშნა.

როგორც ნიკიფორე ტოლოჩანოვი გადმოგვცემს, დადიანთან სამშვიდობო მოლაპარაკებაში წარუმატებლობის მიუხედავად, თეიმურაზ მეფე მაინც იმედს არ ჰკარაგავდა[2]. ამგვარ ცნობებს რუს ელჩებს თეიმურაზის გარემოცვიდან აწვდიდნენ, რაც მათ დეზინფორმაციას ემსახურებოდა. ისინი ელჩებს, რომლებსაც ხელმწიფისაგან დავალებული ჰქონდათ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ უფლისწული ერეკლე მოსკოვში ჩაეყვანათ, მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებდნენ. მათ არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ მაშინ, თეიმურაზს მოსკოვისათვის შეპირებული უფლისწული დადიანისთვის რომ მიეცა.

---

[1] იქვე, გვ. 79.
[2] იქვე, გვ. 82, 84.

1651 წლის 30 სექტემბერს ლევან დადიანთან გაგზავნილი თეიმურაზის კაცები ქუთაისში დაბრუნდნენ, მათთან ერთად მოვიდნენ ლევან დადიანის ელჩები, მათ შორის იმყოფებოდა „მთაწმინდის იღუმენი ნიკიფორე, იმათებურად (ქართულად) ნიკოლოზი“[1]. როგორც ვხედავთ, ნიკიფორე ტოლოჩანოვი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ლევან დადიანის ელჩზე, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე, საქვეყნოდ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწესა და დიპლომატზე. მათ ჩამოიტანეს ლევან დადიანის მიერ უარყოფა ყველა იმ პირობებისა, რომლებსაც თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეები სამშვიდობო მოლაპარაკების დროს აყენებდნენ.

ოქტომბრის დასაწყისში უკვე ცნობილი გახდა, რომ ლევან დადიანი იმერეთზე თავდასასხმელად ემზადებოდა და რუსი ელჩების გამგზავრებას ელოდებოდა[2].

ოდიშის სამთავროს ურთიერთობა რეჩ პოსპოლიტასა და კაზაკებთან

XVII საუკუნის პირველ ნახევარში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სერიოზულ სამხედრო ძალას ოსმალეთისადმი დაქვემდებარებული ყირიმის სახანო წარმოადგენდა, რომელიც რუსეთის სამხრეთ რაიონებზე განუწყვეტელ თავდასხმებს აწყობდა. ოსმალეთისთვის კი ასეთივე ამაოხრებელ ძალას დონისა და დნეპრის კაზაკები წარმოადგენდნენ. თუ ყირიმელი თათრები რუსეთს უქმნიდნენ პრობლემებს, ასეთნაირად მოქმედებდნენ კაზაკები ოსმალეთის მიმართ. იმავე დროს ოსამლეთსა და რუსეთს საერთო მტერი ყავდათ პოლონეთის სახით.

მოცემულ პერიოდში, საერთაშორისო პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, საქართველოს შავი ზღვისპირა სამთავროებს ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მათს ამგვარ მნიშვნელობას ითვალისწინებდა შაჰის კარი. ირანი ტრაპიზონზე გამავალ ევროპასთან დამაკავშირებელ გზას მაშინ მო-

---

[1] იქვე, გვ. 85
[2] იქვე, გვ. 135

წყდა, როდესაც ოსმალეთმა გაანადგურა და დაიაპყრო აყ-ყოიუნ-ლუს სახელმწიფოს სტრატეგიული და ეკონომიკური მოკავშირე ტრაპიზონის იმპერია. თუ ირანი მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს აღ-მოსავლეთ საქართველოში და ურთიერთობას მოაგვარებდა ოდი-შისა და გურიის სამთავროებთან, მაშინ იგი ოსმალეთის გვერდის ავლით, ევროპასთან სავაჭრო კავშირსაც განახორციელებდა იმ გზით, რომელზეც ოდიშის სამთავროზე საუბრისას ითქვა. იმის გარდა, რომ ოდიშისა და გურიის სამთავროებთან კავშირში ირა-ნი იმერეთის სამეფოს ბლოკადას ახდენდა, ისინი შავი ზღვის სა-ნაპიროზე მდებარეობით იმ სტრატეგიულ მნიშვნელობასაც იძენ-დნენ, რომ პერსპექტივაში, ოსმალებთან შერკინების დროს მათი პორტების გამოყენება შეიძლებოდა.

იმდროინდელი პოლიტიკოსები და სტრატეგები ვარაუდობ-დნენ, რომ რეჩ პოსპოლიტასა და რუსეთს მდინარე დნეპრის და დონის არტერიების გამოყენებითა და კაზაკების დახმარებით, გუ-რიასა და ოდიშში შესაფერისი პლაცდარმების მოწყობის შემ-თხვევაში, ოსმალეთზე თავდასხმა გაუადვილდებოდათ. მაგრამ ამ-გვარი სტრატეგიული გეგმის განხორციელება იმ შემთხვევაში შე-იძლებოდა თუ დასახელებული სახელმწიფოები ოსმალეთთან ომისათვის მზად იქნებოდნენ. მანამდე კი, კაზაკების არაორგან-ზებულ თავდასხმებს ოსმალეთის ქალაქებსა და გამაგრებულ ად-გილებზე, მხოლოდ პოლიტიკური გართულებები მოსდევდა. ამი-ტომ რეჩ პოსპოლიტასა და რუსეთს კაზაკების შეკავება და მათი გამოყენება მიზანმიმართულად უნდოდათ, მაგრამ ისინი კონ-ტროლს არ ექვემდებარებოდნენ. მათი მცირე, მობილური საზ-ღვაო რაზმები შიშს ზარს სცემდნენ შავი ზღვის სანაპიროების მოსახლეობას და სავაჭრო გემებს.

ამგვარად, კაზაკობა, XVI-XVII საუკუნის პირველ ნახევარ-ში, შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ოდიშისა და გურიის სამთავროების ოსმალეთთან ურთიერ-თობაზე, მათს ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, სა-ინტერესო მოსაზრებები დაგვიტოვა პიეტრო დელა ვალემ. მისი თქმით, რადგან დასახელებული სამთავროები შავი ზღვის სანაპი-როზე მდებარეობენ, მათ ყოველთვის აქვთ ოსმალეთის ფლოტის თავდასხმის საშიშროება. მათი სამთავროებიდან ექსპორტის მთავა-

რი საგანი აბრეშუმია და დიდ შემოსავალსაც იღებენ. რათა ზარალი არ განიცადონ, ისინი თავიანთ თავს სულთნის მეგობრებად და მასზე დამოკიდებულად აცხადებენ და საჩუქრებითა და მუდმივად პატივისცემის გამოხატვით იპოვებენ მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას. ისინი თავისუფლებას იმდენად უფრთხილდებიან, რომ თურქებს არასოდეს აძლევენ მათს ქვეყნებში შესვლის, არც იქ მბრძანებლობისა და არც სხვა ქვეყანაზე თავდასასხმელად თავიანთ სამთავროებში ჯარის გატარების უფლებას. პოლონელი კაზაკები, თურქების მტრები, მდ. დნეპრის შავ ზღვასთან შესართავთან ყურეში ცხოვრობენ, მათ ყოველ დღე დიდ ზარალს აყენებენ. გურულები და მეგრელები, რომლებიც არავითარ პატივს არ სცემენ თურქებს, თავიანთ ქვეყნებში კაზაკებს კეთილად მხოლოდ იმიტომ იღებენ, რომ ისინიც ქრისტიანები არიან[1].

კაზაკებს რომ ქართველებთან ურთიერთობა კარგა ხნის წინათ დაწყებული ჰქონდათ, ამის მაჩვენებელია XVI ს. 80-იან წლებში მომხდარი ერთი ფაქტი, როდესაც ისინი ჯერ ქართლის მეფე სვიმონ I-ს ოსმალების, შემდეგ კი ალექსანდრე II კახთა მეფეს დაღესტნელების წინააღმდეგ ეხმარებოდნენ[2].

შაჰ აბასი, ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალური სამხედრო კავშირის შეკვრის მიზნით, 1599 წელს აგზავნის დიდ ელჩობას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სპარსელი ჰუსეინ ალი ბეგი და ინგლისელი ენტონი შირლი, ელჩობის პირველი მდივანი იყო სპარსელი ულუგ (ურუჩ) ბეგ ბაიათი (შემდეგში დონ ხუან დე პერსია)[3]. ელჩები უნდა ჩასულიყვნენ რეჩ პოსპოლიტაში, ავ-

---

[1] მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან მერვისადმი, 1627 წ. თარგმანი იტალიურიდან ი. ჭყონიასი. „ივერია, 1879, №3, გვ. 56-57 (შემდეგში პიეტრო დელა ვალე).

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 274-276.

[3] ულუდ ბეგ ბაიათი, სპარსელი დიდებული, შაჰ აბასმა 1599 წელს დანიშნა ელჩობის პირველ მდივნად. ესპანეთში, ვალიადოლიდში მეფის კარზე ყოფნისას, სხვა სპარსელებთან ერთად ულუგ ბეგიც ქრისტიანად მოინათლა და დაირქვა დონ ხუან დე პერსია (მისი ნათლია იყო დედოფალი მარგარიტა ავსტრიელი). ელჩობის სპარსმა მეთაურმა ჰუსეინ ალი ბეგმა ულუგ ბეგს მკვლელი მიუგზავნა, მაგრამ გადარჩა. ულუგ ბეგი

სტრიაში, ინგლისში, ვენეციაში, რომსა და ესპანეთში. მოსკოვში მისული ელჩები მეფე ბორის გოდუნოვმა სამი თვე გააჩერა და მხოლოდ მას შემდეგ მისცა გზის გაგრძელების უფლება, როცა მათ პირობა დადეს, რომ მოლაპარაკება არ ექნებოდათ რეჩ პოსპოლიტის მეფესთან. მათ ეს პირობა შეასრულეს და კრაკოვიდან ისე გაემგზავრნენ ვენაში, რომ ჟიგმუნტ III ვაზას არ ეახლნენ, რამაც მეფის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მეფისათვის ყველაფერი ნათელი შეიქმნა, მაშინ, როდესაც ირანიდან დაბრუნდა ვარშაველი მოქალაქე, სომეხი ვაჭარი, შეფერ მურატოვიჩი, რომელმაც ის მიზეზიც გაარკვია თუ რატომ არ მოინახულეს შაჰ აბასის ელჩებმა რეჩ პოსპოლიტის მეფე და ისიც მოახსენა, როგორ იყო დაინტერესებული ირანის შაჰი რეჩ პოსპოლიტასთან კავშირის დამყარებით და ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით[1]. ამის შემდეგ (1601 წ.) რეჩ პოსპოლიტის მეფე ჟიგმუნტ III ირანში იგივე შეფერ მურატოვიჩი გაგზავნა და შაჰთან წერილი გაატანა. რეჩ პოსპოლიტის მეფე შაჰს მეგობრობას და ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირს სთავაზობდა. რეჩ პოსპოლიტაში დაბრუნებისას შეფერ მურატოვიჩმა კახეთში, ერევანში, ნახჭევან-

---

სამუდამოდ ესპანეთში დარჩა და სამხედრო სამსახურში შევიდა. 1605 წლის 15 მაისს სამეფო კარის ერთ-ერთმა მოხელემ ჩხუბის დროს იგი ხანჯლით მოკლა. დონ ხუანის დღიურების საფუძველზე დაიწერა მისი "რელაციონი", (Relaciones Don Juan de Persia. Dirigidas a la Magestad Catholica de Don Philippe III. Rey de las Españas, y señor nuestro. Divididas en tres libros, donde se tratan las cosas notables de persia, la genealogia de sus Reys, guerras de persianos, Turcas, y Tartaros, y las que vido en el viaje qve hizo àEspaňy su conuersion, y la otros dos Cavalleros Persianos. Aňo 1604. Con privilegio. En Valladolid por Juan de Bestillo: en la calle de Samano. ბიოგრაფიული ცნობები იხ. გიორგაძე ბ., ულუგ ბეგ ბაიათი და მისი რელაციონი საქართველოს შესახებ. კრებულში: ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, I, თბ., 1975, გვ. 118-121). რელაციონში ძვირფასი ცნობებია საქართველოს შესახებ (მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 172, 188, 191, 197 (შენ. 1), 199-202, 211, 229, 242, 335,344, 345, 348-350, 362, 363, 369, 371, 374, 377, 378, 394, 401, 402, 407, 409-411, 432, 433.

[1] ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1983, გვ. 35-36.

ში, ჯულფაში, თავრიზში, ისფაჰანსა და ქაშანში გაიარა და 1601 წლის 31 მარტს ტრაპიზონში ჩავიდა[1].

რომში შაჰ აბასის ელჩობა კარგად მიიღეს. პაპმა კლიმენტი VIII-მ შაჰს საპასუხო ელჩობა და წერილი გაუგზავნა, რომელშიც ოსმალეთის დასუსტებაზე მიუთითებდა და მისი სამხედრო წარუმატებლობის მაგალითად უნგრეთში მარცხს ასახელებდა. პაპი ევროპის სახელმწიფოების გაერთიანების აუცილებლობაზე აღნიშნავდა და შაჰს მოუწოდებდა გაეგრძელებინა ბრძოლა ოსმალეთის საბოლოო განადგურებამდე[2].

ზემოხსენებულმა ჯოვანი ტადეომ, რომელიც 1607 წელს შაჰის დიპლომატიური დავალებით რომში მიემგზავრებოდა, საქართველოდან გაიარა აღმოსავლეთი ამიერკავკასია, დარუბანდი, ასტრახანი და მოსკოვში ჩავიდა. ტადეოს შაჰმა რეჩ პოსპოლიტისა და მოსკოვის მეფეებთან მოლაპარაკება დაავალა, „კაზაკებისა და მოსკოველების“ მიერ თურქეთის წინააღმდეგ ორი ციხის აღდგენის შესახებ. იმავე დროს შაჰი ორივე მეფეს ირანთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას სთავაზობდა[3].

ცნობილია, გურიის მთავარმა მამია II-მ (1600-1625), ოდიშის მთავარ მანუჩარ დადიანთან (1590-1611) შეთანხმებით, ოსმალებს აჭარა წაართვა. ამის შემდეგ, როგორც პიეტრო დელა ვალე გადმოგვცემს, მათ „კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს. აგრეთვე ოქროს პატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები. ისინიც (კაზაკები) არა ერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობა დახვედრიათ აქ. კაზაკები ამ მფლობელების სავაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდიოდნენ.

ამ პრინცმა (გურიელმა თუ დადიანმა) მისწერა კაზაკებს, თუ

---

[1] Gulbenkian R., L'Ambassade en Perse de Luis pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605, Lisbonne, 1972, p. 103.

[2] ზედგინიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[3] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 21.

თვით კაზაკებმა მოიფიქრეს ამის თქმა მეძნელება, მაგრამ ის ნამდვილია, რომ კაზაკებმა სპარსელებთან შეთანხმება განიზრახეს. მათ კი ირანში მისვლა შეეძლოთ მხოლოდ ამ პრინცების სამფლობელოს მეშვეობით. ეს იცოდნენ კაზაკებმა და მათ ზღვით ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნეს. კაზაკების განზრახვა იყო დახმარება შეეთავაზებინათ ირანის მეფისათვის იმ ომში, რომელსაც ეს მეფე თურქეთის წინააღმდეგ გეგმავდა, იმ ვარაუდით, რომ ისინი მიიღებდნენ ნადავლს და უფლება ექნებოდათ გაეძარცვათ ყველა ის ქალაქი, რომელსაც ისინი აიღებდნენ"[1].

თუ როგორ სერიოზულად აღიქვამდნენ კაზაკების ქართველებთან მჭიდრო კავშირს ირანის შაჰის კარზე, ამის საინტერესო მაგალითს ვხვდებით ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში: იმერეთიდან გადმოსული ქართლის მეფე ლუარსაბ II შაჰ აბასთან გამოცხადდა. შაჰს იგი დიდ პატივში ჰყავდა, რაც გიორგი სააკაძეს არ მოსწონდა. „კიდევ მოვრავს ყეენისათვის მოეხსენებინა, – გადმოგვცემს ფარსადან გორგიჯანიძე, – რადგან კახთ ბატონი თეიმურაზი ჩამოიყვანესო, ქართველნიც ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლვარსაბ ზღვით წაიყვანონო"[2]. ამის შემდეგ ლუარსაბ მეფე გულაბის ციხეში გამოკეტეს. თავი გავანებოთ იმას რასაც ფარსადანი გიორგი სააკაძეს მიმართ ამბობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველებსა და კაზაკებს (ამჯერად, რუსებში მხოლოდ კაზაკები შეიძლება ვიგულისხმოთ) შორის ურთიერთობა იმდენად სერიოზული იყო, რომ შაჰს შეიძლებოდა სააკაძის ნათქვამი სერიოზულად დაეჯერებინა. კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ მაშინ ირანში და, რა თქმა უნდა, საქართველოში კაზაკებს ქართველების მოკავშირეებად იმდენად თვლიდნენ, რომ მათ ლუარსაბის დასახმარებლად ამგვარი გაბედული მოქმედების ჩადენა შეეძლოთ. სულ სხვაა რამდენად შეიძლებოდა ამის პრაქტიკულად განხორციელება. ასტრაბადი მდებარეობდა კასპიის ზღვის უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე ირანისა და ტაჯიკისტანის

---

[1] ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1965, გვ. 57-58.

[2] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 230.

საზღვარზე. როგორც ჩანს, XVII საუკუნეში კაზაკები მდ. ვოლგით კასპიის ზღვაში შედიოდნენ და მის სანაპიროებზე დათარეშობდნენ. კაზაკების ამგვარი მოქმედების გამო ირანის ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1606 წელს, შაჰთან გაგზავნილ ი. პ. რომოდონოვსკის საელჩო პრიკაზში დაავალეს შაჰის კარისათვის აეხსნა, რომ კაზაკების მიერ ვოლგაზე ძარცვა-რბევის გამო მეფე ვასილი შუისკიც შეწუხებულია. მან მათ დასასჯელად რაზმები გაგზავნა, მეფეს ამ ადგილებიდან მათი გაძევება უნდა, რათა რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობა შეუფერხებლად ვითარდებოდეს[1].

რუსეთის მთავრობა უარყოფდა, მაგრამ კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნებში ცნობილი იყო, რომ კაზაკები მისი მითითებით მოქმედებდნენ. მოსკოვის ხელმწიფის მითითებით დონელი კაზაკების კასპიის ზღვაში გადასვლისა და ყიზილბაშთა მიწებისა და გემების დარბევის შესახებ, პირდაპირ განაცხადეს სტამბოლში რუსეთის ელჩებმა ათანასე პრონჩიშჩევმა და დიაკმა ტიხონ ბორისოვმა[2]. კაზაკები კასპიის ზღვაში შედიოდნენ და ძარცვავდნენ ვაჭრებსა და მსახურეულ ადამიანებს. ამის შესახებ აცნობებდნენ ასტრახანის ვოევოდები ხელმწიფეს 1621 წელს. 1641 წელს შაჰ სეფის ელჩი მოსკოვის ხელმწიფეს სთხოვდა, რომ გაქცეული, უსახელო ცუდი ადამიანები თავს ესხმოდნენ გილიანისა და მაზანდერანის მიწებს, იკლებდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ და ხოცავდნენ მოსახლეობას. ისინი ასევე ეპყრობოდნენ ვაჭრებს კასპიის ზღვაში[3].

1650 წელს მოსკოვში მივიდა ირანის ელჩი მაჰომედ ყული ბეგი და ხელმწიფეს მიართვა შაჰის მიერ გაგზავნილი საჩუქარი – 4000 ბათმანი გვარჯილა. როგორც ირკვევა, ძღვენი გამიზნული იყო კაზაკების მიერ შაჰის ვაჭრისათვის წართმეული 5 ათასი რუბლის ღირებულების საქონლის დასაბრუნებლად. შაჰის ელჩი პირ-

---

[1] Бушев П.П., Ук. труд., с. 411-412.

[2] ნაკაშიძე ნ., საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში. კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 10-11.

[3] Соловьев С. М., Сочинения, кн. V. История России с древнейших времен, тома 9-10, М., 1990, с. 216.

დაპირ ვერ ადებს ხელს რუსეთის ხელისუფლებას მეკობრე კაზაკების მფარველობაში და დიპლომატიურად ითხოვს, რომ ნაპირზე გარიყული კაზაკები და საქონელი რუს ვოევოდებს ხელში ჩაუვარდათ და ის საქონელი დაგვიბრუნეთ და დამნაშავეები დასაჯეთო[1]

გურიისა და ოდიშის მთავრების კაზაკებთან კარგი ურთიერთობით და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მათთვის კარგი პირობების შექმნის გამო უნდა ყოფილიყო, რომ XVII ს. 10-ანი წლების დასაწყისში ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროს ბლოკადა მოახდინა და უცხოური საქონლის, კერძოდ, მარილისა და რკინის შეტანა აკრძალა. ამ ნაცადმა მეთოდმა ოსმალეთისათვის სასურველი შედეგი გამოიღო და 1614 წელს გურიისა და ოდიშის მთავრებმა კონსტანტინოპოლში თავიანთი ელჩები გაგზავნეს მოლაპარაკებისა და ზავის დასადებად, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ითქმევა.

პიეტრო დელა ვალეს გვიან გაუგია: „ეს ორნი ხალხნი (გურულები და მეგრელები–ე.მ.) ერთმანეთს ემოყვრებიან; თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მიწერ-მოწერა. ხშირად ერთი ქვეყნიდგან მეორეში დადიან სავაჭრო ხომალდები. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისათვის, რადგანაც ყაზახები დღეს შავის ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი; პოლშის ხელმწიფეს შეუძლიან კიდევ ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დიდად დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები. ქართველებს თავის მხრით შეუძლიანთ მათის ნავსადგურებით და უსაშიშო თავშესაფარ ადგილებით, რომელნიც აქვსთ ზღვის ნაპირებზე, დიდად დაეხმარონ ყაზახებს მათ საქმეებში. ამით ქართველები ძლიერ გამოსადეგნი იქნებიან, თუ ჩვენ ოდესმე დიდი რამ საქმე დავიწყეთ, ზღვით ან ხმელეთით, ოსმალეთისა და განსაკუთრებით კონსტანტინო-პოლის წინააღმდეგ...“[2].

კაზაკების საკითხი რუსეთ-ირანის ურთიერთობაში თანდათანობით სერიოზულ პრობლემად გადაიქცა. შაჰის მორჩილმა

---

[1] Соловьев С. М., История России с древнейших времен, т. XII, М., 1880, с. 261.

[2] პიეტრო დელა ვალე, გვ. 57.

დაღესტნელმა მფლობელებმა კაზაკების თავდასხმების სამაგიეროდ რუსეთის მიმართ მტრული აქციები წამოიწყეს, რასაც სპარსელი ვაჭრების რუსეთში შვიწროებით ამართლებდნენ. რუსეთ-ირანს შორის ხანგრძლივი კონფლიქტის მოგვარება მოხერხდა მხოლოდ 1662 წელს[1]. კაზაკებისა და პოლონელების შეირაღებული ძალების ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყენებას ცდილობდა შაჰ აბასიც. მან წერილი გაუგზავნა რეჩ პოსპოლიტის მეფეს, რომელშიც იგი შემდეგ წინადადებას სთავაზობდა: ირანი თავისი ხარჯით შავი ზღვის სანაპიროზე, გურიის სამთავროს რომელიმე ნავსადგურთან, რომელიც ტრაპიზონის მახლობლად მდებარეობს, ერთ ციხე-სიმაგრეს ააგებდა. შაჰი იქ ჩააყენებდა ყიზილბაშთა გარნიზონს, რომელიც რეჩ პოსპოლიტის მეფეს დაემორჩილებოდა. თავისი ფუნქციის ამოწურვის შემდეგ, ციხე-სიმაგრე კაზაკებს გადაცემოდათ. შაჰ აბასი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ხარჯზე კიდევ უფრო შორსაც მიდიოდა: იმერეთის სამეფო, გურიისა და ოდიშის სამთავროები პოლიტიკურად რეჩ პოსპოლიტის სამეფოს იურისდიქციაში შევიდოდა, ხოლო მისი ქრისტიანი მოსახლეობა კი, კათოლიკურ ეკლესიას დაემორჩილებოდა[2]. როგორც ჩანს, შაჰ აბასი რომის პაპს ენტონი შირლის ხელით გაგზავნილი წერილში პირდებოდა ანტიოსმალური გეგმის მესამე მუხლით გათვალისწინებულის შესრულებას (?), რომლის მიხედვითაც ირანსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში მცხოვრებ არაკათოლიკე ქრისტიანებს, მათ შორის ქართველებსაც, პაპის ტახტს დაუმორჩილებდა. მაგრამ ეს ყველაფერი (გურიაში ციხე-სიმაგრის აგება, ქართველი მართლმადიდებლების რომისათვის დამორჩილება), რა თქმა უნდა მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, როდესაც შაჰ აბასი საქართველოს მთლიან დაპყრობას მოახდენდა. ამდენად, ვისაც უნდა, რომ შაჰ აბასმა დანაპირები შეასრულოს, ხელი უნდა შეუწყონ მის გაბატონებას საქართველოში.

სავარაუდოა, შაჰის წერილმა გარკვეული ეფექტი მოახდინა რეჩ პოსპოლიტის კარზე და ამას უნდა მიეწეროს მის მორჩილებაში მყოფი კაზაკების ელჩის ჩასვლა ისფაჰანში. ამ ელჩობასთან

---

[1] Накашидзе Н. Т., Ук. труд., с. 170-172.

[2] ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991, გვ. 235.

დაკავშირებული უნდა იყოს 1616-1617 წლებში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე დნეპრის კაზაკთა 2 ათასიანი რაზმის მოსვლა. მათ ნაპირზე გადმოსხეს 40 კაცი, რომელსაც დაევალა ადგილმდებარეობის გაცნობა და შესაძლებლობის პირობებში ირანში შაჰთან წასვლა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დახმარების შეთავაზება[1]. სავარაუდოა, რომ საქართველოში დატოვებული კაზაკებიდან, რამდენიმე ისპაანში ჩავიდა. ამაზე მიგვანიშნებს ირანის დედაქალაქში შაჰ აბასისა და კაზაკების ელჩის შეხვედრა 1618 წელს. ამ შეხვედრისას გამოჩნდა შაჰ აბასი რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაზაკებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან პირდაპირ განუცხადა თავის კარისკაცებს: „ესენი არიან, შავ ზღვაზე რომ ბატონობენ, მრავალი ქალაქი რომ დაარბიეს და აურაცხელი ზარალი რომ მიაყენეს ოსმალეთს. მათ ძალუძთ გაგვიწიონ დიდი სამსახური, მე მსურს მათი სამსახური“[2].

კაზაკები რომ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ოსმალეთის ხელისუფლება მათი თავდასხმების გამო ზოგჯერ პანიკაშიც კი იყო, ამაზე მოგვითხრობს ცნობილი ფრანგი მოგზაური და პოლიტიკური მოღვაწე ლუი დეგე დე კურმენენი თავის „მოგზაურობა ლევანტში“. იმასაც ვიგებთ როგორი დიდი გავლენით სარგებლობდნენ ფრანგები და, კერძოდ, საფრანგეთის ელჩი ოსმალეთის სატახტოში. კურმენენი თვითონ იყო მოწმე 1621 წელს, როდესაც კაზაკების თავდასხმის შიში ჰქონდათ, თურქები ფრანგ ვაჭრებს ავალდებულებდნენ, რომ მათთან ერთად დაეცვათ დედაქალაქი. თურქმა დიდებულებმა კი ერთხელ ფრანგ ელჩს სთხოვეს, რომ მათთვის თავშესაფარი მიეცა თუ კაზაკები კონსტანტინოპოლს აიღებდნენ[3].

იმავე საუკუნის 20-იან წლებში პიეტრო დელა ვალე საქართველოში მომავალ დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ურჩევდა მისიონერებს როგორ უნდა მოეწესრიგებინათ საქართველოსა და რომს შორის

---

[1] ცინცაძე ი., უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 23-24.

[2] ნატროშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 232.

[3] Жордания Г., Очерки из истории франко-русских отношений, ч. II, Тб., 1959, с. 65.

მუდმივი, შეუფერხებელი და უხიფათო კავშირი წერილებისა და ადამიანების აქეთ-იქით გასაგზავნად. ერთი შეხედვით, წმინდა ტექნიკურ რჩევებში, როგორ შეიძლებოდა საქართველო-რომის კავშირი განხორციელებულიყო პირდაპირი გაგებით, პიეტრო დელა ვალეს სხვა კიდევ სერიზული ჩანაფიქრიც ჰქონდა: იმის მიზეზით, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოგზაურობა მისიონერებისათვის სახიფათო იყო, ამ უკანასკნელთ უნდა დაეყოლიებინათ თეიმურაზ მეფე, რომ მას სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა რეჩ პოსპოლიტასთან, რაც შემდეგში გამოიწვევდა კათოლიკე მეფის საქართველოს საქმეებში ჩაბმას. დელა ვალე წერდა: „აი რატომაა თქვენ წმინდა მამებო, ვალდებული ხართ გამოიყენოთ ყოველგვარი საშუალება, რათა დაიყოლიოთ მეფე (თეიმურაზი), გახსნას გზა და დაამყაროს სავაჭრო ურთიერთობა შავი ზღვის საქართველოს ნავსადგურებიდან რეჩ პოსპოლიტასთან, რომელსაც ასევე ნავსადგურები აქვს შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის, მდ. ბორისფენის (დნეპრის – ი. ტ.) შესართავთან, რომლის ნაპირებზე ცხოვრობენ კაზაკები – რეჩ პოსპოლიტის მეფის მორჩილი ვასალები. შავ ზღვაზე მათ აქვთ მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ხარისხის შეიარაღებული ხომალდები“[1].

იმ დროს ყველა დაინტერესებული პოლიტიკოსისათვის გასაგები იყო, რომ კაზაკებსა და ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია საქართველოს უნდა შეესრულებინა. ზემოთ ითქვა, პიეტრო დელა ვალეს გეგმის მიხედვით, კაზაკებს შეიძლებოდა ოსმალეთზე თავდასხმებისათვის ოდიშისა და გურიის სანაპიროზე არსებული პორტები და სიმაგრეები გამოეყენებინათ.

როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების და კაზაკების ურთიერთობას და, მაშინ, როდესაც მეფე-მთავრები და მათთან თავშეფარებული თეიმურაზ I ოსმალეთთან მშვიდობასა და მოკავშირეობაზე ლაპარაკობდნენ, კაზაკებთან კავშირის დემონსტრირება, მოცემულ ეტაპზე ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკების კონტექსტში არ ჯდებოდა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ცნობილი გახდა იმერეთის სამეფოში კაზაკების ყოფნის

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 125.

შესახებ, სულთნის დაჟინებული მოთხოვნით, იმერეთის მეფე გიორგი იძულებული გახდა 40 კაზაკი ოსმალებისათვის გადაეცა[1].

კაზაკები კვლავ თავს ესხმოდნენ ოსმალების მიერ დაკავებულ სიმაგრეებს შავი ზღვის სანაპიროზე. სავარაუდოა, ისინი მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალით მოდიოდნენ, სხვანაირად ვერ შეძლებდნენ ოსმალების მიერ ძლიერ გამაგრებული ციხესიმაგრის გონიოს აღებას.

ჩაიშალა პიეტრო დელა ვალეს და შაჰ აბასის გეგმები სპარსელებისა და კაზაკების ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ორივე გეგმის მიხედვით ჩანაფიქრი სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ მას მხარს დაუჭერდა საქართველო. მაგრამ ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველობამ უკვე განიცადა შაჰ აბასის მიერ ჩადენილი საშინელებანი, ქართველი პოლიტიკოსები თვითონ ეძებდნენ ანტისპარსულ ძალას და, ბუნებრივია, ისინი შაჰ აბასის ოსმალეთთან დაპირისპირების დროს მას მოკავშირეებად ვერ გამოადგებოდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ ქართველი მეფე-მთავრები მოისურვებდნენ რეჩ პოსპოლიტასთან და კაზაკებთან კავშირის დამყარებას, მაშინ დონ პიეტრო ავიტაბილე თავის თავზე აიღებდა რომის პაპის მიერ ზეგავლენის მოხდენას რეჩ პოსპოლიტის მეფეზე, რომლის კარზე მუდამ იმყოფებოდნენ პაპის ნუნციები. რეჩ პოსპოლიტის მეფის კეთილგანწყობის შემთხვევაში გაიოლდებოდა გადაადგილება შავი ზღვისპირეთისაკენ, რადგან მის სამფლობელოებზე მოგზაურობა ხელსაყრელი იყო, გზა გადიოდა როგორც ხმელეთით, ისე მდინარით.

პიეტრო დელა ვალე იმასაც ითვალისწინებდა, რომ შეიძლებოდა, პოლიტიკური მოსაზრებით, ქართველებისათვის ორი მიზეზით მიუღებელი ყოფილიყო ამგვარი კავშირის ლეგალურად დამყარება: „პირველი, კაზაკები მტრულად არიან გამწყობილი თურქებისადმი და ამიტომ ქართველებს, თურქების პატივისცემის გამო (რომლებიც მათ სჭირდებათ შავ ზღვაში მოგზაურობის დროს), არ უნდათ თავი კაზაკების მეგობრად გამოაცხადონ; მეორე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაზაკები, რომლებიც მეკობრეო-

---

[1] ნატროშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 234.

ბას ეწევიან, ოდესღაც, ალბათ, ზიანს აყენებდნენ ქართველებს, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე... რაც შეეხება მეორეს, ის ადვილად შეიძლება მოგვარდეს რეჩ პოსპოლიტისა და საქართველოს მონარქებს შორის, კეთილმეგობრული ურთიერთობისა და კავშირის დამყარების შედეგად. ეს ურთიერთობა შეიძლებოდა თავისი ავტორიტეტით განემტკიცებინა რომის პაპს, რომლის შემდეგ კაზაკები არათუ რაიმე ზიანს მიაყენებდა მათ, არამედ მათი სახით ქართველებს სასარგებლო მეგობარი ეყოლებოდათ"[1].

პიეტრო დელა ვალე, პერსპექტივაში, საქართველო-რეჩ პოსპოლიტის კავშირის განმტკიცების კვალობაზე, კაზაკებს გამორიცხავდა ამ ურთიერთობიდან. საქართველოსა და რომისათვის საინტერესო საკითხები მათი მონაწილეობის გარეშე მოგვარდებოდა. მოსალოდნელი იყო ოსმალეთისგან მკაცრად უარყოფითი რეაქცია საქართველო-რეჩ პოსპოლიტის კავშირის გამო, მაგრამ ქართველები თავს გაიმართლებდნენ იმით, რომ მათ შორის მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა მყარდებოდა. დაიდებოდა ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც რეჩ პოსპოლიტის სავაჭრო გემებისათვის საქართველოს ნავსადგურები გაიღებოდა, ხოლო კაზაკების სამხედრო ხომალდებისათვის კი დაკეტილი იქნებოდა. ამგვარი ხელშეკრულება სულთნის კარს დაამშვიდებდა. მაგრამ იმავე დროს, გახმაურებული ხელშეკრულების თანადროულად, შეიძლებოდა დადებულიყო საიდუმლო ხელშეკრულებაც, რომლის მიხედვითაც საქართველო-რეჩ პოსპოლიტის მეგობრული კავშირი გავრცელდებოდა ღია ზღვაზე და კაზაკებზეც.

ხელშეკრულების რეალურად გაფორმება-განხორციელებისათვის მისიონერებს საქართველოს მეფესთან უნდა ჰქონებოდათ ურთიერთობა, პაპთან კი დონ პიეტრო ავიტაბილეს[2].

საინტერესოა, რომ კაზაკებსა და რეჩ პოსპოლიტას, როგორც ოსმალეთის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს, ითვალისწინებდნენ ესპანეთის სამეფო კარზეც. ესპანეთის მეფისათვის შედგენილ მოხსენებაში (1627 წ.) ნათქვამია: ოსმალეთი იმდენად დასუსტებულია, რომ მას „ესხმიან კაზაკები, რეჩ პოსპოლიტის

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 125-126.
[2] იქვე, გვ. 126.

მეფის ქვეშევრდომები, რომლებიც შავი ზღვით აღწევენ კონსტანტინოპოლამდე"[1]. სხვა ესპანურ დოკუმენტში აღნიშნულია, ექსპედიციაში როგორი გალერები მიიღებს მონაწილეობას ესპანეთის მხრიდან. იქვე ნათქვამია, რომ „ერთდროულად შეიძლება იმედი გვქონდეს კაზაკებისა და რეჩ პოსპოლიტის მეფის სხვა ქვეშევრდომებისა, რომლებიც დაგვეხმარებიან თავიანთი ნავებით ხალხის გადასაყვანად სრუტეებზე"[2]. რეჩ პოსპოლიტის მეფისა და კაზაკებისაგან დახმარების იმედი გამოთქმულია იმ დროს, როდესაც ესპანეთში ელჩად იმყოფება თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი. მან კარგად იცოდა კაზაკების საქმიანობა შავ ზღვაში და მოხსენებაში, რომელიც შეიძლება დაწერილი იყოს ესპანეთის სამეფო კარზე თარჯიმანის, ბერძენი კონსტანტინე სოფიას მიერ, შეტანილია ქართველი ელჩის ინიციატივით.

ქართველების კაზაკებთან ურთიერთობის ერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა მისიონერმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ. იგი, 1631 წლის ზაფხულში, სამეგრელოში იმყოფებოდა. ერთხელ, მთავარ ლევან II დადიანთან საუბრის დროს, წამოიჭრა დადიანის კაზაკებთან და ოსმალებთან ურთიერთობის საკითხი. მთავარს მისიონერისათვის უკითხავს: როგორ მოეპყროს იმ 400 კაზაკს, რომლებიც თურქების სამხედრო გალერებიდან გაიქცნენ და მის სახელმწიფოში შეაფარეს თავი: აქციოს ისინი ტყვეებად და გაყიდოს, თუ დასაჯოს, რადგან მათ წარსულში არა ერთხელ გაუძარცვავთ მისი სამფლობელოები. გალერების თურქი კაპიტნები მოითხოვდნენ მათს დაბრუნებას.

დონ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა შენიშნავს, რომ მთავარს თურქებისა არ ეშინია, მაგრამ ისინი ჭირდება კომერციული მიზნებით: მათი საშუალებით იღებს მარილს, რკინას და სხვა აუცილებელ საქონელს. ამიტომ დადიანმა თურქებს მხოლოდ 48 კაზაკი დაუბრუნა[3], სხვები კი, სავარაუდოა, თავისთან დაიტოვა.

---

[1] დოკუმენტები, გვ. 437 დოკ. №58.

[2] იქვე, გვ. 433, დოკ. №63

[3] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 148; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 164-165.

დონ ჯოვანი ჯულიანო და ლუკას გადმოცემა ოდიშის სამთავროში თავშეფარებული კაზაკების შესახებ[1], მაფიქრებინებს, რომ ლევან II დადინი კაზაკებს კვლავ იყენებდა ოსმალეთის ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. დადიანს, კაზაკების საკითხზე იტალიელთან საუბრის წამოწყებით, ალბათ, იმის გაგება უნდოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა რომის პაპის წარმომადგენელს, პაპისა, რომელიც თავის ანტიოსმალურ ინტრიგებში კაზაკების გამოყენებასაც ცდილობდა. დადიანმა მისიონერს ამ მაგალითით უჩვენა თავისი ძალა, რომ იგი ანგარიშს უწევდა ოსმალებს მხოლოდ კომერციული ინტრესებიდან გამომდინარე და იმავე დროს მას შეეძლო კაზაკებს მოპყრობოდა თავისი სურვილისა და სამთავროს ინტერესების მიხედვით.

გამოთქმული მოსაზრების საფუძვლიანობას, ის რომ ლევან II დადიანი ოსმალებთან ურთიერთობის გამწვავებას არ ერიდებოდა და ამ მიზნით მას კაზაკების გამოყენებაც შეეძლო, ამტკიცებს 1634 წლის 22 მაისს სტამბოლში მიღებული ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც „დადიანი და გურიელი შეთანხმდნენ და

---

[1] ჯოვანი და ლუკას 1630 წლის 19 მაისს აფხაზეთში, ერთ-ერთ ეკლესიაში უნახავს, რომ „საკურთხეველზე იდგა ცეხინებითა და ტალერებით სავსე ერთი ფიალა. მდვდელს ვკითხე: ეს ფული ვინ შემოწირა-მეთქი. მან მიპასუხა: ეს კაზაკებმა გააკეთესო, ე. ი. იმათ, ვინც მდ. დუნაითა და მდ. დნეპრით ნავებით შავ ზღვაში შემოდიან. ისინი თურქებსა და თათრებს ზიანს აყენებენ. ბრუნდებიან რა უკან, ამ ეკლესიაში სალოცავად მოდიან და ფულებს სწირავენ“. ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., III, გვ. 156-157. XVII ს. პირველ მესამედში ქართულ სამეფო სამთავროები საკმაოდ ინტენსიურად ურთიერთობდნენ რეჩ პოსპოლიტასთან, ამაზე მეტყველებს სახვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვერცხლის მცირე ნომინალები – ორტები და პოლტორაკები. იხ. ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 111-123; ქუთელია თ., ევროპული მონეტების განძი კოდავეთიდან, „ქართველოგია“, №2, თბ., 1008, გვ.55-57; Джавахишвили Н., Малоизвестные страницы истории Грузино-Балтийских отношении (X-XVIII вв.). «Кавказ и глобализация». Журнал социально-политических и эконлмических исследований, т. 4, вып. 3-4, 2010б Швеция, с. 172-174.

ირანისაკენ მიბრუნდნენ. დადიანმა თავისი ქალიშვილი ზაგემის გამგებელს მიათხოვა“[1].

1633 წლის დასასრული ის პერიოდია, როდესაც ლევან დადიანმა თავისი და მარიამი როსტომს მიათხოვა. რაც შეეხება მის მიერ „ზაგემის“ ანუ კახეთის გამგებლისათვის თავისი ქალიშვილის მითხოვებას, რასაც ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა გადმოგვცემენ, საეჭვოა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ნიკიფორე ირბახის მიერ დაწერილი აღაპის მიხედვით, ლევან II დადიანს ჰყავდა ორი ასული – ხუარამზე და დარეჯანი[2], მაგრამ არავითარი ცნობა არა გვაქვს რომელიმე მათგანის ქორწინების შესახებ კახეთის გამგებელ სელიმ-ხანზე, რომელიც 1634 წელს თეიმურაზ I-მა გააძევა და კახეთი დაიკავა. სავარაუდოა, რომ სულთნის კარამდე მიტანილ ცნობაში არასწორად იყო გადმოცემული ლევანის დის, მარიამის როსტომზე გათხოვების ამბავი.

1633 წლის დასაწყისში როსტომ ხანის ყიზილბაშთა ჯარი საქართველოში შემოვიდა, გორში მივიდა და ციხის აღდგენას შეუდგა. მშენებლობა ორმოცი დღე, აგვისტოს თვემდე გაგრძელდა. ციხის აღდგენა ჯერ ისევ მიმდინარეობდა, როცა „ახალი მეფე (როსტომი – ე. მ.) ჯერ ქართლში არ იყო ჩასული, რომ უკვე დადიანის ანუ ოდიშის დაზე დაქორწინებას ცდილობდა; ამ საქმეზე წინ და უკან ელჩებს აგზავნიდა„[3]. 1634 წ. მაისის მეორე ნახევარში (უფლის ამაღლების დღესასწაულის შემდეგ) მარიამ დედოფალი ოდიშისა და გურიის დიდებულების თანხლებით გორში მოვიდა[4].

მარიამისა და როსტომის დაქორწინებას დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს აქტი მნიშვნელოვანი იყო პირველ რიგში ოდიშის სამთავროსათვის, რომელიც როსტომთან დანათესავებით მოკავშირე ხდებოდა ირანის შაჰისა და

---

[1] ალასანია გ., ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978, გვ. 236; შენგელია ნ., მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979, გვ. 190.

[2] Синодик Крестного Монастыря в Иерусалиме, изд. Н. Марр, СПБ, 1914, №49.

[3] დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 27.

[4] იქვე, გვ. 28.

შესაბამისად ოსმალეთის სულთნის მოწინააღმდეგე. ახლად ჩამოყალიბებულ კავშირს შეიძლებოდა საბედისწერო შედეგი ჰქონოდა თეიმურაზ მეფისა და იმერეთის მეფე გიორგისათვის.

ის, რაც სულთნის კარისათვის 1634 წლის 22 მაისის ცნობაში ბუნდოვანი იყო და კითხვებს ბადებდა გაირკვა მცირე ხნის შემდეგ ახალციხის ფაშის სტამბოლში გაგზავნილი მოხსენებით: „ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნობით, ირანი, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ და 30 000-მდე ურწმუნო საქართველოს მოსახლეობა. დადასტურდა, რომ დადიანისა და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპეზუნს საფრთხე ელოდებაო. ამიტომ, აუცილებელია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარის დაცვა და დადიანისა და გურიის ვილაიეთების დარბევაო“[1].

ამგვარად, სრულიად ნათელი იყო, რომ ქართლის მეფე როსტომის ლევან II დადიანის დაზე დაქორწინებით გაფორმდა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც შევიდა ირანი, ქართლის სამეფო, ოდიშისა და გურიის სამთავროები. შაჰ სეფიმ ჯეროვნად შეაფასა აღნიშნულ ქორწინება და როსტომისა და დადიანის დანათესავება. ოსმალეთთან ომის პირობებში, მისი გავლენის ქვეშ არსებულ, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ოდიშისა და გურიის სამთავროებს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო მეტიც, აქედან დაკავშირება შეიძლებოდა ოსმალეთის მძლავრ მოწინააღმდეგე კაზაკებთან და რეჩ პოსპოლიტის სამეფოსთან, ყიზილბაშებისა და ქართველების მათთან გაერთიანებული ძალით სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა შავი ზღვისპირეთში არსებულ ოსმალეთის ქალაქებსა და სტრატეგიულ ადგილებს. იმავე საქორწინო გარიგების შედეგად შაჰსა და როსტომს მუდმივად მუქარის ქვეშ ეყოლებოდათ იმერეთში გადახვეწილი და სულთნის მოიმედედ მყოფი თეიმურაზ I და მისი მოკავშირე იმერეთის მეფე. ამ გარემოებასაც შაჰი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც როსტომმა ლევან დადიანთან დანათესავება გადაწყვიტა, მისი ამ გადაწყვეტილების დიდი პოლიტიკური

---

[1] ალასანია გ., დასახ. ნაშრ., გვ. 236; შენგელია ნ., დასახ, ნაშრ., გვ. 190-191.

მნიშვნელობა ფარსადან გორგიჯანიძემ მხოლოდ ერთ წინადადებაში მოათავსა: „(როსტომ –ე.მ.) მეფემ ყაენს ჩაფარი გაუგზავნა და დადიანის მოყვრობა ჴემწიფეს გააშინჯვინა. მისგან ბრძანება და საქორწილო მოუვიდა, რომე კარგი გიქნიაო“[1]

შაჰ სეფიმ ლევან დადიანის მოკავშირეობა დიდად დააფასა. იმავე ისტორიკოსის მიხედვით, „ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰსეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის. ის მიართვეს და წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისათვის„. ყაენს არც როსტომი ჩამორჩა გულუხვობაში და ოდიშის დიდებულების გულის მოგების მიზნით, „ამაებს უმრავლეს როსტომ მეფემ მიართვა და დადიანსა და ოდიშართ ბერთა და მღრდელთა, თავადთა და აზნაურთა და კარის მოჴელეთა და გამრიგეთა და მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა, ყველათ თავიანთ წესითა და შეფერებითა მიართვეს„.[2]

კაზაკების შავ ზღვაში მოქმედებისა და მათდამი ქართველების დამოკიდებულების შესახებ საინტერესო, მაგრამ ბუნდოვანი ცნობები დაგვიტოვა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ. მისი გადმოცემით 1647 წლის შემოდგომაზე კაზაკები მოულოდნელად თავს დაესხნენ გონიოს ციხეს და აიღეს[3].

ევლია ჩელების მიხედვით, გონიოს ციხე მდებარეობდა ოსმალეთის სახელმწიფოს და სამეგრელოს საზღვარზე, რომელსაც „ციხისთავი და ხუთასამდე მეციხოვნე ჰყავს. ერთი ასეული მადალი კარის იანიჩრები, რვაასი მეომარი და მათი ჩორბაჯიები დღე და ღამ მორიგეობით იცავენ... ციხე ზღვის ნაპირზე მდებარე ოთხკუთხა, მტკიცე ქვის შენობაა. კაზაკები მრავალჯერ დაესხნენ თავს, ქონება დავლათ თან წაიღეს, მოაოხრეს და დაანგრიეს“[4]. როგორც ჩანს, გონიოს ციხე კარგად გამაგრებული იყო და საკმაოდ მრავლრიცხოვანი დამცველიც ჰყავდა. ასეთნაირად გამაგრებული ციხესიმაგრის აღებას მხოლოდ ბევრად მეტი მომხვდური თუ შეძლებდა.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 241.
[2] იქვე, გვ. 241-242.
[3] ევლია ჩელები, გვ. 323.
[4] იქვე, გვ. 94.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ მთარგმნელისა და გამომცემლის გ. ფუთურიძის მიხედვით, კაზაკებმა გონიოს ციხე აიღეს 1647 წლის შემოდგომაზე[1]. თარიღი დააზუსტა თ. ტივაძემ. მისი აზრით, კაზაკების მიერ გონიოს აღება, ოსამლებისაგან მისი დაბრუნება და ამ ფაქტთან დაკავშირებული სხვა ამბები, რომლებზეც ევლია ჩელები მოგვითხრობს, მოხდა იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში[2].

გონიოს ციხის ოსმალების მიერ დაბრუნებასთან დაკავშირებულ ამბებში გასარკვევია ქართული სამეფო-სამთავროების პოზიცია და ოსმალეთთან და კაზაკებთან ურთიერთობის საკითხი.

არზრუმის ფაშამ სეიდი აჰმედმა, როდესაც გონიოზე კაზაკების თავდასხმის შესახებ შეიტყო, სულთნის ბრძანებას არ დაელოდა და, საკუთარი ინიციატივით, გონიოსკენ გაშურა და გზადაგზა ჯარს ჰკრებდა. სულ მალე „ათასი რჩეული, მსუბუქად წამოსული, შეიარაღებული მეომარი შეგროვდა“. მას გზადაგზა კიდევ უერთდებოდნენ. „იმ ადგილას, სადაც ტრაპიზონის საზღვრებიდან გონიოს საზღვრებში შევედით, სამეგრელოს ჯარებს შევხვდით. სეიდი აჰმედ-ფაშასთან მოვიდნენ და ყველას პატივი მიეგო. მოვიდა სამი ათასამდე ჩაცმულ-დახურული, შეიარაღებული თავითფეხებამდე ცისფერ რკინაში ჩამჯდარი, ხელშუბიანი, ქეჰეილანის ცხენიანი, გველეშაპივით [ვაუკაცი] მეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინებულები. ესენი გარეგნობით სხვადასხვანაირი იყვნენ. ზოგი თმაგაწეწილი იყო, ზოგი თმახუჭუჭი. ორმოც-ორმოცდაათ წლისანებსაც კი წვერი გაპარსული ჰქონდათ და საოცარი გამომეტყველებისანი იყვნენ. ასე წარსდგნენ. კოჯა ყაზი სეიდის აჰმედ-ფაშამ დაუყვავა, ყოველ მათგანს აღთქმა მისცა და მიესიყვარულა“[3].

ოსმალთა ჯარში სხვა ქართველებიც ყოფილან. გონიოსაკენ მიმავალ ოსმალებს „თორთუმის გზაზე“ შეხვედრილი სამეგრელოს და გურჯისტანის ქვეითი ჯარი შეუერთდა; სამეგრელოდან მეგ-

---

[1] იქვე, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ.,1973, გვ. 115.

[2] ტივაძე თ., კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის შეხებ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლიგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1977, გვ. 77.

[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 323.

რელთა ერთი ნაწილი ლაზური „მენექისლა“[1] ნავებითაც მისულან. გონიოს ციხე უკვე აღებული იყო, როდესაც „სამხრობის ჟამს ზღვაში ორმოცი-ორმოცდაათი ლაზური „მენექისლა“ ნავი გამოჩნდა. რომ მოდიოდნენ, შიგ მყოფებმა დაინახეს, რომ ციხე მუჰამედის ხალხითაა სავსე და მის გარეთაც კარვებში ამდენი ოსმალო მეომარია დაბანაკებული; ერთიმეორის მიყოლებით იწყეს ნავების უკან გაბრუნება. ესენი იყვნენ ურჩი აზნაურები, რომლებიც ციხეში [მყოფი] კაზაკების დასახმარებლად მოდიოდნენ... საღამომდე გაგრძელებული დიდი ბრძოლა შეიქნა. ორმოცდაშვიდი ნავი დაიპყრეს... ნავებში მყოფნი ტყედ ჩავარდნენ“. ოსმალების დასახმარებლად მოვიდნენ ახალციხის ფაშა საფარი, იმერეთში მყოფი თეიმურაზ I-ის, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) და ლევან II დადიანის ვაჟები[2] 6 ათასი „გულადი ქართველი მეომრით“. ამის შემდეგ „მოსვლა იწყო სურსათმა გურჯისტანის, სამეგრელოს, ბათუმის, ლაზისტანის სანჯაყებიდან“[3].

გონიოში საქმეების მოგვარების შემდეგ სეიდი აჰმედ-ფაშამ თათბირი მოიწვია და განაცხადა: „ეს სამეგრელო ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია და მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვენთვის მაშველი ძალის გამოგზავნა, კაზაკებს დაუჭირეს მხარი და ფადიშაჰს განუდგნენ... ამდენი ათასი კაზაკი და მეგრელი ტყვე კი [სულთნის] ტახტს მივართვი, მაგრამ ახლა, როდესაც ეს დიდებულთა კრებული ამხედრებული ისლამის ჯარისა მზადაა, როგორ ვიძიოთ შური მეგრელ ურჯულოებზე... როგორც კი საქმის განხილვა დაიწყო, გურჯისტანის განმგებელმა საფარ-ფაშამაც მეგრელებისადმი თავისი სიძულვილის გამოსახატავად თქვა: „ისლამის ლაშქრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი მეგრელებს შევუსიოთ. ჩვენი, ახალციხისა და გურჯისტანის გმირები მეგზურე-

---

[1] მენექისლა – „ლაზებისა და მეგრელების დიდი ნავები“, რომლებსაც თურქებიც იყენებდნენ ზღვის ნაპირებზე და მდინარეებზე ცურვისათვის. იქვე, ნაკვ. II, გვ. 173.

[2] ვ. ფუთურიძის აზრით, დასახელებული მეფეები პირადად ეხმარებოდნენ ოსმალებს. იქვე, ნაკვ. II, გვ. 115.

[3] იქვე, ნაკვ. I, გვ. 326-327.

ბად მივცეთ და საღვთო ომის ნადავლი მათაც გავუზიაროთ“[1]. ამ-გვარად, გადაწყდა „მეგრელების“ აკლება.

როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალებს ოდიშის სამთავრო ჯა-რით ეხმარებოდა. მაშ ოსმალებს ვისზე უნდა ეძიათ შური? ზოგი-ერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ევლია ჩელები მეგრელებში გუ-რულებს გულისხმობს[2]. ვფიქრობ სრულიად სარწმუნოდ გამოიკ-ვლია თ. ტივაძემ, რომ კაზაკებს ეხმარებოდნენ არა მეგრელები, არამედ ჭანეთ-ლაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი[3].

ციხის აღების ფაქტი გვიჩვენებს, როგორ რადიკალურად შეიცვალა ქართველი მეფე-მთავრების დამოკიდებულება კაზაკე-ბისადმი, როგორც ანტიოსმალური ძალისადმი. მაგრამ მაინც მგო-ნია გასარკვევია, ამ დროს რამდენად აქტიურად მონაწილეობდა ირანის მოკავშირე ოდიშის სამთავრო, ოსმალეთის სამხედრო აქ-ციაში. ხომ არ ურევია ოდიშის მთავრის ხელი ჭანებ-ლაზების ანტიოსმალურ გამოსვლაში. რატომ უწოდებს ევლია ჩელები ჭა-ნებსა და ლაზებს მეგრელებს? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუ-ხი, ჯერჯერობით, არ არის.

XVII ს. 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს იმ პოლი-ტიკოსებმა, რომლებიც დაპირისპირებულნი იყვნენ ლევან დადიან-თან, სცადეს კაზაკები გამოეყენებინათ ოდიშის სამთავროს წინა-აღმდეგ. ამის შესახებ ალექსანდრე III რუსეთის ხელმწიფე ალექ-სი მიხეილის ძეს სთხოვდა 1651 წელს[4].

ასეთივე თხოვნას ვნახულობთ ალექსანდრე იმერთა მეფის 1651 წლის 14 სექტემბრის იმ წერილში, რომელიც შედგენილი იყო ქართველი ელჩების მოსკოვში სახელმძღვანელოდ[5]. იგივე თხოვნა გამეორებულია იმავე მეფის მიერ მოსკოვში 1656 წელს გაგზავნილ სიგელში[6].

---

[1] იქვე, გვ. 330.

[2] სურგულაძე ა., საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიიდან (კა-ზაკები გონიოს ციხეში). კრებულში: „Из истории украино-грузинских связей“, III, Тб., 1975, с. 38.

[3] ტივაძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[4] ნიკიფორე ტოლოჩანოვი, გვ. 140-141.

[5] Переписка, с. 66-67.

[6] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 460.

ლევან II დადიანი და ნიკიფორე ირბახი

ლევან II დადიანის საგარეო პოლიტიკის წამმართველი ნიკიფორე ირბახი იყო.

მისიონერების წერილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ნიკიფორემ თეიმურაზ მეფე მანამდე მიატოვა და ოდიშში გადავიდა, ვიდრე როსტომ ხანი დიდი ჯარით ქართლში შემოვიდოდა და თეიმურაზი იმერეთს შეეფარებოდა.

საყურადღებოა, რომ ნიკიფორე არასოდეს არ მისდევს და საერთოდ არ იმყოფება დევნილ თეიმურაზთან. როცა თეიმურაზი შაჰ აბასის მიერ დევნილია, ნიკიფორე იერუსალიმში იმყოფება; როსტომ მეფემ განდევნა თეიმურაზი, ნიკიფორე ლევან II დადიანის სამსახურში ჩადგა.

ლევან II დადიანის და ნიკიფორეს დაახლოება უნდა მომხდარიყო ამ უკანასკნელის ევროპიდან დაბრუნებისთანავე. მას, ვიდრე თეიმურაზს ეახლებოდა, მანამდე სამეგრელოზე გაუვლია. როგორც ითქვა, პატრმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ 1629 წლის 12 ივლისს, დადიანთან ვახშმობისას, სუფრასთან ნახა ნიკოლოზ ქართველი, იგივე ნიკიფორე ირბახი. უეჭველია დადიანი, რომელსაც მაშინ უკვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან, შეეცდებოდა ნიკიფორე თავისკენ გადაებირებინა. ავიტაბილეს მიხედვით, როსტომ ხანის ქართლში შემოსვლამდე რვა დღით ადრე, თეიმურაზმა ნიკიფორე სულთანთან გააგზავნა ყიზილბაშთა წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად[1]. მაგრამ იმის გამო, რომ ნიკიფორემ როსტომის მიერ დიდი ჯარით ქართლის დაკავება და თეიმურაზის იმერეთში გაქცევა გაიგო (შეიძლება, მას ადრევე ჰქონდა განზრახული თეიმურაზისაგან წასვლა), ის მეფეს გადაუდგა და მის მოწინააღმდეგეებს – ლევან II დადიანს და როსტომ ხანს მიემხრო. ზემოთ უკვე მოყვანილი იყო ერთ-ერთი რუსული წყაროს ცნობა, საიდანაც გავიგეთ როგორ ეპყრობოდა თეიმურაზ I სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილ იმ ელჩებს, რომლებიც თავის დროზე და მისთვის სასურველი შედეგით არ დაბრუნდებოდნენ. ალბათ ნიკიფორესაც ასეთი

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 21.

ბედი ელოდა, მით უმეტეს, რომ თეიმურაზს მის მიმართ საკმაოზე მეტად ეჭვიანობის საბაბი ჰქონდა. ნიკიფორემ თავი შეაფარა, თეიმურაზისა და მისი იმერელი მოკავშირეების მოწინააღმდეგე, ოდიშის მთავარს. ძნელია გარკვევა რას ემყარებოდა ი. ანთელავა, როდესაც წერდა, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილს არასოდეს შეუწყვეტია თეიმურაზ I-თან კავშირიო[1]. ასეთი კავშირის ამსახველი არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

როგორც ცნობილია, როსტომმა ირანის მხარდაჭერით, რომელსაც ოსმალეთის პოზიციების დასავლეთ საქართველოში შესუსტება და მისი იმერელი მომხრეების განეიტრალება სურდა, ოდიშის მთავართან დამოყვრება განიზრახა და 1633 წელს მოციქულები გაუგზავნა. ლევან დადიანი კმაყოფილი შეხვდა წინადადებას თავისი და მარიამი როსტომისათვის მიეთხოვებია. მან თავის მხრივაც, გარიგების დასასრულებლად, თავისი მოციქულები ქართლში გაგზავნა. ქართული წყაროები არ გვამცნობენ, მაგრამ მისიონერების მიხედვით, დადიანის წარგზავნილებს შორის იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილიც. დონ პიეტრო ავიტაბილეს თუ დავუჯერებთ, ნიკიფორე, როსტომის მიწვევით, ქართლში გადავიდა. მის 1633 წლის 1 აგვისტოს წერილში ნათქვამია: „ხალხში ხმა დადის, რომ (როსტომს-ე.მ.) მისი (ნიკიფორე-ე. მ.) პატრიარქად დასმა უნდაო“[2]. ნიკიფორემ უარი თქვა ამ წინადადებაზე.

ავიტაბილე სიმართლეს უნდა გადმოგვცემდეს. როსტომს, გამოცდილ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ეცოდინებოდა ვინ იყო ჩოლოყაშვილების ცნობილი გვარის ეს წარმომადგენელი და როგორ შეიძლებოდა ნიკიფორეს გამოყენება თავისი ჯერ კიდევ არამყარი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მართალია, ნიკიფორემ მისი წინადადება არ მიიღო, მაგრამ ქართლის მეფესთან კარგი ურთიერთობა მაინც შეინარჩუნა, ალბათ, იმიტომაც, რომ ასეთი იყო მისი ბატონის ლევანის პოლიტიკა მაშინდელი ქართლის სამეფოს მიმართ.

ნიკიფორე ქართლიდან სამეგრელოში გადავიდა 1633 წ. 24 ოქტომბერს და თან წაიყვანა ორი პატრი – ჯუდიჩე და ლამბერ-

---

[1] ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 108.
[2] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები..., გვ. 21.

ტი[1]. ნიკიფორეს ქართლში ვხედავთ 1634 წელს, მაგრამ არ ჩანს რა მიზნით იმყოფებოდა. სავარაუდოა, ის ლევან დადიანის რაიმე დავალებას ასრულებდა როსტომის კარზე. ოდიშის მთავარი როსტომის საშუალებით უკავშირდებოდა ირანის შაჰს, რომელიც კმაყოფილებით შეხვდა როსტომის დადიანთან დამოყვრების განზრახვას. შაჰ სეფიმ ოდიშის მთავარს ყოველწლიური ჯამაგირიც კი დაუნიშნა. როსტომისა და დადიანის დამოყვრება ხომ იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზის, იმერეთის მეფე გიორგი III-ის და მისი ვაჟის – ალექსანდრეს წინააღმდეგ იყო მიმართული. შაჰს ოსმალეთთან მომავალ ომში, დადიანის სახით, მოკავშირე ეგულებოდა. დადიანსაც აწყობდა ასეთი კავშირი. ის, ქართლის სამეფოსი და ირანის მხარდაჭერით დიდი ხნის განმავლობაში იმერეთს იკლებდა და პირველობდა დასავლეთ საქართველოში.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, ლევან II დადიანის მრჩეველი და თანამზრახველი უნდა ყოფილიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მთავრის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი, მისი დიპლომატიური მანევრების გაცნობა და ანალიზი (ოდიშში კათოლიკური მისიის დაარსება, ორიენტაცია ირანზე, ევროპასა და ირანს შორის საშუამავლო ვაჭრობის პროექტის შედგენა, ოდიშის სამთავროს ეკონომიკური გაძლიერება, მისი საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და სხვ.).

ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა მაშინდელ საქართველოში ყველაზე კარგად უწყოდა რისი მიღწევა შეიძლებოდა დასავლეთ ევ-

---

[1] იქვე, გვ. 29. მ. თამარაშვილს გადმოცემული აქვს ის მარშრუტი, რომლითაც ნიკიფორემ და მისიონერებმა გორიდან ოდიშის სამთავრომდე გაიარეს. ეს მარშრუტიც, გარკვეული გაგებით, წარმოდგენას გვიქმნის იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც არსებობდა საქართველოში XVII ს. 30-იანი წლების შუა ხანებში. ნიკიფორესა და მისიონერებთან ერთად ოდიშში მიდიოდა როსტომ მეფის ელჩი დადიანთან, თბილელიც. მგზავრები ჩვეულებრივი გზით ვერ წავიდნენ, რადგან ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი გზები თეიმურაზს ჰქონდა გადაკეტილი, ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ უფრო საიმედო, სპარსელების მიერ დაპყრობილი ახალციხის გზით წასულიყვნენ (სპარსელები ხომ როსტომის და დადიანის მოკავშირეები იყვნენ) და გურიაზე გავლით ოდიშში ჩასულიყვნენ. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, გვ. 170-171.

როპასთან ურთიერთობაში. მან საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ევროპაში ქართველები ვერ მოიპოვებდნენ სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას, სრულიად გამორიცხული იყო ირანის წინააღმდეგ მოკავშირის შეძენა, მით უმეტეს, რომ ოდიშის მთავარს ამგვარი მოკავშირე საერთოდ არ სჭირდებოდა. გაბედულად შეიძლება ითქვას რომ ნიკიფორე ირბახმა სერიოზული როლი შეასრულა ჯერ დადიანისა და როსტომ მეფის დაახლოებაში, რაც ლევანის დის ქართლის მეფეზე გათხოვებით განმტკიცდა და შემდეგ კი ლევანის ირანის მფარველობაში შესვლაში. ნიკიფორე უნდა ყოფილიყო მთავრის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ლევან დადიანმა ნიკიფორეს წყალობით ისიც იცოდა, რომ ევროპასთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის დამყარება და ამ გზით სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა. თუ პიეტრო დელა ვალეს ვენდობით, XVII ს. 20-იან წლებში, ეკონომიკური განვითარების მხრივ, გასაგები მიზეზების გამო, დასავლეთ საქართველო უკეთეს მდგომარეობაში იყო ვიდრე აღმოსავლეთი. „დანარჩენი ქართველნი მთავრები, ესე იგი იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, ყოველთვის აყვავებულნი იყვნენ და ეხლა კიდევ უფრო აყვავებულან... ორს მათგანს, ოდიშის და გურიის მთავრებს, აქვთ სამთავროები შავი ზღვის პირათ და ამიტომ მათ უფრო მიწვდებიან თურქის ჯარები. მაგრამ სამაგიეროს ეს მდგომარეობა მათთვის ძლიერ სასარგებლოდაც ჰრჩება. იმათ დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინოპოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმისა და სხვა რამეებისა“[1].

პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, ოდიშის სამთავროში რეგულარულად დაიარებოდნენ ევროპელი ვაჭრები. კონსტანტინოპოლიდან სამეგრელოში ყოველ დღე მიდიოდნენ ხომალდები. „საჭიროა (კონსტანტინოპოლში –ე.მ.) ჩასხდნენ საქართველოს ერთერთ მხარეში – სამეგრელოში მიმავალ ხომალდში, სადაც კონსტანტინოპოლიდან ყოველდღე მიდიან ხომალდები. ჩვეულებრივად კონსტანტინოპოლის ნავსადგურში შეიძლება შეხვდე ფრანგებს მომავალს კუნძულ ხიოსიდან, რომლებიც ჩვეულებრივ ჩადი-

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები..., გვ. 56.

ან სამეგრელოში და ბევრი მათგანი ლაპარაკობს იტალიურად. რომელიმე მათგანი, თუ სანდო პიროვნება იქნებოდა, შეიძლებოდა მეგზურად აეყვანათ. თუ ასეთი რამ არ მოხერხდებოდა, მაშინ შეიძლებოდა აეყვანათ რომელიმე ბერძენი ქრისტიანი, რომლებიც ყოველთვის თავს იყრიან კათოლიკური ქვეყნების საელჩოების გარშემო კონსტანტინოპოლში. შეიძლება მეგზურად აიყვანონ რომელიმე ქართველი, რომელნიც ყოველთვის არიან კონსტანტინოპოლში. ისინი ხშირად თავადიშვილები არიან. ასეთ ქართველთან მეგობრობის დამყარება ძალიან კარგი იქნებოდა"[1].

ოდიშის სამთავროში ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის სავალალო მდგომარობაზე საინტერესო ცნობები შემოგვინახა არქანჯელო ლამბერტიმ. ოდიშის სამთავროდან ექსპორტის მთავარ „საქონელს" ადამიანები წარმოადგენდნენ[2].

მოღწეული ცნობებით სრულიად ნათელი ხდება, რომ ლევან დადიანის ევროპასთან ურთიერთობის დამყარების მთავარი მოტივი მის სამთავროში უცხოელი ვაჭრებისა მოზიდვა და ვაჭრობის განვითარება იყო. ამ მიზნის განხორციელებისათვის მას საზღვაო გზის გამოყენება უნდოდა, მხოლოდ სტამბოლის გვერდის ავლით. ამ საქმეში მისი მთავარი მრჩევლები იყვნენ ნიკიფორე ირბახი და კათოლიკე მისიონერები. ჯუზეპე ჯუდიჩე გადმოგვცემს, რომ ლევან დადიანი „ხშირად თავის ამალით მოვიდოდა და ჩვენს (მისიონერების –ე.მ.) ახლოს დასდგამდა თავის კარავს ჩვენი სიყვარულისათვის, რათა უფრო ადვილად ესაუბრნა ჩვენთან და თავისთან მიხმობით არ შევეწუხებინეთ. ხშირად დაწვრილებით ვლაპარაკობთ სხვა და სხვა სასარგებლო საქმისათვის და ყველაფერს გულმოდგინებით ისმენს"[3].

ჯუზეპე ჯუდიჩეს ჩანაწერებიდან მცირე რამეს მაინც ვიგებთ ლევან დადიანის სავაჭრო-ეკონომიკური ინტრესის შესახებ. მისი გადმოცემით, „მთავარ დადიანს ყოველთვის სურვილი ჰქონდა ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრი

---

[1] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 214-215.

[2] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 156-158.

[3] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 189.

საქონელი მოეზიდა... ჩვენს პატრებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა: თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინოპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიყიდვას მთლად მის სამთავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ ირანისასაც. ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს ირანიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში“[1].

ლევან დადიანმა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე კონსტანტინოპოლში გაგზავნა, სადაც ის ვენეციის ელჩს შეხვდა. ეს უკანასკნელი ავიტაბილეს შეპირდა, რომ ოდიშის სამთავროში გაგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზოს, მაგრამ ოსმალეთსა და ვენეციის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გართულების შედეგად წამოწყება ვეღარ განხორციელდა. შედეგი ვერ გამოიღო დადიანის სხვა მცდელობამაც[2].

შაჰ აბას I-ის აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მსჯელობისას, ითქვა რომ შაჰის ღონისძიებების შედეგად გამოცოცხლებულ ირანის ვაჭრობასთან ერთად, გამოცოცხლდა საქართველო-ირანის ვაჭრობაც, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ირანთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც. საქართველოს შიდა და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი საინტერესო მასალები დაგვიტოვეს უცხოელებმა (არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, ჟან შარდენი).

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე. XVII საუკუნის იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 56.

[2] იქვე.

ლევან დადიანისათვის ცნობილი იქნებოდა, რომ XVI საუკუნის ბოლოდან საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი[1] და სხვა საქონელიც. შაჰ აბასი პირადად დაინტერესებული იყო ნედლი აბრეშუმით ვაჭრობის თავის ხელში კონცენტრირებით, რადგან მასზე, დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, დიდი მოთხოვნილება იყო[2]. ლევან დადიანმა პროცესის მიმართულების შეცვლა განიზრახა: აბრეშუმი საქართველოდან ირანში კი არ გასულიყო, პირიქით, ირანიდან საქართველოში, კერძოდ ოდიშის სამთავროს გავლით, გასულიყო ევროპაში. ვფიქრობ ამ გეგმის განხორციელებისათვის დადიანი ირანის მხრიდან, როგორც მოკავშირისაგან დაბრკოლებას არ წააწყდებოდა. ოდიშის მთავრის ვაჭრები აბრეშუმს იაფად შემოიტანდნენ, ევროპელი ვაჭრებიც დიდ მოგებას ნახავდნენ სამეგრელოში შეძენილი აბრეშუმით.

ირანთან ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭების გამო იყო, რომ ლევან დადიანმა თავისი ვაჭრების ირანული ფულით უზრუნველყოფისათვის დააარსა ზარაფხანა, სადაც ირანული ნიშნის ფულს ჭრიდნენ[3]. სატრანზიტო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით მთავარმა 1635-1636 წლებში ახლად დაარსებულ ქალაქ რუხში ჩაასახლა იმერეთიდან გადასული სომხები და ებრაელები. ლევან დადიანმა „იძულებული გახადა საცხოვრებლად გადმოსულიყო სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი: ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია იმავე პირობაზე“[4]. ქრისტოფორო დე კასტელის გადმოცემით კი სომხებისა და ებრაელების ოდიშის სამთავროში გადასახლება მათი სურვილით, ყო-

---

[1] კუცია კ., ქართული აბრეშუმის წარმოების ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მეოთხედი). „ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, გვ. 134-139. როგორც კათოლიკე მისიონერი მელშიორ დუშ ანჟუში წერდა (1614 წ.) აბრეშუმი საქართველოს მთავარი სიმდიდრე იყო. დოკუმენტები, გვ. 376, №43.

[2] საქართველო-სპარსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე იხ., კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბ., 1992.

[3] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 156.

[4] დონ ჯუდიჩე ჯუზეპე მილანელი, გვ. 55.

ველგვარი ძალდატანების გარეშე მოხდა. უფრო მეტიც: „მრავალი სომეხი ჯარისკაცი, აგრეთვე, იუდეველებიც დადიანს ეხმარებოდნენ (გიორგი მეფესთან ბრძოლაში –ე.მ.). იუდეველებიც და სომხებიც დიდი ხნიდან ცდილობდნენ დადიანთან ეცხოვრათ კოლხ ხალხთა შორის. მათ საქმიანობას ჩვეულებისამებრ ვაჭრობა შეადგენდა. იმერეთის მეფემ მართლაც დართო ნება მათი იქ გადასვლისა, თუ კი ეს შესაძლებელი იქნებოდა“[1]. თუ გავითვალისწინებთ ლევან დადიანის ვაჭრობის განვითრებისათვის ზრუნვა-ხელისშეწყობას, მაშინ უფრო მისაღები უნდა იყოს კასტელის ვერსია, რომ სომეხი და ებრალი ვაჭრები თავიანთი სურვილით გადასახლდნენ ოდიშის სამთავროში ახლად დაარსებულ ქალაქ რუხში.

არქანჯელო ლამბერტი, ლევან დადიანის საერთაშორისო ვაჭრობაში თავისი სამთავროს ჩაბმისადმი ინტერესზე აღნიშნავს, რომ „დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძლიერ ეტანებიან ვაჭრობას. მათ აძლევდა ცხენებსა და ფულს და გზავნიდა ირანსა და თურქეთში, რათა იმ ქვეყნებიდან მოეტანათ ოდიშში მრავალი სავაჭრო“[2]

ლამბერტის გადმოცემა მრავალმხრივ საყურადღებოა. გასაგებია, რომ ლევან დადიანი ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას შავი ზღვით აპირებდა, მაგრამ ეს ძალზე ზოგადი ნათქვამია. რა თქმა უნდა, ლევან დადიანი თავისი მოკავშირე ირანის ინტერსებს გაითვალისწინებდა და ქართული და ირანული აბრეშუმის ევროპაში გატანისას ოსმალეთის სანაპირო ქალაქების და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით სარგებლობას გამორიცხავდა, რათა ოსმალეთის ხაზინას დამატებითი შემოსავალი არ მიეღო.

ლევან დადიანს რომ ევროპასთან აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ტრადიციული გზით ვაჭრობის განზრახვა არ ჰქონდა, ამაში გვარწმუნებს პიეტრო დელა ვალეს ორიოდე არაპირდაპირი ცნობა. მას გაუგია, რომ მოკავშირე გურიელი და დადიანი რეჩ პოსპოლიტის მეფესთან მეგობრობდნენ და მიწერ-მოწერაც ჰქონდათ.

---

[1] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, გვ. 51.
[2] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 156.

რეჩ პოსპოლიტის მეფეს ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოსა და გურის სამთავროებთან, ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები ხშირად დადიოდნენ. როგორც პიეტრო დელა ვალე ამბობს, „ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისათვის, რადგანაც ყაზახები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი; პოლშის ხელმწიფეს შუძლია კიდევ ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დიდად დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში...“[1].

დონის კაზაკები ოსმალეთისადმი მტრულად განწყობილი რეჩ პოსპოლიტის მეფის ვასალები იყვნენ. ეს გარემოება კიდევ უფრო მოსახერხებელს ხდიდა ირანი–ქართლის სამეფო–ოდიშის სამთავრო–შავი ზღვა–დნეპრი–რეჩ პოსპოლიტის გზით ცენტრალურ და დასავლეთ ევროპასთან ნაკლები ხიფათით და მოკლე დროში დაკავშირებას. აღნიშნული გზით სარგებლობის იდეა იმდენად გაზიარებული იყო რეჩ პოსპოლიტის მთავრობის მიერ, რომ მან სპეციალურად მიმართა ირანის შაჰს, რომ მის ვაჭრებს საქართველოსა და შავი ზღვის გზებით ევლოთ.

ძნელია იმის თქმა, რამდენად იცნობდა ლევან დადიანი ევროპასთან დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო გზის ამუშავების გეგმას, როდესაც იგი ვენეციელი ვაჭრების ოდიშის სამთავროში ჩამოყვანაზე ოცნებობდა, მაგრამ ***დაუჯერებლად მეჩვენება, რომ აღნიშნული გზის ექსპლოატაციის სურვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე დროს გაჩნდა ირანში, რეჩ პოსპოლიტასა და ოდიშის სამთავროში. უსაფუძვლო არ იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ დასახელებული ქვეყნების მეთაურებს შორის, აღნიშნულ საკითხზე კონტაქტები არსებობდა.*** ევროპაში რომ ამ გზის ირანთან ვაჭრობისათვის გამოყენებაზე უკვე მსჯელობდნენ, კარგად ჩანს რეჩ პოსპოლიტისა და შვეციის მეფეების მიერ გოლშტეინის ჰერცოგისათვის გაგზავნილი სიგელებიდან. დასახელებული მეფეები ჰერცოგს წინადადებას აძლევდნენ საქართველოსა და შავ ზღვაზე გამავალი გზით ემოგზაურათ ირანში. ამავე გზის ამუშავების მიზნით რეჩ პოსპოლიტის მეფემ ირანში გაგ-

---

[1] პიეტრო დელა ვალე, გვ. 57; ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 47.

ზავნა თავისი წარმომადგენელი შენბერგი[1].

არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ამ გზით ერთხელ უკვე იმგზავრა რომიდან საქართველოსკენ მომავალმა ნიკიფორე ირბახმა. ნიკიფორეს მიერ ვარშავიდან გამგზავრების დღესვე (1629 წ. 14 აპრილი) პოლონელი არქიეპისკოპოსი რომში აცნობებდა, რომ ნიკიფორეს ვარშავაში საქმიანი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ყველა მთავარ მოხელესთან, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი სურდა[2].

ამით იმის თქმა მინდა, რომ ნიკიფორე ირბახი ლევან დადიანის სახლთუხუცესი და საგარეო პოლიტიკის მთავარი ექსპერტი იყო და საკმაოდ მყარი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე რასაც მთავარს ურჩევდა. არავითარი საჭიროება არ იყო იმისა, რომ ლევან დადიანს ნიკიფორე ირბახი ხელახლა გაეგზავნა რეჩ პოსპოლიტაზე გამავალი გზის დასაზვერად, როგორც მ. სვანიძე ვარაუდობს[3].

ლევან დადიანი მოქმედების კაცი იყო. ჩანაფიქრის განსახორციელებლად 1638 წლის ახლო ხანებში ოდიშის მისიის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე კონსტანტინოპოლში გაგზავნა, რათა ვენეციის რესპუბლიკის ელჩის საშუალებით ვენეციელ ვაჭრებს დაკავშირებოდა. ავიტაბილე შეხვდა ელჩს და დახმარების დაპირება მიიღო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო შეთანხმება ვეღარ შესრულდა[4].

ამის შემდეგ დადიანმა, პრაგმატული მოსაზრებით, დახმარებისათვის მიმართა რომის პაპს. მან 1643 წელს ოდიშის მისიის პრეფექტი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე რომს მიავლინა, რომელმაც 1644 წელს პაპ ურბან VIII-ს ეპისტოლე გადასცა.

ეპისტოლის დასაწყისში მთავარი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ იმავე ჯუდიჩესა და არქანჯელო ლამბერტის მიერ ათი წლის წინათ ჩამოტანლ პაპის ეპისტოლეზე რომ არ უპასუხა.

როგორც ცნობილია, 1634 წელს ნიკიფორე ირბახმა არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე გორიდან სამეგრელოში წაიყვანა. მისიონერებს თან ჰქონდათ პაპ ურბან VIII-ის მიერ ლე-

---

[1] სვანიძე მ., საქართველო –ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 235.
[2] თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 562, შენ. 3.
[3] სვანიძე მ., საქართველო –ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 234.
[4] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, გვ. 24-27.

ვან II დადიანისათვის გამოგზავნილი ეპისტოლე, რომელიც დაწერილი იყო 1626 წლის 4 ივლისს. ადრესატისათვის ამგვარი დაგვიანებით ეპისტოლეს გადაცემა გამოწვეული იყო იმით, რომ მისიონერები ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ, რათა პაპის ეპისტოლე მთავრისათვის პირადად გადაეცათ. მათ ამის გაკეთება შეძლეს ზუგდიდში ჩასვლის შემდეგ, 1634 წლის ივნისში. პაპის წერილით ნასიამოვნები მთავარი მისიონერებს დაპირდა, რომ რომში კაცს გაგზავნიდა და წერილებსაც გაატანდა[1].

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას, რომ პაპი ლევან დადიანს, მისიონერებისათვის მფარველობას სთხოვდა. „ამათი მანდ მოსვლის მიზეზი მხოლოდ ის არის, – წერდა პაპი დადიანს, – რომ ქართველთა ერს და მთავრებს მოუპოვონ წყალობა ღვთისა და შესძინონ საუკუნო სიმდიდრე“. დადიანის დაპირება, რომ პაპს საპასუხო წერილებს გაუგზავნიდა, არ შესრულდა.

მთავარი, პაპის ეპისტოლეზე პასუხის გაუცემლობას, ქვეყანაში არსებული არახელსაყრელი ვითარებით ხსნიდა. „ამჯერად ცოტა სული მოვითქვით, – წერს ლევან II, – დავიმორჩილეთ ღვთის წყალობით მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები“. ამის შემდეგ მთავარი ჩამოთვლის იმ სიკეთეს რაც მან სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებს გაუკეთა. „ჩვენ მშვენივრად მოგვეხსენება, რომ თქვენ მთელ მსოფლიოს მართავთ, რომ ხართ წმინდა პეტრეს მემკვიდრე და მაცხოვრის ნაცვალი. ამიტომ გვსურს, რომ ჩვენც გვპატრონობდეთ და გვმფარველობდეთ. ჩვენში არ არიან შალის ან აბრეშუმის მქსოველები, რომელთა ნახელავიც საშუალებას მისცემდა ჩვენს ქვეშევრდომთ ტანისამოსის შოვნისას, რადგან ეს უკანასკნელნი ხშირად იძულებით ყიდიან თავიანთ ნავებს[2] თურქებზე და ამით სულსა და ხორცს საფრთხეში იგდებენ, რაც შეუწყნარებელია და ბუნებისათვის საძრახისი. ***გვეყდრებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ხელოსნები,*** რომ მათმა ნახელავმა და დახმარებამ თავიდან აგვაცილოს მსგავსი საშინელებანი...“[3]

---

[1] თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 584-585

[2] კონტექსტის მიხედვით უნდა იყვეს „ყმებს“.

[3] თამარაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 610-611.

1644 წლის 23 იანვარს, ვატიკანში ლევან II დადიანის წერილი განიხილეს. დადიანის თხოვნაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: „დაიძებნოს ბამბისა და აბრეშუმის დამზადებაში დახელოვნებული მორწმუნენი კაპუცინელთა და წმ. ფრანცისკის რეფორმატორთა შორის, რომელთაც სურვილი ექნებათ გაემგზავრონ სამეგრელოს თეატინელ მისიონერებთან ერთად, რათა მთავრის დაჟინებითი თხოვნით გაწვრთნან მისი ერი დასახელებულ ხელოვნებაში, ამასთანავე, მოკლე ხანში დაიწეროს პასუხი ზემოხსენებულ წერილზე, რომელიც კრებისა და მისიონთა წარდგინებით შეატყობინებს ხსენებულ მთავარს მორწმუნეთა შესახებ“[1].

მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანის წერილში, იმ წერილებისაგან განსხვავებით, საქართველოდან სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფე-მთავრის მიერ რომ გაიგზავნა, ოდიშის მთავრის მიერ კათოლიკობის აღიარებისა და პაპის მიმართ ერთგულებაზე ერთი სიტყვაც კი არ არის, რომში მაინც მიზანშეწონილად ჩათვალეს ოდიშის მთავრის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ. როდესაც მთავარი პაპს პატრონობას და მფარველობას სთხოვს, მასში მხოლოდ სამთავროში ხელოსნობის განვითარებაში დახმარებას გულისხმობს[2]. მისი თხოვნის განსახილველად სპეციალურად კრება მოიწვიეს, რომელმაც დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება მიიღო. ეს კი მაჩვენებელია იმისა, რომ ვატიკანში ლევან დადიანზე, საქართველოს უძლიერეს მთავარზე (ამ გარემოებას თვითონ დადიანიც ხაზგასმით აღნიშნავს თავის წერილში), მისიონერების მიერ გაგზავნილი მაღალი შეფასებების მიხედვით, დადებითი შეხედულება არსებობდა. როგორც ჯუდიჩე გადმოგვცემს, ურბან VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1644 წ.), დიდი ენთუზიაზმით დაწყებულ საქმეს, გაგრძელება აღარ ჰქონდა, რადგან შემდგომმა პაპმა ინონოკენტი X-მ (1644-1655) სრულიად შეასუსტა აღმოსავლეთის მიმართ ინტერესი. 1646 წელს რომიდან წამოსულ ჯუდიჩეს მხოლოდ ორი მისიონერი და კათოლიკობისადმი ერთგულების მოწოდებით აღსავსე წერილი გამოატანეს. ჯუდიჩემ საქართველომდე ვერ მოაღწია. იგი ჯაშუშობის ბრალდებით დარდა-

---

[1] იქვე, გვ. 611, შენ. 1.

[2] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 117.

ნელში შეიპყრეს და საპყრობილეში გარდაიცვალა. მისმა ორმა თანამგზავრმა თავი გამოიხსნა და ოდიშში მივიდა.

საყურადღებოა, ერთ-ერთი დაპატიმრებული პოლონელი დომინიკანელი მღვდელი იყო. ჯუდიჩეს და პოლონელი მღდვლის ერთად მოგზაურობა და ამ უკანასკნელის დასახსნელად საფრანგეთის ელჩის საქმიანობა (რეჩ პოსპოლიტის და საფრანგეთის ელჩების ჩარევის შედეგად მღვდელი და მასთან ერთად დაპატიმრებული სხვა პირებიც გაანთავისუფლეს)[1], მიგვანიშნებს რეჩ პოსპოლიტის და საფრანგეთის დადიანის პროექტით დაინტერესებაზე.

ლევან დადიანის და ნიკიფორე ირბახის ოდიშის სამთავროს ევროპასთან დაკავშირების ეკონომიკურმა პროექტმა, მარცხი განიცადა, ისევე, როგორც ოცი წლის წინათ თეიმურაზ I-სა და იმავე ნიკიფორეს ანტიირანულმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის პროექტმა.

* * *

ლევან II დადიანის მოღვაწეობიდან ცალკე გამოყოფისა და განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი ამაგი და ხარჯი იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე. ის, რაც ოდიშის მთავარმა გააკეთა ყველა ქრისტიანი ქართველისათვის სათაყვანო მონასტრის აღდგენისა და გამშვენიერებისათვის, განამტკიცებდა მის ავტორიტეტს არა მხოლოდ საქართველოში. ლევან დადიანის ჯვრის მონასტერზე ამაგის შესახებ ცნობები, მისმა უახლოესმა თანამოღვაწემ ნიკიფორე ირბახმა შემოუნახა შემდეგ თაობებს. მან 1643-1649 წლები იერუსალიმში გაატარა.

ნიკიფორე ირბახის იერუსალიმში მოღვაწეობაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ქართული ეკლესია-მონასტრების საკითხი, ლევან დადიანის საგარეო პოლიტიკას უკავშირდებოდა. თუ არა დადიანის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, ნიკიფორე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ძვირად ღირებულ შეკეთება-მოხატვაში დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

---

[1] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 194.

ლევან დადიანის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი დიდ ყურადღებაზე, ჩვენმა საისტორიო მწერლობამ რამდენიმე საინტერესო ცნობება შემოგვინახა. მან მონასტერს შესწირა სოფ. კოცხერის 100 კომლი გლეხი[1]. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ბერძნულ წარწერაში ნათქვამია: „ეს ღვთიური და ყველასაგან პატივცემული ტაძარი წმინდა ცხოველმყოფელი ჯვარისა მოხატული და განახლებული ბრწყინვალე ხელმწიფე ლეონ დადიანის ხარჯითა და შემწეობით და ღირსი მღვდელმონაზონის და არქიმანდრიტის ბატონ ნიკიფორეს შრომით...“[2]. იმავე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ მხარეს იკითხება, რომ ლევან დადიანის მიერ ნაბოძები ფულითა და საკუთარი 8 ათასი ასლანით ნიკიფორემ მონასტერს აღუდგინა „გომბადი (გუმბათი) და გუერდები“[3]; დღეისათვის აღარ არის წარწერა, რომელშიც ნათქვამი იყო: „შეეწიე დადიანს ლეონს, რომელმან მოჭედა ძელი ესე“[4]. ყოველივე აღნიშნული დამსახურებისათვის იყო, რომ მონასტრის ტაძარში ორგან დახატული იყო ლევან დადიანი. ერთგან მხოლოდ მეუღლით, ხოლო მეორეგან, სამხრეთის კედელზე თვით ლევან დადიანი, მისი მეუღლე ნესტანდარეჯანი და ვაჟიშვილი[5].

მოღწეული ცნობების მიხედვით, იერუსალიმის ქართული მონასტრები ლევან დადიანის ყურადღების ცენტრში იყო ნიკიფორე ირბახის წმ. ქალქაში გამგზავრებამდე. მალაქია კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გახდა მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657), რომელიც ძირითადად ოდიშის მთავრის კარზე იმყოფებოდა და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო. საყურადღრებოა, რომ იგი დიდ ყურადღებას იჩენდა იერუსალიმის ქართული სავანეების მიმართ. რასაც იგი დადიანის

---

[1] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 83, №51.

[2] Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае. Палестинский Православный Сборник, IV, 1888, с. 242, 246; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 67, 75; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 214-215.

[3] მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 84.

[4] იქვე, გვ. 87.

[5] იქვე, გვ. 74, 80.

მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებდა. არქანჯელო ლამბერტის თქმით, მაქსიმე მაჭუტაძე სამჯერ („სამ-ოთხ წელიწადში იერუსალიმში მიდის და მიაქვს მრავალი ოქრო“) იმყოფებოდა იერუსალიმში და გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართულ სავანეების დასახმარებლად ყოველთვის დიდძალი შესაწირავები წაიღო. არქანჯელო კათალიკოსს კიცხავდა იმის გამო, რომ იგი „საიერუსალიმე“ ფულის საშოვნელად, ზოგჯერ, არასაკადრისს კადრულობდა[1]. ქრისტოფორო დე კასტელის იტალიაში გაუგია, რომ „პატრიარქი იერუსალიმში გაემგზავრა და ამ წმინდა ადგილას მალე გარდაიცვალა. ის ნიკრისის ქარით იყო დაავადებული. მოხუცი ამ დაავადებამ მოკლა“[2]. მონასტრისადმი გაწეული დიდი დახმარებისათვის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე დახატული იყო მონასტრის ტაძრის კედელზე, მაგრამ ზუსტად სად, ცნობილი არ არის[3]

ნიკიფორეს ირბახის იერუსალიმში გაგზავნის საბაბი, კ. კეკელიძის სწორი მოსაზრებით, 1641-1642 წლებში იერუსალიმიდან ვინმე მართას მიერ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლისათვის (1640-1659) გაგზავნილი წერილი[4] უნდა გამხდარიყო. მასში გადმოცემულია წმინდა ქალაქში ქართული მონასტრების უაღრესად მძიმე მდგომარეობა. მართა სახვადასხვა სათხოვართან ერთად, კათალიკოსს სთხოვს აგრეთვე: „ერთი თავი ჯუარის მამა გაიჩინეთ, თვარა წახდა საქმე...“[5].

როგორც ზემოთ ითქვა, ნიკიფორე ჯვარის მამად ითვლებოდა, მაგრამ იგი ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს შიდა პოლიტიკურ ამბებში ჩართული, იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრებს ჯეროვან ყურადღებას ვეღარ აქცევდა. კათალიკოსმა, როგორც ჩანს, მართას წერილი უპირველეს ყოვლისა

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 119-120. ლამბერტისაგან განსხვავებით, კასტელის დახასიათებით, პატრიარქი მაქსიმე მაჭუტაძე „მეტად კეთილშობილი ადამიანი იყო... მრავალი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გამიკეთა. ასე რომ, დე, უფალმა მის სულს მშვიდობა მისცეს„. ლიჩინი პ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[2] ლიჩინი პ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[3] ტიმოთე გაბაშვილი, გვ. 82.

[4] კეკელიძე კ., ეტიუდები, II, გვ. 303.

[5] საქართველოს სიძველენი, წ I, გამოცემა მეორე, თფილისი, 1920, გვ. 38.

ლევან II დადიანს, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს დიდებულებს გააცნო. ყველა მართლმადიდებელისათვის გასაგები იყო, რომ იერუსალიმის ქართული სიწმინდეების უყურადღებოდ დატოვება აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო ფულადი სახსრები და ენერგიული ადამიანი, რომელიც ქართული მონასტრების მოვალეებთან და მათი დაპატრონების მოსურნე სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან გამკლავებას შესძლებდა. სავარაუდოა, ლევან დადიანის მოთხოვნით, რომელსაც თავისი ეკონომიკური შესაძლებლობიდან და პოლიტიკური გავლენიდან გამომდინარე, და იმის გამოც, რომ მას ყველაზე მეტი თანხა უნდა გაეღო დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, არჩევანი ნიკიფორე ჩოლოყაშვილზე შეაჩერა. ნიკიფორე დიდი გამოცდილების მქონე საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის ყველაზე კარგად იცნობდა იერუსალიმს, ერკვეოდა იქაურ ამბებში და მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, როგორც იერუსალიმელ ქართველებში, ისე საპატრიარქოში. გავიხსენოთ, რომ ერთ დროს მისი მაღალი ავტორიტეტის გამო, იერუსალიმელ მართლმადიდებლებსა და პატრირქს მისი პატრიარქად არჩევაც კი უნდოდათ. მან ინტერვალებით 19 წელი (1613-1625 და 1643-1649) გაატარა ამ ქალაქში და მასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართულ სიწმინდეებს მასზე უკეთ ვერავინ მიხედავდა. კათალიკოსის მიერ შერჩეულ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს (სავარაუდოა, ლევან II-ის წარდგინებით) დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა და, ალბათ, იქ შეხიზნულმა თეიმურაზ I-მაც. თეიმურაზის თანხმობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ, რადგან როგორც წესი, მას შემდეგ რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, ჯვარისმამას ქართლის მეფე ნიშნავდა, თეიმურაზი კი თავის თავს კვლავ ქართლის მეფედ თვლიდა.

მეფე-მთავრებმა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, დიდი ფინანსური დახმარება აღუთქვეს ნიკიფორეს და თავიანთი დანაპირები შეასრულეს კიდეც.

იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში, ნიკიფორე, რუსი ელჩების ცნობების მიხედვით, ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში ხან მონასტერში, ხან მეფე-მთავართა

კარზე[1]. ნიკიფორეს ცხოვრების ასეთმა დახასიათებამ საფუძველი მისცა გ. აკოფაშვილს ეთქვა, რომ „საგარეო პოლიტიკის დარგში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ განხორციელებული არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიება XVII ს. 20-50-იან წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მონაწილეობის გარეშე არ ხდება. ის ყოველთვის ერთ-ერთი მონაწილეა უცხო სახელმწიფოს ელჩების მისაღებად გამართულ ცერემონიების, მათთან მოლაპარაკებისა“[2]. მოყვანილ ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური მოღვაწე არ შეიძლება განუწყვეტლივ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდეს და მას ხელგაშლილი ხვდებოდნენ. პოლიტიკოსს, საერთოდ, და განსაკუთრებით ისეთს, როგორიც ნიკიფორე იყო, სჭირდებოდა გარკვეული პრინციპების და მოქმედების, მტკიცე ეკონომიკური და სამხედრო ძალის მქონე მფარველი და თანამზრახველი, სხვანაირად ის, იმ ანარქიის პირობებში, რომელიც XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში არსებობდა, აუცილებლად დაიღუპებოდა. ნიკიფორე დაიღუპა კიდეც, როდესაც ძლიერი მხარდამჭერი და დამცველი გამოეცალა ლევან II დადიანის სახით.

30-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც ნიკიფორე დადიანის სამსახურში შევიდა, ის მხოლოდ ოდიშის მთავარს ემსახურებოდა და მხოლოდ მის დავალებებს ასრულებდა. რეალობას ასახავდა ნიკიფორესთან დაახლოებული მისიონერის ჯუზეპე მარია ძამპის ნათქვამი: „მას (ნიკიფორე ირბახს –ე.მ.) უწოდებენ ჯვარის მამას. ხალხი მას დიდ პატივს სცემს, სამეგრელოს მთავრები ნიშნავენ მას თავის ვაზირად ან ელჩად, რადგან იგი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმში“[3]. ბორომეოც ხომ დადიანის და ნიკიფორეს განსაკუთრებულ ურთიერთობას აღნიშნავდა.

რაც შეეხება იმ რუსულ ცნობებს, რომლებიც ასახავს 1651 წელს ნიკიფორეს დასწრებას ელჩების მიღებაზე იმერეთის მეფის

---

[1] კეკელიძე კ., ეტიუდები, I, გვ. 305.

[2] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი..., გვ.73.

[3] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 141

კარზე, იმავე ელჩების მიღებას თეიმურაზ I-თან რაჭაში, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ დადიანის ეს ერთგული პოლიტიკოსი რუსი ელჩების მიღებისას მეთვალყურეა, ან დაემთხვა მისი, როგორც დადიანის წარგზავნილის, მოლაპარაკება მეფეებთან. მთავრის წარმომადგენლისადმი ის განსაკუთრებული პატივისცემა, რისი მოწმენიც რუსი ელჩები იყვნენ, მხოლოდ ლევან დადიანის სიძლიერეზე მეტყველებს.

აღნიშნულ პერიოდში ნიკიფორე ირბახი თუ მხოლოდ ლევან II დადიანის სამსახურში არის, ხოლო, ერთი რუსული წყაროს მიხედვით, ნიკიფორე ბერძენი უკვე მკვდარია[1], მაშინ ის ნიკიფორე ვინ არის რომელსაც ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი რამდენჯერმე ახსენებენ?. ვფიქრობ, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა პიროვნებასთან, ერთი არის ნიკიფორე ირბახი, მეორე კი ბერძენი მიტროპოლიტი ნიკიფორე. ირბახი უნდა იყოს ის იღუმენი ნიკიფორე, რომელიც რუსი ელჩის ალექსი იევლევის მიხედვით, ხობის მონასტერში იმყოფებოდა და მან მაქსიმე კათალიკოსთან ერთად ვინმე დიაკონ იასაფეს ღვთისმშობლის კვართი აჩვენა[2].

50-იანი წლების დასაწყისში რომ ნიკიფორე ირბახი ლევან დადიანის სამსახურში იმყოფებოდა სრულიად ნათლად ჩანს ნიკიფორე ტოლოჩანოვის შემდეგ ცნობაში: „იმავე დღეს (1651 წ. 30 სექტემბერი –ე.მ.) სადადიანოდან მეფე თეიმურაზთან ლევან მეფის ელჩები ჩამოვიდნენ – მთაწმინდის იღუმენი ნიკიფორე, იმათებურად (ქართულად) ნიკოლოზი, და მათთან ერთად მეფე თეიმურაზის კაცებიც. მეფე თეიმურაზმა რისთვისაც თავის კაცები გაგზავნა, მთავარმა დადიანმა ყველაფერზე უარი შემოუთვალა“[3].

ნიკიფორე ლევან დადიანის წარმომადგენელი იყო თეიმურაზ მეფესთან 1657 წელს. მას დავალებული ჰქონდა თეიმურაზი დაეყოლიებინა, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა ლევანის და იმერეთის მეფე ალექსანდრეს შესარიგებლად[4].

---

[1] Накашидзе Н., Ук. труд, с, 251, прим. 550.

[2] ალექსი იევლევი, გვ. 142.

[3] ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 85.

[4] პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). „საისტორიო მოამბე“, 23-24, თბ., 1970, გვ. 152-153.

ამგვარად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნიკიფორე ირბახმა სიცოცხლის ბოლო 25 წელი ლევან II დადიანის კარზე და მის სამსახურში გაატარა. იგი აღარასოდეს დაბრუნებულა თეიმურაზ მეფესთან. წყაროები საშუალებას იძლევა XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ნიკიფორე ირბახი და მიტროპოლიტი ნიკიფორე ბერძენი.

„მომიხსენეთ მე, ცოდვილი ჯვარის მამაჲ“

ნიკიფორე ის კაცი იყო, ის პროფესიონალი დიპლომატი, რომელსაც ზოგჯერ, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი სინდისისათვის მიუღებელ კომპრომისზე წასვლაც უხდებოდა.

გავიხსენოთ ნიკიფორეს მოგზაურობა ევროპაში, როდესაც მისი რწმენის საკითხმა იმდენად პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა, რომ მისი მეფისათვის დახმარების აღმოჩენაზე მოლაპარაკების დაწყება დამოკიდებული გახდა იმაზე, ნიკიფორე მამა-პაპათა მართლმადიდებლურ რწმენას უარყოფდა და რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა თუ არა. ნიკიფორემ იცოდა, რომ მას რომში ასეთ მოთხოვნას წაუყენებდნენ, ამიტომ სცადა რომის გვერდის ავლით, სამხედრო დახმარება ესპანეთისათვის ეთხოვა. არასწორია, თითქოს ნიკიფორე „კათოლიკური სარწმუნოების მიღებას... შედარებით იოლად დაყაბულდა... კათოლიკური სარწმუნოება ხომ იგივე ქრისტიანული სარწმუნოება იყო და ამდენად ნიკოლოზს მართლმადიდებლობის დატოვება და კათოლიკობის მიღება არსებითად დიდ სარწმუნოებრივ ღალატად არ ჩაეთვლებოდა“[1]. ბერძნული მართლმადიდებლობიდან რომაულ კათოლიკობაზე გადასვლა ნიკიფორეს სწორედაც რომ დიდ ღალატად ჩაეთვლებოდა და მან ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა.

ნიკიფორეს ცხოვრების ბოლო პერიოდი და მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული იმაზე მიუთითებს, რომ ის აქტიურად მონაწილეობდა ლევან II დადიანის სეპარატისტული გეგმე-

---

[1] აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი..., გვ. 41.

ბის შემუშავებაში, განსაკუთრებით კი, იმერეთის სამეფოს მიმართ გატარებული პოლიტიკის განხორციელებაში.

ლევან II-ის სეპარატიზმი სამთავროში კათალიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის შემოღების ცდაშიც გამოვლინდა. ეს საეკლესიო უმაღლესი თანამდებობა პირველმა და უკანასკნელმა ნიკიფორემ დაიკავა მცირე ხნით, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში – 1657-1658 წლებში. იტალიელი მისიონერის ანდრეა ბორომეოს თქმით, „დადიანს ეს ბერი (ნიკიფორე–ე.მ.) ძალიან უყვარდა და ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთის პატრიარქად დანიშნა“[1], მაშინ, როდესაც იმავე დროს, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ზაქარია ქვარიანი (1657-1660) იყო.

ნიკიფორე ირბახი ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამთავროში დაწყებული ფეოდალური აშლილობის დროს დაიღუპა. როგორც ამბის თანამედროვე ბორომეო გადმოგვცემს, ვამეყ ლიპარტიანის მოწინააღმდეგეთა შორის იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილიც. სავარაუდოა, ის ლევან II-ის ანდერძის აღსრულების მოითხოვდა და მისი შვილიშვილის გამთავრებას ემხრობოდა. ამას ემატებოდა ლევან II-ის ამ მრჩეველის მიმართ იმერეთის მეფის უკმაყოფილება. საბოლოოდ, „რადგან... (ნიკიფორემ–ე.მ.) მთავარ ლიპარტიანს ბევრი უსიამოვნება მიაყენა, ამიტომ მისთვის შეუძლებელი შეიქმნა მისი დატოვება (კათალიკოს-პატრიარქად–ე.მ.), იგი გადააყენეს და ციხე-კოშკში გაგზავნა. მის ადგილას პატრიარქად ქართველი აზნაური დაინიშნა“[2]. ეს „იმერელი (ქართველი) აზნაური“ უნდა იყვეს ზაქარია ქვარიანი. ამის შემდეგ ნიკიფორემ დიდხანს აღარ უცოცხლია. თუ გავითვალისწინებთ იმ ქაოსით მოცულ პერიოდს, იმასაც როგორ გაუსწორდა ვამეყ ლიპარტიანი თავის მოწინააღმდეგეებს, საფიქრებელია, რომ ნიკიფორეც არ დაინდეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ნიკიფორე ირბახის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ბორომეომ. 1658 წლის ივნისში სამეგრელოდან რომში გაგზავნილ რელაციაში იგი წერს: „რამდენიმე თვეა რაც სამეგრელოს მთავარი დადიანი გარდაიცვა-

---

[1] გიორგაძე ბ., ახალი დოკუმენტი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის შესახებ. ჟურნ. „მნათობი“, №1, 1960, გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 161.

ლა, რომელიც ძლიერებით და ბრძნული მმართველობით მისი გამარჯვების წარმატება ორმოცდაათ წელზე მეტს დღესასწაულობდა... მისი გარდაცვალებით ჩვენ დიდი მფარველი და ქველმოქმედი დავკარგეთ... ხელისუფლების ცვლილების დროს, აქ ჩვენ დავკარგეთ კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც ნიკოლო ერქვა, დიდებული ქართველი თავადი, რომელიც ოცდაათი წლის წინათ უბრალო ბერი იყო და როცა რომში ჩავიდა და კათოლიკობა აღიარა, მისმა უწმინდესობამ პაპმა ურბანო მერვემ კარგად მიიღო. დადიანს ეს ბერი ძალიან უყვარდა და ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთის პატრიარქად დანიშნა"[1].

კ. კეკელიძის მიხედვით, ნიკიფრე გარდაიცვალა 1658 წლის გასულს ან 1659 წლის დამდეგს. მკვლევარის ეს ვარაუდი დამყარებულია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის ერთ ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ნიკიფორეს გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი ქონება შეაგროვეს, 100.000 პიასტრი დაამატეს და 1659 წელს იესე თბილელს იერუსალიმში გაატანეს. კ. კეკელიძე პატრიარქ დოსითეოსს იმოწმებს ა. ცაგარელის მიხედვით, რომელთანაც დოსითეოსის ორი მოგზაურობა საქართველოში დათარიღებულია არასწორად (პირველი – 1647-1650 და მეორე – 1681-1685 წწ.)[2].

სინამდვილეში, დოსითეოსი საქართველოში იყო 1658-1659 და 1681 წლებში. დოსითეოსი ნიკიფორეს პირველად შეხვდა 1658 წელს მოქვის მონასტერში[3].

სავარაუდოა, ნიკიფორე გარდაიცვალა 1659 წლის მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში, როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა პაისიოსმა და მისმა დიაკვანმა დოსითეოსმა (შემდეგში იერუსალიმის პატრიარქი) საქართველო დატოვეს. ამგვარად, დოსითეოსის გარდაცვალება და იესე ტფილელის მიერ დასახელებული თანხის წაღება მოხდა ერთსა და იმავე წელს[4]. ნიკიფორეს დაპატიმრება და გარდაცვალება, რომ მარტის თვემდე მომხდარიყო დო-

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, გვ. 24-27.

[2] კეკელიძე კ., ეტიუდები, I, გვ. 298.

[3] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობი ისტორიიდან, გვ. 97, 148.

[4] იქვე, გვ. 59, 189.

სითეოსი აუცილებლად შეიტყობდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ იგი გარდაიცვალა 1659 წლის ზაფხულში, დაახლოებით 73-74 წლისა.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, XVII ს. შუა ხანებში, ნიკიფორე წარმოგვიდგება 70 წლისა, ტანადი, შავი წვერით, საყოველთაოდ პატივცემული, გამოცდილი დიპლომატი, მნახველი თითქმის მთელი ევროპისა. როგორც ნიკიფორეს თანამოღვაწე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დიაკვანი გრიგოლი წერდა, ნიკიფორე „წმიდაჲ და ღ~ს მოშიში იყო. ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი, და ღირსი ყოვლისა სიკეთისა, და სწავლული ენისა ვითარ შვიდისადმდე“[1], ქართულის და მეგრულის გარდა.

თითქმის ასევე ახასიათებს ნიკიფორეს ძამპი: „იგი საქართველოში ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენელია. არის სამოცდაათი წლისა. აქვს არქიმანდრიტის ანუ წინამძღვრის ხარისხი. მას უწოდებენ ჯვარის მამას. ხალხი მას დიდ პატივს სცემს. სამეგრელოს მთავრები ნიშნავენ მას თავის ვაზირად ან ელჩად, რადგან იგი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმში. შემოვლილი აქვს ევროპა. ყოფილა საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, რეჩ პოსპოლიტასა და იტალიაში... ქართულისა და მეგრულის გარდა იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური“[2].

პიეტრო დელა ვალე ნიკიფორეს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ნიკიფორე ჩვენთან (რომში – ე. მ.) თავს გრძნობდა კარგად და დატოვა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება როგორც მის უწმინდესობაზე, ისევე ბატონ კარდინალებზე, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა. წასვლის შემდეგ მან დატოვა მეტად სასიამოვნო მოგონება და შესანიშნავი გამოხმაურება. ჩემი მხრიდან მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქმე მქონდა არა აღმოსავლელ ადამიანთან, რომელმაც ისე კარგად და ისე სწრაფად გადაიღო მანერები და შეითვისა ევროპის წესები, არამედ ადამიანთან, რომელმაც გაიგო ისინი უკეთ, ვიდრე სხვამ„[3].

---

[1] Цагарели А.А., Памятники..., с. 184.

[2] ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 141

[3] ტაბაღუა ი., დასახ. ნაშრ., II, გვ. 185.

არაპირდაპირი ცნობები მიგვანიშნებს, რომ ნიკიფორე იყო დაუდგრომელი, ჰქონდა დიპლომატისათვის დამახასიათებელი მოქნილობა, სიტუაციის მიხედვით მოქმედების უნარი, იყო პრინციპული და შეუპოვარი, ქედმაღალი და პატივმოყვარე. მოკლედ, ამ ჭეშმარიტად ამაგდარი მოღვაწისათვის, მსგავსად ყველა დროის დიდი პიროვნებებისა, უცხო არ იყო ადამიანური სისუსტენიც.

საყურადღებოა ნიკიფორე ირბახის პ. გუგუშვილისეული დახასითება: „საჭიროა ითქვას, რომ ნ. ირბახის მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა უმეტესწილად რთულ და მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი კათოლიკურ სამყაროში – კათოლიკეა, ბერძნულ-სლავიანურში – ბერძენია (–მართლმა-დიდებელია), მუსლიმანურში – იქნებ შემწყნარებლურ პოზიციებზეა... რის გამოც მრავალთათვის იგი გაუგებარი რჩებოდა„[1].

პატრიარქი დოსითეოსი ნიკიფორეზე აუგის თქმას, ალბათ, იმიტომ ბედავს, რომ მან იცის მაშინდელი (XVII ს.) ქართული საზოგადოების, სახელმწიფო მოღვაწეთა და, კერძოდ, მეფე ერეკლე I-ის დამოკიდებულება კათოლიციზმის და იმათ მიმართ, ვინც ამ რწმენისადმი შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ.

დამოკიდებულება ნიკიფორე ჩოლოყაშვილის პიროვნებისა და მისი დამსახურებისადმი შეიცვალა XVIII საუკუნეში. მას ქებადიდებით იხსენიებს კათალიკოსი ანტონ I თავის ფილოსოფიურ-ლიტერატურათმცოდნეობით ტრაქტატში – „წყობილ-სიტყვაობა“[2].

გულგრილი ვერ დარჩები ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტაძრის ცენტრში, გუმბათის ქვეშ, მოზაიკურ იატაკზე დაკრულ ბრინჯაოს ფირფიტაზე[2] ამოკვეთილი წარწერის მიმართ რომელიც ანდერძად და მოწოდებად ჟღერს: „სდეგით მტკიცედ და შეურყევლად და მომიხსენეთ მე, ცოდვილი ჯვარის მამაჲ ნიკიფორე-ნიკოლოზ“.

---

[1] გუგუშვილი პ., დასახ. ნაშრ., გვ. 258.

[2] ანტონ ბაგრატიონი, წყობილ-სიტყვაობა, წ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბ., 1972, გვ. 183.

ლევან II დადიანის გარდაცვალება და მისი დახასიათება

ლევან II დადიანის ცხოვრება ტრაგედიით დამთავრდა. მას მეორე ცოლისგან ოთხი შვილი – ორი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა. ვაჟებს ალექსანდრე და მანუჩარი, ხოლო ქალიშვილებს გული და ცირა ერქვათ. უმცროსი ქალიშვილი ცირა იმერეთის უფლისწულ ბაგრატზე გაათხოვა. მაგრამ ბაგრატმა მას მრუშობაში დასდო ბრალი და დაითხოვა[1]. დადიანის ასულების სულ სხვა სახელებს ვნახულობთ ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში: „კურთხეულს დადიანის ასულსა ბეტოს (!) ***ხუერამზეს*** გობეძისა თანამეცხედრესა აღაპი...“ „ბატონის დადიანის ასულსა ***დარეჯანს*** და დედასა მისსა გამდელსა თინათინს აღაპი...“[2]

ლევანის ვაჟები 1647 წლის შემოდგომაზე გონიოსათვის ბრძოლაში ოსმალებს კაზაკების წინააღმდეგ ეხმარებოდნენ. როგორც ჩანს ისინი ამ დროისათვის ჯანმრთელნი იყვნენ. ამ გარემოებაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ერთ-ერთი რუსული წყაროს მიხედვით, ისინი სერიოზულად ავადმყოფობდნენ 1656 წელს, როგორც ამის შესახებ 1657 წელს, საქართველოში ნამყოფმა ილია სტოიანოვმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ განაცხადა: „ლევან დადიანს ჰყავდა ორი ვაჟი, ორივე ავდმყოფი, რომლებსაც პარალიზებული ჰქონდათ, ხელები, ფეხები და მეტყველების უნარი (დაკარგული–ე.მ.), თვით მეფესაც (ლევან II–ე.მ.) მოტეხილი აქვს კისერი მარცხენა მხარეს“[3]. ალბათ, რადგან მანუჩარი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ამიტომ, დადიანს თავის მემკვიდრედ ის ეგულებოდა.

1657 წელს სამთავროს ტახტის მემკვიდრე მანუჩარი გარდაიცვალა. ლევან დადიანმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა ალექსანდრეს მცირეწლოვანი ვაჟი (ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ალექსანდრე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო), რომლის სრულასაკოვნებამდე ქვეყანა უნდა ემართა ბავშვის დედას. მას

---

[1] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, გვ. 55.
[2] მეტრეველი ე., მასალები..., გვ. 102, №253, გვ. 106, №292.
[3] პაიჭაძე გ., მასალები..., გვ. 453.

უნდა დახმარებოდა ლევანის ძმისწული ლიპარიტ იესეს ძე დადიანი, „კაცი შეუფერებელი სიდიდისა და შეუგვანი“[1]. სამთავროს ყველა დიდებული დაფიცებული იქნა მემკვიდრის ერთგულებაზე. ლევანის ბრძანებით იმერეთის მეფის ვაჟი ბაგრატი ტყვეობიდან გაათავისუფლეს[2]. აღნიშნული საქმეების დამთავრების შემდეგ ლევან დადიანიც გარდაიცვალა. ლევან დადიანის თავს დატრიალებული ტრაგედია მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების მიერ აღქმული იქნა, როგორც ლევან დადიანის მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულის, განსაკუთრებით კი მამუკა ბატონიშვილისადმი სასტიკი მოპყრობისათვის, ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელი. „აბა აქ გაშინჯეთ, – წერს ფარსადან გორგიჯანიძე, – მართალი მღთისა, რომ მაგიერ ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დაკვდა დაუმარხავს... ყველამ ასრე თქვეს: ლევან დადიანის უშვილოდ გარდავლენა მამუკა ბატონიშვილის უსამართლომ მოსთხარა, სახლიან შვილიან გარდავლინდა. აბა ეს ნიშნათ ყველას გვეყოფა, აბა აქ გათავდება იესოს ქტისტეს ნაბრძანები სიტყვანი: რომლისათ საწყაოთ მიგიწყავსო, იმავე საწყავით მოგიწყვენო. აბა სამართალი აქ გათავდება და ნაძალადევი არავის შერჩების“[3].

გაჩაღდა ბრძოლა მთავრის ტახტის დასაკავებლად. ლიპარიტიანს, რომელმაც მთავრობა თავისთვის მოინდომა, დაუპირისპირდა ვამეყ ლიპარტიანი, ლევან დადიანის მეორე ცოლის დარეჯანის შვილი პირველი ქმრის გიორგი ლიპარტიანისაგან. ამ უკანასკნელმა დახმარება სთხოვა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს. მეფე ვამეყის წინადადებაზე დათანხმდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თავისი ჯარით ოდიშის სამთავროში შევიდა. მეფემ ლიპარიტს სასურველი სამფლობელო ჩააბარა, თუმცა ადგილობრივი თავადები იმერეთის მეფის მიერ, ვამეყის საშუალებით, ოდიშში ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგნი იყვნენ. მეფის წასვლის შემდეგ, სამთავროში არეულობა დაიწყო. ალექსანდრე მეფემ მაინც შეძლო თავის სიცოცხლეში ვამეყი დადია-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 432.
[2] ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 130.
[3] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 261-262.

ნად ყოფილიყო, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ერთხანს მან იმერეთის მეფის ტახტიც დაიკავა, მაგრამ ქართლის მეფე ვხტანგ მეხუთესთას ბრძოლაში დამარცხდა.

ლევან II დადიანის მიერ ხანგრძლივი მმართველობისას, სხვადასხვა საშუალებით დასავლეთ საქართველოს უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცეული ოდიშის სამთავრო, მისი გარდაცვალებისთანავე პოლიტიკურად და ეკონომიურად მოიშალა და დასუსტდა.

ლევან II დადიანის მოღვაწეობაზე თავიანთი შეხედულება დაგვიტოვეს მისმა თანამედროვე ქართველმა და უცხოელმა პოლიტიკოსებმა, ისტორიკოსებმა, ვაჭარ-მოგზაურებმა და კათოლიკე მისიონერებმა.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების და ისტორიკოსების საერთო შეფასებით, რომელსაც წინამდებარე ნაშრომის სხვადასხვა ადგილას გავეცანით, ლევან II დადიანი უარყოფითი მოღვაწე იყო, მაშინ როდესაც უცხოელები მისი მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებს აღნიშნავენ.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია ქრისტოფორო დე კასტელის მიერ დატოვილი დახასიათება ლოევან II დადიანისა. იტალიაში დაბრუნებულმა კასტელმა, ლევან II დადიანის თანამედროვემ, მის საქმიანობაში ჩახედულმა და პირადი ურთიერთობაში მყოფმა მისიონერმა, რომელიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა ადამიანების ფსიქოლოგიაში, მთავრის ორგვარი დახასიათება დაგვიტოვა: ერთი მისი მმართველობის ადრეულ პერიოდს ასახავს, მეორე კი, ბოლო პერიოდს. „იყო დადიანად წოდებული ერთი კოლხელი მთავარი, ხალხის მმართველი, კეთილი მზრუნველი, მოსარჩლე, სამართლიანი და გულმოწყალე. იგი გულუხვად ეხმარებოდა არა მარტო თავის ყმებსა და ქვეშევრდომებს, არამედ მეზობელი სამთავროების მცხოვრებთაც. სამართლიანი მთავარი სხვა სათნოებითაც იყო შემკული. სარგებლობა მოჰქონდა არა მხოლოდ თავის საბრძანებელში, არამედ აგრეთვე მრავალ სხვა მხარეშიც. ყველა ცდილობდა დადიანთან კეთილ დამოკიდებულებაში ყოფილიყო და მთელი გულითა და სულით უყვარდათ იგი. თვით დადიანმა ბოროტად გამოიყენა მისდამი ეს სიყვარული და შიში იბერიის ყველა მეფისა. სიამაყით განდიდებულმა თავი წარმოიდგინა ყოვლის შემძლედ. მოსაზღვრე სამთავროების მეფე-

მთავრებთან იგი ხშირად არღვევდა შეთანხმებას, რისთვისაც ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ აღთქმული პირობის შესრულებას. ასე გადაემტერნენ მთავარს იმერეთის მეფე გიორგი და გურიის მთავარი სიმონი, რომელსაც ცოლად ჰყავდა თვით მთავრის დადიანის და“[1].

ისევ კასტელი: „სამეგრელოს ამჟამინდელი ცოცხალი მეფე ლევან დადიანია. ის მიდრეკილია ომისაკენ. თვითონ არა აქვს მოსვენება და დამშვიდების საშუალებას სხვასაც არ აძლევს, მისი მეზობელი მთავრებისათვის, განსაკუთრებით კი იმერეთის საწყალი მეფისათვის, ეს დიდი უბედურებაა„[2].

---

[1] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, გვ. 43.
[2] ლიჩინი პ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 64

ბიბლიოგრაფია

აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977

ალასანია გ., ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978

ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990

ანტონ ბაგრატიონი, წყობილ-სიტყვაობა, წ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბ., 1972

არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974

არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938

არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1937

ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958

ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბ., 1946

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975

ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967

ბერძენიშვილი ნ., XVII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965

ბოცვაძე თ., საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.) თბ., 1963

ბოცვაძე თ., საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბ., 1968

ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს სგარეო პოლიტიკაში, თბ., 1990

ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. II, ტფილისი, 1900

ბურჭულაძე რ., პოლიტიკა და სამეფო ეთიკეტი, ეპიზოდი XVII საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან. „ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983

ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1959

გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.). კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954

გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958

გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით). მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972

გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955

გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965

გრიგოლია კ., ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. კრებულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბ., 1943

გიორგაძე ბ., ახალი დოკუმენტი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის შესახებ. ჟურნ. „მნათობი“, №1, 1960

გიორგაძე ბ., ულუგ ბეგ ბაიათი და მისი რელაციონი საქართველოს შესახებ. კრებულში: ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, I, თბ., 1975

გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტ. VII. ქართული სტამბის წიგნი 1629-1979, თბ., 1984

გულბეკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნეს ი, ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987

დონ ჯუზეპე მილანელი, წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964

დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976

დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973

ვათეიშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის კვალდაკვალ. გაზ. „კომუნისტი“, №175, 177, 178, 1983

ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1983

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995

თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, IV-V, თბ., 1999

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969

კაკაბაძე ს., ქართული წიგნის ბეჭდვის 320 წლის იუბილესათვის. ქართული მწერლობა, 1929, №8-9

კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფილისი, 1927

„კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე (XVII-XVIII საუკუნეები), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ქ. პავლიაშვილისა, თბ., 1999

კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბ., 1992

კაჭარავა დ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს. 50-იან წლებში, „მაცნე“, თბ., 1968, I

კაჭარავა დ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის (XVII-XVIII სს.). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბ., 1997

კაჭარავა დ., ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XVII ს-ის I ნახევარში. თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძის, როსტომ I-ის დიპლომატია. წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1998

კეკელიძე კ., ნიკიფორე ირბახი. ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, II, თბ., 1945

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1968

კუცია კ., ქართული აბრეშუმის წარმოების ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მეოთხედი). „ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983

ლიჩინი პატრიცია ანა, ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მ. პაპაშვილისა, თბ., 2009

ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991

ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი, ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს. კრებულში: საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბ., 1995

მამისთვალიშვილი ე., ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები, 310. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1992

მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II (1801-1921), გორი, 1999

მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გორი, 2002

მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის პატრიარქი თეოფანის III და საქართველო. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორიის სერია, II, თბ., 2002

მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს და პალესტინის დამაკავშირებელი გზები. გორის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი, 2007

მამისთვალიშვილი ე., საქართველო – იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 2008

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009

მამისთვალიშვილი ე., მეფე სვიმონ I, თბ., 2009

მამისთვალიშვილი ე., ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი. „ჩვენი უნივერსიტეტი“, სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი, №1, იანვარი, 2011

მაჭარაძე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს. თსუ შრომები, 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, V, თბ., 1965

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962

მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან მერვისადმი, 1627 წ. თარგმანი იტალიურიდან ი. ჭყონიასი. „ივერია, 1879, №3,

მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი და თარგმანი ვ. ფუთურიძის. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1964

მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979

ნაკაშიძე ნ., საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში. კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973

ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1978

ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978

ნატროშვილი თ., წელი ერთი და ათასი, თბ., 1988

ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამყული-ხან უნდილაძე. ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983

ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970

პარიჟის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოჲსა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1903

პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). „საისტორიო მოამბე“, 1920, თბ., 1965

პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). „საისტორიო მოამბე“, 23-24, თბ., 1970

პაპაშვილი მ., ერთი დიპლომატიური საკითხის გარკვევისათვის. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, ბათუმი, 2008

ჟან შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975

ჟორდანია გ., ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, „ცისკარი“, №5, თბ., 1963

ჟორდანია გ., თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1984

რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989

საითიძე გ., მასალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII საუკუნის 50-იანი წლები). „ქართული დიპლიმატია“, წელიწდეული, 5, თბ., 1998

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973

საქართველოს სიძველენი, წ I, გამოცემა მეორე, თფ., 1920

სვანიძე მ., საქართველო – ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990

სურგულაძე ა., საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიიდან (კაზაკები გონიოს ციხეში). კრებულში: „Из истории украино-грузинских связей“, III, Тб., 1975

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში II, თბ., 1985

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ., 1987

ტავერნიე ჟან ბატისტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა კ. გურულმა, თბ., 1974

ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1959.

ტივაძე თ., საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII საუკუნის 60-იან წლებში. ქართული სამეფოების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973

ტივაძე თ., ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტ. სერია, №3, 1973

ტივაძე თ., მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო (რუსული საარქივო მასალების მიხედვით), „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1975

ტივაძე თ., კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის შეხებ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1977

ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში. „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბ., 1982

ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. გამოსცა ე. მეტრეველმა, თბ., 1956

ტუღუში ა., გაბრიელ გეგენავა უცნობი ჯვარისმამა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი „საქართველო“, თბ., 1998

ტუხაშვილი ლ., ეროვნული ხსნის გასაყართან, ჟურნ. „ცისკარი“, № 9, თბ., 1983

უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1999

უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული. ისტორია, 6, თბ. 1978

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959

ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973

ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1998

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, 1897

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II, 1925

ფურცელაძე ა., ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ., 1911

ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არქივიდან (XVII ს.). ჟურნ. „მიმომხილველი“, II, 1951

ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ. 1965

ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955

ცინცაძე ი., ვასილ გაგარას და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965

ჩიქობავა არნ., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1983

შენგელია ნ., მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979

ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957

ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ. „ცისკარი“, 1986, №3

ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის თაობაზე. სიმონ ქართლის მეფის წერილები ესპანეთში. „ცისკარი“, 1986, №6

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967

ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964

ჯამბურია გ., ქართლ-კახეთის დროებითი გაერთიანება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973

ჯამბურია გ., კომპრომისი ირანისა და ქართლის ურთიერთობაში. როსტომ ხანი და თეიმურაზ მეფე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973

ჯიქია ს., ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 13, 1942

ჯიქია ს., ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943

* * *

Antonio de Govea, Relations des grandes Guerres et Victoires obtenues par le roy de Perse Cha Abbas contre les Empereures de Turquie Mahomet et Achmet son fils… Rouen, 1646

Avalishvili Z., Teimuraz I and his poem `The Martirdom of Queen Ketevan“. Georgica, London, 1937, v. I, №3-5.

Bayani K., Les relations de l’Iran avec l’Europe occidentale à l’époque Safavide, Portugal, Espagn, Angleterre, Hollande et France (avec document inedite), Paris, 1937

Bellan L., Chah Abbas. Sa vie, son histoire, Paris, 1932

Boxer C. R., Anglo-Portuguese rivalry in the Persian Gulf, 1615-1635. In Chapters in Anglo-Portuguese Relations, ed. E. Prestage, Watford, 1935

Chronicle of the Carmelites in Persia end The Papal Mission of the XVII the and XVIII the centuries, I London, 1939

Creasy E. S., History of the Ottoman Turks, Beirut, 1961

Estat de la Perse en 1660 par le P. Rafael du Mans Superieur da la vaison des capucins d'Isphahan, Paris, 1890

Ferrier R. W., An English view of Persian trade in 1618. Jurnal of The Economic and Social History of the Orient, vol. XIX, part II, Leiden, 1976

Gulbenkian R., L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, elchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605, Lisbonne, 1972

Jules Berger Xivrey, Recueil des lettres missives de Henri IV, Paris, 1853

Knolles R., The Generall Historei of the Turks, Oxsford, 1631

Malcolm J., Histoire de la Perse, II, Paris, 1821

Pietro Della Vale, Viaggi descritti in 54 famigliari, 4 vol., Roma, 1650-1658 di cui si son fatte piu edizioni e traduzioni.

Relaciones Don Juan de Persia. Dirigidas a la Magestad Catholica de Don Philippe III. Rey de las Españas, y seňor nuestro. Divididas en tres libros, donde se tratan las cosas notables de persia, la genealogia de sus Reys, guerras de persianos, Turcas, y Tartaros, y las que vido en el viaje qve hizo àEspaňy su conuersion, y la otros dos Cavalleros Persianos. Aňo 1604. Con privilegio. En Valladolid por Juan de Bestillo: en la calle de Samano.

Stefano Paolini, Dittionario Georgiano e Italiano. Composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. Niceforo Irbachi Georgiano, Monaco di S. Basilio. Ad vso de'Missionarii della Sagra Congregatione de Propaganda Fide. In Roma

Wilson A. T., The Persian Gulf, Oxford, 1928

* * *

Акты исторические, собранные и изданные археографической комиссией. Серия документов по истории России, изданная Археографической комиссией, т. I, СПб., 1843

Байбуртян В. А., Армянская колония Новой Джульфы в XVII в. (Роль Новой Джульфы в ирано-европейских политических и экономических связях), Ереван, 1969

Белокуров С. А., Материалы для Русской истории, М., 1888

Белокуров С. А., Дело о присылке шахом Абасом Риза Господни царю Михайлу Федоровичу в 1625 г. Сб.: «Московского главного Архива МИД», вып. 5, М., 1893

Брайловский С., Новый вариант повести о ризе Господа нашего Иисуса Христа. «Библиограф», СПб., 1889, №1

Бушев П. П., История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 (по русским архивам), М., 1976

Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003

Веселовский Н. Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, I, СПб., 1890

Веселовский Н. И., Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, III, Петербург, 1898

Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643). Издание М. Полиевктова, Тб., 1928

Жордания Г., Очерки из истории франко-русских отношений, ч. II, Тб., 1959

Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994

История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, М., 1958

Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв. Документы и материалы в 2-х томах, т. I, М., 1957

Кушева У. Н., Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв., М., 1963

Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Документы к печаты подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тб., 1937

Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., Тб., 1958

Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968

Новосельский А. А., Борьба Московского государства с татарами в первой половине в. М.- Л., 1948

Новосельцев А. П., Русско-иранские политические взаимноотношения во 2-ой половине XVI в., «Международные связи России до XVII в.», М., 1961

Оболенский М., Новые материалы для истории Кирилла Лукариса. «Православное обозрение», 1860, №1

Очерки истории СССР. XVII в., М., 1955

Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией. Изданы под редакциею Н. И. Василевского, СПб., 1892

Панченко К. А., Османская империя и судьбы православия на Арабском Востоке (XVI - начало XIX века). Институт Азии и Африки при МГУ им. М. Ломоносова. „Древо жизни“, М., 1998

Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1677 г., СПб, 1861

Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958

Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935

Полиевктов М., К вопросу об авторстве статейного списка „С“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, №1, 1940

Полиевктов М., К вопросу о сношениях Ростома Карталинского с Москвою. „ენიმკის მოამბე“, V-VI, 1940

Положение Ризи господней (10 июля). «Воскресное чтение», издаваемый при Киевской Духовной Академии, №14, 1840

Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643). Издание М. Полиевктова, Тб., 1928

Приходько Г., История христианства в Казахстане и Средней Азии в Средние века Караганда, 2000

Путешествие русских послов XVI-XVII вв., М.-Л., 1954

Русско-дагестанские отношения XVII-первой четверти XVIII века (документы и материалы). Махачкала, 1958

Синодик Крестного Монастыря в Иерусалиме. Изд. Н. Марр, СПб., 1914

Смирнов Н. А., Смирнов Н. А., Россия и Турция в XVI-XVII вв., в двух томахю «Ученные записки МГУ им. Ломоносова», вып. 94, М., 1946, т. II

Сношения России с Кавказом. Материалы извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел С. Ал. Белокуровым, вып. I, 1587-1613 гг., «Чтения ОИРД», М., 1889

Соловьев С. М., Сочинения, кн. V. История России с древнейших времен. тома 9-10, М., 1990

Тер-Аветисян, Город Джуга. Материалы по истории торговых сношений джульфинских купцов XV-XVII вв., Еб., 1937

Тивадзе Т. Г., Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержащиеся в архивном фонде «Сношения России с Персией». კრებულში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973

Толковый словарь живаво великорускаго языка В. Даля, т. IV, СПб.-М., 1882

Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае. Палестинский Православный Сборник, IV, 1888

Eldar Mamistvalishvili

FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA
II
(XVII c. I half - the Epoch of Teimuraz I)

Resume

On the boundary of the XVI-XVII centuries Georgia divided into kingdoms-principles appeared in a hostile surrounding. The existing situation greatly hindered its sociological-political and cultural-economical development. „With the favour“ of Ossmalia and Iran Georgia severed from the West European countries and Russia. Even the countries of South-East Caucasus and the nearest East which traditionally had a close relation with Georgia, became hostile towards it. The work deals with the facts that show that travelling in the West, East, North or South became difficult for Georgians. The way out from this isolation was hard to find, but at the same time it was inevitable, and Georgian politicians faced it not only in the period of research, but also before and after it.

The main directions and peculiarities of the Georgian policy and diplomacy in the I half of the XVII c. is determined by the activities of some famous Georgians and their surrounding. It is significant that they were born at the same time. They spent their knowledge, experience, talent and skills in struggling not only with their enemies, but also with each other. They were: the Kings of Kartl-Kakheti (periodically) Teimuraz I and Rostom (1533-1658), the Kings of Imereti – Giorgi III (1605-1639) and Aleksandre III (1639-1660), the Principle of Odishi Levan II Dadiani (1611-1657), military and political figure „Didi Mouravi“ (Great Manager) – Giorgi Saakadze (†1629), politician and diplomat in 1626-1658 – Nikipore Irbakhi. They (except Giorgi III and Giorgi Saakadze) died at the same time.

In the period of research the foreign policy of Georgian kingdom-principles mainly was led in five directions: Iran, Ossmalia, Russia, West and Central Europe, North and South-East Caucasus. It is significant that the interests of the Georgian political units towards the abovementioned regions was not always the same. The changeability of the interests was determined by internal and foreign factors.

The I half of the XVII c. was distinguished by the armed aggression and diplomatic press of Iran towards the East Georgia. Shahs' attempt to drive Teimuraz I into slavery was unacceptable for this obstinate King. But due to the social-political and economical condition of Georgia in spite of separate successful resistances he was not able to oppose Iran's aggression till the end alone, which openly tried to lead the policy of incorporation and genocide in the East of Georgia. The King Teimuraz I did his best to find forces in order to oppose Iran. The condition led Teimuraz or his ambassadors to the sovereigns of Ossmalia, European countries and Russia.

While the military struggle with Iran Ossmalia was satisfied with gradual incorporation of Samtskhe and in difference with the XVI century, Ossmalia led „mild" policy not only towards the East Georgia, but also towards the West Georgia. Osslamia tried to use Teimuraz's struggle towards Iran for own interests and did not disturb the rest of Georgia. Russian was still conducting defensive struggle with Ossmalia. Aggravation of the relation with Russia was not an interest of Ossmalia. That's why Ossmalia ignored the stirring up the relation between the Kingdom of Imereti and Russia, because of not considering Russia as a serious enemy in Transcaucasia. The settling of the relation between these two big states seemed to be hastened by the fact that they both had the common enemy – Poland. But it was impossible, because the obedient khanate of Crimea constantly attacked the nights of the South Russia and annihilated them. Once (in 1632-1633) Crimean people reached Moscow. Cossacks subordinated to Poland and the Cossacks of Dnepr - always obedient to Moscow authority did the same towards the populated places situated at the coast of Ossmalian Black Sea. Sometimes even Cossacks reached to Istanbul.

Those days while being opposed to Iran, Ossmalian authority tried to keep own influence in the Caucasus gained by the help of the truce of Amasia. As V. Gabashvili stated, the truce of Amasia was an instrument of Iran-Ossmalian aggressive policy towards the Transcaucasus in the XVI-XVII centuries. We may say that it became an axis of the relation between Iran and Ossmalia and each case connected to the Transcaucasus went round it. That's why Ossmalia pretended not to notice close relation of Odishi Principle to Iran. In such condition the striving of the Georgian politicians led by Teimuraz I to create a anti Ossmalian coalition was unjustified. While Iran should be detained which sometimes expressed direct aggression towards the East Georgia and sometimes manipulated with own satellites, set the Principle of Odishi against the Kingdom of Imereti.

It should be mentioned that like XVI century even now Georgian diplomats' attempt to use the resistance between Iran and Ossmalia for their own interests sometime was successful.

The ambassadors sent by Teimuraz I and led by Nikipore Irbakhi (Nikoloz Cholokashvili) are being in the centre of researchers' attention for a long time. Nearly every researcher declares that the aim of these ambassadors was the creation of anti Ossmalian coalition. To my mind, this fact contradicts historical sources and even there is no logical reality. The King Teimuraz aimed to find anti Iranian and anti Ossmalian force in Europe (this interest drove him to Spain royalty. Teimuraz and his partners supposed that Spain had anti Iranian course but later they found out that the opposition was not strong enough to create anti Iranian coalition. That's why Nikipore Irbakhi and Spanish guards instead of creating anti Iranian coalition, worked out the plan of anti Ossmalian coalition). When Spanish authority learnt that Teimuraz's plan was quite the opposite from the decisions made in Madrid. Diplomatic relation between Kartl-Kakheti and Spain did not continue any more.

After unfruitful attempts in searching allies in different countries Georgian politicians considered Russian as a potential defender ally from

the aggressor. They considered that despite of opposing each other, Russia and Iran still had quite serious common interests (trade-economical, both of them were opposed to Ossmalian state, both of them had a desire of supremacy in the North Caucasus), that Russia was the only state which was able to make a diplomatic influence on Iranian authority. If the relation with Russian did not have a desirable effect and Russian military forces could not come to Georgia then Georgians would get financial and armament support. They supposed that corresponding to the pragmatic interests of Russia it should support Georgian anti Iranian forces. According to the military point of view, Georgia should be acceptable for Russia because of its anti Iranian course. In addition, Georgian and Russia had the same religious belief, which was not a meaningless factor in the Middle ages.

Although the diplomats of Moscow always tried to raise a question of Georgia to Shahs and were its defenders due to the same religious belief, Russia could not do anything else for Georgia because of its serious internal and foreign problems. The civil war and intervention weakened active foreign policy of Moscow state like Russian policy in Caucasus. That's why the belief of Teimuraz I was unsuccessful from the very beginning as he expected a hand from Moscow for repulsing Iranian aggression. Despite this circumstance Georgia's defense, unification of reinforcement from the Muslim neighbour was not foreseen in the plans of Russian foreign policy, that was clearly seen in the middle of the XVII century. The policy of Russian towards Georgia remained the same till the end of the XVIII century.

Georgian politicians considered that they'd better lead a safe connection to Moscow and suspend the attacks from the North Caucasians by the support of Russia.

The I half of the XVII c. mainly is replete period with the affairs done by Teimuraz I. His entireness, energy and obstinacy, devotion to Orthodoxy was felt in the whole Georgia. Everything done in the internal

and foreign policy was led by the King Teimuraz or directed against him. The tragedy of his family and relatives lay on the country like a black mist.

Both the Georgian and foreign documents and narrations reflect the relief episodes of treason, unreliability and brutality encouraged by the foreigners. It is clearly seen how the King Teimuraz tried to find the way out from this difficult situation. He used or sometimes tried to use more or less important opportunities in order to save the country from physical annihilation.

In the book a special space is meant for Teimuraz I as to the hero of his epoch. He periodically was the King of Kakheti, Kartl-Kakheti or persecuted from Shahs sheltered by Ossmalia or Imeteri, but he always was an active politician.

The work deals with the foreign policy and diplomacy of the large political units (Kartli Kingdom of the King Rostom, the Kingdom of Imereti of the Kings Giorgi II and Aleksandre III, Odishi Principle of Levan Dadiani) of Georgia in the I half of the XVII century. They were either allies or opponents to each other. In 30s of the same century as a result of the Iranian Shah's policy two Georgian separative unions - Teimuraz I and Aleksandre III and on the other side the King Rostom and Levan II Dadiani. They often had armed struggles with each other. Each union had own orientation in the foreign policy: the first one was oriented on Russia and the second one was oriented on Iran. The Sovereign of Moscow fed Georgian politicians only with separative attitude, but the Iranian Shah who knew Georgia better was more successful.

The period of research is full of episodes reflecting armed struggles with foreign enemies together with internal diplomatic struggles. Despite of the great sacrifice Georgian people managed to keep identity. Even Muslim Rostom-Khan tried to be Georgian and do Georgian national job.

The readers of the both, I and II volumes of the monograph will pay attention to the fact that there is a lack of Georgian written sources around the research topic. But if you look back to the past everything will become clear. We can hardly find any Georgian document or information about

those Georgian diplomats, who are highlighted in details in Russian, West European, rarely even in the Eastern documents and narrative sources. The only reason is not constant attacks from foreign enemies, feudal separations inside the country or natural calamity. It is considerable that the royalty and the apparatus of the officials consciously annihilated the documents reflecting political relations with different countries in order those documents not to appear in the hands of the lords of Islamic states as those documents reflected the diplomatic relation of the Georgian politicians with those countries which often were opposed to our neighbours. The main trouble of the Georgian diplomacy was to find an alien against them. Not only those politicians, who worked out foreign policy were in danger but also those ones who were obliged to realize it. Supposedly keeping and storing the documents reflecting their diplomacy was not desirable for them. One of the reasons should be the fact that when the Georgian kings sent ambassadors and other representatives abroad they used to give them tasks of a great importance orally (this kind of method of diplomacy was used by the other countries as well) and they were obliged to bring the answers orally too.

Эльдар Мамиствалишвили

ВНЕШНЯЯ ПОЛИТИКА И ДИПЛОМАТИЯ ГРУЗИИ II (Первая половина XVII в. - эпоха Теймураза I)

Р е з ю м е

На рубеже XVI-XVII веков Грузия, распавшаяся на княжества, оказалась в полном вражеском окружении, которое сильно помешало ее социально-политическому и культурно-экономическому развитию. По «милости» Османской империи и Ирана Грузия была оторвана от государств Западной Европы и России, от стран юго-восточного Кавказа и Ближнего Востока, с которыми традиционно имела тесные отношения. Они тоже были настроены враждебно по отношении к Грузии. В труде приведены факты, свидетельствующие о том, насколько трудно было грузинам путешествовать по другим странам, независимо от того, были они расположены на западе, востоке, севере или юге. Поиск выхода из такой изоляции со всей остротой стоял перед грузинскими политиками не только в исследуемом периоде, но и до и после него.

Основные направления и особенности грузинской политики и дипломатии I половины XVII в. определились деятельностью известных грузинских государственных деятелей, среди которых были: цари Картли-Кахети Теймураз I (1606-1658) и Ростом (1533-1658), цари Имерети – Гиорги III (1605-1639) и Александр III (1639-1660), правитель Одиши Леван II Дадиани (1611-1657), военный и политический деятель, Великий моурави – Георгий Саакадзе (†1629), политик и дипломат Никифор Ирбах (1659).

Внешняя политика и дипломатия царств-княжеств Грузии в исследуемом периоде в основном осуществлялась по пяти направлениям: Иран, Османская империя, Россия, Западная и Центральная Европа, Северный и Юго-Восточный Кавказ. Следует учесть то обстоятельство, что интересы грузинских политических единиц к названным сторонам не всегда были одинаковы. Изменчивость интересов была обусловлена внутренними и внешними факторами.

Первая половина XVII в. характеризовалась вооруженной агрессией и дипломатическим давлением Ирана на Восточную Грузию. Старание иранских шахов поставить Теймураза I в положение вассала, для царя было неприемлемым. Но из-за своих социально-политических и экономических условий, несмотря на сопротивление, Восточная Грузия не могла одна противостоять агрессии Ирана, который открыто старался проводить в Восточной Грузии политику инкорпорации и геноцида.

Теймураз всячески старался найти силы для противостояния Ирану. Такое положение привело Теймураза и его послов ко двору повелителей Османской империи, государств Европы и России.

Во время военного противостояния с Ираном Османская империя удовлетворялась постепенной инкорпорацией Самцхе и, в отличие от XVI века, не только в отношении Восточной Грузии, но и в отношении «покровительствуемой» Западной Грузии проводила «мягкую» политику. Османская империя старалась обратить в свою пользу борьбу Теймураза против Ирана, и остальную Грузию особо не тревожила. Россия против Османской империи пока еще проводила оборонительную борьбу. Обострение отношений с Россией не входило в интересы Османского правительства. Поэтому оно закрывало глаза на активизацию отношений Имеретинского царства и России, так как Россия не считала Османскую империю серьезным противником в Закавказье. Урегулирование отношений между этими двумя большими государствами должно было быть ускорено тем, что у них был общий враг в лице Польши. Но этого не произошло из-за того, что покорное Османской империи Крымское ханство постоянно нападало на южные районы России и разоряло их. Крымчаки однажды (в 1632-1633 гг.) дошли даже до Москвы. Почти также поступали находящиеся в подчинении Польши донские казаки и не всегда послушные Московскому правительству днепровские казаки в отношении населенных пунктов Османской империи на побережье Черного моря. Иногда казаки доходили и до Стамбула.

В то же время, в условиях противостояния с Ираном Османское правительство старалось сохранить сферы влияния хотя бы на Кавказе, установленные Амассийским перемирием. Как отмечал В.Габашвили, Амассийское перемирие представлял собой инструмент ирано-османской агрессивной политики в отношении Закавказья в XVI-XVII вв. Оно стало «осью» ирано-османских отношений, вокруг которой крутились вопросы, связанные с Закавказьем. Потому Османская империя как бы не замечала сближения Одишского княжества с Ираном. В такой ситуации было бы неоправданным стремление грузинских политиков во главе с Теймуразом I к Европе для создания антиосманской коалиции, тогда, как нужно было остановить Иран, который в Восточной Грузии то осуществлял прямую агрессию, то действовал посредством своих сателлитов, а против Имеретинского царства использовал Одишское княжество.

Следует отметить, что грузинские дипломаты в XVII в., как и прежде, старались (и иногда успешно), использовать в своих интересах противостояние между Ираном и Османской империей.

Долгое время в центре внимания исследователей находится отправленноей в Западную Европу Теймуразом I посольство во главе с Никифором Ирбахом (Николоз Чолокашвили). Почти все исследователи

единогласно заявляют, что целью посольства было создание антиосманской коалиции, что, по моему мнению, противоречит историческим источникам и логически не отражает действительности. Целью царя Теймураза было подыскать в Европе антииранские, а не антиосманские силы. Этот интерес привел его дипломата ко двору Испанского короля, который по предположению Теймураза и его сторонников должен был быть настроен против Ирана. Но оказалось, что противостояние Испании и Ирана не было столь сильным, чтобы она заботилась о создании антииранской коалиции. Поэтому Никифором Ирбахом и придворными Испанского короля вместо антииранского плана Теймураза I был создан план антиосманской коалиции. Когда испанскому правительству стало известно, что план Теймураза I полностью противоречит принятому в Мадриде решению, дипломатические отношения между Картли-Кахети и Испанией прервались.

Грузинские политики, безрезультатно прозондировав в разных странах почву для союзничества, сочли Россию потенциальным союзником для обороны от агрессора. По их мнению, несмотря на противоречия между Россией и Ираном, у них были настолько серьезные общие интересы (торгово-экономические, противостояние обоих против Османского государства, желание господствовать на Северном Кавказе), что Россия более других государств могла оказать дипломатическое воздействие на Иранское правительство. В случае, если бы отношения с Россией не имели желаемого эффекта и российское войско не пришло бы в Грузию, грузины должны были получить хотя бы финансовую помощь и оружие. По их предположению, Россия, исходя из своих прагматических интересов, должна была помочь грузинской антииранской силе. Сильная в военном отношении, антиирански настроенная Грузия, должна была устраивать Москву. К тому же, немаловажным фактором было единоверие грузин и русских.

Несмотря на то, что во время переговоров с шахом московские дипломаты всегда выдвигали вопрос Грузии и по принципу единоверия выступали даже ее защитником, из-за своих внутренних и внешних проблем Россия дальше этого продвинуться не смогла. Гражданская война и интервенция сильно ослабили активность внешней политики Московского государства. То же самое можно сказать и о кавказской политике России. Поэтому уверенность Теймураза I в том, что с помощью Москвы он сможет отразить агрессию Ирана, с самого начала была обречена на крах. Если б даже не это, защита Грузии от соседей-мусульман, ее объединение или усиление не входили в перспективный внешнеполитический план Москвы, что явно проявилось в середине XVII

века. Такой же оставалась политика России в отношении Грузии до конца XVIII века.

Грузинские политики также думали с помощью России остановить нападения северокавказцев и открыть безопасный путь на Москву.

Первая половина XVII века - в основном период активной деятельности Теймураза I. По всей Грузии чувствовались его энергия и упорство, верность и преданность православной вере. Все, что происходило в тогдашней внутренней и внешней политике Грузии, управлялось царем Теймуразом или было направлено против него. Трагедия его семьи и близких черным туманом висела над страной.

Как грузинских, так и в иностранных документах того времени и в нарративных источниках рельефно видны эпизоды измены, вероломства и жестокости, поощряемые извне. Видно, как царь Теймураз искал выход из создавшегося положения, использовал или старался использовать все, более или менее значительные возможности, чтобы спасти страну от физического уничтожения.

В книге особое место занимает деятельность героя эпохи - Теймураза I. Периодически он был царем Кахети, Картли-Кахети или, преследуемый шахами, укрывался в Имерети и Османской империи, но всегда вел активную политическую деятельность.

В труде по отдельности рассмотрены внешняя политика и дипломатия крупных политических единиц Грузии первой половины XVII века (Картлийское царство царя Ростома, Имеретинское царство Гиорги II и Александра III, Одишское княжество Левана Дадиани). Они больше трудились для связи между собой или друг против друга. С 30-х годов того же столетия в результате проводимой иранским шахом политики окончательно сформировались две противостоящие друг другу грузинские группы – Теймураз I - Александр III и царь Ростом - Леван II Дадиани. Между ними часто были вооруженные столкновения. У каждой группы была свой внешнеполитическая ориентация: у первой – на Россию, у второй – на Иран. Московский правитель лишь кормил ориентированных на него грузинских политиков обещаниями, а иранские шахи, которые лучше знали Грузию и у которых на службе были многие грузинские вельможи, достигали больших успехов.

Исследуемый период полон эпизодов борьбы дипломатическими средствами и вооруженной борьбы с внешними врагами Грузии и междоусобиц. Несмотря на огромные жертвы, грузинский народ смог сохранить свою самобытность. Даже мусульманин Ростом-хан, считал себя грузином и делал грузинское национальное дело.

Как в I, так и во II томе настоящей монографии читатель обратит внимание на недостаточность грузинских письменных источников по исследуемым вопросам. Но если мы взглянем на трудное прошлое нашей

страны, то все станет понятно. Мы почти не имеем ни одного грузинского документа или предания о тех грузинских дипломатах (и не только представленных в настоящем исследовании, но и более раннего периода), о деятельности которых весьма подробно сообщают русские, западноевропейские, а также (хоть и редко) восточные документальные и нарративные источники. Такое положение не могло быть результатом только частых нападений внешних врагов и феодальных междоусобиц или стихийных бедствий. Предположительно, царский двор и чиновничий аппарат сознательно уничтожали документы, отражающие политические отношения с разными странами, чтобы они не попали в руки правителей исламских государств и не стали известными дипломатические отношения грузинских политиков с теми странами, которые часто находились в противостоянии с нашими соседями. Ведь главной заботой грузинских политиков был поиск союзников против них. Опасность грозила не только разработчикам внешнеполитического курса, но и его непосредственным исполнителям. Сохранение документов, отражающих их дипломатическую деятельность, видимо, было нежелательным. Одной из причин могло быть и то, что грузинские цари, отправляя послов и других представителей за рубеж, давали им задания особой важности устно (такая практика была характерна и для дипломатических служб других стран), и те были обязаны свои ответы сообщать также в устной форме.

პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები*

პირთა სახელები

ა

აბაზა ფაშა (არზრუმის ბეგლარბეგი), ბახა ბახა რებელდე (142, 143, 146, 198, 239-241, 257, 258)

აბანიოს მარკო ანტონიო (წარმოშობით სომეხი) 185, 191

აბას I იხ. შაჰ აბას I აბაშიშვილი ქეთევანი 494

აბაშიძე ლევან (კათალიკოსი) 526

აბაშიძე მალაქია (კათალიკოსი) 526

ავალიშვილი 147

ავთანდილი (გიორგი სააკაძის ვაჟი) 541

ავიტაბილე დონ პიეტრო (კათოლიკე მისიონერი) 54, 214, 267, 276, 284-289, 292, 294-296, 303, 304, 306, 308-312, 316-321, 323, 227-329

ათანასიო (ბერძენი არქიდიაკონი) 215, 219, 222, 229

აკილე ვენერიო (ვატიკანის სტამბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი) 270

აკოფაშვილი გ. 204, 208, 209, 214, 217, 265, 266, 283, 649, 651, 660

ალავერდი ხანი (ფარსის ბეგლარბეგი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, შაჰ აბას I-ის სარდალი) 2, 18, 26, 31, 49

ალასანია გ. 589, 628, 660

ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეი იხ. კაიტბეი ალ-აშრაფ საიდ ად-დინ

ალაჰ-ვერდი იხ. ალავერდი ხანი

ალბა (ჰერცოგი, ნეაპოლის ვიცე-მეფე) 221, 240, 247, 249, 253, 221

ალექსანდრე (აბრამის შვილი), თუშ-ხევსურ-ფშავთა ელჩი 454

ალექსანდრე ბატონიშვილი იხ. ალექსანდრე III იმერეთის მეფე

ალექსანდრე I იხ. ალექსანდრე II

ალექსანდრე დიდი (მაკედონელი) 231

ალექსანდრე ლევანის ძე იხ. ალექსანდრე II

ალექსანდრე (იმერეთის მეფე გიორგი II-ის შვილი) იხ. ალექსანდრე III

ალექსანდრე II (კახეთის მეფე, 1534-1605) 14, 31, 38, 40, 42, 43, 52, 54, 373, 377, 386 389, 393, 418, 420, 421, 614, 536, 657

ალექსანდრე, სვიმონ I-ის ელჩი

* შეადგინეს მ. ინასარიძემ და მ. ჩხაიძემ

181, 182, 185, 186, 191-194
ალექსანდრე (თეიმურაზ I-ის უმრწემესი ძე) 72, 73, 103, 125, 134, 299
ალექსანდრე II-ის მემკვიდრეები 16
ალექსანდრე VI (რომის პაპი) 153, 154, 161-163
ალექსანდრე (იმერეთის ბატონიშვილი) იხ. ალექსანდრე III (იმერეთის მეფე)
ალექსანდრე (ქართველი) იხ. ალექსანდრე II
ალექსანდრე (თეიმურაზ I-ის სიძე) იხ. ალექსანდრე III
ალექსანდრე (იმერეთის მეფე) იხ. ალექსანდრე III
ალექსანდრე III (იმერეთის მეფე 1639-1660) 7,11,82, 282, 311, 313, 319, 340, 341, 353, 396, 402, 403, 408, 411, 412, 415, 420, 434, 437-439, 456, 457, 460, 468, 478-481, 493, 495, 506, 508, 520, 541-548, 550-562, 564-573, 575, 585-587, 612, 631.
ალექსანდრე III-ის ელჩები 340
ალექსანდრე ხანი იხ. ალექსანდრე III
ალექსიძე ალექსი 442
ალექსი მიხეილის ძე (რუსეთის მეფე 1645-1676) 396-400, 403, 404, 406, 409, 412, 414, 416, 423-426, 431, 432, 443, 445, 446, 450, 451, 453, 456, 458, 461, 464, 470, 480, 506, 509, 544, 547, 552, 555, 557-561, 563, 564, 567-570, 572-574
ალექსი მიხეილის ძე (უფლისწული) 348,360
ალექსი (შავი მღვდელი) 346
ალექსანდრე (გიორგი III-ის ვაჟი) იხ. ალექსანდრე II (იმერთა მეფე)
ალი სალტან მურზა 457
ალვარესი ანტონიო (ესპანეთის მეფსი ვიკარიუსი) 226
ალი (იბნ აბუ ტალიბი, 602-661) მეოთხე „მართლმორწმუნე“ ხალიფა 20,23
ალიბეკი (ყუმუხელი თავადი) 102
ალი ყული ხანი (ირანელი სარდალი) 93
ამირეკი იხ. ფეშანგი ამირის ძე ფაშვიბერტყა ძე – ხითარიშვილი
ალფაეტ ბეი იხ. ყვარყვარე IV
ამბასა ფაშა იხ. აბაზა ფაშა
აბროზიო (ავგუსტინელი ბერი) 208
ამილახვარი ანდუყაფარ 50
ამილახვარი იოთამ 498
ამილახვარი ნოდარ 498
ანა (მამია II გურიელის ასული, თეიმურაზ I-ის მეუღლე) 52
ანდრონიკაშვილი ადამ (კახელი თავადი) 68
ანდრონიკაშვილი ადამ სულტან (შაჰის დისშვილი) 499
ანდუყაფარ ამილახვარი – იხ. ამილახვარი ანდუყაფარ
ანთელავა ი. 299, 300, 375, 577, 634, 578-580, 589, 592, 600, 602, 644, 660
ანრი IV (საფრანგეთის მეფე, ბურბონების დინასტიის დამაარსებელი, 1589-1610) 24
ანტონიო პერენონი (გრანველის მბრძანებელი, ესპანეთის მეფე კარლ V-ის მრჩეველი) 166
არაგვის ერისთავი ნუგზარ 68
არაგონიის მეფე 28, 189
არზრუმის ბეგლარბეგი 132
არეშიძე დიმიტრი ეზეკიელის ძე 457, 458, 474
არსენი (არქიდიაკონი ჩუდის მონასტრიდან) 347
არსენი (ეპისკოპოსი) 355
არსენი (ათონის სიმონ-პეტრას მონასტრის არქიმანდრიტი) 121, 213
არსენ IV (საქართველოს პატრიარ-

ქი 1241/42-1249/50 წ.წ.) 158
არსენი (ალავერდელი მიტროპოლიტი) 403, 431
არტიმონ (ევდემონ) არქიმანდრიტი 562
არქანჯელო ლამბერტი (კათოლიკე მისიონერი) 36, 45, 46, 53, 55, 57, 278, 282, 283, 637-640, 647, 578, 579, 585, 587, 586
არჩილ II იმერეთის მეფე (1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698, ქართლის მეფე ვახტანგ V-ის ძე) 44, 45, 56, 58, 59, 64, 73, 408, 482
ასათიანი ლ. 660
ასლანიშვილი დავით 73
ასტრახანის ბოიარი 437
ასტრახანის ვოევოდები 441, 457
აფანასიევი ანდრია 318
აღათანგ ხერხეულიძე იხ. ხერხეულიძე აღათანგ
აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების გამგებლები 392
აჩიკ-ბაში იხ. ბაში აჩუკი
აჰმედ ფაშა 635
აჰმედ I (1603-1617) ოსმალეთის სულთანი 75, 95, 131
აჰმედ ხან დირაზის ძე იხ. კიკოლა შალიკაშვილი

ბ

ბაგრატი (კახეთის უფლისწული, განაგებდა კახეთს ბაგრატ-ხანის სახელით 1615-1619 წლებში) 41
ბაგრატი (კახეთის უფლისწული, სვიმონ I-ის ძმის – დაუდ-ხანის ვაჟი) 41, 75, 93, 137
ბაგრატი (ალექსანდრე III-ის ძე) 556-560, 562, 609
ბაგრატი (დაუდ-ხანის ძმა) 493
ბაგრატიონები 65, 421, 428
ბაგრატიონი ანტონი 655, 660
ბაჩია (ალბათ, გიორგი IV დადიანის დამახინჯებული სახელი) 586
ბადახოსი გარსია დე, გარსია დე ბადახოსი 156
ბარათაშვილი რევაზ 449
ბარამიძე ალ 408, 660
ბარბარ იხ. ბარბარე
ბარბარა იხ. ბარბარე
ბარბარი () იხ. ბარბარე
ბარბარე (არაგვის ერისთავის ასული, თანამეცხედრე ომან ჩოლოყაშვილისა, ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახის დედა 205-207
ბარიატინსკი მ. კ. 108, 109
ბასილი (წმ.) 150, 161, 863
ბასილიანელი ბერი 222
ბასრის ოსმალო ფაშა 200
ბაში აჩუკი (იმერეთის მეფე) 138, 182-183, 186
ბახა ბახა რებელდე იხ. აბაზა ფაშა
ბეგლარ ბეგი 169
ბეგუნი ქეთევანი (საქართველოს დედოფალი; გურჯისტანის, იგივე ალბანის [კახეთის] მმართველის დედა) 60
ბეჟია ჩხეიძის ქალი 556
ბარბერინი 278
ბერი ეგნატაშვილი 400
ბერძენიშვილი ნ. 38, 43, 85, 389, 468, 429, 579, 660
ბექა III იხ. საფარი 448, 481, 503
ბიბილეიშვილი ც. 54, 662
ბიძინა დავითის ძე (აზნაური) 457, 474
ბიძინა (ივანეს კაცი) იხ. ბიძინა (თარჯიმანი)
ბიძინა (თარჯიმანი) ბიძინა (ივანეს კაცი) 408, 440
ბოიარჩიკოვი ივანე (ალექსანდრე მეფის მთარგმნელი) 508
ბოლკონსკი ფ-ს ელჩობა 392
ბომბარიკ ოფანასი 399

ბორის გოდუნოვი 123, 615
ბორის თედორეს ძე 78, 79, 90, 117
ბორმასოვი ტიხონ 121
ბოცვაძე თ. 39, 40, 76, 84, 86, 374, 604, 661
ბროსე მ. 566, 574, 641
ბუინოსოვ-როსტოვსკი (ასტრახანის ვოევადა) 148
ბულგაკოვი გრიგოლ (შიკრიკი) 398, 399, 401, 407
ბულატ-ბეგი (შაჰ-აბას I-ის ელჩი) 96, 108, 115
ბურნაშოვი ი. 110, 115
ბურჯანაძე შ. 540, 661
ბურჭულაძე რ. 83, 661
ბუხაროვი ალ. 70
ბუშევი პ. პ. 41

გ

გაბაშვილი ვ. 17, 27, 29, 30, 33, 199, 315, 601
გაბაშვილი ტიმოთე 206, 207, 211, 321, 647, 666
გაბრიელ მთავარანგელოზი 206
გაგარი ვასილი 510, 513, 517
გამეზარდაშვილი ზ. 203, 204, 208, 210
განჯის ხანი 317, 444
გარსია დე ბადახოსი იხ. ბადახოსი გარსია დე
გეგენავა გაბრიელ (ლევან II-ის ელჩი მოსკოვში) 580, 593, 598, 560, 601
გერმანე არქიმანდრიტი 443
გერმანელი ექიმი 345
გერმანიის იმპერატორი 17, 120
გვილელმო (პორტუგალიელი პატრი) 208, 209
გვინაყალი 557
გვრიტიშვილი დ. 68, 589, 590, 661
გიორგაძე ბ. 203, 615, 661, 638
გიორგი უფლისწული (კახეთის მეფე-ალექსანდრე II-ის ძე) 31, 38, 40, 41, 43, 44, 79, 131
გიორგი II (იმერეთის მეფე) 101, 106
გიორგი III (იმერეთის მეფე 1605-1634) 87, 299, 300, 313, 324, 495, 520, 525-527, 533-535, 537, 541-544
გიორგი V ბრწყინვალე 151
გიორგი X (ქართლის მეფე 1600-1606) 31, 48-50, 54, 70, 82, 83, 89
გიორგი (ბერძენი მღვდელი) 145
გიორგი (წმ.) 122
გიორგი სააკაძე იხ. სააკაძე გიორგი
გიორგი ლიპარტელიანი 375
გიორგი (იმერეთის მეფე) 553
გიორგი (თეიმურაზ I-ის ბიძა) 361
გიორგი მდივანი 573
გიორგი უფლისწული 396
გიორგი (ქართველი „ასისთავი“) 354
გიორგი (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) 399, 423, 424, 426
გიორგი (ჩერქეზი) 492
გიორგი (ქართველი, იგივე საბახტარი, ლევან დადიანის მოციქულის მოციქული) 553, 610, 611
გირეი (ტარკის მთავარი) 71, 102
გოდუნოვი ბორის 419, 482
გოდუნოვი ბორისის ქალ-ვაჟი 421
გოვეა ფრანსის ანტონიო დე [(1575-1628) ესპანეთის მეფის ელჩი, პორტუგალიელი მისიონერი და ისტორიკოსი, ავგუსტინელი ბერი] 32
გოლოვინი პეტრე (ასტრახანის ვოევოდა, თერგის ვოევოდა) 69,70, 80, 89, 138, 142)
გოლოვინი ვ. (თერგის ვოევოდა) 527
გოლშტეინის ჰერცოგი 641
გორგიჯანიძე ფარსადან (ისტორიკოსი) 47, 55, 57, 64, 81, 82, 314, 319, 321, 325, 395, 400, 460, 461, 492, 494, 496, 499-502, 526, 543, 544, 629, 667

გორიხვასტოვი დიმიტრი 456, 570, 571
გოჩაშვილი 499
გრამოტინი ივანე (მდივანი) 124, 129, 131, 134, 135
გრანჟე ლუი (კათოლიკე მისიონერი) 208, 209, 528-532
გრიგოლია კ. 549, 576, 661
გრიგოლი (თეთრი მღვდელი მოსკოვის აღდგომის მონასტრიდან) 347
გრიგორევიჩი ფედკა (მოგზაური ვაჭარი) 145
გრიგოლ სიდორიჩი 451
გრიგოლის ძე ივანე (თავადი) 402-404
გუგუშვილი პ. 273, 661, 665
გულბეკიანი რ. (ისტორიკოსი) 25, 662
გურიელი 54, 468, 469, 576
გურიელი გიორგი 525, 527, 531
გურიელი დემეტრე სვიმონის ძე 575
გურიელი თამარი 580, 581
გურიელი მალაქია 541
გურიელი მამია, გურიის მთავარი, გურიის მეფე 52, 102, 104, 105, 138, 331, 333-335, 337
გურიელი მამიას სიმამრი 532
გურიელის მაცნე 592
გურიის მთავარი 495, 500
გურული 521
გურული კ. 583
გურჯიცკი ბოგდან 615
გუსმანი დონ ენრიკე 181

დ

დადიანი იხ. ლევან II დადიანი
დადიანი ივანე 210
დადიანი ლევან II იხ. ლევან II დადიანი
დადიანი ლუკა 210
დადიანის ელჩი 376
დავით მღვდელი, მონაზონი (თეიმურაზ I-ის ელჩი) 341
დავით წინასწარმეტყველი 295, 405
დავით XI [დაუდ-ხანი, ქართლის მეფე (1569-1578)] 19, 488
დავით უფლისწული (თეიმურაზ I-ის ძე) 79, 231, 330, 348, 352, 355, 361, 362, 364, 366, 377, 382, 392, 396, 400, 413, 416, 430, 444, 488, 546, 457
დავითი (ალექსანდრე II-ის ვაჟი, თეიმურაზ I-ის მამა) 43, 44, 79, 230, 231
დავრიჟეცი არაქელ (ისტორიკოსი) 65, 66
დაკულ სალტანე (შაჰის ელჩი) 443
დანილოვი რუსინ 106, 536
დარეჯანი (ლუარსაბ II-ის და, სიმონ მეფის შვილიშვილი) 53 (იხილეთ ხორეშანი)
დანიის მეფე 351
დარეჯან დედოფალი (თეიმურაზ I-ის ასული) 53, 413, 543, 573, 574
დარეჯანი (იმერთა მეფის ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივი) 282, 299, 313
დაუდ-ხანი (სვიმონ I-ის ძმა) 93
დადიან-გურიელ-შერვაშიძის კავშირი 537
დანილოვი ივანე (კოსტრომელი რუსი, ტაძრის კედლის მომხატველი, ხატთმწერი) 506-508, 517
დედისიმედი (ქაიხოსრო III ათაბაგის ქვრივი, მანუჩარ II-ის დედა) 167, 179
დე ვილიელა ხუან 237, 238, 244, 245, 253, 254
დე ლაი ნასოსა (მარკიზი) 249
დე ლასერდა ლუის პერეირა (პორტუგალიელი დიპლომატი) 225
დე ლემოსი (გრაფი) 245
დელუ-მელიქი (შირვანელების მეთაური) 74
დე მონტეს კლაროსი (მარკიზი)

227, 243, 244
დე ონიატე (გრაფი, გერმანიის ელ-ჩი რომში) 220, 244, 255, 256
დე სან ლუკარი (ჰერცოგი) 227, 243, 244
დე სან ფელიჩე ხუან ვინსენო (ბანდიოს გრაფი) 249, 252
დე სეგორბე (გრაფი) 244
დე სიფუენტესი (გრაფი) 156
დე ფერია (ჰერცოგი) 245
დე ჩინჩო (დე მონტერეი გრაფი) 243-245
დიარბეგი 194
დიასამიძე ევდემოზ I [კათოალი-კოს-პატრიარქი (1632-1640)] 328, 375, 517
დიდი მთავარი იხ. ალექსი მიხეი-ლის ძე
დიდი მოურავი იხ. სააკაძე გიორგი
დიდი ხელმწიფის ვეზირი 372
დიდი ხელმწიფე იხ. მიხეილ თე-დორეს ძე
დიმიტრი (მოსკოვის დიდი მთავა-რი) 127
დინარა (დედოფალი) 104
დიონისიუს II (კონსტანტინოპოლის პატრიარქი, 1546-1555) 165
დოდუა 193
დომინიკანელი ბერი 310
დონ ავგუსტინ მესია 244, 245, 280
დონ გარსია (ესპანეთის მეფის ელჩი) 19, 20
დონდუა ვ. 448, 660
დონელი კაზაკები 563, 565, 573-573
დონ კრიტოფორო დე კასტელი (კათოლიკე მისიონერი) 193, 593, 640
დონ მატეო სანტო მანგო (კლირი-კოსების გენერალი) 319
დონ პიეტრო ავიტაბილე (კათოლი-კე მისიანერი) 495, 613, 627, 633, 636, 638, 642
დონ პიეტრო დელა ვალე (მოგზაუ-რი) 50-54, 62, 576
დონ ფერნანდო ხირონი 244
დონ ხუან დე ვინსენსიო 280
დონ ჯაკომო დი სტეფანო 306, 309-311
დონ ჯუდიჩე მილანელი (კათოლიკე მისიონერი) 637-639, 642, 644
დონ ჯუზეპე ილანელი (კათოლიკე მისიონერი) 203
დონ ჯუზეპე ჯუდიჩე (კათოლიკე მისიონერი) 653
დოსითეოს II (იერუსალიმის ბერ-ძენი პატრიარქი, 1669-1707) 274, 275, 335, 520, 596, 655
დუაბაძე მ. 448, 660

ე

ეგნატაშვილი ბერი (ისტორიკოსი) 72, 86, 441
ევგენიუს IV (რომის პაპი, 1431-1447) 162, 163
ევდემონ არქიმანდრიტი 566
ევლია ჩელები (თურქი მოგზაური) 520, 522, 524, 530, 579, 629, 662
ეზეკიელი 460
ელენე ათაბაგი 593
ელენე (ერეკლე I-ის დედა) 573
ელენე (დადიანის ასული) 375
ელენე დედოფალი (თეიმურაზ I-ის შვილის – დავითის მეუღ-ლე) 427, 441, 443, 450, 478, 509
ელიოზი (ქრისტეს კვართის მცხე-თაში მომტანი) 119
ელიოზის და 119
ემანუილ დე სანტოსი 24
ენტონი შირლი იხ. შირლი ენტონი
ეპიფანე (გოლგოთის ეპისკოპოსი) 123
ერეკლე (ალექსანდრე II-ის ვაჟი) 43
ერეკლე ბატონიშვილი იხ. ერეკ-ლე/ნიკოლოზი
ერეკლე/ნიკოლოზი (უფლისწულ

დავითის ძე) 404, 417, 424, 426, 427, 429, 433, 437, 438, 440-443, 445, 447, 449, 450, 482, 505, 508, 509, 513, 561, 566, 610, 611
ერეკლე მირზა იხ. ერეკლე/ნიკოლოზი
ერისთავი ზურაბი (გიორგი სააკაძის ცოლის ძმა, სვიმონის მკვლელი) 296, 313482, 492, 500
ერისთავი ზურაბის ქალი 492
ერისთავი იესე 50
ერისთავი ნუგზარ 50, 68
ერმოლკი (თარჯიმანი) 91
ესპანეთის კათოლიკე მეფე 269
ესპანეთის მეფე 155, 185-189, 197, 201, 212, 218, 227-229, 231-237, 239, 241, 243, 244, 252, 257, 262, 268, 290, 307, 342, 363, 371
ესპანეთის საელჩოს თანამშრომელი – თარჯიმანი 175
ესპანეთის სამეფო კარის ავსტრიელი ნათესავები 170

ვ

ვაჩეიშვილი ჯ. 200-204, 212, 217, 219, 230, 240, 241, 270, 273, 290, 372, 662
ვამეყის ასული (თეიმურაზ I-ის შვილიშვილ ლეონტიზე (ლუარსაბზე) დაინიშნა) 468
ვარაზა ოღლუ ჯაიკუდ-ხანი იხ. კიკოლა შალიკაშვილი
ვასილი იღუმენი 560
ვასილი მღვდელ-მონაზონი (თეიმურაზ I-ის ელჩი) 544, 558
ვასილი (ქართველი, ახლდა მოსკოვის ელჩობას) 122
ვასილი შუისკი 618
ვახტანგი (ბაგრატიონების გვერდითი შტოს წარმომადგენელი) 519
ვახტანგ მუხრან ბატონი 575
ვახუშტი ბატონიშვილი (ისტორიკოსი) 18, 83, 87, 93, 354, 400, 438, 439, 446, 488, 489, 533, 537, 580
ვახტანგ V შაგნავაზი (1658-1675) 408, 481, 482, 519
ველიამინოვი ანდრეი სტეფანეს ძე 461
ვერიოვკინი 97
ვინსენტი (კარმელიტი ბერი) 25-26
ვირგილიუსი 311
ვოდინსკი თედორე თედორეს ძე (ელჩი) 346, 349, 356, 447, 566
ვოლკონსკი თედორ თეოდორეს ძე 506
ვოლოშენინოვი მიხეილ (საელჩო პრიკაზის დიაკი) 5, 17, 405, 542
ვსევოლოდსკი ივანე (ბორის გოდუნოვის ელჩი) 419

ზ

ზაალ არაგვის ერისთავი 496, 498, 575
ზაგარი (ჩერქეზი აზნაური) 402
ზარხოზაშვილი მარიამი (ინგლისურად მთარგმნელი) 3
ზაქარია (ელჩი) 154, 156, 157, 160, 161
ზაქარია ეპისკოპოსი 355, 356
ზაქარია კათოლიკოს-პატრიარქი (1623-1632) 259, 288, 304, 306-308, 310
ზაქარია მიტროპოლიტი 341, 564
ზახარინი პავლე 283-284
ზებედე არქიეპისკოპოსი 355, 356, 360
ზედგინიძე გ. 615, 616, 622
ზვენიგოროდსკი (მოსკოვის ელჩი) 419
ზინოვიევი რომანი (თარჯიმანი)

453
ზურაბ არაგვის ერისთავი 299, 575

თ

თადეუში (კათოლიკე მისიონერი) 30
თადეუში (კარმელიტი ბერი) 25-26
თავადი ივანე (ალექსანდრეს ელჩი) 544
თამარ მეფე 151
თამარაშვილი მ. 161, 203, 205, 209-210, 219, 229, 221, 271, 277, 279, 314, 321, 529-533, 637, 642, 649, 695
თარხნიშვილი მ. 142, 221, 226, 259, 266, 267, 278-280, 339, 486, 662
თარჯიმანი 347
თბილელი ელისე 518
თბილისელი ვაჭრები 507
თბილისის ხანი 401
თეატინელი ბერი 285, 291
თეატინელი ისტორიკოსი 205
თეატინელი მისიონერები 225
თეატინელთა ორდენის ბერები 211, 226, 247, 250, 310
თედორე არქიეპისკოპოსი 305
თედორე ივანეს ძე 78, 79, 96, 106
თედორე ტობოდინი (ბაზიერი) 347
თეიმურაზ I (ნათლობის სახელი თეოფილე), თეიმურაზ ხანი, კახეთის მეფე (1606-1648), ქართლ-კახეთის მეფე (1625-1632) 2, 7, 11–15, 34, 38, 42, 44, 46, 47, 50-64, 66-77, 81-83, 85-95, 97-113, 116-125, 127-136, 138, 141-149, 189, 191, 193, 194, 196, 197, 199, 201-206, 211-219, 222, 227-234, 238-241, 243, 253, 254, 257-262, 264, 266-268, 270-283, 285, 289-290, 292, 296-301, 304-319, 321-328, 330-355, 357-407, 409-416, 418, 421, 423-451, 454-481, 483-486, 488, 492-499, 501, 503, 505, 506, 508-510, 513-519, 525-529, 532-540, 543-546, 549, 553, 554, 557, 577, 603, 604, 606, 609-611
თეიმურაზ I-ის ორი დასაჭურისებული ვაჟი 356
თეიმურაზ უფლისწული იხ. თეიმურაზ I
თეიმურაზ ხანი იხ. თეიმურაზ I
თეიმურაზ I-ის მეუღლე 457
თეიმურაზ I-ის შვილიშვილები 457
თეიმურაზი იხ. თეიმურაზ I
თეოფანე (ბერი, თეიმურაზ I-ის ელჩი) 412, 441
თეოფანის III [(1608-1644) იერუსალიმის პატრიარქი] 54, 99, 122, 212, 213, 215-219, 229, 230, 233, 262, 294, 333, 355
თეოდოტე ელჩინი 283
თეოდორე სტრატილატი (წმ) 122
თეოდორე ეპისკოპოსი იხ. თეოდორე რევიშვილი
თეოდორე რევიშვილი, მანგლელი, ეპისკოპოსი 74, 95, 97, 122, 124, 125, 129, 130, 207, 213, 309
თეოფილე იხ. თეიმურაზ I
თერგის ვოევოდები 350, 452, 453, 597
თერგის პრისტავი 101
თერგის სტრელეცების თარჯიმანი 101
თინათინი/ლელა-ელენე შეარჩიეს სარძლოდ ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის 421
თინათინი ან ლელა ლუარსაბ II-ის და, შაჰ აბას I-მა ითხოვა 18, 22, 50, 51
თინათინ ბატონიშვილი (თეიმურაზის შვილი) 324
თინათინ ძიბა (პიეტრო დელა ვალეს ცოლი) 53
თომა (ბერძენი, ახლდა ელჩობას) 122
თურქი ელჩი 70
თურქეთის ბატონიშვილი, მეფე 416

თურქეთის მეფე 318, 534
თურქეთის სულთანი 185, 575

ი

იაკობ მეფე [ჯეიმზ I, ინგლისის მეფე (1603-1625)] 34
იასე (ქსნის ერისთავი) 496
იაყუბ ხან-ბეგ ყარამანლუ იხ. ყარმანლუ იაყუბ ხან ბეგი 6
იბერიისა და ქართველების მეფე 256
იბერიის ელჩობა 245
იბერიის მეფე იხ. ქართველთა მეფე
იბრაჰიმ ფეჩევი იხ. ფეჩევი იბრაჰიმ
იევლევი ალექსი (რუსეთის ელჩი) 396, 402, 406, 411, 412, 413, 414, 431, 548, 551, 552, 556, 566
იევლევი და ტოლოჩანოვი 506
იევლევი კლიმენტი (ალექსი იევლევის ვაჟი) 412, 414
იერუსალიმის მეფე 189, 195
იერუსალიმის პატრიარქი 201, 328
იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის ბერი 123
იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაზონი 123
იესე უფლისწული (გიორგი მეფის შვილი)
ივანე (ივანეს შვილი) 454
ივანე ვასილის ძე 70, 73, 106, 536
ივანოვი ივაცკო (მეთემე გლეხის შვილი) 195
ივანე (თეიმურაზ I-ის მიერ მოსკოვში ელჩად გაგზავნილი) 441
ივანე მისიონერი 209
ივანე IV მრისხანე (რუსეთის მეფე) 106, 536
ივანე III 392
ივანე მამუკინი (ივანე მაქსიმეს შვილი, აზნაური) 427, 450, 451, 454
ივანე მიხეილის ძე (უფლისწული) 348, 360
ილდარ შამხალი 318
ივანე (რუსეთის მეფის სულიერი მამა, თავადი) 411, 412, 431, 433
ივანე (მოსკოველი ხატის ოსტატი) 507, 518
ივანე „ჭაშნიკი“ (შიკრიკი) 456
ივანოვი აბრაამი (ქართველი, რომელიც მოსკოვში ერეკლეს მერიქიფე იყო) 483
ივანოვი ნაუმ
ივერიის ძველი მეფეები 447
ილდარ შამხალი 318
იმამყული-ხანი (უნდილაძე; ალავერდი ხანის უფროსი ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ შაჰმა ფარსის ამირთამირობა უბოძა) 19
იმამყული ხანი იხ. უნდილაძე იმამყული-ხანი
იმერეთის მეფე 104, 141, 377, 395, 434, 451, 460, 462, 463, 500, 520, 521, 523, 536, 537
იმერეთის ელჩები 545, 547
იმერეთის პოლიტიკოსები 549
იმერეთის უფლისწული 438
ინგლისის მეფე 351
ინდოეთის მეფე 189
ინოკენტი IV [რომის პაპი (1243-1254)] 23
ინოკენტი X [(რომის პაპი (1644-1655)] 644
იოანე თადეუში და ვინსენტი (კარმელიტი ბერები) 25-26
იოანიკეი (მონაზონი) 122, 123
იოანე მიტროპოლიტი 347
იოსები (უფლისწულის დავითის ვაჟი) 396
იოსები (არქიმანდრიტი) 349, 356
იოსები (პატრიარქი) 347
იოსები (სერგიევის სამების მონასტრის არქიმანდრიტი) 346
იოანე (თარჯიმანი) 413
ირანის მეფე, იხ. ირანის შაჰი
ირანის შაჰი, ირანის მეფე 187, 190,

241, 248, 342, 352, 356, 504, 510, 513, 516, 535, 544, 547, 549
ირბახი ნიკიფორე იხ. ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი
ირუბაქიძე ჩოლოყაშვილი ომან (გამოჩენილი სარდალი) 205
ირაკლი (ბიზანტიის კეისარი) 343
ისა (ისე ხანი) [თეიმურაზ I-ის გამუსულმანებული ბიძაშვილი] 73-74
ისაბელი, იზაბეი 159
ისახანი (ყორჩიბაში) 139, 144, 334

ისმაილ II (შაჰი, შაჰ თამაზი I-ის შვილი) 193, 194
ისმაილ-ხანი (ჩერქეზების ბელადი), მის ასულზე დააქორწინა შაჰ აბას I-მა რობერტ შირლი 28
ისტომინი იაკოსი (დიაკი) 399
ისქანდერ მუნში, ისკანდერ მუნში (ისტორიკოსი) 18, 44, 45, 47-53, 59-62, 65, 74, 75, 77, 81, 83, 144, 240, 490
იური ბატონიშვილი (სიმონის ვაჟი – იგულისხმება გიორგი X) 81
იუსტიანე (ბიზანტიის კეისარი) 233
იუშკა ჩმონი 359

კ

კადუმ ფაშა 194
კაეტან თიანელი 25
კავკასიის პოლიტიკოსები 482
კათოლიკე მისიონერები 511
კაიტბეი ალი-აშრაფ საიდ ად-დინ 151
კაკაბაძე ს. 44, 49, 55, 203, 664
კამენევი ს. (საელჩო პრიკაზის მწერალი) 95, 121, 122, 131
კარიჭაშვილი კ. 327, 602, 662
კარლ V (ესპანეთის მეფე ჰაბსბურგელი) 164-166
კარმელიტი თადეოზ (კატალანიელი პატრი) 209
კასტილიის მეფე 189
კატული 311
კაციტაძე დ. 37, 639, 663
კაჭარავა დ. 58, 204, 414, 514
კახელი ბაგრატიონები 65
კახელი თავადები 496
კახეთის მეფე 363, 375, 379, 397, 399, 442, 446, 456, 527, 549, 550
კახთა მეფე 78, 118
კახთბატონი 492, 493
კეკელიძე კ. 205, 207-209, 211, 275, 327, 647, 649, 653
კიკოლა ბეი იხ. კოკოლა შალიკაშვილი
კირილე I ლუკარისი [კონსტანტინოპოლის პატრიარქი (1612, 1620-1623, 1623-1633, 1633-1634, 1634-1635, 1637-1638)] 121, 274, 279, 292-294, 326-335
კირილე (ქართველი, არქიდიაკონი) 121
კირილე ქრისტეპული (ბერი, კახთა მეფე ალექსანდრე II-ის ელჩი მოსკოვში) 40, 43
კირ-ნილო იხ. ნილო
კლარკი ედუარდი (ინგლისის „მოსკოვის კომპანიის“ აგენტი) 34
კლიმენტი VIII [რომის პაპი (1592-1605)] 18, 52, 616
კლუჩარევი ივანე (დიაკი) 392, 393, 407, 506
კოზმა (ეპისკოპოსი) 355
კოკოლა შალიკაშვილი 170, 171, 186
კონდირევი ი. 121
კონსტანტინე დიდი 231
კონსტანტინე მეფე 372
კონსტანტინე სოფია 212, 213, 231-238, 241, 245, 251

კონსტანტინე I (კახეთის მეფე) 31, 41, 43, 61, 107, 109, 134, 158-166, 418, 419
კონსტანტინე II [ქართლის მეფე (1478-1505)] 150-157, 161-163, 237
კონსტანტინე უფლისწული იხ. კონსტანტინე I (კახთა მეფე, ალექსანდრე II-ის ვაჟი)
კორობინი ვ. 115, 134
კოშაევი მიხეილ 462
კოჯა კაზა სეიდი 630
კრისტობალ დე საალასარი 167
კუვშინოვი ოსტაფეი (დიაკი) 109, 134
კუზმა სვიმონის შვილი 453
კუცია კ. 36, 66, 639, 660, 663

ლ

ლალა იხ. მუსტაფა ლალა ფაშა
ლევან (მეფე თეიმურაზ I-ისა და მამია გურიელის ასულის ანას ვაჟი) 52, 73, 103, 125, 134
ლევანი (იმერეთის მეფე) 193, 195
ლევან ბეი იხ. ლევანი (კახთა მეფე)
ლევანი (კახთა მეფე) 180, 374, 447, 471-473
ლევანი (შაჰის ბიძაშვილის შვილი) 499
ლევან I 539
ლევან II დადიანი [ოდიშის მთავარი (1611-1657)] 2, 7, 11, 87, 101, 102, 104, 138, 171, 172, 179, 180, 209, 299, 300, 305, 306, 313, 324, 365, 374, 375, 385, 414, 434, 435, 437-440, 445, 458-460, 493, 521, 531-533, 540, 547, 553-556, 562-564, 566, 567, 468, 569, 572, 573, 575, 576, 579, 580, 582, 591, 600-604, 609, 610, 612, 626, 627
ლევერ ხანი იხ. ლუარსაბ II
ლელა (ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, ლუარსაბის და, რომელიც შეირთო შაჰ აბას I-მა) 49 იხ. თინათინი
ლეონტი (სადადიანოს მეფე ლევან დადიანი) იხ. ლევან II დადიანი
ლეონტიევი ი.ვ. (რუსეთის მეფის დესპანი) 89, 91, 109
ლვოვი გრიგორი (დიაკი) 471, 598
ლიპარიტ იესეს ძე დადიანი (ლევან II დადიანის ძმის ვაჟი) 575, 657
ლიპარტიანი ვამეყ 575
ლიპარტიანი გიორგი 577, 579, 581
ლიტვის მეფე 351
ლიჩინი პატრიცია ანა 663
ლიხაჩოვი ფეოდორი (დიაკი) 507, 598
ლომკაცი ჯაფარიძე 560, 562, 566
ლოპუხინი ლარიონ (სათათბიროს დიაკი) 461, 462, 464, 473
ლუარსაბ I [ქართლის მეფე (1527-1550)] 48, 164, 165
ლუარსაბ II [ქართლის მეფე (1606-1615)], ლევერ ხანი 18, 43, 49-51, 55-60, 62-64,. 66, 70, 73, 77, 81, 83, 91, 171, 172, 179, 180, 600, 617
ლუარსაბ II-ის და 82
ლუარსაბ უფლისწული (თეიმურაზ I-ის ვაჟის – დავით უფლისწულის შვილი) 396, 397, 399, 406, 410, 423, 424, 426, 457, 478, 479, 496
ლუი პერეირა დე ლასერდასი (პორტუგალიის ელჩი შაჰ აბას I-ის კარზე) 32
ლუი დეგე დე კურმენენი 621
ლუის ხილი ფერნანდესი 663
ლუკა (პატრი) 210, 579
ლუკიანოვი ივანე იხ. ივანე „ლუკინი“
ლუჩიალი (ეულდი ალი) 586

მ

მათე ეპისკოპოსი 355
მაკიაველი 484
მალაქია კათალიკოსი 582, 646
მამესელემი (ვაჭარი) 115
მამია გურიელი იხ. გურიელი მამია
მამია II გურიელი [გურიის მთავარი (1600-1625)] 570, 616
მამისთვალიშვილი ე. 14, 35, 43, 49, 50, 82, 90, 98, 100, 115, 169, 171, 172, 174, 175, 195, 206, 207, 213, 217, 246-267, 274, 294, 305, 337, 355, 373, 377, 383, 479, 502, 520, 558, 579, 593, 597, 614, 615, 646, 653, 663-664
მამუკა ბატონიშვილი 438, 439
მამუკა (იმერეთის უფლისწული) 544
მამუკინი ივანე იხ. ივანე მამუკინი
მანუილ მეფე იხ. მამია გურიელი
მანუჩარი იხ. მანუჩარ II
მანუჩარ I [ოდიშის მთავარი (1590-1611)] 25
მანუჩარ II [ათაბაგი (1582-1613)] 31
მანუჩარის ვაჟი 376
მარგარიტა ავსტრიელი 616
მართა იერუსალიმელი 647
მარიო სკიპანო (პიეტრო დელა ვალლეს ნეაპოლელი მეგობარი) 53
მარიამი იხ. მარიამ დედოფალი
მარიამ დედოფალი (ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის და, როსტომ მეფის ცოლი) 493-495, 502, 507, 543
მარკოზი 596
მარტინ დიას დე აუქსში 153, 154
მაურო იხ. სააკაძე გიორგი
მატიუშკინი მაქსიმ (დიაკი) 598
მაქსიმე მაქუტაძე (1629-1657) 646, 647
მაჭარაძე ვ. 297, 298, 425, 462, 465, 467, 470-472, 474, 476
მაჰმად ხან ბეგი (ელჩი) 514-515
მაჰმედ სალი ბეგი (ირანის შაჰის ელჩი) 144, 145, 298
მაჰმადხან ბეგი (როსტომ მეფის ელჩი) 504, 512, 515-516
მაჰმედ აჯი (ირანის შიკრიკი) 400
მგალობლიშვილი მ. 205
მედიჩი (კარდინალი) 278
მელიქიშვილი გ. 448, 600
მელშიორ დუშ ანჟუში (კათოლიკე მისიონერი) 36, 193, 196, 639
მემედ II 258
მერიკი ჯონ (ინგლისელი ვაჭარი) 14
მესხეთის თავადაზნაურები 377
მესხია შ. 426, 429, 447, 448, 435, 452, 660
მეტიმი (ეპისკოპოსი) 292
მეტრეველი ე. 125, 206, 207, 646, 656
მეჰმედ ფაშა 88
მინადოი ჯოვანი ტომაზო 198
მიკოლაი დავითის ძე იხ. ერეკლე/ნიკოლოზი 458
მიკოლაი დავითის ძის უმცროსი და 458
მიკოლაი დავითის ძის უფროსი ძმა 458
მიკოლაი (მიტროპოლიტი) იხ. ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი
მინადოი ჯოვანი ტომაზო 198
მინიატკა (ვაჭარი) 445
მიქაელ მთავარნგელოზი 306
მიქელე მოსკო 485
მიშეცკი ეფიმ (თავადი) 392-393, 499
მიშეცკი (რუსი ელჩი) 506
მიშეცკი ვ. 407
მიხეილ ალექსის ძე 396
მიხეილი (ქართველი, ახლდა ელჩობას) 122
მიხეილ თედორეს ძე, მოსკოვის ხელმწიფე, დიდი ხელმწიფე, მოსკოვის მეფე, 75, 84, 85, 89, 90, 101, 104-107, 117,

120, 130, 133, 145, 284, 328, 330, 331, 333, 337, 340, 342, 343, 346-357, 359-362, 364, 366-373, 377, 381, 383, 385, 386, 388, 395, 396, 409, 425, 527, 536, 597
მიხეილ ხუცესი (ნიკიფორე ტოლოჩანოვის სულიერი მამა) 412
მოვსეს კათალიკოსი (სომეხთა პატრიარქი) 316
მოსე 349
მოსკოვის მეფე იხ. მიხეილ თედორეს ძე
მოსკოვის მეფის ელჩები 345, 349, 392
მოსკოვის ხელმწიფე იხ. მიხეილ თედორეს ძე
მოურავ-ფაშა იხ. სააკაძე გიორგი
მოურავი ხანი იხ. სააკაძე გიორგი
მოჰამედ თაჰერი (შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსი) 373, 374, 400, 442, 444, 478, 481, 482, 498, 499
მოჰამედ ყული ბეგი (ირანის ელჩი) 399, 415, 416, 509, 573
მურად IV [სულთანი (1623-1640)] 293, 520-523, 529, 550
მურატოვიჩი შეფერი 615
მურდარი (ჩერქეზების მთავარი) 85, 105
მურთაზა (ჩილდირის ხიდის ბეგი) 140
მუსტაფა ლალა ფაშა, ლალა 168-173, 194
მუსტაფა ნაიმა (თურქი ისტორიკოსი) 628, 696
მუსტაფა I (1622-1623) 113
მუსტაფა ფაშა იხ. სვიმონ I
მუხრანის ბაგრატიონთა შტო 422
მუჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუ (შაჰ-აბას I კარისკაცი) 49
მუჰამედი (მაჰმადი, ისლამის დამაარსებელი და პოლიტიკური მოღვაწე) 23

ნ

ნავარის მეფე 289
ნაკაშიძე ნ. ტ. 34, 64, 65, 107, 108, 121, 204, 315, 322, 339, 388, 400, 427, 428, 430, 444, 447, 448, 482, 509, 513, 618, 663-664
ნასროლია ფალსაფი (ირანელი ისტორიკოსი) 18, 19, 50, 135
ნატროშვილი თ. 104, 199, 315, 316, 620, 621, 623, 665
ნაუმ, ივანეს შვილი 454
ნეაპოლის ვიცე-მეფე, ჰერცოგი ალბა 221, 240, 247, 249, 253
ნეაპოლის მეფის ნაცვალი 268
ნესტან-დარეჯანი [სიმონ I-ის მეუღლე, ალექსანდრე I-ის (კახთა მეფის) და] 54
„ნიკალა“ (ალექსანდრე III-ის აზნაური) 134
ნიკიფორე 365, 366, 374, 378, 380, 381, 385, 386, 389
ნიკიფორე ბასილიანელი იხ. ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახა
ნიკიფორე ბერძენი (თეიმურაზ I-ის დიპლომატი და ელჩი) 47, 213-214, 305-306, 325-327, 335, 336, 339, 340, 343, 344, 349-351, 353, 367, 471, 508, 594, 598, 603
ნიკიფორე ელჩი 350, 365
ნიკიფორე მიტროპოლიტი 333, 340, 348, 354-360, 362, 364-366, 370-372, 392, 393, 430, 447
ნიკიფორე (წმ. გოლგოთის მთის მონასტრის იღუმენი) 391, 552, 553
ნიკოლოზ უფლისწული (თეიმურაზ I-ის შვილის – დავითის ვაჟი 336, 403, 410, 413, 432, 435, 573. იხ. ერეკლე I
ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი, ჩოლოყაშვილი, ნიკიფორე

ბასილიანელი, ნიჩეფორე ბერი 25, 29, 124, 144, 160, 182, 191, 193, 196, 197, 200-214, 216-222, 266-273, 278-296, 306, 310, 326-328, 333, 342, 363, 371, 434, 440, 495, 596, 603, 633-635, 643
ნილო (ხუცესი) იხ. კირ-ნილო
ნიჩეფორე ბერი იხ ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი.
ნოდარი 499o571

ო

ოდიშის მთავარი 141, 395, 458, 495, 500, 538, 539, 542, 545, 639
ოდიშის მთავრის ელჩი 528
ოვიდიუსი 311
ოლიარიუსი ადამ 326
ოლივარესი დე (გრაფი დონ ენრიკე გუსმანი) 181-184
ომარ-ფაშა – დადიანის ელჩის გამყოლი 531
ომარი (უმა იბნ ალ-ხატაბი, მაჰმადის თანამდგომი, შემოიღო მუსლიმანური წელთაღრიცხვა ჰიჯრის მიხედვით) 30
ომანის შვილი ჩოლაყაძე იხ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი
ომანიშვილი ქაიხოსრო (ჩოლოყაშვილი ცნობილი სარალი და პოეტი) 66
ორი ეპისკოპოსი (მედავითნეები) 158
ორსინი გრეგორი (დომინიკელთა პატრი) 59, 209
ოსმალეთის სულთანი 141, 142, 240, 246, 256, 351
ოსმან II [სულთანი (1618-1622) 95, 113
ოტია (სვიმონ გურიელის ვაჟი) 582

პ

პაატა (გ. სააკაძის ვაჟი) 297
პავლე თუში 453
პავლე V იხ. პაოლო V
პავლე-სიმონი (კარმელიტი ბერი) 25-27
პავლიაშვილი ქ. (ისტორიკოსი) 23
პაისიოსი [იერუსალიმის პატრიარქი (1645-1660)] 335, 449
პაიჭაძე გ. 297, 298, 425, 441, 445, 456, 460, 465, 467, 470-472, 476, 477, 509, 573, 574, 608, 632, 650, 656, 665
პაოლინი სტეფანე 270, 271
პაოლო (ფეხშიშველი კარმოლიტი) 265
პაოლო V [რომის პაპი (1605-1621)] 52, 250
პაპაშვილი მ. 566, 663
პატრიკიევი გლებ (დიაკი) 456, 470, 471
პედრო დე პუვარილიო (სასტუმროს პატრონი) 250
პერესი ანტონიო 168
პეტრო, ნაუმის შვილი 454
პიეტრო დელა ვალე იხ. დონ პიეტრო დე ლა ვალე
პირველწოდებული სტეფანე არქიდიაკონი (წმ.) 122
პლაკიდო (წმ.) 122
პოროშინი ფეოდორი 607
პოლიევქტოვი მ. 74, 97, 503, 505-506
პრიკლონსკი (თერგ-ქლაქის სარდალი) 84, 85, 92
პრონსკი ი. პ. (ბოიარი, ასტრახანის ვოევოდა) 441, 509
პრინჩიშევიჩი ათანასე (რუსეთის ელჩი დიიკი) 68, 618
პროპერციუსი 311

ჟ

ჟიგმენტ III ვაზი 615
ჟიდოვინოვი ვასილი (საქართველოში გაგზავნილი ელჩობის მეთაური) 456, 459, 607
ჟორდანია გ. 37, 67, 144, 199, 204,

207, 208, 210, 214, 219, 226, 241, 243, 257, 266, 284, 287, 289, 291, 665
ჟორდანია თ. 44

რ

რამაზანი (ქართველი აზნაური) 392, 434, 435, 552, 605
რატიანი კ. 448, 660
რევაზი (თავადი, დიპლომატი) 354
რევიშვილი თედორე მანგლელი (თეიმურაზ I-ის ელჩი მოსკოვში, არქიეპისკოპოსი) 73, 113, 120, 213, 305
რეხვიაშვილი მ. 540, 542, 544, 577, 589, 665
რომის პაპის წარმომადგენელი 626
რომოდანოვსკი ი. პ. (რუსეთის ელჩი) 41, 618
როსტომი (ალექსანდრე II-ის ვაჟი, ყმაწვილობაში გარდაიცვალა) 43
როსტომ-ხანი იხ. როსტომ მეფე
როსტომ ქართლის მეფე (1633-1658), როსტომ-ხანი, თბილისის-ხანი, ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი – დავით XI-ის (დაუდ-ხანის) უკანონო შვილი წავკისელი გლეხის ქალისაგან 7, 11, 12, 15, 135, 137, 300, 314, 317, 320, 321, 323-325, 329, 402, 407, 412, 414-416, 434-436, 438, 442, 444, 445, 458, 459, 467, 480, 481, 484, 488-490, 492-496, 498-500, 512, 515-519, 525, 534, 538, 543, 549, 554, 572, 603, 610, 611
როსტომ მირზა იხ. როსტომ მეფე
როსტომის ელჩი 513-515
როსტომის ელჩის ამალა 514
როსტომ I 54
რუდოლფ II (ჰაბსბურგების იმპერატორი) 21, 181, 188
რეი ფრეირე დ'ანდრადა 200
რუმლუ ჩინგიზ-ბეგი (შაჰ-აბას I-ის ელჩი ესპანეთში) 28
რუსეთის ელჩი 342, 400
რუსეთის ხელმწიფე იხ. მიხეილ თედორეს ძე
რუსეთის მეზობელი ქვეყნის მეფეები 351
რუსეთის მთავრობა 351, 374
რუსეთის პატრიარქი 348
რუსეთის ხელმწიფის ელჩები 350, 353, 354
რუსთაველი ეპისკოპოსი 380
რუსთაველი შოთა იხ. შოთა რუსთაველი
რუსთაველი (რომელიც მოკლეს წინაშე მეფისა) 446
რუსი ელჩი 422
რუსუდანი (გ. სააკაძის მეუღლე) 296
რუტსკი (მიტროპოლიტი) 280

ს

სააკაძე გიორგი, მაურო, მოურავ-ფაშა, მოურავ-ხანი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, დიდი მოურავი († 1629) 17, 63, 64, 67, 68, 137-146, 148, 295-301, 313, 317, 321, 425, 488, 489, 511, 523, 540-542, 617
სააკაძის ელჩები 139
საბახტარი [იგივე გიორგი ქართველი (თეიმურაზ I-ის ყოფილი აზნაური)] 435, 610, 611
სადადიანოს მეფე 463
სადადიანოს მთავარი 436
სავინი სემიონ (ყაზანელი რუსი, ხატმწერი) 506
საითიძე გ. 448, 480, 665
სალტანე დაკულ (შაჰის ელჩი) 450
სალტანი იხ. სოზამე მაქსიმიჩი
სამი სულთანი (დიდძალი მხედრობით) 444

სამსუნის ფაშა 145
სანაძირო 311
სანდარ ფაშა 94
სანკტა სევერინა [ჟულიო ანტონიო სანტორო დი კასერტა (კარდინალი)] 181, 183, 185, 189, 191
სარკმლების ჩარჩოების ოსტატი 345
სარუ ხოჯა 62
საფარი (ახალციხის ფაშა, ყოფილი ბექა III) 140
საფარი (ახალციხის ფაშა) 630, 631
საფარი ხოჯა (სომეხი ვაჭარი ახალი ჯულფიდან) 28
საფრანგეთის ელჩი კონტსანტინოპოლში 529
საფრანგეთის ელჩი 530, 531
საფრანგეთის მეფე 513
საქართველოს ელჩი 346
საქართველოს მეფე იხ. ქართველთა მეფე
საჰაკაძე როსტომ 321
სევასტო 221
სეზი (საფრანგეთის ელჩი) 142
სეიტი აჰმედ (არზრუმის ფაშა) 630, 633
სელიმ ხანი (კახის მმართველად დანიშნული) 324
სელიმ ხანი I (განჯის ბეგლარბეგი) 514, 522, 529
სეტემან შერვაშიძის ასული 580
სეფი-მირზა იხ შაჰ-სეფი
სვანიძე მ. 70, 88, 111, 112, 139, 166, 204, 245, 258, 522, 523, 528, 529, 531, 641, 666
სვიმონ I [ლუარსაბ I-ის ვაი, შემდეგში ქართლის მეფე (1556-1569, 1578-1600)], სვიმონ-ხანი, სვიმონ მეფე 14, 18, 31, 58, 62, 93, 94, 164, 173-180, 182, 184-189, 191-195, 313, 390, 614
სვიმონ I-ის მეუღლე ნესტან დარეჯანი (კახთა მეფის – ლევანის ასული, ალექსანდრე II-ის და) 31]
სვიმონ I-ის შვილიშვილი – თინათინი (გიორგი X-ის ასული, ლუარსაბ II-ის და) 18
სვიმონ-ხანი იხ. სვიმონ I
სვიმონი (კახეთის გამგებელ ბაგრატის ვაჟი) 137
სვიმონ I არის ძმა დაუდ-ხანის (დავით XI-ის) შვილი, გამუსლიმებული ბაგრატიონი (ბაგრატ VII), ქართლის მმართველი 75, 175
სვიმონ მეფე იხ. სვიმონ I
სვიმონი (ზაქარიას შვილი) 454
სვიმონ II-ს შაჰ აბასმა შერთო თავისი შვილიშვილი (ქალიშვილისაგან) – ყორჩიბაშის ასული ჯანბანუმი 490
სვიმონ II (ქართლის მეფე) 614
სვიმონის ქალი 501
სვიმონ გურიელი 539, 582
სვიმონ მეფის უფროსი ვაჟი 195
სილეგ – მაჰმუდ (თეიმურაზ მეფის ელჩი) 77
სიო (გ. საკაძის მამის დამახინჯებული სახელი) 297
სიმონი (ქართლის მეფე) იხ. სვიმონ I
სიმონი (მეფე, თურქულად მუსტაფა ფაშა) 179, 180
სიცილიის (ორივესი) მეფე, სიცილიის ვიცე-მეფე 189, 249, 255
სმირნოვი ნ.ა. 121
სოზამე მაქსიმიჩი, სალტანი (ხევისბერი) 480, 482
სომეხთა კათალიკოსი 319
სოფია (ზოია) პალეოლოგი 563
სოფრომი იხ. სოფრონიუსი
სოფრონიუსი, სოფრომი [იერუსალიმის პატრიარქი (1579-1608)] 122, 123
სპარსი მეფე 190
სპირიდონოვი მატვეი (ალექსი მიხეილის ძის შიკრიკი) 401, 402, 416

სტეფანე V [სომხების პატრიარქი (1545-1564)] 165, 166
სტოიანოვი ილია (რუსი დიპლომატი, თარჯიმანი) 459, 466, 571, 607, 656
სულთან მაჰმუდი 102
სულთან ოსმან II 97
სულთანი 371, 375, 376, 394
სულთანი (ოსმალეთის) 72, 79, 80, 85, 102, 109, 118, 121, 293, 325, 329
სულთანი 428, 429, 465, 466
სურგულაძე ა. 632, 666
სუხანოვი ა. 379, 382, 510, 512, 513, 516-518

ტ

ტაბაღუა ი. 20, 25, 31, 45, 46, 52-55, 57, 126, 149, 153, 155, 158, 161, 162, 183, 203, 204, 207, 208, 210, 212, 216-218, 220-233, 239, 242, 245, 250, 252-254, 260, 264, 267, 268, 272, 273, 282-284, 290, 291, 295, 296, 302, 304, 306, 311, 312, 320-322, 327, 328, 485, 529-533, 616, 622, 624-626, 641, 654, 660, 663, 666
ტადეო ჯიოვანი დე სან ელიოზო (კარმელიტების ორდენის წევრი) 52, 616
ტავერნიე ჟან-ბატისტ (XVII საუკუნის ფრანგი ვაჭარი და მოგზაური) 521, 661
ტატიანა (ალექსი მიხეილის ძის და) 406, 421, 463
ტატიშვილი ვლ. 445, 666
ტატიშჩევი (რუსეთის ელჩი) 347, 421
ტერ-იაკობი (მარქარიანი) 127
ტივაძე თ. გ. 11, 83, 85, 94, 106, 107, 132, 204, 258, 288, 281, 291, 311, 318, 344, 372, 401, 441, 449, 472, 477, 489, 535, 536, 630, 631, 652, 666
ტიმოფეევი ბოგდან (დიაკი) 92
ტიხონოვი მ. 70, 108
ტოლოჩანოვი ნიკიფორე (მიტროპოლიტი; სტოლნიკი-სუფრაჯი, მეფის მაგიდის ზედამხედველი) 340, 341, 396, 402, 404, 406-414, 427, 430, 431, 434, 435, 437, 439, 440, 505-508, 546, 548, 550, 552, 553, 605, 609-611, 650, 655
ტოლოჩანოვი ნიკოლოზ 558-560, 562, 564, 566
ტოსკანისა და მანტუას ჰერცოგი 278
ტრანსლვანიის იმპერატორი 188, 189
ტრაპიზონის ფაშები 524
ტრუბეცკოი ალექსანდრე ნიკიტას ძე (თავადი) 462, 473, 476, 477
ტუბილა 311
ტურაშვილი ლ. ე. 667
ტუღუში ა. 595-598, 667
ტუხაშვილი ლ. 58

უ

ულუგ ბეგ ბათათი იხ. ულუღ (უკრუჩ) ბეგ ბაიათი
ულუღ (უკრუჩ) ბეგ ბაიათი (შემდეგში ხუან დე პერსია) 614
უთურგაიძე თ. 607
უნდილაძე ალავერდი-ხანი 198
უნდილაძე ალიყული-ხანი 334
უნდილაძე დაუდ-ხანი (უნდილაძე, ალავერდი-ხანის უმცროსი ვაჟი, ყარაბაღის ამირთ-ამირა და ყიზლართა ტომის მეთაური) 19, 143, 144, 198, 200, 201, 241, 313-322, 334, 377, 493
უნდილაძე იმამყული-ხანი (შირაზის გამგებელი) 197, 198,

200, 204, 241, 315-323, 489
უნდილაძე იმამყული-ხანის ასული 333
უნდილაძეები 147, 202, 313, 314, 317
ურბან VIII (რომის პაპი – 1623-1644) 51, 54, 259-261, 270, 278, 303, 307, 308, 311, 604, 642
უფლისწული დავითი იხ. დავით უფლისწული

ფ

ფალავანდიშვილი ფუშანგი (ქართლის თავადი) 50
ფაქიზე იმამ ყული-ბეგი (შაჰ აბას I-ის ელჩი ესპანეთში) 32
ფედოროვი (თარჯიმანი) 451
ფეიქარ-ხანი (განჯის მმართველი) 49, 73, 75
ფეიქარ-ხანი (ბახდის ხანი) 137
ფეიქარ-ხანი 432
ფერდინანდი და იზაბელა (ესპანეთის კათოლიკე მეფეები) 153-155, 158, 159
ფერდინანდ II ტოსკანის დიდი ჰერცოგი 565
ფერნანდეს ლუის ხილი 31, 149, 183, 215-218, 228, 236, 245, 252, 280
ფერჰად ფაშა 194, 195
ფესო ბართოლომეო 268, 302
ფეშანგი ფალავანდიშვილი იხ. ფალავანდიშვილი ფეშანგი
ფეშანგი ამირის ძე ფაშეიბერტყაძე – ხითარიშვილი, ფეშანგ მდივანი, „ამირევი“ (მოსყიდული ინფორმატორი) 408, 412, 440, 557
ფეშანგი მდივანი იხ. ფეშანგი ამირის ძე ფაშვიერტყაძე – ხითარიშვილი
ფიჩევი იბრაჰიმ 139, 240, 520
ფილარეტ ნიკიტას ძე (რუსეთის პატრიარქი) 125, 340
ფილიპე II (ესპანეთის მეფე) 167, 181-183, 185, 187-190.
ფილიპე III [(1598-1621) ესპანეთის მეფე] 24, 30, 32
ფილიპე IV (ესპანეთის მეფე) 183, 191, 201, 215, 216, 220, 228, 231-233, 246, 252-255, 257, 262, 263, 264, 371
ფილო მარიამ გუადანიო 267
ფლორესტანელი ხოსე მანუელ იხ. ხოსემანუელ ფლორესტანელი
ფრანკების ელჩი 372
ფრანჩესკო ინგოლი (პროპაგანდა ფიდეს მდივანი) 221, 303
ფრანჩესკო რიოდოლოდი იხ. რიოდოლოდი ფრანჩესკო
ფუთურიძე გიორგი 520, 630
ფუთურიძე ვლადიმერ 45
ფურცელაძე ა. 667
ქაიხოსრო იხ. ომანაშვილი ქაიხოსრო
ქაიხოსრო II ათაბაგი 179
ქაიხოსრო თავადი (თემურაზ I-ის ელჩი მოსკოვში) 445
ქაიხოსრო (ნიკიფორეს ძმა) 205-207
ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო 66, 67, 301, 441, 509
ქართველი ბატონიშვილები 421
ქართველი პოლიტიკოსები 351
ქართველი პოტაპკო (პაპის აგენტი ასტრახანში) 444
ქართველი ულისწულები 444
ქართველთა მეფე, იბერთა მეფე, საქართველოს მეფე 155, 164, 237, 238, 241, 242, 244, 247, 248, 252
ქართლის პოლიტიკოსები 422
ქართლის მეფე 511, 515, 527
ქართლ-კახეთის მეფე 222, 257, 261, 262, 268
ქებულაძე რ. 626
ქეთევან დედოფალი (თეიმურაზ I-ის დედა) 42, 50, 53, 62, 65, 67, 70, 72, 127, 128, 356, 416, 423

ქემალი (შემახელი ვაჭარი) 94, 95
ქრისტე იესო 66, 113, 116, 119, 120, 135, 136, 152, 155, 157, 162, 227, 259, 260, 308, 309, 331, 332, 335-337, 341, 343, 347, 349, 351, 358, 366, 377-379, 381, 384, 388, 516
ქრისტეპული კირილე იხ. კირილე ქრიტეპული
ქრისტეფორე II კათალიკოსი [ულუბეგისძე ამილახორი (1642-1660)] 517
ქრისტეფორო კასტელი იხ. დონ ქრისტოფორო დე კასტელი
ქრისტიანი ბაგრატიონები 65
ქრისტინა იხ. ხორეშანი
ქრისტიან V 472
ქრისტიანი ტყვეები 397
ქუთელია თ. 626

ყ

ყალმუხელი ტყვე 346
ყარამანლუ იაყუბ ხანბეგი, იაყუბ ხან ბეგ ყარამანლუ 81
ყარახანი ტოკმაკ სულთანი 176
ყარჩიღა ხანი 137, 138
ყარჩიღა ხან სარდლის ასული 137
ყაუხჩიშვილი სიმონი 18, 45
ყვარყვარე IV ათაბაგი (1573-1632) 166-168, 170, 172
ყიზილბაში მეფე 534
ყიზილბაში შაჰი 457, 568
ყირიმის ხანი 76, 85, 112, 351, 479
ყორჩიბაში 402
ყორჩიღა ხანი (კარჩი კაი) 139
ყუმუხების მურზა 457

შ

შადიმან სუფრაჯი (ლუარსაბ II-ის გამზრდელი) 82
შალიკაშვილი კოკოლა 110
შამლუ ბექდელი მოჰამედ მედ-ბეგი (შაჰ-აბას I-ის ერთ-ერთი კარის კაცი) 49
შამხალი 79
შარდენი ჟანი (მოგზაური) 36, 205, 211, 520, 580, 649, 664, 665
შაქის მმართველი 87
შახმატოვი მ. (დიპლომატიური შიკრიკი) 91, 92
შახოვი ალ. (საელჩო პრიკაზის მოხელე, მწერალი) 95, 101, 131
შახოვი თ. 121, 122
შაჰ აბას I (1587-1629) 15-19, 24, 27-32, 34-41, 45-50, 52-54, 56-65, 67, 70-85, 87-96, 100, 103-121, 126, 127, 133-140, 142-145, 147, 148, 170, 171, 188, 193, 197, 198, 200, 206, 211, 214, 217, 223-225, 228, 240, 241, 257-259, 261, 296, 299, 301, 306, 317, 318, 321, 322, 324, 332-334, 336, 356, 363, 364, 375, 376, 380, 383, 384, 387, 419, 420, 422, 428, 429, 484, 507, 519, 525-528, 538, 539, 638
შაჰ აბას I-ის ელჩი 419, 488
შაჰ აბას II [ირანის შაჰი (1642-1666)] 395, 399, 401, 402, 406, 407, 410, 413, 415, 417, 428, 429, 432, 434, 436, 438, 439, 442, 443, 445, 450, 452, 456, 458, 462-467, 469, 477, 478, 481-483, 485, 489, 492, 505, 508, 509, 511, 513-515, 519, 549, 550, 610
შაჰ თამაზ I [ირანის შაჰი (1524-1576)] 18, 193, 418
შაჰნავაზ ხანი 483
შაჰ სეფი, სეფი I, სეფი მირზა (შაჰ აბას I-ის შვილიშვილი) 145, 147, 314, 316, 317, 320, 322, 325, 350, 352, 353, 357, 363, 365, 385-390, 392, 395, 434, 439 ,492, 495, 496, 505, 629
შენბერგი (რეჩ პოსპოლიტას წარ-

მომადგენელი) 641
შენგელია ნ. 138, 627, 628, 667
შერვაშიძე სეტემან 580, 582
შერმაზან ჩოლოყაშვილი იხ. ჩოლოყაშვილი შერმაზან
შეშუ (სომეხი ვაჭარი) 506, 507
შვედეთის მეფე, შვეციის მეფეები 351, 641
შიოში (ჯულფელი ვაჭარი) 27
შირლი ენტონი (ინგლისელი ავანტიურისტი) 24, 27
შუისკი ვასილ [რუსეთის მეფე (1606-1612) 11
შჩელკალოვი ი. 399, 400

ჩ

ჩარქაზი (თეიმურაზ I-ის ქალის ყმა) 492
ჩერკასკი ივანე ბორისის ძე 507
ჩერქეზების მთავარი 347
ჩიქობავა არნ. 273, 667
ჩიჩერინი ი. 108
ჩოლოყაშვილი ბაადურ 207
ჩოლოყაშვილი ბარა (კახეთის თავადი) 45
ჩოლოყაშვილი ბეენა 207
ჩოლოყაშვილი ბეჟანი 207
ჩოლოყაშვილი გარსევან 207
ჩოლოყაშვილი გიორგი 382, 395-400, 403, 423, 425
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი იხ. ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი
ჩოლოყაშვილი ომან 67, 206, 207, 211
ჩოლოყაშვილი რევაზ (სახლთუხუცესი თავადი) 354, 355
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო იხ. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი
ჩოლოყაშვილი შერმაზან 6, 45, 65
ჩოჩიევი ვ. 491, 495, 602, 668
ჩხეიძე ბეჟიას ქალი 555

შ

ცარგრადის სულთანი იხ. ოსმალეთის სულთანი
ცინცაძე ი. 152-154, 156, 161, 396, 405, 409, 414, 419, 423, 426-429, 444, 447, 452, 504, 505, 509, 510, 513, 514, 517, 535, 553, 576, 605, 609-611, 621, 650, 665, 667
ცირა (ლევან II დადიანის ქალიშვილი, რომელიც უფლისწულ ბაგრატს მიათხოვა) 650
ციცერონი 311

ძ

ძოწენიძე ლ. 422

წ

წულუკიძე პაატა 439

ჭ

ჭიჭინაძე ზ. 55
ჭყონია ალ. 51, 578, 660, 664

ხ

ხალილ-ფაშა 142, 143
ხარიტონი (კუმურდოს ღვთისმშობლის მონასტრის იღუმენი) 97-99, 101, 102
ხარიტონი (თეიმურაზ I-ის ელჩი) 375
ხარიტონი (საქართველოს ელჩი მოსკოვში) 535, 537
ხერხეულიძე აღათანგ (ქართლის თავადი) 50
ხეთელის ცოლი 295
ხვარამზე (გიორგი III-ის ასული) 540

ხვატოვი არტემ (დიაკი) 346, 356, 397
ხვატოვი არტემ (ელჩი) 506
ხინთიბიძე ე. 156, 187, 668
ხილკოვი ივანე ანდრიას ძე (ბოიარი, თავადი) 425, 461, 464
ხიტროვი ბოგდან მატვეის ძე (კარისკაცი) 462, 473
ხორეშანი (სიმონ I-ისა და ნესტანდარეჯანის შვილის – გიორგი მეფის ასული, მეფე ლუარსაბ II-ის და) 5, 6, 50-54, 66, 479, 481, 501
ხოსე მანუელ ფლორესტანელი 663
ხოსრო მირზა იხ. როსტომ მეფე
ხოზა მურთაზა (შაჰ აბას I-ის დიპლომატიური შიკრიკი) 89
ხოან დე სან ხოსე 190, 193
ხორეშან დედოფალი 211, 301, 353, 406
ხოსრო-მირზა იხ. როსტომ მეფე
ხოჯა (შაჰ აბას I-ის ერთგული კაცი) 82
ხოჯა მოჰამედ რეზა (იმერეთის მეფის ელჩი) 78
ხოსრო ბატონიშვილი 422
ხოსროს ძმა ბაგრატი 489
ხოსროვ ხანი (შირვანის ბეგლარბეგი) 443, 511
ხოსროვ (ხუსრევ, ხესრევ) ხანი 444
ხუან დე კუევა (ესპანეთის სამეფო კარის ინფორმატორი) 48
ხუან დე ილიაკესი 485
ხუან დე მარლიანი 168, 171
ხუან სირინოსა 191
ხუსრევ ფაშა 142, 297, 299

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 52, 194, 313, 314, 322, 327, 339, 481, 484, 503
ჯაკომო ბერძენი 221
ჯაკომო დი სტეფანო 276, 282
ჯაკომო მორმორაი 168
ჯაკომო პატრი 319
ჯამბურია გ. 47, 146, 307, 315, 321, 503, 510, 540-542
ჯანაშვილი მ. 348
ჯანაშია ს. 411, 503
ჯანბანუმი (შაჰ აბას I-ის შვილიშვილი (ქალიშვილისაგან) – ყორჩიბაშის ასული 450
ჯანდიერი დავით (კახელი თავადი) 68, 75, 76, 86, 87
ჯენკინსონი ენტონი (ინგლისის „მოსკოვის კომპანიის“ აგენტი) 34
ჯერონიმო დე ტომაზო 638
ჯიქია ს. 139, 140, 142, 297, 299, 523, 668
ჯორჯაძე ნოდარ (კახელი თავადი 68, 72, 75, 76, 86, 87
ჯოვანი პიეტრო კარაფა (თეატინელი ეპისკოპოსი) 250
ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო 125
ჯოვანი ჯულიანო და ლუკა 579, 626, 633
ჯუზეპე მარია ძამპი (მისიონერი) 205, 211
ჯუზეპე ჯუდიჩე 282
ჯუზეპე დონ ჯუზეპე (კათოლიკე მისიონერი) 36
ჯულიანო ჯოვანი (პატრი) 210
ჯუსტ ლიპსი 311

ჰ

ჰამზა მირზი (ირანის უფლისწული, აბას I-ის 95
ჰასან ფაშა (მთავარსარდალი) 173
ჰაფიზ ფაშა 139
ჰორაციო 311
ჰუსერლი ბარტოლომეო 174
ჰუსეინ ალი ბეგ 614

გეოგრაფიული სახელები

ა

ადიღე 39
ავსტრალია 29, 279
აზერბაიჯანი 39, 48, 496
აზოვი 121
აზოვის ციხე 573, 576
ალავერდის მონასტერი 354
ალავერდის ტაძარი 356, 483
ალბანეთი 231
ალგეთის ხეობა 139
ალეპო 28, 33, 88, 248, 286
ალექსანდრია 293
ალი 191
ალინჯა 308
ალპები 283
ამასია 8, 14, 51, 520
ამიერი 39
ამიერკავკასია 8, 9, 47, 481
ანატოლია 141
ანატოლიის ვილაიეთი 140
ანტიოქია 173, 175
არაგვი 87, 93, 533
არაგვის გზა 332
არაგვის საერისთავო (ყარაყალუა-ნი) 347
არაგვის ხეობა 338, 383
არდებილი 62, 91, 95, 525, 527
არეში 318
არეზი (ქალაქი) 74, 77, 87
არზრუმი 102, 142, 143, 146, 172, 173, 198
არზრუმის ვილაიეთი 140
არცევი (გორის მახლობლად) 496
ასტრაბადი 482, 483
ასტრახანი 26, 41, 69, 71, 95, 101, 138, 143-145, 316, 345, 346, 441, 444, 456, 461, 470, 476, 477, 509
ასტრახანი გზა 34
ასტრახანის სახანო 34
ატემარი (ქალაქი) 414
აფაზეთის სამთავრო 580
აღაიანის მინდორი 137
აღდგომის ეკლესია 124
აღმოსავლეთი 153, 164, 173, 186
აღმ. ამიერკავკასია 74, 83, 84, 91, 169, 171, 180, 392, 511, 512, 523
აღმ. აფრიკა 197
აღმ. იერუსალიმი 186
აღმ. კავკასია 69
აღმ. საქართველოს სამეფოები 198
აღმ. საქართველო 7-9, 18, 34, 37, 64, 66, 71, 88, 111, 112, 117, 146, 161, 199, 211, 300, 316, 321, 322, 324, 449, 467, 484, 485, 494, 525, 527, 529, 538, 641
აღმ. ქვეყნები 110, 123
აყ-ყოინლუ 150, 152
აყ-ყოინლუს სახელმწიფო 60
აშრაფი (მაზანდერანში) 126, 144, 218
აჭარა 619
ახალდაბა 194
ახალი რომი იხ. მოსკოვი
ახალი ჯულფა 28
ახალქალაქი 170, 171
ახალციხე 575
ახლო აღმოსავლეთი 2, 15, 37, 87, 89, 154, 163, 187, 199, 211, 436
ახლო აღმოსავლური სახელმწიფო 85

ბ

ბაზალეთი 141-144, 146, 296, 298, 299, 524, 542
ბათუმი 140, 532
ბალახინი 473
ბალყარეთი 39, 434
ბანძა 575
ბარდა 137
ბასრა 53

ბაღდადი 147, 217
ბაშიაჩუკის ქვეყანა იხ. იმერეთი
ბაქო 39,41
ბახტრიონი 108, 316, 322, 444, 509
ბაჰრეინი (კუნძული) 19
ბეთლემი 294
ბენდერ-აბასი 225
ბითინია 231, 242, 246
ბიზანტია 218 418, 513
ბოსფორის და დარდანელის სრუტეები 646
ბოჰემია 278
ბურგოსი 156

გ

განჯა 37, 48, 68, 125, 145, 314, 318,320, 333, 398, 401, 403, 512, 524
განჯა-ყარაბახი 198
გელათის მონასტერი 396
გერმანია 244, 283, 284
გილიანის მიწები 618
გოლგოთა 97, 124, 151, 213
გოლგოთის მონასტერი 341, 343
გონიო 137, 495
გონიოს ციხე 629-631
გორი 19, 83, 184, 208, 210, 217, 276, 282, 284, 286-288, 302, 304, 308, 310, 311, 319, 496
გოჭოურა 537-539, 581
გრანადა 154
გრემი 354, 421, 467
გურიელის მიწა-წყალი 467
გურქჩაი (მდინარე) 47
„გურჯისტანი“ იხ. საქართველო
„გურჯისტანის“ პროვინც. იხ. საქართველო
გურია 231, 376, 416, 468, 520, 522, 525, 533, 613, 641
გურია-სამეგრელო 531
გურიის სამთავრო 76, 86, 97, 140, 208, 529, 534, 580, 613
გულაბის ციხე 617

დ

დადიანის მიწა-წყალი 467
დადიანის სახელმწიფო 298
„დადიანი“ იხ. ოდიშის სამთავრო
დადიანის ქვეყანა იხ. ოდიშის სამთავრო
დამასკო 248
დანია 442
დარუბანდ-შირვანი 389
დარუბანდი 443, 444, 511, 616
დასავლეთ საქართველო (ბაშიაჩუკი) 8, 14, 17, 31, 71, 73, 76, 112, 138, 141, 208, 211, 258, 299, 313, 321, 335, 448, 449, 479, 481, 494, 511, 523-525, 527, 528, 533, 538, 567, 571, 580, 581, 610, 636
დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროები 529
დასავლეთ ევროპა 2, 7, 9, 15, 18, 24, 27, 29, 30, 32, 148, 155, 156, 158, 159, 196, 202, 213, 218, 222, 223, 229, 281, 321, 362, 529, 532
დაღესტანი 39, 66, 84, 85, 140, 313, 399, 410, 417, 443, 541
დაღესტანის გზა 482
დერბენტი 39, 41, 62, 70, 91
დერბენტთან ამაკავშირებელი გზა 89, 364
დიარბექირი 99
დიდოეთი 374, 446
დიტის მთები 371
დმანისი 37
დნეპრი 155
დნეპრისპირეთი 471
დონი 121, 570

ე

ეგვიპტე 150, 152, 153
ევროპა 8, 9, 18, 27, 30, 32, 33, 35, 52, 149, 150, 152, 161, 191, 203-205, 210, 212-215, 217,

222, 223, 227, 263, 264, 266, 287, 289, 292, 300, 304, 305, 328, 408, 530, 538, 613, 636, 637, 639, 641
ევროპასთან დამაკავშირებელი გზა 612
ევროპის სახელმწიფოები 15, 148, 165, 292
ენდერი 94
ენისელი 327
ერევანი 31, 48, 325, 401, 615
ერზერუმი 175-179, 521
ესპანეთი 9, 14, 24, 28, 30-33, 48, 60, 133, 148, 149, 152, 156, 158-161, 164, 166, 175, 181-184, 187-189, 191, 196, 197, 201, 202, 210, 215, 216, 219, 221, 223-227, 230-236, 242, 245, 253, 256, 257, 260, 261, 269, 280, 283, 285, 286, 298-302, 334, 340, 615
ეჩმიაძინი 29

ვ

ვარშავა 279, 280
ვატიკანი 53, 181, 215, 260, 261, 263, 267, 311, 312
ვენა 615
ვენეცია 615, 638
ვენეციის რესპუბლიკა 612
ვოლგა 34, 618
ვოლგის გზა 34
ვორონეჟი 121

ზ

ზაგემი 73, 91, 360, 380
ზარუქვას ყაბარდო 566
ზემო ქართლი 75
ზოჰაბი 602
ზუგდიდი 459, 552, 608,643
ზუტიჩი იხ. ზუგდიდი

თ

თავრიზი 166, 318, 340
თბილისი 37, 49, 66, 93, 138, 144, 145, 163, 169, 173-177, 180-181, 194, 195, 320, 415, 435, 481, 512, 557, 558
თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი 348
თეიმურაზის სამეფო 572
თეკლას მონასტერი (იერუსალიმში) 213
თერგი 69, 79, 80, 92, 94, 101, 102, 120, 129, 145, 337, 345, 346, 350, 352-354, 392, 402, 441, 447, 452-454, 456-458, 413, 464, 476, 477, 556, 570, 571
თერგ-ქალაქი იხ. თერგი
თერგის მიწები 405
თერგის ციხე 404, 441, 442, 511
თერგის ციხე-ქალაქი იხ. თერგი
თიანეთი 354, 492
თორღის (პანკისის) ციხე 78
თურქეთი 23, 48, 77, 81, 98, 116, 182, 186, 188, 216, 305, 372, 428, 464, 531, 556, 558, 616, 617, 640
„თურქეთის ტბა“ იხ. შავი ზღვა
თურქეთის იმპერია 274
თუშეთი 354, 371, 427, 447, 453
თუშეთის გზა 400
თუშეთის მთები 384
თუშ-ფშავ-ხევსურეთი 448, 449

ი

იასი (მოლდავეთის ქალაქი) 273
იაფა-ქალაქი და ნავსადგური პალესტინაში 596
იბერია იხ. ივერია
იერუსალიმი 56, 68, 98, 122, 128, 151, 153, 154, 176, 188, 195, 201, 207, 211, 213-219, 238, 267, 274, 278, 281, 284, 287, 294, 301, 304, 335, 338, 341-343, 366, 390, 479, 480
იერუსალიმის წმ. საბას მონასტერი 123

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი 206, 214, 218, 305
ივერია, იბერი, იბერია, „იბერია“ 78, 79, 89-92, 103, 105, 110, 114, 164, 180, 214, 216, 231, 235, 237-239-244, 248, 255, 256, 332, 333, 337, 338, 342, 346, 352, 358, 361, 362, 365, 371, 372, 376, 390, 457, 468, 477, 485, 527, 632
ილორის ხატი 537
ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა 543
იმერეთი (ბაშიაჩუკი) 11, 13, 80, 82, 86, 89, 94, 97, 102-106, 140-142, 173, 187, 231, 300, 321, 340, 375, 395, 401, 403, 404, 407, 409, 416, 426, 431, 434, 442, 457, 461, 462, 464, 465, 481, 483, 493-497, 501, 505, 506, 520-527, 538, 541, 543, 548, 550, 557, 560, 563, 564, 568-570, 573
იმერეთის სამეფო 102, 112, 402, 534, 537-543, 545, 549-551, 553, 536-558, 567, 569, 571, 575, 612, 613
იმერეთის სათავადაზნაურეები 561
იმიერი 39
ინგლისი 33, 34, 223, 615
ინგუშეთი 39
იორისპირი 492
ირანი (შირაზი) 61, 69-71, 74, 77-81, 83-87, 89, 91, 92, 97-100, 107, 108, 110, 111, 113, 114, 118, 120, 121, 125-129, 132, 133, 135, 138, 139, 144-148, 151, 156, 160, 164-166, 170-173, 178, 180, 182, 186-188, 191, 193-198, 200-202, 205, 215-217, 223-225, 229-231, 235-237, 240, 241, 248, 257, 258, 291, 295, 296, 312, 315, 317-322, 324, 325, 329, 333, 335, 337, 348, 351-353, 361, 372-374, 382, 387-389, 399, 401, 404, 409, 410, 418-420, 422, 424, 429, 440-443, 450, 466, 469, 481-483, 485, 488, 489, 493, 496, 500, 503, 505, 510-515, 519, 520, 527, 530, 533, 534, 539, 549, 613, 615-618, 638-644
ირანის ყურე 200, 201
ისლამის ქვეყნები 86
ისპაანი 21, 26, 27, 32, 36, 52, 70, 71, 136, 145, 147, 181, 208, 298, 300, 483, 488, 502, 616
ისფაჰანი იხ. ისპაანი
იტალია 207, 208, 210, 223, 278, 283

კ

კავკასია 8, 16, 34, 35, 39, 74, 85, 88, 98, 241, 348, 382, 430, 505
კავკასიონი 446
კავკასიონის ზემო კალთები 579
კავკასიონის მთა 477
კავკასიონის უღელტეხილები 446
კათოლიკური სახელმწიფოები 261
კაირო, ქაირო 153, 157
კაისერი 239
კაკას ხიდი 543
კაპადოკია 164, 239, 242, 246
კარაისარი 95
კარაკალკანი (არაგვის ხეობა) 337-338
კარკი 69
კასპიის ზღვა, ხვალისის ზღვა 34, 231, 400, 410, 432
კასპიის ზღვაზე მდებარე ქვეყნები 618
კასპიის ზღვის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო 617
კასპიისპირეთი 34, 417
კასტელროსი (კუნძული) 480
კასტილია 159, 189
კაფა 121, 141, 479
კახეთი, კახეთის სამეფო 11, 30, 31, 38, 40-45, 47, 50-52, 57, 61, 63-65, 67, 71, 73-76, 86-88,

91, 93, 95, 100, 105, 109, 130, 137, 138, 147, 171, 178-180, 187, 193, 197, 205, 216, 219, 229, 234, 241, 298, 301, 324, 325, 328, 332, 337, 344, 347, 357-361, 364, 369, 400-404, 406, 410, 413, 415, 419-421, 423, 424, 432, 435, 438, 440, 447, 448, 459, 461, 466, 482, 490, 496, 499, 503, 517-519, 523, 525, 526, 533, 534, 603, 610, 615
კახეთის სამეფო იხ. კახეთი
კახეთის ტახტი 553
კელასურის კედელი 580
კენკი იხ. განჯა
კისისხევი 498
კოლხეთი 239
კოლხეთის სანაპიროები 616
კონსტანტინოპოლი 35, 95, 98, 121, 142, 155, 157, 164, 166-168, 174, 175, 181, 183, 186, 187, 192, 221, 222, 231-236, 238, 239, 242, 278, 285, 288, 290, 292-295, 326, 329, 334, 371, 504, 531, 532, 609, 625, 636, 642
კოსა 79
კრაკოვი 615
კუმურდო 19

ლ

ლარის ვილაიეთი 19
ლევანტი 33
ლეკეთი 66
ლიონი 158
ლისაბონი 30
ლიტვა 133, 155, 284
ლორენტო 270

მ

მადრიდი 2, 24, 149, 187, 193, 196
მაზანდარა იხ. მაზანდარანი
მაზანდარანი, მაზანდარა 57, 62, 64
მაზანდერანის მიწები 618
მანტუა 278
მარაბდა 140, 145, 296, 488, 492, 540
მარაბდის ველი 139
მარტყოფი 137-139, 145, 198, 200, 296
მარტყოფის ეკლი 137
მდ. იორის აღმოსავლეთი მხარე 75
მდ. იორის დასავლეთი მხარე 75
მესამე რომი იხ. მოსკოვი
მესინა 216, 219, 221, 226, 264, 294, 300
მესხეთი 74, 318
მეტეხი 211
მეჯვრისხევი 18
მთიანეთი 449
მოლდავეთი 221, 222, 274
მონიაკი 40
მოსკოვი 8, 10, 30, 33-35, 38, 40, 41, 69, 71, 73, 78, 80, 85, 89, 90, 96, 97, 99, 101, 102, 104, 106, 109, 110, 113-117, 119-121, 123, 124, 127, 128, 130, 131, 137, 138, 142, 143, 183, 213, 230, 240, 252, 254-256, 283, 284, 297, 305, 306, 316, 325-327, 331, 334-340, 343-344, 346, 350, 351, 356, 359, 360,363, 364, 366-369, 372-373, 378-380, 382-385, 387, 389, 390, 398, 399, 401, 403, 405, 406, 408-411, 413-416, 418, 422, 424-433, 436, 438, 440-445, 447-451, 453, 455, 457, 458, 461, 463-466, 468-471, 473-475, 477-479, 481-483, 499, 503-517, 519, 525, 527, 534, 535, 539, 540, 545, 548-550, 552, 553, 563, 597, 610, 611, 615, 616, 632
მოსკოვის აღდგომის მონასტერი 347
მოსკოვის საელჩო პრიკაზი 91, 135, 136
მოსკოვის სახელმწიფო 39, 338, 379
მოქვი (სოფელი სამეგრელოში) 208

მუხრანი 137
მცხეთა 328, 331, 335-337, 347, 349, 377, 379-382, 388, 396, 394
მცხეთის დიდი ეკლესია 366, 383
მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი 349

ნ

ნავარიის სამეფო 189
ნამურდანი (ნამურკიანი) 95, 131
ნახჭევანი 615
ნეაპოლი 212, 219, 221, 226, 2357 236, 248, 254-256, 296
ნიდერლანდები 223-224
ნიკეა 263
ნიკორწმინდა 409
ნიჟნი-ნოვგოროდი 101, 399
ნიქოზი 526
ნოღაი 318

ო

ოდიში 324, 328-329, 520, 525, 529, 532, 534, 537, 553, 610, 611, 613, 640
ოდიშის სამთავრო, დადიანის ქვეყანა, „დადიანი“ 9, 11, 97, 282, 299, 375, 434, 439, 440, 463, 468, 528, 538-540, 553, 580, 612, 613, 628, 632, 637
ოლთისი (ქალაქი) 95, 111
ორმუზი 53, 97, 144, 200, 201, 216, 223, 224282, 289, 375, 434, 439
ოსმალეთი 7-11, 14, 15, 17, 19, 24, 26-29, 33, 35-38, 40, 41, 43, 47, 51, 64, 65, 69, 70, 74, 76, 81-85, 87-89, 94, 95, 98, 100-102, 108, 109, 111, 112, 125, 131, 132, 134, 137-139, 142-146, 150-152, 160, 164, 165, 167, 169, 173, 179, 180-182, 184, 187, 188, 191, 193-195, 202, 204, 213, 223-225, 228-232, 235-242, 244, 256-258, 274, 288, 289, 293, 294, 298-300, 305, 313, 318, 319, 324, 325, 329, 335, 343, 348, 409, 413, 420, 422, 429, 446, 448, 464, 484, 493-495, 511, 520-524, 530, 531, 538, 613, 616, 620, 638
ოსმალეთის შავი ზღვის სანაპირო ქალაქები 8, 15
ოსმალეთის ხაზინა 640
ოსტასოვე (ქალაქი) 94
ოსტინდოეთი 187

პ

პეტრეს ტაძარი 311
პირენეის ნახევარკუნძული 224
პორტუგალია 32, 33, 201, 224
პრაღა 27

რ

რაჭა 409, 436, 460
რეჩ-პოსპოლიტა 278, 279, 283, 414, 445, 457, 474, 612, 616, 618, 626
რიონი 174
რომი 14, 27, 54, 115, 149, 153, 158, 160-163, 181, 182, 191, 192, 207, 210, 214, 220, 221, 225, 227, 244, 253, 255, 256, 264-266, 268-270, 276, 278, 281, 283-286, 288, 289, 292, 293, 300, 301, 303, 318, 322, 326, 327, 615, 616, 642-644
რუსეთ-ირანი 511
რუსეთი 2, 7, 8, 10, 11, 14-16, 26, 31, 32, 34, 37-41, 52, 56, 69-71, 74, 78-80, 84, 85, 89-92, 94-98, 100, 103-107, 109-120, 122, 129-134, 137, 156, 183, 219, 297, 305, 306, 308-312, 326-328, 330, 358, 360, 362-364, 367-369, 371, 374, 377-

379, 381, 383, 388-390, 393, 399, 400, 402, 408, 410, 417-424, 427-430, 432, 438, 442, 445, 446, 448, 449, 451, 452, 456, 458, 461, 464, 470, 471, 474, 475, 478, 480-482, 484, 504, 505, 510-515, 518-520, 534, 536, 544-550, 552, 553, 610, 612, 613, 618, 619
რუსეთ-ირანი 511
რუსთა ქვეყნები 374
რუხი (ქალაქი) 619, 640
რუსეთ-საქართველო 510
რუსეთის მდინარეების – დნეპრისა და დონის არტერიები 613

ს

საბარათიანო 323
საბერძნეთი 232, 235, 237, 326
სადადიანო 434, 436, 468
სალონიკი 279
სამეგრელო 76, 86, 140, 205, 208-211, 231, 284, 460, 468, 533, 536
სამთავროები შავი ზღვის პირას 636
სამცხე 8, 51, 140, 142, 146, 172, 296, 523, 540
სამცხე-საათაბაგო 166, 169, 170, 602
სამხრეთ-დასავლეთ კავკასია 2, 7
სამხრეთ კავკასია 74, 84, 364, 422, 436
სარატოვი 42, 461, 478, 480
საფრანგეთი 33, 223, 225, 227, 278, 530
საფურცლე 282
საქართველო 2, 7, 10, 11, 15, 16, 18, 27, 30-32, 34-42, 48, 52-54, 56, 58, 60, 61, 65, 66, 68-75, 77-81, 83, 86, 87, 89, 91, 93-99, 102-105, 107, 110-114, 116-120, 124, 125, 127-132, 135, 141, 143, 145-154, 156, 159, 160, 162, 163, 165, 168, 169, 171, 172, 174, 181, 183, 187, 189, 191, 192, 194-196, 202, 205, 208, 210, 211, 215-219, 223, 225, 231, 232, 236, 238, 244-246, 251, 252, 255, 257, 261, 264, 266, 269, 270, 275-293, 295-298, 302, 305, 307, 309, 311, 313, 315-319, 321, 322, 325, 329, 331, 339-338, 342-344, 347-349, 351-354, 356, 357, 361, 364, 366, 369, 391, 392, 397, 399-402, 404, 406, 408, 409, 414-420, 424, 426-429, 431, 436, 443, 445, 451, 453, 458, 462, 466, 469-474, 476-478, 480, 482, 488, 489, 493, 495, 501, 506, 513, 516, 517, 523, 528-530, 536, 542, 547, 615-617, 626, 638, 639, 641, 642
საქართველო ირანი 638
საქართველოს მთიანეთი 449
საქართველოს ოლქი 344
საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი გზები 365
საშამხლო 39-41
საჩხეიძეო ბაღდადთან 543
სევილია 156
სერალი 317
სერგიევის სამების მონასტერი 346
სვეტიცხოველი 500
სვეტცხოვლის ტაძარი 5, 120, 130, 388, 396
სიმონ პეტრას მონასტერი 181
სიონის მონასტერი 314
სირებულენი 495
სირია 28, 248
სიტიფატოროკი 263
სიცილია 216, 217, 219, 222, 254-256
სკანდის ციხე 417
სკუტარი 231, 246
სმირნა 213
სომხეთი 37, 39, 48, 166, 246, 316
სომხითი 323
სომხით-საბარათიანო 492
სპანია იხ. ესპანეთი
სპარსეთი 442

სპარსეთის ყურე 201
სტამბოლი 8, 31, 51, 83, 88, 111-113, 132, 522, 528, 545, 618, 626, 637
სურამი 75, 194

ტ

ტანა (ქალაქი მდ. ტანაისის შესართავთან) 174, 175
ტანაისი (მდინარე) 174
ტარკი 40, 71, 94
ტაჯიკეთი 617
ტოსკანის საჰერცოგო
ტრანსილვანია 188, 189
ტრაპიზონი 121, 242, 521, 522, 612, 616
ტრაპიზონის ვილაიეთი 140
ტრაპიზონის იმპერია 613
ტრაპიზონის საკეისრო 35

უ

უნგრეთი 164
ურმიის ტბა 37
უჯარმა 211

ფ

ფარსი 18, 19
ფერარა 162, 163
ფერარა-ფლორენცია 157, 158
ფერისცვალების ეკლესია 380
ფლორენცია 158, 161, 163, 268, 278, 280
ფოთი 35, 174
ფშავი 427, 447, 453

ქ

ქართლი 31, 37, 38, 47, 49, 50, 52-54, 57, 61, 63, 72, 81, 93, 103, 137-141, 147, 150, 151, 153, 156, 157, 159, 162, 163, 165, 172, 179, 197, 216, 217, 219, 221, 234, 236, 241, 260, 294, 298, 320, 322, 332, 333, 337, 344, 356-358, 377, 380, 381, 385, 386, 396, 401, 402, 415, 422, 436, 454, 460, 465, 482, 492-493, 502, 503, 510, 512, 513, 517, 523, 525, 526
ქართლ-კახეთი 11, 69, 202, 289, 302, 313, 321
ქართლ-კახეთის სამეფო 14, 502, 503, 650
ქაირო იხ. კაირო
ქართლის სამეფო 169, 377, 553, 610
ქაშანი 616
ქეშმი (ციხე-სიმაგრე) 197
„ქვემო ქუთაისი“ 437
ქილუიეს მთა 19
ქისტეთი 66, 409, 435, 417, 460
ქისტეთის მთები 447
ქრისტეს ეკლესია 375
ქრისტიანული ევროპა152, 224
ქსნის ხეობა 296
ქუთაისი 324, 403, 435, 437, 460

ღ

ღვთისმშობლის სარტყელი 380

ყ

ყაბალა (ქალაქი) 74
ყაბარდო 39, 69, 84, 85, 90, 101, 318, 457, 461, 514, 604
ყაზანი 41, 101, 353, 463, 497, 516
ყაზანის სახანო 8, 34
ყაზვინი 320, 445
ყარაბახი 37, 47, 314, 318
ყარაჩაი 39
ყარსი 173
ყარსის საფაშო 521
ყარაყალყანი იხ. არაგვის საერისთაო
ყიზილბაშთა მიწები 618
ყიზლარი 354
ყირიმი 35, 40, 41, 102, 318

ყირიმის ნახევარკუნძული 35
ყირიმის სახანო 8, 85, 125, 612
ყირიმ-ოსმალეთი 449
ყოისუს ციხე 374, 443
ყუმუხეთი 69, 77

შ

შავი ზღვა 90, 91, 155, 231, 234, 524, 538, 636, 640
შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნები 613
შავი ზღვის მცირე აზიის სანაპირო 113
შავი ზღვის ნაპირი 173, 464, 466, 496
შაქი 87
შაჰინ-გირეი 258
შემახა, შემახი, შამახა 39, 41, 70, 91, 94, 116, 145, 316, 318, 325, 363, 400, 401, 403, 404, 410, 483, 512, 518, 546
შემახის ციხე 61

შვეცია 278
შირაზი იხ. ირანი
შირვანი 31, 85, 180
შიხიანი (სოფელი) 324
შუა აზია 39, 34
შუამთა 392

ჩ

ჩარი (ალბათ ბაშიაჩუკი - იმერეთი) 80
ჩერკასი 441, 509
ჩერქეზეთი 39, 105, 231, 273, 274
ჩეჩნეთი 39, 66
ჩილდირანი 28
ჩილდირი 121
ჩილდირის ხიდი 140
ჩრდილო იტალია 35
ჩრდილო კავკასია 7, 9, 10, 38, 40, 69, 70, 86, 318, 342, 374, 579
ჩრდილო კავკასიის სამთავროები 14, 69
ჩრდილო ოსეთი 39
ჩუდის მონასტერი 347
ცარგრადი (ცარგოროდი) 78, 258, 331, 337
ცარიცინი 461
ცენტრალური ევროპა 7
ცენტრალური კავკასია 69
ცხუმი 35

ძ

ძეგამი 77

წ

წარწერა წმ. გიორგის ხატზე 590
წახური 443, 511
წვეჟეთი 472, 474
წიწამური 93, 109, 316, 322, 444, 509
წოვა-თუშეთი 105

ხ

ხარიტონი 525
ხევსურეთი 427, 447, 453
ხევსურეთის გზა 354
ხვალისის ზღვა იხ. კასპიის ზღვა
ხმელთაშუა ზღვა 28, 217
ხელთაშუაზღვისპირეთი 223
ხოლმოგორის ნავსადგური 31
ხორგუას ქვაბნი 211

ჯ

ჯვრის მონასტერი 207, 211, 281, 301
ჯულფა 616

ჰ

ჰოლანდია 33, 227, 351

ეთნიკური სახელები

ა

აგარიანელები იხ. მუსლიმანები
ავარები 94
ავგუსტინელი მისიონერები 29
ავშარის ტომები 19
ამიერკავკასიის მუსლიმანი მოსახლეობა 512
არაბები 159
არაქრისტიანული მოსახლეობა 499
აღმოსავლეთის ხალხები 235
აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები 446, 449
აფხაზები 539
აფხაზ-ჯიქები 539

ბ

ბასილიანელები 263, 264
ბერძნები 235, 263, 264, 293, 302, 331

გ

გამაჰმადიანებული ქართველები 502, 514
გურულები 614

დ

დადიანელები 469, 470
დაღესტანელები 74, 374-389
დაღესტანელი ფეოდალები 41
დიდოელები 374
დნეპრის კაზაკები, დონის კაზაკები, დონელი კაზაკები 8, 15, 145, 146, 148, 618
დნეპრისპირეთის კაზაკები 471
დონელი ყაზახები 609

ე

ებრაელები 174, 639
ებრაელი ვაჭრები 639, 640
ეგვიპტელები 152, 156
ევროპელები 29, 35, 152, 225, 364
ევროპელი ქრისტიანები 531
ესპანელები 153, 156, 160, 173, 174, 181, 201, 229
ესპანელი დიპლომატები 226
ესპანელი მკვლევარი 217
ესპანელი ჰაბსბურგები 224

ვ

ვარშაველები 615
ვოლგის კაზაკები 79

თ

თათრები 336, 626
თერგის კაზაკები 79, 138
თიანეთელთა წესის ისტორიკოსები 222
თურქები 79, 90, 93, 94, 131, 144, 153, 167, 168, 172, 174-176, 179-181, 186, 194, 233, 235, 238, 246-248, 261, 262, 293, 298, 330, 331, 343, 349, 355, 373, 375, 376, 475, 531, 550, 602, 614, 626
თურქი ვაჭრები 639
თურქმანები 152, 519
თუშები 426-453, 455, 482

ი

იანიჩარები 112, 113, 132, 140
იბერები 242, 246, 427
იერუსალიმელი ბერძნები 220
ივერიელები, ივერები 89-91, 105, 106, 158, 333, 337, 378, 536
იმერლები 104, 172, 469, 470, 575
ინგლისელები 34, 325
ინგლისელი ვაჭრები 35
ინდოელები 132
ირანელები 71, 88, 96, 200, 295, 343

ირანის კაზაკები 79
ირანის შაჰები 11
ირანში მცხოვრები ქართველები 198
ისრაელები 343
იტალიელები 249
იუდეველები 640

კ

კაზაკები 132, 524, 525, 565, 573, 610, 612, 613, 616, 617, 618, 619, 620, 626, 668, 673
კაზაკები გონიოს ციხეში 632
კათოლიკეები 151, 267
კახელები, კახები, კახნი 42, 54, 57, 67, 72, 73, 76, 86-88, 93, 137, 147, 314, 350, 354, 374, 446, 483, 501, 514, 533
კონსტანტინოპოლელი ელჩები 531, 533

ლ

ლაზები 632
ლათინები 220, 294, 311, 326, 338, 342
ლეკები 113, 338, 341, 342, 350, 366, 367, 373, 374, 390, 393, 397, 425, 426
ლიტველები 135

მ

მამლუქები 153
მეგრელები 174, 531, 614, 630, 631
მთიელები 387, 395, 399, 426, 427, 429, 448, 450, 452, 456
მთიელთა მთავრები 74
მთიელი ჩერქეზები 475
მონღოლები 158
მოსკოველები იხ. მოსკოვიტები
მოსკოვიტები, მოსკოველები 127, 616
მუსლიმები, მუსლიმანები 102, 342, 404, 468

ნ

ნოღაელები 338, 346
ნოღაელი თათრები 409

ო

ობეზგები 16
ოდიშარები 539
ოსები 342
ოსმალები 20, 29, 32, 38, 47, 48, 89, 110, 117, 138, 139, 144-148, 153, 165, 166, 169-172, 176, 180, 187, 188, 191, 194, 208, 229, 230, 237, 305, 311, 320, 387, 388, 496, 524, 525, 610, 611, 613, 616

პ

პოლონელები 135, 473
პოლონელი კაზაკები 614
პორტუგალიელები 33, 197, 200, 201, 209, 225
პორტუგალიელები (ესპანეთის მეფის ქვეშევრდომები) 197

რ

რუსები 30, 41, 69, 86, 93, 96, 123, 135, 136, 145, 174, 305, 341, 342, 344, 345, 347-350, 353, 355, 357, 364, 367, 373, 374, 380, 393, 417, 429, 436, 443, 465, 511, 551, 553, 617
რუსეთის ქართველები 86
რუსი დიპლომატები 96, 108
რუსი ელჩები 70, 114, 126, 129, 501, 612

ს

სარკინოზები 153
სეფიანები 170
სირიელები 165
სომეხი ვაჭრები 639
სომეხი ჯარისკაცები 640

სომხები 29, 151, 152, 338, 343, 639
სპარსელები 89, 142-144, 153, 167, 169, 171, 174-177, 180, 193, 200, 201, 205, 216, 229-231, 235, 236, 239, 259, 261, 262, 295, 323, 325, 338, 339, 343, 373, 374, 399, 529, 615, 617, 639

ფ

ფრანგები 225
ფრანცისკანელები 151
ფშაველები 426, 427, 447-453, 455

ქ

ქართველები (ირანში მხოვრები) 54
ქართველები, „ქართველები“ 69, 70, 75, 77, 80, 85, 87, 88, 92, 95-97, 103, 108, 112, 117, 120, 138, 140-142, 144, 146-148, 150-153, 156, 158, 159, 161-163, 165-169, 171-178, 180, 181, 186, 191-193, 195, 196, 201, 219, 220, 226, 229, 230, 232, 237, 242, 252, 255, 261-267, 294, 298, 304, 311, 314, 318, 319, 336, 342, 343, 350, 351, 359, 390, 410, 415, 418, 419, 427, 429, 430, 432, 451, 463, 465, 467, 475, 485, 486, 490, 503, 508, 520, 523-527, 530, 531, 536, 538, 614, 617, 641
ქართველები იხ. „ქართველები“
ქართველი დელეგატები 157
ქართველი დიპლომატები 40
ქართველი ელჩები 156, 157
ქართველი მეფე-მთავრები 471
ქარვთელი მთიელები 447, 449, 451-453, 455, 456
ქართველი პოლიტიკოსები 87
ქართლელები 63, 394, 435, 499
ქრისტიანები 104, 153, 174, 177, 392, 503
ქრისტიანი ბავშვები 545
ქრისტიანი მოსახლეობა 449, 464, 467
ქისტები 449, 450

ყ

ყაბარდოელები 76
ყაზახები 641
„ყაზი ურუსი“ 409
ყიზილბაშები 47, 48, 58, 61, 72, 75, 78, 80, 81, 83, 87, 88, 91, 92, 95, 108, 135, 137, 139-142, 145, 146, 148, 200, 300, 301, 309, 316, 318, 320, 322, 323, 332, 340, 349, 353, 363, 379, 395, 398, 402, 404, 413, 440, 444, 452, 459, 463, 464, 466, 468, 469, 475, 478, 488, 490, 493, 496, 502, 503, 509, 510, 519, 523, 526, 527, 543, 546, 549, 561, 618
ყიზილბაში ამირები 17
ყიზილბაში შიკრიკი 95, 113, 114, 120
ყირიმელები 102
ყირიმელი თათრები 612
ყუმიკები, ყუმიხები 443, 452, 456, 477, 509
ყუმუხები, ყუმუხელები, ყუმუხების მიწა-წყალი 72, 79, 84, 90, 94, 102, 117, 118, 393, 441, 443, 444, 509, 548
ყუმუხელი ბიტუპი 577

შ

შვედები 473
შიიტი ირანელები 140
შირვანელები 74

ჩ

ჩერქეზები 30, 102, 174, 338, 346, 347, 402, 452, 477, 486
ჩრდილო კავაკასიელები 74, 84, 89, 338
ჩრდილო კავკასიელი მთიელები 74, 102, 446
ჩრდილო კავკასიის ხალხები 40

ცხ

ცხირეთი 499

ჭ

ჭანები 632

ხ

ხევსურები 426, 427, 447-453, 455

ჯ

ჯელალიები 16
ჯიქები 545

ჰ

ჰაბსბურგები 164
ჰაბსბურგების სახელმწიფო
ჰოლანდიელები 225

УКАЗАТЕЛИ

а) Собственные имена

Александр III, царь Имерети (1629-1660) 679, 682
Байбуртян В.А. 27, 669
Беленицкий Л.М. 16, 671
Белокуров С.А. 41, 44, 114, 115, 126, 131, 284, 420, 669-670
Брайловский С. 119, 670
Бушев П.П. 33, 42, 613, 618, 670
Василевский Н.И. 378
Ватейшвили Д.Л. 148, 200, 202, 213, 219, 230, 246, 263, 266, 269, 270, 276, 670
Веселовский Н.И. 40, 72, 84, 88, 670
Габашвили В. 680
Гамезардашвили З. 54, 68, 206, 210, 214, 217, 219, 222, 230, 257, 266, 285-287, 289, 290, 303, 670
Даль В. 70, 672
Джавахишвили Нико 696
Жордания Г. 54, 68, 206, 207, 210, 214, 217, 219, 222, 223, 230, 257, 266, 284-287, 289, 290, 292, 303, 621, 670
Жордания Г., Гамезардашвили З. 670
Ключарев (дьяк) 392, 393, 500, 506, 671
Кушев У.Н. 670
Леван II Дадиани, [Правитель Одиши (1611-1657)] 679, 680
Марр Н. 627, 672
Месхия Ш.А. 427, 430, 448, 453, 535, 676
Мышецкий (князь) 393, 399, 500, 506, 671
Накашидзе Н.Т. 128, 204, 328, 339, 340, 389, 395, 400, 427, 430, 445, 453, 510, 513, 620, 670
Никифор Ирбах 679, 680, 681
Новоселский Н.А. 671
Новосельцев А.П. 461, 671
Оболенский М. 293, 671
Панченко К.А. 345, 671
Парсманян В.А. 449
Петрушевский И.П. 16, 671
Пигулевская Н.В. 16, 671
Полиевктов М.А. 20, 56, 73, 75, 77, 84, 85, 95, 98, 99, 101, 106, 114, 115, 120, 123, 126, 128, 131, 135, 305, 327, 329, 330, 336, 337, 341, 348, 355, 378, 392, 412, 427, 433, 486, 500, 504-507, 510, 526, 533, 535, 537, 594, 597, 599, 601, 603, 604, 670, 671
Приходько Г. 158, 671
Ростом Карталинский (царь Картли-Кахетии) 504, 507, 510, 671, 674
Саакадзе Георгий (†1629), Великий Моурави, 679
Смирнов Н.А. 672
Соловьев С.М. 34, 618, 619
Строева А.В. 16, 671
Теимураз I (1606-1650) царь Картли 672, 679, 680, 681, 682
Тер-Аветисян 28, 672
Тивадзе Т.Г. 72, 79, 90, 93, 96, 109, 115, 116, 125, 138, 144, 147, 298, 325, 402, 415, 672
Цагарели А.А. 646, 654, 672
Цинцадзе Я.З. 427, 430, 448, 453, 535, 670
Чолокашвили Николоз (Никифор) Ирбах 680
Якубовский А.Ю. 16, 671

б) географические имена

Ближний Восток 679
Грузия 679
Джуга (город) 28, 642
Западная Европа 673, 679
Имеретинское царство 680
Иран 16, 670, 679, 680
Кавказ 41, 672
Казахстан 671
Кахетия 500, 506

Новая Джульфа 27
Европа 679
Москва 504, 507, 510
Османская империя 679, 680
Персия 40
Петербург 40
Россия 40, 41, 671, 672, 679, 680, 681
Северный Кавказ 673
Средняя Азия 671
Тифлис 671
Турция 672
Юго-Восточный Кавказ 679

Index

Avalishvili Z. 147, 159, 668
Antonio de Govea 668
Bayani K. 32, 668
Bellan L. 32, 668
Boxer C.R. 668
Chronicle of the Carmelites 668
Creasy E. S. 26, 668
Estat de la Perse 669
Ferrier R. W. 669
Gulbekian R. 25, 616, 669
Jules Berger Xivrey 669
Knolles R. 528, 669
Malcolm J. 225, 669
Одiarius A. 319, 321
Pietro Dellф Vale 669
Queen Katevan 147
Relaciones Don Juan de Persia 669
Stefano Paolini 669
Wilson A. T. 669

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge